გიორგი გოგოლაშვილი

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია

I. სალიტერატურო ენა

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია

სალიტერატურო ენა

წინასიტყვა

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის აკადემიური კურსი დაეფუძნა ბესარიონ ჯორბენაძის პროგრამა-პროსპექტს „ქართული ენის მორფოლოგია“, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა (გამოსცა „მეცნიერებამ“ 1995 წელს). კურსი „ქართული ენის მორფოლოგია“ ივარაუდებოდა ერთ ნაწილად მრავალტომეული სისტემური კურსისა „ქართული ენა“. ეს სისტემური კურსი დაიგეგმა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მორფოლოგიის კურსის დაწინაურებას მრავალტომეულიდან იმჟამად ჰქონდა საფუძველი. ბ. ჯორბენაძის უდროო გარდაცვალებამ ეს გეგმა შეაფერხა... 2008 წელს ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ წინამდებარე პროექტის შექმნა და ჩვენი ძალებით მისი განხორციელება. საბედნიეროდ, 2009-2011 წლებში ეს პროექტი დაფინანსდა რუსთაველის ფონდის მიერ. გაცნობიერებული გვქონდა, რომ ტვირთი მძიმე იყო, მაგრამ ასეთი კურსის საჭიროების შეგრძნებამ გვაიძულა, შევჭიდებოდით მას.

თეორიულ ენათმეცნიერებაში ძირითადად განიხილავენ გრამატიკის სხვადასხვა ტიპს: მეცნიერულს, აღწერითს, ნორმატიულს... აკადემიური გრამატიკა გარკვეულწილად აერთიანებს ამ ყველა ტიპის გრამატიკას: იგი, ერთი მხრივ, ენობრივ სისტემას შეისწავლის ერთიანი თეორიული კონცეფციის საფუძველზე, აღწერს ენობრივ მოვლენებსა და ფაქტებს და ახდენს შეფასებას ენობრივი ვარიანტებისა, აყალიბებს წესებს. წინამდებარე პროექტი ქართული ენის მორფოლოგიის ამგვარი აკადემიური კურსის შედგენას ისახავდა მიზნად...

ის ფაქტი, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს უმდიდრესი მემკვიდრეობა ჩვენი კლასიკოსებისა — აკაკი შანიძისა, არნოლდ ჩიქობავასი, ვარლამ თოფურიასი და სხვათა — ერთი მხრივ, საქმეს გვიიოლებდა; ხოლო, მეორე მხრივ, გვირთულებდა მდგომარეობას: ადვილი არ არის, თავმოყრა, შეჯერება, ამა თუ იმ თვალსაზრისის წინა პლანზე წამოწევა... და, მით უმეტეს, მეტად რთულია არსებული მემკვიდრეობის საფუძველზე ახალი ინტერპრეტაციების წარმოდგენა, მოვლენათა ახლებური გააზრება...

ამ რამდენიმეწლიანმა მუშაობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმ ჭეშმარიტებაში, რომ, რაც უფრო მეტი კეთდება, გასაკეთებელი უფრო მეტი ჩანს... თუ როგორ შევძელით ჩვენი ამოცანის შესრულება, ამას ობიექტური მკითხველი შეაფასებს.

კოლექტიურ ნაშრომს ერთი პრინციპული თავისებურება ისიც აქვს, რომ ხშირად თანაავტორთა შეხედულებების თანხვედრაც არ არის; არც კომპრომისია იოლი. ყოველნაირად ვეცადეთ, ეს პრობლემა მოგვეხსნა, თუმცა, ყოველთვის ალბათ ვერ მოვახერხეთ; რა და როგორ შევძელით, ამასაც მკითხველი განსჯის. წინასწარი მადლიერების გრძნობით ველით კეთილმოსურნეთა შენიშვნებს, აზრს...

რამდენადაც წინამდებარე კურსს საფუძვლად დაედო ბესარიონ ჯორბენაძის პროგრამა-პროსპექტი, ბ. ჯორბენაძე შეიძლება ამ წიგნის თანაავტორადაც მოვიაზროთ; ეს განსაკუთრებით ითქმის მორფოლოგიის პირველ ნაწილებზე.

თანამედროვე ქართული ენა რთული ფენომენია: იგი არის ერთობლიობა ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ენის თანამედროვე დიალექტებისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სალიტერატურო ენასა და დიალექტებს განიხილავენ საერთო-ეროვნული ენის ნაირსახეობებად; მათი ურთიერთმიმართება — ურთიერთგავლენა და ურთიერთშეპირობებულობა — გარდაუვალი აუცილებლობაა. წინამდებარე გამოცემა თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის ერთ — ძირითად — ნაწილად მოიაზრება. მეორე ნაწილი — ქართული დიალექტების მორფოლოგია — შესაქმნელია. ამ ორი ნაწილის ერთობლიობა მოგვცემს თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის სრულ კურსს, რისი შექმნის აუცილებლობაც მწვავედ იგრძნობა.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია

სალიტერატურო ენა

გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით

თბილისი
2011

პროექტი — **თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის აკადემიური კურსი** (A-06-09) — განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The Project – **An Academic Course of the Morphology of Present-day Georgian Language** (A-06-09) – has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All the ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

გიორგი გოგოლაშვილი
ავთანდილ არაბული
მურმან სუხიშვილი
მარიამ მანჯგალაძე
ნინო ჭუმბურიძე
ნინო ჯორბენაძე

ასისტენტი რუსუდან ლანდია

რედაქტორები: გიორგი გოგოლაშვილი
ავთანდილ არაბული

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

ნაწილი I. მორფოლოგია – ზოგადი საკითხები

I. 1. მორფოლოგიის საგანი. გრამატიკა ენათმეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის ენის აგებულებას. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. მორფოლოგია არის ნაწილი გრამატიკისა.

გრამატიკის ნაწილია აგრეთვე სინტაქსი. მორფოლოგია სწავლობს სიტყვას, სიტყვის აგებულებას, სიტყვის ფორმაცვალებას. სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა ურთიერთმიმართებას. გრამატიკის დაყოფა მორფოლოგიად და სინტაქსად ზოგჯერ პირობით ხასიათს იძენს: მორფოლოგიური საკითხების გარკვევა სინტაქსური ურთიერთობების გათვალისწინების გარეშე არ მოხერხდება ისევე, როგორც სინტაქსური პრობლემების გარკვევა — მორფოლოგიის საკითხების გათვალისწინების გარეშე. ამიტომაც ზოგჯერ ენათმეცნიერები საუბრობენ მორფოსინტაქსის საკითხებზე, მორფოსინტაქსურ კატეგორიებზე.

სხვაგვარი განმარტებით, მორფოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ენობრივ ფორმას მისსავე დინამიკაში; სიტყვის ფორმას და ამ ფორმის ცვლილების კანონზომიერებებს; სიტყვის სტრუქტურას და ამ სტრუქტურის შემადგენელ ელემენტებს.

ჩვეულებრივი გაგებით, მორფოლოგიის შესწავლის საგანია სიტყვის ყოველგვარი ცვლა: ამგვარი გაგებით სიტყვაწარმოებაც ისევეა მორფოლოგიის საგანი, როგორც ფორმაწარმოება.

I. 2. სისტემა და სტრუქტურა. პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა. სისტემა და ქვესისტემა. ენა სისტემაა. ეს ნიშნავს: ენა არის ენობრივი ნიშნების, ენობრივი ერთეულების მოწესრიგებული სიმრავლე; ერთობლიობა იმ მიმართულებისა და კავშირებისა, რომლებიც არის ენობრივ ელემენტებს შორის. ეს ნიშნავს, რომ ენაში ყველაფერი არის ურთიერთშეპირობებული და ურთიერთგანსაზღვრული.

შესაბამისად, ნებისმიერი ენობრივი ფაქტი თუ მოვლენა, ყოველი ელემენტი ენობრივი სისტემის წევრია; ის არ შეიძლება სისტემის გარეთ იდგეს; ყველა მათგანს აქვს თავისი ადგილი და ფუნქცია სისტემაში. ამიტომაც ენობრივი გამონაკლისი („სისტემიდან ამოვარდნილი ფაქტი“) მხოლოდ პირობითი ცნებაა: გამონაკლისი არსებობს არა ენო-

ბრივი სისტემის დონეზე, ჩვენი ცოდნის დონეზე; ენობრივი ფაქტი გამონაკლისად რჩება მანამ, სანამ მისი ადგილი მოიძებნება სისტემაში. „გამონაკლისი არის გაჭირვების ახსნა“ (ვ. თოფურია). **ხ**-არ, **ხ**-ვალ ფორმები პირის ნიშანთა სისტემის თვალსაზრისით გამონაკლისად ითვლებოდა მანამ, სანამ გაირკვეოდა „ხანმეტობის“ საიდუმლო. როგორც ჩანს, ხ-არ, ხ-ვალ ძველი სისტემის კანონზომიერი წევრები იყო; ამ სისტემაში იგი ნაშთია ძველი სისტემისა. რამ შეუწყო ხელი ამ ფორმათა შენარჩუნებას, როგორ აღმოჩნდნენ ისინი ახალ სისტემაში, — ეს კითხვა პასუხგასაცემია; არადა, ეს ორივე ფორმა როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისათვის კანონზომიერი ფორმებია...

სისტემის წევრი რომელიმე ენობრივი ერთეულის (ენობრივი ფაქტის) ცვლა იწვევს ამ სისტემის სხვა ელემენტთა შესაბამის ცვლას. ანუ, სისტემის რომელიმე ელემენტის ცვლილების შედეგად სისტემა არ ირღვევა; სისტემის ცალკეულ ელემენტთა ცვლა ხდება, მაგრამ შესაბამისობა, სისტემის ერთიანობა დაცულია.

სისტემის წევრები (ენობრივი ერთეულები) ქმნიან თავისებურ **სტრუქტურას**, აგებულებას. „ასეთი სტრუქტურა შეგვიძლია ამოვიცნოთ მისი რაღაც ნაწილის მიხედვით ისევე, როგორც, მაგალითად, შეგვიძლია ავაგოთ სამკუთხედი, თუ მოცემულია მისი ერთი გვერდი და ორი კუთხე (ისინი სამკუთხედის დანარჩენ ელემენტებს ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავენ)“ (თ. გამყრელიძე).

ენობრივი ერთეულის მიმართება სისტემის წევრ სხვა ერთეულებთან შეიძლება იყოს **სინტაგმატური** და **პარადიგმატული:**

„სინტაგმატურ მიმართებას ერთეული ამყარებს მიმდევრობაში წინამავალ ან მომდევნო ერთეულებთან;

პარადიგმატული მიმართება გვაქვს, როდესაც მოცემული ერთეული რაღაც თვალსაზრისით უპირისპირდება სხვა ერთეულებს სისტემაში (და არა მიმდევრობაში). ზოგადად, თუ სისტემაში გვაქვს რაღაც [aktu], [agtu], [antu] გამოსახულებები, მაშინ [k] ელემენტი სისტემურ მიმართებაშია a, t, u ელემენტებთან და პარადიგმატულ მიმართებაში — [g], [n] ელემენტებთან, რომლებიც იმავე გარემოცვაში (პოზიციაში) გვხვდება“ (თ. გამყრელიძე).

სწორედ პარადიგმატულ მიმართებათა არსებობა განაპირობებს იმას, რომ ენობრივ ერთეულთა სიმრავლე არის არა უბრალო სიმრავლე, არამედ — სისტემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ენობრივი სისტემა არის პარადიგმატული მონაცემების ერთობლიობა.** ენობრივი **სტრუქტურა კი არის სინტაგმატური მონაცემების ერთობლიობა.**

სტრუქტურის შემადგენელი ელემენტები ფორმობრივად ურთიერთშეპირობებულია. მაგალითად, სტრუქტურაში — ტყემ მოისხა ფოთოლი — თითოეული ელემენტის ფორმა სხვა ელემენტების მიხედვით არის განსაზღვრული; რომელიმე მათგანის ფორმის ცვლა სტრუქტურას დაარღვევს (შეუძლებელია ამ სტრუქტურაში ფორმათა — ტყე, ტყეს, ტყის... — ჩანაცვლება...).

მაგრამ ამ სტრუქტურის ერთი ელემენტი შეიძლება ჩავანაცვლოთ იმავე ფორმის სხვა ელემენტით ისე, რომ სტრუქტურის წევრთა შორის ფორმალური მიმართება არ დაირღვეს:

ტყემ მოისხა **ფოთოლი.**
ხემ მოისხა **ფოთოლი.**
ხემ მოისხა **ნაყოფი.**

ე. ი. სტრუქტურას ქმნის ფორმათა გარკვეული მიმართებანი. თუ ეს ფორმობრივი მიმართებები არ შეიცვალა, შემადგენელ ელემენტთა ცვლა სტრუქტურას არ დაარღვევს; ყველა ვარიანტი სტრუქტურულად იდენტურია. სტრუქტურის ელემენტებს აქვთ თავიანთი განაწილების წესები. „ფაქტობრივად სტრუქტურა წარმოადგენს გარკვეულ ადგილთა მიმართებას და ეს ადგილები მოლაპარაკეს სურვილისამებრ შეუძლია შეავსოს სხვადასხვა კონკრეტული ერთეულით. მოცემული სასრული რაოდენობის სტრუქტურებით შეგვიძლია შევადგინოთ წინადადებათა უსასრულო რაოდენობა“ (თ. გამყრელიძე).

სისტემა და ქვესისტემა. ენა ერთიანი სისტემაა. ამ ერთიანი სისტემის ყოველი ცალკეული ნაწილი, რომელიც თავისთავად, ასევე სისტემური აგებულებისაა, შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ამ **ენობრივი სისტემის ქვესისტემა.**

როცა ვსაუბრობთ ქართული ენის სისტემაზე, მისი თითოეული უბანი, ვთქვათ ზმნა, სახელი, ქმნის ქვესისტემას, თუმცა ზოგჯერ საუბრობენ ზმნის სისტემაზე, სახელის სისტემაზე.

ასევე: როცა საუბრობენ ენისა და დიალექტის ურთიერთმიმართებაზე, დიალექტს განიხილავენ ერთიანი ენობრივი სისტემის ნაირსახეობად — ქვესისტემად.

ასევე: რამდენადაც ქართული ენა არის ერთიანი სისტემა, მისი ისტორიული ნაირსახეობანი — ძველი ქართული, საშუალი ქართული, ახალი ქართული — მოიაზრება ქვესისტემებად.

თუმცა ზოგჯერ ტერმინები — სისტემა, ქვესისტემა — პირობით ხასიათს იძენს. რამდენადაც სისტემა მოიაზრება ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივად შეკავშირებულ ერთეულთა ერთობად, ზმნაზე საუბრისას

მსჯელობენ ზმნის სისტემაზე, სახელზე მსჯელობისას — სახელის სისტემაზე. შესაბამისად, ამ „სისტემის“ ნაწილი გაიაზრება ქვესისტემად; მაგ., პირის ნიშანთა ქვესისტემა. თუმცა, როცა მსჯელობისას საგანია პირის ნიშნები და არა მთლიანად ზმნა, საუბრობენ „პირის ნიშანთა სისტემაზე“, „სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემაზე“ და ა. შ.

როგორც ჩანს, მორფოლოგიური ანალიზისას ამ პირობითობას ვერ ავცდებით. ამ შემთხვევაში სისტემით სახელდება ენობრივი ელემენტებისა გულისხმობს, რომ განხილვის საგანია სისტემურად შეკავშირებული ენობრივი ერთეულები სხვა რიგის ელემენტთა გაუთვალისწინებლად; ქვესისტემად სახელდება ელემენტთა ერთობისა ხდება მაშინ, როცა ეს ერთობა განიხილება სხვა რიგის ენობრივი ფაქტების გათვალისწინებით.

სხვა მაგალითი: მეგრული არის ქვესისტემა (ნაირსახეობა) ზანური ენობრივი სისტემისა, მაგრამ ი. ყიფშიძის მონოგრაფიაში („მეგრული ენის გრამატიკა“) იგი სისტემად მოიაზრება, რადგან არ ხდება ამ სისტემის წარმოდგენისას გათვალისწინება სხვა ქვესისტემისა (ამ შემთხვევაში ჭანურისა). არნ. ჩიქობავას მონოგრაფიაში („ჭანურის გრამატიკული ანალიზი“) ჭანური განიხილება როგორც ქვესისტემა (ნაირსახეობა) ერთიანი ენობრივი სისტემისა — ზანურისა, რამდენადაც ხდება ამ სისტემის სხვა ქვესისტემის (მეგრულის) გათვალისწინებაც.

I. 3. მორფოლოგიის ძირითადი ცნებები. მორფოლოგიის ერთერთი ძირითადი ცნება არის სიტყვა, რომელიც აუცილებლად არის წარმოდგენილი რაიმე ფორმით.

სიტყვა არის ლექსიკური მნიშვნელობის მქონე უმცირესი ენობრივი ერთეული. ენობრივ მოვლენათა იერარქიაში სიტყვაზე მცირე ერთეული არის მორფემა, უფრო მსხვილი ერთეული — წინადადება. სიტყვა შედგება მორფემებისაგან; თავის მხრივ, სიტყვა შედის წინადადების შემადგენლობაში.

სიტყვა შეიძლება დაიშალოს შემადგენელ მორფემებად.

მორფემა არის გრამატიკის ძირითადი ერთეული, რომელიც მორფოლოგიურ დონეზე არ დაიყოფა — ის უმცირესი მორფოლოგიური ელემენტია.

ფორმალურ სტრუქტურაში გარჩეულია გრამატიკული და ლექსიკური (ძირეული) მორფემები. გრამატიკულია მორფემა, რომელიც გამოხატავს სრულმნიშვნელობიან სიტყვებს შორის მიმართებებს, გრამატიკულ კატეგორიებს, ან აწარმოებს ახალ სიტყვებს. გრამატიკული

მორფემები — იგივე აფიქსები — დამოუკიდებლად არ არსებობენ; მათ დამოკიდებულ მორფემებსაც უწოდებენ.

გრამატიკული მორფემა სიტყვაში შეიძლება ნულოვანი სახით (ნულოვანი ალომორფით) იყოს წარმოდგენილი (არ იყოს გამოხატული).

სიტყვის ბირთვს ქმნის ძირეული მორფემა. მასთან არის დაკავშირებული სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. მორფემა მორფოლოგიური სტრუქტურის აგებაში მონაწილეობს როგორც დამოუკიდებელი ელემენტი. იგი ხასიათდება საკუთარი ფორმობრივი თვისობითა და ქმედების უნარით.

მორფემის თვისობა — მორფემისეული ხმოვნის ფონეტიკური ცვლის უნარი. მაგ.: ხატ-**ავ**-ს — ხატ-**ვ**-ა, **-ავ** არის მორფემა, რომლის თვისობაც არის გახმოვანების ნულთან მონაცვლეობა; აწვ-ენ-ს — დაწვ-ინ-ა, **ენ** მორფემის თვისობა **ე**- ხმოვნის **ი**-სთან მონაცვლეობაა. აკეთ-**ებ**-ს — **-ებ** მორფემის თვისობაა გახმოვანების უცვლელობა.

მორფემის ქმედება — მორფემის უნარი, ცვალოს იმ მორფემის (ძირეულის თუ აფიქსურის) გახმოვანება, რომელსაც დაერთვის: მოვკალ — მო-კლ-**ა** **-ა** მორფემის ქმედების შედეგია წინამავალი მორფემისეული ხმოვნის რედუქცია.

მორფემის თვისობა და ქმედება ვლინდება სხვა მორფემებთან მიმართებისას.

გრამატიკული მორფემა იგივეა, რაც ფორმანტი ანუ აფიქსი (ქართული ტერმინით — სართი).

აფიქსები ძირეულ მორფემასთან მიმართებით სამი სახისაა: პრეფიქსი ანუ თავსართი, სუფიქსი ანუ ბოლოსართი და ინფიქსი.

პრეფიქსია სიტყვის ბირთვის — ძირეული მორფემის — წინ მდგომი აფიქსი; სუფიქსია — ძირეული მორფემის მომდევნო აფიქსი.

ვ-ი-კეთ-ებ-თ ფორმაში **ვ-** და **ი-** პრეფიქსებია (ანუ თავსართი); **-ებ, -თ** სუფიქსებია (ანუ ბოლოსართი).

ინფიქსი — აფიქსი, რომელიც გათიშავს და ჩაერთვის ძირეულ მორფემას, ზოგადად არაა დამახასიათებელი ქართულისათვის. რამდენიმე შემთხვევაში მეტათეზისის შედეგად ფუძეში გადანაცვლებული სუფიქსური ელემენტი შეიძლება ინფიქსად განვიხილოთ: ხ-**ვ**-ნ-ა : ხნ-**ავ**-ს → ხნ-**ვ**-ა → ხ**ვ**ნ-ა; ნა-**ვ**-ხ-ე ← ვ-ნახ-ე და სხვ.

სახელურ სიტყვაწარმოებაში გამოიყოფა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება, როცა პრეფიქსსა და სუფიქსს ცალ-ცალკე ფუნქცია არ გააჩნია — საერთო ფუნქცია აქვს: **მე**-ხუთ-**ე**, **უ**-დიდ-**ეს**-ი... **სი**-ყვარ-

ულ-ი... **მ**-შენებ-**ელ**-ი... პრეფიქს-სუფიქსს ერთად კონფიქსს (ან ცირკუმფიქსს) უწოდებენ.

ფუძე — მორფოლოგიის ძირითადი ცნებაა. ფუძე ჩვეულებრივ განიმარტება ორი თვალსაზრისით: ლექსიკური მნიშვნელობით და ფორმობრივი მნიშვნელობით.

პირველი თვალსაზრისით, ფუძე არის სიტყვის ის შემადგენელი ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია ლექსიკური მნიშვნელობა.

ფორმობრივი თვალსაზრისით, ფუძე პერმანენტულად ცვლადი მონაცემია; იგი განიმარტება, როგორც **საყრდენი ფორმათა სისტემისათვის.** შესაბამისად: ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმობრივი სისტემისათვის ფუძე სხვადასხვა შეიძლება იყოს.

მალ-ავ-ს → **უ-მალ-ავ**-ს → **უ-მალ-ავ-დ**-ა → **უ-მალ-ავ-დ-ე**-ს ყველა საფეხურზე ხაზგასმული მონაკვეთი ფუძეა; **თითოეული** მათგანი სხვადასხვა ფორმობრივი სისტემისათვის არის საყრდენი: პირველი საფეხური — **მალ-ავ-** აწმყოს მწკრივის ფორმობრივი საყრდენია; მეორე — საყრდენია იმავე მწკრივის საობიექტო ქცევის ფორმათათვის, მესამე — უწყვეტლის ფორმათათვის და ა. შ.

სახელის შემთხვევაში ვითარება უფრო მარტივია: ვსაუბრობთ მხოლობითის ფუძეზე (**კაც**-ი, **მამა**...) და მრავლობითის ფუძეზე (**კაც-ებ**-ი, **კაც-ნ**-ი...).

მორფოლოგიური ანალიზის მიზნის შესაბამისად, როგორც ითქვა, ფუძე შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ ყველა შემთხვევისათვის სახელისათვის ფუძეში არ შედის ბრუნვის ნიშნები (კაც-**ი**, კაც-**ად**...); ზმნისათვის — პირისა და რიცხვის ნიშნები (**ვ**-არ**-თ, ხ**-არ**-თ**, არ-ი-**ან**...).

სახელისათვის ფუძე შეიძლება იყოს **მარტივი: კაც**-ი, **კედელ**-ი, **მამა, წყარო**...

წარმოქმნილი: **კაც-ურ**-ი, **სა-კაც**-ე, **უ-მამ**-ო, **მამ-ობრივ**-ი...

რთული: **დედა-კაც**-ი, **ძალ-გულ-ოვან**-ი...

ფონეტიკური სტრუქტურის მიხედვით — სრული და არასრული (შეკუმშული ან შეკვეცილი): სრულია — **კედელ**-ი, **მამა**...

არასრულია — **კედლ**-ის, **მამ**-ის...

ზმნისათვის — **მარტივ ფუძეს** ვუწოდებთ იმ ნაწილს ზმნური ფორმისას, რომელიც საერთოა ზმნის სრული პარადიგმის ყველა წევრისათვის: **ხატ**-ავ-ს — **ხატ**-ავ-დ-ა — და-**ხატ**-ა — და-უ-**ხატ**-ავ-ს...

მარტივი ფუძე — პირობითი ტერმინია: შედგენილობით იგი შეიძლება იყოს წარმოქმნილი ან რთული — ა-**გულ-იან**-ებ-ს, **დიდ-კაც**-ობ-ს; ან ეტიმოლოგიურად არ იყო მარტივი **დრ-ეკ**-ს — (შდრ. ძვ.

ქართ.: შევ-დერ-კ...). ზმნური სისტემისათვის ყველა ეს ვარიანტი (**გულიან-, დიდკაც-, დრეკ-**) მარტივად გაიაზრება, რამდენადაც ზმნის სრული პარადიგმის ყველა წევრისათვის საერთო საყრდენი მონაცემია.

ზმნისათვის — რთულია ყველა ის ვარიანტი ფუძისა, რომლის მარტივი ფუძეც გართულებულია ზმნური სიტყვა- თუ ფორმაწარმოებითი ელემენტით **ხატ-ავ**-ს, **ხატ-ავ-დ-ე**-ს, **და-უ-ხატ-ავ**-ს...

ზმნის ფუძეც შეიძლება იყოს სრული და არასრული.

სრულია — მო-ვ-**კალ**, გავ-**ჭერ**, დავ-**წერ-ე**, არასრულია — მო-**კლ**-ა, გა-**ჭრ**-ა, და-**წერ**-ა (← და-წერ-ე-ა)

ფუძის იმ ნაირსახეობას, რომელიც საყრდენია I ან II სერიის ფორმათათვის, **თემა** ჰქვია (ტერმინიც და ცნებაც ა. შანიძეს ეკუთვნის); ზმნას აქვს I სერიის თემა (ა-**კეთ-ებ**-ს, **დრეკ**-ს...) და II სერიის თემა (ა-**კეთ**-ა, მო-**დრიკ**-ა...). თუ I სერიის ფუძე (ე. ი. თემა) განსხვავებულია II სერიის ფუძისაგან (თემისაგან), ასეთ ზმნებს ორთემიანებს ვუწოდებთ. წარმოდგენილი ორივე ზმნა ორთემიანია; ერთ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება რთული და მარტივი თემა (**კეთ-ებ — კეთ**), მეორე შემთხვევაში — სხვადასხვა გახმოვანების ფუძეები (დრეკ — დრიკ); არის ერთთემიანი ზმნებიც — როცა ორივე სერიაში ერთგვარი თემა გვაქვს (**წერ**...). (თემის საკითხი სპეციფიკურია III სერიაში. ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ერთი მწკრივის ფორმათათვის საყრდენ ფუძეს **მწკრივის ფუძეს** უწოდებენ; მწკრივის ფუძეა **კეთდებოდე**-ს (I კავშირებითისათვის) ან **ხატ-ო**-ს (II კავშირებითისთვის)...

გრამატიკულ ლიტერატურაში გამოიყენება ცნება **ძირისა.** „ძირი არ განეკუთვნება ენის რეალური ფუნქციონირების სფეროს; ე. ი. ძირი უშუალოდ არ ფუნქციონირებს ენაში და ფუნქციონირებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ფუძის შემადგენლობაში შევა. ენისათვის მოქმედი („ცოცხალი“) ელემენტი ფუძეა და არა ძირი. ძირი აბსტრაჰირებული ცნებაა, იმ რიგის წმინდა მონაცემია, რომელიც მხოლოდ „ლაბორატორიული წესით“ მიიღება“ (ბ. ჯორბენაძე). ამგვარი გააზრებით ზუსტად არ შეიძლება განისაზღვროს ძირის რაობა: იგი ზოგჯერ ემთხვევა ფუძეს, სხვადასხვა გაგებით წარმოდგენილს (მაგ.: **კეთ, წერ**...), ზოგჯერ მხოლოდ „ისტორიული მონაცემია, თეორიულად დასაშვები შესაძლებლობა და არა თანამედროვე ენის ფაქტი. ასე მაგალითად, ა-ნათ-ებ-ს ფორმაში ძირად ივარაუდება **-თ-**, ხოლო **ნა-** ძირს მიხორცებული პრეფიქსია. ეს **-თ-** კი არც კლასიკურ და არც თანამედროვე ქართულში არავითარ ურთიერთმიმართებაში არ შედის და,

ბუნებრივია, არც რაიმე ლექსიკური მნიშვნელობა მოეპოვება. იგი წმინდა აბსტრაქციას წარმოადგენს; ელემენტს, რომელიც გამოყოფილია და განყენებული ნათ-ელ-ი — ა-თენ-ებ-ს — ა-თევ-ს — გან-თი(ვ)-ად-ი (←*გან-თევ-ად-ი) ფორმების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე“ (ბ. ჯორბენაძე).

I. 4. მორფემათა ფუნქციური კლასიფიკაცია. ფუნქციური თვალსაზრისით მორფემები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

ა) მორფემები, რომლებიც მონაწილეობენ ფუძის ფორმობრივ შენებაში (მოქმედი აფიქსები არიან), მაგრამ არ ცვლიან სიტყვის მნიშვნელობას არც გრამატიკული და არც ლექსიკური თვალსაზრისით. ამ ტიპის მორფემებად შეიძლება განვიხილოთ **ე. წ. თემის ნიშნები**:

ჩეხ-ა და **ჩეხ-ავ**-ს


-ავ მორფემას ფორმაში არა აქვს არც გრამატიკული და არც ლექსიკური მნიშვნელობა.

შესაძლებელია, ისტორიულად მას ჰქონდა ამგვარი მნიშვნელობა, ანდა დღესაც აქვს ჩვენთვის შეუმჩნეველი ფუნქცია, მაგრამ დღევანდელი მორფოლოგიური ანალიზის დონეზე ჩვენთვის მისაღებია თვალსაზრისი, რომ არ ვისაუბროთ ამ შემთხვევაში სუფიქსის გრამატიკულ თუ ლექსიკურ მნიშვნელობაზე.

ბ) მეორე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდნენ მორფემები, რომლებიც ცვლიან სიტყვის გრამატიკულ მნიშვნელობას. ეს იქნება სახელისათვის ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები: კაც-**ი**, კაც-**მა**, კაც-**ს**... კაც-**ებ**-ი, კაც-**ნ**-ი...

ზმნისათვის — პირის ნიშნები, რიცხვის ნიშნები, მწკრივის ნიშნები... მაგ.: **ვ**-წერ, წერ-**ს**, წერ-**ენ**... **ვ**-წერ-**ე** ვ-წერ-**ო**...

გ) მესამე ჯგუფში შევა მორფემები, რომლებიც ცვლიან სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას:



ზმნისათვის ეს ჯგუფი გაცილებით რთული იქნება: აქ შემოვა ქცევის, გვარის, კონტაქტის... ნიშნები: **ა**-კეთებს, **ი**-კეთებს... აკეთებ-**ინ**-ებს... კეთ-**დ**-ება... (თუმცა ამ აფიქსთა ფუნქციების შესახებ არსებობს განსხვავებული თვალსაზრისები).

I. 5. მორფემათა განაწილების თანრიგები. იმისდა მიხედვით, თუ როგორია აფიქსური მორფემის მიმართება ძირეულ მორფემასთან, შეიძლება გამოიყოს აფიქსურ მორფემათა სამი თანრიგი:

ა) მორფემები, რომლებიც უშუალოდ მიერთვიან ძირეულ მორფემას („მარტივ ფუძეს“): სახელებში — რიცხვის ნიშანი, სიტყვათწარმომქმნელი აფიქსები...

მაგ.: კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი...

კაც-**ურ**-ი, **სა**-კაც-**ე**

ზმნებში — ხმოვანპრეფიქსები, ე. წ. გვარის ნიშნები — -დ, -ნ ← -ენ (ძველი ქართულისათვის)...

მაგ.: **ა**-კეთ-ებ-ს, **უ**-კეთ-ებ-ს...

კეთ-**დ**-ებ-ა... გან-ჭაპუკ-**ნ**-ებ-ის

მიმღებისა თუ მასდარის მაწარმოებლები: ნა-ტეხ-ი, სა-წერ-ი... და მისთანანი.

ბ) მორფემები, რომლებიც უშუალოდ არ მიერთვიან ძირეულ მორფემას:

თანდებულები: დედას-**თან**, დედ-ის-**კენ**...

უწყვეტლის მწკრივის ნიშანი:

ვ-წერ-დ-**ი**, ვ-ტირ-ოდ-**ი**...

ნაწილაკები: დედა-ს-ა-**ც**, კაც-ი-**ლა** და მისთანანი.

გ) მორფემები, რომლებიც მიერთვიან როგორც ძირეულ მორფემას, ასევე აფიქსურ მორფემებს. ანუ: რომელთათვისაც საყრდენი შეიძლება იყოს როგორც ძირეული, ისე აფიქსური მორფემები:

ბრუნვის ნიშნებისათვის საყრდენია როგორც ძირეული (კაც-**ი**, კაც-**მა,** კაც-**ს**...), ისე სუფიქსური მორფემები (კაც-**ებ**-ი, კაც-**ებ**-მა, კაც-**ებ**-ს...)

ასევე: კაც-ებრ-**ი** და კაც-**ის**ებრ-**ი.**

ზმნისათვის — **ვ-**წერ და **ვ**-ა-წერ, **ვ**-ი-წერ; ანდა: წერ-**ს** და წერ-დ-ე-**ს** და მისთანანი.

I. 6. მორფემათა დანიშნულება და მნიშვნელობა. დანიშნულების მიხედვით შეიძლება გამოიყოს მორფემათა სამი ჯგუფი: მიმართებითი, წარმომქმნელი და დამაზუსტებელი მორფემები.

ა) **მიმართებითი** მორფემებია ის მორფემები, რომლებიც გამოხატავენ მიმართებას წინადადების რომელიმე წევრისადმი.

სახელის სისტემაში მიმართებითი მორფემებია ბრუნვის ნიშნები: კაც-**ი**, კაც-**მა**, კაც-**ს**...

ზმნის სისტემაში მიმართებითად განიხილება პირისა და რიცხვის ნიშნები: წერ-**ს**, წერ-**ენ** (ისინი).

მიმართებითად განიხილება ე. წ. დეიქტური ხმოვანი პრეფიქსები: **ა**-ქ, **ი**-ქ, **ა**-ასე, **ი**-სე...

ამ რიგის მოვლენასთან ათანაბრებენ ზმნურ ხმოვანპრეფიქსებს **ა**-წერს, **ი**-წერს, **უ**-წერს (ბ. ჯორბენაძე).

ბ) **წარმომქმნელი** მორფემებია ის მორფემები, რომლებიც წარმოქმნიან ახალ ფუძეს და არ არიან დამოკიდებული წინადადების სხვა წევრების ფორმასა თუ მნიშვნელობაზე.

წარმომქმნელი მორფემები ცვლიან სიტყვის ლექსიკურ ან გრამატიკულ მნიშვნელობას. ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის მაგალითებია:

წიგნი — წიგნ-**იან**-ი, წიგნ-**იერ**-ი, **უ**-წიგნ-**ურ**-ი...

ბალახი — **ა**-ბალახ-**ებ**-ს. ბალახ-**ობ**-ს...

გ) **დამაზუსტებელ** მორფემებად მიიჩნევა თანდებულები, ნაწილაკები:

სახლი — სახლ-**თან**, სახლი-**ც**...

მორფემებმა შეიძლება იცვალონ დანიშნულება: ერთ შემთხვევაში სამიმართებო მორფემა სხვა შემთხვევაში შეიძლება წარმომქმნელ მორფემად მოგვევლინოს:

კაც-ად მაშინ ხარ საქები... **-ად** სამიმართებო მორფემაა.

ერი გულ-**ად**-ი, პურ-**ად**-ი... **-ად** წარმომქმნელი მორფემაა — ლექსიკურ მნიშვნელობას აწარმოებს.

მნიშვნელობის მიხედვით მორფემათა კლასიფიკაცია უფრო რთულია და მრავალფეროვანი.

სახელის სისტემაში დანიშნულების მიხედვით მიმართებითი მორფემა მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება იყოს ბრუნვის ნიშანი, რიცხვის ნიშანი; წარმომქმნელი მორფემა მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება იყოს მქონებლობის, უქონლობის და სხვა.

ზმნის სისტემაში მიმართებითი დანიშნულების მორფემები მნიშვნელობით შეიძლება იყოს პირის ნიშანი, რიცხვის ნიშანი... წარმომქმნელი მორფემები — ქცევისა, გვარისა...

მაგ.: კაც-**მა**; **-მა** დანიშნულებით მიმართებითი აფიქსია, მნიშვნელობით — მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი.

წერ-**ს** — **ს-** დანიშნულებით მიმართებითი აფიქსია, მნიშვნელობით — მესამე სუბიექტური პირის ნიშანი.

გულ-**იან**-ი — **-იან** დანიშნულებით წარმომქმნელი აფიქსია, მნიშვნელობით — მქონებლობისა.

აწერ-**ინ**-ებ-ს — **-ინ** დანიშნულებით წარმომქმნელი აფიქსია, მნიშვნელობით — კაუზატივისა...

ფაქტია, სხვადასხვა მორფემას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: კაც-**ს** უთხრა და კაც-**ით** ამაყობს — ამ მაგალითებში **-ს** და **-ით** მორფემები სხვადასხვა მიმართებებს გამოხატავენ, მაგრამ შესაძლებელია მოხდეს მათი მნიშვნელობების დამთხვევა:

დილა-**ს** მოვიდა და დილ-**ით** მოვიდა — ამ შემთხვევაში **-ს** და **-ით** მორფემათა **მნიშვნელობები ნეიტრალიზებულია.**

მსგავსი მაგალითები ზმნურ სისტემაშიც შეიძლება დაიძებნოს (წახდ-**ენ**-ა და წახდ-**ომ**-ა...).

I. 7. მორფემოიდები ანუ მოდალური ელემენტები. მორფოლოგიის ძირითადი ცნებებია, როგორც ითქვა, სიტყვა, მორფემა... ენაში გვხვდება აგრეთვე დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ის ფორმებიც, რომლებიც სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნენ თანდებულების, ნაწილაკების ან მეშველი ზმნის დანიშნულებით.

წინ დამოუკიდებელი მნიშვნელობით იხმარება:

მეგობრებო, **წინ, წინ** გასწით!...

თანდებულის მნიშნელობით გამოიყენება:

სახლის **წინ** ჩაიარა...

ასევე: **უნდა, არის** ფორმებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს:

მას **უნდა** თამაში; იგი აქ **არის**...

ნაწილაკის (ან მეშველი ზმნის) დანიშნულებით გამოიყენება იგივე სიტყვები:

უნდა გავაკეთო... ის ჩემი მეგობარი **არის** (მეგობარი**ა**)...

მორფემის დანიშნულებით გამოყენებული წარმოშობით არამორფემული (დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე) ელემენტები იწოდება **მორფემოიდებად.**

მორფემოიდებად გაიაზრება აგრეთვე მოდალური ელემენტები: უნდა, იქნებ, ხოლმე, თურმე...

უნდა წავიდე... **იქნებ** მოვიდეს...

ამბობს **ხოლმე**... თურმე **დაუწერია...**

I. 8. სიტყვის დაშლა. სიტყვის ანალიზის მიზნით შეიძლება სიტყვა დავშალოთ. ყოველგვარ ანალიზს აქვს თავისი მიზანი — რისი დადგენა გვსურს, რისთვის ვახდენთ დაშლას.

სიტყვის დაშლისას უნდა გამოიყოს ფუძე და მაწარმოებელი მორფემები. რამდენადაც ფუძე პერმანენტულად ცვლადი მონაცემია, ანალიზის დროს ვსაუბრობთ იმ ფუძეზე, რა სახის ანალიზსაც ვახდენთ. თუ ვსაუბრობთ ამა თუ იმ მწკრივის ფორმათა შესახებ, ფუძედ მივიჩნევთ ამ მწკრივისათვის საყრდენ ფუძეს: **ვ-ა-კეთ-ებ-დ-ე**; ამ შემთხვევაში გამოიყოფა ფუძე **კეთებდ** და ფორმანტი **-ე.** ზმნური ფორმის **მდგომარეობს** ანალიზისას გამოიყოფა ფუძე **მდგომარე** და მორფემები **-ობ** და **-ს.** თავისთავად **მდგომარე** რთული შედგენილობის მონაცემია, მაგრამ ანალიზის ამ კონკრეტული მიზნისათვის იგი ერთი მორფოლოგიური ოდენობაა, ისევე როგორც **კაც** ფორმისათვის — კაც-**ობ-ს.** შესაბამისად, თუ ჩვენ ვსაუბრობთ **მდგომარე** მიმღეობის შესახებ, ამ შემთხვევაში საწარმოებელი (საყრდენი) ფუძე იქნება **დგომ, მ-არე** მაწარმოებელი აფიქსები; მასდარის ანალიზის შემთხვევაში დაიშლება **დგომა** ფორმაც — **დგ-ომ-ა.**

ვითვალისწინებთ იმას, რომ მორფოლოგია სწავლობს ფორმის ცვლილებას. ფორმობრივი ცვლილების შედეგად, როგორც ვიცით, იცვლება სიტყვის ან გრამატიკული, ან ლექსიკური მნიშვნელობა. სწორედ ეს განსაზღვრავს მორფოლოგიური ანალიზის მიზანს. მაგალითად: საანალიზო ფორმაა **ცხენოსანი.** თუ ჩვენი მიზანია გრამატიკული მნიშვნელობის ცვლილების გამორკვევა, ამ შემთხვევაში ფუძედ გამოიყოფა **ცხენოსან**, მაწარმოებელია **-ი.** ამ შემთხვევაში იგი შეუდარდება ბრუნვათა სხვა ფორმებს (ცხენოსან-მა, ცხენოსან-ს...). თუ ანალიზის მიზანია ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილების შესწავლა, იგივე ფორმა ასე დაიშლება: **ცხენ-ოსან-ი** და შეუდარდება **ცხენ** ფუძისაგან წარმოქმნილ სხვა სიტყვებს: ცხენ-**იან**-ი, **უ**-ცხენ-ო...

I. 9. მორფემათა რელაცია. ყოველ მორფემას თავისი სტატუსი აქვს. მორფემათა სტატუსის დადგენა სხვა მორფემებთან მიმართების მიხედვით ხდება. ერთსა და იმავე ფორმაში ერთსა და იმავე ელემენტს შესაძლებელია სხვადასხვა სტატუსი ჰქონდეს იმისდა მიხედვით, თუ რა პარადიგმის წევრია. მაგალითად: ფორმაში **შინდ-ის -ის** ფორმანტის

ფუნქცია ფორმაწარმოებითია (ბრუნვის ნიშანია), როცა იგი პარადიგმაში მიემართება (და ენაცვლება) ბრუნვის ნიშნებს — -ი, -მა, -ს...

შინდ-ი
შინდ-მა
შინდ-ს
შინდ-ის

-ის მორფემის ფუნქცია სიტყვაწარმოებითია, როცა იგი მიემართება სიტყვაწარმოებით **-ელ, -ურ** მორფემებს:

შინდ-ის-ი
შიდ-ელ-ი (// შინდ-ის-ელ-ი)
შინდ-ურ-ი (// შინდ-ის-ურ-ი)

სემანტიკური ანალიზის დროს შესაძლებელია ვისაუბროთ მორფემათა სემანტიკურ რელაციაზე, მაგალითად:

მქონებლობა — უქონლობა

წიგნ-**იან**-ი — **უ**წიგნ-**ო**: საგნობრივი, ფიზიკური მნიშვნელობა.

წიგნ-**იერ**-ი — **უ**წიგნ-**ურ**-ი: თვისობრივი, შინაგანი მნიშვნელობა.

I. 10. ფუძის შენების (აგების) ორი პრინციპი. ვთქვით, ფუძე (ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც) უნდა განიმარტოს იმ ურთიერთმიმართებათა მიხედვით, რომლებსაც იგი ამყარებს სტრუქტურის შემადგენელ სხვა ელემენტებთან. აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს ის ურთიერთმიმართებანი, რომლებიც ფუძის სტატუსს ქმნიან.

რამდენადაც ფუძე პერმანენტულად ცვლადი მონაცემია, ჩვეულებრივი მოვლენაა ერთი რომელიმე ფუძისაგან ახალი ფუძის წარმოქმნა. ერთი და იმავე მარტივი ფუძისაგან (ამ შემთხვევაში ძირისაგან) შეიძლება ვაწარმოოთ მრავალი ფუძე:

ა-**კეთ**-ა — ა-**კეთ-ებ**-ს — **გა-კეთ-ებ-ულ**-ი — **სა-კეთ-ებ-ელ**-ი და სხვა...

იმისდა მიხედვით, თუ როგორია ურთიერთმიმართება ერთი და იმავე მარტივი ფუძისაგან წარმოებული ფუძეებისა მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, შეიძლება ვისაუბროთ ფუძეთა წარმოების ორ პრინციპზე:

1) შესაძლებელია, ერთი ფუძე იყოს ამოსავალი (საყრდენი) მეორისათვის, მეორე — მესამისათვის და ა. შ. ანუ: ერთი ფუძე სრულად განმეორდეს მეორე ფუძეში, მეორე — მესამეში და ა. შ.:

ა-**კეთ**-ა → ა-**კეთ-ებ**-ს → ა-**კეთ-ებ-დ**-ა

ასეთი ჯაჭვური პრინციპით ერთმანეთზე აგებული ფუძეები ენაში ხშირად საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ფუძეთა წარმოების ამ პრინციპს ვუწოდებთ ფუძეთა წარმოების **ხაზოვან** პრინციპს.

არსებობს ფუძეთა წარმოების მეორე პრინციპი — ჩანაცვლების პრინციპი. ამ შემთხვევაში ერთი ფუძე კი არ არის საყრდენი (ამოსავალი) მეორე ფუძისათვის, არამედ ორივე მათგანს აქვს საერთო საყრდენი ფუძე:

ა-**კეთებ**-ს → **გა-კეთ-ებ-ულ**-ი
ა-**კეთებ**-ს → **სა-კეთ-ებ-ელ**-ი

აკეთებს და **გასაკეთებელი**, ერთი მხრივ, **აკეთებს** და საკეთ**ებ**ელი — მეორე მხრივ ხაზოვანი პრინციპით მიემართება ერთმანეთს, ხოლო **გაკეთებული** და **საკეთებელი** — ჩანაცვლების პრინციპით.

ერთი და იმავე მარტივი ფუძისაგან (ამ შემთხვევაში ძირისაგან) წარმოებულ ფორმათა სქემაზე ფუძეები ჩვეულებრივ ან ერთი პრინციპით მიემართება ერთმანეთს, ან — მეორე პრინციპით. მაგალითი ერთი ზმნური ძირისათვის:

მ-კეთ-ებ-ელ-ი
გა-**კეთ-ებ-ულ**-ი
ა-**კეთ-ებ-დ**-ა → ა-**კეთ-ებ-დ-ე**-ს

ა-კეთ-ა →
- ა-**კეთ-ებ**-ს → გა-ა-**კეთ-ებ-ინ**-ა→ ა-**კეთ-ებ-ინ-ებ**-ს
- გა-**კეთ-დ**-ა → **კეთ-დ-ებ**-ა → **კეთ-დ-ებ-ოდ**-ა...
- **კეთ-ილ**-ი
- **უ-კეთ-ურ**-ი → ა-**უ-კეთ-ურ-ებ**-ს

ჰორიზონტალური მიმდევრობით წარმოდგენილი ფუძეები ერთმანეთს ხაზოვანი პრინციპით მიემართება, ვერტიკალური რიგებით წარმოდგენილი ფუძეები — ჩანაცვლების პრინციპით. ამ სქემის მიხედვით **აკეთებდეს** და **კეთდებოდა** ერთიმეორეს უშუალოდ არ მიემართება. ამ სქემიდან ფორმათა განვითარების დინამიკა ასე შეიძლება გამოვწეროთ:

ა-კეთ-ა →
- ა-**კეთ-ებ**-ს → ა-**კეთ-ებ-დ**-ა → ა-**კეთ-ებ-დ-ე**-ს
- გა-**კეთ-დ**-ა → **კეთ-დ-ებ**-ა → **კეთ-დ-ებ-ოდ**-ა...

შენიშვნა: ამ შემთხვევაში ზმნისწინსა და ხმოვანპრეფიქსებს მწკრივის ფუძის ელემენტად არ განვიხილავთ.

სქემებში წარმოდგენილი ყველა ფუძე არის საყრდენი ფორმათა გარკვეული სისტემისათვის: მწკრივის პარადიგმისათვის (მაგ.: **აკეთ**-ა, **აკეთებდ**-ა...), ან ბრუნების პარადიგმისათვის (მაგ.: **საკეთებელ**-ი...)

შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევები, რომ ესა თუ ის საფეხური ფუძეთა განვითარების დინამიკაში არ ჩანდეს საყრდენი კონკრეტული პარადიგმისათვის... მაგ.:

დეგ → **დგ-ომ** → **დგ-ომ**-ა
მ-**დგ-ომ**-ი
სა-**დგ-ომ**-ი
ნა-**დგ-ომ**-ი

მესამე რიგის ფორმები ურთიერთჩანაცვლებადი ფუძეებია; მათთვის საერთო ამოსავალი (საყრდენი) ფუძე არის **დგ-ომ,** თუმცა ეს ფუძე დამოუკიდებლად არ არის საყრდენი ფორმათა სისტემისათვის. **დგ-ომ** ტიპის ფუძეს **ფარული ფუძე** ეწოდება.

I. 11. „ფარული ფუძის“ პრინციპი. ე. ი. ფარული არის ფუძე, რომელიც უშუალოდ არ არის საყრდენი ფორმათა სისტემისათვის; მისგან იწარმოება ახალი ფუძე, რომელიც უკვე საყრდენი ხდება ფორმათა სისტემისათვის. ენაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე წარმოებული ფორმა ამოსავლად ვარაუდობს გარკვეულ ფორმას (ფუძეს), რომელიც დამოუკიდებლივ ენაში არ არის რეალიზებული (არ იხმარება). მაგალითად, **სა-დგურ**-ი ამოსავლად ვარაუდობს **დგ-ურ-** ფუძეს, რომელიც დამოუკიდებლივ ენაში არ იხმარება. ასევე: „მოდერნიზებული“ აგებულებით მიმღეობაა, ნაზმნარი სახელია, დაიშლება ასე: **მოდერნიზებ-ულ**-ი, სადაც -**ულ** მიმღეობის მაწარმოებელია. მიმღეობა ამოსავლად ზმნურ ფუძეს ვარაუდობს, ასეთი ფუძე უნდა ყოფილიყო **ა-მოდერნიზ-ებ**-ს (**ა-** დიექტური ნაწილაკი, ფორმანტი, მოდერნიზ- ნასესხები ძირი, -**ებ** თემის ნიშანი), მაგრამ ქართულისათვის უცნობია ამგვარი ზმნური ფუძე. იგი მხოლოდ „საშენ მასალად“ არის გამოყენებული. „დგ-ურ“, „მოდერნიზ-ებ“ მონაცემებს პირობითად ფარულ ფუძეებს ვუწოდებთ. წესი ასეთია: ფარული ფუძე აუცილებლად მონაწილეობს ამა თუ იმ ფორმის აგებაში, მაგრამ დამოუკიდებლივ ენაში არ არის ხმარებული.

I. 12. გრამატიკული მნიშვნელობა და ლექსიკური მნიშვნელობა. სიტყვა იცვლება ორგვარად: ლექსიკური მნიშვნელობით და გრამატიკული მნიშვნელობით.

ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის შემთხვევაში იცვლება საგნობრივი მიმართება:

კაც-ი და **სა-კაც-ე** ორი სხვადასხვა საგანია; ანდა: **კაც-ურ-ი** — თვისება აღინიშნება... **ბარ-ი** — **ბარ-ავ-ს** — ორი სხვადასხვა მოვლენაა. ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის დროს ხდება სიტყვაწარმოება.

გრამატიკული მნიშვნელობის ცვლის დროს იცვლება ენობრივ მონაცემთა შორის ურთიერთმიმართება; საგნობრივი მიმართება უცვლელი რჩება:

კაც-ი (ხატავს),
კაც-მა (დახატა),
კაც-ს (დაუხატავს)...

ანდა:

ვ-ხატავ (მე მას),
ხატავ (შენ მას),
ხატავ-ს (ის მას)...

გრამატიკულ მნიშვნელობათა ცვლის დროს ხდება ფორმაწარმოება.

I. 13. გრამატიკულ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებანი. გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვის რამდენიმე საშუალება არსებობს; იგი შეიძლება გამოიხატოს:

ა) სპეციფიკური ფორმანტით (მორფემით): კაც-**ი**, კაც-**მა**, კაც-**ს**... — ბრუნვის გრამატიკული მნიშვნელობა გამოიხატება ბრუნვის ნიშნებით — **-ი, -მა, -ს...**

ვ-წერ, წერ-**ს**... — პირის გრამატიკული მნიშვნელობა გამოიხატება პირის ნიშნებით — **ვ-, -ს...**

ბ) ყალიბით: მაგალითისათვის: მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს არა აქვთ სპეციალური მაწარმოებლები (არსებობს ასეთი გაგებაც), მაგრამ მათი უღლების პარადიგმათა შედარება დაგვანახ**ებს**, რომ ფუნქციური სხვაობა გამოიხატება განსხვავებული ყალიბებით:


მოქმედებითი	ვნებითი
ვ-ა-თბ-ობ	ვ-თბ-ებ-ი
ვ-ა-თბ-ობ-დ-ი	ვ-თბ-ებ-ოდ-ი
ვ-ა-თბ-ობ-დ-ე	ვ-თბ-ებ-ოდ-ე
(გა)-ვ-ა-თბ-ე	გა-ვ-თბ-ი
(გა)-ვ-ა-თბ-ო	გა-ვ-თბ-ე
(გა)-მ-ი-თბ-ია	გა-ვ-მთბარ-ვარ
(გა)-მ-ე-თბ-ო	გა-ვ-მთბარ-იყავი
(გა)-მ-ე-თბ-ო-ს	გა-ვ-მთბარ-იყო

ბ) ფუძის გაორკეცებით: **ვკეცე, ვკეცე**... **იარა, იარა** და...

გ) სუპლეტური ფორმებით (ძირეული მორფემების) მონაცვლეობით:

მე — ჩვენ შენ — თქვენ
ზის — სხედან ამბობს — იტყვის
არის — იქნება — იყო...

დ) კონტექსტით (მორფოსინტაქსური საშუალებით):



რომ მოსულიყო **დაწერდა** — პირობითობა...
ადგებოდა, **დაწერდა** — ხოლმეობითობა...
ე) აღწერითად, მოდალური ელემენტების გამოყენებით:
უნდა გავაკეთო — ვალდებულება;
გაუქმებულ იქნა — გაუქმდა...
ვ) ფონოლოგიურად (მორფონოლოგიური საშუალებით) — ფუძის გახმოვანების ცვლით:

ვ-**დრეკ** — ვ-**დრიკ**-ე,
ვ-**თლ**-ი — ვ-**თალ**-ე...

ზ) გრამატიკული მნიშვნელობის განსხვავების ფუნქცია ზოგ შემთხვევაში შეიძლება იტვირთოს ინტონაციამ:

— მე გავაკეთე. — შენ? (ჩაკითხვა)

— ის მოვა. — შენ? (კითხვა — არ მოხვალ?)

გრამატიკულ მნიშვნელობათა გამოხატვის ეს მრავალფეროვანი შესაძლებლობანი შეიძლება დაყვანილი იქნეს სამ ძირითად სახეობაზე:

1. წმინდა მორფოლოგიური;
2. მორფონოლოგიური;
3. მორფოსინტაქსური.

თუმცა ენაში ამ სახეობათა ასე მკვეთრად გამიჯვნა არ ხდება. ხშირია შემთხვევა, როცა ფორმათა ერთმანეთისაგან განმასხვავებლად ერთდროულად რამდენიმე გრამატიკული საშუალება შეიძლება იქნეს გამოყენებული:

ვ-დრეკ — ვ-დრიკ-ე

ამ შემთხვევაში დაპირისპირება ხდება მორფოლოგიური (**-ე**) და მორფონოლოგიური (ხმოვანმონაცვლეობა) საშუალებებით.

I. 14. მნიშვნელობის მორფოლოგიური გამოხატვის ნაირსახეობანი. ენათმეცნიერებაში ძირითადად გამოყოფენ ენათა სამ მორფოლოგიურ ტიპს, ესენია: მაიზოლირებელი, ფლექსიური და აგლუტინაციური. თანამედროვე ინტერპრეტაციით ეს ტიპები ასე განისაზღვრება:

„**მაიზოლირებელია** ენები, რომლებშიც ადვილად ხორციელდება სეგმენტაცია, ანუ გამონათქვამთა დანაწევრება მორფემად, მაგრამ ძნელია კლასიფიკაცია, ანუ სიტყვათა პარადიგმატული კლასების გამოყოფა.

„**ფლექსიურია** ენები, რომლებშიც ადვილია კლასიფიკაცია, მაგრამ ძნელია სეგმენტაცია.

„**აგლუტინაციურია** ენები, რომლებშიც ადვილად ხორციელდება როგორც სეგმენტაცია, ისე კლასიფიკაცია“ (თ. გამყრელიძე...).

სეგმენტაცია და **კლასიფიკაცია** ღრმა ლინგვისტური აზრის შემცველი პროცედურებია:

სეგმენტაცია გულისხმობს იმას, თუ როგორ შეესაბამება ერთმანეთს მორფემები და ის მნიშვნელობები, რომლებიც მათ მიეწერება; ანუ — ერთ მორფემას ერთი გრამატიკული მნიშვნელობა შეესაბამება თუ რამდენიმე.

„კლასიფიკაცია გულისხმობს იმას, თუ რამდენად ქმნიან გამოყოფილი მორფემები დაპირისპირებათა შინაგან სისტემას, როგორია მათი პარადიგმატული ურთიერთმიმართებანი“ (თ. გამყრელიძე).

ქართული ძირითადად აგლუტინაციური ტიპის ენაა. ამიტომაც, უპირატესად, გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვა აგლუტინაციურად ხდება: ერთ მორფემას ერთი გრამატიკული მნიშვნელობა შეესაბამება, ანდა ერთი გრამატიკული მნიშვნელობა ფორმაში შესაბამისად ერთი მორფემით გადმოიცემა:

კაც-ებ-ი — რიცხვის გრამატიკულ მნიშვნელობას **-ებ** ფორმანტი გადმოსცემს, ბრუნვის გრამატიკულ მნიშვნელობას — **-ი** ფორმანტი.

ვ-წერ-თ პირის გრამატიკული მნიშვნელობა **ვ-** პრეფიქსით გადმოიცემა, რიცხვის გრამატიკული მნიშვნელობა — **-თ** სუფიქსით.

თუმცა ქართულში არაა იშვიათი გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემა ფლექსიურად, როცა ერთი ფორმანტი რამდენიმე გრამატიკულ მნიშვნელობას ითავსებს:

კაც-თ(ა) — **თ(ა)** ფორმანტი გამოხატავს როგორც მრავლობით რიცხვს, ისე — ირიბ ბრუნვას;

წერ-ენ — **-ენ** სუფიქსი მიანიშნებს როგორც სუბიექტურ მესამე პირზე, ისე სუბიექტის რიცხვზე (მრავლობითი).

I. 15. პარადიგმა. ფორმათა სიმრავლე შეიძლება დაჯგუფდეს და დალაგდეს სხვადასხვა პრინციპით განსაზღვრული წესით. სწორედ განსაზღვრული წესით დალაგებულ ფორმათა სიმრავლე ქმნის პარადიგმას.

პარადიგმა შეიძლება იყოს **სემანტიკური** და **გრამატიკული**. ერთი და იმავე სემანტიკის მქონე სხვადასხვა ფუძის მქონე სიტყვათა გარკვეული წესით შეკავშირება-დალაგება ქმნის **სემანტიკურ პარადიგმას**.

ამბობს — იტყვის — თქვა
არის — იქნება — იყო

გრამატიკული არის პარადიგმა, რომელიც ერთი და იმავე ძირეული მორფემებისაგან სხვადასხვა გრამატიკული საშუალებებით წარმოებულ ფორმათა სიმრავლეს ქმნის:

წერს — წერდა — წერდეს...
კაცი — კაცმა — კაცს...

გრამატიკულად რთული ფორმა შეიძლება იყოს მიღებული **დერივაციით** (ანუ წარმოქმნით) და **ფლექსიით** (ანუ მიმოხრით). შესაბა-

მისად, გრამატიკული პარადიგმა შეიძლება იყოს **დერივაციული** და **ფლექსიური**. დერვაციული პარადიგმაა:

კაც-ი
სა-კაც-ე
კაც-ურ-ი
კაც-ობა...

ფლექსიური პარადიგმაა:

კაც-ი
კაც-მა
კაც-ს
კაც-ის...

I. 16. მორფემათა გამოყოფის პრინციპები. ტრადიციულად მორფემის გამოყოფა ხდება ორი პირობის დაცვით:

ა) სიტყვის ცვლადი და მდგრადი მონაკვეთების ურთიერთშეფარდებით:

კაც-ი	კაც-ი
კაც-მა	ქალ-ი
კაც-ს	ქარ-ი...

პირველ შემთხვევაში **კაც-ი** უცვლელია, ცვლადია **-ი, -მა, -ს...** შესაბამისად, გამოიყოფა **კაც-** ფუძე (ფუძისეული მორფემა) და **-ი, -მა, -ს...** მორფემები.

მეორე შემთხვევაში ცვლადია **კაც-, ქალ-, ქარ-...** უცვლელია **-ი.** ამის მიხედვითაც გამოიყოფა **კაც-, ქალ-, ქარ-** ფუძეები და **-ი** მორფემა.

ბ) გამოყოფილ ელემენტს უნდა ჰქონდეს ან ლექსიკური, ან გრამატიკული მნიშვნელობა. მორფემა, რომელსაც ლექსიკური მნიშვნელობა აქვს, ფუძისეული მორფემაა, ოდენ- გრამატიკული მნიშვნელობის მქონე მორფემა — ჩვეულებრივი მორფემა, ფორმანტი, აფიქსი.

მორფემა მორფოლოგიური ოდენობაა, ამიტომაც უპირველეს ყოვლისა მისი მორფოლოგიური (ფორმობრივი) თვისებანი უნდა წარმოჩნდეს. ქართულში ხერხდება გამოყოფა რამდენიმე პრინციპისა, რომლითაც შესაძლებელი ხდება მორფემის მორფოლოგიური (წმინდა ფორმობრივი) დახასიათება. ესაა ფლაგიტაციის, დისპოზიციის, დიზუნქციის პრინციპები.

I. 17. ფლაგიტაციის პრინციპი ვარაუდობს მორფემათა ისეთ ურთიერთობას, როცა ერთი რომელიმე მორფემა შეეთავსება (რამდენიმე შესაძლებლიდან) მხოლოდ ერთ მორფემას (და არავითარ შემთხვევაში — სხვას). ამრიგად, ფლაგიტაცია (ლათ.: flagitatio „დაჟინებითი მოთხოვნა“) ერთი მორფემის მიერ მეორე მორფემის დაჟინებითი მოთხოვნაა, ანუ: ერთი მორფემა მეორე მორფემის აუცილებელ პოვნიერებას შეაპირობებს.

მაგალითად, შედეგობის გამომხატველ (ნამყო დროის საობიექტო) მიმღეობას ორი სუფიქსი აწარმოებს **-ილ** და **-ულ.** სემანტიკურად მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, მათი განაწილება წმინდა ფორმობრივ პრინციპს ემყარება. შდრ.:

ღებ-ავ-ს → შე-ღებ-ილ-ი

ა-ღ-ებ-ს → გა-ღ-ებ-ულ-ი

ანუ: თუ ზმნურ ფორმაში გვაქს **-ებ** თემის ნიშანი, მიმღეობის სუფიქსურ მაწარმოებელთაგან მას მიერთვება მხოლოდ და მხოლოდ **-ულ.** თუ ფონეტიკურად იმავე შედგენილობის **-ებ** ფუძისეული გამოუნაწევრებელი ელემენტია, მაშინ მიმღეობის მაწარმოებელი იქნება **-ილ.** ენა ზუსტად ასხვავებს ამ ორ სხვადასხვა **-ებ** ელემენტს (შდრ.: გა-ღ-ებ-ულ-ი და **შე-ღ-ებ**-ილ-ი, ან: შე-კრებ-ილ-ი...) (ბ. ჯორბენაძე).

ფლაგიტაციური მიმართებაა **-ი** და **-ოდ** მორფემებს შორის უღვლილების პარადიგმაში (მღერ-ი-ს — მღერ-ოდ-ა, შდრ.: მღერ-ს — მღერ-დ-ა).

ფლაგიტაციის პრინციპი მოქმედებს მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა ურთიერთიმართებისას:

ა-ნათ-ებ-ს → ნათ-დ-ებ-ა

ა-ნთ-ებ-ს → ი-ნთ-ებ-ა

ყალიბი **ა + ფუძე + ებ** შეითავსებს სუფიქსიან ვნებითს, თუ ფუძე მარცვლოვანია, პრეფიქსიან ვნებითს — თუ ფუძე უმარცვლოა.

I. 18. დისპოზიცია თანამიმდევრობას, თანაგანლაგებას გულისხმობს. ის ფაქტი, რომ ნებისმიერ მორფემას თავისი მკაცრად განსაზღვრული ადგილი აქვს სტრუქტურაში, დისპოზიციის პრინციპის მოქმედების შედეგია. ეს განსაკუთრებით ნათლად წარმოჩნდება მატერიალურად იდენტური, მაგრამ სემანტიკურად განსხვავებული მორფემების შედარებისას: ვნებითისეული **-დ** ყოველთვის საყრდენ ფუძესა და თემის ნიშანს შორის მოექცევა (შენ-დ-ებ-ა), ხოლო უწყვეტლის **-დ** ყოველთვის უშუალოდ მოსდევს თემის ნიშანს (ა-შენ-ებ-დ-ა). დისპოზიცი-

ას თავის მიზეზი აქვს. ამ შემთხვევაში დისპოზიციის მიზეზი ნაირგვარი საყრდენი ფუძის მქონებლობაა: **შენ-დ-ებ-ა** ფორმისთვის ამოსავალია წყვეტილის ფუძე: **ა-შენ-დ-ა → შენ-დ-ებ-ა.** ბუნებრივია, **-ებ** მოექცეოდა **-დ** ელემენტის შემდეგ. მეორე შემთხვევაში საყრდენია აწმყოს ფუძე: **ა-შენ-ებ-ს → ა-შენ-ებ-და.**

I. 19. დიზუნქციის პრინციპი გულისხმობს შემთხვევებს, როცა ერთი და იგივე მორფემა იხამებს ხან ერთ, ხან მეორე მორფემას, მაგრამ ურთიერთშენაცვლების გარეშე. მაგალითად, **-ავ** თემისნიშნიანი ზმნა შედეგობის მნიშვნელობის გამომხატველ მიმღეობას იკეთებს ხან **-ილ,** ხან **-ულ** მორფემით: **მალ-ავ-ს → და-მალ-ულ-ი,** მაგრამ: **ნაყ-ავ-ს → და-ნაყ-ილ-ი;** დაუშვებელია **და-მალ-ილ-ი,** არ გვხვდება **და-ნაყ-ულ-ი.** ამგვარ განაწილებას თავისი ისტორიული მიზეზი აქვს: ის **-ავ** თემისნიშნიანი ზმნები, რომლებიც მიმღეობას **-ილ** მორფემით იწარმოებენ, ისტორიულად უთემისნიშნონი იყვნენ: **ნაყ-ს, ხოც-ს, რეკ-ს...** ამრიგად, ამ შემთხვევაში ისტორიას ეწევა ანგარიში, სინქრონიულად კი დიზუნქციის პრინციპის მოქმედებაზე შეგვიძლია ლაპარაკი.

შენიშვნა: აქ სალიტერატურო ენის მონაცემებზეა საუბარი. დიალექტურ ნაირსახეობებს თავისი მიზეზი და ახსნა აქვს.

ზემოხსენებული პრინციპები შესაძლოა კომბინაციურადაც მოქმედებდნენ. მაგალითად, **გა-ღ-ებ-ულ-ი — -ებ** თემის ნიშანი ფლაგიტაციის პრინიციპის შესაბამისად იხამებს **-ულ** მორფემას, მაგრამ თვით **-ულ** კი უკვე დიზუნქციურად ეხამება არა მხოლოდ **-ებ,** არამედ, **-ავ, -ამ** და **-ემ** თემის ნიშნებსაც.

I. 20. კონფიქსი თავსართ-ბოლოსართის (პრეფიქსისა და სუფიქსის) ერთდროული გამოყენებაა ერთი კონკრეტული მნიშვნელობის გამოსახატავად. **მ**-შენებ-**ელ**-ი, **მ**-დუმ-**არე**, **სი**-თბ-**ო, სი**-ხარ-**ულ**-ი, **სა**-ჩოხ-**ე, სა-**ჯარ-**ო...** — კონფიქსებით (მ-ელ, მ-არ, სი-ო, სი-ულ, სა-ე, სა-ო...) ნაწარმოებ ფორმებად მიიჩნევა. ფორმათა მარტივი შეპირისპირება ნათელს ხდის, რომ კონფიქსურ წარმოებას სულ სხვაგვარი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს.

შდრ., მაგალითად:

ა-მ-შენებ-ელ-ი
ა-სა-შენებ-ელ-ი
ა-უ-შენებ-ელ-ი

ამ ფორმებისათვის საერთო მაწარმოებელია **-ელ;** სამივე მიმღეობაა, ნაზმნარი ზედსართავი, ატრიბუტივი.

იმავე ფორმებს განასხვავებს სამი სხვადასხვა პრეფიქსის მქონებლობა (მ-, სა- და უ-).

ბუნებრივია, დავასკვნათ:

ა) საერთო მნიშვნელობას გამოხატავს საერთო ელემენტი — სუფიქსი **-ელ.**

ბ) განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავენ განსხვავებული ელემენტები **მ-, სა-** და **უ-.**

ანუ: **-ელ** აწარმოებს მიმღეობის (ნაზმნარი ზედსართავის) ფუძეს. იგივე **-ელ** გვაქვს არქაულ „მიმღეობებში“ ვრც-**ელ**-ი, თხ-**ელ**-ი, გრძ-**ელ**-ი... ფორმებში. **მ-, სა** და **უ** ფორმანტებს სხვა, დამატებითი მნიშვნელობა შეაქვთ იმავე ფუძეში; კერძოდ, **მ-** გამოხატავს მოქმედს, **სა-** — დანიშნულებას, **უ-** — უარყოფას.

ანალოგიურად დაისმის საკითხი სხვა კონფიქსების მიმართაც...

I. 21. მორფემათა სემანტიკური ინფორმაციულობის საკითხისათვის. მორფემა, როგორც წესი, გარკვეულ სემანტიკურ ინფორმაციას გამოხატავს. ქართულში, როგორც აგლუტინაციური ტიპის ენაში, უმეტესად ადვილად ხერხდება მორფემათა გამოყოფაც და მათი მნიშვნელობების დადგენაც.

ვ-მალ-ავ-თ: **ვ-** I სუბიექტური პირის მორფემაა, **-თ** — იმავე პირის მრავლობითობის გამომხატველი, **მალ-** ფუძისეული მორფემაა, **-ავ** — თემის ნიშანი (I სერიის ფუძის მაწარმოებელი).

ასეა მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში.

შევუდაროთ ახლა ერთმანეთს ორი ფორმა:

ი-ხრჩ-ობ-ა — ი-ხრჩ-ვ-ებ-ა

-ვ ფუძისეული ელემენტია.

ნათელია, რომ **-ობ** აქ უტოლდება არა **-ებ** მორფემას, არამედ **-ვ-ებ** კომპლექსს, რომელშიც **-ვ** ამოსავალი ფუძის კუთვნილებაა, ანუ: **-ობ** „დიფუზურად“ გამოხატავს იმ სემანტიკას, რომლის გამოხატვაც სხვა შემთხვევაში **-ვ-ებ** კომპლექსს აკისრია.

ამავე რიგისაა **-ო** ი-ყ-ო ფორმაში ← *ი-ყავ-ა.

აქედან გამომდინარე, როგორ დავშალოთ „იხრჩობა“ ან „იყო“ ტიპის ფორმები? **-ობ, -ო** ელემენტებში შერწყმულია მორფემათა ზღვარი, ეს ელემენტები ერთდროულად გვაწვდიან ინფორმაციას როგორც ფუძისეული ელემენტების, ასევე საკუთრივ მორფემის შესახებ. მორფოლოგიური ანალიზის დროს უნდა გათვალისწინებულ იქნეს ეს მომენტი.

აქვე დადგება საკითხი მნიშვნელობაგაუჩინარებული ფორმების გამოყოფის შესახებაც. როგორ უნდა დაიშალოს ფორმები „დღისით“ (შდრ. „ღამ-ით“), წიგნ-ი(ვ)-ან-ი, გონ-ი(ვ)-ერ-ი, ომ-ი(ვ)-ან-ობა?

დღ-ის-ით — რას მივაკუთვნოთ **-ის** — ფუძეს (დღის-), თუ მორფემას (-ისით)?

რატომ წარმოგვიდგება **-იან** მორფემად? **-ი** ← **-ივ** ხომ ფუძის მაწარმოებელი ელემენტია, ისევე, როგორც **-იერ** მორფემის **-ი** ← **-ივ!** ე. ი. გვაქვს წარმოებული ფუძე ***წიგნ-ივ-** (ფარული ფუძე), რომელსაც ერთ შემთხვევაში მიერთვის **-ან,** მეორე შემთხვევაში **-ერ** მორფემა. მართალია, **წიგნ-ივ-** დამოუკიდებლად არ იხმარება, მაგრამ:

ა) დამოუკიდებლად არ იხმარება არც ომ-იან-ი, არც ქალ-აჩ (შდრ. ქალაჩ-უნა)...

ბ) გვაქვს ფორმები, სადაც **-ივ** პროდუქტიული მაწარმოებელია: მხრ-**ივ**, დამოუკიდებლ-**ივ**.

შემდეგ: რა კლასიფიკაცია უნდა მიეცეს **-იერ** ფორმანტს, თუკი ვიცით, რომ გარკვეულ გარემოცვაში იგი იქცევა **-ივრ** მონაცემად: **გონ-ივრ-ულ-ად?**

გამოიყოს თუ არა **-ირ** ელემენტი **სტვ-ირ-ი** ფორმაში, თუკი არსებობს **სტვ-ენ-ს? -ირ** არაპროდუქტიულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მორფემა არ არის.

I. 22. არაპროდუქტიული მორფემები. ზემოხსენებული სვამს საკითხს არაპროდუქტიული მორფემების შესახებ, რომლებიც ორ ჯგუფად ნაწილდებიან:

ა) იშვიათი ხმარების მორფემები: **-ივ** (მხრ-ივ), **-ავ** (ფიცხლ-ავ), **-ირ** (სტვ-ირ-ი, ხშ-ირ-ი, შდრ.: სი-ხშ-ო), **ნე-** (ნე-რწყვ-ი, შდრ.: რწყ-ავ-ს) და მისთ.

ბ) მორფემები, რომლებიც მხოლოდ ფუძის ან სხვა მორფემების შემადგენლობაში შედის, მაგრამ ფორმათა შედარებისას მაინც ცალკე ელემენტებად გამოიყოფა (შდრ.: ქალ-ი — ქალ-აჩ-უნ-ა და კაც-უნ-ა)...

I. 23. ნასესხები მორფემები. ნასესხებ მორფემათა გამოყოფის პრინციპი: მორფემა გამოიყოფა მაშინ, თუკი დამოუკიდებლივ იქნა გამოყენებული სხვა ფუძესთან. მაგალითად, **-ისტ** გამოიყოფა იმიტომ, რომ დასაშვებია **ფულ-ისტ-ი.** მაგრამ **ფოსტალიონ-ი** ფორმაში არ გამოიყოფა **-ლიონ** ელემენტი, რადგან იგი მთლიანად ნასესხებია სიტყვასთან ერთად. ამასთან დაკავშირებით გასარკვევი ხდება:

ა) ნასესხებ სიტყვათა კლასიფიკაციის პრინციპი: სესხება სიტყვის ენაში შემოსვლის ფაქტია, მაგრამ მოხვდება რა ენაში, იგი უკვე ამ ენის კუთვნილება ხდება თავისი ფონეტიკური და გრამატიკული იერსახით. „სესხება“ — წმინდა ენათმეცნიერული კვალიფიკაციაა, ონტოლოგიურად (საკუთრივ ენაში) ნასესხები სიტყვა არაფრით გამოირჩევა სხვა, არანასესხები, სიტყვებისაგან.

ბ) **ფოსტა** და **ფოსტალიონ-ი** — ორივე ნასესხები სიტყვაა, მაგრამ ფონეტიკურად ისე ცვლილი, რომ არსებითად განსხვავდება თავისი პირვანდელი სახისაგან. „ფოსტა“ აშკარად გაქართულდა (ისევე, როგორც, ვთქვათ, „ლურსმანი“ ← არაბ.: „მუსმარ“) და ეს გაქართულებული ფორმა არის სიტყვაში **ფოსტა-ლიონ-ი.** გვაქვს კი შესაძლებლობა ნასესხები სუფიქსის კვალიფიკაცია მივცეთ ამ შემთხვევაში **-ლიონ** ელემენტს?..

ნასესხები ფორმანტები ქართულში საკმაოდაა: მაგალითად, **-ნაირ** (ამ-ნაირ-ი...), ზოგი კნინობითი სუფიქსი, **-ისტ, ანტი-** (მარისტი, ანტისახელმწიფოებრივი) და სხვა.

I. 24. ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტორების ურთიერთმიმართებისათვის. მორფოლოგიის საკითხების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ფონეტიკას, ფონეტიკურ ცვლილებებს; ისევე, როგორც ვერ მოხდება სინტაქსური ფაქტორების იგნორირება (ზოგ შემთხვევაში სინტაქსური პრინციპი მორფოლოგიურ ფაქტთა კლასიფიკაციის საფუძველი ხდება; მაგ., მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია, ბრუნების პრობლემების განხილვა — რაობა, დალაგება; სერიებად დაყოფა მწკრივებისა და სხვა).

მორფოლოგია და სინტაქსი ენათმეცნიერების ერთი დარგის ორი ნაწილია და ამით შეიძლება აიხსნას ეს შეპირობებულობა; ფონეტიკა-ფონოლოგია კი ცალკე დარგია ენათმეცნიერებისა. მიუხედავად ამისა, იმდენად მჭიდროა კავშირი ფონეტიკასა და მორფოლოგიას შორის, რომ ზოგჯერ გრამატიკის კურსში ფონეტიკაც შეაქვთ, როგორც აუცილებელი ნაწილი (იხ. მაგ.: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძ-

ვლები, თბ., 1953, გვ. 7-30). ცხადია, აქ იგულისხმება მხოლოდ ფონეტიკური სისტემა ქართული ენისა და ძირითადი ფონეტიკური პროცესები; თუმცა აქვეა მითითება, რომ ფონეტიკა და გრამატიკა სხვადასხვა დარგია ენათმეცნიერებისა (გვ. 1).

სიტყვაში ფონეტიკური ცვლილებების მოსახდენად აუცილებელია შესაბამისი გარემო — პოზიცია და ცვლილების მომხდენი ფაქტორის მქონებლობა. ცხადია, ამათგან ერთ-ერთი ფაქტორის არსებობა არ იქნება საკმარისი ფონეტიკური ცვლილებებისათვის, მაგრამ ფონეტიკური ცვლილება შეიძლება არ მოხდეს მაშინაც, როცა ეს ორივე პირობა არსებობს — პოზიცია და ცვლილების მომხდენი ფაქტორიც; ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ფონეტიკურმა ცვლილებამ მორფოლოგიას გაუწიოს ანგარიში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონეტიკური პროცესი მორფოლოგიურად უნდა იყოს ნებადართული, არ უნდა იყოს მორფოლოგიურად აკრძალული.

რამდენიმე კონკრეტული მაგალითი: ფუძეთა ერთი ნაწილი ზმნის სისტემაში დასტურდება სხვადასხვა გახმოვანებით: ს-**დევ**-ს / ს-**დი(ვ)**-ა, **თვლემ**-ს / ჩა-**თვლიმ**-ა, ი-**ლხენ**-ს / მოი-**ლხინ**-ა. ისინი განიხილება ერთიმეორის ფონეტიკურ ვარიანტებად: **ი** ხმოვნიანი ფუძე არის რედუცირებული ვარიანტები **ე**-ხმოვნიანი ფუძისა. როცა გვაქვს **ი-** ხმოვნიანი ვარიანტი, აუცილებლად გვექნება **ე** > **ი** ფონეტიკური პროცესის გამომწვევი მომდევნო ხმოვანი (ცვლილების მომხდენი ფაქტორი). წესი პირუკუ არ მოქმედებს. შეიძლება ფუძეს დაერთოდეს ხმოვანი (ცვლილების მომხდენი ფაქტორი), მაგრამ **ე** გახმოვანებით იყოს წარმოდგენილი: მ-**დევ**-არ-ი, მ-**თვლემ**-არე, მო-**ლხენ**-ა... ამ და მსგავს მაგალითებში ფუძისეული ხმოვნის სარედუქციო პოზიციაც არის და მარედუცირებელი ფაქტორიც, რა ხდება? საქმეში მორფოლოგია ჩაერია: **ე/ი** ხმოვანთა დაპირისპირების მორფოლოგიზაცია მოხდა.

ზმნათა ძირითად ნაწილში I და II სერიის ფუძეთა დაპირისპირებისათვის თემის ნიშანი არის გამოყენებული. ამავე მორფოლოგიური დანიშნულებით ენამ ამ ტიპის ზმნებში **ე/ი** ხმოვანმონაცვლეობა გამოიყენა. **ე-**ხმოვნიანი ფუძე I სერიის კუთვნილებად იქცა, **ი-**ხმოვნიანი — II სერიისა (ხმოვანთა დაპირისპირებამ იტვირთა ის ფუნქცია, რაც აქვს თემის ნიშანს რთულ და მარტივ თემათა დაპირისპირებისას); ამის გამო ფონეტიკური ცვლილება აიკრძალა I სერიაში (შდრ.: ს-დევ-ენ, თვლემ-ენ, ი-ლხენ-ენ...). ეს მორფოლოგიური სტატუსი შენარჩუნებულია ნაზმნარ სახელებშიც: როგორც ცნობილია, ნაზმნარი სახელების საყრდენი აწმყოს ფუძეა.

ამგვარ შემთხვევაში ე/ი პროცესი მორფონოლოგიურ პროცესად უნდა იქნეს გააზრებული; მას ვერ მივიჩნევთ წმინდა ფონეტიკურ პროცესად, თუმცა ფუძეებს განვიხილავთ, როგორც ერთიმეორის ფონეტიკურ ვარიანტებს.

შლის / შლა, **თლის / თლა** შეიძლება ასევე განვიხილოთ, როგორც ფონეტიკური ვარიანტები ერთი და იმავე ფუძისა, მაგრამ მას ვერ განვიხილავთ მოქმედ ფონეტიკურ პროცესად; მოხდა ფონეტიკური პროცესის მორფოლოგიზაცია — II სერიაში სრულხმოვანი ფუძე დამკვიდრდა, მიუხედავად ფონეტიკური ცვლილების მოსახდენად აუცილებელი პოზიციისა და ცვლილების მომხდენი ფაქტორის მქონებლობისა.

წმინდა ფონეტიკურ (მოქმედ ფონეტიკურ) პროცესად მივიჩნევთ ისეთ ფონეტიკურ ვარიანტებს, როგორებიცაა, მაგალითად, მოვ-**კალ** — მო-**კლ**-ეს: თუ არის ფონეტიკური ცვლილებების მოსახდენი პოზიცია და ცვლილების მომხდენი ფაქტორი, ხმოვანი ყოველთვის რედუცირებულია (**კლ**-ავ-ს, მო-**კლ**-ავ-ს, მო-**კლ**-ული...), განურჩევლად მისი მორფოლოგიური სტატუსისა.

აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ გარკვეული მორფოლოგიური ფაქტები შეიძლება იქნეს განხილული ისტორიული ფონეტიკური პროცესების შედეგად, ვთქვათ S_3 -ო (←ა), S_3 -ნ (←ენ), მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ისინი დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობებია.

I. 25. მორფემათა იდენტურობის საკითხისათვის. როცა ვსაუბრობთ მორფემათა იდენტურობაზე, გავარჩევთ ორი სახის იდენტურობას — ფუნქციურსა და ფორმობრივს.

ფუნქციურად იდენტურნი არიან ის მორფემები, რომლებიც ერთსა და იმავე სისტემაში ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ. მაგ., სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლები **-ნ** და **-ებ** (კაც-ნ-ი / კაც-ებ-ი), ე. წ. თემის ნიშნები **-ავ** (ხატ-ავ-ს), **-ამ** (დგ-**ამ**-ს), **-ებ** (აკეთ-**ებ**-ს), **-ობ** (გმ-**ობ**-ს) და მისთანანი.

ფორმობრივი იდენტიფიკაციის საკითხი უფრო რთულია. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) მატერიალური შედგენილობა,

ბ) ქმედების უნარი,

გ) თვისობა,

დ) პოზიცია სტრუქტურაში.

მხოლოდ მატერიალური იგივეობა არ არის საკმარისი მორფემათა იდენტურობის დასადგენად. მაგალითად: ა-კეთ-**ებ**-ს და გაა-კეთ-**ებ**-ინა — მატერიალურად და გენეტურად ერთი და იგივე ოდენობა **-ებ** ვერ ჩაითვლება მორფოლოგიურად იდენტურად, რამდენადაც პირველ შემთხვევაში იგი თემის ნიშანია (მხოლოდ I სერიის ფორმებში გვაქვს), მეორე შემთხვევაში კი იგი ფუძის გამოუნაწევრებელი ელემენტია სრულ პარადიგმაში:

აწმყო: ა-კეთ-**ებ**-ს ა-კეთ-**ებ-ინ-**ებ**-ს**

წყვეტილი: ა-კეთ-ა ა-კეთ-**ებ-ინ**-ა

აკეთ-ებ-ინ-ებ-ს ფორმის მეორე **-ებ** ელემენტი არის აკეთ-**ებ**-ს ფორმის **-ებ** ელემენტის იდენტური ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც.

ასევე **-ავ** ელემენტი ცურ-ავ-ს და ი-ცურ-ავ-ა ფორმებში. პირველი **ცურ-ავ-ს — იცურა** პარადიგმის წევრია, მეორე — **ცურ-აʳვˀ-ობ-ს** — **იცურ-ავ-ა** პარადიგმისა.

მასალობრივი და ფუნქციური იგივეობა **-ი** ელემენტისა წყვეტილის ფორმებში მოვ-კალ-**ი** და გავშრ-**ი** არ არის საკმარისი მათი მორფოლოგიური იდენტურობის სამტკიცებლად — განსხვავებულია მათი ქმედების უნარი: I შემთხვევაში **-ი**-ს არ შესწევს ძალა ფუძისეული ხმოვნის რედუქციისა (თუმცა **ა** რედუცირებადი ხმოვანია: მო-კლ-ა), მეორე შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის რედუქციის მიზეზი (შრ ← შერ) **-ი** ელემენტი ჩანს.

ასევე არ შეიძლება ვისაუბროთ **-ე** ელემენტის იდენტურობაზე წყვეტილის ისეთ ფორმებში, როგორებიცაა ვ-წერ-**ე** და ვა-ქ-**ე**; ერთ შემთხვევაში პარადიგმაში **ე** S_3 პირის ნიშანს **-ა**-ს შეიხამებს, მეორე შემთხვევაში — **-ო**-ს; როგორც ირკვევა, ამ განსხვავების საფუძველი მათი გენეტური სხვაობაა: ერთ შემთხვევაში **-ე** თავისთავადი, დამოუკიდებელი სუფიქსია (ვ-წერ-**ე**), მეორე შემთხვევაში — **-ევ** სუფიქსიდან მომდინარე (ვა-ქ-ე < *ვა-ქ-**ევ**). ჩვენ თვისობა განვსაზღვრეთ, როგორც მორფემისეული ხმოვნის ფონეტიკური ცვლის უნარი. ამ ორი მაგალითის მიხედვით — თვლ-**ემ**-ს და სც-**ემ**-ს — ვერ ვისაუბრებთ **-ემ** ელემენტის იდენტურობაზე, რადგანაც ერთ შემთხვევაში **ე** ხმოვანი მონაცვლეობს **ი-**სთან (თვლ-**ემ**-ს — ჩათვლ-**იმ**-ა), მეორე შემთხვევაში იგი იმავე ვითარებაში ცვლილებას არ განიცდის (სც-**ემ**-ს — სც-**ემ**-ა)... განსხვავებულია მათი სხვა მორფემებთან შეხამების უნარიც: ერთი იხამებს **-ილ** სუფიქსს (ჩათვლემ-**ილ**-ი), მეორე **-ულ**-ს (გამოცემ-**ულ**-ი) და სხვა.

არ შეიძლება მორფოლოგიური იგივეობის ნიშანი დაისვას ორ ფორმაში — ვა-შენ-**ებ** და ვ-შენ-დ-**ებ**-ი — გამოვლენილ **-ებ** ელემენტს შორის: ისინი განსხვავდებიან უღვლილებით, სხვადასხვა პოზიციით სტრუქტურაში, მორფემებთან შეხამებით და ა. შ.

მაგრამ, მეორე მხრივ, გარკვეულ მორფოლოგიურ იდენტურობაზე შეიძლება ვისაუბროთ მასალობრივად განსხვავებულ ოდენობებს შორის. მაგალითად, **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნებზე. მათი ქმედება, თვისობა, პოზიცია სტრუქტურაში, უღლების თავისებურებები (-ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნებისა) ემთხვევა ერთმანეთს. ეს მათი იდენტიფიკაციის საფუძველს ქმნის.

I. 26. მორფემათა იდენტიფიკაციის პრინციპისათვის. თუ მასალობრივად განსხვავებულ ორ მორფოლოგიურ ელემენტს ერთნაირი გრამატიკული დატვირთვა აქვს, ერთგვარად იქცევა პარადიგმატული თუ სინტაგმატური თვალსაზრისით, საქმე გვაქვს მორფოლოგიურ იდენტიფიკაციასთან. მაგალითად: **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნები მორფოლოგიურად იდენტურნი არიან.

მორფოლოგიური იდენტიფიკაცია არ უნდა ავრიოთ ტავტოლოგიაში. ტავტოლოგია იქნება იმის აღნიშვნა, რომ **-ავ** ელემენტი **მალ-ავ**-ს ფორმაში და იგივე ელემენტი **გორ-ავ**-ს ფორმაში ერთი მორფოლოგიური ოდენობაა.

I. 27. მორფემის სტრუქტურა. ქართულში გვაქვს სამგვარი შედგენილობის მორფემა: ხმოვანი, თანხმოვანი და ხმოვან-თანხმოვნის კომბინაცია. ხმოვანი ან თანხმოვანი მორფემა შეიძლება იყოს პრეფიქსულიც და სუფიქსურიც (**ა**-კეთებს / კეთებ-**ა**, **ი**-კეთებს / ჭრ-**ი**-ს... **მ**-ხატავ-**ს**, და-**გ**-ხატო-**ნ**...).

თავისებურებას ავლენს ხმოვან-თანხმოვნის კომბინაციით შედგენილი მორფემები. თავკიდურა პოზიციაში ძირითადად გვაქვს თანხმოვან-ხმოვანი (ნა-, სა-, მა-...), ხოლო ბოლოკიდურა პოზიციაში — ხმოვან-თანხმოვანი (-ას, -ან, -ებ...). საუბრობენ სიმეტრიის პრინციპზეც:

ნა-ტეხი და მტკივ-ან
სა-ნათი და პირ-ას
სი-ლურჯე და ლურჯ-ის

ცხადია, ამ შემთხვევაში საუბარია ზოგადად მორფემათა სტრუქტურულ თავისებურებაზე და არა სიმეტრიულ მორფემათა რაიმეგვარ ფუნქციურ იგივეობაზე.

I. 28. მნიშვნელობის გავლენა ფორმაწარმოებაზე. ფორმაწარმოების საკითხების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს მნიშვნელობის გავლენას ფორმაწარმოებაზე.

მაგალითად, **ს-ცემ-ს** ის მას: ისეთ კონტექსტში, როგორიცაა „დედა შვილს სცემს“, ზმნური ფორმა სრულ პარადიგმას ქმნის (სცემს, სცემდა, სცემდეს, სცემა, სცემოს, უცემია, ეცემა, ეცემოს), ხოლო მნიშვნელობით „თმა კოჭებამდე სცემს“, ზმნას ეწარმოება მხოლოდ I სერიის 3 მწკრივის ფორმები (სცემს, სცემდა, სცემდეს).

სხვა მაგალითი: **ადიდებს** ფორმას მნიშვნელობით „დიდად ხდის“ ეწარმოება შესაბამისი სუფიქსური ვნებითი (ოთახს ადიდებს — ოთახი დიდდება), მაგრამ მნიშვნელობით „ხოტბას ასხამს“ მოქმედებითმა შეიძლება პრეფიქსული ვნებითი გაიკეთოს (სამშობლოს ადიდებს — სამშობლო იდიდება ვიღაცის მიერ).

I. 29. დეტერმინაციის პრინციპი. ენის ყოველი ფორმა, ყოველი სტრუქტურა, ყოველი სისტემა თუ ქვესისტემა მკაცრად დეტერმინირებულია, განსაზღვრულია სხვა ფორმით, სტრუქტურით, სისტემითა თუ ქვესისტემით და თავადაც განმსაზღვრელად ევლინება სხვა ფორმას, სტრუქტურას, სისტემასა თუ ქვესისტემას. დეტერმინიზმი გულისხმობს ენობრივი ფაქტების ურთიერთშეპირობებულობას, და არა მხოლოდ ამას, არამედ მოქმედი სისტემისა თუ სტრუქტურის ფარგლებში ამ ელემენტთა შორის მიზეზ-შედეგობრიობის დადგენასაც.

მორფოლოგიურ კვლევა-ძიებას სწორედ ეს უნდა დაედოს საფუძვლად: ენობრივი ფორმების დეტერმინიზმი — მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთგანსაზღვრულობა ენობრივი ელემენტებისა და ამის საფუძველზე ურთიერთმიმართებათა დადგენა.

რას გულისხმობს ენობრივ ფორმათა დეტერმინიზმი და როგორ ვლინდება იგი კონკრეტულ ენობრივ სისტემაში, ამის კონკრეტულ ნიმუშად ასეთი მაგალითი მოჰყავთ:

ავიღოთ წყვილები:

1. ა-თეთრ-ებ-ს — თეთრ-დ-ებ-ა

2. ბარ-ავ-ს — ი-ბარ-ებ-ა II ი-ბარ-ვ-ი-ს (ბ. ჯორბენაძე)

ტრადიციული განმარტებით თითოეული წყვილის შემადგენელი ერთეულები ერთმანეთს უპირისპირდება როგორც გვარის კონვერსიული ფორმები: მოქმედებითი (ათეთრებს, ბარავს) და ვნებითი (თეთრდება, იბარება). ეს ამ ფორმათა ფუნქციური, შინაარსობრივი დახასიათებაა. წმინდა ფორმობრივი ანალიზის საფუძველზე ხდება ფორმის შემადგენელი ელემენტების სეგმენტაცია, ირკვევა თითოეული ფორმის შემადგენელ ელემენტთა ფუნქცია როგორც პარადიგმულ, ისე სინტაგმურ ფორმებთან, მათი ურთიერთმიმართებები. „დეტერმინიზმის პრინციპი კი ვარაუდობს ზემოაღნიშნულ ფორმებს შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის დადგენასაც, იმის გამოკვლევას, თუ რომელი ფორმა რომლითაა პირობადებული. ამგვარი მიდგომა ჩვენს შემთხვევაში მაშინვე გაარკვევს, რომ ე. წ. მოქმედებითი გვარის ა + ფუძე + ებ აწმყოსეულ ყალიბს, როგორც წესი, ვნებითში სუფიქსიანი ფორმები შეესაბამება (ყალიბი: ფუძე + დ + ებ), ხოლო ფუძე + ავ ყალიბის მქონე ფორმები ე. წ. პრეფიქსიან ვნებითებს შეითავსებენ (ყალიბი: ილე + ფუძე + ები, ან: ილე + ფუძე + ვ + ი). რასაკვირველია, გამონაკლისები არის (...), მაგრამ ეს გამონაკლისები, ჯერ ერთი, უკეთ წარმოაჩენენ მთელი სისტემის ელემენტების მკაცრ ურთიერთშეპირობებულობას და, გარდა ამისა, დასვამენ ახალ საკითხს: რა არის მიზეზი ამგვარი „გადახრისა“, სად უნდა ვეძიოთ მისი საფუძველი? ეს კი შეგვაძლებინებს ახალი კუთხით შევხედოთ არსებული ლინგვისტური პრინციპების საფუძველზე უკვე თითქოსდა კარგად ცნობილ და დადგენილ საკითხებს“ (ბ. ჯორბენაძე).

რაც უფრო ღრმაა ანალიზი, რაც უფრო ღრმად ჩავიხედავთ მოვლენის არსში, „დეტერმინიზმის აშკარა ქმედების უფრო ფართო, შეიძლება ითქვას, გლობალურ არეს დაგვალანდინებს და ნათლად დაგვანახებს ენობრივ ფორმათა მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთდამოკიდებულების უცილობელ ფაქტს, რაც აგვახსნევინებს კიდეც თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებითად უფრო აპრიორულად შენიშნულ, ვინემ ფაქტობრივ დასაბუთებულ მოვლენას, რომ ყოველი ცვლილება ენის რომელიმე მონაკვეთში არსებითი ხასიათის ძვრებსა და ცვლილებებს იწვევს თითქოსდა სავსებით დაცილებულ ფორმებსა და სტრუქტურებში“ (ბ. ჯორბენაძე).

მორფოლოგიური ანალიზის დროს ენობრივი მონაცემების შემადგენელ ელემენტებად დანაწევრებისათვის (სეგმენტაციისათვის), ცხადია, არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ელემენტთა ურთიერთდეტერმინირების ფაქტორს. „დეტერმინაცია ენობრივი დინამიკის თვალსაზრისითაა ფა-

სეული, ენის შინაგანი ბუნებით გამოწვეულ ცვლილებათა გამოსაძიებლად და არა ენის აბსტრაჰირებული სტატიკური სქემების წარმოსადგენად“ (ბ. ჯორბენაძე).

არსებობს დეტერმინაციის ორი სახეობა:

ა) წარმოქმნითი დეტერმინაცია — როცა ურთიერთშეპირობებული ფორმებიდან ერთ-ერთი ფორმობრივად არის წარმოქმნილი მეორისაგან: ა-კეთ-ებ-ს → გა-კეთ-ებ-ულ-ი; მეორე ფორმისათვის ფორმობრივად საყრდენია პირველი.

ბ) საურთიერთო დეტერმინაცია: როცა ერთი ფორმა გულისხმობს მეორის არსებობას და — პირიქით, მაგრამ ფორმობრივად ერთი მეორისაგან წარმოქმნილი არ არის; მაგალითად: თრთ-ი-ს → თრთ-ოდ-ა: აწმყოში **-ი** ელემენტიანი წარმოება გულისხმობს უწყვეტელში **-ოდ** სუფიქსიან წარმოებას და — პირიქით:

საუბრობენ აგრეთვე ფორმობრივ და ფუნქციურ დეტერმინაციაზე.

ა) ცურ-ავ-ს → მ-ცურ-ავ-ი: ფორმა **მ-ცურ-ავ**-ი ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც შეპირობებულია **ცურ-ავ**-ს ფორმით.

ბ) ჩან-ს → მ-ჩინ-არ-ი: ფორმა **მ-ჩინ-არ-ი** ფუნქციურად ისევეა შეპირობებული **ჩან-ს** ფორმისაგან, როგორც წინა მაგალითში მეორე ფორმა პირველისაგან, მაგრამ ფორმობრივად **მ-ჩინ-არ-ი ჩინ** ფუძის მქონე ფორმასთან (გამო-ა-ჩინ-ა) არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში გვაქვს მხოლოდ ფუნქციური დეტერმინაცია; წინა მაგალითში — ფორმობრივ-ფუნქციური დეტერმინაცია.

I. 30. მეტყველების ნაწილები. ენაში არსებული სიტყვათა მარაგი — ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა — განუსაზღვრელია. სიტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდება გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური), ლექსიკოლოგიური, სემანტიკური თვალსაზრისით. სწორედ ამ ნიშანთა საფუძველზე ხდება სიტყვათა დაჯგუფება კლასებად, რომელთაც **მეტყველების ნაწილებს** უწოდებენ. ქართულში ტრადიციულად გამოყოფენ 10 მეტყველების ნაწილს:

1. არსებითი სახელი: კაცი, სახლი, ოცნება, დავითი, რიონი...
2. ზედსართავი სახელი: დიდი, პატარა, ქუდიანი, უქუდო...
3. რიცხვითი სახელი: ერთი, ათი, მილიონი, მრავალი, ცოტა...
4. ნაცვალსახელი: მე, შენ, იგი... ყველა, თითოეული...
5. ზმნა: წერს, ხატავს, დგას, დაფრინავს...

6. ზმნიზედა: გუშინ, ხვალ, აქ, ასე...
7. თანდებული: -ვით, -თან, -ზე... მიერ, გამო...
8. კავშირი: და, თუ, მაგრამ, ხოლო...
9. ნაწილაკი: არ, ვერა, ჰო, დიახ...
10. შორისდებული: ეჰ! ვაი! ყოჩაღ!..

ტრადიციულ კლასიფიკაციას, როგორც კლასიფიკაციას, ბევრი ნაკლი აქვს: ირღვევა საკლასიფიკაციო პრინციპი (მონაცვლეობს მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური და ლექსიკური პრინციპები) (არნ. ჩიქობავა); მაგრამ მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, „მიუხედავად ამისა, ასეთი დაყოფით ტრადიციულად შემუშავებულ ტერმინებს შეიძლება დღესაც ჰქონდეს ტექნიკური გამოყენება მეცნიერულ გრამატიკაში, რადგანაც თვითეული „მეტყველების ნაწილი“ გარკვეული გრამატიკული ნიშნების მატარებელია, მორფოლოგიურისა ან სინტაქსურისა, და რაიმე ნიშნის მიხედვით განსხვავებული დანარჩენებისაგან“ (ა. შანიძე).

მორფოლოგიის წინამდებარე კურსის შედგენისას ჩვენ ვემყარებით ბ. ჯორბენაძის ქვეწარმოდგენილ თვალსაზრისს:

ტრადიციულ კლასიფიკაციაში მორფოლოგიური თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ჯგუფი მეტყველების ნაწილებისა: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები.

პირველი ხუთი — არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა — არის ფორმაცვალებადი ნაწილები; მომდევნო ხუთი — ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი და შორისდებული — მიჩნეულია ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებად. გრამატიკული თვალსაზრისით მეტყველების ნაწილთა ამ ჯგუფის გამოყოფა გაუმართლებელია: თანდებულისა და ნაწილაკის მეტყველების ნაწილად გამოყოფა ვერ ეგუება **სიტყვის** ენათმეცნიერულ განსაზღვრას; ფაქტობრივ, თანდებული და ნაწილაკი (და ძველი ქართულისათვის — ნაწევარი) არსებითად არის მორფემა (ნაწევარი კი — მორფემოიდი). შორისდებული ლექსიკოლოგიური ცნებაა და ამიტომაც ლექსიკოლოგიაში უნდა იქნეს განხილული, ხოლო მორფოლოგიურად იგი ან სახელის ფუძედ იქცევა (**ვაის** გავეყარე, **უის** შევეყარე...), ან — ზმნისა (ვიშობს, ვაგლახებს...). კავშირი სინტაქსური ცნებაა და სინტაქსში უნდა იქნეს განხილული. ზმნიზედა ზმნის მსაზღვრელია; როგორც მსაზღვრელი, იგი ზმნას ბრუნვაში ვერ შეუთანხმდება, ამიტომაც ტოვებს ფორმაუცვლელი სიტყვის შთაბეჭდილებას. ცალკე აღებუ-

ლი ზმნიზედა თავისთავად ფორმაცვალებადი სიტყვაა: მისთვის დამახასიათებელია როგორც სიტყვაწარმოება, ასევე — ფორმაწარმოება:

ა) ზმნიზედისაგან იწარმოება მსაზღვრელი (ზედსართავი):

დღეს — დღევანდელი

წეღან — წეღანდელი...

ბ) ზმნიზედა იბრუნვის; მართალია, სხვა სახელებთან შედარებით მისი ბრუნება შეზღუდულია, მაგრამ მორფოლოგიურად მაინც ანგარიშგასაწევია მისი ფორმაცვალება:

	არსებითი სახელი	ზმნიზედა
სახ.	დღე	—
მოთხრ.	დღე-მ	—
მიც.	დღე-ს	დღე-ს
ნათ.	დღ-ის	დღე-ის (შემდეგ)
მოქ.	დღ-ით	დღე-იდ-ან
ვით.	დღე-დ	დღე-მდე

ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებითი საუბარი იქნება კურსის შესაბამის მონაკვეთებში (სახელთა ბრუნება, სახელური სიტყვაწარმოება).

მორფოლოგიური თვალსაზრისით სიტყვათა ფორმაცვალება ორი სახისაა:

ა) ბრუნება

ბ) უღლება

სიტყვები სწორედ ამის მიხედვით უნდა დაჯგუფდეს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამის შესაბამისად უნდა გამოიყოს: სახელები და ზმნა მეტყველების ნაწილები.

ყველა ბრუნებადი სიტყვა — არის **სახელი**;

ყველა უღლებადი სიტყვა — არის **ზმნა**.

ფორმობრივი თვალსაზრისით სახელები შეიძლება ორად გაიყოს:

ა) არსებითი სახელი (ანუ სუბსტანტივი);

ბ) მსაზღვრელი სახელი (ანუ ატრიბუტივი).

ტრადიციული ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი (ნაწილობრივ) ამ მეორე ჯგუფში შემოვა. თითოეული ამ ჯგუფის სახელთა სემანტიკური დახასიათებისას პირობითად ტრადიციული ტერმინების გამოყენება შესაძლებლად მიგვაჩნია.

ფაქტია ისიც, რომ სუბსტანტივებსა და ატრიბუტივებს შორის მკაცრი სემანტიკური მიჯნა არ არის:

კარგი ექიმი — **ექიმი** აქ სუბსტანტივია;

ექიმი ჩხეიძე — **ექიმი** აქ ატრიბუტივია...

ფორმობრივი თვალსაზრისით სხვაობა გვაქვს: ბრუნების პრინციპია განსხვავებული (იხ. სახელთა ბრუნება).

სუბსტანტივების სემანტიკური თავისებურებები (რაც ტრადიციულად სხვადასხვა მეტყველების ნაწილად გაიაზრებოდა) ასახვას პოვებს ფორმაწარმოებაში.

მსაზღვრელ სახელებში, ანუ ატრიბუტივებში, გამოიყოფა ორი ჯგუფი: სახელის ატრიბუტივი (ზედსართავი, რიცხვითი...) და ზმნის ატრიბუტივი (ზმნიზედა). ფორმობრივად ეს ორი ჯგუფიც განსხვავებულია.

„ნაცვალსახელები ცალკე მეტყველების ნაწილად არ გამოიყოფა, რადგან ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის სუბსტანტივს, როგორც მეტყველების ნაწილი — სუბსტანტივია (მისი განზოგადებული სახეობა); ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის ატრიბუტივს, როგორც მეტყველების ნაწილი — რჩება ატრიბუტივად; რაც შეეხება I და II პირის ნაცვალსახელებს, სინამდვილეში ისინი არც არიან ნაცვალსახელები: „მე“ არის მოსაუბრე პირის სახელი, მისი სახელდება და არა რომელიმე სახელის შემცვლელი; „შენ“ — საუბრის ადრესატის სახელი (და არა ნაცვალსახელი). ენა სოლიფსისტური სისტემაა და მისი ეს თავისებურება შესაბამისად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ვუწოდოთ „მე“ და „შენ“ ფორმებს ნაცვალსახელი, ეს იგივეა, „გივი“, „დავითი“ ფორმების მიმართ „კაცი“ გამოვაცხადოთ ნაცვალსახელად“ (ბ. ჯორბენაძე).

ტრადიციული სისტემის ფარგლებში სახელზმნის (საწყისისა და მიმღეობის) ადგილი სადავო იყო. მას დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილადაც მიიჩნევდნენ. აქ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, საწყისი და მიმღეობა სუბსტანტივისა და ატრიბუტივის ჯგუფებში განაწილდება.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს და მკაცრად გავატარებთ მორფოლოგიურ პრინციპს, ტრადიციული სისტემა მეტყველების ნაწილებისა გამარტივებული სახით წარმოგვიდგება; გვექნება ორი მეტყველების ნაწილი:

1. სახელი → { სუბსტანტივი; ატრიბუტივი → { სახელის ატრიბუტივი; ზმნის ატრიბუტივი }

2. ზმნა

I. 31. სახელზმნა მეტყველების ნაწილთა სისტემაში. მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციაში გარკვევას საჭიროებს სახელზმნის ადგილი. ჩვეულებრივ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაა ერთგვაროვანი თვალსაზრისი. ა. შანიძე სახელზმნას ზმნის სისტემაში განიხილავს, არნ. ჩიქობავა — სახელის სისტემაში. შენიშვნებს ორივე თვალსაზრისი იწვევს. სახელზმნა ბრუნებადი სიტყვაა; თუ ზმნაა, მაშინ ბრუნვა ზმნის კატეგორიაც ყოფილა. თუ სახელია, რამდენადაც სახელზმნას მოეპოვება დროის, გვარის და ა. შ. გაგება, გამოდის, რომ ეს კატეგორიები სახელისაც ყოფილა...

სწორედ ამგვარი მიდგომის გამო დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ სახელზმნა დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია (ა. დავითიანი). ამგვარი მიდგომაც ვერ მოხსნის პრობლემას...

ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაციით სახელზმნა სახელის სისტემაში უნდა იქნეს განხილული: ძირითადი განსხვავება ზმნასა და სახელს შორის ფორმაცვალების სახეებია; ზმნა იუღვლის, სახელი — იბრუნვის. ესაა მორფოლოგიური დახასიათება ამ ორი ჯგუფისა. ამგვარი გააზრებით, სახელზმნა ბრუნებადი სიტყვაა, ე. ი. სახელის სისტემაში უნდა იქნეს განხილული.

მიმღეობა რომ დროს განარჩევს, ეს სემანტიკის სფეროა: წარსული დროის სემანტიკა ისევე ილანდება **ნაწერში**, როგორც **ნაქალაქარში**; ერთი ნაზმნარი სახელია, მეორე წარმოქმნილი სახელი... გვარის გაგება მიმღეობაში და გვარის გაგება ზმნურ ფორმებში არაა ერთგვაროვანი მოვლენა... ამის თაობაზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

I. 32. გრამატიკული კატეგორიები. კატეგორია „მეცნიერებისა და ფილოსოფიის უზოგადესი ცნებაა. იგი ასახავს უნივერსალურ ობიექტურ კავშირმიმართებებს“. ზოგადად კატეგორიას განიხილავენ, როგორც „ლოგიკურ ცნებას, რომელიც განზოგადებულ ფორმებში ასახავს ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს, მათ ურთიერთკავშირსა და მიმართებას“ (ქეგლი).

მეცნიერების ყოველ დარგში მეცნიერული ცოდნა კატეგორიათა სისტემებშია მოქცეული, ამიტომ კატეგორიათა დადგენა-დაზუსტებას მეცნიერების ნებისმიერ დარგში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება; ასეა ენათმეცნიერებაშიც, კერძოდ, გრამატიკაში.

სპეციალურ ლიტერატურაში გრამატიკულ კატეგორიათა განმარტებისას არაა ერთგვაროვანი შეხედულება. რიგ შემთხვევაში გრამატი-

კული კატეგორია გაიგივებულია მორფოლოგიურ კატეგორიასთან. მაგრამ, რამდენადაც მორფოლოგია განიხილება როგორც ნაწილი გრამატიკისა (სინტაქსთან ერთად), მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიების ერთობლიობა ქმნის გრამატიკულ კატეგორიას. ასე რომ, მორფოლოგიური კატეგორია არის გრამატიკული კატეგორია, მაგრამ გრამატიკული კატეგორია არ უდრის მორფოლოგიურ კატეგორიას. ეს არის საფუძველი იმისა, რომ ხშირად არ იმიჯნება გრამატიკული და მორფოლოგიური კატეგორიები.

გრამატიკულ კატეგორიას „გრამატიკული ფორმისა და გრამატიკული შინაარსის ერთობლიობა ქმნის“ (ვ. გაკი). გრამატიკული (მორფოლოგიური) კატეგორიისათვის გრამატიკული (მორფოლოგიური) ნიშნის მქონებლობა მიიჩნევა არსებითად. „მორფოლოგიური კატეგორია სათანადო აფიქსებით უნდა იქნეს წარმოდგენილი და არა ფუძის მნიშვნელობით“ (არნ. ჩიქობავა). ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევას „მორფოლოგიური ნიშნის ქონა-უქონლობა წყვეტს“. მორფოლოგიურ ნიშნად განიხილება, ერთი მხრივ, მორფოლოგიური ინვენტარი — აფიქსები და, მეორე მხრივ, მორფოლოგიური ყალიბი. მაგალითად, პირის მორფოლოგიური კატეგორია აფიქსებით გამოიხატება, გვარის ფორმათა ძირითადი განმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშანი ფორმობრივი ყალიბებია.

მეტყველების ნაწილთა ფორმაცვალება გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ხდება.

ბ. ჯორბენაძე: თვით გრამატიკული კატეგორია უნდა განიმარტოს როგორც გრამატიკული სისტემის აგების წესი (კანონზომიერება). მაგალითად, **წერ**-ს ფორმა ენაში იმავე ფუძის მრავალ ფორმასთან ამყარებს კავშირს:

წერ-ს
- ი-წერ-ებ-ა
- უ-წერ-ს
- წერ-ენ
- წერ-ა

წერს ფორმა მარჯვენა რიგის სხვადასხვა ფორმასთან შეწყვილებული სხვადასხვა გრამატიკული სისტემის წევრი აღმოჩნდება:

წერ-ს — **ი-წერ-ებ-ა** ერთი სისტემაა (გვარის კატეგორია),
წერ-ს — **უ-წერ-ს** მეორე სისტემაა (ქცევის კატეგორია),
წერ-ს — **წერ-ენ** მესამე სისტემაა (რიცხვის კატეგორია),
წერ-ს — **წერ-ა** მეოთხე სისტემაა (მწკრივის კატეგორია)...

თითოეული სისტემის აგებისას მოქმედებს ერთი ზოგადი წესი: შეწყვილებული ფორმები მხოლოდ ერთი გრამატიკული ნიშნის მიხედვით არიან განსხვავებული; სხვა გრამატიკული ნიშნები მათ საერთო აქვთ. მაგალითად: პირველ წყვილს (**წერ-ს — იწერება**) ყველა გრამატიკული ნიშანი (ყველა კატეგორია) საერთო აქვთ, გარდა ერთისა — გვარის კატეგორიისა; მეორე წყვილს (**წერ-ს — უ-წერ-ს**) ფორმები იმის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ ვის განეკუთვნება მოქმედება — ქცევის კატეგორია; მესამე წყვილს (**წერ-ს — წერ-ენ**) ყველა კატეგორია საერთო აქვთ, გარდა ერთისა — განსხვავებულია სუბიექტის რიცხვი — რიცხვის კატეგორია; მეოთხე წყვილს (**წერ-ს — წერ-ა**) განსხვავებული აქვს მხოლოდ მწკრივის კატეგორია... ფორმათა შეპირისპირება შეიძლება გაგრძელებულიყო...

ფაქტია, ის ერთადერთი ნიშანი, რაც განასხვავებს შეწყვილებულ ფორმებს, ხდება კიდევაც მათი შეპირისპირების მიზეზი; ამ ნიშნის მიხედვით აიგება სისტემა. ამგვარად აგებულ სისტემას სახელი ერქმევა იმის მიხედვით, თუ რა ნიშნით მოხდა მისი აგება, რაც წარმოადგენს კიდეც **გრამატიკულ კატეგორიას**.

გრამატიკული კატეგორიის განსაზღვრისას დაცული უნდა იქნეს რამდენიმე პირობა:

ა) გრამატიკული კატეგორია ეფუძნება ორი ან მეტი ფორმის შეპირისპირებას;

ბ) შეპირისპირებულ ფორმათა შორის (ერთი კატეგორიის ფორმათა შორის) სხვაობას მხოლოდ ერთი გრამატიკული ნიშანი უნდა ქმნიდეს;

გ) შეპირისპირების პრინციპი ნიშანდობლივი უნდა იყოს ყველა შეპირისპირებული ფორმისათვის. მაგალითად, **შინ** და **წერ-ს** ვერ შექმნიან გრამატიკულ სისტემას; შესაბამისად, ეს ორი ფორმა არ არის ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის ორი წევრი... **წერ-ს** და **უ-წერ-ს** ორივე ფორმისათვის ნიშანდობლივია ქცევის სემანტიკა (მოქმედების განკუთვნის თვალსაზრისით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან), ამიტომ ეს ორი ფორმა ქმნის სისტემას.

სისტემა შეიძლება აიგოს სემანტიკურად დაპირისპირებული სიტყვებით, მაგრამ ამ სიტყვათა შორის არ იყოს ფორმობრივი სხვაობა; სხვაგვარად: სხვაობას არ ქმნიდეს მორფოლოგიური ნიშანი. ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება სემანტიკურ კატეგორიასთან. ქართულში სემანტიკური კატეგორიებია დრო, კილო და სხვა...

33. მეტყველების ნაწილი და გრამატიკული კატეგორია. სხვადასხვა მეტყველების ნაწილს სხვადასხვა შესაძლებლობა აქვს ფორმაცვალებისა. სწორედ ფორმაცვალების შესაძლებლობაზეა დამოკიდებული გრამატიკული კატეგორიების რაოდენობა; ერთ მეტყველების ნაწილს ჩვეულებრივ რამდენიმე კატეგორია მოეპოვება, მაგრამ სხვადასხვა მეტყველების ნაწილს კატეგორიათა განსხვავებული რაოდენობა შეიძლება ჰქონდეს. ქართულ ენაში სახელი გრამატიკულ კატეგორიათა რაოდენობით ღარიბია, ზმნა — გაცილებით მდიდარი. სახელს მოეპოვება ბრუნვისა და რიცხვის კატეგორია; ზმნას — პირის, რიცხვის, გვარის, ქცევის, მწკრივის და ა. შ. კატეგორიები.

მორფოლოგიური კატეგორიები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი ნიშნის მიხედვით:

ა) კატეგორიები, რომლებიც საერთოა სახელისა და ზმნისათვის,

ბ) კატეგორიები, რომლებიც მხოლოდ სახელებს ახასიათებთ,

გ) კატეგორიები, რომლებიც მხოლოდ ზმნებისთვისაა ნიშანდობლივი.

I. 34. ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის მიზანი და ამოცანები. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის ძირითადი მიზანი და ამოცანები არის სიტყვის ფორმის ანალიზი, სიტყვის ფორმაცვალების კანონებისა და კანონზომიერებათა გამოვლენა და შესწავლა.

სრულყოფილი მორფოლოგიური ანალიზისათვის აუცილებელი არის: ა) ფორმის სინტაქსური ფუნქციისა და ბ) ფორმის სემანტიკის გათვალისწინება. სინტაქსური და სემანტიკური ფაქტორები მოქმედებენ ფორმაწარმოებაზე.

რამდენიმე კონკრეტული მაგალითი:

ა) ზმნურ ფორმებს შეიძლება ერთნაირი მორფოლოგიური ყალიბი ჰქონდეს, მაგრამ სინტაქსური ფუნქცია — განსხვავებული:

მეფ-ობ-ს — ის

თავდებ-ობ-ს — ის მას...

ბ) ფორმებს მორფოლოგიური ყალიბი და სინტაქსური ფუნქცია შეიძლება ერთნაირი ჰქონდეს, სემანტიკა — განსხვავებული:

მეფ-ობ-ს ის — „მეფეა, ფლობს, ბატონობს“

ნადირ-ობ-ს ის — „ნადირს იჭერს, კლავს“...

გ) ფორმებს შეიძლება ერთნაირი მორფოლოგიური ყალიბი ჰქონდეს, მაგრამ სინტაქსური ფუნქცია და სემანტიკა — განსხვავებული:

მეფ-ობ-ს ის — „მეფეა...“

მკურნალ-ობ-ს
- ის — „მკურნალია“;
- ის მას — „კურნავს“; მყოფადი: უმკურნალებს;
- ის თავს — „(სამკურნალოდ) ექიმის პაციენტია“;
- „კურნავს თავის თავს“ — მყოფადი: იმკურნალებს...

სხვა მაგალითი:

ვაჭრ-ობ-ს
- ვაჭარია (მყოფადი არა აქვს)
- ყიდის („წიგნით ვაჭრობს“ — წიგნს ყიდის):
  მყოფადი — **ივაჭრებს**, წყვეტილი — **ივაჭრა**.

სახელის შემთხვევაში:

კაც-ის
ხ-ის
ქორწინებ-ის } სახლი

სინტაქსურად სამივე შემთხვევაში მარცხენა რიგის სიტყვები **მსაზღვრელია**; მორფოლოგიურად — **ნათესაობითი ბრუნვა**, მაგრამ მკვეთრად განსხვავებულია სემანტიკა: **კაცის** — კუთვნილებას გამოხატავს, **ხის** — მასალას, **ქორწინების** — დანიშნულებას...

ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობით ფორმაწარმოების სხვადასხვა შესაძლებლობებს ავლენს:

ს-ცემ-ს — ამ ზმნას, მნიშვნელობით „დედა შვილს სცემს“ ექნება სრული პარადიგმა უღლებისა; მნიშვნელობით „თმა კოჭებამდე სცემს“ — ექნება მხოლოდ პირველი სერიის ფორმები...

ამგვარად, მორფოლოგიური ანალიზისათვის აუცილებელია სინტაქსური და სემანტიკური ფაქტორების გათვალისწინება.

ნაწილი II. სახელისა და ზმნის საერთო კატეგორიები. დეიქსისის გამოვლენა სახელისა და ზმნისფორმაწარმოებაში

II.1. სახელისა და ზმნის ფორმაწარმოების შინაგანი ურთიერთკავშირი არაერთგზის არის აღნიშნული. ამას წარმოაჩენს სახელის ბრუნება (ანუ სახელთა წარმოდგენა აქტანტებად), ზმნის პირიანობა (ანუ მოქმედებაში მონაწილე სახელების ასახვა ზმნაში), სახელის რიცხვის ასახვა ზმნაში და მისთ. აღნიშნულ კავშირებს უფრო მეტად წარმოაჩენს ფორმაწარმოების ისტორიული ვითარების წარმოდგენა. მაგალითად, ხელშესახებად ვლინდება მასალობრივი შეხვედრები, ერთი მხრივ, ბრუნვის ნიშანთა კონსონანტურ -ს, -ნ, -დ ელემენტებსა და, მეორე მხრივ, S_3 პირის ნიშანთა არქაულ ფორმანტებს შორის (-ს, -ნ, -დ) (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია); საინტერესოა თანხვედრა S_1 **ვ-** ნიშნისა **ვი**-ნ ნაცვალსახელის ძირეულ ელემენტთან, ანდა O_1 **მ-** პრეფიქსისა **-მე** ნაცვალსახელთან და მისთ.

იგულისხმება, რომ სახელის მორფოლოგიური პოტენცია ზმნის ფორმაწარმოებაშიც ტოვებდა კვალს, რამდენადაც მოქმედი თუ „სამოქმედო“ სახელის რაიმენაირი წარმოჩენა ზმნის პირიანობის აუცილებელი პირობა იყო. რაც უფრო ვშორდებით გრამატიკული კატეგორიების ჩამოყალიბების ისტორიას, მით უფრო ფერმკრთალდება და ნაკლებ ხელშესახები ხდება აღნიშნული შინაგანი კავშირები, მაგრამ ეს მიმართებები მორფოლოგიისა თუ სემანტიკის (ლექსიკოლოგიის) დონეზე სინქრონიული ანალიზის ფარგლებშიც შეიძლება იქნეს დანახული და კვალიფიცირებული.

II. 2. რიცხვის გრამატიკული კატეგორია. აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე თვალსაჩინო სურათს იძლევა რიცხვის გრამატიკული კატეგორია. მიღებულია, რომ რიცხვი არის სახელისა და ზმნის საერთო კატეგორია; ამავე დროს, ეს კატეგორია არის ერთადერთი, რომელიც სახელისა და ზმნის გრამატიკულ შეთანხმებას განაპირობებს.

ამავე დროს, რიცხვის კატეგორია დამოუკიდებლად დამახასიათებელია მხოლოდ არსებითი სახელისათვის, რამდენადაც არსებითი სახე-

ლი გამოხატავს (აღნიშნავს) საგანთა კლასს, საგანთა კლასი კი, თავისთავად, რაოდენობასთან არის დაკავშირებული. ზმნა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად რიცხვის გამოხატვასთან, რაოდენობასთან არ არის დაკავშირებული. მან შეიძლება ასახოს მხოლოდ რიცხვი აქტანტებისა. ის, რაც ზმნაში რიცხვის ფორმანტების სახით ვლინდება, არის გამოძახილი სახელის შესაბამისი მორფოლოგიური კატეგორიისა. ამიტომაც არის, რომ რიცხვის გამოხატვა ზმნაში პირიანობასთან არის ძირითადად დაკავშირებული.

II. 3. ორგვარი მრავლობითი. არსებითი სახელი ორგვარ მრავლობითს იწარმოებს: **-ებ**-იანს და **ნ**არ**თ**ანიანს; ეს ორი მრავლობითი განსხვავებული ტიპოლოგიისა და ფუნქციონალური დატვირთვისაა.

-ებ-იანი მრავლობითი იყენებს მხოლოდ **-ებ** სუფიქსს და ფორმას აწარმოებს აგლუტინაციური პრინციპით: ჯერ ფუძე, შემდეგ **-ებ**, ხოლო შემდეგ — ბრუნვის ნიშანი:

სკამ-**ებ**-ი
სკამ-**ებ**-მა
სკამ-**ებ**-ს
სკამ-**ებ**-ის
სკამ-**ებ**-ით
სკამ-**ებ**-ო

-ებ ფორმანტს სახელის მორფონოლოგიაში ისეთივე ძალა აქვს, როგორიც -**VC** სტრუქტურის ბრუნვის ნიშნებს **(-ის, -ით, -ად**), ანუ განაპირობებს შესაბამისი სახელური ფუძის კუმშვასა და კვეცას (ცხადია, ყველა ბრუნვაში):

მ გ Ø ლ - ე ბ - ი ძ მ Ø - ე ბ - ი
მ გ Ø ლ - ე ბ - მა ძ მ Ø - ე ბ - მა და ა. შ.

შენიშვნა: -**ებ** ფუძის **ე** ხმოვანს არ კვეცს: ხე-ებ-ი... თავად -**ებ** ფორმანტი მოსალოდნელ მორფონოლოგიურ პროცესებს არ ექვემდებარება: ის უცვლელია ყველა პოზიციაში (სახლ-ებ-ის...).

განსხვავებული ბუნებისაა **ნ**არ**თ**ანიანი მრავლობითი. გამოიყენება ორი სუფიქსი: **-ნ** და **-თ(ა)**. **-ნ** გამოიყენება სახელობითსა და წოდებითში და მისი გამოყენება აგლუტინაციურ პრინციპს იცავს:

კაც-**ნ**-ი (შდრ. კაც-ებ-ი)
კაც-**ნ**-ო (შდრ. კაც-ებ-ო)

-თ(ა) დაბოლოებიანი ფორმა ასრულებს ყველა დანარჩენი ბრუნვის როლს და მისი გამოვლენა ფლექსიური ხასიათისაა: **-თ(ა)** ითავსებს ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკულ შინაარსებს. შდრ.:

ქალ-**თა** დღე — ქალ-**ებ**-ის (დღე)

ნარ**თ**ანიანი მრავლობითის მორფონოლოგია, შესაბამის სუფიქსთა სტრუქტურიდან გამომდინარე, აქტუალური არაა: არც რიცხვის ნიშნები იწვევენ ფუძის ცვლილებას, არც თავად ეს ნიშნები იცვლებიან: ძვ**ა**ლ-ნ-ი, ძვ**ა**ლ-თა (შდრ.: ძვლ-ის, ძვლ-ებ-ი).

II. 4. ორგვარი მრავლობითის ფუნქციური განაწილებისათვის. საზოგადოდ, **-ებ** და **-ნ(-თ)** სუფიქსები, როგორც მორფოლოგიური ელემენტები, თითქმის ყოველ ფუძესთან თანაბარი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი — აწარმოონ მრავლობითი რიცხვი. თუმცა ნართანიან მრავლობითს უპირატესად არქაულობის გარკვეული სტილისტიკური ელფერი ახლავს. ფუნქციონალური თვალსაზრისით ძირითადი ადგილი **-ებ** ფორმანტს უკავია.

მაინც როგორია მათი გავრცელების ზოგადი სურათი?

ა) საზოგადო სახელებში შეიძლება უგამონაკლისოდ შეგვხვდეს როგორც ერთი, ისე მეორე სახის მრავლობითი, ოღონდ **-ებ** უფრო ბუნებრივი, ჩვეულებრივი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო **-ნ(-თ)** სუფიქსთა გამოვლენა მარკირებულია რაიმე სახის სტილისტიკური ნიუანსით.

ბ) მოქმედების სახელებში (მასდარებში) **-ნ(-თ)** სუფიქსია გაბატონებული, ოღონდ ამ შემთხვევაში ხელშესახებია შესაბამის ფორმათა მეტ-ნაკლები ტერმინოლოგიური დატვირთვა: სჯა-**ნ**-ი, ცდა**ნ**-ი, ტანჯვა-**ნ**-ი, გალობა-**ნ**-ი...

გ) **-ებ** და **-ნ(-თ)** თითქმის თანაბრად არის გავრცელებული სუბსტანტივის როლში მყოფი თუ გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელების მრავლობითის წარმოებაში. შდრ.: დიდ-**ებ**-ი და პატარ-**ებ**-ი და „...მოგროვდით ყველანი, დიდ-**ნ**-ი, მცირე-**ნ**-ი“...

თუმცა იგივე ზედსართავი, გასუბსტანტივებული თანამედროვე ტერმინოლოგიური შინაარსით, მხოლოდ **-ებ**-ს მოითხოვს: თეთრ-**ებ**-ი, წითლ-**ებ**-ი, მწვანე-**ებ**-ი, შავ-**ებ**-ი... ამ შემთხვევაში აშკარაა სუფიქსის ტერმინოლოგიური დატვირთვა.

დ) რიცხვითი სახელი მსაზღვრელად თუ სუბსტანტივის როლში მხოლოდ **-ნ(-თ)** სუფიქსებს ითავსებს: „შვიდ**-ნ**-ი გურჯანელ-**ნ**-ი“, „ას-**ნ**-ი

რად უნდა დედასა“... მაგრამ ციფრების (ნიშნების) აღნიშვნისას **-ებ** გამოიყენება: ორ-**ებ**-ი, ხუთ-**ებ**-ი...

ე) ნაცვალსახელთა ერთ ნაწილში ნართანიანი წარმოება ერთადერთია... ისი-**ნ**-ი, იმა-**თ**... ყველა-**ნ**-ი...

მეორე რიგის ნაცვალსახელებში **ნ-(-თ)** უპირატესობით არის აღჭურვილი: ზოგ-**ნ**-ი (შდრ. ზოგ-**ებ**-ი), რა-**ნ**-ი, სხვა-**ნ**-ი...

მესამე რიგში **-ებ** სუფიქსს აქვს უპირატესობა: ჩვენ-**ებ**-ი, თავის-**ებ-ი**... ვიღაც-**ებ**-ი, რაღაც-**ებ**-ი...

ვ) ტერმინოლოგიურ (ნომენკლატურულ) შესიტყვებებში, ფაქტობრივ, ერთადერთია **-თა** დაბოლოება: მწერალ-**თ**-ა კავშირი, მწვანე-**თ**-ა მოძრაობა... გზა-**თ**-ა სამინისტრო...

ზ) მრავლობითები, საზოგადოდ, კისრულობს ზოგი სპეციფიკური შინაარსის გამოხატვას; მაგალითად:

— საკუთარ სახელებს, გვარების გარდა, სიმრავლის გამოხატვა არ სჭირდება, მაგრამ გარკვეულ („განზოგადების“) შემთხვევაში ამისი საჭიროება ვლინდება:

„აკაკი**ებ**ი, ბაკაკ**იე**ბი...“

„ნათ**იე**ბო, ლეილ**ებ**ო...“

გვარსახელები თავისთავად გულისხმობს სიმრავლეს და ერთი გვარის წარმომადგენელთა აღსანიშნავად მრავლობითიც გამოიყენება: ბურდულ**-ებ-**ი, ბურდულ-**ნ**-ი... მაგრამ ამ ორ ფორმას შორის განსხვავება ის არის, რომ **-ებ**-იანს შეუძლია გამოხატოს როგორც კონკრეტული რაოდენობა (ვთქვათ, „ორი ბურდული“), ისე მთელი გვარიც, ხოლო **-ნ** სუფიქსიანი გვარის მთელ სიმრავლეს გულისხმობს.

— ნივთიერებათა სახელები, საზოგადოდ, მრავლობითს ვერ იგუებს, მაგრამ რომელიმე სახელდებული ნივთიერების ნაირგვარობის (ფორმობრივი ან თვისობრივი ნაირსახეობის) შემთხვევაში მრავლობითის ფორმები აქტიურდება:

მინერალური წყალ**ებ**ი...

ხორც**ებ**ი დააგლიჯეს...

„სულს მიუძღვის ხორც**თ** ნაქმარი...“

ამ ჯგუფშიც მრავლობითის ფორმანტი ტერმინოლოგიურ დატვირთვასაც იღებს: მარილ-**ებ**-ი, ცილ-**ებ**-ი...

— არის შემთხვევები, როდესაც მრავლობითის ფორმა არსებითად იმავეს აღნიშნავს, რასაც თვით სიტყვის ფუძე, ანუ ფორმანტი ფუნქციურად ნეიტრალიზებულია; შდრ.: კარ-ი — კარ-**ებ**-ი, თმა — თმ-**ებ**-ი, სათვალ-ე — სათვალე-**ებ**-ი...

— ზოგი სიტყვა საბოლოოდ მრავლობითი ფორმით დამკვიდრებულა, რაც უცხოენოვან გავლენას უნდა მიეწეროს: გასტროლ-**ებ**-ი, არდადეგ-**ებ**-ი, მემუარ-**ებ**-ი...

II. 5. სახელის სიმრავლის ასახვა ზმნაში. როგორც ითქვა, ზმნა ასახავს სახელის მრავლობითობას. უფრო დავაზუსტოთ: ზმნაში აისახება მხოლოდ იმ სახელის მრავლობითობა, რომელიც ზმნასთან პირად არის შეწყობილი, შესაბამისი მოქმედების აქტანტია; მეტიც შეიძლება ითქვას: დაჩნდება იმ სახელის რიცხვი, რომლის პირიც ასახულია ზმნაში. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ შეწყობილ პირთა მრავლობითის ასახვის თვალსაზრისითაც ერთგვაროვნება არ არის:

ა) სუბიექტური პირის მრავლობითობა აისახება სამსავე პირში:

სუბიექტური წყობა:

	მოქმედებითი	ვნებითი	ე. წ. საშუალი
1	ვ-ხატავ-**თ**	ვ-რჩები-**თ**	ვ-კანკალებ-**თ**
2	ხატავ-**თ**	რჩები-**თ**	კანკალებ-**თ**
3	ხატავ-**ენ**	რჩები-**ან**	კანკალებ-**ენ**

ამგვარად: I-II პირებში აგლუტინაციური პრინციპია დაცული: ცალკე — პირის ნიშანი, ცალკე — რიცხვის ნიშანი:

1. ვ — თ
2. Ø — თ

III პირი სხვა პრინციპს გვიჩენებს — პირისა და რიცხვის გაგებას ერთი სუფიქსური ფორმანტი ითავსებს: **-ენ, -ნ, -ან.**

III პირის მრავლობითობის გამოხატვა, პირის აღნიშვნის მსგავსად, სხვადასხვა სუფიქსით ხდება: **-ენ** (ხატავ-**ენ**)

-ან (რჩები-**ან**)

-ნ (ხატ-ო-**ნ**), (დარჩ-ნ-ე-**ნ**)

-ნენ (ხატავდ-**ნენ**), (დარჩ-**ნენ**)

-ეს (დახატ-**ეს**) .....

სუბიექტის მრავლობითობა, შესაბამისი პოტენციის შემთხვევაში, ერთნაირად აისახება ზმნაში, განურჩევლად იმისა, -ებ-იანია სახელი თუ ნართანიანი; ოღონდ გასათვალისწინებელია:

III პირის მრავლობითობა, ჩვეულებისამებრ, არ აღინიშნება, როცა სუბიექტი უსულო საგანია:

ხე-**ებ**-ი დგა-ს

სახლ-**ებ**-ი შენდებ-ა

შენიშვნა: 1. ეს წესი მოქმედია **-ებ**-იანი მრავლობითის შემთხვევაში, მაგრამ რიცხვში შეთანხმება ამოქმედდება უსულო საგნის **ნ**არ**თ**ანიან მრავლობითთან:
ხე-**ნ**-ი დგან-**ან**.

შენიშვნა: 2. **-ებ** სუფიქსიანი უსულო არსებითი სახელის მრავლობითი ასევე აისახება ზმნაში შესაბამისი სუბიექტის პერსონიფიკაციის შემთხვევაში, ან როცა ამ სუბიექტს განსაკუთრებით აქტიური მოქმედება მიეწერება:
ფოთლ**ებ**ი ჩურჩულებ-**ენ**...
„ხე**ებ**ი როკვით დაიძრნ**ენ** ქარში...“
„მთ**ებ**ი თავჩაჩქნიანები ფიქრს მისცემი**ან** მწარესა...“

შესაძლებელია სუბიექტი ობიექტური პირის ნიშნებით იყოს გამოხატული (ინვერსიის შემთხვევაში). სუბიექტის მრავლობითობა ამ შემთხვევაშიც სამივე პირში გამოხატულია (ობიექტური წყობის ტიპოლოგია იხ. ქვემოთ):

1.	და-**გვ**-იხატავ-ს	ა-**გვ**-იშენები-ა	**გვ**-იყვარ-ს
2.	და-გ-იხატავ-**თ**	ა-გ-იშენები-ა-**თ**	გ-იყვარ-**თ**
3.	და-უ-ხატავ-**თ**	ა-უ-შენები-ა-**თ**	უ-ყვარ-**თ**

ბ) ობიექტური პირის მრავლობითობა აისახება ზმნის I-II პირებში; ამ პოზიციაში ძირითადად ირიბი (უშუალო) ობიექტი იგულისხმება, მაგრამ ასევე აისახება იმავე პოზიციაში მდგომი პირდაპირი ობიექტი; III პირის ობიექტი მხოლოდ ტენდენციას ამჟღავნებს ზმნაში მრავლობითობის გამოხატვისას (უსმენ-**თ** ის **მათ,** აძაგებ-**თ** ის **მათ** — არანორმატიული ტიპი), რითაც მკვეთრად განსხვავდება ინვერსიული ობიექტური წყობისაგან.

ობიექტური წყობა:

	მოქმედებითი	ვნებითი	საშუალო
1	**გვ**-ხატავ-**ს**	**გვ**-ემალებ-ა	**გვ**-გავ-**ს**
2	**გ**-ხატავ-**თ**	**გ**-ემალებ-ა-**თ**	**გ**-გავ-**თ**
3	ხატავ-ს	ემალებ-ა	ჰ-გავ-ს

ამ შემთხვევაშიც სრულიად აშკარაა ტიპოლოგიური განსხვავება I და II ობიექტურ პირთა მრავლობითობის გამოხატვისა ზმნაში: თუ II პირში აგლუტინაციის პრინციპი მოქმედებს (გ — თ), რაც გულისხმობს პირისა და რიცხვის დამოუკიდებელი ელემენტებით გამოხატვას, I პი-

რის **გვ-** პრეფიქსი სინთეზური გრამატიკული შინაარსისაა, ის, რიცხვთან ერთად, პირის გაგებასაც ითავსებს; შდრ.:

1. **გვ**-აქვ-**ს**
2. **გ**-აქვ-**თ**

II პირის **-თ** სუფიქსის წინ S_3 -**ს** სუფიქსის დაკარგვის მიზეზი (ის ბოლო დრომდე შემორჩა ამ პოზიციაში: გ-აქვ-**ს**-**თ**), ცხადია, არა გრამატიკული, არამედ მორფონოლოგიურია (თანხმოვანთა თავმოყრა).

III პირში სუბიექტური და ობიექტური პირების მრავლობითობის დამთხვევისას უპირატესობა ენიჭება სუბიექტურ პირს:

ისინი თქვენ **გ**-იხატავ-**ენ** (შდრ. მოძვ. და კუთხ. **გ**-იხატავ-**ენ-თ**)

(შდრ. ერთი მხრივ:

ის თქვენ **გ**-იხატავ-**თ**

მეორე მხრივ:

ისინი შენ **გ**-იხატავ-**ენ**)

ობიექტურ პირთა მრავლობითობასთან დაკავშირებით ცნობილია აგრეთვე სხვადასხვა პირთა დამთხვევა:

გ-ხატავ-**თ** { მე თქვენ; ჩვენ შენ; ჩვენ თქვენ; ის თქვენ }

გ) პირთა მრავლობითობის გამოვლენის მოუ-ლოდნელი შემთხვევები: შესაძლებელია ზმნის II პირის მრავლობითობის გამომხატველი **-თ** სუფიქსი გამოვლინდეს სრულიად შეუფერებელ პოზიციაში, არა ზმნასთან, არამედ სხვა მეტყველების ნაწილებთან: სახელთან, ზმნიზედასთან, შორისდებულთან, ნაწილაკთან...

ბოდიში-**თ**! კარგი-**თ**! ჩქარა-**თ**! სუ-**თ**! არიქა-**თ**!...

იგულისხმება, რომ შესაბამის ფრაზაში სათანადო ზმნის ფორმა ჩავარდნილია და საჭირო „პირის გაგება“ (მიმართებითობა) მიმართვის ფორმას შეუთავსებია:

ჩქარა-თ! (← **ჩქარა** მოდი-**თ**) და მისთ.

II. 6. სიმრავლის გამოხატვის ლექსიკური საშუალებანი. გარდა მორფოლოგიური ინვენტარისა, ენას აქვს შესაძლებლობა (წარმომავლობით ალბათ უფრო ადრინდელიც კი), რომ შინაარსობრივი ოპოზიცია — „ერთი“ — „მრავალი“ ლექსიკური მასალითაც გამოხატოს.

იგულისხმება შემთხვევები, როდესაც საგნობრივი სიმრავლის სემანტიკას, „ერთის“ საპირისპიროდ, დამოუკიდებელი ფუძე გამოხატავს.

პირველ რიგში, აქ იგულისხმება ე. წ. კ რ ე ბ ი თ ი სახელები, რომელთა თავისებურება სწორედ ის არის, რომ მრავლობითი შინაარსის გამოხატვა მათ შეუძლიათ მორფოლოგიის გარეშე — თავიანთი ფუძით ისინი უკვე შეიცავენ ასეთ შინაარსს; ამისი მაგალითებია:

ხალხი — კაცი (ადამიანი).
ფარა — ცხვარი
გუნდი — ფრინველი
ნახირი — ძროხა
რემა — ცხენი
კოლტი — ღორი...

ე. ი. **ხალხი** გულისხმობს „ბევრ ა დ ა მ ი ა ნ ს “, **ნახირი** — „ბევრ ძ რ ო ხ ა ს“... ამგვარი სახელები ფორმით მხოლობითია (მრავლობითის ფორმანტი არა აქვთ), ხოლო შინაარსით — „მრავლობითი“ (ეს ჩანს მათს შემათანხმებელ ვალენტობაშიც).

არსებობს ისეთი კრებითი შინაარსის სახელებიც, რომლებიც ერთი და იმავე ფუძით წარმოგვიდგენენ „ერთსაც“ და სიმრავლის სემანტიკასაც; ასეთებია: **ცხვარი, ძროხა, ღორი, ფოთოლი** („ტყემ მოისხა ფოთოლი“...). შდრ.:

ა) „ც ხ ვ ა რ ი დაკლეს“ და „ც ხ ვ ა რ ი ფერდობს შეეფინა“.

ბ) „ძ რ ო ხ ა დაკლეს“ და „მერე მე ძ რ ო ხ ა ვის ჩავაბარო?!..“

ოპოზიცია, „ც ხ ე ნ ი — რ ე მ ა“ სუპლეტივიზმს მოგვაგონებს, თუმცა აქ ფუძეთა სუპლეტურობა მხოლოდ მოჩვენებითია, სინამდვილეში დამოუკიდებელი ფუძეებია სემანტიკურად დაწყვილებული (შეპირისპირებული).

სხვა შემთხვევაა ნაცვალსახელურ ფუძეთა სუპლეტურობა:

მე — ჩვენ
შენ — თქვენ

ზმნური პარადიგმები ასევე წარმოაჩენს ფუძეთა სუპლეტურობის შემთხვევებს:

დააგდო — დაყარა
დასვა — დასხა
დაჯდა — დასხდნენ...

„მრავლობითის“ შინაარსის შემცველი ფუძე შეიძლება მხოლოდ ლექსიკურად გამოხატავდეს ამ კატეგორიას:

ვარდ || **ცვივ**-: დავარდა — დაცვივდა

შეიძლება ლექსიკურთან ერთად მორფოლოგიური საშუალებებიც იყოს გამოყენებული, ანუ ჭარბი გამოხატვის შემთხვევა გვქონდეს:

ჯედ || **სხედ**-: და-**ჯდ**-ა — და-**სხდ**-**ნენ**...

სხედ- ფუძესთან ერთად „სიმრავლე“ **-ნენ** სუფიქსითაც არის გამოხატული. აქ გრამატიკა და სუპლეტურობა ერთად არის წარმოდგენილი.

II. 7. „სუპლეტური შეთანხმება“. მნიშვნელოვანია ის, რომ შემათანხმებელი უნარი სუპლეტურ ფუძეებშიც არის გამოვლენილი. აქ პირველ რიგში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელის სუპლეტური ფუძე ზმნისგან ასევე მოითხოვს სუპლეტივიზმს („სუპლეტურ შეთანხმებას“):

ნახირ-ი და-**ცვივ**-დ-ა (შდრ. და-**ვარდ**-ა)

ხალხ-ი და-**სხდ**-ა (შდრ. და-**ჯდ**-ა)

აქ სუბიექტის „სიმრავლეა“ ზმნური ფუძის სუპლეტურობის განმაპირობებელი. ასეთივე ვითარება შეიძლება შეგვხვდეს ობიექტის „სიმრავლის“ შემთხვევაში:

ხალხ-ი და-**სხ**-ა (შდრ. და-**სვ**-ა)

ხილ-ი და-**ყარ**-ა (შდრ. და-ა-**გდ**-ო)

ნაყოფ-ი ა-**სხ**-ი-ა (შდრ. ა-**ბ-ი**-ა)

ზმნური სუპლეტივიზმი ასევე შეიძლება შეგვხვდეს იმ შემთხვევაშიც, როცა მასთან პირად შეწყობილი სახელი გრამატიკული მრავლობითით არის წარმოდგენილი. სწორედ ასეთი სუბიექტის სიმრავლის დროს გვხვდება ზმნაში ორმაგი — სუპლეტური და გრამატიკული — გამოხატვა:

სტუმრ-**ებ**-ი და-**სხდ**-ნენ (შდრ. და-**ჯდ**-ა)

ძაღლ-**ებ**-ი გა-**ცვივდ**-ნენ და მისთ.

ზმნათა სუპლეტურობას ასევე მოითხოვს ნაცვალსახელთა სუპლეტური მრავლობითი:

„**ჩვენ** დავ**სხედ**ით“

ბავშვ-**ებ**-ი წამო-**ცვივ**-დ-ნენ (შდრ. წამო-**ვარდ**-ა)

ძაღლ-**ებ**-ი მი-ს-**ცვივ**-დ-ნენ (შდრ. მი-**ვარდ**-ა)

მაგრამ უსულო საგნის **-ებ**იანი მრავლობითი ზმნას რიცხვში ვერ შეითანხმებს, ზმნა მხოლოდ სუპლეტურობით „ეხმიანება“ შესაბამისი სუბიექტის სიმრავლეს:

ფოთლ-**ებ**-ი ა-**სხ**-ი-ა (შდრ. ა-ბ-ი-ა)

ვაშლ-**ებ**-ი და-**ცვივ**-დ-ა (შდრ. და-ვარდ-ა)...

ნაცვალსახელურ ფუძეთა სუპლეტური მონაცვლეობა ასევე მოითხოვს ზმნური ფუძეების სუპლეტუროობას („ლექსიკურ შეთანხმებას“).

სუბიექტის სიმრავლის შემთხვევაში:

ჩვენ წამო-ვ-**ცვივ**-დ-ი-**თ** (შდრ. წამო-ვ-**ვარდ**-ი)

თქვენ და-**სხედ**-ი-**თ** (შდრ. და-ვ-**ჯექ**-ი).

ობიექტის სიმრავლის დროს:

ჩვენ და-გვ-**სხ**-ა (შდრ. და-მ-**სვ**-ა)

ჩვენ (გარეთ) გამო-**გვ**-**ყარ**-ა (შდრ. გამო-მ-ა-**გდ-**(ო)

შევადაროთ არასუპლეტური ნაცვალსახელური ფუძე:

ისი-**ნ**-ი და-**სხდ**-ნენ (შდრ. და-**ჯდ**-ა)

ისი-**ნ**-ი და-**სხ**-ა (შდრ. და-**სვ**-ა)...

II. 8. პირის ნაცვალსახელები და პირის გამოხატვა ზმნაში.

არსებობს მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნას პირებად ნაცვალსახელი შეეწყობა, სახელი ითანხმებს ზმნას პირის მიხედვით (ლ. კვაჭაძე). სახელისა და ზმნის სინტაგმატიკის დანარჩენი შემთხვევები კი მართვას გულისხმობს.

ამ მოსაზრების საფუძველი ის არის, რომ პირის ნაცვალსახელებში „რომელობის“ მიხედვით პირთა ოპოზიციაა ასახული. ისევე, როგორც ზმნის უღლების დროს ყოველი მწკრივის ფარგლებში. შესაბამისად, I პირის ნაცვალსეხლი **„მე“** შეითანხმებს ზმნას I პირში (ვ-წერ), II პირის ნაცვალსახელი **„შენ“** — II პირის ზმნას (წერ), ხოლო III პირის ნაცვალსახელი **„ის“** — III პირს, შესაბამისი მრავლობითებითურთ.

საკითხის ამგვარად დაყენებას ხვდება ერთი წინააღმდეგობა: როდესაც ვამბობთ, რომ წინადადების ერთი წევრი (ერთი ფორმა) ითანხმებს მეორეს, აუცილებლად ვგულისხმობთ ამ წევრებს შორის მორფოლოგიურ „თანხმობას“. ამ შემთხვევაში კი ასე არ არის: ნაცვალსახელები ლექსიკურად გამოხატავენ პირებს და არა მორფოლოგიურად (გრამატიკული ნიშნებით), ხოლო ზმნაში პირიანობა პირის ნიშნებით გამოიხატება. ასე რომ, მიმართება სემანტიკისა (ლექსიკური ოპოზიციისა) გრამატიკულ ფორმასთან შეთანხმების ნიმუშად ვერ იქნება მიჩნეული. სინტაგმატური მიმართების ასეთი ფორმალური პრინციპი რომ არა, შესაძლებელი იქნებოდა ზმნასთან შეწყობილი სხვა სახელებიც III პირის შინაარსის „ფარულ“ გამოვლენად მიგვეჩნია.

ამდენად, ეს თავისთავად საინტერესო ურთიერთმიმართება (ნაცვალსახელი + ზმნა) მეტყველების ნაწილთა საურთიერთო კატეგორიად ვერ მიიჩნევა.

II. 9. დეიქსისის გამოვლენისათვის ქართულ ფორმაწარმოებაში. დეიქსისის ცნება (ბერძ. déixis „მითითება, მინიშნება“) გამოიყენება ისეთი მოვლენების აღსანიშნავად, რომელთა დროსაც გრამატიკული (ფორმალური) სისტემის მეშვეობით ხდება მინიშნება ენობრივ ერთეულთა შინაარსობრივ თუ ფუნქციურ დატვირთვაზე (როლზე). ასეთი მინიშნება შეიძლება ეხებოდეს სულ სხვადასხვა გრამატიკული კლასის ერთეულებს. მაგალითად:

1. ნაცვალსახელთა და ზმნისართთა სისტემაში:

ა) თავისთავად დეიქტურია ზემომითითებული შინაარსობრივი ოპოზიცია პირის ნაცვალსახელთა სისტემაში, რამდენადაც აქა გვაქვს არა მხოლოდ გარჩევა პირთა რომელობისა, არამედ მათი როლებრივი მიმართება სამეტყველო აქტთან:

მე — მოლაპარაკე (მეტყველი)

შენ — ადრესატი

ის — მეტყველების ობიექტი

ბ) შინაარსობრივად დეიქტურია კუთვნილებით ნაცვალსახელთა სამწევროვანი სისტემა (**მე, შენ, ის**... **თავისი**...), ვინაიდან, კუთვნილებასთან ერთად, მათში ვლინდება მიმართება მეტყველებაში მონაწილე პირებთან:

ჩემი → მე
შენი → შენ
მისი → ის

თავისი (თვისი) ნაცვალსახელის შინაარსში ერთგვარად ნეიტრალიზებულია მითითება პირთა გარჩევაზე, თუმცა აქ შემოდის სხვა ოპოზიცია: „მოქმედის“ კუთვნილი — „არამოქმედის“ კუთვნილი.

გ) აღნიშნული სემანტიკა უფრო ხელშესახები ხდება იმგვარ შემთხვევაში, როდესაც სისტემაში სპეციალური დეიქტური ელემენტები იჩენს თავს. პირველ რიგში, ქართულში ასეთია ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევროვანი სისტემა, რომელსაც ხმოვან ელემენტთა ოპოზიცია ორწევროვნად წარმოგვიდგენს და მასში ასახულია I-II პირთა („ნამდვილ პირთა“) პოზიციური დაპირისპირება III პირთან („არაპირთან“).

ე (I-II პირი) — **ი** (III პირი):

1. **ე**-ს
2. **ე**-გ
3. **ი**-ს (**ი**-გი)

ირიბ ბრუნვებში ეს ოპოზიცია **ა—ი** ხმოვანთა დაპირისპირებაში გადადის, თუმცა ნაცვალსახელთა სისტემა მაინც სამწევროვანი რჩება:

1. **ა**-მას
2. მაგა-ს
3. **ი**-მას

იგულისხმება, რომ **ა-** II პირსაც ეკუთვნის, როცა I-II პირის შიდა ოპოზიცია არ არის აქცენტირებული.

დ) ანალოგიურია მიმართება III პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა დეიქტურ სისტემაში:

1. **ა**-მისი
2. მაგისი
3. **ი**-მისი

ე) ამოსავალ ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემას ეფუძნება დეიქტური ოპოზიცია მომდევნო („ატრიბუტული“) ჩვენებითი ნაცვალსახელებისა (ე — ი):

1. **ე**-სეთი
2. **ე**-გეთი
3. **ი**-სეთი

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სისტემის თანაარსებობამ, ერთი მხრივ, ჩვენებით ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნვებზე დაფუძნებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებთან, რომელიც **ა — ი** ოპოზიციას წარმოგვიდგენს:

ა-მისთანა,
მაგისთანა
ი-მისთანა.

და მეორე მხრივ, ზმნისართთა ასეთივე ტიპის დეიქტურმა სისტემამ განაპირობა **ე — ი** ოპოზიციის სამწევროვან სისტემად „კორექტირება“ (პირთა სამწევროვანი დეიქსისი მოჩვენებითია):

1. **ა**-სეთი
2. **ე**-გეთი
3. **ი**-სეთი

ვ) პირთა მიმართების გამომხატველი დეიქტური ხმოვანპრეფიქსებით არის აგებული ზმნიზედური სისტემაც,

როგორც დამოუკიდებელი: 1. **ა**-ქ
2. მანდ
3. **ი**-ქ

ისე მეორეული, ჩვენებით ნაცვალსახელთა საფუძველზე წარმოქმნილი (თავისი „სამწევროვნებითაც“ აშკარად მეორეული):

1. **ა**-სე
2. **ე**-გრე
3. **ი**-სე

2. ზმნა, როგორც ზმნური სემანტიკისა და აქტანტთა თუ ლოკალურ მიმართებათა ყველაზე უფრო მრავალმხრივი გამომხატველი, თავის

არაერთ ქვესისტემაში შეიცავს დეიქტურ მინიშნებებს; მაგალითად, პირთა ზემომითითებული ოპოზიცია, ერთი მხრივ, I-II, ხოლო მეორე მხრივ — III (არაპირს) შორის, აშკარად იჩენს თავს ზმნისწინებში, კერძოდ „სააქეთო“ (**მო-**) და „საიქეთო“ (**მი-**) ორიენტაციის ზმნისწინთა განაწილებაში:

1. მე **მო**-ვ-იწვიე
2. შენ **მო**-იწვიე
3. მან **მი**-იწვია

შენიშვნა: დეიქტური ხმოვანპრეფიქსების **ა—ი** დაპირისპირება გახდა საფუძველი იმისა, რომ **მო-** ზმნისწინის **ა** ხმოვნიანი დიალექტური ვარიანტი **მა-** იქნა მიჩნეული ამოსავლად (გ. დეეტერსი): **მა- მი**.

საზოგადოდ, ქართულ ზმნისწინთა სისტემა, მისი ძირითადი — საორიენტაციო — ოპოზიცია სწორედ მეტყველზე (ან მოქმედზე — პირების მიხედვით) ორიენტირებით არის აგებული. იქ, სადაც მოძრაობის სემანტიკაა გამოხატული, **მო-** ზმნისწინით გართულებული, ფაქტობრივ, ყველა ზმნისწინი მარკირებულ „სააქეთო“ ოპოზიციას ქმნის:

საიქეთო	**სააქეთო**
ა-	ამო-
წა-	წამო-
გა-	გამო-
შე-	შემო-
ჩა-	ჩამო-
გადა-	გადმო-
და-	დამო-

3. არაერთ განხილულ სისტემაში გამოვლენილი მსგავსი „ორწევროვანი“ განაწილება იჩენს თავს საობიექტო (სასხვისო) ქცევის პრეფიქსთა სისტემაში:

1. მე მ-**ი**-შენებს
2. შენ გ-**ი**-შენებს
3. მას **უ**-შენებს

შდრ.:

1. მე მ-**ი**-ყვარს
2. შენ გ-**ი**-ყვარს
3. მას **უ**-ყვარს.

4. საზოგადოდ, აღსანიშნავია საერთო დეიქტური შინაარსი ზმნური ხმოვანთავსართებისა, რომლებიც თავიანთი პირდაპირი გრამა-

ტიკული მნიშვნელობით სხვადასხვა მორფოლოგიურ სისტემაში ნაწილდებიან (კაუზატივი, გვარი, ქცევა...).

მათი გამაერთიანებელი დეიქტურობა კი ობიექტურ პირთა „პოვნიერებაში“ მდგომარეობს (ბ. ჯორბენაძე). შესაბამისი ობიექტი შეიძლება ირიბი ანუ უშუალო იყოს, შეიძლება — პირდაპირი. ამ სისტემაში ჩაჯდება **ა-, ი-, უ-, ე-** ხმოვანთავსართები:

ა-ხვევ-ს
ი-ხვევ-ს ე-ხვევ-ა ‖ ე-ხვევ-ა
უ-ხვევ-ს

წერ-ს
ი-წერ-ს ე-წერება ‖ ე-წერება
უ-წერ-ს

ა-პრეფიქსს, რომელიც სისტემაში ძირითადად „ნეიტრალურია“ ქცევის თვალსაზრისით, შეიძლება დაეკისროს ე. წ. „საზედაო სიტუაციის“ (ა. შანიძის კვალიფიკაციით) გაგება. ამ შემთხვევაში პირთა ვითარება იცვლება; შდრ.:

ა-ხვევ-ს (ძაფის გორგალს) — **ი**-ხვევ-**ა** (გორგალი)

ა-ხვევ-ს (ფუთას, თოკს) — **ე**-ხვევ-**ა** (თოკი ფუთას)

ეს დატვირთვა განსაკუთრებით ხელშესახებია იმ შემთხვევაში, როდესაც ნეიტრალური ქცევის ფორმა უნიშნოა (Ø-ფორმანტიანია) და „საზედაოს“ წარმოქმნას შესაბამისი პრეფიქსის გააქტიურება განაპირობებს; შდრ. წერ-ს (ის მას) — **ა**-წერ-ს (ის **მას** მას).

ე-წერებ-**ა** ორპირიანი ფორმა გრამატიკული შინაარსით სწორედ **ა**-წერ-ს და **უ**-წერ-ს სამპირიან ფორმებს მიემართება.

თავი I. სახელი. ზოგადი საკითხები

III. 1.1. სახელის ადგილი ფორმაცვალებად სიტყვათა შორის. ენაში არსებულ სიტყვათა მთელი მარაგი, მათი გრამატიკული უნარის (პოტენციის) გათვალისწინებით, უპირველესად ორ განსხვავებულ ჯგუფად უნდა გავყოთ: **ფორმაცვალებადი** და **ფორმაუცვლელი** სიტყვები.

შენიშვნა: ფორმაცვალება ანუ ფორმაწარმოება (ფლექსია) გულისხმობს სიტყვის ფორმის ისეთ ცვლას, რომლის დროსაც სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ იცვლება. მაგ.:

ა) სახლი, სახლმა, სახლის... სახლები...

ბ) წერს, წერდა, დაწერა, დაუწერია...

ასეთ შემთხვევაში სიტყვის თითოეული ფორმა წარმოადგენს ფლექსიური პარადიგმის ფორმალურ წევრს, მისი (ფორმის) გრამატიკული მნიშვნელობა მხოლოდ პარადიგმის ფარგლებში მოიაზრება, პარადიგმის დონეზე განისაზღვრება თითოეული ფორმის გრამატიკული სტატუსი. რომელიმე ფორმის გასვლა პარადიგმის ფარგლებიდან მოასწავებს მისი ლექსიკური სტატუსის შეცვლას და ახალი პარადიგმის ნაწილად მის ქცევას.

მაგალითისათვის მოვიხმოთ **პურად** ფორმა: **პურ-ად** („ქვა პ უ რ ა დ გადაიქცა“), როგორც მორფოლოგიური ერთეული, **პურ**- სიტყვის ერთ-ერთი ფორმაა: **პურ**-ი, **პურ**-მა, **პურ**-ს... **პურ**-ად... მაგრამ იგივე ფონოლოგიური ოდენობა (შესიტყვებაში: „პ უ რ ა დ კაცს“) ფორმალურად (მორფოლოგიურად) უკვე სხვა პარადიგმის წევრია და მისი ლექსიკური მნიშვნელობაც და ფორმაც გასულია პირველი პარადიგმის ფარგლებიდან:

პურად-ი **პურად**-მა	შდრ.:	**პურ**-ი **პურ**-მა

პურად-ს		**პურ**-ს
.....		.....
პურად-ად		**პურ**-ად

შენიშვნა: ვითარებითი (აგრეთვე — მოქმედებითი) ბრუნვის ფორმისა და ნავითარებითარი (ნამოქმედებითარი) ფუძის გარჩევის საჭიროება განაპირობებს ორთოგრაფიულ ნორმას, რომ აღნიშნული დერივაციული ერთეულები გაფორმებული იყოს მიცემითი ბრუნვის ნიშნით: პურ**ად-ს** კაცს, შრომი**თ-ს** კოლექტივში... (შდრ.: ფერად ქსოვილ-ს, უარყოფით რიცხვ-ს...).

აფიქსაციის შედეგად მიღებული ნებისმიერი ფორმა თავისთავად არის მორფოლოგიური ოდენობა, მათ შორის — დერივატი, ახლად წარმოქმნილი სიტყვაც: ლურჯ-**ი** → ლურჯ-**ა**... მაგრამ თვით ამ კონკრეტული ფორმის გრამატიკული სტატუსი განისაზღვრება მისი ადგილით ფლექსიურ პარადიგმაში. ამ შემთხვევაში ახლად მიღებული „ფორმა“ (ლურჯ-**ა**) აღარ განეკუთვნება იმ გრამატიკულ პარადიგმას (ლურჯ-ი...), რომლის საფუძველზეც ის წარმოიქმნა.

ფორმალურად **კუდ-ი** და **კუდ-ა** ერთეულებს შორის იმაზე მეტი განსხვავება არ არის, ვიდრე **კუდ-ი** და **კუდ-ად**, მაგრამ სისტემურად **კუდ-ა** სულ სხვა ენობრივი ოდენობაა, რადგან ფორმით ის არის არა **კუდ-ი, კუდ-მა, კუდ-ს**... პარადიგმის წევრი, არამედ თვითონ ქმნის სხვა, დამოუკიდებელ პარადიგმას:

კუდა
კუდა-მ
კუდა-ს...

მეორე მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ახალი ერთეული **კუდ-ა** სემანტიკურად ვეღარ მოექცევა **კუდ**- ფუძის ლექსიკურ შინაარსში, არამედ ის გვევლინება დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად (როგორც „უკუდოს“ სინონიმი). ამავე დროს, ამ შემთხვევაში მას არა მხოლოდ ლექსიკური შინაარსი, არამედ საკვალიფიკაციო სტატუსიც შეცვლილი აქვს: **კუდა** (ხარი) — ზედსართავი სახელია. თუმცა, ეს უკანასკნელი ცვლილება სიტყვაწარმოების ფარგლებში სავალდებულო არ არის.

ამგვარად, უნდა გავარჩიოთ ენობრივ ფორმათა მიმართების ორი სახე:

ა) ფორმაწარმოება ანუ ფლექსია (ლათ. flexio „ღუნვა, დრეკა“): კუდ-**ი**, კუდ-**მა**, კუდ-**ს**...

ბ) სიტყვაწარმოება ანუ დერივაცია (ლათ. დერივატიო „გადახრა“): **კუდ**-ი → **კუდ-ა**, **კუდ-იან**-ი, **უ-კუდ-ო**...

გრამატიკის ინტერესის საგანი, უპირველეს ყოვლისა, არის ფორმაწარმოება, ამიტომაც მორფოლოგია უმთავრეს ყურადღებას ფორმაცვალებას დაუთმობს.

ფორმაწარმოება, თავისთავად, ერთგვაროვანი არ არის.

ქართულ ენაში ფორმაცვალების (ფლექსიის) ორი ძირითადი ნაირსახეობა, ანუ ფორმაცვალებად სიტყვათა ორი ძირითადი ჯგუფი უნდა გამოვყოთ:

1. სიტყვები, რომლებიც საგანთა მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავენ და რომლებიც ფორმას იცვლიან წინადადების შინაარსისა და მასთან დაკავშირებული დანარჩენი წევრების კარნახით.

2. სიტყვები, რომლებიც სამყაროს საგნობრივ („ობიექტურ“) გამოვლინებათ ასახავენ და რომლებიც ფორმას იცვლიან წინა, (1) კატეგორიის სიტყვებთან ან ურთიერთთან კავშირის დასამყარებლად.


პირველი სახის ფორმაცვალებას ჰქვია უღლება; ხოლო სიტყვას, რომელსაც უღლება ახასიათებს, **ზმნა** ეწოდება.

ამდენად, **ზმნა** უღლებადი სიტყვაა.

მეორე სახის ფორმაცვალებას ბრუნება ჰქვია; ხოლო სიტყვას, რომელსაც ბრუნება ახასიათებს, **სახელი** ეწოდება.

ამდენად, **სახელი** ბრუნებადი სიტყვაა.

ყოველივე აღნიშნული შეიძლება სქემატურად გამოვსახოთ:



III. 1.2. სახელის რაობისათვის. ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილ მეტყველების ნაწილებს შორის ოთხის დასახელებაში შედის ტერმინი სახელი; ესენია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი. ამის მიხედვით, საერთო, გამაერთიანებელი ცნებაა „სახელი“, ხოლო თითოეული კლასის თავისთავადობის წარმომჩენი, განმასხვავებელი — ტერმინის პირველი ნაწილი: „არსებითი“, „ზედსართავი“, „რიცხვითი“, „ნაცვალ-“.

ამდენად, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ცნება-ტერმინი **„სახელი“** აერთიანებს სრულიად არაერთგვაროვან რამდენიმე ლექსიკურ ჯგუფს (შდრ., ერთი მხრივ — „ს ა გ ა ნ ი“, მეორე მხრივ — „თ ვ ი ს ე ბ ა“, მესამე მხრივ — „რ ა ო დ ე ნ ო ბ ა“...); ამ ცნების ქვეშ გაერთიანებული სიტყვები არც ფუნქციონალური თვალსაზრისით არის ერთგვაროვანი: არსებითი სახელი უბრალოდ მიემართება აღსანიშნს, ხოლო ნაცვალსახელი, შეიძლება ითქვას, საგნობრივი თვალსაზრისით მხოლოდ სიმბოლური ხასიათისაა.

მაშ, რა არის ის, რითაც ცნება „ს ა ხ ე ლ ი“ ამ ოთხი კლასის გამაერთიანებელი შინაარსის მატარებელია.

ცხადია, ის, რის გამოც ეს ცნებები გრამატიკაში (მორფოლოგიაში) არის შემოტანილი (იხ. „მეტყველების ნაწილთა დახასიათება“), ანუ განმსაზღვრელია ის გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციას (ერთი მხრივ, „სახელების“ გამოყოფას, მეორე მხრივ — „სახელების“ შიდა გამიჯვნას) უდევს საფუძვლად.

უპირველეს ყოვლისა, საერთო (გამაერთიანებელი) ცნება **სახელი** უნდა დავახასიათოთ იმ გრამატიკული კატეგორიის მიხედვით, რომელიც ასევე საერთო იქნება ამ ცნებით წარმოდგენილი სახელთა ყველა კლასისათვის. ასეთი არის ბრუნება.

ამდენად **სახელად** შეიძლება მოვიხსენიოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც განარჩევს ბ რ უ ნ ვ ე ბ ს, ანუ ქმნის ბ რ უ ნ ე ბ ი ს სისტემას.

შენიშვნა: აქ პრინციპული მნიშვნელობისაა ის, რომ ყველა სახელს ახასიათებს ბრუნების კატეგორია, თორემ თვით ბრუნების სისტემა თუ ცალკეული ფორმები შეიძლება ერთგვაროვანი არ იყოს.

სახელებისათვის ასევე დამახასიათებელია გრამატიკული რ ი ც ხ ვ ი ს კატეგორიის მქონებლობა; ოღონდაც ეს კატეგორია შინაარ-

სეულად არსებით სახელს მიემართება, ხოლო დანარჩენ მეტყველების ნაწილებზე გადადის იმდენად, რამდენადაც ისინი ან მსაზღვრელის როლში შეეთანხმებიან არსებით სახელს (მთანი მაღალნი, ორნი ძმანი...), ანდა არსებითი სახელის როლს ასრულებენ (ისი**ნ**ი, მა**თ**, რა**ნ**ი და მისთ.).

სახელი, როგორც ბრუნებადი სიტყვა, ასევე დაირთავს თანდებულებს; ოღონდაც ამ შემთხვევაშიც სივრცული ან სხვა მიმართების გამოხატვა არსებითი სახელის პრეროგატივაა; დანარჩენი მეტყველების ნაწილები თანდებულებს მიიღებენ, როგორც არსებითი სახელის როლში მდგომი ერთეულები.

რამდენიმე გრამატიკული მნიშვნელობა უფრო ლოკალური გამოვლენისაა (მაგ. კუთვნილების გამოხატვა და მისთ.), ამიტომაც მათ საგანგებოდ არ შევეხებით.

III. 1.3. სახელის ჯგუფები შინაარსის (აღსანიშნის) მიხედვით. ამდენად, ცნება „სახელი“ რამდენიმე ლექსიკურ ჯგუფს აერთიანებს:

სახელებში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება სიტყვები, რომლებიც გარემომცველი საგნობრივი სამყაროს ნომინაციურ პროექციას ასახავენ. ყოველ საგანსა თუ მოვლენას ენაში აქვს (შეიძლება ჰქონდეს) თავისი სახელი; საგანი მრავალია და მათი სახელდების შედეგი, შესაბამისად, მრავალფეროვან სურათს იძლევა; საგნის (ობიექტის) ა რ ს ე ბ ო ბ ა ს საგნის სახელი აფიქსირებს; ამიტომაც ჰქვია ამ კლასის სიტყვებს — „**არსებითი სახელი**“.

მეორე მხრივ, ცნება „სახელი“ მოიცავს სრულიად განსხვავებული შინაარსის სიტყვებს, იმ სიტყვებს, რომლებიც საგანთა (ობიექტების) ნიშან-თვისებას გამოხატავენ. ნიშან-თვისება ნაირგვარია და შესაბამისი სიტყვებიც მრავალფეროვანი (ისინი შეიძლება ასახავდნენ მატერიალური სინამდვილის სულ სხვადასხვა თვისებას: ფერს, ფორმას, სიდიდეს, წონას, შედგენილობას და მისთ.). ეს სიტყვები ისევე „ახლავს“ არსებით სახელს, როგორც საგანს „ახლავს“ ესა თუ ის თვისება. ამ კლასის სახელებს ჰქვია „**ზედსართავი სახელი**“.

კიდევ ერთი შინაარსობრივი ჯგუფი სახელებისა არის „**რიცხვითი სახელი**“. ეს არის საგანთა რაოდენობასთან დაკავშირებული სიტყვები, რომლებიც არსებით სახელთან მიმართების თვალსაზრისით (ანუ ატრიბუტული შინაარსითა და ფუნქციით) უფრო ზედსართავ სახელთა კლასს ეკედლება.

კიდევ უფრო განსხვავებულია ენობრივი დანიშნულება იმ განზოგადებული (არაკონკრეტიზებული) შინაარსის სიტყვებისა, რომლებიც არც კონკრეტულ საგნობრივ სემანტიკას შეიცავენ (როგორც არსებითი სახელები) და არც განსაზღვრულ ნიშან-თვისებას გადმოსცემენ (როგორც ზედსართავები), მაგრამ ერთი კლასის სიტყვების ჩანაცვლებაც შეუძლიათ და მეორისაც; ამ „ჩ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ი თ ი“ დანიშნულებიდან გამომდინარე, მათ ს უ ბ ს ტ ი ტ უ ტ ე ბ ს ა ც უწოდებენ (ლათ. substitutum ← substitutio შენაცვლება, სუბსტიტუცია). ამ კლასის სიტყვებს ქართულში აერთიანებს ტერმინი „**ნაცვალსახელი**“.

ამდენად, გამოიყოფა „ს ა ხ ე ლ თ ა“ ოთხი ჯგუფი, რომელთა სახელწოდებები მათს საერთოსაც ასახავს და განსხვავებულსაც; სახელდობრ:

ა) **არსებითი სახელი** — კლასი სრულმნიშვნელოვან სიტყვათა, რომლებიც გარემომცველ ს ა გ ნ ე ბ ს ა და მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ს ასახავენ (მაგ.: ძაღლი, ხე, ქვა, ღრუბელი, დარდი...);

ბ) **ზედსართავი სახელი**: სიტყვები, რომლებიც საგანთა თ ვ ი ს ე ბ ე ბ ს გადმოსცემენ (მაგ.: მაღალი, მძიმე, თეთრი, კეთილი...);

გ) **რიცხვითი სახელი:** სიტყვები, რომლებიც საგანთა რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ აღრიცხვასთან (რაოდენობრიობასთან) არის დაკავშირებული (მაგ.: ორი, ასი, ათასი, მეცხრე, მეოთხედი...);

დ) **ნაცვალსახელი:** კლასი ისეთი სიტყვებისა, რომელთა დანიშნულებაა დანარჩენი (წინა სამი) ჯგუფის სახელების ჩ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ა ფუნქციონირების დონეზე (შენ, იგი, ჩემი, რა, რომელი, რამდენი...).

III. 1.4. სახელის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები. როგორც ითქვა, ყველა სახელი იბრუნება, ანუ ბრუნებადი სიტყვა, საზოგადოდ, არის სახელი. **ბრუნება** სახელთა საერთო კატეგორიაა.

სახელებისათვის ასევე ნიშანდობლივია სიმრავლის გამოხატვის უნარი, ანუ სახელებს აქვთ **რიცხვის** კატეგორია. რიცხვი სახელისა და ზმნის საერთო კატეგორიაა; უფრო ზუსტად: ზმნაშიც აისახება სახელის რიცხვი.

უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორიები უმთავრესად ეკუთვნის არსებით სახელთა ჯგუფს (იხ. არსებითი სახელი: ბრუნება, რიცხვი), ხოლო დანარჩენ სახელებს — იმდენად, რამდენადაც ისინი არსებით სახელთან არიან დაკავშირებული.

III. 1.5. ბრუნების კატეგორია. ბრუნება არის სახელის ფორმაცვალება ბრუნვათა მიხედვით.

ბრუნვის ფორმა — ეს არის სახელის ფუნქციონირების ფორმა.

როგორც ითქვა, სახელი იმისთვის იცვლის ფორმას, რომ გრამატიკულად დაუკავშირდეს სხვა სიტყვებს (პირველ რიგში — ზმნებს). სახელის ფლექსიური ფორმა ანუ ბრუნვა ქმნის გრამატიკულ მიმართებებს (კავშირებს) წინადადების წევრებს შორის. ბრუნვათა ფუნქციები დგინდება აღნიშნული სინტაგმატური მიმართებების გათვალისწინებით.

ბრუნების კატეგორია გულისხმობს ფლექსიურ პარადიგმას, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა უცვლელია, ხოლო გრამატიკული მნიშვნელობა (სინტაგმატური უნარი) — იცვლება ფორმის ცვლასთან ერთად.

რამდენი ფორმისაგან შედგება ბრუნების პარადიგმა? ანუ: რამდენი ფორმა აქვს სახელის ბრუნებას ქართულში?

ზოგადად: იმდენი, რამდენიც სახელის ენობრივი (გრამატიკული) ფუნქციონირებისათვის არის საჭირო. ქართული სალიტერატურო ენის ბრუნების სისტემა მოიცავს 7 ფლექსიურ ერთეულს (დეტალურად — იხ. ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი).

შენიშვნა: ბრუნვის, როგორც გრამატიკული ერთეულის, არსებობისათვის აუცილებელია დამოუკიდებელი ფორმა და დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ფორმა, რომელსაც დამოუკიდებელი გრამატიკული მნიშვნელობა არ ამაგრებს, ბრუნვად ვერ მიიჩნევა (მაგალითად, სახელი ფუძის სახით [**წარმოდგენილ** იქნა] იგივე სახელობითია, რადგან მას დამოუკიდებელი გრამატიკული მნიშვნელობა არა აქვს). ასევე: მნიშვნელობა, რომელსაც თავისი ფორმა არა აქვს, ბრუნვა ვერ იქნება (მაგალითად: თავისთავად მნიშვნელოვანი „ადგილობითი“ მნიშვნელობა [**სოფლად** საზაფხულო სამუშაოები დაიწყო], მაგრამ ის დამოუკიდებელი ბრუნვა ვერ იქნება, რადგან თავისი ფორმა არ გააჩნია).

III. 1.6. რიცხვის კატეგორია. სახელი მორფოლოგიურად (ფორმაწარმოებით) განარჩევს ე რ თ ს ა და მ რ ა ვ ა ლ ს.

ფორმალური (გრამატიკული) ოპოზიცია, რომელიც არსებითი სახელით გამოხატული (საგნების) რაოდენობრივ (ერთისა და მრავლის) დაპირისპირებას წარმოაჩენს, არის რ ი ც ხ ვ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა.

სიმრავლის მორფოლოგიურ გამოხატვას აღვნიშნავთ ტერმინით მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი, ხოლო მის საპირისპიროდ — ერთის (ცალის) გამომხატველი არის მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი.

ამ ოპოზიციაში მხოლოდ მრავლობითია მარკირებული, ანუ მრავლობითს აქვს თავისი მორფოლოგიური ნიშანი; ხოლო მხოლობითი — არამარკირებულია (შდრ. სახლ-ი → სახლ-ებ-ი...). რიცხვის კატეგორია ფორმალურად ასახულია სახელთა ოთხივე კლასში, ოღონდ შინაარსობრივად ეს კატეგორია მაინც არსებითი სახელის სემანტიკას უკავშირდება.

შენიშვნა: 1. ერთისა და მრავლის სემანტიკური ოპოზიცია შეიძლება გამოხატული იყოს ძირეული მასალის მონაცვლეობითაც (არამორფოლოგიურად), ანუ სუპლეტივიზმის გზით. შდრ.: ერთი მხრივ: ადამიან-ი — ადამიან-**ებ**-ი; ხოლო — მეორე მხრივ: **ადამიან-ი — ხალხი.** სუპლეტურობა დამახასიათებელია გარკვეული არქაული ფუძეებისათვის (იხ. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი). ეს შემთხვევა, როგორც ლექსიკური (არამორფოლოგიური) საშუალება, რიცხვის გრამატიკულ კატეგორიაში ვერ განიხილება.

2. შესაძლებელია სახელს მრავლობითი რიცხვის ფორმა ჰქონდეს, მაგრამ ის შინაარსით მხოლობითი იყოს (მაგ., კ ა რ ე ბ ი... წ ყ ა ლ ნ ი წავლენ და წამოვლენ...).

ბრუნებისა და რიცხვის გამოხატვა სახელში ურთიერთშეთავსებადი კატეგორიებია. სახელის ყოველი ფორმა ერთსა და იმავე დროს არის რომელიღაც ბრუნვისა და რომელიღაც რიცხვის ერთიანი ოდენობა (თუმცა მორფოლოგიურად ეს შეიძლება ერთტიპურად არ იყოს გამოხატული; შდრ.: ხე-**ებ-ის** და ხე-**თა**...).

თავი II. არსებითი სახელი

III. 2.1. არსებითი სახელის რაობა. უკვე წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, ბრუნებად სიტყვათა, ანუ სახელთა, შორის ძირითადი ადგილი არსებით სახელს უჭირავს.

არსებითი სახელი იმ საბაზო მნიშვნელობებს (სემანტიკას) მოიცავს, რაც ადამიანის გარემომცველი სამყაროს მრავალფეროვან საგნობრივ (არსობრივ) შემადგენლობას ასახავს. სამყაროს ენობრივი შეცნობა (პროეცირება) უპირველესად მისი საგნობრივი მრავალფეროვნების სახელდებით ხორციელდება.

არსებითი სახელი, საერთაშორისო (ლათინური) ტერმინით — სუბსტანტივი, არის მეტყველების ნაწილი, რომელიც ობიექტურ საგნობრივ სინამდვილეს ასახავს. როგორც სუბსტანტივი არის ენობრივი ამსახველი, აღმნიშვნელი სუბსტანციისა, არსებითი სახელი ასევე ასახავს საგნობრივ არსს, საგანთა არსებობას. „არსებითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელსაც საგნობრივი წარმოდგენა ახლავს“ (ა. შანიძე). საგანი ამ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, როგორც განზოგადებული ცნება, რომელიც მოიცავს როგორც რეალურ საგნებს, ისე იმგვარ რეალობებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერების მიერ არის გათანაბრებული საგნებთან. ამ შემთხვევაში ტერმინი „საგანი“ გაიგება როგორც აღსანიშნი. შესაბამისად: არსებითია სახელი, რომლის აღსანიშნსაც დაესმის კითხვები — „ვინ?“ და „რა?“

ამგვარად, აღსანიშნი, რომელსაც არსებითი სახელი, როგორც აღმნიშვნელი, მიემართება, არის საგანი ან მოვლენა.

საგანი გულისხმობს ყველა მატერიალურ (ნივთიერ) არსს, რომლის აღქმაც გრძნობათა ორგანოებით არის შესაძლებელი: ბავშვი, კვიცი, ჭია, მიწა, ნისლი, ქარი, ცეცხლი, სხივი...

მოვლენა გულისხმობს, ერთი მხრივ, განყენებულ (აბსტრაქტულ) სუბსტანციასა (სული, სევდა, ბედნიერება, სიყვარული...) და, მეორე მხრივ, ფსიქიკურსა თუ ფიზიკურ უხილავ პროცესებს (ვითარებას) (ყინვა, ფიქრი, ლაპარაკი, ხატვა, წვიმა, ფრენა...).

შენიშვნა: შესაძლებელია ერთი და იგივე სიტყვა, სემანტიკურ მიმართებათა მიხედვით, საგანსაც შეესაბამებოდეს და მოვლენასაც (შდრ.: „**ახალგაზრდობა** შეიკრიბა“ და „**ახალგაზრდობა** ბედნიერი ხანაა“.

ამგვარად: არსებითი სახელი ამოიცნობა კითხვებით: „**ვინ**“ და „**რა**“; ანუ: ყოველი სიტყვა, რომელიც „ვინ“ ან „რა“ კითხვას შეესაბამება, არსებითი სახელია.

III. 2.2. არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები. ვინაიდან არსებითი სახელი სიტყვათა მეტად მრავალრიცხოვან კლასს წარმოადგენს და ეს კლასი, როგორც უკვე გამოჩნდა, ლექსიკურ-სემანტიკური არაერთგვაროვნებითაც გამოირჩევა, ფორმაწარმოების უწინარეს, ყურადღების მიქცევას მოითხოვს არსებით სახელთა შიდა შინაარსობრივი კლასიფიკაცია, გარკვეული სემანტიკური ჯგუფების არსებობა გრამატიკულად ერთიანი კლასის შიგნით. მით უმეტეს, რომ ამგვარ დაჯგუფებას გარკვეული კავშირი მოეპოვება არსებითი სახელის ფორმაწარმოების კანონებთან, სემანტიკა რაღაც გამოძახილს ფორმაწარმოებაშიც პოვებს.

არსებით სახელთა შინაარსობრივი კლასიფიკაციის ნიშნით გამოიყოფა რამდენიმე ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია:

ა) „**ვინ**“ — „**რა**“ ოპოზიცია;
ბ) „სულიერი“ — „უსულო“;
გ) „კონკრეტული“ — „აბსტრაქტული“;
დ) „საკუთარი“ — „საზოგადო“;
ე) კრებით სახელთა ჯგუფი;
ვ) ნივთიერებათა სახელები;
ზ) მოქმედების სახელი.

დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

III. 2.2.1. „ვინ“ და „რა“ ოპოზიცია. აღნიშნულ შინაარსობრივ ოპოზიციათაგან უმთავრესია ადამიანის დაპირისპირება დანარჩენ საგნობრივ სამყაროსთან (სულიერთანაც და არასულიერთანაც), რაც ქართული ენის ერთ-ერთი სპეციფიკაა. **ვინ** (ანუ ადამიანი) უპირისპირდება ყველა სხვა სუბსტანციას (ცოცხალსაც და არაცოცხალსაც):

„ვინ“—ჯგუფში შედის სიტყვები, რომლებიც ადამიანს აღნიშნავს არსობრივად თუ რანგობრივად (პროფესიულად): დედა, მამა, და, ძმა, კაცი, ქალი, ბიჭი, ბავშვი, თავადი, მებადური, ექიმი...

შენიშვნა: თუ უკანასკნელი ტიპის სახელი თავად წოდებასა თუ პროფესიას გამოხატავს, ის „რა“—ჯგუფში გაერთიანდება (შდრ.: „რა გამოხვალ? — „ექიმი“).

ყველა დანარჩენი არსებითი **„რა“**—ჯგუფს განეკუთვნება — როგორც სულიერთა (ცხოველთა), ისე უსულოთა (მცენარეთა, სხვა საგანთა) აღმნიშვნელი: ცხვარი, მტრედი, ჭიანჭველა, მუხა, ქოხი, თიხა, თაფლი...

„ვინ“ — „რა“ კატეგორიის სიღრმული სემანტიკური მახასიათებლები ქართულში მჟღავნდება სახელისა და ზმნის ფორმაწარმოებისა და სიტყვაწარმოების ცალკეულ უბნებზე (შდრ. ქალაქ-**ელ**-ი და ქალაქ-**ურ**-ი...).

III. 2.2.2. „სულიერი“ — „უსულო“. კატეგორია „სულიერი“ — „უსულო“ გულისხმობს საგანთა კლასის გაყოფას სიცოცხლის „მქონებლობის“ მიხედვით. ოღონდ ეს ოპოზიცია არ უდრის „ცოცხალი“ — „არაცოცხალის“ დაპირისპირებას, ვინაიდან, ამ ოპოზიციის მიხედვით, მცენარეებიც „ცოცხალ“ კლასში მოიქცევა, ხოლო წინამავალ კლასიფიკაციაში მცენარეები „უსულოთა“ ჯგუფს განეკუთვნება.

ამდენად, სულიერთა ქვეკლასში გაერთიანდება სახელები, რომლებსაც სულიერი (მშვინვიერი) არსებობა აქვს და თავისი ძალით გადაადგილება შეუძლია:

ა) ცხოველები (ლომი, ხარი, ციყვი, დედოფალა...)

ბ) ფრინველები (არწივი, ორბი, მერცხალი, წიწკანა...)

დ) თევზები (სელაპი, დელფინი, ლოქო, კალმახი, ღორჯო...)

ე) მწერები და ქვეწარმავლები (ფუტკარი, კრაზანა, ობობა, გველი, ხვლიკი...)

უსულოთა რიგს განეკუთვნება ყველა დანარჩენი აღსანიშნი: ხე, ძელი, ქვა, კიბე, მთა, სილა...

„სულიერისა“ და „უსულოს“ სემანტიკური განსხვავება თავისებურ გამოვლინებას პოვებს გრამატიკაშიც, კერძოდ, ამ სხვაობას გვიჩვენებს სახელის რიცხვის ასახვა ზმნაში.

III. 2.2.3. „კონკრეტული“ — „აბსტრაქტული“. კატეგორია „კონკრეტული“ — „აბსტრაქტული“ უკავშირდება არსებითი სახელის აღსანიშნის საგნობრივ სუბსტანციას. „კონკრეტული“ გულისხმობს ისეთ საგნობრივ არსებობას, რომელიც ადამიანის (აღმქმელის) გრძნობათა ორგანოებით (შეხებით, მხედველობით, სმენით, ყნოსვით, გემოვნებით) აღიქმება. მაგალითად: ყვავილი, ღრუბელი, სითბო, სუნი, სიმწარე...

განყენებულ (აბსტრაქტულ) სუბსტანციათა აღქმა გრძნობათა ორგანოებით შეუძლებელია, რადგან მათ ფიზიკური (საგნობრივი) არსი არა აქვს, მათი აღქმა მხოლოდ გონებისმიერია (ან გრძნობისმიერია — მისი ძირითადი მნიშვნელობით): არსებობა, სიკვდილი, სიყვარული, სილამაზე, მშვენიერება, ოცნება...

შენიშვნა: ამ თვალსაზრისით „გრძნობისა“ და „შეგრძნების“ მნიშვნელობები უნდა გაიმიჯნოს: „შეგრძნება“ პირველი ქვეკატეგორიის გაგებას მოიცავს — „გრძნობათა ორგანოებით აღქმა“, ხოლო „გრძნობა“ — უპირველესად აბსტრაქტულ განცდას გულისხმობს. შდრ.: ქეგლის განმარტება: „**გრძნობა**: 1. განცდა რაიმე ემოციისა (სიხარულის, მწუხარების, შიშის, სიყვარულის, სიძულვილის, კმაყოფილების...). 2. რაიმე ფიზიკური გაღიზიანების (სუნის, გემოს, შეხების, სითბოს, ტკივილის...) ზემოქმედების განცდა, — შეგრძნება“.

III. 2.2.4. „საკუთარი“ — „საზოგადო“: ამ ოპოზიციის სემანტიკურ შინაარსს ქმნის კონკრეტულ არსებით სახელთა მიმართების თავისებურება შესაბამის ობიექტთან. „საზოგადო სახელს“ ცნებითი შინაარსი აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ შესაბამისი არსებითი სახელით აღნიშნულ ყოველ საგანში მოიაზრება სხვა მსგავს საგანთა ერთობლიობა. მაგალითად, სიტყვა **სკამი** გულისხმობს მრავალგვარ, მაგრამ ერთფუნქციურ („დასაჯდომი“) აღსანიშნს: უფეხოს, სამფეხას, ზურგიანს, მაგარს, რბილს და მისთ. „საკუთარი სახელი“ შინაარსით არაცნებითია — იქნება ის ერთი „საგნის“ აღმნიშვნელი, თუ „საგანთა კრებულისა“. მაგ.: ტიტე, მცხეთა, არაგვი, ბურდული, ლეკი, სპარსი...

ამდენად, აქ გადამწყვეტია არა ის, რომ საკუთარი „ერთს“ მიემართება, ხოლო საზოგადო „მრავალს“, არამედ ის, რომ საკუთარს,

საზოგადოსაგან განსხვავებით, ცნებითი შინაარსი არა აქვს, თუნდაც ის „მრავალს“ მიემართებოდეს. შდრ. **გვარი** და **ჯაბადარი: გვარი** შინაარსობრივი ცნებაა ნათესაობრივი კავშირისა, ხოლო **ჯაბადარი** ამ კატეგორიის კერძოობითი სახელია.

საკუთარი სახელებია: პირთა სახელები (ლუკა, ლილე...), გვარები (ბუაძე, დვალი...), ცხოველთა შერქმეული სახელები (ნიშა, ნიკორა...), ფსევდონიმები (ვაჟა-ფშაველა, მთის ნიავი...), ადგილთა (წყნეთი, თერგი...), ქვეყანათა (დანია, ერაყი...), ეთნოსთა (თურქი, კოლხი...) სახელები, პლანეტების (ვენერა, სატურნი...) სახელები, პერიოდულ გამოცემათა შერქმეული სახელები („დროშა“, „ლელო“...), ობიექტთა, დაწესებულებათა შერქმეული სახელები („მერანი“, „ნაკადული“...)...

საკუთარი სახელების თავისებურება მორფოლოგიაში თავს იჩენს სახელთა ბრუნებისას (სახელობითი, წოდებითი...).

III. 2.2.5. კრებითი სახელები. კრებით სახელებს, როგორც უფრო მცირე, კერძოობით ჯგუფს, ჩვეულებისამებრ, სემანტიკური ოპოზიციის გარეშე გამოყოფენ ხოლმე; თუმცა აქაც იგულისხმება, რომ არსებობს ოპოზიცია „არაკრებითი“ — „კრებითი“. პირველია ყველა ის აღსანიშნი, რომელიც საგნობრივ „ცალკეობას“ („ერთეულობას“) გულისხმობს. მაგ.: ხე, მაგიდა, კალამი, კედელი... კრებით სახელს ფორმა მხოლობითისა აქვს, მაგრამ შინაარსით მრავლობითია; ოღონდ მასში ჩანს სიმრავლე არა იმ სიტყვისა, რომელიც კრებითად წარმოგვიდგება, არამედ — სულ სხვა სიტყვისა; მაგ.: **ხალხი** (ადამიანების სიმრავლე), **გუნდი** (ფრინველთა სიმრავლე), **ფარა** (ცხვრების სიმრავლე), **რემა** (ცხენების სიმრავლე), **ხროვა** (მგლების სიმრავლე) და მისთ.

ამგვარად, კრებითი სახელი აღნიშნავს ერთგვაროვან საგანთა კრებულს, ერთიანობას, „ერთმთლიანობას“.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იგივე არსებითი სახელი, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება „ცალებრივიც“ იყოს (მაგ.: „ცხვარი ცხვარია, მაგრამ, თუ გაცხარდა, ცხარიაო“) და კრებითიც (მაგ.: „ვხედავ მეცხვარეს ჯოხით მხარზედა, წინ უძღვის ცხვარსა, მიდის მთაზედა, ცხვარიც ბევრი ჰყავს თავის თმაზედა...“). ასეთებია: **ძროხა** („წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი...“), **ღორი** („ღორის მწყემსი“), **მტრედი** („მტრედის გუნდი“), **ფოთოლი** („ტყემ მოისხა ფოთოლი...“), **ვაშლი** („ვაშლი დავკრიფეთ“...), **ნაყოფი** („ნაყოფი დაცვივდა“...) და სხვ.

კრებით სახელთა სემანტიკას ანგარიში უნდა გაეწიოს რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით: მათი კრებითი შინაარსი რიცხვში გრამატიკულ შეთანხმებას არ მოითხოვს (ხალხი შეიკრიბა), მაგრამ ზმნის ფუძის სუპლეტურ მონაცვლეობას განაპირობებს (ხალხი დასხდა).

III. 2.2.6. ნივთიერებათა სახელები. ნივთიერებათა სახელების თავისებურება ის არის, რომ მათ კონკრეტული საგნობრივი სახე არა აქვთ, მათი ნივთიერი არსებობა „ამორფულია“, ისინი რაიმე მასის, ნივთიერების ზოგად შინაარსს გამოხატავენ. როგორც ამბობენ, ასეთ ობიექტებს თვლადი სუბსტანცია არა აქვთ — ან ფხვიერ მასას ქმნიან, ან — თხევადს, ან — აიროვანს, ან, უბრალოდ, ნივთიერებას გამოხატავენ. შდრ.:

ა) „**ტყვია** გავარდა“: აქ **ტყვია** კონკრეტული საგნის სახელია.

ბ) „**ტყვია** მადნის სახით მოიპოვება“: აქ **ტყვია** ნიავთიერებას აღნიშნავს.

ნივთიერებათა სახელებია: რკინა, ოქრო, ვერცხლი, პური (როგორც მარცვლეული), წყალი, ღვინო, შაქარი, სილა, მიწა და სხვ.


ნივთიერებათა სახელებს მრავლობითი არ ეწარმოება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი ნივთიერებები „დაფასოებულად“ არის წარმოდგენილი (შდრ.: ღვინოები, წყლები, მიწები...).

III. 2.2.7. მოქმედებათა სახელები. მოქმედებათა სახელები კიდევ ერთი კატეგორიაა არსებით სახელთა კლასში, ვინაიდან ეს ჯგუფი მოიცავს ისეთ თავისებურ სახელებს, რომლებიც ფაქტობრივ ზმნური შინაარსისაა. როგორც ცნობილია, ეს ერთეულები ფორმით (გრამატიკულად) არსებით სახელებს განეკუთვნება, ხოლო სემანტიკურად (წარმომავლობით) ზმნებს — ისინი ნაზმნარი სახელებია. მაგ.: **ხატვა** მასდარია **ხატავს** ზმნისა და მასში არსებითად შენარჩუნებულია ის შინაარსი, რასაც ზმნა წარმოგვიდგენს; მაგრამ მორფოლოგიური სტატუსით **ხატვა** ბრუნებადი სიტყვაა, ანუ არსებითი სახელია „რა“—ჯგუფისა.

ასეთია ყველა მასდარი უგამონაკლისოდ. მასდარის ეს მდგომარეობა არის მიზეზი იმისა, რომ მათი ნაწილი საბოლოოდ გასუბსტანტივდა. მაგ.: შრომა, სიმღერა, ლტოლვა, სიყვარული, სწავლა, განსჯა და სხვ.

როგორც ვხედავთ, არსებით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს; მითითებულ კატეგორი-

ებს შორის არის არათანაბარი და არათანმიმდევრული მიმართებები. მაგრამ მაინც შეიძლება ამ სისტემის გარკვეული იერარქიული სქემის სახით წარმოდგენა:



III. 2.3.. არსებითი სახელი წარმოების მიხედვით. არსებით სახელთა კლასში, ბუნებრივია, თავს იყრის ნაირგვარი წარმომავლობისა (უძველესი ლექსემები, ნასესხობები, დერივატები, კომპოზიტები...) და ნაირგვარი ენობრივი ფენის შემონატანი (არქაული, დიალექტური, ჟარგონული...) ლექსიკური ერთეულები.

ენის ლექსიკური ფონდის, მათ შორის, არსებით სახელთა, ერთერთი ძლიერი შენაკადი არის ახალი სიტყვაწარმოება; დერივატებს დიდი ადგილი უჭირავს სახელურ ფეძეებში.

წარმოების მიხედვით არსებით სახელთა დახასიათება გულისხმობს იმას, რომ ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, სახელური სემანტიკის (ამოსავალი) ძირ-ფუძეები, ხოლო მეორე მხრივ, მათგან, აგრეთვე სხვა მეტყველების ნაწილთაგან წარმოქმნილი ახალი ლექსიკური ერთეულები. ამ თვალსაზრისით არსებითი სახელები გაიყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. პირველადი სახელები: ხე, მთა, სახლი, წყალი, მიწა, ცა, გზა, ეზო, ქალი, კაცი, დედა, მამა, ყური, თვალი, პური, რძე, ცხვარი, თხა...

შენიშვნა: 1. ე. წ. პირველად სახელებში აღმოჩნდება როგორც ძირეული ქართული (მაგ. წყალი), ისე უძველესი ნასესხები ლექსიკა (მაგ. პური), რაც ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიების საქმეა და სახელთა გრამატიკული დახასიათების თვალსაზრისით არ არის აქტუალური.

2. შესაძლებელია ე. წ. პირველადი სახელი ეტიმოლოგიური ანალიზის გზით სტრუქტურულ სეგმენტაციას ექვემდებარებოდეს (ანუ მისი ისტორიული „წარმოქმნილობა“ დასტურდებოდეს), მაგრამ ეს ამ სახელის (ფუძის) შესაბამისი ჯგუფისადმი განკუთვნილებას არ შეცვლის, ვინაიდან ამ კლასიფიკაციაში წარმოქმნილად ჩაითვლება ფუძე მხოლოდ მოქმედი დერივაციის საფუძველზე.

2. მეორეული ანუ წარმოქმნილი სახელები: არსებითი სახელის ახალი ფუძის მიღება შეიძლება მოხდეს ნებისმიერი მეტყველების ნაწილისაგან მრავალფეროვანი წარმომქმნელი (სიტყვამაწარმოებელი) მოდელების საფუძველზე. თავისთავად წარმოქმნილი სახელები ორ ჯგუფად განიყოფება:

ა) აფიქსური სიტყვაწარმოება;

ბ) კომპოზიცია.

არსებითი სახელი შეიძლება წარმოქმნილი იყოს ფაქტობრივ ყველა მეტყველების ნაწილისაგან:

— თავად არსებითისაგან: ხელ-ი → **ხელობა, სახელო, ხელოსანი**...

— ზედსართავისაგან: წითელ-ი → **წითელა,** რბილ-ი → **რბილობი**...

— რიცხვითისაგან: ერთ-ი → **ერთობა,** სამ-ი → **სამება,** ას-ი → **ასეული**...

— ნაცვალსახელისაგან: თავ-ი → **თავისიან-ი,** თვის-ი → **თვისობა**; მე → **მეობა;** ურთიერთ-ი → **ურთიერთობა**...

— ზმნიზედა: აქ(ა) → **აქაობა, სააქაო,** ქვეშ → **ქვეშეთ-ი**...

— ზმნა: კერავ-ს → **კერვა;** რბი-ს → **სირბილი,** უყვარ-ს → **სიყვარული**...

— უდეტრები: არა → **არაობა,** ჰო → **ჰოობა,** ალბათ → **ალბათობა** და სხვ.

აფიქსები (პრეფიქს-სუფიქსები), რომლებიც გამოყენებულია ამგვარი სიტყვაწარმოების დროს, ასევე მრავალფეროვანია (იხ. სიტყვაწარმოება):

კომპოზიციის გზით წარმოქმნილი არსებითი სახელები ადასტურებს ფუძეთა შეერთების ყველა იმ შესაძლებლობას, რაც, საზოგადოდ, კომპოზიციას ახასიათებს და ამ გზით მრავალრიცხოვანი სახელებია წარმოქმნილი:

— რედუპლიკაცია: ბებერი, გორგოლა, გვირგვინი, ფირფიტა...

— ტოლადშერწყმული ანუ ორცნებიანი კომპოზიტები: და-ძმა, მთა-ბარი, მტერ-მოყვარე...

— ერთცნებიანი კომპოზიტები, რომელთა მიღება ნაირგვარი ფუძითა და ფორმით ხდება: ძმისწული, ცისკარი, გულთმისანი, წელიწადი... (დეტალურად იხ. კომპოზიცია).

შენიშვნა: გვაქვს შემთხვევები, როდესაც დროთა განმავლობაში მომხდარა წარმოქმნილი ზედსართავი სახელის გასუბსტანტივება, **საკაცე, მხატვარი, მშობელი, მოძღვარი, მასწავლებელი**...

III. 2.4. არსებითი სახელის დაჯგუფების „ზმნური პრინციპი“. გრამატიკული სისტემა ეგოცენტრული ხასიათისაა — გრამატიკულ მიმართებათა წარმმართველია მეტყველი „სუბიექტი“ — **მე**. ეს პრინციპი ზმნური სემანტიკისა და მორფოლოგიის მეშვეობით ხორციელდება, მაგრამ ის ვრცელდება სახელებზეც, ვინაიდან სახელები ამ მიმართებებში აქტანტებად მონაწილეობენ. შესაბამისად, გვაქვს:

1. მოსაუბრე პირი — **მე**

2. საუბრის ადრესატი — **შენ.**

3. საუბრის ობიექტი — **ის,** რომელიც, ჩვეულებისამებრ, სახელდებულია: ღმერთი, კაცი, მხეცი, ხე, სული, ოცნება, სიყვარული...

ამდენად, I და II პირი — მოსაუბრე და თანამოსაუბრე — რეალიზებულია ნაცვალსახელის სახით, ხოლო „ობიექტი“ უპირატესად კონკრეტიზებულია და ის არსებითი სახელით (სუბსტანტივით) არის გამოხატული.

გარდა ამისა, ზმნური შინაარსის თვალსაზრისით აქტიურობა-პასიურობის („სუბიექტურობა“—„ობიექტურობის“) მხრივ არსებით სახელთა ერთგვარი შინაარსობრივი გრადაცია არსებობს: „სუბიექტის“ ფუნქცია, ბუნებრივია, მეტად არის გამოხატული „ვინ“ — ჯგუფის (ადამიანთა) სახელებში, შემდეგ დანარჩენ „სულიერთა“ კლასში და მინიმალურია (არსებითად — სიმბოლურია) „უსულოთა“ კლასში; მაშინ, როდესაც „ობიექტის“ პოზიცია საპირისპირო სურათს გვიჩვენებს — აქ ფუნქციურად პირველ ადგილზე მოდის უსულო საგანთა სახელები...

არსებით სახელთა ეს სემანტიკური თავისთავადობა, როგორც ითქვა, თავის გამოხატულებას პოვებს პარადიგმატიკა-სინტაგმატიკაშიც.

III. 2.5. არსებითი სახელის ბრუნება. არსებით სახელს ახასიათებს ორგვარი ფორმაწარმოება — ბრუნება და რიცხვის გამოხატვა; ფორმაწარმოება გულისხმობს იმას, რომ ყოველი კონკრეტული ფორმის წარმოქმნის დროს ლექსიკური მნიშვნელობა იგივე რჩება, რაც ჰქონდა ამოსავალ (ან — საოპოზიციო) ფორმას, ხოლო გრამატიკული მნიშვნელობა იცვლება.

ბრუნების კატეგორია გულისხმობს იმგვარ ფორმალურ ოპოზიციას, იმგვარ პარადიგმას, რომლის დროსაც პარადიგმის წევრი თითოეული დამოუკიდებელი ფორმა გრამატიკული (სინტაქსური) ფუნქციის თვალსაზრისით ავტონომიური ოდენობაა.

ბრუნვა — როგორც ერთეული — წარმოადგენს ფორმისა და შინაარსის (ფუნქციის) განუყოფელ ერთიანობას. შეიძლება ითქვას: **ბრუნვა არის არსებითი სახელის ფუნქციონირების ფორმა**. ყოველი არსებითი სახელი ბრუნვების მეშვეობით ახერხებს სინტაგმატური კავშირების დამყარებას წინადადების სხვა ფორმალურ წევრებთან.

ბრუნებაზე შეიძლება ვისაუბროთ, თუკი არსებობს მინიმუმ ორი ბრუნვის ფორმა მაინც. თუ სახელი ზოგადად, ან რომელიმე კონკრეტული სახელი ასეთი ცვლის უნარს მოკლებულია, ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში ბრუნვის კატეგორია არ არსებობს. ბრუნვა, როგორც კატეგორია, ფორმისა და შინაარსის სინთეზს ემყარება. დამოუკიდებელი ბრუნვის არსებობისათვის ორივეს ერთდროული („სინთეზური“) არსებობა არის აუცილებელი.

შეიძლება დამოუკიდებელი ფორმა არსებობდეს, მაგრამ მას არ ჰქონდეს დამოუკიდებელი ფუნქცია და ის ვერ მიიჩნევა ბრუნვის ფორმად. მაგ.: დღესაც არსებობს ისეთი ფორმა (ნულ-ფორმა), რომელიც ძველ ქართულში წრფელობითის სახელით არის ცნობილი („საქართველო **აღიარებულ** იქნა ერთა ლიგის მიერ“), მაგრამ ვინაიდან მას არ მოეპოვება დამოუკიდებელი ფუნქცია, დამოუკიდებელ ბრუნვად მისი მიჩნევა შეუძლებელია.

მეორე მხრივ: შესაძლებელია რომელიმე თავისთავადი გრამატიკული მნიშვნელობა არსებობდეს, მაგრამ თუ მას არ შეესაბამება დამოუკიდებელი ფორმა, მისი მიჩნევაც ბრუნვად შეუძლებელი აღმოჩნდება. მაგ.: დიდი განსხვავებაა მასალის გამომხატველი მსაზღვრელის მნიშვნელობასა („ხ ი ს სახლი“) და ქვემდებარისებრ უბრალო დამატებას შორის („ძ მ ი ს ნაშენები სახლი“), მაგრამ ისინი სხვადასხვა ბრუნვებად ვერ მიიჩნევა, რადგანაც ფორმის მხრივ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ქართულ ენაში სახელებისათვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია ბრუნება; ოღონდ სახელთა ჯგუფებს შორის ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებაა — ნაცვალსახელთა ნაწილს ეს კატეგორია მეტად შეზღუდული აქვს (მაგ.: მე, შენ, ვინ...). ასევე შეზღუდულად ვლინდება ბრუნების პოტენციალი ზმნიზედებში (აქ — აქით — აქამდე...) და მისთ.

ბრუნვის კატეგორია, უპირველეს ყოვლისა, არსებითი სახელისთვის არის დამახასიათებელი; შეიძლება ითქვას, არსებითი სახელი ყველა იბრუნება უგამონაკლისოდ; ცალკეული თავისებურებები ამ საერთო კანონზომიერებას არ ცვლის.

ამგვარად: თუკი რომელიმე კონკრეტულ არსებით სახელს ავიღებთ და მას „მოვთხოვთ“ იცვალოს ფორმა ენაში არსებულ სინტაგმატურ მიმართებათა შესაბამისად, მივიღებთ ფორმალურ პარადიგმას, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგვიდგენს სახელის ბრუნებას. მაგ.:

შოშიამ კვერცხი გამოტეხა.
შოშია თავდაპირველად მხოლოდ პირს აღებდა.
შოშიას შია!
ბარტყი მალე **შოშიად** იქცა.

ხაზგასმული სიტყვები, როგორც სინტაგმატურად განპირობებული სისტემის წევრები, უკვე წარმოადგენს გარკვეულ ბრუნების სისტემას:

შოშიამ
შოშია
შოშიას
შოშიად

ამის შემდეგ დგება მხოლოდ საკითხი, ჯერ ერთი, მათი რაოდენობრივი სისრულისა, და მეორეც — ბრუნვის ფორმათა სტრუქტურული ურთიერთმიმართებისა, ანუ — თანამიმდევრობისა.

III. 2.6. ბრუნვის ფორმათა რაოდენობა. რამდენი ბრუნვის ფორმა შეიძლება იყოს ენაში?

ზოგადად იმდენი, რამდენგვარადაც იცვლის ფორმას არსებითი სახელი ამ ენაში, რათა ამავე ენისათვის სავალდებულო სინტაქსური მიმართებები დაამყაროს.

ბრუნვათა შემადგენლობა (და რაოდენობა) ყოველ ენას თავისი აქვს; აქ ერთი უნივერსალური საზომი არ არსებობს:

ძველ ბერძნულს ჰქონდა 5 ბრუნვის ფორმა (ნომინატივი, გენიტივი, დატივი, აკუზატივი, ვოკატივი);

ძველ ფრიგიულს — 7;

ძველ სომხურს — 7 (ზოგი ვერსიით 5);

ძველ ქართულს — 9;

თანამედროვე გერმანულს — 4 (ისტორიულად — 5);

რუსულს — 6 (ისტორიულად — 7).

თანამედროვე ქართულის ბრუნების პარადიგმა 7 ერთეულს შეიცავს. მათგან სამი ე. წ. პირდაპირ ბრუნვებს განეკუთვნება (პოლიპერსონალური ზმნის სუბიექტ-ობიექტების ფუნქციას ასრულებს); ესენია **სახელობითი**, **მოთხრობითი** და **მიცემითი.**

სამი — ირიბი ბრუნვაა, რომელთა ფუნქციები კუთვნილების, მასალის, გარდაქცევითობის, ლოკალიზაციიის მნიშვნელობებს ითავსებს. ესენია: **ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი.**

ერთი ბრუნვა — **წოდებითი** — ცალკე დგას, რამდენადაც მისი ფუნქცია ოდენ მიმართვის როლით შემოიფარგლება და, ამდენად, სინტაგმატურ მიმართებათა უნარი უკიდურესად შეზღუდული აქვს.

შენიშვნა: არსებობს თვალსაზრისი, რომ წოდებით ბრუნვას ბრუნების პარადიგმაში ადგილი არ უნდა ეჭიროს, რამდენადაც ის ფუნქციით არ ეთანადება ამ პარადიგმის დანარჩენ წევრებს. მაგრამ, მეორე მხრივ, წოდებითი ნამდვილად განეკუთვნება არსებითი სახელის ფორმა-

წარმოებით (ფლექსიურ) სისტემას და მისი ადგილი შეიძლება მხოლოდ ბრუნების პარადიგმაში იყოს და არა — სხვაგან (იხ. ქვემოთ).

III. 2.7. ბრუნვათა რიგი. ამგვარად, არსებითი სახელის ბრუნების პარადიგმა თანამედროვე ქართულში ბრუნვის შვიდ ერთეულს, ანუ შვიდ დამოუკიდებელ ფორმას იცნობს. მათი დღემდე დადგენილი სახელწოდებები და თანამიმდევრობა შემდეგი სახისაა:

1. სახელობითი
2. მოთხრობითი
3. მიცემითი
4. ნათესაობითი
5. მოქმედებითი
6. ვითარებითი
7. წოდებითი

სრულიად აშკარაა, რომ ბრუნვათა ეს თანამიმდევრობა არ მისდევს ინდოევროპული ენებისათვის (ამოსავალში — ბერძნულ-ლათინურისათვის) მიღებულ ძირითად ბრუნვათა რიგს, დამკვიდრებულს დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებიდან“:

1. nominativus (= სახელობითს)
2. genetivus (= ნათესაობითს)
3. dativus (= მიცემითს)
4. accusativus (= ბრალდებითს)
5. [vocativus (= წოდებითს)]

დაისმის კითხვა: რამ განაპირობა ბრუნვათა ასეთი რიგის მიღება ქართულში, მით უმეტეს, რომ ამ რიგის დამამკვიდრებელი აკად. ა. შანიძე თავადვე აღნიშნავს, ბრუნვები ქართულში შეიძლება სხვადასხვა რიგით იქნეს დალაგებულიო.

ბრუნვათა ამგვარი თანამიმდევრობა განპირობებულია სამი სხვადასხვა ფაქტორის მიხედვითთ:

ა) მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი თ: ბრუნვის ნიშანთა (სუფიქსთა) სტრუქტურის მიხედვით;

ბ) ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი თ (უკეთ — მ ო რ ფ ო ფ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი თ): იგულისხმება ბრუნვის ნიშანთა და სახელის ფუძის ურთიერთგავლენა;

გ) ს ი ნ ტ ა ქ ს ურ - ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი თ: აქ გათვალისწინებულია ბრუნვათა ძირითადი ფუნქციები.

დავაზუსტოთ თითოეული ფაქტორის სპეციფიკა:

ბრუნვის ნიშანთა ძირითადი სისტემა (პარადიგმა) ასეთი სახისაა:

-ი
-მა
-ს
-ის
-ით
-ად
-ო

როგორც ვხედავთ, ბრუნვის ნიშანთა ოთხგვარი სტრუქტურა დასტურდება: 1. V (ოდენ ხმოვანი): **-ი, -ო**
2. C (ოდენ თანხმოვანი): **-ს**
3. CV (თანხმოვანი — ხმოვანი): **-მა**
4. VC (ხმოვანი — თანხმოვანი): **-ის, -ით, -ად**

ამ ბოლო სტრუქტურის (VC) ფორმანტები შემოთავაზებულ პარადიგმაში ერთად არის თავმოყრილი და მათს თანამიმდევრობაში ხმოვნითი ერთობაც არის გათვალისწინებული: ჯერ -**ის**, -**ით**, შემდეგ -**ად**.

ამ სამი ბრუნვის ურთიერთმიმდევრობაში ასევე ერთვება ფუნქციონალური ფაქტორი (იხ. პუნქტი გ.).

აღნიშნული თვალსაზრისით მხოლოდ V სტრუქტურის სუფიქსებია ურთიერთისაგან გათიშული (სახ. **-ი** და წოდ. **-ო**) და ეს განპირობებულია წოდებითი ბრუნვის სინტაქსურ-ფუნქციონალური თავისებურებით (იხ. პუნქტი გ.)

ბ) ბრუნვათა დალაგების მორფოლოგიურ ფაქტორს ავსებს სახელის ბრუნების მორფოფონოლოგიური თავისებურება; კერძოდ, აღწერილ ბრუნვის ნიშანთაგან მხოლოდ VC სტრუქტურის სუფიქსებს აქვს სახელის ფუძეზე მარედუცირებელი ზეგავლენა, რაც გარკვეული სტრუქტურის ფუძეთა შემადგენლობიდან ბოლოკიდური მარცვლის ხმოვნის დაკარგვას განაპირობებს. სხვა სუფიქსებს ამგვარი ზეგავლენა არ ახასიათებს (უფრო დეტალურად — იხ. ქვემოთ, სათანადო პარაგრაფში).

მეორე მხრივ, ძირეულ და აფიქსურ მორფემათა ურთიერთზემოქმედების შედეგად არც ბრუნვის ფორმანტები რჩება უცვლელად, ამიტომაც მორფოფონოლოგიის თვალსაზრისით ბრუნვის ნიშანთა პოზიციური ცვლილებებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

გ) რაც შეეხება სინტაქსურ-ფუნქციონალურ ფაქტორს, ამ შემთხვევაში უპირველესად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმას, ე.

წ. პირდაპირია რომელიმე კონკრეტული ბრუნვა, თუ — ირიბი; კერძოდ, წარმოდგენილ პარადიგმაში თანამიმდევრობით დასახელებულ ბრუნვათაგან პირველი სამი (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი) სუბიექტის ბრუნვებია (აგრეთვე — პირმიმართ სახელთა, ობიექტთა), ხოლო მომდევნო სამი (ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი) — ირიბი ბრუნვები.

რაც შეეხება წოდებითს, მისი სინტაგმატური ვალენტობა არსებითად ნულის ტოლია, ის ერთობ შეზღუდული ფუნქციონირებისაა — მხოლოდ მიმართვის ფორმად გამოიყენება. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამ ბრუნვამ ბოლოკიდური პოზიცია დაიკავა ბრუნვის პარადიგმაში (და არა — მეორე, სტრუქტურის გათვალისწინებით).

კომენტარს მოითხოვს ბრუნვათა ორი სამეულის შიდა ურთიერთგანლაგებაც. კერძოდ:

ა) **სახელობითი**
მოთხრობითი
მიცემითი

სახელობითი ბრუნვა — ეს არის სახელდების ფორმა, ანუ არსებითი სახელის ის მდგომარეობა, რომლითაც სახელი ერქმევა სახელდების ობიექტს (აღსანიშნს); სხვაგვარად: ეს არის ის ამოსავალი (ნეიტრალური) ფორმა, რომელსაც არსებითი სახელი მიიღებს იმ შემთხვევაში, როდესაც მიუგებს კითხვას: რა არის (ეს)? ვინ არის (ეს)? ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ შესაბამისი გრამატიკული შინაარსის ბრუნვა ყველა ენაში დგას პირველ ადგილას და ის ბევრ ენაში არამარკირებულია, ანუ ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ასე იყო ეს უძველეს ქართულშიც). ამავე დროს, როგორც ითქვა, სახელობითის „პირველობის“ განმსაზღვრელია ისიც, რომ ის არის სუბიექტის ერთ-ერთი ძირითადი ბრუნვა.

მოთხრობითი: ფუნქციონალური თვალსაზრისით განსაკუთრებული დატვირთვის ბრუნვაა — გვხვდება მხოლოდ სუბიექტის ბრუნვად, ისიც მხოლოდ გარდამავალი ზმნის II სერიაში. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ბრუნვას „მეორე სახელობითს“ უწოდებენ (შესიტყვება ეკუთვნის მოსე ჯანაშვილს). ეს გამართლებულია როგორც ისტორიული (წარმომავლობითი), ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით. ამიტომაც მისი დასმა სახელობითის შემდეგ განსაკუთრებულ დასაბუთებას არ მოითხოვს.

მიცემითი: ეს ბრუნვა სინტაქსურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ბრუნვაა. ამ მხრივ ის პირველ რიგში ეკუთვნის პირდაპირ ბრუნვებს, როგორც რეალური სუბიექტი (ინვერსიულ ფორმებში) და როგორც — ობიექტი (ირიბი და პირდაპირი — I სერიაში); მეორე მხრივ, ის ასრულებს უბრალო დამატების როლს (უთანდებულოდ და თანდებულით), ასევე გამოხატავს ლოკალიზაციას (უთანდებულოდ ან თანდებულითურთ).

ბ) **ნათესაობითი**
მოქმედებითი
ვითარებითი

ირიბ ბრუნვათაგან ნათესაობითზე უთუოდ განსაკუთრებული დატვირთვა მოდის, ვინაიდან ის ერთადერთია ე. წ. სუბსტანტური მსაზღვრელის როლში; ასევე გამოხატავს ის უბრალო დამატების ფუნქციას. ამიტომაც უკავია მას პირველი ადგილი ირიბ ბრუნვათა შორის!

მოქმედებითი: ასევე ითავსებს უბრალო დამატების ფუნქციას, ხოლო ლოკალურ მიმართებათა თვალსაზრისით ეს ბრუნვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვითარებით ბრუნვასთან ერთად.

მათი ურთიერთმიმდევრობა განპირობებულია ასევე მორფოლოგიური (სტრუქტურული) და მორფოფონოლოგიური ფაქტორებით (იხ. ზემოთ).

III. 2.8. ბრუნვათა სახელწოდებანი და შინაარსი. თანამედროვე ქართულში, ტრადიციულად, სახელისათვის შვიდ ბრუნვას გამოყოფენ: **სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი** და **წოდებითი**. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმითა და ფუნქციით.

ბრუნვათა სახელწოდებების უმეტესობა ნათარგმნია ბერძნულიდან ან ლათინურიდან, მხოლოდ ორია შექმნილი ქართულ ნიადაგზე: მოთხრობითი ბრუნვა (ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებული ტერმინი) და ვითარებითი ბრუნვა (აკაკი შანიძის ტერმინი).

ტერმინები: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და სხვ. პირობითი ხასიათისაა. არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ, მაგ., ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი არავითარ ნათესაობას არ გამოხატავს (ხის სახლი, ვერცხლის საათი, უნივერსიტეტის შენობა...).

ბრუნვის სახელდება ხდებოდა მისი ფუნქციიდან გამომდინარე.

ტერმინი **სახელობითი** (nominativus — „ნომენ“ სახელი) რომაელი გრამატიკოსებისგან მომდინარეობს და ბერძნულ გრამატიკაში მის ნაცვლად იხმარებოდა „ორთე“ — „წრფელობითი“ (პირდაპირი). სახელობითი საგნის სახელწოდების გამომხატველი ფორმაა. ამ ბრუნვაში დასმული სახელი სალექსიკონო ერთეულია, იგი მიჩნეულია პირდაპირ ბრუნვად, თუმცა „ირიბ“ მიმართებასაც ასახავს. სახელობითი ბრუნვა თუ მოთხრობით ბრუნვასთან ერთად არის წარმოდგენილი წინადადებაში („კაცმა სახლი ააშენა“), იგი პირდაპირ ობიექტს გამოხატავს, ხოლო თუ მიცემითი ბრუნვის გვერდითაა — სუბიექტს („კაცი სახლს აშენებს“).

მოთხრობითი (ბერძნ. ergates — მოქმედი პირი) ბრუნვა ქართულში დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ერთეულადაა გამოყოფილი; იგი სპეციფიკურ ბრუნვად მიიჩნევა და გამოხატავს გარდამავალი ზმნის სუბიექტს. მოთხრობითი ბრუნვა გამოხატავს იმ საგანს, რომლის შესახებაც ხდება თხრობა (რომელზეც მოგვითხრობენ).

მოთხრობითი ბრუნვის ქონა, ანუ ბრუნების ეს თავისებურება განპირობებულია უღვლილების თავისებურებით, კერძოდ, გარდამავალი ზმნის თავისებურებით. იგი მიუთითებს მოქმედზე, აქტიურზე და ამიტომ იხმარება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან (არნ. ჩიქობავა).

მიცემითი (დატივუს) ბერძნული „დოტიკე“-ს ზუსტი თარგმანია. ტერმინი თავად მიუთითებს მასში ჩადებულ შინაარსზე: მიცემითობა, პაციენსობა / სამოქმედოობა. მიცემით ბრუნვას „მიმართულებითიც“ ეწოდება დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში“ და, შესაბამისად, გამოხატავს მიმართულებასაც. მიცემითი ბრუნვის შინაარსი არ არის მხოლოდ მიცემა, იგი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვინმეს რამეს აძლევენ და, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ართმევენ.

ტერმინი **ნათესაობითი** (გენიტივუს), ბერძნული „გენიკე“ არასწორად ითარგმნა ლათინურად და შემდეგ გავრცელდა სხვა ენებშიც. „გენიკე“ ნიშნავს „გვარეობითს“ და არა ნათესაობითს. სათანადო ბრუნვის მნიშვნელობას ბერძნული ტერმინი უფრო გამოხატავს: ხის სახლი, ვერცხლის საათი... ამ ბრუნვის ერთ-ერთ ფუნქციად მიჩნეულია კუთვნილების გამოხატვა. სინტაგმებში: უნივერსიტეტის სტუდენტი, მეზობლის ბავშვი და სხვ. ნათესაობითში დასმული სახელი კუთვნილებას მიუთითებს.

მოქმედებითი ბრუნვა (ინსტრუმენტალის), როგორც უკვე აღინიშნა, რომაელების მიერ შექმნილი ტერმინია. იგი შეიძლება გამოხატავდეს მოცილება-დაშორებას, გამოსვლითობას / აბლატივს. იგი გვიჩ-

ვენებს მოქმედების საწყის პუნქტს, დაწყებითობას („უნივერსიტეტიდან წავიდა“); გვიჩვენებს დროს („იმ დღიდან დაიწყო“) და აღნიშნავს იარაღს ან საშუალებას (ინსტრუმენტალისი), რითიც მოქმედება წარმოებს („ბარით მუშაობს“, „თოხით მოკლა“).

ვითარებითი ბრუნვა არა გვაქვს ევროპულ ენებში. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ყოფილიყო ეს ბრუნვა, ქართულისთვისაც გადმოთარგმნიდნენ. ბრუნვის სახელის შერჩევისას გრამატიკების ავტორები ბრუნვის მნიშვნელობას დაემყარნენ, მაგრამ რადგან მნიშვნელობა სხვადასხვაგვარი იყო, ზოგმა ერთი მომენტი გამოიყენა ამოსავლად, ზოგმა — მეორე. თავად არნ. ჩიქობავა ვითარებითი ბრუნვის აღსანიშნად იყენებს ტერმინს „მიმართულებითი“. ამ ბრუნვის ფორმას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი შინაარსი: მიმართულების გადმოცემა (ძირითადად ძველ ქართულში); მოქმედების მიზნის გამოხატვა; სივრცეში, დროში სასრულობის ასახვა.

წოდებითი (ვოკატივე) რეალურად არის საუბრის ადრესატისადმი მიმართვა, წოდებითის ფორმით კი ხდება თავად ადრესატის დაკონკრეტება (მერაბ, ბავშვ-ო). **წოდებითი** (კლეტიკე) დიონისე თრაკიელის ტერმინია. იგი გამოიყენება დაძახების, მოწოდების, მიმართვის დროს, როდესაც გვინდა იმ პირის ყურადღება მოვიპყროთ, ვისაც მივმართავთ სალაპარაკოდ. ამ ფუნქციას კარგად გამოხატავს თავად ტერმინი **წოდებითი** და ამგვარი დანიშნულების გამო ხშირად გვხვდება დიალოგებში. მას ახასიათებს ძახილის ინტონაცია და ამით განსხვავდება კიდეც ყველა სხვა ბრუნვისაგან. მისი ადგილი წინადადებაში არ არის ფიქსირებული და შეიძლება წინადადების თავშიც იყოს, შუაშიც და ბოლოშიც. იგი არ იმართვის არც ზმნის, არც სახელის, არც თანდებულის მიერ და წინადადებაში მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა (ვ. თოფურია). ჩამოთვლილი არგუმენტების მიხედვით მკვლევარი შემდეგ დასკვნას აკეთებს: პრაქტიკული მიზნით ბრუნვის სისტემაში წოდებითის დატოვება არ არის გამართლებული.

ა. შანიძე არ იზიარებს ვ. თოფურიას თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც წოდებითი ფორმის ადგილი სიტყვაწარმოებაშია და იგი სხვა ბრუნვათა ფუნქციის გაგებას უშლის ხელს. მკვლევარს მიაჩნია, რომ წოდებითის ფორმა როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური ნიშნებით ბრუნვათა რიგში დგას და ის არის ბრუნვის ფორმა: სინტაქსურად მას სხვა ბრუნვის ფორმანტებთან აერთიანებს ურთიერთობა სინტაგმის წევრებთან, მორფოლოგიურად კი — ერთნაირი ლექსიკური მნიშვნელობა და მრავლობითი რიცხვის წარმოება.

ამდენად, ძირითად ბრუნვათა სახელები ქართულში ბერძნული ტერმინების მართებული თუ მცდარი თარგმანით არის წარმოდგენილი. ეს ტერმინები ჯერ ლათინურად ითარგმნა, შემდეგ კი ლათინურიდან უცვლელად ან თარგმანის გზით გავრცელდა სხვა ენებში.

III. 2.9. ბრუნვის ნიშანი. ამგვარად: ბრუნვის დროს სახელის ფუძე უცვლელია, ხოლო დაბოლოებები იცვლება. ბრუნება ქართულში სუფიქსურია. ყოველ ბრუნვას საკუთარი დაბოლოება ანუ ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი აქვს.

ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი ა ის მორფოლოგიური ელემენტი, რომელიც სახელის ფუძეს სათანადო ბრუნვის ფორმას ანიჭებს.

როგორც ცნობილია, სახელის ფუძე ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია, ხოლო გრამატიკული მნიშვნელობა ბრუნვის ნიშანს შემოაქვს. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ისევე, როგორც მისი ფუძე, უცვლელია, ერთია, ხოლო გრამატიკული მნიშვნელობა, ბრუნვის ნიშნის მსგავსად, ცვალებადია, ყველა ფორმას საკუთარი აქვს. იმაში, რომ სიტყვა-ფორმა **მგელ-მა** მოქმედ სუბიექტს გამოხატავს, არავითარი წვლილი არ მიუძღვის სიტყვის ფუძეს (**მგელ**-), ამისი განმაპირობებელია ბრუნვის ნიშანი (-**მა**), უფრო სწორად, ძირეულ და აფიქსურ მორფემათა ეს კონკრეტული სინთეზი.

შესაძლებელია ბრუნვის ნიშანი ფორმაში საერთოდ არ ჩანდეს, მაგრამ ის პარადიგმატულ სისტემაში მაინც ასრულებს საკუთარ ფუნქციას. ასეთ დროს ვამბობთ ხოლმე, რომ ბრუნვის ნიშანი ნულ-ალომორფის სახით არის წარმოდგენილი; მაგალითად, ასეთია ხმოვანფუძიანთა სახელობითი (ძმაØ, ღეროØ...) და მისთ.

ფაქტობრივ, არცერთი ბრუნვის ნიშანი არ გვხვდება ერთადერთი, უცვლელი სახით, ბრუნვის ნიშანი იცვლება პოზიციებისდა მიხედვით. ამიტომაც ბრუნვის ნიშნის ცნება განზოგადებული, პირობითი ხასიათისაა. ზოგ ენაში ერთი და იმავე ბრუნვის ნიშანი სხვადასხვა ფუძესთან სხვადასხვა მატერიალური სახითაც ვლინდება. ქართულში ასეთი რამ არ ხდება. სახელის ფუძის ნაირგვაროვნების მიხედვით მხოლოდ ბრუნვის ნიშანთა პოზიციური ვარიანტები დასტურდება.

III. 2.10. ბრუნვის ნიშანთა ძირითადი სისტემა. ბრუნების სისტემა, თავისი რაოდენობით, რიგითა და სახელწოდებებით, უკვე განისაზღვრა.

ბრუნვის ნიშანთა სისტემას, ცხადია, ბრუნების სისტემა გვთავაზობს. თუკი ბრუნვის ფორმათა პარადიგმას „ჩამოვაცილებთ“ მათს საერთო ნაწილს — ფუძეს, მივიღებთ ბრუნვის ნიშანთა სისტემას.

მაგრამ რომელი უნდა მივიჩნიოთ ბრუნების (შესაბამისად — ბრუნვის ნიშანთა) ძირითად სისტემად?

ამისათვის ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით შეიძლება ვისარგებლოთ:

ა) ბრუნვის ფორმანტების სისრულე: თითოეული ბრუნვისათვის აიღება მორფემის ის ვარიანტი, რომელიც უფრო სრულია.

მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ არა ბრუნვის ნიშანთა სისტემა (პარადიგმა), არამედ „სრულ“ ბრუნვის ნიშანთა „ნაკრები“, რადგან შეიძლება მითითებული „სისრულე“ ცალკეულ ბრუნვის ნიშანს სულ სხვადასხვა პარადიგმაში აღმოაჩნდეს.

ბ) მორფოლოგიური „ნეიტრალიტეტი“: ბრუნვის ნიშანთა სისტემა „მივიღოთ“ ისეთი სტრუქტურის ფუძისაგან, რომელიც მორფონოლოგიურ გავლენას არ ახდენს ბრუნვის ნიშნებზე.

ასეთად ქართულში უნდა მივიჩნიოთ თანხმოვნით დაბოლოებული ფუძე.

შესაბამისად, თუკი ავიღებთ თანხმოვანფუძიანი (უკუმშველი) არსებითი სახელის პარადიგმას:

სახ. **წიგნ**-ი
მოთ. **წიგნ**-მა
მიც. **წიგნ**-ს
ნათ. **წიგნ**-ის
მოქ. **წიგნ**-ით
ვით. **წიგნ**-ად
წოდ. **წიგნ**-ო

ბრუნვის ნიშანთა ძირითადი სისტემა ასეთი სახისაა:

სახ. -**ი**
მოთ. -**მა**
მიც. -**ს**
ნათ. -**ის**
მოქ. -**ით**
ვით. -**ად**
წოდ. -**ო**

თითოეული მათგანი შეიძლება, ამავე დროს, მივიჩნიოთ შესაბამისი ბრუნვის ნიშნის ამოსავალ სახედ, ანუ — ძირითად ალომორფად.

თითოეული ამ მორფემის ნაირსახეობა განიხილება როგორც მისი პოზიციური ვარიანტი.

III. 2.11. ბრუნვის ნიშანთა ალომორფები. ნებისმიერი ბრუნვის ნიშნის პოზიციური ნაირსახეობა განიხილება როგორც ა ლ ო მ ო რ ფ ი. თვით საფუძვლად (ძირითადად) მიღებული მორფემა წარმოდგება ერთ-ერთ ალომორფად, რამდენადაც მორფემა, როგორც ასეთი, ყველა ალომორფის შემკრებლობითი სახეა.

ქართული ბრუნების სისტემა გვიჩვენებს ალომორფთა ურთიერთმიმართების საკმაოდ მწყობრ სურათს. უკვე მიღებული ძირითადი სისტემის საფუძველზე თითოეული ბრუნვის ნიშანი წარმოგვიდგენს რამდენიმე პოზიციურ ნაირსახეობას. განვიხილოთ ისინი თანამიმდევრობით:

1. ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვის ნიშნის ალომრფებია: **-ი, Ø**.

სახელობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფთა სტანდარტული სისტემური ოპოზიცია ასეთია: თანხმოვნიან ფუძესთან: **-ი** (სახლ-**ი**);

ხმოვნიან ფუძესთან: **-Ø** (მუხა-**Ø**).

ამავე დროს, დამატებით პოზიციურ ვარიანტად თანხმოვნიან ფუძესთან ასევე ვლინდება **Ø** ალომორფი; კერძოდ, თანხმოვანფუძიანი სახელი ფუძის სახით წარმოდგება:

ა) ე. წ. აღწერილობითი ვნებითის (ერთგვარი შედგენილი შემასმენლის) სახელად ნაწილთან: **აღიარებულ** იქნა...

ბ) პიროვნების საკუთარი სახელის გამოყენებისას გვართან ერთად: **დავით** სარაჯიშვილი.

შენიშვნა: გარკვეულ შემთხვევებში **-ი** ალომორფი ლიტერატურულ ენაში გამოყენებულია ხმოვანფუძიან სახელებთანაც ომონიმიის დაძლევისა თუ სტილიზაციის მიზნით: „ჯერ ვსთქვათ ის, რომ დ ა ი სააკაძის ცოლად შეირთო ლუარსაბ მეფემ“ (ილია). „მწყემსსა ჰკითხა: „რომელია ქართლის გ ზ ა ი?“ (ანა). „მის ბუტბუტს მარტო მ თ ა ი მდუმარი დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა“ (ილია).

2. მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბრუნვის ნიშნის ალომორფები: **-მა, -მ.** ისინი სისტემური პოზიციური ვარიანტებია:

თანხმოვნიან ფუძესთან: -**მა** (კაც-მა);

ხმოვნიან ფუძესთან: -**მ** (კატა-მ).

ამავე დროს, ხმოვანფუძიან სახელებთან პოზიციურ (ემფატიკურ) ვარიანტად გვევლინება -**მა**:

„და-**მა** და ძმა-**მ**“. „იკითხა არჩილის დამა და თავისი მარილიანი თვალები მიაშუქა გიორგისა“ (ილია).

„— რა არის, შვილო, მაგისთანა, — უპასუხა დედამა და მსწრაფლ უკუიქცა თვალითგან ცრემლი“ (ილია).

„მიტომ გაგვზარდა დედამა, მისთვის გვეტყოდა ნანასა“ (ვაჟა).

ამდენად, -**მა** ელემენტის მორფოლოგიური ღირებულება თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელებთან სხვადასხვაგვარად უნდა დაფასდეს, სისტემურად ისინი სხვადასხვა ღირებულებისაა, არსებითად ომომორფებია.

შენიშვნა: 1. თანამედროვე ქართულის ალომორფულ ერთეულებად ვერ მიიჩნევა არქაული ჩვენებანი: მოთხრობითში -**Ø** საკუთარ სახელებთან: „დავით სთქვი: იყავნ ქალაქნი!“ (გრ. ორბ.); ასევე -**მან**: „მზის ღიმილი აღაჩინა ცამან“ (ანა).

2. ალომორფებად არ უნდა იქნეს მიჩნეული პრეპოზიციური ხმოვანფუძიანი (ასევე — თანხმოვანფუძიანი) მსაზღვრელის შეუთანხმებელი (პატარა**Ø** ბიჭმა) ან ნაწილობრივ შეთანხმებული (ცელქ-**ი** ბიჭ-ის) ვარიანტები.

3. მიცემითი ბრუნვის ნიშანია -**ს**.

ეს ერთადერთი მორფემაა ბრუნვისა, რომელიც სხვაობას არ იძლევა ფუძის დაბოლოების მიხედვით, ერთი და იგივეა თანხმოვანფუძიანებთანაც და ხმოვანფუძიანებთანაც; შდრ.:

ნაპი**რ-ს**

წყარ**ო-ს**

ამავე დროს, ამ მორფემის პოზიციური ემფატიკური ვარიანტია **-სა**. ეს ალომორფიც ერთნაირად შეიძლება დაერთოს როგორც თანხმოვნიან, ისე ხმოვნიან ფუძეებს:

ნაპირ**სა** და შუაგულს;

წყარო**სა** და ღელეს.

„ის აქავ ეწაფება უკვდავების წყაროსა (ილია);

(ავტორი) მრავალ საინტერესო წყაროსა და ლიტერატურას იხმობს თავის გამოკვლევაში („საქ. რესპ.“).

4. ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია **-ის, -ს, -სა, -სი, -ისა**.

სრული **-ის** მორფემა ვლინდება თანხმოვანფუძიანსა და კვეცად ხმოვანფუძიან სახელებში:

თავ-**ის** (მობრუნება)

კეფØ-**ის** (ძვალი)

უკვეცელ ხმოვანფუძიან სახელებთან ნეიტრალურ პოზიციაში ვლინდება **-ს** ალომორფი:

წყარო-**ს** წყალი

ხოლო მის პოზიციურ (ემფატიკურ) ვარიანტად გვევლინება **-სი** ან **-სა** (უფრო იშვიათად):

წყალი წყარო-**სი**

შდრ.: ჟორჟმა ყველაფრის მკვეთრი სუნი... იგრძნო: მიწის, ტყის... წ ყ ა რ ო ს ი და სასუქის (მ. ჯავახ. თარგმ.).

ქორწინების შემდეგ ყოველგვარი ქონება... წარმოადგენს ცოლის საკუთრებას, მიუხედავად ამ ქონების ფორმირებისწ ყ ა რ ო ს ა („თბილ.“).

პოზიციური (ემფატიკური) ვარიანტი **-ისა** მოეპოვება **-ის** მორფემასაც.

ანდერძი მამ-**ისა**.

„ზოვები... ჩამონასხლეტი მ თ ე ბ ი ს ა (ვაჟა).

შენიშვნა: არსებობს ერთი გამონაკლისი, როდესაც **დრო** სიტყვის უკვეცელი ფუძე ნათ. ბრ. ნიშნის სრულ ალომორფს გამოავლენს: დრო-**ის** ათვლა... „ვერ მცნობი ამა დ რ ო ი ს ა უგუნურებას მყოფია“ (გ. ტაბ.).

შდრ. „თქვენ კი ამბობთ, ვიღუპებითო. რაღა დ რ ო ი ს ი ა?! (ო. ჭილ.).

5. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია: **-ით, -თი, -თა**.

-ით თანხმოვნიან ფუძეებსა და კვეცად სახელებს მოუდის:

ბა**რ**-**ით**.

ქვØ-**ით**

ხოლო **-თი** და **-თა** (იშვიათად) პოზიციური ვარიანტებია უკვეცელ ფუძეებთან; შდრ.:

„უხილავს... მტრედისებური ღუღუნი დედის ძუძუთი დატკბობის დროს“ (ე. ზედგ.)

„...რომ იმათ დედის ძუძუთა ვსუქდები ცოდვილიანი“ (ვაჟა).

იშვიათად ვლინდება ამ ემფატიკური ვარიანტებისათვის ამოსავალი -**თ** ალომორფი უკვეცელ ხმოვანფუძიანთა:

„ერთი ძუძუთ გამოზრდილი, ერთი დედის ორი შვილი“ (აკაკი);

„ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა, რძისთვინ რო აბირდებიან“ (ვაჟა).

6. ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია: -**ად,** -**დ.**

ამ ალომორფთა განაწილება ზუსტად ხდება ფუძის დაბოლოების მიხედვით: თანხმოვანფუძიანებთან — -**ად:** კაც-**ად**;

ხმოვანფუძიანებთან — -**დ:** გზა**დ**, ენძელა-**დ**, ღერო-**დ**.

ამავე დროს, თანამედროვე ქართულში, ცოცხალი მეტყველების გავლენით, ვლინდება ამ ალომორფთა გავრცობილი ვარიანტებიც:

„ქვეყანა იქცა დუქნადა“ (ვაჟა).

„ფიქრადა აქვთ, მითამ შავი ნავთი გაიყვანონ მილითა“ (ილია).

„ყველას გულში დარდადა ჰქონდა, რომ ტფილისი მტერს ეჭირა (ვ. ბარნ.).

„უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში“ (ვაჟა).

„ჩვენი „გულის“ ბურთები ცას შეეკედლა მზედა და მთვარედ (ლ. ბრეგვ.).

7. წოდებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია: -**ო,** -**ვ,** **Ø**.

-**ო** სრული ვარიანტი ერთადერთია თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან: მეზობელ-**ო**, სტუმარ-**ო**....

„ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა...“ (გ. ტაბ.).

აგრეთვე, საკუთარ სახელთაგან — გვარებთან და ადგილის სახელებთან: ბარათაშვილ-**ო**, თბილის-**ო**...

„ბზიფო, ენგურო, ალაზანო, მტკვარო, იორო, აგერ ახლახანს გარდაცვლილო გალაკტიონოი!“ (მ. მაჭავ.).

ხმოვანფუძიანებთან ძირითადი და კანონიკურია -**ვ** ალომორფი: სამშობლო-**ვ**, მიწა-**ვ**, ზეცა-**ვ**...

„რარიგ კარგია, სამშობლოვ, შენი მტკვარი და რიონი...“ (გ. ტაბ.).

„მშობლიურო ჩემო მიწავ!..“ (გ. ტაბ.).

„ცავ, წმინდავ, ვარსკვლავიანო...“ (ხალხ.).

„იგრიალე, ცავ! წამოღვარე ეგ ნიაღვარი!“ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

ამავე დროს, ერთ და ორმარცვლიან ფუძეებთან ხშირია **-ო** მორფემის გამოვლენა:

„მთაო, რად აგრე ჰგულდიდობ...“ (ვაჟა)

„ჰე, ცაო, ცაო, ხატები შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!“ (ნ. ბარათ.);

შდრ.: „დედაო ღვთისავ, შენი ხვედრია ეს საქართველო დიდჭირნახული...“ (აკაკი);

„დედავ, ისმინე ქართვლის ვედრება...“ (ილია);

ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა უწრინ მამულსა უზრდიდა შვილსა“ (ილია).

წოდებითი ბრუნვის ნიშნის ნულოვანი ალომორფი ვლინდება პირთა სახელებსა (ფუძის დაბოლოების მიუხედავად) და ხმოვანფუძიან გვარებში: გრიგოლ! გიორგი! პაატა! თებრო!

ტაბიძე! მენაბდე! კუპრავა!

ბრუნვის ნიშანთა ალომორფების გაერთიანებული სურათი ასეთ სახეს მიიღებს (თუმცა მასში ფუძეთა შიდა ვარიირება ვერ გამოჩნდება):

ბრუნვები	**ალომორფები**
სახელობითი	-ი, -Ø
მოთხრობითი	-მა, -მ
მიცემითი	-ს, -სა
ნათესაობითი	-ის, -ს, -სი, -სა
მოქმედებითი	-ით, -თი, -თა, -თ
ვითარებითი	-ად, -დ, -ადა, -და
წოდებითი	-ო, -ვ, -Ø

III. 2.12. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა (ანუ ე. წ. ემფატიკური ხმოვანი). თანხმოვნით დაბოლოებულ ბრუნვის ნიშნებს (-ს, -ის, -ით...) ზოგიერთ პოზიციაში უჩნდება ხმოვანი **ა**, რომელიც სავრცობის ან

ემფატიკური ნიშნის სახელით არის ცნობილი გრამატიკულ ლიტერატურაში.

ბრუნვის ფორმათა ანალიზისას ზოგჯერ ისეა წარმოდგენილი, თითქოს ეს **ა** ელემენტი დამოუკიდებელი მორფოლოგიური ნიშანი იყოს. ამას, როგორც ჩანს, განაპირობებს ისიც, რომ ამ ელემენტს ძველ ქართულში მართლაც ჰქონდა თავისი გრამატიკული დანიშნულება (მსაზღვრელი ელემენტის ფუნქცია).

თანამედროვე ქართულში ეს ხმოვანი შეიძლება მივიჩნიოთ ბრუნვის ნიშნის განუყოფელ ელემენტად, რომელიც შესაბამისი ბრუნვის ფორმის სინტაქსურ პოზიციაზეა დამოკიდებული. **ა** ელემენტს დამოუკიდებელი გრამატიკული დისტრიბუცია აქვს. თანხმოვნით დაბოლოებული ნებისმიერი ბრუნვის ნიშანი (ასევე -თ რიცხვის ნიშანი, აგრეთვე ზოგი ნაწილაკი) შეიძლება პოზიციურად იქნეს ხმოვნით გავრცობილი. ეს გავრცობა მორფოლოგიურად არასავალდებულო ხასიათისაა (თვით დადგენილ ფარგლებშიც კი) და ის ფონოლოგიური და მორფონოლოგიური მოთხოვნებით არის შეპირობებული.

ამდენად, მართებულია მორფემათა იმგვარი აღწერა, როდესაც ხმოვნით გავრცობილი ბრუნვის ნიშნები (განურჩევლად იმისა, თანხმოვანფუძიანი სახელის ბრუნება გვაქვს, თუ ხმოვანფუძიანისა) ალომორფების სახით არის წარმოდგენილი (იხ. § III. 2.16.).

მოთ. **-მა** (ხმოვანფუძიანებთან): დედა-**მა**...
მიც. **-სა** (ყველა ტიპის ფუძესთან): სახლ-**სა**, დრო-**სა**...
ნათ. **-ისა** (თანხმოვანფ. და კვეცად ხმოვანფ.): კედლ-**ისა**, ძმ-**ისა**...
-სა (უკვეცელ ხმოვანფ.): წყარო-**სა**...
მოქ. **-ითა** (თანხმოვანფ. და კვეცად ხმოვანფ.): წყლ-**ითა**, გზი-**თა**...
ვით. **-ადა** (თანხმოვანფ.): ქვევრ-**ადა**...
-და (ხმოვანფ.): მიწა-**და**, რკო-**და**...

ამდენად, წარმოდგენილი ალომორფები იქნება ბრუნვის ნიშანთა პოზიციურად გამოვლენილი ვარიანტები.

ანალოგიურივე პოზიციური გამოვლენა ახასიათებს **ი** ხმოვანს ბრუნვის ნიშანთა ზემოთ წარმოდგენილ ალომორფებში: **-სი, -თი**. ამგვარი გავრცობა დამახასიათებელია უკვეცელი ხმოვანფუძიანი სახელების ნათესაობითსა და მოქმედებითში: გემო-**სი**, გემო-**თი**...

შდრ.: წყარო-**ს** წყალი, მაგრამ
წყალი წყარო-**სი**

შენიშვნა: მწერლობაში დადასტურებულია **-სი, -თი** ალომორფები არა ასეთ შეზღუდულ პოზიციებშიც. მაგალითად, აკ. შანიძე მიუთითებს ვაჟა-ფშაველას ენის ამგვარ თავისებურებას: „ყველაზე მეტად უხდებათ ჩაბალახები მგლ**ისი**-ა, სპასალარს — ვეფხვის ტყავ**ისა**, ვეზირთ — ჭიუხის თხ**ისი**-ა“. აშკარაა: რაც არის **-ისა** (ტყავისა), ის არის **-ისი** (თხისი). საერთო წესებთან მიმართებით ეს პერიფერიულ მოვლენად ჩაითვლება.

რადგანაც მითითებული ალომორფები ბრუნვის ნიშანთა პოზიციურ ვარიანტებად იქნა მიჩნეული, ცხადია, აუცილებელია ამ „სავალდებულო“ პოზიციების ჩვენება.

ა) უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ქართულში ხაზი გაესმის გავრცობილი ბრუნვის ნიშნის სადემარკაციო დანიშნულებას. ეს ფუნქცია გამოკვეთილია იმ შემთხვევაში, როდესაც ის კონსტრუქციის (სინტაგმატური მთლიანობის) ჩამკეტად გვევლინება; კერძოდ: თუ სუბსტანტიური მსაზღვრელი პრეპოზიციურია, გაუვრცობელი ბრუნვა გვექნება, ხოლო თუ პოსტპოზიციური (ჩამკეტი) მსაზღვრელია, ის გავრცობილი იქნება; შდრ.: მეზობლ-**ის** სახლი
სახლი მეზობლ-**ისა**

მაგ.: „თოფი ხ ი ს ა, ტყვია წ ყ ლ ი ს ა, ხეს ეცა და ქვა გაიქცა“ (გამოცანა).

ასეთივე დანიშნულებისაა კონსტრუქციის ჩამკეტი გავრცობილი ფორმა სტრიქონისა თუ წინადადების ბოლოს:

„მის მთისა ძირსა წყალი დის, არად სანდომი ხ ი დ ი ს ა“ (რუსთაველი); „ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე, გულამღვრეული ჯ ა ვ რ ი თ ა“ (ვაჟა).

ბ) განსხვავებული ფუნქცია აქვს ბრუნვის ნიშნის ხმოვნით გავრცობას ბრუნვის ფორმაზე ნაწილაკების ან თანდებულის დართვისას; ამ შემთხვევაში **ა** ხმოვანს არსებითად თანხმოვანთგამყარის ფონეტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული:

წყარო-**მა**-ც, ქვა-**სა**-ც, ბაღ-**ისა**-ვე...
სახლ-**ისა**-კენ, ხ-**ისა**-გან, გულ-**ისა**-თვის...

გ) არსებითად ამავე რიგისაა მავრცობი ხმოვნის გაჩენა ენკლიტიკურ პოზიციაში, როდესაც ორი ერთგვაროვანი წევრი **და (თუ)** კავშირით არის შეერთებული და ეს კავშირი საერთო მახვილით ენკლიტიკურად ეკედლება წინა წევრს. ამ შემთხვევაში **ა** ხმოვანი ასეთივე თან-

ხმოვანთგამყარის როლს ასრულებს (ამავე დროს, ენკლიტიკური შეერთების მანიშნებელია):

დღე-**სა და** ღამე-**ს**, კაც-**ისა თუ** ქალ-**ის**, ხ-**ითა თუ** ქვ-**ით**...

„ზარსა სცემდეს, უხაროდა უფრო**სსა** და თუნდა მცირსა“ (რუსთაველი).

„მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღი**სა** და ღამისად“ (რუსთაველი).

დ) მაერთი ხმოვნის ფუნქციისაა ბრუნვის ნიშნის გავრცობა ზმნის წინამავალ აქტანტებთან თუ ზმნიზედებთან (ასევე ნაწილაკებთან) იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნას ზმნისწინი არა აქვს; ამ თვალსაზრისით ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების გარჩევა მართლაც გამოკვეთილია. შდრ.:

ძმა**სა** ჰყავს და ძმა**ს** მოჰყავს;

დღე**სა** აქვს და დღე**ს** მოაქვს;

ასევე: **არა** აქვს და **არ** მოაქვს...

გავრცობა ასევე დამახასიათებელია მრავლობითის **-თ** სუფიქსისათვის, ოღონდ ამ შემთხვევაში გაბატონებული პოზიცია დაიკავა გავრცობილმა **-თა** ვარიანტმა და იქ ის წესები არსებითად უმოქმედოა, რაც ბრუნვის ნიშნების შემთხვევაში ვლინდება. მართალია, ასეთი დაპირისპირებაც ვლინდება:

„მ თ ა თ ორბის ფრთები მოისხეს...“ (ანა).

„და მიაშურეს ლილისფერ მ თ ა თ ა ...“ (ანა).

მაგრამ მსაზღვრელის პოზიციაში თანიანი მრავლობითი არსებითად ყოველთვის გავრცობილია:

მთა**თა** ერთობა, დღე**თა** სრბოლა, მწერალ**თა** კავშირი...

შდრ.: „მიისწრაფოდეს ფიქრი რჩეული საკაცობრიო გზა**თა** ბრძოლაში“ (გ. ტაბ.). „რბიან წუთები ბედნიერ დღე**თა**“ (გ. ტაბ.).

III. 2.13. არსებითი სახელის ფუძე. როგორც ითქვა, სახელის ფორმაწარმოების (ფლექსიის) დროს ცვლილებას განიცდის (ცვლადია) სუფიქსური ელემენტი (ბრუნვის ნიშანი), ხოლო სახელის ფუძე (ლექსიკური ბაზისი) უცვლელია:

სახლ-ი

სახლ-მა

სახლ-ს

სახლ-ის

სახლ-ად

სახლ-ო

რაც უცვლელია, ის ფუძეა, რაც ცვლადი — ბრუნვის ფორმანტი.

ამგვარად: არსებითი სახელის **ფუძე** არის გრამატიკული ფორმის ის ნაწილი, რომელიც ფორმაწარმოების დროს უცვლელია როგორც ლექსიკური შინაარსის, ისე ფორმის (ძირითადი ფონემატური სტრუქტურის) მხრივ.

როგორ გამოვავლინოთ არსებითი სახელის ფუძე?

საზოგადოდ, თუ არსებით სახელს მისი ნეიტრალური ფორმით, სახელობითი ბრუნვის ფორმით, ავიღებთ, თანამედროვე ქართულში ყველა სახელი ხმოვნით დაბოლოებული აღმოჩნდება; მაგ.: ძმა, მთვარე, თარო, რუ, წიგნი... ოღონდ ამ ხმოვანთაგან **-ი** ბოლოკიდური, ჩვეულებისამებრ, სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო დანარჩენი ხმოვნები — ფუძის ორგანული ნაწილი.

შენიშვნა: შესაძლებელია ი ხმოვანიც აღმოჩნდეს ფუძის ნაწილი ზოგიერთ უცხო წარმოშობის სიტყვაში: **ტაქსი**, **ჩაი**, **ტრამვაი**...

ამდენად, სახელობით ბრუნვაში ძნელი დასადგენია ფუძის ვითარება. ამისათვის ისეთი ბრუნვის ფორმა უნდა ავიღოთ, რომელშიც ბრუნვის ნიშანს არ გააჩნია ფუძეზე ზემოქმედების უნარი, ანუ ის ბრუნვის ნიშანი, რომლის დართვითაც სახელის ფუძე (ფუძისეული ხმოვანი) უცვლელად შენარჩუნდება, ხოლო ბრუნვის **-ი** მორფემა ჩანაცვლდება.

ამისათვის უმჯობესია არსებითი სახელი ჩავსვათ მოთხრობით ბრუნვაში; ბრუნვის ნიშნის ჩანაცვლების (გამოყოფის) შემდეგ დარჩება სახელის სრული ფუძე.

სახლი → სახლ-მა
კედელი → კედელ-მა
მთვარე → მთვარე-მ
წყარო → წყარო-მ
ფანჯარა → ფანჯარა-მ
ტაქსი → ტაქსი-მ

არსებითი სახელის ფუძე დაბოლოების მიხედვით ორგვარია:

ა) ფუძე, რომელიც თანხმოვანზე ბოლოვდება, ანუ — თანხმოვანფუძიანი: სახლ-, კედელ-, ბავშვ-.

ბ) ფუძე, რომელსაც ხმოვანი აბოლოებს, ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი: ბიძა, რძე, წყარო, ძუძუ...

საბოლოოდ, ქართული არსებითი სახელის ფორმაწარმოება მარტივია, ერთტიპური; მისთვის ე რ თ ფ უ ძ ი ა ნ ო ბ ა ა დამახასიათებელი.

ზემოთ ფუძის ძირითად ფონემატურ სტრუქტურას იმიტომ გაესვა ხაზი, რომ ბრუნვის ფორმანტთა ზემოქმედების შედეგად ფუძეშიც შეიძლება მოხდეს ისეთი ფონეტიკური ცვლილება, რომელიც ფუძის ფონემატური სტრუქტურის მთლიანობას არსებითად არ შეცვლის (იხ. ქვემოთ). ფუძე, რომელიც დაბოლოების ზემოქმედების შედეგად ცვლილებას არ განიცდის, ს რ უ ლ ი ფუძეა, ხოლო ის, რომელიც ცვლილებას განიცდის — ა რ ა ს რ უ ლ ი (რ ე დ უ ც ი რ ე ბ უ ლ ი). ამდენად, ფუძე შეიძლება იყოს როგორც უ ც ვ ლ ე ლ ი, ისე ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი. მაგალითად **სახლ-** უცვლელია, **კედელ-** ცვალებადი (**კედØლ-ის**); **წყარო** უცვლელია, **მუხა** ცვალებადი (**მუხØ-ˀის**ˀ).

კედელ-/ კედლ-, მუხა/ მუხ-, თავისთავად, ფუძის, როგორც მ ო რ ფ ე მ ი ს, ა ლ ო მ ო რ ფ ე ბ ი ა.

შენიშვნა: ფუძეში შეიძლება ორმაგი ცვლილებაც ხდებოდეს; მაგ.: ქარხანა → ქარხØნØ-.

III. 2.14. ფუძისა და აფიქსთა ურთიერთქმედება. ფორმაწარმოების (ბრუნების) პროცესში არსებითი სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშნები ურთიერთმოქმედებენ. ამ ურთიერთმოქმედებამ შეიძლება ერთერთ მათგანში ფონეტიკური ცვლილება გამოიწვიოს.

არსებით სახელთა აღნიშნული ორი ჯგუფი — თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი — ამ თვალსაზრისით ასევე არ არის ერთგვაროვანი: გარკვეული სტრუქტურული მიმართებები იწვევს ცვლილებას ფუძესა თუ ბრუნვის ნიშნებში, გარკვეული — არა.

კერძოდ, ასეთია თანხმოვანფუძიან სახელთა ნაწილი, რომელთა ფუძე უცვლელია, ანუ ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა სტრუქტურული მიმართება სტაბილურია. მაგ.:

ქარ-**ი**	გვერდ-**ი**	ძაღლ-**ი**
ქარ-**მა**	გვერდ-**მა**	ძაღლ-**მა**
ქარ-**ს**	გვერდ-**ს**	ძაღლ-**ს**
ქარ-**ის**	გვერდ-**ის**	ძაღლ-**ის**
ქარ-**ით**	გვერდ-**ით**	ძაღლ-**ით**
ქარ-**ად**	გვერდ-**ად**	ძაღლ-**ად**
ქარ-**ო**	გვერდ-**ო**	ძაღლ-**ო**

არსებითად ყველა სხვა სტრუქტურულ მიმართებაში ცვლილებას განიცდის ერთ-ერთი მორფემა — ძირეული ან სუფიქსური.

ამავე დროს, მორფემათა სტრუქტურული ურთიერთმიმართების დადგენილი კანონზომიერებები შეიძლება ყოველთვის არ ხორციელდებოდეს ერთგვაროვნად, კერძოდ, ცვლილება ხდებოდეს არამოსალოდნელ სტრუქტურაში (მაგ., ღმერთ-ი), და პირიქით, არ ხდებოდეს მოსალოდნელ დროს (მაგ., შდრ.: ხანჯალ → ხანჯØლ-ის, მაგრამ: გუნჯალ-ის).

საზოგადოდ, სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთმიმართება რთულ მორფოფონოლოგიურ კანონზომიერებაზე ჩანს დამყარებული.

მორფოლოგია ფონოლოგიის გარეშე არ არსებობს; არ შეიძლება არსებობდეს, რადგანაც ცალკეული მორფემებიც და მათი კავშირებიც მხოლოდ ფონოლოგიის ბაზაზე იქმნება.

კვლევებით დადასტურებულია, რომ მორფემათა აგებულება, მათი სტრუქტურა ფონოლოგიური კანონებით არის პირობადებული; ცალკეულ მორფემათა ბგერითი შედგენილობა წარმოაჩენს გარკვეულ ფონოლოგიურ წესებსა და აკრძალვებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე მორფემების განხილვა არასრულყოფილი იქნებოდა.

მორფემათა სინთეზი წარმოქმნის მორფოლოგიურ მთლიანობას ანუ ფორმას. მორფემათა ურთიერთდაკავშირება განაპირობებს ახალი ფონოლოგიური კომბინაციების წარმოშობას, რომელთა ნაწილი, თავისთავად ცხადია, შეიძლება აღმოჩნდეს ამ ენის საერთო ფონოლოგიური კანონებიდან და წესებიდან ამოვარდნილი; ანუ: ცალკეულ მორფემათა შეერთების შედეგად შეიძლება უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდეს არაჰომოგენური ან არაჰომორგანული ბგერები; მაგალითად, ისეთი ცნობილი შემთხვევები, როგორებიცაა: სახლ-ს-ში ან ქალაქ-ით-გან...

ამდენად, ფონოლოგიური სტრუქტურის მსგავსად, მორფოტაქტიკა ფონოტაქტიკის წესებზე არის დამოკიდებული და ფონეტიკური პროცესები სწორედ ამის საფუძველზე წარმოიქმნება, რათა რაიმე გზით მოგვარდეს კოლიზია ფონოლოგიასა და მორფოლოგიას შორის.

არსებითი სახელის ფუძეთა და ბრუნვის ნიშანთა მორფონოლოგიური ურთიერთმიმართების ზოგადი სურათი ასეთია:

ა) ბრუნვის ნიშანთა ცვლილებას იწვევს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი, რომელიც თავად უცვლელია (სტაბილურია). ცვლილების ეს სახეობა გათვალისწინებულია ბრუნების ტიპებსა და ბრუნვის ნიშანთა ალომორფების აღწერის დროს (იხ. შესაბამისი პარაგრაფები).

ბ) სათანადო სტრუქტურის ფუძის ცვლილების გამოწვევა შეუძლია ბრუნვის ნიშანს, რომელსაც აქვს დახურული მარცვლის სტრუქტურა — VC.

ამგვარად, ფუძეთა და სუფიქსთა ურთიერთმოქმედი სტრუქტურებია:

ხმოვანფუძიანებში:

1. ა) # V* + V: რკო + **ი** → რკო;
   ბ) # V + CV: რკო + **მა** → რკო-**მ**;
   გ) # V + VC: რკო + **ის** → რკო-**ს(ი)**;
2. # V + VC: ძმა + **ის** → ძმ-**ის**...

თანხმოვანფუძიანებში:

VS + VC: კედელ + **ის** → კედლ-**ის**...

შენიშვნა: იშვიათად ასეთ (ცვალებად) თვისებას ავლენს ფუძის VC აუსლაუტიც: ყასაბ + ის → ყასბ-ის.

III. 2.15. ფუძის კუმშვა. თანხმოვანფუძიანი სახელის ფორმაცვალების (ბრუნების, აგრეთვე, რიცხვის წარმოების) დროს სახელის ფუძემ შეიძლება დაკარგოს ბოლოკიდურა (დახურული) მარცვლის ხმოვანი.

ამ მოვლენას კუმშვა ჰქვია. სხვაგვარად ეს არის სახელის ფუძის ბოლო ხმოვნის რედუქცია.

ფუძე, რომელსაც კუმშვა ახასიათებს, კუმშვადია.

სახელის ფუძის ის ნაწილი, რომლის ხმოვანი რედუქციას ექვემდებარება, სარედუქციო სეგმენტია.

კუმშვის პროცესის მოსახდენად აუცილებელია სათანადო პირობები:

ა) VC სტრუქტურის სუფიქსი, კერძოდ:
   ბრუნვის ნიშნები:
      ნათ. ბრ. -**ის**
      მოქ. ბრ. -**ით**
      ვით. ბრ. -**ად**
   მრავლობითის სუფიქსი **-ებ**.

---

* სიმბოლო # ამ შემთხვევაში გამოყენებულია ფუძის პირველი ნაწილის აღსანიშნავად.

ფუძის აუსლაუტის, ანუ სარედუქციო სეგმენტის, სტრუქტურა უნდა იყოს VS, ანუ ხმოვანი პლუს სონორი (აგრეთვე — **ვ**);

რედუქციას ექვემდებარება სამი ხმოვანი: **ა, ე, ო.**

ამდენად, სარედუქციო სეგმენტის სტრუქტურაა:

ალ	არ	ან	ამ	ავ
ელ	ერ	ენ	ემ	ევ
ოლ	ორ	ონ	ომ	ოვ

შენიშვნა: 1. არის რამდენიმე გამონაკლისი, როცა VC სტრუქტურის აუსლაუტი იკუმშება (მაგ.: კაკაბ-ი, ნაბად-ი, ყასაბ-ი, ბეჭედ-ი...);

2. VSC სტრუქტურის აუსლაუტის კუმშვის ერთადერთი მაგალითი დასტურდება: ღმერთ-ი.

ვნახოთ თითოეული სარედუქციო სეგმენტი:

-**ალ:** ამ სტრუქტურის ფუძეთა მნიშვნელოვანი ნაწილი კუმშვადია, თუმცა უკუმშველთა რაოდენობაც საგრძნობია:

უკუმშველი	**კუმშვადი**
ხიბალი	ბალი
ციმბალი	კახამბალი
კანიბალი	კომბალი
ჩობალი	ხორბალი
თაგალი	ალუბალი
გრიგალი	იღბალი
ბუნგალი	ნამგალი
ჯირგალი	ხანგალი
ბანდალი	ჩანგალი
დანდალი	ფარგალი
ვანდალი	ქარგალი
სკანდალი	გორგალი
ფეოდალი	დურგალი
კოდალი	დედალი
ყოდალი	პედალი
იდეალი	სანდალი
არეალი	აჯაფსანდალი

ფესტივალი
ნარვალი
მტარვალი
მწვერვალი
ინტერვალი
შტურვალი
სათალი
მოთალი
ბზეკალი
სპეკალი
ვერტიკალი
მკალი
კანკალი
ვოკალი
რკალი
დალალი
ნატამალი
შიმალი
რვალი
ცალთვალი
ყურყუმალი
დგნალი
სიგნალი
არსენალი
სირსვალი
ორიგინალი
კარდინალი
კრიმინალი
ფინალი
დიაგონალი
სამსჭვალი
პერსონალი
მკურნალი
ტრიბუნალი
შპალი
ზარალი
ბრალი
შანდალი
ცინდალი
კარდალი
სარდალი
ნაღვერდალი
შუამავალი
ორთქმავალი
თბომავალი
შთამომავალი
ქვეწარმავალი
კარნავალი
დასავალი
თავგადასაკალი
შესავალი
აღსავალი
ჯარგვალი
მძევალი
მხევალი
თვალი
შარვალი
თებერვალი
მაყვალი
მაშვალი
ნაცვალი
საცვალი
მარცვალი
ძვალი
ჭვალი
ვაგზალი
საგზალი
მუგუზალი
ბეითალი
სამართალი
ფართალი
ბაკალი
კაკალი
ეკალი

ინტეგრალი
ლიბერალი
მინერალი
მორალი
პასტორალი
კაპრალი
ნაპრალი
ტრალი
მაგისტრალი
მისტრალი
ნასუფრალი
ხრალი
დეტალი
მეტალი
ნაშალი
კაპიტალი
პორტალი
კრისტალი
მზექალი
კირკიმალი
ბებოქალი
ფანცქალი
ღანღალი
ყანყალი
პენალი
ჩანჩალი
ბოძალი
ნაკრძალი
წინწალი
ფორთხალი
საფიქრალი
ნახანძრალი
ხანხალი
შავხალი
ჯანჯალი
ოდრიკალი
ბუზანკალი
მაჭანკალი
ხინკალი
ბარკალი
კირკალი
მიტკალი
ნაპერწკალი
მამალი
ფეშტამალი
ერკემალი
ტყემალი
ხერხემალი
ხ˹რ˺მალი
სასთუმალი
ნაწვერალი
გენერალი
მწერალი
წარამწერალი
ნატირალი
დომხალი
სატირალი
ნატუსალი
ჰოსპიტალი
კვარტალი
მამფალი
ნატერფალი
დედოფალი
უფალი
ჭირისუფალი
ფიქალი
სარქალი
ბაყალი
მაყალი
წყალი
ბრჭყალი
თავშალი

მარშალი
ფერშალი
ნაქურჩალი
საგძალი
რძალი
წაწალი
ფიწალი
მძახალი
მხალი
მსხალი
ხანჯალი

ფუძეთა ამ პარალელური სურათიდან იკვეთება ზოგი კანონზომიერება:

1. უცვლელია ოდენ **VS** სტრუქტურის ფუძე: **ალ**-ი.

2. არ შეიკუმშება იმ მარცვლის ხმოვანი, რომელსაც წინ ხმოვანი ესაზღვრება და არა — თანხმოვანი: ბაალ-ი, ნაალ-ი, ბოდიალ-ი, ფილიალ-ი, როიალ-ი, ზუალ-ი, რიტუალ-ი, არეალ-ი, იდეალ-ი...

შენიშვნა: 1. ეს შეზღუდვა, საზოგადოდ, არ შეეხება იმ ფუძეებს, რომლებშიც ხმოვნისშემდგომი **ო** ნაწილობრივ რედუქციას განიცდის: ნიორი → ნივრის...

2. ზოგ ფუძეში დაკარგულია არქაული **-ივ** სუფიქსის **ვ** ელემენტი: ნოყიერ-ი, გონიერ-ი... ასეთ ფუძეთა ნაწილი რედუქციას ექვემდებარება, რის შედეგადაც დაკარგული **ვ** აღდგება: ნოყი**ვ**რ-ად...

3. უმეტესად არ იკუმშება ერთმარცვლიანი ფუძეები, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხმოვნის წინა პოზიციაში ცალი თანხმოვანია: ბალ-ი, დალ-ი, ვალ-ი, ცალ-ი, წალ-ი... მაგრამ შდრ. **ბალ**-ი, რომლის მსგავსი შემთხვევებიც ახსნილია იმით, რომ მათ უფრო რთულ ფუძეებში შეიძინეს მსგავსი უნარი (შდრ. ალუბალ-ი).

ეს შეზღუდვა არ შეეხება ისეთ ერთმარცვლიანებს, რომელშიც ხმოვნის წინა პოზიცია რაიმე თანხმოვანთკომპლექსს უკავია: თვალ-ი, ძვალ-ი, კვალ-ი, მხალ-ი, წყალ-ი...

4. არ იკუმშება რედუპლიცირებული ფუძეები: დანდალ-ი, კანკალ-ი, ხანხალ-ი, ჩანჩალ-ი, ჯანჯალ-ი, ღარღალ-ი...

5. ერთგვარი შეზღუდვა ჩანს ისეთი ორმარცვლიანი ფუძეების კუმშვაშიც, რომელთა სარედუქციო **VS** მარცვლის წინა მარცვალი ასევე **VC** სტრუქტურისაა: ოვალ-ი, ასალ-ი... მაგრამ შდრ.: ეკალ-ი, ახალ-ი...

6. იკუმშება როგორც ძირეული ქართული, ისე ნასესხებ სიტყვათა ფუძეები, თუმცა მეტი შეზღუდვა ნასესხებ მასალაში ჩანს (აღალ-ი, ნიპელ-ი...).

7. ზედსართავი სახელის ფუძე ისევე იკუმშება, როგორც არსებითი; ოღონდ ეს ხდება მხოლოდ ზედსართავის დამოუკიდებლად გამოყენებისას. პრეპოზიციური მსაზღვრელის როლში, ნაწილობრივი შეთანხმების დროს, ზედსართავი სახელის ფუძე ცვლილებას არ განიცდის; შდრ.: **მაღლ**-ის და **მაღალ**-ი **სახლ-**ის...

კუმშვად ზედსართავ სახელთა მაგალითები: დაბალ-ი, მდაბალ-ი, თავმდაბალ-ი, სულმდაბალ-ი, მრავალ-ი, მრგვალ-ი, აბდალ-ი, მხდალ-ი, მართალ-ი, მუხთალ-ი, წუნკალ-ი, იდუმალ-ი, დამპალ-ი, მურტალ-ი, საწყალ-ი, ახალ-ი, ცოცხალ-ი, თავისუფალ-ი...

8. შესაბამისი სტრუქტურის მიმდეობათა ფუძეებსაც ახასიათებს კუმშვა, ოღონდ აქ მეტი შეზღუდვა ჩანს; შდრ. ანალოგიურ ვითარებაში: სარტყელი — **სარტყლ**-ის, მაგრამ შემოსარტყმელი — **შემოსარტყმელ**-ის; ტიტველი — **ტიტვლ**-ად, მაგრამ: დამხატველი — **დამხატველ**-ად. ნიმუშები: ნაქურდალ-ი, სარიდალ-ი, მომავალ-ი, შემკრთალ-ი, მორბენალ-ი, მარჩენალ-ი, ნაავდრალ-ი, მაცქერალ-ი, მომღერალ-ი, მომზირალ-ი, სატირალ-ი, ნატუსალ-ი,

ასევე ე. წ. წინა ვითარების დერივატები: ნამწყემსარ-ი, ნაპურალ-ი, ნახანძრალ-ი, ნაგერალ-ი, ნაქერალ-ი...

მითითებული კანონზომიერებები შეიძლება გავრცელდეს ყველა სხვა მითითებულ სტრუქტურაზე სონორული აუსლაუტით.

-ელ: ამ აუსლაუტის მქონე სახელური ფუძის უმეტესობა მოქმედი მიმღეობაა (ან წარმომავლობით არის ასეთი). აქაც მრავლად არის როგორც უკუმშველი, ისე კუმშვადი ფუძეები:

უკუმშველი	**კუმშვადი**
კაბელი	საბელი
ტაბელი	შესაგებებელი
შტაბელი	დამლაგებელი
გიდელი	საგებელი

კანდელი
მოდელი
საზრდელი
ყრდელი
ნავთსაყუდელი
განსაცდელი
ჯეელი
ველი
თაველი
გველი
მმართველი
ნიკველი
ნინველი
ფრინველი
სამონველი
ცხოველი
ქველი
ყველი
მცველი
მლოცველი
მეშველი
მრეწველი
უეჭველი
ჯინჭველი
ნახველი
მკითხველი
ძახველი
საცეხველი
ფეხბურთელი
იელი
ზურგიელი
ნაკელი
ჯაკელი
მომკელი
კანკელი
სათლელი
საშლელი
ქვეშსაგებელი
საკოდელი
დამრიგებელი
სარგებელი
მღაღადებელი
ფუძემდებელი
ბრალმდებელი
წუნმდებელი
საგოდებელი
გამომძიებელი
სანელებელი
მასწავლებელი
სასწავლებელი
საბრალებელი
მხლებელი
სახამებელი
მაამებელი
სანანებელი
საბერველი
მბრძანებელი
უხსენებელი
მაჩვენებელი
მშენებელი
მომხმარებელი
საკერებელი
საცხოვრებელი
მცხოვრებელი
მაყურებელი
შემდუღებელი
მტაცებელი
საწებელი
მთიბელი
მეზობელი
საგალობელი
მონათმფლობელი
ახლობელი
მდნობელი

თამელი
კარამელი
მელი
გამზრდელი
საბმელი (შდრ. საბელი)
მთქმელი
ცმელი
ფლანელი
მსმენელი
მთხოვნელი
მლიქვნელი
გამყიდველი
სახვნელი
მწვრთნელი
სატკეპნელი
ბურნელი
მთოველი
მხსნელი
კუნელი
მღრღნელი
მცოხნელი
მთოხნელი
ვიმპელი
საჭრელი
ხეჭრელი
სახრელი
ქედუხრელი
თანაკლასელი
ფანტელი
კაფელი
საღერღელი
ცელი
შნიცელი
ხენცელი
ძელი
ორძელი
წელი
მახარობელი
მპყრობელი
მშობელი
უშობელი
ღრუბელი
კედელი
მღვდელი
გამდელი
ქუმელი
ღუმელი
საკიდელი
საყიდელი
მტკაველი
კრაველი
სახვეველი
მრჩეველი
მწეველი
სათხეველი
რთველი
სოველი
ყოველი
სირსველი
სარქველი
ნაღველი
შველი
მეშველი
საფუძველი
ფხიზელი
ნათელი
კამათელი
საჭრეთელი
სანთელი
საჩხრეკელი
საფხეკელი
მჭამელი
გამომცემელი
საკმელი

ხელი
სახელი
სასჯელი
თავთხელი
გასახდელი
აკვარელი

სარკმელი
თირკმელი
მზომელი
სასმელი
საჭმელი
ტანსაცმელი
საფანელი
საქონელი
წელი
ჭურჭელი
საწნახელი
გაუტეხელი
სავარცხელი
უღელი
სარტყელი
საჩეჩელი
სარეცელი
ცირცელი
ფურცელი
მუცელი
საბძელი
სავარძელი
საზეპელი
წკეპელი
დარბაისელი
საკრეფელი
წიფელი
საფეთქელი
კურდღელი
ბეღელი

ამ განაწილებაში, ცხადია, იჩენს თავს კითხვები როგორც ფუძეთა უკუმშველობის, ისე კუმშვის თვალსაზრისით, რაც მიზეზია ტრადიციისა (უზუსისა) და სტრუქტურული კანონზომიერებების თანაარსებობისა. ორივე ჯგუფში ასევე მოიპოვება წმინდა ზედსართავები ან მსაზღვრელი მიმღეობები:

უკუმშველი	**კუმშვადი**
მთელი	ყვითელი
ხმელი	წითელი
ნელი	შიშველი
ძველი	სქელი
ტიტველი	ბრტყელი
ძირძველი	ვრცელი
ბნელი	გრძელი
ჭრელი	თხელი
წრფელი	ცხელი
ძნელი	ფიცხელი
ჭკუათხელი	საძაგელი
უდარდელი	შესაგებებლი
უზრდელი	ჩამოუყალიბებელი
საცდელი	მაძაგებელი
გაუხდელი	ამგებელი
გადაუხდელი	მოსამზადბელი
მოუხდელი	გამადიდებელი
საგველი	გადაუდებელი
მროკველი	გაუთავებელი
მხილველი	მიუტევებელი
მფარველი	მაძიებელი
საკვირველი	უშველებელი
სასურველი	გაუნათლებელი
უშურველი	აუცილებელი
მთესველი	მამხილებელი
მეტყველი	შეუძლებელი
მიმბაძველი	შეუგნებელი
მხარჯველი	დაუდგრომელი
ჯანმრთელი	დაულეველი
უსწავლელი	უძლეველი
დაუთვლელი	უშრომელი
მოუსვლელი	აუტანელი
მოუვლელი	შემადგენელი
დაუბმელი	საყვარელი
საძებნელი	საზარელი
გაუხედნელი	მომხვეჭელი

მდევნელი	გაუტეხელი
მპოვნელი	
მშოვნელი	
მქნელი	
მომგვრელი	
ხელსაყრელი	
განუყრელი	
განუხრელი	
განუსჯელი	

კუმშვად ზედსართავებთან ერთი თავისებურებაა დაკავშირებული, მათი ნაწილი მხოლოდ ვითარებითში იკუმშება:

სქელ-ი → სქØლ-ად (და არა სქლ-ის, სქლ-ით);

ბრტყელ-ი → ბრტყØლ-ად

ვრცელ-ი → ვრცØლ-ად

ცხელ-ი ცხØლ-ად და მისთ.

-ოლ: ამ სეგმენტის შემცველი სამიოდე ფუძე იკუმშება: ობოლი, გოდოლი, ფოთოლი.

დანარჩენი სახელები უკუმშველია, თუმცა მათი რაოდენობაც არ არის დიდი: ბოლი, წბოლი, ბობოლი, მსრბოლი, გოლი, რგოლი, დოლი, ზოლი, კამბოლი, მენთოლი, იოლი, ცოკოლი, პროტოკოლი, ოლოლი, მოლი, გნოლი, ნოლი, ჟოლი, როლი, პაროლი, ბროლი, ბანდეროლი, ჰოროლი, კანტროლი, ნასროლი, მქროლი, სოლი, ტოლი, ატოლი, თანატოლი, ფული, ჩოჩქოლი, ღოლი, დამყოლი, ტოლი, ხრჩოლი, მებრძოლი, ნაწოლი, საწოლი, კონწოლი, კოწოლი, გამჭოლი, ოჩხოლი, ხრჩოლი...

-ამ: მ სონორით დაბოლოებულ სეგმენტში, საზოგადოდ, ნაკლებად დასტურდება კუმშვადი ფუძეები. **-ამ** შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

უკუმშველი	**კუმშვადი**
ბამი	ლაგამი
ნაბამი	ქათამი
დასაბამი	ალამი
ყელსაბამი	კალამი
დგამი	სალამი
ნადგამი	სალამ-ქალამი

ზესადგამი
მოდგამი
თვალშეუდგამი
თალგამი
თელგამი
ლამი
შალტამი
ვამი
ასტამი
გვამი
მოთქვამი
ბალზამი
ქრთამი
კამკამი
სკამი
ულამი
შლამი
თამამი
წამი
ჟამი
წკვარამი
გრამი
ნაგრამი
დრამი
ხრამი
ჩქამი
ბალღამი
ყამი
ბაყამი
ბრძამი
წამი
წამწამი
ნაჭამი
ხამი
ხამხამი
მოსასხამი
სისხამი
ყალამი
წალამი
ელამი
არამი
ვარამი
ჭერამი
ატამი
ვახშამი
ლერწამი

შხამი
ჯამი
ფილჯამი

-ემ: ამ ფუძეთა ნაკლებობა თვალშისაცემია, მით უფრო — კუმშვადის:

უკუმშველი	**კუმშვადი**
გემი	ირემი
ედემი	ურემი
ნაგვემი	
თემი	
რეკვიემი	
აქლემი	
კრემი	
ტოტემი	
საცემი	
გამოსაცემი	
მრწემი	
ხემი	
თხემი	
ჯემი	

-ომ: ამ სეგმენტში კუმშვა არ დასტურდება, ანუ შესაბამისი ამ სტრუქტურის ფუძეები უკუმშველია: ომი, გომი, ალბომი, სადგომი, მსკდომი, სანდომი, ჯდომი, ნაჯდომი, საზომი, ეგზომი, თომი, ლომი, დიპლომი, ბოქლომი, სინდრომი, იპოდრომი, ორომი, კორომი, ხორომი, ნაშრომი, ქვემძრომი, წრომი, ტომი, ატომი, თვისტომი, ნახტომი, ღომი, ცომი, ხომი, ბორჯომი...

-ან: ფუძის ამ სტრუქტურაში აშკარად ჭარბობს კუმშვადობა:

უკუმშველი	**კუმშვადი**
ბანი	საბანი
ბაბანი	ებანი
ნაბანი	ლებანი
დასაბანი	კიდობანი
ლიბანი	(თავ)ჩობანი

გემბანი
ანბანი
განი
ურაგანი
ნაგანი
ბარგანი
აბრაგანი
ორგანი
გაბადანი
ბინდანი
ბარდანი
თავანი
მბღავანი
ინტრიგანი
ლაგვანი
უგვანი
თაყვანი
სუზანი
ჭკვიანი
იღბლიანი
ჯიშიანი
თათმანი
დუშმანი
ბანანი
უბანი
გარეუბანი
იაგანი
ბალავანი
საგანი
ჯაგანი
იატაგანი
ზეგანი
ხულიგანი
ოსტიგანი
შიგანი
ჩოგანი
არგანი
ჩაიდანი
მადანი
დედანი
მოედანი
ქედანი
ჩემოდანი
ლავგარდანი
შადრევანი
ქოთანი
ხელთათმანი
გუთანი
გალავანი
ფალავანი
ქარავანი
მტევანი
ხეივანი
აკვანი
დიაკვანი
ბუნდოვანი
მაყვლოვანი
სამაროვანი
ერქვანი

-ენ: ამ შემთხვევაში ფუძის უკუმშველობაა უპირატესი:

უკუმშველი	**კუმშვადი**
ნაკბენი	შევარდენი
ნარბენი	ჯავარდენი
სარბენი	რეგვენი
აბორიგენი	ძღვენი
ზვიგენი	ყავარჯენი
სადენი	წვენი
ნამყენი	ყურძენი
ცრემლდენი	
ორდენი	
საყრდენი	
სასვენი	
ფსვენი	
სამშვენი	
გობელენი	
ხალენი	
შაგრენი	
შვეულმფრენი	
ნაყენი	
ბრძენი	
ცხენი	

-ონ: აქაც უპირატესია უკუმშველი ფუძეები:

უკუმშველი	**კუმშვადი**
ჭიბონი	მონაზონი
გონი	მაწონი
ვაგონი	საპონი
გასაგონი	
ფაეტონი	
ბიჭონი	
პაგონი	
ეპიგონი	
ფურგონი	
კაბადონი	
იადონი	
ბიდონი	
სეზონი	

გაზონი
გარნიზონი
ლითონი
ორიონი
დრაკონი
ლიმონი
გარმონი
მაკარონი
მირონი
კოცონი

-არ: ამ სტრუქტურის ფუძეთა საკმაოდ დიდ რაოდენობაში ასევე ხშირია კუმშვადობა:

უკუმშველი	**კუმშვადი**
ბარი	მეძებარი
ხაბარი	საგუბარი
ნუგბარი	ჯიგარი
მასდარი	ძირმაგარი
მჯდარი	ლანგარი
გვარი	მხედარი
ღვარი	ყავარი
სახლ-კარი	მდევარი
საკმარი	მაწყევარი
ნასახლარი	ნიაღვარი
ჭიპლარი	ჯვარი
შხოლარი	ლახვარი
ჯაგნარი	ცხვარი
თალარი	ბაზარი
თაღარი	დავთარი
წინკარი	ზამთარი
	ფუტკარი
	სიზმარი
	ტვიფარი
	ფეიქარი
	ბაწარი
	ჭინჭარი

-ერ: ამ ფუძის მატარებელ სახელთა რაოდენობა შეზღუდულია, მათ შორის — კუმშვადებისაც:

უკუმშველი	**კუმშვადი**
ბერი	დედაბერი
წბერი	ბებერი
გერი	თითბერი
ჩხავერი	მოზვერი
ნაფხვერი	კისერი
წვერი	ბოკვერი
შველერი	ბოცვერი
შპალერი	კავალერი
	საცერი
	მტერი
	მწყერი
	მეწყერი
	ოფიცერი

-ორ: ამ ჯგუფში კუმშვადი ფუძე შედარებით ცოტაა: გოდორი, მინდორი, ნიორი, პამიდორი, კოკორი, ჩოჩორი, ქოჩორი.

შდრ. უკუმშველები: ამბორი, ტბორი, გორი, კორიდორი, მაიორი, დუბლიორი, ჩიკორი, ლორი, შმორი, ნიამორი, ციმორი, დონორი, წნორი, რეჟისორი, ეკვატორი, ინკუბატორი, ინდიკატორი, ანატორი, ავტორი, ყინტორი, ომფორი, ფოსფორი, ძელქორი, თანასწორი, მონაჭორი, თხორი...

-ავ: ვ აუსლაუტის შემცველ ფუძეებში უკუმშველთა რაოდენობა დიდად აღემატება კუმშვადებს და კუმშვადობა მხოლოდ რამდენიმე **-ავ** დაბოლოებიან ფუძეს უდასტურდება:

ამბავ-ი, ნაგავ-ი, კარავ-ი, შალშავ-ი, ნიფხავ-ი...

გარკვეულ ფუძეებს ქართული ენის სხვადასხვა ისტორიულ ქვესისტემაში უდასტურდება კუმშვადი ვარიანტები. მაგ.:

თავ-ი (როგორც ნაცვალსახელი) → თვის, თვით.

ერისთავ-ი → განდგომილება ერისთვის ზურაბისა („ქართ. ცხ.“).

საკარგავ-ი: ერთი მამული საკარგვად, უბოძა ამირბაროზა („ვეფხ.“).

მეძავ-ი: შესმენითა მეძჯსა ქალისაჲთა... განიშორა... ცოლი თჯსი (ხანძთ.).

უკუმშველია: იგავი, საღებავი, მოკვდავი, საცოდავი, ზვავი, სვავი, შვავი, ჭილყვავი, ხელხვავი, ჭვავი, ხვავი, სახაზავი, წელკავი, სულთამხუთავი, ნემსკავი, უთვალავი, ნიძლავი, საფლავი, მფრინავი, ნაწნავი, სახურავი, მცურავი, მოურავი, ზღავი, მოსავი, ნათესავი, საცავი, ჭივჭავი, ბეჩავი, ძელშავი, საცავი, ცხავი, მლოცავი და მრავალი სხვა.

-ევ: უკუმშველია: დევი, ნაძალადევი, თანამდევი, ნაჭდევი, ნარკვევი, ნადარბაზევი, პარასკევი, ნალევი, ნაძლევი, ნარევი, ნანგრევი, წყალსატევი, ქევქევი, ურყევი, მოსაწევი, ხევი, ნარევი, მერხევი, ნასხლევი და სხვ.

-ოვ: უკუმშველია: ბოვი, ზოვი, ფსოვი, ნათოვი, ნათხოვი, ნაქსოვი, ნაწოვი.

მსგავსი სტრუქტურის კუმშვად და უკუმშველ ფუძეთა წარმოჩენის შემდეგ შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება:

თანამედროვე ქართულში (სინქრონიულ დონეზე) სახელის ფუძეთა კუმშვა უფრო უზუსია (ტრადიციაა), ვიდრე სტრუქტურული კანონზომიერება. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ერთი და იმავე სტრუქტურის ფუძეთაგან ერთი ექვემდებარება რედუქციას, ხოლო მეორე — არა. შდრ.:

მტარვალ-ი → მტარვალ-ის და შარვალ-ი → შარვØლ-ის...

საზოგადოდ, ქართულში რედუცირებულ ფუძეთა გამოყენების წესი მკაცრი (კატეგორიული) არ არის და ალომორფთა ვარიირება შესაძლებელია. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ცნობილ სტრიქონებში — „მტერობა ენის არის მტრობა ქვეყნის, — მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა...“ — ერთი და იგივე სიტყვის ფუძე ერთად არის გამოყენებული ორივე ვარიანტით. მართალია, ეს სიტყვაწარმოებაა, მაგრამ საკითხის არსს არ ცვლის. შესაძლებელია, ამგვარ არამდგრადობას განაპირობებს კუმშვადობისადმი ქართულის გავრცელების არეალების განსხვავებული დამოკიდებულება (დასავლურ არეალში რედუქცია „მოდუნებულია“). ამიტომაც არის შესაძლებელი, რომ მწერლები, საჭიროების

შემთხვევაში, თავისუფლად გამოიყენებენ კუმშვადი (ასევე — კვეცადი) სახელების ფუძეუცვლელ ვარიანტებსაც; მაგ.:

ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო (დ. გურამ.);

დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში (ილია);

აღარ შფოთობენ საფლავში გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები (ვაჟა);

მგელისა მგელი გამოვა, ბატკანი ვის უნახიაო! (ანდაზა);

მტერს დამორჩილდა ნებითა, ვეღარა ქმნა რა ძალათი (დ. გურამ.);

პეპელას ფრთებზე გამოვიძინე... (ი. გრიშ.).

3. ფუძის კუმშვის (რედუქციის) ყველაზე უფრო კანონიკური სტრუქტურა ასეთია: CVCVS, ანუ თანხმოვნით დაწყებული და სონორით დამთავრებული ორმარცვლიანი ფუძე. ამ ფუძეში C სიმბოლოთი აღნიშნულ პოზიციაში შეიძლება თანხმოვანთა ჯგუფიც იყოს.

4. რედუქციის შეზღუდვები დაკავშირებული ჩანს:

ა) ფუძის ერთმარცვლიანობასთან (თავკიდური ცალი თანხმოვნით): ქალ-ი, ცალ-ი, ფარ-ი...

ბ) რედუქციის შედეგად წარმოსაქმნელ (პოტენციურ) თანხმოვანთკომპლექსთან. მაგ.: დგნალ- (მოსალოდნია: **დგნლ**), ნაპრალ- (მოსალოდნელია: **პრლ**), ნაკრძალ- (მოსალოდნია: **კრძლ**)...

გ) არაადაპტირებულ ნასესხობებთან: ვანდალ-, სკანდალ-, ფესტივალ-, შტურვალ-...

დ) სახელთა დერივაციასთან (მიმღეობები, სხვა დერივატები ხშირად უფრო ნაკლებ ექვემდებარებიან სტრუქტურულ კანონზომიერებებს). შდრ.: ტანსაცმელ- → ტანსაცმØლ-ის(ა), მაგრამ: ჩასაცმ**ელ**-ის(ა).

5. შეინიშნება, რომ კუმშვა ცოცხალ მეტყველებაში უფრო თავისუფალია, ვიდრე სალიტერატურო ენაში; იქ ბევრი უკუმშველი ფუძე კუმშვადია; მაგ.: ნამყნ-ის, ნაღბ-ის, ლიმნ-ის, ბიტვნ-ის...

6. კუმშვადი ფუძეები ხმოვნის რედუქციას განიცდიან სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (აგრეთვე **-ებ**-იან მრავლობითში).

შესამჩნევია, რომ ამ თვალსაზრისით უფრო აქტიურია ვითარებითი ბრუნვა (ის ყველაზე უფრო ნათლად ამოწმებს კუმშვადობას).

იკუმშება ფუძის სამი ხმოვანი: **ა, ე** და **ო**.

ამ ხმოვანთაგან **ა** და **ე** სრულ რედუქციას განიცდის, ხოლო **ო,** გარკვეული პოზიციების გარდა, ნაწილობრივ რედუცირდება და გადადის **ვ**-ში. ამ შემთხვევაში ძირითადად უნდა მივიჩნიოთ ნაწილობრივი რედუქცია, რადგანაც სრულს დამატებითი ფაქტორი განაპირობებს (იხ. ქვემოთ).

თითოეული ხმოვნის კუმშვის თითო ნიმუში:

სახ.	მამალ-ი	კედელ-ი	მაწონ-ი
	— — — —	— — — —	— — — —
ნათ.	მამØლ-ის	კედØლ-ის	მაწ**ვ**ნ-ით
მოქ.	მამØლ-ით	კედØლ-ით	მაწ**ვ**ნ-ით
ვით.	მამØლ-ად	კედØლ-ად	მაწ**ვ**ნ-ად

-ებ-იან მრავლობითში სახელის ფუძე ყველა ბრუნვაში იქნება შეკუმშული, რამდენადაც **-ებ** უშუალოდ დაერთვის ფუძეს და ერთნაირად გაჰყვება ყველა ბრუნვას:

სახ.	მამØლ-ებ-ი
მოთ.	მამØლ-ებ-მა
მიც.	მამØლ-ებ-ს
ნათ.	მამØლ-ებ-ის
მოქ.	მამØლ-ებ-ით
ვით.	მამØლ-ებ-ად
წოდ.	მამØლ-ებ-ო

ო ხმოვნის სრული რედუქცია ხდება იმ შემთხვევაში, თუ სახელის ფუძეში, სარედუქციო სეგმენტის წინა პოზიციაში, მეორე ლაბიალური ხმოვანიც დასტურდება; შდრ.:

სახ.	კოკორ-ი	საპონ-ი
	— — —	— — —
ნათ.	კოკØრ-ის	საპØნ-ის
მოქ.	კოკØრ-ით	საპØნ-ით
ვით.	კოკØრ-ად	საპØნ-ად

7. სტრუქტურულ გამონაკლისებად მიიჩნევა კუმშვადი ფუძეები არასონორული (VC) დაბოლოებით; მათი მცირერიცხოვნობაც ამაზე მიანიშნებს: კაკაბ-ი, ნიღაბ-ი, ყასაბ-ი, ნაბად-ი, ბეჭედ-ი, სომეხ-ი.

III. 2.16. ფუძის კვეცა. არსებით სახელთა (საზოგადოდ, სახელების) მნიშვნელოვანი ნაწილის ფუძე ხმოვნით ბოლოვდება.

როგორც უკვე ითქვა, ფუძის დაბოლოებად გვხვდება ყველა ხმოვანი — ა, ე, ო, უ; ხოლო **ი** — მეტად იშვიათად, რადგან საზოგადო სახელებში ის მხოლოდ რამდენიმე ნასესხებ სიტყვას უდასტურდება (ჩაი, პაი, ტრამვაი...).

ხმოვნით დაბოლოებული ფუძეც შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი (მზე), ორმარცვლიანი (სახე), სამმარცვლიანი (სამარე) და მეტმარცვლიანი (გულგატეხილობა)... მარტივ (ძე) და წარმოქმნილფუძიანი (საძირე)...

ხმოვანფუძიან სახელთა ფლექსია ასევე გულისხმობს მორფემათა ურთიერთზემოქმედებასა და ცვლილებებს; სახელდობრ:

ა) **-VC** სტრუქტურის ბრუნვის ნიშანთა გავლენით შესაძლებელია ხმოვნით დაბოლოებულმა ფუძემ ცვლილება განიცადოს, კერძოდ, ფუძეს ბოლოკიდური ხმოვანი ჩამოსცილდეს (მოეკვეცოს):

ბად**ე** + -ის → ბად**Ø**-ის

ბ) თავის მხრივ, ხმოვნიანი ფუძე გავლენას ახდენს ბრუნვის ნიშნებზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება ამ ნიშანთა პოზიციური ვარიანტები (გზა + -მა → გზა-მ**Ø**); ეს ცვლილება შეეხება **-VC** სტრუქტურის ბრუნვის ნიშნებსაც იმ შემთხვევაში, თუ თავად ფუძე სტაბილურია, უცვლელია (წყარო + ის → წყარო + **Ø**ს˹ი˺) (ბრუნვის ნიშანთა ალომორფების შესახებ იხ. ცალკე პარაგრაფი).

ამდენად, ხმოვანფუძიან სახელებში ორი ძირითადი მორფონოლოგიური ტიპი გამოიყოფა:

1. ფუძე უცვლელია, მაგრამ ფუძის ზემოქმედებით ცვლილებას განიცდის თვით ბრუნვის ნიშანი:

სახ. წყარო
მოთ. წყარო-მ
მიც. წყარო-ს
ნათ. წყარო-ს(ი)
მოქ. წყარო-თი
ვით. წყარო-დ
წოდ. წყარო-ვ

2. ფუძე ცვლილებას განიცდის, სახელდობრ, ის ბოლოკიდურ ხმოვანს დაკარგავს -VC სტრუქტურის ბრუნვის ნიშანთა ზემოქმედებით:

სახ. მთა
მოთ. მთა-მ
მიც. მთა-ს
ნათ. მთØ-ის
მოქ. მთØ-ით
ვით. მთა-დ
წოდ. მთა-ვ

როგორც ვხედავთ, ვითარებითი ბრუნვა სრული ფუძით (მთა) არის წარმოდგენილი.

იბადება კითხვა: რატომ მივიჩნევთ ვითარებითში ფუძეს უცვლელად, ანუ რატომ ვშლით ფორმას **მთა**-დ და არა **მთ**-ად, როდესაც ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **-ად** იმავე სტრუქტურისაა, რისაც **-ის** და **-ით** და ფუძის კუმშვისას ეს ბრუნვის ნიშნები ერთგვარ გამვლენელ ძალას ავლენს.

იმას, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი კვეცას ვერ იწვევს, ამტკიცებს **ე** ხმოვნით დაბოლოებული სახელები. მაგ.:

სახ. მთვარე
მოთ. მთვარე-მ
მიც. მთვარე-ს
ნათ. მთვარØ-ის
მოქ. მთვარØ-ით
ვით. მთვარე-დ
წოდ. მთვარე-ვ

ამგვარად: ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას ბრუნვის ნიშნის გავლენით კ ვ ე ც ა ჰქვია.

ფუძე, რომელიც იკვეცება, არის კ ვ ე ც ა დ ი.

კვეცა ხდება ორ ბრუნვაში — ნათესაობითსა და მოქმედებითში.

იკვეცება ორი ხმოვანი — **ა** და **ი**; შდრ.:

სახ. ძმა მზე
მოთ. ძმა-მ მზე-მ
მიც. ძმა-ს მზე-ს

ნათ.	ძმØ-ის	მზØ-ის
მოქ.	ძმØ-ით	მზØ-ით
ვით.	ძმა-დ	მზე-დ
წოდ.	ძმა-ვ	მზე-ვ

რიცხვის ნიშანი **-ებ** ისევე იწვევს ფუძის ხმოვნის კვეცას, როგორც მითითებული ბრუნვის ნიშნები. ოღონდ ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს **ე** ხმოვანფუძიანი სახელები, რომელთა ფუძე **-ებ** სუფიქსთან უცვლელია. შდრ.:

ქვა → ქვØ-ებ-ი

მაგრამ:

ხე → ხე-ებ-ი

მასლაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ კვეცა ბევრად უფრო თანამიმდევრული მორფონოლოგიური წესია, ვიდრე კუმშვის აღწერილი სურათი; კერძოდ: სახელებში იკვეცება ყველა ბოლოკიდური **ა** და **ე** ხმოვანი, მიუხედავად იმისა, ერთმარცვლიანი იქნება ფუძე, ორმარცვლიანი, თუ — მეტმარცვლიანი, ანდა რომელი შინაარსობრივი ჯგუფისა იქნება ის.

ა ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელებია: ძმა, ბიძა, გზა, ქვა, ტბა, თმა, ზღვა, მუხა, რცხილა, მიწა, თიხა, კეფა, ენა, ლოყა, გუგა, ჭიქა, დანა, ტურა, კატა, ბაჭია, ენძელა, კრაზანა, წერა, კითხვა, შრომა, შენება, ბანაობა, ოცნება, გართობა, მშვიდობა, მეგობრობა, დაუმორჩილებლობა, მამულიშვილობა და მრავალი სხვა.

ე ხმოვანფუძიანი სახელებია: ძე, ხე, ბზე, მზე, კლდე, ტყე, რძე, ტყვე, სახე, სიძე, ბადე, ბაგე, თონე, ღონე, ბუდე, მახე, თავხე, ციხე, ღობე, გუბე, უბე, სარკე, სამხეცე, საყანე, საკარტოფილე, სიმშვიდე, სილამაზე, სიმამაცე, სირთულე, მეპურე, მეღვინე, მეჩექმე, მოენე, მობინადრე, ახალმოსახლე და სხვ.

კვეცის საერთო წესს არ ექვემდებარება ზოგი **ა** ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელი; აქ ორი შემთხვევა უნდა გამოვყოთ:

ა) არ იკვეცება ზოგი დერივაციული დატვირთვის (სუფიქსური) **ა** ხმოვანი; მაგ.:

სახ.	ბიცოლა	სქელშუბლა
ნათ.	ბიცოლა-ს(ი)	სქელშუბლა-ს(ი)
მოქ.	ბიცოლა-თი	სქელშუბლა-თი
ვით.	ბიცოლა-დ	სქელშუბლა-დ

ზოგჯერ ასეთ ფუძეში სუფიქსურობა არც ჩანს, მაგრამ უკვეცელობა ტრადიციით ჩანს დამკვიდრებული:

სახ. მელა
ნათ. მელა-ს(ი)
მოქ. მელა-თი
ვით. მელა-დ

დამატებით გასათვალისწინებელია ის, რომ ასეთი ფუძეები **-ებ**-იან მრავლობითში ორგვარ სურათს გვიჩვენებს: მათი უმეტესი ნაწილი მრავლობითში კვეცადია, მაგრამ შეიძლება უკვეცელობა მრავლობითშიც გადასდევდეს. შდრ.:

სახ. ბიცოლØ-ებ-ი	ლურჯა-ებ-ი
მოთ. ბიცოლØ-ებ-მა	ლურჯა-ებ-მა
მოქ. ბიცოლØ-ებ-ს	ლურჯა-ებ-ს
ნათ. ბიცოლØ-ებ-ის	ლურჯა-ებ-ის

ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, საკუთარ სახელთან არის გათანაბრებული.

„საკუთრის“ გაგება კვეცაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ნათესაობის ტერმინშიც (დედა, მამა, პაპა, ბიძა...); კერძოდ, თუ **დედა** საზოგადო სახელია, ის კვეცადებს განეკუთვნება, მაგრამ თუ ის „საკუთარი“ (მოლაპარაკის პოზიციიდან — „ჩემი“) მშობლის აღმნიშვნელად გამოიყენება, უკვეცელი იქნება. შდრ.:

„კარგი შვილი დ ე დ ი ს გულის ვარდიაო“ (ანდაზა).
„ძმებო, მითხარით, რათ გვაგონდება „დ ე დ ა ს პური“ და პ ა პ ა ს ქლიავი“ (გ. ლეონ.).

ხმოვანფუძიანთა კვეცასთან დაკავშირებული ორიოდე თავისებურებაც:

1. უცხოური წარმომავლობის **ა**-ფუძიანი სახელები, ჩვეულებრივ, ექვემდებარება კვეცის წესს: პრობლემა → პრობლემØ-ის, კომუნა → კომუნØ-ის, ანათემა → ანათემØ-ის...

მაგრამ **ე**-ფუძიანი ასეთივე ნასესხები სიტყვები უკვეცელია:

სახ. კაშნე
ნათ. კაშნე-ს(ი)
მოქ. კაშნე-თი
ვით. კაშნე-დ

2. **ო** ხმოვანი, როგორც ვნახეთ, კვეცად დაბოლოებებში არ შედის; მაგრამ არსებობს ერთადერთი ფუძე, რომელიც **ო** ხმოვნის კვეცას ადასტურებს — ეს არის **ღვინო**:

სახ. ღვინო
ნათ. ღვინ-ის
მოქ. ღვინ-ით
ვით. ღვინო-დ

შდრ.: მრავლობითი: ღვინო-ებ-ი...

ამ შემთხვევას რომ ობიექტური საფუძველი აქვს, ჩანს **ჭიგო** ფუძის ნაწილობრივი კვეციდან კახურ დიალექტში: ჭიგ**ვ**-ის, ჭიგ**ვ**-ით...

III. 2.17. კვეცად-კუმშვადი ფუძეები. ხმოვანფუძიანი სახელების კიდევ ერთ მორფონოლოგიურ ტიპად გვევლინება ისეთი ფუძეები, რომლებშიც ხმოვნის ორმაგი რედუქცია ხდება, ანუ ფუძე კვეცასაც განიცდის და კუმშვასაც.

ამ მოულოდნელ პროცესში რაღაც თანმიმდევრობა უნდა იყოს დაცული. რადგან ბრუნვის ნიშანი მხოლოდ უშუალო მეზობელ მარცვალზე ახდენს მარედუცირებელ გავლენას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კვეცა ხდება, ხოლო შემდეგ — კუმშვა.

ამიტომაც უნდა ეწოდოს ფუძის ამგვარ ცვლილებას **კვეცა-კუმშვა**.

ამგვარ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის ფუძეთა საკმაოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი — ათიოდე არსებითი სახელი: ქვეყანა, ქარხანა, პეპელა, ფანჯარა, მხარე, მოყვარე...

კვეცისაგან განსხვავებით, ეს ორმაგი ფონეტიკური პროცესი ხდება სამ ბრუნვაში, ანუ ვითარებითში კუმშვასთან ერთად კვეცაც დასტურდება. ნიმუშები:

სახ. ფანჯარა	მოყვარე
მოქ. ფანჯარა-მ	მოყვარე-მ
მიც. ფანჯარა-ს	მოყვარე-ს
ნათ. ფანჯ**Ø**რ**Ø**-ის	მოყვ**Ø**რ**Ø**-ის
მოქ. ფანჯ**Ø**რ**Ø**-ით	მოყვ**Ø**რ**Ø**-ით
ვით. ფანჯ**Ø**რ**Ø**-ად	მოყვ**Ø**რ**Ø**-ად
წოდ. ფანჯარა-ვ	მოყვარე-ვ

კვეცად-კუმშვადი სახელები **-ებ**-იან მრავლობითშიც იჩენენ თავისებურებას, კერძოდ, ამ შემთხვევაში **ე-** ხმოვნიანი ფუძეებიც კვეცადია (კუმშვასთან ერთად); შდრ.:

სახ.	ქარხØნØ-ებ-ი	მოყვØრØ-ებ-ი
მოთ.	ქარხØნØ-ებ-მა	მოყვØრØ-ებ-მა
მიც.	ქარხØნØ-ებ-ს	მოყვØრØ-ებ-ს
ნათ.	ქარხØნØ-ებ-ის	მოყვØრØ-ებ-ის
მოქ.	ქარხØნØ-ებ-ით	მოყვØრØ-ებ-ით
ვით.	ქარხØნØ-ებ-ად	მოყვØრØ-ებ-ად
წოდ.	ქარხØნØ-ებ-ო	მოყვØრØ-ებ-ო

შენიშვნა: 1. მ ხ ა რ ე სიტყვის მრავლობითი სრული (უკვეცელ-უკუმშველი) ფუძით გვხვდება: მხარე-ებ-ი, მხარე-ებ-მა... როგორც ჩანს, **მხარი** ლექსემასთან ფორმალური ომონიმიის თავიდან ასაცილებლად. შეიძლება ამასვე მივაწეროთ ის, რომ ახალ ქართულში **მხარე** სიტყვა არსებითად კვეცად სახელებში გადავიდა. შდრ.:

„ქალი რად გინდა უცხო მ ხ რ ი ს?..“ (ხალხ.).

„გამოქვეყნდა მთვარის უკანა მ ხ ა რ ი ს ფოტოები“ („თბილ.“).

2. საზოგადოდ, კვეცად-კუმშვად ფუძეთა მოშლის ტენდენცია აშკარაა. მაგალითად, **მანქანა** ძვ. ქართულში კვეცად-კუმშვადი იყო (მანქნ-ის), დღეს ორდენ კვეცადია (მანქან-ის)*; ამიტომაც უკვეცელ-უკუმშველადაც დასტურდება: ისაა ჭეშმარიტი და მშვენიერი გამოთქმა სიყვარულისა მ ო ყ ვ ა რ ი ს ა დ მ ი (გ. ტაბ.). „პ ე პ ე ლ ა ს ფრთებზე გამოვიძინე“ (ი. გრიშ.). ქარში ფრიალებენ პ ე პ ე ლ ე ბ ი (მ. ჩიტ.).

III. 2.18. ბრუნების ტიპიზაციისათვის სალიტერატურო ქართულში. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ბრუნების სისტემა, ერთი შეხედვით, სრულიად ნათელ და მარტივ სურათს წარმოგვიდგენს; ის ფაქტობრივ ერთტიპიურია, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს „**ბრუნება ქართულში ერთია**: ბრუნვის ნიშნები... არსებითად ერთნაირია ყველა სახელთან“.

მიუხედავად ამისა, ბრუნების ტიპების დადგენის საკითხი აზრთა სხვადასხვაობის მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა. გამოყოფილი ტიპების (სახეების) რაოდენობაც ნაირგვარია — ორი სახეობიდან დაწყებუ-

* თუმცა ძველში ქ უ ე ყ ა ნ ი ს იყო, დღეს კი კვეცად-კუმშვადია (ქ ვ ე ყ ნ ი ს).

ლი, ცამეტით დამთავრებული (მივუთითებთ არა ქრონოლოგიური, არამედ რაოდენობის მატების პრინციპით):

ა) **ორი** ტიპი — ფუძეთანხმოვნიანი და ფუძეხმოვნიანი სახელები (ლ. კვაჭაძე).

ბ) **სამი** ტიპი — ბრუნვის ნიშანთა ცვლილების გათვალისწინებით (ა. შანიძე):

I (ფუძეთანხმ.)	II (ფუძეხმ. კვეც.)	III (ფუძეხმ. უკვეც.)
-მ	-ი	-ი
-მა	-მ	-მ
-ს	-ს	-ს
-ის	-ის	-ს(ი)
-ით	-ით	-თ(ი)
-ად	-დ	-დ
-ო	-ვ	-ვ

გ) ასევე **სამი** ტიპი, ოღონდ, ბრუნვის ნიშნების გარდა, ფუძის ვითარების ჩვენებით:


1. არც ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში, არც ფუძის დაბოლოება მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე (ფუძეთანხმოვნიანი უკუმშველი);

2. ბრუნვის ნიშანი უცვლის ფუძეს ფორმას (ფუძეთანხმოვნიანი კუმშვადი და ფუძეხმოვნიანი კვეცადი);

3. ფუძე უცვლის სახეს ბრუნვის ნიშანს (ფუძეხმოვნიანი უკვეცელი) (არნ. ჩიქობავა).

დ) **ოთხი** ტიპი: ა) კუმშვადი, ბ) უკუმშველი; გ) კვეცადი; დ) უკვეცელი (ა. ონიანი).

ე) **ხუთ** ტიპს ბრუნების სისტემაში ჩვენ ვიცნობთ სასკოლო გრამატიკიდან (ა. შანიძის, ლ. კვაჭაძისა და ი. იმნაიშვილის ავტორობით); ესენია (იერარქიულად):



ვ) ეს უკანასკნელი არსებითად გამარტივებული სახეა ვ. თოფურიას ანალიზისა, რომელმაც ნაირსახეობათა სრული გათვალისწინების შედეგად **ცამეტი ტიპი** მიიღო (ვ. თოფურია).

აღარავინ დაობს იმაზე, რომ ბრუნების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისას ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთქმედება უნდა იქნეს გათვალიწინებული. ეს კი ძირითადად იმ ბრუნვებს ეხება, რომლებშიც ე.წ. კუმშვა-კვეცა მომდინარეობს. ეს არის VS სტრუქტურის აუსლაუტის სახელური ფუძისა და VC სტრუქტურის სუფიქსების შეხვედრა ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (-ის, -ით, -ად).

ამავე დროს, ბრუნების ტიპიზაციისას გათვალისწინებას მოითხოვს -**ებ**-იანი მრავლობითიც, ვინაიდან, ჯერ ერთი, ის ბრუნების ისეთსავე სრულ სისტემას იძლევა, როგორსაც მხოლობითი, მეორეც, რაც მთავარია, **-ებ** იმავე VC სტრუქტურის მორფემაა და მისი ზემოქმედება ფუძეზე ისევე გასათვალისწინებელია, როგორც ბრუნვის ნიშნებისა.

ბრუნების მოფოლოგიის, კერძოდ, ფუძის ვითარების გათვალისწინებით რვა ტიპის პარადიგმას მივიღებთ:

1	2	3	4	5	6	7	8
სახლ-	კედელ-	მაწონ-	წყარო	ძმა	ხე	თხუნელა	ქარხანა
„——„	კედლ-	მაწვნ-	„——„	ძმ-	ხ-‖ხე	თხუნელა ‖ თხუნელ-	ქარხნ-

თუ პარადიგმის ტიპებს მხოლოდ არსებითი სახელის მხოლობითი რიცხვის ბრუნების მიხედვით წარმოვადგენთ, ეს 8 ტიპი საკმარისი აღმოჩნდება (რამდენიმე ნაირსახეობის ან თავისებურების მითითებით); მაგალითად: ო ხმოვნის სრული რედუქცია მე-3 ტიპში [კოკØრ-ის] ან მთელი მარცვლის დაკარგვა მე-2 ტიპში: ამბØ-ის და მისთ.); მაგრამ თუ მრავლობითის ჩვენებასაც გავითვალისწინებთ (რაც ძნელად გვერდასავლელია), ამ ტიპებს რამდენიმე ქვეტიპი მიემატება, როგორც ეს მე-6 და მე-7 ტიპებისათვის არის მითითებული (ე ხმოვნის მრავლობითში უკვეცელობა და უკვეცელის მრავლობითში კვეცა). ასეთივე ქვეტიპობრივი შემთხვევები იქნება:

ა) მე-2 ტიპისათვის:
ფეხსაცმ**ე**ლ-ი
ფეხსაცმØლ-ის, მაგრამ ფეხსაცმ**ე**ლ-ებ-ი

ბ) ასევე მე-2 ტიპისათვის:

არჩევ**ა**ნ-ი

არჩევ**ა**ნ-ის, მაგრამ არჩევ**Ø**ნ-ებ-ი

გ) მე-7 ტიპისათვის:

ლურჯ**ა**

ლურჯ**ა**-ს(ი), მაგრამ ლერჯ**ა**-ებ-ი

დ) მე-8 ტიპისათვის:


მხ**ა**რ**ე**

მხ**Ø**რ**Ø**-ის, მაგრამ მხ**ა**რ**ე**-ებ-ი

შესაძლებელია სახელთა ფორმაცვალების საკლასიფიკაციო სქემა წარმოდგენილი იქნეს სხვა პრინციპითაც — ფუძის აუსლაუტის სტრუქტურიდან ამოსვლით.

რამდენადაც ბრუნების (სახელთა ფორმაცვალების) ნაირსახეობათა კლასიფიკაციის საფუძველი არაერთგვაროვანია, კერძოდ, გასათვალისწინებელია ფონოლოგიური, მორფოლოგიური და მორფონოლოგიური ასპექტები, ასევე შესაბამისი სტრუქტურული მოდელირება არსებითად ამოცანების საფეხურებრივ დასმასა და გადაწყვეტას მოითხოვს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისი საკლასიფიკაციო ვარიანტის იერარქიული (საფეხურებრივი) სისტემის აგება. ბუნებრივად გამოიყოფა იმდენი სისტემური საფეხური, რამდენი ახალი პარამეტრის გათვალისწინება შეიქნება საჭირო ახალი საკლასიფიკაციო პროცედურებისათვის.

ეს საკლასიფიკაციო ვარიანტი შესაძლებელია შემოთავაზებულ იქნეს შემდეგი იერარქიული (საფეხურებრივი) სქემის სახით:


I
II
III
IV
V
VI
c#ფუძე
v#ფუძე
-vcc
-vc
-vs
-ი/ო/უ
-ა/ე
უკუმშ.
უკუმშ.
კუმშ.
-ი/უs
-ა/ე/ოs
უკვეც.
კვეც.
კუმშ.-
კვეც.
უკუმშ.
1-მარცვ.
2-3...
მარცვ.
მხ. მრ.
+ +
მხ. მრ.
+ –
მხ . მრ.
– +
უკუმშ.
კუმშ.
კუმშ.
ნაწილობრ.
ო/ვ

კომენტარები სქემისათვის:

ამდენად, ქართული ენის ფონოლოგიური და მორფოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, კლასიფიკაციის პირველი საფეხური ბინარულია:

I. **თანხმოვანფუძიანი — ხმოვანფუძიანი.** თუ შესაბამისი ოპერაციის საფუძვლად ავიღებთ ნეიტრალურ ბრუნვას — სახელობითს, მაშინ ოპოზიციას შექმნის **ი**—ხმოვნიანი (თანხმოვანფუძიანი) და ა ე ო უ—ხმოვნიანი (ხმოვანფუძიანი) სახელები. ის (უცხოური წარმომავლობის) სახელები, რომელთა **ი**—აუსლაუტი ფუძისეულია (ტაქსი), გამონაკლისთა რეგისტრში აისახება (ხმოვანფუძიანებში გადაირიცხება).

II. შემდეგ საფეხურზე თანხმოვანფუძიან სახელთა კლასიფიკაცია კვლავ ფონემატურ საფუძველზე უნდა მოხდეს. კერძოდ, ცნობილი სიმბოლოების (**C, S, V**) მეშვეობით აღიწერება ფუძის ბოლოკიდური მარცვლის სტრუქტურა:

ა) **-VCC** (იგივე: -**VSC, -VCS, -VSS**); ბ) **–VC** და გ) **VS**

ხმოვანფუძიანი სახელები ამგვარ კომბინატორულ მიდგომას არ საჭიროებს, აქ ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის მიხედვით გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

ა) **ო, უ, ი** — აუსლაუტი და ბ) **ა, ე** — აუსლაუტი.

III. ეს დანაწილება შესაძლებლობას იძლევა სახელების შემდგომი კლასიფიკაცია მოვახდინოთ ფუძეთა ცვალებადობის გათვალისწინებით. კერძოდ:

თანხმოვანფუძიანები:

(ა) ჯგუფი მთლიანად ფუძეუცვლელია;

(ბ) ჯგუფის ძირითადი ნაწილი (ა)-ს მიეკუთვნება, ამიტომაც შესაძლებელია კუმშვადი გამონაკლისების ცალკე რეგისტრაცია მოხდეს (კაკაბი, ნაბადი, ნიღაბი, ბეჭედი, ყასაბი); ნაკლებ ადეკვატური იქნება მათი გაერთიანება (გ) ჯგუფში, ვინაიდან ეს ნიშნავს გამონაკლისების პრიორიტეტულად აღიარებას.

(გ) ჯგუფი გულისხმობს უპირატესად ფუძეცვალებადი (კუმშვადი) სახელების არსებობას, ამიტომაც შემდგომ ეტაპზე შემოვა დამატებითი საკლასიფიკაციო ნიშნები (იხ. IV საფეხური).

ხმოვანფუძიანები:

(ა) ჯგუფი უკვეცელია (ორი გამონაკლისით — ღვინო, დრო);

(ბ) ჯგუფი ამ საფეხურზე ორ ქვეჯგუფად გაიყოფა: 1. კვეცადები (გამონაკლისები ცალკე აისახება) და 2. კუმშვად-კვეცადები (ამ ჯგუფე-

ბისათვის დამატებითი ნიშანი ბრუნვის ფორმანტთა ალომორფული ნაირგვარობაა).

IV **საფეხური**: **თანხმოვანფუძიანებში** -VS ჯგუფი გაიყოფა **ი, უ**—ხმოვნიან და **ა, ე, ო**—ხმოვნიან ქვეჯგუფებად, რომელთაგან პირველი მთლიანად უკუმშველია, ხოლო მეორე, ჩვეულებისამებრ, კუმშვადი. ოღონდაც აქ აუცილებელი ხდება დამატებითი ნიშნის შემოტანა (იხ. V საფეხური).

ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ე ბ შ ი: (ა) — მხოლობითის და მრავლობითის ფუძეთა ჩვენების მიხედვით დაიყოფა სამ ქვეჯგუფად:

a) **ა**-ფუძიანი: ფუძე კვეცილია მხოლობითშიც და მრავლობითშიც (მამა...);

b) **ე**-ფუძიანი: ფუძე კვეცილია მხოლობითში, უკვეცელი — მრავლობითში (ხე...);

c) **ა**-ფუძიანი: უკვეცელია მხოლობითში, კვეცილი — მრავლობითში (თხუნელა...).

[ამ საკლასიფიკაციო საფეხურის სხვაგვარი ვერსია — იმავე შედეგით: კვეცადი ჯგუფი გაიყოს ა-ფუძიანებად და ე-ფუძიანებად, ხოლო მათგან პირველი — ორ ქვეჯგუფად].

შენიშვნა: ა) ცალკე წესად (და არა — ქვეჯგუფად) უნდა ჩამოყალიბდეს მინიმალურმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელთა ქცევა წოდებითში — ორივე ალომორფის შესაძლებლობა (-ვ/-ო).

ბ) კვეცად-კუმშვად სახელთა მრავლობითში ე-ხმოვნიანი ფუძეც იკვეცება.

V **საფეხური**: ა, ე, ო ხმოვანთა შემცველი VS-სტრუქტურის აუსლაუტის თანხმოვანფუძიანი სახელები უნდა გაიყოს მარცვლოვნობის გათვალისწინებით:

a) ერთმარცვლიანები (რომელთა უმეტესობა უკუმშველია, კუმშვადობა — გამონაკლისი);

b) ერთზემეტმარცვლიანები (კუმშვადობის უპირატესი ნიშნით).

VI **საფეხურზე** V b) ჯგუფიდან ცალკე ქვეჯგუფად გამოიყოფა ო-ხმოვნის შემცველი ის ფუძეები, რომელნიც ექვემდებარებიან ნაწილობრიც რედუქციას: ო>ვ (მაწონი — მაწვნის...).

შენიშვნა: სრულრედუქციანი ო ექცევა ა, ე ხმოვანთა რიგში, ოღონდაც განსასაზღვრი ხდება ის კომბინატორული წესი (ლაბიალური გარემოცვა), რომელის სრულ რედუქციას განაპირობებს (საპონ-ი — საპØნ-ის...).

III. 2.19. ბრუნვათა ფუნქციები ქართულში

ქართულში ყველა ბრუნვას თავისი გამოკვეთილი ფუნქცია აქვს. აქედან ზოგს მხოლოდ ერთი ფუნქცია მოეპოვება, ზოგს კი — რამდენიმე ერთად (ასეთ დროს, ჩვეულებისამებრ, გამოიყოფა ძირითადი და დამატებითი ფუნქციები). განსხვავებული ფუნქციების გამოხატვის საშუალება იქმნება ბრუნვის ფორმებზე თანდებულების დართვის დროსაც. ამ საკითხზე თანდებულიან ბრუნვათა ფუნქციების განხილვის დროს იქნება საუბარი.

ბრუნვათა ფუნქციები დროთა განმავლობაში იცვლებოდა: მათ ხან აკლდებოდა, ხან კი ემატებოდა რაიმე მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა.

ბრუნვის ფორმები გრამატიკული ფუნქციის მიხედვით, პირველ რიგში, უნდა გავყოთ **პირდაპირ** და **ირიბ** ბრუნვებად. **პირდაპირ** ბრუნვებად მივიჩნიოთ ზმნასთან შეწყობილი პირების — სუბიექტისა და პირმიმართი ობიექტების ბრუნვები, ანუ პირველი სამი ბრუნვა **(სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი**); დანარჩენები (მათ შორის — მიცემითიც, როცა ის სუბიექტს ან პირმიმართ ობიექტებს არ გამოხატავს) — **ირიბი** ბრუნვები იქნება.

ამჯერად განვიხილავთ მარტივ, უთანდებულო ბრუნვათა ფუნქციებს:

III. 2.19.1. სახელობითი ბრუნვა. სახელობითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა **ქვემდებარის** გამოხატვა.

აქვე უნდა დავაკონკრეტოთ, თუ რა ვითარებაში იხმარება სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი წინადადებაში ქვემდებარედ; ეს ხდება:

ა) ვნებითი გვარის ფორმებთან დრო-კილოთა ყველა სერიაში:
წერილ-ი იწერება (**წერილ-ი** დაიწერა, **წერილ-ი** დაწერილა...)
კვერცხ-ი წითლად შეიღებება.
მზე ალისფრად აელვარდა.

ბ) იდენტური ვითარებაა ე. წ. მედიოპასიურ ზმნებთანაც:

კაც-ი ზის (**კაც-ი** იჯდა, **კაც-ი** მჯდარა...)

გ) ხოლო მოქმედებითსა და მედიოაქტივებთან სახელობით ბრუნვაში ქვემდებარე წარმოდგენილია მხოლოდ პირველი სერიის ფორმებში:

ბავშვ-ი ხატავს (**ბავშვ-ი** ხატავდა... **ბავშვ-ი** დახატავს, **ბავშვ-ი** დახატავდა...

ასევე ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სახელობითისთვის **პირდაპირი ობიექტის** —გამოხატვა, ოღონდ ეს მხოლოდ მეორე სერიის მწკრივებში:

დედამ **საჭმელ-ი** მოამზადა და ა. შ.

ასევე მნიშვნელოვანი ფუნქციაა სახელობითბრუნვიანი სიტყვის გამოყენება **შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად**:

მე **სტუდენტ-ი** ვარ, ის **მასწავლებელ-ი**-ა**...**

სახელობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება ასევე **დროის გარემოების** აღმნიშვნელად შემდეგი სახის კონსტრუქციებში:

საქართველო **დღე** და **ღამე** იარაღით ხელში იდგა (ილია).

სრული სამი **წელი** ვცხოვრობდით ჩვენ ერთად (ჭ. ლომთ).

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენაში უფრო მართებულ ფორმებად მიჩნეულია მიცემითბრუნვიანი ვარიანტები — **ორ დღეს** დაყო, **სამ წელს** იმუშავა...

III. 2.19.2. მოთხრობითი (იგივე **ერგატიული) ბრუნვა.** მოთხრობითი (ერგატიული) სპეციფიკური ბრუნვაა, რომლის ანალოგიც ბევრ ენაში არ არსებობს; ან არსებობს, მაგრამ - ოდნავ ცვლილი გრამატიკული მნიშვნელობით... ერგატივი, ზოგადად, ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენების ბრუნვაა... სხვადასხვაგვარი განვითარება პოვა მოთხრობითმა სხვადასხვა ქართველურ ენაში... რაც შეეხება საკუთრივ ქართულს, მოთხრობითს აქ ერთადერთი, საუკუნეების მანძილზე უცვლელი ფუნქცია აქვს — გამოხატოს გარდამავალი ზმნის სუბიექტი მეორე სერიის ფორმებთან. ზმნა ამ დროს შეიძლება იყოს ორპირიანი, სამპირიანი და ზოგჯერ — ერთპირიანიც კი (ამ დროს, როგორც წესი, დაკარგულია ობიექტური პირი); მაგ.:

ციცუნია კატაო, მაგრე **რამ** დაგხატაო! (აკაკი).

კიბეზე **ვიღაცამ** დაახველა (აკაკი).

ცალკე აღნიშვნის ღირსია სპეციფიკური სიტყვიერი ფორმულები (წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრული), რომლებიც, შეიძლება ითქვას, ასევე მოთხრობით ბრუნვას გვიჩვენებენ:

არც ეგ არის ურიგო, **შენმა მზემ**! (ილია).

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო! (აკაკი)

III. 2.19.3. მიცემითი ბრუნვა. მიცემითი ბრუნვა გარდამავალი ზმნების **სუბიექტის** ბრუნვაა მესამე სერიის მწკრივებში, თუ ამ შემთხვევაში ინვერსიის არსებობას ვაღიარებთ:

მწერალ-ს წიგნი დაუწერია.

სუბიექტისავე ბრუნვაა მიცემითი ერთპირიან (პირდაკარგულ) ზმნებთანაც:

ძაღლ-ს სიცივისგან აკანკალებს.

ბავშვ-ს შია.

მიცემითი ბრუნვის ძირითადი ფუნქციებია ობიექტების გამოხატვა:

ირიბი ობიექტის:

კაცი **მეგობარ-ს** წერილს სწერს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ირიბი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია ყოველთვის (ბრუნვაუცვლელია), განსხვავებით პირდაპირი ობიექტისაგან.

პირდაპირი ობიექტის:

კაცი **წერილ-ს** წერს (პირდაპირი ობიექტი)

პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში დგას მხოლოდ პირველი სერიის ფორმებთან. მეორე და მესამე სერიებში ის სახელობით ბრუნვაში გადადის:

კაცმა **წერილ-ი** დაწერა.

უბრალო დამატების:

უბრალო დამატების ფუნქცია აქვს მიცემითბრუნვიან სახელს სახელზმნებთან შემდეგი ტიპის კონსტრუქციებში: **ხე-ს** ამოფარებული, **კედელ-ს** მიყუდებული, **ჯოხ-ს** დაყრდნობილი და სხვ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ფორმებს კომპოზიტად ქცევისკენ აქვთ მიდრეკილება.

დროის შინაარსის გამომხატველ სახელებთან მიცემითის ფორმა **დროის გარემოების** მნიშვნელობას იძენს:

ორ **დღე-ს** დავრჩებით;

საღამო-ს მოვალ.

იმ **კვირა-ს** ჩამოვდივარ.
მომავალ **წელ-ს** გაკეთდება...

ამ შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის ნიშანს დერივაციული დანიშნულება აქვს.

ასეთივე ვითარებაა მაშინ, როდესაც მიცემითი ბრუნვის მეშვეობით **ადგილის გარემოების** გამოხატვა ხდება. ეს ზედსართავ (იშვიათად — არსებით) სახელებზე მიცემითი ბრუნვის ნიშნის დართვის დროს ხდება:

ახლო-ს მოვიდა.
შორ-ს წავიდა.
მთა-ს ვიყავ.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, მეშველი ზმნის დროის მიხედვით, შეიძლება მიცემითი ბრუნვის ფორმითაც იყოს წარმოდგენილი:

ეს მზერა ქალს საოცრად **მიმზიდველ-ს** ხდიდა...

III. 2.19.4. ნათესაობითი ბრუნვა. ნათესაობითი ბრუნვის ერთერთი ძირითადი ფუნქციაა სუბსტანტიური ანუ მართული მსაზღვრელის გამოხატვა: **მზ-ის** სხივი, **მთვარ-ის** შუქი, **ქალ-ის** კაბა...

კიდევ ერთი სპეციფიკური ფუნქცია, რომელიც ნათესაობით ბრუნვას აქვს, ეს უბრალო დამატების გამოხატვაა:

1. ზოგიერთ სპეციფიკურ, **გუნება-განწყობის** გამომხატველ ზმნასთან:

ბავშვ-ს **მგლ-ის** ეშინია;

2. საწყისთან:
საჭმლ-ის *კეთება*
სახლ-ის *დალაგება*
გაკვეთილებ-ის *მომზადება*
ზეიმ-ის *დაწყება*
საკვებ-ის *გაფუჭება*

3. მიმღეობასთან:
ქალ-ის *გაკეთებული* საჭმელი
ცოლ-ის *მოყვარული* კაცი
ჭამ-ის *მოძულე* ბავშვი
კერძ-ის მოსამზადებელი ქვაბი და ა. შ.

ამ შემთხვევებში, სახელზმნებთან შეხამებისას ნათესაობითში დასმული სახელი ქვემდებარისებური ან პირმიმართდამატებისებური უბრალო დამატებაა.

გარდა ამისა, ნათესაობით ბრუნვა გამოიყენება მთელ რიგ შემთხვევებში:

1. ასაკის აღნიშვნისას (ზოგჯერ — **შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილად)**:

სამი **წლ-ის** ბავშვი
ხუთი **თვ-ის** ლეკვი
ათი **საუკუნ-ის** ისტორია
მაშინ ისიც ამ **ხნ-ის** იყო...

2. **რაიმეს ღირებულების** აღნიშვნისას:

სამი **ლარ-ის** კარტოფილი
სამასი **ლარ-ის** პროდუქცია

III. 2.19.5. მოქმედებითი ბრუნვა. მოქმედებითი ბრუნვის ერთერთი ძირითადი ფუნქციაა **მოქმედების იარაღის, მასალის** გამოხატვა. ამ დროს მოქმედებითბრუნვიანი სახელი უბრალო დამატების როლში გამოდის:

დან-ით პური დაჭრა.
ძაფ-ით ქუდი მოქსოვა.
ნემს-ით შარვალი გაკერა.
ჩაქუჩ-ით ლურსმანი ჩააჭედა.
მანქან-ით ბავშვი წაიყვანა.
აგურ-ით სახლი ააშენა...

იმავე ფუნქციით მოქმედებითი შესაბამის საწყისსა და მიმღეობასთანაც გამოიყენება:

დან-ით პურის დაჭრა.
ძაფ-ით ქუდის მოქსოვა.
დან-ით დაჭრილი პური.
ძაფ-ით მოქსოვილი ქუდი.

მოქმედებითში დასმული სახელი გამოიყენება ასევე **ადგილის, დროის, ვითარებისა და მიზეზის გარემოებების** გადმოსაცემად:

ა) ადგილის გარემოება:

დასავლეთ-ით მზე ჩადიოდა.
ჩრდილოეთ-ით ღრუბელი მოჩანდა.
მთ-ით ბარად ჩამოვარდება...

ბ) დროის გარემოება:

დილ-ით ადრე დგებოდა.

ზაფხულობ-ით ზღვაზე ვისვენებთ ხოლმე.

აქ **ზამთრობ-ით** დიდი თოვლი იცის.

გ) ვითარების გარემოება:

სიყვარულ-ით მიიღო.

შიშ-ით ელოდა.

სიხარულ-ით შეხვდა.

დ) მიზეზის გარემოება:

შიშ-ით ლამის გათავდა.

სიხარულ-ით კინაღამ გადაირია.

მოქმედებითი ფართოდ გამოიყენება **პარონომაზიულ** გამოთქმებში:

ქალს კვლავ **ეძინა** ნეტარის **ძილ-ით** (ილია).

მოქმედებითი ბრუნვის ფორმიანი სახელები გამოიყენება **თანაობის** აღსანიშნავადაც:

ცოლ-ით და **ბავშვებ-ით** მოვიდა.

ყვავილებ-ით მოგვადგა კარზე.

მოქმედებითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება ასევე შემდეგი სახის კონსტრუქციაში:

მე ვარ თბილისელი, **წარმოშობ-ით** — იმერელი.

მოქმედებითი ბრუნვა თანამედროვე ქართულში ფართოდ გამოიყენება სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით, ძირითადად - სპეციალურ ტერმინოლოგიაში (**კითხვ-ით-ი** წინადადება, **მემკვიდრეობ-ით-ი** დაავადება, **თავდაცვ-ით-ი** რეაქცია...)

III. 2.19.6. ვითარებითი ბრუნვა. ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია **გარდაქცევითობის** გამოხატვაა. ამ ბრუნვაში დასმული **უბრალო დამატებით** გამოიხატება ცვალება, გარდასახვა, გარდაქმნა:

წყალი **ღვინო-დ** იქცა.
გოგონა **ქალ-ად** იქცა.
ბაღი **წალკოტ-ად** აქცია.

ჩვენი ძველი ნაცნობი **სიძე-დ** მოგვევლინა...

ძალიან ხშირია ვითარებითი ბრუნვის ნიშნით **ვითარების ზმნიზედების** წარმოება:

კარგ-ად მოიქცა.
გემრიელ-ად მიირთმევს...

ვითარებითბრუნვიანი სახელები ფართოდ გამოიყენება **მიზნის გარემოების** ფუნქციით; როგორც წესი, ეს მყოფადის მიმღეობებთან ხდება:

სათევზაო-დ წავიდა.
საჭმელ-ად არ ვარგა
სანანებლ-ად არ გაგიხდეს

ასევე ვითარებითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება გარემოებათა ფუნქციით:

ა) **ადგილის:**

ამ **ქვეყნ-ად** სამართალი არის, განა?
სოფლ-ად ცხოვრება უფრო მდორედ მიედინება...

ბ) **დროის**:

აქ **ძველ-ად** ეკლესია იდგა.

ვითარებითი ბრუნვის ფორმა გვხვდება სპეციფიკურ სიტყვათშეთანხმებებში:

მოვიდა ჩვენი კლასელი, **გვარ-ად** — აბესაძე.
წერეთელი, **სახელ-ად** — დავითი...

ეს კონსტრუქცია აშკარად შედგენილი შემასმენლის შეკვეცილი ვარიანტია: **გვარ-ად იყო, სახელად ერქვა** და ა. შ.

დაბოლოს — ვითარებითი ბრუნვა აქტიურად გამოიყენება სიტყვაწარმოებითი ფუნქციით, ახალი ტერმინოლოგიის საწარმოებლად **(დრეკ-ად-ი, მართვ-ად-ი, ტევ-ად-ი** და ა. შ.).

III. 2.19.7. წოდებითი ბრუნვა. წოდებით ბრუნვას ერთადერთი ფუნქცია აქვს — მიმართვა. სხვა ბრუნვებისგან განსხვავებით, ის სიტყვების ერთმანეთთან დამაკავშირებლად არ გამოიყენება და არც ზმნურ კონსტრუქციებში შედის. ამ მხრივ წოდებითი ბრუნვა მკვეთრად ემიჯნება ყველა დანარჩენ ბრუნვას. მაგ.: დამიყვავე, **ქარ-ო**, ნუ ხარ მკაცრი! (ანა)

მხოლოდ მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების სახით გვხვდება:

ჩემ-ო კარგ-ო ქვეყანა-ვ, რაზედ მოგიწყენია! (ილია)

III. 2.20. თანდებულიანი ბრუნვები და მათი ფუნქციები. ტრადიციული განმარტებით: „თანდებული ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ სიტყვას ან ბგერათა კომპლექსს, რომელიც დაერთვის

სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, რომ აღნიშნოს მდებარეობა, მიმართულება, დანიშნულება ან სხვა რაიმე დამოკიდებულება დასახელებულ საგანთან“ (ა. შანიძე).

თანდებული დაერთვის არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებს, ზმნისართებსა და სახელზმნას სხვადასხვა ბრუნვაში. სხვადასხვა ბრუნვასთან გამოყენებული ერთი და იგივე თანდებული ზოგჯერ სხვადასხვა ფუნქციის მქონეა.

სახელზე თანდებულის დართვისას ზოგიერთმა ბრუნვამ დაკარგა ბრუნვის ნიშანი და გარეგნულად ფუძეს დაემსგავსა: ინსტიტუტ-ში, სტუდენტ-თან, დაფა-ზე, დღე-მდე და სხვ. ანდა ურთიერთგავლენის შედეგად შეიცვალა ბრუნვის ნიშანიც და თანდებულიც: სახლიდან (←სახლ-ით-გან).

თანამედროვე ქართულში თანდებული შედარებით ცოტაა, რადგან ბრუნვის ფორმათა სიმრავლე საშუალებას გვაძლევს აზრი საკმაოდ ზუსტად გამოვხატოთ. თანდებული გამოიყენება ყველა ბრუნვის ფორმასთან, გარდა მოთხრობითისა და წოდებითისა.

თანდებულიანი სახელობითი. სახელობით ბრუნვას დაერთვის ოდენ **-ვით** თანდებული, ისიც მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებთან.

-ვით თანდებული მიუთითებს მსგავსებაზე, ანუ იმავეს აღნიშნავს, რასაც ზმნიზედური სიტყვა „როგორც“; მაგ.: **ბავშვივით, ჩიტივით, სახლივით...**

თანდებულიანი მიცემითი. მიცემით ბრუნვას დაერთვის ოთხი თანდებული: **-ვით, -თან, -ზე, -ში.**

-ვით თანდებული, როგორც უკვე აღინიშნა, მსგავსებაზე მიუთითებს; მიცემითში დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებს. ბრუნვის ნიშანი გავრცობილი სახითაა წარმოდგენილი: ბავშვ-სა-ვით, შენ-სა-ვით...

-თან თანდებული თანხმოვანფუძიანი სახელის ფუძეს პირდაპირ დაერთვის, ხმოვანფუძიან სახელთან — ბრუნვის ნიშნის შემდეგაა წარმოდგენილი (შდრ.: **სახლ**-თან — **დედა-ს**-თან). **-თან** თანდებულის ფუნქციაა აღნიშნოს: ა) ადგილი, საგანთან სიახლოვე, ახლოს, გვერდით ყოფნა, თანაობა, ერთად ყოფნა: სახლ-თან, ბავშვ-თან, მაგიდასთან, შენ-თან...

-ზე თანდებულის დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია (გოგონა-ზე, სტუდენტ-ზე, სახლ-ზე, სხვენ-ზე...), ის მხოლოდ

მესამე პირის ნაცვალსახელშია შენარჩუნებული (მა-ს-ზე...). **-ზე** თანდებულის ფუნქციაა: ა) გამოხატოს საგნის ზედაპირზე მყოფობა (მკერდ-ზე, ჭერ-ზე, გზა-ზე...); ბ) გადმოსცეს დრო (გაზაფხულ-ზე, საღამო-ზე...); გ) შეუძლია გამოხატოს ხარისხობრივი მიმართება (თქვენზე უფროსი, ქვიშაზე უმრავლესი...).

-ში თანდებულის დართვისას ასევე დაკარგულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი (სახლ-ში, უბე-ში, წიგნაკ-ში, უნივერსიტეტ-ში, ქალაქ-ში...). ეს ნიშანი შენარჩუნებულია III პირის ნაცვასახელთან: მა-ს-ში. იგი გამოხატავს: ა) შიგ (შიგნით) მყოფობას (ეკლესია-ში, სკოლა-ში, ჭიქა-ში...); ბ) გადმოსცემს დროს (ბავშვობა-ში, [ამა და ამ] საუკუნე-ში...); გ) გამოხატავს შინაარსს „შორის“ (ქალებ-ში, ფრინველებ-ში, ცხოველებ-ში...).

თანდებულიანი ნათესაობითი. ნათესაობით ბრუნვას დაერთვის შემდეგი თანდებულები: **-თვის, -გან, -კენ, -ებრ, -თანავე, -დამი.**

ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე თანდებულის დართვისას ბრუნვის ნიშანი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც გაუვრცობელი, ისე გავრცობილი სახით: ძმის-გან / ძმის-ა-გან, ბიჭის-გან / ბიჭის-ა-გან... თანამედროვე ქართულში უპირატესობა გაუვრცობელ ვერსიას აქვს მინიჭებული (არნ. ჩიქობავა).

-თვის თანდებული უჩვენებს: ა) დანიშნულებას, განკუთვნებას: მეგობრის-თვის, მეზობლის-თვის, სტუმრის-თვის... ბ) მოქმედების მიზანს: სიფხიზლის-თვის, შერიგების-თვის, გაყრის-თვის...

-გან თანდებული აღნიშნავს: ა) დაშორებას, დაცილებას: მეგობრის-გან, დედის-გან, ძმის-გან... ბ) მასალას: ბალახის-გან, ქაღალდის-გან, თიხის-გან... გ) მიზეზს: ვნების-გან, სიხარულის-გან, დარდის-გან...

-კენ თანდებული აღნიშნავს მიმართულებას: სახლის-კენ, ქალაქის-კენ, სკოლის-კენ...

-ებრ თანდებული მსგავსებას აღნიშნავს; ზოგჯერ ამ თანდებულით გადმოცემული შინაარსი თანხვდება -ვით თანდებულით გადმოცემულს. თანამედროვე ქართულში ნაკლებ გამოიყენება ეს თანდებული: კაცის-ებრ, სპილოს-ებრ...

-თანავე ნაწილაკიანი თანდებულია და ის გამოიყენება საწყისთან დროის გადმოცემის მიზნით: დაწყების-თანავე, წასვლის-თანავე...

-დამი || -დმი. -დამი ვარიანტი პირის ნაცვალსახელებს დაერთვის: შენ-დამი, თქვენ-დამი... ვარიანტი **-დმი** არსებით სახელებს: მე-

გობრისა-დმი, ქვეყნისა-დმი... იგი აღნიშნავს გარკვეულ დამოკიდებულებას, მიმართებას.

თანდებულიანი მოქმედებითი. მოქმედებით ბრუნვასთან გამოიყენება **-ურთ** თანდებული. იგი გადმოსცემს იმავე შინაარსს, რასაც: -თან, ერთად, -იანად. მაგ.: ბავშვით-ურთ, კალმით-ურთ...

-(ი)დან: მიღებულია ფონეტიკური პროცესის შედეგად: **-ით-გან.** აღნიშნავს გამოსვლითობას: სახლიდან, ქალაქიდან...

თანდებულიანი ვითარებითი. -მდე/-მდის თანდებულის ფუნქციაა გამოხატოს „გარკვეულ პუნქტამდე მიწევნა“ ადგილის, დროის, რაოდენობის მიხედვით (ა. შანიძე). მაგ.: მუხლა-მდე, ყელა-მდე, ჭერა-მდე, (იმ) კვირა-მდე, ოცა-მდე...

III. 2.21. არსებითი სახელის რიცხვი. რიცხვის გრამატიკული კატეგორია დამახასიათებელია არსებითი სახელისათვის (და, შესაბამისად, მისი ფარდი ნაცვალსახელისათვის); რიცხოვნობა (რაოდენობა) საგანთა კლასების ობიექტური მდგომარეობაა და არსებით სახელთა კლასი ამ ვითარებას ასახავს.

ყველა სხვა შემთხვევაში (ზედსართავ სახელებთან, ზმნებთან...) რიცხვის გამოხატვა არსებით სახელთან შეთანხმების (მის რაოდენობრივ შინაარსთან შეხამების) შედეგია: ზედსართავი სახელი (ან მისი ფარდი ნაცვალსახელი) შეიძლება შეეთანხმოს რიცხვში არსებით სახელს (მთა**ნ**ი მაღალ**ნ**ი), ან „მიბაძოს“ მას — დამოუკიდებლად გამოყენებისას (წითლ**ებ**ი, „მშვიდობით, ჩემ**ნ**ო“...); ზმნაში აისახება მასთან შეწყობილი არსებითი სახელის რიცხვი (მთ**ებ**ი... ძილს მისცემი**ან**“).

რიცხვის კატეგორია არსებით სახელში წარმოდგენილია ე რ თ ი ს ა და მ რ ა ვ ლ ი ს ოპოზიციის სახით. მრავალი ამ შემთხვევაში გულისხმობს ერთზე მეტს, ორსაც, სამსაც და მეტსაც; მრავლობითი რიცხვი ითავსებს ზოგად სიმრავლესაც (ბევრი) და კონკრეტულსაც (ცხრა).

რიცხვი ანუ სიმრავლე ენაში შეიძლება აღინიშნოს სამგვარად:

1. ლექსიკურად (მრავალი გულშემატკივარი, არაერთი არსება...);
2. გრამატიკულად (კრავ-ებ-ი...);
3. სუპლეტურად (ფუძის მონაცვლეობით): შენ — თქვენ...

ფუძის სუპლეტური მონაცვლეობა დამახასიათებელია გარკვეული ზმნებისა და ნაცვალსახელებისათვის, არსებითი სახელი სუპლეტივიზმს

არ ექვემდებარება, თუ ამად არ მივიჩნევთ კრებითი სახელების მიმართებას ერთის გამომხატველ სახელებთან: ცხვარი — ფ ა რ ა, კ ა ც ი — ხ ა ლ ხ ი...

III. 2.22. ორი ტიპის მრავლობითის თანაარსებობა. რიცხვის გრამატიკული კატეგორია არსებით სახელში ორგვარ სისტემას გვიჩვენებს: ერთს — წმინდად აგლუტინაციურს (**-ებ-** სუფიქსიანი მრავლობითი), ხოლო მეორეს — შერეულს (**-ნ/-თ** სუფიქსებიანი მრავლობითი). -**ებ** სუფიქსი აგლუტინაციას განასახიერებს იმდენად, რამდენადაც ის ყველა ბრუნვაში დამოუკიდებლად, ბრუნვის ნიშნის პარალელურად, გამოხატავს სიმრავლეს (ბავშვ-ებ-მა). ნართანიანი შერეული — ფლექსიურ-აგლუტინაციურია, რამდენადაც -**ნ** სუფიქსი ისეთსავე მორფოლოგიურ პოზიციას იკავებს ბრუნვის ნიშანთან, როგორსაც -**ებ** (კაც-**ნ**-ი, კაც-**ნ**-ო), ხოლო **თ**(ა) ბრუნვის ნიშნის ფუნქციასაც თვითონ ითავსებს (მწერალ-**თა** კავშირი). მათგან ძირითადი და გაბატონებულია -**ებ**-იანი მრავლობითი; **ნ**არ**თ**ანიან მრავლობითს ძირითადად არქაული სტილისტიკური დატვირთვა აქვს.

რიცხვის კატეგორიის ორი საოპოზიციო წევრიდან ერთი — მხოლობითი — არამარკირებულია, მას მორფოლოგიური ნიშანი არ მოეპოვება: ხელ-ი, ქვა, ბავშვ-ი...

მორფოლოგიურად მარკირებულია მრავლობითი; მაგრამ მრავლობითი ერთგვაროვანი არ არის, ანუ მრავლობითის მარკერი განსხვავებულია როგორც მასალობრივ, ისე ტიპობრივ.

III. 2.23. ებ-იანი მრავლობითი. თანამედროვე ქართულში არსებითი სახელის მრავლობითის ყველაზე გავრცელებული (გაბატონებული) ფორმანტია **-ებ**-სუფიქსი.

-ებ ნიშნის გამოვლენა, როგორც ითქვა, წმინდად აგლუტინაციურია. ეს ნიშანი ადგილს იკავებს ფუძესა და ბრუნვის ნიშნებს შორის, ანუ **-ებ** არსებითად მრავლობითის ფუძის მაწარმოებელი ხდება. ეს ცხადად ჩანს სახელის ბრუნების შედარებით მხოლობითსა და მრავლობითში:

სახ.	სახლ-ი	სახლ-**ებ**-ი
მოთ.	სახლ-მა	სახლ-**ებ**-მა
მიც.	სახლ-ს	სახლ-**ებ**-ს
ნათ.	სახლ-ის	სახლ-**ებ**-ის

მოქ.	სახლ-ით	სახლ-**ებ**-ით
ვით.	სახლ-ად	სახლ-**ებ**-ად
წოდ.	სახლ-ო	სახლ-**ებ**-ო

როგორც ვხედავთ, მხოლობითისა და მრავლობითის ბრუნების პარადიგმა (ბრუნვის ნიშანთა სისტემა) ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და არსებითად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფუძე, **სახლ**- და **სახლებ**-. ამიტომაც აღნიშნავს აკაკი შანიძე, რომ „მრავლობითი რიცხვის წარმოება არსებითად წარმოქმნას ეკუთვნის“.

III. 2.24. ებ-იანი მრავლობითის მორფონოლოგია. -ებ სუფიქსი, როგორც ფორმანტი, ერთ-ერთი ყველაზე უცვლელია ამგვარ ელემენტთა შორის.

საქმე ის არის, რომ -**ებ** ისეთი მორფოლოგიური ელემენტია, **VC** სტრუქტურითა და **ე** ხმოვნის არსებობით, რომ ის, წესით, რედუქციას უნდა ექვემდებარებოდეს (შდრ. ასეთივე მდგრადობა ახასიათებს -ებ თემის ნიშანს).

მაგრამ არ არსებობს -**ებ** სუფიქსის **ე** ხმოვნის რედუქციის არც ერთი შემთხვევა.

სამაგიეროდ, -**ებ** სუფიქსს ისეთივე გავლენა აქვს ფუძეზე (სარედუქციო სეგმენტზე), როგორიც **VC** ტიპის ბრუნვის ნიშნებს (-ის, -ით, -ად) ახასიათებს: ეს უკანასკნელი უცვლელია, ხოლო მისი გავლენით რედუქციას განიცდის წინამავალი მარცვლის ხმოვანი: მამალ- → მამ**Ø**ლ-ებ-; კედელ- → კედ**Ø**ლ-ებ...

ამ შემთხვევაში კუმშვა, ცხადია, ფუძეს ყველა ბრუნვაში მოსდის:

სახ.	ტაძØრ-ებ-ი
მოთ.	ტაძØრ-ებ-მა
მიც.	ტაძØრ-ებ-ს
ნათ.	ტაძØრ-ებ-ის
მოქ.	ტაძØრ-ებ-ით
ვით.	ტაძØრ-ებ-ად
წოდ.	ტაძØრ-ებ-ო

ამგვარად, **-ებ** ელემენტი კუმშავს კუმშვად ფუძეს (მგØლ-ებ-ი...); ის ასევე კვეცავს კვეცად ფუძეს (გზØ-ებ-ი...) და კვეცავს და კუმშავს კვეცად-კუმშვად ფუძეს (პეპØლØ-ებ-ი)... ასევე ყველა ბრუნვაში:

სახ.	გზØ-ებ-ი	პეპØლØ-ებ-ი
მოთ.	გზØ-ებ-მა	პეპØლØ-ებ-მა
მიც.	გზØ-ებ-ს	პეპØლØ-ებ-ს
ნათ.	გზØ-ებ-ის	პეპØლØ-ებ-ის
მოქ.	გზØ-ებ-ით	პეპØლØ-ებ-ით
ვით.	გზØ-ებ-ად	პეპØლØ-ებ-ად
წოდ.	გზØ-ებ-ო	პეპØლØ-ებ-ო

მორფოლოგიის თვალსაზრისით აქ ყველაფერი კანონზომიერია; მაგრამ ამ ფორმაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავისებურებაა **ე** ფუძეხმოვნიანი სახელების უკვეცელობა -**ებ**-იან მრავლობითში: ხ**ე**-ებ-ი, მხარ**ე**-ებ-ი, დღ**ე**-ებ-ი...

რამ განაპირობა კვეცის პირობების ამგვარი დარღვევა, ჯერჯერობით ამოუხსნელია; შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს არის იდენტური ხმოვნების თავმოყრა; მაგრამ ეს სხვა მსგავს შემთხვევაში ფუძის **ე**-ს დაკარგვის დამატებითი ფაქტორია (შდრ.: სა-რ**უ-ე,** მაგრამ საბძელ-ი ← სა̀-ბზ**ე**-ელ-ი...). შესაძლებელია სტრუქტურულ ანალოგად აქ გავიხსენოთ იდენტურ ხმოვნებს შორის, მორფემათა საზღვარზე, **-ვ-** თანხმოვნის გაჩენის შემთხვევები: სარ-ძე-ვ-ე... მაგრამ **ვ**-ს ჩართვაც სწორედ **ეე** მიმდევრობის არაბუნებრიობას მიანიშნებს.

სახელთა ფორმაწარმოების მორფოლოგია წარმოაჩენს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც -**ბ** ფორმანტს ფუძის მიმართ მეტი გამვლენელი ძალა აქვს, ვიდრე ანალოგიური სტრუქტურის ბრუნვის ნიშნებს. კერძოდ, გარკვეული უკვეცელი სახელები **-ებ**-იან მრავლობითში იკვეცება. შდრ.:

მელაკუდა:
მელაკუდ**ა**-ს(ი), მაგრამ — მედაკუდØ-ებ-ი
ნიკორა:
ნიკორ**ა**-ს(ი), მაგრამ — ნიკორØ-ებ-ი
ყინტორა:
ყინტორ**ა**-ს(ი), მაგრამ — ყინტორØ-ებ-ი
ყურცქვიტა:
ყურცქვიტ**ა**-ს(ი), მაგრამ — ყურცქვიტØ-ებ-ი
ბოლოქანქარა:
ბოლოქანქარ**ა**-ს(ი), მაგრამ — ბოლოქანქარØ-ებ-ი.

შენიშვნა: 1. ზოგი სახელი, რომელიც ამ ჯგუფში იყო ჩარიცხული (მაგ., ძრავა — ტრადიციული ორთოგრაფიით:

ძრავა-ს(ი), ძრავØ-ებ-ი), ვფიქრობთ, კვეცადთა რიგში გადავიდა (ძრავØ-ისა, ძრავØ-ებ-ი).

შენიშვნა 2. **-ებ** სუფიქსის დართვის შემთხვევაში ფუძის ნაწილობრივ ცვლილებას (გართულებას) განიცდის ერთადერთი სახელი: **ხბო,** მაგრამ **ხბორ**-ებ-ი.

III. 2.25. ნართანიანი მრავლობითი. სახელთა მრავლობითის მეორე სახეობა, ე. წ. **ნ**არ**თ**ანიანი მრავლობითი, არსებითად განსხვავდება განხილული **-ებ**-იანი მრავლობითისაგან. ის შერეული ტიპის წარმოებაა, რამდენადაც სიმრავლის გამომხატველი ორი ურთიერთმონაცვლე სუფიქსია გამოყენებული: **-ნ** და **-თ.** თანაც ეს სუფიქსები გრამატიკული ბუნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

-ნ სუფიქსი მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში გამოიყენება და ის სტრუქტურულად, **-ებ**-ის მსგავსად, აგლუტინაციური ტიპისაა: ჯერ — რიცხვის ნიშანი, შემდეგ — ბრუნვისა:

სახ. კაც-ნ-ი
წოდ. კაც-ნ-ო

-ნ-სთან მონაცვლე **-თ** სუფიქსის გრამატიკული ბუნება განსხვავებულია ორმხრივ:

ა) ის საერთოა ყველა დანარჩენი ბრუნვისათვის (ჩვეულებისამებრ — მოთხრობითის, მიცემითისა და ნათესაობითისათვის);

ბ) ის ითავსებს როგორც რიცხვის, ისე ბრუნვის გამოხატვის ფუნქციას.

ამგვარად, **კაც-თ(ა)** ერთდროულად არის მრავლობითიც და ერთერთი ბრუნვის ფუნქციის შემსრულებელიც: მოთხრობითის, მიცემითის ან ნათესაობითისა.

შენიშვნა: 1. თუ რომელ ბრუნვას ეკუთვნის **თ**ანიანი ფორმა, ამისი ამოცნობა **-ებ**-იანი მრავლობითის ჩანაცვლებით შეიძლება; მაგ.:

„ნეტავი ძმათა მრავალთა!“ (= ნეტავი ძმებ-ს: მიც.);
„პირთა საძიებელი“ (= პირებ-**ის** საძიებელი: ნათ.).

2. მიჩნეულია, რომ **თ**ანიან ფორმას მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების გამოხატვის ფუნქცია არა აქვს; თუმცა იშვიათმა, მაგრამ უდავო ემპირიულმა

მასალამ დაადასტურა, რომ ასეთი შემთხვევებიც რეალურია (ლ. კვაჭაძე).

III. 2.26. ნართანიანი მრავლობითის მორფონოლოგია. **-ნ** სუფიქსის დართვა სახელის ფუძეზე არანაირ დამატებით მორფონოლოგიურ ძვრას არ იწვევს (თუ არ გავითვალისწინებთ ფუძისეულ **ნ**-სთან მის შეხვედრას: ბან-ნ-ი, გვირგვინ-ნ-ი...).

რაც შეეხება **-თ(ა)** სუფიქსს:

ფორმალური თვალსაზრისით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს **-თ/-თა** ვარიანტთა მიმართება ისეთივეა, როგორიც ბრუნვის ნიშნების გაუვრცობელი და გავრცობილი ვარიანტებისა. მაგრამ სინამდვილეში ამ ნიშანთა (ალომორფთა) განაწილების სურათი არ ასახავს იმ დისტრიბუციას, რაც ბრუნვის ნიშნებთან ემფატიკური ხმოვნის გამოყენებისას წარმოჩნდა (იხ. ზემოთ „ე მ ფ ა ტ ი კ უ რ ი ხ მ ო ვ ა ნ ი...“). ასეთი განაწილება პირველ რიგში დაცული უნდა ყოფილიყო სუბსტანტიური მსაზღვრელის **თ**ანიან ფორმებში; შესაბამისად, უნდა გვქონოდა მსაზღვრელ-საზღვრულის ოპოზიცია:

ადამიან-**თ** სევდა და სევდა ადამიან-**თა**

(შდრ.: ადამიან-**ის** სევდა და სევდა ადამიან-**ისა**)

სინამდვილეში სუბსტანტიური მსაზღვრელის პრეპოზიციაში გაბატონებულია **-თა** სუფიქსი (ადამიან-**თა** სევდა), ხოლო **-თ** ალომორფი მის გარკვეულ თავისუფალ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ. ის ძირითადად ფრაზის რიტმის მარეგულირებლად ჩანს გამოყენებული:

„კაც-**თ** უბედობა თუმც არს სატირე...“ (ალ. ჭავჭ.).

-თ სუფიქსის პოზიცია უფრო მყარია დანარჩენ ბრუნვათა ფუნქციების შესრულებისას, შესაბამის სახელთა აქტანტებად (ძირითადად — სუბიექტად) გამოყენების შემთხვევაში:

„**მთათ** მითხრეს: „ნუ დაგვივიწყებ...“ (ვაჟა);

„**მთათ** ორბის ფრთები მოისხეს“ (ანა);

„შავთა **დროთ** ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა“ (გრ. ორბ.);

ამ შემთხვევაში უკვე შეიძლება ლაპარაკი **-თა** გავრცობილი ვარიანტის პოზიციურ გამოვლენაზე: მ თ ა თ მითხრეს, მაგრამ: მითხრეს მ თ ა თ ა. მაგ.:

„ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქაროში და მიაშურეს ლილისფერ **მთათა**“ (ანა).

„რა ჩურჩული ესმის ჩემთა **ყურთა**?“ (ანა).

მაგრამ:

„**მთათა** მოიხადეს გვირგვინნი მეფურნი, **თვალთა** სხივი მოსწყდა ელვარებისაი“ (ანა);

ამგვარად, -**თ** და -**თა**, ცხადია, ალომორფებად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ მათი პოზიციური ან ფუნქციონალური საფუძველი ისე გამოკვეთილი არა ჩანს, როგორც ბრუნვის ნიშანთა გავრცობის შემთხვევაში.

III. 2.27. თავისებურებანი მრავლობითის ფორმათა წარმოებასა და ფუნქციონირებაში. ნარ**თ**ანიანი მრავლობითის წარმოება და გამოყენება თანამედროვე ქართულში შედარებით შეზღუდულია. მიჩნეულია, რომ მისი ფუნქციონირების ასპარეზი ძირითადად სტილისტიკურია: გვხვდება მხატვრული ლიტერატურის — პოეზიისა და ისტორიული პროზის — ენაში. მაგ.:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ო რ ბ ნ ი, ა რ წ ი ვ ნ ი ვერ შეჰხებიან, სად წ ვ ი მ ა - თ ო ვ ლ ნ ი, ყინულად ქ მ ნ ი ლ ნ ი, მზისგან აროდეს არა დნებიან, უწინდელს დროში ღვთისა მ ო ს ა ვ თ ა გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი...“ (ილია).

ამავე დროს, **თ**ანიანი ფორმები გაბატონებულია გარკვეულ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში: *მწერალთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია, ბავშვთა ბაგა, მინისტრთა საბჭო...* შეიძლება ითქვას, რომ რიცხვის ნიშანი ამ შემთხვევაში დერივაციული ელემენტის ფარდია.

საყურადღებოა, რომ ნართანიანი დაბოლოება ისტორიულად არაერთ შემთხვევაში აღმოჩნდა სიტყვათმაწარმოებელი ფორმანტების როლში. ამგვარი წარმომავლობისაა, ერთი მხრივ: **დედანი (← დედა-ნ-ი)**, **ლოცვანი (← ლოცვა-ნ-ი)**, **თავნი (← თავ-ნ-ი)**... მეორე მხრივ: **თეკლა-თ-ი**, **ვანა-თ-ი**, **გომარ-თა**, **ფიჭვ-თა**, **ბერ-თა**...

შენიშვნა: 1. ერთადერთი პოზიცია, რომელშიც **ნ**არ**თ**ანიანი მრავლობითი ერთადერთია (ანუ მასთან **-ებ** ფორმანტის ჩანაცვლება არ შეიძლება), არის გარკვეული ჯგუფის ნაცვალსახელები: ისი-**ნ**-ი, მა-**თ**, ყველა-**ნ**-ი...

2. გარკვეული დატვირთვა უჩანს **ნ**არ**თ**ანიან მრავლობითს წყვილის გამომხატველ ფორმებსა (თვალ-**ნ**-ი, ყურ-**თა**...) და ე. წ. ტოლად შერწყმულ კომპოზიტებში: და-ძმა-**ნ**-ი, ქალ-ვაჟ-**თა**... ნიჭი და ხელოვნება განუჭრელი და-ძმანი არიან (ილია).

თავი III. ზედსართავი სახელი

III. 3.1. ზედსართავი სახელის რაობა. ზედსართავი სახელი ჰქვია ისეთ მეტყველების ნაწილს, რომელსაც ენაში საგნის ნიშან-თვისების გამოხატვა აკისრია.

როგორც ვნახეთ, საგანს აქვს შინაარსობრივი მთლიანობა, რასაც არსებითი სახელი გამოხატავს.

ამავე დროს, საგანი (ან მოვლენა) აღჭურვილია არაერთი (ნაირგვარი) ნიშან-თვისებით, რისი გამომხატველი სიტყვებიც ზედსართავი სახელებია.

ამდენად, ერთი აღსანიშნის მიმართ არსებითი სახელი ერთია, ხოლო ზედსართავი სახელი — მრავალი (არაერთი). არ არსებობს ისეთი საგანი თუ მოვლენა, რომელიც მხოლოდ ერთი ზედსართავით დახასიათდეს.

ტერმინი ზედსართავი, როგორც რთული წარმომავლობის სიტყვა (ზედ + სართავი), კალკირებული წარმონაქმნია (შდრ. რუს. Прилагательное, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს ლათ. adjectivum-ისაგან...) და იგი თავისი სტრუქტურით ხაზს უსვამს იმას, რომ შესაბამისი მეტყველების ნაწილი „ზედ დაერთვის“ არსებით სახელს (შდრ. ტერმინი **ზმნიზედა**).

ზედსართავი სახელი, მისი ენობრივი სტატუსიდან გამომდინარე, მეტად ნაირგვარია ფორმობრივადაც და შინაარსობრივადაც.

III. 3.2. ზედსართავი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები. რამდენადაც ზედსართავი სახელი საგნის (მოვლენის) ნიშან-თვისებას გამოხატავს, ხოლო ეს ნიშან-თვისება საკმაოდ არაერთგვაროვანია, შესაბამისი მეტყველების ნაწილი შინაარსობრივად მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენს.

შენიშვნა: ტერმინი ნიშან-თვისება ხშირად გამოიყენება როგორც სინონიმური კომპოზიტი. მაგრამ ის მოსახერხებელია უფრო იმიტომ, რომ ერთდროულად გამოხატავს (შეიძლება გამოხატავდეს) საგნის თვისებითი გან-

საზღვრის ორივე ასპექტს — ნიშნებსაც და თვისებებსაც. მაგ.: **ვაშლი** სახელთან მიმართებით **„წითელი“** ნიშანია, **„მწიფე“** — თვისება; **ბიჭი** სახელთან მიმართებით **„მწითური“** ნიშანია, **„ზარმაცი“** — თვისება... და მისთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მახასიათებლები „ნიშანი“ და „თვისება“ ყოველთვის ასე აშკარად გასამიჯნი არ არის.

ზედსართავი სახელის შინაარსობრივ ჯგუფებად კლასიფიკაცია ორგვარად შეიძლება:

1. ლექსიკურ-სემანტიკურად, ანუ იმის მიხედვით, რა სახის ნიშან-თვისებებს გამოხატავს ესა თუ ის ზედსართავი სახელი; ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს შემდეგი შინაარსობრივი კლასების გამომხატველი ზედსართავი სახელები:

ა) საგნის ზომა-მოცულობისა: *დიდი, პატარა, ვრცელი, ფართო...*

ბ) ოდენობისა: *ცოტაოდენი, მრავალრიცხოვანი...*

გ) წონისა: *მძიმე, მსუბუქი, მჩატე...*

დ) ფორმისა: *მრგვალი, მრუდე, ბრტყელი, სწორი, ოკრობოკრო...*

ე) შედგენილობისა: *ფხვიერი, მშრალი, მტკიცე (ნაქსოვი), ხშირი (შეჭამანდი), მკვრივი...*

ვ) ფერისა: *შავი, თეთრი, მწვანე, წითელი, ყავისფერი...*

ზ) გემოსი: *მწარე, ტკბილი, მჟავე, მწკლარტე...*

თ) ნივთიერი ხარისხისა: *სალი, დაბეჟილი, დამპალი...*

2. შინაარსობრივი ჯგუფები ასევე შეიძლება განისაზღვროს იმ რამდენიმე კითხვის მიხედვით, რომლებიც ზედსართავთა სხვადასხვაგვარ სემანტიკურ მიმართებებს ასახავს:

ა) რ ო გ ო რ ი ? — *დიდი, ნათელი, ტკბილი...*

ბ) რ ო მ ე ლ ი ? — *განაპირა, მარჯვენა, შინაური...*

გ) ს ა დ ა უ რ ი ? — *ბათუმელი, ქუთათური, ბერძნული, დასავლური...*

დ) რ ო დ ი ნ დ ე ლ ი ? — *დღევანდელი, შარშანდელი, სამომავლო...*

3. ზედსართავ სახელთა ტრადიციული დაყოფა ორ დიდ ჯგუფად — ვ ი თ ა რ ე ბ ი თ და მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ზედსართავებად — პირველადი გაგებით ძირითად შინაარსობრივ დაჯგუფებას გულისხმობს: ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ა ზედსართავი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას

უშუალოდ გამოხატავს, ხოლო მიმართებითი — რომელიც ამავე შინაარსს სხვა საგანთან (სხვა სემასთან) მიმართებით იძლევა.

მაგრამ ქართული ენობრივი მონაცემების მიხედვით ეს ცნებები (ვითარებითი — მიმართებითი) უფრო ზედსართავ სახელთა წარმომავლობას (წარმოქმნას) დაუკავშირდა და უმჯობესია ამ კუთხით იქნეს განხილული.

III. 3.3. ზედსართავი სახელის ჯგუფები წარმომავლობის მიხედვით. ზედსართავი სახელი ისევე, როგორც ნებისმიერი მეტყველების ნაწილი, წარმომავლობის მხრივ ერთგვაროვანი არ არის.

ზედსართავთა ერთი ნაწილი (რაოდენობრივად უფრო მცირე) პირველადი, ძირეული სიტყვებია; უფრო სწორად, ისეთი სიტყვებია, რომლებიც ენის ფუნქციონირების სინქრონიულ დონეზე დაუშლელი ოდენობაა. ასეთებია წარმომავლობით პირველადი, ძირეული სიტყვები (ხელი, ჭყეტი, ცქვიტი, ფიცხი, ყიფი...). ნასესხები სიტყვები (შავი, ყომრალი, ლამაზი...) და ოდინდელი დერივატები (თეთრი, მჟავე, ტკბილი...).

სწორედ ეს მონაცემები ერთიანდება ე. წ. ვითარებითი ზედსართავების ჯგუფში.

ვითარებითი ზედსართავებისათვის მიმართებებისაგან განსხვავებული რამდენიმე ენობრივი ნიშანია დამახასიათებელი:

1. ხარისხის წარმოება. ხარისხის ფორმები რეგულარულად და სისტემურად სწორედ ვითარებით ზედსართავებს ეწარმოება. მიმართებითი ზედსართავებისათვის ის მხოლოდ გამონაკლისის ხასიათს ატარებს (იხ. § III. 3.4.).

2. უნარი აქვს გარკვეული ზმნიზედები დაიკავშიროს (*ძალიან ხშირი, ერთობ დიდი, ოდნავ მჟავე*...), რაც მის აქტიურ პრედიკაციულ უნარზე მიანიშნებს.

3. ადვილად იღებს ზმნიზედურ ფორმას: *ნელა, ჩქარა, მცირედ*...

4. ჩვეულებისამებრ, საფუძვლად ედება განყენებულ სახელთა წარმოებას: *წითელი — სიწთლე, მჟავე — სიმჟავე, ჩქარი — სიჩქარე*...

შენიშვნა: ვითარებით ზედსართავ სახელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეტიმოლოგიზდება როგორც წარმოქმნილი ფუძეები, მაგრამ ეს მათ მიმართებითებად ვერ აქცევს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ვითარებითობა-მიმართებითობა“

განისაზღვრება ენის ფუნქციონირების დონეზე მოქმედი (და არა — ისტორიული) პარადიგმატიკით.

მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ზედსართავ სახელებში ერთიანდება სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მოდელით მიღებული სიტყვები. ამგვარ ზედსართავ სახელთა წარმოებას საფუძვლად უდევს როგორც წარმოქმნა, ისე თხზვა.

წარმოქმნა ხდება ნაირგვარი სადერივაციო ფორმანტებით:

ა) სუფიქსებით: **-იან** (ქონიანი, ქვიშიანი...)
-ოვან (გულოვანი, კლდოვანი...)
-ურ/-ულ (მთიულური, გურული...)
-იერ (მადლიერი, ძლიერი...)
-ად (გულადი, პირველადი...)
-ით (რიცხვითი, წერითი...);

ბ) პრეფიქსებით (ჩვეულებისამებრ, მიმღეობური წარმოებები):
სა- (სარეცხი, საკეცი, სალეწი...)
უ- (უხვედრი. უტყვი...)
ნა- (ნათრევი, ნატეხი...)

გ) პრეფიქს-სუფიქსებით: **სა—ო** (სასწრაფო, სათადარიგო...)
სა—ე (საქარე, სანერგე...)
უ—ურ (უწიგნური, უგემური, ჟამური...)
უ—ო (უშნო, უგონო, უბედო...) და სხვ.

თხზულ ზედსართავ სახელთა რიგში გამოიყოფა რედუპლიცირებული ფუძეები და ნაირფუძიანი კომპოზიტები:

ა) ფერად-ფერადი, ჭრელ-ჭრელი, დიდ-დიდი, გიჟმაჟი...

ბ) ტკბილ-მწარე, შავ-თეთრი, მეტ-ნაკლები...

გ) მზისდარი, მტრედისფერი, კუდმოკეცილი, თავქუდმოგლეჯილი...

შენიშვნა: რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ცალკე უნდა ითქვას, რომ ყველა სახის მიმღეობა, როგორც სიტყვაწარმოების პროდუქტი, მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ზედსართავი სახელების კლასში ექცევა: *მწუხარე, მდუღარე, მშრალი, მშენებელი, აღწერილი, ნამუშევარი, სათოხნი, დაულაგებელი...*

III. 3.4. ზედსართავი სახელის ფორმაწარმოების საკითხები. ზედსართავი, როგორც სახელი, ბრუნებადი სიტყვაა. ოღონდ, არსებითი სახელისაგან განსხვავებით, ნებისმიერი ზედსართავი ბრუნვის ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორგვარი პარადიგმის სახით — როგორც სრული და როგორც ნაკლული პარადიგმა.

ეს განსხვავება ზედსართავის ფუნქციურ არაერთგვაროვნებას უკავშირდება.

პირველ შემთხვევაში (ანუ — როგორც სრული პარადიგმის შემქმნელი) ის ფუნქციურად არსებითი სახელია, არსებითი სახელის როლში გამოდის:

სახ.	ბოროტ-ი
მოთ.	ბოროტ-მა
მიც.	ბოროტ-ს(ა)
ნათ.	ბოროტ-ის(ა)
მოქ.	ბოროტ-ით(ა)
ვით.	ბოროტ-ად(ა)
წიდ.	ბოროტ-ო

ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი მისდევს მორფონოლოგიის (კუმშვა-კვეცის) იმავე წესებს, რაც არსებითი სახელებისათვის არის ნიშანდობლივი. შდრ.:

სახ.	წითელ-ი	მწვანე
მოთ.	წითელ-მა	მწვანე-მ
მიც.	წითელ-ს(ა)	მწვანე-ს(ა)
ნათ.	წითლ-ის(ა)	მწვან-ის(ა)
მოქ.	წითლ-ით(ა)	მწვან-ით(ა)
ვით.	წითლ-ად(ა)	მწვანე-დ(ა)
წიდ.	წითელ-ო	მწვანე-ვ

შენიშვნა: ზედსართავ სახელს, ჩვეულებისამებრ, რიცხვი არ ეწარმოება. ამიტომაც ნიშანდობლივია, რომ არსებითის როლში ჩაყენებული ზედსართავი სახელები ხშირად გამოიყენება მრავლობითის ფორმით: *წითლები, შავები, მაღლები...*

ზედსართავი სახელის ფუნქციონირების ბუნებრივი ფორმაა მისი გამოყენება არსებით (ან სხვა) სახელთან ერთად. ამ შემთხვევაში მისი

ბრუნება სალიტერატურო ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელის სინტაგმატიკის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ წესებს ექვემდებარება.

III. 3.5. ზედსართავი სახელის პარადიგმატიკა. ზედსართავი სახელის, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელის, ბრუნება ერთგვაროვან სურათს არ გვიჩვენებს. ზედსართავის შესაბამისი პარადიგმატული უნარის აღსაწერად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ორი მომენტი:

ა) ფუძეთანხმოვნიანია თუ ფუძეხმოვნიანი ზედსართავი სახელი;

ბ) რა პოზიცია უკავია ზედსართავს არსებითის მიმართ — პრეპოზიცია თუ პოსტპოზიცია.

შენიშვნა: როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულისათვის ბუნებრივია მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რაც იშვიათია (ანუ — პოსტპოზიციური წყობა).

ამ ორი პირობის კომბინაცია ოთხი პარადიგმის შესაძლებლობას იძლევა (ამ შემთხვევაში არსებითი სახელის ფუძის დაბოლოება მხედველობაში არ მიიღება, რადგან მას ზედსართავის ბრუნებაზე გავლენა არა აქვს):

1. ფუძეთანხმოვნიანი ზედსართავი — წყობა პრეპოზიციური:

სახ.	მაღალ-ი	სახლ-ი
მოთ.	მაღალ-მა	სახლ-მა
მიც.	მაღალ-	სახლ-ს
ნათ.	მაღალ-ი	სახლ-ის
მოქ.	მაღალ-ი	სახლ-ით
ვით.	მაღალ-	სახლ-ად
წოდ.	მაღალ-ო	სახლ-ო

შენიშვნა: თუ პრეპოზიციური მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან, მაშინ ბრუნვაში შეთანხმებაც მოხდება; მაგ.: „ჭ რ ე ლ ს ჩავიცომდი კ ა ბ ა ს ა“ (ვაჟა).

2. ფუძეთანხმოვნიანი ზედსართავი — პოსტპოზიციური:

სახ.	სახლ-ი	მაღალ-ი
მოთ.	სახლ-მა	მაღალ-მა
მიც.	სახლ-ს(ა)	მაღალ-ს(ა)
ნათ.	სახლ-ის(ა)	მაღლ-ის(ა)
მოქ.	სახლ-ით(ა)	მაღლ-ით(ა)
ვით.	სახლ-ად	მაღლ-ად(ა)
წოდ.	სახლ-ო	მაღალ-ო

3. ფუძეხმოვნიანი — პრეპოზიციური:

სახ.	პატარა	ბურთ-ი
მოთ.	პატარა	ბურთ-მა
მიც.	პატარა	ბურთ-ს
ნათ.	პატარა	ბურთ-ის
მოქ.	პატარა	ბურთ-ით
ვით.	პატარა	ბურთ-ად
წოდ.	პატარა	ბურთ-ო

4. ფუძეხმოვნიანი — პოსტპოზიციური:

სახ.	ბურთ-ი	პატარა
მოთ.	ბურთ-მა	პატარა-მ
მიც.	ბურთ-ს	პატარა-ს
ნათ.	ბურთ-ის	პატარ-ის
მოქ.	ბურთ-ით	პატარ-ით
ვით.	ბურთ-ად	პატარა-დ
წოდ.	ბურთ-ო	პატარა-ვ

შენიშვნები: 1. როგორც ვხედავთ, პრეპოზიციური წყობის დროს ფუძეხმოვნიანი ზედსართავი ფორმას არ იცვლის, ფუძის სახით შეეწყობა ბრუნებად არსებით სახელს; ფუძეთანხმოვნიანი ზედსართავი კი ნაწილობრივ არის შეთანხმებული: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში შეთანხმება სრულია, ნათესაობითსა და მოქმედებითში მხოლოდ ბრუნვის ნიშანთა ხმოვნითი ელემენტია შენარჩუნებული (რომელსაც ფუძეზე ზეგავლენის უნარი

არ გააჩნია), ხოლო მიცემითი და მოქმედებითი ფუძის სახით წარმოდგება.

2. პოსტპოზიციური წყობის დროს სრული შეთანხმება გვაქვს ორსავე შემთხვევაში, ანუ ფუძის დაბოლოება აქ სხვაობას არ იძლევა.
3. სრული შეთანხმების დროს ზედსართავი კუმშვა-კვეცის იმავე წესებს ემორჩილება, რასაც არსებითი სახელი.

III. 3.6. ზედსართავი სახელის სინტაგმატიკა. ამგვარად, ზედსართავი სახელის ფუნქციონირების ძირითადი ასპარეზი არის მისი ყოფნა ატრიბუტული მსაზღვრელის როლში.

მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმატური ურთიერთობა ბრუნების დონეზე უკვე იყო წინა პარაგრაფში ნაჩვენები.

რაც შეეხება რიცხვის კატეგორიას, აქ გარკვეული თავისებურებები იჩენს თავს:

ა) პრეპოზიციის დროს ზედსართავი სახელი არ რეაგირებს **-ებ**-იან მრავლობითში მდგომი საზღვრული სახელის რიცხვზე:

სახ.	მაღალ-ი	მთ-ებ-ი
მოთ.	მაღალ-მა	მთებ-მა
მიც.	მაღალ-	მთებ-ს
ნათ.	მაღალ-ი	მთებ-ის
მოქ.	მაღალ-ი	მთებ-ით
ვით.	მაღალ	მთებ-ად
წოდ.	მაღალ-ო	მთებ-ო

ბ) პოსტპოზიციის დროს ძირითადად ასეთივე ვითარებაა, თუმცა იშვიათად დასტურდება შეთანხმების შემთხვევებიც (ძაღლები ავები...), განსაკუთრებით მაშინ, თუ მსაზღვრელი საზღვრულისაგან გათიშულია („თუშები მიყვარან — ტანად დიდები“... — მ. ლებანიძე).

გ) მსაზღვრელი სახელის ნართანიანი მრავლობითის შემთხვევაში მსაზღვრელი, წესისამებრ, შეეთანხმება მას (არქაული ფორმა — არქაული სინტაგმატიკა): *დიდთა გზათა, მთანი მაღალნი...*

შენიშვნა: ცალკე დგას ზედსართავი სახელის, როგორც პრედიკატული მსაზღვრელის საკითხი. როგორც ცნობილია, ეს თავისებური კონსტრუქცია ძირითადად დაკავშირებულია მიმღეობებთან და ორმაგ სინტაგმატურ დაქვემდებარებას გულისხმობს: მსაზღვრელი სინტაგმას

ქმნის ზმნა-შემასმენელთან, მაგრამ ფორმის მხრივ ანგარიშს უწევს შესაბამის აქტანტს; შდრ.:

მელია კ უ დ ა მ ო ძ უ ე ბ უ ლ ი გარბოდა,
მელიამ კ უ დ ა მ ო ძ უ ე ბ უ ლ მ ა ირბინა.
მელიას კ უ დ ა მ ო ძ უ ე ბ უ ლ ს ურბენია...

III. 3.7. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები. ზედსართავი სახელი ორგვარი შეიძლება იყოს: ვითარებითი და მიმართებითი. ვითარებითი ზედსართავი სახელი პირველადია (ლამაზი, პატარა, დიდი...), მიმართებითი კი — ნაწარმოები, წარმოქმნილი (გულიანი, სახელოვანი, ქალაქელი, სოფლური...).

საგანს აქვს თავისი ნიშან-თვისება, რომელიც, როგორც წესი, შეიძლება იყოს სხვადასხვა ოდენობის, სხვადასხვა ხარისხის; ეს მეტ-ნაკლებობა დამყარებულია ძირეული, პირველადი და წარმოქმნილი სახელების შედარებაზე.

ქართულ ენაში გარჩეულია ხარისხის სამი ფორმა: დადებითი (დიდი), უფროობითი (უ-დიდ-ეს-ი), ოდნაობითი (მო-დიდ-ო).

ხარისხის ფორმები ეწარმოება ვითარებით ზედსართავ სახელებს, ზოგჯერ — მიმართებითსაც, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიმართებითობა დაკარგული აქვს და ვითარებითად არის ქცეული: მაგ., „გონიერი“ ფორმა გვაძლევს უფროობითი ხარისხის ფორმას: უ-გონიერ-ეს-ი; მსგავსი ფორმებია: უ-ბედნიერ-ეს-ი (ბედნიერი), უ-ჭკვიან-ეს-ი (ჭკვიანი), უ-პატიოსნ-ეს-ი (პატიოსანი), უ-ძლიერ-ეს-ი (ძლიერი), უ-მშვენიერ-ეს-ი (მშვენიერი) და სხვ.

ვითარებით ზედსართავ სახელს ჩვეულებრივ ეწარმოება ხარისხის ფორმები, რომლებიც ძირეულთან მიმართებით მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატავენ საგნის თვისებას: **დიდი — უ-დიდ-ეს-ი, მო-დიდ-ო; თეთრი — უ-თეთრ-ეს-ი, მო-თეთრ-ო**. ეს ფორმები ერთმანეთის მიმართ ხარისხის ფორმებია. ძირეულ ფორმას (დიდი, თეთრი) დ ა დ ე ბ ი თ ი ხარისხი ჰქვია, მისგან წარმოქმნილებს — უ ფ რ ო ო ბ ი თ ი და ო დ ნ ა ო ბ ი თ ი.

დადებითი ხარისხის ფორმა ამოსავალი ფორმაა, მისგან მიიღება უფროობითი და ოდნაობითი ხარისხის ფორმები.

უფროობითი ხარისხის ფორმას აწარმოებს **უ- — -ეს** თავსართ-ბოლოსართი (კონფიქსი) და წარმოქმნილი ფორმა აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას მეტი ოდენობით, ვიდრე ძირეული ზედსართავი სახელი: დიდ-ი — **უ**-დიდ-**ეს**-ი, მაღალ-ი — **უ**-მაღლ-**ეს**-ი...

ოდნაობითი ხარისხის ფორმა საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს დადებითთან შედარებით ნაკლები ოდენობით. მისი მაწარმოებელია **მო- — -ო** თავსართ-ბოლოსართი (კონფიქსი): დიდ-ი — **მო**-დიდ-**ო,** თეთრ-ი — **მო**-თეთრ-**ო.**..

„უფროობითი ხარისხის ფორმის მიმართება დადებითისადმი არ არის ისეთივე, როგორც ოდნაობითისა დადებითისადმი: საგნის ნიშანს უფროობითი ხარისხის ფორმა გამოხატავს მეტი ოდენობით განუსაზღვრელად, ოდნაობითი კი — ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი განსაზღვრით: მიახლოებით, ოდნავ, მაგ., „უ-თეთრ-ეს-ი“ არის ისეთი, რომელიც სითეთრით უმაღლესი ხარისხისაა, „მო-თეთრ-ო“ კი ისეთი, რომელიც თეთრს უახლოვდება, რომელსაც სითეთრის ნიშნები აქვს, რომელიც ოდნავ არის თეთრი... ოდნაობითი ხარისხის ფორმები უფრო ნაკლებად არის ქართულში, ვიდრე უფროობითისა: ზოგი ზედსართავისაგან უფროობითი გვაქვს, ოდნაობითი კი — არა“ (ა. შანიძე).

ხარისხის ფორმები არ ეწარმოება მიმღეობას, თუ ზმნური გაგება არ არის დაკარგული და მიმღეობა ზედსართავად არ არის ქცეული (მაგ., მჯობი — უ-მჯობ-ეს-ი).

გვაქვს ხარისხის ისეთი ხელოვნური ფორმებიც, როგორებიცაა: უ-კეთილშობილ-ეს-ი, უ-აღმატებულ-ეს-ი...

ხარისხის ფორმათა წარმოებისას ზოგიერთ **-ელ** და **-ილ** სუფიქსიან ზედსართავ სახელს ეკვეცება ეს სუფიქსები და ხარისხის აფიქსები უშუალოდ პირვანდელ ფუძეს დაერთვის:

გრძ-ელ-ი: **უ**-გრძ-**ეს**-ი, **მო**-გრძ-**ო**;

სქელ-ი: **უ**-სქ-**ეს**-ი, **მო**-სქ-**ო**;

ტკბილ-ი: **უ**-ტკბ-**ეს**-ი, **მო**-ტკბ-**ო.**

გვხვდება გარკვეული გამონაკლისებიც: მაგ., კარგი — უკეთესი (შდრ. კეთილი). „წით-**ელ**-ი“ და „ყვით-**ელ**-ი“ ოდნაობითი ხარისხის ფორმის წარმოებისას ფუძის (პირვანდელი სუფიქსის) ხმოვანს იცვლიან და **-ალ** დაბოლოება გვაქვს: მო-წით**ალ**-ო, მო-ყვით**ალ**-ო.

ხარისხის წარმოების თვალსაზრისით ქართული ენა განსხვავდება ევროპული ენებისაგან. ევროპულ ენებშიც ხარისხის სამი ფორმაა: დადებითი, შედარებითი და აღმატებითი, მაგრამ „მეტობის“ ხარისხი ორსაფეხურიანია — შედარებითი და აღმატებითი. ქართულს კი მეტი ოდენობისთვის აქვს მხოლოდ ერთი — უფროობითი ხარისხის ფორმა. სამაგიეროდ, ევროპულ ენებში არ არის ოდნაობითი ხარისხის ფორმა.

თავი IV. რიცხვითი სახელი

III. 4.1. რიცხვითი სახელის რაობა. რიცხვითი სახელის სემანტიკურ კლასში ერთიანდება იმ რიგის დამოუკიდებელი შინაარსის სიტყვები, რომლებიც საგანთა რაოდენობრივ დახასიათებას (აღწერას, აღრიცხვას) უკავშირდება. ეს არის სიტყვიერი (ენობრივი) გამოხატულება იმისა, რასაც ციფრთა სისტემაში არაბული ან რომაული სიმბოლოებით ავსახავთ. შესაბამისად, რიცხვითი სახელის მთავარი ფუნქციაა საგანთა რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს გამოხატვა, ხოლო შემდეგ — რაოდენობასთან დაკავშირებული სემანტიკური მიმართებების ასახვა: რ ი გ ი (რაოდენობრივ სათვალავში) და რაოდენობრივი ნ ა წ ი ლ ი.

თავისი შინაარსითა და ფუნქციით რიცხვითი სახელი ყველაზე უფრო ეკედლება ზედსართავ სახელთა კლასს (ატრიბუტივებს). ამასვე ადასტურებს რიცხვით სახელთა პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა. ამიტომაც ზოგ ენაში ის ატრიბუტივთა კლასშია გაერთიანებული.

რიცხვითი სახელის რაოდენობრივი შინაარსი, ჩვეულებისამებრ, გარკვეულია, ზუსტია. მაგრამ ენაში არსებობს რაოდენობის გამომხატველი ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ამ შინაარსს ზუსტად კი არა, ზოგადად გამოხატავენ. მათ გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ი შინაარსის რიცხვით სახელებს უწოდებენ: **ბევრი, მრავალი, ცოტა**... ეს ერთეულები თავისი შინაარსით უახლოვდება, ერთი მხრივ, კრებით სახელებს (*ხალხი, ფარა*...), ხოლო მეორე მხრივ — ამგვარივე შინაარსის ნაცვალსახელებს (*ყველა, ყოველი*...).

რიცხვითი სახელის ენობრივ არსს უფრო ზუსტად გამოხატავს რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელი, რამდენადაც ის საგანთა თ ვ ლ ა დ სინამდვილეს შეესატყვისება.

შესაბამისი რიცხვითი სახელები ადამიანმა გამოიყენა მას შემდეგ, რაც მან საგნობრივ ერთეულთა აღრიცხვა ანუ თ ვ ლ ა დაიწყო. ივარაუდება, რომ მანამდე იგი ზოგად (მარტივ) ოპოზიციას მიმართავდა:

ერთი (ცალი) — მრავალი

ცოტა — ბევრი

შემდგომ ეტაპზე გაჩნდა ოპოზიციის უფრო კონკრეტული (დიფერენცირებული) წევრი („ორი“); შესაბამისად, შეიქმნა სამწევროვანი ოპოზიცია:

კენტი — წყვილი (ტყუპი) — მრავალი

ამის შემდეგ აზროვნება იწყებს აღრიცხვას და, ბუნებრივია, მის ენობრივ ასახვას: ერთი, ორი (ერთს + ერთი), სამი (ერთს + ორი) და მისთ.

ენობრივი წარმომავლობის თვალსაზრისით ქართულ რიცხვით სახელთა სისტემა თორმეტ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს ემყარება:

ერთი	—	1			
ორი	—	2	ათი	—	10
სამი	—	3	ოცი	—	20
ოთხი	—	4	ასი	—	100
ხუთი	—	5			
ექვსი	—	6			
შვიდი	—	7			
რვა	—	8			
ცხრა	—	9			

შენიშვნა: აქ მხედველობაში არ მიიღება გვიან შემოსული დიდ რიცხვთა სახელწოდებანი: მილიონი, მილიარდი...

დანარჩენი რიცხვითი სახელები ამ ერთეულთაგან არის შედგენილი: სამ+ოცი, ორ+ასი, ათ+ასი, სამ+ას+ოცი...

როგორც ცნობილია, ქართული თვლის სისტემა ო ც ო ბ ი თ ი ა. ეს ნიშნავს იმას, რომ რიცხვების დასახელება ოციდან ასამდე (და შემდგომ — ათეულების რანგში) ოცეულებად არის დაყოფილი და არა — ათეულებად; დააკვირდით:

20	—	**ოც**-ი	40	—	**ორმოც**-ი	60	— **სამოც**-ი
21	—	ოც**და**ერთი	41	—	ორმოც**და**ერთი	61	— სამოც**და**ერთი
22	—	ოც**და**ორი	42	—	ორმოც**და**ორი		და ა. შ.
23	—	ოც**და**სამი	43	—	ორმოც**და**სამი		
24	—	ოც**და**ოთხი	44	—	ორმოც**და**ოთხი		
25	—	ოც**და**ხუთი	45	—	ორმოც**და**ხუთი		
26	—	ოც**და**ექვსი	46	—	ორმოც**და**ექვსი		
27	—	ოც**და**შვიდი	47	—	ორმოც**და**შვიდი		
28	—	ოც**და**რვა	48	—	ორმოც**და**რთა		

29	—	ოც**და**ცხრა	49	—	ორმოც**და**ცხრა
30	—	ოც**და**ათი	50	—	ორმოც**და**ათი
31	—	ოც**და**თერთმეტი	51	—	ორმოც**და**თერთმეტი
32	—	ოც**და**თორმეტი	52	—	ორმოც**და**თორმეტი
33	—	ოც**და**ცამეტი	53	—	ორმოც**და**ცამეტი
34	—	ოც**და**თოთხმეტი	54	—	ორმოც**და**თოთხმეტი
35	—	ოც**და**თხუთმეტი	55	—	ორმოც**და**თხუთმეტი
36	—	ოც**და**თექვსმეტი	56	—	ორმოც**და**თექვსმეტი
37	—	ოც**და**ჩვიდმეტი	57	—	ორმოც**და**ჩვიდმეტი
38	—	ოც**და**თვრამეტი	58	—	ორმოც**და**თვრამეტი
39	—	ოც**და**ცხრამეტი	59	—	ორმოც**და**ცხრამეტი

სხვა ენათა ათობით თვლის სისტემასთან ქართულის შედარება ამ თავისებურებას უფრო ნათლად წარმოაჩენს:

	ქართული	გერმანული	რუსული
10	ათი	zen	десять
20	**ოც**ი	zwanzig (= „ორი-ათი“)	двадцать (= два-десять, „ორი-ათი“)
30	**ოც**დაათი	dreißig (= „სამი-ათი“)	тридцать (= „სამი-ათი“)
50	ორმ**ოც**დაათი	fünfzig (= „ხუთი-ათი“)	пятьдесят (= „ხუთი-ათი“)

III. 4.2. რიცხვითი სახელის ჯგუფები. როგორც ითქვა, რიცხვითი სახელის ენობრივი დანიშნულება პირველ რიგში უკავშირდება საგანთა რაოდენობის გამოხატვას (რაოდენობრივ აღრიცხვას); ამ შინაარსთან მიმართებით ყალიბდება მოწესრიგებულ სიმრავლეში (რაოდენობაში) რიგითობის სემანტიკა (საგნის რიგითი ადგილი მრავალში); ასევე — მოცულობითი ან რაოდენობრივი მთელის ფარდობითი ნაწილი (რაოდენობრივი განწილვის მიმართებათა ასახვა).

გამომდინარე აქედან, ქართულს სამი სახის რიცხვითი სახელი მოეპოვება:

რაოდენობითი: ორი, ათი, ასი, მილიონი...

რიგობითი: მეორე, მეათე, მეასე, მემილიონე...

წილობითი: მესამედი, მეათედი, მეასედი...

შენიშვნა 1. შეიძლება ასევე ვილაპარაკოთ „დაყოფითი“ შინაარსის რიცხვით სახელებზე გარკვეული სახის გაორკეცების გათვალისწინებით: ორ-ორი, სამ-სამი, ას-ასი...

2. გარკვეული სიტყვაწარმოებითი და კომპოზიტური მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ასევე მსჯელობა მ ი ა ხ ლ ო ე ბ ი თ (სამიოდე, ასიოდე...) და დ ა ზ უ ს ტ ე ბ ი თ (სამადსამი, ორადორი...) რიცხვით სახელებზე.

III. 4.3. რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგანთა რაოდენობას და უპასუხებს კითხვას: რ ა მ დ ე ნ ი ? **ორ**-ი (ვაშლი), **ცხრა** (ძმა), **ას**-ი (ცხვარი)...

რაოდენობითი რიცხვითი სახელების (და მათგან წარმოქმნილი შესაბამისი რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების) აგებულება-შედგენილობა ერთგვაროვანი არ არის. გვხვდება როგორც მარტივფუძიანი, ისე რთული შედგენილობის რიცხვითი სახელები; ოღონდაც, ჩვეულებრივი კომპოზიტური სიტყვაწარმოებისაგან განსხვავებით, რთული რიცხვითი სახელების ნაწილი შერწყმული არ არის, დამოუკიდებელ სიტყვებად იწერება.

ამდენად, შედგენილობის მხრივ რიცხვითი სახელი სამგვარია:

ა) მ ა რ ტ ი ვ ი: ასეთია რიცხვითი სახელები **ერთიდან ათის** ჩათვლით; **ოცი, ასი**; აგრეთვე უცხო წარმომავლობის ერთეულები: **მილიონი, მილიარდი**...

ბ) რ თ უ ლ ი ა: რიცხვითი სახელები **თერთმეტიდან ცხრამეტის** ჩათვლით, **ოცდაერთიდან ოთხმოცდაცხრამეტის** ჩათვლით, აგრეთვე ა ს ე უ ლ თ ა სახელები (**ორასი**, **სამასი**... **ათასი**).

როგორც ვხედავთ, (ბ) ჯგუფიდან პირველნი მხოლოდ წარმომავლობის გათვალისწინებით მიიჩნევა რთულ რიცხვით სახელებად (*თერთმეტი ← ათ-ერთ-მეტი, ცამეტი ← ათ-სამ-მეტი* და სხვ.); ასეთ რთულ ფუძეთა ისტორიას ნათლად წარმოაჩენს ძველი ქართული: ათ-ოთხ-მეტი...); მეორენი „**და**“ კავშირით შეერთებულ კომპოზიტებს განეკუთვნება (*ოცდაერთი*... შდრ.: *კარდაკარ*...); მესამენი უკავშიროდ შეერთებულ კომპოზიტებს უდრის (*ორასი*... შდრ.: *ტოლფასი*...); მეოთხენი გარკვეული ელემენტის გამოყენებით არის შეერთებული: *ორმოცი* (← *ორ-მეოცი*...).

გ) შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ა ათასეულთა (და — ათიათასეულთა, ასიათასეულთა...) აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები (*ორი ათასი, ცხრა ათასი, ოცი ათასი*...) და მარტივი და რთული რიცხვითი სახელების მონაწილეობით წარმოდგენილი რიცხვითი სახელების (რიცხვთა) რანგობრივი სტრუქტურა:

ორას ხუთი ათას სამას სამი;
ხუთი ათას ხუთას ორმოცდაერთი;
მილიონ ორი ათას სამას ოცდახუთი და მისთ.

III. 4.4. რიგობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს საგნის რიგით „ოდენობას“, იგი რეალურად გამოყოფს რ ი გ ი თ ე რ თ ს მრავლისაგან, უჩვენებს კონკრეტული საგნის რ ი გ ი თ „ადგილს“ საგანთა სიმრავლეში:

მეორე (=რიგითი ნომერი ერთსა და სამს შორის)

მეცხრე (= რიგითი ნომერი რვასა და ათს შორის)

ოცდამეათე (= რიგითი ნომერი ოცდაცხრასა და ოცდათერთმეტს შორის)

ორასმეერთე (= რიგითი ნომერი ორასსა და ორას ორს შორის)...

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან **მე — ე** კონფიქსის მეშვეობთ:

ორ-ი → **მე**-ორ-**ე**
ხუთ-ი → **მე**-ხუთ-**ე**
ცხრა → **მე**-ცხრ-**ე**
ას-ი → **მე**-ას-**ე** და მისთ.

როგორც ვხედავთ, ფუძეთანხმოვნიან რაოდენობით რიცხვით სახელს ფუძის სახით გამოიყენებს რიგობითის წარმოება (**ორ**-ი → მე-**ორ**-ე...); ხოლო ხმოვნით დაბოლოებული ფუძე **-ე** სუფიქსის წინა პოზიციაში კვეცას განიცდის: **ცხრა** → მე-**ცხრØ**-ე...

წარმოქმნილი სიტყვა, ჩვეულებისამებრ, იქნება ფუძეხმოვნიანი: მესამე, მეთერთმეტე, ათასმეერთე...

როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა შედგენილობის (მარტივის, რთულის, შედგენილის) რაოდენობითისაგან წარმოქმნილი რიგობითი რიცხვითი სახელები?

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სიტყვაწარმოების ზოგადი პრინციპი: წარმომქმნელი აფიქსებით ნაწარმოები ნებისმიერი რთული სიტყვა (კომპოზიტი) ერთ სიტყვად იწერება (მაგ.: დედაშვილობა, დაძმური...).

ამდენად, ნებისმიერი წარმომავლობის რიგობითი რიცხვითი სახელი ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს:

მეორასე (ორასი)

მეასიათასე (ასი ათასი)
ასოცდამესამე (ას ოცდასამი)...

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ამგვარ წარმოებაში **მე-** თავსართი ყოველთვის თავკიდურ პოზიციას არ იკავებს. კერძოდ:

ა) **მე-** თავკიდურ პოზიციას იკავებს, როდესაც რიგობით რიცხვით სახელს საფუძვლად უდევს რაოდენობითი:

ერთიდან ოცის ჩათვლით (*მე-სამ-ე, მე-თორმეტ-ე, მე-ოც-ე*...);
ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ასი (*მე-ორმოც-ე, მე-ას-ე*...);
ასეულთა სახელები: ორასი, სამასი... (*მე-ორას-ე*...);
ათასეულთა სახელები: ორი ათასი, ცხრა ათასი (*მე-ორიათას-ე*...);

ბ) **მე-** თავსართი ბოლო კომპონენტის წინ დაერთვის ყველა დანარჩენი რთულფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელიდან წარმოქმნილ რიგობითს:

ოცდა-**მე**-შვიდ-ე, სამოცდა-**მე**-ცხრ-ე, ას-**მე**-ხუთ-ე...

შენიშვნა: 1. საგანთა რაოდენობა (შესაბამისად — რიგობითობა) შეიძლება გამოხატული იყოს რიცხვითი (ციფრობრივი) სიმბოლოებით. რიგობითი რიცხვითი სახელის არაბული ციფრებით გადმოცემისას განსხვავებული დაწერილობა გვექნება მითითებული ორი ჯგუფის მიხედვით. პირველ შემთხვევაში მხოლოდ **მე-** თავსართი დაერთვის (მე-5, მე-20, მე-100...), ხოლო მეორე შემთხვევაში — მხოლოდ **-ე** ბოლოსართი (29-ე, 109-ე, 1001-ე...).

რიგობითის რომაული ციფრებით გადმოცემისას თავსართ-ბოლოსართები არ დაერთვის: V, X, XX, XXII და მისთ.

2. **ერთი**-ს შესაბამისი რიგობითია **პირველი,** მაგრამ რთულ ფუძეში კვლავ „ერთი“ იქნება: *სამოცდამეერთე, ასმეერთე*...

III. 4.5. წილობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს მთელის (სიმრავლის) რიცხობრივ (რაოდენობრივ) **ნაწილს**. ის ციფრულ რეალობაში შეესაბამება წილადს „ერთი“ მრიცხველით. როგორც ცნობილია, ასეთ დროს შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ მნიშვნელი (მრიცხველის გარეშე): *მესამედი, მეასედი*....

წილობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რიგობითისაგან სადერივაციო **-დ** სუფიქსის დართვით (რომელიც წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ნიშანია):

მესამე — მესამე-**დ**-ი
მეცამეტე — მეცამეტე-**დ**-ი
ორმოცდამეხუთე — ორმოცდამეხუთე-**დ**-ი

წარმოქმნილი სიტყვა, ჩვეულებისამებრ, იქნება ფუძეთანხმოვნიანი:

მეცხრედ-ი, ოცდამეხუთედ-ი, მეათასედ-ი...

წარმოების დანარჩენი თავისებურებები რიგობითი რიცხვითი სახელისაგან მომდინარეობს; შდრ.:

მეხუთე — მეხუთედ-ი
ოცდამეხუთე — ოცდამეხუთედ-ი
ასმეხუთე — ასმეხუთედ-ი და სხვა.

შენიშვნა: 1. მოსალოდნელი **მეორედი**-ს ნაცვლად გამოიყენება სიტყვა **ნახევარი.**

2. ნახევარი რიცხვით სახელთან ერთად დაიწერება დეფისით: სამ-ნახევარი... ასევე აღრიცხვად არსებით სახელებთან: ლარ-ნახევარი, ტონა-ნახევარი...

3. წილობითის შინაარსით დასტურდება **ნა—ალ** კონფიქსით ნაწარმოები მოძველებული ფორმებიც: დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი (რუსთაველი); ნამდიდრევმა არ ინება არც ნახევარი და არც ნაოთხალი (საბა).

III. 4.6. რიცხვითი სახელის პარადიგმატიკა. რიცხვითი სახელი, როგორც ითქვა, ზოგადი შინაარსითა და ენობრივი დანიშნულებით ატრიბუტთა კლასს მიეკუთვნება; ამიტომაც მისი ფორმაწარმოებაც და სინტაგმატური უნარიც ძირითადად თავსდება იმ თავისებურებებში, რაც ზედსართავი სახელისათვის არის დამახასიათებელი; კერძოდ:

1. დამოუკიდებლად ნახმარი რცხვითი სახელი ისევე იბრუნება, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი, რამდენადაც ის ამ შემთხვევაში არსებითი სახელის როლს ასრულებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მოქმედებს ის სტრუქტურული (მორფოლოგიური და მო-

რფოფონოლოგიური) კანონზომიერებანი, რაც არსებით სახელებში და დამოუკიდებლად წარმოდგენილ ზედსართავ სახელებში დასტურდება.

ა) თანხმოვანფუძიანი რიცხვითი სახელი:

სახ.	სამ-ი	თხუთმეტ-ი	შვიდას-ი
მოთ.	სამ-მა	თხუთმეტ-მა	შვიდას-მა
მიც.	სამ-ს	თხუთმეტ-ს	შვიდას-ს
ნათ.	სამ-ის	თხუთმეტ-ის	შვიდას-ის
მოქ.	სამ-ით	თხუთმეტ-ით	შვიდას-ით
ვით.	სამ-ად	თხუთმეტ-ად	შვიდას-ად
წოდ.	[სამ-ო]	[თხუთმეტ-ო]	[შვიდას-ო]

შენიშვნა: რიცხვითი სახელის წოდებითი ბრუნვის ფორმა ძალზე იშვიათად დასტურდება.

თანხმოვანფუძიანი რიცხვითი სახელის ბრუნებაში ფუძის კუმშვა არ დასტურდება; ეს იმის გამოა, რომ არცერთი რიცხვითი სახელის ფუძის სტრუქტურა არ აღმოჩნდა სარედუქციო სეგმენტის შემცველი; ეს რომ ყოფილიყო, კუმშვა უთუოდ მოხდებოდა (ისევე, როგორც უკვე განხილულ ზედსართავ სახელებში); ამისი დსტურია ზოგადი („გაურკვეველი“) შინაარსის რიცხვითი სახელი **მრავალი:**

სახ.	მრავალ-ი
მოთ.	მრავალ-მა
მიც.	მრავალ-ს
ნათ.	მრავØლ-ის
მოქ.	მრავØლ-ით
ვით.	მრავØლ-ად
წოდ.	მრავალ-ო

ბ) ხმოვანფუძიანი რიცხვითი სახელებია: **რვა, ცხრა,** ამ ერთეულებზე დამთავრებული რთულფუძიანი რიცხვითები (ოცდარვა, ოთხმოცდაცხრა...) და რიგობითი რიცხვითი სახელები (მესამე, ოცდამეათე, სამასმეერთე...). მათი ბრუნების დროს დამოუკიდებლად ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება:

სახ.	რვა	ოცდაცხრა	მეთორმეტე
მოთ.	რვა-მ	ოცდაცხრა-მ	მეთორმეტე-მ
მიც.	რვა-ს	ოცდაცხრა-ს	მეთორმეტე-ს

ნათ.	რვ**Ø**-ის	ოცდაცხრ**Ø**-ის	მეთორმეტ**Ø**-ის
მოქ.	რვ**Ø**-ით	ოცდაცხრ**Ø**-ით	მეთორმეტ**Ø**-ით
ვით.	რვა-დ	ოცდაცხრ-ად	მეთორმეტე-დ
წოდ.	[რვა-ვ]	[აცდაცხრა-ვ]	[მეთორმეტე-ვ]

2. რიცხვით სახელს შინაარსობრივად არ სჭირდება მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს წარმოება, რადენადაც ის თვითონ გამოხატავს განსაზღვრულ სიმრავლეს. მაგრამ რიცხვითი სახელის დამოუკიდებლად (არსებითი სახელის ფუნქციით) გამოყენებისას (აგრეთვე — არსებითთან შეთანხმებისას) მას შეიძლება დაუდასტურდეს ნართანიანი მრავლობითი: ხუთ-ნ-ი, ას-ნ-ი, მეორე-ნ-ი, ას-თ(ა)... მაგალითად:

„ო რ ნ ი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან“ (გამოცანა);

„ა ს ნ ი რად უნდან დედასა...“ (ხალხ.);

„ბ ე ვ რ ნ ი ბევრ რასმე იტყოდეს, მაგრამ ვინ მოუსმინებდა...“ (დ. გურამ.);

„ჰკითხე ა ს თ ა, ჰქმენ გულისა, რაგინდ რა ვინ გივაზიროს“ (რუსთაველი);

„ე რ თ ნ ი წერდნენ, რომ თითქმის სავსებით გააუქმეს ქართული ენის გაკვეთილები, მ ე ო რ ე ნ ი კი — რომ მეტისმეტად შეავიწროვეს ეს საგანი“ (ი. გოგებ.).

შენიშვნა: რიცხვითი სახელი შეიძლება **ებ**-იანი მრავლობითის ფორმითაც გამოვლინდეს, როდესაც ის ციფრის ან ნიშნის სახელწოდებად არის გამოყენებული: „მოდის თავჩაქინდრული, ჩანთით მოაქვს ო რ ე ბ ი“ (გ. შატბ.).

შდრ.: რიცხვით სახელს ამ შინაარსით ახალი დერივატი ჩაენაცვლა (ორიანი, სამიანი...):

„შიმშის ტრიალი, შხეპლის ზუზუნი, ალიყურები; მათი განგრძობა: ე რ თ ი ა ნ ე ბ ი, ო რ ი ა ნ ე ბ ი“ (ვ. ბარნ.).

III. 4.7. რიცხვითი სახელის სინტაგმატიკა. რიცხვითი სახელი, ჩვეულებისამებრ, არსებით სახელს ახლავს, როგორც მისი მსაზღვრელი წევრი: ს ა მ ი ძმა, ს ა მ ა ს ი ა რ ა გ ვ ე ლ ი, მ ე ს ა მ ე ს ა კ ი თ ხ ი, მ ე ო თ ხ ე დ ი ს ა უ კ უ ნ ე...

ასეთ დროს რიცხვითი სახელის ფორმაცვალება საზღვრულის (არსებითი სახელის) ბრუნებაზე (აგრეთვე — რიცხვის წარმოებაზე)

არის დამოკიდებული და მისდევს იმ წესებს, რასაც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელის ფორმაწარმოება.

1. რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად:

ა) თანხმოვანფუძიანი პრეპოზიციურად და პოსტპოზიციურად:

სახ.	ოთხ-ი	წელიწად-ი	წელიწად-ი	ოთხ-ი
მოთ.	ოთხ-მა	წელიწად-მა	წელიწად-მა	ოთხ-მა
მიც.	ოთხ	წელიწად-ს	წელიწად-ს	ოთხ-ს
ნათ.	ოთხ-ი	წელიწად-ის	წელიწად-ის	ოთხ-ის
მოქ.	ოთხ-ი	წელიწად-ით	წელიწად-ით	ოთხ-ით
ვით.	ოთხ	წელიწად-ად	წელიწად-ად	ოთხ-ად
წოდ.	ოთხ-ო	წელიწად-ო	წელიწად-ო	ოთხ-ო

ბ) ხმოვანფუძიანი პრეპოზიციურად და პოსტპოზიციურად:

სახ.	ცხრა	თვალ-ი	მესამე	წელ-ი	თვალ-ი	ცხრა
მოთ.	ცხრა	თვალ-მა	მესამე	წელ-მა	თვალ-მა	ცხრა-მ
მიც.	ცხრა	თვალ-ს	მესამე	წელ-ს	თვალ-ს(ა)	ცხრა-ს(ა)
ნათ.	ცხრა	თვალ-ის	მესამე	წლ-ის	თვალ-ის(ა)	ცხრØ-ის(ა)
მოქ.	ცხრა	თვალ-ით	მესამე	წლ-ით	თვალ-ით(ა)	ცხრØ-ით(ა)
ვით.	ცხრა	თვალ-ად	მესამე	წლ-ად	თვალ-ად	ცხრა-დ
წოდ.	ცხრა	თვალ-ო	მესამე	წელ-ო	თვალ-ო	ცხრა-ვ

გ) შეიძლება წილობით რიცხვით სახელს მსაზღვრელად რაოდენობითი ახლდეს (წილადის აღნიშვნისას); მათი ბრუნებაც მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების წესს დაექვემდებარება:

სახ.	ორ-ი	მესამედ-ი
მოთ.	ორ-მა	მესამედ-მა
მიც.	ორ	მესამედ-ს
ნათ.	ორ-ი	მესამედ-ის
მოქ.	ორ-ი	მესამედ-ით
ვით.	ორ	მესამედ-ად
წოდ.	[ორ-ო	მესამედ-ო]

დ) სხვაგვარი მიმართებაა შედგენილი რიცხვითი სახელების კომპონენტებს შორის დამოუკიდებლადაც და არსებით სახელთან ბრუნების დროსაც — არსებით სახელს ბრუნვაში შეეთანხმება მხოლოდ ბოლო რიცხვითი სახელი (ისიც — ნაწილობრივ):

სახ.	ორ-ი	ათას-ი	ორ-ი	ათას-ი	კაც-ი
მოთ.	ორ-ი	ათას-მა	ორ-ი	ათას-მა	კაც-მა
მიც.	ორ-ი	ათას-ს	ორ-ი	ათას	კაც-ს
ნათ.	ორ-ი	ათას-ის	ორ-ი	ათას-ი	კაც-ის
მოქ.	ორ-ი	ათას-ით	ორ-ი	ათას-ი	კაც-ით
ვით.	ორ-ი	ათას-ად	ორ-ი	ათას	კაც-ად
წოდ	ორ-ი	ათას-ო	ორ-ი	ათას-ო	კაც-ო

მაგრამ „მილიონი“ სიიტყვის გამოყენების შემთხვევაში წინამავალი კომპონენტიც „აჰყვება“ ბრუნების პროცესს:

სახ.	ორ-ი	მილიონ-ი	კაც-ი
მოთ.	ორ-მა	მილიონ-მა	კაც-მა
მიც.	ორ-	მილიონ	კაც-ს
ნათ.	ორ-ი	მილიონ-ი	კაც-ის
მოქ.	ორ-ი	მილიონ-ი	კაც-ით
ვით.	ორ-	მილიონ	კაც-ად
წოდ	ორ-ო	მილიონ-ო	კაც-ო

ე) წილობით რიცხვით სახელთან არსებითი სახელი ხშირად არის გამოყენებული სუბსტანტიური მსაზღვრელის როლში: ვაშლის მესამედი, საუკუნის მეოთხედი... (იგულისხმება, რომ თვით რიცხვითის საზღვრული დაკარგულია: მესამედი ნაწილი). აქ დაცულია საზღვრულთან სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნების წესი (მსაზღვრელის პოზიციისდა შესაბამისად):

სახ.	საუკუნის	მეოთხედ-ი	მეოთხედ-ი	საუკუნისა
მოთ.	საუკუნის	მეოთხედ-მა	მეოთხედ-მა	საუკუნისა-მ
მიც.	საუკუნის	მეოთხედ-ს	მეოთხედ-ს	საუკუნისა-ს
ნათ.	საუკუნის	მეოთხედ-ის	მეოთხედ-ის	საუკუნისა
მოქ.	საუკუნის	მეოთხედ-ით	მეოთხედ-ით	საუკუნისა
ვით.	საუკუნის	მეოთხედ-ად	მეოთხედ-ად	საუკუნისა(დ)
წოდ.	საუკუნის	მეოთხედ-ო	მეოთხედ-ო	საუკუნისა-ვ

2. არსებითი სახელის რიცხვის ასახვა რიცხვით სახელში.

როგორც ითქვა, რიცხვით სახელს, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გრამატიკული რიცხვის გამოხატვა არ სჭირდება, გინდ კონკრეტულ სიმრავლეს გამოხატავდეს ის და გინდ — ზოგადს (სამი, ასი, ბევრი...).

რიცხვითი სახელის ეს შინაარსი განაპირობებს არსებითი სახელის მხოლობითში დასმას შესაბამისი სინტაქსური დაწყვილების დროს: ოთხი წელი, ცხრა ძმა...

ცხრა გამოხატავს **ძმა** ლექსიკური ერთეულის სიმრავლეს, ოღონდ კონკრეტულად (ძმ-**ებ**-ი გრამატიკული სიმრავლისაგან განსხვავებით); ამ შემთხვევაში არსებითი სახელი (ძმა) მხოლობითის ფორმით რჩება სიმარვლის ლექსიკური გამოხატვის გამო.

ამავე დროს, იშვიათი არ არის ნართანიან მრავლობითში სრული „შეთანხმების“ შემთხვევაებში (სამ-**ნ**-ი და-**ნ**-ი...):

„გადიარეს ცხრანი მთანი, მეათენი ალგეთისნი...“ (ხალხ.);

„ნეტავი ძმათა მრავალთა, მზე სამგნით ამოუხდება“ (ხალხ.).

შინაარსობრივი თვალსაზრისით გრამატიკული მრავლობითი ჭარბი მოვლენაა, ვინაიდან ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება ორი შესიტყვება: „ცხრა ძმა“ და „ცხრანი ძმანი“. ამიტომაც ამგვარ „შეთანხმებაში“ შეიძლება მხოლოდ სტილისტიკური დატვირთვა დავინახოთ.

შენიშვნა: „ვეფხისტყაოსნისეული“ შეთანხმება -**ებ**-იანი მრავლობითის ფორმით, ცხადია, პოეტური თავისუფლების ნიმუშია: „ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები...“

თუ სახელთა მითითებულ შესიტყვებასთან ზმნის პირიანი (III პირის) ფორმაც არის დაკავშირებული, ეს უკანასკნელი ანგარიშს გაუწევს არსებითი სახელის ფორმას, ანუ — არა ლექსიკურ შინაარსს სიმრავლისას (გამოხატულს რიცხვითი სახელით), არამედ გრამატიკულ მრავლობითს; შდრ.:

„სერზე მიდის სამი მგელი“ (ხალხ.);

„ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“ (ანდაზა);

„გუშინ შვიდნი გურჯანელნი სანადიროდ წასულიყვნენ“ (ხალხ.);

„ამაზედან მოვიდენ მოჩივრად სამნი ძმანი წინაშე მეფისა“ (საბა);

„თქვეს ერთხელ სამთა ანგელოზთა: „როგორ დავბადოთ კაცი ყველაზე ბედნიერიც და უბედურიც?“ (შ. ნიშნ.)

თავი V. ნაცვალსახელი

III. 5.1. ნაცვალსახელის რაობა. სახელთა კლასებს შორის ნაცვალსახელს ყველაზე თავისებური ადგილი უჭირავს. ეს თავისებურება უპირველესად მდგომარეობს იმაში, რომ მას არა აქვს განკუთვნებილი ისეთი დამოუკიდებელი სემანტიკური ველი, როგორიც არსებითს, ზედსართავსა და რიცხვითს სახელებს; მეტიც, ნაცვალსახელი ყველა სხვა სახელის ზოგად სემანტიკურ მონაცვლედ არის განსაზღვრული. ზოგადიო, — ვამბობთ იმიტომ, რომ ის კონკრეტული საგნობრივი მიმართებები, რაც დანარჩენი სახელების ენობრივ შინაარსს წარმოადგენს, ნაცვალსახელებში განზოგადებულად, აბსტრაჰირებულად არის მინიშნებული. მაგალითად, ის, რაც არსებით სახელთა კლასში არის — ხე, ქვა, წიგნი, მწერი, ბატი... — ნაცვალსახელებში არის მხოლოდ „**ის**“; ის, რაც ზედსართავ სახელებში შეიძლება იყოს — თეთრი, შავი, მაღალი, დაბალი, მსუბუქი, მძიმე, ტკბილი, მწარე, კეთილი, ბოროტი, ახლობელი, შორეული, ქალაქელი, სოფლელი...“ — შესაბამის ნაცვალსახელებში არის — „**როგორი, რანაირი, რომელი, სადაური... ისეთი, იმნაირი, იქაური...**“; ის, რაც რიცხვით სახელებში არის — ერთი, ორი, სამი, ცხრა, ოცი, ასი, ორასი, ათასი... — ნაცვალსახელით გამოიხატება როგორც „**რამდენი**... **ამდენი**“ და მისთ.

აქედან გამომდინარე, ნაცვალსახელის ენობრივი დანიშნულება რომელიმე სხვა სახელის როლში ყოფნაა; დამოუკიდებელი არსებობა მას არსებითად არ ახასიათებს. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის სემანტიკური მიმართება აქ მხოლოდ პირობითი შინაარსისაა (საგნობრივი შინაარსისაგან ნაცვალსახელი არსებითად დაცლილია).

შენიშვნა: ნაცვალსახელთა სახელდების ძირითადი ფუნქციონალური საფუძველი — „მონაცვლეობა“ — ყოველთვის, ყველა შესაბამის ლექსიკურ ერთეულთან ასეთი გამოკვეთილი არ არის, მაგრამ ეს საკითხის არსს არ ცვლის.

ნაცვალსახელთა კვალიფიკაციის ზოგად ფუნქციონალურ ასპექტზე ყურადღების გამახვილება, შეიძლება ითქვას, მათი საერთო სტილისტიკური დანიშნულების ხაზგასმას გულისხმობს, რამდენადაც, როგორც სხვაგვარად აღნიშნავენ: ნაცვალსახელის გამოყენება (ენობრივი გამოვლენა) რომელიმე სხვა სახელის (არსებითის, ზედსართავის, რიცხვითის) გამეორებითი დასახელებისაგან თავის ასარიდებლად არის გამიზნული. მართლაც, ტექსტის ანალიზი სრულიად ობიექტურად წარმოაჩენს ამგვარ დანიშნულებას.

ეს — ფუნქციონირების დონეზე.

მაგრამ იმავე საკითხის ისტორიული შეფასება არ არის ასეთივე ცალსახა. ისტორიული ასპექტით გაჭირდებოდა იმის მტკიცება, რომ ნაცვალსახელთა წარმოშობა-ჩამოყალიბება სტილისტიკურ ამოცანებთან იყოს დაკავშირებული... რომ ე. წ. „ტავტოლოგია“ ენისათვის თითქოს ახალი მეტყველების ნაწილის წარმოშობისა და ჩამოყალიბების საფუძველი გახდა... რომ ფუნქციონალური ნიშანი „დამხმარე“ და „შემცვლელი“ ენობრივი ერთეულის „გენეტიკურ“ საფუძველში იდოს.

თუ მოვლენას ასე დავინახავთ, მაშინ ე. წ. საგნობრივი შინაარსის სახელთა უწინარესობა უნდა ვაღიაროთ ნაცვალსახელებთან მიმართებით; ასე გადაჭრით კი ამის თქმა შეუძლებელია, რამდენადაც ნაცვალსახელები უძველეს ენობრივ ფენას განეკუთვნებიან და წარმოების უძველეს წესებს ავლენენ.

III. 5.2. ნაცვალსახელთა ფუნქციურ-შინაარსობრივი ჯგუფები

ნაცვალსახელთა ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე, ამ კატეგორიის სიტყვათა კლასიფიკაციის დროს უპირველესად სწორედ ფუნქციონალურ (მიმართებითს) ასპექტს გაესმის ხაზი და არა — შინაარსობრივს (თვისებრივს), თუმცა განზოგადებული შინაარსი, როგორც ითქვა, მათშიც მოიპოვება.

შესაბამისად, ნაცვალსახელთა ჯგუფები გამოიყოფა იმის შესაბამისად, თუ რა როლს, რა „მონაცვლეობით“ ფუნქციას ასრულებენ ისინი ენობრივ ერთეულთა ფუნქციონალურ მიმართებებში.

ამ თვალსაზრით გამოიყოფა თეთრმეტი ჯგუფი:

III. 5.2.1. პირის ნაცვალსახელი. ეს ჯგუფი მნიშვნელობით ყველაზე ძირითადი და წარმმართველია ნაცვალსახელთა საერთო სისტემაში. ეს ჯგუფი არის ენაში არსებული პირის კატეგორიის უპირველე-

სი ლექსიკური გამომხატველი. მას უკავშირდება ადამიანის (მეტყველი სუბიექტის), როგორც ენობრივი არსების, ცნობიერი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან. იგი, როგორც მეტყველი, უახლოეს პირად მოიაზრებს თანამოსაუბრეს, ხოლო ყველაფერ დანარჩენს მეტყველების საგნად („ობიექტად“) ტოვებს. შესაბამისად, მისი — მეტყველის — ენობრივი საკლასიფიკაციო სისტემა ასეთია:

I. **მე** — პირველი პირი ანუ მეტყველი „სუბიექტი“, სამეტყველო ვითარების „ცენტრი“, ენობრივი „თეატრის“ მთავარი „აქტიორი“.

მე — არის აუცილებლად მ ე ტ ყ ვ ე ლ ი;

მე — არის აუცილებლად ა დ ა მ ი ა ნ ი.

თუ „მე“ სხვა საგანს მიემართება, ეს ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი „სუბიექტი“ პერსონიფიცირებულია (მაგ.: „მ ე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიმღერა შემეძლოს...“ — ამბობს ვაჟას ია).

II. **შენ** — მეორე პირი ანუ მეორე „სუბიექტი“. სადაც არის მეტყველი, იქ აუცილებლად არის მეტყველების თანამონაწილე (რეალურად ან პირობითად) და მეტყველების პროცესი, ჩვეულებისამებრ, ამ ორი ენობრივი პირის როლებრივ ურთიერთმონაცვლეობას გულისხმობს. ამიტომაც:

შენ — არის აუცილებლად თ ა ნ ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ი (თანამოსაუბრე);

შენ — არის აუცილებლად ა დ ა მ ი ა ნ ი.

ყველა სხვა შემთხვევა სულიერ თუ უსულო საგანზე თანამოსაუბრის როლის გადატანას გულისხმობს (მაგ.: „ლურჯავ, **შენც** გრძნობა გქონია, როგორც კაცს, ადამიანსა...“ — ვაჟა).

პირის ნაცვალსახელებს სიმრავლის შინაარსის წარმოდგენაც თავისებური აქვს. ამ შემთხვევაში ისეთი ვითარება არ დასტურდება, როგორც სხვა საგნობრივი სიმრავლის გამოხატვისას; კერძოდ, I-II პირთა შინაარსობრივი სიმრავლის აღნიშვნას ლექსიკურ ფუძეთა მონაცვლეობა ანუ სუპლეტურობა ემსახურება:

I პირი: **ჩვენ**.

ზედაპირულად **მე — ჩვენ** ოპოზიცია „ადამიანი — ადამიანები“, უფრო სწორად, „ადამიანი — ხალხი“ დაპირისპირებას ჰგავს; მაგრამ სიღრმისეულად ეს ასე არ არის: **ჩვენ** არ არის **მე + მე + მე** და სხვ. „ჩვენში“ **მე** ისეთივე ერთია, როგორიც **მე**-ში იყო, ის არ „გაბევრდება“ (როგორც, მაგალითად, ადამიანი → ხალხი; ხე → ტყე...“).

ჩვენ შინაარსობრივად შეიძლება იყოს:

ა) მე + შენ;

ბ) მე + თქვენ;

გ) მე + ის;

დ) მე + ისინი

ე) სიტუაციის მიხედვით ასევე შეიძლება იყოს: მე + ყველა (შენ / თქვენ და ის / ისინი).

აქედან ძირითადი, როგორც სამეტყველო ვითარების უშუალო მასახველი, ცხადია, პირველი შემთხვევაა (მე და შენ).

პირველ ორ კომბინაციას (მე + შენ/თქვენ) ინკლუზივს უწოდებენ.

მომდევნო ორ კომბინაციას (სადაც „არაპირიც“ შემოდის) — ექსკლუზივს (მე + ის/ისინი).

II პირი: **თქვენ.**

მიმართება **შენ — თქვენ**, ერთი შეხედვით, ჰგავს იმ ვითარებას, რაც „**მე — ჩვენ**“ მიმართებისათვის განვიხილეთ. მაგრამ მათ შორის ხელშესახები განსხვავებაც არის. „**ჩვენ** ორგვარ ვითარებას გვიჩვენებს:

ა) **თქვენ**, ჩვეულებისამებრ, არ უდრის **შენ + შენ + შენ**... (როგორც „ჩვენ“ ნაცვალსახელის შემთხვევაში);

ბ) **თქვენ** შეიძლება უდრიდეს **შენ + შენ + შენ**..., თუ I პირი (მოლაპარაკე) კოლექტიურად, თანამოსაუბრე პირის იდენტიფიკაციის გარეშე მიმართავს პირთა ჯგუფს (მაგ.: თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო...“ — ლ. ასათ.).

შენიშვნა: ცალკე არის აღსანიშნავი **ჩვენ** და **თქვენ** ნაცვალსახელთა გამოყენება ე. წ. თავაზიანი მრავლობითის გამოსახატავად, რომლის დროსაც სიმრავლის გამომხატველ ფუძეში რეალურად ერთი „მე“ თუ „შენ“ — იგულისხმება.

III. მესამე პირის ნაცვალსეხელი: „**ის**“. ამ პირში იგულისხმება ყველა და ყველაფერი ის, ვის ან რის შესახებაც I და II პირი საუბრობენ. ამ ოდენობასაც „პირის ნაცვალსახელს“ ვუწოდებთ, რამდენადაც ის ენობრივ პირთა სისტემაში მესამე წევრად „ჩაჯდა“, თორემ სინამდვილეში, როგორც ითქვა, პირი მხოლოდ პირველი — მეორეა, მესამე კი — „არაპირია“ (ის პირთა ენობრივ მიმართებაში არ მონაწილეობს). თუმცა მას შემდეგ, რაც ზმნის გრამატიკული სისტემა შეიქმნა და პირთა სისტემა ჩამოყალიბდა, ე. წ. მესამე პირი სისტემურად ნამდვილ

პირებს გაუთანაბრდა (თუმცა სიღრმულ გრამატიკულ სემანტიკაში სხვაობა ჯერაც იჩენს თავს).

III პირის ნაცვალსახელი სამი სახით დასტურდება: **ის, იგი, ეს, ეგ**.

ეს ერთეულები თანაბარი ენობრივი მნიშვნელობისა მაინც არ არის. მიიჩნევა, რომ „ის“ და „იგი“ ერთიმეორის ბადალი სიტყვებია, სინონიმებია“ (ა. შანიძე). თუმცა მათ შორის თანამედროვე ქართულში ფუნქციური სხვაობა ჩამოყალიბდა.

ჯერ ერთი, **იგი** ფაქტობრივ განეკუთვნა ადამიანის კლასს: როდესაც ვამბობთ „ი გ ი მოვიდა“, არ იგულისხმება არც „თოვლი“, არც „მანქანა“, არც „ცხენი“, არამედ — მხოლოდ ადამიანი. **ის** ნაცვალსახელი კი ყველა ამათ ერთნაირად მიემართება.

მეორეც: **ეს — ეგ — ის** სხვაგვარ სინტაგმატურ მიმართებაში ასევე წარმოადგენს ჩვენებითი ნაცვალსახელები (იხ. ქვემოთ), რის შესაძლებლობასაც მოკლებულია **იგი** („ი გ ი კაცი“ დიალექტურია); მას მხოლოდ პირის ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს.

ეს — ეგ — ის III პირის ნაცვალსახელთა შიდა ოპოზიცია დაფუძნებულია კვლავ რეალურ (I და II) პირებთან სიახლოვის სემანტიკაზე:

ეს არის I პირთან („ჩემთან“) ახლოს მყოფი „ის“;

ეგ არის II პირთან („შენთან“) ახლოს მყოფი „ის“;

ის არის I—II პირთან ახლოს არმყოფი, ანუ ნეიტრალური „ის“.

სწორედ ამის გამოა, რომ III პირის ნაცვალსახელად ხშირად მიიჩნევა მხოლოდ **ის**; ხოლო **ეს, ეგ** ჩვენებით ნაცვალსახელებში განიხილება; მათში „ჩვენებითობის“ გაგება ნეიტრალურ პოზიციაშიც საგრძნობია, როგორც ჩანს, რეალურ პირებთან ზემოაღნიშნული მიმართების გამო.

მაგრამ **ის** ნაცვალსახელის ორმაგ ფუნქციონალურ ბუნებაზე არავინ დაობს: სათანადო სინტაგმატიკის საფუძველზე ის არის როგორც პირის, ისე ჩვენებითი ნაცვალსახელი:

პირის — ზმნასთან შესიტყვებაში: **ის** მ ო ვ ი დ ა.

ჩვენებითი — სახელთან შესიტყვებაში: **ის** კ ა ც ი მოვიდა.

ამავე საფუძველზე შეგვიძლია ორმაგი ფუნქციონალური როლით წარმოვადგინოთ **ეს** და **ეგ** ნაცვალსახელები:

ეს — პირის: „**ეს** უ მ ღ ე რ ი ა პაპასა...“ (ხალხ.).

ეს — ჩვენებითი: „**ეს** ბ ი ჭ ი კარგად თამაშობს...“ (ხალხ.).

შესაბამისად, **ეს, ეგ** ისევე შეიძლება იყოს პირის ნაცვალსახელები, როგორც — **ის**.

III პირის ნაცვალსახელთა მრავლობითიც არსებითად განსხვავებულია I-II პირთა მრავლობითისაგან; აქ უკვე სიმრავლე მორფოლოგიურად გამოიხატება: ესე-**ნ**-ი, ეგე-**ნ**-ი, ისი-**ნ**-ი, იგი-**ნ**-ი.

III. 5.2.2.. უკუქცევითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფის გამოყოფის საფუძველია ერთადერთი ნაცვალსახელი — **თავი**; ჩვეულებისამებრ, ის მოქმედების უკუქცევას გამოხატავს (თ ა ვ ი მოიკლა, თ ა ვ ი გამოიჩინა...). ეს ნაცვალსახელი თავისი შინაარსით ყველაზე უფრო უახლოვდება პირის ნაცვალსახელებს; მაგრამ, რადგანაც პირთა მიმართების თვალსაზრისით ის ნეიტრალურია, მიზანშეწონილია მის ძირითად ფუნქციად ეს საერთო — უკუქცევითობა — წამოვწიოთ. შდრ.:

„თ ა ვ ს არ მოიკლავს ქართველი, არა...“ (ლ. ასათ.).

„ჰა, პეტრევ!.. თ ა ვ ს გაუფრთხილდი, არ გაბრიყვდე!“ (ილია).

„არ თ ა ვ ი გამიქიქია...“ (რუსთაველი).

თავი ნაცვალსახელი წარმოშობით, რა თქმა უნდა, არსებითი სახელია, რომლის განზოგადება-განყენება ერთგვარი სემანტიკური უნივერსალიაა; ერთი და იმავე სიტყვის ეს ომონიმური სტატუსი ფუნქციონირების დონეზე ნათლად ჩანს; შდრ.:

თ ა ვ ი დაიბანა;

თ ა ვ ი მოიკლა.

იშვიათად **თავი** ნაცვალსახელის ადგილას გამოიყენება მისი გაორკეცებული ვარიანტი — **თავისთავი**:

„მაიმუნმა თ ა ვ ი ს თ ა ვ ი სარკეში რომ დაინახა...“ (აკაკი).

III. 5.2.3. ჩვენებითი ნაცვალსახელი. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამ ჯგუფის ნაცვალსახელთა ფუნქციაა ჩ ვ ე ნ ე ბ ა, მ ი თ ი თ ე ბ ა რაიმესი. ეს მისათითებელი შეიძლება იყოს:

ა) ს ა გ ა ნ ი — ეს, ეგ, ის;

ბ) თ ვ ი ს ე ბ ა — ასეთი, ეგეთი, ისეთი;

გ) რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — ამდენი, მაგდენი, იმდენი...

ამდენად, **ეს, ეგ, ის, ასეთი**... **ამდენი**... ჩვენებითი ნაცვალსახელებია; მათ შორის, ცხადია, ძირითადია **ეს, ეგ, ის** (იგი).

როგორც უკვე ითქვა, ამ ნაცვალსახელთა ოპოზიციას I-II პირებთან მიმართება (სიახლოვე) ქმნის:

ეს — I პირთან სიახლოვე;
ეგ — II პირთან სიახლოვე;
ის — I-II პირთან არმყოფი, გარე.

ასეთი ფუნქციონალური სამწევროვანი ოპოზიცია მასალობრივად (სტრუქტურულად) შერეული ტიპისაა, ორი ბინარული ოპოზიციის კომბინაციას წარმოადგენს:

თანხმოვნების მიხედვით: **ეგ** — **ეს**, **ის**;
ხმოვნების მიხედვით: **ეგ**, — **ე**ს — **ი**ს.

პირი-არაპირის დაპირისპირებას, ცხადია, ხმოვნითი (ე—ი) ოპოზიცია გამოხატავს.

ჩვენებითი ნაცვალსახელი ფუნქციონარულ დონეზე მსაზღვრელი წევრია, შესაბამისი გრამატიკული დატვირთვით:

„**ეს** მთა ჩემია! ე ს ხე ჩემია!“ (ი. გრიშ.).
„ა ს ე თ ი დარი თუ იყო მაშინ“ (ანა).
„ვინ დარგო ერთად ა მ დ ე ნ ი ვაზი...“ (ტ. ტაბ.).

ჩვენებით ნაცვალსახელთა ფორმაწარმოება (ბრუნება) სუპლეტივიზმს ეფუძნება (**ეს — ამა**-ნ...).

III. 5.2.4. კითხვითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფის ნაცვალსახელები კითხვის შინაარსით (კითხვითი დამოკიდებულებით) გამოხატავენ იმავეს, რასაც პოზიტიურად აღნიშნავენ პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები:

ვინ? — კითხვითად აღნიშნავს იმას, რასაც პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, იგი და ის (როგორც ადამიანი);
რა? — აღნიშნავს იმას, რასაც პირის ნაცვალსახელი **ის** (ადამიანის გარდა);
რომელი? — აღნიშნავს იმას, რასაც ჩვენებითი: **ეს, ეგ, ის**;
როგორი? — ... რასაც ჩვენებითი: **ასეთი, ისეთი**...;
რამდენი? — ... რასაც ჩვენებითი: **ამდენი, იმდენი**...;

ამდენად, კითხვითი ნაცვალსახელებია: **ვინ? რა? რომელი? როგორი? რარიგი? რანაირი? რამდენი?** აგრეთვე ზმნიზედური მიმართების კითხვითი სიტყვები: **სადაური? როდინდელი?**

ამათგან, ცხადია, ძირითადია **ვინ?** და **რა?** ახალ ქართულში ისინი მონოსემიურია — მხოლოდ კითხვითი ნაცვალსახელებია, რითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი ქართულისაგან, რომელშიც მათი

კითხვითობა-არაკითხვითობა (მიმართებითობა) ერთნაირად წარმოჩნდება; შდრ. „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ვ ი ნ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად“;
„უშენოსა პატრონობა ვ ი ს მივანდო, ვ ი ნ იქს კარგა?“

ამ ნაცვალსახელთა დიდ არქაულობას მიეწერება ის, რომ მათი ფორმაწარმოება მეტად შეზღუდულია: „ვინ?“ ნაცვალსახელის ბრუნება ფრიად თავისებურია (იხ. ქვემოთ); „ვინ?“ რიცხვი ნაცვალსახელს ფაქტობრივ არ ეწარმოება, „რა?“ ნაცვალსახელს კი — შეზღუდულად.

III. 5.2.5.. **კუთვნილებითი ნაცვალსახელი.** ამ ჯგუფის ნაცვალსახელები გამოხატავს საგნების კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა ს პირის ნაცვალსახელებით წარმოსახული პირებისადმი. ამიტომ ამ შემთხვევაშიც მთავარი ორიენტირი პირია (პირის ნაცვალსახელია):

ჩემი — არის ის, რისი (ვისი) მკუთვნელია I პირი — „**მე**“;

შენი — არის ის, რისი (ვისი) მკუთვნელია II პირი — „**შენ**“;

მისი — არის ის, რისი (ვისი) მკუთვნელია III პირი — „**ის**“ („**იგი**“).

ამავე დროს, კუთვნილებით ნაცვალსახელშიც აისახება III პირის ნაცვალსახელის სამწევროვანი სისტემა (პირებთან სიახლოვის ჩვენება):

ამისი —მკუთვნელია „**ეს**“;

მაგისი — ... „**ეგ**“;

იმისი — ... „**ის**“.

ამას ემატება კუთვნილებითი ოპოზიცია „თავისი“ — „სხვისი“, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელთა საფუძველზე არის ჩამოყალიბებული:

თავისი — უკუქცევითი ნაცვ. „**თავი**“;

სხვისი — განსაზღვრებითი ნაცვ. „**სხვა**“.

თავისი ნაცვალსახელის გამოვლენა ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში შეზღუდულია — მისი გამოყენებისას მხოლოდ III პირის სუბიექტია მკუთვნელი: „მეფემ თ ა ვ ი ს ი მხლებლები დაიბარა“; მაგრამ ამ ფორმის დიაქრონიული და დიალექტური გამოყენება აჩვენებს, რომ ეს ნაცვალსახელი ნეიტრალური უნდა ყოფილიყო პირთა კუთვნილებასთან მიმართებით (ისევე, როგორც პირთა ოპოზიციასთან — **თავი** ნაცვალსახელი), ანუ მას შეეძლო ნებისმიერი პირი გამოეხატა.

თავისი გვხვდება უფრო არქაული ფორმით — **თვისი.** თქვან: „აღასრულა მან თ ვ ი ს ი ვალი“ (ილია); „შერცხვეს კაცი ბოროტი და

თ ვ ი ს ძმის არ გამტანი!“ (აკაკი). იშვიათად დასტურდება **თავისა** ფორმა. ვთქვით: „გავაჩინოთ მართალი, ვინ ვსჯობთ თ ა ვ ი ს ა მკლავითა“ (რუსთაველი); „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თ ა ვ ი ს ა“ (ვაჟა).

სხვისი, ცხადია, მკუთვნელად III პირს გულისხმობს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ „**სხვისი**“ თანაბრად „დისტანცირებულია“ როგორც I-II, ისე III პირისაგან:

„სხვამან ს ხ ვ ი ს ა უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“ (რუსთაველი).

როგორც ჩანს, **სხვისა** თავისუფალი მონაცვლეა **სხვის**-ი ფორმისა:

„რარიგ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება ს ხ ვ ი ს ა“ (ლ. ასათ.).

მეტიც, ბრუნვის ფორმები აჩვენებს პირველის უპირატესობას:

„ჩემმა ხელმა მოკლა იგი და არა ს ხ ვ ი ს ა მ“ (ილია).

„ღმერთის სიტყვის არ გჯერა და ს ხ ვ ი ს ა ს დაიჯერებ? (ნ. დუმბ.).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები შეიძლება წარმოქმნილი იყოს უარყოფითი ნაცვალსახელებისაგანაც:

არავისი — ამოსავალია **არავინ**;

არარაისი — იშვიათი (ხელოვნური) ფორმა **არარა** ნაცვალსახელისაგან.

ამგვარად, კუთვნილებითი ნაცვალსახელებია — (შესაბამისი მრავლობითის ფორმებით):

ჩემ-ი — **ჩვენ**-ი
შენ-ი — **თქვენ**-ი
მის-ი (ამის-ი, მაგის-ი, იმის-ი) — **მათ**-ი (ამათ-ი, მაგათ-ი, იმათ-ი)
თავის-ი (თვის-ი) — **თავიანთ**-ი
სხვის-ი || **სხვისა** — **სხვებისა** (სხვათა)
არავის-ი —
არარაის-ი —

როგორც ვხედავთ, კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმომავლობით შესაბამისი ამოსავალი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა — წარმოქმნილი ან სუპლეტური მონაცვლეობით (მე → ჩემ-ი...), ან ფლექსიური ელემენტების გამოყენებით დერივაციულ მაწარმოებლად (თავ-ი → თავ-ის-ი...).

ასევე არაერთგვაროვანია მრავლობითის ფუძეთა წარმოქმნა: სუპლეტივიზმი (ჩემ-ი — ჩვენ-ი, შენ-ი — თქვენ-ი), ფლექსიური (მის-ი — მათ-ი...), სპეციფიკური — ფლექსიურ-დერივაციული (თავის-ი — თავიანთ-ი).

III. 5.2.6. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფის ნაცვალსახელები ერთგვარი გაგრძელებაა წინამავალი ჯგუფისა, რამდენადაც აქაც წამყვანია კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი ს სემანტიკა. ოღონდ მათ შორის სხვაობაა ის, რომ ეს უკანასკნელნი კითხვითი ნაცვალსახელების საფუძველზეა ჩამოყალიბებული. სხვაგვარად: კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები კითხვითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების სინთეზს წარმოადგენს:

ვის-ი? — ამოსავალია „ვინ?“;

რის-ი? || **რისა?** — ამოსავალია „რა?“

(შდრ. „ნეტავ რ ი ს ა გაქვს რიდი?“ (აკაკი) — „აბა, რ ი ს ი იქნებოდა იმპერია!“ (გ. ტაბ.).

ნათლად ჩანს, რომ ეს ნაცვალსახელებიც წარმომავლობით შესაბამის კითხვით ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია — ნათესაობითი ბრუნვა გამოყენებულია შესაბამის სადერივაციო ფუძედ:

ვი-ნ? → **ვ-ის**-ი?

რა? → **რ-ის**-ი?

კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელებს შესატყვისი მრავლობითის ფორმები არ მოეპოვება, გარდა იმ არქაიზებული შემთხვევებისა, როდესაც ნაცვალსახელი საზღვრულის ნართანიან მრავლობითთან არის შეთანხმებული:

„მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რ ი ს ა ნ ი?“ (რუსთაველი).

III. 5.2.7. მიმართებითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფის ნაცვალსახელთა სახელწოდებაში წარმმართველია ფუნქციონალური ნიშანი — შესაბამისი ნაცვალსახელები მ ი მ ა რ თ ე ბ ა ს ამყარებენ რთული წინადადების ნაწილებს, უფრო სწორად, შემადგენელ წინადადებთა ურთიერთკოორდინირებულ წევრებს შორის:

„რ ა ს ა ც დასთესავ, ი მ ა ს მოიმკი“ (ანდაზა).;

„რ ო გ ო რ ი ც მოხვალ, თინაო, ი ს ე თ ი წახვალ შინაო“ (ანდაზა) და მისთ.

მიმართებითი ნაცვალსახელები წარმოქმნილია კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან **-ც(ა)** ნაწილაკის დართვით (ვინც ← ვინ? რაც ← რა? რომელიც ← რომელი?..); თანამედროვე ქართულში ძირითადია **-ც; ცა** ემფატიკური ვარიანტი პოზიციურად ვლინდება. შდრ.:

„რ ა ც მოგივა, დავითაო...“;

„გიცნობ, რ ა ც ა ხარ!..“

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, -ც(ა) ნაწილაკი კითხვით ნაცვალსახელებს „კითხვით ძალას უკარგავს და მიმართებითად აქცევს“.

ამგვარად მიმართებითი ნაცვალსახელებია: **ვინც(ა), რაც(ა), რომელიც, როგორიც, რანაირიც, როდინდელიც, სადაურიც, რამდენიც, ვისიც, რისაც (რისიც)**.

მიმართებითი ნაცვალსახელები უპირატესად წევრ-კავშირის როლს ასრულებენ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, მის დაქვემდებარებულ ნაწილში:

ის, **ვინც**...

ისეთი, **როგორიც**... და მისთ.

III. 5.2.8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფში ერთიანდება საკმაოდ განსხვავებული შინაარსის ნაცვალსახელები; მაგრამ მათ აერთიანებს ერთი რამ: ამ რიგის ნაცვალსახელი გამოხატავს ზოგად შ ი ნ ა ა რ ს ო ბ რ ი ვ (არსობრივ) ან რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ო ბ ა ს.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: **თვით, თვითონ, თავად, თვითეული (თითოეული); თითო, ყველა, ყოველი, ყველაფერი, სხვა**.

ვლინდება ასევე არქაული ვარიანტი **ყოვლი**, რომლის წარმოშობის საფუძველია **ყოველ-** ფუძის კუმშვადობა ძველ ქართულში. მაგ.: „იმ სახის სიზმრებს ჩაბარდა ყ ო ვ ლ ი“ (გ. ტაბ.).

შენიშვნა: ა. შანიძე ამ ჯგუფს მიაკუთვნებს „**მავანი**“ ნაცვალსახელსაც; მაგრამ თავისი შინაარსით ის უფრო განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს ეკედლება („ერთი, ზოგი“).

ამ ნაცვალსახელთა ძირითადი ნაწილი (თვით, თვითონ, თავად, თვითეული, თითო) წარმომავლობით **თავ**-ი უკუქცევით ნაცვალსახელს

უკავშირდება და ერთგვარ უკუქცევითობის შინაარსსაც ითავსებს; შდრ.:

ერთი მხრივ: „თ ა ვ ი გამოიჩინი“ და „თ ვ ი თ გამოჩნდა“.

მეორე მხრივ: „თ ა ვ ი ს ი საქმე ყველამ თ ვ ი თ ო ნ უნდა გააკეთოს“.

ნაცვალსახელთა ეს ჯგუფი ფორმაწარმოების თვალსაზრისით მეტად არაერთგვაროვანია: ზოგი ნაცვალსახელი საერთოდ არ იბრუნება (მაგ., თვით, თვითონ); ზოგს კი სრული ბრუნება აქვს (მაგ., ყველა); ასეთივე ვითარებაა რიცხვის წარმოებაში:

თვით, თვითონ, თავად, თვითეული, თითო, ყველაფერი ნაცვალსახელებს მრავლობითი რიცხვის ფორმები არა აქვს.

ყველა მხოლოდ ნართანიან მრავლობითს იგუებს და ამ დროს მას უფრო „ყ ო ვ ე ლ ი ს“ შინაარსი ენიჭება:

„მე და ნურადინს ყ ვ ე ლ ა ნ ი ქებასა შეგვასხმიდიან“ (რუსთაველი)...

ყოველი თანამედროვე ქართულში იშვიათად ვლინდება ნართანიანი ფორმით:

„ყ ო ვ ე ლ ნ ი კაცნი ქვეყანაზე გრძნობენ ერთგვარად“ (გ. ტაბ.);

„დიდება ყ ო ვ ე ლ თ, დიდება მზესა!“ (გ. ტაბ.).

ამ ჯგუფის ნაცვალსახელები არაერთგვაროვნებას გვიჩვენებს სემანტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისითაც. ასეთია მათით გამოხატული შინაარსი, ერთი მხრივ, „ერთადერთობის“ (თვით, თვითონ), მეორე მხრივ, „თითოობის“ (თვითეული, თითო), მესამე მხრივ — „ყოვლადობის“ (ყოველი, ყველა).

თვით **ყოველი** და **ყველა** ნაცვალსახელები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან პირველი თ ი თ ო ე უ ლ ს გახაზავს „ყ ვ ე ლ ა“-დან, ხოლო მეორე — თ ი თ ო ე უ ლ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს აღნიშნავს.

ფუნქციონირების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებაა: **თითოეული, ყოველი, სხვა** უპირატესად მსაზღვრელის როლში გამოდის, **თვით, თავად**... — დამოუკიდებლად გვხვდება. შდრ.:

„თაგვებს ესმოდათ თ ვ ი თ ე უ ლ ი სიტყვა ფიცხელასი“ (ვაჟა);

„ყ ო ვ ე ლ ი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ... (კ. გამს.);

„ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, ს ხ ვ ა მ სხვისი... (ნ. დუმბ.).

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას“ (კ. გამს.);

III. 5.2.9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი. ნაცვალსახელები, რომლებიც ამ ჯგუფშია გაერთიანებული, აღნიშნავენ იმას, რომ შესაბამისი ობიექტი (პირი თუ საგანი), ანდა რაიმე ნიშან-თვისება უცნობია, გაურკვეველია, განუსაზღვრელია; ამ სახელებით სწორედ „განუსაზღვრელობაა“ ხაზგასმული. როცა მოლაპარაკე ამბობს: „ვინმე მოვიდეს“, ან — „ვიღაცა მოვიდა“, ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ის არ განსაზღვრავს, ვინ უნდა მოვიდეს, ანდა — მისთვის განსაზღვრული არ არის, ვინ მოვიდა.

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ჯგუფში უპირველესად ყურადღებას იქცევს ის ძირეული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სხვა მეტყველების ნაწილთა ტრანსპოზიციის გზით არის მიღებული. ასეთებია **ერთი** და **კაცი**.

ერთი რიცხვითი სახელის განზოგადებით (განყენებით) ჩამდგარა ნაცვალსახელთა რიგში. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ გახაზავს არა ამ კაცის რაოდენობას, არამედ იმას, რომ „გზაზე ვიღაც მიდის“.

კაცი უფრო იშვიათად გამოიყენება ნაცვალსახელის ფუნქციით, მაგრამ როცა გამოიყენება, ის „ერთს, მავანს“ აღნიშნავს. მაგ.:

„კაცი საცხონებლად წავიდა და წაწყმედილი მოვიდაო“ (ანდაზა);

„კაცს თავს სჭრიდნენ და — მუწუკი არ მატკინოთო“ (ანდაზა).

ძირეული სიტყვაა აგრეთვე **ზოგი**, რომელიც მნიშვნელობით „**ერთი**“ ნაცვალსახელს უახლოვდება. ეს სიახლოვე განაპირობებს იმას, რომ მათი შერწყმით წარმოიქმნა კომპოზიტური ნაცვალსახელი — **ზოგიერთი**.

დანარჩენი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები წარმოქმნილია კითხვით ნაცვალსახელთაგან **-მე** და **-ღაც(ა)** ნაწილაკების დართვით; შდრ.:

კითხვითი ნაცვალსახელი	განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	
ვინ?	ვინ-მე	ვიღაც(ა)
რა?	რა-მე	რაღაც(ა)
რომელი?	რომელი-მე	რომელიღაც(ა)
როგორი?	როგორმე	როგორიღაც(ა)

ამგვარად, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: **ზოგი, ერთი, ზოგიერთი, კაცი, ვინმე, რამე, რომელიმე, ვიღაც(ა), რაღაც(ა), რომელიღაც(ა), როგორიღაც(ა).**

III. 5.2.10. ურთიერთობითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფში შედის რთული ფუძეები: **ერთურთი, ერთმანეთი, ურთიერთი, ერთიმეორე.**

ეს ნაცვალსახელები წარმოშობით „**ერთი**“ ნაცვალსახელს უკავშირდება და მისი რედუპლიკაციით (ერთურთი, ერთმანეთი) ან სხვა ფუძესთან შერწყმის გზით (ერთიმეორე) არის მიღებული.

ეს ნაცვალსახელები ორის (ან მეტის) ურთიერთმიმართებას გამოხატავენ, ამიტომაც შინაარსობრივად ისინი მინიმუმ „ორს“ გულისხმობენ; აქედან გამომდინარეობს მათი ფუნქციონალური თავისებურება: ისინი ზმნას მრავლობითში „შეითანხმებენ“:

„ერთნი მივიკითხე**თ**“;

ერთიმეორეს გადახედ**ეს**“...

სპეციფიკური ისიც არის, რომ ზმნასთან ორივე თანაბარ („მორიგეობით“) სუბიექტად გამოდის (შდრ.: ერთმა მეორეს გადახედა...).


ურთიერთობით ნაცვალსახელებს შეზღუდული ფორმაწარმოება აქვს: მრავლობითის ფორმები არ მოეპოვება; ხოლო ბრუნვის პარადიგმა ნაკლულია (იხ. ქვემოთ).

III. 5.2.11. უარყოფითი ნაცვალსახელი. უარყოფითი ნაცვალსახელი უარყოფს იმას, რის არსებობასაც ვარაუდობს კითხვითი ნაცვალსახელი; ამავე დროს, უარყოფითობა განუსაზღვრელობით შინაარსსაც სძენს იმას, რის განსაზღვრულობასაც გულისხმობდა კითხვითი ნაცვალსახელი. შდრ.:

„ვინ [მოვიდა]“ — შეიცავს მოლოდინს, რომ დასახელდება ის ერთი, ვინც მოვიდა, ანუ გულისხმობს „განსაზღვრულ ერთს“;

„არავინ“ — გულისხმობს არა იმ მოსალოდნელი „ერთის“ უარყოფას, არამედ „განუსაზღვრელ არაერთს“.

უარყოფითი ნაცვალსახელი მიიღება უარყოფითი ნაწილაკების მიერთებით „**ვინ?“ „რა?“** კითხვითი ნაცვალსახელების თავკიდურად. ეს უარყოფითი ნაწილაკებია: არ(ა), ვერ(ა), ნუ. ამიტომაც თითოეულ კითხვითი ნაცვალსახელისაგან მიიღება სამწევროვანი უარყოფითი ნაცვალსახელი:



შენიშვნა: ვინაიდან **არა, ვერა** ნაწილაკები მოკლე ფორმითაც დასტურდება, უარყოფითი ნაცვალსახელების ფრჩხილებში წარმოდგენილი ვარიანტებიც (არვინ და მისთ.) რეალურია, თუმცა — უფრო იშვიათი: „არ-ვინ შეუკრავს კუბოსა...“ (ვაჟა); „ცოცხალი არვინ არ მიიკარა“ (ლ. ასათ.); „შინ შემოვიდა სტუმარი, მის ნახვას არრა სჯობია!“ (აკაკი; „რომ სხვისი ვერრა ისწავლონ, თავისიც დაავიწყდესთო“ (აკაკი).

ამას ემატება **ფერი** ფუძე, რომელიც ნაცვალსახელურ საფუძვლად არის მიღებული (შდრ. **ყველა** და **ყველაფერი**) და რომელიც ასევე იძლევა უარყოფით ნაცვალსახელებს: **არაფერ**-ი

ვერაფერ-ი
ნურაფერ-ი

როგორც ვხედავთ, ამ სამეულის მესამე წევრად გვევლინება არა **ნუ**, არამედ **ნურა** უარყოფითი ნაწილაკით, რომელიც ზემოთ დამოუკიდებელ უარყოფით ნაცვალსახელად იყო წარმოდგენილი: **ნურა (ნუ-ვინ)**.

ასე რომ, ბოლო სამეულში **ნურა** (ნურა + ფერი) უარყოფით ნაწილაკთა რიგში ჩადგა, რამაც გამოიწვია „პარადიგმის გასწორება“ პირველ ორ სამეულშიც, ანუ **ნუვინ, ნურა** ნაცვალსახელთა პარალელურად გაჩნდა (და ძირითადი ადგილიც დაიკავა) ვარიანტები: **ნურა-ვინ, ნურარა** (აგრეთვე ხელოვნური — **ნურვინ**).

ამდენად, უარყოფითი ნაცვალსახელებია: **არავინ** (არვინ), **ვერა-ვინ** (ვერვინ), **ნუვინ, ნურავინ** (ნურვინ); **არარა** (არრა), **ვერარა** (ვერრა), **ნურა** (ნურარა); **არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი**.

ამას უნდა დაემატოს ის, რომ „არარა“ რიგის უარყოფითი ნაცვალსახელების როლში შეიძლება მოგვევლინოს ე. წ. მოკლე ფორმები, ანუ მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკები: არა, ვერა, [ნურა]. ოღონდ

ეს მოხდება არა სახელობითში, არამედ დანარჩენ ბრუნვებში (წოდებითის გარდა); მაგალითად:

„შენი ქალი არ ა დ მინდა, გაათხოვე, გამარიდე!“ (რუსთაველი).

„უგანგებოდ ვ ე რ ა ს მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი“ (რუსთაველი).

„მიცემა და ა რ ა ს შური, ჩუქებისა არ-მოწყენა“ (რუსთაველი).

„...ქართველებს ა რ ა დ მიაჩნით უბედურება...“ (ნ. ბარათ.).

„თვითონ სიკვდილი ა რ ა დ მიაჩნდა“ (გ. ლეონ.).

„ყვავილნი ა რ ა ს მეტყვიან...“ (ვაჟა).

„ქორწილზე ა რ ა ს ამბობენ...“ (მ. ლებ.).

შეიძლება ასევე ვივარაუდოთ, რომ ეს „მოკლე“ უარყოფითი ნაცვალსახელები არა ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ნაწილაკები, არამედ **არრა, ვერრა** ნაცვალსახელურ ვარიანტთა გამარტივების (ორი სონორის შერწყმა) შედეგია: **არრა → არა, ვერრა → ვერა.**

III. 5.3. ნაცვალსახელთა სისტემა გენეზისის მიხედვით. ნაცვალსახელების საკლასიფიკაციო აღწერამ წარმოაჩინა საკმაოდ არაერთგვაროვანი შინაარსობრივ-ფუნქციონალური სურათი იმ ენობრივი ერთეულებისა, რომლებიც ისტორიულად ნაცვალსახელური დანიშნულებით ჩამოყალიბებულა.

კიდევ უფრო რთულსა და მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენს ცალკეულ ნაცვალსახელთა (თუ მთელი ნაცვალსახელური ჯგუფების) გენეზისის გათვალისწინება, რომელიც ამჯერად აუცილებელია იმის გასააზრებლად, თუ როგორ ყალიბდებოდა და ურთიერთმიმართებათა რა ლოგიკა დაედო საფუძვლად ნაცვალსახელთა თანამედროვე მოზაიკას.

ერთი შეხედვითაც სრულიად აშკარაა, რომ ნაცვალსახელთა ნაწილი უძველესი წარმომავლობისაა (რამდენიმე ფუძე საერთოქართველურ დონეზეც კი აღდგება), ნაწილი კი დროთა განმავლობაში შემატებია ამ კლასს დერივაციული თუ სემანტიკური (მათ შორის — ტრანსპოზიციური) პროცესების შედეგად.

I. სიძველის თვალსაზრისით უპირველესად პირის ნაცვალსახელები იქცევს ყურადღებას: **მე**, **შენ**, **ის** (**იგი**).

ამ ნაცვალსახელთაგან ერთი გენეზისური ხაზი ჩვენებითი ნაცვალსახელებისაკენ მიემართება, მეორე — კუთვნილებითისაკენ.

კერძოდ, როგორც ვნახეთ, მესამე პირის ნაცვალსახელები იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელებია: **ეს**, **ეგ**, **ის** (თავისი ფორმაწარმოებით).

მათი გარჩევა მხოლოდ ფუნქციონალურია. ამ შემთხვევაში საკმაოდ ძნელია გადაჭრით თქმა, რომელს მიენიჭოს დიაქრონიული უპირატესობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სამწევროვან სისტემაში წამყვანია პირთა მიმართება (დეიქტურობა), შესაძლებელია III პირის ნაცვალსახელებში ისტორიული უპირატესობა სწორედ „ჩვენებითობას“ მივანიჭოთ; მაგრამ, მეორე მხრივ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პირებზე მითითების სისტემა მეორეულია და ამ ერთეულებში ამოსავალია „პირი — არაპირის“ ოპოზიცია, ბუნებრივია, მათში უწინარეს ის დავინახოთ, რაც ამ ნაცვალსახელებს პირის კატეგორიასთან აკავშირებს.

ასეთივე საორჭოფო ვითარება არ არის კუთვნილებით ნაცვალსახელთა მიმართების განხილვის დროს პირის ნაცვალსახელებთან. სრულიად ნათელია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი წარმოშობით პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა:

ასეთია I პირის ნაცვალსახელის სუპლეტური ნათესაობითი. როგორც ცნობილია, I პირის უბრუნველი ნაცვალსახელი მხოლოდ ნათესაობითში იცვლის ფუძეს, ანუ მას ნათესაობითი უკეთდება სუპლეტურად: **მე — ჩემ** (ჩემკენ, ჩემ გამო...); აქედან — **ჩემ**-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელსაც დამოუკიდებელი ფუნქცია და პარადიგმა აქვს.

ანალოგიურია, თუმცა არა სუპლეტივიზმის საფუძველზე, II პირის ნაცვალსახელი **შენ**, ასევე უბრუნველი. მისი ნათესაობითის შინაარსი სახელობითი ბრუნვის ფორმით იძლევა მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს — **შენ**-ი.

ზუსტად იგივე სისტემა მოქმედებს I-II პირის ნაცვალსახელთა მრავლობითში — კუთვნილებითი, როგორც დამოუკიდებელი ნაცვალსახელი, აქაც პირის ნაცვალსახელის სახელობითად გაფორმებით რეალიზდება: I პ. მრ. **ჩვენ → ჩვენ**-ი


II პ. მრ. **თქვენ → თქვენ**-ი

რაც შეეხება მესამე პირის, აქ კუთვნილებითი ნაცვალსახელის წარმოშობის საფუძველი ფლექსიურია: პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იქცევა კუთვნილებითის ფუძედ —

მხოლობითში: **ის → მ-ის** (შესახებ) **→ მის**-ი

მრავლობითში: **ისინი → მა-თ** (შესახებ) **→ მათ**-ი

ამგვარად, პირის ნაცვალსახელი, ერთი მხრივ, უკავშირდება ჩვენებით ნაცვალსახელს, ხოლო, მეორე მხრივ, სათავეს უდებს კუთვნილებით ნაცვალსახელთა ჯგუფს. სქემატურად:



II. უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავ**-ი თავისთავად მეორეული წარმომავლობისაა, რამდენადაც ის შესაბამისი არსებითი სახელის განზოგადების შედეგს წარმოადგენს (რაც ერთგვარი სემანტიკური უნივერსალიაა). **თავისთავ**-ი მისი გაორკეცების შედეგია.


თავ-ი, როგორც ნაცვალსახელი, ნათესაობით ბრუნვის ფორმით გვაძლევს კუთვნილებით ნაცვალსახელს **თავის**-ი (შდრ. **თავ-ის** გამოდება — **თავის**-ი საქმე) და, შეკუმშული სახით — **თვის**-ი.

მეორე მხრივ, **თავ**-ი ნაცვალსახელი მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებით ხდება საფუძველი რამდენიმე განსაზღვრებითი ნაცვალსახელის წარმოქმნისა:

მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (შეკუმშვით): **თვით, თვითონ** (← თვით + მან), **თვითეულ**-ი.

ვითარებითი ბრუნვის ფორმით (შეუკუმშავად): **თავად**.

ამგვარად:



III. ნაცვალსახელთა შიდა გენეზისური კავშირების კიდევ ერთ განსაკუთრებულ ბლოკს ქმნის კითხვითი ნაცვალსახელი. „**ვინ**?“ „**რა**?“ კითხვითი ნაცვალსახელები ერთ-ერთი უძველესი ფორმაციის ერთეუ-

ლები ჩანს ქართულში, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ „კითხვითობა“ მათში სულაც შეიძლება არ იყოს პირვანდელი.

ეს ძირითადი კითხვითი ნაცვალსახელები საფუძვლად დაედო ოთხ სხვა დამოუკიდებელ ნაცვალსახელურ ჯგუფს:

ა) ამ ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა დაედო საფუძვლად კ ი თ ხ ვ ი თ - კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ნაცვალსახელებს (არსებითად — კუთვნილებით ნაცვალსახელთა ქვეკლასს):

ვი-ნ — **ვი**-ს(ი) → **ვის**-ი
რა — **რ**-ის → **რის**-ი

ბ) კითხვით ნაცვალსახელზე **-ც(ა)** ნაწილაკის დართვით (შეზრდით) წარმოიქმნა მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ნაცვალსახელები:


ვინ → **ვინც**
რა → **რაც**

გ) კითხვითი ნაცვალსახელი უდევს ასევე საფუძვლად გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ნაცვალსახელთა იმ ნაწილს, რომლებიც **-მე** და **-ღაც(ა)** ნაწილაკების დართვით არის წარმოქმნილი:

ვინ → ვინმე, ვიღაც(ა)
რა → რამე (რაიმე), რაღაც(ა)

დ) უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნაცვალსახელები უარყოფითი ნაწილაკებისა და კითხვითი ნაცვალსახელების შერწყმით არის მიღებული: **არავინ, ვერავინ**...


ამგვარად, კითხვითი ნაცვალსახელის „გენეალოგიური“ სურათი ასეთია:



IV. კიდევ ერთი ნაცვალსახელი, რომელიც ნაცვალსახელთა კლასში მეტყველების ნაწილთა სხვა ჯგუფიდან გადმობარგებულა, არის **ერთ**-ი. ამოსავალში ის, ცხადია, რიცხვითი სახელია. ძველ ქართულში ცნობილია, რომ ის განუსაზღვრელი ნაწევრის როლში გვევლინება (კაცი ერთი). ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის მას უკვე დამკვიდრებული აქვს ნაცვალსახელური შინაარსი (აღნიშნავს იმავეს, რასაც „**ვინმე**“).

ერთ-ი, როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, დაედო საფუძვლად ე. წ. ურთიერთობით ნაცვალსახელებს; სამი მათგანი **ერთ**-ფუძის გაორმაგებით არის წარმოქმნილი (ამ გაორმაგების დროს სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ცვლილებით): **ერთმანეთი** (ერთმან + ერთი), **ერთურთი, ურთიეთრი**. ხოლო **ერთიმეორე** მიღებულია **ერთი** ნაცვალსახელის შერწყმით **მეორე** რიგობით რიცხვით სახელთან (როგორც ჩანს, მასშიც უნდა ვიგულისხმოთ გარკვეული ნაცვალსახელური სემანტიკა).

ამგვარად, **ერთ**-ი, როგორც ნაცვალსახელი, გვაძლევს:




ერთურთი, ერთმანეთი, ერთიმეორე...

რამდენიმე კერძო ნაცვალსახელის წარმომავლობა ასევე საინტერესოა (მაგ.: **კაცი, ზოგი**...). მაგრამ ამჯერად გვაინტერესებს არა ცალკეულ ნაცვალსახელთა ისტორია, არამედ ნაცვალსახელების სემანტიკურ-ფუნქციონალური ჯგუფების გენეზისური ურთიერთმიმართება.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ:

ნაცვალსახელთა ისტორიული განტოტვა-განაწილება ფუნქციონალური ნიშნით კლასიფიცირებულ ჯგუფებად დაკავშირებულია ორ ძირითად ნაცვალსახელურ საწყისთან — პირისა და კითხვით ნაცვალსახელებთან, რაც კარგად ჩანს შემაჯამებელ სქემაზე:



დანარჩენ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, თავად წარმომავლობითი საწყისები არ არის ნაცვალსახელური (**თავ**-ი, **ერთ**-ი, **კაც**-ი).

III. 5.4. ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებანი

ნაცვალსახელის ფორმაწარმოება (როგორც ბრუნება, ისე რიცხვის გამოხატვა) არასერთი თავისებურებით გამოირჩევა. ეს განსაკუთრებით ითქმის ნაცვალსახელთა ბრუნების შესახებ. ბრუნების ის სისტემური სიმწყობრე (ერთტიპურობა), რომელიც დამახასიათებელია არსებითი სახელისათვის და რომელიც თითქმის მთლიანად გადადის ზედსართავსა და რიცხვით სახელებზე, თითქმის მთლიანად კარგავს საანალოგიო („საეტალონო“) ძალას ნაცვალსახელთა ძირითად ჯგუფებში.

ცალკეული ჯგუფის ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურება დაკავშირებული ჩანს, ერთი მხრივ, წარმომავლობით (გენეზისურ) ბუნებაზე, ხოლო მეორე მხრივ — სემანტიკურ-ფუნქციონალურ ფაქტორებზე; კერძოდ, სრულიად აშკარაა, რომ ძირეული ნაცვალსახელების ბრუნების სისტემა მნიშვნელოვანი ანომალიების შემცველია, ხოლო, ამ ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაცვალსახელთა პარადიგმატიკა მეტად არის დამოკიდებული სინტაგმატიკაზე, ვიდრე ეს სემატიკურად დამოუკიდებელი სახელების ფორმაწარმოების დროს შეინიშნება.

ამგვარად, ნაცალსახელთა ფორმაწარმოების შესაძლებლობები სრულიად არაერთგვაროვანია: ერთი მხრივ, გვხვდება ფაქტობრივი უბრუნველობა (მე, შენ, თვით...), მეორე მხრივ — ნაკლული ბრუნება (ვინ, არავინ...), მესამე მხრივ — ფუძის სუპლეტური მონაცვლეობა (მე

— ჩემ, იგი — მა-ნ...), მეოთხე მხრივ — სრული ბრუნება (ჩემი, ყოველი...). პარადიგმატულ თავისებურებათა თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა პირის, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები; სხვაგვარი თავისებურებები იჩენს თავს მეორეული წარმომავლობის ნაცვალსახელებში (მიმართებითი, განუსაზღვრელობითი...).

სრულიად აშკარაა, რომ ნაცვალსახელთა ბრუნების მინიშნებული თავისებურებები უფრო კონკრეტულ წარმოჩენას მოითხოვს.

III. 5.4.1. პირის ნაცვალსახელთა ფორმაწარმოება. I და II პირის ნაცვალსახელები **მე, შენ** (აგრეთვე მათი სუპლეტური „მრავლობითები“ **— ჩვენ, თქვენ**) ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება, ანუ უბრუნველი სიტყვებია. ერთადერთი, რაც ენობრივი გამოყენების დროს **მე** ნაცვალსახელისთვის არის დამახასიათებელი, ეს არის ახალი ფუძის ჩანაცვლება ნათესაობითში: **ჩემ** (პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ამ ფუძეზე თანდებულის დართვით გამოიხატება: **ჩემგან, ჩემ გამო**... უამისოდ ის უკვე კუთვნილებითი ნაცვალსახელია); დანარჩენ ფუძეებს (**შენ, ჩვენ, თქვენ**) ესეც არ ახასიათებს.

ამდენად, ამ ნაცვალსახელთა ამგვარი „პარადიგმის“ წარმოდგენა —

სახ.	**მე**	**შენ**
მოთ.	**მე**	**შენ**
მიც.	**მე**	**შენ**
ნათ.	**ჩემ** (+თანდ.)	**შენ** (+თანდ.)
მოქ.	—	—
ვით.	—	—
წოდ.	—	**შენ** (**შე**)

გაუმართლებელია ფორმალურადაც და მეთოდოლოგიურადაც: ბრუნებისათვის დამახასიათებელი ფორმაცვალება აქ არ არის და ამგვარი სურათის შექმნა მცდარ წარმოდგენას აყალიბებს თითქოსდა პირის ნაცვალსახელთა ბრუნების შესახებ. რაც შეეხება **მე, შენ** ერთეულების ცალკეული ბრუნვებისადმი კუთვნილების ამოცნობის ხერხს სხვა სახელის ჩანაცვლებით (**შენ**, ანუ **ადამიან**-ს გხედავ), ის გამართლებული მეთოდია და, თავისთავად, შესაბამისი ნაცვალსახელის ფორმაუცვლელობას უსვამს ხაზს).

მიღებულია, რომ I-II პირის ნაცვალსახელებს მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების გამოხატვა არ შეუძლიათ; მაგრამ თუ ნათესაობითის სპეციფიკას გავითვალისწინებთ, უეჭველია, რომ მეორეული

ბრუნვის ფორმით შეიძლება ამ (მოქ. და ვით.) ბრუნვათა გაგებაც შეგვხვდეს (შდრ.: „ჩ ე მ ი თ ამაყობენ“, „იგი შ ე ნ ა დ წარმომიდგა“...). მაგალითები:

„აღარ ვარგხარ შენ აწ ჩ ე მ ა დ დასადობლად“ (რუსთაველი). „წამოსრულხარ ჩ ე მ ა დ ძებნად“ (რუსთაველი). „რა მოვაგვარო, რა მიჯობს სალხენად ჩ ე მ ა დ და მისად“ (რუსთაველი). „ტიროდეს გედი შ ე ნ ი თ ვ ე მკვდარი“ (გ. ტაბ.). „გზა ჩ ე მ ი თ ვერ გავიგენი“ (გ. ტაბ.). „მე შ ე ნ ი თ ვქმნიდი განთიადის, ძლევის სიმღერას, შ ე ნ ი თ ვხატავდი ელვარებას უსაზღვრო ცისას“ (გ. ტაბ.). „შეხვედრა ჩუმი მე შ ე ნ ა დ მერგო“ (გ. ტაბ.).

საზოგადოდ, თანდებულიან პირის ნაცვალსახელებს შესაბამისი ბრუნვის ფუნქცია აკისრიათ; როგორც **შენ-გან** არის ნათესაობითი, ასევე **შენ-ზე** — მიცემითი, **შენ-იდან** — მოქმედებითი და **შენ-ამდე** — ვითარებითი; ასევე იქნება სუპლეტურობის შემთხვევაში: როგორც **ჩემ-გან** არის ნათესაობითი, ასევე **ჩემ-ზე** იქნება მიცემითი, **ჩემ-იდან** — მოქმედებითი და **ჩემ-ამდე** — ვითარებითი. ამავე დროს, რაკი **-გან** თანდებული დაერთვის ორ ბრუნვას (რაც ნაცვალსახელებში რელიქტურად არის შემორჩენილი), **ჩემგან** შეიძლება გულისხმობდეს ნათესაობითს (მაგ.: „ჩ ე მ გ ა ნ მაგას ვერ გაიგებ“) და შეიძლება შინაარსით იყოს მოქმედებითი (მაგ.: „იგი ბოლოს ჩ ე მ გ ა ნ წავიდა“; შდრ.: „მივდივარ სამშობლოდან... მშვიდობით, ჩემო... სამშობლოვ! მივდივარ შ ე ნ გ ა ნ არა იმიტომ, რომ არ მიყვარდი...“ — მიტრ. დ. კაჭახიძე).

III პირის ნაცვალსახელს (მის ოთხივე ერთეულს: **იგი, ეს, ეგ, ის**) საკუთარი ფუძის მხოლოდ სახელობითის (ნეიტრალური) ფორმა მოეპოვება; დანარჩენი ბრუნვები დამყარებულია სუპლეტურ ფუძეზე (**მა-**, **იმა-**, **მაგა-**), რომელიც კვეცადია. წოდებითი არ გააჩნია. ასევეა მრავლობითში (იხ.: „ნაცვალსახელთა რიცხვის წარმოების თავისებურებანი“).

პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმა:

სახ.	**იგი**	**ეს**	**ეგ**	**ის**
მოთ.	**მა**-ნ	**ამა**-ნ	**მაგა**-ნ	**იმა**-ნ
მიც.	**მა**-ს	**ამა**-ს	**მაგა**-ს	**იმა**-ს
ნათ.	**მ Ø**-ის	**ამ Ø**-ის	**მაგ Ø**-ის	**იმ**-ის
მოქ.	**მ Ø**-ით	**ამ Ø**-ით	**მაგ Ø**-ით	**იმ Ø**-ით
ვით.	[**მა**-დ]	**ამა**-დ	**მაგა**-დ	**იმა**-დ

III. 5.4.2. ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნება. ჩვენებითი ნაცვალსახელი, როგორც უკვე ვნახეთ, იგივე მესამე პირის ნაცვალსახელია, გამოყენებული ზოგად (მითითებით) მსაზღვრელად. ამიტომაც ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება განიხილება — როგორც მსაზღვრელისა საზღვრულთან ერთად. შესაბამისად, ჩვენებითის დამოუკიდებლად ბრუნება პირის ნაცვალსახელის ბრუნებას გულისხმობს. ჩვენებითი ნაცვალსახელი, როგორც მსაზღვრელი, ჩვეულებისამებრ, პრეპოზიციურია და სუპლეტური ფუძე შესაბამის ბრუნვებში უცვლელია.

ჩვენებით ნაცვალსახელთა (როგორც მსაზღვრელის) ბრუნების პარადიგმა:

ეს	ქალ-ი	**ეგ**	კაც-ი	**ის**	ბავშვ-ი
ამ	ქალ-მა	**მაგ**	კაც-მა	**იმ**	ბავშვ-მა
ამ	ქალ-ს	**მაგ**	კაც-ს	**იმ**	ბავშვ-ს
ამ	ქალ-ის	**მაგ**	კაც-ის	**იმ**	ბავშვ-ის
ამ	ქალ-ით	**მაგ**	კაც-ით	**იმ**	ბავშვ-ით
ამ	ქალ-ად	**მაგ**	კაც-ად	**იმ**	ბავშვ-ად

ჩვენებით ნაცვალსახელთან საზღვრული სახელი, ჩვეულებისამებრ, -ებ-იან მრავლობითში გამოიყენება და მას ნაცვალსახელი მხოლობითის ფორმით შეეწყობა:

სახ.	**ეს**	ქალ-ებ-ი	**ის**	ბავშვ-ებ-ი
მოთ.	**ამ**	ქალ-ებ-მა	**იმ**	ბავშვ-ებ-მა
მიც.	**ამ**	ქალ-ებ-ს	**იმ**	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	**ამ**	ქალ-ებ-ის	**იმ**	ბავშვ-ებ-ის
მოქ.	**ამ**	ქალ-ებ-ით	**იმ**	ბავშვ-ებ-ით
ვით.	**ამ**	ქალ-ებ-ად	**იმ**	ბავშვ-ებ-ად

ჩვენებითი ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში, როგორც წესი, პოსტპოზიციურ მსაზღვრელად არ გვხვდება, ანუ ბუნებრივი არ არის წყობა: ქალი ეს, ბავშვი ის... მაგრამ თუ რაიმე მიზეზის გამო ჩვენებითი ასეთ პოზიციაში აღმოჩნდა, ის სრულად შეთანხმებული მსაზღვრელის როლში მოგვევლინება:

სახ.	ქალ-ი	**ეს**	ბავშვ-ი	**ის**
მოთ.	ქალ-მა	**ამა**-ნ	ბავშვ-მა	**იმა**-ნ
მიც.	ქალ-ს	**ამ**-ს	ბავშვ-ს	**იმა**-ს

ნათ.	ქალ-ის	**ამØ**-ის	ბავშვ-ის	**იმØ**-ის
მოქ.	ქალ-ით	**ამØ**-ით	ბავშვ-ით	**იმØ**-ით
ვით.	ქალ-ად	**ამ**-ად	ბავშვ-ად	**იმა**-დ

დანარჩენი (ატრიბუტული) ჩვენებითი ნაცვალსახელები (ასეთი, ეგეთი, ისეთი; ამნაირი...; ამისთანა...; ამდენი...) ისევე იბრუნება, როგორც შესაბამისი ფუძის ჩვეულებრივი მსაზღვრელი (შესაბამის პოზიციაში):

სახ.	**ასეთ**-ი	ქალ-ი	**ეგეთ**-ი	კაც-ი	**ისეთ**-ი	ბავშვ-ი
მოთ.	**ასეთ**-მა	ქალ-მა	**ეგეთ**-მა	კაც-მა	**ისეთ**-მა	ბავშვ-მა
მიც.	**ასეთ**-	ქალ-ს	**ეგეთ**-	კაც-ს	**ისეთ**-	ბავშვ-ს
ნათ.	**ასეთ**-ი	ქალ-ის	**ეგეთ**-ი	კაც-ის	**ისეთ**-ი	ბავშვ-ის
მოქ.	**ასეთ**-ი	ქალ-ით	**ეგეთ**-ი	კაც-ით	**ისეთ**-ი	ბავშვ-ით
ვით.	**ასეთ**-	ქალ-ად	**ეგეთ**-	კაც-ად	**ისეთ**-	ბავშვ-ად

სახ.	**ამისთანა**	ქალ-ი	**მაგნაირ**-ი	კაც-ი	**ამდენ**-ი	ბავშვ-ი
მოთ.	**ამისთანა**	ქალ-მა	**მაგნაირ**-მა	კაც-მა	**ამდენ**-მა	ბავშვ-მა
მიც.	**ამისთანა**	ქალ-ს	**მაგნაირ**-	კაც-ს	**ამდენ**-	ბავშვ-ს
ნათ.	**ამისთანა**	ქალ-ის	**მაგნაირ**-ი	კაც-ის	**ამდენ**-ი	ბავშვ-ის
მოქ.	**ამისთანა**	ქალ-ით	**მაგნაირ**-ი	კაც-ით	**ამდენ**-ი	ბავშვ-ით
ვით.	**ამისთანა**	ქალ-ად	**მაგნაირ**-	კაც-ად	**ამდენ**-	ბავშვ-ად

III. 5.4.3. კუთვნილებით და კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება. კუთვნილებითი (ასევე — კითხვით-კუთვნილებითი) ნაცვალსახელი, ჩვეულებისამებრ, მსაზღვრელის როლში გვევლინება და მისი ბრუნება განიხილება შესაბამის საზღვრულთან ერთად. ეს ნაცვალსახელები თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელებია და ბრუნებისას, პოზიციისდა შესაბამისად, ძირითადად ექვემდებარებიან ასეთი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების საერთო წესს. განსხვავებას იჩენენ კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ვინაიდან პრეპოზიციის შემთხვევაში ისინი მიცემითსა და ვითარებითშიც გაიჩენენ ბრუნვის ნიშანს (ვითარებითში, ჩვეულებისამებრ, მიცემითისავე -**ს** სუფიქსს). მაგრამ მესამე პირის პირის ნაცვალსახელი ამ ბრუნვებში ფუძის სახით წარმოდგება: **მის**-, **მაგის**- (უთუოდ ორი **ს**-ს დამთხვევის გამო); შდრ.:

სახ.	ჩემ-ი	კალამ-ი	შენ-ი	ნიჭ-ი	მის-ი	შვილ-ი
მოთ.	ჩემ-მა	კალამ-მა	შენ-მა	ნიჭ-მა	მის-მა	შვილ-მა
მიც.	ჩემ-ს	კალამ-ს	შენ-ს	ნიჭ-ს	მის-	შვილ-ს
ნათ.	ჩემ-ი	კალმ-ის	შენ-ი	ნიჭ-ის	მის-ი	შვილ-ის
მოქ.	ჩემ-ი	კალმ-ით	შენ-ი	ნიჭ-ით	მის-ი	შვილ-ით
ვით.	ჩემ-ს	კალმ-ად	შენ-ს	ნიჭ-ად	მის-	შვილ-ად
წოდ.	ჩემ-ო	კალამ-ო	— —	— —	— —	— —

მრავლობითი რიცხვი:

სახ.	ჩვენ-ი	კალამ-ი	თქვენ-ი	ნიჭ-ი	მათ-ი	შვილ-ი
მოთ.	ჩვენ-მა	კალამ-მა	თქვენ-მა	ნიჭ-მა	მათ-მა	შვილ-მა
მიც.	ჩვენ-ს	კალამ-ს	თქვენ-ს	ნიჭ-ს	მათ-ს	შვილ-ს
ნათ.	ჩვენ-ი	კალმ-ის	თქვენ-ი	ნიჭ-ის	მათ-ი	შვილ-ის
მოქ.	ჩვენ-ი	კალმ-ით	თქვენ-ი	ნიჭ-ით	მათ-ი	შვილ-ით
ვით.	ჩვენ-ს	კალმ-ად	თქვენ-ს	ნიჭ-ად	მათ-ს	შვილ-ად
წოდ.	ჩვენ-ო	კალამ-ო	— —	— —	— —	— —

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები, თავიანთი სტრუქტურის გამო, მესამე პირის (მხ. რ.) ნაცვალსახელს ემსგავსება საზღვრულთან შეთანხმების მხრივ:

ვის-ი	კალამ-ი	რის-ი	ნიჭ-ი
ვის-მა	კალამ-მა	რის-მა	ნიჭ-მა
ვის-	კალამ-ს	რის-	ნიჭ-ს
ვის-ი	კალმ-ის	რის-ი	ნიჭ-ის
ვის-ი	კალმ-ით	რის-ი	ნიჭ-ით
ვის-	კალამ-ად	რის-	ნიჭ-ად

მაგრამ მესამე პირის კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ბრუნებისას ორფუძიანობას გამოავლენენ; შეიძლება ითქვას, უპირატესობაც კი ენიჭება მოთხრობითსა და მიცემითში ნანათესაობითარი ფუძის გავრცობილ ფორმას (მისა, ვისა, რისა):

სახ.	მის-ი	ვის-ი	რის-ი
მოთ.	მის-მა ‖ მისა-მ	ვის-მა ‖ ვისა-მ	რის-მა ‖ რისა-მ
მიც.	მის-ს ‖ მისა-ს	ვის-ს ‖ ვისა-ს	რის-ს ‖ რისა-ს

ნათ.	მის-ის(ა)	ვის-ის(ა)	რის-ის(ა)
მოქ.	მის-ის(ა)	ვის-ით(ა)	რის-ით(ა)
ვით.	მის-ად	ვის-ად	რის-ად
წოდ.	მისა-ვ	ვისა-ვ	რისა-ვ

III. 5.4.4. განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ბრუნება. განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ჯგუფში ფორმაცვალების თვალსაზრისით არცთუ ერთგვაროვანი ერთეულები იყრის თავს. კერძოდ:

თვით, **თვითონ**, **თავად** უბრუნველი ნაცვალსახელებია; კონტექსტურად ისინი სახელობითი ან მოთხრობითი ბრუნვის შინაარსს შეიცავენ.

თითოეულ-ი **(თვითეულ**-ი**), ყოველ**-ი**, ყველა, სხვა** დასტურდება როგორც დამოუკიდებლად, ისე მსაზღვრელის როლში, ბრუნების შესაბამისი წესებით. ცხადია, გასათვალისწინებელია, თანხმოვანფუძიანია ნაცვალსახელი თუ ხმოვანფუძიანი. წარმოვადგინოთ ისინი ცალ-ცალკე:

თითოეულ-ი **(თვითეულ**-ი**)** რაიმე თავისებურებას არ წარმოაჩენს. **ყოველ**-ი იმით არის საინტერესო, რომ მას უდასტურდება როგორც უკუმშველი, ისე შეკუმშული (არქაული) ფუძის ალომორფები (ყოველ-ის//ყოვლ-ის). ამან განაპირობა ის, რომ გაჩნდა დამოუკიდებელი ფუძე **ყოვლ**-ი (დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“: „მტერი ყ ო ვ ლ ი ჩალად გიჩანს...“).

სახ.	თითოეულ-ი	ყოველ-ი
მოთ.	თითოეულ-მა	ყოველ-მა
მიც.	თითოეულ-ს	ყოველ-ს
ნათ.	თითოეულ-ის	ყოველ-ის ‖ ყოვØლ-ის
მოქ.	თითოეულ-ით	ყოველ-ით ‖ ყოვØლ-ით
ვით.	თითოეულ-ად	[ყოველ-ად] ‖ ყოვØლ-ად
წოდ.	[თითოეულ-ო]	ყოველ-ო

შდრ. გ. ტაბიძე: „არის მხოლოდ ყ ო ვ ე ლ ი ს მპყრობელი“ — „მწამს ყ ო ვ ლ ი ს შემძლე... ევროპა“. „მე თავს ვიქცევდი წუთით ყ ო ვ ე ლ ი თ“... „ყოველ-ად“ მხოლოდ პოეტურ ფრაზაში დასტურდება: „შესთვალა: შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყ ო ვ ე ლ ა დ“ (რუსთაველი).

მსაზღვრელის როლში:

სახ.	თითოეულ-ი	ყოველ-ი	ბავშვ-ი
მოთ.	თითოეულ-მა	ყოველ-მა	ბავშვ-მა
მიც.	თითოეულ-	ყოველ-	ბავშვ-ს
ნათ.	თითოეულ-ი	ყოველ-ი	ბავშვ-ის
მოქ.	თითოეულ-ი	ყოველ-ი	ბავშვ-ით
ვით.	თითოეულ-	ყოველ-	ბავშვ-ად
წოდ.	[თითოეულ-ო]	ყოველ-ო	ბავშვ-ო

ყველა და **სხვა** ნაცვალსახელებს ერთგვარი დაბოლოება აქვს, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა — **ყველა** უკვეცელია, **სხვა** — კვეცადი. პრეპოზიციური მსაზღვრელის როლში ორივე უცვლელია, მაგრამ პოსტპოზიციურად და დამოუკიდებლად ბრუნებისას აღნიშნული გასათვალისწინებელია:

სახ.	ყველა	სხვა
მოთ.	ყველა-მ	სხვა-მ
მიც.	ყველა-ს	სხვა-ს
ნათ.	ყველა-ს(ი)	სხვØ-ის
მოქ.	ყველა-თი	სხვØ-ით
ვით.	ყველა-დ	სხვა-დ
წოდ.	ყველა-ვ	სხვა-ვ

III. 5.4.5. კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება. ვინ ნაცვალსახელი ბრუნებისას მნიშვნელოვანი თავისებურებით გამოირჩევა, მას მხოლოდ ორი ფორმა აქვს საკუთარი ფუძისა: ვი-ნ და ვი-ს(ა). ეს ნაცვალსახელი სტრუქტურულად წარმოაჩენს იშვიათ -ნ მორფემას მოთხრობითი ბრუნვისათვის (მა-ნ ნაცვალსახელთან ერთად). ივარაუდება, რომ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმები გაქვავებული სახით შემორჩა ზმნიზედებში: ვით და ვიდ[რე]. ამ ბრუნვებში შეიძლება გამოვლინდეს ორმაგი ბრუნვის ფორმები ნანათესაობითარი (კუთვნილებითის) ფუძით: ვის-ით, ვის-ად. პარადიგმა:

სახ.	ვი-ნ
მოთ.	ვი-ნ
მიც.	ვი-ს(ა)
ნათ.	ვი-ს(ა)
მოქ.	[ვის-ით]
ვით.	[ვის-ად]

რა ნაცვალსახელი მისდევს კვეცადი სახელის ბრუნების ტიპს:

სახ.	რა
მოთ.	რა-მ
მიც.	რა-ს(ა)
ნათ.	რØ-ის(ა)
მოქ.	რØ-ით(ა)
ვით.	რა-დ

რა ნაცვალსახელი შესაძლებელია მსაზღვრელის როლს ასრულებდეს და „რომელი“ ან „როგორი“ ნაცვალსახელების მნიშვნელობას გამოხატავდეს (მაგ.: „კომბლე რა კაციაო?“ „რა საკითხი განიხილება?“). ამ შემთხვევაში ის იბრუნება როგორც ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი:

სახ.	რა	საკითხ-ი
მოთ.	რა	საკითხ-მა
მიც.	რა	საკითხ-ს
ნათ.	რა	საკითხ-ის
მოქ.	რა	საკითხ-ით
ვით.	რა	საკითხ-ად

დანარჩენი კითხვითი ნაცვალსახელები (რომელ-ი, როგორ-ი...) გამოიყენება მსაზღვრელ წევრად და იბრუნება საკუთარ საზღვრულთან ერთად ჩვეულებრივი თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის წესით (პრეპოზიციურადაც და პოსტპოზიციურადაც). მაგ.:

სახ.	რომელ-ი	საკითხ-ი
მოთ.	რომელ-მა	საკითხ-მა
მიც.	რომელ-	საკითხ-ს
ნათ.	რომელ-ი	საკითხ-ის
მოქ.	რომელ-ი	საკითხ-ით
ვით.	რომელ-	საკითხ-ად

დამოუკიდებლად ბრუნების შემთხვევაში, ცხადია, ბრუნება სრული იქნება და იმოქმედებს ის მორფონოლოგიური წესიც, რომელიც შესაბამის ფუძეს შეეფერება. მაგ.:

სახ.	რომელ-ი
მოთ.	რომელ-მა
მიც.	რომელ-ს
ნათ.	რომØლ-ის
მოქ.	რომØლ-ით
ვით.	რომØლ-ად

III. 5.4.6. მიმართებით ნაცვალსახელთა ბრუნება. მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც...) ზუსტად მიჰყვება იმავე წესს, რაც დასტურდება კითხვით ნაცვალსახელებში, ანუ შესაბამისი კითხვის ნაცვალსახელის შესაბამის ბრუნვის ფორმას დაერთვის ნაწილაკი -**ც**(**ა**). ამისი მიზეზი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ნაწილაკი ფუძეს არ შეხორცებია და ბრუნვის ფორმამაც ავტონომიურობა შეინარჩუნა. ერთი ნიმუში:

სახ.	რა-ც
მოთ.	რა-მა-ც
მიც.	რა-სა-ც
ნათ.	რØ-ისა-ც
მოქ.	რØ-ითა-ც
ვით.	რა-და-ც

III. 5.4.7. უარყოფით ნაცვალსახელთა ბრუნება. უარყოფითი ნაცვალსახელები (არავინ, ვერავინ... არარა... არაფერი...), რამდენადაც კითხვით ნაცვალსახელებს ემყარება, იმდენადვე მისდევს ამ უკანასკნელთა ფორმაცვალებას. განსხვავება ის არის, რომ არარა, ვერარა... უკვეცელი იქნება შესაბამის ბრუნვებში. ნიმუშები:

სახ.	არავი-ნ	არარა	არაფერ-ი
მოთ.	არავი-ნ	არარა-მ	არაფერ-მა
მიც.	არავი-ს(ა)	არარა-ს(ა)	არაფერ-ს
ნათ.	არავი-ს(ა)	არარა-ს(ი)	არაფØრ-ის
მოქ.	[არავის-ით]	არარა-თი	არაფØრ-ით
ვით.	[არავის-ად]	არარად	[არაფერ-ო]

არაფერ-ი შეიძლება მსაზღვრელი წევრის როლშიც მოგვევლინოს; მაგ.: „ა რ ა ფ ე რ ი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში“ (ვაჟა). ამ შემთხვევაში ის, ცხადია, იბრუნება როგორც მსაზღვრელი.

III. 5.4.8. განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ბრუნება. განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ძირითადი ნაწილი წარმომავლობით მეორეული (ნაწილაკიანი) ფუძის შემცველია (ვიღაც[ა]; ვინმე...); ამიტომაც მათი ფორმაწარმოება ცალკე არის განხილული (იხ. § „ნაწილაკიან სახელთა ბრუნება“).

მეორე ნაწილი ამჯგუფის ნაცვალსახელებისა (**ზოგი, ზოგიერთი, ერთი, კაცი**) თანხმოვანფუძიან სახელებს განეკუთვნება და შესაბამისი წესით იბრუნება დამოუკიდებლად თუ მსაზღვრელის როლში; შდრ.:

სახ.	ზოგიერთ-ი	ზოგ-ი	კაც-ი
მოთ.	ზოგიერთ-მა	ზოგ-მა	კაც-მა
მიც.	ზოგიერთ-ს	ზოგ-	კაც-ს
ნათ.	ზოგიერთ-ის	ზოგ-ი	კაც-ის
მოქ.	ზოგიერთ-ით	ზოგ-ი	კაც-ით
ვით.	ზოგიერთ-ად	ზოგ-	კაც-ად
წოდ.	ზოგიერთ-ო	ზოგ-ო	კაც-ო

III. 5.4.9. ურთიერთობითი ნაცვალსახელის ფორმაცვალება. ურთიერთობითი ნაცვალსახელი თავისებური წარმომავლობისაა (კომპოზიციის პირობად ბრუნვის ფორმებს გულისხმობს), ამიტომაც გარკვეული შეზღუდვები მოჰყვება ფორმაწარმოებაში: შეზღუდულია მოთხრობითი, ფაქტობრივ არა აქვს ვითარებითი, არა აქვს წოდებითი. ნიმუშად:

სახ.	ერთმანეთ-ი	ერთიმეორე
მოთ.	[ერთმანეთ-მა]	[ერთიმეორე-მ]
მიც.	ერთმანეთ-ს	ერთიმეორ-ს
ნათ.	ერთმანეთ-ის	ერთიმეორ-ის
მოქ.	ერთმანეთ-ით	ერთიმეორ-ით
ვით.	[ერთმანეთ-ად]	[ერთიმეორე-დ]

III. 5.5. ნაწილაკიან სახელთა ბრუნება. სახელის ფორმაწარმოებასთან მიმართებით გასათვალისწინებელია ე.წ. შერწყმული ნაწილაკები (-მე, -ვე, -ღა, -ა).

ნაწილაკი შეიძლება ნებისმიერ სახელს დაერთოს. ამ დროს ის, ჩვეულებისამებრ, მზამზარეულ ფლექსიურ ფორმას დაერთვის და არსებითად არ ცვლის იმ ვითარებას, რაც ბრუნვისა თუ რიცხვის ფორმას ჰქონდა (და აქვს) ნაწილაკის გარეშე.

ეს დებულება, პირველ რიგში, კანონიერია არსებითი სახელებისათვის, რომლებშიც ნაწილაკი მხოლოდ და მხოლოდ ბრუნვის (ან რიცხვის) ფორმის მომდევნო პოზიციას იკავებს:

სახ.	სახლ-ი-ც	ბიჭ-ებ-ი-ღა
მოთ.	სახლ-მა-ც	ბიჭ-ებ-მა-ღა
მიც.	სახლ-სა-ც	ბიჭ-ებ-სʳაˀ-ღა
ნათ.	სახლ-ისა-ც	ბიჭ-ებ-ისʳაˀ-ღა
მოქ.	სახლ-ითა-ც	ბიჭ-ებ-ითʳაˀ-ღა
ვით.	სახლ-ადა-ც	ბიჭ-ებ-ად-ღა

ასეთივე სურათი იქნება ზედსართავი და რიცხვითი სახელების ფორმაწარმოების დროს, თუ ამისი საჭიროება შეიქმნა (წითელ-ი-ვე, მეორე-მა-ც და მისთ.). მაგრამ სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს მაშინ, როდესაც რიცხვით სახელს **-ვე** ნაწილაკი დაერთვის:

სახ.	ხუთ-ი-ვე	ხუთ-ი-ვე-ნ-ი
მოთ.	ხუთ-ი-ვე-მ	ხუთ-ი-ვე-თ
მიც.	ხუთ-ი-ვე-ს	„ — “
ნათ.	ხუთ-ი-ვე-ს(ი)	„ — “
მოქ.	ხუთ-ი-ვე-თი	„ — “
ვით.	ხუთ-ი-ვე-დ	„ — “

როგორც ვხედავთ, აქ ორი თავისებურებაა: პირველი ის, რომ ნაწილაკიანი ბრუნების (რიცხვის წარმოების) ფუძედ აღებულია სახელობითი ბრუნვის ფორმა (ხუთ-ი); მეორე ის, რომ ფუძეს ჯერ ნაწილაკი დაერთვის, ხოლო შემდეგ — ბრუნვის ნიშნები, ანუ ნაწილაკმა აქ ერთმანეთისაგან გათიშა ფუძე და ბრუნვის (რიცხვის) ნიშნები. ასეთ ბრუნებას შეხორცებულ ვარიანტს უწოდებენ. იგულისხმება, რომ ნაწილაკი შეუხორცდა ფუძეს, რაკი მან ბრუნვის ნიშნები, ფუძის უშუალო ელემენტები, მთლიანად გამიჯნა ფუძისაგან.

ასეთი შეხორცებული ბრუნება ძალზე დამახასიათებელია და ძირითადია ნაწილაკდართული ნაცვალსახელებისათვის. ამ მეტყველების

ნაწილაკთან (ჩვეულებისამებრ, კითხვით ნაცვალსახელებთან) შეხორცებულად გვევლინება **-მე, -ვე, -ღა, -ღაცა** ნაწილაკები.

ბრუნების ნიმუშები ნაწილაკების მიხედვით:

-მე:

სახ.	ვინმე	რამე (‖რაიმე)	რომელიმე
მოთ.	ვინმე-მ	რამე-მ (‖რაიმე-მ)	რომელიმე-მ
მიც.	ვინმე-ს	რამე-ს (‖რაიმე-ს)	რომელიმე-ს
ნათ.	ვინმე-ს(ი)	რამ-ის (‖რაიმე-ს⌜ი⌝)	რომელიმე-ს(ი)
მოქ.	ვინმე-თი	რამ-ით (‖რაიმე-თი)	რომელიმე-თი
ვით.	ვინმე-დ	რამე-დ (‖რაიმე-დ)	რომელიმე-დ

-ღა:

სახ.	ვიღა	რაღა
მოთ.	ვიღა-მ	რაღა-მ
მიც.	ვიღა-ს	რაღა-ს
ნათ.	ვიღა-ს(ი)	რაღა-ს(ი)
მოქ.	ვიღა-თი	რაღა-თი
ვით.	ვიღა-დ	რაღა-დ

-ღაცა:

სახ.	ვიღაცა	რაღაცა	ვიღაც-ებ-ი	რაღაც-ებ-ი
მოთ.	ვიღაცა-მ	რაღაცა-მ	ვიღაც-ებ-მა	რაღაც-ებ-მა
მიც.	ვიღაცა-ს	რაღაცა-ს	ვიღაც-ებ-ს	რაღაც-ებ-ს
ნათ.	ვიღაც-ის	რაღაც-ის	ვიღაც-ებ-ის	რაღაც-ებ-ის
მოქ.	ვიღაც-ით	რაღაც-ით	ვიღაც-ებ-ით	რაღაც-ებ-ით
ვით.	ვიღაცა-დ	რაღაცა-დ	ვიღაც-ებ-ად	რაღაც-ებ-ად

უკანასკნელი პარადიგმის მსგავსად იბრუნვის **ვიღაც-ვიღაცები, რაღაც-რაღაცები** (და არა — რაღაც-რაღაცეები).

-ვე ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ჩვენებით ნაცვალსახელებს; მათი დამოუკიდებლად ბრუნების დროს შეუხორცებელი ვარიანტია ძირითადი (თუმცა შეხორცების ტენდენცია აქაც იჩენს თავს):

სახ.	ესვე (‖ესევე)	ეგვე (‖ეგევე)	იგივე
მოთ.	ამანვე	მაგანვე	იმანვე (მანვე)
მიც.	ამასვე	მაგასვე	იმასვე (მასვე)

ნათ.	ამისვე	მაგისვე	იმისვე (მისვე)
მოქ.	ამითვე	მაგითვე	იმითვე (მითვე)
ვით.	ამადვე	მაგადვე	იმადვე (მადვე)

მაგრამ მსაზღვრელის სახით მათი ბრუნების დროს ნაწილაკი პირდაპირ ფუძეზე იქნება დართული:

სახ.	იგივე (ეგევე)	საკითხ-ი
მოთ.	იმავე (მაგავე)	საკითხ-მა
მიც.	იმავე (მაგავე)	საკითხ-ს
ნათ.	იმავე (მაგავე)	საკითხ-ის
მოქ.	იმავე (მაგავე)	საკითხ-ით
ვით.	იმავე (მაგავე)	საკითხ-ად

ხოლო **იგივე** ფორმა ნაცვალსახელურ შესიტყვებაში **„ერთი და იგივე“** გამოყენებისას შეხორცებული ბრუნების სახით იქნება წარმოდგენილი:

სახ.	ერთ-ი	და	იგივე
მოთ.	ერთ-მა	და	იმავე-მ
მიც.	ერთ-სა	და	იმავე-ს
ნათ.	ერთ-ისა	და	იმავე-ს(ი)
მოქ.	ერთ-ითა	და	იმავე-თი
ვით.	ერთ-(სა)	და	იმავე-დ

III. 5.6. თავისებურებანი სახელურ ფორმაწარმოებაში. 1. სრულიად აშკარაა, რომ ბრუნებისა და რიცხვის წარმოების თავისებურებათა დიდი წილი ნაცვალსახელზე მოდის. ისინი თვით ნაცვალსახელების ჯგუფობრივ თუ კერძოობითად წარმოდგენილ ფორმაწარმოებაშია განხილული; რადგანაც აქ სისტემა უპირატესად თავისებურებაზეა (ანომალიაზეა) აგებული და არა წესებრივზე, ძირითადი ამ შემთხვევაში თავისებურებათა პარადიგმაა და არა ის, რაც სახელთა საერთო სისტემას ქმნის.

2. არსებითი სახელის ფორმაწარმოება, როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ მწყობრ სისტემას წარმოგვიდგენს, თავისებურებანი აქ ნაკლებად იჩენს თავს; თუმცა რამდენიმე გამონაკლისი აქაც არის აღნიშნული; აღვნუსხოთ ისინი ანბანის მიხედვით:

ამბავი: ამ სახელში კუმშვის პოზიციაში (ნათ., მოქ., ვით. და ებიან მრავლობითში) მთელი მარცვალი იკარგება:

ამბ**ავ**-ი
ამბ□-ის
. . . .
ამბ□-ებ-ი

მიზეზი ამისა ის არის, რომ **ა** ხმოვნის რედუქციის შედეგად ბაგისმიერ თანხმოვანთა კომპლექსი ჩნდება [მბვ], რაც **ვ**-ს დაკარგვას იწვევს.

დრო: სახელი ფუძეუკვეცელია და მოსალოდნელია, რომ ბრუნვის ნიშნის ხმოვანი არ შენარჩუნდეს: ნათ. დრო-ს(ი), მოქ. დრო-თი. მაგრამ ძირითადად გამოიყენება სრული ბრუნვის ნიშნით (არქაული ფორმით): დრო-**ის** (დ რ ო ი ს უქონლობის გამო), დრო-**ით** (ამ დ რ ო ი თ ვისარგებლე). შდრ.: „ფოთლები დ რ ო ს თ ვ ი ს გვიდარებია“ (გ. ტაბ.) — „მაგრამ ეს სხვა დ რ ო ი ს თ ვ ი ს...“ (გ. ტაბ.). „მაგრამ ეს მეფენი დ რ ო თ ი ერთმანეთზედ ძლიერ დაშორებულნი არიან! (ივ. ჯავახ.). — „ამ დ რ ო ი თ ისარგებლა და... ვულკანის მწვერვალზე ავიდა“ (ნ. კურდღ., თარგმ.).

შდრ.: ზმნიზედად **დროით** ფორმით დამკვიდრდა: „დ რ ო ი თ ჯობია მაინც“ (დ. კლდ.).

ლურსმან-ი: სახელი ფუძეკუმშვადია: **ლურსმØნ**-ის. შეიძლება დაიკარგოს ბოლოკიდური **ნ** სონორიც: **ლურსმ**-ის, **ლურსმ**-ით. მიზეზი ამისა კვლავ თანხმოვანთკომპლექსი ჩანს: **რსმ**. მაგ.: „ქაჩაჩში ლ უ რ ს მ ი ს ნატეხი დამრჩა და იგი ამოიღეო!“ (საბა). „ის ფიცარი ერთი დიდი ლ უ რ ს მ ი თ ტოტზე მივაჭედე“ (პ. გუგუშ.).

ქალამან-ი: სახელი ფუძეკუმშვადია: **ქალამØნ**-ის, **ქალამØნ**ებ-ი. მაგრამ გვხვდება აგრეთვე **ქალმ**-ის, **ქალმ**-ებ-ი. ამის მიზეზი ის არის, რომ ფუძიდან წინამავალი **ა** ხმოვანიც იკარგება და კვლავ „დასაძლევი“ თანხმოვანთკომპლექსი იქმნება: **ლმნ**, რაც **ნ**-ს დაკარგვას განაპირობებს. ორი ხმოვნის ერთდროული კუმშვა ფუძეში მოსალოდნელი არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ამოსავალია პერიფერიული **ქალმან-** ფუძე. შდრ.: საბას Cab რედაქციაში **ქალმან**-ი უწერია.

ღვინო: როგორც ითქვა, ერთადერთი კვეცადი **ო** ხმოვანფუძიანი სახელია: **ღვინØ**-ის, **ღვინØ**-ით, მაგრამ — **ღვინო**-ებ-ი. შემთხვევითი არ

არის, რომ ვლინდება უკვეცელი სახითაც: **ღვინო**-ს(ი), **ღვინო**-თი. „ამ ლაბორატორიაში გასინჯული იყო 133 ჭაშნიკი სხვადასხვა ღ ვ ი ნ ო ს ი“ (ილია). „ამივსეთ თასი წითელ ღ ვ ი ნ ო თ ი!“ (ტ. ტაბ.).

ღმერთი: წესისამებრ, კუმშვადი ფუძეა და მას, როგორც კუმშვადს, ორი ფუძე უდასტურდება: არქაული სრული — **ღმრთ** და ახალი — დამატებით ცვლილი ფონეტიკურად: **ღვთ**. ამგვარად, კუმშვის შედეგად: **ღმერთ** → **ღმრთ**, თანმხმოვანთკომპლექსის გამარტივების შედეგად: **ღმრთ** → **ღმთ** → **ღვთ**.

ამავე დროს, არცთუ იშვიათად დასტურდება ეს სიტყვა ფუძეუკუმშველი სახით: **ღმერთ**-ის... ხოლო მრავლობითში (არაორთოდოქსული გაგებით) მხოლოდ უკუმშველია: **ღმერთ**-ებ-ი, **ღმერთ**-ებ-მა...

მაგ.: „დიდის ღ მ ე რ თ ი ს საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში...“ (ილია).

ამგვარად, ამ უმნიშვნელოვანესი სიტყვის თავისებურება სამწევროვანია:

სახ.	ღმერთ-ი	ღმერთ-ი	ღმერთ-ი
მოთ.	ღმერთ-მა	ღმერთ-მა	ღმერთ-მა
მიც.	ღმერთ-ს	ღმერთ-ს	ღმერთ-ს
ნათ.	ღმერთ-ის	ღმრთ-ის	ღვთ-ის
მოქ.	ღმერთ-ით	ღმრთ-ით	ღვთ-ით
ვით.	ღმერთ-ად	ღმრთ-ად	ღვთ-ად
წოდ.	ღმერთ-ო	ღმერთ-ო	ღმერთ-ო

ხუცესი: ეს სიტყვა ორი ფუძით დასტურდება: სრულით (**ხუცეს**-ის...) და ბოლოკვეცილით (**ხუც**-ის, **ხუც**-ებ-ი...). ივარაუდება, რომ ძველად ფუძე იკუმშებოდა და მეორე ფუძე ამის საფუძველზე გაჩნდა (ვ. თოფურია). როგორც ჩანს, ამ სიტყვის „მოკლე“ ვარიანტი (რაც ალბათ ხარისხის წარმოების წესით არის განპირობებული — შდრ. **უდიდესი** და **უდიდე**) ძველ ქართულშივე დასტურდება. აქედანვეა წარმოქმნილი **ხუცება**; სულხან-საბას ლექსიკონში დასტურდება ნაწარმოები ფუძე **ნახუცარ**-ი (ნა-**ხუც**-არ) „ხუცესყოფილი“.

ხბო: ამ სახელის ალტერნატიული ფუძე **ხბორ-** ებ-იან მრავლობითში უდასტურდება: ამდენად, თანაარსებობს მრავლობითის ორი კანონიერი ფორმა: **ხბო**-ებ-ი, **ხბო**-ებ-მა... და **ხბორ**-ებ-ი, **ხბორ**-ებ-მა...

3. ცალკე თავისებურებად იქნა წარმოჩენილი ნაწილაკიან სახელთა ბრუნება. ოღონდაც აქ მხოლოდ ფუძესთან ნაწილაკთა „შეხორცების“ შემთხვევები იგულისხმება, რამდენადაც, საზოგადოდ, ნაწილაკი არავითარ გავლენას არ ახდენს ფლექსიურ ფორმაზე, ის მხოლოდ მზა ფორმას დაერთვის:

კაც-ი-ც	კაც-ებ-ი-ც	კაც-ნ-ი-ც
კაც-მა-ც	კაც-ებ-მა-ც	კაც-თა-ც
. . . . .	. . . . .	. .. . .

მაგრამ ნაწილაკის შეხორცების შემთხვევაში ეს სურათი სრულიად იცვლება და ასეთ მცირერიცხოვან სახელთა (რიცხვითთა და ნაცვალსახელთა) ჯგუფი ცალკე მოითხოვს დახასიათებას (იხ. პარაგრაფი „ნაწილაკიან სახელთა ბრუნება“).

4. ტრადიციულად ზმნიზედა ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილთა ქვეკლასს არის მიკუთვნებული. ამას განაპირობებს ის, რომ ზმნიზედა, როგორც ზმნის შინაარსთან დაკავშირებული საგარემოებო სიტყვა, ფუნქციონირებს როგორც უცვლელი ოდენობა (ზმნური ფლექსია მის ფორმაზე ვერ ზემოქმედებს).

მაგრამ ზმნიზედას თავისებური, შეზღუდული ფორმაცვალება მაინც ახასიათებს; ამ მხრივ ის სახელებს ეკედლება. კერძოდ, რადგანაც ზმნიზედების უმეტესობა სივრცულ და დროულ ლოკალიზაციასთან არის დაკავშირებული, სწორედ ლოკალური ბრუნვები და თანდებულები უკეთდება (ზმნიზედების ნაწილიც წარმომავლობით გაქვავებული ფორმაა რომელიმე ბრუნვისა: მიცემითისა, ნათესაობითისა, მოქმედებითისა ან ვითარებითისა).

მაგალითად, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებს (თანდებულით ან უთანდებულოდ) რეგულარულად იწარმოებენ ადგილისა და დროის ზმნიზედები:

აქ — აქ-**ით** — აქ-**ა-მდე**

მანდ — მანდ-**იდ-ან** (მანდ-**ით**-გან) — მანდ-**ა-მდე**

ხვალ — ხვალ-**იდან** — ხვალ-**ა-მდე** და მისთ.

საგულისხმოა შემდეგი: იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნიზედა ფორმობრივ (ფუძით) ემთხვევა არსებით სახელ, თავს იჩენს პარადიგმატული განსხვავება, რაც პირდაპირი დასტურია აღნიშნულისა. შდრ.:

	სახელი	ზმნიზედა
სახ.	დღე	დღე
მოთ.	დღე-მ	—
მიც.	დღე-ს	—
ნათ.	დღ -ის	დღე-ის
მოქ.	დღ -ით	დღე-იდან
ვით.	დღე-დ	დღე-მდე

შენიშვნა: მიცემითი ბრუნვის ფორმა ამ პარადიგმაში ვერ ჩაჯდება, რადგანაც ის დამოუკიდებელი ზმნიზედაა: **დღეს**. ასევე დამოუკიდებელია ძვ. **დღის[ი]**, ახ. **დღით** და ორმაგი სუფიქსაციით — **დღისით**.

შეადარეთ ასევე სახელური და ზმნიზედური ფორმები:

„ღამე დ ღ ე ს უთენებია“ — „დ ღ ე ს კარგი ამინდია“;

„ამ დ ღ ი ს ბოლოს“ — „დ ღ ე ი ს ამას იქით“;

„ღამე დ ღ ი თ შეიცვალა“ — „დ ღ ე ი დ ა ნ დათბება“.

ზმნიზედის აღნიშნულ ბრუნვაცვალებას მასთან მდგომი მსაზღვრელიც წარმოაჩენს:

ახლანდელ დღეს
ახლანდელი დღიდან
ახლანდელ დღემდე

III. 5.7. ნაცვალსახელთა რიცხვის წარმოების თავისებურებანი. ნაცვალსახელების ფორმაწარმოებითი თავისებურება და არაერთგვაროვნება რიცხვის წარმოებასაც შეეხება. სრულიად აშკარაა, რომ ნაცვალსახელთა კლასში გრამატიკული (მორფოლოგიური) სირთულეები რიცხვის გამოხატვაშიც იჩენს თავს. კერძოდ:

ა) ნაცვალსახელთა ნაწილი საერთოდ ვერ იწარმოებს მრავლობით რიცხვს (მაგ.: ვინ, თვით, თვითონ, თავად, ერთმანეთი, ერთიმეორე...).

ბ) ზოგი ნაცვალსახელი მხოლოდ სუპლეტურ ფუძემონაცვლეობას გვიჩვენებს სიმრავლის გამოსახატავად, ანუ გრამატიკული მრავლობითის წარმოების უნარს ესეც მოკლებულია (ჩვენ, თქვენ, ჩვენი...).

გ) ზოგი ფუძე ერთდროულად ავლენს მრავლობითის როგორც სუპლეტური, ისე მორფოლოგიური გამოხატვის უნარს (მა-თ, მაგა-თ...).

დ) ზოგ ნაცვალსახელს მხოლოდ ნართანიანი მრავლობითი მოეპოვება (ისი-ნ-ი, ყველა-ნ-ი, ყოველ-თ⌜ა⌝...).

ე) ზოგს — -ებ-იანი (ვიღაც-ებ-ი, რაღაც-ებ-ი...).

ვ) ხოლო ზოგსაც ორივენაირი მრავლობითის წარმოება შეუძლია (სხვ-ებ-ი, სხვა-ნ-ი, სხვა-თა...).

შევჩერდეთ ზოგიერთ თავისებურებაზე:

1. **სიმრავლის სუპლეტური გამოხატვა.** როგორც ცნობილია, ფუძეთა სუპლეტივიზმის მოთხოვნა რაიმე კატეგორიის გამოხატვის დროს ფორმაწარმოების შეზღუდულობის (არარსებობის) ნიშანია და ამგვარი შემთხვევა ლექსიკური ოპოზიციისა და „მრავლობითის“ გამოსახატავად უძველეს მოვლენას წარმოადგენს.

პირის ნაცვალსახელთა ფორმაწარმოებითი შეზღუდულობა არა მხოლოდ ბრუნებაში იჩენს თავს, არამედ — რიცხვის წარმოებაშიც. ასეთია „ერთის“ და „მრავლის“ ოპოზიცია I და II პირის ნაცვალსახელებში: მე — **ჩვენ**

შენ — **თქვენ**

ამავე დროს, ისიც უკვე აღინიშნა, რომ **ჩვენ, თქვენ** ფუძეებს ჩვეულებრივი მრავლობითის გაგება შინაარსობრივად არა აქვს: **ჩვენ** არ არის „მრავალი **მე**“ და **თქვენ** — „მრავალი **შენ**“ (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

I-II პირის ნაცვალსახელთა სუპლეტივიზმი თავისებურად გადადის კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც, კერძოდ, აქ შინაგანი „მრავლობითი“ (მკუთვნელის „მრავლობითი“) სუპლეტურია (შდრ. **ჩემ**-ი — **ჩვენ**-ი, **შენ**-ი — **თქვენ**-ი), ხოლო გარეგანი, შეთანხმებული მრავლობითი — მორფოლოგიური (შდრ.: ჩვენ-ი — ჩვენ-**ნ**-ი, თქვენ-ი — თქვენ-**თა**).

რაც შეეხება III პირის ნაცვალსახელს, აქ სუპლეტურობა, გამოვლენილი ბრუნების პარადიგმაში (**ეს** — **ამა**-ს, **ეგ** — **მაგა**-ს, **იგი** — **მა**-ს...), მრავლობითშიც გადაჰყვება, ოღონდ თვით სიმრავლე ნართანიანი მრავლობითით გამოიხატება:

ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	ისი-ნი	[იგი-ნ-ი]
ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ	მა-თ

შენიშვნა: იგინი ფაქტობრივ აღარ გამოიყენება, ხოლო **მათ** ჩვეულებრივია.

2. ნაცვალსახელთა ფორმაწარმოებითი არქაულობა ვლინდება ნართანიანი მრავლობითის დომინანტობაში (ფაქტობრივ — ერთადერთობაში) ძირითად ჯგუფებში:

ა) ასეთია პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები:

ესე-**ნ**-ი ეგე-**ნ**-ი
ამა-**თ** მაგა-**თ**

როგორც ცნობილია, **-თ(ა)** სუფიქსიანი ფორმა ამ შემთხვევაში ასრულებს მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების როლს, ხოლო წოდებითი ამ ნაცვალსახელებს არ მოეპოვება.

ბ) კითხვით ნაცვალსახელთაგან **ვინ** ნაცვალსახელს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მრავლობითი არ ეწარმოება (ვინ-ებ-ი დიალექტურია), ხოლო **რა** ნართანიან მრავლობითს იკეთებს (რა-ებ-ი დიალექტურია):

რა-**ნ**-ი
რა-**თ(ა)**

გ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელები **ყველა** და **ყოველი** ასევე ნართანიანი იქნება:

ყველა-**ნ**-ი ყოველ-**ნ**-ი
ყველა-**თ(ა)** ყოველ-**თ(ა)**
ყველა-**ნ**-ო ყოველ-**ნ**-ო

მაგ.: „ძველო ღმერთებო! და თქვენ ყ ვ ე ლ ა ნ ო — შეუპოვარნო ძენო ღმერთების!“ (ნ. მგელ. თარგმ.); „აი, ისეთი, ანდალუზელნო და საერთოდაც ყ ვ ე ლ ა ნ ო, ძმებო, ცუდს და მიშვებულს რომ ეძახიან!“ (გ. დოჩ.).

დ) **მავან**-ი, ასევე, მხოლოდ ნართანიან მრავლობითს იგუებს:

მავან-**ნ**-ი
მავან-**თ(ა)**

მაგ.: „იგი იყო ის, ვისაც მ ა ვ ა ნ ნ ი შეუდგნენ“ („არილი“);

„ჯერ კიდევ ვაპირებ „ახლების“ წერას... მიუხედავად მ ა ვ ა ნ თ ა ქირქილისა“ (გ. ალხაზ.).

3. -ებ-იანი მრავლობითი, რომელიც თანამედროვე ქართულში, საზოგადოდ, გაბატონებულია, ნაცვალსახელებში აშკარად მოკრძალებულ პოზიციებს იკავებს; მას უპირატესად ნართანიანის თანაბრად (ან — პერიფერიულ მონაცვლედ) გამოიყენებენ. მაგალითად:

ა) **სხვა** ნაცვალსახელთან ეს ორი მრავლობითი თითქმის თანაბრად მონაცვლეობს:

სხვან-ი	სხვ-ებ-ი
სხვა-თ(ა)	სხვ-ებ-მა
— — —	— — —
სხვა-ნ-ო	სხვ-ებ-ო

ბ) **ზოგ**-ი ნაცვალსახელთან სალიტერატურო უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ნართანიან წარმოებას:

ზოგ-ნ-ი	ზოგ-ებ-ი
ზოგ-თ(ა)	ზოგ-ებ-მა
— — —	— — —
ზოგ-ნ-ო	ზოგ-ებ-ო

შენიშვნა: ამ ნაცვალსახელის წოდებითი იშვიათია, თუმცა ამის გამო ვერ გამოვრიცხავთ; მაგ.:
„ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზ ო გ ნ ო ზრდილნო“ (რუსთაველი).

გ) კუთვნილებით ნაცვალსახელებთან -ებიან მრავლობითს უფრო დიალექტური ელფერი აქვს; შდრ.:

ჩემ-ნ-ი	ჩემ-ებ-ი	ჩვენ-ნ-ი	ჩვენ-ებ-ი	შენ-ნ-ი	შენ-ებ-ი
ჩემ-თ(ა)	ჩემ-ებ-მა	ჩვენ-თ(ა)	ჩვენ-ებ-მა	შენ-თ(ა)	შენ-ებ-მა
— —	— —	— —	— —	— —	— —
ჩემ-ნ-ო	ჩემ-ებ-ო	ჩვენ-ნ-ო	ჩვენ-ებ-ო	— —	და სხვ.

შდრ.: „მშვიდობით, ჩ ე მ ნ ო, თვალში ცრემლით გარიდებით თვალსა“ (ილია). „ჩ ე მ ე ბ ი არიან ლევიანები, რადგან ჩემია ყველა პირმშო“ (რიცხვ. 2,13).

დ) **-ებ**-იანი მრავლობითი გაბატონებულია ან ერთადერთია ზოგიერთ ნაცვალსახელთან. მაგ.:

ვიღაც-ებ-ი	რამე-ებ-ი	რომლ-ებ-ი-ც
ვიღაც-ებ-მა	რამე-ებ-მა	რომლ-ებ-მა-ც
ვიღაც-ებ-ს	რამე-ებ-ს	რომლ-ებ-სა-ც
ვიღაც-ებ-ის	რამე-ებ-ის	რომლ-ებ-ისა-ც
ვიღაც-ებ-ით	რამე-ებ-ით	რომლ-ებ-ითა-ც
ვიღაც-ებ-ად	რამე-ებ-ად	რომლ-ებ-ადა-ც
— — —	— — —	— — —

შდრ.: „ბოლნისიდან რ ა მ ე ე ბ ი უნდა ჩამოვუტანოვო“ (გ. ტაბ.). — „არის უბადლოთა რ ა მ ე თ სულ უბრალოდ ათვისება (გ. ტაბ.). „ეს ფერები, რ ო მ ლ ე ბ ი ც ენთებიან და იღვრებიან“ (გ. ტაბ.). — „გამოჰყავთ ტყვეები, რ ო მ ე ლ თ ა ც არავინ გამოისყიდის“ (გ. ტაბ.).

III. 5.8. ნაცვალსახელთა სინტაგმატიკა. ნაცვალსახელთა სინტაგმატიკას განაპირობებს ის ძირითადი ფუნქციონალური დატვირთვა, რაც მათ, როგორც ნაცვალსახელებს, ენობრივი გამოყენებისას ეკისრება. ნაცვალსახელი კი, საზოგადოდ, რომელიმე სხვა სახელის მონაცვლედ გამოდის შესიტყვებაში (წინადადებაში). შესაბამისად, თუ ნაცვალსახელი არსებით სახელს ენაცვლება, მას სუბსტანტიური დატვირთვა აქვს, ხოლო თუ ზედსართავსა და რიცხვით სახელებს ენაცვლება, ფუნქცია ატრიბუტული იქნება.

სწორედ ეს განსხვავება განსაზღვრავს ნაცვალსახელების ადგილს შესიტყვებაში. სუბსტანტიური ფუნქციით აღჭურვილი ნაცვალსახელი ზმნასთან უშუალოდ ქმნის სინტაგმის (**მე** ვთამაშობ, **ვინ** უკრავს? **თვითონ** აირჩიე!..), ხოლო ატრიბუტული შინაარსის ნაცვალსახელთა სინტაგმატური ურთიერთობა მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართებებში თავსდება (ერთი კაცი, **ჩემი** სახლი, **ყოველი** ქართველი...).

აქედან გამომდინარე, სინტაგმატური პოტენციის თვალსაზრისით შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ: (1) უშუალოდ ზმნასთან შესიტყვების უნარის მქონე და (2) ატრიბუტული დანიშნულების მატარებელი. ამავე დროს, ამ გაყოფას ნაცვალსახელთა ჯგუფების მიხედვით ვერ მოვახდენთ, რამდენადაც შეიძლება ერთი და იმავე ჯგუფის ნაცვალსახელები სულ სხვადასხვა სინტაგმატური უნარის აღმოჩნდეს (მაგ. შდრ.: **რა?** და **რომელი? თვითონ** და **თითოეული**...); ზოგი ნაცვალსახელი კი შეიძლება ორივე ფუნქციით მოგვევლინოს (შდრ.: „ყ ვ ე ლ ა ღმერთს ეხვეწებოდა, წალდი — კიკოსაო“ — „ყ ვ ე ლ ა მელას თავისი კუდი მოსწონსო“).

ამგვარად, ზმნასთან შესიტყვებაში შემავალი, აქტანტური სინტაგმატიკის ნაცვალსახელებია: მე, შენ, იგი, თავი, ვინ, რა*, ვინმე, რამე, თვით, თვითონ, თავად, არავინ, არარა, არაფერი, ერთმანეთი, ერთიმეორე...

* **რა** ნაცვალსახელი შეიძლება „რომელი, როგორი“ ნაცვალსახელების ფუნქციითაც მოგვევლინოს: „კომბლე რ ა კაციაო?“ (ხალხ.).

ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ნაცვალსახელი შეიძლება მოგვევლინოს ზმნის სუბიექტად ან ობიექტად.

ატრიბუტული სინტაგმატიკის ნაცვალსახელებია: ეს, ეგ, ის, ჩემი, შენი, მისი, ვისი, რისი, თავისი, თავიანთი, ყველა, ყოველი, თითოეული, რომელი, ვიღაც, რაღაც...

ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ნაცვალსახელი რომელიმე სხვა სახელის მსაზღვრელად გამოდის (**ეს** საქმე, **ჩემი** წიგნი, **ვისი** ბრძანება? **ყოველი** კაცი და სხვ.).

როგორც ითქვა, ზოგიერთი ნაცვალსახელი ორმაგ სინტაგმატურ უნარს ავლენს. ასეთია, მაგალითად, **ეს, ეგ, ის** ნაცვალსახელები, რომლებიც შესაბამის ჯგუფს სწორედ ამ უნარის მიხედვით მიეკუთვნება: სუბსტანტიური დატვირთვის — პირის ნაცვალსახელებს, ატრიბუტულისა — ჩვენებითს (შდრ.: „ეჰ, არ მჯერა მე ე გ რაღაც!“ — გ. ტაბ. — „მაშ, გარეკე ე გ ცხენები!“ — გ. ტაბ.). ასეთივე ორმაგი ფუნქციისა: **ყველა, ვიღაცა, რაღაცა** (შდრ.: „ვ ი ღ ა ც მღერის მთაში“... — გ. ტაბ. — „აქ განისვენებს ვ ი ღ ა ც მდიდარი“ — გ. ტაბ.) და სხვ.

თავი VI. სიტყვაწარმოება

III. 6. სიტყვის ცვლილება ორგვარია: ცვლილება, რომელსაც შედეგად მოჰყვება გრამატიკული მნიშვნელობის ცვლა (ფლექსია) და ცვლილება, რომლის შედეგია ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა (დერივაცია). სიტყვაწარმოება მეორე სახის ცვლილებას გულისხმობს. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის გამო სახელთა წარმოება ლექსიკოლოგიის შესწავლის სფეროა, მაწარმოებელი აფიქსების რაობისა და მათი გამოყენების თვალსაზრისით კი — მორფოლოგიისა.

სახელი, რომლის ფუძისგანაც სხვა საგნობრივი მიმართების სახელი იწარმოება, არის ძირეული. მის ფუძეზე მნიშვნელობის მცვლელი აფიქსების (დერივაციული აფიქსების) დართვით მიიღება ახალი ფუძე, რომელიც პირველად (ძირეულ) ფუძეზე მეტია.

ფუძეზე დართვის ადგილის მიხედვით მაწარმოებელი აფიქსები სამი სახისაა: პრეფიქსები, სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები ანუ ცირკუმფიქსები (ინფიქსური წარმოება ქართულისათვის დამახასიათებელი არ არის). ამის შესაბამისად ნაწარმოები სახელებიც სამი სახისაა: პრეფიქსული (რომელიც ძალზე იშვიათია: უ-სრულ-ი, უ-რიცხვ-ი, არა-ერთი...), სუფიქსური (კაც-ობა, სახელ-ოვან-ი, იმერ-ულ-ი...), პრეფიქსულ-სუფიქსური (მე-ორ-ე, სი-კეთ-ე, უ-თავ-ო...).

დერივაციული აფიქსებიდან ზოგი მხოლოდ ერთი ფუნქციით გვხვდება (მაგ., კნინობითობის მაწარმოებელი -იკ), უმეტესობა კი — სხვადასხვა ფუნქციით. სიტყვაწარმოებითი მოდელები ენაში პროდუქტიულია ან არაპროდუქტიული. პროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მოდელის მაგალითია უ — ო კონფიქსიანი უქონლობის სახელები (უ-კაც-ო, უ-ლამაზ-ო, უ-ჩემ-ო), არაპროდუქტიულისა კი — -ედ-სუფიქსიანი მქონებლობის სახელები (კარ-ედ-ი, შტო-ედ-ი).

ენის განვითარების მანძილზე სიტყვაწარმოებითი მოდელები იცვლება. ზოგი მაწარმოებელი მეტად აქტიური ხდება, ზოგი, პირიქით, ნაკლებად გამოიყენება. ზოგი მაწარმოებელი მხოლოდ არქაულ ფორმებში შემოგვრჩა და ახალ ფუძეებს ვეღარ აწარმოებს, ზოგმა შეიცვალა მნიშვნელობა.

სახელთა წარმოება ძირითადად გულისხმობს სუბსტანტივისა და ატრიბუტივის წარმოებას. უფრო ხშირად სუბსტანტივიდან ატრიბუტივია მიღებული (კაცი — კაც-ურ-ი, წვერ-ი — წვერ-იან-ი) და ატრიბუტივიდან — სუბსტანტივი (ლამაზ-ი — სი-ლამაზ-ე, ახალგაზრდა — ახალგაზრდ-ობა); უფრო იშვიათად სუბსტანტივიდან სუბსტანტივი მიიღება (მხეცი — სა-მხეც-ე, გორა — გორ-აკ-ი), ან ატრიბუტივიდან — ატრიბუტივი (წითელ-ი — მო-წითალ-ო, ლამაზ-ი — უ-ლამაზ-ეს-ი). ზოგჯერ სუბსტანტივიდან მიღებული ატრიბუტივის ფუძე ახალი სუბსტანტივის საწარმოებელ ფუძედ არის გამოყენებული (ქალ-ი — ქალ-ურ-ი — ქალ-ურ-ობა).

მასუბსტანტივებელი და მაატრიბუტივებელი ფორმანტების განაწილება მკაცრად დაცული არ არის. ერთი და იგივე ფორმანტი ერთ შემთხვევაში შეიძლება მასუბსტანტივებელი იყოს, მეორე შემთხვევაში — მაატრიბუტივებელი (მაგ. -ეულ კრებითობას გამოხატავს და მასუბსტანტივებელია ასეთ შემთხვევაში: ბეწვ-ეულ-ი, ხოლო მაატრიბუტივებელი ფუნქცია აქვს და მქონებლობას გამოხატავს შემდეგ მაგალითში: ფას-ეულ-ი).

შინაარსობრივი, სემანტიკური თვალსაზრისით გამოიყოფა ნაწარმოები სახელების შემდეგი ჯგუფები: ქონების, უქონლობის, დანიშნულების, ხარისხის, წარმომავლობის, აბსტრაქტული, ხელობის, რიგობითი, წილობითი, ადგილის, გეოგრაფიული, წინა ვითარების, კნინობით-საალერსო და სხვ.

განვიხილავთ ნაწარმოებ სახელებს ამ ჯგუფების მიხედვით.

III. 6.1. ქონების სახელები. წარმოქმნილი სახელების ერთი ჯგუფი გამოხატავს ვინმეს ან რაიმეს ყოლა-ქონებას. ამ შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება სუფიქსები: **-იან, -ოსან, -ოვან, -იერ, -ედ, -ა.**

-იან სუფიქსი მქონებლობის მაწარმოებელთაგან ყველაზე გავრცელებულია. იგი დაერთვის ერთ-, ორ- და მრავალმარცვლიან ფუძეებს, როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ სახელებს: არსებითებს (ქუდ-იან-ი, შვილ-იან-ი, სადარბაზო-იან-ი...), ზედსართავებს (მწვან-იან-ი, წითლ-იან-ი...), ნაცვალსახელებს (ჩემ-იან-ი, თქვენ-იან-ი...), რიცხვით სახელებს (ორ-იან-ი, ათას-იან-ი, ათასხუთას-იან-ი...). -იან დაერთვის როგორც ქართული წარმოშობის სახელებს, ისე უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვებს: პარიკ-იან-ი, სვასტიკ-იან-ი, ტუბერკულოზ-იან-ი...

-იან მაწარმოებელი გვხვდება გვარის დაბოლოებად დასავლეთ საქართველოში: ყიფ-იან-ი, რატ-იან-ი, ლიპარტელ-იან-ი. -იან სუფიქსის ფუნქცია, როგორც ჩანს, ძველად იყო ვინმესგან წარმომავლობის აღნიშვნა, რასაც უკავშირდება გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა.

ძველ ქართულში **-იან** სუფიქსი ვისიმე მიმდევრობასაც გამოხატავდა: ქრისტ-იან-ი, მაჰმად-იან-ი.... თანამედროვე ქართულში **-იან** სა-განობრივი ყოლა-ქონების გადააზრიანების ნიადაგზე გამოხატავს თვისე-ბის მქონებლობასაც: ჭკვ-იან-ი, მადლ-იან-ი, სევდ-იან-ი...; აგრეთვე ვინმესადმი მიკუთვნებას: ჩვენ-იან-ი, თავის-იან-ი...; შემცველობას: შვიდ-იან-ი, ლიტრ-იან-ი, კილო-იან-ი... კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება **-იან** სუფიქსი დიალექტებში. ამ მაწარმოებლის გააქტიურებამ სხვა სუ-ფიქსთა გამოყენება შეზღუდა. **-ოსან, -ოვან, -იერ** სუფიქსები მქონე-ბლობას უფრო ხშირად გარკვეული სემანტიკური გადახრით გამოხატა-ვენ.

-იან წარმოშობით რთული სუფიქსია, რომელიც მიღებული უნდა იყოს -**ივ-ან**-ისაგან: **-ივ-ან** > **-ი-ან**. შესაძლოა **იან**-ის მიღების მეორე გზაც: **-ევ-ან** > **-ეან** > **-იან**. **-ივ** ფორმანტი მოქმედებითი ბრუნვის უძვე-ლეს ნიშნად ივარაუდება. იგი ნაშთის სახით შემოგვრჩა ზოგ ფორმაში: მარჯვნ-ივ, მარცხნ-ივ, თვალნათლ-ივ, უკლებლ-ივ. -**ივ** მაწარმოებლის ვარიანტები უნდა იყოს -**ევ**, -**ოვ**, რომლებიც -**ევან**, -**ოვან** სუფიქსებშია წარმოდგენილი. -**ევ**, -**ავ** გაქვავებული სახით დაცულია კიდ-ევ, კულ-ავ, ფიცხლ-ავ ფორმებში (ნ. მარი). -**ივ**, -**ევ**, -**ოვ** სუფიქსებს შემდგომში დაერთო -**ან** და -**ერ** სუფიქსები, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობ-დნენ ენაში და მივიღეთ -**იან**, -**ოვან**, -**იერ** მაწარმოებლები.

-ოსან სუფიქსი აღნიშნავს რაიმეს მქონეს ან მატარებელს: ცხენ-ოსან-ი, მანდილ-ოსან-ი, წვერ-ოსან-ი, შავ-ოსან-ი, გვირგვინ-ოსან-ი...

ძველად -**ოსან**-ს უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა. იგი აღნიშ-ნავდა ძირითადად სულიერს, რომელსაც ჰყავს ან აქვს ესა თუ ის სა-განი: კაპარჭ-ოსან-ი, ლახვრ-ოსან-ი, ტვირთ-ოსან-ი, რქ-ოსან-ი, მანდილ-ოსან-ი... ამ სახელთა ნაწილი შემორჩენილია თანამედროვე სალიტერა-ტურო ენაში, ნაწილი კი -**იან** სუფიქსიანმა წარმოებამ შეცვალა: ძვ. ქართ.: ცულ-ოსან-ი, ხრმლ-ოსან-ი, შურდულ-ოსან-ი, ბორკილ-ოსან-ი... — ახ. ქართ.: ცულ-იან-ი, ხმლ-იან-ი, შურდულ-იან-ი, ბორკილ-იან-ი...

თანამედროვე მწიგნობრულ მეტყველებაში -**ოსან** სუფიქსი ახალი ტერმინების შესაქმნელად გამოიყენება და რომელიმე საგნის არსებითი

თვისების მაჩვენებელია: ფრიად-ოსან-ი, ჩლიქ-ოსან-ი, პარკ-ოსან-ი, ფრთ-ოსან-ი...; -**ოსან** აწარმოებს პროფესიის, ხელობის, რაიმე მიმართულების მიმდევრობის აღმნიშვნელ სახელებს: ზღვა-ოსან-ი, კალმ-ოსან-ი, ნიჩბ-ოსან-ი, ძალ-ოსან-ი, ჯვარ-ოსან-ი, ხალხ-ოსან-ი...; -ოსან ი'შ-ვიათად გვხვდება ზედსართავ სახელებთან: ჩქარ-ოსან-ი, მძლე-ოსან-ი... -**ოსან** გამოიყენება, როცა ზედსართავი ან რიცხვითი სახელი გაარსებითებულია: შავ-ოსან-ი, ორ-ოსან-ი... უცხო წარმომავლობის ფუძეებთან ეს სუფიქსი ძალზე ი'შვიათად გვხვდება: ტორპედ-ოსან-ი, კულტურ-ოსან-ი. -**ოსან** მაწარმოებელი ნაკლებად გვხვდება დიალექტებში და რაიმე სპეციფიკური თავისებურება მისი გამოყენების მხრივ არ შეინიშნება.

-ოსან სუფიქსი მქონებლობას ძირითადად გარკვეული სემანტიკური გადახრით გამოხატავს. ეს კარგად ჩანს -**ოსან** და -**იან** სუფიქსიანი ფორმების შედარებისას. ამ მაწარმოებელთა გამოყენება ერთსა და იმავე ძირთან თვალსაჩინოს ხდის მათ შორის სხვაობას. შდრ.: ფრთიანი და ფრთოსანი, სხივიანი და სხივოსანი, კალმიანი და კალმოსანი და ა.შ. -**ოსან** სუფიქსიანი ფორმები ვინმეს ან რაიმეს ძირითადი თვისების მქონებლობას გამოხატავს და მწიგნობრული მეტყველების კუთვნილებაა, -**იან** მაწარმოებლიანი სახელები კი ვინმეს, რაიმეს ქონა-ყოლის გამომხატველია და გვხვდება როგორც სასუბრო მეტყველებაში, ისე მწიგნობრულში.

გასარკვევია **-ოსან** სუფიქსის გენეზისის საკითხი. ჩანს, რომ **-ოსან** რთული შედგენილობისაა: **ოს-ან**, მაგრამ ბუნდოვანი და გაურკვეველია **-ოს** ელემენტის ეტიმოლოგია, **-ან** ფორმანტი კი იგივეა, რაც **-ი(ვ)-ან**, **-ოვ-ან** რთულ სუფიქსებშია წარმოდგენილი (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე).

-ოვან სუფიქსი დაერთვის არსებით სახელს და აღნიშნავს: რაიმე საგნის, ნიშან-თვისების მქონებლობას (კლდ-ოვან-ი, სახელ-ოვან-ი, გულ-ოვან-ი, ფერ-ოვან-ი...); რაიმე საგანთან მსგავსებას (ხავერდ-ოვან-ი, კლდ-ოვან-ი, ყინულ-ოვან-ი, ცეცხლ-ოვან-ი, ჰაერ-ოვან-ი...).

-**ოვან** ძველ ქართულში ქონების აღმნიშვნელ სახელთაგან ყველაზე აქტიური მაწარმოებელი იყო. იგი დაერთვოდა არსებითი სახელების გარდა ზედსართავ სახელებსაც და გამოხატავდა რაიმე თვისების, მდგომარეობის, ფერის, საგნის მქონებლობას: შფოთ-ოან-ი, გემ-ოვან-ი, კეთრ-ოვან-ი, მწვან-ოვან-ი, გუმბათ-ოვან-ი... ხშირად გამოიყენებოდა

მცენარეთა სახელებთან: ნაძ-ოვან-ი, ფინიკ-ოვან-ი, ზეთისხილ-ოვან-ი, მაღნარ-ოვან-ი...

-ოვან და **-იან** სუფიქსებით ნაწარმოებ სახელთა შორის სემანტიკური განსხვავება ძველ ქართულშივე აღინიშნებოდა: **-ოვან** სუფიქსი რაიმე საგნის მეტ სიმრავლეზე მიუთითებდა. ახალ ქართულში **-ოვან** სუფიქსიანი ფორმები ძირითადად ძველი ქართულიდან შემორჩენილი ფორმებია. **-ოვან** ახალ ფუძეებთანაც გამოიყენება ტერმინთა შესაქმნელად, რაიმე ცნებას აღნიშნავს და ამა თუ იმ თვისების, თავისებურების მქონებლობის გამომხატველია: ხრტილ-ოვან-ი, ცილ-ოვან-ი, სოკ-ოვან-ი, ხმ-ოვან-ი, წახნაგ-ოვან-ი... გვხვდება რთულ ფუძეებთანაც: მრა-ვალწახნაგ-ოვან-ი. რთულყვავილ-ოვან-ი, ნახშირწყლ-ოვან-ი... **-ოვან** იშვიათად გვხვდება უცხო წარმომავლობის ფუძეებთან: ნულ-ოვან-ი, პიგმენტ-ოვან-ი, ვალენტ-ოვან-ი...

-იერ სუფიქსი (დისიმილაციით **-იელ**) გამოხატავს ვინმეს დამახასიათებელ თვისებას, სულიერ მდგომარეობას: გონ-იერ-ი, ზომ-იერ-ი, ღონ-იერ-ი, მადლ-იერ-ი, კანონ-იერ-ი, ბედნ-იერ-ი... უმეტესობა **-იერ** სუფიქსიანი სახელებისა ძველი ქართულიდან გვაქვს შემორჩენილი, ახალ ფუძეებთან კი **-იერ** იშვიათად გვხვდება. სემანტიკური განსხვავება **-იერ** და **-იან** სუფიქსით ნაწარმოებ ერთი ძირის სახელებს შორის აშკარაა: ნაყოფ-იან-ი — ნაყოფ-იერ-ი, წიგნ-იან-ი — წიგნ-იერ-ი, ხორც-იან-ი — ხორც-იელ-ი...

ძველ ქართულში **-იერ** სუფიქსი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა: აწარმოებდა ქონა-ყოლის სახელებს: ცოლ-იერ-ი, ქმრ-იელ-ი, მატყ-იერ-ი, ფას-იერ-ი...; გამოხატავდა ამა თუ იმ საგნის რაობას, შედგენილობას: გუამ-იერ-ი, სულ-იერ-ი, ხორც-იელ-ი, ნივთ-იერ-ი... გვხვდებოდა ზმნურ ძირებთან: მშ-იერ-ი, ცბ-იერ-ი, კადნ-იერ-ი...; აღნიშნავდა წარმომავლობა-სადაურობასაც: ევროპ-იელ-ი, ც-იერ-ი, შორ-იელ-ი... მკვლევართა აზრით, სწორედ წარმომავლობის გამოხატვა იყო ამ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია, მქონებლობის გამოხატვის ფუნქცია კი მან შემდგომ შეიძინა.

-იერ სუფიქსის ჩამოყალიბების პროცესი, მკვლევართა აზრით, ასეთია: **ივ-ერ** > **იერ** (ა. შანიძე, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). **-ივ** იგივე ფორმანტია, რაც **-ი(ვ)-ან, -ოვ-ან** რთულ სუფიქსებში გვაქვს, **-ერ** კი დამოუკიდებლად არსებობდა ენაში და გამოხატავდა წარმომავლობას, მქონებლობას, მსგავსებას. ამ მაწარმოებელს გამოყოფენ ამ-ერ-ი, იმ-ერ-ი, ხაპ-ერ-ა, კეჟ-ერ-ა და ზოგ სხვა ფორმაში (ალ. მანჯგალაძე, ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ნ. ჭოხონელიძე).

-ედ სუფიქსი მქონებლობის ფუნქციით გვხვდება რამდენიმე არქაულ სიტყვაში: შარავანდ-ედ-ი, ვარსკვლავ-ედ-ი, კარ-ედ-ი... ამ სახელებში -ედ მაწარმოებელი გაქვავებული სახით არის წარმოდგენილი და მისი გამოყოფა შესაძლებელი ხდება ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად. იგი უძველესი სუფიქსია, მაგრამ უკვე ძველ ქართულშიც ნაკლებად გამოიყენებოდა, ზოგ სახელში კი გაქვავებული სახე ჰქონდა.

-ა სუფიქსი მქონებლობის მაწარმოებელ აფიქსთაგან ერთ-ერთი პროდუქტიული აფიქსია თანამედროვე ქართულში. იგი ქონების გამომხატველია გარკვეული ტიპის სახელებში, როგორიცაა: წითელპერანგ-ა, სქელკისერ-ა, ცალთვალ-ა, სამფეხ-ა... ასეთი სახელები კომპოზიტად ქცეული მსაზღვრელ-საზღვრულია, რომელსაც **-ა** სუფიქსი მქონებლობის სახელად აქცევს.

-ა სუფიქსიანი წარმოება ქონების გამოსახატავად გვხვდება მარტივფუძიან სახელებთანაც: პერანგ-ა, ულვაშ-ა, ქოჩორ-ა... **-ა** გამოიყენება აგრეთვე მსგავსების აღსანიშნავად: აბრეშუმ-ა, თხილ-ა, თითისტარ-ა, ბეჭედ-ა, კიტრ-ა...; თვისების, მქონებლობის გამოსახატავად გვხვდება **-ა** სუფიქსი მასდარის ფუძეებთან: ბარბაც-ა, ზოზინ-ა, დუდღუნ-ა, ლაქლაქ-ა, ჩახჩახ-ა და ა. შ. **-ა** დაერთვის აგრეთვე მიმღეობათა ფუძეებს და აქაც თვისების მქონებლობას გამოხატავს: მახრჩობელ-ა, მცივან-ა, მტირალ-ა... ამ ტიპის სახელები სემანტიკურად დიდად არ განსხვავდებიან ამოსავალი მიმღეობებისაგან, **-ა**-ს კი მასუბსტანტივებელი ფუნქცია აკისრია. ბევრი **-ა** დართული მიმღეობა ტერმინად არის ქცეული: სანთებელ-ა, საფრთხობელ-ა, მაღვიძარ-ა და სხვ.

-ა მასუბსტანტივებელ ფუნქციას ასრულებს, როცა დაერთვის ნაწარმოები სახელის ფუძეს. ორმაგად ნაწარმოებ სახელში კარგად ჩანს წინამავალი აფიქსის ძირითადი ფუნქცია, **-ა** კი მასუბსტანტივებელია: ცვრ-იან-ა, მტვრ-იან-ა, უ-ფეხ-ურ-ა, სა-თბურ-ა, ადრ-ეულ-ა, ნა-ბოლ-არ-ა და სხვ.

რიგ შემთხვევებში **-ა**-ს გამოყოფენ **ა**-ზე დაბოლოებულ სახელებში ისტორიული ანალიზის შედეგად. ეს სახელებია: მელა, კიბორჩხალა, თხუნელა, ყვინჩილა, ჭიანჭველა, წიფელა და მრავალი სხვა (ა. შანიძე, ალ. მანჯგალაძე). მათ პარალელურად ძველ ქართულში გვქონდა თანხმოვანფუძიანი ფორმები: მელ-ი, კიბორჩხალ-ი და ა. შ. თანხმოვანფუძიან და **-ა**-დაბოლოებიან ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობა არ არსებობს. **-ა**-ს მსგავსად გამოიყოფა **ე** და **ო** ხმოვნებიც, რომელთა ფუნქციის გამორკვევა შესაძლოა ერთ ასპექტში მოხერხდეს (ალ. მანჯგალაძე). ზოგჯერ **ა-, ო-** და **ე**-ბოლოხმოვნიანი სახელები ერთმანეთის

პარალელურადაც გვხვდება: გვერდა/გვერდო, ლეგა/ლეგო, ფლატე/ფლატო, ღრანტე/ღრანტო და ა. შ. ამ სახელებში ბოლოკიდური ხმოვანი შესაძლოა მასუბსტანტივებელი სუფიქსი იყოს, თუმცა ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

ქონების სახელებში, როგორც ვხედავთ, შედის ქონების, მგავსების, თვისების მქონებლობის გამომხატველი ნაწარმოები სახელები, რომელთა უმეტესობა გამჭვირვალე აგებულებისაა და მათი ეტიმოლოგიური ანალიზი ძნელი არ არის. გვხვდება ისეთებიც, რომელთა სეგმენტაცია ან სუფიქსთა დანიშნულების გარკვევა რთულდება. ყველაზე გავრცელებული ქონა-ყოლის მაწარმოებელია **-იან** და **-ა** სუფიქსები. დანარჩენები კი ქონებას სხვადასხვა სემანტიკური გადახრით გამოხატავენ და ხშირად გაქვავებული სახით არიან წარმოდგენილი.

III. 6.2. უქონლობის სახელები. უქონლობის გამომხატველი სახელები აღნიშნავენ უქონლობას ძირეული ფუძით აღნიშნული საგნისას ან თვისებისას. ამ შინაარსის გადმოსაცმად გამოიყენება **უ-, უ—ო, უ—ურ / უ—ულ, უ—არ** აფიქსები. თანამედროვე ქართულში **უ-** პრეფიქსიანი წარმოება მხოლოდ ორიოდე სახელში გვხვდება: უ-რიცხვ-ი, უ-სრულ-ი. მათ შეიძლება მივამატოთ ო-ზე დაბოლოებული რამდენიმე სახელიც: უ-შნო, უ-ღვინო, უ-სამშობლო, უ-სახელო (=სახელოს გარეშე)... მხოლოდ **უ-** პრეფიქსიანი წარმოება გვხვდება მიმღეობებში: უ-ცნობ-ი, უ-ნახავ-ი, უ-ვალ-ი... (უარყოფითი მიმღეობები გამოხატავენ რაიმე თვისების უქონლობას ან რაიმე ქმედების უარყოფას). ამგვარი მიმღეობები ბევრად მეტი იყო ძველ ქართულში: უ-შიშ-ი, უ-შურ-ი, უ-დებ-ი, უ-ღვაწ-ი, უ-ჭმ-ი, უ-მწყ-ი... შემდგომში ამგვარი ფორმები კონფიქსით ნაწარმოები ფორმებით შეიცვალა და მივიღეთ: უ-შიშ-არ-ი, უ-შურვ-ელ-ი, უ-ჭმ-ელ-ი და ა. შ.

მხოლოდ **უ-** პრეფიქსი სუფიქსის გარეშე ძველ ქართულშიც ნაკლებად გვხვდება და თანამედროვე ქართულშიც, მაგრამ გენეტურად სწორედ **უ-** პრეფიქსია უქონლობის სემანტიკის გამომხატველი, მასთან ერთად გამოყენებულ სუფიქსებს კი თავდაპირველად სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდათ და უქონლობის სემანტიკის გამოხატვა **უ**-სთან ერთად შემდგომ დაეკისრათ. ამის დასტურია ზოგი **უ—ო** კონფიქსიანი სახელი, რომელიც ძველ ქართულში ოდენ **უ-** პრეფიქსიანი იყო: უ-ზომ-ო — ძვ. ქართ. უ-ზომ-ი, უ-ზავ-ო — ძვ. ქართ. უ-ზავ-ი... გარდა ამისა, სუფიქსები სხვადასხვაა, **უ-** პრეფიქსი კი კონფიქსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

უ—ო მაწარმოებელი როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში, უქონლობის ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია. ამ კონფიქსით იწარმოება ყოველგვარი სახელის ფუძე, როგორც მარტივი, ისე ნაწარმოები და თხზული, აგრეთვე ნაწილაკები და თანდებულები (უ-წიგნ-ო, უ-დედ-ო, უ-ლამაზ-ო, უ-დავ-ო, უ-სასყიდლ-ო, უ-თანასწორ-ო, უ-ჩემ-ო, უ-თუ-ო, უ-ებრ-ო...). ანალოგიურად იწარმოება უარყოფითობა, როცა ამოსავალში მსაზღვრელ-საზღვრული ივარაუდება: უ-ჩიტისრძე-ო-დ, უ-ბავშთაბაღ-ო-დ... საინტერესო წარმოებისაა ნაცვალსახელების შემცველი უარყოფითი ზმნისართები: უ-მაგნატიფხმ-ო-დ, უ-მაგშენთვალ-ო-დ... ამ შემთხვევებში მთელი გამოთქმა ერთ ერთეულად არის მიჩნეული (მ. სუხიშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ **უ—ო** კონფიქსიანი წარმოება ძალიან გავრცელებულია, ის ნაკლებად გამოიყენება ზედსართავ სახელებთან. ახალ ქართულში აღარ გვხვდება ძველ ქართულში არსებული ფორმები: უ-დიდ-ო, უ-მაგრ-ო, უ-ბერწ-ო, უ-ხშირ-ო, უ-შმაგ-ო... შესაძლებელია ეს განაპირობა იმან, რომ ახალ ქართულში ძალიან გავცელდა **არა-** ნაწილაკიანი ფორმები: არა-სწორი, არა-წმინდა, არა-ნორმალური, არა-დამაჯერებელი, არა-ბუნებრივი და ა. შ. ასეთი ზედსართავები თანამედროვე ქართულში ბევრად მეტია, ვიდრე ძველ ქართულში გვქონდა. განსაკუთრებით ინერგება ასეთი წარმოება სამეცნიერო და ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. შესაძლებელია, ამ წარმოების ასეთ გააქტიურებას ხელი შეუწყო რუსულის გავლენამ, სადაც ანალოგიური, უარყოფითნაწილაკიანი წარმოება ძალიან გავრცელებულია.

უ—ურ (დისიმილაციით **უ—ულ**) კონფიქსი მხოლოდ არსებითი სახელების ფუძეებს ერთვის და **უ—ო** კონფიქსიან ფორმებთან შედარებით ნაკლებად გვხვდება: უ-გემ-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი, უ-ძლ-ურ-ი, უ-წვერ-ულ-ი, უ-ხერხ-ულ-ი... ამ გზით არსებითთაგან ზედსართავებია ნაწარმოები, ოღონდ ზოგი ზედსართავი არსებითად არის ქცეული (უფსკრული, უჟმური). **უ—ურ** დაერთვის ძირითადად ერთმარცვლიან ძირებს, იგი არ გვხვდება უცხო ენებიდან შემოსულ სახელებთან.

ზოგ ფუძესთან გვხვდება როგორც **უ—ო**, ისე **უ—ურ** კონფიქსიანი წარმოება. ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა მაწარმოებლის დართვისას გვაქვს სემანტიკური სხვაობა: **უ—ო** საგნის უქონლობას გამოხატავს, **უ—ურ** კი — ნიშან-თვისების უქონლობას: უწიგნო — უწიგნური, უკაცო — უკაცური, უსახო — უსახური, უდაბნო — უდაბური... პარალელური ფორმების შედარება გვიჩვენებს, რომ **-ურ** სუ-

ფიქსიან უქონლობის სახელებში თავს იჩენს ამ სუფიქსის ძირითადი მნიშვნელობა (აღნიშნოს თვისება სათანადო საგანთან მიმართებით).

ძალზე იშვიათად გვხვდება **უ—არ** კონფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელები: უ-შიშ-არ-ი, უ-ჩუმ-არ-ი, უ-წვიმ-არ-ი, უ-წყინ-არ-ი, უ-მეც-არ-ი...

უარყოფის, უქონლობის შინაარსის გამოხატვა როგორც ზმნურ, ისე სახელურ ფუძეებთან დაკავშირებულია პირველ რიგში **უ-** პრეფიქსთან, რომელიც ამ სემანტიკის გამომხატველი უძველესი ფორმანტია, სუფიქსების ფუნქცია კი თავდაპირველად სხვა უნდა ყოფილიყო.

III. 6.3. დანიშნულების სახელები. ერთი ჯგუფი წარმოქმნილი სახელებისა გამოხატავს დანიშნულებას ან განკუთვნებას. ამ სახელების საწარმოებლად გამოიყენება **სა-** პრეფიქსი და მასთან ერთად **-ე, -ო, -ურ(-ულ), -არ(-ალ)** სუფიქსები: სა-ქათმ-ე, სა-ყურ-ე, სა-ქვეყნ-ო, სა-სადილ-ო, სა-განძ-ურ-ი, სა-მკერდ-ულ-ი, სა-ბუდ-არ-ი და ა. შ. **სა-**, **სა—ე, სა—ო, სა—ურ, სა—არ** მაწარმოებელთაგან საერთო თავსართია **სა-,** რომელთანაც უნდა იყოს დაკავშირებული დანიშნულება-განკუთვნების შინაარსი. იგი გ. ახვლედიანს მყოფადთა საერთო მაწარმოებლად მიაჩნია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ მსგავსებას დანიშნულების სახელებსა და მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობებს შორის, როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმობრივად.

დამოუკიდებლად **სა-** პრეფიქსი გამოიყენებოდა ძველ ქართულში: სა-ყურძენ-ი, სა-ცივ-ი, სა-ხელ-ი (= სა-ხელ-ო), სა-ყურ-ი (= სა-ყურ-ე), სა-ბარკალ-ი, სა-ფარდულ-ი, სა-დილ-ი...ზოგი ასეთი ფორმის პარალელურად ძველ ქართულშივე გვაქვს პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოებაც: სა-მხარ-ი / სა-მხრ-ე, სა-ყურ-ი / სა-ყურ-ე, სა-ისარ-ი / სა-ისრ-ე. თანამედროვე ქართულში **სა-** პრეფიქსი დამოუკიდებლად ვეღარ აწარმოებს დანიშნულების სახელებს. მასთან ერთად ყველაზე ხშირად გამოიყენება **-ო** სუფიქსი, უფრო იშვიათად **-ე**, ხოლო **-ურ** სუფიქსი ძირითადად ძველი წარმოების სახელებშია შემორჩენილი.

სა—ე, სა—ო, სა—ურ კონფიქსებით ნაწარმოები სახელები ზედსართავებია, რომელთაგან ზოგი არსებითად არის ქცეული: სა-ყურ-ე, სა-თვალ-ე, სა-ყელ-ო, სა-კრებულ-ო, სა-სიძ-ო, სა-ფეხ-ური და ა. შ. ზოგი სახელი, კონტექსტის მიხედვით ხან არსებითად გამოიყენება, ხან — ზედსართავად: საპატარძლო (=პატარძალი) და საპატარძლო კაბა, სასადილო და სასადილო ოთახი...

თ. ჟორდანიას აზრით, **სა—ო** და **სა—ე** მაწარმოებელთა შორის სხვაობაა ფუნქციური თვალსაზრისით: **სა—ე**-თი ნაწარმოები სახელი დანიშნულების გამომხატველია, ადგილშემცველობის აღმნიშვნელია და სხვას არ მიეწერება, **სა—ო** მაწარმოებლიანი კი განკუთვნება-თვისობის აღმნიშვნელია და მუდამ დამოკიდებულია სხვა სიტყვისაგან. თ.ზურაბიშვილის აზრითაც, ამ აფიქსთა გაიგივება უმართებულოა, თვით ამ აფიქსთა სხვადასხვაობა მიუთითებს მათ განსხვავებულ ფუნქცია-მნიშვნელობაზე, რომელიც მკრთალად, მაგრამ დღესაც იგრძნობა, მ. ტუსკიას აზრით კი **სა—ე** და **სა—ო** კონფიქსთა დაპირისპირება არასისტემურია და მისი განზოგადების საფუძველი არ არსებობს; გაარსებითების ტენდენცია არამხოლოდ **სა—ე**-თი ნაწარმოებ სახელებს აქვთ, არამედ საერთოდ, დანიშნულების სახელებისათვის არის დამახასიათებელი.

ზოგჯერ სხვადასხვა მაწარმოებელი ერთსა და იმავე ფუძესთანაც გვხვდება: ძველ ქართულში: სა-არვ-ე / სა-არვ-ო, სა-ბანაკ-ე / სა-ბანაკ-ო, სა-ყან-ე / სა-ყან-ურ-ი, ახალ ქართულში: სა-ულვაშ-ე / სა-ულვაშ-ო, სა-ბალახ-ე / ს-ბალახ-ო, სა-მიზნ-ე/ სა-მიზნ-ო... ასეთი შემთხვევები იშვიათია. ჩვეულებრივ, სხვადასხვა კონფიქსი ერთსა და იმავე ფუძესთან სემანტიკურ სხვაობას იძლევა. უმეტესად პარალელურ ფორმათაგან ერთერთი კონკრეტულ სახელს აღნიშნავს და ტერმინად არის ქცეული, მეორე კი ზედსართავს წარმოადგენს; შდრ: სა-უკუნ-ე (დროის მონაკვეთი, რომელიც ას წელს შეიცავს) და სა-უკუნ-ო (სამუდამო, სამარადისო, მუდმივი); სა-ნაწილ-ე (ეკლ. ჭურჭელი წმინდა ნაწილების შესანახად) და სა-ნაწილ-ო (ისეთი რამ, რაშიც რამდენიმე პირს აქვს წილი, საერთო, საზიარო,საწილო); სა-თავე (1. ადგილი, სადაც წყლის დინება იწყება; 2. დასაწყისი, თავი რისამე; 3. მიზეზი, წყარო, საფუძვლი რისამე; 4. შარვალზე ან ქვედატანზე მიკერებული სარტყელი) და სა-თავ-ო (რისამე თავში, დასაწყისში არსებული), სა-ბარგ-ო (ბარგისთვის განკუთვნილი) და სა-ბარგ-ულ-ი (მანქანის ბარგისთვის განკუთვნილი ადგილი), სა-გზა-ო და სა-გზ-ურ-ი, სა-ხელ-ო და სა-ხელ-ურ-ი...

დანიშნულების სახელების მაწარმოებელთაგან ყველაზე ხშირად გვხვდება **სა—ო**. იგი დაერთვის თითქმის ყოველგვარ სახელს, ძირეულ ქართულს თუ უცხოური წარმოშობისას და ძირითადად ზედსართავებს აწარმოებს. **სა—ო** დაერთვის არსებით სახელებს, როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ და რთულ ფუძეებს (სა-ბავშვ-ო, სა-პატარძლ-ო, სა-კრედიტ-ო, სა-სულიერ-ო, სა-უკეთეს-ო, სა-ადგილმამულ-ო...), ზედსართავებს (სა-აშკარა-ო...), ნაცვალსახელებს (სა-ჩემ-ო, სა-იმის-ო...), სახელზმნებს (სა-ოცნებ-ო, სა-მლოცველ-ო...); **სა—ო** შეიძლება დაერთოს რიცხვით

სახელს (სა-ერთ-ო), თანდებულს (სა-თანა-ო), ნაწილაკს (სა-თუ-ო), ზმნისართს (სა-შინა-ო). **სა—ო** მაწარმოებელი დაერთვის ზმნურ ფუძეებსაც (სა-რჩ-ო, სა-ბჭ-ო...). ეს კონფიქსი ხშირად დაერთვის ეთნონიმებს, გვარ-სახელებს და აწარმოებს ტოპონიმებს: სა-ქართველ-ო, სა-მაჩაბლ-ო, სა-გურამ-ო, სა-ინგილ-ო...

სა—ო დაერთვის როგორც ერთ, ისე მრავალმარცვლიან ფუძეებს, ნებისმიერი ხმოვნით ან თანხმოვნით დაბოლოებულს. **სა—ე** ჩვეულებრივ დაერთვის არსებით სახელთა ფუძეებს: სა-კაც-ე, სა-თავ-ე, სა-ნერგ-ე... იშვიათად — ზედსართავებს: სა-ტიალ-ე, სა-ვერან-ე...

სა—ე ყველაზე ხშირად დაერთვის ერთ ან ორმარცვლიან ფუძეებს (სა-ყურ-ე, სა-კაც-ე, სა-ლოგინ-ე, სა-მარილ-ე...), იშვიათად გვხვდება იგი ნაწარმოებ ან რთულ ფუძეებთან (სა-საუზმ-ე, სა-სიკვდილ-ე, სა-პირისწამლ-ე...).

სა—ურ კონფიქსი დღევანდელ ქართულში არ არის აქტიური მაწარმოებელი. ამ მაწარმოებლიანი დანიშნულების სახელები ძირითადად ძველი ქართულიდან არის შემორჩენილი. **სა—ურ** დაერთვის ერთმარცვლიან ფუძეებს, ძირითადად არსებით სახელებს, იშვიათად — ზედსართავებს: სა-განძ-ურ-ი, სა-გზ-ურ-ი, სა-თა-ურ-ი, სა-თით-ურ-ი, სა-მაჯ-ურ-ი, სა-ამ-ურ-ი...

სა—ურ არ გამოიყენება ენაში უცხო ენიდან შემოსულ ან ახლად დამკვიდრებულ სიტყვებთან და, საერთოდ, არ აწარმოებს ახალ სახელებს, თუმცა ზოგჯერ მას მიმართავენ ტერმინების შესაქმნელად: სა-ზეთ-ურ-ი, სა-ბარგ-ულ-ი, სა-მაგრ-ულ-ი, სა-წვეთ-ურ-ი...

III. 6.4. ხარისხის სახელები. ხარისხის სახელები ზედსართავი სახელისაგან იწარმოება და გამოხატავს საგნის ნიშანს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ხარისხის ფორმები დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შედარებაზე. ქართულში განარჩევენ ხარისხის სამ ფორმას: დადებითს (თეთრ-ი), უფროობითს (უ-თეთრ-ეს-ი) და ოდნაობითს (მო-თეთრ-ო).

ზოგიერთ ენაში (მაგ. ბერძნულში, ლათინურში, რუსულში) დადებითი ხარისხის საპირისპიროდ რაიმე თვისების მეტი ოდენობით გამოსახატავად ორი ფორმა იწარმოება: შედარებითი (კომპარატივი) და აღმატებითი (სუპერლატივი), ქართულში კი (ისევე, როგორც არაბულში) — ერთი. ესაა უფროობითი (ელატიური) ფორმა, რომელიც საგნის რაიმე თვისებას მეტი ოდენობით გამოხატავს: უ-ლამაზ-ეს-ი, უ-კეთ-ეს-ი, უ-ახლ-ეს-ი და ა. შ. (ა. შანიძე).

აღნიშნავენ, რომ მიმართება უფროობითი ფორმისა დადებითისადმი ისეთი არ არის, როგორც ოდნაობითისა იმავე დადებითისადმი: საგნის თვისებას უფროობითი გამოხატავს მეტი ოდენობით განუსაზღვრელად, ოდნაობითი კი — ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი განსაზღვრით: მიახლოებით, ოდნავ: მომჟავო-ოდნავ მჟავე, მოცხელო — ოდნავ ცხელი (ა. შანიძე).

ის, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები გამოხატავს მეტ ოდენობას განუსაზღვრელად, უფრო ძველ ქართულს ეხება, მაგალითად, უმაღლ-ეს-ი ნიშნავს მეორეზე უფრო მაღალსაც და ყველაზე მაღალსაც, უ-უფრო-ეს-ი არის სხვაზე უფრო მეტიც და უხუცესიც, ყველაზე უფროსი; თანამედროვე ქართულში კი **უ—ეს** მაწარმოებლიანი ფორმები გამოხატავენ რაიმე თვისებას ყველაზე მეტი ოდენობით. ყველაზე ლამაზი, ყველაზე სწრაფი და ამის მსგავსი შინაარსის გადმოსაცემად გვაქვს უ-ლამაზ-ეს-ი, უ-სწრაფ-ეს-ი და ა. შ. სხვასთან შედარებით მეტი ოდენობა კი გადმოიცემა ძირითადად აღწერითად: უფრო ლამაზი, უფრო სწრაფი...

უ—ეს კონფიქსი უფროობითი ხარისხის სახელებს აწარმოებს ყველაზე ხშირად პირველადი ანუ ვითარებითი ზედსართავებისაგან: უწითლ-ეს-ი, უ-მაგრ-ეს-ი, უ-მძიმ-ეს-ი, უ-დიდ-ეს-ი... აგრეთვე ნაზმნარი ზედსართავების, ზოგი რიცხვითი სახელისა და ზმნისართისაგან, როცა მათ ვითარებითი ზედსართავის ფუნქცია აქვთ მიღებული: უ-მჯობ-ეს-ი, უ-მწიფ-ეს-ი, უ-ბრწყინვალ-ეს-ი, უ-განათლებულ-ეს-ი, უ-პირველ-ეს-ი, უ-მრავლ-ეს-ი, უ-ზენა-ეს-ი... ნაწარმოები ზედსართავებისგან არის მიღებული უფროობითი ხარისხის ფორმები: უ-პატიოსნ-ეს-ი, უ-ნიჭიერ-ეს-ი, უ-უგნურ-ეს-ი... რთული ფუძეებისაგან არის წარმოქმნილი: უ-ერთგულეს-ი, უ-კეთილშობილ-ეს-ი...

უფროობითი ხარისხის რამდენიმე ფორმაში გვაქვს **უ—ოს** მაწარმოებელი: უ-ფრ-ოს-ი, უ-მცრ-ოს-ი, ძვ. ქართ. უ-ტკბ-ოს-ი, უ-მსხ-ოს-ი (უ-მსხვ-ეს-ი)...

ზოგჯერ შეინიშნება **უ-** პრეფიქსის ორმაგი გამოყენების შემთხვევები, რაც გვხვდება ზოგჯერ სასაუბრო მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში: უ-უ-ლამაზ-ეს-ი, უ-უ-დიდ-ეს-ი. ასეთი ფორმები ხელოვნურია და მათ გაძლიერებულ უფროობითს უწოდებენ.

ხარისხის მაწარმოებელთა გენეზისის საკითხს რაც შეეხება, საყურადღებოა, რომ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი იყო **უ—ე** აფიქსებიანი წარმოება (უ-მართლ-ე, უ-ნათლ-ე...), რომელიც შემორჩენილია თანამედროვე ქართულის ზოგ დიალექტში, კერძოდ, ზემო იმე-

რულში (უ-მაღლ-ე, უ-ხნ-ე...). ამავე დროს ძველ ქართულში გვხვდებოდა **უ—ო** აფიქსებიანი წარმოებაც (უ-მცრ-ო = უფრო მცირე, უ-ტკბ-ო = უფრო ტკბილი). ვარაუდობენ, რომ ხარისხის პირვანდელი აფიქსებია: **უ—ე, უ—ო,** სუფიქსი **-ის** კი წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია: -**ე-ის** > **-ეს** (უ-დიდ-ეს-ი), ასევე: -**ო-ის** > **-ოს** (უ-მცრ-ოს-ი). ვარაუდობენ, რომ ოდენ **-ე** სუფიქსიანი წარმოება მიცემით ბრუნვიან სახელთან გვქონდა („რა უარეა მამაცსა“), -**ე-ის** სუფიქსიანი კი — ნათესაობითში დასმულთან (რაა უარესი მამაცისა) (ტ. გუდავა, თ. ზურაბიშვილი).

რაც შეეხება **უ-** პრეფიქსს, ითვლება, რომ იგი იმავე წარმოშობისაა, რაც სასხვისო ქცევის ნიშანი **უ-** (ი. ყიფშიძე, ა. შანიძე). ასე რომ უ-დიდ-ე-ის ნაწარმოებია ზმნური უ-დიდ-ე ფორმისაგან. ივარაუდება, რომ არსებობდა მ-ი-დიდ-ე (ჩემზე დიდი), გ-ი-დიდ-ე (შენზე დიდი) ფორმები. ხანმეტ ტექსტებში უფროობითი ხარისხის ფორმები ნაწარმოებია ხუ—ეის, ჰაემეტ ტექსტებში კი — ჰუ—ეის/ეს აფიქსებით.

რაც შეეხება ოდნაობითი ხარისხის ფორმებს, ისინი ქართულში ნაკლებად გამოიყენება. ზოგი ზედსართავისაგან უფროობითი ხარისხის ფორმები გვაქვს, ოდნაობითისა კი — არა. გვაქვს, მაგალითად, უ-ახლ-ეს-ი, უ-მშვენიერ-ეს-ი, მაგრამ არა გვაქვს მათი შესატყვისი ოდნაობითი ხარისხის ფორმები.

ოდნაობითი ხარისხის ფორმებს (მო-დიდ-ო, მო-მწარ-ო, წა-ყვითალ-ო...) ზოგი მკვლევარი ხარისხად არ მიიჩნევს, რადგან აქ არა გვაქვს არც ნიშანთა ისეთი შედარება და არც ისეთი სინტაქსური კონსტრუქცია, როგორიც შედარებითი ხარისხისათვის არის დამახასიათებელი (გ. როგავა, თ. ზურაბიშვილი).

ფიქრობენ, რომ **მო-, წა-** პრეფიქსები წარმოშობით იგივეა, რაც სათანადო ზმნისწინები (ა. შანიძე). ძველ ქართულში **მო—ო**-სთან ერთად იშვიათად გვხვდება **მო—ე** კონფიქსიც: მო-თეთრ-ო/მო-თეთრ-ე, მო-წითლ-ე... -ელ და -ილ სუფიქსიან სახელებს **მო—ო**-ს დართვისას შორდებათ სუფიქსი: მო-მსხ-ო, მო-ტკბ-ო, მო-გრძ-ო...

სასაუბრო მეტყველებაში **მო—ო** იფართოებს გამოყენების არეს და იმ პირს აღნიშნავს, რომელსაც ცოტათი ახასიათებს ზედსართავის ფუძით აღნიშნული თვისება ან ცოტათი არის მსგავსი ფუძით დასახელებული საგნისა და მოვლენისა: მო-მაღლ-ო, მო-შტერ-ო, მო-სულელ-ო, მო-ძველბიჭ-ო... ასეთი ფორმები გვხვდება მხატვრული ლიტერატურის ენაშიც.

წა—ო-თი ნაწარმოები სახელები სალიტერატურო ენაში ძალზე იშვიათია, გვხვდება აღმ. საქართველოს დიალექტებში, ძირითადად ფერის აღმნიშვნელ სახელებთან: წა-ლურჯ-ო, წა-წითალ-ო...

ქართულში არა გვაქვს თანაბრობითი ხარისხის ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია მეგრულისათვის: მა-შხვ-ა=ისე მსხვილი, როგორც... მა-გინძ-ა=ისე გრძელი, როგორც... მსგავსი თანაბრობითი ზედსართავები, გ. როგავას აზრით, ქართულსაც უნდა ჰქონოდა, რომელთა გაქვავებული ფორმებია **მ—ე** კონფიქსიანი ზედსართავი სახელები: მ-წარ-ე, მ-ჟავ-ე, მ-ლაშ-ე, მ-ძიმ-ე, მ-ჩატ-ე, მ-ტკიც-ე და სხვ. თანაბრობითი ხარისხის მნიშვნელობით ქართული ზოგ **სი—ე** კონფიქსით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელს იყენებს, რომლებიც შესადარებელი საგნის სახელს ნათესაობით ბრუნვაში მოითხოვს: კაცის სიმაღლე, თითის სიგრძე და ა. შ.

III. 6.5. წარმომავლობის სახელები. ერთი წყება სუფიქსებისა: **-ელ, -ურ, -იურ, -ეულ, -დელ, -მდელ** აღნიშნავენ ადამიანის ან საგნის სადაურობას, წარმომავლობას. წარმომავლობის გამოხატვა ამ სუფიქსების ძირითადი დანიშნულებაა, ზოგ შემთხვევაში კი ისინი სხვა ფუნქციითაც გვხვდება.

ყველაზე ხშირად ჩამოთვლილი სუფიქსებიდან გვხვდება **-ელ** და **-ურ**. პირველი ადამიანის სადაურობა-წარმომავლობას გამოხატავს, მეორე — არაადამიანისას. ამგვარი განაწილება მეორეული გრამატიკული მოვლენაა (არნ. ჩიქობავა, კ. დონდუა). ამას ადასტურებს სხვადასხვა დიალექტის მონაცემები, ტოპონიმები და ანთროპონიმები.

-ელ სუფიქსი დაერთვის ადგილის აღმნიშვნელ სახელებს და გამოხატავს დასახელებული ადგილის მკვიდრს: თბილის-ელ-ი, თელავ-ელ-ი, ევროპ-ელ-ი, გერმან-ელ-ი, ქალაქ-ელ-ი, სოფლ-ელ-ი... იგი დაერთვის როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძეებს: ზემოუბნ-ელ-ი, უცხოპლანეტ-ელ-ი...

ზოგ გეოგრაფიულ სახელს, რომლებიც **-ეთ** ან **-ის** მაწარმოებლით არის გაფორმებული, **-ელ** ერთვის პირდაპირ ფუძეზე: კახ-ელ-ი (შდრ. კახ-ეთ-ი), დუშ-ელ-ი (შდრ.დუშ-ეთ-ი), წავკ-ელ-ი (შდრ. წავკ-ის-ი)... ასეთი წარმოება დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის, ახალ ქართულში კი ტოპოფორმანტები ხშირად შენარჩუნებულია. ძველ ქართულში გვქონდა: თბილ-ელ-ი, ქუთათ-ელ-ი, თიან-ელ-ი... ახალ ქართულში გვაქვს: თბილ-ის-ელ-ი, ქუთა-ის-ელ-ი, თიან-ეთ-ელ-ი...

ვინმეს მიმდევრობის გამოხატვასთან არის დაკავშირებული **-ელ** სუფიქსის სხვა, გვიან შეძენილი ფუნქცია — გამოხატოს რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლობა, ვინმეს ხელობა, საქმიანობა: უცხო-ელ-ი, რაზმ-ელ-ი, კლას-ელ-ი, სკოლ-ელ-ი, მაღარო-ელ-ი, ჩოგბურთ-ელ-ი, ფეხბურთ-ელ-ი, პოლიცი-ელ-ი და ა. შ.

ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად **-ელ** სუფიქსი გამოყოფილია შემდეგ ფუძეებში: უღ-ელ-ი (შდრ. მეგრული უღ-უ), ბეღ-ელ-ი (შდრ. მეგრული ბაღ-უ), მასპინძ-ელ-ი (შდრ. ასპინძა — „გზათა შესაყარზე მდებარე სასტუმრო, სადგური“).

-ელ სუფიქსთან არის დაკავშირებული **-დელ** სუფიქსი, რომლის პირველი ნაწილი, **-დ**, როგორც ფიქრობენ, არის დღ-ის ნაშთი (დღ-ელ-ი > დელ-ი) (ა. შანიძე). ეს სუფიქსი იხმარება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან: გუშინ, დღეს, წეღან, შარშან, უწინ და ა. შ. ვიღებთ: გუშინ-დელ-ი, დღევან-დელ-ი/დღეინ-დელ-ი, წეღან-დელ-ი, შარშან-დელ-ი, უწინ-დელ-ი და ა. შ. **-დელ** დაერთვის როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძეებს: ამჟამინ-დელ-ი, გუშინწინ-დელ-ი...

-ელ შედის აგრეთვე **-მდელ** სუფიქსში, რომელიც **-მდე** თანდებულისა და **-ელ**-ის შერწყმით არის მიღებული: მდე-ელ-ი > მდელ-ი: რევოლუცია-მდელ-ი, წვევა-მდელ-ი...ჟთანხმოვანფუძიან სახელებთან **-მდე**-ს წინ უძღვის **-ა**, რომელიც ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ნაშთია: ომ-ა-მდელ-ი < ომ-ად-მდელ-ი.

-მდელ სუფიქსი გამოხატავს დროის თვალსაზრისით წარმომავლობას, ვინ ჯგუფის სახელებთან აღნიშნავს ასაკს, რა ჯგუფის სახელებთან — განსაზღვრულ დროში არსებობას: სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ომამდელი ამბავი.

წარმომავლობის სახელების მაწარმოებელთაგან **-ელ** სუფიქსის მსგავსად ხშირი გამოყენებისაა **-ურ** სუფიქსი, რომელიც ადგილის სახელებს დაერთვის და რა ჯგუფის სახელებს აწარმოებს: ქალაქ-ურ-ი, ფშა-ურ-ი, თბილის-ურ-ი, ინგლის-ურ-ი... რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით ვღებულობთ **-ულ**-ს: ქართ-ულ-ი, გერმან-ულ-ი, ამერიკ-ულ-ი... ადგილის სახელების გარდა **-ურ** დაერთვის ზმნისართებს და კითხვით სიტყვას — სად: აქა-ურ-ი, იქა-ურ-ი, სადა-ურ-ი...

ზოგჯერ ისევე, როგორც **-ელ**-ის დართვისას, **-ურ** სუფიქსი ძველი წარმოების თანახმად დაერთვის **-ეთ** და **-ის** სუფიქსებით გაფორმებული სახელების ფუძეებს ამ მაწარმოებელთა გარეშე: დუშ-ეთ-ი — დუშ-ურ-ი, ურბნ-ის-ი — ურბნ-ულ-ი...

აღსანიშნავია, რომ **-ურ** სუფიქსიანი წარმოება ზოგჯერ ვინ ჯგუფის სახელებთანაც გვხვდება. მხოლოდ **-ურ** სუფიქსიანია ზმნისართებისაგან ნაწარმოები ფორმები, რომლებიც ადამიანთა წარმომავლობასაც გამოხატავენ და არაადამიანთა წარმომავლობასაც: აქაური, მანდაური, სადაური. ასევე **-ურ** ვინ ჯგუფის სახელების სადაურობას გამოხატავს ზოგ სახელში: გურ-ულ-ი, ქუთათ-ურ-ი... ასეთი ფორმები დამახასიათებელია ზოგი დიალექტისათვის: აფხუშო-ურ-ი (ფშ.), გარეჯ-ულ-ი, კაკაბ-ურ-ი (კახ.). ეს ფორმები იმის მაჩვენებელია, რომ **-ელ** და **-ურ** აფიქსთა განაწილება ვინ და რა ჯგუფის სახელებთან გვიანდელი გრამატიკული მოვლენაა. ამას ადასტურებს მთის დიალექტებში გავრცელებული ანთროპონიმები: ზვიადა-ურ-ი, ღინჯ-ურ-ი, გოგოთ-ურ-ი... და გვარის სახელები: ჭინჭარა-ულ-ი, გაბუ-ურ-ი, ქეთელა-ურ-ი, გოგოლა-ურ-ი, წიკლა-ურ-ი...

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-ურ** სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია კუთვნილების გამოხატვა უნდა ყოფილიყო, რაზეც მიუთითებს ამ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები: გოგოლა-ურ-ი, ანანე-ულ-ებ-ი... ეს ტოპონიმები მიღებულია ადამიანთა საკუთარ სახელებზე **-ურ** მაწარმოებლის დართვით და ამ სახელებით აღნიშნული ადამიანებისადმი კუთვნილ ადგილებს აღნიშნავს (გ. ხორნაული).

-ურ (დისიმილაციით **-ულ**) დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო წარმომავლობის არსებით სახელებს და სათანადო ნიშან-თვისებების გამომხატველ ზედსართავ სახელებს აწარმოებს: კაც-ურ-ი, ბავშვ-ურ-ი, მხატვრ-ულ-ი, არაადამიან-ურ-ი, ზედაპირ-ულ-ი, გიჟ-ურ-ი... კიდევ უფრო გააქტიურა ეს სუფიქსი მთარგმნელობითმა პრაქტიკამ. **-ურ** დაუბრკოლებლად გამოიყენება ქართულში შემოსულ უცხო ტერმინებთან: პროზა-ულ-ი, გრამატიკ-ულ-ი, პოლემიკ-ურ-ი, პათეტიკ-ურ-ი და ა. შ.

-ურ სუფიქსის **-ივ** მოქმედებითი ბრუნვის ძველ ნიშანზე დართვით მიღებულია **-იურ** მაწარმოებელი, რომელიც რამდენიმე სიტყვაშია შემონახული: ამქვეყნ-იურ-ი, მზ-იურ-ი, ც-იურ-ი... **-იურ** დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და გამოხატავს მსგავსებას ან რაიმე თვისების მქონებლობას: მარად-იულ-ი, მით-იურ-ი, მშობლ-იურ-ი, წრ-იულ-ი... ამ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია, ისევე როგორც **-ურ** სუფიქსისა, კუთვნილება-წარმომავლობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო, რომლის მოდიფიკაციის შედეგია მსგავსება-თვისების გამოხატვა. დროის აღმნიშვნელ სიტყვებზე **-იურ** სუფიქსის დართვა პერიოდულად მიმდინარე

მოვლენებს გამოხატავს: დღ-იურ-ი, წლ-იურ-ი, თვ-იურ-ი, რაც ასევე კუთვნილების ფუნქციას უნდა უკავშირდებოდეს.

რამდენიმე სახელში გამოიყოფა **-ეურ** — რთული შედგენილობის სუფიქსი: **-ევ-ურ** > **-ეურ**: ცოლ-ეურ-ი, ყველ-ეურ-ი, ხელ-ეურ-ი... ამ სახელებში **-ეურ** სუფიქსის ფუნქცია ახლოსაა განკუთვნების, წარმომავლობის გამოხატვასთან.

წარმომავლობის, კუთვნილების გამომხატველია **-ეულ** სუფიქსი (**ევ-ულ** > **ეულ**). იგი ამ ფუნქციით გვხვდება ძველ ქართულში: ეშმაკ-ეულ-ი, დილ-ეულ-ი... ეს სუფიქსი უფრო ხშირად სხვა ფუნქციით გამოიყენებოდა. იგი დაერთვოდა როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფუძეებს და გამოხატავდა რაიმე საგნის ან თვისების მქონებლობას (ეჭუ-ეულ-ი, ბრალ-ეულ-ი, ღირს-ეულ-ი, პატიჟ-ეულ-ი = სასჯელდადებული, ბრალ-ეულ-ი...). ზოგი ამ სახელთაგან თანამედროვე ქართულსაც შემორჩა (სნ-ეულ-ი, გრძნ-ეულ-ი...). ზოგჯერ იგი გამოხატავდა კრებითობას (სამარხ-ეულ-ი, სახლ-ეულ-ი...). თანამედროვე ქართულშიც არსებით სახელთა ფუძეზე დართული **-ეულ** სუფიქსი გამოხატავს კრებითობას ერთი ნიშნით გაერთიანებული საგნებისას და ამ ფუნქციით იგი განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება: ხილ-ეულ-ი, თევზ-ეულ-ი, ბოსტნ-ეულ-ი, რკინ-ეულ-ი, ბეწვ-ეულ-ი... რიცხვით სახელებზე დართული **-ეულ** გამოხატავს გარკვეული საგნებისა და ადამიანების შემცველობას, ერთიანობას: სამ-ეულ-ი, ას-ეულ-ი, ათას-ეულ-ი.

თანამედროვე ქართულში **-ეულ** დაერთვის უმთავრესად ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და კუთვნილება-წარმომავლობას აღნიშნავს: დედ-ის-ეულ-ი, ქმრ-ის-ეულ-ი, ცხოვრებ-ის-ეულ-ი... იგი გამოიყენება საკუთარ სახელებთანაც: თამარ-ის-ეულ-ი, ნინო-ს-ეულ-ი, მერაბ-ის-ეულ-ი... ასევე კუთვნილებით ნაცვალსახელებთან: ჩემ-ეულ-ი, მის-ეულ-ი, თქვენ-ეულ-ი. იშვიათად იმავე შინაარსის გამოსახატავად **-ეულ** დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს ბრუნვის ნიშნის გარეშეც: მამაპაპ-ეულ-ი.

შედგენილობით **-ეულ** რთული სუფიქსია: **ევ-ულ** > **ეულ**.

ამგვარად, წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსებია ძირითადად **-ელ** და **-ურ**, აგრეთვე სხვა მაწარმოებლებზე მათი დართვით მიღებული რთული სუფიქსები: **-დელ, -მდელ, -იურ და -ეულ**. წარმომავლობის გარდა ისინი გამოხატავენ მქონებლობას, მსგავსებას, კუთვნილებას, კრებითობას. ამ მაწარმოებელთა გამოყენება სხვადასხვა სემანტიკური გადახრით არ არის დაშორებული მისი ძირითადი ფუნქციისაგან.

III. 6.6. აბსტრაქტული სახელები. აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელები იწარმოება **-ობა, -ება** და **სი—ე, სი—ო** აფიქსებით. ისინი განაწილებულია სხვადასხვა ფუძესთან და მათი ჩანაცვლება ჩვეულებრივ არ ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართულის ვითარება სხვაგვარი იყო, სადაც **-ება** სუფიქსი გამოიყენებოდა, იქ თანამედროვე ქართულში **-ობა** გვაქვს და პირიქით, ასევე ზოგ სახელთან რომ პრეფიქს-სუფიქსი გამოიყენებოდა, დღეს სუფიქსური წარმოება გვაქვს. ძველ ქართულში **-ება** სუფიქსით და **სი—ე**-თი ნაწარმოები ფორმები უფრო პროდუქტიული იყო, ახალ ქართულში კი აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლებს შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება **-ობა** სუფიქსი.

თანამედროვე ქართულში აბსტრაქტულობის მაწარმოებელი **-ობა** დაერთვის: ა) მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობებს: დამაჯერებლ-ობა, შემრიგებლ-ობა, ვარდნილ-ობა... ბ) არსებით სახელებს: კაც-ობა, ჭაბუკ-ობა, ამხანაგ-ობა... გ) ზედსართავ სახელებს: პატარა-ობა, ვერაგ-ობა, მხნე-ობა... დ) რიცხვით სახელებს: ერთ-ობა... ე) ნაცვალსახელებს: მე-ობა, ვინა-ობა, რა-ობა... -ობა შესაძლებელია დაერთოს ზმნიზედასა და ნაწილაკსაც კი: შინა-ობა, ჰო-ობა...

-ობა სუფიქსი გარდა განყენებულ ცნებათა გამომხატველი სახელებისა სხვა ფუნქციითაც გვხვდება: იგი დაერთვის არსებითი სახელების ფუძეს და გამოხატავს კრებითობას: სტუდენტ-ობა, ბიჭებუჭ-ობა, მეზობლ-ობა, ახალგაზრდ-ობა... ეს სახელები აბსტრაქტულია თუ კრებითი, ამას კონტექსტი განარჩევს: *ეს კაცი ახალგაზრდობაში სპორტსმენი იყო* — ამ წინადადებაში *ახალგაზრდობა* აბსტრაქტული სახელია, ხოლო ასეთ შემთხვევაში — *აქ ახალგაზრდობა იკრიბება, ახალგაზრდობა* კრებითია.

-ობა-თი იწარმოება აგრეთვე რელიგიური დღესასწაულების, სახალხო დღესასწაულების, რიტუალების აღმნიშვნელი სახელები: გიორგ-ობა, თამარ-ობა, ალილო-ობა და ა. შ.

-ობა წარმოშობით რთული სუფიქსია: **-ობ** თემის ნიშანია, **-ა** კი — მასდარის მაწარმოებელი: მეგობრ-ობ-ს — მეგობრ-ობა, მტრ-ობ-ს — მტრ-ობა, მეზობლ-ობ-ს — მეზობლ-ობა... შემდგომ მოხდა **-ობა**-ს განზოგადება. თანდათან იგი ცალკე სუფიქსად ჩამოყალიბდა და დაერთო ისეთ ფუძეებსაც, რომელთა ძირისაგან ზმნა არ იწარმოება: დღეობა, წყალდიდობა, ბატონყმობა და ა. შ. შემდგომ კი **-ობა** სუფიქსმა კრებითობის შინაარსიც შეიძინა.

-ობა სუფიქსი დაერთვის ნებისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს, ერთმარცვლიანსა და მრავალმარცვლიანს. **-ობა** მაწარმოებელი დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო წარმოშობის სახელთა ფუძეებს: აქტივ-ობა, ბანალურ-ობა, პოპულარ-ობა... იგი დაერთვის როგორც მარტივ, ისე წარმოქმნილ ფუძეებს: თავშეკავებ-ულობა, მე-პატრონ-ე-ობა, სა-მართლი-იან-ობა...

-ება მაწარმოებელიც **-ობა**-ს მსგავსად შედგენილია **-ებ** თემის ნიშნისა და მასდარის **-ა** ფორმანტისაგან. ერთვის საგნის თვისების ან რაიმე მახასიათებლის გამომხატველ ფუძეებს: ა) ვნებითი გვარის მიმღეობებს: მწუხარ-ება, ვალდებულ-ება, მიდრეკილ-ება... ბ) ზედსართავებს: ბოროტ-ება, ძლიერ-ება... გ) არსებით სახელებს: ღვთა-ება, სურნელ-ება... დ) რიცხვით სახელებს: სამ-ება, ე) ნაცვალსახელებს: თვის-ება, ვ) ზმნისართებს: ვითარ-ება...

-ება სუფიქსი დაერთვის რომელიმე თანხმოვანზე ან ო ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს, უმეტესად მრავალმარცვლიანებს და იშვიათად — ერთმარცვლიანებს (შნო-ება, დრო-ება...). **-ება**-თი ნაწარმოებია როგორც მარტივი, ისე რთული ფუძეები (სახ-ება, სამ-ება, კეთილხმ-ოვან-ება, ბედნ-იერ-ება). **-ება** დართულ რთულ ფუძეთა უმეტესობა **-იან** და **-ოვან** მაწარმოებლით მიღებული სახელებია.

ჩვეულებრივ, -**ობა** სუფიქსისა და -**ება**-ს გამოყენება ამა თუ იმ ფუძესთან განსაზღვრულია. ისინი სხვადასხვა ფუძესთან გამოიყენება, მაგრამ ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძესთანაც გვხვდება. ასეთ შემთხვევაში ჩნდება სემანტიკური სხვაობის დამყარების ტენდენცია: არს-ება — 1. რაც არსებობს, 2. არსი, ბუნება და არს-ობა — არსებობისთვის საჭირო საზრდო.

აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი **სი—ე** და **სი—ო** კონფიქსები ერთვის ძირითადად ვითარებით ან მიმართებით ზედსართავ სახელთა ფუძეს: სი-ცოცხლ-ე, სი-კეთ-ე, სი-თბ-ო, სი-ტკბ-ო, სი-ამაყ-ე... ზოგჯერ -ილ და -ულ სუფიქსებიან ზედსართავებთან გამოყენებისას -ილ, -ულ სუფიქსები ფუძეს შორდება და ერთვის **სი—ე** ან **სი—ო** კონფიქსისეული -**ე** ან -**ო** სუფიქსი: გრძ-ელ-ი — სი-გრძ-ე, თბ-ილ-ი — სი-თბ-ო. **სი—ო** მაწარმოებელი ერთვის მხოლოდ რამდენიმე ფუძეს, ძირითადად იმ ფუძეებს, რომელთაც ბოლოკიდურად ბაგისმიერი ბ ან უმარცვლო უ მოუდით: სი-თბ-ო, სი-ტკბ-ო, სი-ლბ-ო, სი-მსხ-ო...

სი—ე და **-ობა** ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეს ერთვის. ასეთია ასზე მეტი ფუძე: სი-ყოჩაღ-ე — ყოჩაღ-ობა, სი-ლაღ-ე — ლაღ-ობა, სი-ძუნწ-ე — ძუნწ-ობა და ა. შ. მათგან მართებულ ფორმებად უმეტესად

მიჩნეულია **სი—ე**-თი ნაწარმოები ფორმები, რადგან **-ობა** მაწარმოებლიანი ფორმები ემთხვევა ამავე ფუძისაგან ნაწარმოებ საწყისებს. იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა **სი—ე**-ს პარალელურად გვხვდება **-ება**: სი-ბოროტ-ე — ბოროტ-ება, სი-მყუდროვ-ე — მყუდრო-ება, სი-ძლიერ-ე — ძლიერ-ება... პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება **-ება** მაწარმოებლიან სახელს.

III. 6.7. ხელობის (პროფესიის) სახელები. ერთი ჯგუფი სახელებისა **მე—ე, მე—ურ(მე—ულ), მო—ე** კონფიქსებით არის ნაწარმოები და აღნიშნავს სახელის ფუძით გამოხატულ საგანთან ან მოვლენასთან დაკავშირებულ ადამიანს: მე-ნავ-ე, მე-ანაბრ-ე, მე-ოცნებ-ე, მე-ბად-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მო-ვალ-ე... ამ ჯგუფში შესულია შინაარსობრივად მრავალფეროვანი სახელები: რაიმე საქმიანობის მიმდევარი (მე-ბაღ-ე, მე-თევზ-ე, მე-ვენახ-ე...), რაიმეს მფლობელი (მე-დუქნ-ე, მე-მამულ-ე, მე-წილ-ე...), რაიმე ნიშნით გამორჩეული (მე-წინავ-ე, მე-ძვირ-ე...). მათგან ყველაზე მეტია საქმიანობის, პროფესიის გამომხატველი სახელები და ამიტომ ამ ჯგუფის სახელებს ხელობის სახელებს უწოდებენ.

მე—ე კონფიქსი დაერთვის ძირითადად არსებით სახელებს, როგორც ხმოვან- ისე თანხმოვანფუძეებს. **მე—ე** უცხოური წარმოშობის სახელებსაც დაერთვის: მე-მოდელ-ე, მე-პაი-ე...

მე—ურ (რაე-ნარევ ფუძეებთან **მე—ულ**) კონფიქსიანი სახელები ნაკლებად არის გავრცელებული. **მე—ურ** დაერთვის ძირითადად ერთმარცვლიან და ორმარცვლიან სახელებს: მე-ზღვა-ურ-ი, მე-სვე-ურ-ი, მე-თა-ურ-ი, მე-დიდ-ურ-ი, მე-ძუძ-ურ-ი. მათი ნაწილი ძველ ქართულშივეა შექმნილი. ძველად ეს კონფიქსი სახელზმნებისაგანაც აწარმოებდა ახალ სახელებს: მე-სმ-ურ-ი, მე-რწყ-ულ-ი, რომლებიც მიმღეობურ ფორმებს უახლოვდება. თანამედროვე ქართულში **მე—ურ** კონფიქსი ნაკლებად აწამოებს ახალ ფუძეებს. ზოგჯერ მას მიმართავენ ტერმინთა საწარმოებლად: მე-რგოლ-ურ-ი, მე-კოშკ-ურ-ი, მე-თოფ-ურ-ი...

ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება **მო—ე** მაწარმოებლიანი სახელები: მო-ნადირ-ე, მო-ზავ-ე, მო-ენ-ე, მო-თხილამურ-ე... ეს სახელები წარმოებით და მნიშვნელობით იმდენად ახლოს არიან საშუალი გვარის მიმღეობებთან (მო-ბიბინ-ე, მო-ცურავ-ე, მო-ციგავ-ე...), რომ სახელისა და ზმნისაგან მიღებული ფორმების გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება (არნ. ჩიქობავა). ამ მიმღეობათა ნაწილი გასუბსტანტივებულია (მო-ყვარ-ე, მო-ნადირ-ე...), რამაც ხელი შეუწყო **მო—ე** კონფიქსიან ხელობის სახელთა ჯგუფის ზრდას (მ. ტუსკია).

მე—ე და **მო—ე** მაწარმოებლები ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძესთან გვხვდება ერთი და იმავე მნიშვნელობით: მე-ქარავნ-ე, მო-ქარავნ-ე, მე-ზარ-ე, მო-ზარ-ე... ზოგჯერ კი პარალელურ ფორმებს სემანტიკური განსხვავება ახასიათებთ: მე-საზღვრ-ე და მო-საზღვრ-ე, მე-საკუთრ-ე და მო-საკუთრ-ე, მე-ვალ-ე და მო-ვალ-ე...

III. 6.8. ადგილის გამომხატველი სახელები. წარმოქმნილ სახელებს შორის ერთი ჯგუფი ადგილის გამომხატველი სახელებია. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი სახელების ნაწილს (მაგ., **-ობ** სუფიქსიან სახელებს) ზოგჯერ გეოგრაფიულ სახელებთან ერთად განიხილავენ (მ. ტუსკია), ნაწილს კი (-**ნარ** სუფიქსიან სახელებს) ცალკე ჯგუფად გამოყოფენ მცენარეთა კრებულის სახელებად (ა. შანიძე, მ. ტუსკია). რამდენადაც როგორც **-ობ** სუფიქსიანი, ისე **-ნარ**-ით ნაწარმოები სახელები ადგილს აღნიშნავენ, მათ ცალკე გამოვყოფთ ადგილის გამომხატველ სახელებად.

-ნარ (რ- ნარევ ფუძეებთან **ნალ**-) დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და გამოხატავს ადგილს, სადაც მრავლად მოიპოვება ფუძით აღნიშნული საგანი. ეს სუფიქსი გვხვდება ძირითადად მცენარეთა სახელებთან: მუხ-ნარ-ი, ნაძვნ-არ-ი, კოპიტ-ნარ-ი, ვარდ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, არყ-ნალ-ი, იფნ-(ნ)არ-ი, ბუჩქ-ნარ-ი, ყვავილ-ნარ-ი, ბაღ-ნარ-ი... ასეთივე წარმოება გვაქვს რაიმე სხვა საგნის სიმრავლით გამორჩეული ადგილის აღმნიშვნელ სახელებშიც: ქვიშ-ნარ-ი, თიხ-ნარ-ი, ქვავ-ნარ-ი... გვაქვს არაერთი შემთხვევა, როცა -ნარ მაწარმოებლით მიღებული სახელი იქცა გეოგრაფიულ სახელად: დაფნარი, ბარდნალა, ქვარნალა (ქვალ-ნარ-ა), მუხრანი (მუხ-ნარ-ი) და ა. შ.

ვარაუდობენ, რომ -**ნარ** რთული შედგენილობის სუფიქსია, მიღებულია **-ნ** მრავლობითობის სუფიქსისა და -**არ** კრებითობის გამომხატველი სუფიქსის შერწყმით: **ნ—არ** > **ნარ**.

ადგილის სახელთა მაწარმოებელია აგრეთვე **-ობ** სუფიქსი, რომელიც გამოხატავს რაიმე ნიშნით, თვისებით გამორჩეულ ადგილს: მაღლ-ობ-ი, დაბლ-ობ-ი, ღრანტ-ობ-ი, ტაფ-ობ-ი, გვერდ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი...

-ობ სუფიქსიანი წარმოება გვხვდება სამეცნიერო ტერმინოლოგიაში: რბილ-ობ-ი, ფართ-ობ-ი, ნავთ-ობ-ი, ქან-ობ-ი, კუთხ-ობ-ი და ა. შ.

ფიქრობენ, რომ **-ობ**-ის თავდაპირველი ფუნქცია სიმრავლე-კრებითობის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-ობ** სუფიქსის ცვეთით არის მიღებული **-ო** სუფიქსი, რომელიც ადგილ-

მდებარეობის გამომხატველ ზოგ სახელში გვხვდება: გვერდ-ო, ფერდ-ო, გრილ-ო, ლენჭყ-ო, ჩერ-ო, ღრანტ-ო... (ი. ქავთარაძე, მ. ტუსკია).

III. 6.9. გეოგრაფიული სახელები. გეოგრაფიული სახელები ქართულში სხვადასხვა წარმოშობისაა: ნაწილს საფუძვლად უდევს მცენარის, ცხოველის, ფრინველის, მინერალის თუ სხვა საგნის სახელი (მუხათი, რკონი, კოშკები, ბაგები, ქვები...); ნაწილი ამა თუ იმ გვარისაგან არის წარმომდგარი (კაიშაურნი, ვაჩნაძიანი...); გავრცელებულია აგრეთვე მსაზღვრელ-საზღვრულით მიღებული კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი ადგილის აღმნიშვნელი ან სხვა საზოგადო სახელია: ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი..., პირველი ნაწილი კი მის მსაზღვრელს წარმოადგენს (ახალსოფელი, ციხისძირი, ლამისყანა...). ტოპონიმიკურ სახელთა წარმოების სხვადასხვა მოდელი შესწავლილი და გამოვლენილია ა.შანიძის, ალ. ღლონტის, ზ. ჭუმბურიძის, გ. ბედოშვილის, თ. ზურაბიშვილის, ფ. მაკალათიას და სხვა მკვლევართა მიერ. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ყოველგვარი საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე დასახლებულ პუნქტს და იქცეს გეოგრაფიულ სახელად. განვიხილავთ ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებს.

გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია აფიქსები, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციით გვხვდება წარმოქმნილ საზოგადო სახელებში, კერძოდ, მქონელობის **-იან, -ოვან** სუფიქსები (წიფლიანი, ვაშლოვანი...), წინავითარების **ნა—არ, ნა—ურ, ნა—ევ** აფიქსები (ნატახტარი, ნადაბური, ნავენახევი...), დანიშნულების **სა—ე**, **სა—ო, სა—ის, სა—ურ** აფიქსები (საირმე, საკერპო, საორბისი, საბადურია...). ბევრი გეოგრაფიული სახელი ნაგენეტივარია (ქუთაისი, მანგლისი, შინდისი...).

საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლებია: **-ეთ, -ით, სა—ეთ, სა—ის** აფიქსები.

-ეთ ბოლოსართი ყველაზე გავრცელებულია დასახელებულ აფიქსთა შორის. იგი ერთვის საზოგადო არსებით სახელებს: ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი...; ტომობრივ და ეთნიკურ სახელებს: ხევსურ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ტაჯიკ-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი, არაბ-ეთ-ი...; გვარსახელებს: სიმონ-ეთ-ი, დარჩი-ეთ-ი... ძველი ქართულიდან ცნობილია ლიპარიტ-ეთ-ი, მარიამ-ეთ-ა...

-ეთ სუფიქსით ტოპონიმების გარდა ნაწარმოებია ქვეყნის მხარეთა სახელები: აღმოსავლ-ეთ-ი, დასავლ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი და ადგილ-სამყოფელის აღმნიშვნელი სხვა საზოგადო სახელები: შუამდინარ-ეთ-ი, იატაკქვეშ-ეთ-ი, ბნელ-ეთ-ი, სულ-ეთ-ი, ხმელ-ეთ-ი, მოუ-

სავლ-ეთ-ი... ამგვარი ფორმების ანალოგიით შეიქმნა ზოგი პოეტური ლიცენცია, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება: გზ-ეთ-ი, (ვეფხ.), სმაჭამ-ეთ-ი, ფშავ-ეთ-ი, წყლ-ეთ-ი (ვაჟა).

სახელი, რომელსაც -ეთ დაერთვის, შეიძლება იყოს ნაწარმოები: მოუსავლ-ეთ-ი, ან რთული: შუა-მდინარ-ეთ-ი, სმა-ჭამ-ეთ-ი...

-ეთ ისტორიულად აწარმოებდა კრებითი მრავლობითის ფორმებს: პავლე-ეთ-ი=პავლე და მისი მიმდევარნი, ეს მნიშვნელობა შემორჩენილია ზოგ დიალექტში, კერძოდ, რაჭულში (ბიძეეთი=ბიძაშვილები). როგორც ჩანს, **-ეთ** სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა რაიმეს ან ვინმეს მრავლად მყოფობის ადგილი (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა). ს. ჯანაშია და ვ. თოფურია **-ეთ** მაწარმოებელს გენეტურად მრავლობითობის **-თ(ეთ)** დაბოლოებას უკავშირებენ. ვ. თოფურიას აზრით, გეოგრაფიულ სახელად გვქონდა მსაზღვრელ-საზღვრული, რომლის პირველი კომპონენტი თანიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იყო და საზღვრულის დაკარგვის შემდეგ ტოპონიმად მხოლოდ იგი დარჩა.

რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში გვაქვს **-ით** დაბოლოება, რომელიც ა. შანიძეს **-ეთ** ბოლოსართის ვარიანტად მიაჩნია. ეს სახელებია: სომხ-ით-ი, ბორ-ით-ი, მოლ-ით-ი, ბეღლ-ით-ი, ხრე-ით-ი...

სა—ეთ კონფიქსით არის ნაწარმოები: სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი, სა-სირ-ეთ-ი... **სა—ეთ** კონფიქსი გვხვდება რამდენიმე საზოგადო სახელშიც: სა-გიჟ-ეთ-ი, სა-მგლ-ეთ-ი...

სა—ეთ მაწარმოებლის **-ეთ** იგივეა, რაც დამოუკიდებლად არსებული **-ეთ, სა-** კი დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსია.

სა- პრეფიქსთან ერთად გვხვდება სხვა სუფიქსებიც: **-ის** (სა-ცხენ-ის-ი, სა-ორბ-ის-ი...); **-ე** (სა-მცხ-ე, სა-მშვილდ-ე...); **-ო** (სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო...).

III. 6.10. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რიცხვითი სახელების ფუძეზე **მე—ე** კონფიქსის დართვით: მე-ორ-ე, მე-ათ-ე, მე-ათას-ე... და-თი დაკავშირებულ რთულფუძიან სახელებში **მე-** თავსართი დაერთვის და-ს შემდეგ მდგომ სახელს: ოც-და-მე-ერთ-ე, ორმოც-და-მე-ჩვიდმეტ-ე და ა. შ. განსხვავებული წარმოებისაა *ერთი* რაოდენობითი სახელის რიგობითი ფორმა პირველი, რომელსაც ფუძედ *პირი* სახელი აქვს, პირველი = პირისაკენ მდგომი (ა. შანიძე), მე-ერთ-ე კი გამოყენებულია რთულ სახელებში: ოცდა-მე-ერთ-ე, ას-მე-ერთ-ე...

წილობით რიცხვით სახელთა საწარმოებლად რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა არის გამოყენებული: მე-ოთხ-ე-დ-ი, მე-ათ-ე-დ-ი... რიცხვით სახელს — მეორედი ენაცვლება ნახევარი.

ძველ ქართულში წილობითი რიცხვითი სახელები იწარმოებოდა აღწერითად: მეხუთე ნაწილი, ან **-ეულ**, **ნა—ალ** აფიქსებით: ხუთ-ეულ-ი, ათ-ეულ-ი... ნა-ოთხ-ალ-ი... ამგვარი წარმოება დღეს მხოლოდ დიალექტებშია შემორჩენილი. თანამედროვე სალიტერატურო ენაში **-ეულ** მაწარმოებლიანი რიცხვითი სახელები გამოხატავს შემცველობას: სამ-ეულ-ი = სამის შემცველი, ათას-ეულ-ი = ათასის შემცველი... **ნა—ალ** აფიქსური წარმოების რიცხვითი სახელები კი სალიტერატურო ენაში აღარ შემორჩა.

III. 6.11. წინა ვითარების სახელები. წარმოქმნილ სახელთა შორის გამოიყოფა ერთი ჯგუფი სახელებისა, რომლებიც **ნა—არ (ნა—ალ), ნა—ევ (ნა—ებ), ნა—ურ**, **ნა-** მაწარმოებლებით არის წარმოქმნილი. ეს სახელები გამოხატავენ რაიმე სახის წინა ვითარებას, კერძოდ, გამოხატავენ ა) საგანს, პირს, რომელიც უწინ იგივე იყო, რაც ძირეულით არის გადმოცემული: ნა-ცოლ-არ-ი, ნა-ყმ-ევ-ი, ნა-მწყემს-არ-ი... ბ) ადგილს, სადაც უწინ ის საგანი იყო, რაც ძირეულით არის გადმოცემული: ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სახლ-არ-ი, ნა-ტყვი-არ-ი... გ) საგანს, პირს, რომელიც იმ ადგილას იყო, რომელზეც ძირეული სახელი მიუთითებს: ნა-ციმბირ-ალ-ი, ნა-ციხ-არ-ი, ნა-ფრონტ-ალ-ი... დ) დროს, რომელიც გამოხატავს, რომ ძირეულით გადმოცემული ხანი უკვე ჩავლილია: ნა-შუაღამ-ევ-ი, ნა-შუადღ-ევ-ი... ასეთი სახელების უმეტესობა ზმნიზედურად არის გამოყენებული: ნა-საღამო-ევ-ს, ნა-სადილ-ევ-ს, ნა-ვახშმ-ევ-ს... ე) რაიმეს ნაწილს, ძირეულით გამოხატული საგნის ნარჩენს: ნა-სუფრ-ალ-ი, ნა-წიბ-ურ-ი... ნა- პრეფიქსული წარმოება გამოიყენება ტერმინთა შესაქმნელად: ნა-მხარ-ი, ნა-კბილ-ი, ნა-ზოლ-ი და სხვ.

წინა ვითარების სახელები ხშირად ტოპონიმებად არის ქცეული: ნა-საყდრ-ალ-ი, ნა-ქერ-ალ-ა, ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-ვენახ-ევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი, ნა-დაბ-ურ-ი... ზოგი წინა ვითარების სახელი გაარსებითებულა: ნა-პირ-ი, ნა-ერთ-ი, ნა-დავლ-ი...

წარმოებით და მნიშვნელობით წინა ვითარების სახელები უახლოვდება ვნებითი გვარის მიმღეობებს: ნა-ჩუქ-არ-ი, ნა-ხნ-ავ-ი, ნა-პობ-ი და მისთ. ზოგჯერ ძნელი გასარჩევი ხდება, წარმოქმნილი სახელი წინა ვითარების გამომხატველი აფიქსების დართვით არის მიღებული, თუ ნასახელარი ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა.

წინა ვითარების სახელთა შორის ყველაზე ძველია **ნა-** პრეფიქსიანი წარმოება (არნ. ჩიქობავა). ზოგჯერ ერთ ძირთან სხვადასხვა წარმოება გვხვდება: ნა-ზამთრ-ი, ნა-ზამთრ-ალ-ი, ნა-ზამთრ-ევ-ი; ნა-სისხლ-ი, ნა-სისხლ-არ-ი; ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-ქალაქ-ევ-ი; ნა-ბაგ-არ-ი, ნა-ბაგ-ევ-ი; ნა-ფეხ-არ-ი, ნა-ფეხ-ურ-ი; ნა-ღამ-ევ-ი, ნა-ღამ-ურ-ი და სხვ.

III. 6.12. კნინობით-საალერსო სახელები. კნინობით სახელებს უწოდებენ იმ წარმოქმნილ სახელთა ჯგუფს, რომელიც გამოხატავს სიმცირის, ალერსის, დამცირების სემანტიკას. სიტყვაწარმოების სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, კნინობით-საალერსო სახელებში მაწარმობელი სიტყვას ლექსიკურ მნიშვნელობას კი არ უცვლის, არამედ ემოციურ-გამომსახველობით იერს აძლევს.

კნინობითი ფორმების წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გავრცელებული არ არის. სიმცირის სემანტიკა გამოიხატება ლექსიკურად (კნუტი, ლეკვი, ჩიჩქი, ჯუჯა და ა. შ.) ან აღწერით. ისეთი სახელები, როგორიცაა სახლი, ეზო, ბაღი, ხე, სკამი, მაგიდა და მრავალი სხვა, კნინობით ფორმებს ვერ აწარმოებენ და ამ საგნების სიმცირის გამოსახატავად ენა აღწერით წარმოებას მიმართავს: პატარა სახლი, პატარა ეზო, პატარა ბაღი და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ კნინობითი ფორმები სალიტერატურო ქართულში ისე გავრცელებული არ არის, როგორც, ვთქვათ, რუსულსა და გერმანულში, რაოდენობრივად მაინც ბევრი მაწარმოებელი გამოიყოფა, რომელთა ფუნქცია კნინობითობის გამოხატვაა. ესენია მარტივი სუფიქსები: **-ა, -აკ, -იკ, -ოკ, -უკ, -ან, -ინ, -ონ -უნ, -ალ, -ილ, -ატ, -ოტ, -უტ, -იც, -უც, -იჩ, -უჩ, -იჭ, -უჭ, -უხ** და მათი შეერთებით მიღებული რთული სუფიქსები.

მაწარმობელთა კომბინაციების მიხედვით კნინობით სახელებში გვაქვს ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი და სამსაფხურიანი წარმოება. ამ საფეხურების მიხედვით ეს მაწარმოებლები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ერთსაფეხურიანი	ორსაფეხურიანი	სამსაფეხურიანი
	-ი-ა (ძამ-ი-ა)	
	-ი-ო (წითლ-ი-ო)	
-აკ (წიგნ-აკ-ი)	-აკ-ა (თოფურ-აკ-ა)	-აკ-უნ-ა (ეშმ-აკ-უნ-ა)
-იკ(ბეს-იკ-ი)	-იკ-ა (მარ-იკ-ა)	-იკ-ონ-ა (დედ-იკ-ონ-ა)
		იკ-ან-ა (ჭორ-იკ-ან-ა)

		-იკ-უნ-ა (მამ-იკ-უნ-ა)
		-იკ-ელ-ა (ვარ-იკ-ელ-ა)
		-ოკ-ინ-ა (წვერ-ოკ-ინ-ა)
-უკ (ბუშტ-უკ-ი)	-უკ-ა (გლახ-უკ-ა)	-უკ-ან-ა (ვაჭრ-უკ-ან-ა)
		-უკ-უნ-ა (ვაჭრ-უკ-უნ-ა)
		-უკ-ელ-ა (ძარ-უკ-ელ-ა)
	-ან-ა (ყაჩაღ-ან-ა)	
	-ინ-ა (ცოტ-ინ-ა)	-ინ-იკ-ა (ცოტ-ინ-იკ-ა)
-უნ (თამ-უნ-ი)	-უნ-ა (ჩიტ-უნ-ა)	-უნ-ი-ა (თაგ-უნ-ი-ა)
		-უნ-ელ-ა (კარგ-უნ-ელ-ა)
		-უნ-იკ-ა (დათ-უნ-იკ-ა)
		-უნ-უკ-ა(ცოტ-უნ-უკ-ა)
	-ალ-ა (ჩუმ-ალ-ა)	
	-ელ-ა (გიორგ-ელ-ა)	
	-ილ-ა (მამა-ილ-ა)	
	-ილ-ო (დედ-ილ-ო)	
	-ულ-ა (კუნწ-ულ-ა)	
		-ოლ-ი-ა (ჩიტ-ოლ-ი-ა)
	-ურ-ა (გუბ-ურ-ა)	
	-ატ-ა (კოტ-ატ-ა)	
	-იტ-ა (ჩიჩქ-იტ-ა)	
-უტ (კაკ-უტ-ი)	-უტ-ა (ხაპ-უტ-ა)	-უტ-ან-ა (ჭუჭრ-უტ-ან-ა)
	-უქ-ა (ბუმბლ-უქ-ა)	
	-უჩ-ა (თიკნ-უჩ-ა)	-უჩ-უნ-ა (ყრ-უჩ-უნ-ა)
-უც(კეკლ-უც-ი)	-უც-ა (გოგ-უც-ა)	-უც-ან-ა (გოგ-უც-ან-ა)
		-უც-უნ-ა (გოგ-უც-უნ-ა)
	-ეწ-ა (კოპ-ეწ-ა)	
-აჭ (გორგოლ-აჭ-ი)		
		-აჭ-ინ-ა (კვარ-აჭ-ინ-ა)
		აჭ-ელ-ა (ფაფხ-აჭ-ელ-ა)
-ეჭ (ქერ-ეჭ-ი)		-ეჭ-ელ-ა (ქერქ-ეჭ-ელ-ა)
-იჭ (კოპ-იჭ-ი)	-იჭ-ა (კვიჭ-იჭ-ა)	
-უჭ (კა-უჭ-ი)		-უჭ-ან-ა (პარკ-უჭ-ან-ა)
-ოხ (გორ-ოხ-ი)		
-უხ (კინჭ-უხ-ი)		-უხ-ან-ა (ბებრ-უხ-ან-ა)
		-უხ-უნ-ა (ბებრ-უხ-უნ-ა)
-აჯ (ახტ-აჯ-ი)		
	-უჯ-ა (ახტა-უჯ-ა)	
-ა (ქალ-ა)		

უნდა აღინიშნოს, რომ ერთსაფეხურიანი წარმოების სახელებში კნინობითობის სუფიქსს (ა-ს გარდა) გადმონაშთის სახე აქვს და კნინობითობის გამოხატვის ფუნქცია აღარ გააჩნია. ორსაფეხურიანი და სამსაფეხურიანი წარმოების დროს რომელიმე სუფიქსს ემატება **-ა**, რომელიც კნინობითობის ძირითადი მაწარმოებელია და მისი დართვა დანარჩენ სუფიქსებზე სათანადო ემოციურ-გამომსახველობით იერს სძენს სიტყვას.

კნინობითობის გამომხატველ სუფიქსთაგან ზოგი მხოლოდ ერთ ფორმაშია დადასტურებული. წარმოქმნილ სახელთა უმეტესობა დიალექტურია და არ არის ფართოდ გავრცელებული. ბევრ შემთხვევაში მაწარმოებლის გამოყოფა მხოლოდ ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად ხერხდება. სუფიქსთა მრავალფეროვნების მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ კნინობითობა მრავალ სემანტიკურ ნიუანსს მოიცავს, სიმცირის გარდა გამოხატავს საალერსო ან დამცინავ დამოკიდებულებას. ამ ნიუანსურ განსხვავებებს ენა სხვადასხვა მაწარმოებლით გამოხატავს. გარდა ამისა, მაწარმოებელთა ეს სიმრავლე იმითაც არის გამოწვეული, რომ ხშირად ისინი ერთმანეთის ბგერწერული ნაირსახეობებია.

კნინობითობის წარმოების დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფუძის სემანტიკას. თუ ფუძის სემანტიკა სიმცირის გამოხატვას ვერ იგუებს, მასზე დართული კნინობითობის მაწარმოებელი დამცირებითი, დამცინავი დამოკიდებულების გამომხატველი ხდება: ბებერი — ბებრუხ-ან-ა, გლეხი — გლეხ-უჯ-ა, ყრუ — ყრ-უჩ-უნ-ა... ზოგჯერ მაწარმოებელი კნინობითობასთან ერთად მსგავსების ან რაიმე თვისების მქონებლობის გამომხატველიცაა, მაგ., ყბ-აჩ-ა (დიდი ყბების მქონე ადამიანი), ქალ-აჩ-უნ-ა (ქალის თვისებების მქონე ვაჟი), ყაჩაღ-ან-ა (მოფერებით ყოჩაღი და ცელქი გოგო)...

ზოგჯერ კნინობითობის მაწარმოებლის დართვა ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნის საფუძველია. ასეთია მაგალითად, წიგნ-აკ-ი, კბილ-ან-ა, ნაწილ-აკ-ი, პარკ-უჯ-ი, კა-უჯ-ი და ა. შ. ამ შესაძლებლობას ხშირად მიმართავენ ტექნიკური ტერმინების შესაქმნელად.

წარმოქმნილ სახელთა წარმოდგენილი ჯგუფები შინაარსობრივი, სემანტიკური თვალსაზრისით გამოყოფილი ჯგუფებია, რომლებიც შეიძლება კიდევ გამრავლდეს ან დაზუსტდეს.

დერივაციული აფიქსები ქართულში ამ შინაარსობრივად დაჯგუფებულ სახელთა მაწარმოებლებით არ ამოიწურება. ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენაა ბრუნვის ნიშნების, თანდებულების,

ზმნისართების, ნაწილაკების გამოყენება სიტყვაწარმოებითი ფუნქციით. ამავე დროს გვაქვს სხვა ენებიდან ნასესხები დერივატებიც.

III. 6.13. ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი სახელები. ქართულში ახალი ფუძის წარმოსაქმნელად შეიძლება გამოყენებულ იქნას რომელიმე ბრუნვის ნიშანი, კერძოდ, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. ბრუნვის ნიშნებია წარმოქმნის ელემენტად გამოყენებული შემდეგ სახელებში: შემთხვევ-ითი, უარყოფ-ით-ი, გულ-ად-ი, ფერ-ად-ი, პურ-ად-ი და სხვ... ზოგი ასეთი სახელი თანამედროვე სალიტერატურო ენაში ძველი ქართულიდან არის შემორჩენილი. ამავე დროს ამ ბრუნვის ნიშნების გამოყენება ახალ ფუძეთა საწარმოებლად ხშირია სამეცნიერო და ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. როგორც ცნობილია, ზოგი წარმოება უფრო პროდუქტიულია ტერმინოლოგიურ სისტემაში, ვიდრე სალიტერატურო ენაში. სწორედ ამგვარია მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნებით ახალ ფუძეთა წარმოება. მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით არის ნაწარმოები: ქვე-ით-ი, შედეგობ-ით-ი, მოცულობ-ით-ი და სხვ. განსაკუთრებით ბევრია საწყისზე **-ით** სუფიქსის დართვით მიღებული ტერმინები: დადებ-ით-ი, კითხვ-ით-ი, ჩვენებ-ით-ი, უარყოფ-ით-ი, მოქმედებ-ით-ი, გაცვლ-ით-ი, გაზომვ-ით-ი... ვითარებითი ბრუნვის **-ად** ნიშნის დართვით საწყისებზე მიიღება ტექნიკური ტერმინები: ააღებ-ად-ი, განმეორებ-ად-ი, დაშლ-ად-ი, კუმშვ-ად-ი, ტევ-ად-ი, ფეთქებ-ად-ი, ხსნ-ად-ი...

ისტორიულად წარმოქმნილ სახელებად შეიძლება მივიჩნიოთ ნაგენეტივარი გეოგრაფიული სახელები: ქუთა-ის-ი (ქუთათ-ის-ი), თბილ-ის-ი (ტფილ-ის-ი), ურბნ-ის-ი, მანგლ-ის-ი, მოწამ-ეთ-ა, ბერ-თ-ა და სხვა; თვეთა სახელწოდებები: მა-ის-ი, ივნ-ის-ი, ივლ-ის-ი და სხვა; აგრეთვე ზოგი ტერმინი: თვ-ის-ი, მამასახლ-ის-ი, მერმ-ის-ი და სხვა. თანამედროვე სალიტერატურო ენაში **-ის**, როგორც წარმოქმნის ელემენტი, არ გვხვდება, სამეცნიერო ტერმინოლოგიაში კი ხშირად გამოიყენება: თვალ-ის-ი, აფრ-ის-ი, უჯრედ-ის-ი, საფეხ-ის-ი...

III. 6.14. თანდებულებით ან თანდებულთან გათანაბრებული სიტყვებით და ნაწილაკებით წარმოქმნილი სახელები. ახალი ფუძის საწარმოებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას თანდებული ან თანდებულთან გათანაბრებული სხვა სიტყვა. ეს ფორმანტები დერივატებად იქცევიან და ზედსართავებს აწარმოებენ. ეს მოვლენა უფრო მკაფიოდ ძველ ქართულში იყო გამოხატული. ძველ ტექსტებში მაწარმოებლის

ფუნქციით გვხვდება: **-გან** (კაცთა-გან-ი, მთავართა-გან-ი...); **-თანა** (მის-თანა-ი, თვის-თანა-ი...); **-შინა** (ქალაქის-შინა-ი, ქუეყანის-შინა-ი...); **-კერძო** (ჩემ-კერძო-ი, მის-კერძო-ი...); **-მიერ** (ჩემ-მიერ-ი, ღმრთისა-მიერ-ი...); **-მიმართ** (კაცისა-მიმართ-ი, ღმრთისა-მიმართ-ი...); **-მომართ** (ჩემ-მომართ-ი, ჩუენ-მომართ-ი...); **-ებრ** (ღმრთე-ებრ-ი, კაცისა-ებრ-ი...); **-გამო** (წუერ-გამო-ი...); **-მდინ** (ერგასისწლა-მდინ-ი...) (ა. შანიძე, ზ. სრჯველაძე).

სახელთა წარმომქმნელ აფიქსთა ფუნქციით თანამედროვე ქართულში გვხვდება: **-გან, -ებრ, -ებრივ, -ებურ, -მიერ, -თანა, -ნაირ, -გვარ, -ჯერ, -მაგ, -კეც, -გზის.**

-გან დაერთის არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელების თანიანი მრავლობის ფორმებს ან ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს და გვიჩვენებს წარმომავლობას, მრავლიდან ერთს: კაცთა-გან-ი, მიზეზ-თა-გან-ი, ძველ-თა-გან-ი, სამ-თა-გან-ი, ჩვენ-გან-ი...

-ებრ დაერთვის არსებითი სახელის ან ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს და გამოხატავს მსგავსებას: ლომ-ის-ებრ-ი, შენ-ებრ-ი... **-ებრ** ერთვის უშუალოდ ფუძესაც: ლომ-ებრ-ი, კაც-ებრ-ი... ეს მაწარმოებელი ხშირად გამოიყენება ტერმინოლოგიაში: ბადის-ებრ-ი, აირის-ებრ-ი, ვარდის-ებრ-ნ-ი და სხვ.

-ებრ სუფიქსის გავრცობილი ვარიანტებია **-ებურ** და **-ებრივ** მაწარმოებლები. **-ებრ** სუფიქსი **-ურ-**ის გავლენით გადაკეთდა **-ებურ**-ად (ა. შანიძე). იგი დაერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ან უშუალოდ ფუძეს და გამოხატავს მსგავსებას: ლომის-ებურ-ი, თავის-ებურ-ი, ძველ-ებურ-ი, შენ-ებურ-ი... ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელებთან **-ებურ** წარმომავლობასაც გვიჩვენებს. ჩვენებური „ჩვენს მსგავსსაც“ გამოხატავს და „ჩვენი მხრისასაც“ (ა. შანიძე).

-ებრივ რთული სუფიქსია: **ებრ-ივ**. იგი დაერთვის სახელის ფუძეს და გამოხატავს საგნის ან მოვლენის დანიშნულება-რაგვარობას: საზოგადო-ებრივ-ი, გონ-ებრივ-ი, ჩვეულ-ებრივ-ი...

-მიერ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის და აღნიშნავს წარმომავლობას (შდრ. ძვ. ქართ. ქრისტეს-მიერ-ი), გამოიყენება უმეტესად ტერმინოლოგიაში: ბაგის-მიერ-ი, ცხვირის-მიერ-ი, ხორხის-მიერ-ი...

-თანა, -ნაირ, -გვარ დერივატები მსგავსების გამოსახატავად გამოიყენება არსებით სახელთა და ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართვით: კაც-ის-თანა, ამ-ის-თანა, დედ-ის-ნაირ-ი, თავ-ის-ნაირ-ი, ამ-გვარ-ი, იმ-გვარ-ი...

წარმოშობით -**თანა**-ს უკავშირებენ სპარსულ სიტყვას დანა „მარცვალი“, რომელიც შეიძლებოდა მსგავსების აღსანიშნად ყოფილიყო გამოყენებული (ა. შანიძე), ხოლო **-ნაირ** სუფიქსს უკავშირებენ არაბულ სიტყვას ნაზირ (=შესახედავი, მსგავსი) (ა. შანიძე).

-ჯერ, -მაგ, -კეც, -გზის ზმნიზედური წარმოშობის მაწარმოებლებია, რიცხვით სახელებთან გვხვდება და ჯერადობის გამოსახატავად გამოიყენება: მრავალ-ჯერ-ი, ათ-მაგ-ი, შვიდ-კეც-ი, მრავალ-გზის-ი...

ხშირად სიტყვაწარმოებითი ფუნქციით გამოიყენება **არა** ნაწილაკმორფემოიდი, რომელიც უარყოფა-უქონლობის გამოსახატავად დაერთვის სახელს. ამ დანიშნულებით **არა** გვხვდება ძველ ქართულში (არა-არს-ი, არა-ჟამ-ი, არა-ღირს-ი, არა-წმიდა და სხვ.), თუმცა იგი ხშირად არ გამოიყენება, თანამედროვე ქართულში კი საკმაოდ გავრცელებულია. **არა-** დაერთვის არსებით სახელებს (არაკაცი), რიცხვით სახელებს (არაერთი), ზედსართავებს (არაზუსტი, არასრული, არასწორი...), ნაწარმობ სახელებსა და მიმღეობებს (არაადამიანური, არაამქვეყნიური, არაგონივრული, არანორმალური, არაორგანიზებული და სხვ.).

III. 6.15. უცხო აფიქსიანი სახელები. ქართულ წარმოქმნილ სახელთა განხილვისას ცალკე უნდა გამოიყოს ის სახელები, რომლებიც სხვა ენიდან ნასესხები აფიქსებით არის ნაწარმოები. როგორც ცნობილია, უცხო წარმოშობის აფიქსი ნასესხებად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როცა იგი დამოუკიდებლად არის გამოყენებული ფუძის საწარმოებლად. ასეთი შემთხვევები ქართულში ცოტაა. სიტყვების სესხება ადვილად ხერხდება, რამდენადაც ენის ლექსიკური ფონდის ელემენტთა რაოდენობა შეუზღუდავია და მათ შორის ურთიერთკავშირი სუსტია, მორფოლოგიური ელემენტები და სიტყვაწარმოქმნის მექანიზმები კი მყარია და ამდენად აფიქსთა სესხება იშვიათია.

აფიქსის სესხება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, უცხო ენის ინტენსიური მოძალების პირობებში შეიძლება მოხდეს: როდესაც ენაში დიდი რაოდენობით არის შემოსული ერთი და იგივე ფუძე და როდესაც ერთი და იგივე აფიქსი მრავალჯერ მეორდება სხვადასხვა ფუძეში. მხოლოდ ასეთ ვითარებაში არის დასაშვები, გაუჩნდეთ მოლაპარაკეებს სათანადო უცხო სიტყვათა მორფოლოგიური ანალიზის შესაძლებლობა (ბ. ფოჩხუა).

ჩვეულებრივ, უცხო წარმომავლობის ფუძეები მათზე დართულ აფიქსებთან ერთად ქართული ენის გრამატიკის თვალსაზრისით დაუნაწევრებელ ერთეულებს წარმოადგენს. ქართულად მოლაპარაკეთათვის

გაცნობიერებულიც რომ იყოს ამა თუ იმ ელემენტის აფიქსურობა, თუ მას ახალი ფუძეების საწარმოებლად არ იყენებენ, ნასესხობაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

დიდი რაოდენობით გვხვდება უცხო წარმომავლობის ფუძეები ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში. მათში გამოყენებულია: ლათინურში ხელობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი **-ანტ**: დოქტორ-ანტ-ი, პრაქტიკ-ანტ-ი, კონსულტ-ანტ-ი...; ლათინურიდანვე მომდინარე პროფესიის აღმნიშვნელი **-ორ**: რევიზ-ორ-ი, დირექტ-ორ-ი...; ძველი ბერძნული **-იკა** სუფიქსი, რომელიც აღნიშნავს მეცნიერების, ხელოვნების დარგს: სტილსტ-იკა, პოეტ-იკა, ლირ-იკა, ჟურნალისტ-იკა...; ძველი ბერძნული **-ოიდ**, რომელიც რაიმე თვისების მქონებლობას, რაიმესთან მსგავსებას გამოხატავს: მორფემ-ოიდ-ი, ჰუმან-ოიდ-ი და მრავალი სხვ.

ბევრი სხვადასხვა აფიქსით გაფორმებული ფუძე გვხვდება სამედიცინო ტერმინოლოგიაში, ქიმიურ ნივთიერებათა სახელებში, მაგრამ ეს აფიქსები ნასესხებად ვერ ჩაითვლება, რადგან დამოუკიდებელ მაწარმოებლად ქართულ ფუძეებთან არ გვხვდება.

როგორც ბ. ფოჩხუა აღნიშნავს, ოთხასზე მეტი სიტყვაა საერთო-სალიტერატურო ქართულში ისეთი, რომელსაც დაბოლოებად **-აცია** აქვს (ნუმერაცია, პუნქტუაცია, რეგისტრაცია, ფედერაცია...) და არცერთი მათგანი არ არის ქართულად ნაწარმოები, ე. ი. არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს ისეთი, რომ სიტყვა მთლიანად (ამ დაბოლოებიანად) კი არ იყოს ნასესხები, არამედ მხოლოდ ეს **-აცია** ერთვოდეს ქართულ ფუძეს.

მათგან განსხვავებით გვაქვს უცხო წარმოშობის აფიქსები და აფიქსოიდები, რომლებიც ქართულ ფუძეებთანაც გამოიყენება ანუ ხდება აფიქსის სესხება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია რამდენიმე აფიქსი, რომლებიც სპარსული ენიდან შემოვიდა და რამდენადმე მაწარმოებლის ძალა შეიძინა ქართულშიც. ესენია: დანიშნულების გამომხატველი **-დან** (ჩაიდანი, ყავადანი...) იმავე ფუნქციის **-ხანა** (ჩაიხანა, ყავახანა...) და პროფესიის მაწარმოებელი **-დარ** (დახლიდარი, ხაზინადარი).

-დან იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც **სა—ე**, **სა—ო**. ჩაი-დან-ი, ყავა-დან-ის გვერდით გვაქვს სა-ჩაი-ე, სა-ყავ-ე. *ყავადანი* თითქმის აღარ გამოიყენება თანამედროვე მეტყველებაში, მის ნაცვლად *საყავეს* პარალელურად გვხვდება უხო წარმოშობის სიტყვა *ჯეზვე*. რაც შეეხება *ჩაიდანს*, იგი ნიშნავს როგორც *ჩაის დასაყენებელ ჭურჭელს*, ისე *საერ-*

თოდ ჰურჰელს წყლის ასადუღებლად. შეიძლება ითქვას, **-დან** აფიქსი დღეს უკვე მაწარმოებლად აღარ აღიქმება.

-ხანა მაწარმოებლიანი სახელები ნაშთის სახით არის შემორჩენილი: ზარაფხანა, ქარხანა... ეს მაწარმოებელი ზოგ ძირს ქართულშიც დაერთო (ლუდხანა), თუმცა ახალ სახელებთან მისი გამოყენება ირონიული ელფერის მატარებელია. იგივე შეიძლება ითქვას **-დარ** მაწარმოებელთან დაკავშირებითაც.

უცხო წარმოშობის მაწარმოებლები, რომლებიც უმეტესად რუსულის ან რომელიმე ევროპული ენის საშუალებით არის შემოსული ქართულში, გვხვდება ქართულ ფუძეებთანაც. ესენია: **-იზმ, -ისტ, პრა-/პრე-, პრო-...**

-იზმ ძველი ბერძნული სუფიქსია, აღნიშნავს: ა) მოძღვრებას, მიმდინარეობას რომელიმე პიროვნების სახელის, რაიმე დებულების, პრინციპის მიხედვით: ბუდ-იზმ-ი, დარვინ-იზმ-ი, მონარქ-იზმ-ი, ტერორ-იზმ-ი, ბიჰევიორ-იზმ-ი...; ბ) რაიმე განმსაზღვრელი, დამახასიათებელი ნიშნის მქონებლობას: ლიბერალ-იზმ-ი, ფორმალ-იზმ-ი, პატრიოტ-იზმ-ი, ცინ-იზმ-ი, კომ-იზმ-ი... ამ ფუნქციით იგი ქართულ **-ობა** სუფიქსს უდრის (შდრ. ლიბერალ-ობა, ფორმალ-ობა, პატრიოტ-ობა...). ეს მაწარმოებელი ქართულ ფუძეებთანაც გვხვდება: იმერ-იზმ-ი (იმერული კილოს დამახასიათებლი ენობივი მოლენა სალიტერატურო ქართულში), ზვიად-იზმ-ი (ამ სახელს ირონიული ელფერი აქვს)...

-ისტ წარმოშობით ძველი ბერძნული სუფიქსია, გამოხატავს რომელიმე მოძღვრების, მიმდინარეობის მიმდევარს: ბუდ-ისტ-ი, დარვინ-ისტ-ი, მონარქ-ისტ-ი, ტერორ-ისტ-ი..., გამოიყენება აგრეთვე პროფესიის, ხელობის აღმნიშვნელ სახელებში: სპეციალ-ისტ-ი, ტრაქტორ-ისტ-ი, ტანკ-ისტ-ი, ფელეტონ-ისტ-ი... ისევე, როგორც **-იზმ** სუფიქსი, **-ისტ**-იც გამოიყენება ქართულ ფუძეებთან: კუჭ-ისტ-ი, ჭამ-ისტ-ი, არყ-ისტ-ი... ეს სახელები ძირითადად სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება და ირონიის გამომხატველია.

პრა-/პრე- პრეფიქსი ლათინურია და რაიმეს უწინარესობას, წინამორბედობას აღნიშნავს: პრე-ფიქსი, პრე-ამბულა... ამ მაწარმოებლით დამოუკიდებლად არის ნაწარმოები: პრა-გერმანული... ამავე ფუნქციით გვხვდება მეორე ლათინური პრეფიქსი **პრო-**, რომელიც ასევე აღნიშნავს რაიმე მოძღვრების მიმდევარს, მომხრეს, ვისიმე მაგიერს... იგი აწარმოებს სახელებს: პრო-აფხაზური, პრო-ქართული...

III. 6.16. აფიქსოიდების საშუალებით წარმოქმნილი სახელები. უცხო წარმომავლობის აფიქსებთან ერთად ტერმინოლოგიურ სისტემაში მეტად პროდუქტიულია ახალი ტერმინების წარმოქმნა უცხო წარმოშობის აფიქსოიდების საშუალებით. აფიქსოიდებად მიიჩნევენ იმ სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდა (და ზოგ შემთხვევაში კიდევ აქვს შერჩენილი), მაგრამ დროთა განმავლობაში დამოუკიდებლობა დაუკარგავს და სიტყვის მაწარმოებელი აფიქსის ფუნქცია მიუღია.

აფიქსოიდების საშუალებით სიტყვათა წარმოქმნა მხოლოდ ტერმინოლოგიური სისტემისთვის არის დამახასიათებელი და არა საერთო სალიტერატურო ენისათვის. საზოგადოდ, მეცნიერების ენის სიტყვათა შედგენის წესები მთლიანად დამყარებულია სალიტერატურო ენის სისტემაზე, მის გრამატიკულ საშუალებებზე, აფიქსოიდების საშუალებით შექმნილი მოდელები კი განასხვავებს ტერმინოლოგიურ სისტემას საერთო სალიტერატურო ენის განვითარების საერთო გზისაგან (რ. ღამბაშიძე).

ტერმინთა შესაქმნელად გამოყენებული აფიქსოიდები, რომლებიც წარმოშობით ძირითადად ბერძნულ-ლათინურია, საერთაშორისო ენობრივ მასალადაა ქცეული და თითქმის ყველა ენაშია გამოყენებული, ამიტომ მათ საერთაშორისო ტერმინელემენტებს ანუ საერთაშორისო აფიქსოიდებს უწოდებენ. ასეთებია პრეფიქსოიდები: ანტი- (ანტიპათია, ანტივირუსი...), სუპერ- (სუპერ-მენი, სუპერ-მარკეტი), მაკრო- (მაკრო-სტრუქტურა, მაკრო-კოსმოსი...), მიკრო- (მიკრო-ეკონომიკა, მიკრო-კლიმატი...), მონო- (მონო-გრაფია, მონო-ლითი...), კვაზი- (კვაზი-სტატიკური, კვაზი-ოპტიკური...), კონტრ- (კონტრ-არგუმენტი, კონტრ-რევოლუცია...), პოლი- (პოლი-გლოტი, პოლი-ფონია...), სუბ- (სუბსტანდარტი...), პოსტ- (პოსტსკრიპტუმი, პოსტპოზიცია), ულტრა- (ულტრა-რეაქციული...) და სხვ.; სუფიქსოიდები: -გრაფი (ანემო-გრაფი, ჰელიო-გრაფი...), -სკოპი (ოსცილო-სკოპი, ფონენდო-სკოპი...), -მეტრი (ფსიქო-მეტრი, ალტი-მეტრი...), -ლოგია (ეკო-ლოგია, ორნითო-ლოგია...), -ფონი (მაგნიტო-ფონი, ფოტო-ფონი...) და სხვ.

ეს აფიქსოიდები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერმინოლოგიურ სისტემაში არის გაჩენილი და შემდგომში დამკვიდრებული ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემაში. ისინი ახალ სახელთა წამოსაქმნელად გამოიყენება საკუთრივ ქართულ ფუძეებთანაც: ანტი-სახელმწიფოებრივი, ანტი-ხალხური, მაკრო-სამყარო, მიკრო-სესხი, მიკრო-მარცვლოვანი, მონო-ბარათი, კვაზი-მეცნიერული, კვაზი-ეროვნული, კონტრ-შეტევა,

კონტრ-შეკითხვა, პოსტ-საბჭოთა, სუბ-შენაერთი, ულტრა-ბგერა, ულტრა-იისფერი და სხვ. მათგან ზოგი მეტად აქტიურია, ზოგი — ნაკლებად. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია ლათინური წარმოშობის აფიქსოიდი სუპე-, რომელიც აღნიშნავს აღმატებით ხარისხს. ეს მაწარმოებელი ინგლისურის გავლენით სულ უფრო ხშირად გამოიყენება (სუპერ-სახელმწიფო, სუპერ-თასი...) და — არა მარტო ტერმინოლოგიაში. განსაკუთრებით აქტიურად მიმართავენ მას სასაუბრო მეტყველებაში. იგი გვხვდება როგორც სახელის ფუძესთან, ისე საწყისთან და მიმღეობასთან: სუპერსაჩუქარი, სუპერსკოლა, სუპერბილეთი, სუპერმანქანა, სუპერმოთხილამურე, სუპერმომხმარებელი, სუპერშეიარაღება, სუპერგათამაშება... ასეთი ფორმების მომრავლება სასაუბრო მეტყველებაში უცხო სიტყვებით გატაცების შედეგია.

საერთაშორისო აფიქსოიდების გვერდით ხშირად გამოიყენება მათი ქართული ეკვივალენტები. საზოგადოდ, საერთაშორისო აფიქსოიდების თარგმნა მიღებული ხერხია სხვადასხვა ენის ტერმინოლოგიურ სისტემაში. საერთაშორისო თუ რუსული აფიქსოიდების ქართული ეკვივალენტები ძირითადად დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე მორფემებია: გადამეტ- (გადამეტ-ნაჯერი, გადამეტ-გრეხა...), კმა- (კმა-დატენიანება, კმა-მჟანგავი...), თბო- (თბო-მავალი, თბო-სადენი...), -ბადი (ჟანგ-ბადი, ნახშირ-ბადი...), -ნაგი (ფიცარ-ნაგი, შუა-ნაგი...) და სხვ. გვხვდება სრულმნიშვნელობიანი სიტყვებიც, რომლებიც აფიქსოიდების როლს ასრულებენ: დაბალ- (დაბალძაბვიანი, დაბალტემპერატურული...), მაღალ- (მაღალ-წნევიანი, მაღალ-აქტიური...), წვრილ- (წვრილ-მასშტაბიანი, წვრილ-ძარღვი...), -გამტარი (წყალ-გამტარი, ცეცხლ-გამტარი...), -შორისი (ღერძთ-შორისი, ფაზათ-შორისი...) და სხვ. ამ აფიქსოიდებით შექმნილი ზოგი დერივაციული მოდელი არ არის მოხერხებული, ხელოვნურია და ვერც იკიდებს ფეხს ენაში (მაგ., გადამეტ-), ზოგი კი საკმაოდ პროდუქტიულია და სულ უფრო იფართოებს ხმარების არეს.

აფიქსოიდებით ნაწარმოებ სიტყვებს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა, ზოგი მათ რთულ სიტყვებად თვლის, ზოგი კი — ნაწარმოებ სიტყვებად, რამდენადაც ამგვარ სიტყვათა შემადგენლ ერთ-ერთ ნაწილს დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და რეგულარულად გამოიყენება როგორც ყალიბი სხვა დერივატების საწარმოებლად, ზოგი მკვლევარის აზრით კი, აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები ერთგვარად გარდამავალ ჯგუფს ქმნიან რთულსა და ნაწარმოებ სიტყვებს შორის (რ. ღამბაშიძე).

III. 6.17. სიტყვაწაროებასთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებები. სიტყვაწარმოებისას პირველად ანუ ძირეულ ფუძეზე აფიქსების დართვას ახლავს სათანადო ფონეტიკური ცვლილებები ფუძეში. ამავე დროს სახელთა წარმოქმნისას ზოგჯერ ფუძეში ისეთი ფონეტიკური ცვლილებები ხდება, როგორიც ბრუნებისას ან მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელთა დართვისას არ აღინიშნება.

სახელთა წარმომქმნელი აფიქსების გავლენით ფუძისეული ხმოვანი რედუცირდება, იკუმშება ა და ე ხმოვნები. მარედუცირებელია თითქმის ყველა სუფიქსი და პრეფიქს-სუფიქსი, რომლებიც სახელთა წარმოქმნაში მონაწილეობს: **-იან** (ქამრ-იან-ი, შარვლ-იან-ი, მარცვლ-იან-ი), **-ოსან** (კალმ-ოსან-ი, ნიჩბ-ოსან-ი), -**ოვან** (ეკლ-ოვან-ი, მაყვლ-ოვან-ი), **-იერ** (ძლ-იერ-ი, ხნ-იერ-ი), **-ელ** (სოფლ-ელ-ი), **-ურ** (სოფლ-ურ-ი), **-ეულ** (ბოსტნ-ეულ-ი, სნ-ეულ-ი), **-ეთ** (მოუსავლ-ეთ-ი), **-ობა** (ვაჭრ-ობა, მეზობლ-ობა), **-ნარ** (წიფლ-ნარ-ი), **უ—ო** (უ-ხერხემლ-ო, უ-ღრუბლ-ო), **სა—ო** (სა-პატარძლ-ო), **სა—ე** (სა-ბოსტნ-ე, სა-წვნ-ე), **უ—ეს** (უ-დაბლ-ეს-ი, უ-მაგრ-ეს-ი), **ნა—არ** (ნა-ზამთრ-ალ-ი) და სხვა; გვხვდება **ო** ხმოვნის რედუქციაც: ფოთლ-იან-ი, უ-ფოთლ-ო, უ-საპნ-ო, სა-საპნ-ე... ი შვიათად რედუცირდება **უ** და **ი** ხმოვნებიც: უ-პატივცემლ-ო, უ-მცრ-ოს-ი, მო-მცრ-ო. უ და ი ხმოვნის რედუქცია, როგორც ცნობილია, ფუძეზე ბრუნვის ან რიცხვის ნიშნების დართვის დროს არ ხდება.

ფუძეზე მაწარმოებელთა დართვისას, ისევე როგორც ფორმაწარმომქმნელი მორფემების დართვისას, ფუძისეული ო ან უ ხმოვნის ადგილას ზოგჯერ ჩნდება ვ თანხმოვანი: მინდვრ-იან-ი, ჭკვ-იანი, უ-ნიგვზ-ო, უ-ნივრ-ო...

როგორც ცნობილია, პრეფიქსი ვერ იწვევს ფუძისეული ხმოვნის რედუქციას (ა. შანიძე), თუმცა გვაქვს ზოგი ოდენ პრეფიქსით ნაწარმოები ფუძე, რომლებშიც ფუძისეული ხმოვანი დაკარგულია: ნა-ავდრ-ი, ნა-წამლ-ი... ამ შემთხვევაში, ზოგი მკვლევარის ვარაუდით, ფუძისეული ხმოვანი პრეფიქსის გავლენით რედუცირდება (გ. გოგოლაშვილი), ზოგი მკვლევარის აზრით კი ამ სახელებში იმავე ფუძისაგან კონფიქსით ნაწარმოები სახელების (ნა-ავდრ-ალ-ი, სა-წამლ-ავ-ი) შეკუმშული ფუძე უცვლელად გადავიდა (მ. ტუსკია).

ჩვეულებრივ, ა და ე ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები სახელთა წარმომქმნელი აფიქსების დართვისას იკვეცება: კაბ-იან-ი, ტყ-იან-ი, რქ-ოსან-ი, მწვან-ოსან-ი, ფრთ-ოვან-ი, კლდ-ოვან-ი, მიწ-იერ-ი, სახ-იერ-ი, მამაპაპ-ეულ-ი, ძმ-ობა, მუხ-ნარ-ი, მო-მწვან-ო, უ-მამ-ო, უ-სახ-ო...

იშვიათად ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი შენარჩუნებულია: ძე-ობა, მხნე-ობა, მდელო-იან-ი, სოკო-იან-ი, მე-ზღვა-ურ-ი, უ-სუფთა-ო, უ-ბინა-ო, უ-ტყე-ო, უ-მზე-ო...

ზოგ ე-სა და ო-ზე დაბოლოებულ ფუძესა და მაწარმოებელ სუფიქსს შორის ჩნდება ხმოვანთგამყარი ვ: მე-რძე-ვ-ე, მე-წინა-ვ-ე, სა-რძე-ვ-ე, სა-ეზო-ვ-ე, სი-მარტო-ვ-ე, სი-მხნე-ვ-ე, ნა-აბანო-ვ-არ-ი...

ზოგჯერ მაწარმოებლის დართვასთან ერთად ფუძეში ჩნდება ნ ან რ თანხმოვანი: ბედ-ნ-იერ-ი, გემ-რ-იელ-ი, ხვავ-რ-იელ-ი, სა-წუთ-რ-ო... ეს თანხმოვნები ნაშთი უნდა იყოს იმ სუფიქსებისა, რომლებიც ფუძეს ერთვოდა და რედუცირდა სხვა სუფიქსის დართვის შედეგად, ნაშთის სახით კი დაგვრჩა მათი თანხმოვნითი ნაწილი (ი. იმნაიშვილი, გ. ბურჭულაძე, მ. ტუსკია...).

სიტყვაწარმოების დროს ფონეტიკური პროცესების (ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისის) შედეგად ფუძის გარდა აფიქსებიც იცვლებიან. ეს სახეცვლილი ვარიანტები წარმოდგენილი იყო წარმოქმნილი სახელების შინაარსობრივი ჯგუფების განხილვისას.

თავი VII. კომპოზიტი

III. 7. ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოსაქმნელად ფართოდ გამოიყენება კომპოზიცია ანუ თხზვა, რაც გულისხმობს ორი ან მეტი ფუძის (ან სიტყვის) შეერთებას. თუ დერივაციის დროს ახალი ლექსიკური ერთეულები წარმოიქმნება დერივაციული, მნიშვნელობის მცვლელი, აფიქსების დართვით, კომპოზიციის დროს ახალი ფუძეები იქმნება დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების შეერთებით. მათი შერწყმის შედეგად ვიღებთ რთულ სიტყვას ანუ **კომპოზიტს**. კომპოზიციას მიაკუთვნებენ აგრეთვე სახელის ფუძის განმეორებას ანუ რედუპლიკაციას. ასე რომ, შედგენილობის მიხედვით გვაქვს:

1. კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია **ფუძის გაორკეცებით ანუ რედუპლიკაციით:** თავთავი, დროდადრო, კარიკარ, ორ-ორი...;

2. კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია **ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის (ან სიტყვის) შეერთებით:** დედ-მამა, ხელმოკლე, ოცდასამი, მზეთუნახავი, ჭირისუფალი, ხელფეხშეკრული...

შინაარსობრივი თვალსაზრისით ზოგი კომპოზიტის მნიშვნელობა უდრის მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს და **ორ ან მეტ ცნებას** მოიცავს (ცოლ-ქმარი, მთა-ბარი, წითელ-ყვითელი, ორი-სამი, ქართლ-კახეთ-იმერეთი...), ზოგი რთული სიტყვა კი სემანტიკურ მთლიანობად არის ქცეული, **ერთცნებიანია**, მისი შემადგენელი ფუძეების დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაჩრდილულია (ცისარტყელა, ცისკარი, ქინძისთავი, ხელმოკლე, გულხელდაკრეფილი...). იშვიათად გვხვდება ისეთი კომპოზიტებიც, რომლებიც ერთ შემთხვევაში ერთცნებიანია, სხვა შემთხვევაში კი — ორცნებიანი; მაგ., **ხარკამეჩი** ერთ შემთხვევაში ერთმნიშვნელობიანია და ნიშნავს „მამალ კამეჩს“, მეორე შემთხვევაში კი ორცნებიანია (ხარ-კამეჩი) და ნიშნავს „ხარსა და კამეჩს“.

ორცნებიანი კომპოზიტის შემადგენელ კომპონენტებს შენარჩუნებული აქვთ თავ-თავისი მნიშვნელობა, მათ შორის შეიძლება დაისვას **და** კავშირი. ასეთი კომპოზიტები დეფისით იწერება. ერთცნებიან კომპოზიტში შემავალ წევრებს შორის კი **და** კავშირი არ იგულისხმება. ისინი დეფისის გარეშე იწერება.

კომპოზიტების შემადგენელ კომპონენტებად სხვადასხვა მეტყველების ნაწილი გვხვდება. გვაქვს **სუბსტანტიური** კომპოზიტები: არსებითი სახელი + არსებითი სახელი (მამა-პაპა, ნავსადგური...), **ადიექტიური:** ზედსართავი + ზედსართავი (შავ-თეთრი, ალალ-მართალი...), **ნუმერალური:** რიცხვითი სახელი + რიცხვითი სახელი (ერთი-ორი, ორმოცდაათი, ასერთი...), **სუბსტანტიურ-ადიექტიური:** არსებითი + ზედსართავი ან ზედსართავი + არსებითი (გულკეთილი, ხელმოკლე, დიდგული, წითელკაბა...), **სუბსტანტიურ-პარტიციპიული:** არსებითი სახელი + მიმღეობა (გულგატეხილი, წყალწაღებული...), **ადვერბიალურ-სუბსტანტიური: ზმნისართი + არსებითი (ზედაპირი, ზეკაცი...), ადვერბიალურ-პარტიციპიული** (ზედგამოჭრილი) და სხვ.

კომპონენტების ცვლილების მიხედვით კომპოზიტი შესაძლებელია იყოს **ფუძეუცვლელი** ან **ფუძეცვლილი**. შერწყმის შედეგად, მორფონოლოგიური და ფონოლოგიური სტრუქტურების ურთიერთგავლენით, კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები იცვლება და ხშირად ეტიმოლოგიური ძიების გარეშე გაურკვეველია ასეთი სიტყვების კომპონენტური შედგენილობა: თაყვანისცემა < თავ-ყანის-ცემა, ჭიშკარი < ბჭის-კარი, წისქვილი < წყლის-ფქვილი, ცამეტი < ათ-სამ-მეტი, პატარძალი < პატარა რძალი და ა. შ.

III. 7.1. რედუპლიკაციით მიღებული კომპოზიტები. რედუპლიკაცია კომპოზიტის შექმნის ერთ-ერთი გავრცელებული გზაა. გაორკეცებულია: 1) სიტყვის ფუძე (თავთავი, ერთ-ერთი...) ან 2) დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე მარცვალი, რომელიც გაორმაგების შედეგად იქცევა ლექსიკურ ერთეულად (ლაქლაქი, ლუღლუღი...).

რედუპლიკაციის დროს კომპოზიტში შემავალ კომპონენტთა დაკავშირება სხვადასხვაგვარია:

ა) მარტივია დაკავშირება, როცა არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელთა ფუძე, ზმნისართი ან შორისდებული მეორდება და შედეგად ვიღებთ სახელს ან ზმნისართს. ასეთი კომპოზიტები ერთცნებიანიც არის და ორცნებიანიც: თვალთვალ-ი (თვალ-თვალ-ი), მაღალ-მაღალი, ორ-ორი, ტყე-ტყე, გვიან-გვიან, ვიშვიში (ვიშ-ვიშ-ი)... მარტივი ფუძის გარდა, შესაძლებელია გაორმაგებული იყოს ნაწარმოები ფუძე (მქონებლობის -ა სუფიქსიანი): ქონაქონა (ქონ-ა-ქონ-ა).

ზოგჯერ ფუძე მეორდება, მაგრამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი (იშვიათად — ორივე) რომელიმე ბრუნვის ფორმით არის წარმო-

დგენილი: პირისპირ (პირ-ის-პირ), ერთადერთი (ერთ-ად-ერთ-ი), ერთმანეთი (<ერთ-მან-ერთ-ი), კარიკარ (<კარ-ით-კარ), თავისთავად (თავ-ის-თავ-ად)...

მარტივი დაკავშირება გვაქვს აგრეთვე, როცა გამეორებულია ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე მარცვლები: ბუტბუტი, კაშკაში, კისკისი, ხითხითი, ციმციმი...

ბ) კომპონენტები შეერთებულია **და** კავშირის გამოყენებით, როცა გამეორებულია არსებითი სახელის ფუძე, ზმნისართი ან თანდებული: დროდადრო, კარდაკარ, კვალდაკვალ, ხანდახან, წინდაწინ, მაინცდამაინც, თანდათან...

რედუპლიკაციის დროს ზოგჯერ ფუძე უცვლელია, ზოგჯერ კი მომხდარია ფონეტიკური ცვლილება. ეს ცვლილებები შემდეგი სახისაა:

ა) კომპოზიტის შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტში დაკარგულია თანხმოვანი: პაწაწა (< პაწ-პაწა), გოგორა (< გორგორა), ბებერი (< ბერ-ბერი), კო-კორი (< კორ-კორი)...

ბ) კომპოზიტის მეორე წევრს დაერთვის თანხმოვანი: ალთაბალთა (<ალთა-ბალთა), არემარე (<არე-მარე), ოღროჩოღრო (<ოღრო-ჩოღრო)...

გ) კომპოზიტის შემადგენელ მეორე კომპონენტში შეცვლილია თანხმოვანი: წანწალი (< წან-წალ-ი), ჩურჩული (< ჩურ-ჩულ-ი), წარამარა (< წარა-მარა)...

დ) შეცვლილია კომპოზიტის მეორე წევრის თავკიდური მარცვალი: კუჭმაჭი (< კუჭ-მაჭ-ი), ქოხმახი (< ქოხ-მახ-ი)...

ე) კომპოზიტის ერთ-ერთ კომპონენტში შეცვლილია ხმოვანი: აბდა-უბდა, დაგა-დუგი, სხაპა-სხუპით, ერთ-ურთი, ურთი-ერთი, ხევ-ხუვი, ბინდ-ბუნდი, რიჟ-რაჟი...

ვ) კომპოზიტის მეორე წევრს ეცვლება ხმოვანი და დაერთვის თანხმოვანი: ალა-ბულა.

III. 7.2. ორი (ან რამდენიმე) სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული კომპოზიტები. ფუძეგანსხვავებული კომპოზიტები სხვადასხვა ფუძის (სიტყვის) შერწყმით არის მიღებული. გამოიყოფა **და** კავშირიანი და უკავშიროდ წარმოქმნილი კომპოზიტები.

და კავშირით შეერთებული განსხვავებული ფუძის კომპოზიტები ცოტაა. ასეთია ძირითადად რიცხვითი სახელები: ოცდაერთი, ორმოცდაექვსი, სამოცდაათი და სხვ. ი შვიათად გვაქვს **და** კავშირით შეერთებული არსებით სახელთა ფუძეები ან ზმნისწინები: დღედაღამ, მიდამო...

უკავშირო განსხვავებულფუძიანი კომპოზიტები სხვადასხვაგვარია:

ა) შეერთებულია ერთი ტიპის ფუძეები, რომელთა შორის იგულისხმება **და** კავშირი და, ამდენად, ეს კომპოზიტები ორცნებიანია (და-ძმა, დიდ-პატარა, დაგლეჯილ-დაფლეთილი, კვლევა-ძიება...);

ბ) შეერთებულია მსაზღვრელსაზღვრულის ტიპის სახელები, რომელთა შორის **და** კავშირი არ ივარაუდება და ეს კომპოზიტები ერთცნებიანია. ასეთი რთული სახელები ყველაზე მეტია.

III. 7.3. სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული ორცნებიანი კომპოზიტები. ორცნებიანი კომპოზიტები საკმაოდ ბევრია (გვხვდება ორზე მეტცნებიანი კომპოზიტებიც). მათი შემადგენელი კომპონენტები, მეტყველების ნაწილების მხრივ, ერთი და იგივეა. ამ ტიპის კომპოზიტებში ჩვეულებრივ ერთიანდება:

ა)სინონიმური ფუძეები: ძალ-ღონე, ალალ-მართალ-ი, ღარიბ-ღატაკ-ი, კვლევა-ძიება...

ბ)საწინააღმდეგო შინაარსის ფუძეები: დღე-ღამე, მიწა-წყალ-ი, უფროს-უმცროს-ი, შავ-თეთრ-ი...

გ) რაიმე ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებული სახელები: დედ-მამა, სახნავ-სათეს-ი, სიტყვა-პასუხ-ი, ქვრივ-ობოლ-ი... ამ ტიპისაა გეოგრაფიული სახელები: ქართლ-კახეთ-ი, ტაო-კლარჯეთ-ი, გურია-სამეგრელო... აქვე შემოდის მასდარებისა და მიმღეობებისაგან შედგენილი კომპოზიტები: მისვლა-მოსვლა, მიწერ-მოწერა, ამვლელ-ჩამვლელ-ი, წასულ-წამოსულ-ი... ეს უკანასკნელები, ჩვეულებრივ, საპირისპირო მიმართულების პრევერბებით ნაწარმოები ფორმებით არის შედგენილი.

ამ ტიპის კომპოზიტები ჩვეულებრივ ორი ფუძისაგან არის შედგენილი, იშვიათად გვხვდება ორზე მეტი ფუძე: ქართლ-კახეთ-იმერეთ-ი, რძალ-მულ-დედამთილ-ი და სხვ.

III. 7.4. სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული ერთცნებიანი კომპოზიტები. სხვადასხვა ტიპის ფუძეებისაგან შემდგარი ერთცნებიანი კომპოზიტები ყველაზე მეტია. ასეთი კომპოზიტების შემადგენელი კომპონენტები მეტყველების ნაწილების მხრივ ერთი და იგივეა ან სხვადასხვა, თავად კომპოზიტი კი **არსებითი სახელია** ან **ზედსართავი.**

სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული ერთცნებიანი კომპოზიტები, რომლებიც არსებითი სახელებია, შემადგენელი წევრების მიხედვით შემდეგნაირია:

ა) პირველ ადგილზე წარმოდგენილია არსებითი სახელი, რომელიც მეორე კომპონენტად გამოყენებული არსებითი სახელის (იშვია-

თად — საწყისის ან მიმღეობის) მსაზღვრელის როლშია: ვაჟკაცი (ვაჟ-კაც-ი), დედაქალაქი (დედა-ქალაქ-ი), ქვამარილი (ქვა-მარილ-ი), კლდე-კარი (კლდე-კარ-ი)...

ჩვეულებრივ, კომპოზიტის პირველი კომპონენტი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ შეიძლება სახელობითი ბრუნვის ფორმითაც იყოს მოცემული: ქალიშვილი (ქალ-ი-შვილ-ი), ვაჟიშვილი (ვაჟ-ი-შვილ-ი), ბერიკაცი (ბერ-ი-კაც-ი)... არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სახელი სახელობითის ფორმითაც გვხვდება და ფუძის სახითაც: ვაჟიკაცი/ვაჟკაცი, გლეხიკაცი/გლეხკაცი...

კომპოზიტში არსებითი სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი კომპონენტი ზოგჯერ ნათესაობით ბრუნვაში დგას: ხევისბერი (ხევ-ის-ბერ-ი), ქინძისთავი (ქინძ-ის-თავ-ი), თავისუფლება (თავ-ის-უფლება)... ხშირად ბრუნვის ნიშანი ან მისი თანხმოვნითი ნაწილი მოკვეცილია: თავშალი (თავ-ის-შალ-ი), მამიდა (მამ-ის-და)... ზოგჯერ მსაზღვრელი კომპონენტი მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის: თვალთახედვა (თვალ-თა-ხედვა), მკათათვე (მკა-თა-თვე), ნავსადგური (< ნავ-თ-სადგურ-ი)...

იშვიათად კომპოზიტში არსებითი სახელით წარმოდგენილი პირველი წევრი სხვა ბრუნვის ფორმითაც გვხვდება და იგი არ არის ასევე სახელით წარმოდგენილი მეორე წევრის მსაზღვრველი: თავბრუ < თავ-ს-ბრუ, თავლაფი < თავ-ს-ლაფ-ი, ყურადღება < ყურ-ად-ღება...

ბ) პირველ ადგილზე წარმოდგენილია ზედსართავი სახელი, რომელიც მეორე ადგილზე მდგარი არსებითი სახელის ატრიბუტული მსაზღვრელია: ავდარი, დიდვაჭარი, შუადღე, დიდმარხვა... ასეთი წარმოების სახელები ხშირად გეოგრაფიული სახელებია: ახალქალაქი, ახალდაბა, შუამთა... ზოგჯერ მსაზღვრელსაზღვრულის რიგი პოსტპოზიციურია: ადგილზე არსებით სახელს მოსდევს ზედსართავი სახელი: ხორცმეტი, ჭალადიდი, ნინოწმინდა...

გ) პირველ ადგილზე წარმოდგენილია რიცხვითი სახელი, რომელიც განსაზღვრავს არსებითს: ორღობე, სამფეხი...

დ) არსებითის მსაზღვრელად წარმოდგენილია ნაცვალსახელი, რომელიც მოსდევს მას: ბიძაჩემი, მამაჩემი, დედაშენი...

ე) პირველი წევრი ზმნისართი ან თანდებულია, რომელიც განსაზღვრავს არსებითს: ზეკაცი, ზედაპირი, თანადგომა, თანაგრძნობა, წინასწარმეტყველი...

ერთცნებიან კომპოზიტებში, რომლებიც ზედსართავი სახელის ფუნქციით გვხვდება, წარმოდგენილია საგანი და მისი რომელიმე თვისება, ოღონდ მთლიანად კომპოზიტი სხვა სახელის მსაზღვრელს წარმოადგენს. ასეთი კომპოზიტები ყველაზე ხშირად არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან ან არსებითი სახელისა და მიმღეობისაგან არის შედგენილი: დიდგული (დიდ-გულ-ი), თავღია (თავ-ღია), თმათეთრი (თმა-თეთრ-ი), კუდაპრეხილი (კუდ-აპრეხილ-ი), ენაჩავარდნილი (ენა-ჩავარდნილ-ი), ფეხმოტეხილი (ფეხ-მოტეხილ-ი), ფრთაგაშლილი (ფრთა-გაშლილ-ი), თავდადებული (თავ-დადებულ-ი) და სხვა.

ამ ტიპის კომპოზიტები ხშირად მრავალწევრიანია: თავქუდმოგლეჯილი (თავ-ქუდ-მოგლეჯილ-ი), ცხვირპირდამტვრეული (ცვირ-პირ-დამტვრეულ-ი), თავგზააბნეული (თავ-გზა-აბნეულ-ი), წვერულვაშგათეთრებული (წვერ-ულვაშ-გათეთრებულ-ი), ხელპირდაუბნელი (ხელ-პირ-დაუბანელ-ი) და სხვ.

კომპოზიტში არსებითი სახელი და მისი მსაზღვრელი (ზედსართავი ან მიმღეობა) შესაძლებელია ზმნიზედით ან სხვა რაიმე სიტყვით იყოს დაშორებული: რქა-დაღმა-დადრეკილი, თოფებ-მაღლა-აშვერილი და სხვ.

კომპოზიტებში, რომლებიც მსაზღვრელის ფუნქციით გვხვდება, ხშირად ზედსართავი ან რიცხვითი სახელი ერწყმის არსებით სახელს, რომელსაც მქონებლობის რომელიმე აფიქსი აქვს დართული: თეთრკბილებ-ა, შავ-კან-იან-ი, სრულ-წლ-ოვან-ი და სხვ.

ზოგჯერ ამ ტიპის კომპოზიტებში მსაზღვრელ წევრად გვხვდება ზედსართაული მნიშვნელობის სახელი, რომელიც მიღებულია მასდარზე მქონებლობის -ა სუფიქსის დართვით: ხმა-წკრიალ-ა, ენა-ჭიკჭიკ-ა, კუდბუთქუნ-ა და სხვ.

ზოგჯერ კომპოზიტის პირველი წევრი არსებითი სახელია, მეორე კი -ია სუფიქსით ნაწარმოები სასუბიექტო მიმღეობა: ხარი-პარია, კაცი-ჭამია, ბელტი-ყლაპია და სხვ.

ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, კომპოზიცია პროდუქტიული საშუალებაა ენის ლექსიკური შედგენილობის გასამდიდრებლად. რთული სიტყვების სიჭარბე სალიტერატურო ენაში გამოწვეულია ახალ ცნებათა გადმოცემის საჭიროებით. არაერთი კომპოზიტი (ღმრთისმეტყველი, მართლმადიდებელი, თვითმპყრობელი...) სხვა ენათა (ბერძნულის, სომხურის და სხვ.) რთული სიტყვების კალკს წარმოად-

გენს და ამ ენების ქართულთან კულტურულისტორიული ურთიერთობის ამსახველია.

განსაკუთრებით დამახასიათებელია კომპოზიცია ტერმინოლოგიური სისტემისათვის, რამდენადაც იგი რთულ ცნებათა მნიშვნელობის შედარებით კომპაქტურად გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა და, ამავე დროს, ნათლად წარმოაჩენს სიტყვის მოტივაციასაც. არ დარჩენილა რთული სიტყვების წარმოქმნის არცერთი გზა, რომელიც დამახასიათებელია სალიტერატურო ენისათვის და არ იყოს გამოყენებული ტერმიოლოგიაში. კომპოზიციის გზითაა მიღებული მრავალი სამეცნიერო თუ ტექნიკური ტერმინი (წყალუხვი, რკინიგზა, მარილმჟავა, ფირსაკრავი, მტვერსასრუტი, ორლებნიანი, სამკუთხედი და ა.შ.).

სიტყვაწარმოების ერთგვარი ხერხია აგრეთვე ორი ან მეტი სიტყვის შემოკლებით შეერთება — **აბრევიატურა.** ის მიიღება სხვადასხვა პრინციპით: შესიტყვებაში შემავალი სიტყვების პირველი ასო-ბგერების შეერთებით (აშშ — ამერიკის შეერთებული შტატები, შიდსი — შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი და სხვ.), სიტყვათა ნაწილების შეერთებით (გაერო — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), სიტყვათშეხამებაში შემავალი კომპონენტების ნაწილებისა და სრული სიტყვის შერწყმით (სანეპიდსადგური — სანიტარულეპიდემიოლოგიური სადგური). გვაქვს სხვა გზით შედგენილი აბრევიატურებიც. მათი შედგენისას ყურადღება ექცევა კეთილხმოვანების პრინციპსაც. ქართულში შემოსულია აგრეთვე უცხოური აბრევიატურები (ნატო, იუნესკო...), რომლებიც უთარგმნელია და ყველა ენაზე ერთნაირად წარმოითქმის. აბრევიატურები არსებით სახელებად არის ქცეული და იბრუნვის. ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, აბრევაცია ფართოდ არის გავრცელებული, რამდენადაც იგი საშუალებას იძლევა გრძელი და მოუხერხებელი დასახელებები მოკლე და სხარტი ფორმებით შეიცვალოს.

თავი VIII. სახელზმნა

III. 8.1. მიმღეობა. მიმღეობა ნაზმნარი სახელია (სახელზმნაა), რომელიც გრამატიკული თვისებებით (ბრუნება, სინტაგმატიკა) სახელებს განეკუთვნება (მიმღეობა უპირატესად ზედსართავი სახელია), მაგრამ ძირეული სემანტიკით შემორჩენილი აქვს ზოგი ზმნური კატეგორიაც. ასეთებია: **გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი.**

გეზი (მიმართული): ჩა-კიდებული (შდრ. კიდებული);

ორიენტაცია (სააქეთო): ჩამო-გდებული (შდრ. ჩაკიდებული);

ასპექტი (სრული): და-კიდებული (შდრ. კიდებული);

კონტაქტი (შუალობითი): დაგდებ-ინ-ებული (შდრ. დაგდებული).

ერთი ფორმის მაგალითზე: **ჩამოგდებინებული** — ეს არის **მიმართული** გეზის, **სააქეთო** ორიენტაციის, **სრული** ასპექტისა და **შუალობითი** კონტაქტის ფორმა. როგორც ვხედავთ, ერთ მიმღეობურ ფორმაში გამოვლინდა ოთხი ზმნური კატეგორია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი და კონტაქტი.

როგორც წესი, მიმღეობის წარმოების მოდელი განარჩევს, თუ ზმნის რომელი გვარის ფორმისაგან (ფუძისაგან) არის მიღებული ესა თუ ის მიმღეობა:

1) კონვერსიულ სისტემაში (წერს — იწერება) ამოსავალი მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძეა:

წერ-ს (აქტივი) - **ი-წერ-ებ-ა** (ვნებითი) > **და-წერ-ილ-ი, და-სა-წერ-ი, და-მ-წერ-ი, და-უ-წერ-ი...**

იგივე ვითარებაა ფუძედრეკადი ზმნებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებთანაც:

ფხეკ-ს (აქტივი) — **ი-ფხიკ-ებ-ა** (ვნებითი) > **გადა-ფხეკ-ილ-ი, გადა-მ-ფხეკ-ი, გადა-სა-ფხეკ-ი...**

ეს უფრო უკეთ ჩანს თემისნიშნიან ზმნებში (ხატავს — იხატება, აშენებს — შენდება):

ხატ-ავ-ს (აქტივი) — **ი-ხატ-ებ-ა** (ვნებითი) > **და-ხატ-ულ-ი, და-მ-ხატ-ავ-ი, და-სა-ხატ-ავ-ი, და-უ-ხატ-ავ-ი...**

ა-შენ-ებ-ს (აქტივი) — **შენ-დ-ებ-ა** (ვნებით) > **ა-შენ-ებ-ულ-ი, ა-მ-შენ-ებ-ელ-ი, ა-სა-შენ-ებ-ელ-ი...**

2) იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე ზმნური ძირის გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებს შორის კონვერსიული მიმართება არაა, მიმღეობა თითოეულ ფორმას, ჩვეულებისამებრ, დამოუკიდებლად ეწარმოება; მაგალითად:

ა-თბ-ობ-ს (აქტივი) — **გა-მ-ა-თბ-ობ-ელ-ი**; **გა-თბ-ობ-ილ-ი**...
თბ-ებ-ა (პასივი) — **გა-მ-თბ-არ-ი**.
ა-კანკალ-ებ-ს (აქტივი) — **ა-მ-ა-კანკალ-ებ-ელ-ი**,
ა-კანკალ-ებ-ულ-ი...
კანკალ-ებ-ს (საშუალი) - **მო-კანკალ-ე**.

3) თავის მხრივ, უნდა განირჩეს ის შემთხვევები, როდესაც მიმღეობა საკუთრივ ზმნური (საუღლებელი) ფუძისგან არის ნაწარმოები, არამედ ნაზმნარი სახელისაგან — საწყისისაგან. ამის გარჩევა მაშინ არის აუცილებელი, როდესაც მიმღეობათა ფორმებში თავს იჩენს საწყისური მაწარმოებლები; მაგალითად:

დგ-ა-ს — დგ-ომ-ა > მ-დგ-ომ-ი (შდრ.: მ-დგ-არ-ი)
წევ-ს — წ-ოლ-ა > მ-წ-ოლ-ი
ქრ-ი-ს — ქრ-ოლ-ა > მ-ქრ-ოლ-ი
ი-ბრძ-ვ-ი-ს — ბრძ-ოლ-ა > მე-ბრძ-ოლ-ი
თრთ-ი-ს — თრთ-ოლ-ა > მ-თრთ-ოლ-ი
უ-ძღ-ვ-ი-ს — ძღ-ოლ-ა > მ-ძღ-ოლ-ი
ი-სვრ-ი-ს — სრ-ოლ-ა > მ-სრ-ოლ-ელ-ი...

ასევე მასდარის ფუძეზეა დამყარებული „სვლ-“ ძირის მიმღეობური ფორმები, რაზეც მათში პოვნიერი „ს“ ელემენტი მოგვანიშნებს, რომელიც ზმნის პირიან ფორმებში არ ჩანს. შდრ.:

ვალ-ს, მი-ვალ, მო-ხ-ვალ > მო-მ-სვლ-ელ-ი, წა-მ-სვლ-ელ-ი, მი-მ-სვლ-ელ-ი...

მიმღეობათაგან ბევრი დროთა განავლობაში გასუბსტანტივებულა: წერილი, მასწავლებელი, მატარებელი... თუმცა შეიძლება იგივე ფორმა მოქმედი მიმღეობაც იყოს (მაგ.: „ვირუსის მატარებელი“...).

III. 8.2. სასუბიექტო-საობიექტო მიმართებათა ასახვა მიმღეობაში. ქართული მიმღეობის წარმოებაში თავისებურად აისახება სუბიექტისა და ობიექტის მიმართება ზმნური შინაარსით გამოხატულ მოქმედებასთან; კერძოდ, გარდამავალი ზმნისათვის საკუთარი მიმღობა წარმოადგენს იმ პირს, რომელიც პირიან ზმნაში სუბიექტად წარმოდგება (შდრ.: ახვევ-ს [ის მას] > დამხვევ-ი „ვინც ახვევს“); ასევე, ზმნის ობიექტურ პირს (პირებს) მიესადაგება რამდენიმე მიმღეობური წარმო-

ება (შდრ.: ახვევ-ს [ის მას] > დახვეულ-ი „რაც დაახვიეს“, დასახვევ-ი „რასაც დაახვევენ“ და მისთ. ამდენად, აღნიშნულ შინაარსობრივ მიმართებათა თვალსაზრისით უპირველესად გამოვყოფთ სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობებს.

III. 8.2.1. სასუბიექტო მიმღეობა. სასუბიექტოა მიმღეობა, რომელიც აღნიშნავს მოქმედს, სუბიექტს, ანუ იმ პირს, რომელიც სათანადო ზმნურ ფორმაში სუბიექტის ნიშნებითაა გადმოცემული. მაგ.: **მ-წერ-ალ-ი** (ვინც წერს), **მ-შენ-ებ-ელ-ი** (ვინც აშენებს), **მო-ჰიკჰიკ-ე** (რაც ჰიკჰიკებს), **მო-თამაშ-ე** (ვინც თამაშობს) და ა. შ.

დროის თვალსაზრისით სასუბიექტო მიმღეობა, როგორც წესი, აწმყოს (უფრო სწორად, ზოგადი დროის) შინაარსით არის დატვირთული, თუმცა ზმნისწინს აქვს უნარი, ფორმას ამავდროულად მყოფადის შინაარსიც მიანიჭოს გარკვეულ კონტექსტებში. შდრ.:

მ-კეთებ-ელ-ი (ვინც ახლა ან ზოგადად აკეთებს)

გა-მ-კეთებ-ელ-ი (ვინც აკეთებს ან ვინც გააკეთებს. შდრ.: ამის გამკეთებელი ეგ არ არის)

წარსული დროის შინაარსი აქვს ზოგი ვნებითი გვარის ფორმისგან **მ-არ** პრეფიქს-სუფიქსებით მიღებულ ფორმებსაც, რომლებიც ზმნისწინით იხმარება ძირითადად და სწორედ ზმნისწინი ანიჭებს მას ნამყოს მნიშვნელობას: გამთბარი, გამშრალი, დამდნარი...

ვინაიდან სასუბიექტო მიმღეობების უმეტესი ნაწილი მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძისაგანაა ნაწარმოები, მიმღეობაში გადმოყოლილია თემის ნიშნებიც. აქედან **-ებ, -ობ, -ოფ** უცვლელად გადმოდის ყველა შემთხვევაში; **-ავ** და **-ამ** მიმღეობური სუფიქსების (**-ელ, -არ...**) დართვის შემთხვევაში იკუმშება, ხოლო **-ი**, რომელსაც თემის ნიშნად მიიჩნევენ, მიმღეობაში არასოდეს გამოჩნდება, მაგ.:

-ებ: ა-კეთ-ებ-ს > მ-კეთ-ებ-ელ-ი

-ობ: ი-პყრ-ობ-ს > და-მ-პყრ-ობ-ელ-ი

-ოფ: ყ-ოფ-ს > გა-მ-ყოფ-ელ-ი

-ავ: ხატ-ავ-ს > და-მ-ხატ-ავ-ი; და-მ-ხატ-ვ-ელ-ი

-ამ: ა-ბ-ამ-ს > და-მ-ბმ-ელ-ი

-ი: თლ-ი-ს > მ-თლ-ელ-ი

სასუბიექტო მიმღეობის ძირითადი მაწარმოებელია **მ-** პრეფიქსი, რომელსაც შეიძლება ხმოვნითი ელემენტიც ახლდეს (**მო-, მა-, მე-**). **მ-** პრეფიქსი მიმღეობას აწარმოებს დამოუკიდებლადაც და სხვადასხვა სუფიქსებთან ერთადაც:

მ- (**ოდენპრეფიქსული წარმოება**):

წერ-ს > და-მ-წერ-ი;

ტეხ-ს > გა-მ-ტეხ-ი

ხატავ-ს > და-მ-ხატ-ავ-ი

იპყრობ-ს > და-მ-პყრ-ობ-ი

ყოფ-ს > გა-მ-ყოფ-ი

ოდენპრეფიქსულ მიმღეობებს გავრცელების მხრივ დიდი არეალი არა აქვს და მათ გვერდით სუფიქსებით გართულებული პარალელური ვარიანტები გამოიყენება:

ტეხ-ს > გა-მ-ტეხ-ელ-ი

ხატავ-ს > და-მ-ხატ-ვ-ელ-ი

იპყრობ-ს > და-მ-პყრობ-ელ-ი

ყოფს > გა-მ-ყოფ-ელ-ი

ოდენპრეფიქსული წარმოებაა ორგანული ასევე საშუალი გვარის რამდენიმე ზმნისთვისაც:

ცურ-ავ-ს > მ-ცურ-ავ-ი

ცოც-ავ-ს > მ-ცოც-ავ-ი

გმინ-ავ-ს > მ-გმინ-ავ-ი

როგორც უკვე აღინიშნა, დღეისათვის ყველაზე გავრცელებულია სასუბიექტო მიმღეობის პრეფიქს-სუფიქსური წარმოება, რომლის დროსაც პრეფიქსად კვლავ **მ-** ნიშანი გვევლინება, ხოლო სუფიქსებად კი სხვადასხვა მაწარმოებლები:

მ - ელ

თლი-ს > მ-თლ-ელ-ი

აკეთებ-ს > მ-კეთებ-ელ-ი

ხნავ-ს > მ-ხვნ-ელ-ი

კლავ-ს > მ-კვლ-ელ-ი

იპყრობ-ს > და-მ-პყრობ-ელ-ი...

მა - ელ (როდესაც ზმნური ფუძე **ა-** ხმოვანპრეფიქსით არის წარმოდგენილი):

ა-არსებ-ს > და-მა-არსებ-ელ-ი

ა-ერთებ-ს > შე-მა-ერთებ-ელ-ი

ა-იოლებ-ს > გა-მა-იოლებ-ელ-ი

ა-ოხრებ-ს > მა-ოხრებ-ელ-ი

ა-უწყებ-ს > მა-უწყებ-ელ-ი

ა-მხნევებ-ს > გა-მა-მხნევებ-ელ-ი

ა-მკვიდრებ-ს > და-მა-მკვიდრებ-ელ-ი

ა-მსხვილებ-ს > გა-მა-მსხვილებ-ელ-ი

ა-ტარებ-ს > მა-ტარებ-ელ-ი

ა-ხარებ-ს > მა-ხარებ-ელ-ი

ა-ცალკევებ-ს > მა-ცალკევებ-ელ-ი

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ამ ფორმას ოდენთანხმოვან-პრეფიქსიანი პარალელური წარმოებაც მოეპოვება (მაგ.: გა-მ-ხარ-ებ-ელ-ი)...

საშუალი გვარის ფორმებისაგან რამდენიმე სახის ცირკუმფიქსით იწარმოება სასუბიექტო ტიპის მიმღეობური ფორმები:

მ - ე:

მო-ს-წონ-ს > (თავ) მო-მ-წონ-ე

აქვ-ს > მ-ქონ-ე

მო - ულ:

ხარ-ობ-ს > მო-ხარ-ული

უ-ყვარ-ს > მო-ყვარ-ული

მო - ე:

ჭიკჭიკ-ებ-ს > მო-ჭიკჭიკ-ე

ლაპარაკ-ობ-ს > მო-ლაპარაკ-ე

თამაშ-ობ-ს > მო-თამაშ-ე

კაკან-ებ-ს > მო-კაკან-ე

ქირქილ-ებ-ს > მო-ქირქილ-ე

ცურ-ა(ვ)-ობ-ს > მო-ცურ-ავ-ე

გორ-ა(ვ)-ობ-ს > მო-გორ-ავ-ე

როგორც გამოჩნდა, აღნიშნული წარმოება ძირითადად საშუალი გვარის **-ებ** და **-ობ** თემისნიშნიანი ზმნებისგან წარმოქმნილ მიმღეობებს ახასიათებს.

მ - არ-ი/ე

ქუხ-ს > მ-ქუხ-არ-ი/ე

დუღ-ს > მ-დუღ-არ-ე

ღელ-ავ-ს > მ-ღელ-ვ-არ-ე

დუმ-ს > მ-დუმ-არ-ე

აღნიშნული მიმღეობები დღეს უმეტესად მხოლოდ **-ე** დაბოლოებით იხმარება.

აქაც ძირითადად საშუალი გვარის ფორმები გვაქვს ამოსავლად, თუმცა მსგავსი წარმოება რამდენიმე მოქმედებითი გვარის ფორმასთან შეინიშნება:

ხატ-ავ-ს > მ-ხატ-ვ-არ-ი

წერ-ს > მ-წერ-ალ-ი (დისიმილაციით **-არ** > **-ალ**)

შენიშვნა: აღნიშნული ფორმები ტერმინადაა ქცეული და ხელობაზე მიუთითებს.

იგივე წარმოება გამოიყენება ვნებითი გვარის ფორმებისგან ნაწარმოებ მიმღეობებშიც:

გა-მ-თბ-არ-ი („რაც გათბა“. შდრ.: გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები საობიექტო მიმღეობა გა-თბ-ობ-ილ-ი „რაც გაათბეს“).

გა-მ-ტყდ-არ-ი (რაც გატყდა)

გა-მ-შრ-ალ-ი (რაც გაშრა)

და-მ-დნ-არ-ი (რაც დადნა)

სასუბიექტო მიმღეობის ფორმებში უნდა გავაერთიანოთ აგრეთვე ძველი წარმოების რამდენიმე ფორმა, **მე-** და **მო-** პრეფიქსებით ნაწარმოები:

მე-რყევ-ი

მე-ტეხ-ი

მო-ძრავ-ი

მო-კვდავ-ი

მო-ზარდ-ი

III. 8.2.2. საობიექტო მიმღეობა. საობიექტოა მიმღეობა, რომელიც აღნიშნავს სამოქმედო საგანს ანუ იმ პირს, რომელიც სათანადო ზმნურ ფორმაში ობიექტის ნიშნებითაა გადმოცემული. მაგ.: **გა-კეთ-ებ-ულ-ი** (რაც გააკეთეს), **ა-გებ-ულ-ი** (რაც ააგეს), **სა-კეთებ-ელ-ი** (რაც უნდა გააკეთონ), **და-სა-ხატ-ი** (რაც უნდა დახატონ), **ა-სა-შენ-ებ-ელ-ი** (რაც უნდა ააშენონ) და ა. შ. ამავდროულად, რამდენადაც, სასუბიექტო მიმღეობებისგან განსხვავებით, საობიექტო მიმღეობათა ნაირგვაროვნებაა, აქ ხდება წარმოებათა გამიჯვნა დროის მიხედვით.

საობიექტო მიმღეობის ფორმა კომპოზიტის შემადგენლობაში ზოგჯერ სასუბიექტო მიმღეობის შინაარსს იძენს. როგორც არნ. ჩიქობავა მართებულად აღნიშნავს, ამას სწორედ ობიექტის მიმღეობის წინ დასმა განაპირობებს. ასეთი წარმოებაა:

ხმალამოღებული (ვინც ხმალი ამოიღო)

ენაგადმოგდებული (ვინც ენა გადმოაგდო)

სახედახოკილი (ვინც სახე დაიხოკა)...

სასუბიექტო მიმღეობის მნიშვნელობით შეიძლება გამოიყენებოდეს ასევე საობიექტო მიმღეობის **-ილ/-ულ** მაწარმოებლებით მიღებული ზოგი ფორმა: **გა-ქცე-ულ-ი** (ვინც გაიქცა), **და-მტვრე-ულ-ი** (ვინც

დაიმტვრა), **გა-ხარ-ებ-ულ-ი** (ვინც გაიხარა) და სხვა... საობიექტოდან სასუბიექტო მნიშვნელობისკენ გადასვლა ამ ფორმებში თანდათან უნდა მომხდარიყო. მიზეზი ამგვარი გადასვლისა კი თავად ამოსავალ ზმნებშია:

1) **ი-ქცევ-ა** — ფორმით ვნებითი, მაგრამ შინაარსით (ზოგ შემთხვევაში) — აქტიური ზმნაა. შდრ.: ი-ქცევ-ა — წყალი იქცევა (ანუ დააქციეს), მაგრამ ადამიანი გა-ი-ქც-ა (თვითონ გარბის); მეორე შემთხვევაში ზმნა აქტიური შინაარსისაა; აქედან: **გა-ქცე-ულ-ი** (კაცი) — სასუბიექტო მიმღეობის მნიშვნელობით (შდრ.: და-ქცე-ულ-ი წყალი, სადაც მიმღეობა ფორმითაც და შინაარსითაც საობიექტოა);

2) **ი-მტვრევ-ა** — აქაც ზემოდასახელებული ვითარებაა — ზმნა ფორმით ვნებითი, მაგრამ შინაარსით (ასევე კონკრეტული შემთხვევებში) აქტიური ფორმაა. ამიტომ გვაქვს **და-მტვრე-ულ-ი** კაცი (სასუბიექტო მიმღეობის მნიშვნელობით);

3) **გა-ხარ-ებ-ულ-ი** წარმოებით საობიექტო ფორმაა, სასუბიექტო მიმღეობის სავარაუდებელ ვარიანტად „მ-(ა)-ხარ-ებ-ელ-ი“ ფორმა ივარაუდება, რომელსაც შემდგომ სპეციფიკური (საეკლესიო) მნიშვნელობა დაუკავშირდა. ამიტომ ენა იძულებული გახდა სასუბიექტო მიმღეობის შინაარსის საწარმოებლად საობიექტო მიმღეობის ფორმა გამოეყენებინა.

III. 8.3. დროის გამოხატვა საობიექტო მიმღეობებში. ამდენად, საობიექტო მიმღეობებში მკვეთრადაა გამიჯნული სხვადასხვა დროის გამომხატველი ფორმები, ამიტომ მაწარმოებელთა ჩამოთვლისას სწორედ დროული მაჩვენებლებით ვიხელმძღვანელებთ.

III. 8.3.1. წარსული დროის საობიექტო მიმღეობა: წარსული დროის საობიექტო მიმღეობის საწარმოებლად გამოყენებულია სუფიქსები:

-ილ:
(და)-წერ-ილ-ი (რაც დაწერეს)
გა-ლეს-ილ-ი (რაც გალესეს)
გა-ბერტყ-ილ-ი (რაც გაბერტყეს)
შე-კრეჭ-ილ-ი (რაც ან ვინც გაკრიჭეს)
შე-ღებ-ილ-ი (რაც ან ვინც შეღებეს)...

-ულ:

გა-კეთებ-ულ-ი (რაც გააკეთეს)
ა-შენ-ებ-ულ-ი (რაც ააშენეს)
შე-კრ-ულ-ი (რაც შეკრეს)...

-**ილ**, -**ულ** სუფიქსთა განაწილება ასეთია:

-ულ მოუდის:

1) **-ავ, -ამ, -ევ, -ებ, -ემ** თემისნიშნიანი ფორმებისგან მიღებულ მიმღეობებს (და-მალ-ულ-ი; და-დგმ-ულ-ი; და-ბნე-ულ-ი; გა-კეთ-ებ-ულ-ი; და-ცემ-ულ-ი);

2) **-ილ** კი — ყველა დანარჩენს, ანუ უთემისნიშნო, ხმოვანმონაცვლე, ასევე **-ობ, -ოფ** და **-ი** თემისნიშნიანი ზმნებისგან ნაწარმოებ მიმღეობებს (და-წერ-ილ-ი; და-ჭყლეტ-ილ-ი; გა-თბობ-ილ-ი; გა-ყოფ-ილ-ი; გა-თლ-ილ-ი);

შენიშვნა: გამონაკლისების ახსნა ხერხდება: როდესაც **-ავ** (-**ამ**) თემისნიშნიან ფუძეებთან **-ილ** გვაქვს, ამ დროს ფუძეში **ო** ხმოვანი შეინიშნება (შე-ბოლ-ილ-ი; გა-ზომ-ილ-ი); ან წარმოშობით ეს ფორმები უთემისნიშნო ფორმებია (და-თეს-ილ-ი);

წარსული დროის საობიექტო მიმღეობები იწარმოება ასევე **ნა-** პრეფიქსით, ან **ნა - არ/ელ** პრეფიქს-სუფიქსით:

გა-ნა-სხლ-ავ-ი (რაც გასხლეს)
და-ნა-ყოფ-ი (რაც დაყვეს)
და-ნა-თეს-ი (რაც დათესეს)
ნა-ჩუქ-არ-ი (რაც აჩუქეს)
მო-ნა-ცვლ-ელ-ი (რაც მოიცვალეს).

თემის ნიშნები ამ დროს ხან შენარჩუნებულია (გა-ნა-სხლ-ავ-ი), ხან კი - არა (ნა-ხატ-ი).

აღნიშნული წარმოების მიმღეობებს გასუბსტანტივებისკენ მზარდი ტენდენცია აქვთ.

III. 8.3.2. მყოფადის საობიექტო მიმღეობა. მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობას აწარმოებს **სა-** პრეფიქსი, რომელსაც თანამედროვე ქართულში უმეტესად **-ელ** სუფიქსი დაერთვის:

გა-სა-ტეხ-ი (რაც უნდა გატყდეს, რითაც უნდა გატეხონ)

და-სა-წერ-ი (რაც იწერება, რითაც დაწერენ)
და-სა-ხატავ-ი (რაც დაიხატება, რითაც დახატავენ)
გა-სა-კეთებ-ელ-ი (რაც გაკეთდება)
და-სა-კლავ-ი (რაც დაიკვლება)...

3. დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ წარსული დროის საობიექტო მიმღეობებს უკუთქმითი, უარყოფითი ფორმებიც გააჩნია. მაწარმოებლებად ამ დროს ოდენ **უ-** პრეფიქსი ან დამატებით **-ელ** სუფიქსი გვევლინება: და-უ-ხატ-ავ-ი, და-უ-წერ-ელ-ი, გა-უ-კეთებ-ელ-ი და ა. შ.

შენიშვნა: სუბიექტ-ობიექტზე მინიშნებისგან თითქოს თავისუფალია ზოგიერთი, აწმყო (ზოგადი) დროის, **-ად** სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობური შინაარსის ფორმა (ისინი ინტენსიურად გამოიყენება ტერმინოლოგიაში):
დრეკ-ად-ი (ვინც იდრიკება ან რასაც დრეკენ)
კუმშვ-ად-ი (რაც იკუმშება ან კუმშავენ)

ზოგჯერ აღნიშნული წარმოება მხოლოდ საობიექტო მიმღეობის შინაარსს შეიცავს: მართვ-ად-ი (რასაც მართავენ)...

III. 8.4. საწყისი

საწყისი ნაზმნარი სახელია, რომელიც ფუნქციურად არსებით სახელს უტოლდება; ამავე დროს, მას შემორჩენილი აქვს ბევრი ზმნური კატეგორიაც, კერძოდ: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი. მაგალითად:

გეზი (მიმართული): **ჩა-გდება**
ორიენტაცია (სააქეთო): **ჩამო-გდება**
ასპექტი (სრული): **და-გდება**
კონტაქტი (შუალობითი): **გაგდებ-ინ-ება**

ერთი ნიმუშის მიხედვით: საწყისი **ჩამოგდებინება** გვიჩვენებს, რომ ამ ფორმით გამოხატული მოქმედება არის **მიმართული** გეზის, **სააქეთო** ორიენტაციის, **სრული** ასპექტისა და **შუალობითი** კონტაქტის. ამდენად, ერთ საწყისურ ფორმაში გამოვლინდა ოთხივე ზმნური კატეგორია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი და კონტაქტი.

საწყისის წარმოება

I. მაწარმოებელი -ა. საწყისის ძირითადი მაწარმოებელია სუფიქსი **-ა**, რომელიც, ჩვეულებისამებრ, დამოუკიდებლად დაერთვის ზმნურ ფუძეს; ხოლო ზოგჯერ ის სხვადასხვა დამატებითი მაწარმოებლით არის გართულებული. განვიხილოთ თითოეული ეს შემთხვევა ცალ-ცალკე:

1) მარტივი **-ა** სუფიქსი

-ა სუფიქსი, როგორც წესი, დაერთვის შესაბამისი ზმნის აწმყოს ფუძეს. თუ ეს ფუძე უთემისნიშნოა, მაწარმოებელი უშუალოდ ზმნურ ძირს დაერთვის; მაგ.:

ვ-წერ — წერ-**ა**
ვ-კრეფ — კრეფ-**ა**
ვ-წყვეტ — წყვეტ-**ა**

ხოლო თუ ზმნური ფუძე თემისნიშნიანია, ის საწყისშიც გადაჰყვება (ანუ საწყისშიც წარმოდგენილი იქნება თემის ნიშნები, **-ი** თემის ნიშნის გარდა):

ა) -**ებ** თემისნიშნიანი აწმყო:
ვ-ა-შენ-**ებ** — შენ-**ებ**-ა
ვ-ა-მზად-**ებ** — მზად-**ებ**-ა

ბ) -**ობ** თემისნიშნიანი აწმყო:
გა-ვ-ა-თბ-**ობ** — გა-თბ-**ობ**-ა
გა-ვ-ა-შრ-**ობ** — გა-შრ-**ობ**-ა

გ) -**ავ** თემისნიშნიანი აწმყო:
ვ-ხატ-**ავ** — ხატ-**ვ**-ა
ვ-რეცხ-**ავ** — რეცხ-**ვ**-ა

დ) -**ამ** თემისნიშნიანი აწმყო:
ვ-სვ-**ამ** — ს-**მ**-ა

ე) -**ემ** თემისნიშნიანი აწმყო:
ვ-ც-**ემ** — ც-**ემ**-ა

ვ) -**ევ** თემისნიშნიანი აწმყო:
წა-ვ-ა-ქც-**ევ** — წა-ქც-**ევ**-ა

ზ) -**ოფ** თემისნიშნიანი აწმყო:
ვ-ყ-**ოფ** — გა-ყ-**ოფ**-ა...

როგორც გამოჩნდა, **ა**-ს დართვისას რიგი ფონეტიკური პროცესები ხდება, კონკრეტულად:

1. **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნებზე საწყისის სუფიქსის დართვისას თემისნიშნისეული ხმოვანი ამოვარდება:

ხატ-**ავ**-ს — ხატ-**ვ**-ა
სვ-**ამ**-ს — ს-**მ**-ა

2. **-ი** თემის ნიშანი საერთოდ იკვეცება საწყისის წარმოებისას:
თლ-**ი**-ს — თლ-ა

3. თუკი **-ავ** თემისნიშნიანი ზმნების ძირი **ნ, რ, ლ** თანხმოვნებით მთავრდება, ხმოვნის დაკარგვის შემდეგ თემისნიშნისეული **ვ** ამ თანხმოვნებთან მეტათეზისს განიცდის მაგ.:

ხ**ნ**-ა**ვ**-ს — ხ**ვნ**-ა, კ**ლ**-ა**ვ**-ს — კ**ვლ**-ა...

აქვე შევნიშნავთ, რომ როდესაც პარალელური (ზმნისწინიანი და უზმნისწინო) წარმოება გვაქვს, ამ დროს უსრული ასპექტის ფორმები უფრო ხშირად ზოგადი ქმედების გამოსახატავად გამოიყენება და დროის გაგებას მოკლებულია: ***წერა*** *იცის;* ***ხატვა*** *შეუძლია;* ***შენება*** *ადვილი საქმე არ არის...* მაშინ, როდესაც სრული ასპექტის ფორმები კონკრეტულ მოქმედებასა და კონკრეტულ დროზე მიუთითებს: *ამ საბლის* ***აშენება*** *მომავალ წელს დამთავრდება; ამ სურათის* ***დახატვა*** *მინდა; ამის* ***დაწერა*** *ხვალისთვის აუცილებელია...* თუმცა, უზმნისწინო ფორმებმაც შეიძლება გამოხატოს კონკრეტული მოქმედება: *ამ საბლის* ***შენებას*** *არ დაადგა საშველი, ამდენი* ***წერა*** *არ გამიგია* და სხვ.

2) მარტივი **-ა** მაწარმოებელი გართულებულია **-ნ, -ოლ, -ომ** ფორმანტებით.

ა) **-ნ** ფორმანტი დამატებით ჩაერთვის **-ა** სუფიქსის წინ რამდენიმე ფორმას (ა. შანიძის მართებული შენიშვნით, უმეტესად **ვ**ინით დაბოლოებულ ფუძეებს):

ს-თხოვ-ს — თხ-ოვ-**ნ**-ა
ი-პოვ-ი-ს — პოვ-**ნ**-ა

ბ) **-ომ** ფორმანტიანი საწყისები:

დგ-ა-ს — დგ-**ომ**-ა
კრთ-ი-ს — კრთ-**ომ**-ა
ტყდ-ებ-ა — ტყდ-**ომ**-ა
სკდ-ებ-ა — სკდ-**ომ**-ა

გ) **-ოლ** ფორმანტით გართულებული საწყისი:

ქრ-ი-ს — ქრ-**ოლ**-ა
ძრწ-ი-ს — ძრწ-**ოლ**-ა
თრთ-ი-ს — თრთ-**ოლ**-ა

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფორმებიდან ზოგიერთს ტენდენცია აქვს ფუძის კიდევ უფრო გართულებისა **-ვ** თანხმოვნის ჩართვის, მაგ.: ქრ-ი-ს — ქრ-**ოლ-ვ**-ა...

II. მაწარმოებელი -ილ/ -ულ. -ილ სუფიქსი საწყისს აწარმოებს დამოუკიდებლადაც და პრეფიქსთან ერთადაც, **-ულ** სუფიქსი კი — მხოლოდ პრეფიქსთან ერთად. წარმოვადგინოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

ა) მაწარმოებელი **-ილ:**

წუხ-ს — წუხ-**ილ**-ი
დუღ-ს — დუღ-**ილ**-ი
ბღავ-ი-ს — ბღავ-**ილ**-ი
ბზუ-ი-ს — ბზუ-**ილ**-ი...

ბ) მაწარმოებელი **სი - ილ:**

ეს მაწარმოებელი მოქმედი აღარაა, ის ძველის ნაშთია (მაგ. სახე-ლად ქცეული: სირცხვილ-ი, სიკვდილ-ი...):

რბ-ი-ს — **სი**-რბ-**ილ**-ი
ს-ძულ-ს — **სი**-ძულ-ვ-**ილ**-ი (აქ დამატებით **ვ** თანხმო-ვანია ჩართული)

გ) მაწარმოებელი **სი — ულ:**

სი-ულ მაწარმოებელიც, როგორც წესი, საწყისებს საშუალი და ვნებითი გვარის ზმნებისგან აწარმოებს:

უ-ყვარ-ს — **სი**-ყვარ-**ულ**-ი
უ-ხარ-ი-ა — **სი**-ხარ-**ულ**-ი
ე-ბრალ-ებ-ა — **სი**-ბრალ-**ულ**-ი...

დ) **სვლა** ფორმა არქაულ **ს - ა** მაწარმოებელს გამოავლენს: **ვალ**-ს — ს-**ვლ**-ა.

ზემოთ საუბარი იყო ისეთ საწყისებზე, რომლებიც ზმნებისგან არის მიღებული. გარდა ამისა, ქართულში არსებობს რიგი საწყისური ფორმებისა, რომლებიც ზმნებისგან მიღებულად ვერ ჩაითვლება. საუბა-რია ე. წ. პირველად საწყისებზე (ასე უწოდა ამ ფორმებს არნ. ჩიქო-ბავამ): **ცახცახ**-ი, **კანკალ-**ი, **ჭიკჭიკ-**ი, **ძიგძიგ-**ი, **ხარხარ-**ი, **კისკის-**ი, **ბრაგუნ-**ი, **ფხაკუნ-**ი, **კაკან-**ი, **ჭუკჭუკ-**ი, **ფრიალ-**ი, **გრიალ-**ი, **შრი-ალ-**ი და სხვ.

ამ ფორმათაგან ბევრი რედუპლიცირებული ფუძისა ჩანს, ხმა-ბაძვითი შინაარსისა. მათი, როგორც საწყისების მიმართება ზმნასთან, მოჩვენებითია: ცახცახ-ი — ცახცახ-ებ-ს და მისთ.

თავი I. ზმნა. ზმნის პირი და რიცხვი

IV. 1.1. ზმნის რაობა (ზოგადი მიმოხილვა). ზმნა არის სრულმნიშვნელოვანი, ფორმაცვალებადი სიტყვა — მეტყველების ნაწილი. ფორმაცვალება ორი სახის არის — ბრუნება და უღლება. ზმნა უღლებადი სიტყვაა.

ფუნქციურად ზმნა გამოხატავს კონსტრუქციაში სუბიექტად წარმოდგენილი პირის მოქმედებას ან მდგომარეობას.

მოქმედება არის გამოხატული: წერს, ხატავს, ემალება, შენდება...

მდგომარეობა არის გამოხატული: წუხს, დუღს, დგას, ზის...

მოქმედება და მდგომარეობა აქ გრამატიკულ ცნებებად გაიგება.

ქართულ ენაში ზმნა (სახელისაგან განსხვავებით) მეტყველების რთული ნაწილია. სირთულეს, ერთი მხრივ, განაპირობებს ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე და, მეორე მხრივ, ის, რომ ერთი და იმავე მორფოლოგიური დანიშნულებით შეიძლება რამდენიმე აფიქსი მოგვევლინოს და, პირიქით, რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მასალობრივად ერთი და იმავე ფორმანტით გამოიხატოს. სწორედ ამ სირთულემ ათქმევინა თავის დროზე პლატონ იოსელიანს: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი“.

ვთქვით, ზმნის სირთულის მთავარი მიზეზი ზმნურ კატეგორიათა სიმრავლეა. მნიშვნელობასთან მიმართების თვალსაზრისით ზმნის კატეგორიები შეიძლება დალაგდეს ორ ჯგუფად: უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად (ა. შანიძე). უ ღ ლ ე ბ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ა დ მოიაზრება ის კატეგორიები, რომლებიც ცვლიან ზმნის გრამატიკულ მნიშვნელობას; ასეთებია — პირი, რიცხვი, მწკრივი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა... (შდრ.: სახელისათვის ბრუნება). წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ა დ მიჩნეულია ის კატეგორიები, რომლებიც ცვლიან ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას; ასეთებია გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი (შდრ.: სახელისათვის — სიტყვაწარმოება).

შევნიშნავთ: შესაძლებელია, კატეგორია ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაირიცხოს: ძველ ქართულში ასპექტი უღლების კატეგორია იყო, ახალ ქართულში წარმოქმნის კატეგორიაა.

ფორმალური გამოხატვის თვალსაზრისით ზმნის კატეგორიები იყოფა გრამატიკულ (მორფოლოგიურ) და სემანტიკურ კატეგორიებად. ამგვარ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს გრამატიკული კატეგორიის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის, ტრადიციული გაგება; ე. ი. კატეგორიისა, რომელიც გამოიხატება მორფოლოგიური საშუალებებით (აფიქსებით, მოდელებით...). ამგვარი გაგებით მორფოლოგიური (გრამატიკული) კატეგორიებია პირი, რიცხვი, მწკრივი, გვარი, ქცევა, კონტაქტი... სემანტიკური კატეგორიებია დრო, კილო, აქტი...

შევნიშნავთ: მორფოლოგიური კატეგორია შეიძლება იქცეს სემანტიკურ კატეგორიად და პირიქით. მაგალითად, გზისობა ძველ ქართულში მორფოლოგიური კატეგორია იყო (ხოლმეობითს მორფოლოგიური ნიშანი ჰქონდა), ახალ ქართულში სემანტიკური კატეგორიაა. სრული და უსრული ასპექტი ძველ ქართულში ფორმობრივად არ გაირჩეოდა, ახალ ქართულში ზმნისწინი განასხვავებს...

ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება მრავალპირიანობაა: ერთსა და იმავე ფორმაში ერთდროულად შეიძლება აისახოს სუბიექტური პირიც და ობიექტურიც. პირიანობისა და ვალენტობის გარჩევამ ეს საკითხი დააზუსტა.

ზმნა ფორმას იცვლის (იუღვლის) როგორც სუბიექტური პირების მიხედვით, ისე ობიექტური პირების მიხედვით. შესაბამისად გვაქვს სუბიექტური წყობა და ობიექტური წყობა; სუბიექტური უღლება და ობიექტური უღლება.

ზმნის ფორმაცვალება ხდება საუღლებელ ერთეულთა — მწკრივთა — მიხედვით; მწკრივის ფარგლებში — პირისა და რიცხვის მიხედვით. შესაბამისად ვსაუბრობთ უღლებაზე ფართო მნიშვნელობით და ვიწრო მნიშვნელობით. ზმნას მოეპოვება როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოება.

საუღლებელი ფუძის მიხედვით ზმნურ ფორმათა დაჯგუფება ხდება მწკრივებად და სერიებად. ეს ერთ-ერთი ურთულესი უბანია ქართული ზმნის მორფოლოგიაში: საუღლებელ ერთეულთა რაობისა და რაოდენობის საკითხი დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება.

წინამდებარე გამოცემა შეეცდება შეაჯამოს და შეძლებისდაგვარად პასუხი გასცეს პრობლემურ კითხვებს.

IV. 1.2. ზმნის პირის კატეგორია

IV. 1.2.1. ზმნის პირი (ზოგადი). პირი და რიცხვი ზმნის უმთავრესი კატეგორიებია. ისინი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

პირის კატეგორია „ერთ-ერთი უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა სახით გამოხატულებას პოვებს ენობრივ სისტემაში. იგი გამომდინარეობს ენობრივი კომუნიკაციის აქტიდან და აღნიშნავს ამ აქტის მონაწილეთა დამოკიდებულებას ენობრივი კომუნიკაციისადმი“ (თ. გამყრელიძე).

ზმნის პირი განიმარტება როგორც „ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა“ (ა. შანიძე).

პირის კატეგორია უშუალო კავშირშია სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიასთან. არ არსებობს ზოგადად სუბიექტი ან ზოგადად ობიექტი: პირის კატეგორიის თვალსაზრისით სუბიექტი ყოველთვის არის განსაზღვრული: სუბიექტური პირველი პირი (S_1), სუბიექტური მეორე პირი (S_2) ან სუბიექტური მესამე პირი (S_3); ასევე პირის მიხედვით არის განსაზღვრული ობიექტიც: ობიექტური პირველი პირი (O_1), ობიექტური მეორე პირი (O_2) და ობიექტური მესამე პირი (O_3).

იმისდა მიხედვით, ზემოდასახელებულ პირთაგან რომელია ნაგულისხმევი ზმნის ფორმაში, ვარკვევთ რ ო მ ე ლ ო ბ ა ს პირისას — მოუბარი ანუ I პირი, თანამოსაუბრე ანუ II პირი და ის (ვინც ან რაც) არ არის არც მოუბარი და არც თანამოსაუბრე, არამედ სხვაა — III პირი.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია ესა თუ ის პირი მოქმედებასთან მიმართებით, ვსაუბრობთ პირის რ ო გ ო რ ო ბ ა ზ ე — მოქმედია თუ უმოქმედო (ან: სამოქმედო); ანუ სუბიექტურია თუ ობიექტური.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პირია წარმოდგენილი ზმნის ერთ ფორმაში, ვარკვევთ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს პირთა — ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი ან მრავალპირიანი.

IV. 1.2.2. რომელობა პირისა. ენობრივი კომუნიკაციის აქტი გულისხმობს, ერთი მხრივ, მოუბარს, „მეტყველს“, როგორც სამეტყველო აქტის ავტორს; მეორე მხრივ, „მსმენელს“, თანამოსაუბრეს, სამეტყველო აქტის ადრესატს და, მესამე მხრივ, მას — „ვინც ან რაც არც მო-

უბარია და არც „მისი მიმართვის საგანი“, ანუ არც „მეტყველი“ და არც „მსმენელი“, არამედ — სხვა.

შესაბამისად, რომელობის მიხედვით გამოიყოფა სამი პირი:

I პირი, რომელიც „თავის თავს **მე**-ს ეძახის“, თუ ის ერთია; და თუ კრებულშია, „**ჩვენ** სიტყვით აღინიშნება“ (ა. შანიძე). სხვაგვარად რომ ვთქვათ, I პირის ფორმა გვაძლევს წარმოდგენას „**მე** ან **ჩვენ** სიტყვით აღნიშნული ადამიანის ან ადამიანთა მოქმედების შესახებ“ (ა. შანიძე).

II პირი მსმენელს გულისხმობს, რომელიც **შენ** (თუ ერთია) ან **თქვენ** (თუ ერთზე მეტია) სიტყვით აღინიშნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, II პირის ფორმა გვაძლევს წარმოდგენას „**შენ** ან **თქვენ** სიტყვით აღნიშნული ადამიანის (ან აღნიშნულ ადამიანთა) მოქმედების შესახებ“ (ა. შანიძე).

III პირი, „ვინც ან რაც მოუბრის თვალსაზრისით არ არის არც **მე** ან **ჩვენ,** არც **შენ** ან **თქვენ,** იქნება **იგი** ან **იგინი** (ან **ის** ან **ისინი**)“. ყოველი ფორმა ზმნისა, რომელიც ნაცვალსახელებთან შეწყობისას იგულისხმებს ერთ-ერთ ამ ნაცვალსახელთაგანს: **იგი, მან, მას, იგინი (ისინი), მათ** მესამე პირისა იქნება“ (ა. შანიძე).

შესაბამისად, თითოეულ პირში განირჩევა მხოლობითი და მრავლობითი:

მხოლობითია: მე, შენ, ის (იგი), მან, მას

მრავლობითია: ჩვენ, თქვენ, ისინი (იგინი), მათ.

მრავლობითის შემთხვევაში განსხვავებულია I და II-III პირების ვითარება. II პირის მრავლობითი **თქვენ** გულისხმობს „მსმენელთა“ სიმრავლეს („მრავალი შენ“ ან ერთი ან რამდენიმე „შენ“ და „ის“ / „ისინი“); III პირის მრავლობითი **იგინი (ისინი)** გულისხმობს სიმრავლეს **ის (იგი)** ფორმით გამოხატულ პირთა („მრავალი ის“). I პირის მრავლობითი **ჩვენ** არ გულისხმობს **მე** ფორმით გამოხატულ პირთა სიმრავლეს („ჩვენ“ არ უდრის „ბევრ მეს“); ჩვენ გულისხმობს ერთ მოუბარს („**მე**-ს) და მასთან ერთად ან მეორე, ან მესამე ანდა II-III პირებს:

ჩვენ — მე + შენ (ან თქვენ) (1)
მე + ის (ან ისინი) (2)
მე + შენ (ან თქვენ), ის (ან ისინი) (3).

ჩვენ ფორმის შემთხვევაში II პირის ჩართვა-არჩართვა განასხვავებს ი ნ კ ლ უ ზ ი უ რ და ე ქ ს კ ლ უ ზ ი უ რ ფორმებს: თუ **ჩვენ** გულისხმობს II პირსაც, ფორმა ინკლუზიურია (I და მე-3 შემთხვევა); თუ ჩვენ არ გულისხმობს II პირს, ფორმა ექსკლუზიურია (მე-2 შემთხვევა).

ინკლუზიური და ექსკლუზიური **ჩვენ** თანამედროვე ქართულში მორფოლოგიურად არ გაირჩევა. ინკლუზივ-ექსკლუზივი მორფოლოგიური კატეგორიაა სვანურისათვის. ფიქრობენ, რომ ძველ ქართულშიც ეს კატეგორია მორფოლოგიური იყო:

მო-გუ-ეც ჩუენ — ინკლუზივი;

მო-მ-ეც ჩუენ — ექსკლუზივი.

თუმცა, თუ ეს თვალსაზრისი სარწმუნოა, ინკლუზივ-ექსკლუზივი ძველი ქართულისათვის მაინც ნაშთი ჩანს ოდინდელი ვითარებისა.

IV. 1.2.3. როგორობა პირისა. ზმნის პირი შეიძლება იყოს მოქმედი — სუბიექტი (S) და სამოქმედო — ობიექტი (O), რომლისკენაც მიმართულია სუბიექტის მოქმედება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნის ფორმაში ის წარმოდგენილია, მაგრამ მოქმედად არ არის გამოყვანილი.

სუბიექტი ქართულში ყველა ტიპის ზმნაში არის წარმოდგენილი.

ობიექტი ქართულში გრამატიკული კატეგორიაა (განსხვავებით ევროპული ენებისა, სადაც ობიექტი ოდენ სემანტიკური კატეგორიაა). ეს იმას ნიშნავს, რომ მისი პირი ზმნურ ფორმაში შეიძლება აღინიშნოს. გაირჩევა ორგვარი ობიექტი: პირდაპირი და ირიბი. სემანტიკურად პირდაპირია ის ობიექტი, რომელზეც უშუალოდ, პირდაპირ გადადის სუბიექტის მოქმედება (აშენებს ის **მას,** ხატავს ის **მას**...); ირიბია ის ობიექტი, რომელზეც უშუალოდ არ გადადის მოქმედება; იგი შეიძლება სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდეს; მას ახასიათებენ როგორც **ადრესატს** (და წერილს წერს **ძმას**), **დესიგნატს** (და დავალებას უწერს **ძმას**), **ეგზეკუტორს** (და წერილს აწერინებს **ძმას**), **ლოკატივრს** (და ქუდს ახურავს **ძმას**) და სხვა. თუმცა გრამატიკულად ყველა ეს შემთხვევა ერთია — **ძმა** ყველა შემთხვევაში ირიბი ობიექტის ფარდი სახელია.

გრამატიკულად პირდაპირი ობიექტი ბრუნვაცვალებადი ობიექტია — მწკრივთა მიხედვით იგი ან სახელობით ბრუნვაშია, ან მიცემით ბრუნვაში.

ირიბი ობიექტი ბრუნვაუცვლელი ობიექტია — იგი ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია.

IV. 1.2.4. პირთა რაოდენობის საკითხი ზმნის ერთ ფორმაში. პირიანობა და ვალენტობა. ცნობილი ფაქტია, ქართული ზმნის ერთერთი ძირითადი თავისებურება მრავალპირიანობაა. თუ ევროპული

ენების ზმნაში მორფოლოგიურად შეიძლება მხოლოდ ერთი პირი აისახოს (სუბიექტი), ქართულ ზმნაში სუბიექტურის გარდა შეიძლება აისახოს ობიექტური პირიც.

ტრადიციულად გრამატიკებში საუბარი იყო ერთპირიან, ორპირიან, სამპირიან (და ცალკეულ შემთხვევებში ოთხპირიან) ზმნებზე.

პირიანობისა და ვალენტობის განსხვავებამ ეს საკითხი დააზუსტა.

ვთქვით, ქართული ზმნა მრავალპირიანია. ეს ნიშნავს: ერთდროულად ზმნაში შეიძლება აისახოს მორფოლოგიურად ერთზე მეტი პირი. პირიანობას განსაზღვრავენ იმის მიხედვით, თუ რამდენ პირის ნაცვალსახელს შეიწყობს, ანუ რამდენი პირის შესახებ გვაძლევს წარმოდგენას ზმნური ფორმა:

დგას **ის,**

ხატავს **ის მას,**

უკეთებს **ის მას მას** (მიჭმიე შენ მე ის მას)... თუმცა ფაქტია ის, რომ ამგვარად შეწყობილ პირთა გამოხატვა არ არის ერთგვარი; ზმნასთან დაკავშირებულ ყველა პირს ზმნაში არ მოეპოვება თავისი ნიშანი; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთდროულად ყველა არ აისახება ზმნაში მორფოლოგიურად.

ფაქტია: არ არის შესაბამისობა ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ პირთა რაოდენობასა და ზმნაში მორფოლოგიურად გამოხატულ პირთა რაოდენობას შორის. სწორედ ამ შეუსაბამობის გამო მოხდა გამიჯვნა ვალენტობისა და პირიანობისა. ლ. ტენიერის მოძღვრებაზე დაყრდნობით ვალენტობა ასე განიმარტება: „ზმნური ფორმის უნარს შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა) ანუ „აქტანტების“ განსაზღვრული რაოდენობა, შეიძლება ზმნის „ვალენტობა“ ეწოდოს“ (თ. გამყრელიძე).

ზმნური ფორმა არა მხოლოდ შეიწყობს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტური მიმართების გამომხატველ სახელებს (რაც ვალენტობით განისაზღვრება), არამედ ზმნურ სტრუქტურაში ხდება ამ სახელთა შესაბამისი მორფოლოგიური ექსპონენტის წარმოდგენა; სწორედ ეს ექსპონენტები არის პირის კატეგორიის გამომხატველი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ თეორიის მიხედვით ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან პირებად მოიაზრებენ მხოლოდ იმათ, რომლებიც ზმნაში მორფოლოგიურად აისახება.

გრამატიკის დონეზე შეიძლება ვალენტობისა და პირიანობის შესახებ ერთად მსჯელობა, მორფოლოგიის დონეზე კი — არა, რადგანაც **ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა** — ზმნური ფორმის უნარი შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელები) გარკვეული რაოდენობა.

პირიანობა მორფოლოგიური კატეგორიაა — ზმნურ ფორმაში მასთან დაკავშირებულ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) პირის გამომხატველი მორფოლოგიური ნიშნის წარმოდგენა.

ვალენტობის თვალსაზრისით ზმნა შეიძლება იყოს:

ნულვალენტიანი (თოვს, წვიმს...);

ერთვალენტიანი (— დგას, — თბება...);

ორვალენტიანი (— — აშენებს, — — ემალება...);

სამვალენტიანი (— — — უხატავს, — — — ეკითხება...);

ოთხვალენტიანი (— — — — მიჭმიე...).

ანუ ვალენტობის მიხედვით ქართული ზმნა მოთავსდება დიაპაზონში O — 4 (თ. გამყრელიძე).

არსებობს ვალენტობის სხვაგვარი გაგებაც: ყველა სახელი, რომელიც წინადადებაში ზმნა-შემასმენელთან არის დაკავშირებული (შესიტყვებას ქმნის) — იგულისხმება ირიბი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი (თანდებულიანი თუ უთანდებულო) — ვალენტობის განმსაზღვრელი შეიძლება იყოს (ლ. ენუქიძე). ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო შორდება პირიანობას... ამგვარი გაგებით ვალენტობის დიაპაზონი იზრდება. თუმცა, როგორც ვთქვით, ჩვენთვის ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა; მორფოლოგიაში ვსაუბრობთ ზმნის პირიანობის შესახებ.

პირიანობასთან დაკავშირებით კი სხვა ვითარებაა.

პირის ნიშნებს ზმნურ ფორმაში აჩენს როგორც სუბიექტი (სხვაგვარი ტერმინით — აგენსი), ისე ობიექტი (სხვაგვარი ტერმინით — პაციენსი). ზმნაში შეიძლება აისახოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ობიექტი. ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება არის სწორედ ის, რომ ზმნაში ერთდროულად შეიძლება აისახოს როგორც სუბიექტის პირი, ისე ობიექტის პირი: **მ-ხატავ-ს** ის მე — ფორმაში **-ს** სუბიექტზე მიანიშნებს, **მ-** ობიექტზე... შესაბამისად, ქართული ზმნა შეიძლება დახასიათდეს, როგორც სუბიექტ-ობიექტური წყობის ზმნა, განსხვავებით იმ ენათა ზმნისაგან, სადაც ზმნაში მხოლოდ სუბი-

ექტის პირი აისახება და, შესაბამისად, ზმნაც მხოლოდ სუბიექტური წყობისა.

არსებობს აზრი, რომ ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი და ორპირიანი, რადგანაც ერთდროულად ზმნაში შეიძლება აისახოს მაქსიმუმ ორი პირი: სუბიექტური და ერთ-ერთი ობიექტი. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი არსებითი ხასიათის მომენტი: ერთი და იმავე პარადიგმის სხვადასხვა ფორმაში მორფოლოგიურად შეიძლება აისახოს, ვთქვათ, სამვალენტიანი ზმნის სამივე პირი:

	S	Oირ.	Oპ.	
მი-**ვ-**ეც	**მე**	მას	ის	(I)
მი-**ს**-ც-**ა**	**მან**	**მას**	ის	(II)
მი-**მ**-ც-**ა**	**მან**	მას	**მე**	(III)
მო-**გ-**ეც	მე	**შენ**	ის	(IV)
მი-**მ**-ეც	შენ	მას	**მე**	(V)
მო-**მ**-ეც	შენ	**მე**	ის	(VI)

ანუ ერთი და იმავე სამვალენტიანი ზმნის პარადიგმის სხვადასხვა ფორმაში შეიძლება მორფოლოგიურად აისახოს ერთი ან ორი პირი, მაგრამ ერთი პირის ასახვის შემთხვევაში ის შეიძლება იყოს სუბიექტი (მაგ., I შემთხვევა), პირდაპირი ობიექტი (V შემთხვევა), ირიბი ობიექტი (VI შემთხვევა), ანუ ვალენტობით დაკავშირებული სამივე პირი; ორი პირის ასახვის შემთხვევაში ის შეიძლება იყოს სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი (III შემთხვევა), სუბიექტი და ირიბი ობიექტი (II შემთხვევა). ასე რომ, სამვალენტიანი ზმნის შემთხვევაში სამივე პირი შეიძლება აისახოს ზმნაში. რომელ შემთხვევაში რომელი ან რამდენი პირი აისახება, დამოკიდებულია პირთა კომბინაციებზე. ასეთი ზმნა, ცხადია, სამპირიანად უნდა ჩაითვალოს. საკითხი ასევე შეიძლება დაისვას ოთხვალენტიან ზმნათა შესახებაც.

ზმნა იმდენპირიანად უნდა მივიჩნიოთ, რამდენი პირის შესახებაც გვაძლევს წარმოდგენას ზმნური ფორმა კონტექსტის გარეშე: დამ ძმას

წერილი **გაუგზავნა** — სამვალენტიანი ზმნაა; **გაუგზავნა** მან მას ის — სამპირიანი ზმნაა. ტრადიციული გაგება პირიანობისა, ეს არის არსებითი ხასიათის თავისებურება ქართული ზმნისა (ევროპული ზმნა კონტექსტის გარეშე მხოლოდ სუბიექტზე გვიქმნის წარმოდგენას; ობიექტების შესახებ ინფორმაციას ზმნური ფორმა ვერ გვაძლევს, ამას კონტექსტი აზუსტებს. ამიტომაც არის არსებითი ხასიათის სხვაობა პირიანობასა და ვალენტობას შორის ევროპულ ენებში).

IV. 1.2.5. პირთა მორფოლოგიური გამოხატვა

IV. 1.2.5.1. ვთქვით: არ არსებობს ზოგადად სუბიექტური ან ზოგადად ობიექტური პირი, არსებობს კონკრეტული სუბიექტური ან კონკრეტული ობიექტური პირი, რომელთაც მორფოლოგიური გამოხატვის თავისი წესი აქვთ.

არსებითი თავისებურება პირთა გამოხატვაში ის არის, რომ I-II პირთა გამოხატვის პრინციპი ერთგვაროვანია და არსებითად განსხვავდება III პირის გამოხატვის პრინციპისაგან:

ა) I-II პირთა ნიშნები პრეფიქსებია (**ვ**-არ, **ხ**-არ...)

III პირის ნიშნები — სუფიქსები (წერ-**ს**, გააკეთ-**ა**...).

ბ) I-II პირთა გამოხატვა აგლუტინაციის პრინციპს ემყარება — პირს თავისი ნიშანი აქვს და რიცხვს — თავისი (**ვ**-არ-**თ**, **ხ**-არ-**თ**...).

მესამე პირის შემთხვევაში ფლექსიური პრინციპი მოქმედებს: ერთი და იგივე აფიქსი პირზეც მიანიშნებს და რიცხვზეც (წერ-**ს**, წერ-**ენ**...).

გ) I-II სუბიექტურ პირს თითო აფიქსი გამოხატავს (შესაძლო ფონეტიკური ვარიანტებით); III სუბიექტურ პირში მაწარმოებელთა სიმრავლე გვაქვს (-ს, -ა, -ო; -ნ, -ენ, -ან, -ეს...), თუმცა ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი მათ ისტორიულ ფონეტიკურ ვარიანტულობაზე.

ობიექტურ პირთა გამოხატვის ზოგადი პრინციპი ერთგვაროვანია: ობიექტური პირის ნიშანი სამივე პირში პრეფიქსია; ძირითადად მოქმედებს პირთა გამოხატვის აგლუტინაციური პრინციპი, გარდა I ობიექტური პირისა: ამ შემთხვევაში მხოლობით რიცხვში სხვა აფიქსი (**მ-**) გვაქვს, მრავლობით რიცხვში — სხვა (**გვ-**); სხვა შემთხვევაში ობიექტური პირის რიცხვი **-თ** სუფიქსით გამოიხატება (გამოხატვის სპეციფიკაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

IV. 1.2.5.2. I სუბიექტური პირი. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი არის **-ვ** პრეფიქსი. იგი ზმნაში ყოველთვის არის წარმოდგენილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გვაქვს პირთა კომბინაცია — I სუბიექტური პირი / II ობიექტური პირი. ამ შემთხვევაში ზმნაში ობიექტის ნიშანია წარმოდგენილი:

მე შენ **გ**-ხატავ, მე თქვენ **გ**-ხატავ-თ...

სხვა შემთხვევაში შესაძლოა **ვ-** პრეფიქსი ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს გაუჩინარებული (**ო**, **უ** ხმოვნებისა და **ვ** თანხმოვნის წინ); თუმცა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით ამ შემთხვევაში **ვ-** პრეფიქსი მაინც იწერება: ვ-ომობ, ვ-უკეთებ, ვ-ვარჯიშობ. გამონაკლისია ვალ/ვედ ზმნა: მო-ვალ (შდრ.: მო-ხ-ვალ), მო-ვედი (შდრ.: მო-ხ-ვედი).

I სუბიექტური პირის მრავლობითობას ზმნაში **-თ** სუფიქსი გამოხატავს. იგი ყოველთვისაა წარმოდგენილი: ვ-არ-თ, ვ-წერ-თ... მაშინაც კი, როცა S_1 პირის ნიშანი არ არის მოსალოდნელი: ჩვენ შენ გ-ლოცავ-**თ**...

IV. 1.2.5.3. II სუბიექტური პირი. თანამედროვე ქართულში მეორე სუბიექტური პირის გამოხატვა თავისებურია: ორიოდე ზმნაში პირის ნიშანი არის **ხ-** პრეფიქსი: **ხ**-არ, მო-**ხ**-ვალ / მო-**ხ**-ვედი. ეს არის ნაშთი ხანმეტობის დროინდელი (V-VII სს) ნორმისა. რამ გამოიწვია ამ ორ ზმნაში პრეფიქსის შემონახვა, აუხსნელია. ეს ფაქტი დასტურდება სალიტერატურო ენის ისტორიის ყველა ეტაპზე და თანამედროვე ქართული ენის ყველა დიალექტში.

სხვა შემთხვევაში II სუბიექტური პირის ნიშანი არის **ჰ-** ან მისი ფონეტიკური ვარიანტები. თანამედროვე ქართულში ამ ვარიანტთა სიმრავლე გვაქვს: სალიტერატურო ქართულში ვარიანტებია ჰ-, ს- და **Ø**. დიალექტებში უფრო მეტია (ამიტომ მათ განაწილებასა და გამოვლენის პირობებზე ქვემოთ ვისაუბრებთ, რამდენადაც ობიექტური მესამე პირის გამოხატვა ანალოგიურია სუბიექტური მეორე პირის გამოხატვისა); შევნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართული ენის ნორმათა მიხედვით სუბიექტური მეორე პირის ნიშნის ხმარება აუცილებელი არ არის.

აქ მივანიშნებთ მხოლოდ იმას, რომ S_2 პირის ნიშანი აკრძალულია იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს კომბინაცია I ობიექტურ პირთან — ამ შემთხვევაშიც ობიექტური პირის ნიშანი არის წარმოდგენილი:

შენ მე მ-კლავ
შენ მე მას მ-ჩუქნი...

IV. 1.2.5.4. ობიექტურ პირთა გამოხატვა. პირველი ობიექტური პირის გამოხატვა სხვა პირთაგან განსხვავებით ფლექსიურ პრინციპზეა დაფუძნებული: მხოლობით რიცხვში **მ-** პრეფიქსი გვაქვს, მრავლობითში — **გვ-:**

მე ის **მ**-ხატავს, **მ**-ემალება,
ჩვენ ის **გვ-**ხატავს, **გვ**-ემალება...

მეორე ობიექტური პირის გამოხატვა აგლუტინაციურ პრინციპს ეფუძნება: პირის ნიშანი არის **გ-,** მრავლობითობას **-თ** სუფიქსი გამოხატავს:

შენ ის **გ**-ახატავს, **გ**-ემალება
თქვენ ის **გ**-ხატავ-**თ,** **გ**ემალება-**თ**

შევნიშნავთ: თუ გვაქვს ასეთი კომბინაცია — O_2 მრავლობით რიცხვში და სუბიექტი მესამე მხოლობით რიცხვში, როცა S_3-ის ნიშანი არის **-ს** — სუბიექტის ნიშანი იკარგება:

თქვენ ის გ-ხატავ-თ (← გ-ხატავ-ს-თ), შდრ.: გ-ემალებ-**ა-თ**...

თუ S_3 მრავლობითშია, მაშინ O_2-ის მრავლობითობა არ აღინიშნება:

თქვენ ისინი გ-ხატავ-**ენ**, გ-ემალები-**ან**...

მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ I და II ობიექტური პირების შემთხვევაში პირდაპირ და ირიბ ობიექტს მორფოლოგიური თვალსაზრისით გარჩევა არა აქვთ — ისინი ერთგვარად გამოიხატებიან.

IV. 1.2.6. ჰ- და ს- პრეფიქსები ქართულ ზმნაში. ვთქვით: სუბიექტური მეორე პირის ნიშანი არის **ჰ-** და მისი ფონეტიკური ვარიანტი **ს-** ან **Ø** (**ს**-ს, როგორც გამონაკლისს, ამ მსჯელობაში არ შემოვიტანთ). იგივე პრეფიქსები არის მაწარმოებელი ობიექტურ მესამე პირში; განაწილების წესიც ერთგვარია. ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია ერთად ვიმსჯელოთ სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე (S_2O_3) პირის ნიშანთა შესახებ.

ამ პრეფიქსთა დღევანდელი ვითარების ანალიზისათვის აუცილებლად მიგვაჩნია მცირე ისტორიული ექსკურსი. S_2O_3-ის ნიშანთა სისტემამ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში რთული გზა განვლო:

V-VII საუკუნეებში S_2O_3 გამოიხატებოდა ერთი პრეფიქსით — **ხ-** (სწორედ ამ ვითარების ნაშთია **ხ**-არ, **ხ**-ვალ / **ხ**-ვედ). ამ ეტაპს აღვნიშნავთ ტერმინით **ხანმეტობა.** ეს პრეფიქსი გვქონდა როგორც ხმოვნით დაწყებულ, ისე თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან (შე-ხ-ეწიე, შე-ხ-უაბთ...). ძველ ქართულში **ხ** პრეფიქსი გვქონდა ასევე **ი**ნიან ვნებითებში (ხ-იყო, ხ-იქმა...) და ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებთან (ხ-უდიდ'ს, ხ-უმჯობჱს...).

მომდევნო ეტაპზე (VII-IX საუკუნეები) **ხ** პრეფიქსს ენაცვლება **ჰ-** (ამ ეტაპს აღვნიშნავთ ტერმინით **ჰაემეტობა**). **ხ**ანის **ჰ**აეთი ჩანაცვლება ხდება ოთხივე ფუნქციის (S_2, O_3, ინიანი ვნებითები და უფროობითი ხარისხის ფორმები) შემთხვევაში.

მომდევნო ეტაპზე **ჰ-** პრეფიქსს გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში მისი ფონეტიკური ვარიანტები ჩაენაცვლება — ს- და Ø. ამ ეტაპს **სანნარევი** პერიოდი ჰქვია. ჰ-, ს- და Ø პრეფიქსების განაწილებას თავისი წესი აქვს. ერთია, რადგანაც ხმოვანთა წინ ფონეტიკურ ნიადაგზე პრეფიქსი იკარგება, ინიანი ვნებითები და უფროობითი ხარისხის ფორმები პრეფიქსს აღარ დაირთავენ; ფაქტია, თუ S_2O_3-ის შემთხვევაში ხმოვანთა წინა პოზიციაში ვსაუბრობთ ნულოვან ალომორფებზე, რადგანაც ამ ფორმებში მხოლოდ ნულოვანი ვარიანტი გვაქვს, პრეფიქსზე აღარ ვსაუბრობთ.

ძველ ქართულში S_2O_3 პრეფიქსების განაწილებას საკმაოდ მკაცრი წესები ჰქონდა, მომდევნო პერიოდში ვითარება შეიცვალა; საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს ახალი ქართული მწერლობის ძეგლებში (XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში). ამ ვითარებას ა. შანიძე ასე ახასიათებს: „ერთადერთი საზომი **ჰ**აესა და **ს**ანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება: ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“. სიტუაცია ქაოსურ შთაბეჭდილებას ქმნის, ამიტომაც საჭირო გახდა ასეთი ნორმის მიღება: „ა) არ იქნეს ხმარებული **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები II სუბიექტური პირის აღსანიშნავად. ბ) იხმარებოდეს **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად“. წესი ზუსტდება: „**ჰ-** დატოვებულ იქნეს **გ, კ, ქ, ბ, პ, ფ, ჳ** თანხმოვანთა წინ. **ს-** III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად უნდა იხმარებოდეს **დ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჭ, ჩ** თანხმოვანთა წინ“. თუმცა იქვე ნორმებში დაშვებულია გამონაკლისი ისეთი ფორმების მიმართ, როგორებიცააა გა-ს-ტანს, გა-ს-წევს, ა-ს-წევს, გამო-ს-ცემს, გა-ს-ცემს... დაშვებული გამონაკლისების ახსნა ჭირს...

მიუხედავად საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული განაწილების წესისა, **ჰ-** და **ს-** პრეფიქსების ხმარებაში ხშირია ნორმის დარღვევა:

ა) პრეფიქსები გვხვდება ორპირიან გარდამავალ ზმნებში: მო-**ჰ**-კლა, შე-**ს**-ძლო...

ბ) პრეფიქსები არა გვაქვს III ირიბობიექტიან ფორმებში: გამო-კითხა, მი-წერა...

გ) პრეფიქსებს დაირთავს ერთპირიანი ფორმები: **ს**-ჩანს, **ჰ**-ყვავის...

დ) დასტურდება ორმაგი პრეფიქსებიც: **ჰს**-ჩანს, მი-**ჰს**-წერ...

რაც მთავარია, ამგვარი ვითარება გვაქვს იმ კლასიკოს მწერლებთან, რომელთაც თავიანთი ენობრივი პოზიცია აქვთ და ამ პრეფიქსთა ხმარებას პრინციპულად მოითხოვენ ორპირიან გარდამავალ ზმნებსა და ერთპირიან ფორმებში (ვაჟა-ფშაველა, კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი).

აღვნიშნავთ იმასაც, რომ პრეფიქსიან და უპრეფიქსო პარალელურ ფორმებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით სხვაობა არაა:

გამო-ჰკითხა II გამო-კითხა, მი-სწერა II მი-წერა;

მო-ჰ-კლა II მო-კლა, შე-ს-ძლო II შე-ძლო;

ჰ-ყვავის II ყვავის, ს-ჩანს II ჩანს...

ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ **ჰ-** და **ს-** პრეფიქსებს ფუნქციური დატვირთვა ეცვლება: კონკრეტულ პირზე მინიშნება აღარაა მათი ფუნქცია. მწერლის კომენტარი — „რა ქართულია **ჩანს, ყვავის,** უნდა იყოს ს-ჩანს, ჰ-ყვავის“ მიანიშნებს იმაზე, რომ პრეფიქსიან ფორმებს სხვა ფუნქციური დატვირთვა ეძლევა (არამორფოლოგიური).

თანამედროვე ქართულში ერთი საინტერესო ტენდენციაც იკვეთება: თუ ძველ ქართულში II სუბიექტური პირის შემთხვევაში ჰ-/ს- პრეფიქსთა ქონა-არქონა განასხვავებდა თხრობითი და ბრძანებითი კილოს ფორმებს (თხრ.: მო-ჰ-კალ, და-ს-წერე; ბრძ.: მო-კალ! და-წერე!...), თანამედროვე ქართულში შეინიშნება პირიქითი მოვლენა (თხრობითი: მო-კალი, დაწერე; ბრძანებითი: მო-ჰ-კალ! და-ს-წერე). კლასიკოს მწერლებთან ამგვარი ფაქტები დასტურდება.

საუბრობენ „კეთილხმოვნების“ პრინციპზე თუ ჰ-/ს- პრეფიქსთა ესთეტიკურ ფუნქციაზე; მაგრამ ეს აღარ არის უკვე მორფოლოგია. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

ჰ-/ს- პრეფიქსების გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები არ არის სალიტერატურო ენის თავისებურება. გაცილებით რთულია მდგომარეობა თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში. ქართული

ენის დასავლურ არეალში არის ტენდენცია ამ პრეფიქსთა გაქრობისა; აღმოსავლურ დიალექტებში — გართულების ტენდენცია შეინიშნება; დასტურდება ნორმის დარღვევის შემთხვევები: ჰ-/ს- გვხვდება გარდა ზემოდასახელებული თანხმოვნებისა, სხვა თანხმოვანთა წინაც II სუბიექტურ პირსა თუ სხვა შემთხვევაში; ეს პრეფიქსები გვხვდება ორპირიან გარდამავალ ზმნებშიც და ერთპირიანებშიც; აღსანიშნავია ისიც, რომ ორმაგი პრეფიქსაცია, რაც არაბუნებრივად მიიჩნეოდა ქართულისათვის (ჰ-ს-ჩანს, მი-ჰ-ს-წერა...), ფაქტია ცოცხალ მეტყველებაში. დიალექტებში ვითარება ასეთია:

I სქემა:

	Ø	ჰ	ს	ზ	შ	ჟ	ხ	ღ	დ	დჰ	დს	დხ	დზ	დშ	ფ	ჰხ	ჰშ	ჰს
ქართლური	+	+	+	+	+		+		+	+	+							
კახური	+	+	+	+	+				+	+	+					+	+	+
ინგილოური:	+	+	+		+		+		+							+	+	+
ფერეიდნული	+	+	+															
ხევსურული	+	+	+	+	+	+	+	+										
მთიულური	+	+	+															
მოხეური	+	+	+	+	+		+	+							+	+		
თუშური	+	+	+	+	+	+	+	+										
ფშაური	+	+	+	+	+		+				+	+	+	+				
ჯავახური	+	+	+	+	+		+		+							+		
აჭარული	+	+	+		+	+	+									+	+	+
იმერული	+	+	+				+											
გურული	+	+	+				+											
ლეჩხუმური	+	+	+		+		+											
რაჭული	+	+	+				+											
კლარჯული	+	+	+															

II სქემა:

Ø	აკეთებ, აშენებ, უკეთებ, უშენებ... კითხა, მიწერა (იმერ.)
ჰ	გაჰყვა, მოჰკვდომია... ვჰფქოვდით (მოხ.) აჰტკივდა (აჭარ.)
ს	სძინავს, სწყდება, შესწევდა, გასთავებია..
ზ	მოვზჯარდით (ხევს.), ზდგები (კახ.), გადაზდისა (ქართლ.)
შ	მოშჭრა, გაშჭირებია (ქართლ.), შეშჭამთო (კახ.), გაშჩეხა (აჭარ.)
ჟ	ჟჯობნია, დაჟჯერდა (აჭარ.), ჟჯღვლემს (თუშ.), დაჟჯერდან (ხევს.)
ხ	დახფარავენ (ხევს.), დავხპატიჯე (მოხ.), ხპარავს, ხქონდა (თუშ.), ახკიდებს (აჭარ.)
ღ	წაღლალავს (ხევს.), გავღლესთ (მოხ.), ღნახიდი (თუშ.)
დ	წაგბრძანდები, აგდგები (კახ.), დაგთანხმდა, დაგკითხა (ქართლ.)
დჰ	აგჰყვა, გაგჰკრა (ქართლ.), ჩაგჰყო (კახ.), დაგჰფქავდენ (ფშ.)
დს	დაგსწვდა, წაგსწყვიტა (ქართლ.), დაგსწვერთ (კახ.)

ჲხ	ჲხყავ, ჲხჴოცდენ, ჲხჴნავდა, გდაჲხყოლიყო (ფშ.)
ჲზ	გამაჲზძახს (ფშ.)
ჲშ	დაჲშჭყივლა, შაჲშჭამს, დაჲშჭრიდენ (ფშ.)
ჶ	გაჶფხეკ (← გაჰფხეკ) (მოხ.)
ჰს	მიჰსცა, ავჰსწონევით, ავჰსწიე (აჭარ.), მივჰსცემ (ინგ.)
ჰშ	შეჰშჭამდა, გაჰშჭრა, დაჰშჭირდება (აჭარ.), მოჰშჭრა (ინგ.)
ჰხ	ჩაჰხყვეს, მიჰხვდა (აჭარ.), ჰხყიდი, დაჰხხურა (ინგილ.)

სულ დადასტურებულია 18 ფონეტიკური ვარიანტი. ყველაზე მეტი კახურ დიალექტშია წარმოდგენილი (ცხადია, კილოკაური თვალსაზრისითაც არის სხვაობა); ყველაზე ნაკლები ვარიანტი კლარჯულში გვაქვს (ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ეს დიალექტი (თუ დიალექტთა ჯგუფი) შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი).

შევნიშნავთ იმასაც, რომ ყველაზე მეტ დიალექტში **ხ** პრეფიქსია დამოწმებული (ჰ- და ს- პრეფიქსთა შემდეგ). **ხ-** ამ შემთხვევაში ფონეტიკური ვარიანტია **ჰ-** პრეფიქსისა და არა — არქაული მოვლენა.

IV. 1.2.7. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა

IV. 1.2.7.1. ზოგადი ვითარება. მთელ ამ სისტემაში (სუბიექტურ და ობიექტურ პირთა გამოხატვა გვაქვს მხედველობაში) განსაკუთრებულ ვითარებას ქმნის სუბიექტური მესამე პირი: პირველი, როგორც ითქვა, პირისა და რიცხვის ნიშნები სუფიქსებია და, მეორე — მხოლობით რიცხვში სხვა ნიშნები გვაქვს, მრავლობით რიცხვში — სხვა ნიშნები; გავიხსენოთ: I და II სუბიექტურ პირებში პირის ნიშანი ორივე რიცხვში ერთი და იგივეა; მრავლობითი რიცხვი ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე სუფიქსით გადმოიცემა: ვ-წერ და ვ-წერ-თ, ს-წერ და ს-წერ-თ...


თანამედროვე ვითარების გასააზრებლად და ასახსნელად საჭიროდ ვთვლით სისტემის ცვლის ისტორიის გააზრებას. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა ასეთ სურათს ქმნის ძველი ქართულისათვის:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
-ა	-ეს
-ო	-ენ
-ს	-ან
-ნ	-ნ
-დ	-ედ

ახალი ქართულის ვარიანტი უფრო მარტივია: არა გვაქვს მხოლობითში **-ნ, -დ** და მრავლობითში **-ედ** სუფიქსები; სამაგიეროდ გაჩნდა **-ნენ** სუფიქსი. ამ რთული სუფიქსის ჩამოყალიბება ჩვენ თვალწინ მოხდა: მეორე კომპონენტი **ნ-ენ** სუფიქსისა იგივე **-ენ** სუფიქსია, რომელიც მრავლობითის მაწარმოებელთა რიგშია; პირველი კომპონენტი (**ნ**) ხმოვანდაკარგული ვარიანტია ძველ ქართულში მოქმედი ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითის **-ენ** ბოლოსართისა (**მოვკალ** მე იგი — მოვკლ-**ენ** მე იგინი), რომელიც თავს იჩენს ვნებითის ფორმებშიც (დავიზარდ-ენ-ით, დაიზარდ-ენ-ით, დაიზარდ-ნ-ეს → დაი-ზარდ-ნ-ენ). ცნობილი ფაქტია: როცა პირდაპირი ობიექტის მრავლობითის გამოხატვის საჭიროება აღარ იყო ქართულ ზმნაში, **-ენ** სუფიქსის ბედი ორი გზით წარიმართა:

ა) დასავლურ დიალექტებში ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის მოშლის შემდეგ -ენ (→ -ნ) სუფიქსი ქრება სამივე პირის ფორმიდან;

ბ) აღმოსავლურ დიალექტებში იგივე სუფიქსი ქრება I-II პირის ფორმებში; ხოლო III პირის ფორმაში მიუხორცდა მრავლობითობის -ენ სუფიქსს და მივიღეთ **ნ-ენ:**



ამ პროცესში საინტერესო ისიცაა, რომ პარადიგმის „სისწორის“ თვალსაზრისით წყვეტილის ნიშნის (-ე სუფიქსის) დაკარგვის პირობა მეორე შემთხვევაში არა გვაქვს:

გა-იზარდ-ა ← გა-იზარდ-ე-ა
და-იზარდ-ენ ← და-იზარდ-ე-ენ

აღმოსავლურ პარადიგმაში მესამე პირის ფორმა ძველი პარადიგმიდანაა აღებული, I-II პირის ფორმები — ახალი პარადიგმიდან. მივიღეთ, ასე ვთქვათ, შერეული პარადიგმა:

გა-ვ-იზარდ-ენ-ი-თ **გა-ვ-იზარდ-ე-თ**

გა-იზარდ-ენ-ი-თ **გა-იზარდ-ე-თ**
გა-იზარდ-ნ-ენ გა-იზარდ-(ე)-ენ

ასე რომ, **ნენ** სუფიქსი სპეციფიკურ ვითარებას ქმნის.

ამგვარად, ძველი ქართული რთული სისტემა ახალ ქართულში ასეთ სახეს იღებს:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
ა	ეს
ო	ენ
ს	ან
	ნ

ჩვენ თვალს გავადევნებთ სისტემის გამარტივების გზას. მანამდე ორ საკითხს განვიხილავთ: რა მიმართებაა, ერთი მხრივ, მრავლობითის **ნ**არიან მაწარმოებლებსა და, მეორე მხრივ, ხმოვანსუფიქსებს (-ა, -ო) შორის.

IV. 1.2.7.2. მრავლობითის ნარიან მაწარმოებელთა ურთიერმიმართებისათვის. როგორც ვნახეთ, ქართულში სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის მაწარმოებელთაგან სამი აფიქსი **ნ**არის შემცველია: **-ენ, -ან, -ნ.** რა მიმართებაა მათ შორის?

განსხვავებულ სუფიქსთაგან თითოეულს ხმარების გარკვეული არე აქვს; მათ განაწილებას ძირითადად ფონოლოგიური საფუძველი ედება: ა) **-ენ** სუფიქსი გვხვდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში: აკეთებ-**ენ**, მალავ-**ენ**... ბ) **-ნ** გვხვდება **ა, ე, ო** ხმოვნების მომდევნო პოზიციაში: მოკლა-**ნ**, გათბე-**ნ**, გააკეთო-**ნ**... გ) **-ან** სუფიქსი გვხვდება **ი** ხმოვნის (ეს **ი**, ჩვეულებრივ, ზმნური სუფიქსია) მომდევნო პოზიციაში: ტირ-ი-**ან**, მიდი-**ან**, იც-ი-**ან**... და ამ ნათელ განაწილებას ერთგვარად არღვევს ის შემთხვევა, როცა **-ან** სუფიქსი დაერთვის რამდენიმე სტატიკურ ზმნას: სხედ-**ან**, დგან-**ან**, დუმ-**ან**, წუხ-**ან**... ერთი შეხედვით განაწილების ფონოლოგიურ პრინციპს მორფოლოგიური „შეეშველება“...

როგორც ჩანს, ის ფაქტი, რომ თითოეული მაწარმოებელი გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში გამოვლინდება, გახდა საფუძველი იმისა, რომ ისინი ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებად იქნა გააზრებული. **-ენ, -ან, -ნ** სუფიქსთაგან ამოსავლად **ე** ხმოვნიანი ვარიანტი მიიჩნევა. კერძოდ, ივარაუდება შემდეგი ფონეტიკური პროცესები:

-ა-ენ → -ა-ნ: მოკლ-ა-ენ → მოკლ-ა-ნ...

-ე-ენ → **-ე-ნ:** გათბ-ე-ენ → გათბ-ე-ნ...

-ო-ენ → **-ო-ნ:** დაწერ-ო-ენ → დაწერ-ო-ნ...

ანუ, ითვლება, რომ ხმოვანთკოპლექსები **აე, ეე, ოე** გამარტივდა მეორე კომპონენტის ჩავარდნის გზით. **ეე** → **ე** შემთხვევაში ხმოვანთა შერწყმასაც ვარაუდობენ.

ფონეტიკური პროცესის შედეგად **ენ**-ის სახეცვლილ ვარიანტად მიიჩნევა **-ან** სუფიქსიც: **ი-ენ** → **ი-ან** (მკი-ენ → მკი-ან).

არიან თუ არა **-ენ, -ან, -ნ** სუფიქსები ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტები; სხვაგვარად, მოქმედი ფონეტიკური პროცესის შედეგი და, საერთოდ, არის თუ არა შესაძლებელი ამგვარი ფონეტიკური პროცესები ზმნურ ფორმებში?

როგორ აღვნიშნეთ, **-ნ** სუფიქსი მიიჩნევა **-ენ** სუფიქსის ხმოვანდაკარგულ ვარიანტად: ენ → ნ. სუფიქსისეული ხმოვნის რედუქცია არაა უცხო ქართული ენისათვის, მაგრამ როცა საუბრობენ ამ პროცესზე, მიუთითებენ მომდევნო ხმოვანსუფიქსის გავლენაზე: მოკლ-ნ-ა ← მოკლ-ენ-ა... ასეა ეს როგორც ზმნებში, ისე სახელებში. ფუძისეულ (ან სუფიქსისეულ) და სუფიქსისეულ ხმოვანთა შეხვედრისას წარმოქმნილ ხმოვანთკომპლექსებში ფონეტიკურ პროცესთა სამი შემთხვევა გაირჩევა: ა) როცა იკარგება კომპლექსის პირველი კომპონენტი: ე-ა → ა (აკეთე-ა → აკეთ-ა); ბ) როცა ხმოვნები გაითიშება **ვ** თანხმოვნით ე-ა → ე-ვ-ა (ახე-ებ-ს → ახე-ვ-ებს)... და გ) წარმოიქმნება ხმოვანთკომპლექსი ყოველგვარი გამარტივებისა და ხმოვანთგამყარის გარეშე — აახლ**ო-ებ-**ს...

შენიშვნა: ახე-ვ-ებ-ს ტიპის ფორმებში **ვ-**ს რაობის შესახებ იხ. § IV.5.5.8.

ამგვარად, წარმოქმნილ ხმოვანთკოპლექსთა გამარტივება მომდევნო ხმოვნის დაკარგვის გზით ისტორიულად არაა დამახასიათებელი ქართულისათვის. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტები დადასტურებული არაა. ასეა ეს ამჟამადაც.

ხმოვანთკომპლექსებში ფონეტიკური პროცესები საკმაოდ გავრცელებულია და რთულ სურათს ქმნის დღევანდელ ქართულ დიალექტებსა და ზანურში, მაგრამ ყველა შემთხვევაში კომპლექსის მეორე წევრი დაცულია — ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს კომპლექსის პირველი კომპონენტის ცვლის ხარჯზე.

ყოველივე ზემოთქმული ეჭვქვეშ აყენებს **-ენ** სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვის საკითხს ხმოვნის მომდევნო პოზიციაში. ამგვარი,

დადასტურებული კანონზომიერების საწინააღმდეგო, პროცესის მოქმედების დასამტკიცებლად ერთი შემთხვევა არაა საკმარისი.

ჩვენ არ უარვყოფთ **-ნ** და **-ენ** სუფიქსებს შორის შესაძლო გენეტურ კავშირს; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სხვაობა მათ შედგენილობას შორის არაა მომხდარი ზმნურ ფორმებში. ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებს მათი ზმნურ აფიქსებად ჩამოყალიბების შემდეგ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ **-ან** სუფიქსი მიჩნეულია **-ენ**-ის ფონეტიკურ ვარიანტად. კერძოდ, **ი**-ს მომდევნო პოზიციაში **ე** დისიმილირდება და გვაძლევს **ა**-ს. **იე → ია** პროცესის დროს გავლენა პროგრესულია და ხდება ვიწრო ხმოვნის გაფართოება, რაც არაბუნებრივია ქართულისათვის. გამონაკლისის არსებობა მოქმედ ფონეტიკურ პროცესში დასაშვებია, მაგრამ ამჯერად არ ხერხდება ამ გამონაკლისის ახსნა, ვფიქრობთ, არცა გვაქვს საფუძველი მისი დაშვებისათვის.

იე → ია პროცესის არსებობის შესახებ სერიოზულ ეჭვს ბადებს აგრეთვე ისიც, რომ **-ან** სუფიქსი დასტურდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში და ეს ისეთ ზმნებთან, რომლებიც უძველესი ფორმაციის ზმნებადაა მიჩნეული: წ უ ხ **-ან,** დ უ მ **-ან...** თუ ეს შემთხვევა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ ტიპის ზმნებს **ი** სუფიქსი ჰქონდათ და ის იყო მიზეზი **ენ → ან** პროცესისა, იმავეს ვერ ვიტყვით დ გ ა ნ - **ან,** ყ ვ ა ნ - **ან...** ტიპის ფორმებზე, სადაც **ი** სუფიქსის არსებობა არც დადასტურებულია და არც თეორიულად სავარაუდო. საეჭვოა აგრეთვე ანალოგიის პროცესის დაშვებაც.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ **იე** კომპლექსი არ ჩანს არაბუნებრივი ქართულისათვის. ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებულია **იე** დაბოლოება სტატიკური ზმნების აწმყოსა და გარდამავალი ზმნების პირველ თურმეობითში: უ პ ყ რ **ი ე** ს, ჰ გ **ი ე** ს... დ ა უ წ ე - რ **ი ე** ს, გ ა უ კ ე თ ე ბ **ი ე** ს... **იე** კომპლექსის **ია**-თი შეცვლა ახალ ქართულში (უ პ ყ რ **ი ა** , დ ა უ წ ე რ **ი ა** ...) არ ჩანს ფონეტიკური პროცესის შედეგი, არამედ აღნიშნულ ფორმათა წარმოების ტიპის შეცვლას უნდა უკავშირდებოდეს.

იე კომპლექსის ბუნებრიობას უნდა უჭერდეს მხარს ისიც, რომ **-ან** სუფიქსის ადგილს რიგ დიალექტში იჭერს **-ენ** სუფიქსი და წარმოიქმნება სწორედ ის კომპლექსი, რომლის გამარტივების შედეგად მიღებულადაც ივარაუდება **-ან** სუფიქსი: მ ო დ ი - ე ნ, ა რ ი - ე ნ, ტ ი - რ ი - ე ნ, ყ ვ ი რ ი - ე ნ...

ამგვარად, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ **-ან**

სუფიქსი არ არის **-ენ**-ის ფონეტიკური ვარიანტი, წარმოქმნილი მისი ზმნურ აფიქსად ჩამოყალიბების შემდეგ.

ყოველივე ეს კი გამორიცხავს **-ენ** სუფიქსის პირველადობას; იგი არაა ამოსავალი **-ან** და **-ნ** სუფიქსებისათვის ზმნურ ფორმებში.

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ **-ნ, -ენ**, **-ან** სუფიქსებს შორის არსებული ფონეტიკური სხვაობა არ უნდა იყოს მომხდარი ზმნურ ფორმებში. თუ მათ შორის გენეტიური კავშირი არსებობს (ვამბობთ „თუ"-ს, იმიტომ რომ ფუნქციური და მასალობრივი მსგავსება არ უნდა იყოს საკმარისი აფიქსთა გენეტური კავშირის სამტკიცებლად...), ფორმობრივი დიფერენციაცია ამ ელემენტთა ზმნურ აფიქსებად ჩამოყალიბებამდეა მომხდარი. ვარიანტთა განაწილება ზმნურ ფორმებში წარმოქმნილ ბგერათკომპლექსთა ბუნებრიობის მიხედვით უნდა იყოს მომხდარი.

IV. 1.2.7.3. -ა და -ო სუფიქსთა ურთიერთმიმართებისათვის. როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში **-ო** სუფიქსის გამოვლენა უშუალოდაა დაკავშირებული წყვეტილის წარმოებასთან, ამიტომ ამ სუფიქსის თაობაზე ძირითადად წყვეტილის წარმოებისას ვისაუბრებთ. თუმცა სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემის ანალიზისას მოგვიწევს ზოგიერთი მოსაზრების წინასწარ „გამეორება".

-ო სუფიქსი გვხვდება წყვეტილსა და მეორე თურმეობითში: აიღ-**ო,** აეღ-**ო**... ამ მწკრივებში S_3 პირს გამოხატავს აგრეთვე **-ა** სუფიქსი: დაწერ**ა**, დაეწერ**ა**... ე. ი. რომელ მწკრივშიც გვაქვს **-ო**, გვაქვს **-ა** სუფიქსიც. წესი პირუკუ არ მოქმედებს: **-ა** გვაქვს ახალ ქართულში აწმყოსა (თბებ-**ა**...) და უწყვეტელში (წერდ-**ა**...) როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში; სწორედ ესეცაა საფუძველი იმისა, რომ **ო** სუფიქსს გენეტურად აკავშირებენ **-ა**-სთან.

-ო სუფიქსის გამოვლენის შემთხვევათა ანალიზი მაგალითებს ორად დაგვაჯგუფებინებს: ერთი მხრივ, იყ**ო** (აგრეთვე დიალექტური ჩაიც**ო**, გამოართ**ო**...) ტიპის ფორმები და, მეორე მხრივ, აიღ**ო**, გაიგ**ო**, შეაქ**ო** ტიპის ფორმები. პირველ შემთხვევაში **ო** მოქმედი ფონეტიკური პროცესის შედეგი ჩანს:

ვ-ი-ყავ — ჩა-ვ-ი-ცვ-ი
ი-ყავ — ჩა-ი-ცვ-ი
ი-ყავ-ა → ი-ყვ-ა → ი-ყო — ჩა-ი-ცვ-ა → ჩა-ი-ცო

ფაქტობრივ, აქ **ო**-ს გამოყოფა სუფიქსად არ შეიძლება: იგი ბიფონემური მონაცემია — ფუძისეული თანხმოვნისა და S_3 **-ა** სუფიქსის შერწყმის შედეგია...

სხვა ვითარებაა აიღ-**ო** ტიპის ფორმებში. ამ ტიპის ზმნათა შემთხვევაში **-ო** თავისთავადი სუფიქსია და მისი გამოვლენა არაა დაკავშირებული **ვ-ა** კომპლექსის არსებობასთან. სხვაგვარად: პირველ შემთხვევაში **ო** ფონეტიკური პროცესის პროდუქტია, მეორე შემთხვევაში — თავისთავადი, დამოუკიდებელი სუფიქსი.

-ო სუფიქსის გამოვლენას ქართულში (სალიტერატურო ენის განვითარების ყველა ეტაპზე) ორი პირობა განსაზღვრავს: ა) წყვეტილის საყრდენი ფუძე უნდა იყოს უმარცვლო და ბ) წყვეტილის მაწარმოებელი — **ე**:

ავი-**ღ-ე**	გავა-**თბ-ე**	დავა-**ტკბ-ე**
აი-**ღ-ე**	გაა-**თბ-ე**	დაა-**ტკბ-ე**
აი-**ღ-ო**	გაა-**თბ-ო**	დაა-**ტკბ-ო**

წესი უგამონაკლისოა. ყველა ე. წ. გამონაკლისი იხსნება (იხ. IV. 5.6.4).

ასე რომ, **-ო** ძველ ქართულში უკვე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სუფიქსად, **-ა** ბოლოსართის ტოლფასად. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ **ო** მიღებული იყოს ვა/ვე/ჳა/ჳე-საგან უფრო ადრინდელ პერიოდში ან საერთო ქართველური ფუძე ენის დიფერენციაციამდე. **-ა**-ს და **-ო**-ს განაწილებას ფონოლოგიური საფუძველი აქვს.

აქედან გამომდინარე, S_3 პირის ნიშანთა სისტემაში მათ დამოუკიდებელი, თავისთავადი ადგილი უჭირავთ, თუმცა მის მეორეულობაზე საუბარი შესაძლებელია.

IV. 1.2.7.4. ძველი სისტემიდან ახლისაკენ. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა თანამედროვე სისტემის გასააზრებლად და არსებული ტენდენციების გასარკვევად საჭიროდ ვთვლით თვალი გადავავლოთ სისტემის განვითარების გზას.

ერთი მხრივ, სისტემის ისტორიის გათვალისწინება და, მეორე მხრივ, სისტემის წევრთა ურთიერთშესაბამისობა და განაწილების პრინციპი საშუალებას გვაძლევს, სქემა ძველი ქართულისათვის ასე წარმოვადგინოთ:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
ა, (ო)	ეს
ს	ენ, ან, ნ
ნ	ედ
დ	

მათი განაწილება საკმაოდ რთულ სურათს ქმნის.

ეს სირთულე კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ მათ დავალაგებთ მწკრივთა მიხედვით:

	მხ. რიცხვი					მრ. რიცხვი				
აწმყო	(-**ა**),		-ს	-ნ	-დ		-ენ	-ან		-ედ
უწყვეტელი	-ა			-ნ	-დ	-ეს				-ედ
I ხოლმეობითი			-ს					-ან		-ედ
I კავშირებითი			-ს		-დ			-ან	-ნ	
წყვეტილი	-ა	-ო		-ნ	-დ	-ეს				-ედ
II ხოლმეობითი			-ს	-ნ				-ან		-ედ
II კავშირებითი			-ს		-დ			-ან	-ნ	
შერეული კავშ.			-ს					-ან		
I თურმეობითი			-ს	-ნ	-დ		-ენ,	-ან		-ედ
II თურმეობითი	-ა	-ო				-ეს				
III ხოლმეობითი			-ს					-ან		
III კავშირებითი			-ს						-ნ	

შექმნილი ვითარება უბიძგებს ენას, მოხდეს, ერთი მხრივ, მორფოლოგიურად იდენტურ აფიქსთა სისტემის გამარტივება და, მეორე მხრივ, სინონიმურ აფიქსთა ფუნქციური გადანაწილება.

მხოლობითისა და მრავლობითის სუფიქსები დაწყვილდნენ:

-ა	—	-ეს
(-ო)	—	-ენ, -ან, -ნ
-ს	—	-ედ
-ნ		

სისტემის გამარტივება იწყება **-დ** სუფიქსის დაკარგვის ხარჯზე; მას მეწყვილე არა აქვს. ამ ეტაპზე ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება **-ნ — -ედ** სუფიქსთა დაწყვილება: ეს სუფიქსები, სხვა სუფიქსთა პარალელურად, გამოიყენებოდა სხვადასხვა მწკრივში:

-ნ — აწმყოში, უწყვეტელში, წყვეტილში, II ხოლმეობითსა და I თურმეობითში;

-ედ — აწმყოში, უწყვეტელში, I ხოლმეობითში, წყვეტილში, II ხოლმეობითში, II კავშირებითში, I თურმეობითში;

ამ მწკრივთაგან აწმყო, უწყვეტელი და წყვეტილი დროისა და კილოს თვალსაზრისით პოლიფუნქციური მწკრივებია: **აწმყოს** მწკრივს დროული თვალსაზრისით შეუძლია გამოხატოს როგორც კონკრეტული აწმყო (ახლანდელი დრო), ისე ზოგადი აწმყო (აწმყო ჩვეულებითი) — დაცლილი კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან. უწყვეტელსა და წყვეტილს შეუძლია გადმოსცენ როგორც თხრობითი კილო, ისე — ბრძანებითი. სხვა მწკრივები, სადაც **-ნ** და **-ედ** სუფიქსები გვხვდება, დრო-კილოს თვალსაზრისით მონოფუნქციურია. ენამ გამოიყენა ფორმობრივი პარალელიზმის შემთხვევები და დროისა თუ კილოს განსხვავებულ ფუნქციებს განსხვავებული ფორმები მიუსადაგა; აწმყოს შემთხვევაში განასხვავა კონკრეტული და ზოგადი აწმყო:

კონკრეტული აწმყო	**ზოგადი აწმყო**
წერ-**ს** იგი	წერ-**ნ** იგი
წერ-**ენ** იგინი	წერ-**ედ** იგინი

მეორე რიგის ფორმებს აწმყოს ხოლმეობითი უწოდეს და დამოუკიდებელ მწკრივად აღიარეს... რამდენადაც ფორმობრივი პარალელიზმი გვქონდა მხოლოდ III სუბიექტურ პირში, ამდენად I-II პირის ფორმები (ვ-წერ, ს-წერ...) იტვირთავდნენ როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი აწმყოს გადმოცემას და ამიტომაცაა, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი ე. წ. აწმყოს ხოლმეობითს პირნაკლ მწკრივად მიიჩნევს (I-II სუბიექტურ პირს საკუთარი ფორმა არა აქვსო), მეორე ნაწილი სრულ პარადიგმას წარმოადგენს — I-II პირის ფორმები ემთხვევა აწმყოსას.

აწმყო	**„აწმყოს ხოლმეობითი“**
ვ-წერ	ვ-წერ
ს-წერ	ს-წერ
წერ-ს	**წერ-ნ**
ვ-წერ-თ	ვ-წერ-თ
ს-წერ-თ	ს-წერ-თ
წერ-ენ	**წერ-ედ**

როგორც ითქვა ესაა ერთი მწკრივის პარადიგმა, სადაც ფორმობრივი პარალელიზმი III პირში გამოყენებული იქნა ფუნქციური სხვაობის აღსანიშნავად.

წერ-ნ / წერ-ედ ფორმათათვის ხოლმეობითის ფუნქციის მინიჭება რომ მეორეულია, ისიც მიანიშნებს, რომ ამავე ფუნქციას წარმატებით

ითავსებს **წერს / წერენ** ფორმები; საკითხი ვრცლად განიხილება, მაგრამ თითქოს არა ჩანს ისეთი შემთხვევები, როცა **წერნ / წერედ** ფორმები კონკრეტული აწმყოს მნიშვნელობით გამოიყენებოდეს... ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ამ უკანასკნელ ფორმათათვის ხოლმეობითის გამოხატვა გვიანდელი ფუნქცია ჩანს...

საკითხი მსგავსადვე დაისმის უწყვეტლისა და წყვეტილის პარალელურ ფორმათა შესახებ. უწყვეტელი და წყვეტილი ჩვეულებრივ თხრობითი კილოს გამომხატველი მწკრივებია. ეს მწკრივები გამოიყენება წართქმითი ბრძანებითების გადმოსაცემად; ამ შემთხვევაშიც ენამ გამოიყენა ფორმობრივი პარალელიზმის შემთხვევა პირთა გამოხატვისას და ასე განასხვავა თხრობითი და ბრძანებითი ფორმები:

თხრობითი	**ბრძანებითი**
ვ-წერ-დ-(ი)	—
ს-წერ-დ(ი)	წერდ-(ი)
წერდ**-ა**	წერდ-ი-**ნ**
ვ-წერდ-ი-თ	—
ს-წერდ-ი-თ	წერდ-ი-თ
წერდ**-ეს**	წერდ**-ედ**

II პირში ვარიანტები — ს-/Ø-
III პირში ვარიანტები — -ა/-ნ, -ეს/-ედ
ასევეა წყვეტილის შემთხვევაშიც:

თხრობითი	**ბრძანებითი**
ვ-წერ-ე	—
ს-წერ-ე	წერე
წერ**-ა**	წერე-**ნ**
ვ-წერე-თ	—
ს-წერე-თ	წერე-თ
წერ**-ეს**	წერ**-ედ**

ცხადია, არც ამ შემთხვევაში შეიძლება მეორე რიგის პარადიგმათა დამოუკიდებელ მწკრივებად მიჩნევა.

როგორც ჩანს, ამგვარი გადანაწილება ფუნქციებისა დაიწყო ძველი ქართული ენის ადრეულ საფეხურზევე — V-VIII ს.ს.-ში, მაგრამ სისტემის გამარტივების ტენდენცია უფრო ძლიერი აღმოჩნდა და **-ნ** — **-ედ** წყვილი ასპარეზიდან გადის. ეს პროცესი იწყება ძველი ქართული ენის გვიანდელ საფეხურზე, შესაბამისად ქრება ე. წ. აწმყოს ხოლმეობითი და ე. წ. ბრძანებითები...

ახალი ქართულისათვის სისტემა ასეთ სახეს იღებს:

მხ. რიცხვი	**მრ. რიცხვი**
-ა (-ო)	-ეს
-ს	-ენ, -ან, -ნ

ფაქტობრივ, მხოლობითში თანხმოვანსუფიქსთაგან გაბატონდა **-ს.** მრავლობითში ასეთივე მიდრეკილებას იჩენს **ნ**არიანი მაწარმოებლები: ძველი ქართულიდან მოყოლებული **-ეს** სუფიქსის გამოყენების არე ვიწროვდება: თუ ძველ ქართულში **-ეს** გამოხატავდა S_3 პირის მრავლობითობას უწყვეტელსა და წყვეტილში, ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტების უმრავლესობაში **-ეს** სუფიქსი გამოიყენება მხოლოდ წყვეტილში და ისიც ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებში (მოქმედებითი და საშუალ-მოქმედებითი გვარისა): მათ გააკეთ-ეს, ითამაშ-ეს, იმეფ-ეს... ბრუნვაუცვლელსუბიექტიან ზმნებში **ნ**არიანი მაწარმოებელი იჭერს მის ადგილს: ისინი მოვიდ-ენ/ნენ, გაიზარდ-ენ/ნენ... ტენდენცია აშკარად გამოკვეთილია: **-ეს** ადგილს უთმობს **ნ**არიან მაწარმოებლებს. ეს ტენდენცია დასრულებულ სახეს იღებს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (ქვემოიმერულში, გურულში...): წყვეტილში ყველა ტიპის ზმნასთან სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვს **-ენ** სუფიქსი გამოხატავს: მათ გააკეთ-**ენ**, დაწერ-**ენ**... ისინი მევიდ-**ენ**, გეიზარდ-**ენ**...

ანუ, ძველი ქართულის ეს სისტემა:

-ა (-ო)	-ეს
-ს	-ენ, -ან,
-ნ	-ნ
-დ	-ედ

საბოლოოდ ამგვარ სახეს იღებს:

-ა (-ო)	
	-ენ, -ან,
-ს	-ნ

მხოლობითში გაბატონდა (თანხმოვანსუფიქსთაგან) **ს**ანი, მრავლობითში — **ნ**არიანი მაწარმოებლები. პროცესი ძალიან ხანგრძლივი ჩანს და ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, თვალი გავადევნოთ მას.

და კიდევ ერთი, ფრიად საინტერესო ფაქტი:

თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში დასტურდება **-ეს** სუფიქსსა და **ნ**არიან მაწარმოებელთა შორის ფუნქციების გადანაწი-

ლების რთული და ხანგრძლივი პროცესის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი:

1. როცა **-ეს** სუფიქსი გამოხატავს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობას უწყვეტელსა და წყვეტილში (ხევსურული, თუშური, მოხეური...);

2. როცა **-ეს** გვხვდება მხოლოდ წყვეტილში ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებთან (ქართლური, კახური...);

3. როცა **-ეს** სუფიქსი აღარ გამოიყენება, მოხდა სრული ჩანაცვლება **ნ**არიანი მაწარმოებლებით (ქვემოიმერული, გურული, აჭარული...).

გამარტივებულ სისტემაში მრავლობითობის **ნ**არიან მაწარმოებელთა განაწილებას, როგორც აღინიშნა, ფონოლოგიური საფუძველი აქვს; ფონოლოგიური პრინციპი ედება საფუძვლად **-ა** და **-ო** სუფიქსთა განაწილებასაც; მოსალოდნელი არის, ფონოლოგიური იყოს საფუძველი **-ა** (-ო) და **-ს** სუფიქსთა განაწილებისაც. არის კი ასე? — შევეცდებით ამ კითხვასაც გავცეთ პასუხი.

IV. 1.2.7.5. ია დაბოლოების ა კომპონენტის თაობაზე აწმყოსა და I თურმეობითში. სანამ დასმულ კითხვას ვუპასუხებთ, ერთი საკითხი უნდა გაირკვეს: რას წარმოადგენს **ია** დაბოლოების **-ა** კომპონენტი სტატიკური ზმნების ერთ ნაწილსა და გარდამავალი ზმნების პირველ თურმეობითში, სუბიექტური მესამე პირის ფორმებში რომ გვაქვს (აწერ-**ია**, უკეთ-**ია**... დაუწერ-**ია**, გაუკეთებ-**ია**...). **ა** მეშველზმნური წარმოშობისაა (არს → ა), როგორც ამას მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს; სხვა თვალსაზრისის მიხედვით, **-ა** კომპონენტი სუბიექტური მესამე პირის ნიშანია.

ჩვენთვის სარწმუნოა მეორე თვალსაზრისი. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ზმნათა პარადიგმის I-II პირის ფორმები მეშველზმნიანია (ვ-წერ-ი-ვარ, ს-წერ-ი-ხარ...), რაც მთავარი არგუმენტია პირველი თვალსაზრისისათვის, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ხელისშემშლელი (კონტრარგუმენტი) მეორე შეხედულებისათვის: ქართულში არის ტენდენცია ერთი მწკრივის პარადიგმაში I-II პირის ფორმათა წარმოების პრინციპის განსხვავებისა მესამე პირის ფორმისაგან.

ა) სტატიკურმა ზმნებმა აწმყოში მეშველი ზმნა გამოიყენეს:

ვ-ზი-**ვარ** ვ-დგა-**ვარ**
ზი-**ხარ** დგა-**ხარ**
ზი-ს დგა-**ს**

ეს პროცესი დიალექტებში უფრო შორსაა წასული:

ვ-ფიქრობ-**ვარ**	ვ-იცინი-**ვარ**
ფიქრობ-**ხარ**	იცინი-**ხარ**
ფიქრობ-ს	იცინი-ს...

ბ) ჩვენი აზრით, ასეთივე ვითარებაა **ია** დაბოლოების შემთხვევაშიც: I-II პირის ფორმები მეშველზმნიანია, მესამე პირისა — არა:

ვ-ანთი-**ვარ**	ა-ვ-უშენები-**ვარ**	შდრ.:	მო-ვ-უკლავ-**ვარ**
ანთი-**ხარ**	ა-უშენები-**ხარ**		მო-უკლავ-**ხარ**
ანთი-**ა**...	ა-უშენები-**ა**...		მო-უკლავ-**ს**...

სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ **-ია** დაბოლოების **ა** კომპონენტი კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც სუბიექტური მესამე პირის ნიშანი.

IV. 1.2.7.6. სუბიექტური მესამე პირის -ს, -ა, -ო სუფიქსთა განაწილებისათვის ახალ ქართულში. როგორც ვიცით, ახალ ქართულში სუბიექტური მესამე პირის მხოლობით რიცხვს სამი სუფიქსი აღნიშნავს: **-ს, -ა, -ო.** თითოეულ მათგანს გამოყენების მკაცრად განსაზღვრული სფერო აქვს. ერთი და იმავე ზმნის ერთსა და იმავე ფორმასთან არ ხდება მათი თავისუფალი მონაცვლეობა.

შევნიშნავთ: -ა და **-ო** სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობის მაგალითად ასახელებენ **დარგა / დარგო, მორწყა / მორწყო** ტიპის პარალელურ ფორმებს. ამ ტიპის ზმნებში პარალელიზმს სხვა საფუძველი აქვს: ისინი სხვადასხვა პარადიგმის წევრები არიან (დაწვრილებით იხ. აქვე, § IV. 5.6.4.7.).

-ს, -ა, -ო სუფიქსები, ერთი შეხედვით, განაწილების თვალსაზრისით რთულ სურათს ქმნიან. გავიხსენოთ ისიც, რომ ჩვენთვის სარწმუნოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **-ო** ბოლოსართი ისტორიულად **-ა**-საგან არის მიღებული (ამოსავალი ფონეტიკური ვითარება იყო **ვ**'ს მეზობლობა), მაგრამ შემდეგ **-ო** ანალოგიის მიხედვით სხვა ზმნებსაც გაუჩნდათ. რადგან ეს ასეა, ვისაუბრებთ **-ა** და **-ს** სუფიქსთა განაწილების საფუძველზე და შემდეგ შევეცდებით ვაჩვენოთ, რა შემთხვევაში გამოვლინდება **-ო** სუფიქსი **-ა**-ს ადგილას.

ახალი ქართულის მარტივმა სისტემამ ძველი ქართულის რთული სისტემის ადგილი დაიჭირა. ყოველივე ეს კი უფლებას გვაძლევს, გან-

სხვავებულად მივუდგეთ ამ აფიქსთა განაწილების საკითხს ძველსა და ახალ ქართულში.

რა არის საფუძველი სუბიექტური მესამე პირის **-ს** და **-ა** სუფიქსთა განაწილებისა, შესაძლებელი არის თუ არა მათი გამოვლენის ყველა შემთხვევას შორის რაიმე საერთო ნიშნის დაძებნა? ვფიქრობთ, კი.

სუბიექტური მესამე პირის **-ს** და **-ა** სუფქსთა გამოვლენისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს საყრდენი მორფემის თვისობას.

ახალ ქართულში, ფაქტობრივ, სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საყრდენი მორფემა ყველა შემთხვევაში მარცვლოვანია. საყრდენი მორფემა შეიძლება იყოს როგორც ძირეული (**წერ**-ს, **დრეკ**-ს...), ასევე სუფიქსური (აკეთ-**ებ**-ს, ხატ-**ავ**-ს...). სუფიქსურის შემთხვევაში შეიძლება იყოს ოდენხმოვნიანი (გააკეთ-**ო**-ს...) და ხმოვნისა და თანხმოვნის შემცველიც (თამაშ-**ობ**-ს...). როცა ვამბობთ, რომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საყრდენი მორფემის თვისობას, ვგულისხმობთ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობას.

აქ, რა თქმა უნდა, დადგება საკითხი იმის შესახებ, რომ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობა არის საფუძველი სუფიქსთა გამოვლენისა, თუ თვითონ სუფიქსებია საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობის მიზეზი.

როცა ვსაუბრობთ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობაზე, ვგულისხმობთ პროცესს ერთი პარადიგმის ფარგლებში. მაგ.: **-ავ** თემისნიშნისეული ხმოვანი შეიძლება საერთოდ გაუჩინარდეს (ხატ-**ვ**-ა ← ხატ-**ავ**-ა), მაგრამ აწმყო-მყოფადის ფორმებში ყოველთვის სრული სახითაა წარმოდგენილი ახალ ქართულში და, ამდენად, ამ ფორმებზე მსჯელობისას ვამბობთ, რომ **-ავ** თემისნიშნისეული ხმოვნის თვისობა არ არის ნულთან მონაცვლეობა ახალ ქართულში (ძველში **ა** მონაცვლეობს ნულთან).

საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობის ძირითადი საკონტროლო საშუალება ჩვენთვის სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის ფორმებია: აკეთ-**ებ**-ენ, ხატ-**ავ**-ენ, თამაშ-**ობ**-ენ, ჭრ-**ი**-ან, ყ-**ოფ**-ენ ფორმებში საყრდენი მორფემისეული ხმოვანი არ მონაცვლეობს ნულთან, სხვა შემთხვევაში იგი ნულთან მონაცვლეა:

ავაშენ-**ე** — ააშენ-**ეს** (← ააშენ-ე-ეს)
მოვ-**კალ** — მო-კლ-**ეს**

შენიშვნა: „მოვკალ“ ტიპის ზმნებში **-ი** ელემენტს არ მივიჩნევთ საყრდენ მორფემად, რამდენადაც იგი მორფოლოგიური ოდენობა არ არის. მისი თავისუფალი მონაცვლეობა ნულთან (**მოვკალი || მოვკალ**) ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს. განსხვავებულ ოდენობად გვესახება ის **-ი** ელემენტი, რომელიც თავისუფლად არ მონაცვლეობს ნულთან (ავშენდ-**ი**, გავთბ-**ი**...).

ამ თვალსაზრისით სირთულეს ქმნის კავშირებითის მაწარმოებელთა თვისობის საკითხი. არა გვაქვს შემთხვევა, რომ კავშირებითის **-ა, -ე, -ო** მაწარმოებლებს ხმოვნით დაწყებული სუფიქსი დაერთვოდეს. ამ შემთხვევაში საკითხი სხვაგვარად დაისმის.

ოდენხმოვნიან სუფიქსთა ნულთან მონაცვლეობა არ არის ტოლფასი თანხმოვნის შემცველი სუფიქსისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობისა. გარკვეული მორფოლოგიური დანიშნულების თანხმოვნის შემცველი სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვა არ ქმნის საშიშროებას სათანადო ფუნქციის მიჩქმალვისას — თანხმოვნითი ელემენტი (resp. უხმოვნო ალომორფი) ამ დანიშნულებას ასრულებს. შდრ.: ძველი ქართ. მოვკლ**-ენ** / მოკლ**-ნ-**ა. სხვაგვარი ვითარებაა ოდენხმოვნიან აფიქსთა შემთხვევაში: მისმა გაუჩინარებამ შეიძლება გამოიწვიოს სათანადო ფუნქციის მიჩქმალვა, რადგან აღარ გვაქვს ფორმაში იმ ფუნქციის მატარებელი ელემენტი და დაკარგული ხმოვანსუფიქსის კომპენსაცია არ ხდება.

ოდენხმოვნიანი სუფიქსის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობის ძირითადი პირობა, ჩვენი აზრით, ამ აფიქსთა ფუნქციური დატვირთვაა. ოდენხმოვნიანი სუფიქსი შეიძლება მონაცვლეობდეს ნულთან იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცვლეობა ფორმის შინაარსის ცვლას არ გამოიწვევს; ხოლო თუ ხმოვნის სავარაუდო დაკარგვა ფორმის შინაარსის ცვლას გამოიწვევს და დაკარგული ხმოვანსუფიქსის ფუნქცია გაუჩინარდება, ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა არ მოხდება: **დედოფალ-ა, ჭრიჭინ-ა** ფუძეთა ბოლოკიდური ხმოვანსუფიქსი ფორმაწარმოებისას არ იკვეცება იმიტომ, რომ აღარ მოხდებოდა გარჩევა **დედოფალ-, ჭრიჭინ-** ფუძეთა სათანადო ფორმებთან; ხოლო **მე-თევზ-ე** ტიპის ფუძეთა ბოლოკიდური ხმოვანსუფიქსი იკვეცება, რადგან ამ ფონე-

ტიკური ცვლით მიღებული ფორმა არ გაიგივდება ამოსავალ ფუძესთან: **მე-თევზ-ის / თევზ-ის**...

კავშირებითის მაწარმოებელთა დაკარგვა კავშირებითის ფუნქციის გაუჩინარებას გამოიწვევდა: I კავშირებითის ფორმა უწყვეტელთან გაიგივდებოდა, მეორე კავშირებითისა — წყვეტილთან. წყვეტილის მაწარმოებლის გაუჩინარების შემთხვევაში ეს საფრთხე არა გვაქვს: არ მოხდება ფორმის დამთხვევა სხვა პარადიგმის წევრთან... აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ კავშირებითის **-ა, -ე, -ო** სუფიქსთა მორფოლოგიური დანიშნულება და სრულ პარადიგმაში მათი მიმართებანი შეაპირობებს იმ ფაქტს, რომ ისინი ნულთან არ მონაცვლეობენ. უფრო სწორად, ლოგიკურად მათი ნულთან მონაცვლეობა გამორიცხულია.

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სუბიექტური მესამე პირის **-ს, -ა, -ო** სუფიქსები კი არ შეაპირობებენ საყრდენი მორფემის ფონოლოგიურ სახეს, არამედ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის თვისობა ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობისა არის განმსაზღვრელი პირობა ამ სუფიქსთა გამოვლენისათვის, მათი განაწილების საფუძველი.

-ს და **-ა** სუფიქსთა განაწილების შემთხვევათა ანალიზი ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: სუბიექტური მესამე პირის **-ა** სუფიქსი გამოვლინდება ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველ საყრდენ მორფემასთან:

მოვ-კალ — მო-კლ-ა ← მო-კალ-ა

გავაკეთ-ე — გააკეთა ← გააკეთ-ე-ა. ხოლო **ს-** სუფიქსი გამოვლინდება ნულთან არამონაცვლე ხმოვნის შემცველ საყრდენ მორფემასთან: აკეთ-ებ-ს, ხატ-ავ-ს, ააშენ-ო-ს...

ამ წესიდან გამომდინარე, საინტერესოა **-ია** დაბოლოების მქონე სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის **-ა** სუფიქსის საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, მკვლევართა ერთი ჯგუფი **-ა** ბოლოსართს პირის ნიშნად მიიჩნევს (იმავე ოდენობად, რაც გააკეთ-ა ფორმაშია); ხოლო ზოგი მკვლევრის აზრით, **ა** დაბოლოება **არს** მეშველი ზმნის ნაშთია.

ჩვენ გავიზიარეთ პირველი თვალსაზრისი. თუ **-ა შეუპყრი-ა** ფორმაში პირის ნიშანია, მაშინ მის წინ ხმოვანი უნდა იყოს გაუჩინარებული. ასეც ვარაუდობენ: შეუპყრიე-ა → შეუპყრი-ა; I-II პირის ფორმებში **ე** ბოლოსართის არარსებობის (შევუპყრი-ვარ, შეუპყრი-ხარ)


თაობაზე ითქვა, საფიქრებელია, რომ III პირის ფუძე განზოგადდა შემდეგ სხვა პირებში. ასე რომ, ეს შემთხვევაც შემოთავაზებული წესის ფარგლებში ექცევა: **-ა** სუფიქსისათვის საყრდენია **-ე,** რომელიც მონაცვლეობს ნულთან.

IV. 1.2. 8. ინვერსია. ინვერსია ზმნურ სისტემაში გაიგება როგორც „პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლა“ (ა. შანიძე); ანუ, განმარტების მიხედვით, ინვერსია უნდა გავიგოთ როგორც ისტორიული კატეგორია, რომელიც გულისხმობს მნიშვნელოვან დიაქრონიულ ცვლილებას ზმნის პირიანობასა (ვალენტობასა) და მის მორფოლოგიურ გამოხატვას (მარკირებას) შორის. ეს ისტორიული ცვლილება შეიძლება მოკლედ ასე იყოს ფორმულირებული: „თავდაპირველად ზმნის თვალსაზრისით ობიექტი რეალურადაც ობიექტად იყო წარმოდგენილი და ის, რაც ზმნაში სუბიექტის როლს ასრულებს, რეალურად სუბიექტად იყო დასახული, სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველგან **პირდაპირი** ან **სწორი** წყობა იყო. შემდეგ აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით შეიცვალა გაგება ობიექტური ვითარებისა, ზმნამ კი შეინარჩუნა წინანდელი გაგების შესაფერისი აგებულება, ერთი სიტყვით, მეტყველება ჩამორჩა აზროვნებას, დაირღვა კორელაცია აზროვნებასა და მეტყველებას შორის, და შემდეგ მივიღეთ ინვერსიულობა (არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 93-94).

ამდენად, ინვერსიის ცნება გენეზისის თვალსაზრისით ისტორიული კატეგორიაა, მაგრამ საკითხავია: რა ადგილი უჭირავს მას კონკრეტული ენის გრამატიკაში, როგორც სინქრონიულ სისტემაში?

ამ თვალსაზრისით შეიძლება ორგვარი მიდგომა არსებობდეს:

ა) ინვერსია განისაზღვრება მორფოლოგიური პარადიგმატიკის დონეზე; ანუ: ინვერსია არის სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნიშანთა ურთიერთჩანაცვლება ერთი საუღლებელი პარადიგმის დონეზე:



ბ) ინვერსია განისაზღვრება ვალენტობისა და პირიანობის (სინტაქსისა და მორფოლოგიის) დონეზე; ანუ: ინვერსია ნიშნავს ზმნის

პირიელი პოტენციისა და მისი მორფოლოგიური გამოხატვის „ასიმეტრიას“ — რეალური (მოქმედი) სუბიექტისა და რეალური (მოქმედი) ობიექტის შებრუნებულ გამოხატვას: სუბიექტს გამოხატავს ობიექტური პირის ნიშანი და — პირიქით.

ამ ვითარების აღწერა შესაძლებელია არა პარადიგმის, არამედ ერთი ფორმის ფარგლებშიც:

კონკრეტული ენის ფარგლებში ვადგენთ კონკრეტული ზმნის პირთა ვითარებას (სუბიექტს, ობიექტ⌜ებ⌝ს) და ამ ვითარებას ვამოწმებთ შესაბამისი ზმნური ფორმის მიხედვით. თუ რეალური სუბიექტი (ობიექტი) გამოხატულია ზმნური სუბიექტური (ობიექტური) ნიშნით, პირდაპირი წყობაა, ხოლო თუ ეს მიმართება შეცვლილია (სუბიექტურ პირს შეესაბამება — ობიექტური პირის ნიშანი, ხოლო ობიექტურ პირს — სუბიექტური), საქმე გვაქვს ი ნ ვ ე რ ს ი ა ს თ ა ნ.

ცხადია, ეს აუცილებლად გულისხმობს წინასწარ დადგენას იმისას, რომელი ნიშნები განეკუთვნება სუბიექტურ პირს, რომელი — ობიექტურს. სხვაგვარ შემთხვევაში პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლაზე, როგორც ისტორიულ მოვლენაზე, ლაპარაკი შეუძლებელი (ობიექტურად განუმტკიცებელი) იქნებოდა.

წარმოდგენილი ორგვარი (ა) და (ბ) მიდგომა ინვერსიის საკითხისადმი არსებითად ასახავს ქართული გრამატიკული ლიტერატურის ორ განსხვავებულ ხაზს: ერთი ინვერსიულად მიიჩნევს მხოლოდ გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმებს (და-მ-იხატავ-ს) (ა. შანიძე); ხოლო მეორე, ამასთან ერთად, აღიარებს გარდაუვალ ზმნათა აწმყოს ფორმების ინვერსიულობასაც (მ-იყვარ-ს) (არნ. ჩიქობავა). როგორც ითქვა, ამისი მიზეზი არსებითად გრამატიკული მოვლენის აღწერისადმი განსხვავებულ მიდგომაში მდგომარეობს.

მესამეგვარი მიდგომის რამდენიმე ვერსიაც არსებობს. კერძოდ, სუბიექტურია (სავალდებულოა) ის პირი, რომელსაც სუბიექტური პირის ნიშანი შეესაბამება და — პირიქით (ალ. ონიანი); ანდა: სუბიექტური პირის ნიშანია ის, რომელიც რეალურ სუბიექტს ასახავს (იქნება ის **ვ**ინის რიგისა, თუ **მ**ანის რიგისა) (თ. უთურგაიძე, ქ. დათუკიშვილი).

ეს მიდგომა არ იძლევა პირთა მიმართების ისტორიული ტრანსფორმაციის დანახვის შესაძლებლობას.

ობიექტურად შესაძლებელია (და ალბათ მიზანშეწონილიც არის) ინვერსიაგანცდილი ზმნები გარკვეულ ჯგუფებად განვიხილოთ იმისდა მიხედვით, თუ რა გრამატიკული შინაარსისაა ეს ზმნები მოცემულ


დონეზე და რა პარადიგმატული ვითარება აქვს მათ (რასაც გამოვიყენებთ კიდეც ქვემოთ); მაგრამ თავისთავად კონკრეტული ზმნის ინვერსიის (ან — არაინვერსიის) განსაზღვრა უნდა მოხდეს ერთი და საერთო კრიტერიუმით — ზმნის ვალენტობის (სუბიექტ-ობიექტების) რეალური ვითარებისა და პირთა მორფოლოგიის სინქრონიული ურთიერთმიმართების საფუძველზე. სხვაგვარი მიდგომა აუცილებლად გამოიწვევს ინტერპრეტაციის ნაირგვაროვნებას.

კონკრეტულად:

როდესაც ვამბობთ, რომ **დამედო** (ვალი) ფორმა არ არის ინვერსიული (პირდაპირი წყობისაა), ვგულისხმობთ შემდეგს:

ა) სუბიექტური პირია **ის** (ვალი), ობიექტური პირი — **მე**;

ბ) შესაბამისად, S_3 — ო, O_1 — მ.




ხოლო როდესაც ვამბობთ, რომ **დამედო** (უნდა ფული) ფორმა არის ინვერსიული, ვგულისხმობთ შემდეგს:

ა) სუბიექტური პირია **მე**, ობიექტური პირი — **ის** (ფული);

ბ) მაგრამ: S_3 — ო, O_1 — მ.

ანუ: პირთა ვითარება „შებრუნებულია“, პირის ნიშნები კი იგივეა:



გარდამავალ ანუ აქტიურსუბიექტიან ზმნებში ეს პროცესი უფრო გამოკვეთილია და ხელშესახები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აქ სუბიექტისა და ობიექტის შინაარსი, მათი უფლებრივი მიმართება, უფრო მკვეთრად არის გამოხატული (დამიწერია, ამიშენებია... **მე**).

ხოლო, მაგალითად, გრძნობა-აღქმის ზმნებში შესაბამისი სუბიექტი (ე. წ. განმცდელი სუბიექტი) შინაარსობრივად ესოდენ მკვეთრად არ არის გამიჯნული ობიექტისაგან (მიყვარს, მაციებს... **მე**).

შესაბამისად, ინვერსიის ცნების მიხედვით შეიძლება დავახასიათოთ რამდენიმე ტიპის ზმნათა ჯგუფი:

1. **გარდამავალ ზმნათა III სერიის** (სამივე მწკრივის) **ფორმები**. როგორც ცნობილია, ამ მწკრივებში ორპირიანი და სამპირიანი ზმნები გათანაბრდება, რადგანაც სამპირიანი ზმნაც ორპირიანი ხდება (ირიბი ობიექტი ე. წ. უბრალო დამატებად იქცევა). შდრ.:

კვეთ-ს (ის მას) — მო-უ-კვეთი-ა (მას ის)


ჰ-კვეთ-ს (ის მას მას) — მო-უ-კვეთი-ა (მას ის ⌜მისთვის⌝)

ამ შემთხვევაში ადგილმონაცვლე (ინვერსიული) პირები რეალურად შენარჩუნებულია: (ის მას → მას ის).

2. **მ-ი-პყრი-ა, მ-ი-ჭირავ-ს**... ტიპი: ეს ზმნები, რომლებიც სხვა ცნობილ, აწმყოშივე ინვერსიულ (სტატიკურ) ზმნათაგან ყველაზე მეტად ეკედლებიან და ემსგავსებიან გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმებს. ამ მხრივ მათ თუნდაც სრული პარადიგმა გამოარჩევს:

მ-ი-ჭირავ-ს
მ-ე-ჭირ-ა
მ-ჭერი-ა


და ეს გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმებთან მიმართებაშიც ჩანს; შდრ.:




სხვათა შორის, ეს რგოლი განსაკუთრებით განამტკიცებს გარდამავალი ინვერსიული და სტატიკური ინვერსიული ზმნების შინაგან კავშირს.

3. **მ-ი-ყვარ-ს** ტიპის ზმნები, ანუ სტატიკურ ზმნათა ის ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ინვერსიული ფორმით არის წარმოდგენილი და რომელ ზმნებსაც არსებითად მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვება: მიყვარ-ს, მიყვარდ-ა, მიყვარდე-ს.

ამ შემთხვევაშიც ინვერსიაქმნილი პირები (სუბიექტური და ობიექტური) რეალურად შენარჩუნებულია:




4. **მ-ა-კანკალებ-ს** ტიპის ზმნები, რომელნიც ხელშესახებად წარმოაჩენენ პირდაპირი წყობის გარდამავალი ზმნის ინვერსიულ სტატიკურ ზმნად ტრანსფორმაციის პროცესს:




ტრანსფორმირებული ზმნა სტატიკურობის არსებით ნიშნებსაც იძენს, თუმცა — ნაწილობრივ (მაგალითად, აკლია მხოლოდ III სერიის მწკრივები).

უფრო ნიშანდობლივია ის, რომ ამ შემთხვევაში ყოფილი გრამატიკული სუბიექტი (ანუ პოტენციური რეალური ობიექტი) არსებითად ანულირებულია (მე Ø); შესაბამისად:




5. **მ-ა-წუხებ-ს** ტიპი, რომელიც ასევე გარდამავალი ზმნის ტრანსფორმაციის შედეგია და ამით ემსგავსება **მაკანკალებს** ტიპს, ოღონდ ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია რეალური ობიექტი (ყოფილი გრამატიკული სუბიექტი); შდრ.:




ამავე ტიპს დაუწყვილდება **შემო-მ-ე-ლანძღ-ა** ტიპი.

6. **მ-ში-ა** ტიპის სტატიკური ზმნები, რომელთაც რეალური სუბიექტი შენარჩუნებული აქვთ, მაგრამ აშკარად ანულირების ტენდენციით. ეს ზმნა თავისუფლად გამოიყენება როგორც ორპირიანი (მე პური) და, ასევე — როგორც ერთპირიანი (მშია მე):




7. **მ-ცივ-ა** ტიპი, რომელიც არსებითად გაგრძელებაა წინა ტიპისა, იმ არსებითი განსხვავებით, რომ რეალური ობიექტი მთლიანად არის ანულირებული:




8. **მ-გონი-ა, შე-მ-ი-ძლი-ა**... ამ შემთხვევაშიც ობიექტის პოზიცია შერყეულია, ის ხმირად წარმოდგენილი არ არის; შდრ. **რა გგონია?** და **როგორ გგონია?**

რაც შეეხება **მ˹ა˺ხურავს, მაცვია, მახვევია, მკიდია...** ობიექტური წყობის ზმნებს, მათი პირიანობისა (ვალენტობისა) და მორფოლოგიის მიმართება ინვერსიას რეალურად არ წარმოაჩენს; ალბათ მხოლოდ ტენდენციაზე შეიძლება საუბარი:



ეს მით უფრო ხელშესახებია მაშინ, როდესაც კონკრეტულ ორპირიან ზმნას შესაბამისი ერთპირიანიც უდგას გვერდით და გრამატიკული სუბიექტის პოზიციას ამგვარი ოპოზიციაც განამტკიცებს; შდრ.:



IV. 1.2.9. ზმნის რიცხვი. ვთქვით, რიცხვი ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა ზმნისა. იგი მჭიდროდ უკავშირდება პირის კატეგორიას.

რიცხვი საზიარო კატეგორიაა სახელისა და ზმნისათვის. სახელის შემთხვევაში ვითარება გაცილებით მარტივია — შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებზე: რიცხვის ნიშანი (-ებ, -ნ/-თ) მხოლობითის ფორმას განასხვავებს მრავლობითისაგან (**კაც**-ი — კაც-**ებ**-ი / კაც-**ნ**-ი / კაც-**თ**-ა)...

პრინციპულად განსხვავებული ვითარებაა ზმნის შემთხვევაში: არ შეიძლება ვისაუბროთ ზმნის ფორმის შესახებ, როგორც მხოლობითის ან მრავლობითის ფორმის თაობაზე: შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ზმნაში წარმოდგენილი პირის (პირების) რიცხვის შესახებ. მორფოლოგიური გამოხატულება სიმრავლისა აქვს სწორედ ზმნასთან დაკავშირებულ კონკრეტულ პირს:

ვ-თბები (მე) — სუბიექტი მხოლობით რიცხვშია;
ვ-თბები-**თ** (ჩვენ) — სუბიექტი მრავლობით რიცხვშია;

მ-ხატავ-ს (ის მე) — ობიექტი მხოლობით რიცხვშია;
გვ-ხატავ-ს (ის ჩვენ) ობიექტი მრავლობით რიცხვშია.

ერთსა და იმავე ზმნურ ფორმაში შეიძლება იყოს რიცხვის მიხედვით განსხვავებული სუბიექტ-ობიექტის კომბინაციები:

ვ-ხატავ (მე მას) — სუბიექტი მხოლობითშია; ობიექტიც მხოლობითშია;

ვ-ხატავ-თ (ჩვენ მას) — სუბიექტი მრავლობითშია; ობიექტი — მხოლობითში;

ვ-ხატავ (მე მათ) — სუბიექტი მხოლობითშია, ობიექტი — მრავლობითში (ფორმობრივი დამთხვევაა I შემთხვევასთან);

ვ-ხატავ-თ (ჩვენ მათ) — სუბიექტი მრავლობითშია, ობიექტიც — მრავლობითში (ფორმობრივი დამთხვევაა მეორე შემთხვევასთან).

სამპირიანი ზმნის შემთხვევაში უფრო რთული ვითარებაა: სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტის მხოლობით-მრავლობითის კომბინაციათა რაოდენობა იზრდება.

შესაბამისად, ზმნური ფორმის რიცხვზე მსჯელობისას ვსაუბრობთ ზმნასთან დაკავშირებული პირის (სახელის, resp. ნაცვალსახელის) რიცხვზე და არა ზოგადად ზმნური ფორმის რიცხვზე. ამიტომაც რიცხვის კატეგორიაზე მსჯელობა უშუალო კავშირში იქნება პირის კატეგორიასთან. მით უმეტეს, ეს მიმართება (პირისა და რიცხვისა) სპეციფიკურია (არაერთგვაროვანი) სხვადასხვა შემთხვევაში — ზოგჯერ პირსა და რიცხვს სხვადასხვა მორფოლოგიური ნიშანი გამოხატავს (**ვ**-წერ-**თ** — **ვ**- პირის ნიშანია, **-თ** — რიცხვისა); ზოგჯერ ერთი და იგივე მორფოლოგიური ელემენტი პირზე მიმათითებელიც არის და რიცხვზეც (წერ-**ენ** — -**ენ** არის სუბიექტური მესამე პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში). ამ თემაზე უფრო დაწვრილებით საუბარი გვექნება პირის ნიშანთა ანალიზის დროს.

IV. 1.2.10. სახელთა მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში. ზმნაში ჩვეულებრივ გამოიხატება იმ სახელის მრავლობითობა, რომლის პირიც აისახება. ე. ი. სუბიექტისა და ობიექტის (პირდაპირისა და ირიბის) მრავლობითობა.

სუბიექტის მრავლობითობის გამოხატვა განსხვავებულია I-II და III პირებისათვის. **პირდაპირი წყობის** დროს I-II პირის მრავლობითობა გამოიხატება **-თ** სუფიქსით:

ჩვენ ვ-წერ-**თ**

თქვენ წერ-**თ**

ამ შემთხვევაში **-თ** მიანიშნებს მხოლოდ რიცხვზე პირის განურჩევლად.

III სუბიექტური პირი გამოიხატება -**ენ**, -**ან**, -**ნ**, -**ეს** და -**ნენ** სუფიქსებით: **ისინი** აკეთებ-**ენ**, მოდი-**ან**, მოვიდ-**ნენ**...

მათ გააკეთ-**ეს**, გააკეთო-**ნ**... მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსები პირსაც გამოხატავენ...

ინვერსიული წყობის შემთხვევაში რეალური სუბიექტის მრავლობითობა გამოიხატება I პირში **გვ-** პრეფიქსით, II და III პირებში **-თ** სუფიქსით (ანუ: მოქმედებს ირიბიობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვის პრინციპი):

პირდ. წყობა		**ინვერსიული წყობა**	
ჩვენ	ვ-წერ-**თ**	ჩვენ	და-**გვ**-იწერია
თქვენ	წერ-**თ**	თქვენ	და-გ-იწერია-**თ**
ისინი	წერ-**ენ**	მათ	და-უწერია-**თ**

ობიექტური პირების მრავლობითობა განსხვავებულად აღინიშნება I და II პირებში: I პირში ფლექსიურად: **გვ** რიცხვის აღმნიშვნელიც არის და პირისაც; II პირში — აგლუტინაციურად: რიცხვს **-თ** სუფიქსი გამოხატავს.

ის ჩვენ	(პ. ობ.)	**გვ**-ხატავ-ს
ის თქვენ		გ-ხატავ-**თ**
ის ჩვენ მას	(ირ. ობ.)	**გვ**-იხატავს
ის თქვენ მას		გ-იხატავ-**თ**

სპეციფიკური ვითარებაა III ობიექტური პირის შემთხვევაში: როგორც წესი, სალიტერატურო ენაში III პირის ობიექტის მრავლობითობა აღინიშნება ინვერსიის დროს:

ჩვენ ის	და-**გვ**-იწერია	ჩვენ	**გვ**-ცივა
თქვენ ის	და-გ-იწერია-**თ**	თქვენ	გ-ცივა-**თ**
მათ ის	და-უწერია-**თ**	მათ	ს-ცივა-**თ**

ინვერსიის შემთხვევაში ეს იმიტომ ხდება, რომ გრამატიკული ირიბი ობიექტი რეალურ სუბიექტად არის გაგებული და შეთანხმე-

ბასაც ეს განსაზღვრავს. პირდაპირი წყობის შემთხვევაში ჩვეულებრივ III ობიექტური პირის სიმრავლე ზმნაში არ აისახება:

მე ის	და-ვ-ხატე	მე ისინი	და-ვ-ხატე
მე მას	და-ვ-ემალე	მე მათ	და-ვ-ემალე

თუმცა საინტერესო ტენდენციები ისახება. არსებული ვითარების გასააზრებლად აუცილებელი ძველი ქართულის ვითარების გახსენებაა:

ძველ ქართულში III სუბიექტური პირის შემთხვევაში **ნ**არ-**თ**ანიან მრავლობითში დასმული სახელი ყოველთვის ითანხმებდა ზმნას რიცხვში — ყოველთვის აჩენდა მრ. რიცხვის ნიშანს; **-ებ** სუფიქსიანი სახელობითი ვერ ითანხმებდა ზმნას: „იგი სირები აღფრინდა“... „მოვიდოდა ხარჭებიცა მეფისა“... და სხვა. ახალ ქართულში ნართანიანი მრავლობითის გამოყენების სიხშირე შემცირდა სახელებში, მისი სინტაქსური ძალა უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ, გაიზარდა სახელებში **-ებ**-იანი მრავლობითის გამოყენების სიხშირე; გაიზარდა მისი სინტაქსური ფუნქციაც: III სუბიექტური პირის შესაბამისი სახელი თუ სულიერია, ამ პირის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება: ბავშვები თამაშობ-**ენ**, ჩიტები მოფრინდ-**ნენ** და ა. შ. თუ III სუბიექტური პირის შესაბამისი სახელი უსულოა, მისი მრავლობითობა ზმნაში შეიძლება აღინიშნოს (მაგ., მთები დგან-ან და ელი-ან...) და შეიძლება არ აღინიშნოს (მაგ., სახლები დგა-ს, ხეები გახმ-ა...). ჩვეულებრივ შეთანხმება გვაქვს გაპიროვნების შემთხვევაში, თუმცა ტენდენცია ისეთია, რომ სხვა შემთხვევაშიც შეიძლება აისახოს მრავლობითობა (მდინარეები ადიდდა || მდინარეები ადიდდნენ...).

განსხვავებული ვითარება იყო III ობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვასთან დაკავშირებით: ზმნაში აღინიშნებოდა სახელობითში დასმული ობიექტური პირის მრავლობითობა: მან წიგნი დაწერა, მაგრამ მან წიგნნი დაწერ-**ნ**-ა.

მე იგი	მო-ვ-კალ	მე იგინი	მო-ვ-კლ-**ენ**
შენ იგი	მო-კალ	შენ იგინი	მო-კლ-**ენ**
მან იგი	მო-კლ-ა	მან იგინი	მო-კლ-ნ-**ა**

მიცემითში დასმული ობიექტის სიმრავლე ზმნაში არ აღინიშნებოდა, განურჩევლად იმისა, პირდაპირი იყო ეს ობიექტი თუ ირიბი:

შე-ს-ძენ-ს იგი მას/მათ მას/მათ

მო-ჰ-გური-ს იგი მას/მათ მას/მათ

მო-უ-თხრობ-ს იგი მას/მათ მას/მათ და ა. შ.

უნებს მას / მათ იგი
ჰ-ნებავ-ს მას / მათ იგი
აქუ-ს მას / მათ იგი
ს-წყური-ს მას / მათ იგი
ჰ-ყვანდ-ა მას / მათ იგი
უყუარდ-ა მას / მათ იგი და ა. შ.

ახალ ქართულში მკვეთრად გამოიხატა ტენდენცია მიცემითში დასმული ობიექტის რიცხვის აღნიშვნისა ზმნაში. ინვერსიულ ზმნებში ეს თითქმის სისტემებრ გატარდა. როგორც ითქვა, ამას ხელი იმან შეუწყო, რომ გრამატიკული ირიბი ობიექტი რეალურ სუბიექტად არის გაგებული (არნ. ჩიქობავა). თუმცა ეს პროცესი პირდაპირი წყობის ზმნებშიც განვითარდა. ეს წესი სამწერლობო ქართულში აღმოსავლური კილოებიდან შემონატანად ითვლება (არნ. ჩიქობავა):

აედევნა	ის მას	და	ის მათ	აედევნა-**თ**
მისდევს	ის მას	და	ის მათ	მისდევ-**თ**
ეკითხება	ის მას	და	ის მათ	ეკითხება-**თ**
შეუყვირა	მან მას	და	მან მათ	შეუყვირა-**თ**

ამ ტენდენციის არსი ის არის, რომ „მესამე პირის ეს-**თ**-იანი ფორმები აგრძელებენ პირველი და მეორე პირის ფორმათა ხაზს: მიცემითი ბრუნვის ობიექტი სამსავე პირში ითანხმებს ზმნას რიცხვში... პროცესობრივ კი მესამე პირის ამ ფორმის წარმოქმნაში ახალი ფაქტორი უნდა გვქონდეს: **დიალექტური ნორმით** ზოგ ქართულ კილოში (რაჭულში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, იმერულში), იხმარება **-ყე || -კე** ნაწილაკი. იგი მიუთითებს, პირველ ყოვლისა, ობიექტის მრავლობითობაზე მიცემითში: აედევნა მას — აედევნა-**ყე** მათ.. ეკითხებოდა მას — ეკითხებოდა-**ყე** მათ... ეხვეწება მას — ეხვეწება-**ყე** მათ და სხვ.“ (არნ. ჩიქობავა).

ზემოწარმოდგენილ მაგალითებში (აედევნა-თ, ეკითხება-თ...) **-თ** სუფიქსი „-ყე ნაწილაკის ადგილასაა გამოყენებული და მისი როლიცა აქვს დაკისრებული — მასალა (**თ** სუფიქსი) სალიტერატურო ქართულისაა, ფუნქცია — დიალექტური“.

ამგვარად, **-ებ**-იანი მრავლობითის რიცხვის ასახვა ზმნაში, ერთი მხრივ, და მიცემითში დასმული ობიექტის რიცხვის ასახვა, მეორე მხრივ, ახალი ქართულის დამახასიათებელი ტენდენციებია, რომელიც თანდათან ძლიერდება.

თავი II. ზმნისწინი

IV. 2.1. ზმნისწინის რაობა. ზმნისწინი ეწოდება ერთ- ან ორმარცვლიან მორფემას, რომელიც წინ უსწრებს ზმნის მარტივ ფუძეს ან ფუძის წინ დართულ რომელიმე პრეფიქსს (პირის ნიშანს, ქცევის ნიშანს, გვარის ნიშანს) და ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას: გვიჩვენებს მიმართულებას, აწარმოებს მომავალ დროს, სრულ ასპექტს, ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას.

ზმნისწინი ზმნის პირიანი ფორმის გარდა დაერთვის საწყისს *(და-ხატვა, გა-კეთება, შე-ღებვა...)* და მიმღეობას *(და-ხატული, გა-კეთებული, შე-ღებილი...).*

თანამედროვე ქართულ ენაში გვაქვს შემდეგი ზმნისწინები: **ა-, გა-, და-, მი-, მო-, შე-, ჩა-, წა-, გადა-, ამო-, გამო-, შემო-, ჩამო-, წამო-, გადმო-, მიმო-**. მათგან შედგენილობის მიხედვით მარტივი ზმნისწინებია: **ა-, გა-, და-, მი-, მო-, შე-, წა-.** მარტივ ზმნისწინებზე **მო**-ს დართვით მიღებულია რთული ზმნისწინები: **ა-მო-, გა-მო-, შე-მო-, წა-მო-.** თავდაპირველად რთული იყო, მაგრამ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მარტივი სახე აქვს **ჩა-** და **გადა-** ზმნისწინებს. **ჩა-** მიღებულია **შე-და**-საგან **(შე-და- → შ-და- → შ-თა- → ჩა-), გადა-** კი მიღებულია **გარ-და-**საგან**: გარ-და- → გადა-. ჩა-** და **გადა-** ზმნისწინებსაც ერთვის **მო-** ზმნისწინი და ვიღებთ **ჩამო-, გადმო-(გადა-მო- → გადმო-)** რთულ ზმნისწინებს. **მი-** და **მო-** ზმნისწინები ზოგჯერ ერთდროულად დაერთვის ზმნას და ვღებულობთ რთული სახის **მიმო**-ს *(მიმოიხედა, მიმოიარა, მიმოსვლა...).*

ძველ ქართულში გვქონდა სხვა ზმნისწინებიც: **წიალ-, წიალმო-, უკუ-/უკუნ-, უკმო-, უკუმო-, მიმოდა-.** თანამედროვე ქართულში ისინი აღარ გვხვდება.

იმ ზმნისწინებიდან, რომლებიც თანამედროვე ენაში გვაქვს, ზოგი ძველ ქართულშიც ამავე სახით გამოიყენებოდა; ესენია: **მი-, მო-, შე-, და-,** სხვებმა კი მეტ-ნაკლები ცვლილება განიცადეს: ძველ ქართულში გვქონდა: **გან-, ალ-, წარ-, შთა-, გარდა-, ალმო-, წარმო-**. თანამედროვე ქართულში გვაქვს: **გა-, ა-, წა-, ჩა-, გადა-, ამო-, წამო-.**

ზოგ ზმნასთან ზმნისწინი დღესაც ძველი სახით გვხვდება (*გან-აზოგადა, აღ-ზარდა, წარ-ადგინა, შთა-აგონა, გარდა-იქმნა...).*

უმეტეს შემთხვევაში ძველი და ახალი სახეობანი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს (*გა-თავისუფლდა და გან-თავისუფლდა, გა-მეორდა და გან-მეორდა...*), ან სტილისტურ სხვაობას იძლევიან (შდრ.: *ა-ასრულა და აღ-ასრულა, ჩა-უნერგა და შთა-უნერგა, გა-არიდა და გან-არიდა...*). გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ძველი და ახალი ფორმის ზმნისწინებით განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის ზმნები იქმნება (შდრ.: *ჩააგონა — შთააგონა, ადგომა — აღდგომა, წამატება — წარმატება...*).

ზმნისწინების დართვის მიხედვით გამოიყოფა სამი ჯგუფი: 1. ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაირთავენ: სწამს, უყვარს, სძულს, სძინავს... 2. ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდ არ გვხვდება: მივიდა, გავიდა, შევიდა... 3. ზმნები, რომელთაც შეუძლიათ დაირთონ ზმნისწინი ან არ დაირთონ: დახატა / ხატა, მოკრიფა / კრიფა, დაგრიხა / გრიხა...

რომელ ზმნისწინს იყენებს ესა თუ ის ფუძე, დამოკიდებულია როგორც ზმნის, ისე ზმნისწინის სემანტიკაზე.

IV. 1.2. ზმნისწინთა გენეზისი. ზმნისწინები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობენ, რომლებმაც დროთა განმავლობაში დაკარგეს დამოუკიდებლობა და დაუკავშირდნენ სახელსა და ზმნას. ქართულში აშკარაა ზმნისწინებისა და თანდებულების საერთო წარმომავლობა: **გან** თანდებულია სახელთან (ხისა-გან), ზმნისწინია ზმნასთან (გან-ვიდა > გა-ვიდა); **გარდა** თანდებულია სახელის ბრუნვის ფორმასთან (ამას გარდა, გოგონას გარდა), ზმნისწინია ზმნებში (გარდა-იცვალა, გარდა-იქმნა... გარდა-ს გამარტივებული სახეა **გადა**: გადა-ვიდა, გადა-გზავნა). გენეტურად ერთი და იგივეა **-ში** თანდებული და **შე-** ზმნისწინი (სახლ-ში, შე-ვიდა); **მი-** ზმნისწინი და **მდე, მდის** თანდებულებში გამოყოფილი **მი** ფორმანტი; **მო-** ზმნისწინი და **მოაქამომდე** ფორმაში გამოყოფილი **მო** ფორმანტი; **აღ-** ზმნისწინი და **წიაღ** სიტყვაში გამოყოფილი **აღ** ფორმანტი.

ზმნისწინებითა და თანდებულებით სივრცეში მყოფის ადგილის კოდირებისას ასეთი განაწილება, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. თანდებულები აზუსტებენ ზმნისწინებით გამოხატულ სივრცულ მიმართებებს.

IV. 2.3. ზმნისწინთა ფუნქციები. ზმნისწინი პოლიფუნქციური მონაცემია. იგი რამდენიმე ფუნქციას ასრულებს: აღნიშნავს მიმართულებას *(ა-დის, შე-დის, ჩა-დის, გადა-დის...)*, გამოხატავს გეზსა და ორიენტაციას *(მი-აქვს — მო-აქვს, მი-რბის — მო-რბის)*, აწარმოებს მომავალ დროს *(ატანს — გა-ატანს, წერს — და-წერს, ჭამს — შე-ჭამს...)*, გამოხატავს სრულ ასპექტს *(აკეთა — გა-აკეთა, წერა — და-წერა)*, ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას (*ხალიჩა* ***და****-ავო, ფული* ***წა****-ავო, ხმალი ქარქაშში* ***ჩა****-ავო, სახლი* ***ა****-ავო; წყალი* ***და****-იქცა, ბიჭი* ***წა****-იქცა, ბავშვი* ***გა-****იქცა...).*

ზმნისწინის ფუნქციებიდან პირველადია მიმართულების აღნიშვნა, რომელსაც უკავშირდება გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა; ზმნისწინის უძველესი ფუნქციაა აგრეთვე განსხვავებული მნიშვნელობის ზმნების წარმოქმნა; დასრულებული სახით მოქმედების გამოხატვა და მომავალი დროის წარმოება კი ზმნისწინის მერმინდელი, შედარებით ახალი ფუნქციებია.

ზმნისწინის წარმოშობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნის ჩამოყალიბებასთან. ზმნისწინს ზმნის რამდენიმე კატეგორია უკავშირდება: გეზი, ორიენტაცია, დრო, ასპექტი. მათგან გეზი და ორიენტაცია მხოლოდ ზმნისწინის მეშვეობით არის გამოხატული. ზოგჯერ ზმნისწინი რამდენიმე ფუნქციას ასრულებს ერთდროულად: გამოხატავს გეზს, ორიენტაციას, მომავალ დროს და სრულ ასპექტს *(შევა, მიცურდება, გადმოიტანს...)*.

ქვემოთ განვიხილავთ ზმნისწინის საშუალებით გეზისა და ორიენტაციის გამოხატვას და ლექსიკური მნიშვნელობის ცვლას. რაც შეეხება ზმნისწინის სხვა ფუნქციებს, მათზე მსჯელობა იქნება შესაბამისი კატეგორიების (დროისა და ასპექტის) განხილვისას.

IV. 2.4. მიმართულების სახეები და მათი გამოხატვა, გეზი და ორიენტაცია. ქართულ ენაში სივრცითი მიმართებები ძირითადად ზმნის საშუალებით გადმოიცემა. მოძრაობის გამოხატვისას ყოველთვის იგულისხმება რაღაც, რაც მოძრაობს (სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი) და ის, რის/ვის მიმართაც მოქმედებს ვინმე ან რამე. მოქმედების მიმართება სივრცეში არსებულ სხვადასხვა პუნქტთან განსაზღვრულია I პირის, მოსაუბრის მიერ. ეს მიმართება შეიძლება გამოხატული იყოს ზმნის ფორმით, შეიძლება — არა. *წერს, ხატავს, ჭამს, ფრინავს, ქრის, ცურავს, გორავს* ზმნებში მოქმედების მიმართულება ზმნის ფორმით

გამოხატული არ არის. მათგან განსხვავებით, *მიფრინავს, მირბის, შედის, მოაქვს, აიტანა, გამოაღო* ზმნები გამოხატავენ მოქმედებას, რომელიც გარკვეული მიმართულებით სრულდება, სივრცეში მდებარე რომელიმე პუნქტისაკენ არის მიმართული. პუნქტი შეიძლება იყოს მაღლა ან დაბლა, შიგნით ან გარეთ, გადაღმა ან გადმოღმა, ზედაპირზე ან სიღრმეში, წინ ან უკან.

გარდა ამისა, მოძრაობა, მოქმედება შეიძლება გამოიხატოს ორგვარად: როგორც მოუბარის ანუ I პირისაკენ მიმართული და მის საწინააღმდეგოდ მიმართული. ასე რომ, თითოეულ სახეს მიმართულებისას ორიენტაციის მაწარმოებელი წყვილი ზმნისწინი გამოხატავს:

1) ქვევიდან ზევით: **ა-** *(ავიდა, აფრინდა...)* და **ამო-** *(ამოვიდა, ამოფრინდა...);*

2) ზევიდან ქვევით: **და-** *(დავიდა, დაფრინდა...)* და **დამო-**, რომელიც ძვ. ქართულში გვქონდა *(დამოჰკიდეს ძელსა...)* და დღეს ნაშთის სახითღაა შემორჩენილი *(დამოკიდებული);*

3) შიგნიდან გარეთ: **გა-** *(გავიდა, გაფრინდა)* და **გამო-** *(გამოვიდა, გამოფრინდა...);*

4) გარედან შიგნით: **შე-** *(შევიდა, შეფრინდა...)* და **შემო-** *(შემოვიდა, შემოფრინდა...);*

5) დაბრკოლების გადალახვით: **გადა-** *(გადავიდა, გადაფრინდა...)* და **გადმო-** *(გადმოვიდა, გადმოფრინდა...);*

6) ზმნისწინები: **ჩა-, ჩამო-** გამოხატავს მიმართულებას ზემოდან ქვემოთ და ამავე დროს — გარედან შიგნით (რაც ამ ზმნისწინების რთული შედგენილობის შედეგია: შე- + და- → შდა- → ჩა-): *ჩავიდა, ჩავარდა, ჩამოვიდა, ჩამოვარდა.*

შენიშვნა: ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გვქონდა ზმნისწინთა კიდევ ერთი წყვილი: **წიალ-** და **წიალმო-,** რომელიც **გადა-**, **გადმო-** ზმნისწინთა მსგავსად დაბრკოლების გადალახვით მოძრაობას გამოხატავდა, ოღონდ წყალთან დაკავშირებით: **წიალ-ჴდა** — წყალზე გადავიდა, **წიალ-მოჴდა** — წყალზე გადმოვიდა. თანამედროვე ქართულში ეს ზმნისწინები აღარ გამოიყენება.

ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს, როგორია ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართება სივრცეში მდებარე რომელიმე პუნქტთან, **გეზი** ეწოდება. როცა ზმნის ფორმით მოქმედების მიმართულება გამოხატული არ არის, გვაქვს **მიუმართავი გეზი**: *წერს, ხატავს, აკეთებს, მუშაობს* და მისთ. როცა განსაზღვრულია მოქმედების მიმართულება, მოქმედება გარკვეული მიმართულებით სრულდება, გვაქვს **მი-**

მართული გეზი: *მისწერა, ჩახატა, შეაგდო, გადაიფრინა* და ა. შ. მიმართულების, და შესაბამისად, გეზის გამომხატველი ზმნაში არის ზმნისწინი. გეზი, როგორც ზმნის კატეგორია, მხოლოდ ზმნისწინის საშუალებით არის გამოხატული (ა. შანიძე).

როგორც აღინიშნა, მოქმედების მიმართულება მოსაუბრის, I პირის პოზიციიდან ფასდება და მას უკავშირდება კიდევ ერთი ზმნური კატეგორია — **ორიენტაცია.**

ორიენტაცია გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას I პირის პოზიციიდან: საით არის მოქმედება მიმართული — მოსაუბრე პირისაკენ, თუ საწინააღმდეგო მიმართულებით. ამის მიხედვით გვაქვს **სააქეთო ანუ მაახლოებელი** და **საიქეთო ანუ მაშორებელი ორიენტაცია.**

ორიენტაცია, ა. შანიძის განსაზღვრის მიხედვით, **სააქეთოა**, თუ მოქმედების სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი I პირისაკენ მიემართება (მოგორავს ქვა, შემოაგორა ქვა), ხოლო **საიქეთოა**, თუ მოქმედების სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი შორდება I პირს (მიგორავს ქვა, მიაგორა ქვა). ა. შანიძის აზრით, მოსალოდნელი იყო, რომ ორიენტაციის აღნიშვნისას ენაში გამოიხატებოდა II პირის არეც, როგორც ეს გარჩეულია ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებში (შდრ.: **ეს — ეგ — ის, ასეთი — ეგეთი — ისეთი, აქ — მანდ — იქ...**), მაგრამ ასე არ მოხდა. II პირთან იგივე ზმნისწინები გამოიყენება, რაც I პირთან. რამდენადაც II პირი ის პირია, რომელსაც მიმართავენ, იგი I პირის სივრცეში მოიაზრება და მასთანაც სააქეთო ორიენტაცია იგულისხმება.

შემდგომში ორიენტაციის კატეგორიის გაგება დაზუსტდა; აღინიშნა, რომ **სააქეთო ორიენტაცია** გამოხატავს მოქმედებას I პირისაკენ ან II პირისაკენ (განურჩევლად იმისა, იმყოფება II პირი I პირის არეში თუ არა; შდრ.: *მე გამოგიგზავნე წერილი მოსკოვში*), **საიქეთო ორიენტაცია** კი გვაქვს მაშინ, როცა მოქმედება მიმართულია იქით, სადაც I და II პირი არ იმყოფება (შ. კეკელია, ა. დავითიანი, ა. ფოცხიშვილი, ა. ონიანი).

ამდენად, ორიენტაციის მიხედვით ოპოზიციის წევრთა რაოდენობა სამია: **ნეიტრალური** (*ცურავს*), **სააქეთო** (*მო-ცურავს*) და **საიქეთო** (*მი-ცურავს*).

მოსაუბრის, I პირის, პოზიციიდან ფასდება, საით არის მოქმედება მიმართული: I ან II პირისაკენ, თუ I ან II პირის საწინააღმდეგოდ. თუ მოქმედება მიმართულია იმ პოზიციისაკენ, რომელიც I ან II პირს უკავია, **ორიენტაცია სააქეთოა,** თუ მოქმედება I ან II პირის პოზიცი-

ის საწინააღმდეგო მიმართულებით სრულდება, **ორიენტაცია საიქეთოა.**

სააქეთო ორიენტაცია გამოიხატება **მო**- ზმნისწინით, იქნება ის დამოუკიდებელი, მარტივი სახით, თუ ერთვის სხვა ზმნისწინს: **ამო-, გამო-, ჩამო-, წამო-, შემო-, გადმო-:** *მო-ვიდა, ამო-იტანა, ჩამო-აგდო, წამო-იღო, შემო-ვარდა, გადმო-ხტა...* **საიქეთო ორიენტაცია** გამოიხატება **მი-, ა-, გა-, ჩა-, წა-, შე-, გადა-** ზმნისწინებით: *მი-ვიდა, ა-იტანა, ჩა-აგდო, წა-იღო, შე-ვარდა, გადა-ხტა, გა-ატანა...*

ის ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაირთავენ, მოკლებულია როგორც მიმართულების გამოხატვის საშუალებას, ისე ორიენტაციისას; მეორე მხრივ კი ზმნისწინის დართვა ყოველთვის არ ნიშნავს ამ კატეგორიების გამოხატვას. მთელ რიგ ზმნებში **მი**-ს და **მო**-ს დაკარგული აქვთ მოქმედების გეზისა და ორიენტაციის გამოხატვის ფუნქცია. ასეთ შემთხვევაში **მი**-სა და **მო**-ს პირთა განურჩევლად იყენებენ: *მი-ვიღე, მი-მაჩნია, მო-აგონა, მო-იფიქრა, მო-კლა* და ა. შ. (ა. შანიძე).

IV. 2.5. ზმნისწინის საშუალებით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა. ზმნისწინის ერთი ძირითადი ფუნქციაა ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა. ზმნისწინი ახალი ზმნის მაწარმოებელი ელემენტია. ზმნების დიდ ნაწილში იგი სწორედ სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გვხვდება.

ზმნისწინებმა შესაძლოა:

ა) გამოხატონ მოქმედება განსხვავებული ნიუანსით; შდრ.: მო-კლა და და-კლა; მო-შორდა და გა-შორდა (ცოლს), ჩა-წერა და ჩამო-წერა...

ბ) წარმოქმნან ანტონიმები; მაგ.: წა-ართვა და მი-ართვა, წა-აგო და მო-იგო, გა-იყარნენ და შე-იყარნენ...

გ) წარმოქმნან ახალი ლექსიკური ერთეულები, მაგ.: მისწერა წერილი, გაწერა საავადმყოფოდან, გამოწერა რეცეპტი; გამოიწვევს საცეკვაოდ, მიიწვევს სტუმრად, შეიწვევს სახლში...

განსხვავებული ლექსიკური ერთეულები შეიძლება წარმოიქმნას ზმნისწინის ფონეტიკური ვარიანტებითაც: წარ-სული და წა-სული; აღდგომა და ა-დგომა; გან-დიდება და გა-დიდება; გან-წყობა და გა-წყობა, გარდა-ტეხა და გადა-ტეხა... ის, რომ ზმნისწინების ფონეტიკური ვარიანტები მნიშვნელობათა განმასხვავებელი ფუნქციით გამოიყენება, ქართულისათვის დამახასიათებელი უნიკალური მოვლენაა, რომლითაც ენა გარკვეულ ეკონომიურობას აღწევს: მინიმალური ფორმობრივი საშუა-

ლებებით მოცემულია მაქსიმალური სემანტიკური გამომხატველობა (ბ. ჯორბენაძე).

იმდენად მრავალფეროვანია წარმოქმნის ნიუანსები ზმნისწინთა გამოყენების თვალსაზრისით, რომ სპეციალური გამოკვლევის გარეშე მათი სრული აღნუსხვა შეუძლებელია. ქვემოთ განვიხილავთ ზმნისწინების განსხვავებული მნიშვნელობით გამოყენების ზოგ შემთხვევას.

და- ზმნისწინი გეზისა და ორიენტაციის გამოხატვის თვალსაზრისით უპირისპირდება **ა-** ზმნისწინს (ა-ფრინდა — და-ფრინდა, ა-იწია — და-იწია...), მაგრამ ხშირად ის უპირისპირდება **მი-** და **მო-** ზმნისწინებსაც იმ თვალსაზრისით, რომ თუ ეს ზმნიწინები იქით და აქეთ მიმართულებით მოძრაობას გამოხატავენ, **და-** გვიჩვენებს მოქმედებას გარკვეული მიმართულების დაუსახელებლად. იგი გვხვდება როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში: და-ხტის, და-ფრინავს, და-აქვს, და-აჭენებს.... იგი ამ ფუნქციით არ დაერთვის მოძრაობის გამომხატველ ნებისმიერ ზმნას, მაგრამ სივრცეში გადაადგილების გამოხატვა გარკვეული მიმართულების აღნიშვნის გარეშე ძირითადად **და-** ზმნისწინის გამოყენებით არის შესაძლებელი. ამავე დროს, **და-** ზმნისწინი შეიძლება დაერთოს ზმნას, რომელიც მოძრაობას არ გამოხატავს და ეს მნიშვნელობაც შესძინოს მას (და-ღიღინებს = ღიღინით დადის, და-ბზუის = ბზუილით დასტრიალებს...).

და- ზმნისწინის გამოიყენებასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ისეთი მოქმედების გამოხატვა, რომელიც მრავალ ობიექტზე ხორციელდება, მაგრამ არა ყველაზე ერთად, არამედ ცალ-ცალკე: და-ზარდა, და-გზავნა, და-თალა, და-რეცხა... ამგვარი ფუნქციით აღჭურვილ **და-** ზმნისწინს ა. შანიძე „თითოობის და“-ს უწოდებს. ამ ფუნქციის გამოხატვის არსი ასე განიმარტება: „თუ საჭიროა ერთი სუბიექტის მოქმედება მრავალ ობიექტზე, ს ა თ ი თ ო ო უნდა მიჰყვეს: ჯერ ერთს მოჰრჩეს, მერე მეორეს, შემდეგ მესამეს და ეგრე ბოლომდის“. მაგ.: ფეხსაცმელი გა-ხადა, ფეხსაცმელები და-ხადა; ფიცარი გა-თალა, ფიცრები და-თალა და სხვა. -**და** გარდაუვალ ზმნებთანაც გვხვდება და სუბიექტის სიმრავლეს გამოხატავს: და-იზარდნენ, და-იფანტნენ, და-ძღნენ... სუბიექტისა და ობიექტის სიმრავლე **და**-თი გამოხატულია საწყისსა და მიმღეობაშიც: და-ზრდა, და-გზავნა, და-ზრდილი, და-გზავნილი... ამგვარი ფუნქციის გამომხატველი და- ზმნისწინი მხოლოდ ზოგიერთ ზმნასთან შეიძლება იყოს. ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა — ხეები მოჭრა, წიგნები წაიკითხა, ცხადია, გულისხმობს სათითოოდ შესრულე-

ბულ მოქმედებას, თუმცა მისი გამოხატვა ზმნისწინთან არაა დაკავშირებული...

შე- ზმნისწინი გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით, მაგრამ ზოგჯერ იგი გვიჩვენებს ზევით მიმართულ მოქმედებას (შე-ჯდა ცხენზე, შე-დგა მთაზე...), ზოგჯერ კი ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება:

გა-წითლდა მაგრამ შე-წითლდა,

და-თვრა მაგრამ შე-თვრა,

გა-თხელდა მაგრამ შე-თხელდა...

არსებობს მოსაზრება, რომ ამ მნიშვნელობით **შე**-ს გამოყენება სივრცული მიმართების გამოხატვასთან არის დაკავშირებული, ოღონდ ეს მიმართება წარმოდგენილია მეტაფორულად: შეწითლდა — სიწითლეში შევიდა (ვ. ბოედერი).

შემო- ზმნისწინს თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა აქვს უნარი გამოხატოს რაიმე საგნის ირგვლივ, გარშემო მიმდინარე მოქმედება: შემო-აკერა, შემო-ახია, შემო-ატარა, შემო-ღობა... ამ ზმნისწინს უკავშირდება აგრეთვე უნებლიე მოქმედების გამოხატვის ფუნქცია: შემო-ეხარჯა, შემო-აკვდა, შემო-ეჭამა... (ა. ფოცხიშვილი).

საშუალი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი თავისი ძირითადი ფუნქციებით ზმნისწინს ვერ იგუებს: ბეჯითობს, სულელობს, ზარმაცობს, ბავშვობს და მისთანანი. ამ ტიპის ზმნების მიერ გამოხატული მოქმედების ნაკლები ინტენსივობით შესრულება, „სიცოტავე-სიმცირე“, გამოიხატება **მო-** და **წა-** ზმნისწინებთა მეშვეობით:

მო-იბეჯითებს, მო-იზარმაცებს, მო-ისულელებს...

წა-ითამაშებს, წა-იტირებს...

ზოგჯერ ზმნისწინთა განსხვავებული მნიშვნელობით გამოყენება სხვა ენის გავლენით არის გამოწვეული. რუსული ენის გავლენით იხსნება გან- ზმნისწინის გამოყენება ზმნებში: გან-ტვირთვა, გან-იარაღება და გადა- ზმნისწინის გამოყენება შემდეგ ფორმებში: გადა-ხარჯვა, გადა-ტვირთული, გადა-ღლილი და სხვ.

ზოგადად, ზმნისწინების შერჩევის საკითხი დამოკიდებულია როგორც ზმნის, ისე ზმნისწინის სემანტიკაზე და კომპლექსურად უნდა იქნეს შესწავლილი.

IV. 2.6. ზმნისწინი და ზმნური ფუძე. ზმნისწინისა და ზმნური ფუძის კომბინაცია არაა ერთგვაროვანი სხვადასხვა ზმნის შემთხვევაში.

მათ შეხამებას, ერთი მხრივ, ზმნის, ხოლო მეორე მხრივ, ზმნისწინის სემანტიკა განსაზღვრავს.

იშვიათია ზმნა, რომელიც თანამედროვე ქართულში გამოყენებულ ყველა ზმნისწინს დაირთავდეს. მაგალითად, **დი**-ს ყველა ზმნისწინს დაირთავს: **მი-, მო-, ა-, გა-, და-, წა- შე-, ჩა-, გადა-, მიმო-, ამო-, გამო-, წამო-, შემო-, ჩამო-, გადმო-;** თითქმის ასეთივე ვითარებაა ამ ზმნის მონაცვლე ფუძეებთან: **ვალ-, ვედ.**

მსგავსი ვითარებაა **ფრენ/ ფრინ** ზმნურ ძირთანაც; ოღონდ შევნიშნავთ — სხვადასხვა ქცევისა თუ გვარის ვითარების გათვალისწინებით. მაგალითად, **ჩამო-** გვხვდება მხოლოდ სუფიქსიან ვნებითთან (ჩამო-ფრინდება) და „სასუბიექტო ქცევის“ ფორმასთან (ჩამო-ი-ფრენს); **მი**- სამ შემთხვევაში: **მი-**აფრენს, **მი**-აფრინდება, **მი-**ფრინდება; **ა-** ხუთ ფორმასთან (ა-ფრენს, ა-იფრენს, ა-უფრენს, ა-ფრინდება, ა-უფრინდება).

შენიშვნა: ვსარგებლობთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის საფუძველზე შედგენილი „ზმნური ფუძეების ლექსიკონის მონაცემებით (გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989).

ზმნისწინათაგან უფრო აქტიური გამოყენებისაა მარტივი ზმნისწინები. მაგალითად, **შენ** ფუძესთან გვხვდება ყველა მარტივი ზმნისწინი; რთული ზმნისწინებიდან — მხოლოდ **ამო-** და **გამო**.

თეს ზმნური ფუძე დაირთავს მარტივთაგან **და-, მი-, მო-, ჩა-, შე-** ზმნისწინებს; რთულთაგან **გამო**-ს (ასევე, ძველი ფორმით **გან**-ს).

ზმნური ფუძე შეიძლება იგუებდეს მხოლოდ ერთ ზმნისწინს (**და**-ასახიჩრებს...); ორ ზმნისწინს (**გა**-ნაღმავს, **და**-ნაღმავს...); სამ ზმნისწინს (**გა**-ფუფქავს, **და**-ფუფქავს, **ჩა**-ფუფქავს...) და ა. შ. ეს მონაცემები შეიძლება იცვლებოდეს: დროთა განმავლობაში ხდება ზმნისწინის მიერ დამატებითი ფუნქციების შეძენა; ამ მხრივ **მო-, შე-** და **წა-** ზმნისწინთა ვითარებაა საგულისხმო. სასაუბრო მეტყველებაში (რომელიც შეიძლება აისახოს სამწერლობო ენაშიც) სიცოტავე-სიმცირის ფუნქციით მათი გამოყენება თანდათან იძენს ფართო გავრცელებას.

როგორც ვთქვით, ერთსა და იმავე ზმნურ ფუძესთან (მხედველობაში გვაქვს მარტივი ფუძე) გამოყენებულ ზმნისწინთა დატვირთვა სხვადასხვაგვარია; ყველა შემთხვევაში ამ ზმნისწინთაგან გამოიყოფა ერთი, რომელიც ამა თუ იმ ზმნის ძირითად შინაარსს ხსნის. პირობი-

თად მას შეიძლება ნეიტრალური ზმნისწინი ეწოდოს (ც. კვანტალიანი).

მაგალითად: **წერ** ფუძე იგუებს თითქმის ყველა ზმნისწინს, მაგრამ ნეიტრალური ფუნქციით **და-** ზმნისწინი გამოიყენება: **წერს — და-წერს;** სხვა ზმნისწინებს რაღაც დამატებითი სემანტიკური ნიუანსი შეაქვს: **აღ**-წერს, **ჩა**-წერს, **გადა**-წერს, **გადმო**-წერს, **მი**-აწერს, **მო**-სწერს და ა. შ.

სხვა ზმნურ ფუძესთან სხვა ზმნისწინი შეიძლება შეგვხვდეს ამგვარი (ნეიტრალური) ფუნქციით: აკეთებს — **გა-**აკეთებს, აშენებს — **ა-ა**შენებს, კრეფს — **და-**კრეფს, ხედავს — **შე-**ხედავს, იკითხავს — **წა-**იკითხავს, აცხობს — **გამო-**აცხობს, აცმევს — **ჩა-**აცმევს...

ნიშანდობლივია ისიც, რომ ნეიტრალური ზმნისწინი შეიძლება დაირთოს ამა თუ იმ ზმნის ყველა გვარისა და ქცევის ფორმამ, მაშინ როდესაც იმავე ზმნურ ფუძესთან სხვა ზმნისწინის დართვის შემთხვევაში ფორმაწარმოების შესაძლებლობები შეზღუდულია; მაგალითად, **კეთ** ზმნური ძირისაგან ნაწარმოები ფორმები ასეთი სქემის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ (ვემყარებით „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონის“ მონაცემებს):

ფუძე მოქმ./ვნებ.	ზმნისწინი	ხმოვანპრეფიქსები მოქმ. გვ.	ხმოვანპრეფიქსები ვნ. გვ.
კეთ-ებ/კეთ-დ-ებ	0, გა, გამო	ა, ი, უ	0, უ
	ამო	ა	—
	გადა	ა, ი, უ	0
	გადმო	ა	0
	და, შე	ა, უ	0, უ
	მო	ა, ი	0
	შემო, ჩა		უ
	წა	ი	0
	წამო	ი	0

როგორც აღინიშნა, ზმნისწინს ოთხი ძირითადი ფუნქცია აქვს: 1. მიმართულების ჩვენება (გეზი და ორიენტაცია), 2. მომავალი დროის გამოხატვა, 3. სრული ასპექტის წარმოება და 4. ახალი ზმნის წარმოება.

ამ ფუნქციათა გამოვლენაც დამოკიდებულია ზმნურ ფუძეზე; ვთქვათ, ერთმა და იმავე ზმნისწინმა ახალი ზმნა ერთი ფუძიდან შეიძლება აწარმოოს, მეორე ფუძიდან — არა:

აგებს — ა-აგებს მაგრამ ჩა-აგებს (ხმალს)

აშენებს — ა-აშენებს და ჩა-აშენებს...

მიმართულებას ზმნისწინი ძირითადად მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან გამოხატავს, თუმცა არც სხვა ზმნებთან გამოირიცხება ზოგ შემთხვევაში მიმართულების ნიუანსები. მაგალითად, ჩა-აშენებს... ასპექტიან ზმნებში ზმნისწინიანი ფორმა სრული ასპექტის გამომხატველია, თუმცა თუ ზმნისწინი აწმყო დროის შემთხვევაშიც გამოიყენება, მაშინ ზმნისწინიან ფორმას უსრული ასპექტის მნიშვნელობა ექნება: **აღ-წერს**... იგივე ითქმის მომავალი დროის გამოხატვაზეც, თუმცა ეს ცალკე მსჯელობის თემაა.

თავი III. დრო-კილოთა სისტემა

IV. 3.1. დრო-კილოთა სისტემის ანალიზის მდგომარეობა. საუღლებელ ერთეულთა (მწკრივთა) რაოდენობა ახალ ქართულში ძველისაგან განსხვავებულია. აღვნიშნეთ: პრაქტიკულ გრამატიკებში (კერძოდ, ანტონთან) ძველი ქართულის თითქმის ყველა ფორმა იყო შემჩნეული, მაგრამ ვერ მოხერხდა ყველა საუღლებელი ერთეულის გამოყოფა.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის ერთ-ერთი ურთულესი უბანია დრო-კილოთა სისტემა; კერძოდ, საუღლებელი ერთეულის (მწკრივის) რაობისა და შედგენილობის საკითხები.

ძველი ქართულისათვის დრო-კილოთა სისტემის სქემა ნ. მარმა დააზუსტა და წარმოადგინა. ახალი ქართულის სისტემა (ნ. მარის სისტემაზე დაყრდნობით) ა. შანიძემ შეიმუშავა 1930 წელს გამოცემულ „ქართულ გრამატიკაში“. მომდევნო პერიოდის შრომებში სისტემის ერთეულთა რაოდენობა არ შეცვლილა, ტერმინები დაზუსტდა და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო საუღლებელ ერთეულთა სისტემამ:

	1930 წ. „ქართული გრამატიკა“ **I სერია**		**1953 წ. „ქართული გრამატიკის საფუძვლები“** **I სერია**
	ა) აწმყოს წრე		ა) აწმყოს წრე
1. 2. 3.	აწმყო ნამყო უწყვეტელი I კავშირებითი	1. 2. 3.	აწმყო უწყვეტელი აწმყოს კავშირებითი
	ბ) მყობადის წრე		ბ) მყოფადის წრე
4. 5. 6.	მყობადი პირობითი I კავშირებითი	4. 5. 6.	მყოფადი ხოლმეობითი მყოფადის კავშირებითი

	II სერია		**II სერია**
7.	ნამყო წყვეტილი	7.	წყვეტილი
8.	ნამყო ხოლმეობითი	8.	ბრძანებითი
9.	ბრძანებითი (II სუბიექტური პირისა მხოლოდ და ისიც წართქმითად)	9.	II ხოლმეობითი
10.	II კავშირებითი	10.	II კავშირებითი
	III სერია		**III სერია**
11.	I თურმეობითი	11.	I თურმეობითი
12.	II თურმეობითი	12.	II თურმეობითი
13.	III კავშირებითი	13.	III კავშირებითი

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1930 წლის გრამატიკაში ტერმინით **I კავშირებითი** ორი მწკრივია აღნიშნული. გავხაზავთ: ორ მწკრივს ერთი და იგივე სახელი ჰქვია. ეს უხერხულობა 1942 წლის გრამატიკაში გამოსწორდა: ერთს ეწოდა აწმყოს კავშირებითი, მეორეს — მყობადის კავშირებითი, თუმცა სქემაში ისევ I კავშირებითი დარჩა, ოღონდ ფრჩხილებში მიეთითა: I კავშირებითი (აწმყოსი), I კავშირებითი (მყობადისა) (ა. შანიძე).

„საფუძვლებში“ სქემას ახლავს შენიშვნა, რომ ორი მწკრივი — ბრძანებითი და II ხოლმეობითი — კილოებშია შემონახული. თუმცა საილუსტრაციოდ ბრძანებითისათვის სალიტერატურო ქართულის ფორმებია მოხმობილი: წერე (დაწერე), აშენე (ააშენე); ხოლო II ხოლმეობითისათვის — ძველი ქართულისა: ვწერი (დავწერი), ვაშენი (ავაშენი) (ა. შანიძე).

მომდევნო მსჯელობაში ა. შანიძე შენიშნავს: „მწკრივებს რომ გამოვაკლოთ II ხოლმეობითი, რომელიც დღევანდელ ქართულში იშვიათადღა იხმარება და ბრძანებითი, რომელსაც სხვა მწკრივებისაგან განსხვავებული ფორმები თითქმის აღარ აქვს, 13 მწკრივისაგან 11 დაგვრჩება“ (ა. შანიძე).

ამგვარად, საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ახალ ქართულში 11 მწკრივი გვაქვს. ზოგ შემთხვევაში სხვაობას მხოლოდ ტერმინოლოგია ქმნის (ამჯერად ამას ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს).

ამჟამად მიღებული დაჯგუფება მწკრივთა სისტემისა ძირითადად საწარმოებელი ფუძის პრინციპზეა აგებული, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. მარის დანერგილად მიიჩნევა. უფრო ადრე მსგავსი პრინციპით საუღლებელ ერთეულთა დაჯგუფება სცადეს დ. ჩუბინაშვილმა, კ. დოდაშვილმა და თ. ჟორდანიამ. თუ საწარმოებელი ფუძის პრინციპი უმტკივნეულოდ შეიძლება გატარდეს I და II სერიაში, სირთულეს III სერიის მწკრივები ქმნის. ამ სირთულეს ნ. მარიც გრძნობდა — ავტორი მესამე სერიის ცალკე ჯგუფად გამოყოფისა. III სერიას, განსხვავებით I და II სერიისაგან, არ გააჩნია საყრდენი მწკრივი. I თურმეობითის ფუძე არა თუ არ არის საყრდენი დანარჩენი მწკრივებისათვის, არამედ უმეტეს შემთხვევაში პრინციპულად სხვაობს კიდეც მათგან... ამ წინააღმდეგობის თაობაზე ნ. მარი აღნიშნავს, რომ: „ეს სამი დროო ერთად უნდა იყოს, რადგანაც ისინი ნაწარმოებია ერთი და იმავე წესით, თუმცა ვერცერთ მათგანს ვერ განვიხილავთ როგორც საყრდენად ხმარებულ დროს, რომლისგანაც სხვები არიან წარმოქმნილნი“. ეს საერთო წესი ინვერსიულობაა; ასევე, მესამე სერიის ფორმებს სინტაქსური კონსტრუქციის ერთგვაროვნებაც აერთიანებს... მაგრამ დაირღვა ძირითადი პრინციპი მწკრივთა დაჯგუფებისა: საწარმოებელი ფუძის პრინციპი. „ამოსავალი პრინციპის ცვლა კლასიფიკაციის ელემენტარული წესის დარღვევად ითვლება მეცნიერების ყველა დარგში; ენის მოვლენათა აღწერაც აქ გამონაკლისს ვერ შექმნის. მერეა-და: წყობის ცვლა — სინტაქსური კონსტრუქციის ცვლა — ახასიათებს გარდამავალ ზმნებს; გარდაუვალ ზმნებში ასეთი ცვლა არა გვაქვს... ამრიგად, წ ა რ მ ო ე ბ ი ს წესი და სინტაქსური კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა თურმეობითის ჯგუფის გამოსაყოფად მხოლოდ გარდამავალ ზმნებში შეუძლიათ იხმარონ, და აქაც იგი კლასიფიკაციის ძირითადი წესის დარღვევას ნიშნავს“ (არნ. ჩიქობავა).

აღნიშნული სირთულის დაძლევის საინტერესო ცდაა ა. შანიძის მიერ მწკრივის რთულ კატეგორიად მიჩნევა და მწკრივის ელემენტებად აქტისა და თანამდევრობის ჩათვლა (პირის, რიცხვის, დროისა და კილოს კატეგორიებთან ერთად). ავტორის აზრით, მესამე სერიის მწკრივებს საერთო ფუნქცია აერთიანებთ — ესაა თურმეობითობა (უნახაობა) პროცესისა. მართალია, III სერიის ფორმებს „უნახავი აქტის მწკრივებად“ მოიხსენიებს, მაგრამ როგორც ვნახავთ, უნახაობა პროცესისა მაინც არაა საერთო ფუნქცია III სერიის ფორმათათვის:

III სერიის ფორმათა ერთ ჯგუფად გაერთიანების საკითხზე სპეციალურად მსჯელობს არნ. ჩიქობავა. დასკვნა ასეთია: „თურმეობითი ჯგუფის ნაკვთები ვერ გაერთიანდება მათი ფუნქციის მიხედვით; კერ-

ძოდ, თურმეობითობა არ არის ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი: კავშირებითი მესამისათვის თურმეობითის გაგება უცხოა. თურმეობითი მეორე არ იძლევა თურმეობითის შინაარსს, როცა რისამე პირობაზე მიუთითებს; ხოლო როცა თხრობითი კილოს ფუნქცია აქვს თურმეობით მეორეს, მაშინ მისთვის განმსაზღვრელია სხვა დროსთან ფარდობა (ე. ი. „თანამიმდევრობა“)... (არნ. ჩიქობავა). მხოლოდ ნაწილობრივ ეგუება ეს შინაარსი თურმეობითს მეორეს; თურმეობითს პირველშიც უნახაობა არ გადმოიცემა პირველს პირში, უარყოფითი ნაწილაკების ხმარებისას კი — სხვა პირებშიც.

სამი ჯგუფის გამოყოფა ზმნის უღვლილებაში ნაწილობრივ გამართლებულია **სინტაქსური** თვალსაზრისით, ნაკვთების წარმოება კი სინტაქსის საგანი არ არის, იგი **ფუძეთა წარმოებას** განეკუთვნება და **მორფოლოგიის** საგანი უნდა იყოს (იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამ რიგის ფუძეთა წარმოებას ახასიათებს). ნაკვთების წარმოება არის ფუძეთა წარმოება და, მაშასადამე, ნაკვთების სისტემაში ამა თუ იმ ნაკვთმა ის ადგილი უნდა დაიკავოს, რაც მას ეკუთვნის წარმოების თვალსაზრისით“.

ეს ვრცელი ამონაწერები იმისთვის მოვიყვანეთ, რომ ნათელი იყოს ავტორის თეორიული პოზიცია მწკრივთა სისტემის დაჯგუფების საკითხებზე (ეს პოზიცია ჩვენთვისაც ამოსავალია ამ საკითხებზე მსჯელობისას).

ამგვარი თეორიული საფუძველი — ფორმობრივი მონაცემების გათვალისწინება — არნ. ჩიქობავას საშუალებას აძლევს მწკრივები ორ წყებად დააჯგუფოს. ძირითად მწკრივებად, რომელთაგანაც იწარმოება ყველა სხვა მწკრივი უშუალოდ თუ შუალობით, პირდაპირი წყობით თუ ინვერსიულად, მიიჩნევა აწმყო და ნამყო ძირითადი. ავტორი დაასკვნის: „ამისდაკვალად ნაკვთების წარმოებისას გვექნება ორი ჯგუფი: აწმყოს ჯგუფი და ნამყო ძირითადის ჯგუფი. აწმყოს ჯგუფი ამჟამად ყველაზე მრავალრიცხოვანია“.

I. **გარდამავალი ზმნის აწმყოსაგან** (ცვლ-ი-ს) იწარმოება:

ა) **პირდაპირი** წყობის ნაკვთები:

1. ნამყო უსრული (ცვლ-ი-დ-ა) → 3. კავშირებითი პირველი (ცვლ-ი-დ-ე-ს).
2. მყოფადი (შე-ცვლ-ი-ს) → 4. მყოფადისეული ნამყო უსრული (შე-ცვლ-ი-დ-ა).

[5. 6. 7. თურმეობითი I, II, კავშირებითი III გარდაუვალ ორპირიან ზმნათა (ʻშეʼსცვლია, სცვლოდა, სცვლოდეს)].

ბ) **შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა:**
8. თურმეობითი პირველი გარდამავალ ზმნათა (უ-ცვლ-ი-ა).

II. **ნამყო ძირითადისაგან** (ცვალ-ა) იწარმოება ნაკვთები:

ა) **პირდაპირი წყობისა:** 9. ნამყო ძირითადის ხოლმეობითი (ძველ ქართულში); (ცვალ-ი-ს).
10. კავშირებითი მეორე (ცვალ-ო-ს).

ბ) **შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა:**
11. თურმეობითი მეორე გარდამავალ ზმნათა (ⴛშე᳔ეცვალა).
12. კავშირებითი მეორე გარდამავალ ზმნათა (ⴛშე᳔ეცვალოს).

სქემას რამდენიმე სირთულე ახლავს: სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება სისტემა გარდამავალ და ორპირიან გარდაუვალ ზმნათათვის; ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა ვითარება არ აისახება; არაა წარმოდგენილი ე. წ. მყოფადის კავშირებითი („პირობით-კავშირებითი“ — ავტორის ტერმინით). გარდა ამისა, თუ **ცვლის — უცვლია, აკეთებს — უკეთებია** ტიპის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი ამ პრინციპით აწმყოს ჯგუფში მოხვდება, **აქებს — უქია, ალებს — უღია** ტიპის გარდამავალ ზმნათა იგივე მწკრივი წყვეტილის ჯგუფში შევა (სქემაში ეს ფაქტი არ აისახა). მაშასადამე, გარდამავალ ზმნათათვისაც არაა მყარი წარმოდგენილი სისტემა.

გარდა ამისა, რაც მთავარია, საწარმოებელი ფუძის პრინციპი მაინც დაირღვა: **ა-ა-შენ-ა, ა-ა-შენ-ო-ს** და **ა-ე-შენ-ებ-ინ-ა, ა-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს** ერთ ჯგუფში მოხვდა...

საერთოდ: მწკრივის ფორმათა წარმოების (საუღლებელ ერთეულთა ფუძის) საკითხებზე მსჯელობისას ხმოვანპრეფიქსების საკითხი გარკვევას მოითხოვს. ამ შემთხვევაშიც, თურმეობითებსა და III კავშირებითში ხმოვანპრეფიქსი გამოყოფილია, სხვა მწკრივებთან — არა... საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თუ I-II სერიის ფორმებში ერთი და იგივე ხმოვანპრეფიქსია წარმოდგენილი ყველა მწკრივში, განსხვავებულია ვითარება III სერიის მწკრივებთან: გარდამავალ ზმნებს I თურმეობითში სისტემებრ **უ-** პრეფიქსი დაერთვის, II თურმეობითსა და III კავშირებითში — **ე**; ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, რომელთაც I-II სერიაში **ე** (ეზრდება) ან **უ** (უკეთდება) პრეფიქსები აქვთ, III სერიის ფორმებს უპრეფიქსოდ იწარმოებს (გა-ზრდ-ია, გა-ზრდ-ოდ-ა; გა-ჰ-კეთ-ებ-ი-ა, გაჰ-კეთ-ებ-ოდ-ა). ეს წესი სისტემებრაა გატარებული. ზმნური ფორმა-

წარმოების საკითხებზე მსჯელობისას ამ ფაქტს, ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით. ეს ფაქტი გარკვეულწილად მხარს დაუჭერს მწკრივთა სამ სერიად დაჯგუფებას და, შესაბამისად, საწინააღმდეგო ჩვენებად გვესახება მწკრივთა ორ ჯგუფად წარმოდგენისას.

ამგვარად, მწკრივთა სისტემის ორ ჯგუფად წარმოდგენას, რომელსაც საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ვერ მივიჩნევთ წარმატებულ ცდად.

თუმცა, სანამ ჩვენ ამ დასკვნას გავაკეთებდით, თავად ავტორმა, არნ. ჩიქობავამ, 1984 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მწკრივთა სისტემა ტრადიციულ სამ სერიად წარმოადგინა. ფაქტს დასაბუთება არ ახლავს.

საერთოდ, არის კი შესაძლებელი მწკრივთა დაჯგუფებისას ფორმობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება? შესაბამისად, მწკრივთა სისტემის ორ ჯგუფად წარმოდგენა?

კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებლად მიგვაჩნია იმ შემთხვევაში, როცა გაირკვევა რიგი საკითხებისა: რა არის მწკრივი, რა არის მწკრივის ფუძე, რის საფუძველზე ხდება მწკრივის გამოყოფა და, შესაბამისად, როგორია მწკრივთა რაოდენობა და ურთიერთმიმართება წარმოების თვალსაზრისით.

IV. 3.2. რა არის მწკრივი? არნ. ჩიქობავას აზრით, „ნაკვთი ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად. ამიტომ ნაკვთი ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია („უფუნქციო კატეგორია“ არ არის კატეგორია!) ისევე, როგორც გრამატიკულ კატეგორიას არ გულისხმობენ ტერმინები „ბგერა“, „მარცვალი“, „ხმოვანი“, „ფუძე“ (არნ. ჩიქობავა). საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ვ. თოფურიამ. ავტორის აზრით, რადგან მწკრივს არ გააჩნია გრამატიკული კატეგორიის არც ფუნქცია და არც ფორმა, ხოლო მწკრივის საწარმოებელ ნიშნებად მიჩნეული სუფიქსები (-ა, -ე, -ო, -ი...) დროის, კილოსა და ჯერობის მაწარმოებელი აფიქსებია, ამიტომ მწკრივი არ შეიძლება მივიჩნიოთ კატეგორიად.

შენიშვნა: სინონიმური ტერმინები „ნაკვთი“ და „მწკრივი“ საუღლებელი ერთეულის აღსანიშნავად იხმარება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში; პირველი მათგანი არნ. ჩიქობავამ შემოიღო, მეორე — ა. შანიძემ. როგორც აღვნიშნეთ, თითოეული მათგანის შემო-

ღებას სათანადო ცნებების სხვადასხვაგვარი გაგებაც ახლდა. ამიტომ შეიძლება არც იყოს გამართლებული ამ ტერმინთა პარალელური გამოყენება; ამა თუ იმ ავტორის ნააზრევის მოხმობისას ზოგჯერ არ მოხერხდება გვერდი ავუაროთ იმ ტერმინს, რომელსაც იგი გამოიყენებს. ჩვენს შემთხვევაში პარალელური ხმარება ამ ტერმინებისა ამითაა შეპირობებული.

განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენს ა. შანიძე. საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა 1941 წელს, რომელიც საფუძვლად დაედო მწკრივის შესახებ მოძღვრებას „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“. ავტორის აზრით, მწკრივი გრამატიკული კატეგორიაა. მსჯელობის თანამიმდევრობა ასეთია: „არის თუ არა მწკრივი გრამატიკული კატეგორია? სწორი პასუხი რომ გავცეთ ამ კითხვას, უნდა მოვიგონოთ: ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია ყალიბდება საპირისპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მწკრივებს, დავრწმუნდებით, რომ ერთი რომელიმე ჯგუფი, რომელთაც საერთოდ მწკრივი ეწოდა, ისეთ მიმართებაშია დანარჩენებთან, როგორც სხვა რომელიმე — ყველა დანარჩენთან, ისინი ერთგვარ მოვლენას ასახავენ ენაში, ერთმანეთს თანაბრად შეეზომებიან, თითქოს ყველას ერთი და იგივე რაოდენობა აქვთ ფორმებისა (**სქოლიოში**: ბრძანებითის მწკრივში ფორმათა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე თხრობითში), თვითეულ მათგანთან გარკვეული ცნებაა დაკავშირებული და ყველა ერთად წარმოდგენას გვაძლევს, რომ ისინი შეადგენენ საპირისპირო სახეებს ზოგადი კატეგორიისას..., ოღონდ სხვა კატეგორიები მარტივია, დაუშლელი, მწკრივი კი რთულია და შეიცავს რამდენიმე კატეგორიას, ელემენტებად წოდებულს, ქართულში უმთავრესად დროსა და კილოს“. სხვაგან: „ელემენტები დაერქვა მწკრივის ფარგლებში უცვალებელ კატეგორიებს, რომლებიც მის ხერხემალს წარმოადგენენ. ქართული მწკრივის ელემენტებია: დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა“.

ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით აღნიშნულ თვალსაზრისზე, რომ, ჩვენი აზრით, ზოგი რამ დაზუსტებასა და გარკვევას მოითხოვს.

ჯერ ერთი: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა და მწკრივი უღლების კატეგორიებია, ავტორის აზრით. ამათგან მწკრივის კატეგორია ელემენტებად შეიცავს დროის, კილოს, გზისობის, აქტისა და თანამდევრობის კატეგორიებს. სხვაგვარად: უღლების ეს კატეგორიები ელემენტებია იმავე უღლების სხვა კატეგორიისა... მსჯელო-

ბა თითქოს გარკვევას საჭიროებს...

მწკრივის კატეგორიის შემადგენელ კატეგორიათა შესახებ მსჯელობისას მინიშნებულია, რომ თითოეული მათგანი (დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა) არის ზმნის ფორმა, ისევე, როგორც ზმნის ფორმად მიიჩნევა რიცხვისა და პირის კატეგორიები.

ამდენად, ელემენტებად წოდებული კატეგორიები მორფოლოგიურ კატეგორიებადაა მიჩნეული; ამა თუ იმ ფორმისათვის დამახასიათებელ მუდმივ, უცვალებელ კატეგორიებად. გავიხსენოთ: „ელემენტები დაერქვა მწკრივის ფარგლებში **უცვალებელ კატეგორიებს,** რომლებიც მის ხერხემალს წარმოადგენენ. ქართული მწკრივის ელემენტებია: **დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა**“ (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

ჩვენთვის ასეთი კითხვა იჩენს თავს: არის თუ არა აღნიშნული კატეგორიები მორფოლოგიური კატეგორიები; შესაბამისად — უცვალებელნი ერთი მწკრივის ფარგლებში. აქედან გამომდინარე: შეიძლება თუ არა მორფოლოგიურად მწკრივის დახასიათება აღნიშნული ელემენტების მიხედვით? შევეცდებით ამ კითხვას შემდგომ მსჯელობაში პასუხი გავცეთ.

VI. 3.3. დრო, როგორც ზმნის კატეგორია. გრამატიკულ ლიტერატურაში **დროს** ზმნის უმთავრეს მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის განიხილავენ. ამ მხრივ აზრთა ერთგვაროვნებაა; აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დროის კატეგორიის შემადგენელ ელემენტთა რაოდენობის საკითხი. ვფიქრობთ, მთავარი კითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი, უპირველესად შემდეგია:

არის თუ არა დრო მორფოლოგიური კატეგორია? მწკრივის ფორმათა ფუნქციებზე მსჯელობისას დროისა და კილოს კატეგორიებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მწკრივთა სახელდებაც ძირითადად ამ ორი მახასიათებლის მიხედვით ხდება. არც ისაა შემთხვევითი, რომ პრაქტიკული გრამატიკებიდან მოყოლებული საუღლებელ ერთეულს ასეც სახელდებდნენ — „დრო“, „დრო-კილო“; უღვლილების სისტემას „დრო-კილოთა სისტემის“ სახელით მოვიხსენიებთ დღესაც. ჩვეულებრივ დროსა და კილოს მორფოლოგიურ კატეგორიებად მიიჩნევენ პირის, რიცხვის... კატეგორიათა გვერდით (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი...). ეს საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია. რამდენადაც დრო და კილო მორფოლოგიურ კატეგორიებად გაიაზრება, არის ცდა ამ კატეგორიათა მორფოლოგიური ნიშნის ძიებისა.

როგორც ითქვა, სადავო გახდა დროის კატეგორიის შემადგენელ ერთეულთა რაოდენობის საკითხიც. ნ. მარი გრამატიკულ დროსა და საუღლებელ ერთეულს აიგივებდა. მისი აზრით, ძირითადი დრო რვა არის: აწმყო, ნამყო უსრული, ნატვრითი, აორისტი, კავშირებითი (იგივე მომავალი), ნამყო სრული, წინარე წარსული, ნამყო კავშირებითი. არნ. ჩიქობავას აზრით: „ახალ ქართულში გვაქვს ერთი აწმყო, ერთი მყოფადი და ოთხი ნამყო: ნამყო უსრული ანუ უწყვეტი: აკეთებდა, აშენებდა, შრომობდა...; ნამყო ძირითადი ანუ ნამყო წყვეტილი (აორისტი): აკეთა, აშენა, იშრომა...; თურმეობითი პირველი: უკეთებია, უშენებია, უშრომია..., თურმეობითი მეორე: ეკეთებინა, ეშენებინა, ეშრომა...“. ა. შანიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არევ-დარევა სუფევს დროის გაგებაში... ასეთი მცდარი შეხედულება „დროის“ შესახებ იქედან მომდინარეობს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გრამატიკული დროის პრობლემა სწორად არ არის დასმული და გადაწყვეტილი. საზოგადოდ დროის კატეგორიას რევენ მწკრივის ერთ-ერთ კატეგორიასთან (კილოსთან ან თანამიმდევრობასთან) ან თვით მწკრივთან და ეს აღრევა, რომელიც ჭრელად ასახავს ზოგადი საენათმეცნიერო საკითხის შესწავლის უმწეო მდგომარეობას ენის სტრუქტურულ ნაწილში, ქართულ ნიადაგზეც უკრიტიკოდ არის გადმოტანილი. საჭიროა და აუცილებელი, რომ დროის კატეგორია გამოითიშოს სხვა კატეგორიებისაგან და მას თავისი ალაგი მიეჩინოს და სხვებსაც თავთავისი მოენახოს“. მისი აზრით, „გრამატიკული დრო შეიძლება მხოლოდ სამი იყოს: ეხლანდელი, წარსული და მომავალი“. ძირთადად ეს თვალსაზრისია გაზიარებული. ამჟამად: დროის სამწევრიან სისტემას განიხილავენ. საფუძველს კი დროის კატეგორიის ამგვარი გაგება ანტიკური გრამატიკებიდან იღებს. ჩვენთვის ეს თვალსაზრისია ამოსავალი.

ქართულ, სამეცნიერო ლიტერატურაში დროის კატეგორიის მორფოლოგიურ გამოხატვაზე მხოლოდ წარსულის მიმართ საუბრობენ. აწმყოსა და მყოფადის მორფოლოგიურ გამოხატვაზე (მორფოლოგიურ ნიშანზე) არაა მსჯელობა. გამოდის: დროის სამწევრიანი სისტემიდან მარკირებულია ერთი, არამარკირებული — ორი. ამ წინააღმდეგობის მოხსნას ცდილობს გ. მაჭავარიანი, რომელიც დროის ორწევროვან სისტემას გვთავაზობს: მარკირებული ნამყო — არამარკირებული აწმყო ზოგადი (მომავალი დრო დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობაა დიფერენციალურ ნიშანთა კონისათვის: **აწმყო ზოგადი + გრძლივი + სრული ასპექტი**).

წარსული დროის მორფოლოგიურ ნიშნებად გამოიყო: **-დ** (უწყ-

ვეტლისა), **-ე, -ი** (წყვეტილში), **უ-ი** (I თურმეობითში), **ე-ინ** (II თურმეობითში).

საგულისხმო ფაქტია, რომ დასახელებული აფიქსები ძირითადად სხვაგვარადაა კვალიფიცირებული (ზოგჯერ ერთსა და იმავე ავტორებთანაც!).

მაგრამ წარსული დროის ნიშნად მიჩნეული აფიქსების მორფოლოგიური კვალიფიკაციის საკითხში არაა აზრთა ერთგვაროვნობა. არსებობს ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისებიც, ჩვენთვის ამჟამად არსებითი ისაა, რომ ისინი არ არიან დროის გამომხატველი აფიქსები; აზრთა ასეთი სხვადასხვაობაც სწორედ ამის მიმანიშნებელია.

ა. შანიძესთან, რომლის გრამატიკულ ნააზრევშიც დრო ზმნის ერთ-ერთ ძირითად კატეგორიადაა მიჩნეული, დროის მორფოლოგიურ გამოხატვაზე არაა საუბარი.

თუ იმ თვალსაზრისს დავემყარებით, რომ „მორფოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს აფიქსის გარეშეც“, დროის მორფოლოგიური მნიშვნელობა ზმნის სათანადო სტრუქტურულ მოდელს დაუფლებული მნიშვნელობაა (ფ. ერთელიშვილი), შეიძლებოდა დროის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევა, მაგრამ რომელიმე წარსული დროის გამომხატველ ფორმათათვის —

ვ-წერ-დ-ი
და-ვ-წერ-დ-ი
და-ვ-წერ-ე
და-მ-ი-წერ-ია
და-მ-ე-წერ-ა
და-მ-ე-წერ-ო-ს —

გაჭირდება იმ საერთო სტრუქტურული მოდელის გამოყოფა, რომელსაც მივიჩნევდით წარსული დროის გამომხატველად. ასევე ითქმის სხვა დროის აღმნიშვნელ ფორმათა შესახებაც.

ამგვარად, იმ თვალსაზრისზე დამყარება, რომ „მორფოლოგიური კატეგორია სათანადო აფიქსებით უნდა იქნეს წარმოდგენილი“, „ამა თუ იმ ფაქტის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევას მორფოლოგიური ნიშნის ქონა-უქონლობა წყვეტს“ — დროს მორფოლოგიურ კატეგორიად ვერ გაგვააზრებინებს. **დროის გამოხატვა მორფოლოგიურად არ ხდება.**

თუ დავუშვებთ, რომ დრო მორფოლოგიური კატეგორიაა, ესა თუ ის ზმნური ფორმა ამა თუ იმ დროის გამომხატველია, მაშინ, თავისთავად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთი რომელიმე მწკრივის ფორმა

ნებისმიერ კონტექსტში მხოლოდ ერთ დროულ მნიშვნელობას უნდა გადმოგვცემდეს. ა. შანიძე ასეც მსჯელობს: დრო მწკრივის ელემენტია; ელემენტები მწკრივის ფარგლებში უცვალებელია.

არის თუ არა დრო უცვალებელი ერთი მწკრივის ფარგლებში? სხვაგვარად: ერთი მწკრივის ფორმას აქვს თუ არა მხოლოდ ერთი დროის გაგება?

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ ამა თუ იმ მწკრივის ფორმამ, გარდა ძირითადი დროული მნიშვნელობისა, გარკვეულ კონტექსტში სხვა დროის მნიშვნელობაც შეიძლება გადმოსცეს; მაგალითად, აღნიშნავენ, რომ „ერთმა და იმავე ფორმამ შეიძლება ეხლანდელის გაგებაც მოგვცეს და მომავლისაც“. ასეთი „პოლისემიური ფორმებია: ჭამს, ბრძანებს, ასწავლის, სცემს, განაგრძობს, უყურებს, იძინებს, შეადგენს, არჩენს, ათამაშებს და სხვ...“ „ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემთხვევაში დროიანი იყოს, სხვა შემთხვევაში კი — უდროო“ (ა.შანიძე). დროის მიხედვით ცვალებადობას ა. შანიძე ჩვეულებრივ მიანიშნებს მწკრივთა დახასიათებისას, თუმცა ამგვარ მსჯელობას ძირითადი დებულება — „დრო უცვალებელი ელემენტია ერთი მწკრივის ფარგლებში“ — არ შეუცვლია.

მწკრივთა დროული მნიშვნელობის საკითხებს რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა ლ. გეგუჭაძემ. საკითხის დაწვრილებითმა შესწავლამ ძალზე საინტერესო სურათი წარმოაჩინა (ლ. გეგუჭაძე).

ცალკეულ მწკრივთა ფორმების მიერ დროული მნიშვნელობის გადმოცემის შესაძლებლობის ზოგადი სურათი ასეთია:

„აწმყოს მწკრივს შეიძლება ჰქონდეს ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი, მ ო მ ა ვ ა ლ ი ან ე. წ. „ზ ო გ ა დ ი ა წ მ ყ ო ს“ მნიშვნელობა.

ნამყო უწყვეტელი მხოლოდ წ ა რ ს უ ლ ი დროის გამომხატველია.

აწმყოს კავშირებითი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ან მ ო მ ა ვ ა ლ დროს აღნიშნავს.

მყოფადის მწკრივი გადმოგვცემს მ ო მ ა ვ ა ლ ან ა ხ ლ ა ნ დ ე ლ დროს. შეიძლება ჰქონდეს ზოგადი აწმყოს გაგებაც.

მყოფადის ხოლმეობითი წ ა რ ს უ ლ ი დროის გადმომცემი მწკრივია, მაგრამ შეუძლია შეითავსოს მ ო მ ა ვ ა ლ ი დროის მნიშვნელობაც.

მყოფადის კავშირებითი მხოლოდ მ ო მ ა ვ ა ლ ი დროის გაგებით გვხვდება.

წყვეტილის მწკრივს უნარი აქვს გამოხატოს როგორც წ ა რ -

სული, ისე მომავალი დრო.

II კავშირებითი მომავალთან ერთად ითავსებს ახლანდელი დროის მნიშვნელობასაც.

I თურმეობითი შეიძლება შეგვხვდეს ახლანდელი, წარსული ან მომავალი დროის ფუნქციით.

II თურმეობითი ძირითადად ნამყო დროს გადმოსცემს, მაგრამ მისი კავშირებითი კილოს ფუნქციით ხმარებისას შეფარდებით მომავალსაც გამოხატავს.

III კავშირებითი უპირატესად წარსულ დროს ითვალისწინებს, მას შეიძლება ჰქონდეს მომავალი დროის გაგებაც“ (ლ. გეგუჩაძე).

ცხადია, ეს ანალიზი ამომწურავი არ არის; ზოგი რამ შეიძლება კიდევ დაზუსტებულიყო. მაგ.: წყვეტილის ფორმამ შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში აწმყო დროის გაგებაც გადმოსცეს. რადგან „ბრძანებითობა თავისი ბუნებით ისეთი აქტია, რომელიც შეიძლება აწმყოში ან მომავალში ხორციელდებოდეს“ (ფ. ერთელიშვილი). აქედან გამომდინარე, წყვეტილის ფორმისათვის აწმყო დროის გაგებაც არ ჩანს უჩვეულო. უზმნისწინო ფორმებს ნამყო ძირითადისას ბრძანებითი კილოს შემთხვევაში აწმყო დროის გაგება შეიძლება ჰქონდეს:

„**აქრე,** სინათლე **აქრე,** მე მაინც ავანთებ მას“ (ჭ. ლომთ.);

„**ისმინე,** სწავლის მძებნელო“ (დ. გურამ.)...

აწმყოს გაგებას შეიცავს აგრეთვე ზოგი ზმნის წყვეტილის პირველი პირის ფორმა მსგავს შემთხვევაში:

„ელიზბარი: მე **წავედი** (წამოდგება), მირიანი: მოიცა“ (ა. ჩხ.);

„უცებ ქალბატონი დორა შეჩერდა და თქვა: „მე **წავედი**“

(თ. ჭილ.);

„აბა **გავიქეცი**, თორემ დამაგვიანდა“ (ო. მამფ.).

მიაჩნიათ, რომ „მე წავედი“, „გავიქეცი“ მართლაც აწმყოს გაგებას შეიცავს მოცემულ კონტექსტში, ოღონდ ისინი კალკებს წარმოადგენენ და ამავე დროს მათი გამოყენების არე ძალიან შეზღუდულია (გ. კვარაცხელია). ჩვენ ვსაუბრობთ ენობრივ ფაქტებზე, რომლებიც დასტურდება თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ენაში. მათ წარმომავლობას ამჯერად ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს; ამგვარი წარმოშობის არაერთი ფორმა დღეს ბუნებრივ ქართულად აღიქმება. მთავარი ისაა, რომ ამგვარი ფორმების გამოყენება არ ტოვებს არაბუნებრიობის შთაბეჭდილებას.

ამგვარად, წყვეტილის ფორმისათვის აწმყო დროის გამოხატვაც არ არის უცხო.

ასევე: გარდა მყოფადი და აწმყო დროებისა, II კავშირებითის მწკრივს წარსული დროის მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. ამ ტიპის — „თითქოს ეშინოდა, არავის არაფერი ვატკინოო“ (ა. პაპიძე).

ამგვარად, თითო დროს გამოხატავს მხოლოდ უწყვეტელი და მყოფადის კავშირებითი; სხვა მწკრივები ორ-ორი ან მეტი დროის გამომხატველია.

მ წ კ რ ი ვ ი	დ რ ო
აწმყო	ახლანდელი, მომავალი, ზოგადი აწმყო.
უწყვეტელი	წარსული
აწმყოს კავშირებითი	ახლანდელი, მომავალი
მყოფადი	მომავალი, ახლანდელი
ხოლმეობითი	მომავალი, წარსული
მყოფადის კავშირებითი	მომავალი
წყვეტილი	წარსული, მომავალი, ახლანდელი
II კავშირებითი	მომავალი, ახლანდელი, წარსული
I თურმეობითი	ახლანდელი, წარსული, მომავალი
II თურმეობითი	წარსული, მომავალი
III კავშირებითი	წარსული, მომავალი

შენიშვნა: საკითხის განხილვისათვის ა. შანიძის მწკრივთა სისტემას მივმართავთ. მწკრივთა რაოდენობის შესახებ ჩვენს თვალსაზრისს ქვემოთ წარმოვადგენთ.

თერთმეტი მწკრივიდან მხოლოდ ორი მწკრივი გამოხატავს ერთ

დროს; ორ დროს გამოხატავს ხუთი მწკრივი; სამ დროს — სამი მწკრივი; აწმყოს მწკრივს სამი დროული გაგება შეიძლება ჰქონდეს (ერთი — ზოგადი აწმყო, ანუ დაცლილის კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან).

ფაქტი ძალიან შთამბეჭდავად გვეჩვენება. კითხვას — არის თუ არა დრო მორფოლოგიური კატეგორია? — უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს:

1. არ ხდება დროის გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებით;

2. ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ მწკრივისა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა დროის გაგებას იძენს, ანუ მწკრივის ფორმას დროულ მნიშვნელობას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის ბუნება და ხასიათი, კონსტრუქციაში შემავალი წევრების მნიშვნელობა შეაპირობებენ ამ ფორმის დროულ გაგებას.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ორივე ამ მომენტზე გვხვდება მინიშნება, ძირითადი დებულება — დრო მორფოლოგიური კატეგორიაა; დრო უცვალებელი ელემენტია ფორმისა — ძალაში რჩება.

როცა მიანიშნებენ ერთი და იმავე ფორმის მიერ სხვადასხვა დროული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობაზე, საუბრობენ ძირითად დროულ ფუნქციაზე. რომელია ძირითადი დროული მნიშვნელობა **გააკეთე** ფორმისათვის — წარსული თუ მომავალი? წარსულში ერთგზისი, დასრულებული მოქმედების გამოხატვა თუ მომავალში შესასრულებელ მოქმედებაზე ყურადღების მიქცევა? **ვფიქრობთ, ორივე.** II პირის წართქმითი ბრძანებითის გამოხატვა მხოლოდ ამ ფორმით ხდება. რით შეიძლება აიხსნას ან დასაბუთდეს, რომ ფრაზაში — „გიბრძანებ, გააკეთე!“ — უკანასკნელი ფორმის დროული მნიშვნელობა წარსულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მომავალს გამოხატავს? ამგვარი მსჯელობა, ვფიქრობთ, ალოგიკურიც იქნება. პასუხს მოითხოვს კითხვაც: თუ **გააკეთე** ფორმის ძირითადი დროული მნიშვნელობა წარსულია, **რა ანიჭებს მას ამ გაგებას სათანადო კონტექსტში,** ანდა **რა იწვევს სხვა შემთხვევაში მომავალი დროის მნიშვნელობის მინიჭებას.** სხვაგვარად: წარსული დროის მნიშვნელობის გამოცვლას? და, საერთოდ, კონტექსტის გარეშე, იზოლირებულად, შეიძლება თუ არა ზმნური ფორმა დახასიათდეს დროული მნიშვნელობის მიხედვით?

როცა ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა დროული მნიშვნელობით მოგვევლინოს, თავისთავად ცხადია, კონტექსტის გარეშე დროულ მნიშვნელობაზე საუბარი გაუმართლებელი ხდება.

შედარებისათვის: ფორმა **კაც** კონტექსტის გარეშე არ შეიძლება დახასიათდეს როგორც სუბიექტი, ან ირიბი ობიექტი, ან პირდაპირი ობიექტი; სხვადასხვა შემთხვევაში ყველა მათგანის გამოხატვა შეიძლება იკისროს:

კაცს უთქვამს — სუბიექტია,
კაცს უთხრა — ირიბი ობიექტია,
კაცს კლავს — პირდაპირი ობიექტია.

როცა ვმსჯელობთ კონტექსტზე, ფორმის გარეთ არსებული დროული მნიშვნელობის შემაპირობებელ მოვლენებზე, ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ ინტონაციას; მაგალითისათვის:

— მოიტანე. — პასუხი კითხვაზე: გამოიცან, მოვიტანე თუ არ მომიტანია?

— მოიტანე! — პასუხი კითხვაზე: მოვიტანო?

ორივე შემთხვევაში წყვეტილის ფორმა წინადადების ტოლფასია. სხვაობას ინტონაცია ქმნის. ეს სხვაობა დროული სხვაობის საფუძველია. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ინტონაციას სხვადასხვა კილოს გაგება შემოაქვს. სხვადასხვა კილოს გაგების შემოტანა სხვადასხვა დროული მნიშვნელობის საფუძველია. ამ შემთხვევაში ინტონაცია კონტექსტის ტოლფასია.

ეს უკანასკნელი მაგალითი იმის დასტურიცაა, რომ ცალკე აღებულ ზმნურ ფორმაზე მსჯელობა დროული მნიშვნელობის გასარკვევად შეუძლებლად მიგვაჩნია: ფორმის წარმოთქმას ყოველთვის ახლავს გარკვეული ინტონაცია; წყვეტილს, ჩვეულებრივ, თხრობითი. ეს კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ფორმის დროული მნიშვნელობა წარსულია.

ასევე შეიძლებოდა მსჯელობა სხვა მწკრივის შესახებაც. **კონტექტის გათვალისწინება ყოველთვის იქნება საჭირო დროის მიხედვით პოლისემანტიკური ფორმების დროულ მნიშვნელობებზე მსჯელობისას**.

ამა თუ იმ ფორმის „ძირითად“ და „არაძირითად“ დროულ მნიშვნელობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, როგორია სიხშირე ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისა, ასევე არ ჩანს გამართლებული. ფაქტია: აწმყოს მწკრივის ფორმის ახლანდელი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები გაცილებით ჭარბობს იმავე ფორმის მომავალი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს; ისევე როგორც წყვეტილის ფორმის შემთხვევში მომავალი დროის მნიშვნელობას — წარსული დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები. ნიშნავს ეს იმას, რომ აწმყოს მწკრივის ფორმის ძირითადი დროული მნიშვნელობა ახლანდელია, ხოლო წყვეტილისა — წარსული? ვფიქრობთ, არა. რადგან: აქ იმ ფაქტორის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომ **ენაში სიხშირე იმ-**

გვარ კონსტრუქციათა, რომლებშიც საანალიზო მწკრივის ფორმა ე. წ. „ძირითადი დროული მნიშვნელობით“ გვხვდება, გაცილებით ჭარბობს ე. წ. „არაძირითადი დროული მნიშვნელობის“ მიმნიჭებელ კონსტრუქციათა სიხშირეს.

დასკვნა ასეთია: დრო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არ ხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) დროული მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში. კონტექსტის გარეშე ფორმის დროული მნიშვნელობა ვერ გაირკვევა; დროის გაგებას ფორმას კონტექსტი ანიჭებს.

ის ფაქტები, რომ უწყვეტლისა და მყოფადის კავშირებითის ფორმებს მხოლოდ ერთი დროული მნიშვნელობა აქვთ, დასკვნას ვერ შეცვლის; აღნიშნულ მწკრივთა ფორმები არ არის შესაბამის დროულ მნიშვნელობათა მორფოლოგიური გამოხატვა. ჩვენ ეს პრობლემა ასე გვესმის: ამ მწკრივთა ფორმების დროული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა ერთის ტოლია. არის მწკრივები, რომელთათვის ეს შესაძლებლობა ორის ტოლია და ისეთებიც, რომელთა შესაძლებლობა სამის ტოლია. უფრო მეტიც, ისეთი ფორმებიც გვაქვს, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში დაცლილია დროული მნიშვნელობისაგან (ე. წ. ზოგადი აწმყო). ე. ი. ერთსა და იმავე ზმნურ ფორმას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე დროული მნიშვნელობის გადმოცემის შესაძლებლობა. მათგან კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთია რეალიზებული.

დრო სემანტიკური კატეგორიაა. დრო უნდა განიმარტოს როგორც ზმნით გადმოცემული მოქმედების მომენტის შეფარდება ლაპარაკის მომენტთან.

ეს შეფარდება შეიძლება იყოს სამგვარი:

ა) მოქმედება ხდება ლაპარაკის მომენტში — დრო ახლანდელია (აწმყო): აკეთებს, წერს...

ბ) მოქმედება უსწრებს ლაპარაკის მომენტს — დრო წარსულია: გააკეთა, დაწერა...

გ) მოქმედება ლაპარაკის მომენტის შემდეგ მოხდება — მომავალი დრო: გააკეთებს, დაწერს...

ზმნის ფორმა ზოგ შემთხვევაში შეიძლება დაცლილი იყოს კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან: როცა საუბარია ისეთ მოქმედებაზე, რომელიც ზოგადად არის დამახასიათებელი სუბიექტისათვის: მხატვარი ხატავს, თევზი ცურავს, ფრინველი ფრინავს (არა ახლა, არამედ საერთოდ, ზოგადად)... ასეთ შემთხვევებს ზოგად აწმყოს ვუწოდებთ.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, — წერს

რუსთაველი. **წერს** ზმნური ფორმა აწმყო დროის გამომხატველია, თუმცა რეალურად საუბარია წარსულში მომხდარ მოქმედებაზე... მსგავსი შემთხვევების მოყვანა სხვაც შეიძლება...

საუბრობენ წარსულზე მომავალში, და მომავალზე წარსულში... ანდა **ახლო წარსულზე** და **შორეულ წარსულზე; ახლო მომავალზე** და **შორეულ მომავალზე**... ამ შემთხვევაში საუბარია არა აბსოლუტურ დროებზე, არამედ რელატიურ დროებზე: დრო ამ შემთხვევაში განისაზღვრება არა ლაპარაკის მომენტთან შეფარდებით, არამედ სხვა დროსთან მიმართებით. მაგალითად, **პერფექტი** გამოხატავს წარსულ მოქმედებას აწმყოსთან მიმართებით; **წინარე წარსული** (ანუ პლუსკვამპერფექტი) — წინარე მოქმედებას წარსულთან მიმართებით და ა. შ.

დროის მომენტის ამგვარი გააზრება სემანტიკური ანალიზის საგანია...

IV. 3.4. კილო, როგორც ზმნის კატეგორია. ზმნის სისტემაში დროის ტოლფას კატეგორიად მიიჩნევა კილოც. ეს იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ მწკრივის აღმნიშვნელ ტერმინად „დრო-კილოც“ იხმარება და, შესაბამისად, უღვლილების სისტემას „დრო-კილოთა“ სისტემას ვუწოდებთ.

კილოს ჩვეულებრივ ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიად განიხილავენ. ა. შანიძის აზრით, იგი „მწკრივის ელემენტია“ და „უცვალებელი მწკრივის ფარგლებში“. კითხვას ამ შემთხვევაშიც ამგვარად ვსვამთ:

არის თუ არა კილო მორფოლოგიური კატეგორია და, შესაბამისად, უცვალებელი ერთი მწკრივის ფარგლებში?

კილო უფრო რთულ კატეგორიად გვესახება, ვიდრე დრო. კილოს კატეგორიასთან დაკავშირებულ საკითხთა სირთულეს ისიც შეაპირობებს, რომ ჯერჯერობით საკამათოა, ყოველ შემთხვევაში, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამ კატეგორიაში შემავალ ერთეულთა რაოდენობა.

არნ. ჩიქობავას აზრით, კილო ქართულში ოთხია: **თხრობითი**, **ბრძანებითი**, **კავშირებითი** და **პირობითი**.

უფრო ადრინდელ შრომაში ამათ ნატვრითი ემატებოდა.

ა. შანიძის აზრით: „გვაქვს სამი კილო: **თხრობითი**, **კავშირებითი** და **ბრძანებითი**“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „საფუძვლებში“ შემდგომ მსჯელობაში განიხილება **თხოვნითი კილო** (მთის დიალექტებისათვის დამახასიათებლადაა მიჩნეული).

კიდევ ორი კილოა გამოყოფილი „საფუძვლებში“: **პირობითი** და **შედეგობითი**.

ამდენად, კილოს კატეგორიის განმარტებისას სამი კილო იქნა გამოყოფილი: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი. შემდგომ მსჯელობაში დაემატა: თხოვნითი, აკრძალვითი, პირობითი და შედეგობითი.

ამათგან პირველი სამი იმით განსხვავდება დანარჩენებისაგან, ავტორის აზრით, რომ „მწკრივების შექმნაში იღებენ მონაწილეობას“.

მხოლოდ წარმოდგენილი თვალსაზრისების გაცნობაც საკმარისია, რომ გაკეთდეს დასკვნა, რამდენად რთულია და საკამათო კილოს კატეგორია. სამრავლე და აზრთა სხვადასხვაობა კილოს კატეგორიაში შემავალ ერთეულთა შესახებ პრაქტიკული გრამატიკებიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება.

სასწავლო დანიშნულებისათვის გამიზნულ გამოცემებში კილოს სამწევრიანი სისტემაა წარმოდგენილი: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. ჩვეულებრივ, ეს თვალსაზრისია გაზიარებული. კილო ზოგადად ასე განიმარტება: „კილო არის ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელსავარაუდებელი, ან კიდევ როგორც შესასრულებელი“ (ა. შანიძე).

შესაბამისად, **თხრობითია კილო,** რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს როგორც ნამდვილ ფაქტს, რომელიც ხდება ერთ-ერთ დროში (ახლანდელში, წარსულში ან მომავალში): ვწერ, დავწერე, დავწერ...

კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს არა როგორც ფაქტს, არამედ შესაძლებელს; რომელიც შეიძლება ხდებოდეს, მოხდეს ან მომხდარიყო; კავშირებითი კილო ძირითადად რთულ კონსტრუქციებში გვხვდება და შესაძლებლობის სემანტიკის გადმოცემა „რომ“, „თუ“, „რათა“ კავშირების დახმარებით ხდება: ... რომ გავაკეთო, თუ გავაკეთე, რათა გავაკეთო...

ბრძანებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც აუცილებლად შესასრულებელს. ბრძანებითობა თავისი ბუნებით ისეთი აქტია, რომელიც შეიძლება ხდებოდეს აწმყოში ან მომავალში: **წერე,** ნუ აქცევ ყურადღებას; დაწერე!...

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ერთ თვალსაზრისზე, კერძოდ იმ ცდაზე, რომლის მიხედვითაც კილოს ორი სახეობა შეიძლება გამოიყოს: **რეალური კილო** და **ირეალური კილო.** „საუღლებელ ერთეულთა ძირითადი ნაწილი კილოური თვალსაზრისით ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: 1) ნაკვთები, რომლებიც გადმოსცემენ რეალური მოქმედების, რეალური კილოს შინაარსს და ბ) ნაკვთები, რომლებიც ირეალური კი-

ლოს შინაარსს გადმოსცემენ. რეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი, — ზმნის მოქმედება გაგებულ იქნეს როგორც ფაქტი, — შესრულებული ან შესასრულებელი. ირეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი, — ზმნის მოქმედება გაგებული იქნეს როგორც საეჭვო, შესაძლებელი სავარაუდო მოვლენა, ირეალობა“ (ა. პაპიძე). აქ კილოს ტრადიციული ერთეულები (კავშირებითი, ნატვრითი, პირობითი...) ამ ორი ძირითადი ერთეულის (რეალური, ირეალური) სემანტიკურ ჯგუფში შემავალ ერთეულებად განიხილება...

ამდენად, კილოს კატეგორიის არსებობა სადავოდ არ არის გამხდარი. ყველა შემთხვევაში იგი მორფოლოგიურ (გრამატიკულ) კატეგორიად გაიაზრება. კატეგორიის ერთეულთა რაოდენობა კი სხვადასხვა ავტორთან მნიშვნელოვნად მერყეობს. მთლიანობაში კი ასეთი სურათი გვაქვს — გამოიყო კილო:

1. თხრობითი
2. კავშირებითი
3. ბრძანებითი
4. თხოვნითი
5. აკრძალვითი
6. პირობითი
7. შედეგობითი
8. ნატვრითი და
9. რეალური
10. ირეალური (ეს ორი უკანასკნელი წესით ამათ რიგში არ უნდა ჩავაყენოთ, ისინი განცალკევებით დგანან და მოიცავენ დანარჩენებს, როგორც თითოეულ მათგანში შემავალ სემანტიკურ ერთეულებს).

შევნიშნეთ ისიც, რომ სასწავლო მიზნებისათვის გამიზნულ გამოცემებში სამ ძირითად ერთეულს გამოყოფენ: თხრობითს, კავშირებითსა და ბრძანებითს.

როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, დაისვა საკითხი კილოს კატეგორიის ნიშნის ძიებისა (ცხადია: მორფოლოგიურ კატეგორიას ნიშანი უნდა ჰქონდეს!). ზოგ ავტორთან კავშირებითის მწკრივებში გამოვლენილი **-ა, -ე, -ო** სუფიქსები კავშირებითი კილოს მორფოლოგიურ ნიშნებადაა გააზრებული.

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით კი, იგივე აფიქსები მწკრივის მაწარმოებელი ფორმანტებია და არა კილოსი.

როცა არის მსჯელობა კილოს მორფოლოგიურ გამოხატვაზე, საუბარია მხოლოდ კავშირებითზე; თხრობითისა და ბრძანებითის კილოთა მორფოლოგიური გამოხატვა არ ხდებაო. გამოდის: კილოს სამწევრიანი სისტემიდან (როგორც ითქვა, ზოგი კლასიფიკაციით კილოთა რაოდენობა მეტია...) მარკირებულია ერთი; ეს თავისთავად ეჭვქვეშ სვამს საკითხს **ა, ე, ო** სუფიქსთა ამგვარი კვალიფიკაციისას. ამ წინააღმდეგობის მოხსნის ცდაა კილოს ორწევრიანი სისტემის დაშვება, რაც ასევე სადავოდ მიგვაჩნია.

შეიძლებოდა, არ გვეძებნა კილოს კატეგორიის გამომხატველი მორფოლოგიური ელემენტი და ამ კატეგორიის გამომხატველად ამა თუ იმ მწკრივის ფორმა ჩაგვეთვალა (ფორმის სტრუქტურა, ყალიბი), რომ ერთი არსებითი ხასიათის დაბრკოლება არ იყოს: თუ დავუშვებთ, რომ მწკრივის ფორმა არის ამა თუ იმ კილოს მორფოლოგიური გამოხატულება, მაშინ ამა თუ იმ ფორმას მხოლოდ ერთი კილოური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აღნიშნავენ კიდეც, რომ კილოს კატეგორია ერთი მწკრივის ფარგლებში უცვალებელი კატეგორიაა (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...).

არის კი ასე? მივმართავთ ისევ სპეციალურ ლიტერატურას:

„...შეიძლება, რომ მწკრივი, რომელიც უმთავრესად ერთ კილოს ემსახურება, ზოგ შემთხვევაში სხვა კილოს გადმოსაცემად იყოს გამოყენებული“; „დამოუკიდებლად (უკავშიროდ) ხმარებული კავშირებითი შეიძლება ბრძანებითად იქნეს გამოყენებული: წავიდეს! წავიდეთ!“; „ბრძანებითი კილოს საკუთარი ფორმები არ გააჩნია, იყენებს ან თხრობით, ან კავშირებით კილოს ფორმებს“ (ა. შანიძე).

სხვა თვალსაზრისებიც შეიძლებოდა მოგვეხმო, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი და იგივე ზმნური ფორმა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა კილოური მნიშვნელობის გამომხატველი შეიძლება იყოს. სხვაგვარად: კილოური მნიშვნელობის ცვლა დამახასიათებელია ამა თუ იმ ზმნური ფორმისათვის; კილო არაა უცვალებელი კატეგორია ერთი მწკრივის ფორმებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ კილოური მნიშვნელობის გამოვლენას კონტექსტი შეაპირობებს.

გავიხსენოთ: უკავშიროდ ხმარებული კავშირებითის მწკრივი ბრძანებითი კილოს ფუნქციას იძენს (ა. შანიძე). გამოდის: კავშირებითის ფუნქცია კონტექსტითაა შეპირობებული. იმ კონტექსტური გარემოს მოშლა კილოური მნიშვნელობის ცვლას იწვევს. ანდა:

„ამ ორი კილოს გაგება (პირობითისა და შედეგობითის) თხრო-

ბითს ფორმას კონტექსტში ეძლევა“ (ლ. კვაჭაძე).

რამდენიმე მაგალითი:

წყვეტილის ფორმას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა კილოს გამოხატვის შესაძლებლობა აქვს:

კილო თხრობითია: „ამ ყოფით **გავშორდი** ვლადიკავკაზს და პირი ჩემი ქვეყნისაკენ ვქენი“ (ილია).

კილო ბრძანებითია: „შენ **აასრულე,** რასაც გიბრძანებენ!“ (აკაკი).

კილო კავშირებითია: „თუ ის იმერელი **წააქციე,** რაც გინდა მთხოვე“ (მ. ჯავახ.).

მაგალითების გაზრდა უსასრულოდ შეიძლება.

ასევე: მეორე კავშირებითის მწკრივის ფორმით შეიძლება გადმოიცეს როგორც კავშირებითი კილოს მნიშვნელობა, ასევე თხრობითი და ბრძანებითი კილოს მნიშვნელობები. მაგ.:

„ეგებ **დამძიროს** მორევმა“ (ვაჟა) — კილო კავშირებითია;

„**დავდგეთ** იქ, სადაც ქარიშხალია“ (გალაკტიონი) — კილო ბრძანებითია;

„ამ შემოდგომაზე ვეღარ **დაიჭიროს** ჩირიკმა ხელთ მაჭრის ჯამი“ (გ. ლეონიძე) — კილო თხრობითია (ა. პაპიძე).

მაგალითების გაზრდა ყველა შემთხვევისთვისაა შესაძლებელი. წარმოდგენილი მსჯელობა და ფაქტები ცხადყოფს, რომ ამა თუ იმ მწკრივის ფორმას ქართულში აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა კილოური მნიშვნელობის გამოხატვისა.

ისევე როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, აქაც მსჯელობენ „ძირითად, ამოსავალ“ და „მეორეულ, შეძენილ“ კილოურ მნიშვნელობაზე. თუმცა არ ჩანს პასუხი კითხვაზე: როცა ერთსა და იმავე ფორმას რამდენიმე კილოს გამოხატვის შესაძლებლობა აქვს, რის მიხედვით უნდა მიეცეს კვალიფიკაცია ძირითადი და არაძირითადი მნიშვნელობისა? სიხშირული მონაცემი ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისა არ უნდა იყოს ენობრივი ფაქტის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი; კითხვა, რომელიც დროის კატეგორიის მიმართ დაისვა, უნდა გავიმეოროთ: რა ანიჭებს მწკრივის ფორმას ე. წ. „ძირითად კილოურ მნიშვნელობას“; ანდა, რა არის ის, რაც ერთ კონტექსტში გამოვლენილი „ძირითადი კილოური მნიშვნელობის“ გაქრობას და ახალი კილოური მნიშვნელობის მინიჭებას იწვევს?

ფაქტია: 1. არ ხდება კილოს გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებებით.

2. ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ მწკრივისა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა კილოს გაგებას იძენს. სხვაგვარად: კილოურ მნიშ-

ვნელობას ამა თუ იმ მწკრივის ფორმას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის სახეობა, კონსტრუქციაში შემავალ წევრთა სემანტიკა შეაპირობებენ ფორმის კილოურ მნიშვნელობას.

საერთოდ, არის კი შესაძლებელი ცალკე აღებული, კონტექსტისაგან იზოლირებული, ზმნური ფორმის კილოურ მნიშვნელობაზე საუბარი? ვფიქრობთ, არა: როგორც ზემოთმოყვანილი თვალსაზრისებიდან ჩანს, თითქმის ყველა შემთხვევაში ხდება გათვალისწინება კონტექსტის ხასიათისა, კონსტრუქციის სახეობისა ამა თუ იმ ფორმის კილოური მნიშვნელობის დახასიათებისას.

კილოური მნიშვნელობის გამოვლენა რომ კონტექსტზეა დამოკიდებული, ამის გამოა ისიც, რომ არაა ერთგვაროვანი აზრი კილოთა რაოდენობის შესახებ. მორფოლოგიური კატეგორია, ფორმობრივად შეპირობებული მნიშვნელობა ამგვარ სხვადასხვაობას კატეგორიის შემადგენელ ერთეულთა რაოდენობის შესახებ არ უნდა იძლეოდეს.

ისევე, როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, ამა თუ იმ ფორმის „ძირითად“ და „მეორეულ“ კილოურ მნიშვნელობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, თუ როგორია სიხშირე რომელიმე კილოური მნიშვნელობის გამოვლენისა, ასევე არ ჩანს გამართლებული. ფაქტია, წყვეტილის ფორმის გამოყენების შემთხვევები თხრობითი კილოს მნიშვნელობით უფრო ხშირია, ვიდრე ბრძანებითი თუ კავშირებითი კილოს მნიშვნელობით... ეს კი შედეგია იმისა, რომ ენაში იმგვარ კონსტრუქციათა სიხშირე, რომელშიც წყვეტილის ფორმას თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს, ჭარბობს იმ ტიპის კონსტრუქციათა სიხშირეს, რომელშიც იგივე ფორმა სხვა კილოურ მნიშვნელობას იძენს. ასევე შეიძლება ითქვას სხვა მწკრივის ფორმათა შესახებაც.

დასკვნა ასეთია: კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არ ხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) კილოური მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში. კონტექსტის გარეშე ფორმის კილოური მნიშვნელობა ვერ გაირკვევა; კილოურ მნიშვნელობას ფორმას კონტექსტი ანიჭებს.

საკითხი ამგვარადვე შეიძლება დაისვას გზისობის შესახებაც (ახალი ქართულისათვის).

IV. 3.5. გზისობა, როგორც ზმნის კატეგორია. როგორც ითქვა, ა. შანიძის მოძღვრების თანახმად, **გზისობა,** მსგავსად სხვა კატეგორიებისა (დრო, კილო, აქტი, თანამდევრობა), მწკრივის ელემენტია. გზისო-

ბა, ისევე როგორც დასახელებული კატეგორიები, უცვალებელად მოიაზრება: „ელემენტები დაერქვა მწკრივის ფარგლებში უცვალებელ კატეგორიებს... მწკრივის ელემენტებია დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა“ (ა. შანიძე).

რა არის გზისობა და არის თუ არა იგი მორფოლოგიური კატეგორია ახალ ქართულში; შესაბამისად — უცვალებელი კატეგორია?

„გზისობა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენგზის არის მოქმედება ჩადენილი, ერთგზის თუ მრავალგზის, ანუ ერთხელ თუ მრავალჯერ“ (ა. შანიძე).

აქვე განმარტავს ავტორი, რომ გზისობას ორი ფორმა აქვს: ერთგზისი და მრავალგზისი: „**ერთგზისია** ფორმა, რომელიც ერთხელ მომხდარ მოქმედებას აღნიშნავს და **მრავალგზისია** ფორმა, რომელიც რამდენჯერმე განმეორებულ მოქმედებას გამოხატავს. მაგალითები: დაჯდა და დაჯდის, მოიტანა და მოიტანის, მოკლა და მოკლის და მისთ.“.

გზისობასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების განხილვისას, როგორც დავინახეთ, ა. შანიძე მრავალგზისობის მაგალითად ძველი ქართულის (თუ თანამედროვე ქართულის მთის დიალექტების) მაგალითებს მოიხმობს: დაჯდ-ი-ს, მოიტან-ი-ს, მოკლ-ი-ს...

ფაქტობრივად, ამით ითქვა, რომ მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოხატვა ახალ ქართულში არ ხდება.

გზისობა, როგორც მწკრივის ელემენტი, უცვალებელია მწკრივის ფარგლებშიო, ზემოთ ითქვა. მრავალგზისობის გამომხატველ მწკრივთათვის (უწყვეტელი, ხოლმეობითი) მრავალგზისობა არ არის უცვალებელი ელემენტი. ამიტომაცაა, უწყვეტლის დახასიათებისას მწკრივის ელემენტთა მიხედვით გზისობაზე არ მიანიშნებენ. ერთი და იგივე ფორმა ფაქტია, გზისობის მიხედვით შეიძლება ერთგზისიც იყოს და მრავალგზისიც:

ერთგზისია: ის რომ მოვიდა, დავალებას ვ წ ე რ დ ი.

მრავალგზისია: სადილის შემდეგ დავალებას ვ წ ე რ დ ი, გაკვეთილებს ვ ს წ ა ვ ლ ო ბ დ ი და მერე ვ თ ა მ ა შ ო ბ დ ი...

ყოველივე თქმული კი იმის დასტურია, რომ გზისობა ცვალებადი კატეგორიაა მწკრივის ფარგლებში; ე. ი. **გზისობა არ არის მორფოლოგიური კატეგორია,** ახალ ქართულში არ ხდება ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა. თუმცა გზისობა, როგორც სემანტიკური კატეგრია ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში, უდაოდ საინტერესოა.

*

* *

მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა ქართული ზმნის ერთერთი არსებითი დამახასიათებელი ნიშანია. ერთგზისი (ერთხელ შესრულებული მოქმედება) და მრავალგზისი (მრავალჯერ თუ ჩვეულებრივ შესრულებული მოქმედება) ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე გაირჩეოდა ერთმანეთისაგან; თუმცა ამ გარჩევას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახე ჰქონდა: ორგანული წარმოება ხოლმეობითისა ჩვენ თვალწინ ბარდება წარსულს და მის ადგილს აღწერითი წარმოება იჭერს. ჩვენ შევეცდებით ამ ტენდენციასაც გავადევნოთ თვალი: რა გზით მიემართება ეს ცვლილება...

ვთქვით: მრავალგზისობა ძველ ქართულში ორგანულად გამოიხატებოდა — იყო საგანგებო მწკრივები: I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი), II ხოლმეობითი (წყვეტილის ხოლმეობითი) და III ხოლმეობითი (II თურმეობითი ხოლმეობითი). ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში მრავალგზისობა ორგანულად აღარ გამოიხატება.

ხოლმეობითის ორგანული წარმოების აღწერითით შეცვლა ერთერთი პრინციპული ხასიათის განსხვავებაა ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულს შორის. „მრავალგზისობის გამომხატველ ორგანულ ფორმათა მოშლის ეს პროცესი (ისე კი, რომ მრავალგზისობის ფუნქცია შემოგვრჩა) ენაში მიმდინარე ფორმობრივი აბსტრაქციის თვალნათლივი ნიმუშია“ (ბ. ჯორბენაძე). თავისთავად საინტერესოა: ენა საჭიროდ მიიჩნევს ფუნქციურად დააპირისპიროს ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, მაგრამ ცვლის ამ დაპირისპირების სახეს: ერთ შემთხვევაში ეს მორფოლოგიურად ხდებოდა (და ხდება დღესაც ზოგ დიალექტში), მეორე შემთხვევაში ამ დაპირისპირებას არამორფოლოგიური საშუალებები ახდენენ. „ფორმათა ერთი სისტემის ფუნქციონირების გაფართოების ხარჯზე ხდება ფორმობრივი მრავალფეროვნებისა და ნაირგვაროვნების ნიველირება, მორფოლოგიური დაპირისპირების ადგილს კონტექსტური განსხვავების კრიტერიუმი იკავებს“ (ბ. ჯორბენაძე). მსგავსი შემთხვევა არაერთია. გავიხსენოთ: მომავალი დროის გამოხატვის ძველი ქართულის ვითარება როგორ იცვლება; თუნდაც ასპექტის გამოხატვის სისტემა; ენაში რჩება აუცილებლობა ამგვარი დაპირისპირებისა (ახლანდელი — მომავალი — წარსული; სრული — უსრული), იცვლება დაპირისპირების სახე... თუმცა ეს უფრო ზოგადი მსჯელობაა. კონკრეტულად: ქრონოლოგიურად ორგანული წარმოების მოშლა და აღწერითზე გადასვლა იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ქართულში „ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული ქართული სა-

ლიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის“ (ა. შანიძე); და კიდევ: „ასპექტის სისტემის თანდათანობით ცვლასთან დაკავშირებით დაიწყო თხრობით-კილოიანი მომავალი დროის გამოხატვა აწმყოს მწკრივისაგან გამოყოფილის ახალი მწკრივის საშუალებით, ე. ი. I სერიის მწკრივით, რაც ძველ ქართულში შეუძლებელი იყო... სისტემის შეცვლის პროცესი (იგულისხმება ასპექტის სისტემისა და მასთან დაკავშირებით მომავალი დროის გამოხატვისა — გ. გ.) დამთავრებულია ახალ ქართულში, თუმცა მაგალითები ძველი სისტემის მოვლენებისა დღევანდელ ქართულშიც არის ნაშთის სახით შემორჩენილი“ (ა. შანიძე).

სწორედ ამ მოვლენების გვერდით ხდება ხოლმეობითის ორგანული წარმოების მოშლა. ორგანული წარმოების მოშლასა და აღწერითზე გადასვლას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შეიძლება იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ხოლმეობითის კონტექსტურად (ან ლექსიკურად, აღწერითად) გამოხატვის შესაძლებლობის არსებობა შეიძლება გამხდარიყო ხელისშემწყობი ფაქტორი (და არა მიზეზი) ორგანული წარმოების მოშლისა და აღწერითი წარმოების ჩამოყალიბებისა.

ხოლმეობითის, როგორც მწკრივის (მწკრივების), გაქრობა ამ კატეგორიის ისტორიის თანმდევი პროცესია. უწყვეტელ-ხოლმეობითის მიერ ამ ფუნქციის შეთავსებამ ვერ დააკმაყოფილა ენის მოთხოვნა მრავალგზისობის გამოხატვისა და ამიტომაც ჩნდება **ხოლმე** ნაწილაკი ამ ფუნქციით. ი. ქავთარაძის აზრით, „თვით სალიტერატურო ენაში და გარკვეულ დიალექტებშიც უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან საბოლოოდ იჩენს თავს ანალოგიურ ფორმათა (იგულისხმება ძველი ქართულის I და II ხოლმეობითები — გ. გ.) მნიშვნელობის დაკარგვა, დავიწყება, რისთვისაც დამატებითი საკომპენსაციო საშუალება — „ხ ო ლ მ ე“ ნაწილაკი ხდება აუცილებელი. ხოლმეობითის ცნობილ ფორმებზე ხ ო ლ მ ე ს დართვა ერთგვარი აღდგენაა სათანადო შინაარსისა; ეს ნაწილაკი ინტენსივობის თანდათან გავრცელებული ნაწილაკია, რომელიც შემდეგ ისე ფართოვდება, რომ არახოლმეობითის ფორმასაც ხოლმეობითობას ანიჭებს“ (ი. ქავთარაძე). ე. ი. ხოლმეობითის ფორმები კარგავენ ხოლმეობითობის შინაარსს და ამ შინაარსის აღდგენას ცდილობს ენა ხ ო ლ მ ე ნაწილაკით; პროცესი გრძელდება; ხოლმეობითის შინაარსი ეცილება ფორმას, ფორმა იკარგება, მაგრამ ამ შინაარსს შეითავსებს სრულად ხ ო ლ მ ე ნაწილაკი. მსჯელობა სარწმუნოა:

მრავალგზისი ფორმა + ხ ო ლ მ ე → ერთგზისი ფორმა + ხ ო ლ მ ე.

ფაქტობრივად, მრავალგზისობის გამოსახატავად **ხოლმე** ნაწილაკიანი ფორმების დამკვიდრებამ გააფართოვა შესაძლებლობა ამ მნიშ-

ვნელობის გამოხატვისა: **ხოლმე** ნაწილაკი დაერთვის თითქმის ყველა მწკრივის ფორმას. ვამბობთ **თითქმის,** იმიტომ, რომ ვერ დავადასტურეთ ხ ო ლ მ ე ნაწილაკი III კავშირებითთან, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ III კავშირებითი იშვიათი მწკრივია და მას ჩვეულებრივ II თურმეობითი ცვლის, ეს „თითქმისობა“ გასაგები იქნება.

მოვიყვანთ მაგალითებს თანმიმდევრულად, მწკრივთა მიხედვით, ერთგზის ფორმებთან ხ ო ლ მ ე ნაწილაკის გამოყენებისას (მაგალითებს ვიმოწმებთ ი. ქავთარაძის ნაშრომიდან):

აწმყო-მყოფადი:

ცრემლს წყალსავით **ვღვრით ხოლმე** (ილია);
სულ ეგრე **სტყუი ხოლმე** (იქვე);
თვალი სულ ჩემკენ უჭირავს, **მიცინის ხოლმე** (ვაჟა);
ჩემი ბატონი შემოვა და **დასკუპდება ხოლმე** (შ. არაგვ.);
შიში მუხლს **მოჰკვეთავს ხოლმეო,** ამბობენ (იაკობი);
ძალაუნებურად კეთილ გზისკენ **გამიტაცებს ხოლმე** (აკაკი).

უწყვეტელ-ხოლმეობითი:

სულ ერთსა და იმავე სიმღერას **ღიღინებდა ხოლმე** (ილია);
სააღდგომოდ ჭონაზე **დადიოდნენ ხოლმე** მომღერლები (აკაკი);
ჭია-მატლები **ერეოდნენ ხოლმე** ხეხილსა (იაკობი);
პასუხად სულ ამას **მეტყოდა ხოლმე** (ილია);
გველი რომ შეგხვედროდა? — **დავასხვერტებდი ხოლმე** მიწაზე (აკაკი);
დავითი ადვილად და სწრაფად **მოინადირებდა ხოლმე** ყველას გულს (იაკობი).

I კავშირებითი:

ნეტა სიტყვას საქმედ **ვაქცევდეთ ხოლმე** (ეკ. გაბ.);
ბაღის მუშაობის დროსაც ამას უნდა **გაისტუმრებდეთ ხოლმე** (იტს. საბუთ.);
თქვენ თავად სხვას **გაიმძღვარებდეთ ხოლმე** (იქვე);
ამ ჩვენგან განწესებულს წყალობას ჩვენი სახლთუხუცესები, მდივნები ნიადაგ წელს შემოსავლებიდან უნდა **მისცემდეთ ხოლმე** (იქვე).

წყვეტილი:

მოდი, გიორგისაც **დაეკითხე ხოლმე** (ილია);
სხვაგან წამსვლელი კარგად გაჩხრიკეთ ხოლმე (იაკობი);
ეგრე **სთქვი ხოლმე** სხვაგანაც (ილია).

II კავშირებითი:

ყოველთვის ჰსურს, რომ თავისი გულისპასუხი სხვებსაც გადასცეს, **შეატყობინოს ხოლმე** (აკაკი);

ეცდებიან, სხვებსაც **დაუშალონ ხოლმე** ამგვარი უგუნური და მავნე მოქმედება (იაკობი);

ეგების აქედან ნინოს თვალი **მოვკრა ხოლმეო** (რ. ერისთ.).

I თურმეობითი (იშვიათია)**:**

ადრე ქურციკივით **აურბენია ხოლმე** ეს დაკიდებული გზა (რ. გვეტ.).

II თურმეობითი (იშვიათია)**:**

გაჭირვებული კაცი **გაეცაცებინა ხოლმე** მაცდურს (ილია).

უწყვეტელ-ხოლმეობითი რომ ნაწილაკის გარეშე გამოხატავს მრავალგზისობას, ესეც ცნობილია:

კნეინა თვალს **გააჭყეტდა,** შავარდენივით **გადმოფრინდებოდა** ტახტიდამ, **გადიკრავდა** შუბლსაფენსა, ზედ **წაიკრავდა** ჩითმერდინსა, **გადიცვამდა** ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმა — შიშველა ფეხს **შეიმოსავდა** ჩუსტითა და — ჰერი ბიჭო — **დაეშვებოდა** ჩალურისაკენ (ილია).

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „საგარემოებო სიტყვების გამოყენებით განგრძობილი მოქმედების შინაარსი უძლიერდება ზმნის ნაკვთის ფორმებს“ (ი. ქავთარაძე, 1961, გვ. 20):

ის დალოცვილი მღდელი **ხშირად მარიგებდა ხოლმე** (ილია);

სახე **მუდამ** ერთი განსაკუთრებული სულელობით **უცინოდა ხოლმე** (აკაკი);

ოთარაანთ ქვრივი **ყოველ კვირა** დღეს ერთი ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ხელით გადაუტანდა ხოლმე (ილია)...

ამგვარი შესაძლებლობები განუსაზღვრელია; საგარემოებო სიტყვები ხ ო ლ მ ე ნაწილაკის გარეშეც ახერხებს ამ მნიშვნელობის გადმოცემას:

„**კვირა არ გავიდოდა,** რომ ოთარაანთ ქვრივს არ **ჩამოელო** ეს იარაღი და გულდასმით არ **გაეწმინდა**“ (ილია)...

ბევრჯერ და ბევრჯერ შენ **მაცდუნე** (ილია);

მუდამ გაბუტვით **დადის** (ილია);

მრავალჯერ დაეფრთხოს (აკაკი) და სხვა.

აღარას ვამბობთ ისეთ შემთხვევებზე, როგორიცაა ფორმათა გამეორება:

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე...

ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე...

იარა, იარა და მიადგა...

წერა, წერა და...

ყოველივე ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ დავინახოთ, თუ რა ვითარება შეიქმნა ახალ ქართულში ხოლმეობითის ორგანული წარმოების მოშლის შემდეგ: მრავალგზისობის გამოხატვის ენობრივი შესაძლებლობები გაიზადა, გამრავალფეროვნდა. ეს თავისთავად ამ მნიშვნელობის გამოხატვისას დამატებითი ნიუანსების გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა. ზმნურ ფორმათა ფუნქციური ანალიზის დროს ყოველივე ამაზე ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული...

IV. 3.6. აქტი, როგორც ზმნის კატეგორია. „აქტი ანუ საქმე არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება, თუ არა“. ქართულ ზმნას აქვს საშუალება, აღნიშნოს არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელსაც მოუბარი დასწრებია და უნახავს, არამედ ისეთიც, რომელსაც ის არ დასწრებია და არ უნახავს. ამის მიხედვით გვაქვს ორი აქტი: ნახული და უნახავი (ანუ დასწრებული და დაუსწრებელი) (ა. შანიძე).

აქტი მწკრივის ელემენტად არის მიჩნეული და ისევე, როგორც სხვა ელემენტები მწკრივისა, „მწკრივის ფარგლებში უცვალებელ კატეგორიად“ მოიაზრება“. ზემოთაც აღვნიშნეთ: უცვალებელ კატეგორიად შეიძლება მოვიაზროთ ის კატეგორია, რომელიც არის წარმოდგენილი ზმნის ამა თუ იმ ფორმაში და ნებისმიერ კონტექსტში ხდება მისი გამოხატვა ანუ: ნებისმიერ კონტექსტში აქვს ეს მნიშვნელობა. თუ ხდება ცვლა ამ მნიშვნელობისა სხვადასხვა კონტექსტში, უნდა აიხსნებოდეს ამ ცვლის მიზეზი; ანუ: ფორმას რამ დაუკარგა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მნიშვნელობა, ან რამ მიანიჭა სხვა კონტექსტში სხვა მნიშვნელობა. ამის თაობაზე დროის, კილოსა და გზისობის კატეგორიებზე საუბრის დროსაც მივანიშნებდი.

რა ვითარებაა ამ მხრივ **აქტის** კატეგორიასთან დაკავშირებით.

აქტი (უნახავი), როგორც მწკრივის ელემენტი, I თურმეობითში არის წარმოდგენილი: „I თურმეობითში სამი ელემენტია: დრო (წარს.), კილო (თხრ.) და აქტი (უნახავი)... უნახავი აქტის მოქმედება გვიჩვენებს მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია შედეგის მიხედვით ან სხვისგან არის გაგონილი“. ა. შანიძე უნახავ აქტს მწკრივის ელემენტად ასახელებს II თურმეობითშიც: „შედგენილობის თვალსაზრისით II თურმეობითი I-საგან ერთი ელემენტით განსხვავდება. ეს ელემენტია თანამიმდევრობა (უწინარესი). მწკრივი გადმოგვცემს ისეთ უნახავ მოქმედებას, რომელიც სხვას უსწრებდა“ (ა. შანიძე).

III სერიის მწკრივებს ა. შანიძე „უნახავი აქტის მწკრივებს“ უწო-

დებს, თუმცა არ ჩანს, III კავშირებითსაც უნახავი აქტის მწკრივად მიიჩნევს თუ არა.

თუ თურმეობითები უნახავი აქტის მწკრივებია, ივარაუდება, რომ სხვა მწკრივები **ნახული აქტის** მწკრივებია.

არის თუ არა აქტი უცვალებელი კატეგორია თურმეობითის მწკრივებისათვის? საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ი. ქავთარაძემ. მისი აზრით, „უდავოა, რომ ქართულ ენაში თურმეობითის ნაკვთი ძალიან ხშირად იხმარება ისეთი მოქმედება-მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელიც სუბიექტმა თავისი თვალით ნახა, დაესწრო მას, უნახავი მოქმედების გამოსახატავად მისი გამოყენება სრულებითაც არაა ერთადერთი, პირიქით, ეს უფრო გვიანდელი ჩანს, როცა დროის გაგება მასში რამდენადმე დაიჩრდილა“ (ი. ქავთარაძე). ანუ უნახაობა შეიძლება გადმოსცეს სხვა ფორმამაც და პირიქით... „ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულში არა გვაქვს უნახაობის კატეგორიის მორფოლოგიური წარმოების საშუალება, იგი არაა იმგვარად გამოხატული გრამატიკული კატეგორია, როგორადაც დრო, ქცევა და სხვა, რომელთაც მოეპოვებათ სპეციალური მორფემა, აგლუტინაციური ტიპის ქართული ენისათვის შესაფერისი“ (იქვე). ავტორი გახაზავს იმასაც, რომ მორფოლოგიურად არ ხდება დაპირისპირება, მაგრამ „დღევანდელ ქართულში ფაქტია ასეთი დაპირისპირება“ (იქვე); და კიდევ: „უნახაობის შინაარსის გამოსახატავად ქართულში გვაქვს ერთგვარი საშუალება (**თურმე** ნაწილაკი და პირველი თურმეობითი გარკვეულ შემთხვევაში) და არა გრამატიკული კატეგორია“ (ი. ქავთარაძე).

არნ. ჩიქობავას აზრით, **„უნახაობა,** საერთოდ, არ უნდა იყოს ნიშანდობლივი თურმეობითის შინაარსისათვის. ყოველ შემთხვევაში, უნახაობას ვერ ვივარაუდებთ, როცა რეალური სუბიექტი პირველ პირშია“. ავტორი ეთანხმება ი. ქავთარაძეს და დაასკვნის: „ამრიგად: თურმეობითის ჯგუფის ნაკვთები ფუნქციური თვალსაზრისით ვერ გაერთიანდება; თურმეობას არ გულისხმობს კავშირებითი მესამე; მხოლოდ ნაწილობრივ ეგუება ეს შინაარსი თურმეობითს მეორეს; თურმეობთს პირველშიც უნახაობა არ გადმოიცემა პირველს პირში, უარყოფითი ნაწილაკების ხმარებისას კი — სხვა პირებშიც“.

წარმოდგენილი მსჯელობა და დასახელებულ ავტორთა მიერ ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ **აქტი არ არის მორფოლოგიური კატეგორია** და, შესაბამისად, უცვალებელი ერთი მწკრივის ფარგლებში. ასე რომ, ამ თვალსაზრისით **აქტი დგება დროის, კილოსა და გზისობის გვერდით.**

IV. 3.7. თანამდევრობა, როგორც ზმნის კატეგორია. მეხუთე კატეგორია, რომელსაც მწკრივის ელემენტად მიიჩნევს ა. შანიძე, არის თანამდევრობა: „თანამდევრობის სახელით აღვნიშნავთ ზმნის ფორმას, რომელიც გვაგებინებს, თუ როგორია დროული მიმართება ორი მოქმედებისა წარსულსა ან მომავალში. ორი მოქმედების შეფარდებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ორივე ერთ დროს მიმდინარეობს და გვაქვს **ერთდროულობა** მოქმედებისა, მაგრამ თუ განსხვავებაა დროში, მათ შორის ისეთი ურთიერთობა იქნება, რომ ერთი უნდა უსწრებდეს, მეორე მოსდევდეს. როგორც სწრება, ისე მოდევნება ხდება მხოლოდ ორ გრამატიკულ დროში, წარსულსა და მომავალში, მაგრამ ერთდროულობა მხოლოდ წარსულშია გამოხატული“ (ა. შანიძე). „თანამდევრობის ფორმები ქართულში სამგვარია: **ერთდროულობა, უწინარესობა** და **შემდგომობა**“ (იქვე). წარმოდგენილი მსჯელობიდან და მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნური ფორმის მიერ გამოხატული მოქმედების შეფასება ხდება რთულ კონსტრუქციებში; ანუ ზმნური ფორმის ერთდროულობა, უწინარესობა თუ შემდგომობა სხვა ზმნის მიერ შესრულებული მოქმედების მიხედვით გაირკვევა. ეს უკვე სინტაქსის სფეროა. როცა არნ. ჩიქობავა III სერიის გამოყოფის საფუძვლებზე მსჯელობს და განიხილავს აქტისა და თანამიმდევრობის კატეგორიებს, ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „სამი ჯგუფის გამოყოფა ზმნის უღვლილებაში ნაწილობრივ გამართლებულია **სინტაქსური** თვალსაზრისით, ნაკვთების წარმოება კი სინტაქსის საგანი არ არის, იგი ფუძეთა წარმოებას განეკუთვნება და მორფოლოგიის საგანი უნდა იყოს (იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამ რიგის ფუძეთა წარმოებას ახასიათებს)“.

ამგვარად, თანამდევრობა არ არის მორფოლოგიური კატეგორია და, შესაბამისად, არ შეიძლება იყოს უცვალებელი ერთი მწკრივის ფარგლებში.

*

* *

როგორც წარმოდგენილმა მსჯელობამ გვიჩვენა, ერთი მწკრივის ფორმას კონტექსტისდა მიხედვით შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა დროისა თუ კილოს მნიშვნელობის გადმოცემისა; ასევე ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედებისა; უნახავი ან ნანახი აქტისა; ასევე ერთდროული, უწინარესი თუ შემდგომი მოქმედების გამოხატვისა... (შევადაროთ: ბრუნვის ფორმა და ბრუნვათა ფუნქციები).

მწკრივის ფორმათა სემანტიკური დახასიათება შესაძლებელი

არის ამ კატეგორიათა მიხედვით, თუმცა როგორც აღინიშნა, არ ხდება მათი გამოხატვა მორფოლოგიურად. შესაბამისად, ჩამოთვლილი კატეგორიები არ არის მორფოლოგიური კატეგორიები.

IV. 3.8. ასპექტი და მწკრივი ა. შანიძის მოძღვრების მიხედვით. ა. შანიძის მოძღვრების მიხედვით, ასპექტი ქართულში არ არის მწკრივის ელემენტი, უღლების კატეგორია. იგი წარმოქმნის კატეგორიაა. „ასპექტი ძველად უღლების კატეგორია იყო: ის აუცილებელი ელემენტი იყო თვითეული მწკრივისა I-სა და II სერიაში, მაგრამ ახალ სისტემაზე გადასვლით ეს კატეგორია გამოვიდა უღლებიდან და წარმოქმნაში დაიჭირა ადგილი, რადგანაც ამ გზით მან ზმნის პარალელურ ფორმებს (უზმნისწინოსა და ზმნისწინიანს) მწკრივებში სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობა მისცა: გრიხა — დაგრიხა, გრიხოს — დაგრიხოს, უგრეხია — დაუგრეხია და სხვა“. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ასპექტით განსხვავებული ფორმები არ ჩაითვლება სხვადასხვა მწკრივის ფორმებად: **წერა** და **დაწერა, წეროს** და **დაწეროს** ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია.

სხვაგვარი იყო ვითარება ძველ ქართულში: „ძველ ქართულში ასპექტი უღლების კატეგორია იყო და მწკრივში შედიოდა, როგორც მისი ელემენტი: I სერიის მწკრივები უსრული ასპექტიანი იყვნენ. II სერისა კი — სრულისანი. ზმნისწინს ამ საკითხში არავითარი ძალა არ ჰქონდა: ის ან გეზს აღნიშნავდა, ორიენტაციითურთ, ან ახალი ზმნის საწარმოებელი მორფემა იყო. ამიტომ აწმყოს მწკრივის ეხლანდელ დროს ზმნისწინის დართვა მომავლისად ვერ გადააქცევდა, ...სამაგიეროდ II სერიის მწკრივები ყველა სრულ-ასპექტიანი იყო“ (ა. შანიძე). მომხდარი ცვლილების ძირითადი შედეგი, ა. შანიძის აზრით, არის ის, რომ I სერიის ფორმები ორ წრედ გაიყო: „პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჯგუფის სამი წევრისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთი-მეორისაგან შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც“ (იქვე).

ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ისიცაა, რომ „ასპექტი შეიძინა III სერიის ფორმებმა და სახელზმნებმა“ (იქვე).

აქ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ასპექტიან ზმნებში ზმნისწინი აპირისპირებს სრულ და უსრულ ფორმებს **სამსავე სერიაში და სახელზმნებში.** ამ ფაქტს კვლავაც მოვუბრუნდებით. მოსწრებულად თქვა მეცნიერმა: „ზმნისწინმა ზმნას მისცა ასპექტი ახალ

საფუძველზე, მაგრამ ამ ასპექტმა უსრულობის შემთხვევაში ზმნას წაართვა ზმნისწინი"... (ა. შანიძე).

თუმცა ასე ერთმნიშვნელოვნად, როგორც ჩანს, ძნელია საუბარი. ა. შანიძე წერს: „ეჭვი არ არის, რომ **დღევანდელი ასპექტი საზოგადოდ წარმოქმნის კატეგორიაა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მას მთლად გაწყვეტილი ჰქონდეს კავშირი უღლებასთან**". სხვაგან: „დასკვნა: **ასპექტს უღლების ფარგლებიდან სულ გამოსულად ვერ მივიჩნევთ, მას რამდენადმე კიდევ შერჩენილი აქვს უღლების კატეგორიის ნიშნები**".

აქ ჩვენ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ერთი ენობრივი მოვლენის ორგვარი კვალიფიკაცია რომ ხდება ერთსა და იმავე ავტორთან... ასპექტი არ არის უღლების კატეგორია, ამიტომ დრო-კილოთა სისტემის აგებისას ასპექტით განსხვავებული ფორმები (აკეთა — გააკეთა, აკეთოს — გააკეთოს, უკეთებია — გაუკეთებია...) არ ჩაითვლება სხვადასხვა მწკრივის ფორმებად. ამიტომ სისტემა 11 ერთეულს (მწკრივს) შეიცავს. ეს ძირითადი თვალსაზრისია ავტორისა, თუმცა იმასაც უშვებს, რომ „ასპექტს უღლების ფარგლებიდან სულ გამოსულად ვერ მივიჩნევთ, მას რამდენადმე კიდევ შერჩენილი აქვს უღლების კატეგორიის ნიშნებიო".

და აქ გვთავაზობს შემაჯამებელ პარაგრაფს — „ცხრილი" (§ 343): „დაგვრჩა ერთი: შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი (იგულისხმება ასპექტისადმი მიძღვნილი მსჯელობა) ცხრილში, რომელიც მოკლედ და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ასპექტის ვითარებას დღევანდელ ქართულში. მაგალითებად მოყვანილია სამი ზმნა: „ტეხა" ზმნის **სრული უღლება** სუბიექტური პირების მიხედვით **თითო სერიის თითო მწკრივში** (I სერიაში ორივე წრისათვის), მერმე კი სამივე ზმნის 1-ლი სუბ. პირის ფორმები **თვითეულ მწკრივში,** გარდა წართქმ. ბრძანებითისა, სადაც მე-2 პირის ფორმებია მოყვანილი" (ა. შანიძე).

შეჯამებული სახით წარმოდგენილი **სრული უღლება თითო სერიის თითო მწკრივში** ფაქტობრივ ემთხვევა დიმიტრი ყიფიანის პრინციპს, რომელსაც „გრამატიკის საფუძვლებში", სწორედ „ცხრილის" წინ, საგანგებო პარაგრაფი ეძღვნება — „დიმიტრი ყიფიანის ტაბულა".

დ. ყიფიანს ორგვარი პარადიგმა აქვს — რთული და მარტივი; რთული — ზმნისწინიან და უზმნისწინო დაპირისპირებულ ფორმათა პარადიგმა — 16 ერთეული (მარტივი 8 ერთეულიანი იყო)...

ა. შანიძის შეჯამებული ცხრილი სწორედ დ. ყიფიანის რთული პარადიგმის მსგავსია. ეს ცხრილი გარკვეულწილად მხარს დაუჭერს ჩვენს თვალსაზრისსაც. თუმცა ამის თაობაზე მოგვიანებით.

ახლა სრულად წარმოვადგენთ ა. შანიძის ცხრილს, ასპექტთან დაკავშირებით მოყვანილს.

I სერია

	აწმყო (უ ს რ უ ლ ი)	**მყოფადი** (ს რ უ ლ ი)
მხ.	1.3. ვტეხ	გა-ვტეხ
	2.3. სტეხ	გა-სტეხ
	3.3. ტეხს	გა-ტეხს
მრ.	1.3. ვტეხთ	გა-ვტეხთ
	2.3. სტეხთ	გა-სტეხთ
	3.3. ტეხენ	გა-ტეხენ

II სერია

წყვეტილი

(უ ს რ უ ლ ი)	(ს რ უ ლ ი)
ვტეხე	გა-ვტეხე
სტეხე	გა-სტეხე
ტეხა	გა-ტეხა
ვტეხეთ	გა-ვტეხეთ
სტეხეთ	გა-სტეხეთ
ტეხეს	გა-ტეხეს

III სერია

I თურმეობითი

(უ ს რ უ ლ ი)	(ს რ უ ლ ი)
მიტეხია	გა-მიტეხია
გიტეხია	გა-გიტეხია
უტეხია	გა-უტეხია
გვიტეხია	გა-გვიტეხია
გიტეხიათ	გა-გიტეხიათ
უტეხია(თ)	გა-უტეხია(თ)

I სერია

უ ს რ უ ლ ი (აწმყოს წრე)			
აწმყო	ვტეხ	ვაქებ	ვმალავ

უწყვ.	ვტეხდი	ვაქებდი	ვმალავდი
აწმყ. კავშ.	ვტეხდე	ვაქებდე	ვმალავდე

ს რ უ ლ ი (მყოფადის წრე)

მყოფადი	გა-ვტეხე	შე-ვაქებ	და-ვმალავ
I ხოლმ.	გა-ვტეხდი	შე-ვაქებდი	და-ვმალავდი
მყოფ. კავშ.	გა-ვტეხდე	შე-ვაქებდე	და-ვმალავდე

II სერია

	(უ ს რ.)	(ს რ.)	(უ ს რ.)	(ს რ.)	(უ ს რ.)	(ს რ.)
წყვეტ.	ვტეხე	გა-ვტეხე	ვაქე	შე-ვაქი	ვმალე	და-ვმალე
II ხოლმ.	ვტეხი	გა-ვტეხი	ვაქი	შე-ვაქი	ვმალი	და-ვმალი
II კავშ.	ვტეხო	გა-ვტეხო	ვაქო	შე-ვაქო	ვმალო	და-ვმალო
ბრძან.	ტეხე	გა-ტეხე	აქე	შე-აქო	მალე	და-მალე

III სერია

	(უ ს რ.)	(ს რ.)	(უსრ.)	(ს რ.)	(უ ს რ.)	(ს რ.)
I თურმ.	მიტეხია	გა-მიტეხია	მიქია	შე-მიქია	მიმალავს	და-მიმალავს
II თურმ.	მეტეხა	გა-მეტეხა	მექო	შე-მექო	მემალა	და-მემალა
III კავშ.	მეტეხოს	გა-მეტეხოს	მექოს	შე-მექოს	მემალოს	და-მემალოს

არსებითი ამ ცხრილში ისაა, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება ერთ პრინციპს ემყარება სამივე სერიაში; პარადიგმებიც ერთგვარადაა აგებული სამივე სერიაში. ამ ფაქტს კიდევ გავიხსენებთ...

* * *

წარმოვადგინეთ არსებული თვალსაზრისები. კითხვაზე — რა არის მწკრივი, როგორია მისი სტრუქტურა — პასუხი გასაცემია.

V. 3.9. მწკრივის რაობა და სტრუქტურა. მწკრივი არის ენაში ზმნის არსებობის, მისი ფუნქციონირების ფორმა.

მწკრივი არის ერთობლიობა ფორმებისა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით; შესაბამისად, ერთი მწკრივის ფორმებია:

ვ-ხატავ მე მას ვ-ხატავ-თ ჩვენ მას

ხატავ	შენ	მას	ხატავ-თ	თქვენ	მას
ხატავ-ს	ის	მას	ხატავ-ენ	ისინი	მას
მ-ხატავ-ს	ის	მე	მ-ხატავ-ენ	ისინი	მე
გ-ხატავ-ს	ის	შენ	გვ-ხატავ-ენ	ისინი	ჩვენ
მ-ხატავ	შენ	მე	გვ-ხატავ	შენ	ჩვენ
გ-ხატავ	მე	შენ	გ-ხატავ-თ	მე	თქვენ...

მწკრივი იგივეა ზმნისათვის, რაც ბრუნვა სახელისათვის.

თუ ბრუნვის კატეგორიას ქმნის ბრუნვის ფორმათა ერთობლიობა, შესაბამისად, მწკრივის კატეგორიას ქმნის მწკრივის ფორმათა ერთობლიობა.

ანუ: მწკრივის კატეგორია იმდენ წევრიანია, რამდენი მწკრივიც არის ენაში.

შენიშვნა: მწკრივი არის სახელწოდება კატეგორიისაც და ამ კატეგორიის თითოეული წევრისა (შდრ.: ბრუნვის კატეგორია და თითოეული ბრუნვა); განსხვავებით სხვა კატეგორიებისაგან; მაგ.: რიცხვის კატეგორიის წევრებია მხოლობითი რიცხვი და მრავლობითი რიცხვი...

ფორმობრივად მწკრივი რთული მონაცემია. მწკრივისათვის უმთავრესი მორფოლოგიური ოდენობა მწკრივის ფუძეა.

მწკრივის ფუძე არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები.

შენიშვნა: ზმნისწინისა და ხმოვანპრეფიქსების თაობაზე მწკრივის ფორმასთან მიმართებით ცალკე გვექნება საუბარი.

ამთავითვე შევნიშნავთ: ზმნისწინითა და ხმოვანპრეფიქსებით განსხვავებული ფორმები სხვადასხვა ზმნებია ლექსიკურად; ზმნისწინითა და ხმოვანპრეფიქსებით განსხვავებული გეზი და ორიენტაცია, ასპექტი, ქცევა, გვარი წარმოქმნის კატეგორიებია (ა. შანიძე). გა-ვ-იკეთებ, ვ-იკეთებ, ვ-ა-კეთებ, ვ-უ-კეთებ — სხვადასხვა ზმნებია... ამგვარად: მწკრივის ფუძეა **წერ-დ-ე — კეთ-ებ-დ-ე.** ანუ: მწკრივის ფუძის სტრუქტურას ქმნის „მარტივი ფუძე“ (ძირეული მორფემა — სკოლარული გაგებით), თემის ნიშანი, სავრცობი, მწკრივის ნიშანი.

შენიშვნა: „მარტივი ფუძე“ („ძირეული“ მორფემა) პირობითი ტერმინებია: იგულისხმება ის ნაწილი ზმნური ფორმი-

სა, რომელიც წარმოდგენილია ყველა მწკრივის ფორმაში. შესაბამისად: კაუზატიურ ფორმებში „მარტივი ფუძე“ იქნება **კეთებინ, დო**ნიან ვნებითებში — **კეთ-დ.** ძირეული ამ შემთხვევაში არ უდრის ძირს ეტიმოლოგიური გაგებით...

მარტივი ფუძე არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთოა ზმნის სრული პარადიგმის ყველა წევრისათვის.

შენიშვნა: სკოლარულ გამოცემებში პარადიგმის ყველა წევრისათვის საერთო ნაწილს ძირს უწოდებენ; თუმცა **ძირად** დაუშლელი ნაწილი გაიაზრება, რაც არ ითქმის სრული პარადიგმის საერთო ნაწილის შესახებ. პირობითია ტერმინიც მარტივი ფუძე; შედგენილობით „მარტივი ფუძე“ შეიძლება იყოს „რთული“ („თვალწინ **გაისიგრძეგანა** — ამ ფორმაში **სიგრძეგან** „მარტივი ფუძეა“).

თემის ნიშანი — არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც განასხვავებს I სერიის რთულ თემას II სერიის მარტივი თემისაგან.

ხატ-**ავ**-ას — ხატ-ა.

სავრცობი არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც **აწმყოს** (მყოფადის) მწკრივის ფორმას განასხვავებს უწყვეტლის (ხოლმეობითის) ფუძისაგან:

ხატ-ავ-**დ**-ა — ხატ-ავ-ს
თლ-**იდ**-და თლ-ი-ს
ტირ-**ოდ**-ა ტირ-ი-ს

მწკრივის ნიშანი არის ის ელემენტი ზმნური ფორმისა, რომელიც ორ, ერთმანეთთან ფორმობრივად დაკავშირებულ მწკრივის ფუძეს განასხვავებს:

შენიშვნა: ერთმანეთთან ფორმობრივად ურთიერთდაკავშირებულად მივიჩნევთ იმ ფუძეებს, რომლებიც ერთმანეთს მიემართებიან ან ხაზოვანი, ან ჩანაცვლების პრინციპით (იხ. § I. 10.).

წერ-ს → **წერ-დ**-ა, ერთი მხრივ, და
და-ვ-წერ-**ე**

და-ვ-წერ-**ო** — მეორე მხრივ.

სხვადასხვა მწკრივს სხვადასხვა ფუძე უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად, რამდენადაც ზმნურ ფორმათა წარმოება ფუძეთა წარმოების საგანია (არნ. ჩიქობავა), იმდენი მწკრივი გვექნება, რამდენი დამოუკიდებელი ფუძეც არის მწკრივისა.

მწკრივის ანალიზისას გმოვყოფთ მწკრივის **საყრდენ ფუძეს.**

მწკრივის საყრდენ ფუძეს ვუწოდებთ იმ ნაწილს მწკრივის ფუძისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს მწკრივის ნიშანი.


ვ-**წერ-დ**-ე; მწკრივის ფუძეა **წერდე**; მწკრივის ნიშანი **-ე**; მწკრივის საყრდენი ფუძე — **წერდ.**


მწკრივის ფორმათა წარმოების ხაზოვანი პრინციპის შემთხვევაში ერთი მწკრივის საყრდენი ფუძე სრულად შედის მეორე მწკრივის საყრდენ ფუძეში:

ვ-**ტირ**-ი → ვ-**ტირ-ოდ**-ი
ვ-**ხატ-ავ** → ვ-**ხატ-ავ-დ**-ი

შენიშვნა: მწკრივის ფორმათა ნულოვანი წარმოებისას (ე. ი. როცა მწკრივის ნიშანი ნულოვანი მორფემაა), **მწკრივის ფუძე** და **მწკრივის საყრდენი ფუძე** ერთმანეთს ემთხვევა.

მწკრივის ფორმათა წარმოების ჩანაცვლების პრინციპის შემთხვევაში ურთიერთჩანაცვლებად მწკრივებს საერთო საყრდენი ფუძე აქვს:





მწკრივის ფუძეზე საუბრისას მხედველობაში არ მიიღება მოქმედი ფონეტიკური პროცესის შედეგად მომხდარი ცვლილებებით მიღებული განსხვავებანი.

მაგ. ვ-**წერ-ე**
წერ-ა

I მაგალითში მწკრივის ფუძეა **წერ-ე**, მეორე მაგალითში **წერ**; მაგრამ ეს არის არასრული (მაწარმოებელმოკვეცილი) ვარიანტი მწკრივის ფუძისა: წერ-ე-ა → წერ-ა...

ფუნქციური თვალსაზრისით მწკრივი რთული მონაცემია; პოლისემანტიკური მონაცემია. მასში ერთდროულადაა წარმოდგენილი ზმნის სხვადასხვა ფუნქციური კატეგორიები (ოდენფუნქციური და ფორმობრივ-ფუნქციური): დრო, კილო, ასპექტი, გზისობა, აქტი... ერთობლიობა ამ ფუნქციებისა (კომბინაციები ამ ფუნქციებისა) ქმნის მწკრივის სემანტიკას. მაგალითად:

	დრო	კილო	ასპექტი	გზისობა	აქტი
აკეთებდა	წარს.	თხრ.	უსრ.	**მრავალგზ.**	ნანახი
აკეთა	წარს.	თხრ.	უსრ.	**ერთგზისი**	ნანახი

ფორმობრივად განსხვავებული ორი ერთეული სხვადასხვა მწკრივის ფორმაა, რადგანაც ისინი ფუნქციურ სხვაობასაც ავლენენ.

ფუნქციურად განსხვავებული ორი ერთეული არ ჩაითვლება სხვადასხვა მწკრივის ფორმებად, თუ მათ შორის არაა ფორმობრივი სხვაობა:

	დრო	კილო	ასპექტი	გზისობა	აქტი
გააკეთე (თხრობით კონტექსტში)	**წარსული**	**თხრობითი**	სრული	ერთგზისი	ნანახი
გააკეთე (ბრძანებით კონტექსტში)	**მომავალი**	**ბრძანებითი**	სრული	ერთგზისი	ნანახი

მწკრივის თვალსაზრისით **გააკეთე** წყვეტილია...

ფორმობრივად განსხვავებული ისეთი ერთეულები, როგორებიცაა:

მო-ვ-ა-**სწარ**	და	მო-ვ-ა-**სწრ-ე**
მო-ვ-**რწყ-ი**	და	მო-ვ-**რწყ-ე**
ი-**ქნ-ე**-ს	და	ი-**ქნ-ა**-ს
და-უ-**ხატ-ავ**-ს	და	და-**უ-ხატ-ი-ა**

ვერ ჩაითვლება სხვადასხვა მწკრივის ფორმებად, რადგანაც ფუნქციურად იდენტური ოდენობებია: ნებისმიერ კონტექსტში შეიძლება მოხდეს მათი ურთიერთჩანაცვლება. წარმოდგენილი წყვილები ერთი და იმავე მწკრივების ფორმობრივი ვარიანტებია.

IV. 3.10. მწკრივთა რაოდენობა ახალ ქართულში. როგორც აღინიშნა, ახალ ქართულში 11 მწკრივი გამოიყოფა. პირველი სერია 6 საუღლებელი ერთეულითაა წარმოდგენილი:

ა წ მ ყ ო ს წ რ ე

1. **აწმყო** — ვწერ
2. **უწყვეტელი** — ვწერდი
3. **აწმყოს კავშირებითი** — ვწერდე

მ ყ ო ფ ა დ ი ს წ რ ე

1. **მყოფადი** — დავწერ
2. **ხოლმეობითი** — დავწერდი
3. **მყოფ. კავშირებითი** — დავწერდე

ფორმობრივი თვალსაზრისით დაპირისპირება

ვწერ — და-ვწერ
ვწერდი — და-ვწერდი
ვწერდე — და-ვწერდე

იმავე რიგისაა, როგორიც

ვწერე — და-ვწერე
ვწერო — და-ვწერო
მიწერია — და-მიწერია
მეწერა — და-მეწერა
მეწეროს — და-მეწეროს

თუ პირველი სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები სხვადასხვა მწკრივის ფორმებადაა მიჩნეული, მეორე და მესამე სერიის შემთხვევაში ამგვარადვე დაპირისპირებული ფორმები სხვადასხვა მწკრივისებად არ გაიგება:

ვწერ	—	აწმყო	მაგრამ	ვწერე	} წყვეტილი
და-ვწერ	—	მყოფადი		და-ვწერე	

როგორც ცნობილია, ძველ ქართულშიც გვაქვს ამგვარივე დაპი-

რისპირება პირველ სერიაში ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის, მაგრამ ზმნისწინით განსხვავებული ფორმები სხვადასხვა მწკრივად არ გაიაზრებოდა. ასპექტის სისტემაში მომხდარი ცვლილებები აწმყოს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის დროული დაპირისპირების საფუძველი გახდა: უზმნისწინო ფორმამ აწმყო დროის გადმოცემა იტვირთა, ზმნისწინიანმა — მომავლისა. „პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჯგუფის სამი მწკრივისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთიმეორისაგან შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც. ეს მოხდა ისე, რომ გარეგნულად ახალი არაფერი არ ყოფილა შექმნილი, — გამოყენებული იქნა არსებული მარაგი ფორმებისა, ოღონდ გრამატიკული შინაარსის შეცვლით!“ (ა. შანიძე). „უზმნისწინო ფორმა ახლანდელ დროს აღნიშნავს, ზმნისწინიანი — მომავალს. ასე მივიღეთ ერთის ნაცვლად ორი მწკრივი: აწმყო და მყოფადი. ასევე გაიმიჯნა მათგან ნაწარმოები სხვა მწკრივებიც: უწყვეტელი და ხოლმეობითი, აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი“ (ზ. ჭუმბურიძე).

ამგვარად, მყოფადის დამოუკიდებელ მწკრივად გამოყოფა დროის კატეგორიის საფუძველზე მოხდა. „მწკრივის ელემენტების“ მიხედვით თუ შევადარებთ აწმყოსა და მყოფადს, ასეთ სურათს მივიღებთ:

აწმყო:	დრო —	უმეტესად ახლანდელი	მყოფადი:	დრო —	მომავალი
	კილო —	თხრობითი		კილო —	თხრობითი

თუ დავუშვებთ, რომ ამგვარი დაპირისპირება საკმარისია **წერს** და **დაწერს** ფორმათა სხვადასხვა მწკრივებად მიჩნევისათვის, გაჭირდება ამგვარივე საფუძვლის მოძებნა **წერდა — დაწერდა** ფორმათათვის. ამ ფორმებს ასე ახასიათებენ:

უწყვეტელი	**ხოლმეობითი**
დრო — წარსული	დრო — წარსული
კილო — თხრობითი	კილო — თხრობითი
თანამდევრობა — ერთდროული	გზისობა — მრავალგზისი

გავითვალისწინოთ ისიც, რომ თანამდევრობას „ზოგჯერ შეიცავს“ და ასევე ზოგჯერ შეიძლება გამოხატოს მრავალგზისი მოქმედება (ა. შანიძე).

როგორც ვხედავთ, ე. წ. „უღლების კატეგორიათა“ მიხედვით დახასიათება უწყვეტლისა და ხოლმეობითისა იდენტურია. მართალია,

ა. შანიძე უწყვეტლის მწკრივის დახასიათებისას ხაზგასმით არ მიანიშნებს მრავალგზისობაზე, მაგრამ ხოლმეობითის კატეგორიაზე მსჯელობისას აღნიშნავს, „ცოცხალ კილოთა უმეტესობამ და სალიტერატურო ქართულმა ეს ფორმები (ე. ი. მრავალგზისობის გამომხატველი ფორმები — გ. გ.) დაკარგა, სამაგიეროდ მათი გამოხატვა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა“ (ა. შანიძე). ამდენად, „უღლების კატეგორიათა“ მიხედვით უწყვეტლისა და ხოლმეობითის მწკრივებს შორის სხვაობა არაა. თუმცა ხოლმეობითის მწკრივისაგან უწყვეტლისათვის განმასხვავებელ ნიშნად თანამდევრობაც მიიჩნევა: „ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს, — სახელდობრ ერთდროულობას წარსულში“ (ა. შანიძე). არაა შემთხვევითი, რომ ავტორი თანამდევრობას უწყვეტლის ფორმისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებლად არ მიიჩნევს („ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს“...). როგორც აღვნიშნეთ, თანამდევრობა, თუკი საერთოდ შეიძლება ჩაითვალოს კატეგორიად, არაა მორფოლოგიური კატეგორია. მსჯელობა — „**ერთდროულია** ზმნის ფორმა, რომელიც გვაგებინებს, რომ ერთი მოქმედება სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად ხდებოდა“ — გულისხმობს, რომ თანამდევრობაზე მხოლოდ რთულ კონსტრუქციებში შეიძლება საუბარი. მოყვანილი მაგალითებიც ამის დასტურია: „შინ რომ მივედი, თოვდა“. „თოვდა“ ფორმით გამოხატული დრო ემთხვევა შინ დაბრუნების დროს“. მარტივ კონსტრუქციებში ხმარებულ უწყვეტლის ფორმით გამოხატულ თანამდევრობაზე ვერ ვისაუბრებთ. ფაქტობრივ თანამდევრობა გამოდის სხვადასხვა კონსტრუქციაში სხვადასხვა ზმნით გამოხატულ მოქმედებათა ურთიერთმიმართება დროის თვალსაზრისით, რაც ამა თუ იმ ზმნის მორფოლოგიურ მახასიათებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, ა. შანიძე უწყვეტელსა და ხოლმეობითს შორის ასპექტურ სხვაობაზეც მიანიშნებს: უფრო ზუსტად, უწყვეტლისათვის დამახასიათებლად უსრული ასპექტის გამოხატვას მიიჩნევს: „ზოგჯერ აგრეთვე სრული ასპექტის გადმოცემა ეკისრება“, მაგრამ ასპექტი, ავტორის აზრით, წარმოქმნის კატეგორიაა და უღლების საკითხების განხილვისას, კერძოდ, მწკრივთა გამოყოფისას, მხედველობაში არ მიიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში **აკეთა** და **გააკეთა** სხვადასხვა მწკრივის ფორმებად ჩაითვლებოდა...

გამოდის, რომ აწმყო-მყოფადის გამოყოფა მოხდა უღლების ერთ-ერთი კატეგორიის — დროის — მიხედვით. უწყვეტელი და ხოლმეობითი უღლების კატეგორიათა მიხედვით

არ განსხვავდება. მივიჩნევთ კი მაინც სხვადასხვა მწკრივებად აწმყოსა და მყოფადის მსგავსად.

ასეთივეა მიმართება აწმყოს კავშირებითსა და მყოფადის კავშირებითს შორის.

„**აწმყოს კავშირებითი.** შედგება ორი ელემენტისაგან: დროისა და კილოსაგან. დრო ეხლანდელია ან მომავალი, კილო — კავშირებითი“ (ა. შანიძე).

„**მყოფადის კავშირებითი.** ამ მწკრივს მოეპოვება ორი ელემენტი: დრო (მომ.) და კილო (კავშ.)“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ორ მწკრივს შორის არსებითი სხვაობა არაა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ აწმყოს კავშირებითს, როგორც აღნიშნავენ, შეიძლება ზოგჯერ ახლანდელი დროის გაგებაც ჰქონდეს.

თუ ამ ფაქტს დავემყარებით, გამოვა, რომ აწმყოს კავშირებითი დამოუკიდებელ მწკრივად მაშინ უნდა მივიჩნიოთ, როცა ის აწმყო დროის გამომხატველია. თუ მას მომავალი დროის გაგება ექნება, მისი მახასიათებლები დაემთხვევა მყოფადის კავშირებითისას და, ამდენად, ცალკე მწკრივად მისი გააზრება არც იქნება შესაძლებელი.

რა განასხვავებს არსებითად უწყვეტელს ხოლმეობითისაგან და აწმყოს კავშირებითს მყოფადის კავშირებითისაგან? სხვაობა ასპექტურია: „აწმყოს წრის მწკრივები უსრული ასპექტისაა, მყოფადის წრისა კი — სრულისა“ (ა. შანიძე). **ვწერდი** და **ვწერდე** უსრული ასპექტის ფორმებია, **დავწერდი** და **დავწერდე** — სრულისა. ვიმეორებთ, სხვა განსხვავება ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის არ არის.

ანალოგიური ხასიათის სემანტიკური დაპირისპირებაა მეორე და მესამე სერიის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორისაც:

უსრული ასპექტი	**სრული ასპექტი**
ვწერე	და-ვწერე
ვწერო	და-ვწერო
მიწერია	და-მიწერია
მეწერა	და-მეწერა
მეწეროს	და-მეწეროს

აშკარაა, რომ მწკრივთა გამოყოფის პრინციპი დარღვეულია: თუ მეორე და მესამე სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთი მწკრივისებადაა მიჩნეული, სხვადასხვა მწკრივის ფორმებად არ უნდა ჩაითვალოს **წერდა** და **დაწერდა, წერდეს** და **დაწერდეს;** ანდა პირი-

ქით — სხვადასხვა მწკრივის ფორმებად უნდა მივიჩნიოთ მეორე და მესამე სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტებიც (როგორც ეს გააკეთა დ. ყიფიანმა).

თითქოსდა სხვაგვარია ვითარება აწმყოსა და მყოფადის შემთხვევაში. მართალია, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს შორის ასპექტური სხვაობა აქაც ისეთივეა, როგორც სხვა შემთხვევაში — აწმყოს ფორმები უსრული ასპექტისა, მყოფადისა — სრულის (ა. შანიძე) — მაგრამ მათ შორის დროული მიმართების საკითხი დგება განსხვავებულად. არის თუ არა ეს საკმარისი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა მწკრივად მიჩნევისათვის?

ვფიქრობთ, არა:

აწმყო-მყოფადის ფორმათა დაპირისპირებაში ზმნისწინს განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული; როგორც ითქვა, აწმყოს საფუძველზე ორი მწკრივის გამოყოფა — აწმყოსა და მყოფადის — შედეგია ზმნისწინის მიერ დროული დაპირისპირების ფუნქციის შეძენისა. ზმნისწინს მწკრივთა მაწარმოებლადაც მიიჩნევენ: „ზმნისწინს ქართულში და, საერთოდ, ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, რამდენიმე ფუნქცია აკისრია: მიმართულების (გეზისა და ორიენტაციის) ჩვენება, სრული ასპექტის გამოხატვა, **მწკრივთა წარმოება** და ზმნის ფუძის მნიშვნელობის შეცვლა“ (ზ. ჭუმბურიძე) (ხაზი ჩვენია — გ. გ.). მიუხედავად იმისა, რომ მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფა სამეცნიერო გრამატიკაში ა. შანიძემ დაამკვიდრა, მის ნააზრევში ზმნისწინის ფუნქციად მწკრივთა წარმოება არაა მიჩნეული. ა. შანიძე მიუთითებს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის არსებულ დროულ დაპირისპირებაზე აწმყოსა და მყოფადს შორის და ამის საფუძველზე ახდენს ახალი მწკრივის გამოყოფას. აწმყო-მყოფადის ანალოგიით ხდება მყოფადის წრის სხვა მწკრივთა გამოყოფაც: „პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჯგუფის სამი მწკრივისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთიმეორისაგან, შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც“ (ა. შანიძე).

როგორც ვხედავთ, ასპექტის სისტემაში მომხდარი ცვლილებები იწვევს ზმნისწინთა ფუნქციების ზრდას, რაც საფუძვლად ედება მყოფადის წრის გამოყოფას. ავტორი თავს არიდებს, მიიჩნიოს ზმნისწინი მწკრივის მაწარმოებლად. ეს არის საფუძველი იმისა, რომ მწკრივთა წარმოების საკითხების განხილვისას ცალ-ცალკე არ განიხილავს აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივთა წარმოებას; მიუთითებს კიდეც: „პირველ

სერიაში ორი წრის მწკრივები შემოდის, მაგრამ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით არსებითად ერთი რომელიმე წრის მწკრივებია საკმარისი (მაგ., აწმყოს წრისა), რადგან ორ წრედ გაყოფა ერთი სერიისა ახალი სისტემის ასპექტის შექმნასთან დაკავშირებით მოხდა და განაყოფ მწკრივებს ერთნაირი ნიშნები აქვთ“ (ა. შანიძე). ამიტომაც, ავტორი მსჯელობს აწმყოს წარმოებაზე და გულისხმობს მყოფადსაც...

აწმყო-მყოფადის მიმართების საკითხი რომ მხოლოდ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა მიმართების გარკვევით არ გადაწყდება, ეს, რა თქმა უნდა, აშკარა და ნათელია ავტორისათვის და ამიტომაცაა, რომ ზმნისწინს მწკრივის მაწარმოებლად არ მიიჩნევს. ა. შანიძე ხაზგასმით აღნიშნავს: „იმდენად მრავალფეროვანია წარმოქმნის ნუანსები ზმნისწინთა გამოყენების საკითხში, რომ შეუძლებელია, სპეციალური გამოკვლევის გარეშე, თუნდაც მიახლოვებით, აღინუსხოს ძირითადი ხაზები ამ საკითხში“ (ა. შანიძე). ა. შანიძის მოძღვრების საფუძველზე შექმნილ ნაშრომებში კი სხვა ავტორებთან ზმნისწინი მწკრივის მაწარმოებლადაა მიჩნეული (ლ. კვაჭაძე; ა. კიზირია; ზ. ჭუმბურიძე).

IV. 3.11. მყოფადის წრის გამოყოფის ისტორია და მართებულობა. პასუხის გაცემას საჭიროებს კითხვები: არის კი ზმნისწინი ის ელემენტი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ აწმყო-მყოფადის განმასხვავებლად? სხვაგვარად: აწმყო-მყოფადის ფორმათა დაპირისპირება შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, როგორც დაპირისპირება სხვადასხვა საუღლებელი ერთეულებისა? საერთოდ, რა ფორმობრივი საფუძველი გვაქვს აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად მიჩნევისა?

ახლანდელი და მომავალი დროების გამოხატვა, რაც აწმყოსა და მყოფადის მწკრივთა სხვაობის საფუძვლადაა მიჩნეული, ყოველთვის არაა დაკავშირებული ზმნისწინთან.

ა) მოქმედებითი გვარის ზმნათა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის ფორმებს ზმნისწინი განასხვავებს:

აწმყო	**მყოფადი**
აკეთებს	გა-აკეთებს
აშენებს	ა-აშენებს
ხატავს	და-ხატავს
წერს	და-წერს და მრავალი სხვა.

შენიშვნა: როცა მყოფადის ფორმებში ზმნისწინთა შენაცვლება

დროული მიმართების თვალსაზრისით არაფერს შეცვლის, მაგალითებში მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს წარმოვადგენთ, უფრო ნეიტრალურს, ზოგადი სემანტიკის გამომხატველს.

მაგრამ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება ამ ტიპის ზმნებშიც არაა ყოველთვის ერთგვარი. თუ ზმნისწინიანი ფორმა, ჩვეულებრივ, მხოლოდ მომავალ დროს გამოხატავს, უზმნისწინოს შესწევს უნარი გამოხატოს როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი დრო (ა. შანიძე). ა. შანიძე ამ ტიპის მაგალითებად ასახელებს ზმნებს: ვჭამ, ვწერ, ვაშენებ, ვასწავლი... მაგალითების დასახელება შეიძლება გაგრძელდეს. ფაქტია, ამგვარი ფორმები კონტექსტისდა შესაბამისად შეიძლება ერთ შემთხვევაში ახლანდელ დროს გამოხატავდეს, სხვა შემთხვევაში, მომავალს (ზოგჯერ შეიძლება დროული მნიშვნელობისაგან საერთოდ დაცლილი იყოს). ფორმათა განაწილება დროული თვალსაზრისით ასეთი იქნება:

ახლანდელი	**მომავალი**
ვჭამ	ვჭამ — შე-ვჭამ

ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება მომავალი დროის გამოხატვის შემთხვევაში ასპექტური იქნება, ისეთივე, როგორიცაა II და III სერიაში:

უსრული ასპექტი — ვჭამ, სრული ასპექტი — შევჭამ.

ბ) არის ერთი ნაწილი გარდამავალი ზმნებისა, რომლებიც „ზმნისწინის დართვის უნარს მოკლებულია“ და „ერთი და იმავე ფორმით გადმოსცემს როგორც ახლანდელ დროს, ისე მომავალს. ასე მაგალითად, **ადღეგრძელებს** ნიშნავს როგორც „სადღეგრძელოს ეუბნება“, ასევე „სადღეგრძელოს ეტყვის“ (ზ. ჭუმბურიძე).

ამ ტიპის ზმნებია: აიძულებს, ანიშნებს, აგემებს, აკურთხებს, ამცნობს, ამხილებს, ანაცვალებს და სხვა.

შენიშვნა: მყოფადის წარმოების საკითხები — წარმოების საშუალებები — საფუძვლიანად არის შესწავლილი ზ. ჭუმბურიძის მონოგრაფიაში „მყოფადი ქართველურ ენებში“. ჩვენი მსჯელობა ძირითადად ამ ნაშრომს ემყარე-

ბა.

ასეთივეა ვითარება მხოლოდ **უ-** პრეფიქსიანი მოქმედებითი გვარის ფორმებში: უანდერძებს, უბოძებს, უდეპეშებს, უთანაგრძნობს, უთვალთვალებს, უკარნახებს და მისთანანი (ზ. ჭუმბურიძე).

ზმნისწინს არ დაირთავს აგრეთვე მოზრდილი ჯგუფი მოქმედებითი გვარის ზმნებისა, რომელთა უმეტესობა ნასახელარია და **-ებ** თემის ნიშნით არის ნაწარმოები... „ამ ტიპის ზმნათა საარვისო ქცევის ფორმა გვხვდება მოქმედებით გვარში როგორც ახლანდელის, ისე მომავალი დროის გაგებით: აბანაკებს, (არ) აბოგინებს, ადარდებს, ადღეგრძელებს, ავახშმებს, ათარეშებს, ათევზავებს... და მრავალი სხვა“ (იქვე).

„ახლანდელი და მომავალი დროის ფორმები გარჩეული არაა უზმნისწინო ზმნათა შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც, როგორიცაა, მაგალითად: აგებინებს, აკურთხებინებს, აზღვევინებს, აცემინებს, აბანავებინებს, თავს ადებინებს და სხვა“ (იქვე).

გ) „არის ზმნათა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც მოქმედებას უპირატესად ხანგრძლივი პროცესის სახით წარმოგვიდგენს და უსრული ასპექტის ფორმით იხმარება. ასეთი ზმნები მყოფადში უფრო ხშირად უზმნისწინოდ გვხვდება, ასე რომ, აწმყოსა და მყოფადის (უსრული ასპექტის) ფორმათა დამთხვევა ამ ზმნებში სისტემატურ ხასიათს ატარებს. ასეთია, მაგალითად: აბოდებს, ათამაშებს, აკვნესებს, აკივლებს, აკოტრიალებს... და სხვანი“ (იქვე).

ჩვენ ის შემთხვევები წარმოვადგინეთ, როცა უზმნისწინო ფორმა გამოხატავს როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი დროის მნიშვნელობას.

დ) „ფორმით აწმყოა და უმთავრესად ახლანდელი დროის გაგებას ატარებს, მაგრამ ამჟამად მომავალი დროის გაგებითაც შეიძლება შეგვხვდეს ენიანი ვნებითის ფორმები: ეალერსება, ეარშიყება, ებაასება, ედუდუნება, ეთამაშება... ზოგი ამგვარი ფორმა მყოფადში ზმნისწინითაც შეიძლება წარმოგვიდგეს, რითაც გაირჩევა მყოფადის სრული და უსრული ასპექტი; მაგალითად: ეალერსება — მოეალერსება, ეარშიყება — გაეარშიყება, ებაასება — გამოებაასება და სხვანი“ (იქვე).

ე) არის შემთხვევები, როცა ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავს როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი დროის მნიშვნელობასაც. „ზმნები, რომლებიც აწმყოშიც ზმნისწინიანია, ზმნისწინს ვერ იცილებენ იმ შინაარსობრივი სხვაობის გამო, რაც ამ ზმნისწინის მეშვეობით არის გამოხატული... მაგალითად: მი-ბრძანდება, მი-აგებს... მო-ასწავებს, მო-უწოდებს, მო-იხსენიებს... და-ედგომება, და-ეჯერება, და-იშვება... გადმო-

ჰყურებს, გადმო-სცემს... შე-იცავს, შე-ეხება...“ (იქვე).

„განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ასეთ შემთხვევაში აღ-, აღმო- და გან-, გამო- ზმნისწინები: აღ-აშფოთებს, აღ-ადგენს... აღმო-ფხვრის, აღმო-აცენებს, აღმო-ცენდება... გან-აგებს, გან-აგრძობს, გან-ავრცობს... გამო-რიცხავს, გამო-სახავს... და სხვანი...“ „რაკი ეს ზმნები აწმყოშიაც ზმნისწინიანი არიან, აწმყოსა და მყოფადს ვეღარ განასხვავებენ და ორივე მწკრივში ერთი ფორმით წარმოგვიდგებიან... საზიარო ფორმათა შორის განსხვავება კონტექსტის მეშვეობით მყარდება“ (იქვე).

ვ) ისეთი შემთხვევებიც არის, როცა ზმნას აქვს როგორც უზმნისწინო, ასევე ზმნისწინიანი ფორმები, მაგრამ დროული მნიშვნელობა მხოლოდ ახლანდელისა აქვს; ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ, საშუალი გვარის ზმნებთან გვაქვს:

რბის — მირბის
ქრის — დაქრის
ხტის — დახტის და მრავალი სხვა.

ზ) არის შემთხვევებიც, როცა ზმნისწინიან თუ უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ მომავალი დროის გაგება აქვს:

ითამაშებს — გაითამაშებს
ირბენს — გაირბენს
იფრენს — გაიფრენს
იკითხავს — გაიკითხავს და მისთანანი.

ეს უკანასკნელი შემთხვევები სხვა მხრივაც არის საინტერესო: თუ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ აწმყო დროის გაგება აქვთ, ისინი იმავე ფუძისაგან მყოფადს ვერ იწარმოებენ; ნასესხები ფორმებით ივსებენ ნაკლულ მწკრივებს:

რბი-ს — ირბენ-ს
ქრი-ს — იქროლებ-ს
ხტი-ს — იხტუნებ-ს

და, შესაბამისად, თუ ზმნისწინიან ან უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ მომავალი დროის გაგება აქვთ, აწმყოში სხვა ფუძისაგან წარმოებული ფორმები ენაცვლებათ:

ითამაშებ-ს — თამაშობ-ს
იფრენ-ს — ფრენ-ს || ფრინავ-ს
იკითხავ-ს — კითხულობ-ს...

ეს იმითაა საინტერესო, რომ ამ ტიპის ზმნებში ზმნისწინებს დროული გაგება არ შეაქვთ...

თ) არის საგანგებო შემთხვევებიც, როცა მომავალი დროის მნიშვნელობის მქონე უზმნისწინო ფორმებს ზმნისწინის დართვა ახლანდელი დროის მნიშვნელობას ანიჭებს:

მომავალი დრო	ახლანდელი დრო
იგიჟებს — „გიჟივით მოიქცევა“;	**მოიგიჟებს** — „ცოტათი გიჟია, მთლად ჭკვიანი არ არის“;
იზარმაცებს — „ზარმაცობას დაიწყებს, ზარმაცობას მოჰყვება“;	**მოიზარმაცებს** — „ზარმაცის თვისებებს იჩენს, ოდნავ ზარმაცია“;
ითავხედებს — „თავხედობას გამოიჩენს, თავხედურად მოიქცევა“;	**წაითავხედებს** — „ცოტა არ იყოს, თავხედია“;
იკოჭლებს — „კოჭლობით ივლის“;	**მოიკოჭლებს** — „ოდნავ კოჭლია“;
იავადმყოფებს — „ავად იქნება გარკვეული დროის განმავლობაში“;	**მოიავადმყოფებს** — „ოდნავ ავად არის“;
იავადებს — „იგივეა, რაც იავადმყოფებს“;	**მოიავადებს** — „იგივეა, რაც მოიავადმყოფებს“;
ისულელებს — „სულელივით, სულელურად მოიქცევა, სისულელეს ჩაიდენს“	**მოისულელებს** — „ცოტა სულელია, მოსულელოა“.

შენიშვნა: განმარტებები აღებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“.

ასევე: **იბრიყვებს** და **მოიბრიყვებს**
იავებს და **წაიავებს**
იბეჯითეს და **წაიბეჯითებს** და მისთანანი.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ 8 ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც ახლანდელი და მომავალი დროების გამოხატვის თვალსაზრისით პრინციპულ სხვაობას იჩენენ იმ ტიპის ზმნებისაგან, რომლებშიც ახლანდელ და მომავალ დროებს ზმნისწინი განასხვავებს. წარმოდგენილი შემთხვევების განხილვა აშკარად წარმოაჩენს, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება არაა მყარი საფუძველი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა მწკრივად გამოყოფისათვის; სხვაგვარად: აწმყოსა და მყოფადის მწკრივებზე მსჯელობისას განზოგადება იმისა, რომ მყო-

ფადის ფორმა იწარმოება აწმყოსაგან ზმნისწინის დართვით, არ ჩანს გამართლებული, რადგან სურათი ასეთია:

უზმნისწინო ფორმას აქვს: 1. მხოლოდ აწმყოს გაგება
2. აწმყოსა და მყოფადის გაგება
3. მხოლოდ მყოფადის გაგება
ზმნისწინიან ფორმას აქვს: 1. მხოლოდ აწმყოს გაგება
2. მხოლოდ მყოფადის გაგება
3. აწმყოსა და მყოფადის გაგება

და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დრო და კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, შესაბამისად: ერთი მწკრივის ფორმათა მეორისაგან განსხვავებულად ვერ მივიჩნევთ ე. წ. „მწკრივის ელემენტებს“. მწკრივის განსაზღვრა ამ ელემენტების მიხედვით არ მოხერხდება — დროის კატეგორიის საფუძველზე აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა მწკრივებად ჩათვლა გაჭირდება.

ამდენად, ფორმაწარმოების თვალსაზრისით ფორმათა დაპირისპირება

ა კ ე თ ე ბ ს — გ ა ა კ ე თ ე ბ ს
ა კ ე თ ე ბ დ ა — გ ა ა კ ე თ ე ბ დ ა
ა კ ე თ ე ბ დ ე ს — გ ა ა კ ე თ ე ბ დ ე ს იმავე რიგისაა, როგორიც
ა კ ე თ ა — გ ა ა კ ე თ ა და სხვა.

ყველა შემთხვევაში განსხვავება ზმნისწინს ემყარება. ამიტომ I სერიაში ორი წრის გამოყოფის საკითხი მარტივად ვერ გადაწყდება: გვერდს ვერ ავუვლით გარეგნულად ამგვარადვე განსხვავებულ II და III სერიის ფორმებს, აქ ერთი არსებითი ხასიათის საკითხია გადასაჭრელი: რამდენადაც მწკრივთა სხვაობა ფუძეთა სხვაობაზეა დამყარებული, ზმნისწინისა და ზმნური ფუძის ურთიერთმიმართების საკითხი მოითხოვს გარკვევას.

IV. 3.12. შედის თუ არა ზმნისწინი მწკრივის ფუძეში? სანამ ამ კითხვას გავცემთ პასუხს, გავიხსენოთ, რა არის ფუძე. ზმნური ფუძის განმარტებისას ყურადღება პირისა და რიცხვის ნიშნებზეა გამახვილებული („ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები“). ამ განმარტების შესაბამისად, ზმნისწინი, თავისთავად ცხადია, ფუძის ნაწილად გაიაზრება. პირველი სერიის მწკრივთა ანალიზი მხოლოდ ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს:

ზმნისწინი აქ მწკრივებს განასხვავებს:

აკეთებს	—	გა-აკეთებს
აკეთებდა	—	გა-აკეთებდა
აკეთებდეს	—	გა-აკეთებდეს

სხვაგვარია ვითარება II და III სერიის შემთხვევაში: ზმნისწინის ქონა-არქონა მწკრივის ფორმათა განმასხვავებელი ფაქტორი არ არის; ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია:

აკეთა	და	გა-აკეთა
აკეთოს	და	გა-აკეთოს
უკეთებია	და	გა-უკეთებია
ეკეთებინა	და	გა-ეკეთებინა
ეკეთებინოს	და	გა-ეკეთებინოს

ზმნისწინი ამ შემთხვევაში ფუძისეულად აღარ გაიაზრება: წინააღმდეგ შემთხვევაში **აკეთა** და **გააკეთა** სხვადასხვა მწკრივის ფორმებად უნდა იქნეს გაგებული (როგორც აკეთებდა და გააკეთებდა), რამდენადაც მწკრივთა შორის სხვაობას ფუძეთა სხვაობა ქმნის.

მოკლედ: ზმნისწინისა და ზმნური ფუძის მიმართების საკითხი პრობლემურია და რთული. გარკვეული პასუხი კითხვაზე — ზმნისწინი შედის თუ არა ზმნურ ფუძეში (მწკრივის ფუძეში) — არაა გაცემული. მეტიც, ეს საკითხი არცაა დასმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვეულებრივ, ზმნურ ფუძეზე მსჯელობისას უზმნისწინო ფორმებს განიხილავენ. უფრო მეტიც, თუკი ამის შესაძლებლობა არსებობს, უღლების ტიპებსა და სახეობებზე მსჯელობისას ძირითადად უზმნისწინო ფორმებს წარმოგვიდგენენ.

არის ფაქტორები, რომლებიც ზმნისწინს ფუძისეულად გაგვააზრებინებს. ჯერ ერთი: ცალკეული ჯგუფის ზმნები ამა თუ იმ მწკრივის ფორმებში უზმნისწინოდ არ გვხვდება. მაგ.: „უზმნისწინოდ დონიანი ვნებითი (კეთდა, შენდა, ძლიერდა...) წყვეტილში შეუძლებელია (არნ. ჩიქობავა); ისიც ცნობილია, რომ ზმნისწინი ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის. გარდა ამისა, ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარება; გვაქვს: მი-ვიდა, მო-ვიდა... მაგრამ ცალკე **ვიდა** ამჟამად არ მოგვეპოვება (ა. შანიძე). ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულებად მიჩნევა (მაგ., „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“) ზმნისწინის ფუძისეულო-

ბას დაუჭერდა მხარს და, როგორც ითქვა, აწმყოს წრისა და მყოფადის წრის მწკრივთა სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად წარმოდგენა მხოლოდ ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით შეიძლება; ზმნათა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივთა ფორმების დაპირისპირება მხოლოდ ზმნისწინის საშუალებით ხდება.

მაგრამ ზმნისწინის ფუძისეულად გააზრებას ზმნურ ფორმაწარმოებაში რამდენიმე სირთულე ახლავს. პირველ რიგში, როგორც ითქვა, II და III სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები (წერა — დაწერა, ან ჩაწერა...) სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეს პირველ სერიაშია; ანდა, სხვადასხვა ზმნის (წერს, დაწერს, ჩაწერს...) — ერთი და იმავე მწკრივის ფორმებად. მაგრამ ამგვარად გადაწყვეტა საკითხისა წინააღმდეგობაში მოვა პირველი სერიის მწკრივთა გამოყოფის პრინციპთან.

თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, იმდენი ფუძე გვექნება ერთი და იმავე ზმნური ძირისაგან წარმოებული, რამდენი ზმნისწინიანი ვარიანტიც გვაქვს ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგ.: დაწერს, ჩაწერს, მიწერს, მოწერს, გაწერს, აღწერს, ამოწერს, გადაწერს, გამოწერს, ჩამოწერს, გადმოწერს... დღეს მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, ყველა ეს ფორმა ერთი და იმავე **წერს** ზმნის მყოფადის ფორმებია, ზმნისწინით განსხვავებული. სხვადასხვა ფუძეზე ან სხვადასხვა ზმნაზე ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ არ საუბრობენ. ზოგადად მიენიშნება, რომ ფორმა ზმნისწინიანია და ნიმუშად რომელიმე მათგანს (ჩვეულებრივ ნეიტრალური, ზოგადი სემანტიკური მნიშვნელობისას) წარმოადგენენ (მაგ. **წერს** ზმნისათვის **დაწერს** ფორმას). თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, იმდენ ფუძეზე უნდა ვილაპარაკოთ, რამდენი ზმნისწინიანი ფორმაც გვაქვს.

არის კიდევ ერთი არსებითი ხასიათის ფაქტორი: ა. შანიძე წერს — „ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის. ერთიც და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ სახელს ან ზმნას. მსგავსება ამით არ ამოიწურება. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე „სიტყვა“ (ოდესღაც დამოუკიდებელი) სახელთან თანდებულად არის გამოყენებული, ზმნასთან კი — ზმნისწინად)“. ტმესის მოვლენა ძველი ქართულისათვის ამ თვალსაზრისის ნათელი დადასტურებაა. სავსებით გასაზიარებელია ა. შანიძის დასკვნა, ამ მოვლენის განხილვის შედეგად გაკეთებული: „როგორც მაგალითებიდან ჩანს, ზმნისწინს ერთგვარი დამოუკიდებლობა აქვს, ის აუცილებლად მიკრული არ არის ზმნაზე...

დიდი არ არის ეს დამოუკიდებლობა, მაგრამ მაინც გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე. დღეს ტმესისა შორეული მოგონებაღა გვაქვს, რამდენადაც ზმნა და ზმნისწინი მაინც იყოფა პირისა, ქცევისა და გვარის ნიშნებად ან მიმღეობათა აფიქსებად“.

ზმნური ფორმაწარმოების საკითხების განხილვისას ჩვენ ამ უკანასკნელ თვალსაზრისს დავეყრდნობით; „ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის“. **ეს თვალსაზრისი ზმნისწინს ფუძისეულად არ გაგვააზრებინებს.**

მართალია, ამგვარი მსჯელობის საფუძველზე ზმნისწინის არაფუძისეულად მიჩნევა ერთგვარად პირობითია, მაგრამ ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხების განხილვისას ამ პირობითობას აქვს საფუძველი: მწკრივის ფუძეთა წარმოება არაა მჭიდრო კავშირში ზმნისწინთან; სხვადასხვა ზმნისწინთა მონაცვლეობა ერთი და იმავე მწკრივის ფორმასთან ასევე არ ქმნის პრობლემას ფორმაწარმოების თვალსაზრისით. ყველა მწკრივის ფორმათა გათვალისწინებით შესაძლებელია ზმნისწინთა ფუნქციების განზოგადება; ფუძის სემანტიკიდან გამომდინარე, ზმნისწინი ან მიმართულებას აღნიშნავს, ან ასპექტურ დაპირისპირებას ახდენს, ან ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის ზმნას (აწმყო-მყოფადის დაპირისპირების შემთხვევაშიც). განზოგადება არ მოხერხდება, როცა ზმნისწინი დროულ მიმართებას ცვლის, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი მხოლოდ დროული მნიშვნელობით დაპირისპირებას არასოდეს არ ახდენს: სხვა ფუნქციებიც არ გამოირიცხება ზმნისწინისა.

შენიშვნა: როგორც ითქვა, ზმნისწინის ფუნქციის განზოგადება პირველად დ. ყიფიანმა მოახდინა. შედეგად გამარტივდა უღლების სისტემა და ანალიზიც გაიოლდა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნისწინი პოლისემანტიკური მონაცემია — ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მნიშვნელობის შემცველი. რომელიმე კონკრეტულ ზმნურ ფუძესთან რა მნიშვნელობაც აქვს მას ერთ შემთხვევაში, იგივე მნიშვნელობა ექნება ამავე ზმნის სხვა მწკრივის ფორმებთან. სხვაობას რიგ შემთხვევაში აწმყო ქმნის (დროის ფაქტორი შემოდის აქ), მაგრამ ეს არ არის ზოგადი კანონზომიერება აწმყო-მყოფადის დაპირისპირებისა და, შესაბამისად, საფუძველი იმისა, რომ აწმყო და მისგან ნაწარმოები მწკრივები განვასხვავოთ მყოფადისა

და მისგან ნაწარმოები მწკრივებისაგან.

ამგვარმა გადაწყვეტამ გააბუნდოვნა ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხი: ერთგვარი წარმოების შემთხვევები სხვადასხვა მწკრივად იქნა აღქმული:

ა წ მ ყ ო		მ ყ ო ფ ა დ ი
ი-კეთ-ებ-ს	და	ი-მეფ-ებ-ს
უ-თვალთვალ-ებ-ს	და	უ-პატრონ-ებ-ს
და-ფრინ-ავ-ს	და	და-ხატ-ავ-ს

რა თქმა უნდა, ეს სირთულე აწმყო-მყოფადის დაპირისპირებაში შემჩნეული იყო. ა. შანიძე საკითხს ასე სვამს: „თუ წარმოებას მივაქცევთ ყურადღებას, **ისინი ყველა აწმყოს ფორმებია,** მაგრამ მნიშვნელობით უთუოდ მყოფადის წრის ზმნებთან ერთად არიან. აწმყოში მათ სხვა ზმნები ენაცვლებიან... და, ამის მიხედვით მათ მყოფადში აქვთ მოპოვებული ადგილი: „ვნახავ“ მყოფადის ფორმაა, „ვნაყავ“ კი — აწმყოსი, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად ნაწარმოები ფორმებია“. ამ შემთხვევაში, თუ ფორმას ორივე დროის გაგება შეიძლება ჰქონდეს, ზმნისწინიანები მყოფადში უნდა მოვათავსოთ (მაგ.: განსაზღვრავს, აღნიშნავს...), ხოლო უზმნისწინოები — აწმყოში (მაგ.: ადღეგრძელებს, ავახშმებს...) (იქვე). გამოდის, რომ თუ ფორმა პოლისემიურია დროს თვალსაზრისით, ანგარიშს ვუწევთ მხოლოდ ფორმას და უგულებელვყოფთ აწმყო-მყოფადის დაპირისპირების სემანტიკურ საფუძველს; ხოლო თუ ფორმა არაა პოლისემიური დროის მიხედვით, ანგარიშს ვუწევთ სემანტიკას და უგულებელყოფილი რჩება აწმყო-მყოფადის დაპირისპირების ფორმობრივი საფუძველი. ე. ი. თავს იჩენს წინააღმდეგობა.

თუ ერთსა და იმავე ფორმას დროული მნიშვნელობის სხვაობის მიხედვით სხვადასხვა მწკრივად მივიჩნევთ აწმყოსა და მყოფადში, ამ პრინციპით ბრძანებითის მწკრივის გამოყოფაც იქნებოდა შესაძლებელი ახალ ქართულში; მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სემანტიკური სხვაობა უფრო მკვეთრია (კილოს მიხედვითაც განსხვავდება); ვიდრე აწმყო-მყოფადის შემთხვევაში (აქ მხოლოდ დრო ქმნის სხვაობას); მაგრამ სრულიად სამართლიანად „გააკეთე“ და „გააკეთე!“ სხვადასხვა მწკრივის ფორმებად არ მიიჩნევა. ეს ფაქტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული აწმყო-მყოფადის მწკრივთა საკითხის გადაწყვეტისას.

როგორც ვხედავთ, აწმყოსა და მყოფადის დამოუკიდებელ მწკრივებად გამოყოფის საკითხი სერიოზულ სირთულეებს აწყდება. უპირველეს ყოვლისა, ირღვევა ზოგადი პრინციპი. ხოლო ხოლმეობითისა და

მყოფადის კავშირებითის დამოუკიდებელ მწკრივებად მიჩნევა არა მარტო არღვევს ამ პრინციპს, არამედ არსებითად ეწინააღმდეგება მას. თუ აწმყო-მყოფადის შემთხვევაში ზოგჯერ შეიძლება სემანტიკური მომენტი (დროული დაპირისპირება) მოგვეშველიებინა, მყოფადის წრის სხვა მწკრივთა შემთხვევაში ესეც გამოირიცხება.

ვიმეორებთ: მყოფადის წრის გამოყოფის გამართლება ზმნისწინს ფუძისეულად გაგვააზრებინებს. მაშინ, ასევე უნდა გადაწყდეს II და III სერიების მწკრივთა ფუძის საკითხიც — ზმნისწინს აქაც უნდა გაეწიოს ანგარიში; ამგვარი დაშვების შემთხვევაში ასპექტი გამოვა ის სემანტიკური მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს სხვადასხვა მწკრივად ჩავთვლიდით, ასე კი საკითხი ჯერ არ დასმულა და, ალბათ, არც უნდა დაისვას. როგორც აღინიშნა, ანგარიშგასაწევია და გასაზიარებელი დ. ყიფიანისეული გადაწყვეტა საკითხისა: „აუცილებელია, უნდა შემოკლდეს როგორმე ეს უღვლილება... განა არ შეიძლება, ერთხელ ითქვას და ამით გათავდეს, რომ ზმნას სახე სრული ყოველთვის მაშინ მიეცემა, როდესაც თავს პრეფიქსად ერთერთი მიმძღოლი თანდებული მიუჯდებაო“ (დ. ყიფიანი).

ამ თვალსაზრისს ისიც დაუჭერს მხარს, რომ, ჩვენი აზრით, დრო და კილო, ისევე როგორც თანამდევრობა, გეზი და ორიენტაცია, არაა მორფოლოგიური კატეგორიები და მხოლოდ დროული და კილოური მნიშვნელობების მიხედვით განსხვავებული ფორმები დამოუკიდებელ მწკრივებად არ უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, ზმნის ფუძის განმარტებისას ჩვენთვის ძალაში რჩება ტრადიციული თვალსაზრისი შემდეგი დაზუსტებით: **მწკრივის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები.**

რამდენადაც მწკრივთა გამოყოფა და დაჯგუფება საწარმოებელი ფუძის პრინციპს ემყარება, იმდენ მწკრივზე უნდა ვისაუბროთ, რამდენი განსხვავებული ფუძეც არსებობს.

მწკრივის ფუძის ამგვარი გაგების საფუძველზე უღლების სისტემა უნდა გაიმართოს იმ პრინციპზე, რა პრინციპითაც არის წარმოდგენილი II და III სერიაში. ეს თვალსაზრისი I სერიაში სამი მწკრივის გამოყოფას ვარაუდობს. ამისდაკვალად, ახალ ქართულში ზმნური ფორმები დაჯგუფდება სამ სერიად და 8 მწკრივად.

I სერია

1-ლი მწკრივი (**აწმყო-მყოფადი**) — (ზ მ ნ ი ს წ.)-ა კ ე თ ე ბ ს
მე-2 მწკრივი (უწყვეტელი-ხოლმეობითი) — (ზ მ ნ ი ს წ.)-ა კ ე თ ე ბ დ ა

მე-3 მწკრივი (I კავშირებითი) — (ზ მ ნ ი ს წ.)-ა კ ე თ ე ბ დ ე ს
II სერია

მე-4 მწკრივი (წყვეტილი) — (ზ მ ნ ი ს წ.)-ა კ ე თ ა
მე-5 მწკრივი (II კავშირებითი) — (ზ მ ნ ი ს წ.)-ა კ ე თ ო ს
III სერია

მე-6 მწკრივი (I თურმეობითი) — (ზ მ ნ ი ს წ.)-უ კ ე თ ე ბ ი ა
მე-7 მწკრივი (II თურმეობითი) — (ზ მ ნ ი ს წ.)-ე კ ე თ ე ბ ი ნ ა
მე-8 მწკრივი (III კავშირებითი) — (ზ მ ნ ი ს წ.)-ე კ ე თ ე ბ ი ნ ო ს

შენიშვნა: 1. რამდენადაც ერთსა და იმავე ზმნასთან შესაძლებელია სხვადასხვა ზმნისწინთა მონაცვლეობა, ვამჯობინებთ, პირობითად მივანიშნოთ მათზე.

2. ტერმინთა პირობითობის თაობაზე ზემოთაც ითქვა. I სერიაშიც ამჯერად ტრადიციული ტერმინების დატოვებას ვამჯობინებთ. გარკვეულ უხერხულობას შეიძლება ქმნიდეს პირველი და მეორე მწკრივის სახელები (აწმყო-მყოფადი, უწყვეტელ-ხოლმეობითი), მაგრამ ახალი ქართულისათვის მსჯელობის გასაადვილებლად ეს პირობითობაც დასაშვებად მიგვაჩნია.

განსახილველ პრობლემებთან დაკავშირებთ საინტერესო და ანგარიშგასაწევია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ჩვენება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიამ ტრადიციისაგან განსხვავებით ზმნის პირიანი ფორმა მიიჩნია ძირითად სალექსიკონო ერთეულად. უპირატესობა მიენიჭა აწმყოს მესამე პირის ფორმას: „ზმნის ლექსიკურ ერთეულად კომისიამ მიიღო **აწმყოს** (მყოფადის) მესამე პირი ყველა იმ წარმოებისა, რაც ზევით აღვნიშნეთ: **თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია** (თითოეული მათგანი დროებს აწარმოებს: თესავდა, თესავდეს, თესა, თესოს, უთესავს, ეთესება, ეთესოს, მაგრამ ესენი ლექსიკურ ერთეულებად **არ მიიჩნევა** და ლექსიკონში არ შედის“. ისიც გავიხსენოთ, „**რაც** ზევით აღვნიშნეთ“: „ზმნის ექსპრესიული ძალა დიდია. ზმნას შეუძლია, წარმოგვიდგინოს მოქმედება: როგორც პ ა ს ი უ რ ი პროცესი და როგორც სუბიექტის ა ქ ტ ი უ რ ო ბ ი ს გამოვლენა: **ითესება** და **თესავს;** როგორც სუბიექტისთვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან — აქტიური, პასიური): **ითესავს, უთესავს, ეთესება;** რო-

გორც სუბიექტის ნამოქმედარი და როგორც სხვისი მეშვეობით შესრულებული: **თესავს** და **ათესვინებს;** როგორც მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, სტატიკურს ყოფაში: თესია (ე. ი. დათესილია; კუთვნილების აღნიშვნით: უთესია), და როგორც პროცესი, დინამიკა: თესავს, ითესება, ითესავს და სხვ.“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, განსხვავებულ სალექსიკონო ერთეულებადაა მიჩნეული სხვადასხვა გვარის (აქტიური თუ პასიური), სხვადასხვა ქცევის, კაუზატიური თუ არაკაუზატიური, სტატიკური თუ დინამიკური ზმნების აწმყოს მწკრივის III პირის ფორმები:

თესავს
ითესავს
უთესავს
ათესვინებს
ითესება
ეთესება
თესია
უთესია

ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „თითოეული მათგანი დროებს იწარმოებს“, ე. ი. სხვადასხვა მწკრივის ფორმა მოეპოვება.

ე. ი. სალექსიკონო ფორმაა: თ ე ს ა ვ ს
მისგან ნაწარემოები დროებია: თესავდა
თესავდეს
თესა
თესოს
უთესია
ეთესა
ეთესოს

რვა მწკრივის (დროის) ფორმაა წარმოდგენილი:

აწმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი. ქეგლ-ის წინასიტყვაობაში არაფერია თქმული ე. წ. მყოფადის წრის მწკრივთა ფორმების შესახებ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აწმყოსა და მყოფადის ერთ მწკრივად წარმოდგენას მხარს დაუჭერს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მონაცემები; პრინციპი აწმყოსა და მყოფადის ცალ-ცალკე მწკრივის ფორმებად გააზრებისა გაუმართლებელი ჩანს.

შ ე ვ ნ ი შ ნ ა ვ თ: მწკრივთა რაოდენობის საკითხი მხოლოდ ფორმობრივი პრინციპის მიხედვით არ გაირკვევა. გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევებიც:

ი-თქ-მ-ი-ს	და	ი-თქმ-ებ-ა
შე-ვ-ი-პყარ	და	შე-ვ-ი-პყრ-ე
და-ვ-ა-მყნ-ა	და	და-ვ-ა-მყნ-ო
და-უ-ხატ-ავ-ს	და	და-უ-ხატ-ი-ა
გა-ე-კეთ-ა	და	გა-ე-კეთ-ებ-ინ-ა
		და მისთანანი.

მხოლოდ ფუძეთა სხვაობის პრინციპი თუ დაედება საფუძვლად საუღლებელ ერთეულთა გამოყოფას, წარმოდგენილ წყვილთა შემადგენელი ცალები სხვადასხვა ფუძის შემცველნი არიან; შესაბამისად სხვადასხვა მწკრივად უნდა იქნეს გაგებული. საკითხის ამგვარად დასმა, თავისთავად ცხადია, უმართებულოა იმდენად, რამდენადაც წარმოდგენილ პარალელურ ფორმებს ერთსა და იმავე კონტექსტში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

მაგ.: მხატვარს სურათი დაუხატავს;
მხატვარს სურათი დაუხატია.

ანდა: ყველასთან ყველაფერი არ ითქმის;
ყველასთან ყველაფერი არ ითქმება.

ამგვარად, ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფუძის მქონე ფორმები სხვადასხვა მწკრივად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ კონტექსტში მათი ჩანაცვლება შესაძლებელია; სხვაგვარად: ერთსა და იმავე კონტექსტში განსხვავებული ფუძის მქონე ფორმათა სემანტიკა იდენტურია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მწკრივის ფორმათა წარმოების თავისებურებებთან, რაც ცალკე კვლევის საგანია.

IV. 3.13. უღლების ნიმუში ახალი ქართულისათვის

I სერია

1. **აწმყო (მყოფადი)**

(და)-ვ-წერ (და)-ვ-წერ-თ
(და)-წერ (და)-წერ-თ
(და)-წერ-ს (და)-წერ-ენ

2. **უწყვეტელი (ხოლმეობითი)**

(და)-ვ-წერ-დ-ი (და)-ვ-წერ-დ-ი-თ
(და)-წერ-დ-ი (და)-წერ-დ-ი-თ
(და)-წერ-დ-ა (და)-წერ-დ-ნენ

3. **I კავშირებითი**

(და)-ვ-წერ-დ-ე (და)-ვ-წერ-დ-ე-თ
(და)-წერ-დ-ე (და)-წერ-დ-ე-თ
(და)-წერ-დ-ე-ს (და)-წერ-დ-ნენ

II სერია

4. **წყვეტილი**

(და)-ვ-წერ-ე (და)-ვ-წერ-ე-თ
(და)-წერ-ე (და)-წერ-ე-თ
(და)-წერ-ა (და)-წერ-ეს

5. **II კავშირებითი**

(და)-ვ-წერ-ო (და)-ვ-წერ-ო-თ
(და)-წერ-ო (და)-წერ-ო-თ
(და)-წერ-ო-ს (და)-წერ-ო-ნ

III სერია

6. **I თურმეობითი**

(და)-მ-ი-წერ-ი-ა (და)-გვ-ი-წერ-ი-ა
(და)-გ-ი-წერ-ი-ა (და)-გ-ი-წერ-ი-ა-თ
(და)-უ-წერ-ი-ა (და)-უ-წერ-ი-ა-თ

7. **II თურმეობითი**

და-მ-ე-წერ-ა და-გვ-ე-წერ-ა

და-გ-ე-წერ-ა	გა-გ-ე-წერ-ა-თ
და-ე-წერ-ა	და-ე-წერ-ა-თ

8. **III კავშირებითი**

და-მ-ე-წერ-ო-ს	და-გვ-ე-წერ-ო-ს
და-გ-ე-წერ-ო-ს	და-გ-ე-წერ-ო-თ
და-ე-წერ-ო-ს	და-ე-წერ-ო-თ

IV. 3.14. მწკრივთა დაჯგუფებისა და თანამიმდევრობის საკითხისათვის. ითქვა, რომ მწკრივები საწარმოებელი ფუძის მიხედვითაა დაჯგუფებული. თუ პირველი და მეორე სერიის გამოყოფა დავას არ იწვევს, ამას ვერ ვიტყვით მესამე სერიის მიმართ. „თურმეობითის ჯგუფს არ მოეპოვება საერთო ფუძე, ამოსავლად რომ გვქონდეს წარმოებისას, ამით განსხვავდება თურმეობითის ჯგუფი აწმყოს და ნამყო ძირითადის (ნ. მარის მიხედვით: აორისტის) ჯგუფისაგან: აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ნამყო ძირითადისა — ნამყო ძირითადის ფუძეზე. თუ მესამე ჯგუფი (თურმეობითის ჯგუფი) მაინც გაერთიანდა, ეს იმიტომ, რომ ამ ჯგუფში შემავალი დროები „ერთი და იმავე წესით იწარმოება. მართლაც, ამ ჯგუფში ინვერსიული წყობა გვაქვს მაშინ, როდესაც აწმყოსა და ნამყო ძირითადის ჯგუფებში წყობა პირდაპირია...“ პირველ და მეორე ჯგუფში „წარმოებაა ამოსავალი, მესამე ჯგუფი სხვა პრინციპს დაემყარა“ (არნ. ჩიქობავა).

ის, რაც მესამე ჯგუფის თაობაზე ითქვა, ზუსტია და გამართლებული ძველი სალიტერატურო ქართულისათვის. მესამე ჯგუფის მწკრივთა წარმოებაში არსებითი ხასიათის ცვლილებები განხორციელდა და, ჩვენი აზრით, ამ ცვლილებებმა საინტერესო სახე მიიღო. ამის თაობაზე მესამე სერიის მწკრივთა წარმოებისას ვისაუბრებთ. თუმცა მესამე სერია ახალ ქართულშიც ძირითადად არ ეთანხმება მწკრივთა დაჯგუფების იმ პრინციპს, რომელიც I და II სერიაში გატარდა. როგორც ითქვა, I და II სერიაში მკაცრად გატარებული საუღლებელი ფუძის პრინციპი III სერიაში სხვა სახეს იღებს. დაირღვა კლასიფიკაციის ერთიანი პრინციპი.

კლასიფიკაციის ერთიანი პრინციპის გატარების ცდამ მწკრივთა ორ ჯგუფად დალაგების საკითხი დასვა (არნ. ჩიქობავა). თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. როცა ამ საკითხზე ვსაუბრობდით, კითხვა დავსვით: არის კი შესაძლებელი საკლასიფიკაციო ნიშნად საწარმოებელი ფუძის პრინციპის ბოლომდე გატარება, ე. ი. მწკრივთა ორ სერიად დაჯგუფება? უკვე, როცა გამოიკვეთა ჩვენი თვალ-

საზრისი მწკრივის რაობისა და მწკრივთა რაოდენობის შესახებ, ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ საკითხზე მსჯელობაც.

საწარმოებელი ფუძის პრინციპი გულისხმობს იმის გარკვევას, წარმოების თვალსაზრისით როგორ მიემართება ერთი რომელიმე მწკრივის საყრდენი ფუძე მეორეს.

გავიხსენოთ: ფუძეთა შენების ორ პრინციპს გამოყოფენ — **ხაზოვანი პრინციპი** და **ჩანაცვლების პრინციპი.** მწკრივთა წარმოებაში ხაზოვანი პრინციპის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აწმყო-მყოფადისა და უწყვეტელ-ხოლმეობითის მიმართება: **აკეთებ → აკეთებ-დ.** ე. ი. ხაზოვანია მიმართება, როცა ერთი ფუძე სრულად მეორდება მეორეში. ჩანაცვლების პრინციპით მიემართება ერთმანეთს ფუძეები, თუ მათ საერთო საყრდენი ფუძე აქვთ:

აკეთ-ე / აკეთ-ო (ბ. ჯორბენაძე).

ფუძეთა წარმოების ამ ორი პრინციპის საფუძველზე არის ფაქტობრივ დაჯგუფებული I და II სერიებში მწკრივები. თავად სერიებს საერთო ფუძე მოეპოვებათ (იგივე **თემა**). სწორია მსჯელობა, რომ „აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ნამყო ძირითადისა — ნამყო ძირითადის ფუძეზე“, მაგრამ ზოგი რამ მაინც დაზუსტებას მოითხოვს: კერძოდ, როგორც ითქვა, უნდა გაირჩეს მწკრივის ფუძე და მწკრივის საყრდენი ფუძე. აწმყო-მყოფადის ფუძე ვნებითი გვარის ზმნებში **-ი** ელემენტიან ფორმებს ვარაუდობს: **ვ-თბებ-ი, ვ-ბერდებ-ი, ვ-იზრდებ-ი**... მწკრივის ფუძის კუთვნილება **-ი** ელემენტი მწკრივის მაწარმოებლად გაიაზრება იმიტომ, რომ I სერიის სხვა მწკრივებში იგი არ გადაჰყვება.

ვ-თბ-ებ-ი	ვ-იზრდებ-ი
ვ-თბ-ებ-ოდ-ი	ვ-იზრდებ-ოდ-ი
ვ-თბ-ებ-ოდ-ე	ვ-იზრდებ-ოდ-ე

I სერიის მეორე და მესამე მწკრივში ფიგურირებს აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძე — **თბ-ებ.** აწმყო-მყოფადის მწკრივის ფუძე კი არის **თბ-ებ-ი.** ასე რომ, როცა მწკრივთა ფუძეების ურთიერთმიმართების საკითხს ვსვამთ, უნდა დაისვას მწკრივის საყრდენ ფუძეთა ურთიერთმიმართების საკითხი და არა მწკრივის ფუძეთა მიმართების საკითხი.

*

* *

I სერიაში უწყვეტელ-ხოლმეობითისა და I კავშირებითის საყრდენ ფუძეთა შორის სხვაობა არ არის. ეს ორი მწკრივი ერთსა და იმავე საყრდენ ფუძეს გამოიყენებს. სხვაობას მათ შორის მწკრივის მაწარმოებლები ქმნის. ანუ ამ ორ მწკრივს საერთო აქვთ მწკრივის საყრდენი ფუძე; განსხვავებული — მწკრივის ფუძე. საყრდენი ფუძე იქნება **აკეთებ-დ;** მწკრივთა ფუძეები **ა-კეთ-ებ-დ-ი, ა-კეთ-ებ-დ-ე.** ამგვარად, მიმართება აწმყო-მყოფადისა უწყვეტელ-ხოლმეობითთან და I კავშირებითთან ხაზოვან პრინციპზეა დამყარებული, ხოლო წყვეტილის II ხოლმეობითსა და III კავშირებითს შორის — ჩანაცვლების პრინციპზე:

აწმყ.-მყოფ. — აკეთ-ებ → აკეთ-ებ-დ
- აკეთ-ებ-დ-ი — უწყვ.-ხოლმ.
- აკეთ-ებ-დ-ე — I კავშ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ „აწმყოსაგან ნაწარმოებ ნამყო უსრულზე“, მაგრამ არ შეიძლება ვისაუბროთ „ნამყო უსრულისაგან ნაწარმოებ კავშირებით პირველზე“ (შდრ.: არნ. ჩიქობავა).

ანუ: I კავშირებითიც ისევე იწარმოება აწმყოსაგან, როგორც უწყვეტელ-ხოლმეობითი:

აწმყ.-მყოფ. — აკეთ-ებ
- აკეთ-ებ-დ-ი — უწყვეტელ-ხოლმ.
- აკეთ-ებ-დ-ე — I კავშირებითი

შენიშვნა: უწყვეტელ-ხოლმეობითის **ი** ელემენტის ისტორიის გათვალისწინება საკითხს სხვაგვარად არ დაგვასმევინებს. **-ი**-ს გარეშე ახალ ქართულში ამ მწკრივის ფორმა არ გვხვდება, ამიტომაცაა, რომ იგი მწკრივის მაწარმოებლად კვალიფიცირდება (ა. შანიძე). ამ მწკრივთა (უწყვეტლისა და I კავშირებითის) მიმართების საკითხი ასევე დაისმის ძველ ქართულშიც. თუ **-დ** ფორმანტიან ზმნებში იქმნება შთაბეჭდილება, რომ **აკეთებდ** და **აკეთებდე** ფორმები ერთმანეთს ხაზოვანი პრინციპით მიემართებიან, სხვაგვარია ვითარება **-ოდ** ფორმანტიან ზმნებთან: აქ მიმართება ჩანაცვლების პრინციპს ემყარება:

უწყვეტელი — **ტირ-ოდ-ე**
I კავშირებითი — **ტირ-ოდ-ი**

ეს ფაქტი **-დ** სუფიქსიან ფორმებში ნულოვანი წარმოების საკითხს დაგვასმევინებს:

უწყვეტელი — **ა-კეთ-ებ-დ-0/ი**
I კავშირებითი — **ა-კეთ-ებ-დ-ე**

ამ შემთხვევაშიც ჩანაცვლების პრინციპზე უნდა ვისაუბროთ.

II სერიის მწკრივები — წყვეტილი და II კავშირებითი — ერთმანეთს ჩანაცვლების პრინციპით მიემართებიან. საყრდენი ფუძე საერთოა:

წყვეტილი — **ა-კეთ**-ე
II კავშირებითი — **ა-კეთ**-ო

ამგვარად, I და II სერიაში სამი საყრდენი ფუძე გამოიყო: **აკეთ — აკეთ-ებ — აკეთ-ებ-დ,** რომლებიც ერთმანეთს ხაზოვანი პრინციპით მიემართება. პირველი მათგანი საყრდენია მეორე სერიის მწკრივებისათვის:

აკეთ → **აკეთ-ე** — წყვეტილი
აკეთ-ო — II კავშირებითი

II საყრდენი ფუძისაგან აწმყოს მწკრივის ფუძე იწარმოება:

აკეთ-ებ — აკეთ-ებ-0

III საყრდენი ფუძისაგან — უწყვეტელ-ხოლმეობითი და I კავშირებითი.

აკეთ-ებ-დ → **აკეთ-ებ-დ-ი** — წყვეტილი
აკეთ-ებ-დ-ე — II კავშირებითი

I-II სერიის მწკრივების დაჯგუფება საყრდენი ფუძის ურთიერთმიმართების მიხედვით ასეთ სურათს მოგვცემს:

წყვეტილი — **აკეთ-ე**
II კავშირებითი — **აკეთ-ო**
} საყრდენი ფუძე **აკეთ**


აწმყო-მყოფადი — **აკეთ-ებ-0** — საყრდენი ფუძე **აკეთ-ებ**

უწყვეტელ-ხოლმეობითი — **აკეთ-ებ-დ-ი**
I კავშირებითი — **აკეთ-ებ-დ-ე**
} საყრდენი ფუძე **აკეთ-ებ-დ**

თუ ზედმიწევნით თანმიმდევრულნი ვიქნებით საწარმოებელი ფუძის პრინციპის ბოლომდე გატარებაში, მწკრივები ზემოწარმოდგენილი თანმიმდევრობით უნდა დალაგდეს. მეორე სერიად მიჩნეული მწკრივების საყრდენი ფუძე შედარებით მარტივია. I სერიის მწკრივთა საყრდენი ფუძე რთულია, მარტივისაგან წარმოებული. ფაქტი ცნობილია, მაგრამ სისტემის გადაჯგუფების საკითხი არ დასმულა. აქ, ალბათ, ტრადიციას გაეწია ანგარიში. და მეორეც, როგორც ჩანს, დროულ სემანტიკას ეწეოდა ანგარიში, როცა უღლების ერთეულთა დასახელებას აწმყო დროის გამომხატველი მწკრივით იწყებდნენ... სამეცნიერო გრამატიკაში ამ ტრადიციის დარღვევის ცდაა ა. შანიძის მიერ ადრეულ ნაშრომში საუღლებელ ერთეულთა პირველ (A) ჯგუფად „ნამყო სრულის ჯგუფის“ მიჩნევა, ხოლო მეორე ჯგუფად (B) — „აწმყოს ჯგუფის“ წარმოდგენა (ა. შანიძე).

მიღებული თანამიმდევრობის შეცვლის სხვა ცდა არ ყოფილა. ამ შემთხვევაში ტრადიციას ანგარიში უნდა გაეწიოს.

კიდევ: როგორი უნდა იყოს ურთიერთჩანაცვლებულ ფუძეთა თანმიმდევრობა? როგორც ითქვა, წყვეტილი და II კავშირებითი წარმოების მიხედვით არაა ერთიმეორეზე დამოკიდებული მწკრივები. თანმიმდევრობის შეცვლა საწარმოებელი ფუძის პრინციპს არ დაარღვევდა, მაგრამ ტრადიციულ თანმიმდევრობას ფორმობრივი გამართლებაც აქვს: რედუცირებადი ხმოვნის შემცველ ფუძეებში წყვეტილი ამოსავალი ხმოვნიანი ვარიანტითაა წარმოდგენილი, II კავშირებითი — რედუცირებულით:



ამოსავალი ვარიანტი, ბუნებრივია, წინ უსწრებდეს მის მეორეულ, ფონეტიკურ ვარიანტს. თუმცა საგულვებელია, რომ ტრადიციული თანმიმდევრობისათვის სემანტიკური მომენტია ამოსავალი. ურთიერთჩანაცვლებულ ფუძეთაგან, ორივე შემთხვევაში, ერთი უპირატესად თხრობითი კილოს გამომხატველია, მეორე — კავშირებითისა. თანმიმდევრობის საკითხიც, როგორც ჩანს, ამ ფაქტმა გადაწყვიტა. გავიხსენოთ: პრაქტიკული გრამატიკებიდან მოყოლებული (და არა მხოლოდ ქართულში) ყველა შემთხვევაში ჯერ თხრობითი კილოს გამომხატველი ფორმები განიხილებოდა, შემდეგ — კავშირებითისა და ა. შ.

როგორია III სერიის მწკრივის ფორმათა ფუძის სტრუქტურა და არის თუ არა შესაძლებელი საწარმოებელი ფუძის მიხედვით მათი I ან II სერიაში ჩართვა?

შენიშვნა: III სერიაში მომხდარ ფორმობრივ ცვლილებებს ცალკე თავი დაეთმობა ამ წიგნში. ეს საკითხებიც იქ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული...

როგორც ითქვა, „თურმეობითის ჯგუფს არ მოეპოვება საერთო ფუძე“ (არნ. ჩიქობავა). მსჯელობა არ ითვალისწინებს ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა შემთხვევას. ეს ერთადერთი გამონაკლისია, როცა III სერიის სამივე მწკრივის წარმოება ერთგვაროვან პრინციპზეა დამყარებული:

I თურმეობითი	—	გამთბარ-ხარ,	გაზრდილ-ხარ
II თურმეობითი	—	გამთბარ-იყავი,	გაზრდილ-იყავი
III კავშირებითი	—	გამთბარ-იყო,	გაზრდილ-იყო

ფორმაწარმოების თვალსაზრისით III სერიის მწკრივთა ცალკე ჯგუფად გამოყოფას მხოლოდ ამ ტიპის ზმნათა წარმოება დაუჭერდა მხარს... მაგრამ ეს საგანგებო შემთხვევაა — აღწერითი წარმოება მიმღეობურ ფორმათა გამოყენებით. ეს პრინციპულად განასხვავებს ამ ტიპის ფორმებს სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოებისაგან, რომლებშიც აღწერითი წარმოება ზმნურ ფუძეზეა დამყარებული: ვ-ზი-ვარ, ვ-ტირი-ვარ (შდრ.: ვ-ზი, ვ-ტირი...)... და-უხატავ-ხარ, ა-უშენებ-ი-ხარ... საგულისხმოა ისიც, რომ ამ შემთხვევაში აღწერითი წარმოება I-II სუბიექტური პირის ფორმებთან გვაქვს; III სუბიექტურ პირში ორგანული წარმოებაა: ზი-ს, ტირი-ს... დაუხატავს, აუშენები-ა...

თვითონ ის ფაქტიც, რომ მესამე სერიის მწკრივთა წარმოებაში ასეთი პრინციპული სხვაობაა, მას განცალკევებით დააყენებს. ყოველ შემთხვევაში, **გამთბარხარ** ტიპის ზმნათა I ან II სერიაში გადანაწილების საკითხი არ შეიძლება დადგეს.

ყველა სხვა ტიპის ზმნასთან I თურმეობითის წარმოება სხვაობს II თურმეობითისა და III კავშირებითის წარმოებისაგან. ეს სხვაობა პრინციპული ხასიათისაა.

პირველ ყოვლისა, ყურადღება გვინდა მივაქციოთ ხმოვანპრეფიქსთა საკითხს. მწკრივის ფუძის განმარტება ხმოვანპრეფიქსს ფუძისეულ

ელემენტად წარმოგვიდგენს (გავიხსენოთ: მწკრივის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები), I და II სერიის მწკრივთა პარადიგმებში ხმოვანპრეფიქსი უცვალებელი ელემენტია (ვსაუბრობთ მოქმედებითი გვარის ზმნებზე, პრეფიქსიან ვნებითებსა და ორპირიან სუფიქსიან ვნებითებზე):

Ø-ხატავს,	**Ø**-ხატავდა,	**Ø**-ხატავდეს,	**Ø**-ხატა,	**Ø**-ხატოს
ა-კეთებს,	ა-კეთებდა,	ა-კეთებდეს,	ა-კეთა,	ა-კეთოს
ი-კეთებს,	ი-კეთებდა,	ი-კეთებდეს,	ი-კეთა,	ი-კეთოს
უ-კეთებს,	უ-კეთებდა,	უ-კეთებდეს,	უ-კეთა,	უ-კეთოს
ე-ზრდება,	ე-ზრდებოდა,	ე-ზრდებოდეს,	ე-ზარდა,	ე-ზარდოს...

III სერია სხვაობს I-II სერიისაგან ხმოვანპრეფიქსთა თვალსაზრისით:

გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში I და II სერიაში გამოყენებული **Ø, ა, ი, უ** ხმოვანპრეფიქსთა მონაცვლედ საობიექტო ქცევის **უ(ი)** პრეფიქსი გვევლინება:

Ø-ხატავს	—	და-უ-ხატავს
ა-კეთებს	—	გა-უ-კეთებია
ი-კეთებს	—	გა-უ-კეთებია
უ-კეთებს	—	გა-უ-კეთებია

დამთხვევა ხდება მხოლოდ საობიექტო ქცევის შემთხვევაში. ამავე ტიპის ზმნებთან სრულიად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს II თურმეობითი და III კავშირებითი: ყველა შემთხვევაში ხმოვანპრეფიქსთა მონაცვლედ **ე-** გვევლინება.

Ø-ხატავს	—	და-ე-ხატა,	და-ე-ხატოს
ა-კეთებს	—	გა-ე-კეთებინა,	გა-ე-კეთებინოს
ი-კეთებს	—	გა-ე-კეთებინა,	გა-ე-კეთებინოს
უ-კეთებს	—	გა-ე-კეთებინა,	გა-ე-კეთებინოს

ხმოვანპრეფიქსთა თვალსაზრისით ერთფეროვანია ვითარება გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში, განსხვავებული I-II სერიისაგან; ასევე: ერთფეროვანია ვითარება II თურმეობითსა და III კავშირებითში, განსხვავებული, ერთი მხრივ, I-II სერიისაგან და, მეორე მხრივ, I თურ-

მეობითისაგან.

თუ ფუძის წარმოდგენილ განმარტებას გავიზიარებთ, საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით III სერიის ფორმები განსახილველ ზმნათა I და II სერიაში ვერ გადანაწილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდება ფუძის განმარტების შეცვლა — ხმოვანპრეფიქსთა უგულებელყოფა.

საკითხი ასევე დადგება **ე-** პრეფიქსიან ზმნათა მიმართაც: ზმნები, რომელთაც I-II სერიაში **ე-** პრეფიქსი აქვთ, III სერიაში ჩვეულებრივ ხმოვანპრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი:

ე-ზრდება — გა-ზრდია
— გა-ზრდოდა
— გა-ზრდოდეს

III სერია ამ შემთხვევაში ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებს და განსხვავდება პრინციპულად I-II სერიისაგან.

ი- პრეფიქსიან ერთპირიან ზმნებშიც ვითარება ანალოგიურია: III სერიაში აღწერითი წარმოება გვაქვს და ხმოვანპრეფიქსის საკითხი არ დგას:

ი-შლება — გა-შლილ-ა
გა-შლილ-იყო
გა-შლილ-იყოს

ხმოვანპრეფიქსთა ვითარების გათვალისწინება მხარს დაუჭერს III სერიის მწკრივთა ცალკე ჯგუფად გამოყოფას. ეს ითქმის, პირველ ყოვლისა, ყველა ტიპის ვნებითი გვარის ზმნათა შესახებ. როგორც ითქვა, გარდამავალი ზმნები ამ ნიშნის მიხედვით ვერ გაერთიანდება I ან II სერიასთან, თუმცა მათი ერთ ჯგუფად გაერთიანებაც არ იქნება გამართლებული: I თურმეობითი სხვაობს დანარჩენი მწკრივებისაგან (შევნიშნავთ იმასაც, რომ ა. შანიძე ხმოვანპრეფიქსს თემაში არ განიხილავს...).

ვითარებას არ გაამარტივებს ხმოვანპრეფიქსთა მონაცემების გათვალისწინებლობაც. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ უკვე ითქვა. ეს ჯგუფი განცალკევებით დგას.

ისევე როგორც ხმოვანპრეფიქსების შემთხვევაში, ფუძის სტრუქტურის თვალსაზრისითაც ყველა შემთხვევაში სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, I თურმეობითი, ხოლო, მეორე მხრივ, II თურმეობითი და III კავშირებითი. ამ შემთხვევაშიც ერთგვარია ვითარება ამ ორი მწკრივის წარმოებისა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხმოვანპრეფიქსებს, I თურმეობითის ფუძის სტრუქტურა ერთ შემთხვევაში ემთხვევა აწმყო-მყოფადის

ფუძის სტრუქტურას; აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძეა გამოყენებული საყრდენად I თურმეობითისათვისაც. ამგვარ ვითარებას გვიჩვენებს ერთი ნაწილი გარდამავალი ზმნებისა:

აწმყო	—	ხატ-ავ-ს	I თურმეობითი	—	და-უ-ხატ-ავ-ს
		დგ-ამ-ს			და-უ-დგ-ამ-ს
		ა-კეთ-ებ-ს			გა-უ-კეთ-ებ-ი-ა
		დრეკ-ს			მო-უ-დრეკ-ი-ა

ერთი ჯგუფის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი საყრდენად II სერიის ფუძეს იყენებს:

წყვეტილი	—	ა-ქ-ო	I თურმეობითი	—	უ-ქ-ი-ა (შდრ. აწმყო — ა-ქ-ე-ბ-ს)
		გა-ა-თბ-ო			გა-უ-თბ-ი-ა (შდრ. აწმყო — ა-თბ-ობ-ს)

თავისებურია ვითარება გარდაუვალი ორპირიანი ზმნებისა: I თურმეობითის საყრდენი ფუძე არ ემთხვევა არც I და არც II სერიის ფუძეებს:

აწმყო-მყოფადი	—	უ-**კეთ-დ-ებ**-ა	ე-**ზრდ-ებ**-ა	უ-**დნ-ებ**-ა
წყვეტილი	—	გა-**უ-კეთ-დ**-ა	გა-ე-**ზარდ**-ა	გა-უ-**დნ**-ა
I თურმეობითი	—	გა-ჰ-**კეთ-ებ**-ი-ა	გა-**ზრდ**-ი-ა	გა-ს-**დნ-ობ**-ია

ამგვარად, რელატიურ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითი ერთ შემთხვევაში I სერიის ფუძეს დაემყარება, მეორე შემთხვევაში — II სერიის ფუძეს, ხოლო მესამე შემთხვევაში განცალკევებით დადგება. თუ ხმოვანპრეფიქსთა მონაცემსაც გავითვალისწინებთ, შეუძლებელი აღმოჩნდება I თურმეობითის I ან II სერიის მწკრივებთან გაერთიანება საწარმოებელი ფუძის მიხედვით.

ასეთივე დასკვნა გაკეთდება II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმათა ანალიზის საფუძველზედაც; რამდენადაც, როგორც ითქვა, საყრდენი ფუძე ამ ორი მწკრივისა იდენტურია, ე. ი. ეს ორი მწკრივი ერთმანეთს ჩანაცვლების პრინციპით მიემართება. მხოლოდ მეორე თურმეობითის მაგალითს მოვიყვანთ:

ა) გარდამავალ ზმნათა ერთი ჯგუფის II თურმეობითი II სერიის ფუძეს ემყარება:

აწმყო-მყოფადი — **ხატ-ავ**-ს ა-**ქ-ებ**-ს **დრეკ**-ს

წყვეტილი	—	და-**ხატ**-ა	შე-ა-**ქ**-ო	მო-**დრიკ**-ა
II თურმეობითი	—	და-ე-**ხატ**-ა	შე-ე-**ქ**-ო	მო-ე-**დრიკ**-ა

ბ) II თურმეობითის საყრდენ ფუძეს აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძისაგან **-ინ** ფორმანტი განასხვავებს:

აწმყო-მყოფადი	—	ა-**კეთ-ებ**-ს	ა-**შენ-ებ**-ს
II თურმეობითი	—	გა-ე-**კეთ-ებ-ინ**-ა	ა-ე-**შენ-ებ-ინ**-ა...

შენიშვნა: ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, **ინ** დაბოლოება ერთიანი სუფიქსია, თუ შეიძლება მისი დაშლა — **ი-ნ**.

გ) ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითის ფუძის სტრუქტურა განსხვავებულია როგორც I სერიის, ისე II სერიის მწკრივის ფუძეთა სტრუქტურისაგან. განსხვავებას ქმნის **-ოდ** სუფიქსი, რომელიც ყველა შემთხვევაში გამოვლინდება. იგივე **-ოდ** უწყვეტელშიც გვაქვს, მაგრამ სხვაობას ზოგ შემთხვევაში ვნებითობის სუფიქსის უქონლობა ქმნის, სხვა შემთხვევაში — თემის ნიშანი; სურათი ასეთია:

უწყვეტელი	II თურმეობითი
უ-**კეთ-დ-ებ-ოდ**-ა	გა-ჰ-**კეთ-ებ-ოდ**-ა
ე-**ზრდ-ებ-ოდ**-ა	გა-**ზრდ-ოდ**-ა
ე-**მალ-ებ-ოდ**-ა	და-**მალ-ვ-ოდ**-ა
უ-**შრ-ებ-ოდ**-ა	გა-**შრ-ობ-ოდ**-ა
უ-**კვდ-ებ-ოდ**-ა	მო-**კვდ-ომ-ოდ**-ა

თუ ამ შემთხვევაშიც ხმოვანპრეფიქსთა ვითარებას გავითვალისწინებთ, სხვაობა III სერიის მწკრივთა საყრდენ ფუძეებსა და I-II სერიის ფუძეთა შორის უფრო აშკარა გახდება...

ის, რაც ვთქვით III სერიის ფორმათა წარმოების თაობაზე, ცნობილი ფაქტებია. ჩვენს მიზანს არ შეადგენს მწკრივთა წარმოების საკითხების გამოწვლილვითი ანალიზი. გვსურდა მხოლოდ ზოგადი სურათი წარმოგვედგინა და გვეჩვენებინა, რომ საყრდენი ფუძის სტრუქტურის თვალსაზრისით III სერიაში საკმაო სიჭრელეა, არაა ერთგვაროვნება, რაც გამორიცხავს შესაძლებლობას საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით ამ მწკრივთა I და II სერიაში გადანაწილებისას.

ამგვარად, სირთულე და არაერთგვაროვნება III სერიის მწკრივთა ფორმების წარმოებისა შეაპირობებს ამ სერიის ცალკე ჯგუფად გა-

მოყოფას. ვფიქრობთ, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი მწკრივთა დაჯგუფებისა ნ. მარისეული ვარიანტია იმ ნაკლოვანებით, რაც თვით ავტორმა აღნიშნა თავის დროზე.

IV. 3.15. ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის. საყოველთაო აღიარებით, ქართული ზმნის ფლექსიურ ერთეულთა ანალიზი, განსაკუთრებით, მნიშვნელობისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით, დიდ სირთულეებს აწყდება. იმდენი სხვადასხვაგვარი და ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი, რამდენიც ე. წ. ზმნური კატეგორიების შესახებ არსებობს, ძნელად რომ სხვა რომელიმე გრამატიკულ საკითხს წარმოეშვას. ვინაიდან თვალსაზრისთა და ტერმინთა მრავალგვაროვნება შესაბამისი საკითხების შესწავლასა და სწავლებასაც აძნელებს, პრობლემას, წმინდა მეცნიერული, თეორიული დამოკიდებულების გარდა, გარკვეული პედაგოგიური ინტერესიც ახლავს. ზმნურ ფორმათა ძირითადი სემანტიკური მახასიათებლების თანმიმდევრული აღწერა აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი საკითხების სათანადოდ გააზრება-ათვისებისა.

იმისათვის, რომ ანალიზის პროცესი თანმიმდევრული იყოს, რამდენიმე ამოსავალი წერტილი უნდა გავიხსენოთ.

უღლების — ზმნური ფლექსიის რთული სისტემის — ყოველი წევრი (ყოველი მწკრივი) არის ზმნის არსებობის, მისი ენობრივი ფუნქციონირების ფორმა; მწკრივის სემანტიკა კი შეიძლება განისაზღვროს როგორც ზმნური ფორმის ფუნქციონირების შინაარსი. მწკრივი გრამატიკული ფორმაა, რომლის ენობრივი წარმოდგენა მნიშვნელობის გარეშე არ ხდება. ფორმასა და მნიშვნელობას შორის განუყოფელი ერთობაა; მათი დაცალკევება მხოლოდ ანალიზის (აბსტრაქციის) დონეზე არის შესაძლებელი; მნიშვნელობის წარმოდგენა კი სწორედ ფუნქციონირების პროცესში ხდება.

რამდენადაც მწკრივების ანალიზის პროცესში ფუნქციონირების ცნებისა და შინაარსის შემოტანა აუცილებელია (მნიშვნელობა ფუნქციონირებაში ვლინდება), ძირითადი და არაძირითადი, არსებითი და მეორეხარისხოვანი მნიშვნელობების გასამიჯნავად საჭიროა ფუნქციონირების დონეების განსაზღვრა. ფორმათა ფუნქციონირებისას უნდა დავადგინოთ ძირითადი და კერძოობითი გრამატიკული მნიშვნელობები, თვით ფორმისათვის დამახასიათებელი და კონტექსტიდან მომდინარე მნიშვნელობები. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია ფუნქციონირების საზღვრების დადგენა.

ზმნური ფორმა, სემანტიკურად სხვადასხვა დონის მონაცემთა რთული სინთეზის შედეგი, ერთი განუყოფელი მთლიანობაა (ამ სემანტიკური მთლიანობის შენებაში მონაწილეობს ლექსიკური, გრამატიკული და მოდალური მნიშვნელობების ურთიერთდეტერმინირებული მონაცემები). ცხადია, შესაძლებელი რომ იყოს, სასურველი იქნებოდა ზმნური ფორმა განსაზღვრულიყო როგორც რეალური ერთიანი მონაცემი, როგორც სემანტიკური მთლიანობა. მაგრამ როგორც ფორმის, ასევე სემანტიკური სტრუქტურის ანალიზისას იძულებული ვართ მნიშვნელობათა დიფერენცირება მოვახდინოთ, რათა შემდგომ მათი ხელოვნური ინტეგრაციით მივუახლოვდეთ ენობრივ სინამდვილეს, სემანტიკური სტრუქტურის აგების ენობრივ წესს.

სემანტიკური სტრუქტურის დიფერენცირებული ანალიზი ერთგვარი ფორმალური (ხელოვნური) პროცედურაა, გარკვეულწილად მორფოლოგიური ანალიზის მოთხოვნებით შეპირობებული. სემანტიკური სტრუქტურის დიფერენცირებული აღწერისას კორელაციის ცნებას თუ მოვიხმობთ, ამ წესით შევძლებთ დავადგინოთ სემანტიკური ერთეულები (კორელატები) და ამ ერთეულების ურთიერთმიმართების ზოგადი ხასიათი, სემანტიკური კატეგორიები. კორელაცია გრამატიკული თუ სემანტიკური კატეგორიის გამოყოფის პირობაა. კატეგორია ურთიერთდაპირისპირებულ (კორელაციურ) გრამატიკულ მნიშვნელობათა სისტემად (ერთიანობად) შეიძლება განისაზღვროს.

ჩვეულებრივ, ენაში მნიშვნელობები ბევრად უფრო რთულ და მრავალფეროვან მიმართებებს წარმოგვიდგენენ, ვიდრე ეს ფორმაწარმოების სტრუქტურულ შესაძლებლობებში წარმოჩნდება (მაგალითად, **დაეწერა** ფორმაში „თანამდევრობას“ ხედავენ, რაც, როგორც ითქვა, არ აისახება მორფოლოგიურ სტრუქტურაში). მნიშვნელობები ბევრ ისეთ ნიუანსსაც გამოავლენს, რომელთა მოქცევა რაიმე წესისა თუ ცნების ფარგლებში ზოგჯერ არც კი ხერხდება. ფორმა, როგორც სემანტიკური ერთეული, არის ცალკეულ მნიშვნელობათა რთული ინტეგრირებული მთლიანობა, რომელიც არ უდრის ცალკეულ მორფოლოგიურ ელემენტთა მნიშვნელობების მექანიკურ ჯამს, არამედ წარმოადგენს მყარ ერთეულს, რომელშიც ცალკეულ მონაცემთა შეთავსებადობის ხარისხი ძნელი განსასაზღვრია...

მაგალითისათვის მოვიხმოთ ენობრივად შედარებით „დიფერენცირებული“, ანალიზური წარმოშობის ერთეული — **დახატულხარ** ფორმა. როგორც ცნობილია, ამგვარ ფორმებში ლექსიკური მნიშვნელობა სახელური ელემენტისა (**დახატულ-**) შენახულია, ხოლო მისი გრამატი-

კული მნიშვნელობა იჩრდილება; მეშველი ზმნა კი, პირიქით, ლექსიკურ მნიშვნელობას კარგავს და ფორმანტად იქცევა. ამის შედეგად ვიღებთ პერფექტულ მწკრივს, მაგრამ ეს აღწერა მხოლოდ სქემატურად და მექანიკურად ასახავს იმ რთულ პროცესს, რომელიც სემანტიკურად განუყოფელ **დახატულხარ** ერთეულს იძლევა.

როგორც ითქვა, ფორმის სემანტიკურ მთლიანობას ქმნის ლექსიკურ, გრამატიკულ და, აგრეთვე, კონტექსტურ მნიშვნელობათა ურთიერთკავშირი. ამასთანავე, პირველი ორი მონაცემი ფორმაში განუყოფელია. ლექსიკური მნიშვნელობა ხშირად არსებით გავლენას ახდენს ფორმის მთლიან სემანტიკაზე. მაგალითად, სტატიკურ ზმნასთან საერთო I თურმეობითი **შეჰფენია** (ცხვარი ფერდობს), **გაშლილა** (ველები) დროული თვალსაზრისით არსებითად **აწმყოა** (შეფენილია, გაშლილია) და მათში, ფაქტობრივ, უგულებელყოფილია **ნამყოს მოქმედება** (შეფინა, გაიშალა), რომელიც დინამიკურ ზმნებში, პირიქით, წინ არის წამოწეული; შდრ.: **აუშენებია, დაუწერია**... აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აბსოლუტური ზმნების დროული სემანტიკა, რელატურ ზმნებთან შედარებით, მეტად არის გადმონაცვლებული აწმყოსაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ გარდამავლობაც ზოგჯერ გასათვალისწინებელი ხდება მწკრივთა მნიშვნელობების ანალიზისას.

ასევე, განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის ზმნათა ასპექტური სემანტიკაც შესაძლოა ერთგვარ სურათს არ იძლეოდეს; ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა და ასპექტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამიტომაც ზმნური სემანტიკის ზედმიწევნითი აღწერისას ზმნათა ლექსიკურ ჯგუფებსაც გამოყოფენ... საერთოდ კი, მწკრივების ზოგადი სემანტიკური აღწერისას ძირითადი სურათის წარმოსადგენად დასაშვებია (აუცილებელიც კი არის) ამგვარი მონაცემებისაგან მთავარი სემანტიკური ერთეულების განყენება მოხდეს.

როგორც აღინიშნა, ყოველი ზმნური ფორმა ნაირგვარ მნიშვნელობასა და ფუნქციას ითავსებს. ამასთანავე, ენა არ უშვებს იდენტური სემანტიკის მქონე ორი ფორმის თანაარსებობას და ამით იცავს ყოველი ცალკეული ფორმის, როგორც სემანტიკური მთლიანობის (და არა როგორც მნიშვნელობათა მექანიკური ჯამის), დამოუკიდებლობას... ამავე დროს, ყოველ ცალკეულ მნიშვნელობას, როგორც ითქვა, შეიძლება არ ჰქონდეს დამოუკიდებელი მორფოლოგიური გამოხატულება, თავისი ფორმალური ნიშანი. ცნობილია, რომ **ფორმის მორფოლოგიური სტრუქტურა და სემანტიკური სტრუქტურა ხშირად არ მისდევენ ერთმანეთს: სემანტიკა ბევრად უფრო რთულ და მრავალფეროვან**


მიმართებებს წარმოგვიდგენს. ამიტომაც ლაპარაკობენ არა მორფოლოგიურ, არამედ გრამატიკულ თუ სემანტიკურ კატეგორიებზე...

ჩვეულებრივ, ზოგადი ენობრივი მნიშვნელობები ზმნურ ფორმებში, მწკრივებში მხოლოდ ნაწილობრივ აისახება (ეს შეეხება დროსაც, კილოსაც, ასპექტსაც, სხვა მოდალობებსაც...), მათი (ამ მნიშვნელობების) ენობრივი განხორციელება სულ სხვადასხვა საშუალებებით ხდება (მორფოლოგიურით, სინტაქსურით, ლექსიკურით, კონტექსტურით...).

როცა ენობრივ მნიშვნელობათა ანალიზს ვისახავთ მიზნად, გარკვეული თვალსაზრისით, ალბათ უმჯობესი იქნებოდა ზოგადად მოხაზულიყო ამა თუ იმ ენობრივი მნიშვნელობის საზღვრები და შემდგომ, შესაბამისად, დადგენილიყო მათი „მონტაჟის“ წესები, მათი რეალიზაციის შესაძლებლობები ფორმობრივ მონაცემებში. ეგებ ეს გზა უფრო ხელოვნური და სქემატური ყოფილიყო, მაგრამ, სამაგიეროდ, თავიდან აგვაცილებდა ანალოგიურ მნიშვნელობათა გაფანტვას განსხვავებულ ენობრივ მონაცემთა მიხედვით.

მაგალითად, თანამედროვე ქართულში უდავოდ მკვიდრად არსებობს ე. წ. უ ნ ა ხ ა ო ბ ი ს სემანტიკა. ამასთანავე, იმ მწკრივებისათვის, რომელთა სახელდება ამ მნიშვნელობის მიხედვით ხდება (I და II თურმეობითები), როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, უნახაობის გამოხატვა გარკვეულად ფაკულტატურია, გამოხატვის ძირითადი ენობრივი საშუალება ლექსიკურია (**თურმე**), თუმცა არც ამით ამოიწურება აღნიშნული სემანტიკის გამოხატვის შესაძლებლობები (შდრ. დიალექტური: **მინავალა, მიდენილა**... მოდალური საშუალებები: **ჩანს, ეტყობა**...).

I თურმეობითის ფორმის მიმართება აღნიშნულ ზოგად მნიშვნელობასთან სქემატურად რომ გამოვსახოთ, ამ მწკრივს უნახაობის სემანტიკურ ველთან მხოლოდ ნაწილობრივი შეხების არე აღმოაჩნდება:



ხოლო ეს სემანტიკური ველი მთლიანად წარმოდგება სხვადასხვა რიგის ენობრივი მონაცემებით:

უნახაობა
- ——— **თურმე** — თხრობითი კილოს მწკრივები
- ——— I და II თურმეობითები
- ——— **მინავალა, მიდენილა** ტიპის ფორმები
- ——— „**ჩანს**“, „**ეტყობა**“ და სხვა მოდალური საშუალებები

თუ უფრო ზუსტ ანალიზზე მიდგება საქმე, ე. წ. უნახაობის სემანტიკა შეიძლება უფრო მცირე ნიუანსობრივ შემადგენლებადაც დანაწევრდეს.

ანალოგიური სურათი განმეორდება მრავალგზისობის, შედეგობითობის და სხვა სემანტიკური ერთეულების ანალიზის დროსაც.

ამგვარი აღწერა, ცხადია, საინტერესო სურათს დახატავდა, მაგრამ მას ვერ გავყვებით, როცა მიზანი კონკრეტულია — ზმნის მწკრივთა მნიშვნელობების განსაზღვრა.

ერთი საკითხიც:

სემანტიკური ანალიზისას ზოგჯერ მოსახერხებელია პერიფრაზირების, სინონიმური „გარდათქმის“ ხერხი, რომელიც უკეთ გამოავლენს ენობრივი ერთეულის შემადგენელი სემანტიკური კომპონენენტების სტრუქტურას, რამდენადაც სინთეზურ ფორმებში უფრო მეტად არის ხოლმე აბსტრაჰირებული სემანტიკური მიმართებები; ანალიზურ პერიფრაზებში კი ამ მიმართებების ნაწილობრივი განწილვა (დიფერენციაცია) ხერხდება, თუმცა ამგვარი პერიფრაზებიც ენობრივად მთლიანი სემანტიკური ერთეულებია; მაგალითად: **დამიწერია** — დაწერილი მაქვს; **სწერია** — დაწერილი არის.

როცა ენაში გარკვეული სემანტიკური მონაცემები სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით შეიძლება გამოიხატოს, როცა ენობრივი პერიფრაზირება ხერხდება, ყოველთვის უნდა ვივარაუდოთ, რომ პერიფრაზული ვარიანტები აბსოლუტური სინონიმები არ იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ენას ისინი არ დასჭირდებოდა; მაგალითად, შესიტყვება „**დაწერილი აქვს**“ მთლიანად ვერ ფარავს „**დაუწერია**“ ერთეულის მნიშვნელობას, თუმცა ამ უკანასკნელის შედეგობითობას კარგად უსვამს ხაზს.

ამ მხრივ მეტადრე საფრთხილო ჩანს „პერიფრაზირება“ უცხო ენების მასალის საფუძველზე, რაც ზოგჯერ ენობრივი სპეციფიკის ნიველირებას იწვევს. მაგალითად, ხშირად მიმართავენ ქართული ენის თურმეობითის მწკრივების მორგებას ინდოევროპული პერფექტის თარგზე. მიუხედავად იმისა, რომ I-II თურმეობითების პერფექტული ბუნება

უეჭველი ფაქტია, არათუ რელატიურ ზმნათა სინთეზური ფორმები, არამედ ქართული ენის აბსოლუტურ ზმნათა ანალიზური წარმოშობის მწკრივებიც კი ბევრად განსხვავდება ევროპული ენების პერფექტისაგან, მათი ანალიზის კრიტერიუმები ყოველთვის არ თანხვდება ერთმანეთს.

ყოველივე აღნიშნული, ცხადია, ხელს არ უშლის იმას, რომ მთლიანი მნიშვნელობის სემანტიკურ კომპონენტებად დაშლა და სინონიმური პერიფრაზირების ხერხის გამოყენება სემანტიკური ანალიზის ერთ-ერთ საშუალებად მივიჩნიოთ.

როგორც უკვე აღინიშნა, ზმნური ფორმის მნიშვნელობები მისი ფუნქციონირებისას წარმოჩნდება. ზმნის ფუნქციონირების გარემო, ასპარეზი არის წინადადება. მეტიც, ზმნა არის წინადადების ბირთვი და ზმნური ფორმის წარმოდგენა შესიტყვების გარეშე შეუძლებელია, ყოველი ზმნური ფორმა უკვე თავისთავში გულისხმობს სინტაქსს. ამიტომაც, ზმნის ანალიზი სინტაქსისაგან გამოცალკევებით არ ხერხდება. ზმნური შესიტყვება, ზმნური სინტაქსი კი უფრო ფართო ენობრივი მონაკვეთის — კონტექსტის — მონაცემებით არის გაჯერებული.

შემდეგი მსჯელობისათვის აქ რამდენიმე სამუშაო ტერმინის განსაზღვრა მოგვიხდება.

ზმნურ შესიტყვებად მივიჩნევთ იმას, რაც კოორდინაციის ფარგლებში თავსდება. მას სტატიკური სინტაქსიც შეიძლება დავარქვათ, მაგრამ შემდგომ, ფართო კონტექსტთან დაპირისპირების შესაქმნელად, **„ნეიტრალურ კონტექსტს“** ვუწოდებთ.

„ნეიტრალური კონტექსტის“, ანუ ზმნური შესიტყვების — ზმნის ფუნქციონირების უმცირესი ერთეულის — ფარგლებში ფორმის ძირითადი მნიშვნელობა არ იცვლება. ამიტომაც შესაძლებელია ზმნური ფორმის ძირითადი სემანტიკური მონაცემები, ძირითადი სტატუსი განვსაზღვროთ მაქსიმალურად ნეიტრალურ გარემოცვაში, „ნეიტრალურ კონტექსტში“, რამდენადაც უფრო მეტი გამონაწევრება ზმნური ფორმისა „კონტექსტიდან“, მეტი განყენება ფუნქციონირებისაგან ფაქტობრივ შეუძლებელია.

რაც შეეხება კონტექტს: შესიტყვების ბირთვის — ზმნის — მნიშვნელობების კვლევისას კონტექსტისეულად გაიგება ყოველივე ის, რაც კონკრეტული ზმნური შესიტყვების ფარგლებიდან გადის (იქნება ეს რთული სინტაქსური კონსტრუქცია, საგარემოებო და მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, თუ ინტონაცია).

ზმნური ფორმების მნიშვნელობათა კვლევისას ამ ფორმების ფუნქციონირებისადმი ამგვარი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა „კონსტრუქციული“ ნიშნით თავიდანვე ორ ჯგუფად გავყოთ მწკრივები. პირველ ჯგუფში შემოვა ის ფორმები, რომელთაც უნარი შესწევთ მარტივი კონსტრუქციების, „ნეიტრალური კონტექსტის“ შექმნისა, მეორეში კი — ისინი, რომლებიც რთული სინტაქსური კონსტრუქციების შექმნას ემსახურებიან, დასრულებულ მარტივ კონსტრუქციებს („ნეიტრალურ კონტექსტს“) ვერ იძლევიან.

*

აქ უკვე აუცილებელი ხდება **კილოს** კატეგორიის ადეკვატური განსაზღვრა. მაგრამ სანამ კილოს ცნება განიმარტებოდეს, მწკრივის ძირითადი სემანტიკური მახასიათებლები უნდა გამოიკვეთოს.

რომელი სემანტიკური კატეგორიებია განმსაზღვრელი ზმნური ფორმის, როგორც დამოუკიდებელი ფუნქციური ერთეულის, მნიშვნელობის შექმნაში?

ტრადიციულად, ყოველი ზმნური ფორმა, როგორც უღვლილების სისტემის წევრი, რომელიმე პირის, რიცხვის, კილოს, დროისა და ასპექტის გაგებას იძლევა.

ამათგან ყველა ელემენტი ერთი რიგის სემანტიკური მონაცემი არ არის. პირი და რიცხვი არაა განმსაზღვრელი კატეგორიები ზმნურ ფორმათა სემანტიკური ოპოზიციის შექმნაში; ისინი, ასე ვთქვათ, მწკრივისშიდა კატეგორიებია (თუმცაღა ფორმათა მნიშვნელობების ნიუანსობრივი აღწერისას მათი გათვალისწინებაც ზოგჯერ საჭირო ხდება. ასეთებია, მაგ., ბრძანებითობა, თურმეობითობა და სხვ.).

გვრჩება სამი კატეგორია: **კილო, დრო** და **ასპექტი.** ყოველი მწკრივის ძირითადი მნიშვნელობა შეიძლება დახასიათდეს ამ სამი სემანტიკური კატეგორიის გამოყენებით; **მათი კომბინაცია გვაძლევს მწკრივს — როგორც ფუნქციურ ერთეულს**.

რა მიმართებაა ამ სამ სემანტიკურ ერთეულს შორის?

ლოგიკური იქნება მიმართებათა დადგენისას იმ კატეგორიას მიენიჭოს პრიორიტეტი, რომელიც ფორმათა უფრო ზოგად კორელაციას გამოხატავს, მწკრივთა უფრო მარტივი კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

მწკრივთა ამგვარი ძირითადი (ბინარული) დაპირისპირების შემქმნელია **კილოს** კატეგორია, ოღონდ ცნების არცთუ მთლად ტრადიციული შინაარსით. კილოური ოპოზიცია იძლევა ზმნურ ფორმათა ტრადიციული გამიჯვნის შესაძლებლობას. ამით ეს კატეგორია პირველი სა-

კლასიფიკაციო ერთეულია დრო-კილოთა სისტემაში. დრო-კილოთა მთელი სისტემა ენობრივი ფუნქციონირების დასაწყისშივე ორად განიყოფა: პირველ ჯგუფს ჩამოაყალიბებს „ნეიტრალური კონტექსტის“ შექმნის უნარის მქონე მწკრივები, ანუ ტრადიციული თხრობითი კილოს მწკრივები, ხოლო მეორე ჯგუფს ყველა დანარჩენი — „ნეიტრალური კონტექსტის“ შექმნის უნარის არმქონე მწკრივები, რომელთათვისაც ტერმინი **კავშირებითი** ზედგამოჭრილია. ამგვარად, ჩვენ მწკრივებს ფუნქციონირების პირველ ეტაპზე განვსაზღვრავთ (და ვაჯგუფებთ) კონსტრუქციული ნიშნით: **კილო მწკრივის კონსტრუქციული** (resp. **ფუნქციური**) **უნარია**.

მაგრამ აქ საჭიროა კილოს ტრადიციულ განსაზღვრას შევეხოთ.

საქმე ის არის, რომ კილო განიმარტება როგორც სემანტიკურ-მოდალური კატეგორია.

მოვიყვანთ ა. შანიძის განმარტებას, რომელიც, ჩვენთვის საინტერესო კუთხით, ძირითადად წარმოაჩენს ყველა სხვა განმარტების ღირსება-ნაკლოვანებებს: „**კილო** არის ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდებელი, ან კიდევ — როგორც შესასრულებელი. ამის მიხედვით გვაქვს სამი კილო: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი...

კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას ისე წარმოადგენს, რომ იგი არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძლება ხდებოდეს, მოხდეს, ან მომხდარიყოს. რომ შევადაროთ ერთმანეთს ეს ფორმები: „ვაშენებ“ და „ვაშენო“, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ერთი ფაქტს გადმოგვცემს („სახლს ვაშენებ“), მეორე კი ისეთ მოქმედებას გვიჩვენებს, რომელიც შესაძლებელია, მაგრამ ფაქტი არ არის („სახლი მე ვაშენო?“)“.

თანამედროვე ქართულში ბრძანებითი კილო მწკრივთა დონეზე აღარ არსებობს, მისი გამოხატვა დღეს ინტონაციური და ლექსიკურია, ზმნური ფორმები კი თხრობითისა და კავშირებითისა გამოიყენება.

რაც შეეხება ორ დანარჩენ კილოს (თხრობითსა და კავშირებითს), მათი ოპოზიციის სემანტიკური ხასიათი არ არის თავისთავადი, მწკრივთა დონეზე განხორციელებული ფაქტი და მასზე მხოლოდ სათანადო ერთეულების ფუნქციური უნარის განსაზღვრის შემდეგ შეიძლება მსჯელობა. ფაქტობრივ, აღნიშნული ერთეულები არც არის ერთი დონის მონაცემები იმისათვის, რომ მათ შორის სემანტიკური ოპოზიცია შეიქმნას. ე. წ. თხრობითი კილო სემანტიკურად არის კილოს ნე-

იტრალური ფორმა, რომელსაც ოპოზიციის შესაქმნელად უნდა დაუპირისპირდეს კილოს სემანტიკურად მარკირებული სახე.

მაგრამ ე. წ. კავშირებითი კილოს ფორმა —„ვაშენო“ — უკონტექსტოდ არაფერს არ გამოხატავს (არც „არაფაქტს“, არც „შესაძლებელ-სავარაუდებელს“), რადგანაც ვერ ქმნის, თხრობითი კილოსაგან განსხვავებით, ნეიტრალურ შესიტყვებას (ამიტომაც გახდა საჭირო მისი კითხვით წინადადებაში წარმოდგენა). კავშირებითი ფორმის მნიშვნელობა გამოვლინდება მხოლოდ კონტექსტისეულ გარემოცვაში:

სახლი მე **ავაშენო**?
იქნებ სახლი **ავაშენო**!
სახლი უნდა **ავაშენო**.
სახლი რო **ავაშენო**, მასალა არის საჭირო.
შერცხვენილი ვიყო, თუ სახლი არ **ავაშენო** და მისთ.

ამგვარ ფუნქციონირებაში გამოვლენილი მნიშვნელობების შეპირისპირება თხრობითი კილოს სემანტიკასთან იქნება ამ კილოთა ოპოზიციის სემანტიკური ნიშანი, მაგრამ მხოლოდ მეორე რიგის ნიშანი! სხვათა შორის, თხრობითი კილოს ფორმათა ყველა ფუნქციური შესაძლებლობის აღწერა კავშირებითი კილოს ფორმებთან მრავალ ურთიერთგადამკვეთ მნიშვნელობას წარმოაჩენს.

შენიშვნა: ისტორიულად კავშირებითის ფორმამ იკისრა ბრძანებითობის გამოხატვა: **გააკეთოს, იდგეს;** დიალ. **ჩამოირბინე, მოხვიდოდე...** როგორ წარმოგვიდგება ეს პროცესი? ენის ისტორიული განვითარების პროცესში მოხდა ზმნის ფორმის სემანტიკური რანგის შეცვლა (გადანაცვლება), რაც სწორედ კავშირებითობაში იღებს სათავეს:
I ეტაპზე (მინდა, გინდა) **უნდა, რომ გააკეთოს**.
II ეტაპზე: **უნდა გააკეთოს** (**უნდა**-ს ნაწილაკად ქცევა ზმნის სემანტიკის ცვლის ნიშანია).
III ეტაპზე: **გააკეთოს!** მოდალური ნაწილაკის ჩამოცილება დასტურია ფორმის ბრძანებითად ქცევისა (შდრ. **რადთამცა ექმნა, ქმნა** — II თურმეობითი **-მცა** ნაწილაკთან თხრობითი კილოს მწკრივად იქცა). ანალოგიურივე მექანიზმი უნდა მოქმედებდეს **არ(ა)** ნაწილაკთან კავშირებითის ფორმის ბრძანებითად გამოყენებისას **(არ გააკეთო)**.

ამგვარად, თანამედროვე ქართულში ზმნურ ფორმათა ფუნქციონირებაში რეალურად მონაწილეობს **კილო, როგორც კონსტრუქციული ელემენტი,** ზმნურ ფორმათა შეხამებითი უნარის განმსაზღვრელი მონაცემი. თხრობითი კილოს ფუნქციაა მარტივი კონსტრუქციისა და რეალური, განსაზღვრული სემანტიკის შექმნა. კავშირებითი კილოს ფორმები რთულ კონსტრუქციების ქმნიან და ენობრივად განუსაზღვრელ, კონტექსტით დასაზუსტებელ ირეალურ (უფრო სწორედ, სარეალიზაციო, პოტენციურ) სემანტიკას გადმოსცემენ. კავშირებითი კილოს ფორმათა ტრადიციულად აღნუსხული სემანტიკურ-მოდალური მახასიათებლები (სურვილი, მისწრაფება, თხოვნა, გაფრთხილება, აკრძალვა, ნატვრითობა, საეჭვოობა, ვარაუდი, ვალდებულება, შესაძლებლობა, პირობითობა...) კავშირებითობის ფუნქციონირების დონის კერძოობითი მნიშვნელობებია...

სხვათა შორის, კილოს ამგვარ განსაზღვრაში სიახლე მხოლოდ მოვლენების დახასიათების თანამიმდევრობაშია. საქმე ის არის, რომ, ჩვეულებრივ, კავშირებით კილოს სემანტიკურ-მოდალური მონაცემებით განსაზღვრავდნენ, მაგრამ არასდროს არ ტოვებდნენ მხედველობის გარეშე მის კონსტრუქციულ შესაძლებლობებს. ტერმინოლოგიურადაც სწორედ ეს მომენტი იქნა ასახული — Conjunctivus „დამაკავშირებელი, შემარეთებელი“; ქართული შესატყვისი ტერმინი **კავშირებითი** კარგად გამოხატავს მოვლენის არსს. თვით ტერმინი **კილო** მნიშვნელობის დონეს ასახავს და ალბათ უკეთესი იქნებოდა, ფორმათა ფუნქციურ უნარს სახელიც უფრო შესაფერისი მოსძებნოდა (აქ შეიძლებოდა იმის მითითება, რომ ფილოლოგიურ გრამატიკებში კილოს **დახრას** ეძახდნენ), მოვლენის სემანტიკურ-მოდალური დახასიათებისაგან გასარჩევად.

საკითხის ამგვარად დასმას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. უკვე აღინიშნა, რომ ზმნური სემანტიკის გამოვლენა სინტაქსის, კონტექსტის გარეშე შეუძლებელია, და სიმპტომურია, რომ მწკრივების პირველმავე არსებითმა საკლასიფიკაციო ერთეულმა მოითხოვა კონსტრუქციული საზღვრების დადგენა. ამ ნაბიჯით ჩვენ ზმნური ფორმები (მწკრივები) გამოგვყავს რაღაც თავისთავად არსებული (აბსტრაჰირებული) კატეგორიის ჩარჩოებიდან და პოტენციის რეალიზაციის, ფუნქციონირების შესაძლებლობას ვანიჭებთ. ამით შესაძლებელი ხდება სემანტიკური მახასიათებლები (კატეგორიები) აღვწეროთ მათს დინამიკაში...

*

მწკრივთა კილოური კლასიფიკაციის შემდგომ საჭიროა **დროისა** და **ასპექტის** კატეგორიების მიხედვით განვსაზღვროთ თითოეული

ჯგუფის ფორმები. ქართული ზმნის მწკრივების სემანტიკური სტრუქტურის ძირითადი ერთეულები სწორედ დრო და ასპექტია. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ზმნის უღლების ერთეულები — **მწკრივები, სემანტიკურად დროულ-ასპექტური ერთეულებია.** ამათგან დრო შედარებით მარტივი, ხოლო მოქმედების სახე, ანუ ასპექტი, ბევრად უფრო რთული კატეგორიაა.

ბუნებრივია, რომ დროულ და ასპექტურ ოპოზიციებს სრულყოფილად მხოლოდ თხრობითი კილოს მწკრივები წარმოადგენენ, რადგანაც ე. წ. „ნეიტრალური კონტექსტებს“ მხოლოდ ისინი ქმნიან. კავშირებითი კილოს მწკრივებისათვის ამ სემანტიკური ერთეულების განსაზღვრაც მხოლოდ კონტექსტური ფუნქციონირების დონეზე ხდება. ა. შანიძის „საფუძვლებში“ აღნიშნულია, რომ „პირიან ზმნებში დრო ყველა კილოიან ფორმას აქვს, მაგრამ ყველაზე უფრო ნათლად და სრულად ეს კატეგორია თხრობით კილოიან ფორმებშია გამოხატული“. იქვე არნ. ჩიქობავას მისამართით არის ასეთი შენიშვნა: „თუ ა. ჩიქობავას მაგალითებს დავაკვირდებით, ძნელი არ იქნება შევნიშნოთ, რომ „დროდ“ მას მარტო თხრობითი კილოს შემცველი მწკრივები მიაჩნდა, სხვა მწკრივები მას კილოდ ჰქონდა გაგებული...“ იქვე მსჯელობაა იმის თაობაზე, რომ არნ. ჩიქობავას („ზოგად ენათმეცნიერებაში“) კავშირებითის კილოდ ქცევა მეორეულ მოვლენად მიაჩნია. არნ. ჩიქობავას დებულებაში კარგად არის ასახული ზმნური კატეგორიების ურთიერთშეპირობებულობა და ისიც, რომ დროული დიფერენცირება თხრობითი კილოს მწკრივების სპეციფიკაა.

აღნიშნული ორი სემანტიკური კატეგორიიდან დრო უფრო ფართო (ზოგადი) მნიშვნელობის ცნებაა; ის თხრობითი კილოს მწკრივების ძირითადი სემანტიკური საკლასიფიკაციო ერთეულია, თხრობითი კილოს ფორმათა სემანტიკური განაწილების ძირითადი საფუძველი.

ამგვარი განაწილებისათვის რელევანტურია დროის ტრადიციული სამწევროვანი კატეგორია: ნამყო — აწმყო — მყოფადი.

როგორ განიმარტება დროის სემანტიკური კატეგორია?

ა. შანიძე: „გრამატიკაში დრო ეწოდება ისეთ ფორმას ზმნისას, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის (ანუ ლაპარაკის) მომენტთან. ამ შეფარდების მიხედვით ირკვევა, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება ხდება ან უბნობის მომენტში, ან სხვა დროს. დროული გამოხატვა იმაზეა დამოკიდებული, რომ ყოველგვარი ამბავი,

რომელიც კი მომხდარა, ხდება, თუ უნდა მოხდეს, გადმოცემულია მოუბრის თვალსაზრისით და მისი უბნობის მომენტთან შეფარდებით“.

არნ. ჩიქობავა: „დროისათვის ნიშანდობლივია შეფარდება მოქმედებას შორის და მოქმედების აღნიშვნას შორის“.

ამგვარი განმარტება: დრო — მოქმედების მომენტის შეფარდება უბნობის მომენტთან (სამეტყველო სიტუაციასთან), შეიძლება ითქვას, უნივერსალური განმარტებაა, უბნობის მომენტი ყველგან ათვლის წერტილად არის აღიარებული.


უფრო დაზუსტებულია დროული მიმართებები, როდესაც, საუბრის მომენტთან ერთად, საორიენტაციოდ სხვა დროული მომენტიც შემოაქვთ. მაგალითად, რუსული ენის აკადემიური გრამატიკის მიხედვით, დროის კატეგორია გამოხატავს მოქმედების მიმართებას საუბრის მომენტთან ან დროის სხვა რომელიმე მომენტთან, რომელიც მიღებულია დროული მიმართებების ათვლის საფუძვლად. დროის ამგვარ სახეობას შეფარდებითს, რელატიურ დროსაც ეძახიან (აბსოლუტურ დროსთან მიმართებით). დროის სხვა რომელიმე მომენტს ხშირად „საუბრის მომენტთან ერთად“ ემყარებიან.

დროის კატეგორიის ამგვარ დაზუსტებას მოითხოვს II თურმეობითის („**აეშენებინა**“) მსგავსი ენობრივი ფაქტები: „მე რომ მივედი, საქმე უკვე **მოემთავრებინა** და ისვენებდა...“ „მოემთავრებინა“ ზმნის დრო განსაზღვრულია „მივედი“-სთან (აგრეთვე „ისვენებდა“-სთან) მიმართებით, მათი უწინარესია; მაგრამ იმისათვის, ვინც დროის დიფერენცირებას საუბრის მომენტთან მიმართებით ახდენს, აღნიშნული დროული მიმართებების ათვლის წერტილიც საუბრის მომენტია.

არსებითი ის არის, რომ ზმნური ფორმა არ გამოხატავს მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის მომენტთან; ამგვარი რამ არც მორფოლოგიურად გამოიხატება და არც სემანტიკურად. არა ჩანს, რომ ენობრივი ცნობიერებისათვის არსებითი მიზანი ზმნური ფორმით გადმოცემული დროის უბნობის მომენტთან მიმართების ასახვა იყოს, არამედ კოორდინაცია აწმყოსთან, ყოველი კონკრეტული ენობრივი სიტუაციის არსებობის დროსთან, ობიექტურად მუდმივად მოძრავ ერთეულთან.

თუ დროის ზოგადი დანაწევრების სქემატურ გამოსახულებას ავიღებთ, რომელშიც ისარი წარსულიდან (A) მომავლისაკენ (C) მოძრაობის მიმართულებას გამოხატავს, წერტილი თუ მონაკვეთი — „აწმყო“ (B) — მუდმივად მარჯვნივ მოძრავი ერთეულია, რომელთან მი-

მართებითაც განისაზღვრება ნამყოც და მყოფადიც. ათვლის წერტილი ყველა შემთხვევაში აწმყოა.



ეს გამოხატავს დროის განზომილებების აშკარა ანთროპოცენტრულობას. თუმცა, საზოგადოდ, უნდა ვირწმუნოთ, რომ ადამიანის ცნობიერება და, ამდენადვე, ენაც ობიექტურად ასახავს დროს (საკითხის გაღრმავება ჩვენს ამოცანას სცილდება). ამიტომაც დროის კატეგორიის ამგვარ განმარტებას ვარჩევდით: **დროის კატეგორია ასახავს ზმნური ფორმით გადმოცემული მოქმედების დროულ ლოკალიზაციას**.


ათვლის წერტილად (აწმყოდ) ყოველთვის მოიაზრება სამეტყველო სიტუაცია, დამატებითი ათვლის წერტილი შეიძლება გახდეს რომელიმე სხვა დროული სიტუაცია, წარმოდგენილ მოქმედებაზე უწინ განსაზღვრული.

სხვაგვარად: **გრამატიკული დრო არის ზმნური ფორმის სემანტიკური უნარი ენობრივად ასახოს სინამდვილის დროული დიფერენცირება.** ამავე კატეგორიის უფრო დიფერენცირებულ ასახვას ემსახურება სხვა ენობრივი საშუალებები (პირველ რიგში, ლექსიკური).

რამდენიმე სიტყვა დროის გრამატიკული კატეგორიის დანაწევრების შესახებ.

ტრადიციულად, დროის გრამატიკული კატეგორიის დანაწევრების საფუძველია დროის კატეგორიის ზოგადი დაყოფა. მაგრამ ცნობილია, რომ შესაძლებელია დროის გრამატიკული კატეგორია დროის ზოგად კატეგორიას არ შეესაბამებოდეს; შესაძლებელია გრამატიკული დრო ნაკლები იყოს (მაგალითად, გრამატიკული მყოფადი დროის კლება იშვიათი არ არის), შესაძლებელია რამდენიმე ნამყო და მყოფადი დრო იყოს გარჩეული გრამატიკულად.

ცნობილია იესპერსენის დროული სქემა ინდოევროპული ენების მასალის მიხედვით:



ამ თვალსაზრისით ქართულში საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს II თურმეობითის ფორმა, რომლის ძველი სახელწოდებები — ნა-

მყო უსრულესი და წინარეწარსული — სწორედ ამ სპეციფიკის ამსახველი იყო. ძირითადად სწორედ ამ მწკრივის გათვალისწინებით გამოყო ა. შანიძემ თანამდევრობის კატეგორია (უწინარესობა და შემდგომობა). მკვლევარი წერს: „თანამდევრობა ახლო დგას დროის კატეგორიასთან, მაგრამ იმით განსხვავდება მისგან, რომ გრამატიკული დროის გაგება გამომდინარეობს უბნობის მომენტისა და მოქმედების მომენტის შეფარდებისაგან, თანამდევრობა კი — ორი მოქმედების ერთმანეთთან შეფარდებისაგან. დროის დასადგენად ერთი მოქმედებაა საჭირო, თანამდევრობისათვის კი — ორი, რომელთაგანაც ერთი შეიძლება იგულისხმებოდეს“.

ამგვარი დროული მიმართებების თვალსაზრისით მრავალმხრივ საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს შემდეგი რთული კონსტრუქციები:

ა) „**სანამ მივიდოდი,** ღობე უკვე **გაემაგრებინა** და ახლა ჭიშკარს კიდებდა“ (რაც ამას ნიშნავს: „რომ მივედი, უკვე გამაგრებული ჰქონდა || ჩემს მისვლამდე გაემაგრებინა“, ან: „ჭიშკრის დაკიდებამდე გაემაგრებინა“).

ბ) „სიმართლე რომ მ ე თ ქ ვ ა, არ მ ი ვ ი დ ო დ ი“, ან:

გ) „იმიტომ მ ი ვ ე დ ი, სიმართლე რომ მ ე თ ქ ვ ა“ და სხვ. და სხვ.

მაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ შემთხვევებში, ისევე, როგორც ა. შანიძის სათანადო მაგალითებში, დროული მიმართებები, დროული უწინარესობა თუ თანამდევრობა სხვადასხვა ზმნური ფორმებით ასახული მოქმედებებისა მხოლოდ კონტექსტურად არის შეპირობებული და ქართული ზმნის მწკრივების დამატებითი დროული დიფერენცირება რეალური არა ჩანს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ანალოგიური ვითარება ჩანს იესპერსენთანაც, აღნიშნული სქემა სხვადასხვა ენობრივი საშუალებების გათვალისწინებით არის აგებული და ძირითადად ზოგად ხასიათს ატარებს. საყურადღებოა, რომ ე. წ. რთულ დროებში უწინარესობას გამოყოფს ე. ბენვენისტიც, მაგრამ აღნიშნავს, რომ უწინარესობის გამომხატველი ფორმები ვერ ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულები, ცალკე ისინი დროულ მითითებას არც შეიცავენ.

ამგვარად, ქართულში დროის გრამატიკული კატეგორიისათვის გამოსადეგია დროის სამწევროვანი სისტემა. ამათგან აწმყო და მყოფად დროებს თხრობითი კილოს ფორმათაგან ნეიტრალურ გარემოცვაში თითო ერთეული გამოხატავს (წერს → დაწერს), ხოლო ნამყო დროში ტრადიციული ოთხი მწკრივი (ჩვენი აღწერით — შვიდი ფორმა)

თავსდება: წყვეტილი, უწყვეტელი, I და II თურმეობითი (ფორმები: დაწერა, წერა, წერდა, უწერია, დაუწერია, ეწერა, დაეწერა).

საინტერესო კანონზომიერება შეინიშნება აწმყოსთან დაკავშირებით. დროის სკალაზე აწმყო, ჩვეულებრივ, წერტილად წარმოიდგინება, მაგრამ აწმყოს ენობრივი დროის საზღვრები უსასრულოდ შეიძლება განივრცოს. შდრ.: ქურდი კარს **ტეხს** → ბავშვს **სძინავს** → მარჩიელი **მკითხაობს** → დედამიწა **ბრუნავს**... ამიტომაც არის ასე ბუნებრივი აწმყო დროის განზოგადება (ე. წ. ზოგადი აწმყო: წერს, მკითხაობს, ქურდობს...).

ფუნქციონირების დონეზე დროთა ურთიერთმიმართების სხვა საინტერესო შემთხვევებიც გამოიკვეთება: აწმყო მყოფადის ფუნქციით, ე. წ. ისტორიული თუ დრამატული აწმყო (აწმყო წარსულში), თანადევრობა და სხვა მიმართებები (ე. წ. რელატიური დროები).

ამგვარი მოვლენების განხილვა მწკრივების სემანტიკური ანალიზის მეორე — ფუნქციონირების დონის — საფეხურია.

*

მწკრივთა დროული განაწილების შემდეგ უკვე აუცილებელია **ასპექტის** კატეგორიის როლი განისაზღვროს მწკრივთა სემანტიკური სტრუქტურის შექმნაში.

ა. შანიძის მიხედვით, „**ასპექტი** ანუ **სახე** არის ფორმა, რომელიც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოაჩენს ან ისე, რომ მას ბოლო არ უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს. პირველ შემთხვევაში გვაქვს დაუსრულებელი მოქმედება, მეორეში — დასრულებული“. მეცნიერის აზრით, „ასპექტის საწარმოებლად თანამედროვე ქართულ ენას მარტო ერთი საშუალება მოეპოვება“ — ზმნისწინი; უზმნისწინო ზმნა უსრული სახისაა (იმპერფექტულია), ზმნისწინიანი — სრული (პერფექტული). ასპექტიანი ზმნები დროების მიხედვით ასე ნაწილდება: უსრულასპექტიან ზმნას სამივე დრო აქვს, სრულასპექტიანს კი — მხოლოდ ორი:

უსრული: 1. ახლანდელი: ვწერ...
2. მომავალი: (ხვალეც) ვწერ... ვწერო... წერე...
3. წარსული: ვწერდი... ვწერე... მიწერია... მეწეროს...

სრული: 1. მომავალი: დავწერ... დავწერო... დაწერე!..
2. წარსული: დავწერე... დამიწერია... დამეწერა...

ამ კლასიფიკაციიდან რამდენიმე მომენტი უნდა აღინიშნოს: ა) დაპირისპირება სრულობა-უსრულობის მიხედვით მყოფადში (ვწერ — დავწერ); ბ) ბრძანებითის ფორმები; გ) არა ჩანს ფორმები რამდენიმე

მწკრივისა: II თურმეობითისა, აწმყოსა და მყოფადის კავშირებითებისა და ე. წ. ხოლმეობითისა, თუმცა უღლებისას ისინიც ნაწილდებიან ასპექტების მიხედვით.

„საფუძვლებში“ ცალკე არის საუბარი ასპექტისა და მრავალგზისობის მიმართების შესახებ: „უსრული ასპექტი რამდენადმე უახლოვდება მრავალგზისობას, რომელიც უღლების კატეგორიაში შედის: „კარი ვაღე“ ნიშნავს მოქმედებას, რომელიც შეგვიძლია წერტილების სახით წარმოვიდგინოთ...“ მოყვანილია განმეორების შემთხვევა: „ვაღე, ვაღე, ძლივს გავაღე...“ იქვე აღნიშნულია: მიუხედავად სიახლოვისა, ასპექტი და მრავალგზისობა მაინც სხვადასხვა კატეგორია არისო.

ცოტა ქვემოთ ა. შანიძე განმარტავს გზისობის ცნებას და აღნიშნავს, რომ სალიტერატურო ქართულმა ხოლმეობითობის ფორმები დაკარგა, სამაგიეროდ, მათი გამოხატვა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა (აქვეა მითითებული **ხოლმე** ნაწილაკზე, რომლის გამოყენება აღნიშნულ მწკრივებთან სავალდებულო არაა, აწმყო-მყოფადთან კი აუცილებელიაო).

გ. მაჭავარიანმა სრული და უსრული ასპექტის ტრადიციულ ზმნისწინიან დაპირისპირებასთან ერთად (მანვე უარყო უსრული მყოფადის არსებობა ქართულში) შემოიტანა დაპირისპირება: უსრული (უპრევერბო) ნამყო ძირითადი — ნამყო უსრული (უწყვეტელი) და აღნიშნა, რომ ნამყო ძირითადი (უსრულიცა და სრულიც) წყვეტის მომენტით უპირისპირდება ნამყო უსრულს, რომელიც მოქმედებას განგრძნობილად წარმოგვიდგენს. ამასთანავე, შემოტანილ იქნა დაპირისპირება: ერთგზისი — მრავალგზისი. ამ დაპირისპირებას ქმნიან, ერთი მხრივ, ე. წ. I ხოლმეობითისა და უსრული აორისტის, მეორე მხრივ, სრული აორისტის ფორმები: „**სრული** ასპექტის ფორმა შეიძლება ამავე დროს **უწყვეტელი** (განგრძობითი) იყოს და ამ შემთხვევაში ის აუცილებლად **მრავალგზისიც** იქნება (ე. წ. I ხოლმ.).

უსრული ასპექტის ფორმა შეიძლება **უწყვეტელიც** იყოს (ნ. უსრული) და **წყვეტილიც** (უსრული აორისტი). თუ **წყვეტილია,** მაშინ მას შეუძლია **მრავალგზისი** იყოს.

თუ **სრული** ასპექტის ფორმა **წყვეტილია,** მაშინ ის მხოლოდ **ერთგზისი** შეიძლება იყოს (სრული ასპექტის აორისტი)“.


ბოლო დაპირისპირების გამოყოფისას არაერთი ტრადიციული ნაკლი იჩენს თავს, რასაც შემდეგ ვნახავთ. მკვლევრის დასკვნითი დებულებები ამგვარია: „გარდა სრული და უსრული ასპექტებისა, თანამედროვე ქართულში გარჩეულია კიდევ ასპექტები: წყვეტილი (მომენტობ-

რივი) და უწყვეტელი (განგრძობითი, დიურატიული), ერთგზისი და მრავალგზისი.

სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირება, როგორც უკვე იყო ზემოთ აღნიშნული, ძირითადია დღევანდელ ქართულში. დანარჩენი ასპექტები შედარებით მკრთალად არის გამოხატული და მეორეხარისხოვან როლს ასრულებს (განსაკუთრებით ეს ითქმის ერთგზისობა-მრავალგზისობის შესახებ)".

ზ. ჭუმბურიძეც ასპექტის ძირითად (ერთადერთ) სახეობად თვლის სისრულე-უსრულობის მხრივ დაპირისპირებას. ამავე დროს, იზიარებს იმ აზრს, რომ ზმნას შესაძლებლობა აქვს აგრეთვე მოქმედების განგრძობითობა-წყვეტილობისა და ერთგზისობა-მრავალგზისობის გამოხატვისა. მაგრამ ამ უკანასკნელთ მიიჩნევს „ასპექტის კატეგორიის გარკვეულ ვარიაციად და მათ „მოქმედების სახის" სახელით აღნიშნავს (გერმანული Aktionsart-ისა და რუსული Способ действия-ს მიხედვით).

ასპექტის კატეგორიის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი აქვს წარმოდგენილი კ. ჭრელაშვილსაც. მან შესაძლებლად ჩათვალა დაპირისპირება ერთი ნიშნის — გრძლიობის ხარისხის — მიხედვით. ტრადიციულად ორმაგი ასპექტური ოპოზიციის შემქმნელი სამეულიდან: ნამყო სრული არის **სრული I** ასპექტი, ნამყო უსრული — **სრული II,** უწყვეტელი კი — **უსრული**. მივიღეთ სამწევროვანი ასპექტური კორელაცია. მკვლევრის აზრით, „ეს ფორმები ამოწურავენ ქართული ენის ზმნათა სისტემის ასპექტურ ოპოზიციებს"; ამიტომაც ზმნური ფორმები სამკუთხედის პრინციპით განაწილდა:



C: წერს, წერდა, წერდეს...

B: წერა, წეროს, უწერია, ეწერა, ეწეროს...

A: დაწერს, დაწერდა, დაწერდეს, დაწერა, დაუწერია, დაეწერა, დაეწეროს.

იმისათვის, რომ სამწევროვანი კორელაცია განხორციელდეს, კორელაციის სამივე წევრი ერთი ნიშნით უნდა დახასიათდეს. როგორც ითქვა, ეს ნიშანი გრძლიობაა, გრძლიობის ხარისხია. ამ ნიშნის გეომეტრიული დახასიათება (წერტილი, მონაკვეთი, წრფე) თითქოს ერ-

თგვარად შთამბეჭდავია, მაგრამ, როგორც ჩანს, წევრთა ცალსახოვანი სემანტიკური დახასიათება არ ხერხდება (სრული I და სრული II კლასიფიკაციისთვის არაფრის მთქმელი არ არის). ამიტომაც მკვლევარს დასჭირდა შემოეტანა ოთხი (უფრო ზუსტად, ორი წყვილი) „დიფერენციალური სემანტიკური ნიშანი“: 1. მომენტუროობა, 2. პროცესუალობა, 3. დიურატიულობა, 4. მთლიანობა. ამ მონაცემთა დასახასიათებელი ერთეულები შემდეგი სახით წარმოდგება:

დაწერა (სრული I): მთლიანი, მომენტური,
წერა (სრული II): მთლიანი, პროცესუალური,
წერდა (უსრული): დიურატიული, პროცესუალური.

ამგვარად, მივიღეთ ორი ახალი ოპოზიცია: მთლიანობა — დიურატიულობა (დაწერა, წერა — წერდა), მომენტუროობა — პროცესუალობა (დაწერა — წერა, წერდა). ამას კი აღნიშნული კლასიფიკაცია ნამდვილად არ ისახავდა მიზნად. როგორც ჩანს, სიძნელე ასპექტის აღწერის საკითხში თვით კატეგორიის სირთულიდან მომდინარეობს და სისტემის გამარტივების ცდა ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს.

აქ ერთი უნდა აღინიშნოს: საგულისხმოა კ. ჭრელაშვილის თვალსაზრისი, რომ **წერა** და **დაწერა** ერთმანეთს სრულობა-უსრულობის მიხედვით უპირისპირდებიან. საქმე ის არის, რომ მოქმედების პროცესი ორივეგან დასრულებულია, ოღონდ **წერა**-ს შემთხვევაში არა ჩანს — **შედეგით** თუ **უშედეგოდ;** თითქოს ეს ორი მომენტი — პროცესის დასრულება-დაუსრულებლობა და დასრულება შედეგით თუ შედეგის აღუნიშნავად — ირევა ნამყოს აღნიშნულ ფორმათა დახასიათებისას.

აღნიშნულის მიხედვით, შეიძლებოდა ნამყო დროის მოცემულ ფორმათა სამწევროვანი ასპექტური დაპირისპირება წარმოგვედგინა:

დაწერა — პროცესი დასრულებულია შედეგის თვალსაზრისით.
წერა — პროცესი დასრულებულია, შედეგი არა ჩანს.
წერდა — პროცესი დაუსრულებელია.

სქემატურად:

	პროცესი	შედეგი
დაწერა	+	+

წერა	+	—
წერდა	—	—

ამ შემთხვევაშიც იძულებული ვართ ორი მომენტი შემოვიტანოთ (პროცესი, შედეგი), თუმცა სემანტიკური მახასიათებელი ერთია (სრულობა). ამასთანავე, ამგვარი კლასიფიკაცია მთელ რიგ დამატებით სიძნელეებს წარმოშობს ზმნურ ფორმათა მთელი სისტემის ანალიზის დროს. კერძოდ, ეს დაპირისპირება ზმნის მთელ სისტემაზე უნდა გავრცელდეს. მაშინ ასეთ სურათს მივიღებდით:

უსრული	პროც. დასრულებული	სრული
წერდა	წერა	დაწერა
	უწერია	დაუწერია
	ეწერა	დაეწერა

მაგრამ შედეგობითობა დამატებითს სიძნელეებს ქმნის. ამიტომაც ვარჩევთ ძირითადად ტრადიციული კლასიფიკაციის ჩარჩოებში დავრჩეთ იქ, სადაც ტრადიციული კლასიფიკაცია აღწერისას ნაკლებ წინააღმდეგობებს შეიცავს.

განვიხილოთ თხრობითი კილოს მწკრივთა სისტემა ამ თვალსაზრისით.

როგორც აღინიშნა, თხრობითი კილოს მწკრივები სამ დროულ ჯგუფს ქმნიან: აწმყო, მყოფადი და ნამყო. ამათგან აწმყო და მყოფად დროებს თითო (შესაბამისივე სახელწოდების) ერთეული გამოხატავს (წერს — დაწერს). ეს დროული დაპირისპირება იმავდროულად ასპექტურიც არის: აწმყო — უსრული, მყოფადი — სრული. თვით ამ დროთა შიგნით, მწკრივთა დონეზე, ასპექტური დაპირისპირება არ არის რელევანტური. თუმცა აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ორი შემთხვევა:

ა) ცნობილია, რომ აწმყოს ფორმები ხშირად ე. წ. ზოგადი აწმყოს ფუნქციას გამოხატავენ. ზოგად აწმყოს საკუთარი გრამატიკული გამოხატულება არ გააჩნია, ამიტომაც ეს მნიშვნელობა აწმყოს ფორმის ერთ-ერთი სემანტიკაა — ფუნქციური სემანტიკა, განსაზღვრულ შემთხვევებში გამოვლენილი. ამგვარი სემანტიკის გამოხატვა იმ ლექსიკური ჯგუფის ზმნებს შეუძლიათ, რომლებიც ჩვევას, თვისებას, პროფესიას გამოხატავენ: **წერს** (=მწერალია), **ფრინავს** (=მფრინავია, ფრინველია), **სწავლობს** (=მოსწავლეა)... ამიტომაც, შესაძლოა, მათთვის უპრი-

ანი იყოს უდროო ფორმების სახელი, იგივე ფორმები კონკრეტულ დროულ ლოკალიზაციას რომ არ გამოხატავდნენ.

ბ) ა. შანიძეს, როგორც აღინიშნა, მყოფადშიც აქვს შეტანილი უსრული ასპექტის ფორმები (წერს, ხატავს [ხვალე]...). ამგვარი ასპექტური ოპოზიცია მყოფადში არ არსებობს. ენას შეუძლია აწმყოს ფორმებით გარკვეულ კონტექსტში გამოხატოს მომავლის დაუსრულებელი მოქმედებაც (მიუტანე და ჭამს; თუ თავს დაანებებ, ჭამს...). მაგრამ ამგვარი ასპექტური (გრამატიკული) ოპოზიცია ენაში ჯერჯეროობით არ ჩამოყალიბებულა (აღნიშნული მნიშვნელობა ოდენ ფუნქციონირების დონისაა), ამიტომაც მართებულია გ. მაჭავარიანის თვალსაზრისი, რომ უსრული მყოფადი ქართულში არა გვაქვს.

ამდენად, თუ გამოვრიცხავთ აწმყო-მყოფადის ერთდროულად დროულ-ასპექტურ მწკრივებს, ასპექტის კატეგორია არსებითად ნამყო დროის მწკრივთა სისტემის შიგნით იქმნება.

ძირითადად ასპექტურ ოპოზიციას მოქმედების დასრულებულობის მიხედვით ქმნის ზმნისწინის ქონა-არქონა:

უსრული	სრული
წერა	დაწერა
უწერია	დაუწერია
ეწერა	დაეწერა

ამ ოპოზიციისაგან გარკერძოებით დგას უწყვეტლის ფორმა (**წერდა**) იმით, რომ მას შესაბამისი ზმნისწინიანი მეწყვილე არ უჩანს ასპექტურ ოპოზიციაში. უწყვეტლის ზმნისწინიანი ფორმა სხვა კილოს ფორმაა და ასპექტურ შინაარს მხოლოდ კონტექსტში ავლენს (რასაც კიდევ შევეხებით). ამიტომაც ამ მწკრივთან სემანტიკური ოპოზიციისათვის (სრულობა-უსრულობა) გამოიყენება, ერთი მხრივ, ნამყო სრული (**დაწერა** — სრულია, **წერდა** — უსრული). მეორე მხრივ, უნდა გაირკვეს მიმართება ნამყო დროის ორ უსრულასპექტიან ფორმას შორის (**წერა, წერდა**). ორი დანარჩენი ფორმა — **უწერია, ეწერა** — როგორც ვხედავთ, სხვა ნიშნებით გამოირჩევა. კლასიფიკაციისათვის ყოველი მწკრივი ერთი სემანტიკური ნიშნით მაინც უნდა განსხვავდებოდეს ყველა დანარჩენისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ფორმათა აბსოლუტური სინონიმია გვექნება, რაც ენობრივად დაუშვებელია.

წერა — წერდა მწკრივთა დახასიათებისას შემოდის ახალი სემანტიკური ცნება — მოქმედების **წყვეტილობა;** პირველ ფორმაში მო-

ქმედების პროცესი შეწყვეტილია, მეორეში — შეუწყვეტელი, ამიტომაც **წერდა** ფორმის სემანტიკური ნიშანია უწყვეტობა, ამ ნიშნით უპირისპირდება ის **წერა — დაწერა** ფორმებს, სქემატურად:

	სრულობა	წყვეტილობა
დაწერა	+	+
წერა	—	+
წერდა	—	—

უწყვეტელთან მიმართებით ამ სქემის ორ ორწევრიან ოპოზიციად წარმოდგენაც შეიძლება: ა) **დაწერა** (სრული) — **წერდა** (უსრული); ბ) **წერა** (წყვეტილი) — **წერდა** (უწყვეტელი).

გასარკვევი რჩება ნამყოს დანარჩენი ორი წყვილი წევრის (**უწერია-დაუწერია, ეწერა-დაეწერა**) ასპექტური მიმართების საკითხი. მათთვის სამივე სემანტიკური ელემენტი საერთოა: კილო, დრო და ასპექტი (სრულობა-უსრულობა). რაღა განასხვავებს მათ?

ცნობილია, რომ ქართული ზმნის III სერიის ფორმებისათვის დამახასიათებელია **შედეგობითობა,** პერფექტულობა. ეს სემანტიკური ნიშანი ყოველთვის აღინიშნება I-II თურმეობითების დახასიათებისას და ხშირად მწკრივთა სახელწოდებებითაც გამოიხატება. ამიტომაც აუცილებელი ხდება, რომ ეს ნიშანი (შედეგობითობა) ამ მწკრივთა ასპექტურ ნიშნად იქნეს შემოტანილი. ნიშანდობლივია, რომ ჰ. ფოგტი ქართული ზმნის III სერიის ფორმების რეზულტატიურობას ასპექტად მიიჩნევს.


ამგვარად, ერთი მხრივ, **წერა-დაწერა,** მეორე მხრივ, **უწერია-დაუწერია, ეწერა-დაეწერა** ფორმებს შორის ოპოზიცია იქმნება შედეგობითობის მიხედვით, I-II თურმეობითის ფორმები მოქმედების შედეგის წარმოდგენას ემსახურება.

თვით ამ ორ პერფექტულ ფორმას (უწერია — ეწერა...) შორის განსხვავება იქმნება შედეგის წარმოდგენის დროის მიხედვით: I თურმეობითი აწმყოს შედეგობითია, II თურმეობითი — ნამყოსი.

ამ სამი რიგის სემანტიკური ოპოზიციით ამოიწურება თანამედროვე ქართულში თხრობითი კილოს ნამყო დროის მწკრივთა ასპექტური სისტემა. არსებითია დაპირისპირება **სრულობა-უსრულობის** მიხედვით, მასთან არის გადაჯაჭვული **შედეგობითობა-არაშედეგობითო-**

ბის ოპოზიცია. რამდენადმე ვიწროა მიმართება **წყვეტილობა-უწყვეტელობის** მიხედვით.

ეს მიმართებები შემდეგ სქემატურ გამოხატულებას პოვებს:



შეიძლებოდა სქემის სხვაგვარი აგებაც, კერძოდ, სრულობა-უსრულობის პირველ რიგში დასმით, მაგრამ ამგვარი სქემა ნაკლებ თანმიმდევრული და ნათელი გამოვიდოდა.

ჩატარებულ ანალიზში ასპექტურ მნიშვნელობათა რიგიდან გამოირიცხა **გზისობის** ცნება (ოპოზიცია: ერთგზისი — მრავალგზისი).

ეს პრინციპული საკითხია, ამიტომაც პოზიცია უნდა გაირკვეს.

როგორც ცნობილია, აღნიშნული სემანტიკური ოპოზიციის საფუძველს ძირითადად ქმნის ე. წ. I ხოლმეობითის ფორმა (თუმცა, გასათვალისწინებელია ზოგი სხვა შემთხვევაც). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ე.წ. I ხოლმეობითი არ არის თხრობითი კილოს ფორმა, ის ვერ იძლევა ნეიტრალურ კონტექსტს, რის გამოც მას არ ძალუძს შექმნას რაიმე ასპექტური ოპოზიცია თხრობითი კილოს ფორმებთან.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ მწკრივის აღწერისას ცნებებში შეუთანხმებლობა და აღრევა აშკარად გამოიკვეთება.

ა. შანიძე 1930 წლის „ქართულ გრამატიკაში“ გვიანდელ **I ხოლმეობითს პირობითს** უწოდებდა. არნ. ჩიქობავა 1939 წ. აღნიშნავდა, რომ „პირობითისა და ნატვრითი კილოსათვის გვაქვს კავშირებითი

პირველი, მეორე და მესამე, აგრეთვე ნამყოფადარი ნამყო“, ქეგლ-ში კი შენიშნავდა: „მყოფადისაგან ნაწარმოები ნამყო უსრული პირობითს კილოს უდრის“ და „პირობითი კილოს ფუნქცია, როგორც წესი, კავშირებითს (I, II, III) აქვს და ნამყოფადარ ნამყო უსრულს...“

ა. შანიძეს „საფუძვლებში“ კილოთა შორის გამოყოფილი აქვს პირობითი და შედეგობითი, რომლებიც უერთმანეთოდ არ გვხვდება. მაგ.: „მე რომ არ **მივშველებოდი,** სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა“. იქვე საგულისხმო განმარტებაა: „არც პირობითს და არც შედეგობითს საკუთარი მწკრივის ფორმა არ გააჩნია. ამიტომ ისინი არც მწკრივების შექმნაში იღებენ მონაწილეობას დამოუკიდებლად. პირობითისათვის ქართულში II თურმეობითს ვიყენებთ და შედეგობისთვის — I ხოლმეობითს“.

ა. შანიძე **მრავალგზისობას** განიხილავს I ხოლმეობითთან დაკავშირებით, მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ ფუნქციის გამოხატვას მიაწერს უწყვეტლის მწკრივსაც, „ხოლმე“ ნაწილაკთან ერთად აწმყო-მყოფადის ფორმებსაც. სხვაგან კი მრავალგზისობის გამომხატველად ნამყოს უსრული ასპექტის ფორმებიც ითვლება (**ვალე**).

ნიშანდობლივია აღნიშნული თვალსაზრისიდან გამომდინარე წინააღმდეგობრივი მსჯელობები: „თანამედროვე ქართულ ენაში ჩნდება კილოს მეოთხე ფორმა — პირობითი.

პირობითი კილო ისეთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედების შესასრულებლად რაიმე პირობაა საჭირო, მაგ., **დავხატავდი** (ფანქარი რომ მქონოდა)...

პირობით კილოს საკუთარი ფორმები არ გააჩნია და სარგებლობს თხრობითი კილოს ფორმებით“ (შ. კეკელია, ა. დავითიანი).

იმავე მკვლევრებთან ხოლმეობითის მწკრივის დახასიათებას ახლავს შემდეგი შენიშვნები:

1. „თანამედროვე ქართულში შეინიშნება ხოლმეობითობის შესუსტება. რიგ შემთხვევაში ამ მწკრივის ფორმები კარგავენ მრავალგზისობის გაგებას და პირობითი კილოს მნიშვნელობას იძენენ.

2. ის ფაქტი, რომ ხოლმეობითის ფორმებს ხოლმე ნაწილაკს უმატებენ... მაჩვენებელია იმისა, რომ ამ მწკრივს ხოლმეობითის გაგება შესუსტებული აქვს“...

უნდა აღინიშნოს, რომ აქ შეუძლებელია საუბარი რაღაც ერთი მნიშვნელობის შესუსტებაზე და მეორის შეძენაზე, ვინაიდან აღნიშნულ მწკრივს არც როდისმე ჰქონია ხოლმეობითის, მრავალგზისობის გაგება. ის მყოფადის წრის ჩამოყალიბებამდე თხრობითი კილოს უწყვეტლის

მწკრივი იყო, შემდეგ კი კილო შეიცვალა და სხვა ფუნქციონალურ სისტემაში გადავიდა.

საგულისხმოა, რომ ტრადიციული წინააღმდეგობები ამ მხრივ არსებითად გ. მაჭავარიანის თვალსაზრისშიც აისახა.

მკვლევარს სრული და უსრული ასპექტის სურათის წარმოდგენისას საოპოზიციო რიგში შემოაქვს აგრეთვე: ნამყო უსრული — **პირობითი;** სქოლიოში კი შენიშვნაა: „იგივე I ხოლმეობითი“.

იქვე: „სრული და უსრული ასპექტის გარჩევასთან ზოგჯერ დროული და კილოური განსხვავებაც არის დაკავშირებული... **აკეთებდა** თხრობითი კილოს ნაკვთია (ნამყო უსრული), **გა-აკეთებდა** პირობითისა“. სქოლიოში შენიშვნაა: „იგივე ნაკვთი ზოგჯერ იტერატიული (განმეორებითი, მრავალგზისი) ასპექტის გამოსახატავადაც იხმარება“.

ამას მოსდევს ვრცელი მსჯელობა, რომელიც ისე მიემართება, რომ ერთგზისობა-მრავალგზისობა მწკრივთა სემანტიკურ ნიშნად, კატეგორიად, არ უნდა გამოყოფილიყო, ფუნქციონირების დონეები რომ გარჩეული ყოფილიყო.

აღნიშნულ კატეგორიაზე მსჯელობისას სრულიად მართებული დასკვნა გამოიტანა თ. ზურაბიშვილმა: „მრავალგზისობის გამოსახატავად თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას არ მოეპოვება საკუთარი მწკრივი... უნდა ვივარაუდოთ, რომ მას (მრავალგზისობას. — ა.ა.) უღვლილების სხვა კატეგორიების გვერდით აღარ დაურჩება ადგილი“. ამ თვალსაზრისს ეთანხმება ზ. ჭუმბურიძეც, თუმცა საბოლოოდ ხოლმეობითობას მაინც „ასპექტის სემანტიკურ სახესხვაობად, მოქმედების სახედ“ მიიჩნევს.

უნდა ითქვას, რომ ყველა შემთხვევა, რომელშიც ე. წ. I ხოლმეობითი მრავალგზისობის მნიშვნელობას გამოხატავს, კონტექსტისეული ფაქტია, ფუნქციონირების დონის სემანტიკა. ამ მწკრივის ძირითადი ასპარეზი პირობით-შედეგობითი წინადადებაა, რომელიც, **ჩვეულებრივ,** ურთიერთმიმართებულ მოქმედებათა დეტერმინირებულ მიმდევრობას გამოხატავს („ასე რომ ყოფილიყო, ასე მოხდებოდა...“, „თუ ამას ჰკითხავდა, ამას უპასუხებდა“...). აქედან — მრავალგზისობის ეფექტიც (შდრ.: „თუ მოქმედება მეორდება, ის შეიძლება ჩვეულებად გადაიქცეს. ამიტომ მრავალგზისი ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოგვცემს, რომლებიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორ-

მებს **ჩვეულებითსაც** ეძახიან. ამ შემთხვევაში ამ მწკრივმა შეიძლება სულაც დაკარგოს დროის კატეგორია.“ — ა. შანიძე).

მოქმედებათა ამგვარი დეტერმინირებული თანმიმდევრობა შეიძლება სინტაქსურად გამოკვეთილი იყოს, შეიძლება — მიჩქმალული. ამან საკითხისადმი დამოკიდებულება არ უნდა შეცვალოს.

შდრ.: **გათენდებოდა** თუ არა, პეტრე **ადგებოდა,** ტანთ **ჩაიცვამდა** და ა.შ.

გათენდებოდა, პეტრე **ადგებოდა**, ტანთ **ჩაიცვამდა**...
დილით ადრე **ადგებოდა**, **ჩაიცვამდა**...
ადგებოდა, **ჩაიცვამდა**...

ფორმათა სემანტიკის კონტექსტური შეპირობებულობა აშკარაა.


ასევე კონტექსტის გარეშე არავითარ განმეორებულ მოქმედებას არ გამოხატავს ნამყო უსრული (**ვწერე**...). ამ მწკრივის „მრავალგზისობაც“ ფუნქციური სემანტიკაა და მწკრივის სემანტიკურ ნიშნებში ვერ შემოვა.

დასკვნა ერთი შეიძლება იყოს: თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **გზისობა** არ არის განმსაზღვრელი ნიშანი მწკრივთა სემანტიკური (ასპექტური) ოპოზიციის შექმნაში, ის არ შემოდის თხრობითი კილოს მწკრივების ძირითად სემანტიკურ ნიშნებში.

*

ამგვარად, ***კილო, დრო*** და **ასპექტი** (მათი ქვესისტემებით) ურთიერთიერარქიულ მიმართებაში სრულყოფილად ახასიათებს ქართული ზმნის მწკრივთა, როგორც ფორმობრივ-სემანტიკურ ერთეულთა, სისტემას. ამ სისტემის (პარადიგმის) ყველა წევრი დამოუკიდებელი სემანტიკური ნიშნით წარმოდგება. მწკრივის ძირითად მნიშვნელობაში დამოუკიდებელი სემანტიკური ნიშანი მისი ენობრივი არსებობის განმსაზღვრელი პირობაა. ამიტომაც ყოველი სემანტიკური ნიშნის ცვლა (ფორმის ცვლასთან ერთად) უფლებას გვაძლევს გამოვყოთ ცალკე ზმნური ერთეული, დამოუკიდებელი ენობრივი ოდენობა.

წარმოდგენილი სემანტიკური კლასიფიკაციის იერარქიული სურათი ასეთ სახეს მიიღებს:



მთელი პარადიგმის (უღლების სისტემის) ფორმალური (ფუძისა) და სემანტიკური („დიფერენციალურ ნიშანთა“) მახასიათებლების გათვალისწინებით გადაწერა ამგვარ სურათს მოგვცემს (ამ შემთხვევაში, ცხადია, მწკრივთა ტრადიციული სახელწოდებების გამოყენება აღარ მოხერხდება):

№	მწკრივის ფორმა	სემანტიკური („დიფერენციალური“) ნიშნები
1.	ხატავს	თხრობითი + აწმყო
2.	ხატავდა	თხრობითი + წარსული + უწყვეტელი
3.	ხატავდეს	კავშირებითი + [აწმყო] + უსრული
4.	დახატავს	თხრობითი + მომავალი

5.	დახატავდა	კავშირებითი + [წარსული] + სრული
6.	დახატავდეს	კავშირებითი + [მომავალი] + სრული
7.	ხატა	თხრობითი + წარსული + უსრული
8.	დახატა	თხრობითი + წარსული + სრული
9.	ხატოს	კავშირებითი + [აწმყო/მომავალი] + უსრული
10.	დახატოს	კავშირებითი + [მომავალი] + სრული
11.	უხატავს	თხრობითი + წარსული + უსრული + შედეგობითი
12.	დაუხატავს	თხრობითი + წარსული + სრული + შედეგობითი
13.	ეხატა	კავშირებითი + წარსული + უსრული + შედეგობითი
14.	დაეხატა	კავშირებითი + წარსული + სრული + შედეგობითი
15.	ეხატოს	„— — — — “
16.	დაეხატოს	„— — — — “

რამდენიმე შენიშვნა:

1. ძირითადი ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით („ნეიტრალური კონტექსტის“ შექმნის უნარი) კავშირებითი კილოს ფორმებად მივიჩნევთ, ერთი მხრივ, **დახატავდა,** ხოლო მეორე მხრივ, — **ეხატა, დაეხატა** ერთეულებს. ისტორიული ანალიზიც ნათლად წარმოაჩენს, რა გზა გაიარა ძველი ქართული II თურმეობითის თხრობითი კილოს ფორმებმა თანამედროვე კავშირებითის გამოხატვამდე. ეს მონაცემი ძირითადი ნიშნებით სრულიად დაემთხვა III კავშირებითის ფორმებს, რამაც უთუოდ განაპირობა ის, რომ ეს უკანასკნელი თანამედროვე ქართულში თითქმის მთლიანად არის ატროფირებული (შესაძლებელია, თანამედროვე სისტემას ბოლო ორი ერთეული საბოლოოდ აღმოჩნდეს ჩამოშორებული).

2. კავშირებითი კილოს ფორმების დახასიათება დროის ნიშნებით საკმაოდ პირობითია, ვინაიდან, მათი ბუნებიდან გამომდინარე, ამ მწკრივების შესაბამისი მახასიათებლები ვლინდება მხოლოდ ფუნქციონალური სემანტიკის დონეზე და, როგორც არაერთგზის მიეთითა, ეს სემანტიკა საკმაოდ ლაბილურია.

3. საუღლებელ ერთეულთა ზმნისწინით გარჩევა მხოლოდ ზმნათა ნაწილს ახასიათებს. სხვა შემთხვევებში პარადიგმა იგება ფუძის მონაცვლეობით (ცხოვრობს — იცხოვრებს — იცხოვრა — უცხოვრია...), ანდა სუპლეტური წარმოებით (არის — იყო — იქნება...). ამ შემთხვევაში უფრო ხელშესახებია პარადიგმატულ ერთეულთა ფორმალური განსხვავება, თუმცა მათთვის ნიშანდობლივია სისტემის წევრთა კლება, პარადიგმის დეფექტურობა.

ძირითადი ორიენტირია ქართული ზმნის პარადიგმის წარმოდგენილი სრული მოდელი აუცილებელი სემანტიკური ნიშნების (კატეგორიების) გათვალისწინებით. ამ ნიშნებით, ფორმალურად (ფუძით) და ფუნქციონალური დატვირთვით ეს სისტემა ენობრივი რეალობაა. მართალია, ფორმალური თვალსაზრისით თვალშისაცემია ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა პარალელიზმი (როგორც შეჩვეულ — **ხატავს / დახატავს**, ისე შეუჩვეველ — **ხატა / დახატა** — შემთხვევაში), მაგრამ ენობრივ სისტემაში მათი დამოუკიდებელი არსებობა — ფორმალურადაც და სემანტიკურადაც — სრულიად აშკარაა.

ფუნქციონირების თვალსაზრისით წარმოდგენილ ფორმათა დისტრიბუცია ნამდვილად ვერ ჩაითვლება თავისუფალი ვარიერების შემთხვევად, რომ მათი „ალოფორმებად“ მიჩნევა იყოს შესაძლებელი.

უღლების ეს სრული სისტემა, ბუნებრივია, სავალდებულო ვერ იქნება ყველა ტიპის ზმნისათვის. როგორც ცნობილია, არსებობს არაერთი ნაკლული პარადიგმა, ძირითადად, გარდაუვალ, სტატიკურ ზმნებში. მაგრამ ძირითად მოდელად უნდა მივიღოთ არა ნაკლული, არამედ სრული სისტემა. როგორც ჩანს, ენობრივი (შინაგანი) მოდელები სრული სისტემის მიხედვით ყალიბდება და შემდეგ ენაში მთელი პროცესები მიმდინარეობს ნაკლული მოდელების სრულთან გათანაბრებისა. მაგალითად, დიალექტებში ჩანს, როგორც ერგება **თ**ანიანი მრავლობითი სახელის ბრუნების სრულ მოდელს: მათ-მა, მათ-ს, მათ-ის... ამის ნიმუშია მწკრივნაკლ ზმნებში პარადიგმატული ჩანაცვლების, სხვა ფუძის გამოყენების თუ სხვა მაგალითები.

მოთხოვნა გარკვეული ზმნური მნიშვნელობის (სემანტიკურ ნიშანთა განსაზღვრული „კონის“) გამოხატვისა არის ის შინაგანი „ხელმძღვანელი“, რომელიც აიძულებს ენის მატარებელს, დაიცვას არსებული ოპტიმალური მოდელი და, საჭიროების შემთხვევაში, მისი კარნახით „შეავსოს“ ნაკლული მოდელი.

ამის მაგალითად გამოდგება ძველი სუპლეტური წარმოება ზმნისა: **არის** — **იყო**. აორისტი **იყო** ერთდროულად ითავსებდა ასპექტობრივ შინაარსს სრულისას და უსრულისას, წყვეტილისას და უწყვეტლისას; ამიტომაც ენამ ეს „ანომალია“ ნაწილობრივ დაძლია პარადიგმის გასწორებით: იყოფ(ვ)ის — იყოფ(ვ)ოდა — იყო...

ანდა: **ტირის** ფორმას წყვეტილში ენაცვლება **იტირა.** ამ ფორმაში ასპექტური დიფერენციაცია არ აისახება. ამიტომაც ამგვარ შემთხვევაში ენა უსრული ასპექტის დანაკლისს ავსებს ფორმის გამეორებით (**იტირა** და **იტირა**), მეორე შემთხვევაში კი დიალექტური **იტირი-**

ლა ფორმით. **იტირილა — იტირა** ოპოზიცია უკვე ისეთსავე მიმართებას გამოხატავს, როგორსაც **აშენა — ააშენა**...

ანდა, შდრ.: **იკვნესა, იჭიკჭიკა** და **ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა** და მისთ.

თუ არა სისტემის „დაწოლა“ (ზემოქმედება), ცხადია, ამგვარი „გასწორება“ არ მოხდებოდა.

ამგვარად, ქართული ზმნის ფორმათა **სემანტიკური ანალიზი**, განსაკუთრებით საუღლებელ ერთეულთა აღწერა **შემადგენელი სემანტიკური ელემენტების** („დიფერენციალური ნიშნების“) **პრინციპით**, გვაფიქრებინებს, რომ **ზმნის უღლების სრული სისტემა (პარადიგმა) თანამედროვე ქართულში** წარმოდგენილი შეიძლება იყოს **16 საუღლებელი ერთეულის სახით.**

IV. 3.16. ზმნის მნიშვნელობის („ზმნურობის“) დაკარგვის შემთხვევები; ზმნის გადაქცევა ნაწილაკად, კავშირად, მოდალურ ელემენტად. ქართულში ზმნის პირიანი ფორმა ზოგჯერ კარგავს ზმნურობას და სხვა მეტყველების ნაწილად გვევლინება სხვადასხვა მოდიფიკაციით, დამოუკიდებელი სახით ან რომელიმე ელემენტთან შერწყმით. წარმოშობით ნაზმნარი ფორმებია ცალკეული სიტყვები, რომლებიც შორისდებულის ფუნქციით გვხვდება და გამოიყენება მისალმების, მადლობის გადახდის, თავაზიანი მიმართვის, ფიცის დროს: **გაგიმარჯოს**, **გმადლობთ**, **გენაცვალე / გენაცვა**, **გეთაყვა** (< გეთაყვანე), **ღმერთმანი** (< ღმერთმან იცის).

ზოგი ზმნის პირიანი ფორმა გამოიყენება მოდალური დანიშნულებით და იქცევა ნაწილაკად, კავშირად, მორფემოიდად.

ნაზმნარ ფორმათაგან მოდალური ელემენტი მიიღება თვით ამოსავალ ზმნათა სემანტიკის საფუძველზე. ზმნური მნიშვნელობის დაჩრდილვის შემდეგ ზოგი ზმნის ფორმა ფონეტიკურადაც იცვლება და ნაზმნარი მოდალური ელემენტი ფორმითაც განსხვავდება ძირეულისაგან (დახე, ეგებ, იქნებ, დაე). გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ნაზმნარი მოდალური ელემენტი ძირეულისაგან ფორმალურად არ განსხვავდება (ჩანს, უნდა, ეტყობა).

ზოგი ზმნური ფორმა საკუთრივ ზმნის ფუნქციითაც გვხვდება და მოდალური ელემენტის სტატუსითაც (უნდა, იქნება, ეტყობა), ზოგი კი — მხოლოდ მოდალური დანიშნულებით (-თქო, -მეთქი, ეგებ, ლამის).

ზმნური წარმომავლობის მოდალური ელემენტები:

ეგებ/ეგება ნაწილაკად ქცეული ზმნური ფორმაა; იგი თანამედროვე ქართულში მხოლოდ მოდალური ელემენტის სტატუსით გვხვდე-

ბა და გამოხატავს შესაძლებლობას ან დაეჭვებას. მისი მნიშვნელობაა: იქნებ შეიძლება, ვინ იცის, ვინძლო: *ეგებ ჯობდეს, ამაღამ აქ დარჩეს. ეგებ ყველაფერი კარგად დამთავრდეს.* აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში **ეგებ** ნაწილაკი დასტურდება **აგებ || აგება || აგების** ვარიანტებით.

ეს ზმნური ფორმა ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო, როგორც **ეგების** და საკუთრივ ზმნის ფუნქციით გამოიყენებოდა ასეთი მნიშვნელობით: შეიძლება, ჯერ არს. ამ მნიშვნელობით ეს ზმნა თანამედროვე ქართულში მხოლოდ უარყოფით ნაწილაკთან ერთად გვხვდება: არ ეგების, არ ეგება (=არ შეიძლება, შეუძლებელია, არ იქნება) და უმეტესად სტილიზაციის მიზნით არის გამოყენებული.

ეგების ზმნის მოდალურ ელემენტად გამოყენებისას სემანტიკური ცვლილება ასეთია: შესაძლებელ არს, შეიძლება > შესაძლოა, იქნებ, ვინ იცის. სემანტიკურ და ფორმობრივ ცვლილებასთან ერთად (ეგების > ეგება > ეგებ) შეიცვალა სინტაქსური წყობა: „ეგების ყოფად“ ტიპის მასდარული კონსტრუქცია შეიცვალა შესიტყვებით, რომელშიც **ეგებ**-ს შეეწყო კავშირებითის ფორმები, აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, II თურმეობითი: ეგებ წერდეს, ეგებ წერს, ეგებ წერდა, ეგებ დაწერა, ეგებ დაეწერა. **ეგებ** მოდალური ელემენტის საშუალებით ქართულში გამოიკვეთა შესაძლებლობის კილოს გამოხატვის ტენდენცია (ბ. ჯორბენაძე).

იქნება თანამედროვე ქართულში ორი დანიშნულებით გამოიყენება: საკუთრივ ზმნისა და მოდალური ელემენტისა. მოდალურ ელემენტად გამოყენებამ განაპირობა მისი ფორმობრივი ცვლილება: იქნება > იქნებ.

ზმნა **იქნება**-ს ზოგადი მნიშვნელობაა: იარსებებს. აქედან განვითარებულია სასურველობის სემანტიკა: ვინძლო იყოს || იარსებოს, რაც საფუძვლად დაედო კიდეც ამ ფორმის გამოყენებას მოდალური ელემენტის დანიშნულებით. სასურველობის სემანტიკის გარდა იგი გამოხატავს ვარაუდსაც. **იქნებ** ეხამება II კავშირებითის ფორმებს (იქნებ მოვიდეს, იქნებ შეძლოს), შესაძლოა შეგვხვდეს სხვა პარადიგმის ფორმებთანაც (იქნებ წერს, იქნებ წერდა, იქნებ დაწერა).

იქნება, როგორც დამოუკიდებელი ან მეშველი ზმნის, და **იქნება,** როგორც მოდალური ელემენტის, გამოყენების სფეროები ენაში მკვეთრად გამიჯნულია: სახელთან (მასდართან, მიმღეობასთან) იგი ზმნის ფუნქციით გვხვდება, ზმნასთან — მოდალური ელემენტის ფუნქციით (ბ. ჯორბენაძე).

უნდა ნაწილაკი გამოხატავს ვალდებულებას, აუცილებლობას: საჭიროა, აუცილებელია; *უნდა ვაკეთებდე, უნდა გავაკეთო.* წარმოშობით იგი დამოუკიდებელი ზმნაა. **უნდა** ზმნა თანამედროვე ქართულში ორი მნიშვნელობით იხმარება: ა) სურს, სწადია: *ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო* (ანდაზა)... ბ) ესაჭიროება, მისთვის საჭიროა: *კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო* (ანდაზა).

როდესაც **უნდა** პირველი მნიშვნელობით გამოიყენება, იუღლება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობით (ვუნდივარ, ვუნდოდი, ვუნდოდე. მინდა, მინდოდა, მინდოდეს), ხოლო როდესაც მეორე მნიშვნელობით გამოიყენება, მხოლოდ ობიექტური წყობა აქვს და მხოლოდ აწმყოს წრის პარადიგმები მოეპოვება (კარგი გამგონე მინდა, კარგი გამგონე მინდოდა, კარგი გამგონე მინდოდეს). სწორედ ამ მეორე მნიშვნელობისაგან განვითარდა ის სემანტიკა, რომელსაც მოდალური ელმენტი **უნდა** გამოხატავს: სურს > სჭირდება > საჭიროა...

მორფემოიდის ფუნქციით გამოყენებისას **უნდა** მხოლოდ კავშირებითის ფორმებს ეხამება და პირების მიხედვით უცვლელია, არ იუღლება. დიალექტებში იგი ფორმობრივად იცვლება. ფონეტიკური ცვეთის შედეგად კახურში, აჭარულსა და მესხურ-ჯავახურში გვაქვს: **უნდა ‖ უნა > ნდა ‖ ნა ‖ და** (*იქ-ნდა მივიდეს*).

უნდა გვხვდება **თუ** ნაწილაკთან შერწყმული: **თუნდა ‖ თუნდ**; **თუნდა**-ს ზოგჯერ **ც** ნაწილაკიც ერთვის: **თუნდაც** (დიალექტებში გვხვდება **თუმდაც** ფორმითაც). ეს ფორმა კავშირად არის ქცეული და გამოხატავს: ა) პირობას („*დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან*“. ილია). ბ) სათქმელისადმი განურჩეველ დამოკიდებულებას („*თუნდ ამოდი, მზეო, და თუნდ ნუ ამოხვალ*“. ვაჟა). **თუნდაც** გვხვდება აგრეთვე ჩართულ სიტყვად წინადადებაში და იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც — **მაგალითად**: *ავიღოთ, თუნდაც, ერთი შემთხვევა.*

მოდალური დანიშნულებით გამოიყენება აგრეთვე **უნდა** ზმნის II პირის ფორმა სხვადასხვა მოდიფიკაციით (დამოუკიდებელი სახით ან **თუ** ნაწილაკთან შერწყმით): **გინდა ‖ გინდ, თუგინდა ‖ თუგინდ.**

გინდა (ისევე, როგორც **თუნდ**) კავშირად არის ქცეული და აღნიშნავს: ა) პირობას (დაერთვის **ც** ნაწილაკიც — გინდაც: *გინდაც მოკლან, მაინც არაფერს იტყვის; ბ)* ამა თუ იმ გარემოების მიმართ განურჩეველ დამოკიდებულებას (*გინდ გააკეთე, გინდ არა*). ძველ ქართულში გვქონდა **გინა**, რომელიც კახურ დიალექტში დღემდეა შემორჩენილი.

ლამის გამოხატავს მიახლოვებითობას, იმავეს, რასაც **კინაღამ, თითქმის**: *ლამის ატირდა; ლამის გული გაუსკდა.*

ძველ ქართულში **ლამის** დამოუკიდებელი ზმნის ფორმაა, იმავე სტრუქტურისა, რაც „სურის / სურინ“ ფორმები და ნიშნავს: აპირებს, ცდილობს. ფუძე **ლამ** თანამედროვე ქართულში **-ობ** თემის ნიშანს დაირთავს: ლამ-ობ-ს. ქართული ენის განვითარების გვიანდელ საფეხურზე ორივე ფორმა დასტურდება: ვ-ლამ-ი || ვ-ლამ-ობ. დღეს მათგან მხოლოდ მეორე ფორმა გვხვდება, პირველი კი III პირის ფორმით შემორჩა, როგორც მოდალური ელემენტი.

მოდალური ელემენტი **ლამის** II კავშირებითის ფორმას ეხამება: *ლამის გავგიჟდე. ლამის ჩემი დამემართოს.* II კავშირებითის გარდა იგი შეიძლება შეეხამოს სხვა პარადიგმის ფორმებსაც: *ლამის ტირის, ლამის ტიროდა, ლამის იტირა, ლამის ეტირა.* ამ მორფემოიდს მოდალურ ელემენტად გამოყენების დროს უნარი აქვს ზმნისთვის დამახასიათებელი კონსტრუქცია შექმნას: „*ლამის, რომ არ შაეწიროს*“ (ვაჟა). იგი გვხვდება **არის** ზმნასთან ერთადაც, რომელიც ამ შემთხვევაში მეშველი ზმნის ფუნქციითაა გამოყენებული: *ლამის არის, გაგიჟდეს.*

დაე ნაწილაკ-მორფემოიდი მიღებულია დაეხსენ ზმნისაგან. იგი იხმარება III პირთან ბრძანებითის გასაძლიერებლად და გამოხატავს: ა) მუქარას (*დაე, ნახოს, რაც მოუვა!*); ბ) დათმობას, თანხმობას (*დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია!*); გ) სურვილს, ნატვრას („*დაე, აყვავდეს იმედი!*“ აკაკი). იშვიათად **დაე** I პირთანაც გვხვდება („*დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან!*“ ილია).

ასიმილაციით **დაე** გვაძლევს **დეე**-ს, ზოგჯერ — შემოკლებით **დე**-ს (*დეე, ისე იყოს, როგორც თქვენ გინდათ! დე, შენი სიტყვა გამართლდეს!*).

ზმნური წარმოშობის მოდალური ფორმებია: **დავუშვათ, ვთქვათ, ვფიქრობ, ვეჭვობ, ვგონებ, მგონია**.

დავუშვათ, ვთქვათ ჩაერთვის წინადადებაში და გამოხატავს პირობა-შესაძლებლობას (*დავუშვათ, ჩემი სიტყვა არ გამართლდა... ვთქვათ, ყველაფერი კარგად დამთავრდა...*).

ვფიქრობ, ვეჭვობ, ვგონებ, მგონია / მგონი ასევე ჩაერთვის წინადადებაში და გამოხატავს ვარაუდს, დაეჭვებას, შესაძლებლობას (*ვფიქრობ, ექსპერიმენტმა გაამართლა. ვეჭვობ, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს. ვგონებ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მგონია, ასე აჯობებს*).

მოდალური მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე ზმნები: **ჩანს, ეტყობა, მოდი, ადგა.**

ჩანს, ეტყობა ვარაუდის მოდალობას გამოხატავს: *„მხედრები დაქანცულნი ჩანდნენ“* (კ. გამსახ); *„როგორც ეტყობა, ...აქ ბევრი გზებიც უკეთებიათ“* (გოგებ). **მოდი** წაქეზების ფუნქციას ასრულებს: *„მოდი და, ფატმან, მეწიე, ვეცადნეთ მათსა რგებასა“* (ვეფხ). **მოდი** შეიძლება მხოლოდ ზმნისწინის სახითაც შეგვხვდეს: *„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის კრემლი გვდის შეუშრობელი“* (ვეფხ).

ადგა ექსპრესიულობას მატებს ფრაზას: *ადგა და მისწერა წერილი.* იგი ხშირად გამოიყენება ზღაპრებში (*ადგნენ და დაიწერეს ჯვარი. ადგა და წავიდა ბედის საძებნელად*).

ნაზმნარი ფორმების გარდა მოდალური მნიშვნელობით გვხვდება ზმნური შესიტყვებებიც. ზმნური შესიტყვებებით მიღებული მოდალური ელემენტებია:

ვინიცობაა < ვინიცობა არის < ვინ იცის-ობა < ვინ იცის, გამოხატავს პირობა-შესაძლებლობას (*ვინიცობაა დაგვაგვიანდეს, არ დაგველოდოთ!*).

თითქმის < თუ ითქმის, გამოხატავს მიახლოვებითობას (*თითქმის მივაღწიეთ მიზანს*).

თითქოს / თითქო < თუ ითქვას, ესეც მიახლოვებითობას გამოხატავს. გამოიყენება მოსალოდნელი ან დასაშვები მოქმედების გამოსახატავად (*თითქოს ყველაფერი კარგად იყო*).

შესაძლოა < შესაძლო არის; გამოიყენება მოსალოდნელი ან დასაშვები მოქმედების გამოსახატავად (*შესაძლოა ისე ვერ გავაკეთე, როგორც მინდოდა*).

კია < კი არის; დადასტურებითი ნაწილაკ-მორფემოიდია, რომელიც სალიტერატურო ენაში ნაკლებად გამოიყენება, გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში: *გაუხარდა კია ძალიან.*

რაგინდ < რაც გინდა; გვხვდება პირობით-დათმობითი ფუნქციით (*„რაგინდ ბედით ვიყო კრული..., არ შედრკება ჩემი გული“*. აკაკი).

შესაძლოა, ზმნური წარმომავლობისა იყოს **ვინძლო** ელემენტიც: ვინ-შე-იძლო > ვინძლო (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე), რომელიც წაქეზება-წახალისებას გამოხატავს (*„ვინძლო, ქვეყანა არ გააცინო!“* ყაზბეგი). არსებობს სხვა მოსაზრებაც: ვინ-ძი-რო(მ) > ვინძლო (ა. შანიძე).

ზმნური წარმოშობისაა სხვათა სიტყვის გამომხატველი ნაწილაკები: **-თქო**, **-ო**, **-მეთქი**. მათი საშუალებით გადმოიცემა ვისიმე ნათქვამის გამეორება (*უკვე გითხარი, გავაკეთებ-მეთქი; უთხარი, გავაკეთებთქო; უთხრა, გავაკეთებო*). **-თქო** და **-ო** მიღებულია **თქვა** ზმნისაგან:

თქვა > თქო > ო, **-მეთქი** (დიალექტური: -მეთქინ, -მეი) კი **მე ვთქვი** შესიტყვების შერწყმისა და ფონეტიკური ცვეთის შედეგად არის მიღებული: მე ვთქვი > მეთქი.

ნაზმნარი ფორმების გამოყენება მოდალური ელემენტების დანიშნულებით ქართულში არაიშვიათი მოვლენაა. ზმნურ ფორმათა და შესიტყვებათა ქცევა ნაწილაკად, კავშირად, შორისდებულად შესაძლებელია თვით ამ ზმნათა ამოსავალი სემანტიკისა და სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურების საფუძველზე. როდესაც ზმნური ფორმები კარგავენ ზმნურ ნიშნებს და მოდალურ ელემენტებად იქცევიან, ისინი განსხვავდებიან ამოსავალი პირიანი ზმნებისაგან სინტაქსური და მორფოლოგიური თავისებურებებით, ხშირად კი ფონეტიკური ცვეთის შედეგად — ფორმითაც.

IV. 3.17. ზმნის მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობები ქართულში. ზმნა-შემასმენლის ფუნქციით ქართულში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სხვა მეტყველების ნაწილი. ზმნის მნიშვნელობა („ზმნურობა“) შესაძლებელია გამოხატული იყოს ზმნისწინით, ატრიბუტივით, სუბსტანტივით ან შორისდებულით. ასეთი შემთხვევები იშვიათია და ზმნური ფორმის შემოკლების ან ზმნური კონსტრუქციის შეკუმშვის შედეგია.

სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება ზმნების შემოკლება ბოლო მარცვლის მოკვეცით, რაც ჩვეულებრივ ხდება ბრძანებითში: **დადე, მომე, შეხე, დაიცა, დაიჭი** და სხვ. (იხ. IV. 5.10.7.).

ზოგჯერ ზმნის ფორმა იმდენად მოკლდება, რომ რჩება მხოლოდ ზმნისწინი. ასეთი შემთხვევები გვხვდება საშუალ ქართულში: „**მო**, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არ-შეშრობილი“. (ვეფხ.); „**წა**, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე...“ ("ვეფხ.“). ასეთი ფორმები გვქონდა თხრობითშიც: „მიბრძანა: მოგეწონაო? მოვახსენე: **მო**-მეთქი“ („ამირან.“).

თანამედროვე ქართულში მსგავსი ფორმები ძალზე იშვიათია და გვხვდება ძირითადად ბრძანებითში: **გამო, შემო, წამო, ჩამო**... სასაუბრო მეტყველებიდან ეს ფორმები შესულია სალიტერატურო ენაშიც.

იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როცა ზმნის მნიშვნელობა გამოიხატება ატრიბუტივით, რაც ზმნური კონსტრუქციის შეკუმშვის შედეგია: ჩუმად! (=ჩუმად იყავი!), სწრაფად! (=სწრაფად გააკეთე!), ადგილზე! (=შენს ადგილზე იყავი!) და ა.შ.

ატრიბუტივი შესაძლოა შეკვეცილი სახითაც შეგვხვდეს: **ჩუ**! (=ჩუმად!).

ზმნური მნიშვნელობა ზოგჯერ გამოიხატება სუბსტანტივითაც: **სიჩუმე**! (=სიჩუმე იყოს!), **სიწყნარე**! (=სიწყნარე იყოს!), **მუსიკა**! (=მუსიკა დაიწყოს!)...

სახელების გამოყენება ზმნური მნიშვნელობით მეორეული ფაქტია: ზმნური კონსტრუქციის შეკუმშვის შედეგია და, როგორც წესი, გვხვდება ბრძანების დროს (ბ. ჯორბენაძე).

იშვიათად შეიძლება ზმნის მნიშვნელობით გამოყენებული იყოს შორისდებული:

„შესჯდომია ერთ კამეჩს რქასა და რქას შუა გაბერილი ბაყაყი და — **ყუა**! —**ყუა**!“ (რ. ინან.).

„მიდის და გული — **დაგ-დუგ**! **დაგ-დუგ**!“ (რ. ინან).

„ჩაუსაფრდებიან ჯიხვებს და — **ბაახ**! **ბაახ**!“ (რ. ინან.).

„მწყერი ბალახში გოგმანებს, აფრინდება და **ფრიიი**!“ (მ. ფოცხ.).

როგორც ცნობილია, ხმაბაძვითი შორისდებულები გენეტურად დაკავშირებულია ხმაბაძვით სახელურ და ზმნურ ფუძეებთან (ბრახაბრუხი, ლაწალუწი, რახარუხი, ბრახვანი, ტკაცანი, კრაჭუნი და სხვ.). ისინი წარმოგვიდგენენ მოქმედების სისწრაფეს, სიმკვეთრეს, გადმოგვცემენ მიმსგავსებას იმ ხმისას, რომელიც ისმის რომელიმე მოქმედების შესრულებისას. ეს შორისდებულები ახლოს არიან ზმნებთან ფუნქციურად და გენეტურად. ამიტომ, ბუნებრივია, ზოგჯერ, როდესაც წინადადებაში გამოტოვებულია ზმნა-შემასმენელი, მისი მნიშვნელობის გამოხატვა შესაძლებელია ხმაბაძვითი შორისდებულით.

ის, რომ ზმნა-შემასმენლის ფუნქციას ზოგჯერ იღებს ზმნისწინი, სახელი, შორისდებული, საინტერესოა ენის გამომსახველობითი შესაძლებლობების თვალსაზრისით.

თავი IV. გვარი – ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული

IV. 4.1. დინამიკურობა-სტატიკურობის მნიშვნელობა და გვარი

IV. 4.1.1. გვარის რაობის საკითხი. ზმნის გვარის კატეგორიის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაირგვარი და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებანი არსებობს. გვარის კატეგორიის სირთულე და თავისებურება არსობრივადაა დანახული ე. ბენვენისტის შემდეგი შენიშვნით: „აქტივისა და პასივის განსხვავება შეიძლება იმ ზმნური კატეგორიის ნიმუშად გამოდგეს, ჩვენს ჩვეულ აზროვნებას რომ აფორიაქებს: ის აუცილებელი ჩანს, მაგრამ უცნობია ბევრი ენისათვის, მარტივია, მაგრამ მისი ინტერპრეტაციის დროს დიდ სიძნელეებს ვაწყდებით, სიმეტრიულია, თუმცა გვაცვიფრებს თავისი გამოხატვის არათანმიმდევრულობით“. ოპოზიცია აქტივი-პასივი თითქოს უფრო გარკვეულია, ოპოზიცია აქტივი-საშუალი (ან მედიუმი) უფრო ბუნდოვანი, გაურკვეველია ამ ოპოზიციათა ურთიერთმიმართების, მათი დიაქრონიული ინტერპრეტაციის (უწინარესობა-შემდგომადობის) საკითხი: დასადგენია, რომელი დაპირისპირება უფრო აუცილებელია ენის აღსაწერად და სხვ. სადავოა, გვარი მორფოლოგიაში უნდა შეისწავლებოდეს, სინტაქსში, თუ ის მორფოლოგია-სინტაქსის ან სულაც ლექსიკის ობიექტია — ეს და სხვა კიდევ ბევრი საკითხი აღიძვრის გვარის კატეგორიის შესწავლისას.

გვარის კატეგორია ბევრ ენაში არ აისახება; არ აისახება ის ერგატიული კონსტრუქციის ენებშიც. ეს დებულება თითქმის საყოველთაოდაა გაზიარებული: ერგატიული ენები ნეიტრალურია გვარის ფორმალური და არა სემანტიკური გამოხატვის თვალსაზრისით. მთის კავკასიურ ენებში ვნებითის ჩანასახს თუ შევხვდებით. ქართველურ ენებში გვართა შეპირისპირება (აქტივი : პასივი) მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნის და აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რამდენად ეგუება ქართული ენის (ქართველური ენების) ერგატიული ტიპის ენად გააზრება გვარის კატეგორიის გამოყოფას.

გვარის კატეგორიის გაგების ზოგადი თვალსაზრისები თავისი შინაგანი წინააღმდეგობებით ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში სა-

თანადოდ არის ასახული. ამ ლიტერატურის მიხედვით გვარის კატეგორია არსებითად განისაზღვრება როგორც 1. ლექსიკურ-გრამატიკული (ა.შანიძე...); 2. სინტაქსურ-მორფოლოგიური (ფ. ერთელიშვილი, ბ. ჯორბენაძე...); 3. მორფოლოგიური (არნ. ჩიქობავა, ა. ონიანი...) კატეგორია.

გვარის განსაზღვრა ა. შანიძის ქართული გრამატიკის საფუძვლებში (1953, 1973, 1981 წ.წ.) ტრადიციულად ასეა წარმოდგენილი:

გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა დამართებული, განიცდის ამ მოქმედებას, თუ გამომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა დამართებული და არც განცდილია სხვისი ზემოქმედებით (ა. შანიძე). გვარის კატეგორიის ამ ტრადიციული სამპუნქტიანი განმარტების შესაბამისად, გამოიყოფა გვარის სამი ფორმა: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

გვარის დეფინიციაში „სხვა პირზეა დამართებულის“ შემოტანით, უკვე სინტაქსში გავდივართ და, შესაბამისად, საოპოზიციო წევრების დახასიათებაში სინტაქსური კატეგორიების — ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების — ურთიერთობები აირეკლება.

მოქმედებითია (აქტიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გრამატიკულად მოქმედი პირი, რომელსაც სუბიექტურის სახელით ვიცნობთ, იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი და მას მოეპოვება სამოქმედო პირი, პირდაპირ-ობიექტურის სახელით ცნობილი: ვაგორებ მე მას.

ვნებითია (პასიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირ-ობიექტური პირი სათანადო მოქმედებითში, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან: გორდება.

საშუალია (მედიალურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ „განიცდის“, როგორც ამას ადგილი აქვს ვნებითში: გორავს (ა. შანიძე).

ამ განმარტების მიხედვით, გვარის კატეგორია ორაქტანტიანი გარდამავალი ზმნის კატეგორიაა, რომელიც ზმნასთან სემანტიკურად და სინტაქსურად დაკავშირებული სახელების, კერძოდ, სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის (ქვემდებარისა და პირდაპირი დამა-

ტების) მიმართებას ასახავს. ეს მიმართება რეალიზდება სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის ზოგადი მნიშვნელობის ფარგლებში გრამატიკულად დაპირისპირებულ ფორმათა საფუძველზე. საშუალი გვარი ამ თვალსაზრისით ნეიტრალურია.

მოქმედებითი გვარის ზმნებში სუბიექტის მოქმედების სამიზნე პირდაპირი ობიექტია, სუბიექტი აქტიურია; ვნებითებში თავად სუბიექტი ხდება მოქმედების სამიზნე, შესაბამისად, სუბიექტი პასიურია; რეალური მოქმედი ზმნის ფორმაში არ აღინიშნება; საშუალ ზმნებში სუბიექტის მოქმედების მიზანი არ იკვეთება, — სუბიექტს სამოქმედო ობიექტი არ უჩანს.

ირიბ ობიექტთან (ირიბ დამატებასთან) მიმართება გვარის დეფინიციაში არ აისახება.

გვარის კატეგორიის ა. შანიძის მიერ მოცემულ განმარტებაში ახსნილია გვარის ფორმათა შორის ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმი — კონვერსია. კონვერსიული ურთიერთობა (უპირატესად, აქტივ-პასივისა) განიხილება, როგორც ერთი და იმავე შინაარსის რეალიზაცია განსხვავებული გრამატიკული ფორმებით:

ბიჭი აგორებს ურიკას — ურიკა გორდება (**ბიჭის მიერ**) — ურიკა გორავს

მზე ათბობს დედამიწას — დედამიწა **მზისაგან** თბება

მხატვარი ხატავს სურათს — სურათი იხატება **მხატვრის მიერ**...

კონვერსიის გზით ლოგიკური პირდაპირი დამატება გრამატიკულ ქვემდებარედ გარდაიქმნება, ლოგიკური ქვემდებარე წყვეტს ზმნასთან კავშირს და თანდებულიანი უბრალო დამატების როლში გვევლინება.

გვარის სისტემა, როგორც ითქვა, სამწევროვანია, მაგრამ ეს სამწევროვანი სისტემა ენაში ყოველთვის არ არის რეალიზებული. გვხვდება როგორც სამწევროვანი, ისე ორწევროვანი სისტემების სახით: აწუხებს — წუხდება — წუხს... თლის — ითლება (უთლის — ეთლება) ტიპისა. რეალურია, მაგრამ მაინც შედარებით იშვიათი, გვარის ოპოზიციური სისტემის ერთწევრიანი მოცემულობაც: ა. შანიძის ტერმინით, გვარის მიხედვით „უცალო“ ზმნები, რომლებიც ფორმალურად მიეკუთვნებიან გვარის ამა თუ იმ სახეობას:

უცალო მოქმედებითი:

ჰ-პარავ-ს... „გუგული კვერცხებს ჰპარავს ჩიტებს“... (თ. რაზიკ.)

აბიაბრუებ-ს... სახელს უტეხს, არცხვენს... „შენ აბიაბუ-რებ ჩემს სახელს, შე არამზადავ“ (ს. შანშ.)

ანახვებს... აჩვენებს. მომაკვდავს შვილები ანახვეს...

ცქვეტ-ს... ყურებს ცქვეტს...

ჩინჩხვრავ-ს... ჩინჩხვარს აგროვებს. გზაზე ერთი უღრანი ტყე იყო. ერთი ბერიკაცი ჩინჩხვარს ჩინჩხვრავდა (ზღაპ.) (ქეგლ)...

უცალო ვნებითი:

ილეშებ-ა... 1. ძალიან თვრება. 2. კუთხ. (ფშ.) ძალიან ძღება

იზმუზნებ-ა... საუბ. ისვრება, ითხვრება... ბავშვები იზმუზ-ნებიან ყურძნით (ნ. ლორთქ.)

იღრუბლებ-ა... 1. ცა მალი-მალ იღრუბლება (ი. გოგებ.) (ქეგლ)...

ალ. ჰარისი უცალო ვნებითის (ინიანი, ენიანი და უნიშნო) ათეუ-ლობით ფორმას ასახელებს: ი-ბადრება, ი-ბუზება, ი-ბუტება, ი-ზუნ-ზლება, ი-ტურტლება, ე-ბღაუჭება, ე-მცნაურება, ე-კვეთება, ე-ფერება.., დრკება, შვრება, ხვდება და ა.შ.

უცალო საშუალი:

ცუცუნებ-ს... მოკლე ნაბიჯებით მოძრაობს II ფუსფუსებს...

მერყეობ-ს... რაიმე გარკვეულ მტკიცე გადაწყვეტილებას ვერ ადგება...

ჩხიკინობ-ს ... ცოდვილობს, ჩხირკედელაობს

ძალადობ-ს ... ძალას ხმარობს, ძალმომრეობს... (ქეგლ)...

ორწევროვან სისტემებში საოპოზიციო ცალებად უპირატესად მო-ქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებია წარმოდგენილი (თლის — ითლება, ბარავს — იბარება, აბრუებს — ბრუვდება, ავედრებს — ევედრება...), ან მოქმედებითი და საშუალი (აბა-ლახებს — ბალახობს...). გამორიცხული არ არის ვნებითი და სა-შუალი გვარის ფორმებით შექმნილი საოპოზიციო წყვილიც: მაგ., ყინდება „ყინვამ მოუჭირა, აცივდა, აყინდა“ (ილია) (ქეგლ) და ყინავს; ცუცქდება — ცუცქს. შდრ.:

ცუცქდებ-ა... მუხლჩაკეცით ჯდება (ადამიანი), ან უკანა ფე-ხებზე, ალაზე ჯდება (ცხოველი)

ცუცქ-ს... ცუცქზე, მუხლებჩაკეცით, ჩაცუცქული ზის (ადამიანი), უკანა ფეხებზე ზის, ალაზე ზის (ცხოველი), — დაცუცქებულია (ქეგლ).

IV. 4.1.2. გვარის ადგილისათვის გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში. გრამატიკულ კატეგორიებს შორის ენებში რომ გარკვეული სახის იერარქიული მიმართებები გამოვლინდება, ფაქტია (ვანდრიესი, ე. ბენვენისტი...); ცალკეული ამ კატეგორიათაგანი მხოლოდ კერძო სახეობას წარმოადგენს უფრო ზოგადი კატეგორიისა.

ე. ბენვენისტი ინდოევროპულ ენათა ზმნური კატეგორიების სისტემაში გვარს მიიჩნევს ფუნდამენტურ კატეგორიად იმ აზრით, რომ ყველა უღლებადი ზმნური ფორმა ამა თუ იმ დიათეზას განეკუთვნება; გვარის კატეგორიას განეკუთვნება ზმნური სახელებიც — ინფინიტივი და მიმღეობა.

სხვა ენებში შეიძლება სხვა ვითარება იყოს, აქ ენათა სიახლოვე ყოველთვის არ წყვეტს საკითხს; მაგალითად, რუსულში გრამატიკულ კატეგორიებს შორის ძირითად როლს ასპექტი (მოქმედების სახე) ასრულებს, ლათინურსა და ფრანგულში კი ეს კატეგორია გადმონაშთის სახითღა გვევლინება ხოლმე (ვანდრიესი).

აქედან დასკვნა, რომ გრამატიკული კატეგორიის სტატუსი სხვა გრამატიკულ კატეგორიებთან მიმართებით უნდა დახასიათდეს რომელიმე კონკრეტულ ენაში და ამ ენის გარკვეული პერიოდისათვის.

ქართულში, ზმნური კატეგორიების სისტემაში, გვარი, მიუხედავად გარკვეული არათანმიმდევრულობისა, საგრამატიკო ლიტერატურის მიხედვით, ერთ-ერთი წარმმართველი კატეგორიაა. აქტივ-პასივისა და საშუალი გვარის დაპირისპირება არსებითად მოიცავს ძირითად ზმნურ ლექსიკას, ყველა უღლებადი (და, — არაუღლებადი) ზმნური ფორმა გვარის კატეგორიის რომელსამე სახეობას განეკუთვნება. გვარი უპირო ფორმებთან ქართულში ისევე განიხილება, როგორც პირიან ფორმებთან. კერძოდ: „გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც აღნიშნავს ან რომლის მიმართაც ნახმარია ეს მიმღეობა: ა) სხვა საგნის მიმართ არის მოქმედების ჩამდენი, ბ) ან მოქმედება მას აქვს „განცდილი“ (ანუ „დამართებული“), გ) ან კიდევ გამოყვანილია მოქმედად, მაგრამ სხვა საგანთან მიმართების გარეშე და განუცდელად.

[გა]მგორებელი „ვინც აგორებს“ — **მოქმედებითი** გვარის მიმღეობაა.

აგორებული „რაც ააგორეს“ — **ვნებითი** გვარისაა: „აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“ (ანდაზ.).

მგორავი — „რაც გორავს“ — **საშუალი** გვარისა: „მგორავს ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“ (ანდაზ.)

და ასე :	**მოქმედებითი**	**ვნებითი**	**საშუალი**
	მაწუხებელი	შეწუხებული	მწუხარე
	[ა]მაღელვებელი	აღელვებული	მღელვარე
	[ა]მშენებელი	აშენებული	
	გამგზავნელი	გაგზავნილი	და ა.შ.

გვარის კატეგორია გამონაკლისის სახით გვხვდება საწყისთანაც (მოქმ. ტეხა — ვნ. ტყდომა, წყვეტა — წყდომა, ხეთქა — სკდომა და სხვ.). უფრო მოქმედებითისა და საშუალის ფორმებია გარჩეული: ბრუნება — ბრუნვა, ფეთქება — ფეთქვა, წუხება — წუხილი...

გვარის კატეგორიები განიხილება პირის, ასპექტის, ქცევისა და კაუზატივის კატეგორიებთან მიმართებითაც.

მოქმედებითი გვარის ზმნები ორ- და სამპირიანებია, ერთპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნა არ არსებობს:

აკეთებს ის მას, უკეთებს ის მას მას...

ვნებითი და საშუალი გვარის ზმნები ერთ- და ორპირიანებია, სამპირიანი ვნებითი და საშუალი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (**ჰპირდება, უყვება...** ის მას მას), ქართულში არ გვაქვს:

ვნებითი	იხატება ის	ეხატება ის მას
	კეთდება ის	უკეთდება ის მას
	თბება ის	უთბება ის მას
საშუალი	ჩანს ის	უჩანს ის მას
	წუხს ის	უწუხს ის მას...

მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვთ როგორც უსრული, ასევე სრული ასპექტის ფორმები (ვნებითებს უფრო შეზღუდულად):

მოქმედებითი	აშენა	—	ა-აშენა
	აკეთა	—	გა-აკეთა
	ხატა	—	და-ხატა
ვნებითი	იხატა	—	და-იხატა
	შენდა	—	ა-შენდა

საშუალი გვარის ზმნებს სრული ასპექტის ფორმები არ უკეთდება.

მოქმედებითი გვარის ზმნებს ქცევის სამივე ფორმა (საარვისო, სათავისო, სასხვისო) აქვთ:

ა-კეთებს — ი-კეთებს — უ-კეთებს...

ვნებითსა და საშუალს — მხოლოდ საარვისო და სასხვისო:

ვნებითი წუხდება — უ-წუხდება
თბება — უ-თბება

საშუალი წუხს — უ-წუხს...

მოქმედებითი გვარის ზმნებს (და ზოგჯერ ვნებითებსაც) ეწარმოება კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) ფორმები:

მოქმ.		**ვნებ.**	
ა-თრ-ევინ-ებს	ა-თლ-ევინ-ებ-ს	ე-თრ-ევინ-ებ-ა	ე-თლ-ევინ-ებ-ა
ა-კვლე-ევინ-ებ-ს		ე-კვლ-ევინ-ებ-ა	

საშუალი გვარის ფორმებს შუალობითი კონტაქტის ფორმები არა აქვთ.

გვარის კატეგორიის ფორმათა დაპირისპირება უდევს საფუძვლად ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაჯგუფებას (ა. შანიძე) და სხვ.

შენიშვნა: მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ქართულში გვარის მორფოლოგიურ კატეგორიად გამოყოფა პრობლემურია (რ. ასათიანი, დ. მელიქიშვილი, ი. მელიქიშვილი, ა. ჰარისი).

IV. 4.1.3. გვარის ფორმები გამოხატულებისა და შინაარსის პლანის მიხედვით. გვარის ფორმათა დაპირისპირება (მოქმედებითი — ვნებითი — საშუალი) ქართულში მარტო შინაარსის მიხედვით არ არის წარმოდგენილი. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს აქვთ არა მარტო საკუთარი შინაარსი, არამედ ფორმაც. საშუალი გვარის ზმნები ფორმისა და ფუნქციის მიხედვით აქტივსა და პასივს შორის არიან გადანაწილებული. ძირითადად ფორმალური დაპირისპირება აქტივსა და პასივს შორის დასტურდება. პასივის მოდელებს აქტივისაგან არსებითად შემდეგი მახასიათებლები გამოარჩევს:

1. აწმყოსა (და, საერთოდ, I სერიის მწკრივებში) -ებ-ი (I და II პირი), -ებ-ა (III პირი) დაბოლოებები;

2. ი-, ე- ხმოვანი პრეფიქსები და -დ სუფიქსი I-II სერიებში;

3. -ოდ სავრცობი I სერიაში;

4. აწმყოს მწკრივში სუბიექტის III პირის -ა სუფიქსი, აქტივის -ს სუფიქსის საპირისპიროდ.

ასე რომ, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა ფორმები წარმოების მიხედვით ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდებიან უღვლილების მთელ სისტემაში, ამიტომაც განეკუთვნებიან ისინი უღლების სხვადასხვა ტიპს. თუმცა გვაქვს ერთგვარი გამონაკლისიც: II სერიაში პრეფიქსიან (ინ—ენიან) ვნებითს თავისი წარმოება არა აქვს და სავსებით მისდევს სათანადო ზმნის მოქმედებითს (ა. შანიძე).

რაც შეეხება გვარის საოპოზიციო ფორმათა მარკირების საკითხს:

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, გვარის საოპოზიციო ფორმებიდან მარკირებულია მხოლოდ ვნებითი და ისიც არასრულად; **ი-/ე-** პრეფიქსიანი და **-დ** სუფიქსიანი ვნებითების გვერდით გვაქვს არამარკირებული ე.წ. „უნიშნო ვნებითებიც“. ამასთან, პრეფიქსიან ვნებითთა **ი-** და **ე-** ფორმანტები, განსხვავებით -დ სუფიქსისაგან, არ არიან ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ ვნებითის მარკერები, რაც ვნებითის მარკირების გარკვეულ არათანმიმდევრულობაზე მიანიშნებს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გვარის სამწევროვან სისტემაში (მოქმედებითი : ვნებითი : საშუალი), ტრადიციის მიხედვით, ქართულ გრამატიკებში მარკირებულად მხოლოდ ვნებითი აღინიშნება, სამწევროვანი სისტემა კი ორი წევრის მარკირებას მაინც გულისხმობს, მაშინ ქართულში გვარის კატეგორიის უდავობა დამაჯერებელი აღარ ჩანს.

ვფიქრობთ, რომ ქართულში, გვარის კატეგორიის არსებობის მტკიცებისათვის, ფასეული ჩანს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც გვარის სამწევროვან სისტემაში მორფოლოგიური ნიშანი (მარკერი) აქვს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს, საშუალი გვარის ზმნები მოქმედებითისა და ვნებითის მარკირებულ ფორმებს უნიშნობით უპირისპირდებიან; შდრ.:

ა-წუხებს — წუხ-დ-ება — წუხს, ა-გორებ-ს — გორ-დ-ება — გორავს...

ორწევროვან სისტემაში ნიშნით ძირითადად ვნებითია წარმოდგენილი:

ჭამს — ი-ჭმება, ბარავს — ი-ბარება, შლის — ი-შლება...

თუმცა მარკირებული შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარის ფორმაც, თუ მას საოპოზიციო ცალად „უნიშნო ვნებითი“ მოუდის:

ა-თბობს — თბება, ა-ხმობს — ხმება, ა-შრობს —შრება...

გვარის ორწევროვანი ოპოზიციის მქონე ზმნათა ერთ ჯგუფში მარკირებულია როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ფორმები:

ა-ვსებს — ი-ვსება, ა-რღვევს — ი-რღვევა, ა-რჩევს — ი-რჩევა, ა-კეთებს — კეთ-დ-ება, ა-შენებს — შენ-დ-ება...

ე.ი. გამოხატულების პლანის მიხედვით ქართულში გვარი მორფოლოგიური კატეგორიაა: სამწევროვან სისტემებში მარკირებულია მინიმუმ ორი წევრი, ორწევროვან სისტემებში — მინიმუმ ერთი წევრი.

გვაქვს გარკვეული გამონაკლისებიც.

ორწევრიანი სისტემების იმ ჯგუფში, რომელშიც ფუძედრეკად აქტივებს საოპოზიციო ცალად უნიშნო ვნებითები მოუდით — ბნედ-ს, ბნიდა — ბნდება, დრეკს, დრიკა — დრკება, სხლეტს, სხლიტა — სხლტება, ცვეთს, ცვითა — ცვდება, წყვეტს, წყვიტა — წყდება... მოქმედებითი გვარის ფორმები მარკირებულია აბლაუტით. საყურადღებოა, რომ უნიშნო ვნებითებს **ი-** პრეფიქსიანი ვნებითიც შეიძლება შეენაცვლოს: ბნდება II ი-ბნიდება, დრკება II ი-დრიკება, სხლტება II ი-სხლიტება, ცვდება II ი-ცვითება, წყდება II ი-წყვიტება... პარალელური **ი**ნიანი ფორმები, ი-სხლიტებას გარდა (რომელიც თავისთავად რეალური ფორმა ჩანს) ქეგლშია დამოწმებული.

გვარის სისტემის წევრთა მარკირების წესი დარღვეული ჩანს ა-დგენ-ს — დგება — დგას, ა-წვენს — წვება — წევს, ა-კრთობს — კრთება — კრთის სამწევროვან სისტემებში — მარკირებულია მხოლოდ მოქმედებითის ფორმა, თუ, რა თქმა უნდა, ვნებითის მოდელს (-ებ-ი, -ებ-ა) ფორმალურ ნიშნად არ მივიჩნევთ.

სამწევროვან ა-დგენს — დგება — დგას, ა-წვენს — წვება — წევს, ა-კრთობს — კრთება — კრთის... სისტემებში მარკირებული გამოდის მხოლოდ მოქმედებითის ფორმები, აქედან, შინაარსის პლანის მიხედვით ა-წვენს — წვება — წევს ისევე, როგორც ა-დგენს — დგება — დგას ვერ ჩაითვლება უდავო კონვერსიულ ცალებად, შდრ.: კონვერსიული წყვილი ა-დგენს — დგინდება (თ. უთურგაიძე) და ფაქტობრივად ორწევროვანი სისტემა გვაქვს არამარკირებული ვნებითისა და საშუალი გვარის ფორმებით: წვება — წევს და დგება — დგას.

აქტივ-პასივის სრულფასოვანი კონვერსიული დაპირისპირება (აკრთობს — კრთება) ყოველთვის არ რეალიზდება აკრთობს — კრთება — კრთის სამეულში, რადგან პასიური კრთება პარალელურად კრთის მედიალური სტატიკური ფორმის მნიშვნელობასაც ითავსებს, შდრ.: კრთებ-ა 1. (შეკრთა, შემკრთალა) გრდუვ. ვნებ. აკრთობს ზმნისა — უეცრად მთელი ტანით არანებისმიერად შეტოკდება (შიშისაგან, მოულოდნელობისაგან...)... 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. იგივეა, რაც კრთის (მნიშვნ. 2). მთვარის შუქი ათასნაირად კრთებოდა ოქროსა და თვალმარგალიტზე (ვ. ბარნ.)... (ქეგლ).

რაც შეეხება შინაარსის პლანს: ორწევროვან სისტემებში, სადაც ვნებითები პრეფიქსითაა მარკირებული: რეცხს — ი-რეცხება (ვიღაცის მიერ), ა-ვსებს — ი-ვსება (ვიღაცის მიერ)... მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებში სუბიექტის აქტიურობა-პასიურობა ხელშესახებია (რა თქმა უნდა, არ იგულისხმება დეპონენსური ზმნები). აქტიურობა-პასიურობის შინაარსი მორფოლოგიურად გამოიხატება: **Ø-** და **ა-** მარკერით — აქტივებში (Ø-რეცხს, ა-ვსებს), **ი-/ე-** მარკერებით — პასივებში:

ი-რეცხება — ე-რეცხება, ი-ვსება — ე-ვსება (ვიღაცის მიერ)...

სამწევროვან სისტემებში (ა-წუხებს — წუხ-დ-ება — წუხს, ა-გორებს — გორ-დ-ება — გორავს) მარკირებულია მოქმედებითის ფორმა (**ა-** პრეფიქსი) და ვნებითი (**-დ** სუფიქსი), არამარკირებულია საშუალი გვარის ფორმა, მოქმედებითი და ვნებითი გვარის მნიშვნელობები შინაარსობრივად უპირისპირდება ერთმანეთს სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ვნებითის სემანტიკა ორაზროვანია: წუხდება ის ვიღაცის მიერ / გორდება ის ვიღაცის მიერ, ვიღაცის დახმარებით — ტიპის შესიტყვებებში სუბიექტი პასიური განმცდელია; წუხდება, გორდება; თვითონ — აქტიური განმცდელი. ამ შინაარსების რეალიზაცია იმაზეცაა დამოკიდებული, ვნებითი გვარის სუბიექტი სულიერი სახელია თუ უსულო (ვინ ჯგუფის თუ რა ჯგუფის). უსულო სახელი პასიური განმცდელია, სულიერი სახელი — აქტიური, მაგრამ არც სულიერი სუბიექტი გამოხატავს, რომ მოქმედება ყოველთვის ნებელობითი აქტია, შდრ.: ბიჭი დაგორდა (თვითონ) და ბიჭი დააგორეს და დაგორდა; თუმცა სულიერ სუბიექტთან კონსტრუქციაშიც ყოველთვის არ იძებნება სუბიექტის მოქმედების გამომწვევი გარეშე მიზეზი:

ლოდი დააგორეს და დაგორდა, მაგრამ: „ლოდი ლოდზე სწყდება კლდეს და რახრახით გორდება ძირს“ (ი. გედევ.) (ქეგლ) — ტექსტში რეალური მოქმედი არ ჩანს, მაგრამ რაღაც გარეგან მიზეზზე მინიშნებულია.

სხვა მაგალითი: „ერთმანეთს აწყდებოდნენ და გორდებოდნენ“ (ს. შანშ.) (ქეგლ) — დაგორების მიზეზი ისევ გარეშე ძალაა („ერთმანეთს აწყდებოდნენ“), რომელიც გრამატიკულად არ რეალიზდება და კონტექსტიდან ამოიცნობა.

სუფიქსიანი ვნებითების ერთ ჯგუფში, რომლებიც სუბიექტად უსულო სახელს შეიწყობენ, სუბიექტის პასიურობა ეჭვს არ იწვევს: ა-ბრტყელებს — ბრტყელ-დ-ება, ა-ვიწროებს — ვიწრო-დ-ება, ა-ღრმავებს — ღრმავ-დ-ება, ა-ფუებს — ფუვ-დ-ება... ვნებითის ამ ფორმებში სუბიექტი განმცდელი სუბიექტია.

როცა სუფიქსიან ვნებითს სუბიექტად სულიერი სახელი შეეწყობა, განმცდელი პასიური სუბიექტი იმავდროულად აქტიური განმცდელიც ხდება:

აბრუებს — ბრუვდება — „დიდი საცხისაგან ავადმყოფი ბრუვდება“,

აბრმავებს — ბრმავდება, — „დიდი სიცხისაგან ადამიანი ბრმავდება“ II ფიგურ. სიხარბით ბრმავდება, — შურით ბრმავდება,

აბეჩავებს — ბეჩავდება — „ბეჩავი, საცოდავი ხდება“ (ქეგლ) და ა.შ.

ვნებითის კონსტრუქციაში შეიძლება აღდგეს მოქმედების რეალური სუბიექტი ქვემდებარისებრი უბრალო დამატების, ან ინსტრუმენტული დამატების სახით **ბრმავდება** (სიცხისაგან, სიხარბით, შურით)...

ასეთივე ვითარება გვაქვს **ა-** პრეფიქსიანი მოქმედებითი გვარისა და უნიშნო ვნებითების შინაარსობრივი დაპირისპირებისას:

ა-თბობს — თბება, ა-ქრობს — ქრება ტიპის ორწევროვან დაპირისპირებაში მარკირებულია მოქმედებითი (**ა-** პრეფიქსი), პირობითად არამარკირებულია ე. წ. უნიშნო ვნებითი. შინაარსობრივი თვალსაზრისით, მოქმედებითი გვარის სუბიექტი აქტიურია, ვნებითისა — პასიური, პასიურობის ხარისხი აქაც სუბიექტის სულიერობა-უსულობაზეა დამოკიდებული; შდრ.: ა-თბობს — თბება — თბილი ხდება... სასტუმრო თბებოდა ცენტრალური გათბობით II სითბოს იძენს, სხეულს ითბობს. [ცეროდენამ] ვაზების ქვეშ ცეცხლი დაანთო,

მიუჯდა გვერდზე და თბებოდა (ზღაპ.). ბეღურა ჩიტები ჟივჟივებდნენ და თან მზეზე თბებოდნენ (ს. მგალობ.)...

ასე რომ, შინაარსის პლანის მიხედვით მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები მოქმედების აქტიურობა-პასიურობის ზოგადი მნიშვნელობით უპირისპირდებიან ერთმანეთს. პასიური ზმნების ორგვარ სემანტიკას (კონვერსირებული და არაკონვერსირებული პასივისა) ვნებითი გვარის სუბიექტის სულიერობა-უსულობის ფაქტორიც განაპირობებს.

ვნებითის პასიური სემანტიკის დამოწმების საკონტროლო საშუალებას კონსტრუქციაში მიერ თანდებულიანი ფრაზის შეწყობა წარმოადგენს:

ბიჭი ხატავს სურათს > სურათი იხატება (ბიჭის მიერ). ეს საკონტროლო საშუალება არ არის აბსოლუტური. ქვემდებარისებრი დამატების აღდგენა ვნებითის კონსტრუქციაში ყოველთვის არ ხერხდება და ბევრ შემთხვევაში ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ვნებითის ფორმათა პასიურობის ხარისხის შემოწმება სხვა საშუალებებითაც შეიძლება. კერძოდ, ვნებითის კონსტრუქციის წარმოქმნის კონვერსიული არსიდან გამომდინარე, ვნებითის შინაარსი შეიძლება გადმოიცეს მოქმედებითი გვარის მრავლობითი რიცხვის ფორმით, რომელსაც განუსაზღვრელი სუბიექტი აქვს: იხატება = ხატავენ, ითესება = თესავენ, იზრდება = ზრდიან, კეთდება = აკეთებენ, შენდება = აშენებენ (არნ. ჩიქობავა).

განუსაზღვრელპირიან წინადადებას ქართულში ქვემდებარეგაუჩინარებული წინადადება ჰქვია. „ასეთ წინადადებაში ქვემდებარე გაუჩინარებულია, მაგრამ მოქმედად მაინც ივარაუდება ვიღაცა გაურკვეველი პირი (თუ პირები), რომლის ვინაობაც არ არის განსაზღვრული“ (ლ. კვაჭაძე).

ასე რომ, წინადადებაში ვნებითის ფორმათა შენაცვლება მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმებით სემანტიკურად მისაღებია და, შესაბამისად, გრამატიკულად მოტივირებული. შენაცვლებას ექვემდებარება როგორც პრეფიქსიანი, ასევე სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითები, რომელთა სუბიექტი პასიურია.

შენაცვლების რეალურობა დაფიქსირებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ვნებითების განმარტებისას:

ი-პრეფიქსიანი ვნებითები

იბერება — ბერავენ
იბნევა — აბნევენ
იბრიცება — ბრეცენ
ილესება — ლესავენ
იპარსება — პარსავენ
იპტყვნება — პტყვნიან
იპობა — აპობენ
წაესმება — წაუსვამენ
წაეჭირება — წაუჭერენ...

ე-პრეფიქსიანი ვნებითები

ებოძება — უბოძებენ
ეკრძალება — უკრძალავენ
გამოერიცხება — გამოურიცხავენ
მოერთმევა — მიუტანენ, მოართმევენ
შეებღალება — შეუბღალავენ
შეეთლება — შეათლიან; შეთლიან
შემოეგლიჯება — შემოჰგლეჯენ

დონიანი ვნებითები

ბარდება — აბარებენ
გუბდება — აგუბებენ
გროვდება — აგროვებენ
გამაიმუნდება — გაამაიმუნებენ
ნიავდება — ანიავებენ
ზუსტდება — აზუსტებენ
მთელდება — ამთელებენ
თხოვდება — ათხოვებენ

უნიშნო ვნებითები

ლპება — ალპობენ
ქრება — აქრობენ
თბება — ათბობენ
ცდება — გამოუყენებლად რჩება, ვერ(არ) მოიხმარებენ

და სხვ.

იშვიათად, მაგრამ ლექსიკონში მაინც დასტურდება დონიანი და უნიშნო რელატიური ვნებითების განმარტებები მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმებით:

უკეთდება — კეთდება მისი ან მისთვის, — უკეთებენ

უმტკიცდება — 2. (დაუმტკიცდა, დამტკიცებია) უმტკიცებენ, უდასტურდება

დაურიგდება — დარიგდება მათთვის, დაურიგებენ

დაუფასდება — (მნიშვნ. 2) დაფასდება მისი, დაუფასებენ

დაუცარიელდება — დაცარიელდება მისი, დაუცარიელებენ

დაუწესდება — დაწესდება მისთვის, — წესად დაუდებენ, დაუდგენენ...

გაუთავისუფლდება — გათავისუფლდება მისი, — თავისუფალი გაუხდება, გაუთავისუფლებენ...

გაუმრავლდება — გამრავლდება მისი, გაუმრავლებენ...

შეულბება — შელბება მისი ან მისთვის, — შეულბობენ, ოდნავ დაულბება

შეუწყდება — შეუწყვეტენ; შეწყდება მისი...

რაც შეეხება საშუალი გვარის ზმნებს, როგორც ტრადიციულად განმარტავენ, მათ „ფორმა უმეტესად მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია — ვნებითის“, სუბიექტური პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ „განიცდის“, როგორც ამას ადგილი აქვს ვნებითში“ (ა. შანიძე).

IV. 4.1.4. ა- პრეფიქსი მოქმედებითი გვარის ფორმებში. საკუთარი მარკერი ა- პრეფიქსი აქვს მოქმედებითი გვარის ერთ ჯგუფს, რომელთაც წარმოების ასეთი მოდელები აქვთ:

1. **ა-** + ფუძე + თემის ნიშანი
2. **ა—ევ**, **ა—ენ** კონფიქსიანი ფუძეები

კონკრეტულად **ა-** პრეფიქსი უდასტურდება მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთ დიდ ნაწილს:

ა) ორპირიან გარდამავალ ზმნურ ფუძეებს:

ა-კეთებს (კეთება)	ა-ვსებს (ვსება)
ა-ნათებს (ნათება)	ა-ნთებს (ნთება)
ა-ქუჩებს (ქუჩება)	ა-რჩევს (არჩევა)
ა-მხელს (ʻგაˀმხელა)	ა-რხევს (რხევა) და სხვ.

ბ) სამპირიან გარდამავალ ზმნურ ფუძეებს:

ა-ბარებს (ბარება)	ა-ნანებს (ʻდაˀნანება)
ა-მატებს (მატება)	ა-რიდებს (რიდება)
ა-ცმევს (ცმევა)	ა-ნახვებს (ნახვა)
ა-რტყამს (რტყმა)	ა-მთხვევს (მთხვევა) და სხვ.

გ) ორპირიან ნასახელარ გარდამავალ ზმნებს:

ა-დიდებს (დიდ-ი)	ა-ვრცელებს (ვრცელი)
ა-თეთრებს (თეთრი)	ა-თავისუფლებს (თავისუფალი)
ა-მოკლებს (მოკლე)	ა-ცოცხლებს (ცოცხალი)
ა-მჟავებს (მჟავე)	ა-მწიფებს (მწიფე) და სხვ.

დ) გარდაუვალი ერთპირიანი საშუალი გვარისგან ნაწარმოებ შესაბამის გარდამავალ ზმნებს

ა-დუმებს (დუმს) ა-გორებს (გორავს)
ა-ტირებს (ტირის) ა-ცურებს (ცურავს)
ა-ბრწყინებს (ბრწყინავს) ა-მგზავრებს (მგზავრობს)
ა-თრთოლებს (თრთის) ა-ხარებს (ხაროობს)
და სხვ.

ე) ორპირიანი საშუალი გვარის შესაბამის სამპირიან გარდამავალ ზმნებს:

ა-ძულებს (სძულს) ა-კლებს (ა-კლია)
ა-ყვარებს (უყვარს) ა-წყურებს (სწყურია)
და სხვ.

ვ) „უნიშნო ვნებითთაგან“ ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებს

ა-დნობს (დნება) ა-ხმობს (ხმება)
ა-ლპობს (ლპება) ა-ცხობს (ცხვება)
ა-ქრობს (ქრება) ა-შრობს (შრება)
და სხვ.

ზ) გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნათა სამპირიან „საზედაო ფორმებს“

ა-გლეჯს (გლეჯს) ა-ცლის (ცლის)
ა-წიწკნის (წიწკნის) ა-ჭრის (ჭრის)
ა-ტეხს (ტეხს) და სხვ.

თ) გარდამავალ ორპირიან ზმნათაგან ნაწარმოებ შუალობითი კონტაქტის ფორმებს

ა-წერინებს (წერს) ა-კეთებინებს (ა-კეთებს)
ა-შლევინებს (შლის) ა-შენებინებს (ა-შენებს)
ა-ფხეკინებს (ფხეკს) ა-მთავრებინებს (ა-მთავრებს)
და სხვ.

დასახელებულ გარდამავალ ზმნებში **ა-** პრეფიქსი მოქმედებითი გვარის პრეფიქსი ჩანს. გარდაუვალ ზმნებში დადასტურებულ ა- პრეფიქსს სხვა კვალიფიკაცია ეძლევა (გრამატიკული ომონიმია ქართულისთვის უცხო არ არის. შდრ., მოიკლა მან თავი — მოიკლა იგი (ბრძოლაში): ი- პრეფიქსი გარდამავალ ზმნაში სათავისო ქცევის ნიშანია: მო-ი-კლა თავი, გარდაუვალში ვნებითი გვარისა მო-ი-კლ-ა იგი).

შენიშვნა: **ა-** ხმოვანი პრეფიქსის რაობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისები არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი განიმარტება როგორც გარდამავლობის ნიშანი, ნასახელარ გარდამავალ ზმნათა მაწარმოებელი, მოქმედებითი გვარის, კაუზატივის (ფართო გაგებით), საარვისო (ნეიტრალური) ქცევის პრეფიქსი, ზმნათა გარკვეულ ჯგუფში საზედაო სიტუაციის, ირიბი ობიექტისადმი მიმართების აღმნიშვნელი ფორმანტი (მ. ბროსე, ნ. მარი, მ. ჯანაშვილი, გ. დეეტერსი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ჰ. პეჩი, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი, ფ. ერთელიშვილი, ა. ფოცხიშვილი, ჰ. ფენრიხი, მ. მაჭავარიანი, ი. მელიქიშვილი, დ. მელიქიშვილი, ა. ონიანი, ბ. ჯორბენაძე...).

ა- პრეფიქსის ამ ნაირგვარი ინტერპრეტაციებიდან გარდამავალ ზმნებში მოქმედებითი გვარის გაგებას არც ერთი არ გამორიცხავს. ნასახელარ გარდამავალ ზმნათა წარმოებაში იგულისხმება სახელიდან გარდამავალი ზმნის მოქმედებითი გვარის წარმოება (სახლი — ა-სახლებ-ს...); მოქმედებით გვარს (resp. გარდამავლობას) ვარაუდობს კაუზატივიც: მოქმედებითი გვარის ზმნის ჩამოყალიბების ერთი გზა კაუზატივია (წუხს — ა-წუხებ-ს...); გარდამავალ მოქმედებითი გვარის ზმნათაგან ნაწარმოებ კაუზატივებში გამოვლენილი ერთი **ა-** პრეფიქსი (ა-კეთა — ა-კეთებინა...) იმას ადასტურებს, რომ კაუზატივის **ა-** და გარდამავალ მოქმედებითი გვარის ზმნათა **ა-** პრეფიქსი ერთი და იგივე ოდენობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში კაუზატივის ფორმაში ორი **ა-** გვექნებოდა (ზმნის თავკიდურში ორი **ა-** ხმოვნის მიჯრით წარმოდგენა ქართულში დასაშვებია; შდრ.: ა-აყვანინა, ა-აწერინა, ა-აღებინა...). უხმოვანპრეფიქსო გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნებიდან ნაწარმოებ კაუზატივებში ეს **ა-** აღდგება (ხატ-ა — ა-ხატვინ-ა). მოქმედებითი გვარისაა საარვისო ქცევის ფორმებად მიჩნეული ა- ხმოვანპრეფიქსიანი ა-კეთებს, ა-შენებს... ზმნები, მოქმედებითია ასევე სრული ასპექტის გამომხატველი ა- პრეფიქსიანი ფუძეებიც: ვნებს — ა-ვნებ-ს — ა-ვნო, ჰრგებს — ა-რგებ-ს — არგო... საზედაო სიტუაციის, ირიბი მიმართების გამომხატველი გარდამავალი ფორმები მოქმედებითი გვარისაა (ა-წერს, ა-ხატავ-ს... მაგრამ, შდრ.: გარდაუვალი ა-წერია, ა-ხატია..., ა-დგება,

ა-ჯდება... ბუნებრივია, გარდაუვალ ზმნებში ა- პრეფიქსი მოქმედებით გვარს ვერ დაუკავშირდება).

შენიშვნა: არსებობს თვალსაზრისი, რომ ე.წ. „საზედაოს“ ა- პრეფიქსი და მოქმედებითი გვარის ნეიტრალური ქცევის გარდამავალ ზმნებში გამოვლენილი ა- (ა-წუხებს, ა-შენებს) სხვადასხვა ოდენობა შეიძლება იყოს (გ. როგავა, გ. მაჭავარიანი...).

არც მოქმედებითი გვარის საარვისო ქცევის ზმნათა **ა-** პრეფიქსი (ა-შენებ-ს) და არც კაუზატივის **ა-** (ა-შენებინებ-ს...) ზმნებს თურმეობითში არ გადაჰყვება. თურმეობითში გვარის კატეგორიის ნეიტრალიზაციას აქვს ადგილი. აქტიურ პირად აქ ირიბი ობიექტი გვევლინება. პასიურად — სუბიექტი. გვარის კატეგორია კი მოქმედებითი გვარის პირდაპირი (და არა ირიბი) ობიექტის ვნებითში სუბიექტად მოქცევაზეა აგებული. ესეც მიანიშნებს, რომ **ა-** პრეფიქსი მოქმედებით გვარს უკავშირდება. თურმეობითში არ გადაჰყვება არც „საზედაო“ ნიშანი და ესეც გასათვალისწინებელია.

ა- პრეფიქსი იკარგვის გარდამავალი (ე.ი. მოქმედებითი გვარის) ზმნის გარდაუვალად მოქცევისას: ა-დნობს — დნება..., ა-წუხებს — წუხდება.

ისიც ფაქტია, რომ გარდამავალ ზმნათა გარკვეულ სტრუქტურულ მოდელებში **ა-** ხმოვანი პრეფიქსი არ დასტურდება; ესენია ფუძედრეკადი ზმნები (დრეკს — დრიკა, ფლეთს — ფლითა), **ი-** (თლ-ი-ს, შლ-ი-ს...), **-ავ** (კერ-ავ-ს, ხატ-ავ-ს...) და **-ამ** (დგ-ამ-ს...) სუფიქსიანი ზმნები (გამონაკლისი: ა-ბამ-ს...).

შენიშვნა: დრეკს, ხატავს ტიპის ზმნებში **ა-** ხმოვანი პრეფიქსის არქონა მეორეულ ფაქტადაა მიჩნეული — გამოწვეული სხვადასხვა რიგის ფაქტორებით (ფონეტიკური, მორფოლოგიური). ქართველურ ენათა (ზანურის, სვანურის) ვითარება ამოსავალში **ა-** ხმოვნის პირველადობას ვარაუდობს (შდრ.: მეგრ. ვ-**ო**-შქურ-ინუ-ან-ქ „ვაშინებ“, ჭან. გე-ბ-**ო**-ფშ-ამ „ვავსებ“, სვან. ხუ̂-**ა**-ჯნ-ი „ვხნავ“).

ქართულში გარდამავალი ზმნის მოქმედებითი გვარის ორი მოდელის არსებობა 1. ა-შენებს, ა-შენა... (**ა + ფუძე + სუფიქსი**)... 2. ხატავს, ხატა (**ფუძე + სუფიქსი**) ისტორიული ცვლილების შედეგი შეიძლება იყოს; არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ უხმოვანპრეფიქსო მოქმედებითი გვარის ფორმათა საპირისპირო პასიური ზმნები ძირითადად პრეფიქსული ვნებითის ფორმებია (ხატავს — ი-ხატებ-ა...).

აქტივისა და პასივის ფორმათა ამ რიგის დაჯგუფებები გრამატიკული მოვლენის ძირითად ვითარებას ასახავენ. გამონაკლისები კი საკმაოდ დასტურდება. ასე, მაგალითად, ა-გზნებ-ს, ა-ვსებ-ს, ა-მკობ-ს, ა-ნდობ-ს, ა-ქებ-ს და ა.შ. ფორმები სავარაუდო სუფიქსიანი ვნებითის ნაცვლად პრეფიქსიან ვნებითებს იძლევიან: ი-/ე-გზნება, ი-/ე-ვსება, ი-მკობა, ე-ნდობა, ი-ქება...

მოქმედებითი გვარის ზმნათა **ა-** ხმოვანპრეფიქსიანი და უხმოვანპრეფიქსო მოდელების დაპირისპირება ასეთ სურათს წარმოაჩენს:

ა + ფუძე + ებ მოდელით ნაწარმოებ აქტიურ ზმნებს ძირითადად უპრეფიქსო ვნებითები შეესაბამება (ა-კეთებ-ს — კეთ-დ-ება, ა-წუხებ-ს — წუხ-დ-ება...). აქ ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როცა მოქმედებითი გვარის ფორმებში **ა-** ხმოვანპრეფიქსი იკარგვის და საპირისპირო ვნებითის ფორმები პრეფიქსიანია (ანდა, საპირისპირო ვნებითის ფორმები არ ეწარმოება): ჰ-პატიჟებს//ა-პატიჟებს : თვითონაც მუხლთან მიუჯდა, პურს აპატიჟებს ალუდსა (ვაჟა, ქეგლ) — ეპატიჟება, ჰ-პოვებს — ი-პოვება (პოტენციალისი), ამო-ს-ძახებს — ამო-ი-ძახებ-ა („ამ სიტყვას, რომელიც გულიდან ამოიძახება პირდაპირ, მეორე გულამდე შუამავალი არ უნდა“; ილია), ტოვებ-ს (შდრ.: მი-ა-ტოვებ-ს) — დაიტოვება („სახლში არ დაიტოვება“), გადაჰკიდებს („აქ არ გადაიკიდება“), ბადებს — იბადება... ვნებითები არა აქვს ახ. ქართულში სტაცებს (შდრ.: ძვ. ქართ. მიმოდაიტაცებინ), აძაგებს (ძვ. ქართ. სძაგებს) ფორმებს.

ა + ფუძე + ობ მოდელით ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებს ძირითადად უნიშნო ვნებითები შეესაბამება (ა-თბ-ობ-ს — თბ-ებ-ა, ა-ქრ-ობ-ს — ქრ-ებ-ა...).. გამონაკლისებია: ა-მკობს — ი-მკობ-ა, ა-წრთობს — ი-წრთობ-ა, ა-მხობ-ს — ი-მხობ-ა... მოქმედებითი გვარის ფორმებთან ამგვარ მოდელში ა-ს დაკარგვაც დასტურდება: ძვ. ქართ. ა-გრძნობ-ს — ა-გრძნ-ა (გაუკ-

ვირდა მეფესა და სიქიშპე [ვაზირთა] ვერ აგრძნა (საბა) (ქეგლ), ახ. ქართ. გრძნობს — ი-გრძნობა.

ა+ფუძე+ი მოდელის რიგი ზმნა პარალელურად უხმოვანპრეფიქსოდაც იხმარება: ა-გზავნის — გზავნის, ა-ყვედრის — ჰყვედრის. ვნებითები ამ წარმოებას პრეფიქსიანები შეესაბამება: ი-გზავნება, ი-ყვედრება... **-ი** სუფიქსიანი გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნები ძირითადად უხმოვანპრეფიქსოა: შლ-ი-ს, თლ-ი-ს, ხრ-ი-ს, ჭრ-ი-ს...

ა+ფუძე+ამ/ 0+ფუძე+ამ: ამ მოდელში დასტურდება როგორც ხმოვანპრეფიქსიანი, ისე უმისო წარმოება: ა-დგამ-ს, ა-სხამ-ს, ა-ბამ-ს, ა-რტყ-ამ-ს.., დგ-ამ-ს, სხ-ამ-ს, სვ-ამ-ს, ნთქ-ამ-ს... ვნებითები პრეფიქსულადაა ნაწარმოები: ი-დგ-მ-ებ-ა, ი-სხმ-ებ-ა, ი-ბმ-ებ-ა...

0+ფუძე+*ემ: ცემ-ს, **-ემ** თემის ნიშნად რთულ ზმნაში გამოიყოფა: პატივს სცემს - პატივი სცა, ცემს ფორმაში **-ემ** ფუძესთანაა შერწყმული, ვნებითი პრეფიქსულად იწარმოება: ი-ცემ-ებ-ა.

0+ფუძე+ავ მოდელის გარდამავალ მოქმედებითი გვარის ზმნებს პრეფიქსიანი ვნებითები უპირისპირდება: ხატ-ავ-ს — ი-ხატ-ებ-ა... ასევეა მარტივფუძიან (წერს — იწერება) და ფუძედრეკად (დრეკს — იდრიკება) ზმნებთანაც.

მოქმედებითი გვარის შემდეგ ორ მოდელში სუფიქსებად **-ევ** და **-ენ** გამოიყოფა, რომლებიც, თემის ნიშნებისაგან განსხვავებით, ზმნას უღვლილების მთელ სისტემაში გასდევს.

ა+ფუძე+ევ მოდელით ნაწარმოებ ზმნებს პრეფიქსიანი ვნებითები აქვს — აქაც **-ა** ხმოვანი იკარგვის:

მივაკვლიე // მივკვლიე **ვნებ.** მიიკვლევა
მოახვია // მოჰხვია დაიხვევა
შდრ.:სძლევს იძლევა (დაიძლევა)...

ა+ფუძე+ენ მოდელით ნაწარმოებ ზმნებს ძირითადად უნიშნო ვნებითები შეესაბამება: აძვრ-ენ-ს — ძვრება, აცდ-ენ-ს — [ს]-ცდება, აწვდ-ენ-ს — [ს]-წვდება. რამდენიმე, ოდენ **-ენ** სუფიქსით ნაწარმოებ ზმნაში არანაირი ხმოვანი პრეფიქსი არ დაჩნდება და მათ პრეფიქსიანი ვნებითები უკეთდება: სძენს — შეიძინება, კბენს — იკბინება, ჰრქენს — ირქინება...

დასკვნა ასეთია: გარდამავალი ზმნის **ა-** ხმოვანპრეფიქსული (ზოგადად, ხმოვანპრეფიქსული) წარმოება, როგორც ჩანს, ნაკლებად იგუებს ვნებითის პრეფიქსულ წარმოებას. თუმცა აქტივ-პასივის ისეთი ოპოზიციური ცალები, სადაც ორივე წევრი პრეფიქსითაა მარკირებული ქართულში დასტურდება (ა-რხევს — ი-რხევა, ა-რჩევს — ი-რჩევა, ა-ვსებს — ი-ვსება...), მაგრამ ეს მაინც გადახვევაა გვარის ოპოზიციურ წევრთა მარკირების იმ ძირითადი მოდელებიდან, რომელიც არამარკირებულ აქტივს პრეფიქსებით მარკირებულ პასივებს უპირისპირებს (ხაზავს — ი-ხაზება...), ხოლო მარკირებულ აქტივსა და პასივს (სუფიქსიან და უნიშნო ვნებითს) — არამარკირებულ მედიუმს (ა-წუხებს, წუხ-დ-ება — წუხს, ა-წვენს, წვება — წევს...). **ა-** ხმოვანი პრეფიქსი გარდამავალ აქტიურ ზმნაში მაშინ ზის მყარად, თუ შესაბამისი გარდაუვალი ვნებითის ფორმა პრეფიქსით არ იწარმოება. მაგრამ ეს უკვე შედეგია, რომელსაც ახსნა სჭირდება.

შენიშვნა: ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ამგვარი შედეგი იმით უნდა იყოს გაპირობებული, რომ **ა-** ხმოვნიანი გარდამავალი ზმნები უფრო სტაბილურია — ამ რიგის გარდამავალი ზმნის ფუძიდან ვნებითები იშვიათად იწარმოება, განსხვავებით ხატავს, წერს ტიპის უხმოვანპრეფიქსო გარდამავალ ზმნათაგან, რომლებიც ლაბილურობის თვისებას ამჟღავნებენ — წყვეტილში სასუბიექტო ქცევისა და ვნებითის ფორმები იდენტური აქვთ: და-ხატ-ა, და-იხატ-ა მან იგი / და-ი-ხატ-ა იგი... (არნ. ჩიქობავა).

მოქმედებითი გვარის ზმნათა **ა-** პრეფიქსიანი და უპრეფიქსო მოდელების სათანადო ვნებითებთან შეპირისპირება ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა: მოქმედებითის **ა-** პრეფიქსიან მოდელს ძირითადად სუფიქსიანი პასივები შეესაბამება, მოქმედებითის უპრეფიქსო მოდელს კი — პრეფიქსიანი პასივები. გვარის სამწევროვან სისტემაში (ა-წუხებს — წუხ-დ-ება — წუხს...) მარკირებულია ოპოზიციის ორი წევრი მოქმედებითი და ვნებითი, არამარკირებულია საშუალი; ორწევროვან სისტემაში თუ ვნებითი იქნება მარკირებული, სათანადო მოქმედებითი შეიძლება უნიშნოდ წარმოგვიდგეს (ხაზავს — ი-ხახება, შდრ., ა-ვსებს — ი-ვსება), თუ ვნებითი მარკირე-

ბული არაა, ე.ი. თუ უნიშნო ვნებითს არამარკირებულად მივიჩნევთ, ნიშანი მოქმედებითს ექნება (ა-თბობს — თბება...).

ა- პრეფიქსი გარდამავალ ზმნებში მოქმედებითი გვარის ნიშანია.

რაც შეეხება „საზედაოს“ **ა**-ს სტატუსს. ის დასტურდება როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებთან:

გარდამ. წერს — დაწერს — დაწერა
ა-წერს — და-ა-წერს — და-ა-წერა...
გარდაუვ. წევს — ა-წევს, ჯდება — ა-ჯდება...

საზედაო შინაარსს ამ ზმნებში სათანადო ზმნურ ფუძეთა სემანტიკა განაპირობებს, შდრ.,

ვ-წერ, ვ-ა-წერ **წიგნზე**
ვ-ხატავ, ვ-ა-ხატავ **კედელზე**...

სხვა შემთხვევაში, როცა ზმნის ფუძის სემანტიკა ამგვარ შინაარსს ვერ იგუებს, ეს მნიშვნელობაც არ დასტურდება. გვაქვს „საზედაოს“ მნიშვნელობა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან, გვაქვს ოპოზიციური წყვილები ამ მნიშვნელობის ქონა-არქონის თვალსაზრისით დაპირისპირებული, გვაქვს სათანადო მარკერი და, შესაბამისად, გრამატიკული კატეგორია. უფრო ზუსტად, უხმოვანპრეფიქსო, ნეიტრალური ქცევის პირველადი ზმნების ერთ ჯგუფში წარმოქმნილი სიტუაციის ქვეკატეგორია, რომლის გავრცელების არეული შეზღუდულია.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ფუნქციური განსხვავება უნიშნო (ხაზავს...) და **ა-** პრეფიქსიან (ა-ხაზავს...) ზმნებს შორის კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით არ არსებობს: „უნიშნო წარმოებაცა და **ა**ნიანიც თანაბრად უპირისპირდება **ი**ნიანსა და **უ**ნიან წარმოებას, ერთ-ობიექტიანი იქნება ზმნა თუ ორ-ობიექტიანი“.

ა- ხმოვანი პრეფიქსის არქონა გარდამავალ ზმნათა ერთ ნაწილში (ხატავს, წერს, შლის..) მეორეულია (ამ ფაქტს ქართველური ენებიც ამოწმებს). ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა სინქრონული აღწერის შედეგადაც ჩნდება: თანამედროვე ქართულში დადასტურებული, პარალელურად ხმარებული უხმოვანპრეფიქსო და **-ა** ხმოვანპრეფიქსიანი გარდამავალი ფორმების შეჯერება ისტორიულად შესაძლებელ სემანტიკურ და სინტაქსურ ცვლილებათა თანმიმდევრულ სურათსაც წარმოაჩენს:

ა) დასტურდება **ა-** პრეფიქსიან და უპრეფიქსო გარდამავალ ფუძეთა თავისუფალი მონაცვლეობა: ა-გზავნ-ი-ს — გა-ა-გზავნ-ი-ს — გა-ა-გზავნ-ა II გზავნ-ი-ს — გა-გზავნ-ი-ს — გა-გზავნ-ა, ჰ-ყვედრ-ის II ა-ყვედრ-ი-ს... ამ პარალელურ ფორმებს ფუნქცია ერთნაირი აქვთ და არც სინტაქსი შეცვლილა.

ბ) ა-ხვევ-ს II ჰ-ხვევ-ს — გა-ა-ხვევს — გა-ა-ხვია (შდრ.: დიალ. გახვია); სინტაქსი არ შეცვლილა, აწმყოში პარალელურად იხმარება ხმოვანპრეფიქსიანი და უხმოვანპრეფიქსო ფორმები, ოღონდ სრული ასპექტის დროებში ოდენ ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები გვაქვს.

გ) სტკენ-ს — ა-ტკენ-ს — ა-ტკინ-ა, ჰ-რგებ-ს — ა-რგებ-ს — ა-რგო, ვნებ-ს — ა-ვნებ-ს — ა-ვნ-ო... ხმოვანპრეფიქსიანი ზმნები სრული ასპექტის გაგებას ითავსებს.

დ) წერ-ს — ა-წერ-ს **ა-** ხმოვანპრეფიქსიანმა ფორმამ „სა-ზედაოს“ შინაარსი გაითავისა: აწერს ის მას (კედელზე) > აწერს ის მას კედელს. მნიშვნელობის ამგვარ ცვლილებას ზმნური ფუძის სემანტიკა განაპირობებს. სემანტიკური რეინტერპრეტაციის შედეგად იცვლება სინტაქსიც.

ამიტომ რეალური გვეჩვენება ხმოვანპრეფიქსიანი ფორმებიდან უხმოვანპრეფიქსო ფორმათა მიღების გზა.

IV. 4.1.5. ვნებითი გვარის ჯგუფების ფორმობრივი და ფუნქციური მიმართება და საშუალი გვარი

IV. 4.1.5.1. პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითების მიმართება. ორდინარული, კონვერსიული სემანტიკის პასივები ძირითადად პრეფიქსიანი ვნებითებია (ი-ხატება ვიღაცის მიერ...). მაგრამ პასიუროობის გამოხატვით პრეფიქსიანი ვნებითები თანმიმდევრულნი არ არიან, შდრ.: იღიმება ის, ეპარება ის მას...

წარმოების მიხედვით, პასივების ორი ტიპი გაირჩევა: ა) ანალიზური და სინთეზური.

ანალიზური პასივები. ანალიზური (აღწერითი) პასივები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ძირითადად ისეთ შემთხვევებში დასტურდება, როცა ზმნას ჩვეულებრივი ვნებითის წარმოება არ უხერხდება: განხილულ იქნა, უარყოფილ იქნა... ასეთი ფორმები დამახასიათებელია ოფიციალურ-საქმიანი სტილისთვის და მაშინაც იხ-

მარება, როცა ამავე ფუძის სინთეზური ფორმებიც არსებობს: გარიცხულ იქნა || გაირიცხა, გაგზავნილ იქნა || გაიგზავნა...

სინთეზური პასივები

მარკერების რაგვაროობისა და ადგილის მიხედვით სინთეზური პასივის 3 ჯგუფი გამოიყოფა:

1. პრეფიქსიანი **ი**- და **ე**- ნიშნებით: **ი**-წერება, **ე**-წერება... ეს პრეფიქსები ვნებითობის ფუნქციის გამოხატვასთან ერთად პირიანობის განსაზღვრასაც ითავსებს:

ერთპირიანი პასივები ი- ხმოვანპრეფიქსით იწარმოება: ი-ხატება ის...

ორპირიანი პასივები ე- — ხმოვანპრეფიქსით: ე-ხატება ის მას...

2. სუფიქსიანი პასივები, ანუ დონიანი პასივები — დ სუფიქსით:

წუხ-**დ**-ება — უწუხ-**დ**-ება...

3. „უნიშნო“ (ანუ ნულოვანი) პასივები: თბება — უთბება...

პრეფიქსიანებისაგან განსხვავებით, უფრო ნაკლებად იგუებენ პასივის მნიშვნელობას სუფიქსიანი ვნებითები, შდრ.: გუბდება — გუბე დგება, გუბედ იქცევა; წუხდება — წუხილი იპყრობს, ღონდება; ხელდება — ხელი, შმაგი ხდება და სხვ. თუმცა კონვერსიის პირობა სუფიქსიან ვნებითებსა და სათანადო მოქმედებითებს შორის დაცულია, მოქმედებითი გვარის პირდაპირი ობიექტი თვითგანმცდელ, პასიურ სუბიექტად წარმოგვიდგება: აგუბებს წყალს — წყალი გუბდება, აწუხებს საქონელს — საქონელი წუხდება, ახელებს ძაღლს — ძაღლი ხელდება...

სუფიქსიან ვნებითებს ახალ ქართულში **დონ**ი აწარმოებს (წუხ-**დ**-ება, წითლ-**დ**-ება...), უმეტესობა ამ ზმნებისა ნასახელარია.

ქართულში სუფიქსიანი ვნებითები პრეფიქსიანებისაგან განსხვავდება არა მარტო ფორმით, არამედ მნიშვნელობითაც. სხვაობა მათ შორის შეიმჩნევა უღლებაშიც (თუმცა არც ისე არსებითი). სუფიქსიანი და პრეფიქსიანი ვნებითები ნაწილობრივ გრამატიკული კატეგორიების წარმოებითაც განსხვავდებიან.

კონკრეტულად განსხვავება ამ ორ წარმოებას შორის ასე აისახება:

1. ერთი პრეფიქსული წარმოებაა (**ი**-ხატება, **ე**-ხატება), მეორე — სუფიქსური (წუხ-**დ**-ება, უყვარ-**დ**-ება). ეგევე სუფიქსი ნასახელარ ზმნათა მაწარმოებელია ქართულში (თეთრი — თეთრ-**დ**-ება, მოკლე — მოკლ-**დ**-ება...). ნასახელარ ზმნათა ვნებითების პრეფიქსებით წარმოება

ქართულისათვის ორგანული არ არის (თუმცა არც შეუძლებელია): ჭვარტლი — **ი**-ჭვარტლება, ჟანგი — **ი**-ჟანგება, შდრ.: ჟანგ-**დ**-ება...

2. ვნებითთა ეს ორგვარი წარმოება მეტ-ნაკლებად განსხვავდება მნიშვნელობითაც. სხვა არის ი-წერება, ი-ხატება და ა.შ. სხვა არის წუხ-დ-ება, თეთრ-დ-ება... პირველთა მოქმედება ვიღაცის (ან რაღაცის) მიერაა გამოწვეული, ასეთი ვნებითები ადვილად იგუებენ **მიერ** თანდებულიან უბრალო დამატებას: სურათი **იხატება** (მხატვრის მიერ), **წუხ-დ-ება** ტიპის ვნებითებში კი მოქმედება შეიძლება ფუძეში მიმდინარე შინაგან პროცესადაც გავიაზროთ თვითონვე წუხდება (ისევე, როგორც უნიშნო ვნებითებში) და გარეგანი მიზეზით გამოწვეულ მოქმედებადაც: **წუხდება** ვიღაცის მიერ, რაღაც მიზეზით, თუმცა ამ წარმოებისათვის ნიშანდობლივია პრეფიქსული მოდელის მნიშვნელობა, როცა სუბიექტი უსულო სახელია: **ბრტყელდება** (ცომი) ვიღაცის მიერ...

ეს მცირე განსხვავებაც საკმარისია იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში ერთი და იმავე ფუძიდან როგორც სუფიქსიანი, ასევე პრეფიქსინი ვნებითი იწარმოებოდეს;

და-**ი**-ჟანგ-ებ-ა II და-ჟანგ-**დ**-ება

„ერთი მათგანი ჟანგდება (resp. „ჟანგად იქცევა“) გარდაქცევითობის ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს, მეორე იჟანგება (resp. „ჟანგით იფარება“) კი — ინსტრუმენტატივისა, მაგრამ ამ ორი მნიშვნელობის აზრობრივი სიახლოვის გამო მოხდა ამ ფორმათა პარალელურ ფორმებად გაგება, რამაც განაპირობა მათი ფუნქციური დაახლოება და შემდეგ ერთმანეთთან გაიგივება“ (ბ. ჯორბენაძე).

ქეგლის მიხედვით ეს პარალელური ფორმები მნიშვნელობით იდენტურია: დაჟანგდება იგივეა, რაც დაიჟანგება. ისინი განსხვავდებიან საუღლებელი ფორმებით:

და-ი-ჟანგება, და-ი-ჟანგა, დაჟანგულა

დაჟანგ-დ-ება, დაჟანგ-დ-ა, დაჟანგებულა;

ასევე: და-ე-თანხმ-ებ-ა II და-ს-თანხმ-დ-ებ-ა

და-ე-თანხმება, და-ე-თანხმა, დასთანხმებია

დასთანხმ-დ-ება, დასთანხმ-დ-ა, დასთანხმებია.

პარალელური ფორმები დაეთანხმება-დასთანხმდება მნიშვნელობით მსგავსია: „თანხმობას გამოუცხადებს“, „თანხმობას განუცხადებს“.

მო-ე-წყინ-ებ-ა II მო-ს-წყინ-დ-ებ-ა...

ქეგლის მიხედვით მოეწყინება იგივეა, რაც მოსწყინდება, თუმცა **მოსწყინდება** ზმნის მნიშვნელობებიდან (აღარ მოუნდება, მოჰბეზრდება, მოჰყირჭდება რამე, შეჩვეულ რასმე ვეღარ აიტანს, შესძულდება). მოსწყინდება მხოლოდ ორ მნიშვნელობას — „მობეზრდება, მოჰყირჭდება რამე“ — იგუებს. ეს ზმნები საუღლებელი ფორმებითაც განსხვავდებიან:

მოეწყინება — მოეწყინა — მოსწყენია
მოსწყინდება — მოსწყინდა — მოსწყენია.

ასეთ პარალელურ წყვილებს შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობებიც ჰქონდეთ:

გაექანება (გაექანა, გაქანებულა) — დიდი სიჩქარით წავა, გაემართება; გაიქცევა — გაქანდება (გაქანდა, გაქანებულა)... 1. ქანაობას დაიწყებს... 2. სირბილით სწრაფად წავა, — გაიქცევა (ქეგლ);

გაინაზება — ნაზობას დაიწყებს II გაიპრანჭება — განაზდება — ნაზი გახდება II გაიპრანჭება და სხვ.

თანამედროვე ქართულში (ასევე, ძველ ქართულში) შეიმჩნევა გარკვეული ტენდენცია პრეფიქსული ვნებითების სუფიქსურად შეცვლისა: ეძმობილება > უძმობილდება, აიფოფხება > აფოფხდება, ჩაიშაქრება > ჩაშაქრდება, მოეწყურება > მოსწყურდება და სხვ. (ლ. ნოზაძე).

3. გვარის ფორმათა ერთ დაჯგუფებაში ვნებითი მიდის წარმოქმნილ ფორმად. ვნებითი გვარის ფორმები არის შებრუნებული სახე მოქმედებითისა. **ხატავს / იხატება** ურთიერთობისათვის ხატავს მოქმედებითი გვარის ფორმაა ამოსავალი: იხატება ვნებითის ფორმა მოქმედებითის კონვერსიული სახეა.

წუხდება, აწუხებს ფორმებთან პირველადისა და მეორეულის საკითხი იმგვარადვე არ დაისმის, როგორც ხატავს / იხატება ფორმებთან. შემთხვევითი არ არის, რომ პრეფიქსიან და სუფიქსიან ზმნებს მოქმედებითი გვარის ფორმის განსხვავებული მოდელები შეესაბამება.

4. სუფიქსიანი ვნებითების უღვლილება განსხვავდება პრეფიქსიანი ვნებითების უღვლილებისაგან. ისინი განსხვავებულად აწარმოებენ წყვეტილისა და კავშირებითი II-ის ფორმებს; შდრ.:

დონიანი ვნებითები

ახალი ქართ.	ძვ. ქართ.	ახალი ქართ.	ძვ. ქართ.
წყვეტილი		II კავშირებითი	
შე-ვ-წუხ-**დ**-ი	შე-ვ-წუხ-ენ	შე-ვ-წუხ-**დ**-ე	შე-ვ-წუხ-ნ-ე
შე-წუხ-**დ**-ი	შე-ს-წუხ-ენ	შე-წუხ-**დ**-ე	შე-ს-წუხ-ნ-ე
შე-წუხ-**დ**-ა	შე-წუხ-ნ-ა	შე-წუხ-**დ**-ე-ს	შე-წუხ-ნ-ე-ს

ი- პრეფიქსიანი ვნებითები

წყვეტ.	და-ვ-**ი**-ხატ-ე	II კავშ.	და-ვ-ი-ხატ-ო
	და-**ი**-ხატ-ე		და-ი-ხატ-ო
	და-**ი**-ხატ-ა		და-ი-ხატ-ო-ს

სუფიქსიან ვნებითებს საკუთარი წარმოება აქვთ (ისევე, როგორც „უნიშნო ვნებითებს“) და არ ემთხვევიან სათანადო მოქმედებითებს. პრეფიქსიანი ვნებითების II სერიის ფორმები მინიმალურად განსხვავდებიან სათანადო მოქმედებითისაგან და ზოგ შემთხვევაში (სათავისო ქცევის ფორმაში) კიდევაც თანხვდებიან მას:

მოქმ. წყვეტ. და-ი-ხატ-ა მან იგი / ვნებ. დაიხატა იგი,

II კავშ. დაიხატოს მან იგი / ვნებ. დაიხატოს იგი

შდრ.: აგრეთვე,

მოქმ. თურმ. II: და-ე-ხატ-ა მას იგი / ვნებ. კავშ. II და-ე-ხატ-ა იგი მას.

5. პრეფიქსიანი ვნებითებისაგან განსხვავებით, მოქმედებითი გვარის ფორმებთან დაპირისპირებაში **დ-ნ**იან ვნებითს არა აქვს სხვა დამატებითი ფუნქცია (მაგ. ქცევისა); „გარდაქცევითობის“ ფუნქციას **დ-ნ**იანი ვნებითის ფორმები ამოსავალ სახელურ ფუძეებთან მიმართებაში აჩენს; პრეფიქსიანი ვნებითების მარკერები ქცევის ფუნქციასაც ითავსებენ, სუფიქსიან ვნებითებში ქცევას საკუთარი ფორმანტი აქვს: წ უ ხ - დ ე ბ ა — უ - წ უ ხ დ ე ბ ა ...

6. პრეფიქსიან ვნებითებს არ ეწარმოებათ ე.წ. „საზედაო“ ფორმები. სუფიქსიან ვნებითებში ასეთი წარმოება შესაძლებელია: ა - ჩ ნ დ ე - ბ ა, ა - ტ ყ დ ე ბ ა (თავს), ა - კ ვ დ ე ბ ა, ა - გ ვ ი ა ნ დ ე ბ ა.

7. ორპირიან პრეფიქსიან ვნებითებს შეიძლება ეწარმოებოდეს შუალობითი კონტაქტის ფორმები: **ვ-ე-კვლ-ევინ-ებ-ი, ვ-ე-თრ-ევინ-ებ-ი**... **დ**ონიან ვნებითებს ასეთი წარმოება არა აქვთ, პირიქით, სუფიქსიანი ვნებითის შუალობითი კონტაქტი შეიძლება **ე-** პრეფიქსით იწარმოოს: **ვ-შავ-დ-ებ-ი — ვ-ე-შავ-ებინ-ებ-ი, ვ-კვდ-ებ-ი — ვ-ე-კვლ-ევინ-ებ-ი**...

8. პრეფიქსიანი ვნებითების (აბსოლუტურისა და რელატიურის) ერთი საკმაოდ დიდი ჯგუფი დეპონენსებია: ი-ძლევა, ი-მუქრება, ი-წყევლება, ი-გინება, ე-ზიდება, ე-ქაჩება, ე-წევა, ე-რეკება, ე-ბაასება...

სუფიქსიანი ვნებითები დეპონენსური მნიშვნელობით არ გვხვდება (გამონაკლისი: **ჰ-პირდება**).

9. **ენიანი** ვნებითების ერთი ჯგუფი, კერძოდ, „მეტყველების წრის“ ზმნები — ელაპარაკება, ექაქანება, ეტიკტიკება, ესაუბრება, ეჩურჩულება... ის მას შესიტყვებაში შეიძლება სამვალენტიან ზმნებადაც მოგვევლინოს: ელაპარაკება, ეჩურჩულება ის მას: > ის მას მას: რაღაცეებს გვეჯიყჯიყებოდნენ, მაგრამ ჩვენ ენა არ ვიცოდით... (ა. ყაზბ.) (ქეგლ). ამ ჯგუფის ზმნებთან II სერიის მწკრივებში სუბიექტი შეიძლება მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაც წარმოგვიდგეს: ელაპარაკა, ესაუბრა — მან.

სუფიქსიან ვნებითებში კონსტრუქციის ასეთი ცვლილება არ დასტურდება (გამონაკლისი: **დაჰპირდა** ის მას მას II საუბ. **დაჰპირდა** მან მას ის).

10. **ე-** პრეფიქსიან ზმნათა ერთი ჯგუფი სავარაუდო რეალურ სუბიექტს ნათესაობით ბრუნვაში შეიწყობს (უთანდებულოდ ან თანდებულით): ეხათრება, ერიდება, ეკრძალება, ესირცხვილება, ეხარბება... მას (ვიღაცის ან რაღაცის).

სუფიქსიანი ვნებითებისათვის ასეთი კონსტრუქციები უცხოა.

11. სუფიქსიან ვნებითებს წყვეტილში ფაქტობრივად მხოლოდ სრული ასპექტის ფორმები აქვს: შე-წუხდა, და-დუმდა, შე-უყვარდა, გა-ბრტყელდა (გამონაკლისი: ძველი ქართულის ნასახელარი **მჴნდა** და -ნ(-ენ) სუფიქსიანთაგან **დუმნა**, **წუხნა**... ფორმები). პრეფიქსიან ვნებითებს წყვეტილში ეწარმოება როგორც სრული (და-იმალა), ასევე უსრული (იმალა) ასპექტის ფორმები, თუმცა უსრულის ფორმები — შეზღუდულად.

12. სუფიქსიანი ვნებითებისათვის უცხოა პრეფიქსიანი ვნებითებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობის ნიუანსები: შესაძლებლობის, მიჩნევის, გუნების (ეს მნიშვნელობები შეიძლება სათანადო აქტივებმაც გადმოსცენ: რა ემღერება — რა ამღერებს, რა ეცინება — რა აცინებს, რა ეომება — რა აომებს, რა ექირქილება — რა აქირქილებს და ა. შ.).

ამასთან, სუფიქსიან და პრეფიქსიან ვნებითებს (ასევე, უნიშნო ვნებითებსაც) აერთიანებს უნებურობის მნიშვნელობის გამოხატვა:

სუფიქსიანი ვნებითები	**პრეფიქსიანი ვნებითები**	**უნიშნო ვნებითები**
შემო-აბერ-დ-ება	შემო-ე-ლანძღება	შემო-ადნება
შემო-აღამ-დ-ება	შემო-ე-ჭმება	შემო-აცვდება
შემო-ათენ-დ-ება	შემო-ე-ფშვნება	შემო-აჭკნება

და სხვ.

ნასახელარ ზმნათა წარმოებისას სუფიქსური წარმოება ვნებითისა უფრო პროდუქტიულია, ვინემ — პრეფიქსული.

შენიშვნა: ძველ ქართულში II სერიის ფორმებში პრეფიქსიანი ვნებითების სუბიექტურ პირებს მრავლობითში იგივე **-ენ** სუფიქსი უჩნდება (წყვეტ. და-ვ-ი-წერ-ენ-ი-თ, და-ი-წერ-ენ-ი-თ, და-ი-წერ-ნ-ეს...), რაც მოქმედებითი გვარის მრავლობით რიცხვში დასმულ პირდაპირ ობიექტს (წყვეტ. და-ვ-წერ-ენ, და-წერ-ენ, და-წერ-ნ-ა...). ვნებითებს, როგორც სათანადო მოქმედებითების კონვერსივებს, მრავლობითობის ე.წ. სუფიქსი, როგორც ჩანს, მოქმედებითებიდან გადმოჰყვებათ. როგორც ა. შანიძე შენიშნავს, თქმული ეხება მხოლოდ პრეფიქსიან ვნებითებს. რაც შეეხება **სუფიქსიანსა** და **უნიშნოს** (ხაზგასმა ჩვენია — მ. ს.), მათ წარმოებას არა აქვს პირდაპირი კავშირი მოქმედებითთან და ინფიქსის ხმარებას მრავლობითში არ იმეორებენ.

როგორც ვხედავთ, ფორმით, ფუნქციით, ზმნური კატეგორიების განსხვავებული წარმოებით პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ისინი ზმნათა დაჯგუფების განსხვავებულ სისტემებს განეკუთვნებიან:

1. ხატ-ი-ა ხატ-ავ-ს
   ა-ხატ-ი-ა ი-ხატ-ავ-ს > იხატება
   უ-ხატ-ი-ა უ-ხატ-ავ-ს > ე-ხატ-ებ-ა

2. წუხ-ს ა-წუხ-ებ-ს > წუხ-დ-ებ-ა
   ი-წუხ-ებ-ს
   უ-წუხ-ს უ-წუხ-ებ-ს > უ-წუხ-დ-ებ-ა

აქ შეიძლება ასე დაისვას საკითხი: თუ პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითები განსხვავდებიან არა მარტო ფორმით, არამედ ფუნქციითაც, მაშინ ისინი ერთ — ვნებითი გვარის — კატეგორიაში ვერ გაერთიანდებიან. ეს ასე იქნებოდა, თუ აქტივისა და პასივის მიმართება ქართულში განვიხილავთ, როგორც ერთი და იმავე შინაარსის რეალიზაციას სხვადასხვა ფორმით: კაცი წერს წერილს = წერილი იწერება კაცის მიერ; თუ ვნებით გვარს ქართულში პასივის უნივერსალური განსაზღვრების მიხედვით შევაფასებდით როგორც ბაზისური (ლოგიკური) პირდაპირი დამატების ქვემდებარედ გარდაქმნის შედეგს ზედაპირულ სტრუქტურაში, სადაც ბაზისური ქვემდებარე ზმნასთან ფორმალურ კავშირს წყვეტს და მხოლოდ თანდებულიანი უბრალო დამატების სახით გვევლინება.

ასეთი ვნებითები, რომლებიც სემანტიკურად და სინტაქსურად შეესაბამება ვნებითის უნივერსალურ მოდელს, ქართულში აღწერითი ვნებითებია: გაგზავნილ იქნა, წაყვანილ იქნა, აღდგენილ იქნა... ცალკეულ შემთხვევებში სინთეზური ვნებითებიც აკმაყოფილებენ ამ უნივერსალურ მოთხოვნას: **გაიგზავნა** (= გაგზავნილ იქნა) ვიღაცის მიერ, **მოიკლა** (= მოკლულ იქნა) მტრის მიერ...

მაგრამ აქტიური წინადადების პასივიზაცია ქართულში ყოველთვის ამ წესით არ ხორციელდება, მოქმედებითი გვარის სუბიექტი (ქვემდებარე) პასიურ კონსტრუქციაში ყოველთვის არ იგუებს მიერ თანდებულიან უბრალო დამატებას (ქვემდებარისებრ დამატებას): *ყვავილი იფურჩქნება მზის მიერ. ასევე ვერ იგუებს ღლის — იღლება ოპოზიციური წყვილის პასიური წევრი კონსტრუქციაში მიერ.-თანდებულიან უბრალო დამატებას მიუხედავად იმისა, რომ აქტიური წინადადების სუბიექტი აგენტურია; შდრ., ეს კაცი მღლის, მაგრამ — *ვიღლები ამ კაცის მიერ ქართულისათვის ხელოვნურია, მოცემულ კონტექსტში უფრო ბუნებრივია -გან თანდებულიანი უბრალო დამატება: ამ კაცისაგან ვიღლები ან სულაც ინსტრუმენტული (მოქმედებით ბრუნვაში დასმული) დამატება — ამ კაცით ვიღლები. ყოველ შემთხვევაში, ვნებითურ კონსტრუქციებში ინსტრუმენტული დამატება უჩვეულო არ არის: „ია დასაქცევი, უწინ ვერ მღალავდა მუშაობა და ამ ბოლო დროს კი ძალიან ვიღლები“ (ე. ნინოშ.) (ქეგლ).

აქ ასეთი კონვერსიული გარდაქმნა განხორციელდა:

მღალავს მუშაობა > ვიღლები [მუშაობით]

შდრ.: „...ზედმეტი მუშაობით იღლები და ჩემს სამუშაოს ვეღარ ასრულებ“ (ი. გედევ.) (ქეგლ) ქართულისათვის აქტიური და პასიური კონსტრუქციების ამ რიგის შენაცვლებები ბუნებრივია: სიარული მღლის — სიარულით ვიღლები, ლაპარაკი მღლის — ლაპარაკით ვიღლები, ზედმეტი ფუსფუსი მღლის — ზედმეტი ფუსფუსით ვიღლები... შდრ., ღამე ფუსფუსით ვიღლები და დღე მაგრა მძინავს [ამბობს კურდღელი] (თ. რაზიკ.) (ქეგლ).

ინსტრუმენტული დამატება წინადადებაში ყოველთვის არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება, შდრ.: [ბავშვი] ცელქობს ძალზე და იღლება (ჭ. ლომთ.) = ბავშვი ცელქობით იღლება. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვნებითი გვარის ზმნების განმარტებებში ხშირად ჩნდება ეს ინსტრუმენტული თუ სხვა სახის უბრალო დამატებები; შდრ.:

იბერება — ჰაერით (გაზით ან სხვა რამეთი) ივსება და ფართოვდება...,

იბნევა — ფანტვით იყრება...,

იპარსება... მატყლი სცილდება (ცხვარს — დუქარდით)...,

იპოხება... ცხიმით იჟღინთება,

იბნიდება... გული უღონდება (ძლიერი განცდის გამო),

იღვედება...ღვედივით მოქნილი ხდება — „ბევრი ცემით რკინაც იღვედებაო...“

ვნებითის ერთი ჯგუფის პოლისემიური ფორმების ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობების განმარტებები ცხადად წარმოაჩენენ მნიშვნელობის განვითარების მიმართულებასაც — პასიური სუბიექტის გააქტიურებისაკენ, ან უფრო ზუსტად: სწრაფვას — პასიური, „განმცდელი“ სუბიექტიდან შემსრულებელი სუბიექტის სტატუსის გამოხატვისაკენ. შდრ.:

იბერება... 1. ჰაერით... ივსება და ფართოვდება. 2. საუბ. გადატ. იბღინძება, მედიდურობს — გადატ. იბუტება...

იფანტება... 1. იბნევა, იყრება... 2. სხვადასხვა მიმართულებით მიდის, იქსაქსება, იშლება.

იბნევა... 1. ფანტვით იყრება... II გადატ. ვრცელდება (სადმე). 2. გადატ. ირევა, აზრები ეფანტება, თავგზა ებნევა.

იქარგება... 1. ქარგვა შეიძლება; ქარგავენ. 2. პოეტ. გადატ. ისახება.

იღეჭება... 1. ღეჭვით ქუცმაცდება [საჭმელი]... 2. ერთთავად ღეჭავს. [კუდაბზიკას] თავი ჩაექინდრა და უგემურად იღეჭებოდა [გ. წერეთ.].

იგრიხება... 1. გრეხენ, გრეხა შეიძლება, 2. იმანჭება, იკლაკნება...

იფხაჭნება 1. იკაწრება, ფხაჭნიან. 2. ფხაჭნის (ერთთავად, წარამარა).

იფუფქება 1. ითუთქება, ფუფქავენ... 2. ცხარე ცრემლებით ტირის...

იღრიცება... იგრიხება, იბრიცება. ფეხსაცმელი იბრიცება II გადატ. უშნოდ, ულაზათოდ იგრიხება, - იმანჭება.

იტიკნება... (ტიკივით) იბერება. II საუბ. გადატ. ძალიან ძღება.

იცრიცება... 1. ილევა, ცვდება, იხევა (ხშირი ხმარებისაგან — ქსოვილი და მისთ.). 2. ფერი ეკარგება, ფითრდება...

წარმოდგენილ პრეფიქსიან ვნებითებში პირველი, ძირითადი, მნიშვნელობა პასიურია, მეორე, გადატანითი მნიშვნელობა აქტიური ჩანს — სუბიექტი სულიერი სახელია.

ასე რომ, ვნებითი გვარის პრეფიქსულ ფორმებში სუბიექტი ყოველთვის პასიური სუბიექტი არაა. შდრ., ა.შანიძის ცნობილი დებულება: „თუ მოქმედება სულიერს ეხება, პასიური ფორმა ზოგჯერ მეტად აქტიურ მოქმედებას მიაწერს გრამატიკულ სუბიექტს: ყაჩაღი ტყეში დაიმალა, ჩემი ამხანაგი თელავს გაემგზავრა...“ ამგვარად, ვნებითის ნიშანდობლივი თვისება — წარმოადგინოს ზმნით გამოხატული მოქმედება რეალური შემსრულებელი პირის გამოუჩენლად — ყოველთვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არც პრეფიქსიან ვნებითებში არაა განხორციელებული — პასიური გრამატიკული სუბიექტი მოქმედების შემსრულებლის ფუნქციასაც თაობს.

IV. 4.1.5.2. დონიანი და უნიშნო ვნებითების მიმართება აქტივებთან. დონიანი და უნიშნო ვნებითების მიმართება სათანადო აქტივებთან კონვერსიის თვალსაზრისით თანმიმდევრულია, შდრ.:

ა-მწიფებს ხილს — ხილი მწიფდება
ა-დუღებს ჩაის — ჩაი დუღდება
ა-ცხელებს უთოს — უთო ცხელდება
ა-ხურებს თონეს — თონე ხურდება...
ა-თბობს ოთახს — ოთახი თბება
ა-შრობს სარეცხს — სარეცხი შრება

ა-ლპობს ხ ი ლ ს — ხ ი ლ ი ლპება...

აქტივის პირდაპირი (პაციენტური) ობიექტი ვნებითში სუბიექტის ადგილზე დგას, მაგრამ ვნებითის სუბიექტი არაა ერთმნიშვნელოვნად პაციენტური სუბიექტი, სუბიექტის მიერ განცდილი პროცესი არა მხოლოდ გარეგანი მიზეზით, არამედ თავად სუბიექტისთვის დამახასიათებელი შინაგანი თვისობრივი ცვლილებითაცაა გაპირობებული. ეს კარგად ჩანს დასახელებული ვნებითის ფორმების სალექსიკონო განმარტებებიდანაც: მწიფდება (ხილი), შრება (სარეცხი) და მისთანანი აღიქმება როგორც „თავისით“, „თვითონ“ მწიფდება, შრება.

პრეფიქსიანი ვნებითების მნიშვნელობა კი არსებითად სუბიექტზე დამართებული გარეგანი მოქმედების შედეგითაა მოტივირებული, შდრ.:

ი-ქებ-ა... ქებით იხსენიება, — აქებენ

ი-წერებ-ა... წერით აღიბეჭდება (ასო, ციფრი, სიტყვა...), — წერენ

ი-ხატებ-ა... [გამო]ისახება; ხატვა შესაძლებელია; ხატავენ და სხვ.

რომ სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითების მნიშვნელობისათვის თავად სუბიექტში მიმდინარე შინაგანი პროცესუალური ცვლილებების (გარდაქცევითობა, დაწყებითობა...) გამოხატვაა ნიშანდობლივი, ეს ამ ტიპის ზმნათა განმარტებებითაც დასტურდება, შდრ.:

მწიფდებ-ა... 1. მწიფე ხდება, — შემოდის (ხილი, ყანა)...

დუღდებ-ა... 1. დუღილს იწყებს...

ცხელდებ-ა... ცხელი ხდება...

ხურდებ-ა... 1. ძლიერ ცხელდება...

ზვავდებ-ა... ზვავად იქცევა, ზვავივით მოდის...

ჩქარდებ-ა... 1. სიჩქარეს უმატებს, უფრო ჩქარა მოძრაობს...

ჩერდებ-ა... მოძრაობას (სვლას), მოქმედებას, მუშაობას წყვეტს, — დგება (ერთ ადგილას)...

ძვალდებ-ა... ძვალად იქცევა, ძვალივით მაგრდება...

წვრილდებ-ა... წვრილი ხდება...

ცივდებ-ა... ცივი ხდება, სითბო აკლდება...

წითლდებ-ა... წითელ ფერს იღებს, წითელი ფერის ხდება...

ხევდებ-ა... ხესავით ხდება, — შეშდება; [გა]ირინდება...

კრთებ-ა... უეცრად მთელი ტანით არანებისმიერად შეტოკდება (შიშისგან, მოულოდნელობისგან) [შე]თრთოლდება, ფრთხება...

ლხვებ-ა... დნობას იწყებს, დნება (ყინული, სანთელი...)...

ტკბებ-ა... 1. ტკბილი ხდება, სიტკბო ეძლევა 2. გადატ. კმაყოფილებას, სიამოვნებას განიცდის, განცხრომაში არის, ნეტარებს...

ფრთხებ-ა... შინდება, ფეთდება, კრთება...

ცდებ-ა... 1. გამოუყენებლად რჩება, ვერ(არ) მოიხმარენ...

ცვდებ-ა... ხშირი ხმარებით ძველდება (იცრიცება, ილევა, იხევა...)...

ჭკნებ-ა... სინედლე აკლდება, სინორჩეს კარგავს (ითქმის მცენარეზე)...

ხმებ-ა... ხმელი ხდება; სინედლეს, სიცოცხლის უნარს კარგავს 2. საუბ. ძლიერ ხმება; მჭლევდება, ილევა...

თეთრდება ჭერი (ვიღაცის მიერ), კრთება, ფრთხება კაცი (შიშისაგან, მოულოდნელობისაგან), ცვდება ტანსაცმელი (ხშირი ხმარებით)... ვნებითის ფორმებით გამოხატულ პროცესებს ეძებნება გარე მიზეზები, მაგრამ ისინი ვნებითების მნიშვნელობაში ნაკლებად აისახება.

პრეფიქსიან ვნებითთაგან სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითების მნიშვნელობის განსხვავების ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ პრეფიქსიანი ვნებითები, წარმოქმნის თვალსაზრისით, თავიანთ ძირეულ, არამარკირებულ აქტივებთან მიმართებით დერივატები არიან, ხოლო სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითების მარკირებული აქტივები თავად წარმოადგენენ დერივატებს (ძირეული ფორმები მათთვის სახელები, უნიშნო ვნებითები ან საშუალი გვარის ზმნებია) და, ბუნებრივია, თუ განსხვავებული მიმართებები განსხვავებულ მნიშვნელობებს აჩენს.

IV. 4.1.5.3. სუფიქსიან ვნებითთა მიმართება უნიშნო და საშუალი გვარის ზმნებთან. სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითები, გვარის ორწევრიანი სისტემის (აქტივი-პასივი) პარალელურად (ათენებს — თენდება, აცხობს — ცხვება...), საშუალი გვარის ზმნებთან ერთად გვარის სამწევრიან სისტემასაც ქმნიან (აწუხებს — წუხდება — წუხს, აწვენს — წვება — წევს...). ის, რაც სუფიქსიან ვნებითებს პრეფიქსიანებისაგან განასხვავებს — აახლოვებს „უნიშნო ვნებითებთან“. სუფიქსიან და უნიშნო ვნებითებთან გრამატიკული სუბიექტის პასიური მნიშვნელობა ნაკლებ თვალსაჩინოა: **დგება, წვება, ქრება..., წუხდება, ჩუმდება**... (თვითონ), თუმცა, ასევე, **დგება, წვება** (ვიღაცის დახმარებით), **ცხვება** (ვიღაცის მიერ)... **წუხდება** (ხმაურით...), **ჩუმდება** (რაღაცის გამო), **ბრტყელდება** (ვიღაცის მიერ)... პრეფიქსიან ვნებითებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად უამრავი გამონაკლისისა, პასიური გრამატიკული სუბიექტია კანონზომიერი: **იხატება, იწერება** (ვიღაცის მიერ).

უნიშნო ვნებითები დგ-ებ-ა და დონიანი წუხ-დ-ებ-ა ტოლი ოდენობაა შინაარსითა და გრამატიკული კატეგორიების წარმოე-

ბით, განსხვავებული აქვთ თურმეობითის ფორმები: „უნიშნო ვნებითი“ **მ**ანიან მიმღეობას იყენებს: დ ა - მ - დ გ ა რ - ა, სუფიქსიანი — ვნებითი გვარის მიმღეობას: შ ე - წ უ ხ ე ბ უ ლ - ა, თუმცა შინაარსობრივად ეს ორი წარმოება ერთმანეთს ფარავს და განსხვავდება პრეფიქსიან ვნებითთა ანალოგიური წარმოებისაგან: შდრ., დ ა - წ ე რ ი ლ - ა, აქ ნათელია, რომ მოქმედება სხვის მიერ არის შესრულებული. შ ე წ უ ხ ე ბ უ ლ ა ორივე მნიშვნელობას ითავსებს (თ ვ ი თ ო ნ / ს ხ ვ ი ს გ ა ნ, ს ხ ვ ი ს მ ი ე რ).

მოქმედებითი გვარის ფორმაწარმოების პრინციპი „უნიშნო“ და სუფიქსიან ვნებითებს საერთო აქვთ: **ა — ებ**; **ა — ობ** და **ა — ენ**.

წუხ-**დ**-ებ-ა / **ა**-წუხ-**ებ**-ს, თეთრ-**დ**-ებ-ა / **ა**-თეთრ-**ებ**-ს
წვ-ებ-ა / **ა**-წვ-**ენ**-ს, თბ-ებ-ა /**ა**-თბ-**ობ**-ს.

შენიშვნა: მოქმედებითი გვარის წარმოების პრინციპი აქ კაუზატიურია. „უნიშნო ვნებითები“ სპეციალურ ლიტერატურაში ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნებადაა მიჩნეული. „მას შემდეგ, რაც ენაში ზმნის გვარები ჩამოყალიბდა და შეიქმნა საპირისპირო მოქმედებითვნებითი ფორმები ზმნისა, ენაში უკვე არსებული ეს ერთპირიან-დინამიკური ზმნების ფორმები ფუნქციონალურად დაემთხვა და გამოყენებულ იქნა კიდეც მოქმედებითის საპირისპირო წარმოებად — ვნებითად“ (ქ. ლომთათიძე).

ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ვ ნ ე ბ ი თ ე ბ ი საშუალი გვარის ზმნათა საოპოზიციო ცალებად გვევლინებიან გვარის სამწევროვან სისტემაში, როგორც ფუნქციის, ასევე ფორმისა და გრამატიკულ კატეგორიათა წარმოების მხრივ — დრო-კილოთა წარმოების მთელ სისტემაში:

ა-წუხ-ებ-ს — წ უ ხ - დ - ე ბ - ა — წ უ ხ - ს
ა-გორ-ებ-ს — გ ო რ - დ - ე ბ - ა — გ ო რ - ა ვ - ს
ა-ძულ-ებ-ს — ს - ძ უ ლ - დ - ე ბ - ა — ს - ძ უ ლ - ს ...

1. სუფიქსიანი ვნებითები ისევე უპირისპირდებიან ან შეესაბამებიან საშუალ (მედიოაქტივსა და მედიოპასივს) ზმნებს, როგორც „უნიშნო ვნებითები“: დგა-ს — დგ-ებ-ა, ქრი-ს — ქრ-ებ-ა... და წუხ-ს — წუხ-დ-ებ-ა, მწიფ-ს — მწიფ-დ-ებ-ა, გორ-ავ-ს — გორ-დ-ებ-ა, ს-ძულ-ს

— ს-ძულ-დ-ებ-ა, ჩან-ს — ჩნ-დ-ებ-ა... საშუალი ფორმა მდგომარეობას, ვითარებას გადმოგვცემს, დინამიკური — მოქმედების პროცესს.

2. საშუალი გვარისა და დინამიკურ „უნიშნო“ და სუფიქსიან ვნებითებს ერთნაირად ეწარმოებათ ქცევა: დგა-ს — უ-დგა-ს, წუხ-ს — უ-წუხ-ს, ტირ-ი-ს — უ-ტირ-ი-ს, მწიფ-ს — უ-მწიფ-ს... და დგებ-ა — უდგ-ებ-ა, წუხ-დ-ებ-ა — უ-წუხ-დ-ებ-ა, ტირ-დ-ებ-ა — უ-ტირ-დ-ებ-ა (აუტირდება).

3. საშუალი გვარის და სუფიქსიან და „უნიშნო“ დინამიკურ ზმნებში ზოგჯერ შეიძლება დადასტურდეს სიტუაციის ე.წ. „საზედაო“ ფორმები : ა-ჩნ-ი-ა — ა-ჩნ-დ-ებ-ა, ა-წვიმ-ს — ა-წვიმ-დ-ებ-ა, ა-დგ-ას — ა-დგ-ებ-ა (თავზე), ა-ზი-ს — ა-ჯდ-ებ-ა, ა-წევ-ს — ა-წვ-ებ-ა... შესაბამისად, საშუალი გვარის სტატიკურ ზმნათა საქცეო მიმართება თუ სამ წევრს ითვალისწინებს, ის პარალელურად დინამიკური ვნებითის ფორმასაც ექნება:

დგ-ა-ს, ა-დგ-[ა]-ს, უ-დგ-[ა]-ს — დგ-ებ-ა, ადგ-ებ-ა, უ-დგ-ებ-ა
ჩან-ს, ა-ჩნ-ს, უ-ჩ[ა]ნ-ს — ჩნ-დ-ებ-ა, ა-ჩნ-დ-ებ-ა, უჩნ-დ-ებ-ა.

4. თუ საშუალი გვარის ზმნა მიცემითსუბიექტიანია, მიცემითსუბიექტიანი იქნება სათანადო დინამიკური ვნებითიც: უყვარს — უყვარდება, სძულს — სძულდება, სწყურია — სწყურდება და ა.შ. საინტერესო ფაქტია, რომ თუ საშუალი გვარის ზმნას (მიცემითსუბიექტიანს) ხმოვანი პრეფიქსი ეკარგვის, ეკარგვის ის შესაბამის დინამიკური ვნებითის ფორმასაც: უ-კვირს, ჰ-კვირს — უ-კვირდება, ჰ-კვირდება...

დონიანი, პრეფიქსიანი და უნიშნო ვნებითების ერთ კლასში (პასივებში) გაერთიანება, აქტივ-პასივის ოპოზიციის უნივერსალური გაგებით, გარკვეულწილად პირობითია. ქართული პასივები არ არიან ევროპული პასიური ზმნების ზუსტი ანალოგები, თუმცა მათი პასიური მნიშვნელობა, იქ სადაც ეს მნიშვნელობა გვაქვს, სათუო არ უნდა იყოს. ქართული პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითების პასიური მნიშვნელობის საკონტროლო საშუალებაა მათი ჩანაცვლება სათანადო მოქმედებითის განუსაზღვრელსუბიექტიანი მრავლობითის ფორმით. უფრო მკაფიოა ვნებითების ფორმობრივი მახასიათებლები: ვნებითის ფორმანტები, აწმყო დროის ჯგუფების წარმოება, კერძოდ, **ებ-ი, ებ-ა** დაბოლოება I სერიის I, II და III პირის ფორმებში (ვ-წუხდ-ებ-ი, წუხდ-ებ-ი, წუხდ-ებ-ა; ვ-ი-მალ-ებ-ი, ი-მალ-ებ-ი, ი-მალ-ებ-ა; ვ-თბ-

ებ-ი, თბ-ებ-ი, თბ-ებ-ა...), III პირის სუბიექტის სუფიქსი **-ა** (წუხდებ-ა, ი-მალ-ებ-ა, თბ-ებ-ა...), **-ოდ** სავრცობი (წუხ-დ-ებ-ოდ-ა, ი-მალ-ებ-ოდ-ა, თბ-ებ-ოდ-ა...). ამ მორფოლოგიური მახასიათებლებით სუფიქსური და პრეფიქსული ვნებითები უპირისპირდებიან სათანადო აქტივის ფორმებს.

ასე რომ, ოპოზიცია აქტივი — პასივი მორფოლოგიური თვალსაზრისით, თვალსაჩინოდაა გამოხატული, განსაკუთრებით, I სერიაში (აქტივის **ა-**, და პასივის კონფიქსური **ი—ება(ე—ება)**, **-დ—ება**, **Ø—ება**) მარკერების დაპირისპირებით.

IV. 4.1.5.4. საშუალი გვარი (მედიუმი). გვარის ოპოზიციურ წევრთა მარკირების ძირითადი მოდელები, როგორც უკვე ითქვა, ასეთია:

1. ორწევრიანი: არამარკირებული აქტივი — პრეფიქსით მარკირებული პასივი: ხაზავს — ი-ხაზება...

2. ორწევრიანი: ა) მარკირებული აქტივი — მარკირებული პასივი (სუფიქსიანი ან უნიშნო): ათენებს — თენდება, აცხობს — ცხვება... ბ) მარკირებული აქტივი — არამარკირებული მედიუმი: ასადილებს — სადილობს...

3. სამწევრიანი: მარკირებული აქტივი — მარკირებული პასივი (სუფიქსიანი ან უნიშნო) — არამარკირებული მედიუმი: აწუხებს — წუხდება — წუხს, აწვენს — წვება — წევს...

დუღ-ს, წუხ-ს, გორ-ავ-ს, ტრიალ-ებ-ს, ტირ-ი-ს, ლაღ-ობ-ს, ფას-ობ-ს, ცხარ-ობ-ს და სხვ. ეს ის საშუალი გვარის ზმნებია, რომელთაც საპირისპირო მოქმედებითიც უკეთდება და ვნებითიც: ადუღებს — დუღდება — დუღს, აგორებს — გორდება — გორავს და ა.შ.

ვახშმობს, ვაჭრობს, სადილობს, ქრის და მისთანებს მედიუმების საპირისპიროდ მხოლოდ მოქმედებითის ფორმები აქვს: ავახშმებს, ავაჭრებს, ასადილებს, აქროლებს...

საშუალი გვარის ზმნებში ტრადიციულ თემის ნიშნებს მედიალურ ზმნათა აწმყოს ფუძის ფორმანტებად გამოყოფს დი ენ ჰოლისკი. ეს ფორმანტებია: Ø (დუღ-ს), **-ი** (ტირ-ი-ს), **-ავ** (გორ-ავ-ს), **-ებ** (სისინებ-ს), **-ობ** (ცელქ-ობ-ს). ამ რიგში განვიხილავთ აწმყოს III პირის სპეციფიკურ **-ია** II **-ავ** დაბოლოებიან (ძვ. ქართ. **-იეს**) ე.წ. სტატიკურ ვნებითებს: ა ბ - ი ა, ა ნ თ - ი ა, წ ე რ - ი ა / ა - წ ე რ - ი ა, ხ ა ტ - ი ა / ა - ხ ა ტ - ი ა და მისთ. ა. შანიძის მიხედვით 120-მდე სტატიკურ ზმნას. მედიოპასი-

ვებისა და „სტატიკური ვნებითების“ შინარსობლივი და ფორმალური მსგავსება (გარდაუვალობა, სრული ასპექტის ფორმათა არქონა, ქცევის ნაკლული სისტემა, უღლების ნაკლული პარადიგმა, აწმყოს I და II პირის ფორმათა მეშველზმნიანი წარმოება...) სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ფაქტია (ა. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე...). აწმყოს ფუძის განსხვავებული ფორმანტებით შექმნილი ფორმალური ზღვარი მედიოპასივსა და სტატიკურებს შორის მყიფეა. ა. შანიძე შენიშნავს: „საზოგადოდ უახლეს ქართულს აქვს ტენდენცია სტატიკურთა ფარგლებში მოაქციოს ისეთი ზმნებიც, რომლებიც ტიპობრივად მედიოპასივია“; ასახელებს ასეთ, განსხვავებული დაბოლოების მქონე, მედიოპასივებს: აკრ-ავ-ს, ჰ-ხურ-ავ-ს, სახლ-ობ-ს, ჰ-მართ-ებ-ს, ჩასდგ-ამ-ს... და ასკვნის: იშლება ფორმალური ზღვარი მედიოპასივებსა და სტატიკურებს შორისო.

ა. შანიძე ეხება **-ია** დაბოლოებიან სტატიკურ ზმნათა საშუალი გვარის ფორმებში გაერთიანების შესაძლებლობასაც, მაგრამ, საბოლოოდ, მათ მაინც ვნებითებში განიხილავს. ასეთი კლასიფიკაცია ავიწროვებს სტატიკურობა-დინამიკურობის ცნების შინაარსს, რომელიც უფრო ფართო მოვლენაა, ვიდრე ვნებითი გვარი. სტატიკურობა-დინამიკურობის ის დაპირისპირება, რაც ვნებით გვარში აღინიშნება: სტატ. აბ-ია, წერ-ია, ხატ-ია... — დინამ. იბმ-ებ-ა, იწერ-ებ-ა, იხატ-ებ-ა..., საშუალი გვარის „მედიოპასივებისთვისაც“ ნიშანდობლივია: დგა-ს — დგ-ებ-ა, წევს — წვ-ებ-ა, ჩან-ს — ჩნდ-ებ-ა...

აბია, ანთია, ხატია ტიპის სტატიკურ ფორმათა საშუალ გვარში გაერთიანებით, ამავე ფუძეებიდან ნაწარმოები აქტივისა და პასივის ორწევროვანი სისტემები სამწევროვანი ხდება: წერს — ი-წერება — წერია, ხატავს — ი-ხატება — ხატია..., თუმცა არ ირღვევა სისტემის წევრთა მარკირების წესი, არამარკირებულ აქტივს (წერს, ხატავს) უპირისპირდება მარკირებული პასივი (ი-წერება, ი-ხატება...) და **-ია** დაბოლოებით მარკირებული საშუალი (წერ-ია, ხატ-ია...). შეიძლება მარკირებული იყოს ოპოზიციის სამივე წევრი (ა-ბამ-ს — ი-ბმ-ებ-ა — აბ-ია, ა-ნთ-ებ-ს — ი-ნთ-ებ-ა — ანთ-ია...).

საშუალი გვარის ფორმები, ვნებითების მსგავსად, კონვერსიულ ურთიერთობას ამყარებენ სათანადო მოქმედებითთან. „ზოგი ნიშნის მიხედვით ეს ზმნა მოქმედებითს ჰგავს, ზოგით კი — ვნებითს: ფორმა უმეტესად მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია — ვნებითისა (ა. შანიძე). მოქმედებითებთან ფორმით მსგავსება იმაში გამოიხატება, რომ მოქმედებითიც და საშუალი გვარის ფორმებიც არიან უთემისნიშნოც (წერს

და წევს, დებს და დევს...) და **-ი**, **-ავ**, **-ებ**-, **-ობ** თემისნიშნიანებიც (**ი-** სუფიქსს პირობითად ვაკუთვნებთ თემის ნიშნებს), თუმცა აქტივ-მედიუმის საპირისპირო ფორმები ძირითადად სხვადასხვა ნიშნებით ფორმდება: წუხ-ს — ა-წუხ-ებ-ს, გორ-ავ-ს — ა-გორ-ებ-ს, ტირ-ი-ს — ა-ტირ-ებ-ს, ცხარ-ობ-ს — ა-ცხარ-ებ-ს..., მაგრამ: ტრიალ-ებ-ს — ა-ტრიალ-ებ-ს... ფორმის თვალსაზრისით, საშუალი გვარის ფორმები მოქმედებითებისაგან **ა-** ხმოვანი პრეფიქსის უქონლობით განსხვავდებიან.

საშუალი გვარის ფორმები მოქმედებითებს გარდამავლობის თვალსაზრისით უპირისპირდებიან: საშუალი გვარის ფორმა არსებითად გარდაუვალია, მოქმედებითი გვარისა — გარდამავალი.

პასივებთან საშუალი გვარის ფორმებს აახლოებს გარდაუვალობა, პირთა რაოდენობა (ერთ- ან ორპირიანები არიან), ორპირიან ფორმებში ობიექტური პირის როგორობა: საშუალსაც და ვნებითსაც მხოლოდ ირიბი ობიექტი შეეწყობა. გამონაკლისები წესს არ ცვლის.

მედიუმებისგან განსხვავებით, ვნებითებს აწმყოში საკუთარი მოდელი აქვთ, განსხვავდებიან ეს ფორმები მწკრივთა წარმოებითაც. საშუალი გვარის ფორმებს საკუთარი ფუძით მხოლოდ I სერიის (უსრულის ასპექტის) მწკრივები ეწარმოებათ, დანარჩენ მწკრივებს კი იმავე ფუძის აქტიური ან პასიური ფორმებით ივსებენ.

საშუალი გვარის ზმნებში განიხილება გარდაუვალი ინვერსიული ან, სხვაგვარად, მიცემითსუბიექტიანი ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის სემანტიკის სტატიკური ზმნები: აქვს, ჰყავს, უყვარს, სძულს, სძაგს და ა. შ. მიცემით სუბიექტიანია **-ია** დაბოლოებიან სტატიკურ ზმნათა ერთი ნაწილიც: აბადია, აბარია, უპყრია, უყენია. სჩვევია...

სუბიექტის სინტაქსის მიხედვით, საშუალი გვარის ერთი ნაწილი ვნებითებს მიჰყვება — სუბიექტი ბრუნვაუცვლელია, სამსავე სერიაში სახელობით ბრუნვაში დგას. საშუალი გვარის ფორმათა მეორე ნაწილს ბრუნვაცვალებადი სუბიექტი შეეწყობა: I სერიაში — სახელობითი, II და III სერიაში — მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვებით.

შესაბამისად, ბრუნვაუცვლელი და ბრუნვაცვალებადი სუბიექტის მქონე საშუალი გვარის ფორმებს არსებითად განსხვავებული სემანტიკა უჩანთ.

ამ სემანტიკის კვალობაზე და იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხდება საშუალი გვარის ფორმათა ნაკლული მწკრივების შევსება, ქართულში საშუალი ზმნების ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1. საშუალ-ვნებითები (მედიოპასივები), რომლებიც ნაკლულ მწკრივებს პასივის ფორმებით ივსებენ: **აკლია** — აკლდება, აკლდა, ჰკლებია, **დგას** — იდგება,

იდგა, მდგარა; 2. საშუალ-მოქმედებითები (მედიოაქტივები), რომლებიც ფორმათწარმოებით აქტიურ ზმნებს მიჰყვებიან: ცხოვრობს (კაცი), იცხოვრებს (კაცი), იცხოვრა (კაცმა), უცხოვრია (კაცს). ბუნებრივია, ნაკლული მწკრივების შევსება-შერჩევა პასივისა თუ აქტივის ფორმებით მედიალურ ზმნათა სათანადო პასიური ან აქტიური მნიშვნელობით იყოს გაპირობებული.

შენიშვნა: რაც შეეხება ნაკლული პარადიგმის საკითხს, მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ II და III სერიის მწკრივთა ფორმები მედიოაქტივებისათვის არაორგანულია, მეორეულია, მოქმედებითი გვარის ზმნათაგან ნასესხები (ა. შანიძე...). სხვა თვალსაზრისით, მედიოაქტივებს უღლების საკუთარი, სრული პარადიგმა აქვს და სხვა აქტიურ ზმნათაგან განსხვავებული მორფოლოგიური თუ სინტაქსური თავისებურებანი სათანადო ისტორიული ცვლილების შედეგია (ლ. ნოზაძე, დი ენ ჰოლისკი, დ. მელიქიშვილი). არსებობს სხვაგვარი გაგებაც (იხ. აქვე).

თუმცა ნაკლული პარადიგმის შევსებასა და საშუალი გვარის ფორმათა პასიურ და აქტიურ მნიშვნელობებს შორის ერთმნიშვნელოვანი მიმართება არ დასტურდება: პასიური მნიშვნელობის მედიუმი ყოველთვის პასიური ფორმით არ ივსებს დანაკლისს და აქტიურისა — აქტივის ფორმით.

განვიხილოთ ჩანაცვლების შემთხვევები მედიოპასივისა და მედიოაქტივის ჯგუფებში:

მედიოპასივები. მედიოპასივთა ერთი ნაწილი ნაკლულ ფორმებს თავისივე ფუძის ვნებითით ივსებს: **სწყინს** — ეწყინება, ეწყინა, სწყენია, **აკლია** — დააკლდება, დააკლდა, დაჰკლებია, **დგას** — იდგება, იდგა, მდგარა და სხვ. II ნაწილს კი მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები უკეთდება: ჭირს, ჩანს, უმძიმს, მწიფს, ხურს...

მედიოაქტივები. მედიოაქტიური ზმნები, ჩასანაცვლებელი ფორმების მიხედვით, სამ ჯგუფად ნაწილდება: ა) იყენებს აქტიურ ფორმებს, ბ) იყენებს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ ფორმებს (**დონ**იან პასივებს), გ) გვხვდება მხოლოდ აწმყოს წყებაში.

დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

ა) ამ ჯგუფის მედიოაქტივებთან აქტიური ფორმის ჩანაცვლება უფრო ხშირია: **გუშაგობს** — იგუშაგებს, იგუშაგა, უგუშაგნია, **ფიქრობს** — იფიქრებს, იფიქრა, უფიქრია, **კეკლუცობს** — იკეკლუცებს, იკეკლუცა, უკეკლუცნია, **თარეშობს** — ითარეშებს, ითარეშა, უთარეშია, **ცხოვრობს** — იცხოვრებს, იცხოვრა, უცხოვრია და ბევრი სხვა. შეიძლება ითქვას, რომ აქტიური შინაარსის გამომხატველი საშუალი ფორმებისათვის ეს ძირითადი ტენდენციაა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქტიური ფორმები ჩაენაცვლება ისეთ მედიოაქტივებსაც, რომელთა აქტიური შინაარსი არც ისე თვალსაჩინოა, შდრ.: **ნეტარებს** — (ინეტარა, უნეტარია). ნეტარებაშია, ნეტარებას გრძნობს..., **ფლიდობს** — (იფლიდა, უფლიდია). ფლიდია..., **შიმშილობს** — (იშიმშილა, უშიმშილნია). უსაჭმელოდ, უჭმელად არის, — მშიერია... (ქეგლ).

ბ) მედიოაქტივთა პარადიგმის შევსება მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმების გარდა, პარალელურად დონიანი ვნებითის ფორმებითაც ხდება: ნებივრობს (ინებივრა, უნებივრია II განებივრდა, განებივრებულა). ბუნტობს (იბუნტა, უბუნტია II აბუნტდა, აბუნტებულა). წუხს (იწუხა, უწუხია II შეწუხდა, შეწუხებულა) და სხვ.

გ) აქტიური შინაარსის მედიალურ ზმნათა ერთი ნაწილი მხოლოდ I სერიის უსრული ასპექტის ფორმებით დასტურდება: უზნეობს, უგუნებობს, პრანჭიაობს... მხოლოდ ამ ფორმებით დასტურდება რთული ზმნების დიდი ნაწილიც: გულუხვობს, ენამახვილობს, ცრუპენტელაობს, პირმოთნეობს, ძილფხიზლობს და ა.შ.

აქტიურობის თვალსაზრისით, უზმნისწინო და ზმნისწინიანი მედიოაქტივები არ განირჩევიან, მაგრამ უზმნისწინო ფორმებს უღლების სრული პარადიგმა აქვთ, ზმისწინიანებს — ნაკლული: ბოგინობს — იბოგინა, უბოგინია, თარეშობს — ითარეშა, უთარეშია, მაჭანკლობს — იმაჭანკლა, უმაჭანკლია... მაგრამ დაბოგინობს, დათარეშობს, დამაჭანკლობს ფორმები მხოლოდ აწმყოს ჯგუფის დროებში გვხვდება.

აქ მხოლოდ ის მედიოაქტივები დავასახელეთ, რომელთაც განუსაზღვრელობის **და**- ზმნისწინი ახლავს. სხვა ზმნისწინის დართვის შემთხვევაში, მედიოაქტივებს ნაკლულ მწკრივებში შეიძლება **დონ**იანი პასივის სათანადო ფორმები ჩაენაცვლოს: ჯირითობს — იჯირითებს, იჯირითა, უჯირითნია, შდრ.: მოჯირითობს, მოჯირითდება, მოჯირითდა, მოჯირითებულა..., მაგრამ შდრ., ჭიკჭიკებს — იჭიკჭიკა მან, შესჭიკჭიკებს — შესჭიკჭიკა მან მას...

მედიოაქტიურ ფორმათაგან II სერიის მწკრივები მხოლოდ ქცევის მიხედვით ნეიტრალურ ფორმებს აქვთ: წუხს — იწუხა მან... ამავე ფუძის საობიექტო ქცევის ფორმები კი მხოლოდ აწმყოს ჯგუფში გვხდები-

ან: უ-წუხს, უ-დუღს და მისთ. ცალკეულ შემთხვევებში ჩამნაცვლებლად აქ შეიძლება **დონ**იანი ვნებითის სათანადო ქცევის ფორმები ვივარაუდოთ: უწუხს — შეუწუხდება, შეუწუხდა, შესწუხებია (გული)...

ასე რომ, ტერმინები „მედიოპასივი“, „მედიოაქტივი“ ზედმიწევნით ვერ აღწერს საშუალი გვარის ფორმებს. მედიალური ფორმების აქტიური სემანტიკა აუცილებლად არ გულისხმობს სათანადო ზმნების უღლების სრულ პარადიგმას და, შესაბამისად, II სერიის მწკრივებში სუბიექტის ერგატიულ ბრუნვაში, ხოლო III სერიაში — მიცემით ბრუნვაში დასმას, თუმცა ეს ტენდენცია აშკარაა.

მედიოაქტივების სისტემა ერთიანი, მთლიანი პარადიგმის სახით ქართულში ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ის ძველი ქართულის გვიანდელ პერიოდში ისახება და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება.

შენიშვნა: ქართული ზმნის აქტიურობის ჰიპოთეზა (გ. კლიმოვი, გ. ჰოპი, ლ. ნოზაძე, ა. ჰარისი...) სწორედ მედიოაქტიური ზმნების სემანტიკურ-სინტაქსური მახასიათებლების ურთიერთგაპირობებულობის მტკიცებას ემყარება.

აქტიურობის თეორიის მომხრეთა აზრით, მედიალურ ზმნათა ფუძის აქტიური სემანტიკა რეალიზებულია სინტაქსურ დონეზე: II სერიის მწკრივებში ამ ზმნათა სუბიექტი ერგატიულ (resp. აქტიურ) ბრუნვაში დგას, III სერიის მწკრივები ინვერსიულია: წუხს ის, იწუხა მან, უწუხია მას; მეფობს იგი, იმეფა მან, უმეფია მას...

ქართული (resp. ქართველური) ზმნის აქტიურობის ჰიპოთეზა ქართული ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად არა გარდამავლობა-გარდაუვალობას, არამედ აქტიურობა-ინაქტიურობას მიიჩნევს.

IV 4.1.6. გვარის საოპოზიციო ფორმათა სემანტიკური მახასიათებლები (გარდამავლობა — გარდაუვალობა, დინამიკურობა — სტატიკურობა, ზღვრულობა — არაზღვრულობა)

გვარის საოპოზიციო ფორმები (მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი) ქართულში ერთმანეთს უპირისპირდებიან **გარდამავლობა — გარდაუვალობის, დინამიკურობა — სტატიკურობისა** და მოქმედების სახის ანუ **ზღვრადობა-არაზღვრადობის** სემანტიკური მახასიათებლებით (ამასთან, გარდამავლობა ქართულიზმნის სინტაქსური მახასიათებელიცაა).

გვარის ფორმათა დაპირისპირება წარმოდგენილი მახასიათებლების გათვალისწინებით ასე აისახება:

გარდამავლობის მიხედვით: მოქმედებითი გვარის ზმნები გარდამავლები არიან, შესიტყვებებში პირდაპირ დამატებას შეიწყობენ: **აკეთებს, წერს, ხატავს** (ის მას), **აშენებინებს** (ის მას მას).

ვნებითი (იხატება, წუხდება, ქრება) და საშუალი (წუხს, ჩანს) გვარის ზმნები გარდაუვალი ზმნებია, გარდაუვალი ზმნები პირდაპირ დამატებას ვერ იგუებენ.

სტატიკურობა — დინამიკურობის მიხედვით: მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები დინამიკური ზმნებია, ისინი პროცესს გამოხატავენ:

მოქმ.: აკეთებს, იკეთებს, უკეთებს; აწუხებს, იწუხებს (თავს), უწუხებს; არჩევს, ირჩევს, ურჩევს და ა.შ.

ვნებ.: ქრება, უქრება; ჩნდება, აჩნდება, უჩნდება; ცივდება, უცივდება; იმალება, ემალება და ა.შ.

საშუალი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი — მედიოპასივები — სტატიკური, მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნებია: დგას, ადგას, უდგას; ზის, აზის, უზის; წევს, აწევს, უწევს; ჩანს, უჩანს; უყვარს; სძულს; უმძიმს; შვენის და ა.შ.

საშუალი გვარის უფრო დიდი ნაწილი — მედიოაქტივები, თავისთავში ჩაკეტილ „მოქმედებას“ აფიქსირებენ: წუხს — უწუხს, გორავს — უგორავს, ტრიალებს, გრიალებს, შრიალებს, ცხოვრობს, სახიობს და ა.შ. ამ ზმნათა ერთი ნაწილის აქტიური სემანტიკა, ქეგლის განმარტების მიხედვით, ბევრ შემთხვევაში არც ისე თვალსაჩინოა: გოდებს „ტირილით გლოვობს, მოთქვამს“, ელვარებს „ელვარებას გამოსცემს“; ასევე: არსებობს, ცხოვრობს, მდებარეობს, სულდგმულობს... პირიქით, ბევრი მათგანი მდგომარეობის მნიშვნელობას გამოხატავს: წუხს „წუხილით არის შეპყრობილი“, ნანობს „სანანებლად აქვს“, ნეტარებს „ნეტარებას გრძნობს“, მოუსვენრობს „მოუსვენრად არის“, ნაღვლობს „ნაღველი აქვს, დარდობს“, შიმშილობს „უსაჭმელოდ, უჭმელად არის, — მშიერია“, ნებივრობს „ნებივრად არის, განებივრებულია, განცხრომაშია“ და ა.შ.

მედიოაქტიური ფორმების ერთი ნაწილი დინამიკურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით სემანტიკური ლაბილურობით ხასიათდება:

ბრუნავს... 1. მოძრაობს რისამე ირგვლივ; მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო, ტრიალებს; 2. გადატ. მუდმივ მოძრაობაშია, იცვლება (ქეგლ). შდრ., [წისქვილი] თუ ძველს რუვს ზევიდან ბრუნავს

[=რუს ზევიდან არის, დგას მ.ს.) ჩემიაო და თუ ქვემოთ ბრუნავს (თუ ქვემოთ არის, დგას) შენი იქნებაო (ქ. ს. ძეგ.).

ბღავის — „ჩემს კარზე ერთი ოთხფეხი პირუტყვი არა ბღავის“ (ქ. ს. ძეგ.) = არ არის;

ტრიალებს — „ერთი წელიწადი შენთან ერთად ქართველ საზოგადოებაში ვტრიალებ“ (შ. არაგვ.);

გორავს... ბრუნვით, ტრიალით ადგილს ⌜გადა⌝ინაცვლებს — „ნაცარქექია უსაქმურად გორავდა, სვამდა, ჭამდა, ეძინა!“ (აკაკი) (ქეგლ), შდრ. „სიცივეს კაცი მოუკლავს საწყალი აგერ გორავსა“.

სტატიკური შინაარსისაა მედიოაქტიურ ზმნათა სასხვისო ქცევის დიდი ნაწილი: გული უწუხს „გული აქვს შეწუხებული“, სახე უბრწყინავს „სახე აქვს გაბრწყინებული“, ტანი უთრთის, ჩაი უდუღს, ხელები უცახცახებს, თავში უქრის და სხვ.

გრამატიკული მდგომარეობის ცნება ერთგვაროვანი არ არის. ბ. ჯორბენაძე აბსოლუტური მდგომარეობის გამომხატველ (დგას, წევს, ზის) სტატიკურ ზმნებთან ერთად, სტატიკურებად მიიჩნევს მედიოაქტიურ ზმნებსაც, რომელთა კონსტრუქციაში არ გვაქვს რეალური (პირდაპირი) ობიექტი და მათი სტატიკურობის განსხვავებული ხარისხის დასახასიათებლად შემოაქვს შეფარდებითი მდგომარეობის ცნება; ყვავილობს, ნაღვლობს, ნანობს და ა. შ. მედიოაქტიურ ფორმათა სტატიკურობაზე მსჯელობს აგრეთვე დ. ჰოლისკი.

ზღვრადობა — არაზღვრადობის მიხედვით

ზღვრადი სემანტიკის ზმნებია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები: აცხელებს — ცხელდება, ხატავს — იხატება... ფორმები ზღვრადია, ამ ზმნების მიერ გამოხატული პროცესი უნდა დასრულდეს: გააცხელებს — გაცხელდება, გააცხელა — გაცხელდა; დახატავს — დაიხატება, დახატა — დაიხატა და ა.შ. (ზ. ჭუმბურიძე, დ. ჰოლისკი, ი. მელიქიშვილი)

არაზღვრადია საშუალი გვარის სემანტიკა, პროცესის დასრულება ამ ზმნების მიერ გამოხატული ქმედებით არ იგულისხმება: წუხს „წუხილის მდგომარეობას“, წუხილის პროცესს გამოხატავს. შდრ.: წუხს... „წუხილით არის შეპყრობილი“ (ქეგლ), გორაობს „მწოლარე ერთ ადგილზე ბრუნავს, ტრიალებს, გადაბრუნდ-გადმობრუნდება“ (ქეგლ).

გარდამავლობა — გარდაუვალობის სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით მოქმედებითი გვარის ზმნები უპირისპირდებიან საშუალი და ვნებითი გვარის ზმნებს: მოქმედებითი გვარის ზმნები — გარდამავლები, ვნებითი და საშუალი გვარის ზმნები — გარდაუვალები.

დინამიკურობა — სტატიკურობის სემანტიკური მახასიათებლებით მოქმედებითი და ვნებითი უპირისპირდება საშუალ ზმნებს: მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები დინამიკურები არიან, საშუალი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი (მედიოპასივები, მიცემითსუბიექტიანი და -ია დაბოლოებიანი ზმნები) სტატიკური ზმნებია, მეორე ნაწილი (მედიოაქტივები) — დინამიკური ზმნები; დინამიკურ ზმნათა ერთ წყებას სტატიკურობა-დინამიკურობის თვალსაზრისით ლაბილურობა ახასიათებს.

ზღვრადობა — არაზღვრადობის მიხედვით მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები ზღვრადი ზმნებია, საშუალი გვარის ზმნები — არაზღვრადი.

ამგვარად: მოქმედებითი გვარის ზმნები სემანტიკურად დახასიათდება როგორც გარდამავალი, დინამიკური და ზღვრადი ზმნები.

ვნებითები — გარდაუვალი, დინამიკური და ზღვრადი.

საშუალი გვარის ზმნები არიან გარდაუვალები, როგორც სტატიკურები ასევე დინამიკურები და არაზღვრადები.

საზღვარი ამ სემანტიკური კლასების გვარის ფორმებს შორის ირღვევა ხოლმე, მაგ. ვნებითი გვარის სემანტიკური სახეობები („მიჩნევის“, „გუნების“, „შესაძლებლობის“) არაზღვრადი ზმნებია. სემანტიკურ მახასიათებლებსა და გვარის ფორმების მიმართებას შორის სხვა დარღვევებიც გვაქვს.

IV. 4.2. გვარი და გარდამავლობა

უკვე აღვნიშნეთ, რომ გვარის ერთ-ერთი ძირითადი სემანტიკური და სინტაქსური მახასიათებელი გარდამავლობაც არის. გვარისა და გარდამავლობის ცნებათა გადაკვეთა გვარის კატეგორიის განმარტებაშივეა ხელშესახები: გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: მოქმედება მომდინარეობს სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა დამართებული, სუბიექტი განიცდის ამ მოქმედებას, თუ მომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა დამართებული და არც განცდილია სხვისი მოქმედებით (ა. შანიძე).

გვარის ეს დეფინიცია არ გულისხმობს მხოლოდ „გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის“ მიმართების გამოვლენას. „სხვა პირზე დამართების“ ცნების შემოტანამ ამ კატეგო-

რიის შინაარსში სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირთა მიმართების (ე.ი. გარდამავლობის) საკითხიც წამოსწია.

მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის ფორმების განმარტებებში (ისევ ა. შანიძის მიხედვით) კი უკვე ერთმნიშვნელოვნად ფიქსირდება პირდაპირი ობიექტის (პირდაპირი დამატების) განმსაზღვრელი როლი გვარის საოპოზიციო ფორმების დაპირისპირებაში და, ზოგადად, გვარის კატეგორიის ფუნქციონირებაში.

ეს განმარტებები ასეთია:

„მოქმედებითია (აქტიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გრამატიკულად მოქმედი პირი, რომელსაც სუბიექტურის სახელით ვიცნობთ, იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი, და მას მოეპოვება სამოქმედო პირი, პირდაპირ-ობიექტურის (ხაზი ჩვენია, მ.ს.) სახელით ცნობილი;

მაგალითი: „ვაგორებ“ (მე, მას).

ვნებითია (პასიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირ-ობიექტური სათანადო მოქმედებითში, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან;

მაგალითი: „გორდება“.

საშუალია (მედიალურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ „განიცდის“, როგორც ამას ადგილი აქვს ვნებითში;

მაგალითი: „გორავს“ (ა. შანიძე).

წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა მარტო სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის, არამედ სამოქმედო ობიექტის ანუ პირდაპირი ობიექტის (resp. პირდაპირი დამატების) ქონა-უქონლობითაც, კერძოდ:

მოქმედებითი გვარის ზმნათა გრამატიკული სუბიექტი აქტიური (რეალური) სუბიექტია:

მხატვარი ხატავს სურათს.
ბიჭი აგორებს ურიკას
მზე ამწიფებს ხილს...

მხატვარი, ბიჭი, მზე აქტიური სუბიექტებია სათანადო ფორმის ზმნებთან შეწყობილი.

ვნებითი გვარის ზმნათა გრამატიკული სუბიექტი პასიური, განმცდელი სუბიექტია (რეალური პირდაპირი ობიექტი გარდამავალი ზმნისა):

სურათი იხატება. შდრ.: ბიჭი ხატავს სურათს
ურიკა გორდება. შდრ.: ბიჭი აგორებს ურიკას
ხილი მწიფდება. შდრ.: მზე ამწიფებს ხილს...

სურათი, ურიკა, ხილი — იხატება, გორდება, მწიფდება ვიღაცის (რაღაცის) მიერ, პასიური სუბიექტებია — ზმნის პასიურ ფორმებთან შეწყობილი.

საშუალი გვარის სუბიექტი შეიძლება აქტიურიც იყოს (თვითმოქმედი) და არააქტიურიც:

ურიკა **გორავს** შდრ.: ბიჭი აგორებს ურიკას;
ხილი **მწიფს** შდრ.: მზე ამწიფებს ხილს...

მოცემულ ზმნურ კონტექსტში ურიკა აქტიურია, თვითმოქმედი სუბიექტია, ხილი — არააქტიური.


მოქმედებითი გვარის ზმნებს პირდაპირი ობიექტი შეეწყობათ:
ხატავს სურათს, **აგორებს** ურიკას, **ამწიფებს** ხილს.

ვნებითი და საშუალი გვარის ზმნათა შესიტყვება პირდაპირ ობიექტს არ გულისხმობს, პირიქით, გამორიცხავს:

სურათი **იხატება**, ურიკა **გორდება/გორავს**, ხილი **მწიფდება/მწიფს**...

გვარის საოპოზიციო ფორმათა ურთიერთობა განიხილება კონვერსიის მექანიზმის საფუძველზე. ეს ურთიერთობა გულისხმობს ერთი და იმავე შინაარსის რეალიზაციას განსხვავებული გრამატიკული ფორმების (მოქმედებითის, ვნებითის ან საშუალის) საშუალებით:

მხატვარი ხატავს სურათს — სურათი იხატება [მხატვრის მიერ]



კონვერსიის გზით მოქმედებითი გვარის პირდაპირი დამატება გრამატიკულ ქვემდებარედ გარდაიქმნება ვნებითი და საშუალი გვარის კონსტრუქციებში. ლოგიკური ქვემდებარე ზმნასთან წყვეტს კავშირს და შეიძლება თანდებულიანი ან მოქმედებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატების (ან გარემოების) როლში მოგვევლინოს, ისიც, ძირითადად, ვნებითურ კონსტრუქციებში:

სურათი **იხატება** მხატვრის მიერ.

ურიკა **გორდება** ბიჭის მიერ და ა.შ. — ქართულისათვის არსებითად ხელოვნური კონსტრუქციებია. ასე რომ, კონვერსიული გარდაქმნების (პასივიზაციის, მედიალიზაციის) შედეგად შინაარსის პლანი ყოველთვის იგივე არ რჩება, რამდენადაც ამ გარდაქმნების შედეგად რეალური სუბიექტის სათანადო ტრანსფორმები კონსტრუქციაში სავალდებულო არ არის:

ბიჭი **აგორებს** ურიკას > ურიკა **გორდება** [ბიჭის მიერ]. მაგრამ კონსტრუქციისთვის სავალდებულოა პირდაპირი ობიექტის ტრანსფორმები: რეალური პირდაპირი ობიექტის ტრანსფორმი პასიურ კონსტრუქციაში პასიური გრამატიკული სუბიექტია:

ხატავს სურათს > სურათი **იხატება**;

მედიალურ კონსტრუქციაში მას შეეფარდება ან „თვითმოქმედი“ სუბიექტი:

აგორებს ურიკას > ურიკა **გორავს**

ან „მდგომარეობის“ სუბიექტი:

ამწიფებს ხილს > ხილი **მწიფს**...

ამდენად, გვარის ფორმათა ფუნქციონირებისათვის პირდაპირი ობიექტის (resp. პირდაპირი დამატების) მნიშვნელობა არსებითია; თუ მოქმედებითი გვარის ზმნებში მოქმედების პროცესი სუბიექტის თვალსაზრისით განიხილება, ან, უფრო ზუსტად, ისეთი სუბიექტის თვალსაზრისით, რომელსაც სამოქმედოდ პირდაპირი ობიექტი მოეპოვება: **წერს, ხატავს, აშენებს, ჭრის**... ის მას, ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებით გამოხატული პროცესი რეალური პირდაპირი ობიექტის თვალსაზრისს წარმოაჩენს:

ვნებითი: იწერება წერილი, იხატება სურათი, შენდება სახლი, იჭრება გზა... (შდრ.: წერენ წერილს, ხატავენ სურათს, აშენებენ სახლს, ჭრიან გზას...)

საშუალი: გორავს ურიკა, მწიფს ხილი, წუხს ბავშვი... (შდრ.: აგორებენ ურიკას, ამწიფებენ ხილს, აწუხებენ ბავშვს...);

ბუნებრივია, რომ გვარის განსაზღვრაში პირდაპირი დამატების ცნების შემოტანით გვარისა და გარდამავლობის მიმართების საკითხიც განიხილება:

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები პირდაპირი დამატების ქონა-არქონით უპირისპირდებიან ერთმანეთს:

გარდამავალ ზმნას პირდაპირი დამატება შეეწყობა: **წერს** წერილს, **აშენებს** სახლს, **აგორებს** ურიკას...

გარდაუვალ ზმნას არ შეეწყობა პირდაპირი დამატება: **იწერება** წერილი, **შენდება** სახლი, **გორდება / გორავს** ურიკა...

ეს ნიშნავს, რომ მოქმედებითი გვარის ზმნები გარდამავალი ზმნებია, ვნებითი და საშუალი გვარისა კი — გარდაუვალები: **წერს, ხატავს, აშენებს, აგორებს, ამწიფებს**... ის მას მოქმედებითი გვარის გარდამავალი ზმნებია, რადგანაც ამ ზმნებით გამოხატული მოქმედება ხასიათდება სუბიექტის გადასვლით პირდაპირ ობიექტზე, ეს პირდაპირი ობიექტი კი წყაროა პასიური (**იწერება, იხატება, შენდება, გორდება, მწიფდება**... ის) და მედიალური (**გორავს, მწიფს**... ის) გარდაქმნებისა.

გვარის კატეგორიისა და გარდამავლობის გადაკვეთა ზოგადად იმაში გამოვლინდება, რომ

ა) მოქმედებითი გვარის ფორმა გარდამავალია და

ბ) პირდაპირი დამატების რაობა განსაზღვრავს კონვერსიული პასივისა და მედიუმის სუბიექტების რაობასაც.

IV. 4.2.1. მოქმედებითი გვარი და გარდამავლობა. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებიდან“ ცნობილია დებულება: „ყოველი მოქმედებითი გარდამავალია, მაგრამ ყოველი გარდამავალი არ არის მოქმედებითი“ (ა. შანიძე).

ამ დებულების საილუსტრაციოდ განხილულია იცის ზმნა: „ვანომ გაკვეთილი იცის“; **იცის** მან იგი ორპირიანი გარდამავალი

ზმნაა: სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში უდგას, პირდაპირი ობიექტი — სახელობითში, მაგრამ იცის არ არის მოქმედებითი გვარის ფორმა, რადგან საობიექტო (ვნებითი და საშუალი) აკლია.

ასევე: გარდამავალია ქირაობს ზმნა: **ქირაობს** ოთახს, **იქირავა** ოთახი, მაგრამ გარდამავალი **ქირაობს** არ არის მოქმედებითი გვარის ფორმა, რადგანაც საპირისპირო ფორმები გვარისა არ უკეთდება.

ამ ტიპის ზმნათა ერთი რიგი პოლისემიურია: იხმარება აბსოლუტური და რელატიური მნიშვნელობითაც:

სწავლობს ის / **სწავლობს** ის მას
თამაშობს ის / **თამაშობს** ის მას;
ანგარიშობს ის / **ანგარიშობს** ის მას;
თაკილობს ის / **თაკილობს** ის მას და მისთ.

აბსოლუტურად ხმარების შემთხვევაში ასეთი ზმნები საშუალი გვარისანი არიან, მნიშვნელობა საშუალი გვარისა აქვთ: სუბიექტური პირი თვითმოქმედია და სამოქმედო ობიექტი არა აქვს, უღვლილების ნაკლული პარადიგმებიც საშუალი გვარის ფორმათა მსგავსად უკეთდება:

აწმყ. სწავლობს მყოფ. ისწავლის
წყვეტ. ისწავლა I თურმ. უსწავლია.

რელატიური წყობით ამ ზმნას პირდაპირი ობიექტი უჩნდება და გარდამავალი ხდება, შდრ.:

აბსოლუტ. „გიგლა **სწავლობს** ტიტინა“
რელატ. „გიგლა **სწავლობს** გაკვეთილს“,
მყოფ. **ისწავლის** გაკვეთილს,
წყვეტ. **ისწავლა** გაკვეთილი,
I თურმ. **უსწავლია** გაკვეთილი.

განხილულ (სწავლობს, ანგარიშობს, ქირაობს, თაკილობს...) ზმნათა გრამატიკული სტატუსის (გვარის, გარდამავლობის) საკითხი სადავოა.

„ვსწავლობ“ გარდამავალია — აღნიშნავს ა. შანიძე, რადგან მას პირდაპირი ობიექტი აქვს:

ვსწავლობ ფრანგულს, ვსწავლობ წერას...

„ვსწავლობ“ და „ვასწავლი“ ისეთს მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც ვთქვათ, „ვჭამ“ და „ვაჭმევ“, ან „ვიცვამ“ და „ვაცმევ“. შეიძლება „ვსწავლობ“ ზოგჯერ აბსოლუტურად იქნეს ნახმარი, მაგრამ ეს სხვა მოქმედებით ზმნებსაც ახასიათებს...“ (ხაზგასმა ჩვენია, მ.ს.).

ამ ბოლო ფრაზაში ა. შანიძე იმ მოქმედებითი გვარის ფორმებს გულისხმობს, რომლებიც ზმნის ფუძით გადმოცემული მოქმედების განზოგადების შედეგად აბსოლუტური მნიშვნელობითაც შეიძლება შეგვხვდეს, პირდაპირ ობიექტზე მითითების გარეშე. შდრ.:

ხატავ-ს ის სურათს, მაგრამ ხატავს, „საერთოდ ხატავს“, „მხატვარია“

[„არსაკიძე] უკეთ ხატავს, ვიდრე აშენებს“ (კ. გამს.) ქეგლ

კერავ-ს ის კაბას, მაგრამ კერავს „საერთოდ კერავს“, „მკერავია“

გიგას დედა კერავს („მკერავია“), „თვითონ ჭრის და თვითონ კერავს“ (ანდაზ.).

ოღონდ ესაა, რომ ხატავს, კერავს და მსგავს ფორმებს გვარის მიხედვით საოპოზიციო ფორმებიც აქვთ. სწავლობს და მისთანებს კი ასეთი ფორმები არ უდასტურდებათ. ამდენად ისინი გარდამავლები კი არიან, მაგრამ გვარის მნიშვნელობას არ გამოხატავენ.

რაკი ეს ზმნები, აბსოლუტურნიც და რელატიურებიც, უღვლილების პარადიგმას მედიოაქტიური ზმნების პარადიგმის მსგავსად აგებენ (განსხვავება მხოლოდ სინტაქსშია), ა. შანიძე ამ პარადიგმას ასეც ახასიათებს — „მედიოაქტივისებრი ფორმათა წარმოება გარდამავალ ზმნებში“.

შდრ.:

აწმყო	ცხოვრობ-ს ის	სწავლობ-ს ის / ის მას
მყოფ.	ი-ცხოვრებ-ს ის	ი-სწავლ-ის ის / ის მას
წყვეტ.	ი-ცხოვრ-ა მან	ი-სწავლ-ა მან / მან ის
I თურმ.	უ-ცხოვრ-ი-ა მას	უ-სწავლ-ი-ა მას / მას ის

ასე რომ, ა. შანიძის თვალსაზრისით, სწავლობს, ანგარიშობს, გალობს, გლოვობს, თამაშობს, ნანობს, ლაპარაკობს, ფიქრობს... ტიპის ზმნები, რომლებიც აბსოლუტური და

რელატიური (ანუ გარდაუვალი და გარდამავალი) მნიშვნელობებით იხმარება, გვარის კატეგორიის გარეთ მდგომი, უგვაროა, გარდამავალი ზმნებია: აბსოლუტური და რელატიური კონტექსტის მიხედვით განირჩევა:

გალობ-ს ის / ის მას:

აქ შაშვი **გალობს**, იქ წყაროა კლდეზე ჩამორბის ჩქრიალით (შ. მღვიმ.)

იგი დღეს სულ სხვა საგალობელსა **გალობს** (ილია)

ლაპარაკობ-ს ის / ის მას:

ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ გაცხარებით, ის — კი, ვისაც ველაპარაკები, ზის გაუნძრევლად (დ. კლდ.)

თინა... კარგად ვერ **ლაპარაკობდა** ქართულს (ეკ. გაბ.) ქეგლ.

ნანობ-ს ის / ის მას:

„ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა **ვნანობ**, არა...“ — კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილ სიტყვას (ილია)

ბაგრატა არა თუ **ნანობდა** თავის საქციელს, პირიქით, ემუქრებოდა კიდეც მეზობლებს (ე. ნინოშ.) ქეგლ.

ზმნათა ერთი ნაწილი მხოლოდ რელატიური მნიშვნელობით დასტურდება: **ჭირაობს, ხმარობს, ჩივის**... ის მას:

ქაჩალი სავარცხლის გაძვირებასა **ჩიოდაო** (ანდაზა) ქეგლ.

დასტურდება სამპირიანი ფორმაც:

ს-თავაზობ-ს, უთავაზებ-ს (ის მას მას),

უთავაზა (მან მას ის).

ა. შანიძე გარდამავალ სამპირიან ზმნებში განიხილავს „მედიოაქტივისებრ“ უჩივის (მყოფ. უჩივლებს) ფორმასაც, თუმცა ამ ზმნას ფაქტობრივად პირდაპირი ობიექტი არ შეეწყობა და, შესაბამისად, მისი გარდამავლად (და სამპირიანად) კვალიფიკაციაც სათუოა:

ერთი გლეხი სასამართლოში მისულიყო და უჩიოდა თავის მეზობელს (ი. გოგებ.)

„წავალ, ვუჩივლებ!“ — ფიქრობს გამწარებული (მიხ. მრევლ.) ქეგლ...

შენიშვნა: „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ზემოჩამოთვლილ „მედიოაქტივისებრი“ უღვლილების ზმნებს გარდაუვალი სტატიკური ზმნების კვალიფიკაცია ეძლევა.

წარმოვადგენთ ორიოდე ილუსტრაციას როგორც აბსოლუტურ-რელატიური, ასევე — რელატიური ზმნებისა:

აბსოლუტურ-რელატიური:

ფიქრობ-ს (იყენ. იფიქრა, უფიქრია) გრდუვ. სტატ. 1. თავისთვის გუნებაში მსჯელობს, აზრს იკრებს, — საზრობს, აზროვნებს... დათუა... იჯდა თავის ალაგზე და **ფიქრობდა** (ნ. ლომ.)... 4. „ქართველები შენი სარდლობით **ფიქრობენ** მტერზე გამარჯვებასა“ (აკაკი)... ქეგლ.

რელატიური:

თაობ-ს (იყენ. ითავა, უთავნია) გრდუვ. სტატ. მოთავე არის, სათავეში უდგას რასმე, — იწყებს; ინიციატივას იჩენს (რამეში). ვინ **თაობს** ამ საქმეს? — ქართლი თაობს და ჩვენ — კი საქართველოს ნაწილი ვართ, უკან ვერ დავდგებით (ა. ყაზბ.).

თაკილობ-ს (იყენ. ითაკილა, უთაკილნია) გრდუვ. სტატ. სათაკილოდ მიაჩნია, — არ კადრულობს. უწურთვნელს, უზრდელს... ჩვენ შინაურობაშიაც ... **ვთაკილობთ** (ილია)... ქეგლ.

გვარისა და გარდამავლობის მიმართების ტრადიციული ა. შანიძისეული ფორმულა, რომ: მოქმედებითი გვარის ფორმა გარდამავალია, ვნებითისა და საშუალისა კი — გარდაუვალი; ყოველი მოქმედებითი გარდამავალია, მაგრამ ყოველი გარდამავალი არ არის მოქმედებითი, ალბათ დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს.

ა. შანიძის დებულება, რომ რელატიური მნიშვნელობით ხმარებული: **ანგარიშობს** მოგებას, **თამაშობს** ბურთს, **სწავლობს** გაკვეთილს — გარდამავალი ზმნებია, მისაღებია, მაგრამ აბსოლუტური მნიშვნელობით ეს ზმნები გარდამავლები ვერ იქნებიან. მათ ლაბილური კონსტრუქციები აქვთ: პირდაპირი დამატების დართვა-დაურთველობით განასხვავებენ გარდამავლობასა და გარდაუვალობას.

რაც შეეხება აღნიშნული ტიპის ზმნებში გვარის კატეგორიის გამოხატვის საკითხს: მართალია, მათ უღვლილების პარადიგმა მედიო-აქტიური ზმნებისა აქვთ, მაგრამ ა. შანიძის მიერ საშუალი გვარის ზმნებში არ განიხილებიან, რადგან:


1. გვარის საპირისპირო გრამატიკული მნიშვნელობის ფორმები არა აქვთ,
2. შეეწყობათ პირდაპირი დამატება (საშუალი გვარის ზმნებად მათი მოაზრება კი გარდამავალი საშუალი გვარის ცნების შემოტანას ნიშნავს).

განსახილველ ზმნათა გვარის ამა თუ იმ ფორმისადმი მიკუთვნების საკითხი შეიძლება გადაწყდეს გვარის მორფოლოგიური ოპოზიციის ცნების არა აბსოლუტური რეალიზაციის — არამედ შეფარდებითი რეალიზაციის მოთხოვნით (გ. ნებიერიძე): აუცილებელი არ არის საოპოზიციო ერთეულები ყველა შესაძლო პოზიციაში დადასტურდეს (მორფოლოგიური ოპოზიციის დიზუნქციური რეალიზაცია).

გვარის სამწევროვანი სისტემა (მოქმედებითი : ვნებითი : საშუალი), როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ენაში ყოველთვის არ არის რეალიზებული: აწუხებს : წუხდება : წუხს, აგორებს : გორდება : გორავს... გვაქვს ორწევრიანი (მოქმედებითი : ვნებითი და მოქმედებითი : საშუალი) : ანგრევს : ინგრევა... და აცხოვრებს : ცხოვრობს... და ერთწევრიანი რეალიზაციებიც : მხოლოდ მოქმედებითი : ჰპარავს..., მხოლოდ ვნებითი : ილეშება, მხოლოდ საშუალი : ცუცუნებს... (იხ. ა. შანიძის „უცალო მოქმედებითი“, „უცალო ვნებითი“, „უცალო საშუალი“).

სწავლობს ტიპის ზმნები ფორმის თვალსაზრისით საშუალი გვარის მედიოაქტიური ზმნებია, გრამატიკული ფუნქციის თვალსაზრისით — პოლისემიურები: აბსოლუტური კონსტრუქციით საშუალი გვარისანი არიან და გარდაუვალები („გიგლა სწავლობს ტიტინა“), რელატიური კონსტრუქციით („გიგლა სწავლობს გაკვეთილს“) კი მოქმედებითი გვარის ფუნქციით გვევლინებიან, აქვთ პირდაპირი დამატება (სუბიექტის მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე).

სქემატურად გვარის კატეგორიის სისტემა (შესაძლო ვარიანტი) ასე გვესახება:



სქემაზე გამოსახული საშუალი გვარის აბსოლუტურ და რელატიურ ფორმათა მიმართება — აბსოლუტურ-გარდაუვალი (საშუალი გვარი) > რელატიურ-გარდამავალი > მოქმედებით გარდამავალი (სწავლობს ის > სწავლობს ის მას) გაპირობებული ჩანს ზმნის ფუძის სემანტიკის ცვლილებით.

ა. შანიძის მიერ გაანალიზებული და სახელდებული „მედიოაქტივისებრი გარდამავალი“ ზმნების ჯგუფი (ანგარიშობს, გალობს, გლოვობს, თაობს, თაკილობს, თამაშობს, ლაპარაკობს, ნანობს, ოცნებობს, ფიქრობს, ჩივის, ქირაობს, ხმარობს...) არსებითად ცნობიერების (ძირითადად, მეტყველების) წრის ზმნებია, რომლებიც ადამიანის ფსიქიკურ აქტივობასა და მისი შესაბამისი შინაარსების ერთობლიობას გამოხატავენ. ეს ფსიქიკური აქტივობა არსებობს რეალური განცდების, რეალური შინაარსების სახით სიღრმულ სტრუქტურაში, რომელიც შეიძლება ზედაპირულ სტრუქტურაშიც ამოტივტივდეს; ამ სახის გარდაქმნებს მეტ-ნაკლებად ზმნათა ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობების შეჯერებაც წარმოაჩენს:

ლაპარაკობ-ს... 1. ლაპარაკში არის გართული, — საუბრობს, ბაასობს. „სხვებთან რომ ლაპარაკობდი, გული მწყდებოდა“ (აკაკი)... 2. ლაპარაკი იცის, — მეტყველებს რაიმე ენაზე... [ქალმა] სიხარულით წამოიძახა: „მაშ აქაც ლაპარაკობენ ჩერქეზულად?“ (ა. ყაზბ.). თინა კარგად ლაპარაკობდა ქართულს (ეკ. გაბ.) ქეგლ.

ლაპარაკობს ის (საერთოდ) > **ლაპარაკობს** ის (ჩერქეზულად). **ლაპარაკობს** ის მას (ქართულს).

ნანობ-ს... სანანებლად აქვს; თავისი ნამოქმედარით უკმაყოფილოა, ნაწყენია. „ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა! — კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილ სიტყვას (ილია)... ბაგრატა არა თუ ნანობდა თავის საქციელს, პირიქით, ემუქრებოდა კიდეც მეზობლებს (ე. ნინოშ.) ქეგლ.

ნანობს ის > **ნანობს** ის მას (საქციელს)

ფიქრობ-ს... 1. თავისთვის გუნებაში მსჯელობს, აზრს იკრებს, — საზრობს, აზროვნობს. გლეხი მიდის და ფიქრობს, რა მიყო იმ ბებერმა, რაზე დამღუპაო (ზღაპ.)... 2. ვისიმე (ან რისამე) ფიქრი აქვს, ფიქრში არის (ვისიმე ან რისამე) ფიქრი აწუხებს, არ ასვენებს, —

ზრუნავს, ცდილობს (ვინმეზე ან რამეზე)... ბარტყების სიყვარული [ტოროლას]... სულ უფრო უძლიერდებოდა და უძლიერდებოდა. მხოლოდ მათზე ფიქრობდა, მათზე ზრუნავდა (ი. გოგებ.)... 6. ფიქრად, აზრად აქვს, გუნებაში აქვს, განზრახვა აქვს, — აპირებს. მხოლოდ არწივი არა ფიქრობდა არსად წასვლას (ვაჟა)... ქეგლ.

ფიქრობს ის > **ფიქრობს** ის მათზე > **ფიქრობს** ის მას (წასვლას).

„მედიოაქტივისებრი გარდამავლების“ მოქმედებითი გვარის ზმნებად გააზრიანებისას ჩნდება სირთულეები, რომლებიც ახსნას მოითხოვს, ეს სირთულეებია:

1. გვარის საოპოზიციო ფორმების არქონა
2. უღვლილების მედიოაქტივისებრი (ნარევი) პარადიგმა
3. სხვა კატეგორიებისადმი განსხვავებული მიმართება
4. განსხვავებული სემანტიკა

პასუხებიც ამავე მიმდევრობით დალაგდება:

1. გვარის საოპოზიციო ფორმების არქონა ხელს არ უშლის უცალო მოქმედებითის, უცალო ვნებითისა და უცალო საშუალის გამოყოფას; ამასთან, თუ ჩვენ გრამატიკული კატეგორიების დახასიათებისას (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა) მორფოლოგიური ოპოზიციების დიზუნქციური რეალიზაციის თვალსაზრისს ავირჩევთ, ეს წინააღმდეგობა მოიხსნება და აღარ ვიმსჯელებთ უგვარო, უქცეო, უდროო, უპირო და ა.შ. ფორმების შესახებ.

2. ნარევი პარადიგმა მიაქვს—წაიღო, მიჰყავს—წაიყვანა ხელს არ უშლის მიაქვს, მიჰყავს მიცემითსუბიექტიან გარდაუვალ ზმნათა გარდამავლებად გააზრების შესაძლებლობას (ა. შანიძე); ასევე, თუ პირდაპირი დამატების გამორიცხვით მოქმედებითი გვარის ზმნა გარდაუვალი ხდება და საშუალი გვარის პარადიგმის ნაკლულ მწკრივებს ავსებს, მაშინ ლოგიკური ჩანს, რომ გარდაუვალი საშუალი გვარის ფორმათა შესიტყვებაში პირდაპირი დამატების ჩართვით ეს ფორმები გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნებში გადანაწილდეს.

3. მოქმედებითი გვარის ფორმებად მედიოაქტივისებრი გარდამავლების განხილვის შემთხვევაში, ბუნებრივად დადგება საკითხი ზმნის მოქმედ გრამატიკულ კატეგორიებთან მათი ორდინარული, მოქმედებითებისაგან განსხვავებული, დამოკიდებულების შესახებ; ასეთ ზმნებს არ

გაუკეთდებათ საპირისპირო სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები და ქცევის სისტემაში დაიკავებენ საარვისო (ნეიტრალური) ნულპრეფიქსიანი ფორმის ადგილს:

საარვისო	**სათავისო**	**სასხვისო**
წერ-ს	ი-წერ-ს	უ-წერ-ს
—	ი-ნახავ-ს	უ-ნახავ-ს
ს-წავლობ-ს	—	—

ასევე: სწავლობს ტიპის ფორმები ვერ აწარმოებენ შუალობითი კონტაქტის სუფიქსიან ფორმებს, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ კატეგორიით გამოხატული შინაარსის სხვაგვარად გადმოცემა შეუძლიათ:

სწავლობ-ს ის გაკვეთილს (უშუალ. კონტაქტი) — **ა-სწავლ-ი-ს** ის მას გაკვეთილს (შუალ. კონტაქტი).

„ვსწავლობ“ და „ვასწავლი“ ისეთს მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც, ვთქვათ, „ვჭამ“ და „ვაჭმევ“, ან „ვიცვამ“ და „ვაცმევ“ (შანიძე).

ა-ჭმ-ევ-ს, ა-ცმ-ევ-ს და მისთ. ის ერთეული შემთხვევებია, რომლებშიც შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლად არქაული **-ევ** სუფიქსი დაჩნდება.

არის სხვა საკითხებიც.

4. მოქმედებითი გვარის ფორმის სემანტიკა გულისხმობს, რომ გრამატიკულად მოქმედი პირი, სუბიექტი, იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი და მას მოეპოვება სამოქმედო, პირდაპირობიექტური პირი.

სწავლობს ტიპის გარდამავალ ზმნებს ასეთი აქტიური გარდამავალი სემანტიკა არ უჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ეს პირდაპირი ობიექტი არ არის ისეთი ძალისა და მნიშვნელობისა, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნების პირდაპირი ობიექტია და, ამასთან, მერყევი ბუნებისაა: ხან იხმარება ასეთი ტიპის ზმნებთან და ხან არა“ (ე. ბაბუნაშვილი). მართლაც წინადადებაში გიგლა სწავლობს გაკვეთილს გამოკვეთილად არ ჩანს, რომ რეალური სუბიექტის მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე, **სწავლობს** ზმნას ერთგვარი რეფლექსური, უკუქცევითი შინაარსი აქვს, მოქმედების შედეგი სუბიექტს უბრუნდება: შდრ.:

სწავლობ-ს ... ცოდნას იძენს, განათლებას იღებს (ქეგლ). პირდაპირ ობიექტზე გადასული მოქმედების უკუქცევითობა კარგად ჩანს ამ ტიპის სხვა ზმნათა განმარტებებითაც:

ნანობ-ს ... სანანებლად აქვს; თავისი ნამოქმედარით უკმაყოფილოა

გლოვობ-ს ... ვისამე გარდაცვალების გამო მწუხარებაშია

თაკილობ-ს ... სათაკილოდ მიაჩნია

ფიქრობ-ს ... თავისთვის გუნებაში მსჯელობს...

ხმარობ-ს ... იყენებს, სარგებლობს რამეთი... (ქეგლ).

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველთვის არც მოქმედებითი გვარის ფორმებთან იკვეთება მკაფიოდ პირდაპირ ობიექტზე გადასვლის მნიშვნელობა (ა. შანიძის მიხედვით, პირდაპირ ობიექტზე დამართება), მაგ.:

აპირებ-ს ... ფიქრობს გააკეთოს; განზრახული აქვს; სამოქმედოდ ემზადება

ამჩნევ-ს ... ხედავს, [მი]ხვდება, გრძნობს, შენიშნავს

აოცებ-ს ... აკვირვებს, აცვიფრებს...

ზოგავ-ს ... აარიდებს, არ შეამთხვევს ვისმე (ან რასმე) რაიმე ცუდს, უსიამოვნოს..., — არ იმეტებს, უფრთხილდება, ინდობს... 2. მოიხმარს, ხარჯავს... რასმე თადარიგიანად, რომ მოსახმარი მეტხანს ეყოს, — მომჭირნეობს... (ქეგლ) და სხვ.

ვფიქრობთ, რომ მედიოაქტივისებრი რელატიური გარდამავალი ფორმების მოქმედებითებში, ხოლო აბსოლუტური წყობის ფორმების საშუალ გვარში განხილვა გარკვეულ საბუთიანობას ემყარება.

განსახილველ ზმნათა გრამატიკული სტატუსის შესახებ არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომელსაც ასევე თავისი ლოგიკა აქვს: პირდაპირი ობიექტის გარეშე ისინი საშუალი გვარის გარდაუვალი ზმნებია, პირდაპირი ობიექტის დართვით კი — საშუალი გვარის გარდამავალი ზმნები (ე. ბაბუნაშვილი).

სწავლობს გიგლა ტიტინა — **სწავლობს** საშუალი გვარის გარდაუვალი ზმნაა.

გიგლა სწავლობს გაკვეთილს — **სწავლობს** აქ საშუალი გვარის გარდამავალი ზმნაა.

ზემოთ წარმოდგენილი სქემა, როგორც ერთ-ერთი ვარიანტი გვარის სისტემისა, საშუალი გვარის ზმნათა გარდამავლობის გათვალისწინებით ასეთ სახეს მიიღებდა:

გარდამავალი მოქმედებითი გვარი	გარდაუვალი ვნებითი გვარი	გარდაუვალი გარდამავალი საშუალი გვარი
ა-წუხებ-ს	წუხ-დ-ებ-ა	წუხ-ს ის
ა-ნგრევ-ს	ი-ნგრევ-ა	—
ა-პატიმრებ-ს	—	—
—	ი-ლეშებ-ა	—
—	—	სწავლობ-ს ის, სწავლობ-ს ის მას
—	—	თაკილობ-ს ის მას
—	—	

ე. ბაბუნაშვილი ა. შანიძის მიერ „თამაშობს“, „სწავლობს“ ტიპის ზმნების საშუალი გვარის ზმნებიდან ამორიცხვას ნაძალადევად და არათანმიმდევრულად მიიჩნევს: „ამას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ „სწავლობს“ ზმნა, რომელიც ა. შანიძის გრამატიკაში ერთ შემთხვევაში დახასიათებულია როგორც მხოლოდ გარდამავალი, როგორც ჩანს, უგვარო ზმნა, სხვა შემთხვევაში, იქვე, იმავე ნაშრომში, საშუალი, სახელდობრ, მედიოაქტივი ზმნის მაგალითად არის დასახელებული (ე. ბაბუნაშვილი).

შეუსაბამობანი და წინააღმდეგობები, რაც ე.წ. მედიოაქტივისებრი გარდამავლებისა და ოდენ ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი, მაგრამ პირდაპირი დამატების არმქონე ზმნური ფორმების გრამატიკული კვალიფიკაციის დროს ჩნდება, ობიექტური სირთულეებია.

ა. შანიძის ხედვას არათანმიმდევრულობას ვერ დავწამებთ: მას რომ სწავლობს ტიპის, გვარის საპირისპირო ფორმათა უქონელი, ზმნები საშუალი გვარის ფორმებად ეცნო, მაშინ დაირღვეოდა მისივე დებულება: გვარის კატეგორია ყალიბდება საპირისპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე.

ასევე თანმიმდევრული იყო ა. შანიძე, როდესაც ოდენ ერგატივსუბიექტიანი, შესიტყვებაში პირდაპირი დამატების არმქონე ზმნები (**ივნო** მან, **იხარა** მან, **შეხედა** მან მას და მისთ.) გარდაუვალ ზმნებად განიხილა, რადგან, მისი თვალსაზრისით, პირდაპირი დამატებაა გარდამავლობის ძირითადი მახასიათებელი; მაგრამ, ასევე თანმიმდევრულად, ფაქტების ლოგიკის ძალით, ა. შანიძემ გარკვეული კორექტივი შეიტანა გარდამავლობის მისეულ განსაზღვრაში, როცა ზემოჩა-

მოთვლილი ტიპის ზმნები „ნახევრად გარდამავალ“ ზმნებად დაასახელა: ერგატივსუბიექტიანი (**იხარა** მან...) და სახელობითსუბიექტიანი (**დაიხატა** ის) ზმნები ერთ, გარდაუვალ ზმნათა კლასში ვერ გაერთიანდებოდა. ამ ტერმინის („ნახევრად გარდამავალი“ ზმნები) კვლავ შემოტანა საენათმეცნიერო მიმოქცევაში გარდამავლობის განსაზღვრაში ბრუნვაცვალებადი სუბიექტის როლის დაფასებაა.

როგორც „მედიოაქტივისებრი გარდამავლები“ — სწავლობს, ანგარიშობს, თაკილობს — ასევე ოდენ ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი **იხარა** მან, **შეხედა** მან მას და მისთ.; პირდაპირი დამატების შეწყობითაც და მის გარეშეც, გარდამავალი, უფრო ზუსტად, ფსევდოგარდამავალი ზმნებია; შესიტყვებაში პირდაპირი დამატების შეწყობის გარეშეც მათ შერჩენილი აქვთ გარდამავლობის სხვა მახასიათებლები: პირველ რიგში ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, სუბიექტის III პირის მრავლობითის **-ეს** სუფიქსი წყვეტილში, ინვერსია III სერიის ფორმებში; ამასთან, ფსევდოგარდამავალ ზმნებში სრულყოფილად ვერ გამოიხატება გვარის, ქცევის და სხვა გრამატიკული კატეგორიების მნიშვნელობები.

შენიშვნა: 1930 წლის „ქართული ენის გრამატიკაში“ ა. შანიძე საშუალი გვარის ზმნებს უგვარო ზმნებად მიიჩნევს: „საშუალი ზმნები ის ჯგუფია უგვარო ზმნებისა, რომელნიც გარდაუვალნი არიან, მაგრამ ფორმით მოქმედებითისაგან არ განირჩევიან“... შენიშვნაში ა. შანიძე წერს: „საშუალი ზმნები საპირისპირო გვაროვნული ფორმების უქონლობის გამო არსებითად უგვარო ზმნებია. მაგრამ ხშირად მათ ცალკე გვარს განუკუთვნებენ („საშუალი გვარიო“) §104“. შემდგომში, როგორც ვნახეთ, ა. შანიძე უგვარო ზმნებად მხოლოდ ზმნათა ერთ მცირე ჯგუფს ასახელებს, რომელთაც საოპოზიციო ფორმები (არც მოქმედებითისა და არც ვნებითისა) არა აქვთ.

თუ საშუალ გვარში გაერთიანებული ფორმები უგვარო ზმნებია, მაშინ, გვარის მიხედვით, ქართულში აქტივ-პასივის ოპოზიცია შემოგვრჩება და, ბუნებრივია, ამ კატეგორიაში საშუალ გვარად სახელდებული ფორმები აღარ განიხილება. ასეც იქცევა არნ. ჩიქობავა: გვარის კატეგორიის საოპოზიციო ფორმებად

მოქმედებითსა და ვნებითს ტოვებს და საშუალი გვარის ზმნებს, აბსოლუტურებსაც და რელატიურებსაც, ერთ სემანტიკურ კლასში — სტატიკურ ზმნათა კლასში აერთიანებს. ა. შანიძისაგან განსხვავებით, სტატუსის ცნება უფრო ფართოვდება, სტატიკურობა არ უდრის ვნებითს (შდრ.: „სტატიკური ვნებითი“): სტატიკურ ზმნათა კლასში ერთიანდებიან საშუალი გვარის ზმნებიც და სტატიკური ვნებითებიც.

IV. 4.3. აქტიურობა-პასიურობის მიმართება *ვინ* და *რა* ჯგუფის სახელებთან

ენაში ფორმა და შინაარსი ყოველთვის არ ფარავს ერთმანეთს, მორფოლოგიური და სემანტიკური ერთმანეთს ყოველთვის არ მიჰყვება და ამ „გადაცდომების“ უამრავი მაგალითი დაიძებნება. ქართულში მხოლოდ ქცევის კატეგორიიდან ფორმისა და შინაარსის განსხვავების ორიოდ ნიმუშს დავასახელებთ: ი-ნახავს, ი-წყებს, ი-წუნებს, ი-პყრობს და სხვ., სათავისო ქცევის ფორმებია (პრეფიქსი ი-), მაგრამ სათავისოს მნიშვნელობას არ გამოხატავენ, უ-შვებს ის მას (გარეთ), უ-კრავს ის ჩონგურს... მორფოლოგიის თვალსაზრისით სასხვისო ქცევის ფორმებია (პრეფიქსი **უ**-), მაგრამ სათანადო შინაარსი და სათანადო სინტაქსი (გარდამავალი სასხვისო ქცევის ფორმა ამ კონტექსტში არა სამვალენტიანი, არამედ ორვალენტიანია) არა აქვთ.

„წინადადებაში: „დავითმა დალია ერთი ბოთლი ღვინო“, ობიექტი რომ სუბიექტისთვისაა განკუთვნილი, ამას „დალია“ ზმნის ფუძის მნიშვნელობა გამოხატავს და არა აფიქსი. „ღვინო“ რომ სასუბიექტოდაა განკუთვნილი, ამას ლექსიკური საშუალება გადმოგვცემს“ (არნ. ჩიქობავა)...

ფორმისა და შინაარსის ასეთი განსხვავება, ბუნებრივია, დასტურდება გვარის კატეგორიის ფუნქციონირების დროსაც. გვარის გრამატიკული კატეგორია თანამედროვე ქართულში აღინიშნება არსებითად სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის ფარგლებში გრამატიკულად დაპირისპირებულ ფორმათა არსებობის საფუძველზე:

წერს ის წერილს — ი-წერება წერილი
უ-წერს ის მას წერილს — ე-წერება მას წერილი

აწუხებს ბავშვი დედას — წუხ-დ-ებ-ა დედა
უ-წუხებს ბავშვი დედას გულს — უ-წუხ-დ-ებ-ა დედას გული

ათბობს მზე დედამიწას — დედამიწა თბება
უ-თბობს მზე ბერიკაცს ძვლებს — უ-თბება ბერიკაცს ძვლები და ა.შ.

ზმნური კატეგორიების სისტემაში, მიუხედავად გარკვეული არათანმიმდევრულობისა, გვარი ერთ-ერთი წარმმართველი კატეგორიაა. აქტივის, პასივისა და საშუალი გვარის ოპოზიცია მოიცავს ძირითად ზმნურ ლექსიკას: ყველა უღლებადი და არაუღლებადი ზმნური ფორმა გვარის კატეგორიის რომელსამე სახეობას განეკუთვნება.

ისევე როგორც სხვა მორფოლოგიურ კატეგორიებთან, გვარის კატეგორიის შემთხვევაშიც ხშირად სიტყვის მნიშვნელობა და ფორმა ერთმანეთს არ ფარავს, აქტივ-პასივის დაპირისპირებისას ფორმა და მნიშვნელობა ერთმანეთს არ მიჰყვება. ფორმისა და მნიშვნელობის არათანმიმდევრულობის შემთხვევაში უფრო ხშირად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ზმნის პასიური მოდელი აქტიურ სემანტიკასაც გამოხატავს, ნაკლებად — მოქმედებითი და საშუალი გვარის შესახებ.

ბევრ შემთხვევაში ეს არათანმიმდევრობა ფორმისა და მნიშვნელობისა აქტანტების სულიერება-უსულობასთან ან **ვინ** თუ **რა** ჯგუფის სახელებთან მიკუთვნებულობით არის შეპირობებული.

განვიხილავთ ფორმისა და მნიშვნელობის დაპირისპირების მაგალითებს როგორც მოქმედებითი გვარის, ასევე ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებთან.

IV. 4.3.1. მოქმედებითი გვარის ზმნები. მოქმედებითი გვარის ზმნებში სუბიექტი მოქმედი (აქტიური) პირია და მას მოეპოვება სამოქმედო პირი პირდაპირი ობიექტის სახით, თუმცა აქტანტების ასეთი მიმართება ყოველთვის არაა რეალიზებული და აქ ფუძის სემანტიკა თამაშობს თავის როლს, კერძოდ: თუ მოქმედებითი გვარის ფორმებს აქვთ იმგვარი სემანტიკა, რომელიც აპირობებს სუბიექტის ფიზიკურ ზემოქმედებას პირდაპირ ობიექტზე, ანუ, აქვთ იმგვარი პირდაპირი დამატება, რომელიც მოახდენს ამ ფიზიკურ ზემოქმედებას, მაშინ მოქმედებითი გვარის სუბიექტის აქტიურობა მკაფიოდაა გამოკვეთილი და ფორმისა და შინაარსის თანხვდენა გვაქვს:

ა მ ტ ვ რ ე ვ - ს... ძალის მიყენებით (მთლიანს) ნაწილებად აქცევს, — ტეხს, ამსხვრევს... „ჩხიკვი ნისკარტით წკირებს ა მ ტ ვ რ ე ვ დ ა“ (ვაჟა)...

ა მ ს ხ ვ რ ე ვ - ს... ნამსხვრევებად აქცევს, წვრილ-წვრილად ამტვრევს...

ა მ ტ ვ ე რ ე ბ - ს... მტვერს აყენებს...

ა მ უ ნ ჯ ე ბ - ს... მუნჯს ხდის...

ა ფ ე თ ქ ე ბ - ს... აფეთქებას იწვევს, აფეთქებით ანგრევს...

ა ფ ე რ ა დ ე ბ - ს... ფერადს ხდის, — აჭრელებს...

ა წ ყ ა ლ ე ბ - ს... წყლიანს ხდის, წყლად აქცევს...

ბ ა რ ა ვ - ს... ბარით მიწას ამუშავებს...

ქ ე ლ ა ვ - ს... ფეხით სრესს, თელავს...

ს ე რ ა ვ - ს... 1. მჭრელი იარაღით (ან წვეტიანი საგნით) რისამე ზედაპირს (კანს, საქონლის ტყავს, ხორცს...) ზოლებად ოდნავ ჭრის, — შაშრავს... 2. სერს, ნიშანს ადებს ყურზე (შინაურ ცხოველებს). 3. გადატ. კვალს ზოლებად აჩნევს, ღარავს, კვეთს...

ტ ე ხ - ს... 1. რაიმე მაგარ საგანს ძალის მიყენებით, დარტყმით ნაწილებად ყოფს, ნაწილებად აქცევს... 2. გადატ. ოთახის, ნაგებობის, ციხის და მისთ. დაკეტილ კარს (კლიტეს...) ამტვრევს, აღებს (გაძარცვის, დაპყრობის...) მიზნით... (ქეგლ) და ა.შ.

ამ ზმნებს სამოქმედოდ კონკრეტული პირდაპირი ობიექტი შეეწყობა ობიექტი, რომელიც ცვლილებას ექვემდებარება. სუბიექტი, ბუნებრივია, სულიერი, **ვინ** ჯგუფის სახელია, ობიექტად, ასეთ შემთხვევებში, ძირითადად **რა** ჯგუფის სახელი გვაქვს; სულიერიც და უსულოც: **აბალახებს** ს ა ქ ო ნ ე ლ ს და **თელავს** ნ ა ბ ა დ ს. რა თქმა უნდა, გარდამავალი ზმნები პირდაპირ ობიექტად შეიწყობენ **ვინ** ჯგუფის სახელებსაც:

ა მ უ ნ ჯ ე ბ ს — მუნჯად ხდის,

ა ს ა უ ზ მ ე ბ ს — საუზმეს აჭმევს,

ა ტ ი რ ე ბ ს — ტირილსა ჰგვრის, ცრემლს აღვრევინებს და სხვ.

ამათ გვერდით გვაქვს მოქმედებითი გვარის ისეთი ფორმებიც, რომელთაც არაკონკრეტული, ინერტული პირდაპირი ობიექტი შეეწყობა; ასეთი ობიექტი ფიზიკურ ზემოქმედებას ვერ მოიხდენს და, შესაბამისად, ცვლილებებსაც არ ექვემდებარება. ამ რიგის მოქმედებითი გვარის ზმნებში სუბიექტის აქტიურობის ხარისხი ნაკლებია:

ა მ ჩ ნ ე ვ - ს... ხედავს, მიხვდება, გრძნობს, შენიშნავს...

ა პ ი რ ე ბ - ს... ფიქრობს გააკეთოს; განზრახული აქვს, სამოქმედოდ ემზადება...

ა შ ტ ე რ ე ბ - ს... შტერს ხდის II უზომოდ აკვირვებს, აოცებს...

ა მ ა დ ლ ი - ს, ა მ ა დ ლ ე ბ - ს... მადლად უთვლის, — აყვედრებს, ამუნათებს (მისთვის) ჩადენილ სიკეთეს, მასზე გაწეულ ამაგს)...

ა ს წ რ ე ბ - ს... განსაზღვრულ ვადაში შესრულებას ახერხებს, დროზე აკეთებს...

ს უ ნ ა ვ - ს... ცხვირის ახლოს მიტანით რისამე სუნს სინჯავს, — ყნოსავს, სუნს იღებს...

ფ ი ც ა ვ - ს... ფიცს ამბობს, დებს, ფიცით აღთქმას, პირობას იძლევა; ფიცით არწმუნებს... (ქეგლ)

თუ *აშტერებს* და მის სინონიმურ *აკვირვებს, აოცებს, აცვიფრებს* ზნებთან, ასევე, *აგიჟებს, ასულელებს, ატუტუცებს* და მსგავს აქტივებთან სუბიექტის ემოციურ-ნებელობითი მოქმედება მაინც არის გამოხატული პირდაპირ ობიექტზე, *ამჩნევს, აპირებს, სუნავს, ფიცავს* და მისთანებში სუბიექტური პირი მხოლოდ განმზრახველი (ა პ ი რ ე ბ ს, ა ს წ რ ე ბ ს, ფ ი ც ა ვ ს), მჭვრეტელი (ა მ ჩ ნ ე ვ ს) ან აღმქმელია (ს უ ნ ა ვ ს) და მისი ნამოქმედარი განზრახულის, დანახულისა და აღქმულის სახით მასვე უბრუნდება. ამ ზმნებთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტებიც ცვლილებას არ ექვემდებარებიან.

თავისებურია აქტიურობის თვალსაზრისით მოქმედებითი გვარის იმ ზმნათა სემანტიკა, რომელთაც პირდაპირ დამატებად საკუთარი სხეულის ნაწილები (შესაბამისად, **რა** ჯგუფის სახელები) შეეწყობა; ასეთი ზმნები აქტიური შინაარსისაა და ეს ქეგლის განმარტების მიხედვითაც ჩანს:

ა ს ა ვ ს ა ვ ე ბ - ს... „აქეთ-იქით სწრაფად შლის, მალიმალ აქნევს [ხელებს]“...

ა ხ ა მ ხ ა მ ე ბ - ს... არაწესიერად ამოძრავებს [ქუთუთო-წამწამს]“...

ასეთ ზმნებთან სუბიექტის მოქმედება მართალია გადადის პირდაპირ ობიექტზე, მაგრამ ეს პირდაპირი ობიექტი სუბიექტის ნაწილია და არა სხვა პირი. მოქმედებითი გვარის ფუნქციონირების მთავარი პრინციპი კი ჩვენში დამკვიდრებული გრამატიკული ტრადიციის მიხედვით ისაა, რომ აქტიური სუბიექტის მოქმედება „სხვა პირზეა დამართებული“, ამ რიგის ზმნებში მთელის (სუბიექტის) მოქმედება მისსავე ნაწილზე (პირდაპირ ობიექტზე) ფიქსირდება ამ ნაწილის სათანადო რეაქციით: ა ს ა ვ ს ა ვ ე ბ ს ხ ე ლ ე ბ ს = *სავსავებს მისი ხელები...

ასეთი ზმნებია:
აპაჭუნებს თვალებს
აბარტყუნებს ყურებს
აფართხალებს ხელებს
აფახულებს თვალებს
აცეცებს თვალებს
აცმაცუნებს პირს, ტუჩებს და ა.შ.

სომატური პირდაპირი ობიექტი ასეთ ზმნებში სუბიექტის ორგანულ კუთვნილებას წარმოადგენს და, შესაბამისად, მათი (სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის) ურთიერთმიმართებით გამოხატული მოქმედებები სუბიექტის ფიზიკურ და ინტელექტუალურ-ემოციურ მდგომარეობას (შიშს, გაოცებას, ტკივილს, დაბნეულობას...) აფიქსირებს, შდრ.:

ა ფ ე თ ე ბ - ს (თვალებს)... შეშინებული თვალებით აქეთ-იქით იყურება

ა ფ ა ც ი ც ე ბ - ს (თვალებს)... დაძაბული ყურადღებით მალი-მალ აქეთ-იქით იხედება

ა პ ა ჭ უ ნ ე ბ - ს (თვალებს)... „[ბერმონაზონი] მწუხარების ნიშნად თვალებს ა პ ა ჭ უ ნ ე ბ დ ა“ (გ. წერეთ.)

მ ო კ უ მ ა ვ - ს... „მოლას ბრაზისაგან პირი მ ო ე კ უ მ ა“ (ს. შანშ.)...

მნიშვნელობით ასეთი ზმნები მოქმედებითი გვარის შინაარსსაც ითავსებს, — შეიწყობს პირდაპირ ობიექტს, თუმცა ეს პირდაპირი ობიექტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის არა „სამოქმედო პირი“, არამედ — სუბიექტის ნაწილი, ე.ი. სუბიექტი მოქმედებს თავისთავზე როგორც პირდაპირ ობიექტზე და შინაარსობრივად ამით ემსგავსება ვნებითს, რადგან ვნებითის ფორმაში „სუბიექტური პირი იმასვე „განიცდის“, რასაც პირდაპირ-ობიექტური სათანადო მოქმედებითში“; ასეთი მოქმედებითი ჰგავს საშუალსაც, „რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს“, რეალურად ეს სამოქმედო ობიექტი იგივე სუბიექტია.

ჩვეულებრივ, მოქმედებითი გვარის ზმნებში აქტიური სუბიექტი სულიერი, ძირითადად **ვინ** ჯგუფის სახელია, პირდაპირ ობიექტად ძირითადად მაინც **რა** ჯგუფის სახელი (სულიერი და უსულოც) გვაქვს. როლების შეცვლას, როდესაც **რა** ჯგუფის სახელი სუბიექტად გამოდის, ხოლო **ვინ** ჯგუფის სახელი — პირდაპირ ობიექტად, პერსონიფიკაციის იერი დაჰკრავს.

ამ რიგის სემანტიკურ ჩანაცვლებებს თან ახლავს სათანადო მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებები.

სუბიექტურ და ობიექტურ პირთა კომბინაცია ორვალენტიანი მოქმედებითი გვარის სინტაქსში ნებისმიერი არ არის; ერთი პირი მოქმედი უნდა იყოს, მეორე, სამოქმედო. მოქმედსა და სამოქმედოს სათანადო პირების ბრუნვათა ფორმები წარმოაჩენს. პირთა შორის შესაძლებელ კომბინაციათა რიცხვი კი სულ შვიდია: I სუბიექტურ პირთან — გ-აქებ (1.2), ვ-აქებ (1.3), II სუბიექტურ პირთან — მ-აქებ (2.1), აქებ (2.3), III სუბიექტურ პირთან — მ-აქებ-ს (3.1), გ-აქებ-ს (3.2), აქებ-ს (3.3)... (ა. შანიძე).

სუბიექტური და ობიექტური პირების შესაძლებელ კომბინაციათა რიცხვი უკვე ამ სახელთა სემანტიკითაა გაპირობებული. აქ 3 შემთხვევა გაირჩევა:

1. ორივე სახელი **ვინ** ჯგუფისაა
2. ორივე სახელი **რა** ჯგუფისაა
3. ერთი სახელი **ვინ** ჯგუფისაა, ხოლო მეორე — **რა** ჯგუფისა.

თითოეული ამ შესაძლებლობის რეალიზაცია სუბიექტური და ობიექტური პირების კომბინაციათა სათანადო რაოდენობითა და ზმნის სტრუქტურაში შესაბამისი ცვლილებებით აისახება.

შვიდივე კომბინაცია რეალიზებული იქნება **ვინ** ჯგუფის სახელებთან. **რა** ჯგუფის სახელების ჩანაცვლებით ეს კომბინაციები მცირდება: თუ **რა** ჯგუფის სახელი პირდაპირი ობიექტია, ეს ობიექტი უცვლელი პირი ხდება (ა. შანიძის ტერმინოლოგიით) და I პირთან შესაძლებელი ორი კომბინაციიდან (1.2, 1..3) დაგვრჩება მხოლოდ 1.3, II პირთან — მხოლოდ 2.3, III პირთან — 3.3; საბოლოოდ გვრჩება ოდენ სუბიექტური წყობის ფორმები. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს კონტექსტურიც (ხატავს სურათს, შდრ., ხატავს ბავშვს) და ლექსიკურიც, მაგ.: თოხნის, ბარავს, ლესავს, ჩარხავს, ღეჭავს და მსგავს ზმნებს, რომელთაც პირდაპირ ობიექტად **რა** ჯგუფის სახელი შეეწყობა, მხოლოდ სუბიექტური წყობის ფორმები უკეთდება.

სუბიექტური წყობა:	ობიექტური წყობა: (არ გვექნება)
ვ-თოხნი ვენახს	*მ-თოხნი-ს
თოხნი ვენახს	*გ-თოხნი-ს და ა.შ
თოხნი-ს ვენახს	

მოქმედებითი გვარის სტრუქტურას სუბიექტის სემანტიკაც ცვლის თუ სუბიექტად **რა** ჯგუფის სახელი წარმოგვიდგება (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი შემთხვევები იშვიათია და მას პერსონიფიკაციის იერი დაჰკრავს); შდრ.: ზაფხულში ღვინოს აციებენ, მაგრამ ყინვაში უპალტოოდ სიარული მაციებს (ა. შანიძე): ზმნა კარგავს სუბიექტური წყობის წარმოქმნის უნარს (მხოლოდ ობიექტური პირიღა შეეწყობა) და გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნა გარდაუვალი ხდება: აციებს — გააცია მას... ასეთი ზმნებია: აძაგძაგებს, აჟრჟოლებს, ათრთოლებს...

ასევე შეიძლება ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის ზმნების კონვერსივების წარმოქმნა გაპირობებულია პირდაპირი ობიექტის (დამატების) რაობით. არაფიზიკური, ემოციურ-ნებელობითი, სამეტყველო-მორალური ზემოქმედების ქვეშ მოქცეული **რა** ჯგუფის ნაირგვარი შინაარსის (აბსტრაქტული, მოქმედების სახელები) პირდაპირი დამატება-ობიექტი კონვერსიულ გარდაქმნას ნაკლებად ეგუება: რაღაც უბედურებას **აპირებს**, იქ მისვლას როგორ **ბედავს** და მისთ. კონვერსიულ ფორმებს არ იკეთებენ. პირდაპირი დამატების არჩევას კი მოქმედებითი გვარის ზმნური ლექსემის სემანტიკა განსაზღვრავს.

კონვერსიული პასივები არ უკეთდება მოქმედებითი გვარის ისეთ ფორმებს, რომელთაც პირდაპირ ობიექტად **რა** ჯგუფის სახელთან საკუთარი სხეულის ნაწილი, ან ამ სხეულის ნაწილთა შესამოსი საგანი შეეწყობა, მაგ.:

აპაჭუნებს თვალებს — *პაჭუნდება თვალები
ასავსავებს ენას, ხელებს — *სავსავდება ენა, ხელები
აცეცებს ხელებს, თვალებს — *ცეცდება ხელები, თვალები
პრაწავს თვალებს — *იპრაწება თვალები
პარჭყავს ხელებს, ფეხებს — *იპარჭყება ხელები, ფეხები
აფრატუნებს ქოშებს — *ფრატუნდება ქოშები და სხვ.

სომატურ პირდაპირდამატებიან მოქმედებითებში კონვერსიული გარდაქმნები ვერ ხორციელდება, მიზეზი კი ისაა, რომ განმცდელი სომატური პირდაპირი ობიექტი კონვერსიული გარდაქმნისას პასივის სუბიექტის ფუნქციას ვერ იგუებს:

ბიჭი აბრიალებს თვალებს — *თვალები ბრიალდება (ბიჭის მიერ)
გველი ასავსავებს ენას — *ენა სავსავდება (გველის მიერ)...

რა თქმა უნდა, სომატური სახელებით გამოხატული პირდაპირი დამატება-ობიექტის მქონე მოქმედებითი ზმნებისთვის კონვერსივების შეზღუდვა აბსოლუტური არ არის და სახე იმანჭება, შუბლი იჭმუხნება ტიპის შესიტყვებებიც არ გამოირიცხება, მაგრამ შინაარსობრივად და ლოგიკურადაც ბუნებრივი იქნება, თუ მოქმედებითის კონვერსიულ პასიურ ან მედიალურ კონსტრუქციაში სუბიექტად არა ნაწილი (სომატური, **რა** ჯგუფის სახელი) — შუბლი იჭმუხნება < შუბლს ჭმუხნის; სახე იმანჭება < სახეს მანჭავს; ხელები [ა]ცახცახდება ან ცახცახებს < ხელებს აცახცახებს — არამედ ამ ნაწილის მფლობელი სუბიექტი **ვინ** ჯგუფის სახელი წარმოგვიდგება და, შესაბამისად, კონვერსიის მექანიზმიც დაირღვევა: ვნებითის სუბიექტი არა **რა** ჯგუფის, არამედ **ვინ** ჯგუფის აქტიური სახელი გახდება:

ლაპარაკის დროს [ბესია] საშინლად იჭმუხნებოდა (ე. ნინოშ.)
საცოდავი ადამიანი ... იმანჭებოდა (ნ. ლორთქ.)
წნორის ფოთოლივით ცახცახებდა ვარდისახარი (კ. გამსახ.) ქეგლ

IV. 4.3.2. ვნებითი გვარის ზმნები. ფორმისა და შინაარსის „ანტაგონიზმი“ უფრო ხელშესახებად ვნებითი გვარის ზმნებში ჩანს; ქართულში ვნებითი გვარის ფორმებით პასიური მნიშვნელობის გარდა შეიძლება გამოიხატებოდეს აქტიური და მედიალური მნიშვნელობებიც. ფორმისა და შინაარსის ამ შეუსაბამობას ბევრ შემთხვევაში სუბიექტის სემანტიკური რაობა, კონკრეტულად კი სუბიექტის **სულიერ** სახელთან, **ვინ** ჯგუფის სახელთან მიკუთვნებულობა განაპირობებს.

ვნებითის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც **რა** ჯგუფის უსულო და სულიერი სახელი, ასევე, — **ვინ** ჯგუფის სახელიც. ვნებითი გვარის ზმნათა გამოხატულების პლანში სუბიექტის სემანტიკურ რაობას გარკვეული კორექტივები შეაქვს. ამ თვალსაზრისით ვნებითის ტიპები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ამიტომ მათ შესახებ ცალკე ვიმსჯელებთ. განვიხილავთ მხოლოდ ვნებითის აბსოლუტურ ფორმებს.

ვნებითები, რომელთაც სუბიექტად **რა** ჯგუფის სახელები მოუდის:

IV. 4.3.2.1. ინიანი ვნებითები

იბარდნებ-ა... თოვლის ფარტენებით, თოვლით იფარება...

იბარებ-ა... ბარავენ; დაბარვა შეიძლება, — ბარით მუშავდება (მიწა)...

ი ბ ე კ ნ ე ბ - ა... ბეკნიან; იტკეპნება...

ი ბ ე ჭ დ ე ბ - ა... ბეჭდავენ; ბეჭდვა შეიძლება...

ი ბ ზ ა რ ე ბ - ა... ბზარი უჩნდება; სკდება...

ი ბ ი ლ წ ე ბ - ა... ბილწავენ; ბილწი ხდება...

ი ბ ი ნ დ ე ბ - ა... ბინდი ეფინება, — ბნელდება...

ი ს ხ ვ ლ ე ბ - ა... სხლავენ; სხლვა შეიძლება...

ი ტ კ ე პ ნ ე ბ - ა... ტკეპნიან; ტკეპნით სწორდება...

ი ფ შ ვ ნ ე ბ - ა... ფშვნა შეიძლება, — ნამცეცებად იქცევა, წვრილ-წვრილად იმსხვრევა, იფხვნება; ფშვნიან...

ი ქ ს ო ვ ე ბ - ა... ქსოვით კეთდება; ქსოვენ...

ი ქ ა რ გ ე ბ - ა... ქარგვა შეიძლება; ქარგავენ...

ი ჩ ქ მ ა ლ ე ბ - ა... იმალება, იფარება; ჩქმალავენ...

ი ძ ე ნ ძ ე ბ - ა... იშლება (წვრილ-წვრილ ძაფებად — ნაქსოვი), იწე-წება, ძენძავენ და სხვ. (ქეგლ)

ჩამოთვლილ ვნებითის ფორმებს სუბიექტად **რა** ჯგუფის უსულო სახელები შეეწყობა; შედარებით ნაკლები რაოდენობით გვხვდება ისეთი ვნებითები, რომელთაც სუბიექტად **რა** ჯგუფის სულიერი სახელები აქვთ:

ი ბ დ ღ ვ ნ ე ბ - ა... ბდღვნიან; ბდღვნა შეიძლება, — იპტყვნება. ქა-თამი იბდღვნება

ი ბ რ ა წ ე ბ - ა... ბრაწავენ, წითლად იწვება, იხრაკება (ხორცეული და სხვ.). გოჭი იბრაწება. — კარტოფილი იბრაწება.

ი კ ვ ლ ე ბ - ა... კლავენ... ი კ ვ ლ ე ბ ა საქონელი (შ. დად.).

ი ხ ა რ შ ე ბ - ა... წყალში ან სხვა რამ სითხეში (მაგ., რძეში) დუ-ღილით მზადდება (საჭმელი), — ხარშავენ. ლობიო იხარშება... შიგ ლურჯსავე ქვამარილში ლურჯი თევზი ი ხ ა რ შ ე ბ ა (გ. ლეონ.) ...

ი ხ ე დ ნ ე ბ - ა... იწვრთნება (ცხენები, ხარი და მისთ.), ხედნიან...

ი ჭ ყ ლ ი ტ ე ბ - ა... ისრისება, ჭყლეტენ. გზაზე ბევრი (კალია) ში-ნაური საქონლისაგან ი ჭ ყ ლ ი ტ ე ბ ა (ი. გოგებ.)... ქეგლ

ვნებითები, რომელთაც სუბიექტად **რა** ჯგუფის უსულო სახელები შეეწყობა, მნიშვნელობით პასიური ზმნებია — ვნებითის კონსტრუქცია-ში აღდგება მოქმედების რეალური სუბიექტი ქვემდებარისებრი უბრა-ლო დამატების ან სხვა სახით: იბარება ვ ი ღ ა ც ი ს მ ი ე რ, იბდღვნება

ვიღაცის მიერ, იბეკნება ვიღაცის მიერ, იბეჭდება ვიღაცის მიერ და ა.შ.

ამგვარი ვნებითების პასიურობის ხარისხი იმითაც მოწმდება, რომ ვნებითის შინაარსი ქეგლში მოქმედებითი გვარის განზოგადებულპირიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით განიმარტება: იბერება — „ბარავენ“, იბდღვნება — „ბდღვნიან“, იბეკნება — „ბეკნიან“, იბეჭდება — „ბეჭდავენ“, ისხვლება — „სხლავენ“ და ა.შ.

IV. 4.3.2.2. დონიანი ვნებითები. პრეფიქსიანებისაგან განსხვავებით პასივის მნიშვნელობა სუფიქსიან ვნებითებში თითქოს ნაკლებად იგრძნობა, აქ გარდაქცევითობის მნიშვნელობა უფრო არსებითი ჩანს: ბრტყელდებ-ა — ბრტყელი ხდება, გუბდებ-ა — გუბედ დგება, გუბედ იქცევა და სხვ. ასეთი ფორმების სემანტიკა ორაზროვანია: **წუხდება, გორდება**... ვიღაცის მიერ — საკუთარი ნებისაგან დამოუკიდებელი სუბიექტი ასეთ კონსტრუქციაში პასიური, განმცდელია, მაგრამ კონსტრუქციაში წუხდება, გორდება... თვითონ, თავისი ნებით — სუბიექტი აქტიურ განმცდელად გვევლინება. ქეგლში **წუხდება** ზმნასთან დამოწმებულ ილუსტრაციაში — გრძნობა გვეკარგვის, სული შფოთავს, გული წუხდება (გ. ტაბ.) — გულის შეწუხების მიზეზი — რეალური სუბიექტი, კონტექსტის მიხედვით არ ჩანს; ასევე არ ჩანს მიზეზი გორდება ზმნასთან დამოწმებულ ილუსტრაციაში: „ლოდი ლოდზე სწყდება კლდეს და რახრახით გორდება ძირს“ (ი. გედევ.); სხვა მაგალითში: „ერთმანეთს აწყდებოდნენ და გორდებოდნენ“ (ს. შანშ.) დაგორების მიზეზი („ერთმანეთს აწყდებოდნენ“) გრამატიკულად არ რეალიზდება და კონტექსტიდან ამოიცნობა.

დონიან ვნებითებთან, რომელთაც **რა** ჯგუფის სუბიექტი შეეწყობა, პასიურობა უფრო ხელშესახებია.

შდრ.:

განაღდდებ-ა... განაღდება მოხდება, გაანაღდებენ...

განაწილდებ-ა... გაანაწილებენ, განაწილება შესაძლებელი იქნება, გაიყოფა, განაწილდება... ათასი თუმანი განაწილდა და დაურიგდა მოვალეებს (ლ. არდაზ.)

განახევრდებ-ა... გაანახევრებენ; ნახევრამდე დავა, ნახევარი (ნაწილი) დარჩება...

განახლდებ-ა... გაანახლებენ, — ახალივით გახდება...

განელდებ-ა... გაანელებენ; შესუსტდება (ცეცხლი) ...

გ ა ნ ი ა ვ დ ე ბ - ა... გაანიავებენ

გ უ ბ დ ე ბ - ა... გუბედ დგება, გუბედ იქცევა (წყალი...) ...

დ უ ღ დ ე ბ - ა... დუღილს იწყებს. წყალი ცეცხლზე დ უ ღ დ ე ბ ა...

მ ა გ რ დ ე ბ - ა... 1. მაგარი ხდება, სიმაგრე ემატება, — მკვრივდება... ჩურჩხელები მზისაგან მ ა გ რ დ ე ბ ი ა ნ, ხმებიან (ლ. ასათ.). გადატ. შეუპოვარი, ამტანი ხდება...

მ ა რ თ ლ დ ე ბ - ა... 1. სიმართლე მტკიცდება; უდანაშაულობა დასტურდება; ამართლებენ...

მ ზ ა დ დ ე ბ - ა... ამზადებენ...

ო ბ დ ე ბ - ა... ობი ედება, ობიანი ხდება...

ო რ თ ქ ლ დ ე ბ - ა... ორთქლად იქცევა...

ტ ყ დ ე ბ - ა... ტეხენ... (ქეგლ)

დონიანი ვნებითების პასიური სემანტიკის შემოწმება მ ი ე რ თანდებულიანი ფრაზების შეწყობით გარკვეული ტიპის ზმნებთან სათანადო კონტექსტების აღდგენით სირთულეს არ წარმოადგენს:

განაღდება, განაწილდება, განახლდება, განიავდება, გამაგრდება, დამოკლდება (ვიღაცის მიერ). ზოგჯერ რეალური სუბიექტის ფუნქციას -გან ან სხვა თანდებულიანი უბრალო დამატებაც ასრულებს: ჩურჩხელები მ ზ ი ს ა გ ა ნ მ ა გ რ დ ე ბ ი ა ნ, ხმებიან (ლ. ასათ.); ც ე ც ხ ლ შ ი რკინა რ ბ ი ლ დ ე ბ ა (ილია) ქეგლ და სხვ. პასიური სემანტიკის შემოწმება ასევე შეიძლება **დონიან** ვნებითებისათვის მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმების შენაცვლებით, რაც ქეგლის ზემოთ მოყვანილი განმარტებებითაც დასტურდება: განაღდებ-ა... „გაანაღდებენ“, განაწილდებ-ა... „გაანაწილებენ“, განახევრდებ-ა... „გაანახევრებენ“, განელდებ-ა... „გაანელებენ“, მზადდებ-ა... „ამზადებენ“, გუბდებ-ა... „აგუბებენ“, გროვდებ-ა... „აგროვებენ“ და სხვ.

IV. 4.3.2.3. უნიშნო ვნებითები

ისეთი უნიშნო ვნებითები, რომლებიც სუბიექტად მხოლოდ **რა** ჯგუფის სახელებს შეიწყობენ ნაკლებად ჩანს (ლღვება, ლხვება, ცვდება, ცხვება...):

ლ ღ ვ ე ბ - ა... დაუშვებელია ნატრიუმის წვის ჩატარება რკინის კოვზზე... რადგან... რკინა ლ ღ ვ ე ბ ა და წვას განიცდის („სახალხო განათლ.“). II ფიგურ. დაფნის ფოთლებში მზე დაწურული ლ ღ ვ ე ბ ო დ ა, როგორც თაფლის სანთელი (ი. აბაშ.)

ლხვებ-ა... დნობას იწყებს, დნება (ყინული, სანთელი...). თოვლი ლღვებოდა, პირ-მზითში ბარდანი ჩამოდიოდა (ვაჟა)

ცვდებ-ა... ხშირი ხმარებით ძველდება (იცრიცება, ილევა, იხევა...)

ცხვებ-ა... გახურებულ ღუმელში (თონეში, კეცზე...) მოთავსებული ცომი შუშდება და საჭმელად ვარგისი ხდება...

გადატანითი მნიშვნელობით უნიშნო ვნებითები სუბიექტად **ვინ** ჯგუფის სახელებსაც იგუებენ:

ლბებ-ა... რბილი ხდება სითხეში დებით ან დასველებით; დასველებით რბილდება. ლავაშები ლბებიან წვნისაგან (შ. არაგვ.). II გადატ. ძალიან სველდება. [პოზუა] ლბებოდა ამოსასხმელი საქალამნე ტყავივით (ბ. ჩხ.)

ლპებ-ა... 1. იშლება, იხრწნება (არაცოცხალი ორგანული სხეული), — ალპობენ. მცენარეც ბოლოს ბერდება, ხმება და ლპება (ი. გოგებ.). 2. საუბ. გადატ. ძალიან დიდხანს, ხანგრძლივად იმყოფება (ციხეში...)...

შრებ-ა... 1. მშრალი ხდება; სისველე, სინესტე ეცლება. მზეზე შრება... — მზისაგან გახურებული რკინის გემბანი უცებ შრებოდა (ა. ლომ.) ... 2. რძის გამოყოფის უნარს კარგავს (დროებით), რძე ელევა, უშრება (საქონელს). მაკეობაში ფური შრება. 3. გადატ. მოუღონელობისაგან სახტად რჩება, ენა უვარდება...

ცდებ-ა... 1. გამოუყენებლად რჩება, ვერ(არ) მოიხმარენ. ნახევარი მიწა საქართველოში ყოველ წელიწადს ცდება (ი. გოგებ.). II უსაქმოდაა, დროს ტყუილ-უბრალოდ კარგავს...

ხმებ-ა... ხმელი ხდება; სინედლეს, სიცოცხლის უნარს კარგავს (მცენარე). რაკი ფესვები უფუჭდება მცენარესა, მალე ყვითლდება და ხმება (ი. გოგებ.). II შრება: ჩურჩხელები მზისაგან მაგრდებიან, ხმებიან (ლ. ასათ.). 2. საუბ. ძლიერ ხდება, მჭლევდება, ილევა. ზაალის ნაბიჭვარი ორივე ბანაკში წირავდა და შიშისაგან ხმებოდა (მ. ჯავახ.) (ქეგლ).

უნიშნო ვნებითებში პასიური მნიშვნელობები შედარებით მკრთალად აისახება. -მიერ თანდებულიანი ფრაზები ვნებითებთან ძნელად აღდგება (ეს მიწები ამათ მიერ ტყუილად ცდება). აქ უფრო მედიალური, სუბიექტის წრეში ჩაკეტილი მოქმედების მნიშვნელობები წარმოჩნდება; თუმცა პასიური სემანტიკაც გამოიხატება და ამას უნიშ-

ნო ვნებითთა მნიშვნელობის მოქმედებითი გვარის სუბიექტის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმებით განმარტებებიც ცხადყოფს:

ცდებ-ა... გამოუყენებლად რჩება, ვერ(არ) მოიხმარენ...

ლპებ-ა... იშლება, იხრწნება (არაცოცხალი ორგანული სხეული), — ალპობენ... (ქეგლ)

ვნებითური და მედიალური მნიშვნელობების ჩანაცვლების კარგ მაგალითს წარმოადგენს პოლისემიური კრთება ზმნა, რომლის პირველი მნიშვნელობა ვნებითურ-მედიალურია და ეს ქეგლის განმარტებისა და საილუსტრაციო ნიმუშის მიხედვითაც ამოიცნობა, ხოლო მეორე მნიშვნელობა — მედიალური (მნიშვნელობითა და უღვლილებით უტოლდება სტატიკურ-მედიალურ ზმნას).

კრთებ-ა... უეცრად მთელი ტანით არანებისმიერად [შე]ტოკდება (შიშისაგან, მოულოდნელობისაგან...). [ონისე] მუდამ დაფიქრებული... დადიოდა... ხშირად კრთებოდა, თითქოს ვიღაცამ შეაშინაო (ა. ყაზბ.)... 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. იგივეა, რაც კრთის (მნიშვ. 2). მთვარის შუქი ათასნაირად კრთებოდა ოქროსა და თვალმარგალიტზე (ვ. ბარნ.)... (ქეგლ)

IV. 4.3.3. ვნებითები, რომელთაც სუბიექტად მოუდის როგორც რა, ასევე *ვინ* ჯგუფის სახელები. ვნებითთა ერთი ნაწილი სუბიექტად შეიწყობს როგორც **რა** ჯგუფის (უსულო), ასევე **ვინ** ჯგუფის (სულიერ) სახელებს.

ა) ინიანი ვნებითები

სხვა ვნებითთა მსგავსად ინიანი ვნებითებიც სუბიექტად იგუებს როგორც **რა**, ასევე **ვინ** ჯგუფის სახელებს. სუბიექტის რაობის ცვლა ზმნის მნიშვნელობაშიც აისახება და წარმოაჩენს მნიშვნელობის განვითარების მიმართულებას — პასიური სუბიექტის გააქტიურებას, ან სხვაგვარად — პასიური „განმცდელი“ სუბიექტის, თვითმოქმედ, შემსრულებელ სუბიექტად გადაქცევას, **შდრ.:**

იბერებ-ა... ბერავენ, 1. ჰაერით (გაზით ან სხვა რამეთი) ივსება და ფართოვდება. მარცხენა გუდა იფუკებოდა და ამავე დროს მარჯვენა იბერებოდა (თ. რაზიკ.)... II საუბ. გადატ. ძალიან ბევრს სვამს, — იჭყიპება. [საკონცენტრაციო] ბანაკში ყავანარევი წყლით ვიბერებოდით და ხშირად გვიხდებოდა გარეთ სირბილი (ა. ქუთათ.). 2. საუბ.

გადატ. იბღინძება, მედიდურობს. იგი თავისი მხრით ერთიათად იბერება, თავს იწონებს (ვაჟა) ...

იგზავნება-ა... გზავნიან, [მი]ავლენენ; გაგზავნა წარმოებს... გაზეთი [„ისკრა“]... გამძლე ქაღალდზე იბეჭდებოდა და ფარულად იგზავნებოდა რუსეთში... ...სამუშაოდ დამატებით იგზავნება 3 ექიმი...

იგზნება-ა... აგზნებენ; ინთება, ჩაღდება, ცეცხლი ეკიდება, ალი ედება, II პოეტ. გადატ. აღფრთოვანდება, აღფრთოვანებულია, აგზნებულია, იწვის... მეც ეს ლექსი დავუწერე ერთ ქვრივ ყმაწვილ კაცს, რომელიც იგზნებოდა ერთი ქალის სიყვარულისაგან (რ. ერისთ.)...

იგრიხება-ა... გრეხენ; გრეხა შეიძლება, ნედლი სახრე იგრიხებაო (ანდაზა) ... 2. იმანჭება; იკლაკნება, იკრუნჩხება. მას გვერდით მისდევს კოხტა ბიჭი, რომელიც იგრიხება და იპრანჭება...

წარმოდგენილ ვნებითებში ძირითადი მნიშვნელობა პასიურია, გადატანითი მნიშვნელობები აქტიური ხდება, რადგან სუბიექტად **ვინ** ჯგუფის (სულიერი) სახელები გვაქვს, შდრ.: იბერება გუდა, მაგრამ იბერება კაცი — „იჭყიპება“; „იბღინძება“, „მედიდურობს“...

ბ) დონიანი ვნებითები

გვიანდება-ა... რისამე (დანიშნული, წინასწარ განსაზღვრული) ვადა, დრო გადის, — იგვიანებს, ყოვნდება... „გასწი, ბიჭო, გაუტიე, თორემ ძალზე გვიანდება“ (შ. მღვიმ.)... „წადი... ნუ გვიანდები“... (ილია).

მცირდება-ა... მცირე ხდება, — კლებულობს, ცოტავდება, როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო (ანდაზა)... 2. ღირსება ელახება, აკლდება. „რომ გთხოვ, მით მე უფრო ვმცირდები“ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

გროვდება-ა... ერთად თავს იყრის; აგროვებენ. [ფუტკრები] გროვდებიან და ღამეს უძილოდ ატარებენ (ი. გოგებ.). ხალხი გროვდება საჭიდაოზე სასახლის წინ (აკაკი)...

ცხარდება-ა... 1. ცხარე, მხურვალე ხდება. 2. გადატ. ძალიან ბრაზდება, — ცეცხლდება, წიწმატდება. [კიკოლიკი] თანდათან უფრო ცხარდებოდა (გ. წერეთ.).

წითლდება-ა... წითელ ფერს იღებს, წითელი ფერისა ხდება. კალმახიანი შამფური გამწკრივდა ნაკვერჩხალზედა, თევზი შიშინებს, წითლდება, ალი ედება ცვარზედა (ბაჩ.) II სირცხვილისაგან სახე

ელანძება. დიპლომატი არ უნდა წითლდებოდეს, მაგრამ გრიბოედოვმა ქებას ვეღარ გაუძლო და ოდნავ აილანძა (მ. ჯავახ.).

ფუჭდებ-ა... აფუჭებენ. 1. უვარგისი ხდება, ზიანდება. ყველა ჭირნახული ფუჭდება (ვაჟა)... 2. გადატ. იშლება, იფუშება, იღუპება. მოხდა ის, რითაც იმათი საქმე ფუჭდებოდა, იშლებოდა (ვაჟა). 3. გადატ. ზნეობრივად ეცემა, ირყვნება. არიან ისეთი სუსტი ბუნებისანი, რომლებიც ილოს მდგომარეობაში სულით ეცემიან, გულით ირყვნებიან და ხასიათით ფუჭდებიან (ი. ეკალ.).

ზემოთ უკვე ჩამოვთვალეთ ის უნიშნო ვნებითები, რომელთაც სუბიექტად მოუდის როგორც **რა**, ასევე **ვინ** ჯგუფის სახელები: სარეცხი შრება და საქონელი **შრება** („რძე ელევა“), მოულოდნელობისაგან კაცი **გაშრა** („სახტად დარჩა“), მიწა **ცდება** და კაცი **ცდება** („ტყუილუბრალოდ დროს კარგავს“) და სხვ.

მაგალითების ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს. მაგრამ ჩანს, რომ ძირითადი მნიშვნელობები უპირატესად თითქოს უსულო (**რა** ჯგუფის) სუბიექტს შეიწყობენ (ჩვეულებრივია **რა** ჯგუფის სულიერი სუბიექტებიც: თევზი შიშინებს, წითლდება, ფუტკრები გროვდებიან...) გადატანითი მნიშვნელობები კი — სულიერს (**ვინ** ჯგუფისას): **მცირდება** („კლებულობს“) საქმე და **მცირდება** („ღირსება ელახება“) კაცი, **ცხარდება** საჭმელი და **ცხარდება** („ბრაზდება“) კაცი, **ფუჭდება** ჭირნახული და **ფუჭდება** („ზნეობრივად ეცემა“) კაცი და ა.შ. უსულო (**რა** ჯგუფის) სახელით გამოხატული სუბიექტი პასიურია თუნდაც ამავე **რა** ჯგუფის სულიერი სახელით გამოხატულ სუბიექტზე (ფუტკრები გროვდებიან...), **ვინ** ჯგუფის სახელით გადმოცემული სუბიექტი — აქტიურია. ვნებითის ეს მნიშვნელობები (ძირითადიც და გადატანითიც) სათანადო მოქმედებითებშიც შეიძლება დაჩნდეს:

ამცირებ-ს... 1. აპატარავებს, აცოტავებს... 2. აკნინებს — მცირდებ-ა 1. პატარავდება, ცოტავდება... 2. კნინდება

აფუჭებ-ს... უვარგისს ხდის... II ზნეს წაუხდენს, რყვნის — ფუჭდებ-ა... 1. უვარგისი ხდება... 2. ზნეობრივად ეცემა, ირყვნება...

თუმცა ასეთი შესაბამისობა ვნებითსა და მოქმედებითების მნიშვნელობებში ყოველთვის არ დასტურდება, **შდრ.:**

აშრობ-ს... სველს მშრალად აქცევს... — შრებ-ა... 1. მშრალი ხდება... 2. გადატ. მოულოდნელობისაგან სახტად რჩება, ენა უვარდება

ვნებითის გადატანით მნიშვნელობას **შრება** — გადატ. „მოუ-ლოდნელობისაგან სახტად რჩება“... მოქმედებითის შესაბამისი მნიშვნე-ლობა არ უდასტურდება.

IV. 4.3.4. ვნებითი გვარის ზმნები, რომელთაც სუბიექტად *ვინ* ჯგუფის (სულიერი) სახელები შეეწყობა. ვნებითი გვარის ზმნათა ერთ ნაწილს (პრეფიქსიანებს, სუფიქსიანებსა თუ უნიშნოებს) სუბიექ-ტად მხოლოდ **ვინ** ჯგუფის სახელები შეეწყობა. ასეთ ვნებითებს უფრო აქტიური შინაარსი უჩანთ, იმათგან განსხვავებით, რომელთაც სუბიექ-ტად **რა** ჯგუფის სახელები აქვთ. შესაბამისად, ამ ზმნების კონვერსიულ მოქმედებითებს პირდაპირ დამატებად ასევე **ვინ** ჯგუფის სახელები მო-უდით:

ბ რ მ ა ვ დ ე ბ - ა... ბრმა ხდება, თვალის ჩინი უქრება...
ა ბ რ მ ა ვ ე ბ ს... ბრმასა ხდის, — მხედველობას უკარგავს, უსინათ-ლოდ აქცევს...

ბ რ უ ვ დ ე ბ - ა... ცნობიერება ბუნდოვანი უხდება, — რეტიანდე-ბა...
ა ბ რ უ ე ბ - ს... ბრუს ახვევს, — არეტიანებს...

ბ რ ი ყ ვ დ ე ბ - ა... 1. ბრიყვი ხდება. 2. ტყუვდება, ცდება.
ა ბ რ ი ყ ვ ე ბ - ს... მოტყუებით მცდარ ნაბიჯს გადაადგმევინებს, სი-სულელეს [ჩა]ადენინებს, — ასულელებს...

დ უ ნ დ ე ბ - ა... დუნე ხდება, — [მო]ეშვება, სუსტდება...
ა დ უ ნ ე ბ - ს... დუნეს ხდის, მოუშვებს, დაასუსტებს

ც ვ ი ფ რ დ ე ბ - ა... ოცდება...
ა ც ვ ი ფ რ ე ბ ს... აკვირვებს, აოცებს...

მ შ ვ ი დ დ ე ბ - ა... მშვიდი ხდება, სიმშვიდე ეუფლება, — წყნარდე-ბა...
ა მ შ ვ ი დ ე ბ - ს... მშვიდს ხდის, მშვიდად ამყოფებს, ხელს უწყობს დამშვიდდეს, — აწყნარებს...

მ ხ ნ ე ვ დ ე ბ - ა... მხნე ხდება, მხნეობა ემატება, — გული უმაგრდება...

ა მ ხ ნ ე ვ ე ბ - ს... მხნეს ხდის, მხნეობას მატებს, — გულს უმაგრებს...

ი ჩ ა გ რ ე ბ - ა... ბეჩავდება, ჩაგრავენ, იბრიყვებენ...

ჩ ა გ რ ა ვ - ს... ავიწროებს, იბრიყვებს, ჯაბნის, აბეჩავებს...

ი წ ა ფ ე ბ - ა... იწვრთნება, ვარჯიშდება, ხელოვნდება, ოსტატდება...

წ ა ფ ა ვ - ს... 1. წვრთნის, ახელოვნებს, აჩვევს რასმე... 2. კუთხ. (ინგილ.) წევს, ჭიმავს (ძაფს, ტყავს)

ი ტ ა ნ ჯ ე ბ - ა... ტანჯავენ; ტანჯვას განიცდის, სატანჯველშია ჩავარდნილი, ეწამება...

ტ ა ნ ჯ ა ვ - ს... აწამებს, აწვალებს, ძლიერ აწუხებს...

ი ბ ნ ი დ ე ბ - ა... ცნობიერების დაკარგვამდე მიდის, გული უღონდება (ძლიერი განცდის გამო), ბრუვდება (სუნისაგან...)...

ბ ნ ე დ - ს I ბ ნ ე დ - ა ვ - ს... აბრუებს...

ი შ ხ ლ ა რ თ ე ბ - ა... გაშლით, მთელი სიგრძით წვება, — იშოტება...

გ ა შ ხ ლ ა რ თ ა ვ - ს... 1. მოწყვეტით ძირს დასცემს. გართხმით წააქცევს, გაშოტავს...

ი პ რ ა ნ ჭ ე ბ - ა... 1. პრანჭვას, პრანჭვა-გრეხას მოჰყვება, ზედმეტად კეკლუცობს...

პ რ ა ნ ჭ ა ვ ს... მანჭავს, ღმეჭს, გრეხს... 2... საკეკლუცოდ, სხვის მოსაწონებლად ზედმეტად რთავს, კაზმავს, აწყობს და ა.შ.

უნიშნო ვნებითთაგან ძირითადი მნიშვნელობით სუბიექტად მხოლოდ **ვინ** ჯგუფის (სულიერი) სახელი მოუდის ბ ნ დ ე ბ ა, ჯ დ ე ბ ა, წ ვ ე ბ ა... ზმნებს (შდრ., გადატ. ბინდი ჩამოწვა, კედელი დაჯდა...).

ბ ნ დ ე ბ - ა... ძვ. გრდუვ. ვნებ. ბ ნ ე დ ს ზმნისა. მიბნედილი ხდება, ცნობის დაკარგვამდე მიდის, გული ელევა (რაიმე ძლიერი განცდის

გამო), — იბნიდება. ამ სურათისა მნახველი ერთი დიაცი ბ ნ დ ე ბ ო დ ა (ვაჟა)...

ვნებითები, რომელთაც **ვინ** ჯგუფის სუბიექტი შეეწყობა, კონსტრუქციაში **მიერ** თანდებულიან დამატებას ნაკლებად იგუებენ, ე.ი. პასივობის ნაკლები ხარისხით ხასიათდებიან: იჩაგრება, იწაფება, იტანჯება... ვ ი ღ ა ც ი ს მ ი ე რ, მაგრამ იბნიდება... ვ ი ღ ა ც ი ს გ ა მ ო, იპრანჭება... რ ა ღ ა ც ი ს გ ა მ ო, ბრმავდება, ბრუვდება... რ ა ღ ა ც ი ს გ ა ნ (ს ი ც ხ ი ს გ ა ნ), დუნდება... ს ი ც ხ ი თ და ა.შ.

ვნებითთა ერთ ჯგუფს საერთოდ არა აქვს საპირისპირო კონვერსიული მოქმედებითები, ასეთ „უცალო“ ვნებითებთან სუბიექტის აქტივობა უფრო თვალსაჩინოა; **შდრ.:**

ი ბ უ ტ ე ბ - ა... ნაწყენი და დამდურებული ჩუმად არის, ხმას არ იღებს (ითქმის ბავშვზე, ქალზე)... რას ი ბ უ ტ ე ბ ი, ქალაო, აღარ წაგიყვან, არაო! (ხალხ.)... —

ი ბ უ წ უ წ ე ბ - ა... ბუწუწს იშლის, — იბურძგნის (ბეწვს, ბალანს). II გადატ. ბრაზდება, ცხარდება... —

ი ყ უ ჟ ე ბ - ა... იკუნტება და თავს აფარებს რასმე...

ი ც რ ე მ ლ ე ბ - ა... ცრემლებსა ღვრის, — ტირის...

ვნებითის ამ ფორმათა სავარაუდო მოქმედებითები (*ბუტავს, *ბუწუწავს, *ყუჟავს, *ცრემლავს და ა.შ.) ენაში არ დასტურდება, შესაბამისად, **ვინ** ჯგუფის სუბიექტიანი ვნებითის ფორმები აქტიურ (ალბათ უფრო მედიალურ) მნიშვნელობას აფიქსირებენ

IV. 4.3.5. ფორმით პასიური და ფუნქციით აქტიური ზმნები. აქტივ-პასივის დაპირისპირების ფუნქციური და სემანტიკური შეუსაბამობის ერთ-ერთ ნიმუშად დასახელებულია ი გ ი ნ ე ბ ა ტიპის, ე.წ. „დეპონენსური ფორმები“ (საყურადღებო ფაქტია, რომ შეუსაბამობა, რაც ზოგადად ქართული ენის სინთეზური ვნებითის ფორმასა და შინაარსს შორის გვაქვს, ა. ჰარისმა პირობითად ტერმინოლოგიური ცვლილებით გადაწყვიტა: აღწერითი ვნებითებისათვის, რომლებიც უფრო ადეკვატურად გამოხატავენ ვნებითობის უნივერსალურ ცნებას, შემოგვთავაზა პ ა ს ი ვ ი, ხოლო ჩვენს გრამატიკულ ტრადიციაში დამკვიდრებულ პასივის სინთეზურ ფორმებს იგი ვ ნ ე ბ ი თ ე ბ ს უწოდებს). წარმოვადგენთ ამ ფორმათა ფუნქციით შეუსაბამო ჯგუფის ზმნათა დახასიათებას.

ფორმით პასიური და შინაარსით აქტიური ზმნები ქართულში „დეპონენსების“ სახელით გამოყო ა. შანიძემ: იძლევა, იბღვირება, იგინება, იკბინება, ილანძღება, ილოცება (=ლოცავს), ილოღნება, იმუქრება, ირწმუნება, ისწავლება, იტანება, იტყუება, იფიცება, იქოლება (=ქოქლას აყრის), იღრინება, იყლაპება, იყურება (გამოიყურება), იცემება, იცქირება, იცოხნება, იწერება, იწყევლება, იჭყიტება, იხედება, იხვეწება და სხვ. დეპონესური ფორმებია არა მარტო **ი**ნიანი, არამედ **ე**ნიანი ვნებითებიც (ეზიდება, ერეკება, ეწევა). „საზოგადოდ დეპონენსური ფორმის დანიშნულებაა, თავიდან აირიდოს რელაცია ანუ მიმართება ობიექტისადმი“, — აღნიშნავს ა. შანიძე.

საბოლოო დასკვნა დეპონენსების შესახებ „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ამგვარადაა შეჯამებული: „...საკითხი დეპონენსების შესახებ ქართულში არსებითად რამდენსამე ზმნას ეხება, რომლებიც აწმყოს წრეში პასივის ფორმას ატარებენ და მნიშვნელობა აქტივისა აქვთ. მყოფადის წრის მწკრივის ფორმები მათ არა აქვთ. იშვიათად უკეთდებათ II და III სერიის მწკრივები“.

„დეპონენსური“ ფორმები სალიტერატურო ქართულში არც თუ ისე იშვიათად იხმარება; ეს ფაქტი სათანადოდ აისახა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

წარმოვადგენთ სათანადო მასალას (გარკვეული ნაწილი აქ წარმოდგენილი „დეპონენსებისა“ განმარტებით ლექსიკონში არაა დამოწმებული):

ი ტ უ რ ტ ლ ე ბ ო დ ა ლამში და ლაფში (ვაჟა);

უნდა გაცნობოთ, ძმებო, ამბავი, იმას თან მოსდევს ახალი ხანა,

რომ კონეტაბლი ხმალსა მიგზავნს და ი ბ ა რ ე ბ ა იმასაც თანა (ვაჟა);

ნუ ი ბ უ წ უ წ ე ბ ი, ბეწვს ნუ იშლი (ვაჟა);

მ ი ი ძ ა ბ ე ბ ი ტრიალს მინდორზე (ვაჟა);

მეცა ვსტირ და ვ ი ტ ყ ი ნ ე ბ ი (რაფ. ერისთ.);

გიგოლა ნაგვიანევად ი მ უ ქ რ ე ბ ო დ ა და ი ბ ი ლ წ ე ბ ო დ ა, ხოლო ზაალი კიდევ კარგა ხანს ი ხ ე რ ხ ე ბ ო დ ა (მ. ჯავახ.);

სულ უკან-უკან ი კ უ ნ ჩ ხ ე ბ ი (ნ. ლორთქ.);

აგერ მ ო ი ლ ა ხ ვ რ ე ბ ა პირქვე დასამარხავი (გ. ლეონ.);

მწუხარების ანძალზე აცმული დედა უღრუბლოდ ი მ დ უ ღ რ ე ბ ო დ ა (გ. ლეონ.);

თან ი ლ ო შ ნ ე ბ ო დ ნ ე ნ, ერთმანეთს თავპირი ჩამოაცალეს (გ. ლეონ.);

მსუნაგად ი ნ ე რ წ ყ ვ ე ბ ო დ ა (დ. შენგ.);

წიწილები ერთიმეორეს აჯირგალებენ, ჭუკჭუკებენ, წიაქობენ, ი კ ო რ ტ ნ ე ბ ი ა ნ (დ. შენგ.);

გველები ნებივრად ი ქ ვ ა რ ქ ვ ნ ე ბ ი ა ნ ოქროს მტვერში (დ. შენგ.);

გვერდით მარახოში ჩხავერი მიდგას, ვ ი წ რ უ პ ე ბ ი, ყალიონს ვუპლაკუნებ და ნაცარს ვ ი ქ ე ქ ე ბ ი (დ. შენგ.);

მიფიცხებულ მჭადს ხმელად ვ ი ხ უ რ ხ ნ ე ბ ო დ ი (დ. შენგ.);

წვიმა ი ჟ ი ნ ჟ ლ ე ბ ო დ ა, კერა ი ბ ჟ უ ტ ე ბ ო დ ა (დ. შენგ.);

ის მაინც არ ისვენებს, ი წ ყ ე ვ ლ ე ბ ა, ი კ რ უ ლ ე ბ ა (დ. შენგ.);

ტყუილად რ ა ს ი ხ ა მ ე ბ ი ? (უიარაღო);

ამდენს რ ა ს ი პ რ ი წ ე ბ ი ? (უიარაღო)...

ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს: ი კ ო რ ტ ნ ე ბ ა, ი კ ა წ რ ე - ბ ა, ი ძ ა გ რ ე ბ ა, ი ბ ე რ ტ ყ ე ბ ა, ი ყ ა ლ ყ ე ბ ა, ი ჩ ი ჩ ქ ნ ე ბ ა, ი გ ე ს ლ ე ბ ა, ი ღ უ ნ ე ბ ა და ა. შ.

ა. შანიძე „საფუძვლებში“ დეპონენსებთან დაკავშირებით ამგვარ შენიშვნას აკეთებს: „ილანძღება“ და „იგინება“ წყვეტილის ფორმით არის მოცემული ამ წინადადებაში: „საღამოზე ანუკა დაბრუნდა, ბევრი იტირა საბრალომ, ილანძღა და იგინა (ვაჟა). ცხადია, რომ ზმნები დეპონენსური გაგებით არის ნახმარი“. „საფუძვლების“ 1953 წ. გამოცემაში ა. შანიძე ამ შენიშვნას დაურთავდა: **„მაგრამ ამჟამად ჩემთვის ნათელი არ არის, თუ როგორ უნდა შეეწყოს მათ ქვემდებარე: „ანუკამ ილანძღა და იგინა“, თუ „ანუკა ილანძღა და იგინა**“. ა. შანიძის ეს შენიშვნა ამ რიგის სხვა ფორმებსაც ეხება. „დეპონენსების“ ერთი ნაწილის ქვემდებარის ბრუნვა წყვეტილში კონტექსტის მიხედვით გაურკვეველი რჩება:

ი-ზმორება: შვილმა თვალები მოიფშვნიტა **გაიზმორა** და წიგნი ჩამოართვა“ (ილია);

ერთი **გაიზმორა,** ერთი კიდევ წამოიწია (ილია)

(გაურკვეველია, **გაიზმორა** ის თუ **გაიზმორა** მან);

იცრემლ-ებ-ა: შეჰკივლა და შეიკივლა, **იცრემლა** და გულს იდარდა (რ. ერისთ.);

ასევე ვერ გადაწყდება II სერიის მწკრივებში ქვემდებარის ბრუნვის საკითხი (**მან** თუ **ის**?) კონტექსტის მიხედვით სხვა შემთხვევებშიც:

ი-ლოც-ებ-ა: მეც გამოვართვი თასი და **დავილოცე** (ვაჟა);

იმუდარება: წავიდა ილო, იბრძოლა, **იმუდარა** (რ. ინან), (**იმუდარა** ილო თუ ილომ?);

წყვეტილი: „[მდინარე] აგერ გეუბნება: როგორ მთის გულიდან წვეთად **გამოიცრემლა,** შემდეგ კი როგორ იქცა ცრემლი ნაკადულად (შ. არაგვ) (იცრემლა, გამოიცრემლა იგი თუ მან);

„— თუმცა შენს ზღვა ბოლმა-ნაღველს ჩემი ნუგეში ვერ სწვდება, მაგრამ მაინც მინდა ყოველდღე გიახლო და თანაზიარ **ვიცრემლოთ**“ (ვ. ბარნ.);

ი-ფურთხ-ებ-ა: „ესე რა ვქენიო, **იფურთხა** და იხეხა ტუჩები (ოთ. ჭილ.) (**იფურთხა** იგი თუ მან?);

იკვებებ-ა: მაგისთანა რამეებზე ფიქრს თავი დაანებე და კარგად **იკვებე** (რ. ინან.);

ი-ჭყიტ-ებ-ა: „უყურადღებოდ **გამოიჭყიტა** თავის კუთხიდან (ილია);

„ისე როგორც მოსცდება შვინდი, რომ ყვითლად აღარ **გამოიჭყიტოს** გაღმა პირიმზითიდამ“ (ვაჟა)...

„დეპონენსებად“ წოდებულ ვნებითი გვარის ზმნათა სუბიექტის ბრუნვის რომელობა II სერიის მწკრივებში, როგორც ზემოთ ვნახეთ, კონტექსტის მიხედვით ყოველთვის არ ირკვევა*. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სათანადო ადგილებზე მკაფიოდ არის მითითებული, რომ რომელიმე მოთხრობითსუბიექტიანი **გაიხედა, დაიღრინა, დაიყეფა** მან და მისთანანი, **იხედავს, დაიღრენს, იყეფებს**... ფორმათა წყვეტილია; ხოლო შესაბამის ვნებითებს (**იხედება**, **იღრინება**, **იყეფება**...) ან არ ეწარმოებათ II სერიის მწკრივები, ანდა, თუკი ეწარმოებათ, სუბიექტი სახელობით ბრუნვაში იქნება წარმოდგენილი. ეს ასეა, მაგრამ ზოგჯერ გაუგებრობას იწვევს იმგვარი შემთხვევები, როცა აქტიური შინაარსის ვნებითებს წყვეტილსა და II კავშირებითში ორდინარული სახელობითსუბიექტიანი ფორმების პარალელურად მოთხრობითსუბიექტიანი ფორმებიც მოეძევებათ. მაგ., **იმუქრება, იფხორება, იკრიჭება...** ფორმებს II სერიაში შეესაბამება **დაიმუქრა, გაიფხორა, გაიკრიჭა** იგი II მან. მოთხრობითსუბიექტიან ფორმათა სავარაუდო აწმყო ***დაიმუქრებს**, ***გაიფხორებს**, ***გაიკრეჭს**... კი არ დასტურდება. ამას გარდა, ვნებითის ზოგიერთი ფორმა ქეგლ-ის მიხედვით მხოლოდ აწმყო ფორმებში გვაქვს დამოწმებული, ჩვენი მასალის (ძირითადად „განმარტებითი ლექსიკონის“ შემდეგდროინდელი ტექსტების) მიხედვით კი ამ ფორმებს წყვეტილისა და II კავშირებითის მწკრივები ეწარმოება (მაგ.: იყურება — იყურა, იფურთხება — იფურთხა, იზიდება — გაიზიდა,

* აქ არ იგულისხმება მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმები წყვეტილში: **შეიგინ-ენ, გაილანძღ-ენ** ისინი და **იგინ-ეს, ილანძღ-ეს** მათ...

იქადნება — დაიქადნა, იწევა — დაიწია...), სუბიექტის ბრუნვას კი კონტექსტი ვერ გვირკვევს.

II სერიის (იშვიათად, თურმეობითის) მწკრივთა წარმოების მიხედვით აქტიური შინაარსის **ი-** პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებში შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი:

1. ვნებითები, რომელთაც II სერიის ფორმები არ ეწარმოებათ: **იძლევა, იკბინება, ირწმუნება, ისწავლება, იცემება** და სხვა.

2. ვნებითები, რომელთაც ეწარმოებათ II სერიის ფორმები: **იღვრიმება — დაიღვრიმა, იზმორება — გაიზმორა, იხედება — გაიხედა...**

II სერიის ფორმებში სუბიექტის ბრუნვის გათვალისწინებით სამი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) წყვეტილში სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი: **იღვრიმება — დაიღვრიმა** ის, **იმუდარება — იმუდარა** ის, **ითხუპნება — ითხუპნა** ის და სხვა.

ბ) სუბიექტი შეიძლება იდგეს როგორც სახელობითში, ასევე მოთხრობით ბრუნვაში: **გაიზმორა** ის II მან, **დაიბერტყა** ის II მან, **მოიკეცა** ის II მან, **დაიბღვირა** ის II მან, **გაიჭვრიტა** ის II მან, **გაიკრიჭა** ის II მან, **დაიღრიჭა** ის II მან...

გ) სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას: **იხედება** ის — **გაიხედა** მან, **იღიმება** ის — **გაიღიმა** მან, **იღრინება** ის — **დაიღრინა** მან...

უფრო კონკრეტულად:

1. ამ ჯგუფში გაერთიანებულ **იძლევა** ტიპის ზმნების შესახებ ა. შანიძე შენიშნავს: „**იძლევა** განმარტოებით არ დგას ქართულში, არის რიგი ზმნებისა, რომელთაც დეპონენსური ხასიათი აქვთ და მარტო აწმყო წრის მწკრივებში იხმარებიან“.

ი-ჩვენებ-ა: „მრისხანებით ტუჩებს იკვნეტდა, მუშტებს **იჩვენებოდა**“ (ვაჟა);

იცემებ-ა: „ბატონი შიკეტი გახელებული მივარდა ავაზაკს, დაუწყო ცემა, როგორც **იცემება** ხოლმე გაქურდული სოფელი“ (დ. კარიჭ.);

„ეეი, ის უღმერთოები, რანაირად **იცემებოდნენ**“ (ნ. ლორთქ.);

ი-ორთქლებ-ა: „ი რაცხაა, ქშინავს და **იორთქლება,** პარავოზია თუ რაცხა (ნ. ლორთქ.);

ი-სწავლებ-ა: „შენითანები ვიყავით იქა, რო ჭკუას **ისწავლები**“ (ანტ. ფურც.);

ი-ღერღებ-ა: „რას **იღერღები** ძაღლივითა! (გ. ლეონ.);

ი-რწმუნებ-ა: „მამა რაღაცას **ირწმუნებოდა**“ (რ. ინან.);
მი-იძაბებ-ა: „**მიიძაბები** ტრიალს მინდორზე“ (ვაჟა).

ა. შანიძეს ამ რიგის ოცზე მეტი ზმნა აქვს ჩამოთვლილი. II სერიის ფორმები არ ეწარმოება აგრეთვე კაუზატიურად ნაწარმოებ ვნებითებს: **ითვლევინება**, **იტყობინება**, **იკვლევინება**...

2. ამ ჯგუფში გაერთიანებული ვნებითები განსხვავდებიან II სერიის ფორმებში სუბიექტის ბრუნვის მიხედვით:

ა) ზმნათა ერთ რიგს სუბიექტი სახელობით ბრუნვაში შეესაბამება, როგორც ორდინარულ ვნებითს: **ითხუპნება — მოითხუპნა** იგი, **იკლაკნება — დაიკლაკნა** იგი, **იპრანჭება — გაიპრანჭა** იგი, **იტყლარჭება — გაიტყლარჭა** იგი, **იმრიზება— აიმრიზა** იგი და სხვა.

იმრიზება: „გიორგი **აიმრიზა**“ (ილია); „ზაალიც **აიმრიზა**“ (მ. ჯავახ.);
იღვრიმება: „ჰხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა, უფრო **დაიღვრიმა,** უფრო გული დაიხურა“ (ილია);
იზიდება: „სატრფოსკენ მედგრად **გაიზიდა**“ (ა. ყაზბ.);
იწველება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ეს ფორმა მხოლოდ აწმყოს წყებაში იხმარება, თუმცა შდრ.: „გამოდით, **მოიწველენით,** ტაგანა მზად არის“ (გ. ლეონ.).
იხარჯება: „რამდენი **ვიხარჯეთ,** რამდენი ვეძებეთ“ (უიარაღო).
იჭრება: „**შეიჭრა** სადმე ტყის სიხშოში და გზა ვეღარ გამოუგნია“ (დ. თურდ.)...

ბ) ამ ქვეჯგუფში გაერთიანებულ ვნებითი გვარის ზმნებთან სუბიექტის ბრუნვად სახელობითის პარალელურად მოთხრობითიც შეიძლება მოგვევლინოს:

ი-ბღვირ-ებ-ა: „სტეპანი **მოიბღვირა,** საფეხურებს შეუყვა“ („ლიტ. საქ.“);
„მაიორმა ჩალურ წვერში **ჩაიბღვირა**“ (მ. ჯავახ.);
ი-ჭვრიტ-ებ-ა: „ჰმ, ვითომ მუცელი ატკივდა ამ მელაკუდას! — თქვა ზამთარაძემ, წამოიწია, ფანჯრიდან აივანზე **გაიჭვრიტა**“ (ჭ. ამირეჯ.) (**გაიჭვრიტა** ის თუ მან?);
„დ ე მ ბ ი ნ მ ა კატორღელთა საკანში კიდევ დიდხანს **იჭვრიტა**“ (ჭ. ამირეჯ.);
მ ზ ე მ... **გამოიჭვრიტა** („კომუნისტი“).
იღრიჯება: ᶜჩ ი ნ ო ვ ნ ი კ ი¹ თავმომწონედ **გაიღრიჯა** (ეკ. გაბ.); ქეგლ
„გ რ ი გ ო ლ ა ი ტ ი ც ოდნავ **გაიღრიჭა**“ (ჰ. ფალადა);
„ბ ი ლ ი მ **გაიღრიჯა**...“ („საუნჯე“);
იბერტყება: „კ ა კ ო ერთი **შეიბღერტა**“ (დიალექ., ლ. მრელ.);

„მართალს ამბობ, გვიანობა აღარ ვარგა — უპასუხა მოხევემ, **შეიბერტყა** და ქუდის მოხდით დაუმატა (ა. ყაზბ.); (**შეიბერტყა** მან?);

იმუქრება: „ახლა-კი მოგივლი, შე ლაწირაკო!“ — **დაიმუქრა** გ ი ო რ გ ი და მეორე დღესვე ბოქაულს ეწვია“ (ი. გედევ.);
„ჩილეს სამხედრო-ფაშისტური ხუნტის მ ე თ ა უ რ მ ა პინოჩეტმა **დაიმუქრა,** რომ სასტიკად გაუსწორდება ქვეყნის იმ ძალებს...“ („კომუნისტი“);

იწყევლება: „როცა მაბრაზებენ, რომ არ **დავიწყევლო**, არა მაქვს მოთმინება, **ვიწყევლები** (ვაჟა, ქეგლ);
„რომ არ **დავიწყევლო**“ — აქ ზმნა თითქოს ერგატივში დასმულ სუბიექტს უფრო იგუებს, მაგრამ შდრ.: „ჯავრისმოსვლით **დაიწყევლა** ი ვ ა ნ ე “ (ე. ნინოშ.);

იტანჯება: „ი გ ი **იტანჯა** სიყვარულისთვის“ (ვაჟა);
„მეც მაგას ვეძებ, **ლეშმა იტანჯოს,** მხოლოდ კი, მხოლოდ სული არ წაწყმდეს“ (ვაჟა);

ი-წევ-ა: „**მზე** ოდნავ **აიწია**“ (ნ. დუმბ.);
შდრ. „**მზემ** ისევ **აიწია**“ (ნ. დუმბ.);

ი-კეცებ-ა: „პ ა ტ ა რ ძ ა ლ ი შიშისაგან იქვე **ჩაიკეცა**“ (გ. ლეონ.);
„ჩვენი ბანაკი შარაგზა ხომ არ არის, რომ ყველა ვ ი გ ი ნ დ ა რ ა მ აქ **მოიკეცოს**“ (მ. ჯავახ.);
„თამარ მეფეზე უფრო ძლიერი მეფეები კი არ იყვნენ? — იკითხეს მეურმეებმა, რ ო მ ლ ე ბ მ ა ც **მოიკეცეს**“ (ს. მგალ.);
„პატიოსანმა პ ი რ უ ტ ყ ვ მ ა ტკივილისაგან უკანა მუხლებით **ჩაიკეცა**“ (ა. ყაზბ.);

ი-ზმორ-ებ-ა: „მაჰმუდი ჯერ **გაიზმორა** “ (ჭ. ამირეჯ.);
„კაცებმა გაიღვიძეს, **გაიზმორნენ**“ („ივერია“);
„ყმაწვილმა განგებ **გაიზმორა**“ (ნ. ლორთქ.);
„ქალმა აგზნებით **გაიზმორა**“ (ნ. ლორთქ.);

ი-ტურნებ-ა || **იტრუნება** || **იტვრინება:**
„ბიჭები **გაიტრუნენ**“ (ლ. მრელ.);
„ახლა კი **გაიტრუნა** მოედანი“ (ლ. მრელ.);
„თ ე ვ დ ო რ ე მ **იტურნა** და თავისთვის მიჯდა გამხმარი ჯოყრების ძირში“ (ვაჟა);
„**ძალლმა იტვრინა**“ (გ. ხორგ.);

ი-კრიჭებ-ა: „მათი ბრწყინვალება ყველის ვაჭარივით **გაიკრიჭა** და მეტი არა სთქვა-რა“ (გ. წერეთ., ქეგლ);
შდრ.: „დიტომ ამ გახსენებაზე თითქოს გაცინებით **გაიკრიჭა**“ (გ. წერეთ.);
„**გაიკრიჭა** ისევ გურამი“ (ნ. დუმბ.);
„კრეჭანამ **გაიკრიჭა** და მივიდა... კრეჭანამ ისევ **გაიკრიჭა**“ (რ. ინან.);
„**გაიკრიჭა** ჭაბუკმა და ნინიაც გააცინა“ (ნ. შამან.).

ი-ლოცებ-ა: დაილოცა იგი (იხ. ქეგლ)
„მასპინძელმა **დაილოცა** და სასმისი შემოგვთავაზა“ (ს. კლდ.);

ი-შმუშნებ-ა: „**ზოგი** უსიამოდ **შეიშმუშნა** მხოლოდ“ (მ. აბაშ.);
„სტუმარი **გაიშმუშნა**“ (აკაკი);
„და განაწყენებულმაც რომ **შეიშმუშნოს,** მაინც უნდა ვუთხრათ, რაც სათქმელია“ („ლიტ. საქ.“).

ი-ლანძღებ-ა: „შე ხეპრევ, შენა, **გაილანძღა** ტოსკანელი ჩვეულებისამებრ“ (ვაჟა);
„რა ვქნა, რომ ვერაფერი შევასმინე მაგ მამ... — აქ **გაილანძღა** გაგულისებული გენო“ (ან. ერისთ.-ხოშტ.);
„ბართლომემ უთხრა „ქოფაკო“ და **ილანძღეს** და **იგინეს**“ (ნ. ლორთქ.) (სუბიექტი ერგატივში დგას).

ი-გინებ-ა: „სალდათებმა მიიხედ-მოიხედეს, რამდენჯერმე დაურიდებლად, რუსულის წესით **შეიგინენ** სახლის მოუწყობლობაზედ და მიესივნენ კერას“ (ა. ყაზბ.) (შეიგინ-**ენ** ისინი), შდრ.: „ილანძღეს და **იგინეს** (მათ)“;
„ფარნაოზმა **შეიგინა**“ (ოთ. ჭილ.).

ი-ფხორებ-ა: „თავი მოივაჟკაცა, ცოტა **აიფხორა** კიდეც“ (გ. ხორგ.):
„სილიბისტრომ **წამოიფხორა**“ (მ. მრევლ.).

ი-ყურებ-ა: „ინომ თვალი ვეღარ მოაშორა ვარსკვლავს, იქამდე **იყურა,** სანამ თვალები არ აებლანდა“ (ოთ. ჭილ.);
„ცოტა ხანს **ვიყურეთ**“ („ცისკარი“);
„რევაზმა მდუმარედ გადაფურცლა ბლოკნოტი, მცირე ხანს **იყურა** შიგა“ (ლ. მრელაშ.);
„კარგა ხანს იყურა აქეთ-იქით“ („საუნჯე“).

და-ი-ბღოტებ-ა: „იარა, **იბღოტა,** განთიადის სველ ბინდში, ოფლი ჩამოდიოდა“ (რ. ინან.). (ნათელი არაა სუბიექტის ბრუნვა: **იბღოტა ის** თუ **მან**?).

გ) ამ ქვეჯგუფში დასახელებული ვნებითების უღვლილების პარადიგმა ნარევია: ის ვნებითი გვარის აწმყო წრისა და მოქმედებითი გვარის სასუბიექტო ქცევის ისეთი ფორმებითაა შევსებული, რომელთაც შესიტყვებაში პირდაპირი დამატება არ უჩანთ; ამჟამად აღიქმება ერთ მთლიან პარადიგმად:

ი-ყეფებ-ა: „ამ დროს **ძაღლმა,** რომელიც შორი-ახლო იწვა და წაეყო ცხვირი მიწაში, **დაიყეფა**“ (ილია);
„გაუშვი, **იყეფოს, იყეფოს**“ (ოთ. ჭილ.);
„დათოვილმა ძაღლმა ჯერ **იყეფა**“ (გ. ლეონ.).

ი-ღრინებ-ა: „თითქოს ნადირმა ძილში **დაიღრინაო**“ (ოთ. ჭილ.).

ი-ღიმებ-ა: „უწინდულა აღარ მძგერს ნატყვიარში, გ უ ლ მ ა ც უფრო **იღიმა** — უპასუხა ბესიამ“ (ე. ნინოშ.);
„ე ზ ო მ **გაიღიმა**“ (მ. ჯავახ.).
სუბიექტი სახელობით ბრუნვაშიც დასტურდება:
„**გაიღიმა** ა ჩ რ დ ი ლ ი : რათ მეძახი ოსტატო“ („ორიონი“).

ი-ქადნ-ება: „ავკაფავ მაგ ჯაგნარა ყაზახს“ — **დაიქადნა** ძ უ კ უ მ “ (უიარაღო);

ი-ხედებ-ა: „გ ი ო რ გ ი მ უკან აღარ **მოიხედა**“ (ილია);
„მელმა **აიხედა**“ (ვაჟა).

(შე)-ი-კურთხებ-ა: „დამპალია ეს შობელძაღლი“ — **შეიკურთხა** თავისთვის“ (ავთ. ჩხიკვ.);
„ერთი მაგისი ოხერი... — **შეიკურთხა** გ უ რ ა მ მ ა “ (დ. ასკურავა).

ი-ცქირებ-ა: „**იცქირეთ, შემოიცქირეთ,** არა გნებავთ ძროხის არტალა?!“ (ვაჟა);
„ზემოთ ცაში ავედი, რამდენიც კი შემეძლო, **ვიცქირე**“ (ნ. ლორთქ.);
„გარეთ კარგა ხანს **იცქირა**“ (ლ. მრელ.);

სუბიექტის ბრუნვა ამ კონტექსტში არაა გარკვეული (იგი თუ მან?), მაგრამ, შდრ.: „**შავლეგომ** ვედროში მცირე ხანს **იცქირა**“ (ლ. მრელ.).

ბ) და გ) ქვეჯგუფში წარმოდგენილ მოთხრობითსუბიექტიან ზმნათა ნაწილს აწმყოში სათანადო მოქმედებითი ფორმები ეძებნება: **იხედავს, მოიკეცავს, დაიყეფს, გამოჭყეტს, შეიგინებს, გაიღიმებს, იფურთხებს...**

ეს ფორმები შედარებით იშვიათია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, და, თუკი იხმარება, როგორც წესი, მყოფადის დროებში

(იშვიათი გამონაკლისის გარდა); აწმყოს დროებში წარმოქმნილ ხარვეზს ვნებითის სათანადო აქტიური შინაარსის ფორმებით ავსებს (იხედავს II **იხედება, იგინება, იზმორება**...); შემთხვევითი არ არის, რომ ამგვარი ვნებითები „თავს არიდებენ“ ე. წ. მყოფადის წრის მწკრივების წარმოებას. სათანადო მნიშვნელობა მოქმედებითის ფორმებითაც გამოიხატება (**გაიხედავს**, **შეიგინებს**, **გაიზმორებს**, **დაიყეფებს**...); იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოთხრობითსუბიექტიანი ფორმები ვნებითის პარადიგმის გაგრძელებაა II სერიაში. ეს „გათავისება“ კი დამოკიდებულია შესაბამისი გარდამავალი ფორმის აწმყოში ხმარების სიხშირეზე. მაგ.: რომელიმე **იხედება** ის — **გაიხედა** მან ქართულში უკვე ერთ პარადიგმად აღიქმება და ამის მიზეზი **იხედავს** ფორმის ხმარების იშვიათობაა (**იხედავს — გაიხედა > იხედება — გაიხედა**); **იჩოქებს** ის — **დაიჩოქა** მან კი შედარებით მყარი პარადიგმაა, რადგან **იჩოქება — დაიჩოქა** ფორმათა ხმარება ქართულში იმდენად იშვიათია, რომ განმარტებით ლექსიკონში არც აღნუსხულა („**ჩაიჩოქები** და ატირდები“ („ლიტ. საქ.“); „დაბნეული **დავიჩოქე**“ (დია ჩიანელი); „თათია **წამოიჩოქა**“ („ცისკარი“). ასევე იშვიათია **იმუხლება** ფორმა („ფიქრები ხან ძირკვებმოქცეულივით... **იმუხლებოდნენ**“ („ნობათი“) და ამდენად **ჩაიმუხლებს** ის — **ჩაიმუხლა** მან მყარი შესიტყვება ჩანს.

იხედება იგი — **გაიხედა** მან (შერეული პარადიგმის) ტიპის ზმნათა ანალოგიით შეიძლებოდა აგვეხსნა მოთხრობითსუბიექტიან **იცქირა, დაიმუქრა, წამოიფხორა, შეიკურთხა...** (მან) ფორმათა არსებობა II სერიაში; მათ აწმყოში სათანადო მოქმედებითის ცალები არ ეძებნებათ, ე. ი. არ გვაქვს ***იცქერს, *იმუქრებს, *იფხორებს, *იკურთხებს**..., სამაგიეროდ დასტურდება ვნებითის ფორმები **იცქირება, იმუქრება, იფხორება, ⌜შე⌝იკურთხება** წყებისა... მაგრამ, რადგან ეს „ანალოგია“ მხოლოდ განსაზღვრული რიგის — აქტიური შინაარსის — ვნებითებს მოიცავს, ვფიქრობთ, რომ სწორედ ვნებითის ფორმათა აქტიური შინაარსის მიზეზია მოსაძიებელი.

იმის მიზეზად, რომ ვნებითის ზოგ ფორმას მოქმედებითის ფუნქცია აქვს, ა. შანიძე ვნებითის ამ ფორმათა (**ი**ნიან ვნებითების) სათავისო ქცევიდან წარმომავლობას თვლის; თუ მხოლოდ ესაა მიზეზი, მაშინ აქტიურობა ამგვარი გზით მიღებული ვნებითების ყველა ფორმას (ე. ი. ყველა **ი**ნიან ვნებითს) უნდა შეეხოს, ეს კი ასე არაა.

აქ გასათვალისწინებელია ქართულში გვარის კატეგორიის ფუნქციონირების განმსაზღვრელი პირობა: გვარის საკითხი წყდება საპირისპირო ფორმათა პარალელური არსებობით კონვერსიის ნიადაგზე.

ვნებითის ფორმა მოქმედებითიდან იწარმოება კონვერსიის გზით. კონვერსიის მექანიზმი კი ასეთია — მოქმედებითი გვარის პირდაპირი ობიექტი ვნებითი გვარის ფორმაში სუბიექტად გვევლინება ხოლმე.

თუ ჩვენთვის საინტერესო აქტიური შინაარსის **ი**ნიან ვნებითებს გვერდით სათანადო მოქმედებითებს ამოვუყენებთ, გვექნება მოქმედებითი გვარის ფორმათა ორი მოდელი: 1. **ა + ფუძე + სუფიქსი,** 2. **ფუძე + სუფიქსი**

პირველი მოდელით (ა + ფუძე + სუფიქსი) ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები უპირატესად კაუზატიური შინაარსისანი არიან: **აყეფებს** ის მას, **ᲠგაᲬაღიმებს** ის მას, **ალოცებს** იგი მას, **აჩხუბებს** ის მას... ობიექტი აქ ყოველთვის აქტიური ია (სულიერი), **მოქმედების შესრულებელი,** შესაბამისი ვნებითის სუბიექტიც აგრეთვე, აქტიურია: **იყეფება, იღიმება, ილოცება...** (ის), **წაიჩხუბებიან** (ისინი)... ის ფაქტი, რომ მოქმედებითი გვარის ზმნების ობიექტი თვითონ გვევლინება მოქმედების შემსრულებლად, შეგვეძლო ჩაგვეთვალა შესაბამისი ვნებითის სუბიექტის აქტიურობის მიზეზად (მოქმედებითი გვარის პირდაპირი ობიექტი = ვნებითი გვარის სუბიექტს).

ამათ გვერდით გვაქვს **აზმორებს** ის II მას, **აფურთხებს** ის (ან, ის მას), **აჭყეტს** ის თვალებს... ა + ფუძე + სუფიქსი მოდელით ნაწარმობი ფორმები და, ასევე, ფუძე + სუფიქსი მოდელით ნაწარმოები **ბერტყავს** ის მას, **კეცავს** ის მას... ფორმები.

ჩამოთვლილ ფორმათაგან **აზმორებს** ის / მას, **აფურთხებს** ის მხოლოდ ფორმითაა მოქმედებითი გვარისა — უახლოესი ობიექტი ამათ არ მოეძევებათ. კონტექსტში **აფურთხებს** ფორმა ორპირიანადაც შეიძლება წარმოგვიდგეს (ის მას), მაგრამ ეს ობიექტი პირდაპირი ობიექტი არაა (**აფურთხებს** ის მას — **მიაფურთხა** მან მას); ამდენად კონვერსიის პირობა ამ ე. წ. მოქმედებითი (აზმორებს ის / აზმორებს მას, აფურთხებს ის მას / აფურთხებს ის და ვნებითი გვარის (იზმორება ის, იფურთხება ის) ფორმებს შორის აქ ვერ იქნება დაცული. რაც შეეხება ფორმებს — **ბერტყავს** ის მას, **კეცავს** ის მას, **აჭყეტს** ის თვალებს — მათ აქვთ შესაბამისი ორდინარული ვნებითები (**იბერტყება** ვიღაცისგან, **იკეცება** ბადე ვიღაცის მიერ). ამ ზმნათა პირდაპირი ობიექტი არაა ის აქტიური ობიექტი, რომელიც **იჭყიტება, იბერტყება** (თვითონ იბერტყავს), **იკეცება** (თვითონ მოიკეცავს) ფორმებთან სუბიექტად წარმოგვიდგება.

ვნებითის აქტიურ ფორმებთან სუბიექტის ფარდი სახელი სულიერთა კლასის (ძირითადად **ვინ** ჯგუფის) წარმომადგენელია, მაგრამ,

ჩვენი აზრით, მხოლოდ ეს ფაქტი არ გამოდგება ვნებითის აქტიური შინაარსის ამხსნელად. ერთი და იგივე სუბიექტი — ს უ ლ ი ე რ თ ა კლასის წარმომადგენელი — ერთსა და იმავე ფორმაში შეიძლება პასიურადაც გაიაზრებოდეს — **იბერტყება** ის ვიღაცის მიერ (= იცემება ვიღაცის მიერ) და აქტიურადაც — **იბერტყება** ის (იბერტყავს თვითონ მტვერს); პასიურია ს უ ლ ი ე რ თ ა კლასის გამომხატველი სუბიექტი სხვა შემთხვევებშიც: **მოიკლა** კაცი (ფრანგნი ამბობენ, ღმერთო, რა მხნე კაცი მოიკლა „სიმღერა როლანდზე“), დაიჭრა დათვი... ე. ი. დამოკიდებულება სულიერსა და აქტიურს შორის ამ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანი არაა — ერთი მეორეს არ ნიშნავს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი ფაქტია საყურადღებო: აქტიური შინაარსის მქონე ვნებითი გვარის ზმნათა საპირისპირო მოქმედებითები სათავისო ქცევის ფორმებთან სათანადო შესიტყვებებში უობიექტოდაა წარმოდგენილი: **იხედავს** (შდრ.: იხედება):

„იწმენდს, **იხედავს** ხელზე, ტირის“ (ს. მგალ.);

„ცისკენ **აიხედავდა** და ტიროდა“ (ნ. ლორთქ.);

გამო-ი-ჭვრეტს (შდრ.: ⌜გამო⌝იჭვრიტება):

„იქამდისანი ენერგიულად **გამოიჭვრეტს** იმისი სახე“ (ილია);

გამო-ი-ჭყეტს (შდრ.: გამოიჭყიტება):

„მზე ხან **გამოიჭყეტს** და ხან ღრუბლებში ეხვევა“ (აკაკი);

ი-ტყუებს (შდრ.: იტყუება):

„ოთარაანთ გიორგის რა მოწმე უნდა? ღმერთმანი, **იტყუებს**-და! — სთქვა ვიღაცამ“ (ილია);

„თუ ღმერთი გწამს, ნუ **იტყუებ!** თქვი მართალი“ („ივერია“, 1890);

და-ი-ყეფ-ებ-ს / და-**ი**-ყეფ-ს (შდრ.: ⌜და⌝იყეფება):

„**იყეფებიან**, ვეღარ გავიგონებ, საიდან რა ხმა წამოვა“ (ჭ. ამირეჯ.)

„რომელიც არ გვიცნობს, **დაიყეფს** და გაჩუმდება“ (ნ. ლორთქ.);

„ყორანას მურა ტყუილად არ **იყეფებოდა**“ („ცისკარი“);

შე-ი-გინებს (შდრ.: შეიგინება):

„— პატრონივით არი, მაგის, — **შეიგინებდა** მიტო, თავს შეაქანებდა და გოგიას შეუძახებდა“ („კომუნისტი“);

გა-ი-ზმორ-ებ-ს (შდრ.: გა-**ი**-ზმორ-ებ-ა):

„როცა მოიგუნებებდა, ერთს ლაზათიანად **გაიზმორებდა** და ამას იტყოდა“ (ილია);

„ხატაურა ოდნავ წაიკრუტუნებდა, ზარმაცად ოდნავ **გაიზმორებდა**“ (შ. არაგვ.);

გა-ი-ღიმ-ებ-ს: (შდრ.: ⌜გა⌝-ი-ღიმ-ებ-ა):

„ქორღუყო სიამოვნებით **გაიღიმებდა**, რადგან ამ საქციელში განუსაზღვრელ სიყვარულს ხედავდა“ (ალ. ყაზბ.);

„მაშინ პირველად **გაიღიმებ**“ (ნ. ლორთქ.);

მო-ი-კეც-ავ-ს (შდრ.: მო-ი-კეც-ებ-ა):

„ანუ რა სიტყვებს შეეძლოთ გამოხატვა ქაიხოსროს სიამოვნებისა მაშინ, როდესაც ის **მოიკეცავდა** ხალიჩაზედ, დაებჯინებოდა კალთაში ჩადგმულ მუთაქას“ („მოამბე“, 1894);

ი-ლოც-ებ-ს / ი-ლოც-ებ-ა:

„მოდი და ჩვენს ხელმწიფეზე ნუ **ილოცებ**“ (ნ. ლორთქ.);

„ისევ აქ მოვა, თავის ეკლესიაზე **ილოცავს**“ (ნ. ლორთქ.);

ი-ფურთხ-ებ-ს (შდრ.: ი-ფურთხ-ებ-ა):

„ხელში ისევ წიგნი უჭირავს, თითზე **იფურთხებს** და ისე ფურცლავს“ (დ. შენგ.);

„დიმო დახეთქილ ხელისგულზე **დაიფურთხებდა** და ღონივრად უთავაზებდა მინიშნებულ ადგილს“ (გ. ხორგ.).

აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათათვის გენეტიკურად ამოსავალი მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმაა, სათავისო ქცევის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები კი მხოლოდ ფორმალურადღა არიან სათავისო ქცევისა, რადგან შესიტყვებაში პირდაპირი ობიექტი არ დასტურდება და მხოლოდ სუბიექტია წარმოდგენილი: **იხედავს** იგი..., შესაბამისად, მისგან მომდინარე, ვნებითის ფორმაშიც ეგევე სუბიექტი წარმოჩნდება — აქტიური სუბიექტი, მოქმედი (აგენსი): **იხედავს** იგი / **იხედება** იგი... აქტიურობა-პასიურობა კი სხვადასხვა სუბიექტს უკავშირდება.

იხედავს / იხედება (იგი) ტიპის ფორმათა შორის შინაარსობრივი სხვაობა შესიტყვების სტრუქტურის სხვაობის დარღვევასთან ერთად (გარდამავალი ზმნა უობიექტოდ წარმოგვიდგება) იშლება. სინტაქსურ დონეზე მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს შორის მომხდარ ნეიტრალიზაციას დაერთო ნეიტრალიზაცია სემანტიკურ დონეზე. განსხვავება მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს შორის ამ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურია; **იხედება** („წინაც კი არ **იხედები**“; მ. ჯავახ.) აქტიური მნიშვნელობით აღარაა **ხედავს ის მას** ფორმის კონვერსიული სახე, რადგან ორსავე ფორმაში, ერთი, აქტიური სუბიექტი გვაქვს.

როდესაც გვარის ფორმებს შორის კონვერსიის პირობა დაცულია, მაშინ ვნებითიც ჩვეულებრივი გვექნება:

ხედავს ის მას (ტყიან სერებს) — შდრ.: „მდინარეები გარულა და ფასკუნჯა რომ შეერთდებიან, იქიდან სამხრეთისაკენ დიდი ტყიანი სერები **იხედება**“ (გ. წერეთ.).

ამგვარად, **იხედება** ვნებითის ფორმას (აქტიური მნიშვნელობისას) ფუნქციურად შესაბამისი მოქმედებითის ფორმა არ გააჩნია.

გამოიყოფა კიდევ ერთი რიგის ვნებითები, რომელთა სათანადო მოქმედებითს სათავისო ქცევის ფორმაში პირდაპირ ობიექტად აქვს რეფლექსივი „თავი“ (ან საკუთარი სხეულის ნაწილები), ე. ი. სუბიექტი მოქმედებს თავისთავზე; იგი თვითონვეა მოქმედების შემსრულებელიც (აგენსი) და მოქმედების ობიექტიც (პაციენსი): **იტანჯავს** იგი თავს... შესაბამისი ვნებითის ფორმაში სუბიექტი შეიძლება პასიურადაც გავიაზროთ და აქტიურადაც: **იტანჯება** ვიღაცისგან, რაღაცის გამო, და **იტანჯება** თვითონ (თავს იტანჯავს), ამიტომ წყვეტილში სახელობითის გვერდით გვაქვს სუბიექტის მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციაც: **იტანჯა** იგი / მან.

იმუქრება, იცქირება, იფხორება, შეიკურთხება, გადაიწვერება, გადაიხრება... ფორმები აქტიური შინაარსისაა და მოთხრობითსუბიექტიანი კონსტრუქციაც შეიძლება ჰქონდეს II სერიის მწკრივებში (სახელობითსუბიექტიანის გვერდით): **დაიმუქრა** მან, **იცქირა** მან, **გაიფხორა** მან, „**მზემ გადაიწვერა** და ჩაესვენა მთებს იქით“ („ივერია“). „**მზემ გადაიხარა**“ (ალ. ყაზბ.)... თუმცა ამ ზმნათა სათანადო გარდამავალი ცალები სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება. ე. ი. ენაში გვაქვს ვნებითის ფორმები და არა გვაქვს საპირისპირო მოქმედებითები; რაკი გვარის კატეგორია საპირისპირო ფორმათა არსებობას გულისხმობს, ამდენად, „უცალო ვნებითები“ ფორმალურად არის ვნებითი და არა ფუნქციურად“. სუბიექტი აქ მოქმედია და არა ვნებული — ვნებითის ფორმის აქტიურ შინაარსსაც ეს ფაქტი განსაზღვრავს.

ქართული ენის სათანადო მასალის ზემოთ ჩატარებული ანალიზი ამგვარი დასკვნის საშუალებას გვაძლევს: ვნებითის ფორმათა აქტიური შინაარსი გაპირობებულია შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნით, მოქმედებითი გვარის ზმნის შესიტყვებაში მომხდარი სტრუქტურულ-სემანტიკური ცვლილებები ვნებითებშიც აისახება, ან უფრო კონკრეტულად — ვნებითი შეიძლება აქტიური შინაარსის იყოს:

1. თუ სუბიექტად ვ ი ნ ჯგუფის (სულიერი) სახელი აქვს;

2. თუ სათანადო მოქმედებითის ცალი არ გააჩნია (*აცქერს — იცქირება ის, იცქირა მან; *შეიკურთხებს — შეიკურთხება ის — შეიკურთხა მან...);

3. თუ ოპოზიციური წყვილი (აქტივი — პასივი) მხოლოდ ფორმალურადაა დაპირისპირებული (აფურთხებს ის მას — იფურთხება ის, კბენს ის მას — იკბინება ის...), მაგრამ ეს დაპირისპირება მოჩვენებითია; მოქმედებითი გვარის ფორმას პირდაპირი ობიექტი აკლია (კბენს ის მას — უკბინა მან მას, აფურთხებს ის მას — მიაფურთხა მან მას...) და კონვერსიის პირობა აღარ არსებობს. მთავარი მიზეზი ვნებითის ფორმათა აქტიურობისა სწორედ გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის კლებასთანაა დაკავშირებული: **ი-** პრეფიქსიანი სასუბიექტო ქცევის ფორმები, რომლებიც **ი**ნიანი ვნებითებისათვის ძირეულები ჩანან, უობიექტონი არიან, შდრ., ვნებითები: **იხედება, იჭვრიტება, იტყუება, იყეფება, შეიგინება, გაიზმორება, ილოცება, იფურთხება, იწევა...** და სათანადო უობიექტო „მოქმედებითები“: **იხედავს, გამოიჭვრეტს, იტყუებს, იყეფებს, შეიგინებს, გაიზმორებს,** (თითზე) **იფურთხებს, იწევს...** (იგი...) — მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები მხოლოდ ფორმალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სინტაქსურად და ფუნქციურად ერთნი არიან, ერთი და იგივე აქტიური სუბიექტი აქვთ: ამიტომ მათი პარადიგმების შერევაც ბუნებრივი ჩანს.

აქტიური სუბიექტი აქვთ **იმალება, იტანჯება**... ფორმებსაც, რომელთა საპირისპირო მოქმედებითი გვარის სასუბიექტო ქცევის ფორმებს პირდაპირ ობიექტად უკუქცევითი ნაცვალსახელი „**თავი** მოუდის: **თავს იმალავს, თავს იტანჯავს...** შდრ.: — იმალება, იტანჯება (თვითონ): „ვაჭარი და დავითი **თავს იმალავდნენ,** რადგანაც სულთნისა ეშინოდათ“ (ი. გოგებ.) — [ლომი] ნადირთა თავზარდამცემი ახლა **იმალვის თავადა** (ვაჟა, ქეგლ).

აქტიური შინაარსის ვნებითების უღლების ნაკლული პარადიგმის შევსება მოქმედებითი გვარის სასუბიექტო ქცევის უობიექტო ფორმებით და საშუალი გვარის მედიოაქტიურ ზმნათა უღლების პარადიგმის შევსება ერთი რიგის მოვლენა ჩანს.

IV. 4.4. უკუქცევითობა

IV. 4.4.1. ზოგადი მიმოხილვა. სხვადასხვა ენის გრამატიკებში სიტყვაფორმები, რომელთაც უკუქცევითი (რეფლექსური) მნიშვნელობა აქვთ, განსხვავებულად განიხილება: ა) როგორც დამოუკიდებელი ზმნე-

ბი, ბ) როგორც გვარის კატეგორიის სიტყვაფორმები, გ) როგორც ქცევის კატეგორიის სახეობა.

უკუქცევითობის კატეგორია ყველაზე უკეთ ინდოევროპულ ენებშია შესწავლილი. ამ ენებიდან რეფლექსურობის იდეა გრამატიკულადაა გამოხატული ჩეხურში, სლოვაკურში, პოლონურში... ეს კატეგორია აქ ნაზმნარ სახელებშიც აღინიშნება:

ჩვენში უკუქცევითობა ტრადიციულად გვარის კატეგორიაშია წარმოდგენილი (ა. შანიძე...). განიხილება ის აგრეთვე, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება გვარისა და გარდამავლობის კატეგორიებს (ბ. ჯორბენაძე) და — როგორც ქცევის სახეობა (ქ. ლომთათიძე, მ. მაჭავარიანი).

უკუქცევითობას ქართულში ჰ. შუხარდტმა მიაქცია ყურადღება (1896 წ.). მან უკუქცევითობის ნიშნად გამოყო სათავისო ქცევის **ი-** პრეფიქსი ([შე]-**ი**-ბ...), რომელიც მიცემით ბრუნვასთან დააკავშირა. ამ საკითხს შეეხო ნ. მარიც. ა. შანიძემ „ქართული ზმნის საქცევში“ (1926 წ.) წარმოაჩინა გარდამავალი ზმნის ის მნიშვნელობა, როცა „სუბიექტი თავის საგანზე მოქმედებს“, ან „თავისთვის ეწევა საქმეს“ და მას „სათავისო“ უწოდა. მანვე აღნიშნა, რომ ამ ქცევით იწარმოებენ ხოლმე ფორმებს ზმნები, როცა ობიექტად სხეულის რომელიმე ნაწილი მოუდით; მაგ.: წვერს **ვიპარსავ**, თმას **ვიკრეჭ**, თავს **ვივარცხნი**, ცხვირს **ვიხოცავ**, პირს **ვიბან**... ან კიდევ: ქუდს **ვიხურავ**, ჩოხას **ვიცვამ**, სარტყელს **ვირტყამ** და მისთ. ა. შანიძემ უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა გარდამავალ ზმნებში პირდაპირი დამატების პოზიციაში „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევებს, „რომელიც ამ ქცევით რეფლექსური შინაარსის აზრს გადმოგვცემს ხოლმე, ე.ი. ისეთი მნიშვნელობის მატარებელია, რომ მოქმედება თვით სუბიექტსავე უბრუნდება: თავს **იკლავს**, თავს **იწამლავს**, თავს **იგდებს**, თავს **იქებს** და მისთ.“

ა. შანიძემ ამ წერილში ფაქტობრივ წარმოადგინა უკუქცევითობის განსაზღვრა („მოქმედება თვით სუბიექტსავე უბრუნდება“) და გარდამავალ სასუბიექტო ქცევის ზმნაში უკუქცევითობის რეალიზაციის პირობები.

ფასეულია არნ. ჩიქობავას მოსაზრება ქართული (ქართველური) გარდამავალი ზმნის რეფლექსური მნიშვნელობის უწინარესობის შესახებ გვარის კატეგორიასთან შედარებით.

IV. 4.4.2. უკუქცევითობა ქართულში. უკუქცევითობა (რეფლექსურობა) ზოგადად ბინარულ მიმართებას გულისხმობს; უკუქცევითობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობაა სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის კორეფერენტულობა და ამ მიმართების მარკირებულობა; მიმართება რეფლექსურია, თუკი ყოველი საგანი თავის თავთან იმყოფება ასეთ მიმართებაში.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში უკუქცევითებად განიხილება როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი, როგორც მოქმედებითი და ვნებითი, ასევე საშუალი გვარის, კონკრეტულად კი **ი-**პრეფიქსიანი ზმნები. უკუქცევითობა მიჩნეულია ზოგად, **ი-** პრეფიქსის მქონე ყველა ფორმისათვის საერთო ფუნქციად (ბ. ჯორბენაძე).

ი- პრეფიქსის დისტრიბუცია ქართულში კი საკმაოდ ფართოა; ის გვხვდება გვარისა და ქცევის მიხედვით განსხვავებულ ზმნათა ფორმებში, სახელდობრ:

ა) **ვნებითის ფორმებიდან** — საკუთრივ ვნებითებში: **ი**-ჭრება, **ი**-მსხვრევა, **ი**-ნგრევა.., პოტენციალისებში: **ი**-ჭმევა, **ი**-სმევა.., აქტიური მნიშვნელობის ვნებითებში (დეპონენსებში): **ი**-რწმუნება, **ი**-ფურთხება..., **დონ**იანი და უნიშნო ვნებითის სასხვისო ქცევის I და II პირის ფორმებში: მ-ი-წუხ-**დ**-ებ-ა, გ-ი-წუხ-**დ**-ებ-ა... მ-ი-თბ-ებ-ა, გ-ი-თბ-ებ-ა...

ბ) **მოქმედებითის ფორმებიდან** — სათავისო ქცევის ფორმებში: ვ-ი-ხატავ, ი-ხატავ, ი-ხატავ-ს... სასხვისო ქცევის I და II პირის ფორმებში: მ-ი-ხატავ-ს, გ-ი-ხატავ-ს...

გ) **საშუალი გვარის ფორმებიდან** — ზმნათა ერთ მცირე ნაწილში: ი-გლოვ-ს, ი-ნანი-ს, ი-ცინი-ს, ი-ღიმი-ს... ორიოდე მედიოპასიური ფორმისა და აბსოლუტურ მედიოაქტიურ ფორმათა მყოფადისა და II სერიის ფორმებში: დგა-ს — ი-დგ ე ბ ა, ი-დგ-ა, წევ-ს — ი-წ ვ ე ბ-ა, ი-წ ვ-ა..., ხარობ-ს — ი-ხ ა რ ე ბ-ს, ი-ხ ა რ-ა, წვალობ-ს — ი-წ ვ ა ლ ე ბ-ს, ი-წ ვ ა ლ-ა..., სასხვისო ქცევის I და II პირის ფორმებში: მ-ი-წუხს, გ-ი-წუხ-ს...

დისტრიბუციის შესაბამისად, ნაირგვარია **ი-** პრეფიქსით გამოხატული მნიშვნელობები. ეს მნიშვნელობები (სათავისო და სასხვისო ქცევის, მედიალურ ზმნათა მყოფადისა და II სერიის) რეალიზებულია გვარისა და ქცევის სათანადო ფორმებით. უკუქცევითობას (რეფლექსურობას), ისევე, როგორც პოტენციალისს, დეპონენსებს, საკუთარი ფორმა არა აქვთ.

საკუთრივ უკუქცევითებად სახელდებულ ზმნურ ფორმათა ანალიზის მიხედვით ჩვენში ძირითადად უკუქცევითობის ორგვარი გაგება იკვეთება:

1. სუბიექტი მოქმედებს საკუთარ თავზე, საკუთარი თავის მიმართ და იმავდროულად ობიექტიცაა (პირდაპირი ობიექტი); გვაქვს რეფლექსური მიმართება და გამოიხატება საკუთრივ რეფლექსური მნიშვნელობა: თავს **იკლავს**, თავს **იქებს**... იმალება („თავის თავს მალავს“), **იძაბება** („თავის თავს ძაბავს“)...

2. მოქმედება სუბიექტის წრეს არ/ვერ სცილდება, სუბიექტის საზღვრებშია ჩაკეტილი; აღინიშნება მედიალური მნიშვნელობა: **იგლოვს**, **იღიმის**, **იცინის**...

ფაქტობრივ, უკუქცევითობის მეორე განსაზღვრება — მედიალური მნიშვნელობის აღნიშვნა — გათვალისწინებულია პირველი განსაზღვრების ვითარებითაც: თუ სუბიექტი მოქმედებს საკუთარ თავზე, ე.ი. სუბიექტი ფუნქციურად პირდაპირი ობიექტის იდენტურია (ანუ სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი კორეფერენტულები არიან). ეს უკვე თავისთავად იმასაც აპირობებს, რომ მოქმედება სუბიექტის საზღვრებს არ გასცილდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მოქმედების ჩაკეტილობას სუბიექტის საზღვრებში მხოლოდ სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის იგივეობა არ ქმნის, გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში პირდაპირი ობიექტის ელიმინაციის შემთხვევაში, სუბიექტის მოქმედება სუბიექტის წრეშივე ექცევა:

შდრ.: **იმუშავებს** ყანას — **იმუშავებს**
აწი იმანაც ეიღოს თოხი და **იმუშაოს** ყანა (ნინოშ.)

სიმონას ჩვეულებად ჰქონდა, დილას კარგა მზის ამოსვლამდე ეზოს მახლობელ ყანაში **იმუშავებდა** (ნინოშ.). იმუშავებდა = მუშაობდა.

მოისუსტებს ხმას — **მოისუსტებს:**
სტვირმა თანდათან ხმა **მოისუსტა** (ვაჟა)
შდრ.: ბგერა **მოისუსტებს**...

ი- პრეფიქსის ნაირგვარი მნიშვნელობებიდან ჩვენ გამოვარჩიეთ ძირითადი მნიშვნელობები, რომელთა საფუძველზე სპეციალურ ლიტე-

რატურაში უკუქცევითი ფორმების გამოყოფა ხდება. ეს მნიშვნელობებია:

1. რეფლექსური; 2. მედიალური.

რეფლექსური მნიშვნელობები დასტურდება გარდამავალი მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ზმნათა რიგში და **ი**ნიანი პასივების ერთ ნაწილში. **მედიალური** მნიშვნელობა — საშუალი გვარის ზმნებში (და **ი**ნიან ვნებითთა ერთ ჯგუფში).

თუმცა **ი**-პრეფიქსიან ფორმებს მხოლოდ უკუქცევითის ან მედიალურის მნიშვნელობა არა აქვს და ფაქტია ისიც, რომ უკუქცევითი ან მედიალური მნიშვნელობა მხოლოდ **ი**- პრეფიქსიანი ფორმებით არ გამოიხატება:

წირავს ვიღაცას „არ ზოგავს, იმეტებს“ — არაუკუქცევითი ფორმაა, მაგრამ თავს **წირავს** „თავს დებს ვისიმე ან რისამე სანაცვლოდ“ უკუქცევით მნიშვნელობას გამოხატავს: სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი („თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი) კორეფერენტულია და უკუქცევით მნიშვნელობას გვიჩვენებს.

იდიომი ქედს, თავს **ხრის** იგივეა, რაც ქედს, თავს **იხრის**...

საგმობიც ვიყო, ქედს არ **ვხრი**, თავი მდიდარი მგონია (ვაჟა);

შდრ.: ქედს, თავს **იხრის**, მეტის მეტი მოწიწების ან მორჩილების ნიშნად ვისიმე (რისამე) წინაშე თავს **ხრის**.

„დიდკაცნი თავს **იხრიდნენ** დაბლა“ (ი. მაჩაბ. თარგმ.) II გადატ. ემორჩილება, ფეხქვეშ ედება... „ონისემ შეხედა მამას, რომლის წინაშეც მთელი ხეობა თავს **იხრიდა**“ (ა. ყაზბ.).

თავს **გამოაჩენს** იგივეა, რაც თავს გამოიჩენს. „აბა, შენ იცი, თუ არ შეგვარცხვენ, თავს **გამოაჩენ** და გამოგვაჩენო!“ (აკაკი).

შდრ.: თავს **გამოიჩენს** გადატ. თავს ისახელებს, სახელს მოიხვეჭს...

„თქვენ შემთხვევა გეძლევათ, რომ თავი **გამოიჩინოთ** ვაჟკაცობით“ (ა. ყაზბ.) (ქეგლ).

ამ რიგისაა თავს **ავლენს,** თავს **გამოყოფს,** თავს **წარადგენს** და სხვ. ასე რომ, პირდაპირი ობიექტის ფარდი რეფლექსური ნაცვალსახელის შეწყობის შემთხვევაში, უკუქცევითობის მნიშვნელობის გამოხატვა გარდამავალ ზმნაში **ი-** პრეფიქსის მქონებლობის გარეშეც შეიძლება.

ასევე, მედიალური, სუბიექტის საზღვრებში ჩაკეტილი მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს არამედიალური ზმნების მეშვეობითაც. მაგალითად, რიგი გარდამავალი ზმნა იხმარება როგორც რელატიური, ასევე აბსოლუტური მნიშვნელობითაც. რელატიური ზმნის აბსოლუტურად წარმოდგენა სინტაქსის (ვალენტობის) ცვლას უკავშირდება:

წერ-ს — 1. „ექიმი ... სხვადასხვა წამლებს წერდა“ (ლ. არდაზ.).

შდრ.: 3. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) თხზავს ლიტერატურულ ნაწარმოებებს. წინათაც **ვწერდი**, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც იმდენად მომწონდა, რომ გავბედე მეცადა ბედი (ჭ. ლომთ.) (ქეგლ).

წერ-ს ნაწარმოებს > წერს „საერთოდ წერს, მწერალია“.

ხატავ-ს 1. რასმე გამოსახავს ფერების ან ხაზების საშუალებით, — ქმნის (სურათს), აკეთებს (ნახატს).

შდრ.: [არსაკიძე] უკეთ **ხატავს**, ვიდრე აშენებს (კ. გამს.) (ქეგლ).

ამ კონტექსტის მიხედვით **ხატავს** და **აშენებს** აბსოლუტური მნიშვნელობისაა: ხატავს (საერთოდ); აშენებს (საერთოდ):

ხატავს სურათს > ხატავს (საერთოდ)

აშენებს შენობას > აშენებს (საერთოდ).

ანათებ-ს : სამოთხესაც აქედამვე ეგ **ანათებდა** (ილია).

შდრ.: თქვენ იცით, რომ ქვეყანაზედ მაშინ უფრო თბილა, როცა მზე ანათებს (გოგ.).

ანათებს სამოთხეს > ანათებს (საერთოდ)...

გარდამავალ ზმნათა შესიტყვებაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების, კერძოდ, პირდაპირი ობიექტის ელიმინაციის შედეგად ზმნამ მედიალური მნიშვნელობა შეიძინა.

ი- პრეფიქსიანი ვნებითის მოდელის რიგ ზმნას მედიალური მნიშვნელობა უდასტურდება. ასეთ ზმნებად ბ. ჯორბენაძე ასახელებს **იქექება, იკენკება, იქაფება, იცრემლება** და მისთ. და აღნიშნავს: „ეს ზმნები ფუნქციურად „საშუალ“ ფორმებს უახლოვდებიანო“ (ჯორბენაძე, 1971, 158). იგივე ავტორი ამ ზმნებს უკვე სხვაგან (ბ. ჯორბენაძე, 1983, 142) უკუქცევით ზმნებად განიხილავს. ეს საპირისპირო განმარტებანი ფაქტობრივ ვითარებას ასახავს. საშუალი გვარის მედიოაქტიური ფორმები შინაარსობრივად სხვა ენებშიც (მაგ. რუსულში) ძნელად განირჩევიან რეფლექსივებისგან. სუბიექტური პირი ამ რიგის ზმნებში თვითმოქმედი პირია, მაგრამ მისი მოქმედება სუბიექტის საზღვრებშია

მოქცეული, პირდაპირ ობიექტზე მიმართებას (რაც ადვილად საგულისხმებელია) არ ითვალისწინებს: **იქექება, იკენკება** (საერთოდ).

შდრ.:

იქექებ-ა (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში). 1. იქექავს, იფხანს. ჯაგებში ნარჩიტა იჯდა და **იქექებოდა** (თ. რაზიკ.) (ქეგლ).

გარდამავალი ზმნით გადმოცემულ ქეგლის ამ განმარტებაში იქექება — იქექავს, იფხანს, პირდაპირ ობიექტზე მითითება არ გვაქვს, თუმცა სხვა მსგავსი ფორმების განმარტებისას საგულვებელი პირდაპირი ობიექტი თავს იჩენს ხოლმე:

იბერტყებ-ა ... 1. ვნებ. ბერტყავს ზმნისა — ბერტყავენ; ბერტყვა შეიძლება... 2. (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) ვნებ. ბერტყვით იცილებს (მტვერს, წყლის წვეთებს და მისთ.) (ქეგლ).

ზემოთქმულის მიხედვით, ვფიქრობთ, რომ უნდა შეჯერდეს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში უკუქცევითებად მოაზრებულ ზმნებში გამოვლენილი განსხვავებული — რეფლექსური, მედიალური და ა.შ. მნიშვნელობები და საკუთრივ რეფლექსური მნიშვნელობის მატარებელი ზმნები სხვათაგან გამოცალკევდეს. რეფლექსური მიმართება გულისხმობს მედიალურ მნიშვნელობასაც, მაგრამ არა პირიქით: მედიალური მნიშვნელობა რეფლექსურ მიმართებას მხოლოდ რეფლექსიის ფართო გაგებით გულისხმობს (იხ. ფილოსოფ. ლექსიკ.). უკუქცევით ფორმაში იმალება „თავს იმალავს; თავის თავს მალავს“ სუბიექტი და ობიექტი ერთ პირად, თავის თავზე მოქმედ სუბიექტად არის შერწყმული, ერთგვარად აქტიურიცაა და პასიურიც; ეს მოქმედება, ბუნებრივია, საკუთარი თავის ირგვლივ ტრიალებს, ე.ი. მედიალურიცაა და არსებითად დაიყვანება სუბიექტის მდგომარეობის გარეგნულ გამოხატვაზე, შდრ.:

იბნიდებ-ა ... ცნობიერების დაკარგვამდე მიდის, გული უღონდება (ძლიერი განცდის გამო); ბრუვდება (სუნისაგან...). ლიზა ... წამდაუწუმ იბნიდებოდა, იქნევდა ხელსა და ფეხს, აბრიალებდა თვალებს (ეკ. გაბ.)

იგანგლებ-ა ... მთლიანად ისვრება (ფქვილში, ბუმბულში, მტვერში...), ტიტველი ბავშვები მტვერში იგანგლებიან („ახალგ. კომუნისტი“)

იგუდებ-ა ... სუნთქვა ეკვრის; იხუთება; იხრჩობა. უცებ მიხვდა, რომ თავისი ხელი აქვს ყელში წაჭერილი, მყისვე დააპირებს მოიშო-

როს, მაგრამ დრო გადის და არა თუ შეღავათი ეძლევა, არამედ უფრო იგუდება (რ. გვეტ.) (ქეგლ)...

საშუალი გვარის **ი-** პრეფიქსიან **იგლოვს, იღიმის, იცინის** და მსგავსი ფორმების მედიალური მნიშვნელობა სადავო არაა; სუბიექტი თვითონ განიცდის ზმნით გამოხატულ მოქმედებას, მაგრამ რეფლექსურობა ზემოთ მოყვანილი გაგებით ამ ზმნათა მნიშვნელობაში არ იკითხება, გვაქვს სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის ცვლილება, როგორც რეფლექსირება გარესამყაროსეული ფაქტორებისა; ეს მდგომარეობა შეიძლება სუბიექტის გარეთაც გავიდეს, რაც სათანადო კონტექსტებშიც ჩანს:

ი-გლოვ-ს ის → **ი-გლოვ-ს** ის მას... „ქისტნი ჯოყოლას იგლოვენ“ (რ. ერისთ.).

იცინი-ს ... სიცილი აქვს ატეხილი, — ეცინება... ვიცინი, როდესაც გამეხარდება რამე (ი. გოგებ.) ... ამ დღეს ველოდი, მოვესწარ! ვიცინი, აღარ ვტირი მე (აკაკი) ... (ქეგლ).

IV. 4.4.3. უკუქცევითობის მნიშვნელობისათვის. ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ ჩვენში არსებულ უკუქცევითობის „ფართო“ გაგებაზე, რომელიც ითავსებს როგორც რეფლექსური, ასევე მედიალური მნიშვნელობის მატარებელ ზმნებს და აღვნიშნეთ, რომ რეფლექსური მნიშვნელობა უნდა გამოცალკევდეს, რადგან ისინი ერთმანეთს არ ფარავენ.

უკუქცევითობის მნიშვნელობაში არსებითია სუბიექტის რეფლექსური მიმართება თავის თავზე და არა სხვაზე. ენობრივ სინამდვილეში „თავის თავზე მიმართება“ შეიძლება გამოვლინდეს ზმნით გამოხატული მოქმედების უკუქცევადობით „სუბიექტიდან სუბიექტზე“ როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში.

გარდამავალ ზმნებში რეფლექსური მიმართება „თავის თავზე“, გრამატიკულად სათავისო ქცევის ფორმებით რეალიზდება; ა. შანიძე სათავისო ქცევის ფორმათა ხმარების რამდენიმე შემთხვევას ასახელებს:

ა. როდესაც სუბიექტი თავის სხეულზე ან თავის სხეულის ნაწილებზე მოქმედებს: ტანი **დაიბანა**, თავი **მოიფხანა**, თვალები **ამოიწმინდა**, ყური **გამოიჩხრიკა**, კბილი **მოიცვალა** და ა.შ.

ბ. როდესაც ობიექტად დასახელებულია თავსახურავი სამკაული, ტანისამოსი (ან მისი ნაწილი) ან ფეხსაცმელი, თუ იარაღი, რომელიც ტანზე აქვს კაცს: ქუდი **დაიხურა**, პერანგი **ჩაიცვა** (ან ქალამანი

ჩაიცვა), პალტო **მოისხა**, სარტყელი **შეირტყა**, კალთები **აიკვალთა** და ა.შ.

გ. როდესაც მოქმედება სუბიექტისთვის არის დანიშნული ან მისკენ არის მიმართული: ფული **ისესხა**, შდრ.: ფული ასესხა; წიგნი **ითხოვა**, შდრ.: წიგნი ათხოვა; ქონება **ჩაიბარა**, შდრ.: ქონება ჩააბარა და ა.შ. (ა.შანიძე)

ჩამოთვლილია სხვა შემთხვევებიც: სუბიექტის მოქმედება ან მოქმედების შედეგი ყველგან სუბიექტზე, სუბიექტისთვის ან სუბიექტისკენ არის მიმართული.

უკუქცევითობის მნიშვნელობის თვალსაზრისით საყურადღებოა პირველი შემთხვევა: ტანი **დაიბანა**, თავი **მოიფხანა** ... სუბიექტი აქ მოქმედებს თავის თავზე, უფრო ზუსტად, თავის ნაწილზე, მაგრამ ეს ნაწილი (ტანი, თავი...) გრამატიკულად პირდაპირი ობიექტია. რეფლექსური მიმართება კი იგივეობას გულისხმობს: a და b საგანი ერთმანეთის იგივეობრივია მხოლოდ მაშინ, როდესაც a-ს აქვს ყველა ის თვისება, რომელიც აქვს b-ს და b-ს აქვს ყველა ის თვისება, რომელიც აქვს a-ს. ფრაზაში **ბიჭმა** თავი **მოიფხანა** სუბიექტი (ბიჭი) და პირდაპირი ობიექტი (თავი) არ არიან იგივეობრივი არც ლექსიკურად, არც გრამატიკულად, არც რეფერენციალურად. ასეთ შესიტყვებებში მხოლოდ ნაწილობრივი რეფლექსივიზაცია გვაქვს.

სრული რეფლექსივიზაცია დასტურდება გარდამავალ სასუბიექტო ქცევის ფორმათა ისეთ შესიტყვებაში, სადაც სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის რეფერენციალური იგივეობა გვაქვს; ასეთ შემთხვევებში პირდაპირი ობიექტის ადგილს იკავებს III პირის უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“, რომელიც განზოგადებულია III პირისთვის. სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ასეთ პოზიციაში ერთდრულად აქტიურიც არის და პასიურიც: თავი **მოიკლა**...

გარდაუვალ ზმნებში სუბიექტის რეფლექსური მიმართება თავის თავთან რეალიზებულია ი-ნიანი ვნებითის ფორმათა ერთ ნაწილში, კერძოდ, იმ ნაწილში, რომელთა ზედაპირული სუბიექტი ბაზისური პირდაპირი ობიექტის ტრანსფორმია და რომელთა კონსტრუქციაში ბაზისური სუბიექტი არ აღდგება: **იმალება** ის (= თავის თავს **მალავს**) ...

ამდენად, ჩვენი აზრით, უკუქცევითობა ქართულში უნდა განისაზღვროს სუბიექტის მიერ გამოხატული მოქმედების უკუქცევადობით თავის თავზე, როგორც პირდაპირ ობიექტ-

ზე. ამასთან, აუცილებელ პირობას წარმოადგენს სუბიექტსა და ამ ობიექტს შორის სრული რეფერენციალური იდენტურობის ჩვენება.

ამ მიმდევრობით განვიხილავთ უკუქცევითობის გამოვლენას **ი-** პრეფიქსიან ზმნებში: გარდამავალ სათავისო ქცევის, **ინი**ანი ვნებითებისა და მედიალურ **ი-** პრეფიქსიან ზმნათა ჯგუფებში.

IV. 4.4.4. უკუქცევითობა პირიან გარდამავალ ზმნებში

ა) *ნაწილობრივი, არასრული რეფლექსივიზაცია*

უკუქცევითობის ზემოთ დასახელებული მოცემულობიდან გამომდინარე სინქრონიულ დონეზე გამოირიცხება ყველა გარდამავალი სასუბიექტო (სათავისო) ქცევის ზმნების უკუქცევითებად კვალიფიკაცია. სასუბიექტო ქცევა გამოიხატება მაშინ, როცა სუბიექტის მოქმედება სუბიექტისთვისაა დანიშნული (სახლი აიშენა, კუთხე მოიწყო), მისკენ არის მიმართული (ტოტი მოიწოდა, ხელი ჩემკენ მოიშვირა...), ან კიდევ სუბიექტზევეა დამართული (თავი მოიფხანა, თმა შეიღება...). სუბიექტის უკუქცევადობა თავის თავზე, როგორც პირდაპირ ობიექტზე, მხოლოდ ამ ბოლო შემთხვევაშია გამოხატული, მაგრამ ამ ტიპის მაგალითებში დაცული არ არის რეფლექსური მიმართების რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობა — სუბიექტსა და ობიექტს შორის სრული რეფერენციალური იდენტურობა. თ ა ვ ი **მოიფხანა**, ფ ე ხ ი **იღრძო**, მ უ ხ ლ ი **დაიშავა**, თ მ ა **გაიკრიჭა**, პ ი რ ი **გაიპარსა**, თ მ ა **დაივარცხნა** ... და მსგავსი შესიტყვებები სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის, როგორც მთელისა და ნაწილის, მხოლოდ პარციალურ იდენტურობას აფიქსირებენ. აქ სუბიექტი მოქმედებს არა „თავის თავზე“, არამედ „თავისზე“ და ეს თავისი გრამატიკულად პირდაპირი ობიექტია (პირდაპირი დამატება).

ამგვარ მყარ შესიტყვებებში, როცა პირდაპირ ობიექტად სომატური ელემენტებია წარმოდგენილი და შესიტყვების მნიშვნელობაც შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამიდან გამოიყვანება, ნაწილობრივი, არასრული რეფლექსივიზაციაა გამოხატული. სომატურობიექტიან შესიტყვებაში ხშირად დასტურდება შესიტყვების აზრობრივი სტრუქტურის გარდაქმნაც (ანუ გადატანითობა) დასტურდება, შდრ.:

ფეხს **მოიტეხს** პირდაპირი მნიშვნელობით — პატარა ტატომ ფეხი მოიტეხა — და გადატანითი მნიშვნელობით: გზაში დაბრკოლდება, შეფერხდება. სპირიდონს კი ესწრაფებოდა დედის ნახვა და ჯავრი მო-

სდიოდა, — მატარებელმა რაღა მაინცდამაინც დღეს **მოიტეხა** ფეხიო (ე. ნინოშ.) (ქეგლ).

ფეხს **ითრევს** ჩვეულებრივი მნიშვნელობით რომ იხმარებოდეს, ამას უნდა ნიშნავდეს: „იმდენად ნელა და უნდომოდ მიდის, რომ ნაბიჯის გადადგმისას ფეხის ზევით აწევა ეზარება და თრევით მიაქვს“ (შდრ. ვაჟა: „ცალ მხარს მიწაზე მიითრევს“); მაგრამ ფეხს **ითრევს** ამგვარი „ნელი სიარულის“ აღმნიშვნელი გამოთქმა არაა, არამედ რაიმე საქმიანობაში განზრახ დაგვიანების აღსანიშნავად იყენებენ: „იაგორა ყოველთვის ფეხს **ითრევდა** შინ წასვლაზე“ (რ. ინან.)... ფეხს **ითრევს** — გამოთქმისათვის ჩვეულებრივია სწორედ გადატანითი ხმარება (ბ. ფოჩხუა). ფეხს **ითრევს** აგვიანებს, ნელა მოქმედებს (ქეგლ). ფეხს **ითრევს** თანდაყოლილი ნაკლის ან დაზიანების შემთხვევაში ცალი ფეხის შეზღუდულ მოძრაობასაც აღნიშნავს.

ფეხს **მოიკიდებს** 1. ფეხს დაიმაგრებს, ფეხი არ აუსხლტება. კალატოზებიც დაიძრნენ ადგილიდან, მაგრამ ვერც ერთმა [ვერ] **მოიკიდა** სველ ხარაჩოზე ფეხი (კ. გამს.) 2. გადატ. დამკვიდრდება, განმტკიცდება, დამაგრდება. ყველაზე ადრე სპარსელებმა ფეხი სომხეთში **მოიკიდეს** (საქ. ისტ.) II გაძლებს ბარში [შემოდგომაზე]... თოვლს ფეხი ვერ **მოუკიდნია** (ი. გოგებ.)

კისერს **მოიტეხს,** კისერი **მოსტყდება.** 1. წაიქცევა და რასმე დაიშავებს. „ამ წკვარამებში კისერს **მოიტეხს** კაცი“ (ნ. ლორთქ.) 2. გადატ. დამარცხდება, დაიღუპება. ვინც-კი გამომედევნება და გადმოდგამს ჩემკენ ფეხსო... თავად კისერს **მოიტეხსო** (შ. მღვიმ.)... (ქეგლ).

თავს **მოიფხანს,** კისერს **მოიფხანს** გადატ. ჩაფიქრდება, დაღონდება, საგონებელში ჩავარდება. გლეხკაცები იქ დარჩნენ კიდევ რამდენიმე ხანი, შესჩივლეს ერთმანეთს თავიანთ მდგომარეობაზე, **მოიფხანეს** თავები და დაიშალნენ (ა. ყაზბ.) (ქეგლ, V); ხემწიფემ კისერი **მოიფხანა**, რა ქნას, როგორ მოიშოროს მღვდელი თავიდან?“ (თ. რაზიკ.) (თ. სახოკია)...

ამ რიგის იდიომები თავს **მოიფხანს**, კისერს **მოიფხანს**, მხრებს **აიჩეჩავს** და ა.შ. კინესიკური პარალინგვიზმებია და მათ თავიანთი გარკვეული სემანტიკა აქვთ.

შენიშვნა: სომატურობიექტიან შესიტყვებებში მნიშვნელობათა ცვლილების მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგ.: გულს **იტეხს** გადატ. გულს იცრუებს, იმედს კარგავს, სასოწარკვეთილებაში ვარდება, გული უფუჭდება..., ენას **იტეხს** გადატ. (სწორად) წარმოთქმას ეჩვევა, ლაპარაკში იწაფება... და მსგავსი შესიტყვებები მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით დასტურდება. პირდაპირი მნიშვნელობით *გულს **იტეხს**, *ენას **იტეხს** აზრობრივად შეუხამებადი გამოთქმებია, არც გული, არც ენა ფიზიკურად გატეხას არ ექვემდებარება, ტეხადი არ არის (შდრ., თავს იტეხს, ფეხს იტეხს...) და ამ გამოთქმების არსებობა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით არის გამართლებული. თუ გულს **იტეხს** „გული უფუჭდება“ გამოთქმის არსებობა **ტეხს** ზმნის თანამდევი უარყოფითი კონოტაციით (ფეხს იტეხს, კისერს იტეხს) არის გამართლებული, ენას **იტეხს** „ლაპარაკში იწაფება“ გამოთქმის მართებულობა ამავე **ტეხს** ზმნის დადებითი კონოტაციის გამომხატველი გამოთქმებით არის გაპირობებული, შდრ.:
ყამირს (ახოს) **გატეხს** დაუხვნელ მიწას მოხნავს... სიცხის, სიცივის, ზამთრის... **გატეხა** სიცხის, სიცივის, ზამთრის... ძალიან შესუსტება ... ქეგლ...

სხვა გამოთქმებში მნიშვნელობათა ცვლილების სხვა მიზეზები დაიძებნება.

სომატურობიექტიანი გარდამავალი **ი-** პრეფიქსიანი ზმნური შესიტყვებების გადატანითი მნიშვნელობით ხმარებას, იდიომებად გადააზრიანებას თან ახლავს შესიტყვებებში პირდაპირი ობიექტის წაშლა, რაც ამ გამოთქმათა განმმარტველი ზმნების ჩვენების მიხედვითაც აშკარაა. ეს განმარტებები ძირითადად გარდაუვალი ზმნებით არის გადმოცემული, შდრ.:

ფეხს **მოიტეხს** > „დაბრკოლდება, შეფერხდება“
ფეხს **ითრევს** > „აგვიანებს; ნელა მოქმედებს“
ფეხს **მოიკიდებს** > „დამკვიდრდება; დამაგრდება“
კისერს **მოიტეხს** > „დამარცხდება; დაიღუპება“
თავს, კისერს **მოიფხანს** > „დაღონდება; საგონებელში ჩავარდება“

გულს **მოიცემს** > „გამბედაობა მოემატება; გამხნევდება“
გონს **მოიცემს** > „გონებაში ჩავარდება, გონს მოვა“
ჭკუას **მოიცემს** > „ჭკვიანი გახდება; ჭკუაში ჩავარდება“
მუხლს **მოიდრეკს** > „მუხლებზე დადგება; დაიჩოქებს“...

ქეგლში ამ და მსგავს გამოთქმებთან დამოწმებული პარალელური გარდამავალზმნიანი განმარტებები არსებითად სინონიმური მნიშვნელობის გამოთქმებია, იდენტური ან სხვა (ძირითადად ისევ სომატური) პირდაპირი ობიექტით:

ფეხს **მოიდგამს** „დამკვიდრდება, განმტკიცდება, გამაგრდება“, II ფეხს იკიდებს

წელს **მოიწყვეტს** „ძალიან გაირჯება“ II ბევრს იშრომებს

კისერს **მოიგრეხს** „დამარცხდება“, II „კისერს მოიტეხს“

გულს **მოიფხანს** „გულს მოიჯერებს; გულს მოიოხებს“

გულს **მოიჯერებს** „დაკმაყოფილდება სრულიად (რამეთი);“ II „რაიმე მოთხოვნილებას, სურვილს შეისრულებს„

სულს **მოიბრუნებს** „სულს მოითქვამს; შეისვენებს“

ქედს **მოიდრეკს** „დამორჩილდება; ქედს მოიხრის“

ჭკუას **ისწავლის** „გონიერი, ჭკვიანი გახდება, ჭკუაში ჩავარდება“, მოჭკვიანდება II ჭკუას მოიკრებს და ა.შ.

გადატანითი მნიშვნელობით გადააზრიანებულ შესიტყვებაში სომატურ პირდაპირ ობიექტზე დამართული მოქმედება განზოგადებულია და მთლიან პიროვნებას მოიცავს, ამიტომ ეს კონკრეტული სომატომები ასეთ შემთხვევებში აზრობრივად უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციით წარმოგვიდგება; პირობითად, ამ შესიტყვებებს აზრობრივი რეფლექსივები შეიძლება ვუწოდოთ. პირდაპირი მნიშვნელობით კი სომატურობიექტიანი შესიტყვება ფაქტს აფიქსირებს: ფეხს **მოიტეხს**, ფეხს **ითრევს**, მუხლს **მოიდრეკს**, თავს **იხრის**... არასრული რეფლექსივებია.

რეფლექსური ნაცვალსახელის ფუნქციით დასტურდება ქედი „კისერი“ გამოთქმაში ქედის **მოხრა** „დამორჩილება, ქედის **მოდრეკა**,“ წინააღმდეგობის შეწყვეტა: „თქვენ კარგად მყვანდეთ, თორემ მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე მე ი ჯორ-ზაქარა მოვტეხო და თქვენ წინ ქედი **მოვახრევინო** (ს. მგალობ.) (ალ. ონიანი), შდრ.: თავს **იხრის** გადატ. ემორჩილება, ფეხქვეშ ეგება.

ასე გვაქვს სხვა გამოთქმებშიც:

ფეხს **იკიდებს**... 1. ფეხს იმაგრებს, ფეხი არ უსხლტება, შდრ.: 2. გადატ. მკვიდრდება, მყარდება, მტკიცდება...

ხელებს **იბოჭავს** გადატ. მოქმედების საშუალებას ისპობს, — თავს იზღუდავს (ქეგლ).

გადატანითი მნიშვნელობით ხმარებულ შესიტყვებებში სომატურ პირდაპირ ობიექტთა კონკრეტული მნიშვნელობები წაიშლება. უკვე აღვნიშნეთ, რომ ზოგჯერ სომატური პირდაპირი დამატება შესიტყვებიდან გადის.

ყველა სომატუროობიექტიანი სასუბიექტო ქცევის გარდამავალი ზმნა არ იღებს გადატანით მნიშვნელობას და ოდენ პირდაპირი მნიშვნელობით დასტურდება; ასეთი ზმნებია:

ისრესს, **მოისრესს** (ხელებს, ხელის გულს, სახეს, თვალებს), **იწიწკნის**, **მოიწიწკნის** ... (ხორცს, ქოჩორს, წვერს...), **იღრეცს**, **მოიღრეცს** ... (კისერს, თავს...), **იჭმუხნის**, **მოიჭმუხნის**... (შუბლს, წარბებს, სახეს), **იპარსავს** (პირს, თმას, წვერს...), **ივარცხნის** (თმას, წვერს), **იფშვნეტს** (ხელებს, თვალებს), **იღერებს** (ყელს), **იცვლის** (კბილებს), **იხოცავს** (ხელებს, პირს, ცხვირს), **იგლეჯს** (ხორცებს, თმას) და სხვ. სუბიექტის მოქმედება „მიიქცევა“ პირდაპირ ობიექტზე, როგორც მისსავე ნაწილზე და ამ „მიქცევის“ შედეგი სუბიექტითვე აისახება: ვინც პირი, თმა, წვერი **გაიპარსა** არის პირ-, თმა-, წვერგაპარსული, ვინც ყელი **მოიღერა** — ყელმოღერილი და ა.შ. მოქმედებითი გვარის საობიექტო მიმღეობის წინ დასმული ანუ ფუძესთან შერწყმული პირდაპირი ობიექტი გარდამავალ საობიექტო მიმღეობას ფუნქციურად სასუბიექტო მიმღეობად აქცევს: პირგაპარსული „ვისაც პირი გაპარსეს“, ან „ვინც პირი გაიპარსა“, ყელმოღერილი „ვინც ყელი მოიღერა“ და ა.შ. (არნ. ჩიქობავა, ეკ. ოსიძე,..).

ამ რიგის სტრუქტურული ცვლილება ზმნებშიც შეიძლება განხორციელდეს. დასახელებული სომატუროობიექტიანი გარდამავალი ზმნებიდან ზოგიერთ შემთხვევაში (რჩეული მოქმედების აღნიშვნისას) პირდაპირი დამატების ხმარება შესიტყვებაში აუცილებლობას აღარ წარმოადგენს: ის თავისთავად იგულისხმება, მაგ.: **გაპარსვა** (პირის, წვერის), **მორთხმა** (ფეხის), **დავარცხნა** (თმის, წვერის)... და ხდება პირდაპირი დამატების ელიმინაცია: **იპარსავს** ის, **ივარცხნის** ის... ელიმინაცია ასეთ შესიტყვებაში მოულოდნელი არ არის ქართულისათვის, იხ.:

მოიჩქმეტ-ს... მოსჩქმეტს თავისას. ბევრჯერ მწარედ **მოუჩქმეტია** დარიას — თავისი ხორცი (ე. ნინოშ.) (ქეგლ). შდრ.:

იჩქმეტ-ს... ჩქმეტს თავისას. [ტასიამ] ხელზე **იჩქმიტა** (ლ. ქიაჩ.)

მოიჩქმეტს ხორცს, *ხელს > იჩქმეტს ხელზე

მოიშიშვლებ-ს... მოიშიშვლებს თავისას, — შიშველს გაიხდის, გაიშიშვლებს. „ბესიამ **მოიშიშვლა** ის ადგილი..., რომელიც მისთვის დაეჭრა ტყვიას“ (ე. ნინოშ.), შდრ.:

„აბა **მოიშიშვლე** იმ ალაგას, სადაც გაქვს დაკოდილი“ (ე. ნინოშ.).

მოიშიშვლა ის (ადგილი) > მოიშიშვლა იმ ალაგას

შესიტყვებაში პირდაპირი დამატების პოზიციაში ადგილის გარემოება ჩაენაცვლა.

მოიყრუებ-ს ... 1. ყურს მოიყრუებს ... 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწყმოს წყებაში) ... ოდნავ ყრუა (ქეგლ)

მოიყრუებს ყურს > მოიყრუებს

დაიმუნჯებ-ს ენას, პირს: აღე პირი ღვთის საქებრად, ნუ **გაიმუნჯეო** (გურამ..). მეტი არაფერი მკითხა და ენა **დაიმუნჯა** („მნათობი“, 1972, 1, 42). შევიტყოვ და მას ნუ ვეტყვით, დავიდუმოთ, **დავიმუნჯოთ** (არჩ., I, 14, 3)...

დაიმუნჯებს ენას, პირს > დაიმუნჯებს

ბ) *სრული რეფლექსივიზაცია*

სუბიექტის მოქმედება თავის თავზე, როგორც პირდაპირ ობიექტზე მკაფიოდ გამოხატულია იმ სასუბიექტო ქცევის ზმნებში, რომელთა შესიტყვებაში პირდაპირი დამატების პოზიცია შევსებულია „თავი“ უკუქცევითი (ან სხვა სინონიმური) ნაცვალსახელით, ასეთ შემთხვევებში დაცულია სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის სრული რეფერენციალური იდენტურობის პირობაც და, შესაბამისად, ზმნით გამოხატული მოქმედების სრული რეფლექსივიზაცია გვაქვს, კომბინირებულად გამოიხატება აქტიურ-პასიური მოქმედება (ლ. ტენიერი). ეს შესიტყვებებია: თავს **იკლავს**, თავს **ირჩენს**, თავს **იზღვევს**, თავს **იზღუდავს**, თავს **იგდებს**, თავს **იმტვრევს**, თავს **ირთობს**, თავს **ირცხვენს**, თავს **იდებს**, თავს **იკავებს**, თავს **იმახინჯებს**, თავს **იტანჯავს**, თავს **იტკივებს**, თავს **იქებს**, თავს **იცხელებს**, თავს **გაიტანს**, თავს **მოიდრეკს** და კიდევ ბევრი სხვა. შდრ.:

თავს **იგდებს** ... უწესოდ იქცევა, არასაკადრისს ბედავს, თავხედობს.

რა თავს **ვიგდებ**, რა მაყვირებს ასე მწარედ (აკაკი)...

თავს **იგდებს** (განსაცდელში) ... (განსაცდელში) ვარდება თავისივე მიზეზით (დაუფიქრებლობით და სხვ.) „რა გაჭირვება გადგა ამისთანა, რომ განსაცდელში **იგდებდი** თავსა?“ (ვაჟა) ...

თავს **იდებს** 1. თავს დებს; ძალიან დიდ გულმოდგინებას იჩენს, მეტად ზრუნავს (ვინმესთვის ან რამესთვის); ესარჩლება (ვისმე). მე მისთვის თავს **ვიდებ**, ვაქებ და ვადიდებ (დ. გურამ.). 2. დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, — თავი მოაქვს, ყოყოჩობს. თავს **იდებდა**, სულ ინდაურივით იფხორებოდა (თ. რაზიკ.)

თავს **იმტვრევს** გადატ. ძალიან ბევრს ფიქრობს (რაიმე ძნელად გადასაწყვეტ საკითხზე) — თავს იტეხს. ორივე მხარე ამ ამოცანაზე **იმტვრევდა** თავებს (შ. არაგვ.)...

თავს **იკავებს** 1. თავს იმაგრებს, წონასწორობას იცავს, — თავს იჭერს.

მელქისედეკი თავს ძლივს **იკავებდა** ჯოროზე (კ. გამს.). II გადატ. მოთმინებას არ კარგავს. აენთო ბაბალე, გაბრაზდა, მაგრამ თავს მაინც **იკავებდა** (ი. გედევ.)...

თავს **იკლავს** 1. სიცოცხლეს ისპობს [გ. უიშვილი] ვერ იტანს თავმოყვარეობის შელახვას ... და შინ დაბრუნების შემდეგ თავს **იკლავს** (გ. ქიქ.). 2. გადატ. ძალიან უნდა, დიდი სურვილი აქვს რისამე, ძალიან ცდილობს, დაჟინებით მოითხოვს რასმე. შენი გულისთვის თავს **იკლავს**, სისხლს და ცრემლს აფრქვევს ყველაო (ვაჟა) ...

თავს **იმართლებს**... თავის გამართლებას ცდილობს (ეცდება)... „რით გინდათ იმართლოთ თავი“ (აკაკი)...

თავს **იმშვიდებს**... თავს ინუგეშებს; წყნარდება, მშვიდდება... გოდერძი თავს ძლივს იმშვიდებს (შ. დად.)...

სია ასეთი შესიტყვებებისა შეიძლება გაგრძელდეს: თავს **ირთობს**, თავს **ირჩენს**, თავს **ისახელებს**, თავს **იღუპავს**, თავს **იქცევს** და ა.შ...

ზოგჯერ „**თავ**“ უკუქცევით ნაცვალსახელს შესიტყვებაში შეიძლება „**გული**“ შეენაცვლოს მნიშვნელობის შეუცვლელად:

გულს (თავს) **იმშვიდებს**... თავს ინუგეშებს; წყნარდება, მშვიდდება. ასე ვფიქრობდით ჩვენა და **ვიმშვიდებდით** გულსა (ნ. ლომ.). გოდერძი თავს ძლივს **იმშვიდებდა** (შ. დად.).

თავს (გულს) **იბოროტებს**... ძლიერ დარდობს, გულს იხეთქს. ქალი გაცრუებული იმედებით გატაცებული **იბოროტებდა** თავს (ვ. ბარნ.).

თავს (გულს) **იმხნევებს**.. თავის თავს ამხნევებს, — თავს ინუგეშებს. ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს... ამ იმედით გულს **იმხნევებს** ადამიანი (ილია) (ქეგლ). ის **იმხნევებდა** თავს (ანტ. ფურც.)...

ჩვეულებრივ, ამ სომატომების („თავი“, „გული“) შენაცვლებით შესიტყვებათა მნიშვნელობაც იცვლება:

გულს **იხეთქავს**... ძალიან ეშინია რისამე, ძლიერ განიცდის რასმე

თავს **იხეთქავს** გადატ. ძალიან ბევრს ფიქრობს...

შესიტყვებას ზოგჯერ რეფლექსური ნაცვალსახელიც ტოვებს:

თავს ინუგეშებს II ინუგეშებს:

ინუგეშებდა თავს გოგლა (შ. არაგვ.). შდრ., თუ ვერ იხერხა, რა ვუყოთ? ამით **ვინუგეშებ**, რომ ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია (ილია); იცოდა, რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით **ინუგეშოს** (ილია).

მოიავადმყოფებ-ს ... 1. თავს მოიავადმყოფებს, თავს ავადმყოფად მოაჩვენებს; ავადმყოფობას მოიგონებს. გამწყრალმა ქალმა დაითხოვა ქალა-ბიჭა და თავი **მოიავადმყოფა** (ზღაპ.). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში)... ოდნავ ავად არის; ზოგჯერ ავადმყოფობს.

თავს მოიავადმყოფებს > II მოიავადმყოფებს.

მოიბრიყვებ-ს ... 1. თავს მოიბრიყვებს, თავს ბრიყვად მოაჩვენებს; ბრიყვობას მოიგონებს. თავი მოუბრიყვებია. — თუ-კი აქე სადმე პირში თქმისათვის, თავს **მოიბრიყვებს?** (ი. მაჩაბ. თარგმ.). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში)... ოდნავ ბრიყვია, — მოისულელებს.

თავს მოიბრიყვება > II მოიბრიყვებს

მოისულელებ-ს ... 1. თავს მოისულელებს, თავს სულელად მოაჩვენებს. „ეხლა კი გთხოვთ, ნუ **მოისულელებთ** თავს!“ (ქ. ბაქრ. თარგმ.). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში)... ცოტა სულელია, — მოსულელოა. (ქეგლ).

თავს მოისულელებს > მოისულელებს

„თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის გარეშე **ინუგეშებს** და მსგავსი ყალიბის ერთვალენტიანი ვარიანტები (**იწუხებს**, **ისულელებს**, **იცოცხლებს**) საშუალი გვარის მედიოაქტიურ ზმნათა ნაკლულ პარადიგმას ავსებენ:

აწმყ. **ნუგეშობ-ს,** მყოფ. **ი-ნუგეშებ-ს**, წყვეტ. **ი-ნუგეშ-ა** მ ა ნ
ცოცხლობ-ს **ი-ცოცხლებ-ს** **ი-ცოცხლ-ა** მ ა ნ

შდრ.: დიდხანს ვეღარ **ვიცოცხლებ** (ვაჟა), მაგრამ: ერთ დღესაც არ **ვიცოცხლებდი** თ ა ვ ს (ანტ. ფურც.).

იხარებს თ ა ვ ს : „თ ა ვ ს ასეთზედ ნუ **იხარებ**, ბოლოს ინანდეო“ (გურამ. 161, 4), მაგრამ: **იხარებს** (მყოფადი ხ ა რ ო ბ ს ზმნისა) და სხვ.

საშუალი გვარის ზმნების ნაკლულ პარადიგმათა შემავსებელი ი- პრეფიქსიანი ფორმების გარდამავალ სასუბიექტო ქცევის ზმნათაგან წარმომავლობა შესიტყვებიდან პირდაპირი ობიექტის (დამატების) ელიმინაციით სამეცნიერო ლიტერატურაში ერთგვარად სადავო საკითხი გახდა. თუმცა რიგი ფაქტი ამ დებულების მართებულობას უჭერს მხარს.

პირველ რიგში ეს შესიტყვებაში პირდაპირი დამატების გამოტოვების ფაქტია, რაც დასტურდება როგორც ახალ, ასევე ძველ ქართულშიც. შესიტყვებაში პირდაპირი დამატების გამოტოვებას გარკვეული მიზეზებიც ეძებნება. ერთ-ერთი მიზეზია ტავტოლოგია; შეინიშნება ტავტოლოგიის ორგვარი შემთხვევა:

1. როცა გარდამავალზმნიან შესიტყვებაში პირდაპირ ობიექტად წარმოდგენილია უკუქცევითი ნაცვალსახელი „თ ა ვ ი“, ე.ი. სუბიექტი ფუნქციურად იდენტურია პირდაპირი დამატებისა. „თ ა ვ ი“ უკუქცევით ნაცვალსახელს შეიძლება შეენაცვლოს „ს უ ლ ი“ ან ადამიანის სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სხვა სიტყვა. ახალ ქართულში ასეთი ცალკეული ფაქტების შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ძველი ქართულიდანაც დავიმოწმებთ ორიოდე მაგალითს:

ილმობს თ ა ვ ს > ილმობს
მუცლისა ტკივილი მიზეზ-იდგას და თ ა ვ ი **ილმოს** (მ. სწ. 243,3)
შდრ.: **ილმო** დედაკაცმან ერთსა შინა დღესა (O. ეს. 66,8)
აღიმსთობს ს უ ლ ს > აღიმსთობს

აღვიმსთობ შენდამი სულსა ჩემსა (ფს. 62 2)
შდრ.: ღმერთო ჩემო, შენდამი **აღვიმსთობ** (ფს. 62 2)...

2. როცა გარდამავალ ზმნასა და პირდაპირ დამატებას საერთო ამოსავალი ფუძე აქვს
დაიძინებს ძილს > დაიძინებს
დაიძინეს ძილი მათი (ფს. 75 6)
შდრ.: მაშინ **დაიძინა** სტეფანე ძილითა სულნელითა (სინ. 61, 8)

ილოცავს ლოცვას > ილოცავს
და ვითარცა ესე ლოცვაჲ **ილოცა** იუდა, შეიძრა ადგილი იგი (სინ. 242,4)
შდრ.: ხოლო მე **ვილოცევდ** შენდამი (ფს. 68 14)...

დასახელებულ ფაქტებს სხვაგვარი — არა პირდაპირი დამატების დაკარგვის, არამედ გაჩენის — კვალიფიკაციაც ეძლევა. ამ თვალსაზრისს თავისი ლოგიკა და ფაქტობრივი დასაბუთებაც ახლავს (ლ. ნოზაძე...)

აქვს თუ არა რაიმე, სხვა გარდამავალ ზმნათაგან გასხვავებული, სტატუსი სასუბიექტო ქცევის იმ ფორმებს, რომელთაც შესიტყვებაში პირდაპირი დამატების პოზიციაში სუბიექტის იდენტური „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი ან მასთან გათანაბრებული სხვა რომელიმე სომატური სახელი უდგას?

თავს **ინუგეშებს**, თავს **იმშევს**, თავს **იმხნევებს**, თავს **არჩენს**, თავს **არწმუნებს**... შესიტყვებათა საოპოზიციო წყვილებად ნეიტრალური (საარვისო) ქცევის სუბიექტის არაიდენტური — პირდაპირი დამატების მქონე ფორმები გვევლინება: **ანუგეშებს, ამხნევებს, არჩენს, არწმუნებს** (სხვას) ...

თავს **ინუგეშებს**... ანუგეშებს, ნუგეშს აძლევს თავის თავს — ანუგეშებს, ნუგეშს აძლევს
თავს **იმშევს**... ამშევს თავის თავს — ამშევს, მშიერს ამყოფებს
თავს (გულს) **იმხნევებს**... თავის თავს ამხნევებს — ამხნევებს მხნეს ხდის, მხნეობას მატებს
თავს **არჩენს** ... თვითონ ინახავს თავის თავს ... (ქეგლ) — არჩენს ინახავს, აცხოვრებს (ვისმე)...

თავს **ინუგეშებს** და **ანუგეშებს** ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც სასუბიექტო და ნეიტრალური ქცევისა (იშენებს და აშენებს) და ასევე, როგორც უკუქცევითი და არაუკუქცევითი მნიშვნელობის ფორმები; აქედან ქცევა გრამატიკულად, სათანადო მორფოლოგიური მარკერით (სასუბიექტო **ი-**) და სინტაქსური გამოხატულებით (ვალენტური მოდელი) ხასიათდება. უკუქცევითობას სპეციალური გრამატიკული მარკერი არ უჩანს: ი- პრეფიქსი პირდაპირი დამატების სუბიექტისაკენ მიმართებას (კუთვნილება-დანიშნულებას) აფიქსირებს და არა სუბიექტისა და პირდაპირი დამატების ფუნქციურ იდენტურობას. უკუქცევითობის მნიშვნელობას ამ რიგის შესიტყვებებში „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი გამოხატავს და ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ უკუქცევითობა ნეიტრალური ქცევის ფორმებითაც შეიძლება გამოიხატოს, თუკი ეს ფორმები პირდაპირ დამატებად „თავი“ უკუქცევით ნაცვალსახელს შეიწყობს: თავს **დებს**, თავს **გადადებს**, თავს **აჩვენებს**, თავს **ხრის**, თავს **წირავს**, თავს **აჩენს**, თავს **წააგებს** ...

გ) *„თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევის ფორმათა შესიტყვებებში*

ზოგიერთი ასეთი შესიტყვება ადრეც დავასახელეთ; წარმოვადგენთ კიდევ რამდენიმე მათგანს ქეგლის მიხედვით:

თავს **გადადებს**... თავს დადებს, თავს გასწირავს, თავს არ დაზოგავს.

ქვეყანა ჩვენგან უხვ დოვლათს მოელის, უნდა **გადავდოთ** თავი (მიხ. მრევლ.)

თავს **გასწირავს**... თავს დადებს ვისიმე ან რისამე სანაცვლოდ, თავს შესწირავს.

ნეტავი იმას, ვინაცა მოძმისთვის თავი **გასწირა** (ვაჟა) ...

თავს **დებს**... თავს სწირავს (ვინმესთვის, რამესთვის). „შეხედე იმას, ვისთვისაც თავს **დებ**“ (აკაკი)

(რაიმეზე, რამეში) დებს თავს, რამედ მოაქვს, მიაჩნია თავი, ერევა. „ეგეც ნასწავლებში **დებს** თავს“ (ი. გულის.).

თავს **აჩვენებს**... იმგვარად იქცევა, რომ შეცდომაში შეიყვანოს ვინმე, — თვალთმაქცობს ...

(თავს) **აჩენს**... 2. დასანახს ხდის ... „ნუღა მოხვალ! თავს უშველე, ნუ **აჩენო**!“ (აკაკი)

თავს **წააგებს**... დაიღუპება (თავისი მიზეზით). „რა გააკეთე?“ — „ვერაფერი, ბატონო, იმის მეტი, რომ თავიც კინაღამ **წავაგე**“ (ბარნოვ.) (ქეგლ).

ნეიტრალური (საარვისო) ქცევის ფორმებთან „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის შეწყობა პირდაპირ დამატებად რაოდენობრივად უფრო შეზღუდულია, ვიდრე სასუბიექტო ქცევის ფორმებთან და ეს ბუნებრივიცაა, სასუბიექტო ქცევის შინაარსი (სუბიექტისკენ მიმართება) ზმნისათვის სუბიექტის იდენტური პირდაპირი დამატების შეწყობის საუკეთესო პირობაა.

განხილულ ორპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმათა „თავი“ პირდაპირდამატებიან შესიტყვებებს და სასუბიექტო ქცევის ზმნათა ანალოგიურ შესიტყვებებს თანმხვედრი მნიშვნელობები აქვს:

თავს **იდებს** 1. თავს დებს ... 2. დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე...

ქედს, თავს **ხრის** იგივეა, რაც ქედს, თავს იხრის...

თავს **გამოაჩენს** იგივეა, რაც თავს გამოიჩენს (ქეგლ) ...

ასე რომ, ორპირიან გარდამავალ სასუბიექტო ქცევის ზმნებში რეფლექსურობა არსებითად შესიტყვებებში „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის გამოვლენას უკავშირდება. სასუბიექტო ქცევის **ი-** პრეფიქსი დამატებითი პირობაა უკუქცევითობის რეალიზაციისათვის (შდრ.: თავს იდებს II თავს დებს, თავს იხრის II თავს ხრის...)

იშენებ-ს გარდამავალი სასუბიექტო ქცევის ფორმაა აშენებს ზმნისა ...

აშენებს თავისას ან თავისთვის ...

შდრ.: **იმხნევებ-ს** გრდმ. სუბ. ქც. ამხნევებს ზმნისა — ამხნევებს თავისას ...

იმხნევებს იგივეა, რაც იმხნევებს თავს.

ინუგეშებ-ს ... იგივეა, რაც თავს ინუგეშებს ... (ქეგლ).

ამდენად, **იშენებს** სასუბიექტო ქცევის ზმნათაგან **იმხნევებს** (თავს), **ინუგეშებს** (თავს) ტიპის ზმნების ცალკე კლასად გამოყოფის საფუძველი არა სინტაქსური, არამედ ლექსიკური ფაქტორი ჩანს. სინტაქსურად ბრუნვაცვალებადი და პირგაურჩეველი „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი იმხნევებს თავს ტიპის შესიტყვებაში პირდა-

პირი დამატების ადგილს იკავებს და ზმნასთან შეწყობილი გამოხატავს სუბიექტისკენ მიმართებასაც (სათავისო ქცევა) და სუბიექტთან იდენტურობასაც (უკუქცევითობა): **იმხნევებს** თ ა ვ ი ს ა ს = იმხნევებს თავის თავს, **ინუგეშებს** თ ა ვ ი ს ა ს = ინუგეშებს თავის თავს, **იწუხებს** თ ა ვ ი ს ა ს = იწუხებს თავის თავს, გულს...

სინტაქსური დამოკიდებულება ზმნასა და „თ ა ვ ი“ უკუქცევით ნაცვალსახელს შორის ამ რიგის შესიტყვებებში დახასიათდება როგორც ურთიერთობა ზმნასა და **რა** ჯგუფის სახელით გადმოცემულ პირდაპირ დამატებას შორის:

ზმნა მართავს როგორც სუბიექტს, ასევე პირდაპირ ობიექტს ბრუნვაში (ის **იკლავს** თ ა ვ ს — მან **მოიკლა** თ ა ვ ი), მაგრამ პირდაპირი ობიექტი არ მართავს ზმნის პირს, — ზმნის პირს მართავს მხოლოდ სუბიექტი და, შესაბამისად, თ ა ვ ს ი კ ლ ა ვ ს სტრუქტურის შესიტყვება მხოლოდ ერთი, სუბიექტური წყობით იუღვლის (სათანადო ინვერსიით III სერიაში).

თავისებურება გვაქვს მიმღეობის წარმოებაშიც: უკუქცევითი ნაცვალსახელი შეერწყმის მიმღეობის ფორმას და ობიექტური მიმღეობები სუბიექტური მიმღეობის ფუნქციით გვევლინებიან:

თავაგდებული — ვინც თავი აიგდო, **თავშეკავებული** — ვისაც თავის შეკავების უნარი აქვს; ვინც თავს იკავებს ხოლმე, **თავმოღერებული** — ვისაც თავი აქვს მოღერებული, **თავმოდრეკილი**, **თავმოძუებული**, **თავმოჭრილი** და ა.შ. (ქეგლ).

შერწყმა ხდება მასდარებშიც: **თავშეკავება** "თავის შეკავება", **თავშეყრა, თავმინებება** და ა.შ.

ჰ. პაული აღნიშნავს: წინადადებაში er hat sich getötet „მან თავი მოიკლა“ ქვემდებარის ურთიერთობა დამატებასთან სრულად შეესაბამება მათ ურთიერთობას წინადადებაში er hat ihn getötet „მან ის მოკლა“. მაგრამ აქ წარმოდგენა მოქმედ სუბიექტსა და წარმოდგენა ობიექტზე, რომელზედაც გადადის ეს მოქმედება, გამოცალკევებულია ერთმანეთისაგან, მაშინ როცა წინადადებაში er hat sich getötet ეს წარმოდგენები ერთმანეთს ერწყმის და უკუქცევითი ზმნა გამოხატავს სუბიექტში ჩაკეტილ პროცესს, თუმცა ეს შერწყმა ფუნქციურია და არა ფორმალური (პაული, 1960, 326). ეს ეხება ქართულსაც. „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი ფუნქციურად ერწყმის სუბიექტს და არა ფორმალურად; ფორმალურად ის პირდაპირი დამატებაა.

„თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის პირდაპირი დამატების ფუნქციით ხმარება არ შემოიფარგლება მხოლოდ ორვალენტიანი სასუბიექ-

ტო ქცევის ზმნებით. ეს ნაცვალსახელი დასტურდება სამვალენტიან ზმნებთანაც და მიემართება როგორც სუბიექტს, ასევე ირიბ ობიექტსაც.

IV. 4.4.5. უკუქცევითი ნაცვალსახელი სამპირიან გარდამავალ ზმნებში. „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი და მასთან გათანაბრებული სხვა სომატური სახელები პირდაპირი დამატების პოზიციაში შეიძლება სამპირიან (ნეიტრალურ და საობიექტო ქცევის) გარდამავალ ზმნათა შესიტყვებებშიც შეგვხვდეს. სუბიექტსა და ობიექტებს და თავად ობიექტებს შორის იდენტურობის თვალსაზრისით შემდეგი სახის მიმართება დასტურდება:

1. სუბიექტისა და პირდაპირი დამატების იდენტურობა: თავს **აკლავს**, თავს **ანაცვალებს**, თავს **ანებებს**, თავს **აღწევს**, თავს **ართმევს**, თავს **აცოდებს**, თავს **უყადრებს**, თვალს **უსწორებს**, გულს **უხსნის**, თვალს **უმართავს**.

2. ირიბი დამატებისა და პირდაპირი დამატების იდენტურობა: თავს **ჭრის**, თავს **ატკივებს**, თავს **აბამს**, თავს **უქონავს**, გულს **უკოდავს**, თვალებს **სთხრის**, გულს **უნათებს**, გულს **უმაგრებს**, გულს **უტეხს** და სხვ.

სუბიექტისა და პირდაპირი დამატების იდენტურობის რამდენიმე ილუსტრაცია:

თავს **აკლავს** — 1. ვინმესთან ბრძოლაში კვდება. თავს სწირავს. სამშობლოს მტერს თავს აკლავს ... 2. თავგამოდებით აკეთებს (რასმე)

თავს **ანაცვალებს** — 1. შესწირავს, ვისიმე გულისთვის გადასდებს (თავს, ადამიანობას, სიცოცხლეს...) ... „თავს **ვანაცვალებ** შენს მზესა, ოღონდ წამომყე ცოლადა!“ (რ. ერისთ.)

თავს **ანებებს** — ტოვებს, შორდება (რასმე), წყვეტს (რაიმე საქმიანობას), მიატოვებს ... მოძღვარი ... თავის მოწაფეს სიკვდილის შემდეგაც თავს არ **ანებებდა** (ა. ყაზბ.)

თავს **აღწევს** — გადაურჩება რასმე, თავიდან აიცდენს (რასმე). თავს **აღწევს** განსაცდელს.

თავს **უყადრებს** — თავის თავის ღირსად, ტოლად თვლის, მიიჩნევს. არწივი ყორნებს თავს არ **უყადრებდა** (ვაჟა)

თვალს **უსწორებს** — პირდაპირ უცქერის. იარაღის ბრჭყვიალს თვალს ვერ **ვუსწორებდი**, მწვავდა (ვაჟა) ...

გულს **უხსნის** — გულის ნადებს უმჟღავნებს, გულის თქმას უზიარებს, მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებენ ყმაწვილები სიტყვა-პასუხს და გულს არ **უხსნიან** მათ (აკაკი) (ქეგლ).

ჩამოთვლილ სამპირიან შესიტყვებათა განმმარტველი ფრაზები გარკვეულწილად აფიქსირებს სუბიექტისა და პირდაპირი დამატების წარმოდგენათა სუბიექტში შერწყმის შედეგად განხორციელებულ ცვლილებებს შესიტყვებათა პირდაპირ მნიშვნელობაში. გადატანითი მნიშვნელობით შესიტყვებაში ბევრ შემთხვევაში აღარ იკითხება პირდაპირი დამატება და ზმნური ფუძე ახალი ლექსიკური და ზოგჯერ გრამატიკული მნიშვნელობით წარმოგვიდგება:

თავს **ანებებს** — ოვებს, შორდება (რასმე) ...
თავს **აღწევს** — გადაურჩება რასმე, თავიდან აიცდენს რასმე ...
თავს **აკლავს** — 1. ვინმესთან ბრძოლაში კვდება ...
თვალს **უსწორებს** — პირდაპირ უცქერის ... (ქეგლ)
თავი **მისცა** წყალს — თავი დაიხრჩო, მგლ. „ჩვენს ნაცნობს ძალიან გაუჭირდა და თავი წყალს **მისცა**“ (თ. სახოკია).

სუბიექტისა და პირდაპირი დამატების („თავი“ რეფლექსივი) რეფერენციალური იდენტურობა რეალიზდება არა მარტო ნეიტრალური ქცევის სამპირიან, არამედ საობიექტო ქცევის გარდამავალ ზმნებშიც:

თავს **უყადრებს** „უყადრებს ის თავის თავს მას“
გულს **უხსნის** „უხსნის ის თავის გულს მას“
თვალს **უსწორებს** „უსწორებს ის თავის თვალს მას“...

საობიექტო ქცევის გარდამავალი რეფლექსური მნიშვნელობის ზმნები რაოდენობრივად უფრო ნაკლები ჩანს და ეს გასაგებიცაა: საობიექტო ქცევა გარდამავალ ზმნებში პირდაპირი და ირიბი ობიექტის კუთვნილება-დანიშნულებით მიმართებას აფიქსირებს, ამ შემთხვევებში კი ორიენტაციაა გამოსახატავი: სუბიექტთან იდენტიფიცირებული პირდაპირი დამატების საიქეთო მიმართება ირიბ დამატებასთან. ამ მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა კი მხოლოდ შეზღუდული სემანტიკის ზმნებს ექნებათ.

ზოგიერთი „თავი“ პირდაპირდამატებიანი საობიექტო ქცევის ზმნის შესიტყვება პოლისემიურია და აფიქსირებს როგორც ა) სუბიექტისა და პირდაპირი დამატების, ასევე ბ) ირიბი და პირდაპირი დამატების ფუნქციურ იდენტურობას.

ა) სუბიექტისა და პირდაპირი დამატების იდენტურობა:

თავს **უკრავს** 1. თავის დახრით სალამს აძლევს, — ესალმება.

„ვინც ღარიბი იყო, სანოვაგეს ეზიდებოდნენ ძღვნად... მცემდნენ თაყვანს, **მიკრავდნენ** თავს“ (ვაჟა) ...

ბ) ირიბი და პირდაპირი დამატების იდენტურობა:

თავს **უკრავს** 2. გადატ. იძულებით გაგზავნის, გადაასახლებს; თავს ამოაყოფინებს; ადგილს მიუჩენს, მოაქცევს ... „წამსვე ძროხაში მე **მიკრეს** თავი, ჩემს სახლ-კარიდან გამაგდეს შორა“ (ილია) ქეგლ.

სამპირიან ზმნებში პირდაპირი და ირიბი დამატებების რაიმე სახის მიმართებათა (კუთვნილებითობა, საზედაო...) დაფიქსირება ჩვეულებრივია, უჩვეულო არც იდენტურობის დაფიქსირებაა:

თავს **სთხოვს** „თავის თხოვნა — მამაკაცის მიერ ქალისათვის სქესობრივი დაკმაყოფილების თხოვნა„. „ავო კაცო, ვით გაბედე, შენ მე (ქალს) **მთხოვე** თავი?“ (დ. გურამ.) (თ. სახოკია).

თავს **უქონავს** — მისი გულის მოგებას ცდილობს ტკბილი სიტყვით.

„ისინი თვითონვე გიყოლებენ, თავს **გიქონავენ**, ხელს გჭიდებენ“ (ს. მგალობ.)

„ალადი ... ზურაბს თავს **უქონავდა**“ (ს. შანშ.) (ქეგლ).

რეფლექსურობა სუბიექტისა და პირდაპირი დამატების ფუნქციურ იდენტურობას უკავშირდება, ამდენად პირდაპირი და ირიბი დამატების იდენტურობის საკითხი სამვალენტიან ზმნებში რეფლექსურობის კუთხით არ განიხილება.

სამპირიან თავს **ანებებს**, თავს **უყადრებს** და მსგავს შესიტყვებებში, სადაც სუბიექტისა და პირდაპირი დამატების ფუნქციური იდენტურობა გაშუალებულია ირიბი დამატების მეშვეობით, რეფლექსურობა შეიძლება დაფიქსირდეს როგორც — ირიბი რეფლექსურობა.

IV. 4.4.6. უკუქცევითობა ერთპირიან ინიანი ვნებითის ფორმებთან. ინიანი ვნებითის (ზოგადად **ი**- პრეფიქსის) ერთ-ერთი თვალსაჩინო ფუნქცია უკუქცევითობაა: ზმნით გამოხატული მოქმედების ან მდგომარეობის სუბიექტისაკენ მიმართება-მიქცევა. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკუქცევითობის, როგორც კატეგორიის რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობაა სუბიექტისა და პირდაპირი ობიექ-

ტის ფუნქციური იდენტურობა გარდამავალ ზმნაში და სუბიექტის მოქმედების უკუქცევა თავის თავზე გარდაუვალ ზმნაში.

თეორიულად **ინი**ანი (აბსოლუტური) ვნებითების კონსტრუქციაში შესაძლებელია რეფლექსურობის რეალიზაცია: პასიური კონსტრუქცია არსებითად (თუმცა არა ყოველთვის) წარმოადგენს შესაბამისი აქტიური კონსტრუქციის კონვერსიულ ფორმას, რომელშიც აქტიური კონსტრუქციის პირდაპირი დამატება პასიურ კონსტრუქციაში ქვემდებარედ (სუბიექტად) გვევლინება, ე.ი. არსებობს პირობები ზედაპირული სუბიექტისა და ამოსავალი პირდაპირი ობიექტის ფუნქციური იდენტურობის ზედაპირულ დონეზე წარმოჩენისათვის ანუ რეფლექსური სემანტიკის რეალიზაციისათვის, გრამატიკული სუბიექტისა და რეალური პირდაპირი ობიექტის ერთ პირად შერწყმისათვის:

თ ა ვ ს **იმალავ-ს:** თავის თავს მალავს, — იმალება. შდრ.: თ ა ვ ს ძლივს **იმალავს** ჯეჯილში ჭიაღუების მტერი [მწყერი] (შ. მღვიმ.);

„ვაჭარი და დავითი თ ა ვ ს **იმალავდნენ**, რადგან სულთნის ეშინოდათ“ (ი. გოგებ.).

იმალვი-ს — [ლომი] ნადირთა თავზარდამცემი ახლა **იმალვის** თავადა (ვაჟა) (ქეგლ).

ვნებითის კონსტრუქციაში რეფლექსურობის მნიშვნელობის გამოვლენისათვის შესაბამისი აქტივის პირდაპირი დამატების პოზიციაში უკუქცევითი ნაცვალსახელი „თ ა ვ ი“ ან სხვა რომელიმე სომატური ელემენტი უნდა იწერებოდეს და შესაბამისად, ვნებითის სუბიექტი სულიერი სახელი (აგენსი) უნდა იყოს:

იბანებ-ა... ტანს იბანს. ინდოთ მეფე აბანოს **იბანებოდა** და დალაქი თავს პარსავდა (საბა).

იპარსებ-ა... წვერს, თმას... იპარსავს. კვირაში ერთხელ **იპარსება**.

იტანჯებ-ა... თავს იტანჯავს

იქექებ-ა... „ქექავს თავისას“, თავს, ცხვირს... იქექავს

იჭმუხნებ-ა... „შუბლს, წარბებს... იჭმუხნის“

იკეცებ-ა... (მუხლებში, წელში) იხრება, იდრიკება, იზნიქება. ინდოელი წელში **იკეცება** (ნ. ლორთქ.) მუხლები მოეკეცა.

იღებებ-ა... იღებავს თავისას [თინათინი] იღებავდა თმას (ე. ნინოშ.).

იშმუშნებ-ა... შმუშვნით მოძრაობს, უხერხულად ინძრევა, მხრებს სწევს.

შდრ.: **იშმუშნი-ს** ... მხრებს იშმუშნის, მხრებს იჩეჩს ...

ითითხნებ-ა ... თითხნიან; ითხუპნება, ითხვრება, ისვრება

შდრ.: **ითითხნი-ს** ... თითხნის თავისას

ასევე: **ითხაპნება, იმანჭება, იციცქნება, იჩიჩქნება** (შდრ., ითხაპნის, იმანჭავს, იციცქნის, იჩიჩქნის ... თავისას)... (ქეგლ).

თუ დავაკვირდებით რეფლექსური შინაარსის აბსოლუტური ინიანი ვნებითების ჩამონათვალს, შევამჩნევთ, რომ ესენი იმ ტიპის ზმნებია, „საკუთრივ რეფლექსურ ან პირდაპირ რეფლექსურ ზმნებს“ რომ ეძახიან. მოქმედებას თავის ობიექტად საკუთარი თავი, საკუთარი სუბიექტი ან საკუთარი სხეულის ზედაპირი, სხეულის რომელიმე ნაწილი აქვს გამიზნული, ე.ი. სუბიექტი მოქმედებს თავის თავზე და ეს შედეგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაშინ ხორციელდება, როდესაც აქტივის ამოსავალ ფორმაში პირდაპირ დამატებად „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი ან საკუთარი სხეულის ნაწილია შეწყობილი. მაგრამ ერთგვაროვნება აქაც არა გვაქვს.

როცა სუბიექტის მოქმედება საკუთარ „თავზე“ და საკუთარი სხეულის ნაწილებზეა მიმართული, ეს ერთდროულად ცენტრიდანული და ცენტრისკენული (უკუქცევითი) მოქმედება ანუ აქტიურ და პასიურ მოქმედებათა კომბინაციაა, — კონვერსიების თვალსაზრისით საკუთარ „თავზე“ და საკუთარი სხეულის ნაწილებზე განხორციელებული მოქმედება სხვადასხვა შედეგს გვიჩვენებს:

მალავს, იმალავს თავის თავს > **იმალება** თვითონ (რეფლექსივი)

კონვერსიული გარდაქმნა სათანადოდ განხორციელდა: აქტივის პირდაპირი დამატება პასივში პასიურ ქვემდებარედ გვევლინება:

მანჭავს, იმანჭავს სახეს > 1. **იმანჭება** სახე 2. **იმანჭება** თვითონ

1. კონვერსიული გარდაქმნა სწორია, მაგრამ **იმანჭება** სახე არარეფლექსურია, ეს მხოლოდ პასივიზაციაა.

2. კონვერსიული გარდაქმნა სწორი არაა. აქტივის პირდაპირი დამატება პასივში აქტიურ ქვემდებარედ გვევლინება: **იმანჭება** თვითონ — ეს რეფლექსივიზაციაა.

რეფლექსურობას გარდაუვალ **ინი**ან ვნებითებში სინქრონიულ დონეზე მხოლოდ აზრობრივი, სემანტიკური კატეგორიის სტატუსი შეიძლება ჰქონდეს. რეფლექსურობის რაიმე დამოუკიდებელი მახასიათებელი **ინი**ანი ვნებითის ზედაპირულ სტრუქტურაში არ გამოვლინდება.

ჩვენს მსჯელობაში შეუსაბამობა ის არის, რომ სასუბიექტო ქცევის ფორმებს კონვერსიული პასივები არ უკეთდება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეფლექსური მნიშვნელობის გადმოსაცემად უკუქცევით ნაცვალსახელს და სომატურ სახელებს ნეიტრალური ქცევის ფორმებიც შეიწყობენ:

თავს **იმალავს** — თავის თავს მალავს — იმალება

მხრებს **აწურავს** იგივეა, რაც მხრებს აიწურავს > აიწურება გრდუვ. ვნებითი აწურავს ზმნისა, 1. მხრებს ასწევს და შეავიწროებს...

ტანს **ჰყრის** იგივეა, რაც ტანს იყრის > აიყრება გადატ. სიმაღლეზე წავა... (ქეგლ).

ი- პრეფიქსი აქ ვნებითობის ფორმანტია; ვნებითობის ფუნქცია **ინი**ან, რეფლექსური სემანტიკის ვნებითებში კარგად იკითხება ამ ფორმების სალექსიკონო განმარტებებიდანაც მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელპირიანი სუბიექტის ფორმებით:

იმალება... მალავენ, **იტანჯება**... ტანჯავენ, **იპარსება**... პარსავენ, **იღებება**... ღებავენ, **ითითხნება**... თითხნიან და ა.შ. აღწერითი თვალსაზრისით, რეფლექსურობა **ინი**ანი ვნებითების ერთი ჯგუფის დამატებითი სემანტიკური ნიშანია.

IV. 4.4.7. უკუქცევითობა და საშუალი გვარის ზმნები. უკვე აღვნიშნეთ, რომ საშუალი გვარის ზმნებს მედიალურთან ერთად ერთგვარი რეფლექსური შინაარსიც აქვთ: მოქმედების ან მდგომარეობის შედეგი სუბიექტსვე უბრუნდება, მნიშვნელობა არა აქვს ერთპირიანია ზმნა თუ ორპირიანი.

რეფლექსური მნიშვნელობა, უფრო ზუსტად სუბიექტის წრეში ჩაკეტილი მოქმედება, კარგად იკითხება ამ ზმნათა სალექსიკონო განმარტებების მიხედვითაც:

სწავლობ-ს... ცოდნას იძენს, განათლებას იღებს
ფიქრობ-ს... თავისთვის გუნებაში მსჯელობს

ხმარობ-ს... იყენებს, სარგებლობს რამეთი

წვალობ-ს... 1. იტანჯება, ეწამება... 2. გაჭირვებით ცდილობს რისამე გაკეთებას, — ეწვალება

ჯავრობ-ს... 1. დარდობს, ნაღვლობს... 2. ბრაზობს, წყრება...

ნანობ-ს... სანანებლად აქვს; თავისი ნამოქმედარით უკმაყოფილოა... (ქეგლ).

ასეთ ზმნებს შეიძლება პირდაპირი დამატებაც შეეწყოთ, მაგრამ პირდაპირ ობიექტზე გადასვლა არ იკვეთება: გიგლა **სწავლობს** და გიგლა **სწავლობს** გაკვეთილს, ორსავე შესიტყვებაში სუბიექტის ქმედების (სწავლების) შედეგი ისევ სუბიექტს უბრუნდება.

რეფლექსურობის სემანტიკურ გამოვლენაზე ასეთ ზმნებთან შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა ისინი პირდაპირი დამატების ფუნქციით „თავი“ უკუქცევით ნაცვალსახელებს შეიწყობენ: გლოვობს თავის თავს, **ტირის** თავის თავს, **ნანობს** თავის თავს, **ჯავრობს** თავის თავს... მაგრამ: **გლოვობს, ტირის, ნანობს, ჯავრობს** ... სხვას. ასეთი შემთხვევები შეზღუდულია, მაგრამ ისინი სრულად არის შესასწავლი. რაც შეეხება საშუალ ზმნათა მყოფადისა და წყვეტილის მწკრივების ოდენ ი- პრეფიქსიან ფორმებს ინუგეშებს, იგლოვებს, ინანებს, იმხნევებს, იფიქრებს, იჯავრებს და ა.შ., მათი რეფლექსურობის კრიტერიუმი ისევ „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის შეწყობა იქნება **ინუგეშებს** თავს, **იმხნევებს** თავს... (მაგრამ არ შეიძლება: *იფიქრებს თავს, *ითაკილებს თავს...). „თავი“ პირდაპირი დამატების შეწყობით ეს ზმნები უკვე გარდამავლები ხდებიან.

ქეგლში **ინუგეშებს** ფორმის შესახებ ნათქვამია: „იგივეა, რაც თავს ინუგეშებს“. ასე შეიძლება განვმარტოთ ზოგი სხვა ზმნაც: **იმხნევებს, გაილაღებს**, **მოიავადმყოფებს, მოისულელებს**... „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი დამატების ელიმინაციით ფუძეში რეფლექსივობის აქტუალიზება ხდება, მაგრამ ეს მხოლოდ სემანტიკური კვალიფიკაცია იქნება. ყოველ შემთხვევაში, **ი**- პრეფიქსი, რომელიც საშუალ ზმნათა უღლების პარადიგმის გარკვეულ მწკრივებში გამოვლინდება, რეფლექსურობის მაჩვენებელი ალბათ ვერ იქნება.

IV. 4.5. ქცევის კატეგორია

IV. 4.5.1. ზოგადი მიმოხილვა. ცალკეულ ენებში მორფოსინტაქსურ დონეზე აისახება მოქმედების მიმართება სუბიექტის ან ობიექტისადმი კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით (ობიექტისადმი მიმართებაში არსებითად ირიბი ობიექტი იგულისხმება). კატეგორია, რომელიც ამ მარკირებულ მნიშვნელობას გამოხატავს, სხვადასხვა ლინგვისტური ტრადიციის გათვალისწინებით, განსხვავებული ტერმინით აღინიშნება (ვერსია, ქცევა, ადრესივი, დესტინატივი).

ვერსიის (ლათ. versio — სახეცვლილება, შებრუნება) კატეგორია დასტურდება ქართველურ და აფხაზურ-ადიღეურ, სემიტურ, ცალკეულ ინდოევროპულ, იაპონურ და ზოგ სხვა ენაში.

ვერსიის კატეგორიის ფუნქციონირება სხვადასხვა ენებში გვიჩვენებს მსგავსებასაც და განსხვავებასაც როგორც მორფოლოგიის, ასევე სინტაქსისა და სემანტიკის თვალსაზრისით; ქართული და აფხაზურ-ადიღეური ენების ზმნათა ვერსიის კატეგორიის სტრუქტურული ერთობის საკითხებია განხილული ქ. ლომთათიძის, გ. როგავას, ნ. მაჭავარიანისა და სხვათა შრომებში. ტიპოლოგიურად ქცევის კატეგორიის იდენტურ კატეგორიად განიხილება ადრესატობა იაპონურში; ა. ხოლოდოვიჩი ადრესივის კატეგორიას იაპონურ ქცევასაც (Японская кцева) უწოდებს; ქართული ზმნის ვერსიის და ბასკური ზმნის ადრესატობის კატეგორიის ტიპოლოგიური ანალიზია წარმოდგენილი თ. მახარობლიძის შრომებში და სხვ.

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ა. შანიძემ სპეციალური პარაგრაფი (§417) მიუძღვნა ქცევის საკითხს ინდოევროპულ ენებში; ივარაუდა, რომ ეს კატეგორია აქაც განირჩევა, თუმცა ისე მკაფიოდ არა, როგორც ქართველურ ენებში და ძველი ბერძნულის აქტივის, პასივისა და მედიუმის შეპირისპირებით აჩვენა, რომ აქტივი და პასივი კონვერსიის, ე.ი. გვარის მიხედვით შეეზომებიან ერთმანეთს, ხოლო აქტივი და მედიუმი ქცევის მიხედვით. ა. შანიძის ამ ვარაუდის კვალდაკვალ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ქცევის ქართული მოდელის ანალოგიით, გერმანულში გამოიყო ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო ვერსიის ლექსიკურ-გრამატიკული ფორმები (მ. პაიჭაძე)...

IV. 4.5.2. ქცევის კატეგორია ქართულში. ქცევის ანუ ვერსიის კატეგორია ზმნით გამოხატული მოქმედების კუთვნილება-დანიშნულებას აღნიშნავს, კონკრეტულად კი — კუთვნილება-დანიშნულებით მი-

მართებას სუბიექტსა და ობიექტს, ან ობიექტებს შორის. ა. შანიძის განმარტებით, „სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის (ან პირების) უბრალო აღნიშვნის გარდა, ქართულ ზმნას მოეპოვება აგრეთვე საშუალება გამოხატოს, რომ

ა) ობიექტი, რომელსაც ობიექტური პირი ეფარდება ფორმაში, არავის კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული; ან

ბ) ობიექტი მოქმედ პირს, ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი; ან კიდევ

გ) ერთი ობიექტი მეორეს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი (ა. შანიძე).

ამ განმარტების შესაბამისად, ტრადიციულად გამოიყოფა საქცეო ოპოზიციის სამი წევრი: საარვისო, სათავისო და სასხვისო, რომელთაც თავ-თავისი ნიშანი უჩანთ:

საარვისო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (დანიშნული): სახლს ვაშენებ, სურათს ვხატავ...

სათავისო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვის არის განკუთვნილი:

სახლს ვიშენებ, სურათს ვიხატავ...

სათავისო ქცევას ი- თავსართი აქვს (ი-ხატავ-ს...) როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობის მხოლობითისა და მრავლობითის ყველა ფორმაში.

სასხვისო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვისაა განკუთვნილი: სახლს ვუშენებ, სურათს ვუხატავ...

სასხვისო ქცევის ფორმებში ორი თავსართი გვაქვს: **უ-**, სუბიექტური წყობის სამსავე და ობიექტური წყობის III პირში: ვ-უ-ხატავ, უ-ხატავ, უ-ხატავს (სუბიექტურ და ობიექტურ წყობას III პირის ფორმა საზიარო აქვს) და **ი-** ობიექტური წყობის I და II პირის ფორმებთან: მ-**ი**-შენებს, გ-**ი**-შენებს; მ-**ი**-შენებ, გ-**ი**-შენებ...

ქცევის სამწევროვანი სისტემა გარდამავალ ზმნებშია წარმოდგენილი.

განსხვავებული ვითარება გვაქვს ქცევის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით გარდაუვალ ზმნებში; აქ გამოირიცხება როგორც პირდაპირი ობიექტის სუბიექტისადმი განკუთვნების, — ასევე ობიექტთაშორისი (პირდაპირი და ირიბი ობიექტის) მიმართებაც, რადგან გარ-

დაუვალ ზმნას პირდაპირი ობიექტი არ შეეწყობა. შესაბამისად, გარდაუვალი ზმნის აბსოლუტური (განუკუთვნელი) ფორმა რელატიურ, სუბიექტის ირიბი ობიექტისადმი განკუთვნების გამომხატველ ოპოზიციაში საქცეო ოპოზიციის ნეიტრალურ წევრად მოიაზრება: შ ე ნ დ ე ბ-ა — უ შ ე ნ დ ე ბ-ა, თ ბ ე ბ-ა — უ-თ ბ ე ბ-ა, ი-ხ ა ტ ე ბ-ა — ე-ხ ა-ტ ე ბ-ა... წ უ ხ-ს — უ-წ უ ხ-ს... როგორც ვხედავთ, განსხვავება გვაქვს მარკირებაშიც: დონიანი და უნიშნო ვნებითების, ასევე, საშუალი გვარის ფორმათა ერთ ნაწილში ნეიტრალური ფორმის ნულოვან (**Ø-**) და საობიექტო ფორმის უ- პრეფიქსს, პრეფიქსიანი ვნებითების ნეიტრალურ და სასხვისო ქცევის ფორმებში ი- და ე- პრეფიქსები ენაცვლება; შდრ.:

ნეიტრალური	საობიექტო
შ ე ნ დ ე ბ ა	უ-შ ე ნ დ ე ბ ა
თ ბ ე ბ ა	უ-თ ბ ე ბ ა
ი-ხ ა ტ ე ბ ა	ე-ხ ა ტ ე ბ ა.

ეს შენაცვლება ბუნებრივად სვამს პრეფიქსიან ვნებითებში **ი-** და **ე-** პრეფიქსთა სტატუსის საკითხს: ზოგი მკვლევარი მათ ქცევის ნიშნებად მიიჩნევს, ზოგი — გვარისად.

ი- და ე- პრეფიქსები ვნებითის ნიშნებია. ქცევის მნიშვნელობა მათ შეთვისებული აქვთ: ი- პრეფიქსიან აბსოლუტურ ვნებითში ქცევის შინაარსი (უკუთქმითი) შეიძლება მხოლოდ კუთვნილების შინაარსის მქონე რელატიურ ვნებითებთან შეპირისპირებით გაჩნდეს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ი-წერება და ე-წერება ორივე უკუთვნელი ფორმაა და ე-წერება ფორმამ კუთვნილებითობა სათანადო კონვერსიულ აქტივთან შეპირისპირებით შეიძინა: „ამის მიხედვით, ენიან ვნებითში ქცევა არის, მაგრამ ისე მკაფიოდ გამოხატული არა, როგორც სუფიქსიანსა და უნიშნო ვნებითში, ან კიდევ საშუალ ზმნებში“.

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აბსოლუტურ ინიან ვნებითებში გამოხატული პასიურობა, რომელიც სუბიექტს მიეწერება, ენიან ვნებითებში ირიბ ობიექტს განეკუთვნება (ან მიემართება), შდრ.: ე წ ე რ ე ბ ა — ი წ ე რ ე ბ ა მ ი ს ი, მ ი ს თ ვ ი ს ან მ ა ს ზ ე, ე ვ ა რ ც ხ ნ ე ბ ა — ი ვ ა რ-ც ხ ნ ე ბ ა მ ი ს ი, ე ლ ე წ ე ბ ა — ი ლ ე წ ე ბ ა მ ი ს ი, ე ნ ა ხ ე ბ ა — ი ნ ა ხ ე ბ ა მ ი ს ი, ე ზ რ დ ე ბ ა — ი ზ რ დ ე ბ ა მ ი ს ი ან მ ი ს თ ვ ი ს, ე პ ო ბ ა — ი პ ო ბ ა მ ი ს ი და სხვ.

რიგითობის მიხედვით, ზმნის ხმოვანი პრეფიქსების პოზიცია იდენტურია, — დაისმის ძირეული მორფემის წინ (პირის ნიშნის მომდევნოდ); ქცევის მორფემათა ერთ რანგში გაერთიანების პირობად მი-

ჩნეულია მათი გრამატიკული მიმართების იდენტური (მაგ., საობიექტო და სასუბიექტო ქცევის ნიშნები) ან რელატიურ-იდენტური (მაგ., სასუბიექტო ქცევა და ვნებითი გვარის ნიშნები) მნიშვნელობები (მ. დამენია).

დამკვიდრებული „საარვისო“ „სათავისოს“ და „სასხვისოს“ პარალელურად იხმარება და უპირატესობა ენიჭება უფრო ზუსტ ტერმინებს — ნეიტრალურს, სასუბიექტოს („სუბიექტისთვის განკუთვნილს“) და საობიექტოს („ობიექტისთვის განკუთვნილს“).

ქართულში ქცევის კატეგორიის სამწევრიან სისტემად (ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო) ინტერპრეტაციის პარალელურად არსებობს ქცევის კატეგორიის ორწევროვან სისტემად (სასუბიექტო : საობიექტო) წარმოდგენის ცდებიც (ქ. ლომთათიძე... ფ. ერთელიშვილი...).

ქცევის კატეგორიის ორწევროვან სისტემად გააზრებას საფუძვლად უდევს ქცევის ცნების ზოგადი განსაზღვრისა (კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვა) და ქცევის კერძო სახეობის, ნეიტრალური (საარვისო) წევრის ცნების განსაზღვრის (კუთვნილებითი ურთიერთობის გამოუხატველობა) არათანაზომადობა: ფორმა, რომელიც არ გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას, ვერ იქნება ამ ოპოზიციის სრულფასოვანი წევრი.

სასუბიექტოსა და საობიექტო ქცევებთან შეპირისპირებით გამოიყოფა საარვისო ანუ ნეიტრალური ქცევა: აშენებს, აკეთებს, ზრდის, ხატავს, თესავს... ამგვარ ზმნებში არა ჩანს, ვისთვისაა განკუთვნილი მოქმედება: ზმნის თავსართი ამაზე არაფერს გვეუბნება — წერს არნ. ჩიქობავა.

ერთგვარი არათანაბარზომადობა შინაარსის პლანში (ქცევის კატეგორიის ზოგადი ცნებისა და ქცევის სახეობათა განმარტებებისა), ა. შანიძის მიერ ქცევის აღნიშვნაში წართქმითი და უკუთქმითი ფორმების შემოტანითაა შეჯერებული: ნეიტრალური წევრი ოპოზიციისა განისაზღვრება როგორც ფორმა, რომელიც კუთვნილება-დანიშნულების აღუნიშვნელობით (ხატავს, ა-შენებს) უპირისპირდება სასუბიექტო და საობიექტო ქცევების კუთვნილება-დანიშნულების მნიშვნელობის გამომხატველ ფორმებს (ი-ხატავს, ი-შენებს...; უ-ხატავს, უ-შენებს). ქცევის შინაარსში კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით ნულოვანი მნიშვნელობის შემოტანით შესაძლებელი გახდა ქცევის კატეგორიის ბინარული ოპოზიციით დახასიათებაც:

კუთვნილება განუსაზღვრელი	კუთვნილება განსაზღვრული	
I	/\	
ნეიტრალური	სასუბიექტო	საობიექტო
გრდმ. ხატავს, ა-შენებს	ი-ხატავს, ი-შენებს	უ-ხატავს, უ-შენებს
გრდუვ. თბება, წუხ-დ-ება, ი-მალება		უ-თბება, უ-წუხდება, ე-მალება

IV. 4.5.3. ქცევა და გარდამავლობა. ქცევის ზოგადი განმარტებისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ქცევა განისაზღვრება „სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის“ კუთვნილება-დანიშნულების ურთიერთობით (იხ. ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990; გ. როგავა, ზ. კერაშევა, 1966); ქცევის სახეობათა (საარვისო, სათავისო, სასხვისო) ა. შანიძისეული განმარტებები პირდაპირი ობიექტის კუთვნილება-დანიშნულებას აფიქსირებენ, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ამ თვალსაზრისით ქცევა გარდამავალი ზმნის კატეგორიაა. ა. შანიძე აღნიშნავს კიდეც, რომ „ქცევათა ბუნებისა და თვისების გამოხატვა უფრო გარდამავალი ზმნის საშუალებით არის შესაძლებელი“. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დროდადრო ისმის. შდრ., „ქცევის კატეგორია ზოგადად იქმნება სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის ნიადაგზე და ამიტომ: იქ, სადაც ობიექტი არ მოიპოვება (ე.ი. ერთპირიან ზმნებში), ქცევის საკითხიც არ დაისმის. ქცევაზე ლაპარაკი მხოლოდ ორპირიან და სამპირიან ზმნებში შეიძლება“ (არნ. ჩიქობავა). ამ ფაქტიდან კეთდება ისეთი დასკვნაც, რომ ქცევის კატეგორია გარდამავალი ზმნის კატეგორიაა და გარდაუვალ ზმნებს (ვნებითსა და საშუალს) ქცევის მიხედვით საპირისპირო ფორმები და, შესაბამისად, ქცევის კატეგორია არ ეწარმოება. აღნიშნულია, რომ ქცევის ასეთი გააზრება გარდაუვალ ზმნებში აგვაცილებს ვნებითის ი-, ე- პრეფიქსთა ქცევის ფორმანტებად მიჩნევას, ხოლო ი-/უ- პრეფიქსებს (მ-ი-შენდება, გ-ი-შენდება, უ-შენდება) ოდენ ირიბი ობიექტის გამოხატვის კვალიფიკაცია მიეცემა (ა. ონიანი).

თუმცა ეს რეალობა იმასაც აფიქსირებს, რომ მაგ., გარდაუვალი რელატიური ვნებითები: უშენდება (მას სახლი), უკეთდება (მას საქმე), უფითრდება (მას სახე), უშრება (მას პირი)... ყველა გადმოგვცემს კუთვნილებას, ყველგან კუთვნილება საობიექტოა. ყველგან ამ საობიექტო

ქცევის შესაბამისი უ- თავსართი გვაქვს. საობიექტო ქცევაში ორი ობიექტი უნდა გვქონდეს, ერთი ობიექტი უნდა იყოს განკუთვნილი მეორისათვის, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი ობიექტი გვაქვს: აქ საობიექტო ქცევა აღნიშნავს, რომ ობიექტისათვის სუბიექტია განკუთვნილი: სკოლას უშენდება ახალი სახლი — სახლი სკოლისაა, სკოლისათვის ახალი სახლი შენდება. ზმნის სუბიექტი (სახლი) განკუთვნილია ობიექტისთვის (სკოლას) (არნ. ჩიქობავა).

წარმოვადგენთ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ქცევის გამოხატვის ძირითად თავისებურებებს.

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები საქცეო სისტემების რეალიზაციის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც 1) გამოხატულების, ასევე 2) შინაარსის პლანების მიხედვით:

1) გამოხატულების პლანის მიხედვით, გარდამავალ (მოქმედებითი გვარის) ზმნებში ქცევის სამწევროვანი სისტემა გვაქვს (ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო): ხატავს, ი-ხატავს, უ-ხატავს..., ა-შენებს, ი-შენებს, უ-შენებს...

გარდაუვალ (ვნებითებსა და საშუალი გვარის) ზმნებში — ორწევრიანი (ნეიტრალური, საობიექტო): ი-ხატება, ე-ხატება... შენდება, უ-შენდება..., თბება, უ-თბება; წუხს, უ-წუხს..., ჩანს, უ-ჩანს... გარდაუვალ ზმნებს არა აქვთ სასუბიექტო ქცევა.

2) შინაარსის პლანის მიხედვით, გარდამავალ ზმნებში ნეიტრალური ქცევის ფორმა აღნიშნავს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის: ხატავს ის სურათს. სასუბიექტო — აღნიშნავს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს: ი-ხატავს ის სურათ-ს; საობიექტო ქცევის ფორმა აღნიშნავს, რომ პირდაპირი ობიექტი მიეკუთვნება ირიბ ობიექტს: უ-ხატავს ის მას სურათს, უ-შენებს ის მას სახლს.

გარდაუვალი ზმნების ნეიტრალური ქცევის ფორმით სუბიექტი არავისი კუთვნილება არ არის: იხატება სურათი, შენდება სახლი, თბება ოთახი, წუხს გული, ჩანს ფსკერი; სასხვისო ქცევის ფორმით კი სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს: ე-ხატება მას სურათი, უ-შენდება მას სახლი, უ-თბება მას ოთახი..., უ-წუხს მას გული, უ-ჩანს მას ფსკერი...

გარდამავალი (მოქმედებითი გვარის) და გარდაუვალი (ვნებითი და საშუალი გვარის) ზმნების ქცევათა სისტემებში დაფიქსირებული სხვაობა გამოხატულებისა და შინაარსის პლანის მიხედვით, გარდამა-

ვალ და გარდაუვალ ზმნებში გადანაწილებულ გვარის საოპოზიციო ფორმებს შორის მოქმედი კონვერსიის მექანიზმით იხსნება.

ნეიტრალური ქცევის ფორმებით გარდამავალ მოქმედებითი გვარის ზმნებში (მხატვარმა დახატა სურათი, დავითმა შეაწუხა მეზობელი) კუთვნილებითი ურთიერთობა არ აისახება: პირდაპირი ობიექტი არავის ეკუთვნის; შესაბამისად, ეს ურთიერთობა არ აისახება კონვერსიული ვნებითებისა და საშუალი გვარის აბსოლუტურ ფორმებში (იხატება სურათი, შეწუხდა მეზობელი, წუხს მეზობელი).

სასუბიექტო ქცევის შინაარსი გულისხმობს ან იმას, რომ პირდაპირი ობიექტი სუბიექტისთვისაა დანიშნული, განკუთვნილი (დავითმა აიშენა სახლი = დავითმა ააშენა სახლი თავისთვის), ან კიდევ იმას, რომ პირდაპირი ობიექტი სუბიექტისაა (დავითმა თავი გაიტეხა — აქ „თავი“ დავითისაა), სასუბიექტო ქცევის ფორმები კონვერსიას არ ექვემდებარება, ამ წესიდან გამონაკლისს შეადგენს ფორმით სასუბიექტო და ფუნქციით ნეიტრალური ზმნები: შე-ი-ნახავს — შე-ი-ნახება, წა-ი-კითხავს — წა-ი-კითხება, გა-ი-გებს — გა-ი-გება, ი-წყებს — ი-წყება და მისთ.

თეორიულად, სასუბიექტო ქცევის კონვერსიული ვნებითის ფორმაში გრამატიკული სუბიექტი (რეალური, ლოგიკური პირდაპირი ობიექტი) უნდა მიეკუთვნებოდეს ვნებითის შესიტყვებაში გამოვლენილ ქვემდებარისებრ უბრალო დამატებას (რეალურ სუბიექტს), თუკი ასეთი დამატება შესიტყვებაში იქნება წარმოდგენილი: დავითმა აიშენა სახლი — სახლი აშენდა დავითის მიერ მისთვის; მაგრამ ასეთი სასუბიექტო ქცევის კონვერსიული მიმართება ვნებითებში არ რეალიზდება.

საობიექტო ქცევის ფორმულა — პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს — კონვერსიის (რეალური ობიექტის გრამატიკულ სუბიექტად მოქცევის) შედეგად რეალიზდება სათანადო კონვერსიული შინაარსით: სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს: დავითმა ა-უ-შენ-ა სახლი მეზობელს > სახლი ა-უ-შენდა მეზობელს...

გარდაუვალი აბსოლუტური ფორმები, განსაკუთრებით ვნებითი გვარისა (ი-ხატ-ებ-ა, შენ-დ-ებ-ა, თბ-ებ-ა...), მხოლოდ ზედაპირული სტრუქტურის ჩვენების საფუძველზე შეიძლება მივიჩნიოთ ერთვალენტიან ფორმებად (შდრ., ი-ხატ-ებ-ა სურათი < ი-ხატ-ებ-ა სურათი მხატვრის მიერ); ამოსავალი ბაზისური სტრუქტურის მიხედვით (და-ხატ-ა, ა-ა-შენ-ა, გა-ა-თბო... მან ის), ისინი ორვალენტიანი ზმნებია. ამასთან, კონვერსიული პასივები მნიშვნელობითაც შეესაბამებიან სათანადო აქტივებს, იმეორებენ კონვერსიული აქტივების სემანტიკას. შდრ.:

ნეიტრალური ქცევა: მოქმ. ა-შენებს ის სახლს
ვნებ. შენდება სახლი (ვიღაცის მიერ)
საობიექტო ქცევა: მოქმ. უ-შენებს ის მას სახლს
ვნებ. უ-შენდება მას სახლი (ვიღაცის მიერ)

ასე რომ, ვნებითი გვარის ზმნათა აბსოლუტური ფორმები კუთვნილების გამომხატველ სათანადო რელატიურ ფორმებთან ოპოზიციაში (ი-ხატება ის — ე-ხატება ის მას, შენ-დ-ება ის — უ-შენ-დ-ება ის მას, თბება ის — უ-თბება ის მას...) საქცეო სისტემის ნეიტრალური წევრის ადგილს იკავებენ (თ. უთურგაიძე); ეს ეხება საშუალი გვარის აბსოლუტურ ფორმებსაც; საშუალი გვარის აბსოლუტური ფორმა გვარის მიხედვით უპირისპირდება სათანადო აქტივს (ა-წუხებ-ს — წუხ-ს...) და პირიანობის მიხედვით — რელატიურ საშუალს (წუხს ის — უ-წუხს ის მას, ღირს ის — უ-ღირს ის მას, ჩანს ის — უ-ჩანს ის მას).

ფორმობრივად, როგორც გარდამავალი ზმნების სამწევრიანი სისტემის, ასევე, გარდაუვალ ზმნათა ორწევრიანი სისტემის ოპოზიციური ცალები ერთმნიშვნელოვნად აკმაყოფილებენ მორფოლოგიური ოპოზიციის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს: გარდამავალ სამწევროვან სისტემებში მარკირებულია ოპოზიციის მინიმუმ ორი წევრი:

ნეიტრალური: ხატავს, სასუბიექტო: ი-ხატავს, საობიექტო: უ-ხატავს

ა-შენებს ი-შენებს უ-შენებს

გარდაუვალ ორწევროვან სისტემებში მარკირებულია ოპოზიციის მინიმუმ ერთი წევრი:

ნეიტრალური:	შენდება	საობიექტო:	უ-შენდება
	თბება		უ-თბება
	ი-ხატება		ე-ხატება
	წუხს		უ-წუხს
	ჩანს		უ-ჩანს

IV. 4.5.4. ქცევის საკითხი III სერიის ფორმებში
(გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების მიხედვით)

გარდამავალ ზმნას III სერიაში ქცევის სამი ფორმიდან (ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო) მხოლოდ ერთი ფორმა რჩება, ისიც მწკრივთა მიხედვით განსხვავებული მარკირებითაა წარმოდგე-

ნილი: I თურმეობითში **ი-/უ-** პრეფიქსებით, II თურმეობითსა და III კავშირებითში **ე-** პრეფიქსით:

I თურმეობითი	ა-მ-**ი**-შენებ-ი-ა	და-მ-**ი**-ხატავ-ს
	ა-გ-**ი**-შენებ-ი-ა	და-გ-**ი**-ხატავ-ს
	ა-**უ**-შენებ-ი-ა	და-**უ**-ხატავ-ს
II თურმეობითი	ა-მ-**ე**-შენებინ-ა	და-მ-**ე**-ხატა
	ა-გ-**ე**-შენებინ-ა	და-გ-**ე**-ხატ-ა
	ა-**ე**-შენებინ-ა	და-**ე**-ხატ-ა
III კავშირებითი	ა-მ-**ე**-შენებინო-ს	და-მ-**ე**-ხატო-ს
	ა-გ-**ე**-შენებინო-ს	და-გ-**ე**-ხატო-ს
	ა-**ე**-შენებინო-ს	და-**ე**-ხატო-ს

ქცევის მნიშვნელობა, საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო, გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში ნეიტრალიზებულია. ეს მნიშვნელობა შეიძლება მხოლოდ აღწერითად გადმოიცეს:

ნეიტრალური: ამიშენებია, სასუბიექტო: **ამიშენებია** ჩემთვის, საობიექტო: **ამიშენებია** მისთვის...

გარდაუვალ ზმნებს საობიექტო ქცევის პრეფიქსი III სერიის ფორმაში არ გადაჰყვება, მაგრამ „ქცევებრი განსხვავება რამდენადმე III სერიაში შეუძლიათ მოგვცენ საპირისპირო ფორმების წყალობით“ (ა. შანიძე).

I და II სერია			III სერია	
	აწმყო	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
საარვ.	შენდება	ა-შენდა	ა-შენებულა	ა-შენებულიყო
სასხვ.	უ-შენდება	ა-უ-შენდა	ა-ჰ-შენებია	ა-ჰ-შენებოდა
საარვ.	თბება	გა-თბა	გა-მთბარა	გა-მთბარიყო
სასხვ.	უ-თბება	გა-უ-თბა	გა-სთბობია	გა-ს-თბობოდა
საარვ.	ი-ხატება	და-ი-ხატა	და-ხატულა	და-ხატულიყო
სასხვ.	ე-ხატება	და-ე-ხატა	და-ჰ-ხატვია	და-ჰ-ხატვოდა

გარდაუვალ ზმნათაგან, საშუალი გვარის ზმნების ერთ ნაწილს ქცევის კატეგორია არ ეწარმოება: დაობს, ცხოვრობს, ცხარობს, ჭარბობს, ძალაობს, ხარობს და ა.შ. მათ არა აქვთ ქცევის მიხედვით საპოზიციო ცალები; მეორე ნაწილს აწმყოს წრის მწკრივებში (აწმყოში, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში) უდასტურდება ქცევის საპირისპირო ფორმები (ნეიტრალური — საობიექტო): ბრწყინავს — უ-ბრწყინავს, ბრუნავს — უ-ბრუნავს, დუღს — უ-დუღს, ხურს —

უ-ხურს, მწიფს — უ-მწიფს, ელავს — უ-ელავს, ჩანს — უ-ჩანს, წუხს — უ-წუხს... სხვა მწკრივებს საშუალი გვარის ზმნები საკუთარი ფუძით ვერ აწარმოებს და ბევრ შემთხვევაში ნაკლულ პარადიგმას სათანადო აქტივის (ან პასივის) ფორმით ივსებს, თუმცა პარადიგმის შევსება მხოლოდ ნეიტრალურ წევრებს ეხება: წუხს, ი-წუხებს, ი-წუხა, უ-წუხია; ბრუნავს, ი-ბრუნებს, ი-ბრუნა, უ-ბრუნია... სასხვისო ქცევის ფორმების ნაკლული პარადიგმის შევსება არ ხდება.

მედიოპასივთა ერთ ნაწილს და „სტატიკურ ვნებითებს“ ქცევის პარადიგმა მხოლოდ აწმყოს მწკრივში აქვთ: გდია — უ-გდია, ჰ-გია — უ-გია, ჰ-კიდია — უ-კიდია, ს-წერია — უ-წერია, ხატია — უ-ხატია და ა.შ.

ე. წ. მყოფადის წრის მწკრივებსა და II სერიაში ქცევის ორივე, ნეიტრალურ და სასუბიექტო, ფორმას ვნებითის ერთი, ენიანი ფორმა ენაცვლება: ე-გდება — ე-გდო, ე-გება — ე-გო, ე-კიდება — ე-კიდა, ე-წერება — ე-წერა... და, ბუნებრივია, ქცევის გაგებაც აღარ გვაქვს. ქცევის გაგება არა გვაქვს ამ ზმნების III სერიაშიც, აქ აწმყოს მწკრივის საოპოზიციო ფორმებს მხოლოდ ერთი ფორმა ენაცვლება: ჰგდებია, ჰგებია, ჰკიდებია, სწერებია...

საქცეო სისტემის იმ სახით ჩამოყალიბება, რაც დღევანდელ ქართულში გვაქვს, ქართველ გრამატიკოსთა რამდენიმე თაობის კვლევისა და განსჯის ნაყოფია. ეს კვლევები ძირითად ხაზებში პირისა და ქცევის, გვარისა და ქცევის გრამატიკულ მოვლენათა ღრმად შესწავლისა და შემდგომში მათი ურთიერთგამიჯვნის ტენდენციითაა ნიშანდობლივი.

ა. შანიძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქცევის კატეგორიის დამუშავებაში, შემოიღო და დაამკვიდრა ტერმინი „ქცევა“, „ქართული ზმნის საქცევში“ (1926) აღნიშნავდა: „ქართული ზმნის წარმოებას ეგრეთ წოდებული ქცევათა მიხედვით, პირველად ყურადღება კოტე დოდაშვილმა მიაქცია, შემდეგ მას შეეხო ნ. მარი.“ ქართული ენის ადრინდელი გრამატიკების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ამ საქმეში სხვა გრამატიკოსებსაც უდევთ წილი (ბ. ჯორბენაძე).

IV. 4.5.5. ქცევის სახეები და მათი წარმოება. როგორც ითქვა, ქცევის სახეობათა რეალიზაციის თვალსაზრისით, ქართულში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ერთმანეთს უპირისპირდებიან.

გარდამავალ, მოქმედებითი გვარის ზმნებში ქცევის სამწევროვანი სისტემა ფიქსირდება; ტრადიციული რიგით გრამატიკებში ქცევის ფორმები ასე სახელდება:

ნეიტრალური (საარვისო);	Øხატავს, **ა-**შენებს
სასუბიექტო (სათავისო):	**ი-**ხატავს, **ი-**შენებს
საობიექტო (სასხვისო):	**უ**-ხატავს, **უ**-შენებს
	გ-**ი**-ხატავს, გ-**ი**-შენებს
	მ-**ი**-ხატავს, მ-**ი**-შენებს...

გარდაუვალ ზმნებში ქცევის კატეგორია შეზღუდულია, ის ყველა გარდაუვალს არ ეწარმოება, განსაკუთრებით — საშუალი გვარის ზმნებს; ამასთან, გარდაუვალ ზმნებში, გარდამავლებისაგან განსხვავებით, ქცევის მხოლოდ ორი სახეობა დასტურდება, გვაკლია სასუბიექტო ქცევის ფორმა. ქცევის ამ ფორმით გამოიხატება კუთვნილებითი ურთიერთობა პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტისა (პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს): პირდაპირი ობიექტი კი გარდაუვალ ზმნას არ შეეწყობა და, შესაბამისად, სასუბიექტო ქცევა გარდაუვალი ზმნებისთვის შეუთავსებელია. ასე რომ, გარდაუვალ ზმნებში ქცევის ორი სახე გამოიყოფა: ნეიტრალური და საობიექტო. წარმოვადგენთ ქცევის საოპოზიციო ცალებს ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებში:

	ვნებითი გვარი	საშუალი გვარი
ნეიტრალური:	Øშენდება, Øთბება, **ი**-ხატება	Øწუხს, Øჩანს
საობიექტო:	**უ**-შენდება, **უ**-თბება, **ე**-ხატება	**უ**-წუხს, **უ**-ჩანს
		გ-**ი**-წუხს, გ-**ი**-ჩანს
		მ-**ი**-წუხს, მ-**ი**-ჩანს...

ქართული საგრამატიკო ლიტერატურის ტრადიციის მიხედვით, ქცევათა სახეების ჩამოთვლა-განხილვას, ჩვეულებრივ, ნეიტრალური (საარვისო) ქცევით იწყებენ. არსებობს ქცევის ფორმათა სხვაგვარი რიგითობაც. იმის გათვალისწინებით, რომ ქცევის კატეგორია კუთვნილება-დანიშნულებით ურთიერთობებს გამოხატავს, თითქოს უფრო მართებული ჩანს ქცევის ფორმათა იმ რიგით განხილვა, სადაც ჯერ კუთვნილება-დანიშნულებითი ფორმები იქნება წარმოდგენილი და მერე ამ მნიშვნელობისაგან ცარიელი ფორმები (შდრ., გვარის კატეგორიის საოპოზიციო წევრთა რიგი: მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი (არც აქტივია და არც პასივი).

„ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ არნ. ჩიქობავა სასუბიექტო და საობიექტო ქცევების დახასიათების შემდეგ განიხილავს საარვისო (ნეიტრალურ) ქცევას.

ქცევის კატეგორიის საოპოზიციო ფორმათა ასეთი რიგი სხვა მკვლევრებთანაც გვაქვს (მ. დამენია; ა. ონიანი). აქ ჩვენ ისევ ტრადიციულად დადგენილ რიგითობას დავიცავთ.

IV. 4.5.6. ნეიტრალური (საარვისო) ქცევა. საარვისოა (ნეიტრალური) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (დანიშნული): „სახლს ვაშენებ“ (ა. შანიძე). **ვ-ა-შენებ** ფორმა არაფერს გვეუბნება ობიექტის (სახლი) კუთვნილებითობის შესახებ; არსაიდან ჩანს, რომ ის ვისთვისმე იყო განკუთვნილი ან დანიშნული. **სახლს**, მართალია, **მე ვაშენებ**, მაგრამ ზმნა არაფერს გვეუბნება ჩემთვის **ვაშენებ** თუ სხვისთვის, ამის დაკონკრეტებისთვის **აშენებს** ზმნას უნდა დავურთოთ სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემთვის **ვაშენებ**, შენთვის **ვაშენებ**, მისთვის **ვაშენებ**... ან უნდა შევუცვალოთ ქცევის სახეობა: სასუბიექტო — **ვ-ი-შენებ**, საობიექტო — **ვ-უ-შენებ**. ნეიტრალური (საარვისო) ქცევა სასუბიექტო და საობიექტო ქცევებთან შეპირისპირებით დგინდება, როგორც მნიშვნელობის, ასევე ფორმის თვალსაზრისით. ქცევის წართქმითი (სასუბიექტო, საობიექტო) ფორმებისაგან განსხვავებით, ის უკუთქმითი ფორმაა, ამიტომაც ნეიტრალურია, მასში კუთვნილებითი ურთიერთობა განსაზღვრული არ არის არც ფორმალურად — გამოხატულების პლანში და არც ფუნქციურად — შინაარსის პლანში.

მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალური ქცევის ფორმებში კუთვნილებითი ურთიერთობა გამოხატული არ არის, მაინც გამოიყოფა ქცევის უნიშნო და ნიშნიანი წარმოება **Ø**- და **ა**- პრეფიქსით:

უნიშნო: წერს, გრეხს, თხრის, ჭრის, ტეხს, ხატავს, ყრის და სხვ.

ნიშნიანი: **ა**-გებს, **ა**-შენებს, **ა**-თბობს, **ა**-ქრობს, **ა**-შრობს, **ა**-ნგრევს...

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა ერთ წყებასთან, ნეიტრალური ქცევის ფორმებში გამოვლენილი დაპირისპირება **ა**- ხმოვან-პრეფიქსიან და უხმოვანპრეფიქსო ფორმებს შორის (ხატავს — ა-ხატავს, ხატია — ა-ხატია...), მოქმედების ამა თუ იმ საგანთან ლოკალიზაციის თვალსაზრისით სიტუაციის ქვეკატეგორიად განიხილება (იხ. აქვე).

გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევის ფორმები პირიანობის მიხედვით ორპირიანებიც არიან (უპირატესად) და სამპირიანებიც (სთხოვა, მისწერა, მოჰკვეთა, ჰკითხა და ა.შ.).

თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა საარვისო ქცევის ფორმით წარმოდგენილ მოქმედებითი გვარის ზმნებს პირდაპირი ობიექტი არ შეეწყობა: **ათენებს, აღამებს, აცხუნებს, ანათებს, აბოლებს, მიაბაკუნებს, მიაბიჯებს, ათბობს, აგვიანებს**... (ის); ასეთი ერთპირიანი ფორმები, ბუნებრივია, ქცევის უკუთქმითი მნიშვნელობით გარდამავალი ზმნის საქცეო პარადიგმაში ვერ ჩანაცვლდება. პარალელურად ეს ფორმები ორპირიანადაც გვხვდებიან: ათენებს ღამეს, აღამებს დღეს, მზე აცხუნებს, მაგრამ: „მზე მეტად აცხუნებდა გარემოს“ (გ. წერ.), მზე ანათებს, მაგრამ: „სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს“ (ილია), აბოლებს, მაგრამ: „ლუარსაბი ოცნებაში იყო და აბოლებდა ჩიბუხსა“ (ილია), მიაბაკუნებს, მაგრამ: „დობილები ბორანის დაღმართზე მიაბაკუნებდნენ ქოშებსა“ („ლიტ. საქ.“), მიაბიჯებს, მაგრამ: „დინჯად ფეხს მიაბიჯებდა ჰუსეინ აღა“ (უიარაღო) და ა. შ.

ობიექტიან ფორმებს, თუკი სემანტიკური ხასიათის შეზღუდვა არ იქნება (მაგ.,*იცხუნებს მზეს, *უცხუნებს მას მზეს), ქცევის პარადიგმა სრული აქვთ: ათენებს — ითენებს — უთენებს, ანათებს — ინათებს — უნათებს, აბოლებს — იბოლებს — უბოლებს, მიაბაკუნებს — მიიბაკუნებს — მიუბაკუნებს...

ფორმალურად მოქმედებითი გვარის ნეიტრალური ქცევის იდენტურია ა- — -ებ კონფიქსიანი ა-ცახცახებ-ს, ა-ციებ-ს, ა-ჟრჟოლებ-ს, ა-ხურვ-ებ-ს (მას) მსგავსი სემანტიკის ერთვალენტიანი, ოდენ ობიექტური წყობის ზმნები; სუბიექტის ფორმალური ნიშანი **-ს** ზმნაში წარმოდგენილია, მაგრამ წინადადებაში ის არ ჩანს: „ამ ანომალურ ფორმებში გამორიცხულია ქმედების ჩამდენის ნება, ანუ ავადობის გამოწვევა (მაციებს, მაკანკალებს, მახურვებს) ავადმყოფის ნების გარეშე ხდება (თ. უთურგაიძე). ქცევის საპირისპირო ფორმები ამ ზმნებს არ უკეთდება და ამდენად ისინი ქცევის მნიშვნელობას ვერ გამოხატავენ.

ა- პრეფიქსი გვხვდება გარდაუვალი სტატიკურ ზმნების ოდენ აწმყოს მწკრივში, აქვს ქცევის მიხედვით საოპოზიციო სასხვისო ფორმაც და, ამდენად, საქცეო სისტემის ნეიტრალური წევრია: ა-ბია — უ-ბია, ა-ნთია — უ-ნთია, ა-წყვია — უ-წყვია...

გარდაუვალ ზმნებში ქცევის კატეგორიის ფუნქციონირების მართებულობის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა, მოკლედ შეგახსენებთ:

1. გარდაუვალი ზმნის ორწევროვან სისტემაში გვაქვს ოპოზიციური მიმართება: მარკირებულია ერთი წევრი — საობიექტო ქცევის ფორმა.

2. გარდაუვალი ზმნის საობიექტო ქცევის შინაარსობრივი განსხვავება გარდამავალი ზმნის საობიექტო ქცევისაგან გაპირობებულია კონვერსიის მექანიზმით.

3. ამავე კონვერსიის მექანიზმით არის გაპირობებული გარდაუვალ ზმნებში ნეიტრალური ქცევის საოპოზიციო ცალად ქცევის შინაარსის რეალიზაციისათვის არასაკმარისი ერთპირიანი ფორმის წარმოდგენა. მოქმედებითი გვარის ბაზისურ სტრუქტურაში (ყოველ შემთხვევაში, ი- პრეფიქსიანი ვნებითებისათვის) ამოსავალი ორპირიანობაა.

4. კონვერსივებსა და ბაზისურ ფორმებს შორის დაცულია ფუნქციური იდენტობა: მოქმედებითი გვარის საქცეო სისტემის ნეიტრალურ (საარვისო) წევრს შეესაბამება ვნებითი გვარის საქცეო სისტემის ნეიტრალური წევრი.

და კიდევ: ქცევის ნეიტრალურ ფორმებს შეიძლება ჰქონდეთ კუთვნილებითი შინაარსი: დალია, შეჭამა, შესვა და მისთ. ფორმით საარვისოა, შინაარსით — სათავისო. შდრ.: „დავითმა სახლი აიშენა“: აიშენა სათავისო ქცევაა; ი- პრეფიქსი მიუთითებს იმაზე, რომ „ობიექტი“ სახლი სუბიექტისთვისაა განკუთვნილი. „დავითმა ერთი ხელადა ღვინო დალია“, „დალია“ სათავისო ქცევა აღარ არის, საარვისოა. განა ცხადი არ არის, რომ თუ „დავითმა დალია“, დალეული ღვინო „სუბიექტისთვის განკუთვნილი“ აღმოჩნდება. რასაკვირველია, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაგრამ ამაზე ფუძე მიუთითებს და არა ზმნის პრეფიქსი (ი-); სხვანაირად რომ ვთქვათ, სათავისოობა აქ მორფოლოგიური საშუალებებით კი არ არის აღნიშნული, არამედ ლექსიკური საშუალებით; ეს რომ ქცევას აჩენდეს, ზმნა выпил (Давид выпил вина) რუსულში სათავისო ქცევა იქნებოდა, რუსულ ზმნას კი ქცევა არა აქვს — ქცევა მორფოლოგიური კატეგორიაა და სათანადო აფიქსით უნდა იქნეს წარმოდგენილი და არა ფუძის მნიშვნელობით (არნ. ჩიქობავა). ასეთი ზმნებია **სვამს, ჭამს, ხვრეპს, წრუპავს, ნთქავს** და მისთ. ლექსიკურად სათავისო და მორფოლოგიურად საარვისო (ნეიტრალური) ქცევის ზმნები. საარვისო ქცევის ფორმებით კუთვნილებითობის გამოხატვის საკითხს ა. შანიძემ „საფუძვლებში“ ცალკე პარაგრაფი უძღვნა (§ 413).

ეს შეუსაბამობა ზოგადად ფორმისა და შინაარსის მიმართების საკითხებს აჩენს. ასევე: პირი **დააღო**, თვალი **გაახილა** და არა *პი-

რი დაიღო, *თვალი გაიხილა და სხვა ამგვარ შემთხვევებს შესიტყვების შემადგენელ წევრთა სემანტიკა განსაზღვრავს.

გარდამავალი ზმნების მიერ პირდაპირ ობიექტად სომატური სახელების (სხეულის ნაწილების) შეწყობისას ერთგვარი კანონზომიერება იკვეთება, საარვისო ქცევის ფორმები სათავისოს მნიშვნელობით პირდაპირ ობიექტად იგუებენ ისეთ სომატურ სახელებს, რომლებიც მოძრაობის გარკვეული უნარით ხასიათდებიან: პირი, თვალები, ცხვირი, წამწამები... შესაბამისად, გვაქვს პირი **დააღო** და არა — *პირი დაიღო, თვალები **მოჭუტა** და არა — *თვალები მოიჭუტა, წამწამები **დაახამხამა** და არა — *წამწამები დაიხამხამა, ცხვირი **დააცემინა** და არა — ცხვირი დაიცემინა... (მაგრამ: თვალი გამოითხარა, თვალები მოიფშვნიტა, ენა მოიკვნიტა...). სათავისო ქცევის ფორმები კი ისეთ სომატურ სახელებს ირჩევენ, რომელთაც მოძრაობის უნარი არა აქვთ: თმა, მუხლი, კბილები... თმა **დაივარცხნა**, მუხლი **მოიყარა**, კბილები **გაიხეხა**... (მ. მაჭავარიანი). თუმცა ასეთი განაწილება აბსოლუტური არ არის, შდრ.: ყურებს **დაიცქვეტს** იგივეა, რაც ყურებს **დაცქვეტს**:

პირუტყვი შედგა, მოიხედა და **დაიცქვიტა** ყურები (ა. ყაზბ.) —
გაიოზმა ერთხელ კიდევ **დაცქვიტა** ყურები (ლ. ქიაჩ.)
ციხელმა სახე უფრო **მოიღუშა** (ვაჟა) —
სახე **მოღუშა** [ცუგნამ] და წყენით უსაყვედურა ალექსის (გ. კაჭახ.)
სალომემ **მოიჭმუხნა** პირისახე (ლ. არდაზ.) —
მოხუცმა **მოჭმუხნა** თავისი ხმელი ამაყი სახე (ე. ნინოშ.)...
ვარიკებმა გვერდზე **მოიღრიცეს** კისრები (ვაჟა) —
სარდალმა ამხანაგებისაკენ კისერი **მოღრიცა** (ვაჟა)
ტკივილით **ვიღრჭენ** კბილსაო (დ. გურამ.) —
ტყვე კბილებს **აღრჭენს** და ცდილობს, უნდა გაიხსნას ხელები (ვაჟა) (ქეგლ)

და პირიქით:

შეინახა, დაიჭირა, იხილა, ისროლა და ა.შ. ფორმით სათავისოა, შინაარსით — საარვისო.

გაუშვა (მან იგი), **უპასუხა, უკბინა** და სხვ. — ფორმით სასხვისოა და შინაარსით — საარვისო. ასეთი შემთხვევები სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებისა და მისი შემადგენელი წევრების სემანტიკური და გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინებით უნდა იქნეს განხილული.

IV. 4.5.7. სასუბიექტო (სათავისო) ქცევა. სასუბიექტო ქცევა აღნიშნავს პირდაპირი ობიექტის კუთვნილებით ურთიერთობას სუბიექტთან. ეს ფორმა ყოველთვის ორპირიანია, გარდამავალი, შეიწყობს სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს და კუთვნილებითი ურთიერთობაც მათ შორის მყარდება. „სუბიექტი მოქმედებს თ ა ვ ი ს ა ზ ე ან თავისთვის და ამიტომაა, რომ ამ ფორმას ს ა თ ა ვ ი ს ო ანუ ს ა ს უ ბ ი ე ქ ტ ო დაერქვა“ — აღნიშნავს ა. შანიძე.

ა. შანიძის ეს განმარტება („სუბიექტი მოქმედებს თავისაზე ან თავისთვის“) არსებითად მოიცავს სასუბიექტო ქცევის გამოყენების შემთხვევებს ქართულში. სისრულისათვის აქ შეიძლება დაემატოს კიდევ ორი მნიშვნელობა, რომელსაც თავადაც ასახელებს: 1. სუბიექტის მოქმედება თ ა ვ ი ს თ ა ვ ზ ე (თავს იკლავს, თავს იტანჯავს...) და 2. სუბიექტის მოქმედება თ ა ვ ი ს კ ე ნ (ტოტი თავისკენ მიიწოდა, ჯიბისკენ წაიღო ხელი, თავისკენ მიიზიდა...).

სუბიექტის თ ა ვ ი ს თ ა ვ ზ ე მოქმედების შემთხვევებს ა. შანიძე ეხება სათავისო ქცევის ფორმათა ხმარების იმ შემთხვევებთან, სადაც აღწერილია სუბიექტის მოქმედება თავის სხეულზე, ან თავის სხეულის ნაწილებზე („მოქმედება თ ა ვ ი ს ა ზ ე“): ტ ა ნ ი და-ი-ბანა, თ ა ვ ი მო-ი-ფხანა, თ ვ ა ლ ე ბ ი ამო-ი-წმინდა... ა. შანიძე შენიშნავს: „იგივე ამბავია არსებითად, როცა ვამბობთ: თ ა ვ ი მო-ი-კლა, ს უ ლ ი წა-ი-წყმიდა და მისთ.“ (ა. შანიძე).

თ ა ვ ს მოიკლავს, თ ა ვ ს იტანჯავს, თ ა ვ ს იღუპავს, თ ა ვ ს იხრჩობა, ს უ ლ ს იწყმედს და ა.შ. რა თქმა უნდა, არ არის „მოქმედება თავისაზე“ და ეს ქ ე გ ლ ი ს განმარტებებითაც დასტურდება:

თ ა ვ ს მოიკლავს — 1. სიცოცხლეს მოისპობს, თვითმკვლელობას ჩაიდენს; თ ა ვ ს იტანჯავს — ტანჯვას აყენებს თავის თავს, თ ა ვ ს იღუპავს — იღუპება თავისივე მიზეზით, თ ა ვ ს იხრჩობს — თავს იკლავს, სიცოცხლეს ისპობს დახრჩობით, ჩამოხრჩობით, ს უ ლ ს იწყმე[ნ]დს — ძვ. ვითომდა სულს იღუპავს...

სათავისო ქცევის გამოყენების შემთხვევები სუბიექტის მოქმედების საკუთარ თავთან მიმართების სხვადასხვა ნიუანსის მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად წარმოვადგინოთ:

ა) სუბიექტის „მოქმედება თავისთავზე“: თავს იკლავს, თავს იწონებს, თავს იგდებს, სულს იწყმენდს...

ბ) სუბიექტის „მოქმედება თავისაზე“: ტანს იბანს, თავს იქექავს, მკლავს იღრძობს, ჭრილობას იშუშებს...

გ) სუბიექტის „მოქმედება თავისთვის“: დავალებას იწერს, ფულს იჯიბავს, სახლს იშენებს, ქონებას ინაწილებს...

დ) სუბიექტის „მოქმედება თავისკენ“: იშვერს თითს, ხელს (ჩემკენ, შენკენ, მისკენ), მოიმხრობს, იწევს ტოტს (თავისკენ), იწვდის თავისკენ, იკრავს ჯიბეში...

საზღვარი ამ ჯგუფებს შორის პირობითია. შდრ.: ქეგლის მიხედვით, **მოიზიდავს** ფორმა განიმარტება 1. **მოიზიდავს** თავისას ან თავისთვის შეშას **მოიზიდავს**, 2. **მოიზიდავს**, მოსწევს თავისკენ, თავისას. შადიმანმა... წვერს მოიზიდა სიმწარით (ვ. ბარნ.); დარღვეულია სინტაქსი, უნდა იყოს წვერი მოიზიდა...

სასუბიექტო (სათავისო) ქცევის მორფემა -ი პრეფიქსია, ამ გრამატიკული ფუნქციით ის მხოლოდ გარდამავალ ორპირიან ზმნებში რეალიზდება და მხოლოდ I და II სერიის მწკრივებში, — განურჩევლად პირისა და რიცხვის რომელობა-როგორობისა:

აწმყო:	სუბიექტური წყობა	ობიექტური წყობა
მხ. რიცხვი	ვ-ი-რჩევ მე მას	მ-ი-რჩევ-ს ის მე
	ი-რჩევ შენ მას	გ-ი-რჩევ-ს ის შენ
	ი-რჩევ-ს ის მას	ი-რჩევ-ს ის მას
		მ-ი-რჩევ შენ მე
		გ-ი-რჩევ მე შენ
მრ. რიცხვი	ვ-ი-ნახავთ ჩვენ მას	გვ-ი-რჩევ-ს ის ჩვენ
	ი-ნახავთ თქვენ მას	გ-ი-რჩევ-თ ის თქვენ
	ი-ნახავენ ისინი მას	ი-რჩევ-ს ის მათ
		გვ-ი-რჩევ შენ ჩვენ
		გ-ი-რჩევთ მე თქვენ

შენიშვნა: რჩევა ზმნის ობიექტური წყობის ფორმა პოლისემიურია: მირჩევს ის მე და მირჩევს ის მე მას.

სასუბიექტო ქცევის შინაარსი შეიძლება ზმნის ფუძითაც გადმოიცეს, მაგრამ ეს სასუბიექტო ქცევის შინაარსის ლექსიკური გამოხატულება იქნება. მაგ., „დავითმა ერთი ხელადა ღვინო **დალია**“, ამ მნიშვნელობის ზმნებია: **ჭამს, სვამს, ხვრეპს, წრუპავს** და სხვ., რომელთაც აღარ უნდა ეწარმოებოდეს სათავისო ქცევის ფორმები, თუმცა ზმნათა ერთ ნაწილს სათავისოს ფორმები, იშვიათად, მაგრამ მაინც უკეთდებათ:

ისრუტავ-ს — იწოვს, ისვამს. ნიადაგი წყალს ისრუტავს. II ფიგურ. ცხვირის ნესტოთი ჰაერს ისრუტავდა („ივერია“).

ისვამ-ს[3] (ისვა, უსვამს) — გრდმ. ისრუტავს, იწოვს. მიწა... ისვამს წვიმის წყალს (ნ. ლომ.)

ინთქავ-ს (დაინთქა, დაუნთქავს თავისში) — გრდმ. სუბ. ქც. იხ. ი ნ თ ქ ა მ ს ფიგურ. მაგრამ, ზოგჯერ რომ ტკბილი ხმა სანუგეშოდ მიფრენს აღმა და ჩემთ გიჟთა ოცნებათა ხარბად ინთქავს უფსკრული ღრმა (აკაკი)

იწოვ-ს — ისრუტავს

იჭამ-ს — ჭამს თ ა ვ ი ს ა ს, — კბილით იგლეჯს, იწიწკნის, იკვნეტს. ფრჩხილებს იჭამს. II ფიგურ. სიბრაზისაგან... ხორცს კბილით ვიჭამდე (ვაჟა). **თითებს იჭამს** — თითებს იკვნეტს (მეტის მეტი აღელვების, ნერვიულობის გამო).

მორფოლოგიური კატეგორია სათანადო აფიქსით უნდა იყოს წარმოდგენილი, მაგრამ მარტო აფიქსიც ვერ ქმნის კატეგორიას. წ ა ი ყ ვ ა ნ ა გარდამავალი ზმნაა, ორპირიანი, **ი**-ხმოვანპრეფიქსიანი, მაგრამ სასუბიექტო ქცევის მნიშვნელობას არ აღნიშნავს, ფორმით სასუბიექტოა, ფუნქციით — ნეიტრალური. ასეთ კატეგორიებს, რომლებიც ფორმალურად განეკუთვნებიან ამა თუ იმ კატეგორიას, მაგრამ საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო სათანადო კატეგორიის ფუნქციას მოკლებულნი არიან, ა. შანიძემ მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი უწოდა.

ფორმისა და ფუნქციის არაადეკვატურობის ნიმუშად ა. შანიძე სასუბიექტო ქცევის სხვა ფორმებსაც მოიხმობს: ა-ი-ღო, და-ი-ჭირა, და-ი-წყო (ლაპარაკი), შე-ი-ნახა, გა-ი-ტანა, და-ი-ცვა, გა-ი-გო, მო-ი-წონა, და-ი-წუნა, შე-ი-პყრო, და-ი-ნახა — ყველა ფორმა სასუბიექტო ქცევისაა, ფუნქციით კი ნეიტრალურები არიან. არ ჩანს, რომ მაინცდამაინც თავისთვის აიღო, დაიჭირა, დაიწყო, შეინახა, გაიტანა და ა.შ. შეეწყობათ საობიექტოს ცალები: ა-უ-ღო, და-უ-ჭირა, და-უ-წყო, შე-უ-ნახა, გა-უ-ტანა, და-უ-ცვა, გა-უ-გო, მო-უ-წონა, და-უ-წუნა, შე-უ-პყრო... (მან მას ის), მაგრამ არ უჩანთ ნეიტრალური ფორმები.

ა. შანიძე წერს: „**და-ი-წყებს** ზმნა „სათავისო“ ქცევაა, მაგრამ სათავისოა ფორმის მიხედვით, წარმოების ძალით, თორემ ფუნქციით სარვისოდ არის ქცეული. გრამატიკული შინაარსის დაცილება გარეგნული ფორმისაგან, ანუ ფუნქციის გადანაცვლება აქაც იმით არის გამოწვეული, რომ მესამე ფორმა გვაკლია, არ მოიპოვება საარვისოსთვის განკუთვნილი ფორმა: *და-წყებს ან *და-ა-წყებს და სისტემაში საარვი-

სო ქცევის ფორმის ნაკლებობის გამო „და-ი-წყებს“ ფორმის „სათავისობა“ მოჩვენებითია. სრული პარადიგმის შემთხვევაში, ამ რიგის ცვლილება საოპოზიციო ფორმათა მნიშვნელობაში არ ჩანს, შდრ.: საარვ. და**ა**წყო (წიგნები მაგიდაზე) — და**ი**წყო (წიგნები მაგიდაზე) — და**უ**წყო (წიგნები მაგიდაზე)... ქცევის ასეთი, ფორმისა და ფუნქციის მიხედვით არაწინააღმდეგობრივი პარადიგმები ძალიან ხშირია და ისინი ძირითადად უზმნისწინო ფორმების დაპირისპირებითაა შექმნილი:

აკეთებს — იკეთებს — უკეთებს, აშენებს — იშენებს — უშენებს, ამზადებს — იმზადებს — უმზადებს, ალამაზებს — ილამაზებს — ულამაზებს, ანგრევს — ინგრევს — უნგრევს, ათბობს — ითბობს — უთბობს, აქრობს — იქრობს — უქრობს, ამკობს — იმკობს — უმკობს, აბამს — იბამს — უბამს, არჩევს — ირჩევს — ურჩევს... წერს — იწერს — უწერს, ჭამს — იჭამს — უჭამს, ფხეკს — იფხეკს — უფხეკს, ხატავს — იხატავს — უხატავს, კერავს — იკერავს — უკერავს, ჭრის — იჭრის — უჭრის, თლის — ითლის — უთლის და ბევრი სხვ. ზმნისწინებს, ბევრ შემთხვევაში, ზმნის ფუძის სემანტიკაში გარკვეული ცვლილებები შეაქვთ და ქცევის პარადიგმების ფორმალურ-ფუნქციური თანხმობა ირღვევა (ც. კვანტალიანი).

ზემოჩამოთვლილ სასუბიექტო ფორმის ზმნებს აქვთ სათანადო საოპოზიციო ცალები ობიექტური წყობისა, აკლიათ ნეიტრალური (საარვისო) ქცევის ფორმები და ამ ფუნქციას სასუბიექტო ქცევის ფორმები ანაცვლებენ. სათანადო წესი, გარდამავალი ზმნის საქცეო სამწევროვან სისტემაში არსებული ხარვეზის გამო, ასე ჩამოყალიბდება:

თუ საქცეო სისტემაში გვაკლია ნეიტრალური წევრი, მაგრამ გვაქვს სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმები, მაშინ საობიექტო ქცევის ფორმაში აისახება სათანადო მნიშვნელობა, სასუბიექტო ქცევის ფორმაში კი ქცევის სათანადო გაგება ქრება და მნიშვნელობით ის ნეიტრალური წევრის ადგილს იკავებს (პირიანობის მხრივ ცვლილება არ გვექნება).

რა თქმა უნდა, ქცევის საოპოზიციო ფორმათა მნიშვნელობის ცვლის მიზეზი მარტო ნაკლული პარადიგმა არ არის. ზემოჩამოთვლილი ე.წ. მოჩვენებითი სათავისოს ფორმები სინტაქსურად სრულია, ფორმის შესატყვისი, ე.ი. ორპირიანი; ამათგან განსხვავდება სათავისო ქცევის სინტაქსურად არასრული (უობიექტო) ერთპირიანი ფორმები, რომლებიც, ბუნებრივია, „განკუთვნების“ მიმართებას და, შესაბამისად, მნიშვნელობას ვერ გამოხატავენ: იკბენს (თითზე, ნეკზე, ტუჩზე), იშვებს, იხარებს, ამოიძუებს, იძინებს, იქორწინებს, იმარჯვებს, იყრუებს

და ა.შ. ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ახალ, ასევე საშუალ და ძველ ქართულშიც ასეთ ზმნებთან შეიძლება პირდაპირი ობიექტიც გამოვლინდეს და, შესაბამისად, სათავისო ქცევის მნიშვნელობაც აღდგეს, მაგ.:

იკბენს (თითზე, ნეკზე, ტუჩზე), მაგრამ იკბენს ტუჩებს: თავადი ესტატე სულ ტუჩებს იკბენდა (ს. მგალობ.). ზოგიერთი სირბილის დროს საკუთარ სხეულს იკბენდა (აპულეუსი, თარგმ.); მოპარვით თითსა იკბენდეს (არჩ.).

ქეგლის მიხედვით, **იშვებს** ზმნის მესამე მნიშვნელობაა შვებას იგრძნობს; მხიარულად იქნება, მოილხენს... იშვებდა დიდი პატარა... ყვაოდა არემარეო, მაგრამ, შდრ.: 1. მნიშვნელობა: თავს იხსნის, ითავისუფლებს (დაბმული); იხსნის (სხეულის რომელიმე ნაწილს). ბავშვი აკვნიდან ხელებს იშვებს.

ასევე: **იხარებს** II გულს იხარებს, **იძინებს** II ძილს იძინებს, [მო]**იყრუებს** II ყურს მოიყრუებს, **ამოიძუებს** II კუდს ამოიძუებს... ორპირიან იკბენს ტუჩებს, იხარებს გულს, იყრუებს ყურს, ამოიძუებს კუდს... სათავისო ქცევის განმარტება „თ ა ვ ი ს ა ს“ ადვილად მიესადაგება (იკბენს, იხარებს, იყრუებს, ამოიძუებს... თ ა ვ ი ს ა ს).

სათავისო ქცევის ის აბსოლუტური (უობიექტო) ფორმები, რომლებიც საშუალი გვარის ზმნათა უღვლილების ნაკლულ პარადიგმას ავსებენ, ქცევის შინაარსისაგან დაცლილია, უობიექტოდ ამ ფორმებში განკუთვნების მიმართება არ აისახება:

შდრ.: წუხს — ი წ უ ხ ე ბ ს, ი წ უ ხ ა, ხარობს — ი ხ ა რ ე ბ ს, ი ხ ა რ ა, ჩქარობს — ი ჩ ქ ა რ ე ბ ს, ი ჩ ქ ა რ ა, მღერის — ი მ ღ ე რ ე ბ ს, ი მ ღ ე რ ა, ტყუის — ი ტ ყ უ ე ბ ს, ი ტ ყ უ ა, დუღს — ი დ უ ღ ე ბ ს, ი დ უ ღ ა, ცხოვრობს — ი ც ხ ო ვ რ ე ბ ს, ი ც ხ ო ვ რ ა... საშუალი გვარის პარადიგმაში ამათ ქცევის საოპოზიციო ფორმები გვერდით არ უდგას. ზოგიერთ მათგანს პარალელურად მოქმედებითი გვარის ზმნის ქცევის პარადიგმაში პირდაპირი ობიექტიც აღუდგება: იწუხებს თ ა ვ ს, იხარებს გ უ ლ ს, იმღერებს ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ს, იცხოვრებს თ ა ვ ს, იდუღებს ჩ ა ი ს და ა.შ.

დასტურდება სათავისო ქცევის ისეთი ფორმები, რომელთაც საობიექტო — სუბიექტის მიერ პირდაპირი ობიექტის სარგებლობისათვის განკუთვნილი მნიშვნელობა უფრო უჩანთ: შევ**ი**ბრალე, მოვ**ი**პატიჟე, შევ**ი**კედლე, შევ**ი**ხიზნე, შევ**ი**ცოდე, შევ**ი**ვრდომე და სხვ. (მ. დამენია).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასუბიექტო ზმნებს ობიექტური წყობის ფორმები შეზღუდულად უკეთდებათ. შდრ., „პირველ ყოვლისა,

უნდა გვახსოვდეს, რომ სათავისო ქცევას იშვიათად მოუდის ობიექტად „შენ“ და „მე“, ე.ი. იშვიათია, რომ **გი**-, **მი**- გვქონდეს“ ზმნაში (აგი-შენა, ამიშენა — გაგიკეთა, გამიკეთა...) და ზმნა იყოს სათავისო. მაგრამ ზოგჯერ მაინც არის ასეთი სათავისო ზმნები: მან მეგობრად **გაიხადა** ის, **გაგიხადა** შენ, **გამიხადა** მე — **გაგიხადა**, **გამიხადა** სათავისო ქცევაა (არნ. ჩიქობავა).

სათავისო ქცევის ობიექტური წყობის ფორმების იშვიათობაზე მსჯელობს ა. შანიძეც:

„ობიექტურ პირად აქ ჩვეულებრივ მესამეა, მაგრამ ზოგჯერ I და II-ც გვხვდება“. ა. შანიძე ამ რიგის ფორმებს ასახელებს როგორც სათავისო ქცევის იშვიათ ფორმებს:

„მიბრძანა, ახლოს **მიმისვა**, მოდიო, თავი დახარა“ („ვეფხ.“)

„სრულ მელექსეთ **მიუფროსონ**, ვით ისრაელთ მღვდელი აროն“ (არჩ.)

„**მიმიყვანეს** არა—ღირსთა, ღირსეულად მიმსახურეს (გურამ.) და ა. შ.

სათავისო ქცევის ობიექტური წყობის ფორმათა იშვიათობა არსებითად პირდაპირი ობიექტის სემანტიკურ რაობაზეა დამოკიდებული. თუ ზმნა პირდაპირ ობიექტად ადამიანის სახელს იგუებს, ობიექტური წყობის ფორმებიც უკეთდება. ასეთი შეზღუდვა მარტო სათავისო ზმნებთან არ გვაქვს. ორპირიან საარვისო ზმნებთანაც იგივე ვითარებაა (მაგ., **ვ-თოხნი** მე მას, მაგრამ არ გვექნება *მთოხნის ის მე და მისთ.).

სათავისო ქცევის ზმნები, რომელთაც სუბიექტური და ობიექტური წყობაც უკეთდება, ქართულში საკმაო რაოდენობით დასტურდება:

ვ-ი-ამხანაგებ მე მას — მ-ი-ამხანაგებს ის მე
ვ-ი-ახლებ მე მას — მ-ი-ახლებს ის მე
ვ-ი-ახლოებ მე მას — მ-ი-ახლოებს ის მე
ვ-ი-ბარებ მე მას — მ-ი-ბარებს ის მე
ვ-ი-ბატონებ მე მას — მ-ი-ბატონებს ის მე
ვ-ი-ბირებ მე მას — მ-ი-ბირებს ის მე
ვ-ი-ბრიყვებ მე მას — მ-ი-ბრიყვებს ის მე
ვ-ი-ბრუნებ მე მას — მ-ი-ბრუნებს ის მე
ვ-ი-გერიებ მე მას — მ-ი-გერიებს ის მე
ვ-ი-გლეჯ მე მას — მ-ი-გლეჯს ის მე
ვ-ი-გონებ მე მას — მ-ი-გონებს ის მე
ვ-ი-გუებ მე მას — მ-ი-გუებს ის მე

ვ-ი-გულებ მე მას — მ-ი-გულებს ის მე
ვ-ი-გულისხმებ მე მას — მ-ი-გულისხმებს ის მე
ვ-ი-ერთებ მე მას — მ-ი-ერთებს ის მე
ვ-ი-ვაზირებ მე მას — მ-ი-ვაზირებს ის მე
ვ-ი-ვიწყებ მე მას — მ-ი-ვიწყებს ის მე
ვ-ი-ზიდავ მე მას — მ-ი-ზიდავს ის მე
ვ-ი-ზიზღებ მე მას — მ-ი-ზიზღებს ის მე
ვ-ი-თვალწუნებ მე მას — მ-ი-თვალწუნებს ის მე
ვ-ი-თრევ მე მას — მ-ი-თრევს ის მე
ვ-ი-კრავ მე მას — მ-ი-კრავს ის მე
ვ-ი-მადლიერებ მე მას — მ-ი-მადლიერებს ის მე
ვ-ი-მახსოვრებ მე მას — მ-ი-მახსოვრებს ის მე
ვ-ი-მეტებ მე მას — მ-ი-მეტებს ის მე
ვ-ი-მდურებ მე მას — მ-ი-მდურებს ის მე
ვ-ი-მონებ მე მას — მ-ი-მონებს ის მე
ვ-ი-რჩევ მე მას — მ-ი-რჩევს ის მე
და-ვ-ი-მგზავრებ მე მას — და-მ-ი-მგზავრებს ის მე და ბევრი სხვა.

სათავისო ქცევის ობიექტური წყობის I და II პირის ფორმები უმეტეს შემთხვევაში პოლისემიურია, შდრ.:

სათავისო	სასხვისო
მ-ი-ამხანაგებს ის მე	მ-ი-ამხანაგებს ის მე მას
გ-ი-ამხანაგებს ის შენ	გ-ი-ამხანაგებს ის შენ მას
ი-ამხანაგებს ის მას	უ-ამხანაგებს ის მას მას

ასევე: **მიახლოებს, მიბარებს, მიბატონებს, მიბირებს, მიბრიყვებს**... ის მე მას.

ამ მხრივ გამონაკლისად ჩანს **მიზიზღებს** ის მე, **მითვალწუნებს** ის მე, **მიმეტებს** ის მე...

ასე რომ, სასუბიექტო (სათავისო) ქცევის ფორმათა ობიექტური წყობის წარმოების საკითხს პირდაპირი ობიექტის სემანტიკური რაობა აპირობებს.

მოქმედებითი გვარის სასუბიექტო ქცევას აკლია საპირისპირო ვნებითი. ამით ის განსხვავდება საობიექტო და ნეიტრალური ქცევის ზმნათაგან:

	სასუბიექტო ქცევა	საობიექტო ქცევა	ნეიტრალური ქცევა
მოქმ. გვარი	ი-ხატავს	უ-ხატავს	Ø-ხატავს
	ი-შენებს	უ-შენებს	ა-შენებს

ვნებ. გვარი	—	ე-ხატება	ი-ხატება
	—	უ-შენდება	შენ-დ-ება

მართალია, სასუბიექტო ქცევის ზმნებს ვნებითის ფორმები არ უკეთდება, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ II სერიის მწკრივებში ნულოვანპრეფიქსიანი ნეიტრალური ქცევის ფორმათა კონვერსიული ვნებითისა და სასუბიექტო ქცევის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა:

	სასუბიექტო ქცევა	საობიექტო ქცევა	ნეიტრალური ქცევა
მოქმ. გვარი	დ ა - ი - ხ ა ტ ა	და-უ-ხატა	და-ხატა
	ა-ი-შენა	ა-უ-შენა	ა-ა-შენა
ვნებ. გვარი	—	და-ე-ხატა	დ ა - ი - ხ ა ტ ა
	—	ა-უ-შენდა	ა-შენ-დ-ა

სასუბიექტო ქცევისა და პრეფიქსიანი აბსოლუტური ვნებითის ფორმებს (და-ი-ხატა მან სურათი, და-ი-ხატა სურათი) მხოლოდ სინტაქსი განასხვავებს, შდრ.: და-ი-დგ-ა მან ის — და-ი-დგ-ა ის, ა-ი-ვს-ო მან ის — ა-ი-ვს-ო ის, გა-ი-ხსნ-ა მან ის — გა-ი-ხსნ-ა ის და ა.შ.

ასეთი დამთხვევა მხოლოდ II სერიის მწკრივებში დასტურდება. I სერიაში საზიარო ფორმები არ გვაქვს, მოქმედებითი გვარის სასუბიექტო ქცევისა და ი-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები გარჩეულია: ი-ხატავ-ს და ი-ხატებ-ა, ი-დგ-ამ-ს და ი-დგმ-ებ-ა, ი-ვს-ებ-ს და ი-ვს-ებ-ა, ი-ხსნ-ი-ს და ი-ხსნ-ებ-ა და ა.შ. ეს ფაქტი დიაქრონიული ხასიათის სხვადასხვა ინტერპრეტაციის წყაროა: მეორე სერია ძველი წარმოებისაა, პირველი სერია უფრო ახალია, შესაბამისად, გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქცია II სერიისა უფრო ძველია, ნომინატიური კონსტრუქცია I სერიისა — ახალი, II სერიაში გვარის კატეგორია არ გაირჩეოდა, ე.ი. გვარის კატეგორიის ჩამოყალიბება გვიანდელია და სხვ. (არნ. ჩიქობავა).

უნდა აღინიშნოს, რომ სასუბიექტო ქცევის ფორმებს კაუზატივებშიც (შუალობითი კონტაქტის ფორმებში) შევხვდებით, განსაკუთრებით — აღმოსავლეთ საქართველოში: სახლი **აიშენა** — სახლი ა ი შ ე ნ ე ბ ი ნ ა, საქმე **გაიკეთა** — საქმე გ ა ი კ ე თ ე ბ ი ნ ა... სახლი **აიშენა**, მაგრამ ვ ი ს ა ა შ ე ნ ე ბ ი ნ ა (შემსრულებელი, ეგზეკუტორი) არ ჩანს.

ა. შანიძე „ვეფხისტყაოსნიდან“ იმოწმებს „დავისობინო“ ფორმას და აღნიშნავს: „საინტერესო ის არის, რომ საარვისო ქცევით ეს ზმნა სამპირიანია, როგორც ამას ვახტანგის გამოცემაში ვკითხულობთ:

„მას ყრმასა ჴრმალი არა ვჰკრა, არცა მას დავასობინო“.

IV. 4.5.8. საობიექტო (სასხვისო) ქცევა. საობიექტო ქცევა აღნიშნავს კუთვნილებით ურთიერთობას ობიექტებს შორის, ის „გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვისაა განკუთვნილი: „სახლს ვუშენებ“ (ა. შანიძე).

ა. შანიძის ეს განმარტება უკვე გამორიცხავს გარდაუვალ ზმნებში საობიექტო ქცევის აღნიშვნას, რადგან გარდაუვალ ზმნებთან პირდაპირი ობიექტის მიკუთვნება ირიბი ობიექტისათვის ვერ აისახება: გარდაუვალ ზმნებში ორი ობიექტი არა გვაქვს, თუ არ ჩავთვლით იშვიათ ფორმებს ორი ირიბი ობიექტით, მაგ., მ-ი-ცვია მე მას ის („ცოლს არ მიცვია კაბაო“ ვაჟა) და მისთ. და რაც არსებითია, გარდაუვალ ზმნებში არ გვაქვს პირდაპირი ობიექტი. ამიტომ ა. შანიძე გარდაუვალ ზმნებთან ქცევის განმარტებას აზუსტებს: „ქცევებრივი ურთიერთობის წართქმითი სახის დასამყარებლად გარდაუვალ ზმნაში მარტო ორი სინტაქსური ოდენობა გვაქვს: სუბიექტი და ირიბი ობიექტი (ან მათი მორფოლოგიური ფარდები: სუბიექტური პირი და ირიბობიექტური პირი), ამიტომ განსაზღვრა კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით შეიძლება სუბიექტს (ან სუბიექტურ პირს) შეეხებოდეს“ (ა. შანიძე).

მაშასადამე, საობიექტო ქცევა აღნიშნავს კუთვნილებით ურთიერთობას ობიექტებს შორის გარდამავალ ზმნაში და ობიექტსა და სუბიექტს შორის გარდაუვალ ზმნაში; უფრო ზუსტად: საობიექტო ქცევა აღნიშნავს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს გარდამავალ ზმნაში: უ-ხატავს ის მას სურათს, უ-შენებს ის მას სახლს, უ-თბობს ის მას ხელებს...“ სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს გარდაუვალ ზმნაში: უ-შენდება მას სახლი, უ-თბება მას ხელები, ე-ხატება მას სურათი... ამდენად, გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში არა საობიექტო, არამედ **საირიბობიექტო** ქცევა გვაქვს.

საობიექტო ქცევა გარდამავალი ზმნისა სამპირიანია, გარდაუვალი (ვნებითი და საშუალი ზმნისა) — ორპირიანი. საობიექტო ქცევა გარდამავალ ზმნებში და გარდაუვალ ზმნათა ერთ ნაწილში (სუფიქსიანებში, უნიშნო ვნებითებსა და საშუალი გვარის ზმნებში) გამოიხატება მორფოლოგიურად შეპირობებული ორი, ი-/უ- ალომორფით:

ი- ალომორფი გვაქვს მაშინ, როცა ირიბი ობიექტი I ან II პირის ფორმაა (მხოლობითსა თუ მრავლობითში); ეს ეხება როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნათა ერთ ნაწილს:

გარდამავალი:	მ-ი-შენებ-ს ის მე მას	მ-ი-შენებ შენ მე მას
	გვ-ი-შენებ-ს ის ჩვენ მას	გვ-ი-შენებ შენ ჩვენ მას

	გ-ი-შენებ-ს ის შენ მას	გ-ი-შენებ მე შენ მას
	გ-ი-შენებ-თ ის თქვენ მას	გ-ი-შენებ-თ მე თქვენ მას...
გარდაუვალი:	მ-ი-შენდებ-ა მე ის	გ-ი-შენდებ-ა შენ ის
	გვ-ი-შენდებ-ა ჩვენ ის	გ-ი-შენდება-თ თქვენ ის...
	მ-ი-წუხ-ს მე ის	გ-ი-წუხ-ს შენ ის
	გვ-ი-წუხ-ს ჩვენ ის	გ-ი-წუხ-თ თქვენ ის

უ- ალომორფი მაშინ გვაქვს, როცა ირიბი ობიექტი III პირის ფორმაა მხოლობითსა თუ მრავლობითში:

გარდამავალი:	უ-შენებ-ს ის მას მას	უ-შენებ-ს ის მათ მას
	უ-შენებ შენ მას მას	უ-შენებ შენ მათ მას...
გარდაუვალი:	უ-შენდებ-ა მას ის	უ-შენდება-თ მათ ის
	უ-წუხ-ს მას ის	უ-წუხ-თ მათ ის...

განსხვავებულად არის მარკირებული საქცეო მიმართება პრეფიქსიან ვნებითებში:

ვ-ი-ხატები მე	ვ-ე-ხატებ-ი მე მას
ი-ხატებ-ი შენ	ე-ხატებ-ი შენ მას
ი-ხატებ-ა ის	ე-ხატებ-ა ის მას

აბსოლუტური და რელატიური ფორმების დაპირისპირება აქ ასეთ სურათს გვაძლევს: „აბსოლუტური (**ი**ნიანი) საარვისოდ მიდის, რელატიური (**ე**ნიანი) — სასხვისოდ“ (ა. შანიძე). ა. შანიძის განმარტებით, კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით, ურთიერთობა პრეფიქსიანი ვნებითების აბსოლუტურ და რელატიურ ფორმებს შორის: და-ი-კარგა — და-ე-კარგა („ცხენი დაიკარგა“ — „ცხენი დაეკარგა“), ისეთივეა, როგორც **დონ**იანი და უნიშნო ვნებითების აბსოლუტურ და რელატიურ ფორმებს შორის. ი- პრეფიქსიანი აბსოლუტური ვნებითების ქცევის საოპოზიციო ნეიტრალურ წევრად განხილვის მართებულობის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა.

ა. შანიძე აღიარებს, რომ ი- და ე- ხმოვანი პრეფიქსები ვნებითი გვარის ზმნებში გვარის ნიშანია, „მაგრამ სათანადო აქტივთან მიმართებით და აგრეთვე სხვა ტიპის ვნებითებთან ფუნქციონალური დამოკიდებულებით მათ შეუძლიათ ქცევის მაგივრობა გასწიონ“.

როცა საოპოზიციო მიმართებები (როგორც გარე, ისე შიდა მიმართებები) დაცულია, კუთვნილებითი მნიშვნელობა (სუბიექტი ეკუთვნის ან დანიშნულია ირიბი ობიექტისათვის) ენიანი ვნებითის ფორმებ-

ში ხელშესახებია; შდრ., სათანადო სალექსიკონო განმარტებები, სადაც ენიანი ვნებითების შინაარსი გადმოცემულია ფორმულით:

ი ნ ი ა ნ ი ვ ნ ე ბ ი თ ი + პ ი რ ი ს კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ - ს ა ხ ე ლ ი (მ ი ს ი):

ებერებ-ა... გრდუვ. ვნებ. უბერავს ზმნისა — იბერება მისი... [მათიკო] ისე აღელვებული ჯერ არ მენახა: გულ-მკერდი ებერებოდა (აკაკი)...

ებნევ-ა... გრდუვ. ვნებ. უბნევს ზმნისა — იბნევა მისი... გზაზე ხორბალი ებნევა...

ებრიცებ-ა... გრდუვ. ვნებ. იბრიცება მისი

ებუგებ-ა... გრდუვ. ვნებ. უბუგავს ზმნისა — იბუგება მისი...

ებღალებ-ა... გრდუვ. ვნებ. უბღალავს ზმნისა — იბღალება მისი... სახელი ებღალება

ეგზავნებ-ა... გრდუვ. ვნებ. უგზავნის ზმნისა — იგზავნება მისი ან მისთვის, იგზავნება მასთან, უგზავნიან

ედაგებ-ა... გრდუვ. ვნებ. უდაგავს ზმნისა — იდაგება მისი

ეთხუპნებ-ა... გრდუვ. ვნებ. ითხუპნება მისი

ეკარგებ-ა... გრდუვ. ვნებ. უკარგავს ზმნისა — იკარგება მისი

ეკეტებ-ა... გრდუვ. ვნებ. უკეტავს ზმნისა — იკეტება მისი ან მისთვის, უკეტავენ...

საობიექტო ქცევის გამოყენებისას პირობითად ორი შინაარსობრივი ჯგუფი გაირჩევა:

ა) სუბიექტის მოქმედება, დამართული პირდაპირ ობიექტზე, გამიზნულია ირიბი ობიექტისათვის: სახლი **აუშენა**, ფული **გაუგზავნა**, შუქი **აუნთო**, ნამცხვარი **გამოუცხო**, კაბა **შეუკერა**, დღესასწაული **მოუწყო** და სხვ. გარდაუვალ ზმნებში კი სუბიექტის სახით წარმოდგენილი სხვათა მოქმედების შედეგი გამიზნულია ირიბი ობიექტისათვის: სახლი **აუშენდა**, ოთახი **გაუთბა**...

ბ) სუბიექტის მოქმედება, გამიზნული ირიბი ობიექტისათვის, დამართულია პირდაპირ ობიექტზე, რომელიც ირიბი ობიექტის კუთვნილებას წარმოადგენს, ირიბი ობიექტის ნაწილია; არსებითად სუბიექტის მნიშვნელობით სომატური სახელებია წარმოდგენილი, რომლებიც მთელის (ირიბი ობიექტის) ორგანული კუთვნილებაა: გული **გაუხარა** (= მისი გული გაახარა), თვალი **აუხილა**, სახე **დაუკოცნა**, გული **შეუწუხა**, თვალები **აუცრემლა** და სხვ. გარდაუვალ ზმნებში კი სუბი-

ექტი ირიბი ობიექტის კუთვნილებაა, მისი ნაწილია: თვალები **აუცრემლდა**, გული **შეუწუხდა**...

საინტერესო ჩანს ის არც თუ ხშირი შემთხვევები, როცა პირდაპირ ობიექტად წარმოდგენილი სომატური სახელი (ან უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“) სუბიექტის კუთვნილებაა: თავს უყადრებს, თავს არ უდებს, თვალს უსწორებს, გულს უხსნის, თვალს უმართავს... ასეთ შემთხვევებში პირდაპირი და ირიბი ობიექტის კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობის მაგივრად ფორმალურად სუბიექტს, შერწყმული, სუბიექტთან იდენტიფიცირებული პირდაპირი ობიექტის მიმართება, წარმოდგენილი ირიბ ობიექტთან, რეალურად სუბიექტისა და ირიბი დამატების ურთიერთობა, აისახება ისევე, როგორც გარდაუვალ ზმნებში, ოღონდ კუთვნილების გამოხატვის გარეშე.; ქცევის შინაარსი ნეიტრალიზებულია:

თავს არ უდებს — თავს არ აჩაგვრინებს, არ ემორჩილება, უძალიანდება

თვალს უმართავს — პირდაპირ უყურებს, თვალს უსწორებს

თავს უყადრებს — თავის თავის ღირსად, ტოლად თვლის, მიიჩნევს

გულს უჩვენებს — გულღიად ეპყრობა

გულს უხსნის — გულის ნადებს უმჟღავნებს... (ქეგლ).

საობიექტო ქცევის ი-/უ- პრეფიქსები ყოველთვის არ მიუთითებენ ზმნის პირთა კუთვნილებით მიმართებაზე.

ასეთი ზმნები მხოლოდ ფორმალურად არიან საობიექტო ქცევისა: ურბენს, უკრავს, უკბენს, უყურებს, უალერსებს, უსმენს, უსწრებს, უშვებს, უსწრებს, უღრენს, უბღვერს, უჭყეტს, შეუთამაშებს და სხვ. ზმნათა დიდ ნაწილს შესიტყვებაში არ ეძებნება პირდაპირი დამატების ფარდი სახელი და, ბუნებრივია, ასეთ ზმნებში პირდაპირი და ირიბი დამატების კუთვნილებითი ურთიერთობა ვერ აისახება. სასხვისო ქცევის ორვალენტიანი ფორმები რომ პირდაპირი ობიექტის ელიმინაციის შედეგია, ამას ზმნათა ერთი ნაწილის პირდაპიროობიექტიანი ფორმები ადასტურებს: ლომ-ვეშაპ-მგელნი დიდ პირს მიღრენენ, თვალებს მიჭყეტენ, მყეფენ, მიღრენენ (გურამ.); ბრაზმორეული თვალებს უბღვერდა ამ თავხედ ფრინველებს (ვაჟა); შაშვმა მისტვინოს ზევსური (აკაკი); დიასახლისს შეაჩერდა, ტუჩები შეუთამაშა და შორეული კოცნა გაუგზავნა (უიარაღო); ყოველდღე ამას ყური მოუყრუა ჩვენმა ავტორმა (ილია)...

გარდამავალი ზმნებისათვის საქცეო სისტემა, საოპოზიციო ფორმათა მიმართების თვალსაზრისით, ძირითადად ასეთ სურათს გვიჩვენებს:

1. თუ ქცევის პარადიგმაში ნეიტრალური წევრი გვაქვს, სასუბიექტო და საობიექტო ქცევები წარმოდგენილი გვექნება სათანადო ფორმითა და მნიშვნელობით:

წერ-ს, ი-წერ-ს, უ-წერ-ს

ა-შენებ-ს, ი-შენებ-ს, უ-შენებ-ს

2. თუ ქცევის პარადიგმაში არა გვაქვს ნეიტრალური წევრი და გვაქვს სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმები, მაშინ საობიექტო ქცევის ფორმაში სათანადო მნიშვნელობა აისახება, ხოლო სასუბიექტო ქცევის ფორმაში გამქრალია ქცევის გაგება და მნიშვნელობით ის ნეიტრალური წევრის ადგილს იკავებს (პირიანობის მხრივ ცვლილება არ ჩანს):

— , ი-ნახავ-ს, უ-ნახავ-ს

— , ი-წყებ-ს, უ-წყებ-ს

— , გამო-ი-შვებ-ს (სისხლს), გამო-უ-შვებ-ს (სისხლს)

3. შეიძლება პარადიგმაში არ გვქონდეს ნეიტრალური და საობიექტო ან ნეიტრალური და სასუბიექტო ფორმები, მაშინ დარჩენილი ფორმა (სასუბიექტო ან საობიექტო) მნიშვნელობით ნეიტრალური წევრის ადგილს იკავებს, საობიექტო ქცევის ფორმაში შეიძლება დაიკარგოს პირდაპირი ან ირიბი ობიექტი; პარადიგმაში შეიძლება მხოლოდ ნეიტრალური წევრი გვქონდეს:

— , ი-ცი-ს, —

— , ი-ხილ-ა, —

— , — , უ-შვებ-ს ის პატიმარს

— , — , უ-ყურებ-ს ის სპექტაკლს

ა-ნახვებ-ს — —

ქცევის პარადიგმაში ნეიტრალური წევრი საყრდენ წევრად გვევლინება.

ქცევის კატეგორიის პრეფიქსულ მარკირებაში ო-ს გარდა ყველა ხმოვანი მონაწილეობს (**ა**-რჩევ-ს, **ი**-რჩევ-ს, **უ**-რჩევ-ს, მ**-ი-**რჩევ-ს, **ი-**რჩევა, **ე**-რჩევა), თუმცა მათ ქცევის მნიშვნელობის გარდა სხვა მნიშვნე-

ლობებიც უდასტურდებათ (გვარის, კაუზატივის, სიტუაციის...); ეს მრავალმნიშვნელიანობა ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, ართულებდა მათი გრამატიკული ფუნქციების ზუსტად განსაზღვრას. ქართული გრამატიკული აზრის ისტორია ხმოვანპრეფიქსების საშუალებით გამოხატული განსხვავებული მნიშვნელობების გრამატიკულ თუ სემანტიკურ კატეგორიებად გამოყოფის ნიშნით არის აღბეჭდილი (მაგ., **ი-** პრეფიქსი გამოიყო როგორც სათავისოს, აბსოლუტური ვნებითის, სასხვისო ქცევის ობიექტური წყობის I და II პირის, პოტენციალისის აბსოლუტური ფორმის... ფორმანტი; **ე-** პრეფიქსი — როგორც რელატიური ვნებითის, სტატიკურ ზმნათა II სერიის ფორმების, პოტენციალისის რელატიური ფორმის, მიჩნევისა და გუნების ვნებითების... მაწარმოებელი; **ა-** პრეფიქსი — როგორც გარდამავლობის, კაუზატივის, მოქმედებითი გვარის საარვისო ქცევის, სიტუაციის ნიშანი.

ხმოვანთა ეს პოლიფუნქციურობა ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობის წყარო, აზრთა სხვადასხვაობა კი ბუნებრივად იწვევდა უკვე დამკვიდრებული თვალსაზრისების კორექტირებას ან შეცვლას, მაგალითად, ქართული გრამატიკული აზრი თითქოს შეჯერდა იმის თაობაზე, რომ **ა-** პრეფიქსი **ა-შენებ-ს, ა-წუხებ-ს**... და მისთ. არ არის საარვისო ქცევის ნიშანი: ნიშანი ვერ ექნება იმას, რაც არ არის გამოხატული (არნ. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი...), თუმცა ა-წუხებ-ს ტიპის ფორმა, ფაქტობრივ, გარდამავალიცაა, პირველადი კაუზატივიც, მოქმედებითი გვარისაც და საარვისო ქცევის გამომხატველიც. ის გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნის საქცეო სისტემის უკუთვნელი წევრია და ამავე სისტემაში უპირისპირდება სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებს. **ა-** პრეფიქსის პოზიციაში (**ა-**წუხებ-ს) **ი-, ი-/უ-** (**ი-**წუხებ-ს, **უ-**წუხებ-ს) პრეფიქსების ჩანაცვლებით იცვლება ქცევა, მაგრამ არ იცვლება გვარის (გარდამავლობის) რაობა; ასევე, პრეფიქსიან ვნებითებში (**ი-**ხატება — **ე-**ხატება) ხმოვანი პრეფიქსების შენაცვლებით იცვლება ქცევის როგორობა. გვარი (გარდამავლობა) იგივე რჩება.

ფორმალურად მსგავსი პოლიფუნქციური ხმოვანპრეფიქსების კვლევა მარტო ამ ფუნქციათა სხვადასხვა სემანტიკურ თუ გრამატიკულ კატეგორიებად გადანაწილებაში არ გამოიხატა; პარალელურად იყო ამ ფუნქციათა გაერთიანების მცდელობაც სინქრონიული თუ დიაქრონიული ასპექტებით. მაგ., ადრევე დაისვა საკითხი და გაგრძელდა კვლევა ა) სასუბიექტო ქცევასა და ინიანი ვნებითების რეფლექსივიდან წარმომავლობის შესახებ (ჰ. შუხარდტი, ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ივ. ქავთარაძე, კ.ჰ. შმიდტი...); ბ) საობიექტო და სასუბიექტო

ქცევის სტრუქტურათა იდენტურობისა და საობიექტო ქცევის ფორმიდან სასუბიექტო ქცევის მიღების შესახებ. მტკიცებისათვის გამოყენებული იქნა აღწერითი (ბ. რუდენკო, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი...) და დიაქრონიული ანალიზი (მ. დამენია), ზედაპირული და სიღრმული სტრუქტურების შედარება (ვ. ბოედერი, გ. ნებიერიძე, რ. ასათიანი, თ. უთურგაიძე, ბ. ჯორბენაძე...); გ) საობიექტო და სასუბიექტო ქცევების ამოსავალი ფორმის ძიებამ დასვა საკითხი სასხვისო ქცევის III პირისათვის „კუთვნილება-დანიშნულების“ მიმართების გამომხატველი უ- პრეფიქსის განსხვავებული კვალიფიკაციის შესახებ: გვიანდელი წარმონაქმნია ის (ივ. ქავთარაძე, ვ. თოფურია, ჰ. ფოგტი...), ი-პრეფიქსის ფონეტიკურად შეპირობებული ვარიანტი (ჰ. ფოგტი, ვ. ბოედერი, ა. ჰარისი, კ. ბრეიტვეიტი...) თუ III პირისათვის „კუთვნილება—დანიშნულების“ ეს სპეციფიკური გამოხატულება გამოწვეულია I /II—III პირების დიქოტომიურობით (რ. ასათიანი).

ქცევის კატეგორიის კვლევის შემდგომი ეტაპი ამ კატეგორიის მახასიათებელი პრეფიქსული ხმოვნების ზოგადი ფუნქციების დადგენისკენაა მიმართული. კვლევის პრინციპებში შეინიშნება ერთგვარი უკუქცევა წარსულისაკენ: ჰ. შუხარდტი, მერე გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი და სხვებიც ქცევისა და გვარის ფორმალურ მაჩვენებლებს საერთო ტერმინით „მახასიათებელი ხმოვანი“ (Charaktervokale) აღნიშნავდნენ და ვერსიის კატეგორიაში განიხილავდნენ. გავიხსენოთ ასევე ნ. მარის ნავყი (ჯიში), ა. შანიძის ქცევის ადრეული გავრცობილი სქემები, რომლებიც ქცევის გარდა სხვა კატეგორიებსაც აერთიანებდა. ამ ტენდენციის ასახვაა გვარისა და ქცევის კატეგორიების პრეფიქსების ერთი რანგის ნიშნით გაერთიანება, როგორც ურთიერთგამომრიცხველი ნიშნებისა (მ. დამენია).

ქცევის კატეგორიის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე ყველაზე საყურადღებო მოსაზრებები სწორედ ქცევის პრეფიქსულ ხმოვანთა ზოგადი მორფოსინტაქსური ფუნქციების ძიებებს ეხება, რაც ზმნის პირიანობის ცვლას, კერძოდ კი, პირის მატება-კლებას უკავშირდება. ეს თეორია კვლევაში რეალიზებულია დესკრიფციული (მ. მაჭავარიანი, მ. დამენია, ბ. ჯორბენაძე...) და გენერატიული (რ. ასათიანი) მეთოდებით.

რა შედეგი ექნება პოლიპერსონალური ქართული ენის ფაქტების პირის მატება-კლების, ზოგად-აბსტრაქტული და იმავე დროს იმანენტური კატეგორიის მიხედვით შესწავლას, როგორი სრული და ადეკვატური იქნება ქართული ენის ასეთი აღწერა, რა ქვეკატეგორიები გამოიყოფა ამ ზოგად კატეგორიებში, ეს მომავალი კვლევის საქმეა.

დღევანდელ ეტაპზე ქცევის ნიშანთა ფუნქციების განხილვისას (მ. მაჭავარიანი, მ. დამენია, ბ. ჯორბენაძე, რ. ასათიანი) პირის კლების თვალსაზრისით ქცევის კატეგორიაში ორი მიმართების, გვარისა და ქცევის შერწყმა იკვეთება.

IV. 4.6. კაუზატივის კატეგორია

IV. 4.6.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა

IV. 4.6.1.1. „პირველადი კაუზატივები“, „მეორადი კაუზატივები“. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კაუზატივი (ლათ. causa „მიზეზი“) ეწოდება ზმნის ისეთ ფორმას, რომლის სუბიექტი არა უშუალოდ, არამედ სხვა პირის (გრამატიკული ირიბი ობიექტის) მეშვეობით ასრულებს ზმნით გამოხატულ მოქმედებას: დავითი (S) აწერ-ინ-ებ-ს (V) ამხანაგს (Oირ.) წერილს (შდრ.: დავითი (S) წერს (V) წერილს (O პდ.).

დავითი (S) თვითონ კი არ წერს წერილს (O პდ.), არამედ წერილს (O პდ.) დავითის მეშვეობით (თხოვნით, დავალებით, იძულებით...) მისი ამხანაგი (O ირ.) წერს, ამხანაგს აწერინებს. დავითი (S) მოქმედების უშუალო შემსრულებელი არ არის, ის ამ მოქმედების მაიძულებელია, ინიციტორია; მოქმედების უშუალო შემსრულებლად მიც. ბრუნვაში დასმული ირიბი ობიექტი (ამხანაგს) გვევლინება.

კაუზატივის მაგივრად ხმარობენ ფაქტიტივსაც (მაგ., გერმანელი ლინგვისტები), იძულებითსაც (მაგ. რუსულში побудительный, понудительный ან принудительный глагол). ჩვენში ამ ფორმას ა. შანიძის ტერმინოლოგიით კონტაქტი (ლათ. contactus „შეხება“), ასევე, გზა ჰქვია. ძველ გრამატიკებში ამ კატეგორიას „მრჩობლ სხმითგარდასლვითი“ (ორმაგად გარდამავალი) ერქვა.

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ კონტაქტის რაობა ასეა განმარტებული: „კონტაქტის სახელით აღვნიშნავ ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით. ამის მიხედვით გვაქვს ორი კონტაქტი: უშუალო და შუალობითი (resp. უმეშვეო და მეშვეობითი).

უშუალოა კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად: ვწერ, ვხატავ, ვაშენებ, ვიჭერ.

შუალობითია კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე სხვა პირის შუალობით: ვაწერინებ, ვახატვინებ, ვაშენებინებ, ვაჭერინებ.

კონტაქტის კატეგორიის მოცემული განმარტებიდან (როგორც უშუალო კონტაქტის, ასევე შუალობითის ფორმებში მონაწილეობს პირდაპირი დამატება) ჩანს, რომ ის გარდამავალი ზმნის კატეგორიაა. მაგრამ არსებობს კაუზატივის უფრო ფართო გაგებაც, რომელიც გარდაუვალი ზმნისგან ნაწარმოებ მოქმედებითსაც მოიცავს: „ზოგი გარდაუვალი ზმნაც შეიძლება „გავაკაუზატიუროთო“ — წერს არნ. ჩიქობავა და ჩამოთვლის: **დუმ-ს** ის — **ა-დუმ-ებ-ს** ის მას, **წუხ-ს** ის — **ა-წუხ-ებ-ს** ის მას,... **დგას** ის — **ა-დგ-ენ-ს** ის მას... **ჩან-ს** ის — **ა-ჩ-ენ-ს** ის მას“.

ამ ჩამონათვალს ლიტერატურაში ფორმის მიხედვით განსხვავებული, გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა სხვა ოპოზიციური წყვილებიც ემატება: რბ-ი-ს — **ა-რბ-ევ-ს**, თბ-ებ-ა — **ა-თბ-ობ-ს,** კვდ-ებ-ა (ძვ. ქართ. კუდ-ებ-ის) — **ა-კვდ-ინ-ებ-ს** (ძვ. ქართ. ა-კუდ-ინ-ებ-ს) და ზოგჯერ აქვე განიხილება ა-კეთებს, ა-შენებს... ტიპის ნასახელარი გარდამავალი ზმნებიც.

გარდაუვალ ზმნათაგან წარმოებული „კაუზაციის“ მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (წუხს, დგას, ჩანს, რბის, ტირის, მღერის, ცხოვრობს... ის) კაუზაციის შედეგად მიღებულ ორპირიან გარდამავალ ფორმაში (ა-წუხებს, ა-დგენს, ა-ჩენს, ა-რბევს, ა-ტირებს, ა-მღერებს, ა-ცხოვრებს... ის მას) რეალიზდება როგორც პირდაპირი ობიექტი, რომელსაც დამატებითი აქტანტი სუბიექტის როლში იძულების წესით ავალდებულებს გარდაუვალი ზმნური მნიშვნელობით გამოხატული ქმედების (წუხილის, დგომის, გამოჩენის, სირბილის, ტირილის, მღერის...) შესრულებას; ე.ი. **ა-წუხებს, ა-ტირებს, ა-მღერებს, ა-რბენს** და ა.შ. ფორმების სუბიექტი ინიციატორიც არის და შემსრულებელიც.

შენიშვნა: სემანტიკური კავშირი ძირეულ (არაკაუზატიურ) და წარმოქმნილ (კაუზატიურ) ფორმებს შორის დღევანდელ ქართულში ზოგ შემთხვევაში აღარ ჩანს: **რბ-ი-ს** „რბენით დადის“ **ა-რბ-ევს**, „იკლებს, აწიოკებს, აოხრებს“ (შდრ.: ძვ. ქართ. **რბევა** „რბენა“); ფშაურ დიალექტში შემორჩენილია **რბ-ის** ზმნის ფორმალურად და

სემანტიკურად გამართული კაუზატიური **ა-რბ-ენ-ს**... იგივეა, რაც არბენინებს II სწრაფად ამოძრავებს, ავლებს თვალს. თვალებს გაფაციცებით აქეთ და იქით არბენდა (ვაჟა) ქეგლ; ასევე კაუზაციის თვალსაზრისით შეუსაბამო წყვილია ახალ ქართულში დგას — ადგენს. შდრ., ძვ. ქართ. დგინება „დადგენა, აღმართვა“.

გარდამავალ ორპირიან ზმნათაგან მიღებულ სამპირიან კაუზატივებში სუბიექტი მაიძულებელია, ინიციატორია, მოქმედების შემსრულებელი კი დამატებითი აქტანტია, ე.ი. ირიბი ობიექტი:

წერ-ს **ის** მას — ა-წერ-ინ-ებ-ს ის **მას** მას
თლი-ს **ის** მას — ა-თლ-ევ-ინ-ებ-ს ის **მას** მას
ა-შენ-ებ-ს **ის** მას — ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს ის **მას** მას...

დერივაციის ეს ორივე პროცესი (გარდაუვალი ზმნიდან გარდამავალი ზმნის და გარდამავალი ზმნიდან შუალობითი კონტაქტის წარმოება) აღინიშნება აქტანტის მატებით და ამ პროცესის მახასიათებლად პრეფიქსული **ა-** მარკერი გვევლინება კაუზატივის როგორც პირველად (**წუხ-ს — ა-წუხ-ებ-ს, ვალ-ს — ა-ვლ-ენ-ს**...), ასევე მეორეულ (**წერ-ს — ა-წერ-ინ-ებ-ს, თლი-ს — ა-თლ-ევინ-ებ-ს, ა-შენ-ებ-ს — ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს**...) ფორმებში.

ა. შანიძე ითვალისწინებს პირველადი და მეორეული კაუზაციების გარკვეულ ერთგვაროვნებას და შენიშნავს: „წარმოების თვალსაზრისით შეიძლება გაერთიანებულ იქნეს წარმოება გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნისა და უშუალო კონტაქტის ზმნისაგან შუალობითი კონტაქტის ზმნისა“, თუმცა დერივაციის ამ განსხვავებულ პროცესებს (წუხს — ა-წუხებს და ა-წუხებს — ა-წუხებინებს) შორის იგივეობის ნიშანს არ სვამს. შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელ (**-ევ, -ინ, -ევინ**) სუფიქსთა, შუალობითი კონტაქტის ფორმებიდან წარმოებულ სახელზმნათა (გახსნევა, თქმევა, წაღებინება..., მოკვლევინებული, გატეხინებული, დასაწვევინებელი, მოსატანინებელი და მისთ.) და შუალობითი კონტაქტის სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა მოდელების განხილვისას, ა. შანიძე დარწმუნებით აცხადებს, რომ **ა-** პრეფიქსს შუალობითი კონტაქტის ფორმასთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

სწორედ კაუზაციის მარკერად **ა-** პრეფიქსის წარმოდგენა აფართოებს კაუზაციის გრამატიკულ ცნებას და ამ კატეგორიაში აერთიანებს

ფორმითა და ფუნქციით სხვადასხვა გრამატიკულ ოდენობებს — ე.წ. პირველად და მეორეულ კაუზატივებს (ტერმინები „პირველადი კაუზატივი“, „მეორეული კაუზატივი“ გამოიყენა გ. დეეტერსმა) ანუ გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოებ კაუზატივებს (ერთი მხრივ, **წუხს** ის — **ა-წუხებს** ის მას, **წევს** ის — **ა-წვენს** ის მას და, მეორე მხრივ, **წერს** ის მას — **ა-წერინებს** ის მას მას, **თლის** ის მას — **ა-თლევინებს** ის მას მას, **აშენებს** ის მას — **აშენებინებს** ის მას მას).

გარდაუვალ ზმნათაგან აქტანტის მატებით მიღებული დერივატი მოქმედებითი გვარის ზმნაა და არა კაუზატივი, კაუზაცია საშუალებაა, გზაა მოქმედებითი გვარის წარმოსაქმნელად. **ა-** პრეფიქსი მხოლოდ დიაქრონიულად შეიძლება ჩაითვალოს კაუზატივის მარკერად (არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი...). სხვა თვალსაზრისით, სწორედ გარდაუვალი ზმნიდან **ა-** პრეფიქსის საშუალებით გარდამავალი ზმნის წარმოებამ (წუხ-ს — ა-წუხებ-ს...), ე.ი. მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბებამ გამოავლინა გარდამავალ დერივატებში კაუზატიური მიმართება. სინქრონიული თვალსაზრისით **ა-** პრეფიქსი **ა-წუხებს** და მისთ. ფორმებში მოქმედებითი გვარის ნიშანია. გვარის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის არსებობა ქართულში გვარის მიხედვით საპირისპირო ფორმათა არსებობით და ამ ფორმათა მარკირებითაა შეპირობებული (ეს პირობა დაცულია **ა-** ხმოვანპრეფიქსიანი მოქმედებითებისა და საპირისპირო ვნებითების მიმართებაში). ასეა ეს გვარის სამწევრიანი ოპოზიციის მქონე ზმნათა ჯგუფში, სადაც მორფოლოგიური მარკერი ორ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს (მოქმ. **ა-წუხებს**, ვნებ. **წუხდება**, საშ. **წუხს**...). ასევე, ორწევრიან საოპოზიციო სისტემებში, სადაც ერთი წევრის მარკირებაც საკმარისია; მაგ., როცა მარკირებულ მოქმედებითს საოპოზიციო ცალად მხოლოდ ე.წ. უნიშნო ვნებითები აქვს (**ა-თბ-ობ-ს** — **თბ-ებ-ა**), რომელიც თავისთავად აწმყოს მწკრივებში **Ø — ებ-ი/-ებ-ა** კონფიქსებით მარკირებული ვნებითია.

IV. 4.6.1.2. მოქმედებითი გვარის ზმნათა ა- პრეფიქსიანი მოდელები შინაარსის თვალსაზრისით. მოქმედებითი გვარის ზმნათა **ა-** პრეფიქსიანი მოდელები ყოველთვის არ არიან ე.წ. პირველადი კაუზატივები, ე.ი. გარდაუვალი (საშუალი გვარის) ზმნის დერივატები; შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში ყოველთვის მკაფიოდ არ არის გამოხატული კაუზატიური მნიშვნელობა.

შდრ.: **ა-რგებ-ს**... სარგებლობას მოუტანს; წაადგება, სასიკეთოდ ექნება

ა-რიგებ-ს... 1. ბევრ ვისმე მისცემს; მრავალს [გა]მოუყოფს, [და]უნაწილებს, უწილადებს

ა-ტყობ-ს... ამჩნევს, [მი]ხვდება, გრძნობს

ა-რისხებ-ს... ვისიმე რისხვას იწვევს; ძლიერ აჯავრებს (ვისმე)

ა-ეჭვებ-ს (შდრ. ეჭვობ-ს): ეჭვს აღძრავს, ეჭვს იწვევს ვინმეში...

ა-ვითარებ-ს... ზრდის, აფართოებს

ა-ზავებ-ს... სათანადო რაოდენობით ურევს ერთ ნივთიერებას მეორეს, უერთებს

ა-თავსებ-ს... რამეში (ან სადმე) დებს, შეაქვს, მოაქცევს; აბინავებს, ამყოფებს...

ა-თარიღებ-ს... რისამე თარიღს არკვევს, ადგენს

ა-წვეთებ-ს (შდრ. წვეთავს) წვეთ-წვეთად ასხამს... (ქეგლ).

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ განმარტებებში კაუზატივის (იძულების) მნიშვნელობა ნაკლებად იკვეთება; საყურადღებოა, რომ მოქმედებითი გვარის ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებს, ორის (აეჭვებს და აწვეთებს) გარდა, ძირეული გარდაუვალი ზმნები არ ეძებნება. აქედან, აწვეთებს ფორმა კონტექსტურად კაუზატივის მნიშვნელობასაც ავლენს, შდრ., არაკაუზატიური: მაქარზე წამალს **აწვეთებს**; კაუზატიური: ყურში წამალს **აწვეთებს**; აეჭვებს ფორმის კაუზატიური შინაარსი („ეჭვს აღძრავს“) ნათელია.

ავითარებს, აზავებს, ათარიღებს, ათავსებს, არგებს და მისთ. ჩვეულებრივი მოქმედებითი გვარის ზმნებია; მათი მნიშვნელობა სუბიექტის მიერ პირდაპირ ობიექტზე განხორციელებულ სხვადასხვა სახის მოქმედებას აფიქსირებს და ეს მოქმედებები ერთგვაროვანი არ არის.

სუბიექტის მიერ პირდაპირ ობიექტზე დამართული მოქმედება, ე.ი. მოქმედებითი გვარის ზმნის მნიშვნელობა თავისთავად ითავსებს იძულებითობას (კაუზაციას), როგორც დამატებით მნიშვნელობას და ასეთი შეთავსება გაპირობებულია დიაქრონიული რეალობით — მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივია.

ამდენად, ბუნებრივია, რომ კაუზაციის მნიშვნელობა მოქმედებითი გვარის ზმნებშიც წარმოჩნდეს და ეს ამ ზმნათა ქეგლისეულ განმარტებებშიც აისახება; ასეთ მოქმედებითებს ძირეული საშუალი გვარის ფორმები უდგას გვერდით:

ა-დუმებ-ს (შდრ. დუმს): აიძულებს დადუმდეს, მდუმარეს ხდის...
ა-ძუნძულებ-ს (შდრ. ძუნძულებს): აიძულებს იძუნძულოს

ა-ყივლებ-ს (შდრ. ყივის): 1. აიძულებს იყივლოს, ყივილით აძახებს. 2. გადატ. ყივილის მსგავს ხველებას იწვევს

ა-ყვირებ-ს (შდრ. ყვირის): აიძულებს იყვიროს, ყვირილის ხმას გამოაცემინებს

ა-ყაყანებ-ს (შდრ. ყაყანებს): აიძულებს იყაყანოს, — ალაპარაკებს, ახმაურებს უკმაყოფილოდ (მრავალს)

ა-ყელყელავებ-ს (შდრ. ყელყელაობს): ყელყელაობას აიძულებს; თავს ზევით, მაღლა სწევს.

ა-წუწუნებ-ს (შდრ. წუწუნებს): აიძულებს ან ნებას აძლევს იწუწუნოს

ა-წრიპინებ-ს (შდრ. წრიპინებს): აიძულებს ან საშუალებას აძლევს იწრიპინოს

ა-წიკვინებ-ს (შდრ. წიკვინებს): აიძულებს იწიკვინოს

ა-ხვნეშებ-ს (შდრ. ხვნეშის): აიძულებს იხვნეშოს

ა-ხითხითებ-ს (შდრ., ხითხითებს): აიძულებს იხითხითოს

ა-ხმაურებ-ს (შდრ. ხმაურობს): აიძულებს იხმაუროს, ხმაურს ატეხინებს; ხმაურით ავსებს და ა.შ.

„აიძულებს“ ზმნით განმარტებული კაუზატიური შინაარსის (ძირითადად „ხმიანობის“ აღმნიშვნელი) მოქმედებითების პირდაპირი ობიექტები არსებითად ვინ ჯგუფის (ადამიანის) სახელებია, თუმცა გადატანითი მნიშვნელობით პირდაპირ ობიექტად არც უსულო სახელები გამოირიცხება, მაგ.: კოდალა... გაკიოდა და მთელ ტყეს ახმაურებდა (შ. არაგვ.).

მასალიდან ისე ჩანს, რომ პირდაპირ ობიექტად გამოყენებული **რა** ჯგუფის სულიერ და უსულო სახელთა მიერ გამოწვეული ხმიანობის აღსანიშნავად ამ რიგის მოქმედებითების განმარტებებში უპირატესად კაუზატიური გამოაცემინებს ზმნაა გამოყენებული:

ა-წკრიალებ-ს (შდრ. წკრიალებს): წკრიალის ხმას გამოაცემინებს

ა-ღრუტუნებ-ს (შდრ. ღრუტუნებს): ღრუტუნის ხმას გამოაცემინებს

ა-ყმუვლებ-ს (შდრ. ყმუის): ყმუილის ხმას გამოაცემინებს

ა-წკლაპუნებ-ს (შდრ. წკლაპუნებს): წკლაპუნის ხმას გამოაცემინებს

ა-წკარუნებ-ს (შდრ. წკარუნობს): წკარუნის ხმას გამოაცემინებს

ა-წიკწიკებ-ს (შდრ. წიკწიკებს): წიკწიკის ხმას გამოაცემინებს

ა-დგაფუნებ-ს (შდრ. დგაფუნობს): დგაფუნის ხმას გამოაცემინებს

ა-ღრჭიალებ-ს (შდრ. ღრჭიალებს): ღრჭიალის ხმას გამოაცემინებს

ა-ჩხრიალებ-ს (შდრ. ჩხრიალებს): ჩხრიალის ხმას გამოაცემინებს

ა-ზუზუნებ-ს (შდრ. ზუზუნებს): ზუზუნის ხმას გამოაცემინებს
და სხვ.

თუ ხმიანობის აღმნიშვნელი მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირ ობიექტად **რა** ჯგუფის სულიერ სახელთან ერთად პარალელურად უსულო სახელიც დასტურდება, ეს გადატანითი მნიშვნელობით ხმარება იქნება და კაუზატიური შინაარსის გამოსახატავად განმარტებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც აიძულებს, ასევე გამოაცემინებს ზმნები:

ა-წივლებ-ს (შდრ. წივის): აიძულებს იწივლოს, წივილის ხმას გამოაცემინებს.

რა აწივლებს მაგ წიწილს საბუდარში?

ფიგურ. მემანქანე მანქანას აწივლებს (ს. შანშ.).

ა-ყვირებ-ს (შდრ. ყვირის): აიძულებს იყვიროს, ყვირილის ხმას გამოაცემინებს.

რა მაყვირებს ასე მწარედ? (აკაკი)

შოფერი აყვირებდა ბუკს (ნ. ლორთქ.)...

ა- პრეფიქსიან მოქმედებითი გვარის ზმნათა კაუზატიური შინაარსი აიძულებს, გამოაცემინებს ზმნათა გარდა, აღწერითად სხვა ზმნების საშუალებითაც გამოიხატება (საშუალებას აძლევს, ნებას აძლევს, მიზეზს აძლევს, ეჭვს, შიშს ჰგვრის, აღძრავს, იწვევს). შდრ.:

ა-ლაპარაკებ-ს... აიძულებს ილაპარაკოს, ლაპარაკის საშუალებას, მიზეზს აძლევს... ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს (ილია)

ა-ლაქლაქებ-ს... ლაქლაქის შესაძლებლობას აძლევს; აიძულებს ილაქლაქოს...

ა-წუწუნებ-ს... აიძულებს ან ნებას აძლევს იწუწუნოს

ა-კანკალებ-ს... კანკალსა ჰგვრის

ა-ეჭვებ-ს... ეჭვს აღძრავს, ეჭვს იწვევს ვინმეში და სხვ.

ასე რომ, მოქმედებითი გვარის **ა-** პრეფიქსიანი დერივაციული მოდელების დიდ ნაწილში კაუზატიური შინაარსი მეტ-ნაკლებად გარკვევით იკითხება და ამ შინაარსს ქეგლის სალექსიკონო განმარტებებიც ემოწმება. ზმნათა ნაწილში კაუზატიური სემანტიკა ნაკლებად ჩანს, მაგ., **ათარიღებს** „რისამე თარიღს არკვევს“, **აწვეთებს** „წვეთ-წვე-

თად ასხამს“, **აბალახებს** „აძოვებს, ბალახს აჭმევს“, **აელვებს** „ელვასავით ანათებს“...

ასეა სხვა ნასახელარ ზმნებთანაც: ამეფებს „მეფედ სვამს, ახელმწიფებს“, ამეცადინებს „მეცადინეობაში, რისამე შესწავლაში ეხმარება“ და მისთანებში კაუზატიური სემანტიკა ნიშანდობლივია, ამზევებს „მზეზე გააქვს, მზეზე ფენს“, აკმევს „საკმეველს წვავს, საკმევლის კვამლს აყენებს“, ათავსებს „რამეში (ან სადმე) დებს...“ და მისთანებში ეს სემანტიკა ნაკლებად თვალსაჩინოა. მოქმედებითი გვარისა და კაუზატიური სემანტიკის შეთავსების კარგი მაგალითია **აწითლებს** ზმნის მნიშვნელობათა შეჯერება:

1. წითელს ხდის, წითელ ფერს აძლევს... მზის შუქი ცას აწითლებდა (ა. ყაზბ.);

2. აიძულებს გაწითლდეს, წამოწითლდეს (სახეზე). პირში ზედმეტი ქებით აწითლებს.

პირველი მნიშვნელობით პირდაპირ ობიექტად **რა** ჯგუფის სახელია (ცა) და გარდაქცევითობის მნიშვნელობაა გამოხატული (წითელს ხდის), მეორე მნიშვნელობით პირდაპირი ობიექტი **ვინ** ჯგუფის სახელია და კაუზაციის მნიშვნელობა აღინიშნება (აიძულებს გაწითლდეს).

IV. 4.6.1.3. მოქმედებითი გვარის ზმნათა უხმოვანპრეფიქსო მოდელები შინაარსის თვალსაზრისით. პირველადი კაუზატივების გვერდით ლიტერატურაში ასახელებენ ნეიტრალური კაუზაციის ფორმებსაც. ესენი უხმოვანპრეფიქსო მოქმედებითი გვარის ზმნებია: წერს, ხატავს და მისთ. ფორმალური სხვაობის გარდა (**ა-** პრეფიქსის ქონა—არქონა), განსხვავებას ამ ორ ჯგუფს შორის ქმნის შემსრულებლის ფუნქციის განაწილება: „პირველადი კაუზატივის“ აწუხებს ტიპის ფორმებში პირდაპირი ობიექტი, წერს, ხატავს ზმნათა პირდაპირი ობიექტებისაგან განსხვავებით, ერთგვარ შემსრულებლადაც გვევლინება: ვისაც აწუხებენ ის წუხს „წუხილს განიცდის“ (თვითონ) ან წუხდება „შეწუხებას განიცდის“ (ვიღაცისაგან); ასე რომ სუბიექტი მოქმედების მხოლოდ ინიციატორი კი არა, უშუალო შემსრულებელიცაა. ის **აწუხებს** ფორმით გამოხატული ლექსიკური მნიშვნელობის („შეწუხება“) განმახორციელებელია. სუბიექტის ამ ფუნქციას მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმებიც (მაწუხებელი, შემაწუხებელი, შემწუხებელი „ვინც ან რაც აწუხებს ან შეაწუხებს“) ადასტურებს. პირდაპირი ობიექტი კი, რამდენადაც მას სუბიექტის იძულე-

ბითი მოქმედების განცდის უნარი აქვს, შემსრულებელი, განმცდელი ობიექტია, — შეწუხებული „ვინც ან რაც შეაწუხეს ან შეწუხდა“, გრამატიკულად ვნებითი გვარის (ან საობიექტო) მიმღეობა. ნეიტრალური კაუზაციის (**წერს, ხატავს**...) ფორმებში სუბიექტი მუდამ შემსრულებელია, პირდაპირი ობიექტი კი წმინდა ობიექტია (თ. უთურგაიძე). ამ ფუნქციურ სხვაობას აწუხებს და ხატავს რიგის ფორმათა დერივაციული სტატუსი (წარმოქმნილია თუ ძირეული და წარმოქმნის შემთხვევაში, რა არის ამოსავალი ფორმა) და პირდაპირი ობიექტის სემანტიკური რაობა (**ვინ** ან **რა** ჯგუფის სახელებთან მიკუთვნილობა) განსაზღვრავს: თუ პირდაპირი ობიექტი სულიერი (**ვინ** ჯგუფის) სახელია, სუბიექტის ზემოქმედება მას სათანადო ქცევისათვის აღძრავს; თუ პირდაპირი ობიექტი ინერტული სახელია (**რა** ჯგუფის), სუბიექტის ზემოქმედებით ის მისთვის დამახასიათებელ ცვლილებას დაექვემდებარება.

ნეიტრალური კაუზაციის ფორმის (უხმოვანპრეფიქსო, ხატავს ტიპის მოქმედებითის) შემსრულებელი სუბიექტი პირდაპირ ობიექტზე ასევე ნაირგვარ მოქმედებებს ახორციელებს. ეს მოქმედებები შეიძლება ლექსიკურად არაკაუზატიურიც იყოს და კაუზატიურიც, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, მოქმედება იძულებასაც გულისხმობს; ლექსიკურად არაკაუზატიური მოქმედებები ჩანს ფორმებში: ხატავს, წერს, მურავს, ღებავს, თვლის, სახავს, ფანტავს... თუმცა ასეთი დაყოფა პირობითია, კაუზაციის ფართო გაგებით. პირდაპირი ობიექტი მოქმედებითი გვარის ზმნებში კაუზირებული აქტანტია, რადგანაც სუბიექტი მასზე იძულების წესით მოქმედებს. შდრ.:

ხატავ-ს... 1. რასმე გამოსახავს ფერების ან ხაზების საშუალებით, — ქმნის (სურათს), აკეთებს (ნახატს)...
ღებავ-ს... საღებავით ფერს უცვლის
ფანტავ-ს... უწესრიგოდ აქეთ-იქით ყრის
მურავ-ს... მურით სვრის, მურს უსვამს...

უხმოვანპრეფიქსო მოქმედებითი გვარის ზმნათა რაღაც ჯგუფში კაუზაციის, მიზეზობრიობის სემანტიკა მაინც უფრო გარკვევით იკითხება და ეს ნიუანსი ამ ზმნათა ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობების განმარტებებშიც აისახება. მნიშვნელობით ეს ზმნები ადამიანის ფიზიკურ, ფსიქიკურ-ნებელობით და სხვა ამ რიგის ცვლილებებს აფიქსირებენ:

ზარავ-ს... ზარს[2] (მნიშვნ. 1) განაცდევინებს, შიშსა და ძრწოლას ჰგვრის, — აძრწუნებს, თავზარს სცემს. აღარ გვზარავდა სიკვდილი მე და ჩემ ამხანაგებსა (ბაჩ.).

ზლუდავ-ს... 1. გადატ. გასაქანს, თავისუფლებას არ აძლევს, გარკვეულ ფარგლებს უდებს, ავიწროებს...

კრუნჩხავ-ს... 1. კაკვავს, მოხრის; 2. სპაზმებს იწვევს. [ხოლერა] მთელ სხეულს კრუნჩხავს (ი. გოგებ.). მოკრუნჩხავ-ს... კრუნჩხვით მოხრის, — მოკაკვავს, მოკუნტავს, მობღუნძავს. ქარის სენს მოეკრუნჩხა აგრე რიგად [პახვალა] (ლ. ქიაჩ.].

მოხრი-ს... 1. მოღუნავს, მოდრეკს, მოკაკვავს... ლამაზი ელდინო სიმძიმეს მოეხარა... ქალი ძლივს... მოდიოდა (ს. შანშ.); 2. გადატ. სიმტკიცეს დაუკარგავს, — გატეხს, დაიმორჩილებს... „ვერც ტყვია მომკლავს, ვერც ჯავრი მომხრის“ (გ. აბაშ.).

მოდრეკ-ს... 1. მოხრის, მოღუნავს, მოზნექს, მოკაკვავს (უპირატესად მაგარსა და ელასტიურ რასმე)... 2. გადატ. საკუთარ ნებისყოფას მოუსპობს, გატეხს, დაიმორჩილებს, ქედს მოახრევინებს. კრილოვის სასტიკობამაც უნაყოფოდ ჩაიარა. მან ვერ მოდრიკა, როგორც ის ფიქრობდა, გურია (დ. კლდ).

რევ-ს... 2. არეულობას იწვევს, უწესრიგობა შეაქვს, შლის... ბერები და მღვდლები დადიან და ხალხს რევენ (თ. მაჭავ. თარგმ.) II აბნევს, აღელვებს... (ქეგლ)

ცალკეულ შემთხვევებში ეს იძულებითობა სალექსიკონო განმარტებებში ლექსიკურად „**ძალა**“ სიტყვის გამოყენებით აღინიშნება:

ტეხ-ს... რაიმე საგანს ძალის მიყენებით, დარტყმით ნაწილებად ყოფს

ხლეჩ-ს... ძალის მიყენებით ორად ყოფს

ტენი-ს... 1. ხელის დაწოლით მჭიდროდ ათავსებს, ავსებს...,
2. ს-ტენი-ს... ძალით უდებს

ს-ჩრი-ს... ძალით უდებს... (ქეგლ).

ამრიგად, უხმოვანპრეფიქსო, არამარკირებული ძირეული მოქმედებითების მოდელები (**წერ-ს, ხატ-ავ-ს, თვლ-ი-ს**...) **ა-** ხმოვანპრეფიქსიან წარმოქმნილ ფორმებთან (**ა-წუხებს, ა-ტირებს**...) არა მარტო ფორმობრივად, არამედ ლექსიკურადაც არაკაუზატიური ზმნებია. ზმნათა ერთ ნაწილში მიერ გამოხატული იძულებითობის შინაარსი (**ზარავს, შეშლის, რევს**...) მოქმედებითი გვარის ფორმათა სემანტიკის თანმხლები მოვლენაა: სუბიექტის ზემოქმედება პირდაპირ ობიექტზე ამ იძულებას გულისხმობს. ფორმობრივად არაკაუზატიური მოქმედებითე-

ბი ექვემდებარებიან როგორც პასივიზაციის, ასევე კაუზაციის დერივაციულ წესებს. პასივიზაციის შედეგად მათი საოპოზიციო ფორმები ვნებითი გვარის ზმნებია: ძირეულ არამარკირებულ მოქმედებითებს ისინი პასიური მარკირებით უპირისპირდებიან (**ხატავს — ი-ხატებ-ა, წერ-ს — ი-წერებ-ა**...) და გვარის კატეგორიის ბინარულ სისტემებს ქმნიან (არამარკირებული მოქმედებითი : მარკირებული ვნებითი); კაუზაციის პროცესის შედეგად ეგევე არაკაუზატიური მოქმედებითები (**ხატავ-ს, წერ-ს**... ი ს მ ა ს) სათანადო მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ცვლილებებით უპირისპირდებიან კაუზატიური მოქმედებითების ფორმებს (**ა-ხატვ-ინ-ებ-ს, ა-წერ-ინ-ებ-ს**... ი ს მ ა ს მ ა ს).

IV. 4.6.1.4. „პირველადი“ და „მეორეული კაუზატივების“ შეპირისპირება ფორმალური და ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით. ა- პრეფიქსით მარკირებული მოქმედებითები (**ა-**დგენ-ს, **ა-**წუხ-ებს, **ა-**რბ-ევ-ს და ა.შ.), როგორც ვნახეთ, ლექსიკურად კაუზატიური ზმნებია; ისინი სათანადო ძირეული საშუალი (სტატიკური), „უნიშნო ვნებითებისა“ და სახელებისაგან მიღებულ დერივატებს წარმოადგენენ: დგა-ს > **ა-დგ-ენ-ს**, წუხ-ს > **ა-წუხ-ებ-ს**, რბ-ის > **ა-რბ-ევ-ს**... ქრ-ებ-ა > **ა-ქრ-ობ-ს**, შავ-ი > **ა-შავ-ებ-ს** და ა.შ. ექვემდებარებიან პასივიზაციისა (ა-წუხ-ებ-ს > წუხ-დ-ებ-ა) და კაუზაციის (ა-წუხ-ებ-ს > ა-წუხ-ებ-ინ-ებ-ს) წესებს და საოპოზიციო ფორმების მიხედვით ნაწილდებიან გვარისა და „მეორეული კაუზატივის“ (კონტაქტის) კატეგორიებში. გვარის კატეგორიის მიხედვით ქმნიან სამწევრიან ოპოზიციურ სისტემებს, რომელშიც მოქმედებითისა და ვნებითის მარკირებულ ფორმებს უპირისპირდება არამარკირებული საშუალი:

მოქმ. **ა-წუხ-ებ-ს** : ვნებ. **წუხ-დ-ებ-ა** : საშ. **წუხ-ს**

რაც შეეხება კაუზატივს: **ა-** პრეფიქსიანი მოქმედებითის ფორმა ა-წუხ-ებ-ს კაუზატიურ ა-წუხებინ-ებ-ს ფორმას ისევე უპირისპირდება, როგორც უხმოვანპრეფიქსო არაკაუზატიური მოქმედებითი— სათანადო კაუზატიურ წევრებს; შდრ.:

არაკაუზატ. **ა-წუხ-ებ-ს** ის მას — კაუზატ. **ა-წუხ-ებ-ინ-ებ-ს** ის მას მას
წერ-ს ის მას — **ა-წერინ-ებ-ს** ის მას მას.

წუხ-ს — ა-წუხებ-ს დაპირისპირებაში ა- პრეფიქსი ვერ იქნება კაუზატივის ნიშანი, რადგან აწუხებ-ს — აწუხებინებ-ს, წერ-ს — აწერინებ-ს დაპირისპირებაში კაუზატივებია **აწუხებინებს** და **აწერინებს**. შე-

საბამისად: საპირისპირო არაკაუზატიურ (აწუხებს, წერს) ფორმებში კაუზატივის მარკერი ვერ გვექნება.

ე. ი., თუ **ა-წუხ-ებ-ს — ა-წუხებ-ინ-ებ-ს** დაპირისპირებაში ა-წუხ-ებს არაკაუზატიური ფორმაა, ასეთი იქნება ის **წუხ-ს — ა-წუხ-ებ-ს** დაპირისპირებაშიც; სხვაგვარად კი ისე გამოდის, რომ „ერთი და იგივე ფორმა (ა-წუხებ-ს) ერთ შემთხვევაში ოპოზიციის კაუზატიური წევრი გამოდის, მეორეში — არაკაუზატიური (ონიანი, 2003).

ასე რომ, ე.წ. „პირველადი“ და „მეორეული კაუზატივების“ ერთ კატეგორიად გაერთიანებას ფორმალური და ფუნქციურ-სემანტიკური წინააღმდეგობები ახლავს. ფორმალური საკითხებიდან უმთავრესია კაუზატივის კატეგორიის ფორმანტის საკითხი. როგორც ვნახეთ, როგორც „პირველადი“, ასევე „მეორეული კაუზატივებისათვის“ (**წუხ-ს — ა-წუხ-ებ-ინ-ებ-ს, წერ-ს — ა-წერ-ინ-ებ-ს**...) **ა-** პრეფიქსი აუცილებელი ჩანს: ის გვაქვს გარდაუვალ ზმნათაგან ნაწარმოებ ე.წ. „კაუზატიურ მოქმედებითებში“ და არაკაუზატიური გარდამავალი ზმნებიდან ნაწარმოებ კაუზატიურ ფორმებშიც.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ **წუხ-ს — ა-წუხ-ებ-ს** დაპირისპირებაში **ა-** პრეფიქსი ა-წუხებს ზმნაში მხოლოდ დიაქრონიული თვალსაზრისით შეიძლება მივიჩნიოთ კაუზატივის ნიშნად. ასეთივე და უპირატესი უფლებითაც **ა-** გარდამავლობის ნიშანიც არის, რადგანაც ის არა მარტო გარდაუვალი ზმნებიდან, არამედ სახელებიდანაც აწარმოებს გარდამავალ ზმნას. გვარის საპირისპირო ფორმათა არსებობის პირობებში გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარის ფუნქციით აღიჭურვება. **წუხს** > **აწუხებს** კაუზატიური დერივაციის კონკრეტული შინაარსი — სუბიექტური პირის მიერ პირდაპირი ობიექტური პირის იძულება, თავისთავად მოქმედებითი გვარის მნიშვნელობის შემადგენელი კომპონენტია.

ა- პრეფიქსი კაუზატივის ნიშანი ვერ იქნება გარდამავალ კაუზატიურ ფორმაშიც, რადგან ის გარდამავალ არაკაუზატიურ ფორმათა ერთ ნაწილშიც დასტურდება, შდრ.:

წერ-ს — ა-წერ-ინ-ებ-ს, მაგრამ
ა-წუხებ-ს — ა-წუხებ-ინ-ებ-ს
ა-შენ-ებ-ს — ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს და ა.შ.

ა. შანიძე კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) მაწარმოებლებიდან გამორიცხავს **ა-** პრეფიქსს — კაუზატიური სახელზმნებისა და სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა ანალიზის შედეგად, სადაც კაუ-

ზატივის მნიშვნელობები გვაქვს, მაგრამ **ა-** პრეფიქსი არ არის წარმოდგენილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ა-** პრეფიქსის კაუზატივის კატეგორიის მარკერად მიჩნევის საწინააღმდეგო არგუმენტები საპირისპირო ფორმათა შედარების საფუძველზე ასე ჩამოყალიბდა:

ა) **ა-თრევ-ინ-ებ-ს**
ე-თრევ-ინ-ებ-ა

ორივე მათგანი კაუზატივია ფორმითაც და მნიშვნელობითაც; ანუ: ამ ფორმებისთვის საერთოა კაუზატივის, მოქმედების იძულების, შეპირობების ფუნქცია. საერთო ფუნქცია კი უნდა გამოიხატოს საერთო მორფოლოგიური ელემენტით. ასეთი ელემენტი ამ შემთხვევაში არის სუფიქსი **-ინ** (თრევ- ფუძეა, **-ებ** თემის ნიშანი); შდრ.: **ა-თრევ-ს** > **ა-თრევ-ინ-ებ-ს** და **ე-თრევ-ა** > **ე-თრევ-ინ-ებ-ა**. **ა-** და **ე-** პრეფიქსები გამოხატავენ იმ მნიშვნელობებს, რომლებითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეს ფორმები.

აქედან გამომდინარე, **ა-** პრეფიქსი (ისევე, როგორც **ე-**) არ შეიძლება მივიჩნიოთ კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) მაწარმოებლად.

ბ) **ა-თრევ-ს**
ა-თრევ-ინ-ებ-ს

ერთ-ერთი ამ ფორმათაგანი (ა-თრევ-ინ-ებ-ს) კაუზატივია, რომელსაც მოეპოვება თავისი მაწარმოებელი **-ინ** სუფიქსი. პრეფიქსი **ა-** გვაქვს ორივე ფორმაში — კაუზატივშიც და არაკაუზატივშიც (კაუზატივისათვის ამოსავალ ფორმაშიც). ბუნებრივია, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ განმასხვავებელი ნიშან-თვისება (კაუზატივის ფუნქცია) გამოიხატება ამ ფორმებისათვის საერთო **ა-** პრეფიქსით.

ესეც საბუთია იმისა, რომ **ა-** ვერ იქნება კაუზატივის მაწარმოებელი.

გ) კაუზატივის მნიშვნელობას გამოხატავენ მასდარები (და-წერ-ინ-ებ-ა, გა-თრევ-ინ-ებ-ა), მიმღეობები (გა-თრევ-ინ-ებ-ულ-ი), III სერიის ფორმები (და-უ-წერ-ინ-ებ-ი-ა, გა-უ-თრევ-ინ-ებ-ი-ა, და-ე-წერ-ინ-ებ-ინ-ა, გა-ე-თრევ-ინ-ებ-ინ-ა...). არცერთ მათგანში არა გვაქვს **ა-** პრეფიქსი. კაუზატივის სემანტიკა შესაბამისი სუფიქსით (**-ინ**) გამოიხატება (ჯორბენაძე, 1983). მსგავსი ანალიზით გამოიყოფა კაუზატივის სუფიქსად **-ევინ**, შდრ.:

ა-ბმ-ევინ-ებ-ს — ე-ბმ-ევინ-ებ-ა, ბ) **ა-ბამ-ს — ა-ბმ-ევინ-ებ-ს** (**-ევინ** სუფიქსიანი კაუზატივების არაკაუზატიური ძირეული ფორმები ძირითადად უხმოვანპრეფიქსოა, გ) **და-უ-ბმ-ევინ-ებ-ი-ა, და-ე-ბმ-ევინ-ებინ-ა... და-სა-ბმ-ევინ-ებ-ელ-ი** და ა.შ.

ე.წ. პირველად და მეორეულ კაუზატივებს შორის (**ა-წუხებ-ს** ის მას — **ა-წუხებ-ინ-ებ-ს** ის მას მას), ფორმობრივის გარდა, სინტაქსური და ფუნქციურ-სემანტიკური განსხვავებაც არის. „პირველადი კაუზატივები“ გარდაუვალი ზმნებიდან ნაწარმოები ორვალენტიანი ზმნებია (**ა-წუხებ-ს, ა-დგენ-ს, ა-რბევ-ს**... ის მას) და მაიძულებელი, კაუზალური სიტუაციის გამომწვევი სახელი, სუბიექტი, იმავდროულად მოქმედების უშუალო შემსრულებელიცაა, ე.ი. ორ ფუნქციას ითავსებს: შემსრულებელ-მაიძულებელი, შემსრულებელ-ინიციატორია.

გარდამავალი ზმნის კაუზატივები სინტაქსურად არსებითად სამვალენტიანი ზმნებია: **ა-წერ-ინ-ებ-ს, ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს, ა-თლევ-ინ-ებ-ს**... ის მას: არსებითად, რადგან გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს ორვალენტიანი **არბენინა** მან ის, **აკბენინა**, **აკოცნინა** მან მას... და ერთვალენტიანი სახითაც: **დააცემინა** მას || **დააცემინა** მან (ცხვირი), **აღებინა** მას (მთვრალს აღებინა) და მისთ. მაიძულებელი, კაუზალური სიტუაციის გამომწვევი სახელი, სუბიექტი, აქ ძირითადად ერთი ფუნქციითაა წარმოდგენილი, ის მხოლოდ მაიძულებელია, ინიციატორი; მოქმედების უშუალო შემსრულებელი, ის, ვისაც აიძულებენ, აქ ირიბი ობიექტია. ბუნებრივია, რომ მოქმედების უშუალო შემსრულებელი (ე.ი. ირიბი ობიექტი) სულიერი (**ვინ** ჯგუფის) სახელი იყოს.

ეს პირველად და მეორეულ კაუზატივებად სახელდებული ფორმები დერივატებია, მაგრამ „პირველადი კაუზატივები“ ძირეულისაგან გარდამავლობით განსხვავდებიან: გარდაუვ. **წუხ-ს** > გარდამ. **ა-წუხებ-ს**, ხოლო „მეორეული კაუზატივები“ ძირეული ფორმებისაგან — კაუზატიურობით (კონტაქტით): არაკაუზატიური **აწუხებ-ს** > კაუზატიური **ა-წუხებ-ინ-ებ-ს**.

ფუნქციურ-სემანტიკური განსხვავება ამ ორი ტიპის სტრუქტურებს შორის სუბიექტის სტატუსიდან ამოსვლით ასე განისაზღვრება: „პირველადი კაუზატივების“ სტრუქტურაში სუბიექტი შემსრულებელ-ინიციატორია, „მეორეული კაუზატივების“ სტრუქტურაში კი — მხოლოდ ინიციატორი; თუ დასახელებულ სტრუქტურებს შორის განსხვავებას მოქმედების უშუალო ჩამდენის გრამატიკულ სტატუსს დავუკავშირებთ, პირველ შემთხვევაში ეს სუბიექტი იქნება (მოქმედების გამო-

მწვევის დამატებითი ფუნქციის გათვალისწინებით), მეორე შემთხვევაში — ირიბი ობიექტი (მოქმედების მაიძულებელი გარეგანი ინიციატივის, მიზეზის მინიშნებით). წუხს — ა-წუხებს და წერს — ა-წერინებს სტრუქტურებს შორის არსებული ეს ფორმალურ-სემანტიკური განსხვავებები ორი განსხვავებული გრამატიკული კატეგორიის არსებობის საკითხსაც წამოჭრის (რ. ასათიანი, 1989).

IV. 4.6.2.1. კაუზატივის განმარტებისათვის. ქართული ენის გრამატიკებში კაუზატივი, როგორც ფორმათწარმოებითი კატეგორია, წარმოდგენილია ვიწრო გაგებით („მეორეული კაუზატივი“) და გვარის კატეგორიის ფარგლებში განიხილება. კაუზატივი, ა. შანიძის თვალსაზრისით, იგივეა, რაც კონტაქტის კატეგორია. ამ კატეგორიის მიხედვით გარჩეული საოპოზიციო ფორმები „გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის საშუალებით“. შესაბამისად გამოიყოფა კონტაქტის ორი ფორმა — უშუალო და შუალობითი (ა. შანიძე). სხვაგვარად: არაკაუზატიური და კაუზატიური: ოპოზიცია ბინარულია და მისი წევრები ამ კატეგორიის გამოუხატველობა-გამოხატვით უპირისპირდებიან ერთმანეთს:

არაკაუზატ.	წერ-ს ის წერილს	კაუზატ.	ა-წერ-ინ-ებ-ს ის მას წერილს
	ა-შენ-ებ-ს ის სახლს		ა-შენებ-ინ-ებ-ს ის მას სახლს
	თლ-ი-ს ის ვაშლს		ა-თლ-ევინ-ებ-ს ის მას ვაშლს

კაუზატიური ფორმები (**ა-წერინებს, ა-შენებინებს, ა-თლევინებს**... ის მას მას) დერივატებია; არაკაუზატიური ფორმები (**წერს, აშენებს, თლის**... ის მას) — ძირეული; კაუზატიური დერივატები გარდამავალი სამვალენტიანი ზმნებია, ძირეული საოპოზიციო ფორმები ასევე გარდამავალი, ოღონდ ორვალენტიანი ზმნები. ე.ი. კაუზაცია, როგორც სიტყვაწარმოებითი პროცესი, ხასიათდება პირის (აქტანტის) მატებით და ეს დამატებითი პირი ირიბი ობიექტია; მართალია, მოქმედების რეალური შემსრულებელი, მაგრამ შემსრულებელია მხოლოდ სხვისი (სუბიექტის) ნებით თავსმოხვეული მოქმედებისა. ამის გათვალისწინებით, კაუზაციის ცნების განსაზღვრაში, კაუზატიური ფორმის განმარტებაში არსებითია არა ის, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე ირიბი ობიექტის მეშვეობით, არამედ ის, რომ ირიბი ობიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე სუბიექტის ინიციატივით, მისი მიზეზით (გ. მაჭავარიანი; თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შე-

ნგელაია), ე.ი. კაუზაციაში ღირებულია ის, რომ სუბიექტი ინიციატორია და არა შემსრულებელი, შდრ.:

აკეთებინებ-ს... ავალებს აკეთოს, კეთების საშუალებას აძლევს, კეთებაში ეხმარება... „მოსე მამასახლისს და სოფლის მსაჯულებს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა, რაც თვითონ სურდა, იმას აკეთებინებდა“ (ე. ნინოშ.).

ამოალაგებინებ-ს... დაავალებს ან შეაძლებინებს ამოალაგოს, — ამოაწყობინებს... ჯერ ხურჯინები ამოალაგებინა (ო. ჭილ.)

აშენებინებ-ს... ავალებს ან შესაძლებლობას აძლევს [ა]აშენოს, [გა]აშენოს, [მო]აშენოს... ახალ შეძენილ მამულში სახლს ვაშენებინებ (გ. წერეთ.)...

ა.შანიძე კაუზაციური სიტუაციის ანალიზისას რეალურ მოქმედად ორ პირს ასახელებს — სუბიექტსა და ირიბ ობიექტს; ერთი (სუბიექტი) ნებელობით მოქმედებას ასრულებს, მეორე (ირიბი ობიექტი) ფაქტობრივ მოქმედებას: „რეალურად მოქმედებს არა ერთი პირი, არამედ ორი: პირი, რომელიც ხელმძღვანელობს საქმეს და პირი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს და პირადად ასრულებს ხელმძღვანელის დავალებას. ხელმძღვანელი პირი — ეს არის საქმის მოთავე, საქმის ინიციატორი, ხოლო ვინც უშუალოდ მოქმედებს, ერთგვარი იარაღია საქმის ორგანიზატორის ხელში. ამ ორ პირს გარდა არის კიდევ მესამე პირი, რომელიც წარმოადგენს მათი მოქმედების საგანს“. ა. შანიძე შესაბამისი ფუნქციური ტერმინებითაც აღნიშნავს კაუზაციური სიტუაციის მონაწილეებს: ხელმძღვანელი (ორგანიზატორი), შემსრულებელი (ეგზეკუტორი) და სამიზნო, ანუ სუბიექტი, ირიბი ობიექტი და პირდაპირი ობიექტი.

ამგვარად, კაუზატივი ქართულში გარდამავალი ზმნის კატეგორიაა და მას ქმნის გარდამავალი არაკაუზატიური და კაუზატიური ფორმების დაპირისპირება, როგორც ძირეული და წარმოქმნილი ფორმებისა; მორფოლოგიურად წარმოქმნილი ფორმა განივრცობა სათანადო აფიქსებით, სინტაქსურად — ვალენტობის მატებით (**წერს** ის წერილს — **აწერინებს** ის მას წერილს); არაკაუზატიურ და კაუზატიურ ფორმებს შორის ფუნქციურ-სემანტიკურ განსხვავებას ქმნის მოქმედების ჩამდენი პირის გრამატიკული სტატუსი: არაკაუზატიურ ზმნებში მოქმედების ჩამდენი, შემსრულებელი, თავისი ნებით მოქმედი სუბიექტია (**წერ-ს** ის წერილს), კაუზატიურ ზმნებში შემსრულებელი სხვისი (სუბიექტის) ნების კარნახით, სხვისი ინიციატივით მოქმედი ირიბი ობიექტია (**ა-წერ-ინ-ებ-ს** ის მას წერილს).

ეს სხვა, კაუზატიური ზმნის სუბიექტი, ძირითადად მოქმედების მაიძულებელი და ინიციატორია; ძირითადად, რადგან გარკვეულ პირობებში სუბიექტი შეიძლება მოქმედების შემსრულებლად მოგვევლინოს, მაგ., თუ ირიბ ობიექტად ზმნაში უსულო (**რა** ჯგუფის) სახელია წარმოდგენილი, ირიბი ობიექტის, როგორც მოქმედების უშუალო შემსრულებლის ფუნქცია ბუნდოვანი ხდება და მოქმედების შემსრულებლად სუბიექტი გვევლინება, შდრ.: [სეტყვა] ხეხილს ნაყოფს აყრევინებს (ი. გოგებ.). მოქმედების შემსრულებლად ამ კონტექსტში არა ირიბი ობიექტი (ხეხილს), არამედ სუბიექტი (სეტყვა) მოიაზრება.

ფაქტობრივ მასალას ასევე გარკვეული კორექტივები შეაქვს კაუზატიური ზმნების სუბიექტისა და ობიექტის ფუნქციათა დამკვიდრებულ ნორმებში; მაგ., ირიბი ობიექტი შუალობითი კონტაქტის ფორმებში ყოველთვის არ არის მოქმედების ერთადერთი უშუალო შემსრულებელი. ბევრ შემთხვევაში მას თანამონაწილედ სუბიექტი ჰყავს. განმარტებით ლექსიკონში **აბანინებს** ზმნასთან დამოწმებულ წინადადებაში **ახალგაზრდა დედას ბებია შველის და ბავშვს აბანინებს** ბებია (სუბიექტი) თანამონაწილეა დედის მიერ (ირიბი ობიექტი) ბავშვის (პირდ. ობიექტი) დაბანის პროცესისა.

აკიდებინებს ის მას ტვირთს ორგვარად შეიძლება გავიაზროთ: 1. ის (სუბიექტი) ავალებს მას (ირიბ ობიექტს) ტვირთის (პირდ. ობიექტი) აკიდებას, 2. ის (სუბიექტი) სთხოვს მას (ირიბ ობიექტს), რომ ტვირთი (პირდ. ობიექტი) თავად მას (სუბიექტს) აჰკიდონ.

ამოატანინებს ის მას მას: 1. ის (სუბიექტი) ავალებს მას (ირიბ ობიექტს), რომ ამოიტანოს 2. ის (სუბიექტი) ეხმარება მას (ირიბ ობიექტს) ამოტანაში.

ამოაყვანინებს ის მას მას. ავადმყოფს კიბეზე ამოაყვანინებს: 1. დაავალებს მას (ირიბ ობიექტს) რომ ამოიყვანოს 2. თვითონ მოეხმარება მას (ირიბ ობიექტს) ავადმყოფის ამოყვანაში.

აპარსვინებს ის მას ცხვარს: 1. ის (სუბიექტი) ავალებს მას (ირიბ ობიექტს), რომ ცხვარი გაპარსოს 2. ის (სუბიექტი) თვითონ ეხმარება მას (ირიბ ობიექტს) ცხვრის გაპარსვაში...

შუალობითი კონტაქტის ფორმათა სალექსიკონო განმარტებებში სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მიერ ერთობლივად განხორციელებული მოქმედებები დაფიქსირებულია **შველის, ეხმარება,**

შეაძლებინებს ზმნათა მეშვეობით. ნიშანდობლივია, რომ მოქმედების ასეთი ერთობლივი, კოლექტიური შემსრულებელი ძირითადად იმ ზმნებთან მოიაზრება, რომლებიც ყოფით-სამეურნეო საქმიანობას ასახავენ (ამარგვლინებს, ათიბვინებს, აბლანდვინებს, ათუთქვინებს, აბმევინებს, აბერტყვინებს, ათოხნინებს, აგრეხინებს და ა.შ.). წარმოგიდგენთ სათანადო მასალას ქეგლის მიხედვით:

აბლანდვინებ-ს... ავალებს ან შველის ბლანდოს.

აბმევინებ-ს... ავალებს ან შველის [და]აბას, [შე]აბას, [გა]აბას... ძროხას აბმევინებს, — გუთანში ხარებს აბმევინებს, — ეტლში ცხენებს აბმევინებს, — სარეცხის თოკს აბმევინებს.

აბეგვინებ-ს... ბეგვაში შველის; აიძულებს, ავალებს ბეგვას. ფეტვს აბეგვინებს.

აბერტყვინებ-ს... ავალებს ბერტყოს; ბერტყვაში შველის. ხალიჩას აბერტყვინებს. კაკალს აბერტყვინებს.

აგრეხინებ-ს... ავალებს გრიხოს; გრეხაში ეხმარება.

აგროვებინებ-ს... სთხოვს ან ავალებს აგროვოს; მოგროვებაში შველის, კაკალს აგროვებინებს, სოკოს აგროვებინებს.

ადღვებინებ-ს... 1. ავალებს შედღვიბოს; დღვებაში შველის. მაწონს ადღვებინებს.

აზელინებ-ს... ავალებს ან შველის ზილოს.

აზუსტებინებ-ს... ავალებს დააზუსტოს, რაიმეს დაზუსტებაში ეხმარება.

ათარგმნინებ-ს... თარგმანს ასრულებინებს, საშუალებას აძლევს თარგმნოს, თარგმნაში შველის.

ათარიღებინებ-ს... ავალებს ან შველის ათარიღოს.

ათეთრებინებ-ს... ავალებს ან შველის [გა]ათეთროს, [შე]ათეთროს, [გადა]ათეთროს.

ათესვინებ-ს... ავალებს თესოს, თესვაში ეხმარება. სიმინდს ათესვინებს, — პურს ათესვინებს.

ათოხნინებ-ს... ავალებს თოხნოს; თოხნაში ეხმარება.

ათუთქვინებ-ს... ავალებს ან შველის გათუთქოს. კომბოსტოს ვათუთქვინებ. — ქლიავს ვათუთქვინებ, კერკი უნდა გავათუთქვინო.

ათქვეფინებ-ს... ავალებს ან შველის გათქვიფოს. კვერცხს ათქვეფინებს.

აკაზმვინებ-ს... ავალებს [შე]კაზმოს; [შე]კაზმვაში ეხმარება.

აკავშირებინებ-ს... ავალებს ან ეხმარება დააკავშიროს.
აკალვინებ-ს... მოსაკალავად აძლევს, — მოკალვაში შველის.
აკაფვინებ-ს... ავალებს კაფოს, შველის კაფვაში. ტყეს აკაფვინებს.
აკეპინებ-ს... კეპვაში შველის, ეხმარება; დასაკეპად აძლევს. სახინკლედ ხორცს აკეპინებს.
აკეტინებ-ს... ავალებს ან შველის დაკეტოს. კარს ურდულით აკეტინებს.
აკეცინებ-ს... ავალებს ან შველის [და]კეცოს. ხალიჩას აკეცინებს. — სუფრას აკეცინებს.
აკვლევინებ-ს[2]... ავალებს [გამო]იკვლიოს, კვლევა-ძიებას აწარმოებინებს, კვლევა-ძიებაში ეხმარება. ლაბორატორიაში რძის პროდუქტების ხარისხს აკვლევინებენ.
აკრიალებინებ-ს... ავალებს, შველის ან სთხოვს [და]აკრიალოს...
ამარაგებინებ-ს... ავალებს მოამარაგოს; მომარაგებაში შველის.
ამარგვლინებ-ს... ავალებს ან შველის მარგლოს. ბოსტანს ამარგვლინებს.
ამართვინებ-ს... 1. რისამე მართვას ავალებს; მართვაში შველის. ინსტრუქტორი პრაქტიკანტ-მოფერს მანქანას ამართვინებდა.
ამოავსებინებ-ს... დაავალებს ამოავსოს; ამოვსებაში დაეხმარება, — პირამდე გაავსებინებს. ორმოები ამოავსებინა.
ამოაშენებინებ-ს... დაავალებს ამოაშენოს, ამოშენებაში დაეხმარება.
ამოაწმენდინებ-ს... დაავალებს ამოწმინდოს; ამოწმენდაში დაეხმარება.
ანიავებინებ-ს... ავალებს [გა]ანიავოს; განიავებაში შველის. კალოს ანიავებინებს.
აპენტვინებ-ს... ავალებს პენტოს; პენტვაში შველის. ბამბას აპენტვინებს...

IV. 4.6.2.2. კაუზატივის მაწარმოებლები. კაუზატივის მაწარმოებელთა შესახებ (ამ კატეგორიის ფართო და ვიწრო გაგების კვალობაზე) განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, ი. ქავთარაძე, ე. გეურჭოვა, ი. ვეშაპიძე, ვ. იმნაიშვილი, მ. დამენია, გ. ნებიერიძე, ჭ. ქირია...); მკვლევართა ერთი ნაწილი კაუზატივის მაწარმოებლად სუფიქსებს **(-ინ, -ევინ)** ასახელებს;

სხვები მხოლოდ **ა-** პრეფიქსს გამოყოფენ, ზოგს კაუზატივის მაწარმოებლად პრეფიქს-სუფიქსი (ა- — -ინ, ა- — -ევინ) მიაჩნია.

გარდამავალი ზმნის კაუზატივის მაწარმოებლად ქართულში გამოიყოფა **-ინ** და **-ევინ** სუფიქსები.

შენიშვნა: -ევ მოუდის რამდენიმე ზმნას: ჭამ-ს — აჭმ-**ევ**-ს, სვამ-ს — ასმ-**ევ**-ს, იცვამ-ს — აცმ-**ევ**-ს. ეგევე **-ევ** გვაქვს ართმ-**ევ**-ს და არქმ-**ევ**-ს ზმნებშიც, მაგრამ ამათ დაკარგული აქვთ შუალობითი კონტაქტის გაგება (ა. შანიძე).

-ინ სუფიქსი კაუზატივის პროდუქტიული მაწარმოებელია. მას დაირთავს უთემისნიშნო თუ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნათა დიდი უმეტესობა, ფუძედრეკადი ზმნები: წერ-ს — ა-წერ-**ინ**-ებ-ს, ხატ-ავ-ს — ა-ხატვ-**ინ**-ებ-ს, ა-ქრობ-ს — ა-ქრობ-**ინ**-ებ-ს, ყოფ-ს — ა-ყოფ-**ინ**-ებ-ს, სცემ-ს — ა-ცემ-**ინ**-ებ-ს, ტეხ-ს — ა-ტეხ-**ინ**-ებ-ს, დრეკ-ს — ადრეკ-**ინ**-ებ-ს და ა.შ.

პროდუქტიულია კაუზატივის **-ევინ** სუფიქსიანი წარმოებაც:

შლ-ი-ს — ა-შლ-**ევინ**-ებ-ს, ღვრ-ი-ს — ა-ღვრ-**ევინ**-ებ-ს, კლ-ავ-ს — ა-კვლ-**ევინ**-ებ-ს, ა-ბამ-ს — ა-ბმ-**ევინ**-ებ-ს და ა.შ.

ა. შანიძე კაუზატიურ (შუალობითი კონტაქტის) ზმნათა ფუძეების შეჯერებით არაკაუზატიურ (უშუალო კონტაქტის) ზმნათა ფუძეებთან აღწერს -ინ და -ევინ ფორმანტების განაწილების კანონზომიერებას ფუძეების მიხედვით:

1. **-ინ** მოუდის ყველა ჯგუფის ზმნებს, გარდა **-ამ** თემისნიშნიანებისა.

სახელდობრ:

ა) ერთთემიანებს: წერ-ს — ა-წერ-**ინ**-ებ-ს; წ ე რ ა

ბ) ხმოვანმონაცვლეებს: გრეხ-ს / გრიხ-ა — ა-გრეხ-**ინ**-ებ-ს; გ რ ე ხ ა

გ) **-ი** თემისნიშნიანებს, რომელთაც I სერიის ფორმებში მარცვლოვანი ფუძე აქვთ:

თოხნ-ი-ს — ა-თოხნ-**ინ**-ებ-ს; თ ო ხ ნ ა

დ) **-ავ** თემისნიშნიანებს, რომელთაც საწყისში ფუძე არ ეკუმშებათ:

მალ-ავ-ს — ა-მალვ-**ინ**-ებ-ს; მალვა.

ე) **-ევ** სუფიქსიანებს: აქც-ევ-ს — ა-ქცევ-**ინ**-ებ-ს: ქ ც ე ვ ა

ვ) **-ემ** სუფიქსიანებს: მისც-ემ-ს — მი-ა-ცემ-**ინ**-ებ-ს; ც ე მ ა

ზ) **-ებ** თემისნიშნიანებს: ა-შენ-ებ-ს — ა-შენებ-**ინ**-ებ-ს: შ ე ნ ე ბ ა
თ) **-ობ** თემისნიშნიანებს: ა-თბ-ობ-ს — ა-თბობ-**ინ**-ებ-ს; თ ბ ო ბ ა
ი) **-ოფ** თემისნიშნიანებს: ყოფ-ს — ა-ყოფ-**ინ**-ებ-ს; გ ა ყ ო ფ ა

2. **-ევინ** მოუდის ზოგიერთ **-ი** და **-ავ** თემისნიშნიანს და ყველა **-ამ** თემისნიშნიან ზმნას; სახელდობრ:

ა) **-ი** თემისნიშნიანთაგან იმათ, რომელთაც I სერიაში და, მაშასადამე, საწყისშიც ფუძე ეკუმშებათ: შლ-ი-ს — ა-შლ-**ევინ**-ებ-ს; გ ა შ ლ ა, შდრ.: გა-შალ-ა...

ბ) **-ავ** თემისნიშნიანთაგან იმათ, რომელთაც I სერიაში და, მაშასადამე, საწყისშიც ფუძე ეკუმშებათ: კლ-ავ-ს — ა-კვლ-**ევინ**-ებ-ს; კ ვ ლ ა (*<კლვა), შდრ.: და-ვ-კალ

გ) **-ამ** თემისნიშნიან ზმნებს: ა-ბამ-ს — ა-ბმ-**ევინ**-ებ-ს; ბ მ ა ...

ა. შანიძის დაკვირვებებმა **-ინ** და **-ევინ** სუფიქსთა გადანაწილების წესების შესახებ უკუმშველ და კუმშვად ზმნურ და სახელზმნურ (საწყისის) ფუძეებთან შემდგომში გამოკვეთა დამატებითი დისტრიბუციის მიმართება ამ სუფიქსთა გამოყენებაში; კერძოდ:

-ინ მოუდის ისეთ კაუზატიურ ზმნებს, რომელთაც საწყისში მარცვლოვანი ფუძე (resp. თემა) აქვთ. -ევინ მოუდის საწყისში ყველა ნულმარცვლოვანი ფუძის (resp. თემის მქონე) ზმნებს (ა. თაყაიშვილი).

კაუზატიური ფორმის ორთემიანი მოდელი ქართულში სქემატურად ასეთი სახით აღიწერება:

ა + ზმნის ფუძე (ძირი) + ძირითადი თემა + სუფიქსი -ინ/-ევინ + დამატ. თემა

მოკლედ დავახასიათებთ ამ მოდელის შემადგენელ ელემენტებს:

ა- ხ მ ო ვ ა ნ ა პ რ ე ფ ი ქ ს ი კაუზატიური მოდელის აუცილებელი ელემენტია. ზ მ ნ უ რ ი ფ უ ძ ე (ძირი) აუცილებლად გარდამავალი ზმნისა უნდა იყოს.

ძ ი რ ი თ ა დ ი თ ე მ ა ნულოვანი ან თემის ნიშნებით გავრცობილი; თემის ნიშნები (-ავ, -ამ, -ი ნიშნების გამოკლებით) სრული; -ავ და -ამ — ნაწილობრივ რედუცირებული, -ი — სრულად რედუცირებული; თემის ნიშნების რანგში განიხილება -ევ და -ენ სუფიქსები; ძირითადი თემა შეზრდილია ფუძესთან და გასდევს ყველა სერიაში. ძირითად თემას მოსდევს კაუზატივის მაწარმოებლები.

-ი ნ / -ე ვ ი ნ სუფიქსები — კაუზატივის მაწარმოებლები, ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებას ავლენენ. -ევინ რთული მაწარმოებელი (ევ+ინ); კაუზატივის მაწარმოებლებს ერთვის დამატებითი თემა, -ებ თემის ნიშნის სახით განზოგადებული.

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი თ ე მ ა -ე ბ, რომელიც მარტივს დაერთვის, ოღონდ მარტივი თემა შუალობითი კონტაქტიანი ზმნებისა თავისთავად რთულია სათანადო უშუალო კონტაქტის ფორმებთან დაპირისპირებით. ეს დაპირისპირება ააშკარავებს, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმათა მაწარმოებელია **ინ** ან **ევინ** (ა. შანიძე). თემა **-ებ** III სერიაშიც გადაჰყვება:

წერ-ს > ა-წერ-ინ-ებ-ს, და-ა-წერ-ინ-ა, და-უ-წერ-ინ-ებ-ი-ა
აშენ-ებ-ს > ა-შენებ-ინ-ებ-ს, ა-ა-შენებ-ინ-ა, ა-უ-შენებ-ინ-ებ-ი-ა
თლ-ი-ს > ა-თლ-ევინ-ებ-ს, გა-ა-თლ-ევინ-ა, გა-უ-თლ-ევინ-ებ-ი-ა...

IV. 4.6.2.3. ა- პრეფიქსის ფუნქციისათვის კაუზატიურ ფორმებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდამავალ ზმნათა კაუზაციურ (შუალობითი კონტაქტის) ზმნურ ფორმებში **ა-** პრეფიქსი აუცილებელი თანმხლები ელემენტია:

წერ-ს — ა-წერინებს, და-ა-წერ-ინ-ა
ა-შენებ-ს — ა-შენებ-ინ-ებ-ს, ა-ა-შენებ-ინ-ა
თლ-ი-ს — ა-თლ-ევინ-ებ-ს, გა-ა-თლ-ევინ-ა

ა- პრეფიქსის განაწილების ეს წესი სრული არ არის და რამდენადმე შეზღუდულია:

1. **ა-** პრეფიქსი ზმნური ფორმებიდან არ გვხვდება კაუზატიურ გარდამავალ ზმნათა სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებში:

გა-ა-ტეხ-ინ-ა — გა-ი-ტეხ-ინ-ა, გა-ა-ყრ-ევინ-ა — გა-ი-ყრ-ევინ-ა, და-ა-სობ-ინ-ა — და-ი-სობ-ინ-ა...

მო-ა-ტან-ინ-ა — მო-უ-ტან-ინ-ა, მო-ა-ჭედ-ინ-ა — მო-უ-ჭედ-ინ-ა...

2. კაუზატიურ **ინიან** და **ენიან** ვნებითებში: ა-თვლ-ევინ-ებ-ს — ი-თვლ-ევინ-ებ-ა, ა-კვრ-ევინ-ებ-ს — ი-კვრ-ევინ-ებ-ა... ა-კვლ-ევინ-ებ-ს — ე-კვლ-ევინ-ებ-ა, ა-თრ-ევინ-ებ-ს — ე-თრ-ევინ-ებ-ა...

3. მესამე სერიის მწკრივებში: ა-წერ-ინ-ებ-ს, და-ა-წერ-ინ-ა — და-უ-წერ-ინ-ებ-ი-ა, ა-შენებ-ინ-ებ-ს, ა-ა-შენებ-ინ-ა — ა-უ-შენებ-ინ-ებ-ი-ა...

4. **ა-** პრეფიქსი არ გვაქვს კაუზატიურ ზმნათა სახელზმნურ ფორმებში: გა-კეთებ-ინ-ებ-ა, გა-სა-კეთებ-ინ-ებ-ელ-ი, გა-უ-კეთებ-ინ-ებ-ელ-ი, გა-კეთებ-ინ-ებ-ულ-ი... გა-მ-კეთებ-ინ-ებ-ელ-ი...

ამ მონაცემების არაკაუზატიურ (უშუალო კონტაქტის) ფორმებთან შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ:

სათავისო და სასხვისო ქცევის კაუზატიურ ფორმებში **ა-** პრეფიქსი არც უნდა გვქონდეს, ისე, როგორც არა გვაქვს სათანადო არაკაუზატიურ ქცევის ფორმებთან:

და-ა-ს-ო — და-ი-ს-ო, შდრ., და-ა-სობ-ინ-ა — და-ი-სობ-ინ-ა

გა-ა-გდ-ო — გა-ი-გდ-ო — გა-უ-გდ-ო, შდრ., გა-ა-გდ-ებ-ინ-ა — გა-ი-გდ-ებ-ინ-ა, გა-უ-გდებ-ინ-ა...

ა- პრეფიქსი კაუზატიური ვნებითის პრეფიქსიან ფორმებში ისევე არ უნდა გვქონდეს, როგორც არაკაუზატიურ ვნებითებში:

კლავ-ს — ი-კვლ-ებ-ა, ე-კვლ-ებ-ა

ა-კვლ-ევინ-ებ-ს — ი-კვლ-ევინ-ებ-ა, ე-კვლ-ევინ-ებ-ა...

კაუზატიურ ფორმებს III სერიის მწკრივებში **ა-** პრეფიქსი არ გადაჰყვება და არც უნდა გადაჰყვეს ისევე, როგორც არაკაუზატიურ ფორმებს, შდრ.:

ა-შენებ-ს — ა-ა-შენ-ა — ა-უ-შენებ-ი-ა

ა-შენებ-ინ-ებ-ს — ა-ა-შენებ-ინ-ა — ა-უ-შენებ-ინ-ებ-ი-ა...

და ბოლოს, კაუზატიური ზმნებიდან ნაწარმოებ სახელზმნურ ფორმებს ისევე არ გაჰყვებათ ზმნიდან **ა-** პრეფიქსი (და, საერთოდ, ხმოვანი პრეფიქსები), როგორც არაკაუზატიურებს; შდრ.:

ა-კეთებ-ს: გა-კეთებ-ა, გა-სა-კეთ-ებ-ელ-ი, გა-კეთებ-ულ-ი

ა-კეთებინებ-ს: გა-კეთებ-ინ-ებ-ა, გა-სა-კეთებ-ინ-ებ-ელ-ი, გა-კეთებ-ინ-ებ-ულ-ი...

აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ **ა-** პრეფიქსს კაუზატიურ ა-შენებინებ-ს და მსგავს ფორმებში ისეთივე გრამატიკული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, როგორც არაკაუზატიურ ა-შენებ-ს და მისთ. ფორმებში.

შენიშვნა: ამიტომაც განიხილავს ა. შანიძე ერთგვაროვნად **ა-შენებ-ინ-ებ-ს** და **ა-შენებს** ფორმებში **ა-** პრეფიქსს, ოღონდ საარვისო ქცევის ნიშნად.

თავისთავად საარვისო ქცევის მარკირების საკითხი ქართულში სადავო საკითხია, ამასთან ერთად, კაუზატიური გარდამავალი ფორმები სალიტერატურო ქართულში ქცევის საოპოზიციო ფორმებს ძნელად და იშვიათად იწარმოებენ. ამას ა. შანიძეც აღნიშნავს. საპირისპირო ფორმათა არარსებობის ან იშვიათი ხმარების ფონზე კი **ა-** პრეფიქსის საქცეო ფუნქციაზე ლაპარაკი ჭირს. გარდამავალ კაუზატივებთან ქცევის ფორმების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ პროცესია და ბევრი რამ ბუნდოვანი ჩანს. ა. შანიძე შუალობითი სასხვისო ქცევის არაკაუზატიური და კაუზატიური წყვილის **წამიხდინე — წამიხდენინე** („დამღუპე, ათის წლის სარჩო **წამიხდენინე** ჯორებსა“ (ვაჟა, „ნახ. წიწ.“) განხილვისას აღნიშნავს: „**წამიხდინე** სამ პირს შეიცავს (შენ მე იგი), ეს სამივე პირი უკლებლივ არის გადასული შუალობითში (**წამიხდენინე**), მაგრამ ამასთანავე ერთად აქ თეორიულად თითქოს მეოთხე პირიც უნდა ივარაუდებოდეს, ეგზეკუტორი, რომელსაც წინადადებაში „ჯორებსა“ სიტყვა ეფარდება, მაგრამ ეს მეოთხე პირი არაფრით არ არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში, ამიტომ მისი გაგება მკრთალია“ (ა.შანიძე).

ა-შენებ-ს, ა-კეთებ-ს, ა-წუხებ-ს ფორმებში **ა-** პრეფიქსს მოქმედებითი გვარის ფორმანტის კვალიფიკაცია ეძლევა, ასევე მოქმედებით გვარს უნდა უკავშირდებოდეს ეს პრეფიქსი **ა-**შენებ-ინ-ებ-ს, **ა-**კეთ-ებ-ინ-ებ-ს, **ა-**წუხებ-ინ-ებ-ს ფორმებში. ქართულში სწორედ გვარის კატეგორიის ფარგლებში განსხვავდება კაუზალური და არაკაუზალური ფორმები:

კაუზალური: **ა-კეთებ-ინ-ებ-ს, ა-თრ-ევინ-ენ-ს**

მოქმედებითი:

არაკაუზალური: **ა-კეთებ-ს, ა-თრევ-ს**

კაუზალური: **ე-თრ-ევინ-ებ-ა**

ვნებითი:

არაკაუზალური: **ე-თრევ-ა...**

საშუალი გვარის ზმნებს კაუზალური ფორმები არ უკეთდება.

პრეფიქსული ა- ფორმანტის ცვლა კაუზატივებში სხვა გრამატიკულ მნიშვნელობებს (ქცევას, ვნებითობას) აჩენს, მაგრამ კაუზატიურობა არ იცვლება; შდრ.:

ნეიტრ. ქცევა	**ვ-ა-ყრ-ევინ-ებ**	სათავისო ქცევა	**ვ-ი-ყრ-ევინ-ებ...**
	გა-ა-გდებ-ინ-ა	სასხვისო ქცევა	**გა-უ-გდებ-ინ-ა...**
მოქმ.	**ვ-ა-თელვ-ინ-ებ**	ვნებ.	**ვ-ე-თელვ-ინ-ებ-ი...**

ამდენად, კაუზატიურობის მაწარმოებლად **-ინ** და **-ევინ** სუფიქსები რჩება.

მესამე სერიის ფორმებში, რაც თავისთავად იშვიათი ფორმებია, როგორც კაუზალური მოქმედებითის, ასევე, ვნებითების სუფიქსებად **-ინ** და **-ევინ** გვაქვს:

მო-ა-პარვ-ინ-ებ-ს — მო-უ-პარვ-ინ-ებ-ი-ა (I თურმ.): „მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებია“ (ილია) — კაუზატიური ზმნები აქ ორპირიანია და რეალურ მოქმედად -თვის თანდებულიანი უბრალო დამატება იგულისხმება:

ა-ცვლ-ევინ-ებ-ს — ე-ცვლ-ევინ-ებ-ინ-ა (II თურმ.): „სიცხეს მისთვის ფერი ეცვლევინებინა“.

ე-ტაცებ-ინ-ებ-ა — გა-ს-ტაცებ-ინ-ებ-ი-ა (I თურმ.): „ამათი დედა გამიხარდის გასტაცებინებია“ (ვაჟა).

ვნებითის ამ ფორმაში სუბიექტი (დედა) მიზეზია იმისა, რომ მასზე ემოქმედა (გაეტაცებინა) ირიბ ობიექტს (გამიხარდის) (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე).

IV. 4.6.2.4. კაუზატივის ამოსავალი ფუძის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ კაუზატიური (შუალობითი კონტაქტი) ფორმებისათვის ამოსავალია არაკაუზატიურ ზმნათა აწმყოს ფუძე. არსებობს სხვა თვალსაზრისიც: „ქართულში კაუზატივის წარმოების თანამედროვე ტიპი აწმყოს აწარმოებს კაუზატივის აორისტის ფუძისაგან“ (არნ. ჩიქობავა).

ა. შანიძე წერს: „შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლები -ინ და -ევინ დაერთვის უშუალო კონტაქტის ზმნათა I სერიის თემას, რომელიც საწყისშია წარმოდგენილი. საწყისის **ა** ამ ფორმანტთა დართვისას შეიკვეცება. საარვისო ქცევაში ეს ზმნები ფუძის წინ კიდევ ა-ს მიიღებენ“ (ა. შანიძე).

ბოლოსწინა ფრაზით: „საწყისის ა ამ ფორმატის დართვისას შეიკვეცება“, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ა. შანიძე კაუზატიურ (შუალობითი კონტაქტის) ფორმათათვის ამოსავლად საწყისს გულისხმობს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ კაუზატიური ფორმის არაკაუზატიური აწმყოს ფუძიდან წარმოქმნას მაინცდამაინც მყარი მოტივაცია არ ეძებნება; წარმოდგენილი იქნა სათანადო სემანტიკური (1) და ფორმალური (2) არგუმენტები: რადგან (1) კაუზატივი (შუალობითი კონტაქტი) წარმოქმნის კატეგორიაა და არ ექვემდებარება დროის თვალსაზ-

რისით რაიმე შეზღუდვას, ამდენად აწმყოს ფუძესთან მისი დაკავშირება სემანტიკურად გაუგებარია, თუმცა ფორმალურად დასაშვებია. (2) ფორმალური არგუმენტებიდან საყურადღებოა, რომ რამდენიმე ზმნას აწმყოს ფუძე და კაუზატივისთვის ამოსავალი ფუძე განსხვავებული აქვს:

კითხულ-**ობ**-ს (თემა „ობ“) —> ა-კითხ-**ვ**-ინ-ებ-ს (თემა „ავ)
შლ-**ი**-ს (თემა „ი“) —> ა-შლ-ევინ-ებ-ს (თემა Ø).

კეთდება დასკვნა, რომ არაკაუზატიური ფორმიდან კაუზატიურის წარმოქმნა გაშუალებულია მასდარის ფუძით. ამგვარი დაშვება ხსნის იმ ფორმალური (ფონეტიკური, მორფოლოგიური) ხასიათის განსხვავებებს, რაც კაუზატიურ და არაკაუზატიურ ფორმებს შორის ჩანს; აქ განიხილება -ი, -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები:

კითხ-ვ-ა (მასდარი) —> აკითხ-ვ-ინ-ებ-ს და არა
კითხულ-ობ-ს —> აკითხვინ-ებ-ს

შლ-ა (მასდარი) —> ა-შლ-ევინ-ებ-ს და არა
შლ-ი-ს —> ა-შლ-ევინ-ებ-ს

დგმ-ა (მასდარი) —> ა-დგმ-ევინ-ებ-ს და არა
დგ-ამ-ს —> ა-დგმ-ევინ-ებ-ს (რ. ასათიანი, 1989).

ძირეული არაკაუზატიური და დერივატი კაუზატიური ფორმების თემათა არაიდენტურობა სხვა შემთხვევებშიც დასტურდება:

ისვრ-ი-ს — ასროლ-ინ-ებ-ს, შდრ.:

ისვრ-ი-ს[2] (იყენ. ისროლა; უსვრია იყენ. უსროლია)...

ა-სრ-ოლ-ინ-ებ-ს... პაპა წამიყვანს ხოლმე ტყეში და თოფს მ ა ს რ ო ლ ი ნ ე ბ ს (ი. ურჯუმ.)...

ჰყავს — აყოლიებს (> ა-ყოლ-ინ-ებ-ს), შდრ.:

ჰყავ-ს (თურმ. ჰყოლია)

აყოლიებ-ს (აყოლია, უყოლებია) კაუზატ. ჰყავს ზმნისა. აიძულებს იყოლიოს, გაიჩინოს. ერთ უშვილო კნეინას ძალით შვილი ვ ა ყ ო ლ ი ე (ა. ცაგარ.).

ელ-ი-ს, ელოდ-ებ-ა — ა-ლოდ-ინ-ებ-ს, შდრ.:

ალოდინებ-ს (ალოდინა, ულოდინებია) გრდმ. აიძულებს ელოდოს, — აცდევინებს. გააღე კარი, რაღას მ ა ლ ო დ ი ნ ე ბ ? (ვაჟა)

იც-ი-ს — ა-ცოდ-ინ-ებ-ს, შდრ.:

აცოდინებ-ს (აცოდინა, უცოდინებია) კაუზატ. იცის ზმნისა. საშუალებას მისცემს (აძლევს) იცოდეს, გაიგოს...

ჩამოთვლილი კაუზატიური ფორმები — ასროლინებს (შდრ. ისვრის), აყოლიებს (შდრ. ჰყავს), ალოდინებს (შდრ. ელის), აცოდინებს (შდრ. იცის) ნამდვილად არ ჰგვანან აწმყოს თემაზე კაუზატივის სუფიქსის დართვით მიღებულ ზმნებს და შეიძლებოდა მათი მასდარული წარმომავლობის (სროლა, ყოლა, ლოდინი, ცოდნა) დაფიქსირება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წარმოდგენილი ზმნები უღვლილების პარადიგმას საჭიროების შემთხვევაში სწორედ მასდარული წარმოების ფორმებით ივსებენ (ისროლა/უსროლია, ჰყოლია, ელოდა, იცოდა, ე-ცოდ-ინ-ებ-ა); ასე რომ, კაუზაციის პროცესში აწმყოს ფუძის გარდა, სხვა მწკრივთა გამოყენებაც დასაშვები ჩანს, მაგ. უწყვეტ. ი-ცოდ-ა — ა-ცოდ-ინ-ებ-ს, წყვეტ. ი-სროლ-ა — ა-სროლ-ინ-ებ-ს და ა.შ. საწყისის (სროლა) ჩვენების მიხედვით, „ასროლინებს კაუზატივის ამოსავლად *ისროლ-ი-ს ფორმა უნდა ვივარაუდოთ“ (ა. თაყაიშვილი, 1974).

ფაქტი მაინც ისაა, რომ თემისნიშნიან ზმნათა უმრავლესობა კაუზატივს აწმყოს ფუძისაგან აწარმოებს.

IV. 4.7. გვარის კატეგორიის კერძო შემთხვევები

IV. 4.7.1. პასიური და საურთიერთო სემანტიკა გარდაუვალი ზმნების ე- პრეფიქსიან მოდელში. როგორც ითქვა, სამეცნიერო ლიტერატურაში **ე-** პრეფიქსის ოდენ ვნებითი გვარის მორფემად კვალიფიკაცია სათუოდ არის მიჩნეული, მას სხვა ფუნქციაც ეძებნება, მაგ. ქცევისა (ა. შანიძე; დამენია) და ეს ეჭვი ე- პრეფიქსის დიაქრონიულ ინტერპრეტაციასაც ეხება; შდრ.: „**ე-** პრეფიქსის ხმარების არე ზოგ შემთხვევაში ანალოგიურად არის გაფართოებული, მაგრამ თავდაპირველად ის მარტო ვნებითის ნიშანი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ამას დღეს გადმონაშთის სახით „მი-ვ-ეც“ ფორმა გვიჩვენებს“ (ა. შანიძე). ასევე: „ერთი რამ ნათელია: ე- პრეფიქსი თავდაპირველად არ იყო ვნებითის მაწარმოებელი ფორმანტი. ერთერთი ძლიერი საბუთი ამისა არის ფაქტი, რომ ეგევე პრეფიქსი შენიშნულია მოქმედებითი გვარის ფორმებშიც (ბ. ჯორბენაძე).

ე- პრეფიქსი მოქმედებითი გვარის ზმნებში ახალ ქართულშიცაა წარმოდგენილი (იგივე მი-ვ-ე-ც, ე-ძებ-ს, ე-სროლ-ა...), გვაქვს ის საშუ-

ალი გვარის ფორმებშიც (ე-რჩის, ე-ტრფის, ერთვის...) (გ. დეეტერსი; ბ. ჯორბენაძე) და რაც არსებითია, ქართულში: „ენიანი ვნებითების გამოყენების ნახევარზე მეტს წარმოადგენენ **ე**- პრეფიქსიანი დეპონენსები: ეალერსება, ეამბორება, ეარშიყება, ეაჯება, ებაასება, ებატონება, ებოდიშება, ებრძოლება, ებულბულება, ებურთავება, ებუტბუტება, ებუტება, ებღაუჭება... და ა.შ. (ბ. ჯორბენაძე). ჩამონათვალში „და ასე შემდეგამდე“ ბ. ჯორბენაძე დეპონენსური შინაარსის 56 ზმნას ასახელებს და ასკვნის, რომ **ე-** პრეფიქსიან ზმნებს მოქმედებითი გვარის ფუნქცია უნდა ჰქონოდათ და ცალკეულ ფორმებში პარალელურად გამოვლენილი პასიური შინაარსის ანალოგიით ეს პასიური მნიშვნელობა ენიან ზმნათა ერთ ნაწილში განზოგადდა. ასეთი შეთავსება პასიური და დეპონენსური მნიშვნელობებისა ქართულისათვის უჩვეულო არ არის: „რომ შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი წინადადება: „ამ გარემოებას ანგარიში არ ეწევა“ და „მძიმე უღელს ეწევა“, დავრწმუნდებით, რომ ზმნა „ეწევა“ პირველში პასიურად არის ნახმარი, მეორეში კი — აქტიურად (ანგარიში არ ეწევა = ანგარიშს არ უწევენ; უღელს ეწევა = უღელს წევს). მაგრამ რადგანაც ფორმით ზმნა მეორე შემთხვევაში პასიურია, ამიტომ მას პირველისაგან განსხვავებით დეპონენსს ვეძახით (ა. შანიძე); საყურადღებოა, რომ ეწევა ფორმის პასიურ მნიშვნელობას ა. შანიძე კონვერსიული მოქმედებითი ფორმის უწევენ განზოგადებულპირიანი ფორმით განმარტავს. ვნებითური და დეპონენსური მნიშვნელობის ასეთი შენაცვლება ქართულში ერთეული შემთხვევა არ არის:

ედება — დეპონენს.: ღობე-ყორეს ედება
ვნებითი: კაბა ფეხებში ედება მებრძოლთ (ქეგლ)

ერევა — დეპონენს.: მარაქაში ერევა; მაგისთანა საქმეში
ვერ ვერევი;
ვნებითი: ენა ერევა (ქეგლ) და მისთ.
(ბ. ჯორბენაძე).

ასე რომ, **ე**ნიან ვნებითთა მნიშვნელოვან ნაწილში აქტიური შინაარსის გამოვლენა და, საერთოდ, ამ პრეფიქსის პოლისემანტიკურობა (პოტენციალისის, მიჩნევის, გუნების მნიშვნელობის გამოხატვა) ბუნებრივად ბადებს აზრს პასიური შინაარსის ენიან ვნებითთა იშვიათობის შესახებ (ი. მელიქიშვილი). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქტიური შინაარსის ენიანი ვნებითის ფორმები გამოყენების სიხშირით პრესის ენის

ერთ-ერთი სტილისტიკური მახასიათებელიცაა, რაც მისი სუსტი, „საკუთრივ ვნებითური სემანტიკის მაჩვენებელია“ (თ. ღვინაძე).

ბუნებრივად ჩნდება აზრი ე- პრეფიქსისათვის ადეკვატური ფუნქციის მოძიების შესახებაც, შდრ.: „ე- პრეფიქსი პოლისემანტიკური აღმოჩნდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს ირიბ ობიექტზე მინიშნების ფუნქცია“ (ბ. ჯორბენაძე).

სხვა, კერძოდ, ობიექტების წარმოქმნა-მოსპობის თვალსაზრისით, გარდაუვალ ზმნებში ი- მაქცევრიან ფორმებთან შეპირისპირებისას, ე- მაქცევარი წარმოქმნის ირიბ ობიექტს, მაგრამ გარდამავალ ზმნებთან შეპირისპირებისას პირდაპირი ობიექტის მოსპობის ფუნქციას ახორციელებს. სინქრონიულად ე- მაქცევრის ორმაგი ფუნქცია სავსებით დასაშვებია, რამდენადაც ის ასახავს ფორმათა რეალურ ოპოზიციას (მ. მაჭავარიანი).

„ე- პრეფიქსი სუბიექტისა და ირიბი ობიექტის ურთიერთობას ასახავს გარდაუვალ ზმნაში — ამდენად უახლოვდება რეციპროკულ სემანტიკას. ის მას ებრძვის = ისინი ებრძვიან ერთმანეთს; ის მას ეკამათება — ისინი კამათობენ ერთმანეთთან (ი. მელიქიშვილი)...

ფაქტია, რომ რელატიურ ენიან ვნებითთა სემანტიკა ძალიან ბევრ შემთხვევაში აქტიურია. სუბიექტი ასეთ ზმნებში არა პაციენსად, არამედ რეალურ მოქმედად, აგენსად მოიაზრება (ექაჩება, ეზიდება, ეჯაჯგურება...) და ამგვარ ზმნათა ვნებითობას მხოლოდ ფორმალური (აწმყოს სუფიქსური -ებ-ი, -ებ-ა) მახასიათებლები ამოწმებს; თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ასევე ბევრ შემთხვევაში, ენიანი ვნებითების სუბიექტი სემანტიკურად პაციენსია და **ე-** გამოხატავს სუბიექტის მიმართებას ირიბი ობიექტისადმი, კონკრეტულად: პასიური სუბიექტის კუთვნილებით მიმართებას (მიკუთვნებას) ირიბი ობიექტისადმი. ეს პასიური სემანტიკა თვალსაჩინოდ აისახება ენიანი ვნებითების ქეგლისეულ განმარტებებში აბსოლუტური, **ი**ნიანი ვნებითის ფორმებისა და III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის კომბინაციით: რომელიმე ეგრიხება ზმნა ჯერ დახასიათებულია გვარის (აქტივ-პასივის) მნიშვნელობის მიხედვით, როგორც საოპოზიციო კონვერსიული პასივი სამპირიანი აქტიური უგრეხს ფორმისა, ხოლო უკვე ვნებითი გვარის შიდა მიმართებაში — როგორც ერთპირიანი ინიანი ვნებითის საოპოზიციო ორპირიანი ფორმა: ეგრიხებ-ა (დაეგრიხა, დაჰგრეხია) გრდუვ. ვნებ. უგრეხს ზმნისა — იგრიხება მისი. „სხეულის ყველა ასო ეგრიხებოდა, ეკრუნჩხებოდა (ეკ. გაბ.)... თავის ადგილას, **ი**ნიანი

პასივი (იგრიხება) ასევე დახასიათებულია როგორც სათანადო მოქმედებითის კონვერსივი და ახლავს განმარტება (ან განმარტებები), რომელიც მის პასიურობას ამოწმებს, — ამ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო აქტივის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმა, რომელიც ვნებითის შინაარსს გადმოსცემს (არნ. ჩიქობავა) და პოტენციალისის შინაარსის გამომხატველი შესიტყვება: იგრიხებ-ა (დაიგრიხა, დაგრეხილა) გრდუვ. ვნებ. გრეხს ზმნისა: 1. გრეხენ; გრეხა შეიძლება... (ხაზგასმა ჩვენია, მ.ს.).

ასეთი განმარტებით ეგრიხება — „იგრიხება მისი“ **ი**ნიანი ვნებითების პასიური შინაარსი დუბლირებულია **ე**ნიან ვნებითებში, შდრ.:

ებანებ-ა გრდუვ. ვნებ. **ბანს** ზმნისა — იბანება მისი ან მისთვის

ებნევ-ა გრდუვ. ვნებ. **უბნევს** ზმნისა — იბნევა მისი

ებეგვებ-ა გრდუვ. ვნებ. **უბეგვავს** ზმნისა — იბეგვება მისი და ამგვარად:

ებურცება იბურცება მისი, ებურძგნება იბურძგნება მისი, ებღუნძება იბღუნძება მისი, ეგანგლება იგანგლება მისი, ეგზავნება იგზავნება მისი, ეგლიჯება იგლიჯება მისი, ეგულება იგულება მისი, ედაგება იდაგება მისი, ევარცხნება ივარცხნება მისი, ევსება ივსება მისი ან მისთვის, ეზრდება იზრდება მისი ან მისთვის, ეზღუდება იზღუდება მისი ან მისთვის, ეთეთქვება ითეთქვება მისი, ეთითხნება ითითხნება მისი, ეთოშება ითოშება მისი, ეთუთქება ითუთქება მისი, ეთქვიფება ითქვიფება მისი, ეთხუპნება ითხუპნება მისი, ეკარგება იკარგება მისი, ეკაწრება იკაწრება მისი, ეკეცება იკეცება მისი ან მისთვის, ეკვეცება იკვეცება მისი, ეკოდება იკოდება მისი, ეკუმშება, ეკუმშვის იკუმშება მისი, ელახება ილახება მისი — თავმოყვარეობა ელახება, ელესება ილესება მისი ან მისთვის, ელეწება ილეწება მისი ან მისთვის, ემარხება იმარხება მისი, ემიჯნება იმიჯნება მისგან, ენახება ინახება მისი ან მისთვის, ენგრევა ინგრევა მისი, ენერგება ინერგება მისი ან მასში, ენთხევა ინთხევა მისი ან მასში, ენჯღრევა ინჯღრევა მისი, ეპობა იპობა მისი, ეჟეჟება იჟეჟება მისი, ეჟლიტება იჟლიტება მისი, ეჟღინთება იჟღინთება მისი და ა.შ.

ასეა პრევერბიან ფორმებშიც:

ა- აეგება აიგება მისი ან მისთვის, აეგლისება აიგლისება მასზე, აეგლიჯება აიგლიჯება მისი...

ამო- ამოეჩრება ამოიჩრება მისი, ამოეთხრება ამოითხრება მისი, ამოეცლება ამოიცლება მისი, ამოეწმინდება ამოიწმინდება მისი, ამოუწმენდენ...

გა- გაეჩხირება გაიჩხირება მისაში, გაეთიშება გაითიშება მისგან, გაეთქვიფება გაითქვიფება მისი...

გამო- გამოეჭედება გამოუჭედენ — გამოიჭედება მისი ან მისთვის, გამოეჭრება გამოუჭრიან, გამოიჭრება მისი, გამოეხევა გამოიხევა მისი...

და- დაებეჭება დაიბეჭება მისი, დაებერტყება დაიბერტყება მისი, დაებეჭდება დაიბეჭდება მისი...

მო- მოედგმება მოიდგმება მისი ან მისაზე, მოედრიკება მოიდრიკება მისი, მოერთმევა მოუტანენ, მოართმევენ, მოესწრება მოასწრებენ, მოსწრება შეიძლება...

შე- შეებღალება შეუბღალავენ, შეიბღალება მისი, შეეზრდება შეიზრდება მასთან, შეეკუმშება შეუკუმშავენ, შეიკუმშება მისი...

შემო- შემოემტვრევა შემოუმტვრევენ, შემოიმტვრევა მისი, შემოეფანტება შემოიფანტება მისი, შემოეჭრება შემოსჭრიან: 1.შემოიჭრება მისი, შემოეხევა შემოიხევა მისი...

ჩა- ჩაეგება 1. ჩაიგება მისთვის ან მისაში, ჩაეთვლება ჩაითვლება მისი, ჩაეჩხვლიტება ჩაიჩხვლიტება მისი, ჩაუჩხვლეტენ...

ჩამო- ჩამოეგლიჯება ჩამოიგლიჯება მისი, ჩამოერეცხება ჩამოირეცხება მისი, ჩამოეცმევა ჩამოაცვამენ, შეიძლება ჩამოაცვან...

წა- წაეჭრება წაიჭრება მისი, წაეშლება წაიშლება მისი, წაექცევა წაიქცევა მისი...

წამო- წამოეზრდება წამოიზრდება მისი, წამოეთხება წამოითხება მისი, წამოეშლება წამოიშლება მისი ან მისთვის...

რა თქმა უნდა, **ე**ნიან ვნებითთა პასიურობის ამოსაცნობი განმარტების ასეთი ფორმულა (იდენტური ფუძის **ი**ნიანი აბსოლუტური ვნებითი პლუს III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი უთანდებულოდ ან თანდებულით: სხვაგვარად: ე-ღ-ებ-ა = ი-ღ-ებ-ა მისი / მისთვის / მისგან და ა.შ.) ლექსიკონში ყველა **ე**ნიან ვნებითს არ ახლავს და ზოგჯერ არც მოერგება, მაგრამ არსებობს ზმნის პასიური სემანტიკის ამოსაცნობი სხვა საკონტროლო საშუალებებიც; ასეთია **ე**ნიანი ვნებითების განმარტების ადეკვატურობა მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელ-

სუბიექტიანი მრავლობითის ფორმით, რასაც **ე**ნიან ვნებითთა (ისევე, როგორც სხვა სახის ვნებითების) განსამარტავად ქეგლიც იყენებს და ბევრ შემთხვევში, ზემოთ დასახელებული ფორმულის პარალელურადაც:

ა ე წ ე რ ე ბ ა — აიწერება მისი; აუწერენ
ე ბ რ ე ბ ა — ექვითება, ერიცხება; უკავებენ..., უბრიან
ე ბ მ ე ბ ა — იბმება მისი ან მისთვის; უბამენ მას (მას), შეაბამენ მისას
ე ბ ო ძ ე ბ ა — უბოძებენ
ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — უბრძანებენ
ე კ რ ძ ა ლ ე ბ ა — უკრძალავენ
ე კ უ რ თ ხ ე ბ ა — აკურთხებენ მისას, — უკურთხებენ
ე ნ ი შ ნ ე ბ ა — ინიშნება მისთვის; უნიშნავენ
ე თ ხ რ ე ბ ა — ითხრება მისთვის, — უთხრიან
ე კ ე ტ ე ბ ა — იკეტება მისი ან მისთვის, — უკეტავენ
გ ა მ ო ე რ ი ც ხ ე ბ ა — გამოირიცხება მისი, — გამოურიცხავენ
გ ა მ ო ე ჭ რ ე ბ ა — გამოიჭრება მისი, — გამოუჭრიან
გ ა ე კ კ ვ ე თ ე ბ ა — გაიკვეთება მისი, — გაუკვეთენ
მ ო ე რ თ მ ე ვ ა — მიუტანენ, მოართმევენ
შ ე ე კ უ მ შ ე ბ ა — შეუკუმშავენ
შ ე ე მ ა ტ ე ბ ა — შეუმატებენ, შეიძლება შეუმატონ
შ ე ე კ ე ც ე ბ ა — შეიკეცება მისი, — შეუკეცავენ
შ ე ე მ ღ ვ რ ე ვ ა — შეიმღვრევა მისი, — შეუმღვრევენ
შ ე მ ო ე მ ტ ვ რ ე ვ ა — შემოემტვრევა მისი, — შემოუმტვრევენ
ჩ ა ე კ ე ტ ე ბ ა — ჩაიკეტება მისი ან მისთვის, — ჩაუკეტავენ || უნებურად ჩაკეტავს
ჩ ა მ ო ე ც მ ე ვ ა — ჩამოაცვამენ; შეიძლება ჩამოაცვან
წ ა ე ს მ ე ბ ა — წაუსვამენ
წ ა ე კ ი თ ხ ე ბ ა — წაიკითხება მისთვის, — წაუკითხავენ
და სხვა მრავალი.

ენიანი ვნებითების პასიურობის განმსაზღვრელ განმარტებათა გვერდით განსამარტავ ფრაზებში ზოგჯერ პოტენციალისა და უნებურობის სემანტიკაც დაჩნდება, რაც ვნებითობისა და ამ სემანტიკური ნიუანსების გარკვეულ შეთავსებითობაზე მიუთითებს:

ე კ ი ჟ ი ნ ე ბ ა — უკიჟინებენ, შეიძლება უკიჟინონ
ე პ ა ტ ი ე ბ ა — აპატიებენ, შეიძლება აპატიონ
ე ხ ა რ ჯ ე ბ ა — იხარჯება მისი, — ხარჯი, გასავალი აქვს, ხარჯი

მოსდის (თავისი სურვილის წინააღმდეგ)

მიეტევება — ეპატიება, მიუტევებენ, შეიძლება მიუტევონ

მოესწრება — მოასწრებენ, მოსწრება შეიძლება

ჩაეკეტება — ჩაიკეტება მისი ან მისთვის, — ჩაუკეტავენ || უნებურად ჩაკეტავს

ჩამოეცმევა — ჩამოაცვამენ, შეიძლება ჩამოაცვან...

მიჩნევისა და გუნების ვნებითები თავიანთი სემანტიკის გამო მხოლოდ რელატიურ ვნებითებში რეალიზდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის შეიძლება თავისებური „ქცევის“ სახეობა იყოს (ქ. ლომთათიძე).

პასიური და აქტიური (დეპონენსური) მნიშვნელობების შეთავსებაზე **ე**ნიან ვნებითებში (პას. **ენა** ერევა, აქტ. **მარაქაში** ერევა და მისთ.) ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ასეთი ფაქტები **ე**ნიანი ვნებითების პასიური მნიშვნელობით გამოყენების არეალს უფრო აფართოებს და ამ შეთავსებულ მნიშვნელობათა უწინარესობა—შემდგომადობის საკითხსაც სვამს.

ქართული ენის მასალა მიგვანიშნებს, რომ პასივის მნიშვნელობა შეიძლება საფუძვლად დასდებოდა ზოგ სხვა მნიშვნელობას (დეპონენსურს, რეფლექსურს): მაგ. უკვე ნახსენები **ეგრიხება** — იგრიხება მისი პასიური შინაარსისაა, ეს პასიური შინაარსი ძირითადია და ამას სათანადო აქტივის კონვერსივებიც ადასტურებენ: იგრიხება ის — გრეხს ის მას, ეგრიხება ის მას — უგრეხს ის მას მას. ფიგურალური მნიშვნელობით ნახმარი ეგრიხება უკვე აქტიური შინაარსით იტვირთება: „დილიდან საღამომდის თოხს ვეგრიხებოდი“ (ე. ნინოშ.). ეს აქტიური შინაარსი **ი**ნიან ვნებითებში ცალკე მნიშვნელობად არის გამოტანილი. ძირითადი და დამატებითი მნიშვნელობების შეჯერება გარკვეულწილად წარმოაჩენს მნიშვნელობის ცვლილების მიმართულებას პასიური სუბიექტის გააქტიურებისკენ; შდრ.:

ებნევა — იბნევა მისი : 1. ეფანტება, უცვივდება...

2. **გადატ**. ერევა, აერევ-დაერევა

იბნევა — აბნევენ: 1. ფანტვით იყრება... 2. **გადატ**. ირევა, აზრები

ეფანტება, თავგზა ერევა...

შეიძლება **ე**ნიანმა და **ი**ნიანმა პასივებმა ერთმანეთისგან განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებიც გამოხატონ:

ემღერება — სიმღერის გუნებაზეა...

იმღერება — მღერიან; მღერა, სიმღერა შეიძლება...

ასე რომ, ე- პრეფიქსიან რელატიურ გარდაუვალ (აწმყოს ჯგუფებში -ებ-ი/-ებ-ა მოდელის მქონე) ზმნათა საკმაოდ დიდი ნაწილისათვის, კერძოდ, იმ ნაწილისათვის, რომელთაც საოპოზიციო აბსოლუტურ ცალებად ი- პრეფიქსიანი ფორმები უდასტურდებათ, პასიური შინაარსი რეალობაა, გარდა ამისა, ინიანი და ენიანი ვნებითების ოპოზიციური ცალები, სათანადო ორ- და სამპირიანი მოქმედებითების კონვერსივებია:

ზრდის ის მას — **ი-ზრდება** ის

უ-ზრდის ის მას მას — **ე-ზრდება** ის მას.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს: „საზოგადოდ ქართულში ასეთი ვითარება გვაქვს: თუ ზმნას **ი-** პრეფიქსი აქვს და შეიძლება მისი **ე**-დ შეცვლა, პასივის ფორმებთან გვაქვს საქმე: ი-წვის — ე-წვის, ი-თქმის — ეთქმის, ი-ზრდება — ე-ზრდება და მისთ. (ა. შანიძე).

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, **ი-** და **ე-** პრეფიქსები პირთა რაოდენობის მიხედვით განსხვავებული ვნებითი გვარის ფორმათა მარკერებია და ერთმანეთის მიმართ კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში არიან.

რაც შეეხება დეპონენსური შინაარსის ე-პრეფიქსიან ზმნათა იმ დიდ ჯგუფს, რომელთაც აქტიური (და არა განმცდელი) სუბიექტი შეეწყობა (*ელაპარაკება, ეკამათება, ეზიდება, ედავება, ესაუბრება, ეამხანაგება, ემეგობრება, ელაქუცება, ეპირფერება, ესაყვედურება, ეხუმრება, ემეზობლება, ემოყვრება, ენათესავება, ემუსაიფება, ებაასება, ეთათბირება, ელაყბება, ეჭორავება, ედავება, ეჩხუბება, ეკამათება, ეურჩება, ეკიუტება, ეჭიდავება / ეჭიდება, ეკიბრება, ეკინკლავება, ეხმალავება, ეფარიკავება, ეწინააღმდეგება, ეკიბრება, ეცილება, ეკიკავება, ეჯაჯგურება, ებოდიშება, ესარჩლება, ეთამაშება, ებურთავება, ეგუნდავება, ეშაირება, ელექსება, ექილიკება, ელაზღანდარავება, ემასხრება, ეოხუნჯება, ეკენწლავება, ეჭიკჭიკება, ეჯაჯგურება, ეფაფხურება, ებულბულება* და ა.შ.), ესენი სემანტიკურად ცალკე ჯგუფს ქმნიან (ძირითადად, ურთიერთობის აღმნიშვნელი ზმნებია) და სინტაქსურადაც არაერთგვაროვანნი (როგორც ორ-, ასევე სამვალენტიანები) არიან. მათ სხვაგვარი გრამატიკული (არაპასიური) კვალიფიკაცია ეძლევათ; ისინი, ე- პრეფიქსიანი ვნებითებისაგან განსხვავებით, სხვა გრამატიკულ მიმართებაში (ფიზიკურ, სიტყვიერ... ურთიერთობებში) მონაწილეობენ (შ. აფრიდონიძე; თ. ღვინაძე); საოპოზიციო ცალებად გარდაუვალ ზმნებში არა აბსოლუტური **ი**ნიანი ვნებითები, არამედ საშუალი

გვარის აბსოლუტური ფორმები (ავტოტივები) მოუდით (შ. აფრიდონიძე; დ. მელიქიშვილი): ლაპარაკობს, კამათობს, ჩხუბობს, მეგობრობს, თათბირობს, ჯიუტობს, ჭიდაობს, თამაშობს, გუნდაობს, ოხუნჯობს, ჭიკჭიკობს და ა.შ.), მაგრამ რადგან ურთიერთობა მხოლოდ რელატიური შეიძლება იყოს, აბსოლუტურ ფორმებთან ეს ხარვეზი ფრაზაში -**თან** თანდებულიანი უბრალო დამატების ჩართვით კომპენსირდება: ლაპარაკობს (ვიღაცასთან) — ელაპარაკება ვიღაცას, ჩხუბობს (ვიღაცასთან) — ეჩხუბება ვიღაცას და მისთ. (შ. აფრიდონიძე).

განსხვავებული, რეციპროკული შინაარსი ეძლევა ლაპარაკობს — ელაპარაკება ტიპის მრავლობითი რიცხვის საოპოზიციო ფორმებს თუ მათ მიცემით ბრუნვაში დასმულ საურთიერთო ნაცვალსახელს „ერთმანეთს“ დავურთავთ: საშუალი გვარის აბსოლუტურ ზმნებს **-თან** ან **-ში** თანდებულიანს (ერთმანეთთან, ერთმანეთში), რელატიურ ენიან ვნებითებს — უთანდებულოს (ერთმანეთს):

ლაპარაკობენ ისინი (ძმები, მეგობრები, მეზობლები...)
ერთმანეთთან / ერთმანეთში

ელაპარაკებიან ისინი (ძმები, მეგობრები, მეზობლები) ერთმანეთს.

ასეთ სიტუაციებს სემანტიკურად ორი (ან მეტი) თანასუბიექტი (კოსუბიექტი) ჰყავს (ხოლოდოვიჩი), სინტაქსურად კი საურთიერთო ნაცვალსახელს თავისი ფუნქციები უნარჩუნდება: აბსოლუტურ ზმნებთან — უბრალო დამატების, ხოლო რელატიურებთან — ირიბი დამატებისა. ელაპარაკება, ეჩხუბება ტიპის რელატიური **ე**ნიანი ფორმები მნიშვნელობით ვნებითისაგან განსხვავებული, საურთიერთო მოქმედების გამომხატველი გარდაუვალი ზმნების დამოუკიდებელი კლასია (დ. მელიქიშვილი); პირიანობის მიხედვით აბსოლუტურ საოპოზიციო ცალებად ძირითადად მოუდის იდენტური მნიშვნელობის საშუალი გვარის (ლაპარაკობს, ჩხუბობს...) ზმნები, ოშვიათად ი- პრეფიქსიანი ფორმებიც (**ი**ბრძვის — **ე**ბრძვის...); გვარის კატეგორიის მნიშვნელობის მიხედვით, ჩვეულებრივ, არ უპირისპირდება სამპირიანი კონვერსიული აქტივები; სათანადო მოქმედებითები შეიძლება სამპირიანიც იყოს, მაგრამ უფრო ბუნებრივი ჩანს ორპირიანი ფორმები; ირიბი ობიექტის შესაძლო ადგილი **-თან** თანდებულიანი სახელით არის კომპენსირებული: ალაპარაკებს ის მას მას / მასთან, აჩხუბებს ის მას / მასთან, ამეგობრებს ის მას მას /მასთან... მოქმედების რეალური შემსრულებელი პირდაპირი ობიექტია (დ. მელიქიშვილი, 2001). **-თან** თანდებულიანი სახელი მოქმედების რეალურ შემსრულებელთან, პირდაპირ

ობიექტთან ურთიერთობას აფიქსირებს და, რაც საყურადღებოა, ამ ფორმებს მოქმედების რეალური შემსრულებლის (პირდაპირი ობიექტის) მრავლობითში გადაყვანის შემდეგ შეიძლება დაერთოს საურთიერთო ნაცვალსახელი „ერთმანეთს“ და გამოხატოს რეციპროკის მნიშვნელობა: **ა-ლაპარაკებს** ის მათ ერთმანეთს, **ა-ჩხუბებს** ის მათ ერთმანეთს / ერთმანეთთან და ა.შ.

პასიური და რეციპროკული მოდელების იდენტურობა ზოგადად უჩვეულო არ არის. პასიური მოდელი სხვადასხვა მიმართებას, მათ შორის, რეციპროკულ მიმართებასაც ითავსებს და ეს სხვა ენებიდანაც ცნობილია (ი. ასათიანი).

თავისთავად, რეციპროკის შინაარსი აქტიური და პასიური პროცესების ერთდროულ ქმედებას გულისხმობს (ტენიერი).

საურთიეთრთო შინაარსს ქართული ენა აღწერითი საშუალებებით გადმოსცემს (ლომთათიძე, 1961). ეს შინაარსი ქართულ ზმნებში სხვადასხვა გრამატიკული საშუალებითაც შეიძლება გამოიხატოს, მაგ., ობიექტური პირის ნიშნებით, სასხვისო ქცევის **ი-/-უ** და საზედაოს **ა-** პრეფიქსით, ზმნისწინებით (ჰ. ჩიმქე, 2011), მაგრამ ერთგვარ დამოუკიდებელ კლასს საურთიერთო შინაარსის გამომხატველი საშუალი გვარის ერთი ჯგუფისა და აქტიური შინაარსის **ე**ნიანი ვნებითების მიმართება ქმნის.

IV. 4.7.2. ვნებითის ნიუანსები

ვნებითი გვარის ფორმალური მაჩვენებლები, პრეფიქსული **ი-/ე-**, სუფიქსური **-დ** მოდალური მნიშვნელობების სხვადასხვა ნიუანსების გადმოცემასაც ითავსებენ. ეს ნიუანსებია პოტენციალისის, მიჩნევის, გუნება-განწყობის, უნებურობის და ზოგი სხვაც. ეს ნიუანსები ამჟღავნებენ ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ მოლაპარაკის თვალსაზრისით. ვნებითის პრეფიქსული მოდელი ამ მხრივ უფრო მრავალფეროვანი ჩანს. წარმოვადგენთ ვნებით გვარში გარჩეული სემანტიკური ჯგუფების მოკლე დახასიათებებს.

IV. 4.7.2.1. პოტენციალისი. პოტენციალისი აღნიშნავს, რომ მოქმედება შესაძლებელია. ა. შანიძის მიხედვით, ეს შესაძლებლობა ან ფიზიკური ხასიათისაა, ან გულისხმობს, რომ მოქმედება დაშვებულია, მიღებულია, ნებადართულია, აკრძალული არ არის, ე.ი. ისეთია, რომ „შეიძლება“.

მოქმედების ფიზიკურ ხასიათში იგულისხმება კონკრეტულ საგანში ჩადებული (საგნის ფიზიკური თუ დანიშნულებითი მახასიათებლებით გაპირობებული) ტენდენციის რეალიზაციის უეჭველობის დაფიქსირება, რაც ამ საგნის აღმნიშვნელი სახელის სათანადო მოქმედების სახელთან (ზმნასთან) შეხამებით მჟღავნდება: ქამა სოკო იჭმევა (=ქამა სოკოს ჭამა შეიძლება), შუაღვინო ადვილად ისმევა (= შუაღვინო ადვილად შეიძლება შეისვას), მაგის დაწერილი იკითხება (= მაგის დაწერილის წაკითხვა შეიძლება)... და, ასევე, მოქმედების სახელით (ზმნით) გამოხატული შინაარსის რეალურობის ჩვენება: ღამღამობით გარეთაც გაისვლება (= ღამღამობით გარეთაც შეიძლება გასვლა); აქ უკვე იცხოვრება (=აქ უკვე შეიძლება ცხოვრება); სადაც მედგომება, იქ წავალ (=სადაც ყოფნა (დგომა) შემეძლება, იქ წავალ)...

ყოველი რეალური შესაძლებლობა შეუძლებლობის მომენტსაც გულისხმობს: ის შეიძლება განხორციელდეს ან არ განხორციელდეს; შესაბამისად, პოტენციალისი გვევლინება არა მარტო წართქმითი (იჭმევა, ისმევა, იკითხება), არამედ უკუთქმითი სახითაც. პოტენციალისის უკუთქმითი ფორმები აღწერითად, არ (როდი) ნაწილაკის დართვით გამოიხატება: არ იჭმევა, არ ისმევა, არ იკითხება... „ყოველი ფრინველის ხორცი როდი იჭმებაო“ (ანდაზა)...

პოტენციალისი ქართულში ძირითადად პრეფიქსიანი (ინიანი და ენიანი) ვნებითების ერთ- და ორპირიანი ფორმებით გადმოიცემა:

ი-ჭმება „ჭამა შეიძლება“	ე-ჭმება „შეუძლია ჭამოს“
ი-სმება „სმა შეიძლება“	ე-სმება „შეუძლია შესვას“
ი-ზომება „გაზომვა შეიძლება“	ე-ზომება „შეუძლია გაიზომოს“
და-ი-ლევა „დალევა შეიძლება“	და-ე-ლევა „შეუძლია დალიოს“
მო-ი-ნახება „მონახვა შეიძლება“	მო-ე-ნახება „შეიძლება მოვუნახოთ“

და ა.შ.

პოტენციალისის შინაარსის გამომხატველი ვნებითის ფორმები შესაძლებლობასთან ერთად ფაქტსაც შეიძლება აღნიშნავდეს: აქ მალე ხიდი გაიდება — ახლო მომავალში მოსახდენ ფაქტს გადმოგვცემს, „კარგი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო“ : გაიდება = შეიძლება გაიდოს; გამოთქმაში „ხე ნაყოფით იცნობება“ — „იცნობება“ უფრო ვნებითია, ვინემ პოტენციალისი: იცნობება — познается უფროა, ვინემ **можно познать**“ (ჩიქობავა, 1937).

პოტენციალისისა და ვნებითის მნიშვნელობათა თანაარსებობა ვნებითის მოდელებში უჩვეულო არაა და ეს ფაქტი განმარტებით ლექსიკონშიცაა დაფიქსირებული: ვნებითობა — აქტივის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმით, პოტენციალისი — აღწერითად (შეიძლება + საწყისის ან ზმნის ფორმა):

ი ნ ი ა ნ ი **ვნებითები:**

იბარებ-ა ... ბარავენ, დაბარვა შეიძლება, — ბარით მუშავდება მიწა...

იბერტყებ-ა ... 1. ბერტყავენ; ბერტყვა შეიძლება

იბეჭდებ-ა ... ბეჭდავენ; ბეჭდვა შეიძლება

იბმებ-ა, ძვ. იბმის ... აბამენ; ბმა შეიძლება

იზილებ-ა ... ზელენ; შეიძლება ზილონ

იცეკვებ-ა ... ცეკვავენ; ცეკვა შეიძლება, მოხერხდება

იცეხვებ-ა ... ცეხვავენ; ცეხვა შესაძლებელია

იწმინდებ-ა ... სუფთავდება, წმედენ; გაწმენდა შესაძლებელია

იწებებ-ა ... წებოთი იკვრება, აწებებენ; დაწებება შეიძლება

იწონებ-ა ... აწონვა შეიძლება; წონიან

და ა.შ.

ე ნ ი ა ნ ი **ვნებითები:**

ეკიჟინებ-ა... უკიჟინებენ; შეიძლება უკიჟინონ

ეხერხებ-ა... 1. მოხერხება აქვს, შეუძლია ადვილად შეასრულოს რამე...

ეწვნებ-ა... დაწვნა უხერხდება; დაწვნა შეიძლება (მისი თმისა და მისთ.)

აეგლიჯებ-ა... აიგლიჯება მისი, — გლეჯით აერთმევა; შეიძლება აიგლიჯოს მისი. მუწუკს თავი არ აეგლიჯება.

აევლებ-ა[1] (აევლო, ავლებია) გრდუვ. ვნებ. აავლებს ზმნისა ... აავლებენ, ავლება შესაძლებელი იქნება. ბოსტანს აყოლებაზე ღობე აევლება.

აეთლებ-ა... აითლება მისი (მასზე), შეიძლება აათალონ, — აეჭრება

ჩაედგმებ-ა... ჩაიდგმება მასში ან მისთვის, — ჩაუდგამენ, შეიძლება ჩაუდგან

ჩამოეცმევ-ა ... ჩამოაცვამენ, შეიძლება ჩამოაცვან

მოესწრებ-ა ... მოასწრებენ, მოსწრება შეიძლება

აეკიდებ-ა ... აიკიდება მისი ან მასზე — საზიდი გაუხდება; ტვირთად დაედება; შეიძლება აჰკიდონ ... მკვდარი მკვდარს აეკიდა,

სამარემდე მიმათრიეო (ანდაზა). მისი ავლა-დიდება კურდღელს აეკიდება ... და ა.შ.

ვნებითი გვარის ზმნები, რომლებიც პოტენციალისის მნიშვნელობას აღნიშნავენ, მწკრივნაკლი ზმნებია, ისინი ზოგად, განუყენებულ მოქმედებას გადმოგვცემენ და მხოლოდ აწმყო-მყოფადის დროებში იხმარებიან, თუმცა ამ მწკრივებით გამოხატული კონკრეტული დროის გაგება არა აქვთ, შდრ.:

ინიანი **ვნებითები:**
თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმებაო
ცალი ხელით ტაში არ დაიკვრისო
და სხვ.

ენიანი **ვნებითები:**
ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო
ქვრივ ქალს ქმარი არ დაეყვედრებაო
და სხვ.

თუ ვნებითი გვარის ერთი და იმავე მოდელით პოტენციალისიც გამოიხატება და ვნებითობაც, ვნებითს სრული, ხოლო პოტენციალისს ნაკლული პარადიგმა ექნება, შდრ.:

აეკიდებ-ა (აეკიდა, აჰკიდებია) გრდუვ. ვნებ. აჰკიდებს ზმნისა ... აიკიდება მისი ან მასზე, — საზიდი გაუხდება, ტვირთად დაედება; შეიძლება აჰკიდონ.

ვნებითის მნიშვნელობით აეკიდება („აიკიდება მისი ან მასზე“) ფორმას უღვლილების სრული პარადიგმა ექნება (აეკიდება, აეკიდა, აჰკიდებია): მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმათრიეო (ანდაზა), პოტენციალისის მნიშვნელობით აეკიდება („შეიძლება აჰკიდონ“) ფორმას მხოლოდ აწმყო-მყოფადის წრის ფორმები შეიძლება ეწარმოებოდეს: მისი ავლა-დიდება კურდღელს აეკიდებაო (ანდაზა). ასევე, შდრ.:

ვნებითი:	
აწმყო-მყოფ.	ქორწილში ბევრი შე/იჭმება და შე/ისმება
წყვეტ.	ქორწილში ბევრი შეიჭამა და შეისვა
I თურმ.	ქორწილში ბევრი შეჭმულა და შესმულა

პოტენციალისი:

აწმყო-მყოფ. არ ისმება, არც იჭმება, არც ხელით დასაჭერია (არც შეისმება, არც შეიჭმება, არც ხელით დასაჭერი იქნება)

II და III სერიის მწკრივები კი უკვე პოტენციალისის გაგებას აღარ იძლევიან (ბ. ჯორბენაძე).

ფორმათა უმეტესობა პოტენციალისის მნიშვნელობით აწმყო-მყოფადში იხმარება. ამ მნიშვნელობით სალიტერატურო ქართულში იშვიათად დასტურდება I სერიის სხვა ფორმები, თუმცა უჩვეულო ნამდვილად არ არის; შდრ., ინიანი ვნებითები:

იჭმებოდა / იჭმებოდეს,
ისმებოდა / ისმებოდეს,
იცხოვრებოდა / იცხოვრებოდეს,
დაიდგმებოდა / დაიდგმებოდეს,
წაისვლებოდა / წაისვლებოდეს...

სტატისტიკურად, ვნებითის ფორმებში (როგორც ინიან, ასევე ენიან ვნებითებში) პოტენციალისის მნიშვნელობა უკუთქმით (**არ** ნაწილაკიან) ფორმებში უფრო აისახება: სისხლი სისხლით არ გაიბანება; ფარაში კოჭლი ცხვარი არ გამოიღევა; თითო მარიკელას თითო მოსიკელა არ დაელევა; ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება და ა.შ., იშვიათია პოტენციალისის წართქმითი ფორმები: კისერი იყოს, თორემ უღელი მოინახება...

ჩვეულებრივ, ინიანი ვნებითები (წართქმითებიც და უკუთქმითებიც) პოტენციალისის მნიშვნელობით III პირის ფორმებია: (არ) იჭმება, (არ) ისმება, (არ) იშოვება... ის; გრამატიკულ სუბიექტად ასეთ ზმნებთან ძირითადად **რა** ჯგუფის სახელია შეწყობილი და, ბუნებრივია, I და II პირის ფორმები არ ექნება. გადატანითი მნიშვნელობით, სუბიექტად **ვინ** ჯგუფის სახელის შენაცვლებით, პირის ნაკლული პარადიგმა აღდგება: არც ვიჭმები და არც ვისმები... ეგევე ფორმები გარკვეულ გამოთქმებში შეიძლება უსუბიექტოდაც შეგვხვდეს: აქ არც იჭმება და არც ისმება — „აქ (საერთოდ) არც ჭამა შეიძლება და არც სმა“...

ინიანი ვნებითის პოტენციალისის ზოგიერთი ფორმა ძირითადად უსუბიექტოდ იხმარება: (არ) წაისვლება, (არ) იცხოვრება, (არ) დაიდგომება... ეს ზმნები სპეციალურ ლიტერატურაში უქვემ-

დებარო წინადადებებში განიხილება, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, სუბიექტი შეიძლება აღდგეს; მაგ.: არსად წ ა ვ ი ს ვ ლ ე ბ ი და მისთ.

რაც შეეხება ე ნ ი ა ნ ვნებითებს, ისინი, ფაქტობრივად, ინვერსიულ ზმნებს ემსგავსებიან: მიცემით ბრუნვაში დასმული გრამატიკული ირიბი ობიექტი ასეთ ფორმებში სემანტიკური გადააზრიანების შედეგად რეალურად სუბიექტის (ქვემდებარის) სტატუსით წარმოგვიდგება: ე-ჭმება, ე-სმება, და-ე-ჯერება... მას ის და სხვ. ამ რიგის გამოთქმებში „მას სოკო არ ეჭმება“ **მას** სემანტიკურად განიმარტება როგორც „ის, ვისაც სოკო არ ეჭმება“, „ის, ვისთვისაც სოკოს ჭამა არ შეიძლება“... გაურკვეველია გრამატიკული სუბიექტის სტატუსი, რეალურად ის ობიექტია, მაგრამ სახელობითში დასმული ირიბი ობიექტი ქართულმა არ იცის, პირდაპირი ობიექტი კი ის ვერ იქნება, რადგან ზმნა გარდაუვალია; ზოგჯერ ეს გრამატიკული სუბიექტი შესიტყვებიდან გაუჩინარდება კიდეც: „ერთხელ უნცროსსაც გ ა ე გ ო ნ ე ბ ა“ — გაეგონება მას. ასეთი უსუბიექტო (უქვემდებარო) ფორმებია (არ) ე ც ხ ო ვ რ ე ბ ა, (არ) წ ა ე ს ვ ლ ე ბ ა, (არ) დ ა ე დ გ ო მ ე ბ ა მას... ზმნის ფორმაში სუბიექტის (III პ.) მორფოლოგიური ნიშანი (-ა) შენარჩუნებულია, სინტაქსში მისი ფარდი სახელი არ ჩანს; ასეთივე უსუბიექტოა აბსოლუტურ ვნებითთა სათანადო ფორმები: (არ) ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა, არ (წ ა ი ს ვ ლ ე ბ ა), (არ) დ ა ი დ გ ო მ ე ბ ა...

ქართულში პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს ე ნ ი ა ნ ი პოტენციალისის როგორც სრული, ასევე სუბიექტგაუჩინარებული შესიტყვებები (მას ის II > მას):

„ხანდაზმულ კ ა ც ს ი ზ მ ა რ ი ც **დაეჯერებაო**“

შდრ.: „ერთხელ რ ე გ ვ ე ნ ს ა ც **დაეჯერებაო**“.

რელატიური ვნებითების პოტენციალისები მხოლოდ ობიექტური წყობით დასტურდება: მ-ე-ჭმებ-ა, გ-ე-ჭმებ-ა, ე-ჭმებ-ა...

ქართულში პოტენციალისს (წართქმით და უკუთქმით ფორმებს) სხვა მნიშვნელობებთან ერთად გვარის კატეგორიაში, კერძოდ, ვნებითებში განიხილავენ, როგორც „ვნებითის ნიუანსებს“ (ა. შანიძე). ა. შანიძე პოტენციალისის მნიშვნელობით სუფიქსიან **გათეთრება** ფორმასაც ასახელებს: არ გ ა თ ე თ რ დ ე ბ ა ყორანი, რა გინდ რომ ჰხეხო ქვიშითა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოტენციალისის მნიშვნელობა მხოლოდ ვნებითის პრეფიქსულ მოდელს არ უკავშირდება, შდრ., აგრეთვე:

„თევზი წყალში არ დ ა ფ ა ს დ ე ბ ა“

„ერთი ცხვარი ორჯერ არ გატყავდება“
„ვირის კუდი არ დაგრძელდება“
„გატეხილი მჭადი არ გამთელდება“...

უფრო იშვიათია პოტენციალისის წართქმითი ფორმები:
„მარტო ცხენი ძლიერ გაჭენდება“ (= შეიძლება ძლიერ გაჭენდეს)
„ერთი დღე საწყალსაც გაუთენდება“ (= შეიძლება გაუთენდეს).

მოქმედებითი გვარის ზმნებში პოტენციალისის მნიშვნელობა, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, მხოლოდ უკუთქმით, ვერ-**ნაწილაკიან** ფორმებშია გარჩეული.: ვერ წერს, ვერ გააკეთებს, „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“ და მისთ. ვნებითის პოტენციალისის კონვერსიული აქტივები ორგვარად შეიძლება გადმოიცეს: ზმნის ა)განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ან ბ)განზოგადებულ პირიანი ფორმით, შდრ.:

ვნებ. სისხლი სისხლით არ გაიბანება
მოქმ. ა) სისხლს სისხლით ვერ გაბანენ
ბ) სისხლს სისხლით ვერ გაბან

ვნებ. ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიგება
მოქმ. ა) ერთ ქარქაშში ორ ხანჯალს ვერ ჩააგებენ
ბ) ერთ ქარქაშში ორ ხანჯალს ვერ ჩააგებ

ვნებ. ერთი ფანდით ფალავანი არ დაეცემა
მოქმ. ა) ერთი ფანდით ფალავანს ვერ დასცემენ
ბ) ერთი ფანდით ფალავანს ვერ დასცემ.

ასე იქნება დადებითი შინაარსის გამოთქმებშიც:
ვნებ. მოყვრის მოყვარეს ძროხა დაეკვლებაო
მოქმ. ა) მოყვრის მოყვარეს ძროხას დაუკლავენ
ბ) ———

თავისთავად, შესაძლებლობის უარყოფის (შეუძლებლობის) აღმნიშვნელი ვერ- ნაწილაკის წამძღვარება აქტივის ფორმისათვის აქტიურ ზმნათა წართქმით (დადებით) ფორმებში ჩადებულ შესაძლებლო-

ბის სემანტიკას წარმოაჩენს, — მხოლოდ არსებულის (resp. შესაძლებელის) უარყოფა შეიძლება. ასე რომ, შესაძლებლობა აქტივის წართქმით ფორმებშიც აისახება, შდრ., სათანადო გამოთქმები:

ზოგიერთ ქვეყანაში ლოკოკინას ჭამენ, ზოგან — არა = „ზოგიერთ ქვეყანაში ლოკოკინას ჭამა მიღებულია, შეიძლება, ზოგიერთ ქვეყანაში — არა“.

ქრისტიანები ღვინოს სვამენ, მაჰმადიანები — არა = „ქრისტიანებისთვის ღვინის სმა დაშვებულია, შეიძლება, მაჰმადიანებისათვის — არა“.

ანდაზა „კუზიანს სამარე გაასწორებსო“ = კუზიანი მარტო სამარემ შეიძლება გაასწოროს“ და სხვ.

საერთოდ, შესაძლებლობის სემანტიკა როგორც ვნებითის, ასევე მოქმედებითის წართქმითი (დადებითი) შინაარსის ფორმებში მკრთალად ჩანს, თუმცა შეკითხვის ფორმაში გადაყვანით ეს მნიშვნელობა გარკვევით იკითხება; შდრ.:

ეს იჭმება? (= ამის ჭამა შეიძლება?)

ეს ეჭმება? (= მისთვის ამის ჭამა შეიძლება?)

კუზიანს სამარე გაასწორებს? (= შეიძლება სამარემ კუზიანი გაასწოროს?) და სხვ.

ასევე, **რა** კითხვით ნაცვალსახელებთან დაწყვილებულ ვნებითისა და მოქმედებითი გვარის ზმნებს შეუძლია გადმოსცეს შესაძლებლობის შინაარსი: რა იჭმება, რა ისმება, კაცი ვერ გაიგებს (= რისი ჭამა და სმა შეიძლება, კაცი ვერ გაიგებს), რა შეჭამს ამდენს? (= როგორ შეიძლება ამდენის ჭამა), რა ასმევს ამდენს? (= როგორ შეიძლება ამდენის სმა) და ა. შ.

IV. 4.7.2.2. მიჩნევის ვნებითი. ვნებითის ფუნქციების აღნიშვნისას ა. შანიძე ასევე გამოყოფს „მიჩნევის ვნებითსაც“: **მედიდება, მებაევრება, მემძიმება, მეცოტავება, მემწარება** და მისთ. და განმარტავს: „მიჩნევისაა ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რად მიაჩნია გრამატიკული სუბიექტი გრამატიკულ ობიექტს ან რად ეჩვენება სუბიექტი ობიექტს“.

ამ განმარტების მიხედვით, გრამატიკული ობიექტის მიერ სუბიექტის აღქმა ერთგვაროვანი არ არის: „რად მიაჩნია... ან რად ეჩვენება“. მიჩნევასა და [მო]ჩვენებაში სხვადასხვა შინაარსები იგულისხმება („მიმაჩნია“ უფრო მენტალური შეფასებაა, „მეჩვე-

ნება“ — განცდისეული), ტერმინად კი „მიჩნევითია“ გამოტანილი. შეიძლება ეს ტერმინი „მთლად შესაფერი არაა“(ქ. ლომთათიძე), მაგრამ ის თავის ფუნქციას ასრულებს. სპეციალურ ლიტერატურაში „მიჩნევა-მოჩვენებითობასაც“ ხმარობენ.

წარმოვადგენთ მიჩნევითი ვნებითების რამდენიმე განმარტებას ქეგლის მიხედვით:

ეადვილებ-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. უადვილებს ზმნისა — ადვილია მისთვის, უადვილდება; ადვილი ეჩვენება, ადვილად მიაჩნია...

ეგულებ-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. 1. სხვაგან, გარკვეულ ადგილას მყოფად მიაჩნია, ფიქრობს, გუმანი აქვს, რომ იქაა; შეგულებული ჰყავს ან აქვს... 2. მიაჩნია რამედ, რაიმე მდგომარეობაში ვარაუდობს, ჰგონია...

ედიდებ-ა (ედიდა,—) გრდუვ. ვნებ. დიდად მიაჩნია, დიდად ეჩვენება, დიდი ჰგონია...

ეეჭვებ-ა (ეეჭვა,—) გრდუვ. ვნებ. აეჭვებს ზმნისა — საეჭვოდ მიაჩნია, არა სჯერა.

ემლაშებ-ა (ემლაშა,—) გრდუვ. ვნებ. მლაშე ეჩვენება, ემწუთხება.

ეუცხოვებ-ა (ეუცხოვა,—) გრდუვ. ვნებ. უცნაურად ეჩვენება, უცნაურად მიაჩნია...

ეუცნაურებ-ა (ეუცნაურა,—) გრდუვ. ვნებ. უცნაურად ეჩვენება, უცნაურად მიაჩნია...

ეუშნოებ-ა (ეუშნოვა,—) გრდუვ. ვნებ. უშნოდ ეჩვენება, უშნოდ მიაჩნია...

როგორც ჩანს, მიჩნევის ვნებითების განმმარტველ ფრაზებში, ზოგჯერ პარალელურადაც, სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება როგორც „მიაჩნია“, ასევე „ეჩვენება“. ამდენად ტერმინი „მიჩნევის ვნებითები“ ამ სემანტიკის ზმნათათვის მისაღები ჩანს.

პოტენციალისის ფორმებისაგან განსხვავებით „მიჩნევის ვნებითები“, სემანტიკიდან გამომდინარე, ყოველთვის რელატიურია, ორპირიანი, გადმოიცემა მხოლოდ ენიანი ვნებითების ფორმით. ასეთი ვნებითები იწარმოებს I და II სერიის უსრული ასპექტის ფორმებს: ეუკადრისება — ეუკადრისა, ეტკბობა — ეტკბო, ეტკბილება — ეტკბილა, ეძნელება — ეძნელა, ეუხერხულება — ეუხერ-

ხულა, ემჩატება — ემჩატა, ეპიტნავება — ეპიტნავა... ზოგიერთ ზმნას აქვს III სერიის ფორმებიც, მაგ.:

ელანდებ-ა (მოელანდა, მოლანდებია) გრდუვ. ვნებ. ლანდივით წინ უდგას, ან თვალწინ უდგას; ხედავს არარსებულს, — ეჩვენება.

ეოცებ-ა (ეოცა, გაოცებია) გრდუვ. ვნებ. საოცრად ეჩვენება, — ძალიან გაუკვირდება.

ესიზმრებ-ა (ესიზმრა, სიზმრებია) გრდუვ. ვნებ. სიზმრად ეჩვენება, სიზმარში ხედავს.

ეჩემებ-ა (დაეჩემა, დასჩემებია) გრდუვ. ვნებ. თავისად მიაჩნია, თავის ხასიათისად მიიჩნევს; მოსწონს...

„მიჩნევის ვნებითები“ ნასახელარი ზმნებია. ამ ზმნათა ძირეული სახელები უპირატესად ზედსართავებია. საყურადღებოა, რომ ვნებითთა ის ჯგუფი, რომელთაც III სერიის ფორმებიც უკეთდებათ (ელანდება, ეოცება, ესიზმრება, ეჩემება) ზედსართავ სახელთაგან არ არიან ნაწარმოები.

ქეგლის კვალიფიკაციის მიხედვით, მიჩნევის სემანტიკის ზოგიერთ ვნებითს მხოლოდ აწმყოს წყების ფორმები უკეთდება; ზემოთ დასახელებულ ზმნათაგან ასეთებია ეადვილება, ეგულება. ქეგლის მიხედვით ასეთი ზმნებია აგრეთვე ეაფსუსება, ემკვლელება, ესიკვდილება, ესირცხვილება, ესირცხვება, ერცხვინება და სხვ.

ვფიქრობ, რომ ჩამოთვლილ ზმნათათვის II სერიის ფორმათა წარმოება (ეადვილა, ეაფსუსა, ემკვლელა, ესიკვდილა, ესირცხვილა...) შეუძლებელი არ არის; აქ უფრო სათანადო საილუსტრაციო მასალის ნაკლებობასთან უნდა გვქონდეს საქმე.

„მიჩნევის ვნებითები“ სემანტიკური თვალსაზრისით ინვერსიული ზმნები არიან. ფაქტის, მოვლენის შეფასებისათვის აქ ამოსავალია გრამატიკული ირიბი ობიექტის თვალსაზრისი, — რად მიაჩნია გრამატიკული სუბიექტი ირიბ ობიექტს: მებევრება, მეცოტავება, მემწარება... **მე ის** — ეს გრამატიკული ირიბი ობიექტი სუბიექტად არის გადააზრებული: ობიექტის ნიშნით (**მ-** პრეფიქსით) გადმოცემულია რეალური სუბიექტი, რომელსაც ებევრება, ეცოტავება, ემწარება, ხოლო სუბიექტის ნიშნით (**-ა** სუფიქსი) — რეალური ირიბი ობიექტი (რაც ებევრება, ეცოტავება, ემწარება). ამ ზმნათა წყობა რომ ინვერსიულია, ეს აისახება უღვლილებაში, კერძოდ, მრავლობითის III პირის ფორმაში: ებევრებათ, ეცოტავებათ, ემწარებათ **მათ ის** (ზმნა ეთანხმება რიცხვში მიცემით ბრუნვას). „მიჩნევის

ვნებითთა“ ძირითად ნაწილს სტაბილური წყობა უჩანს, თუმცა გვაქვს ლაბილური წყობის ზმნებიც:

ელანდებათ მათ ის (ისინი) — ელანდებიან ისინი მას (მათ)
ესიზმრებათ მათ ის (ისინი) — ესიზმრებიან ისინი მას (მათ)...

საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

„მიჩნევის“ ვნებითებს უკეთდება როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური წყობა, თუკი რაიმე სემანტიკური შეზღუდვა არ გვექნა; მაგ.: ვედიდები, ვეპატარავები, ვეცოტავები, ვეთაკილები, ვეხამუშები, ვეუცხოები, ვეჩოთირები, ვეუშნოები, ვემკვლელები, ვესირცხვილები, თუმცა *ვემჟავები, *ვემწარები, *ვემლაშები და მისთ. მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს.

„მიჩნევის ვნებითების“ ერთ ნაწილს თითქოს მოეძევება სათანადო (სამპირიანი) კონვერსიული აქტივები: ეადვილება მას ის — უადვილებს ის მას მას, ოღონდ მიჩნევის სემანტიკა აქტივებში არ ჩანს.

იხ. ქეგლი: **ეადვილებ-ა** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. უადვილებს ზმნისა, — ადვილია მისთვის, უადვილდება, ადვილი ეჩვენება, ადვილად მიაჩნია...

ასევე: **ედიდება** — უდიდებს, ემლაშება — უმლაშებს, ემჟავება — უმჟავებს, **ემსუბუქება** — უმსუბუქებს, ემწარება — უმწარებს...

მაგრამ ფორმალურად, უღვლილებისა და წარმოქმნის მთელ სისტემაში და სემანტიკურადაც, გარდაქცევითობის საერთო სემანტიკის გათვალისწინებით, ააადვილებს (ის მას), უადვილებს (ის მას მას) აქტივთა სრულფასოვანი კონვერსივები დონიანი პასივებია:

აქტივი (ნეიტრ. ქც.)	**პასივი**	**აქტივი (საობ. ქც.)**	**პასივი**
აწმყ. ააადვილებს	[გა]ადვილდება	უადვილებს	უადვილდება
წყვეტ. გააადვილა	გაადვილდა	გაუადვილა	გაუადვილდა
I თურმ. გაუადვილებია	გაადვილებულა	გაუადვილებია	გაადვილებია...

შემთხვევითი არ არის, რომ განმარტებითი ლექსიკონი „მიჩნევის ვნებითთა“ (ედიდება, ებევრება, ეპატარავება, ემოკლება, ემლაშება, ემჟავება და ა.შ.) კონვერსიულ აქტივებს თითქმის არ ასახელებს, ასეთი აქტივები სათანადო დონიანი ვნებითების (უდიდდება, უბევრდე-

ბა, უპატარავდება, უმოკლდება, უმჟავდება და ა.შ.) კონვერსივებია.

ხოლო „მიჩნევის ვნებითთა“ ნაწილს საერთოდ არ უჩანს სათანადო აქტივის ფორმები; ასეთი ზმნებია ეპიტნავება, ესიზმრება, ესირცხვება, ესირცხვილება, ეუკადრისება, ეუხერხულება, ეჩოთირება, ეხამუშება და სხვ. ამ ფუძეებიდან არც დონიანი ვნებითები იწარმოება.

„მიჩნევის ვნებითებს“ თითქმის არ უკეთდება აბსოლუტური, ინიანი ფორმები და თუკი ასეთი აქვს, მისი ფუნქცია ენიანისაგან განსხვავებულია, შდრ.:

ედიდებ-ა — დიდად ეჩვენება, დიდად მიაჩნია

იდიდებ-ა (იდიდა, —) გრდუვ. ვნებ. დიდებით იქნება მოსილი, დიდებით მოიხსენიებენ (ჩვეულებრივ იხმარება ბრძან. და კავშ. II-ში).

ებილწება ფორმას ქეგლის მიხედვით ორი მნიშვნელობა უდასტურდება:

I. ვნებითის მნიშვნელობაა — „ბილწი, უწმინდური უხდება“. შეიძლება ასეც განგვემარტა: იბილწება მისი; II. მიჩნევის მნიშვნელობა: ბილწად ეჩვენება, ეზიზღება. ებილწა ცოტნეს პირობა, მაგრამ არ იცის, რაღა ქნას (აკაკი). სათანადო ინიანი ვნებითი ებილწება ფორმის I მნიშვნელობის („ბილწი, უწმინდური უხდება) შესაბამისია; შდრ.:

ებილწება... 1. ბილწი, უწმინდური უხდება

იბილწება... ბილწავენ, ბილწი ხდება

პირველი მნიშვნელობა ენიანი ფორმისა ვნებითის მნიშვნელობაა, შდრ., სათანადო აბსოლუტური **იბილწება** გარდაუვ. ვნებითი ბილწავს ზმნისა — ბილწავენ; ბილწი ხდება. იბილწება ფორმის განმარტება აქტივის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმით (ბილწავენ) სწორედ ვნებითობის მნიშვნელობას ადასტურებს. სხვათა შორის, ეს ინიანი ფორმა დონიან ვნებითთათვის დამახასიათებელ ე.წ. „გარდაქცევითობის“ მნიშვნელობასაც გამოხატავს — „ბილწი ხდება“. ებილწება ფორმის მეორე, „მიჩნევის“ მნიშვნელობა („ბილწად ეჩვენება“) ვნებითის მოდელისათვის მეორეული მნიშვნელობა ჩანს. ეს ორი მნიშვნელობა უღვლილების ძირითადი ფორმებითაც განსხვავებულია.

1. ებილწება, წაებილწა, წაბილწვია
2. ებილწება, ებილწა, ბილწებია

მნიშვნელობათა შენაცვლება ვნებითის მოდელისათვის (ებილწება — „ვნებითობა“ > „გარდაქცევითობა“ II „მიჩნევითობა“) უჩვეულო არ არის; შდრ.:

ელამაზებ-ა გრდუვ. ვნებ. 1. (ელამაზება, —) ლამაზად ეჩვენება, ლამაზად მიაჩნია 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) 1. ლამაზად თავის გამოჩენის გუნებაზეა... 2. ეკეკლუცება, ეპრანჭება.

როგორც ვხედავთ, ელამაზება ფორმა ითავსებს მიჩნევის, გუნებისა და საურთიერთო მნიშვნელობებს.

IV. 4.7.2.3. „გუნების ვნებითი“. ენიანი ვნებითების ერთი ჯგუფი ქართულში გამოხატავს გუნების სემანტიკასაც. როგორც უკვე ვნახეთ, **ე-**პრეფიქსიანი ელამაზება, ქეგლის მიხედვით, მიჩნევისა და საურთიერთო მნიშვნელობის აღნიშვნასთან ერთად გუნების, გუნება-განწყობის სემანტიკასაც ითავსებს: ბეჩავს რა ელამაზება? ვინ მისცა იმის ჟამია (ვაჟა). ეს ერთეული შემთხვევა არ არის; შდრ.:

ესტუმრებ-ა... გრდუვ. ვნებ. 1. (ესტუმრა, სტუმრებია) სტუმრად მიუვა, ეწვევა... 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) საუბ. სტუმრის მიღების გუნებაზეა. სტუმარი თუ მოგყავს, ვერ მეტყვი? ეგება მე არ მესტუმრება.

ეოხუნჯებ-ა... 1. ოხუნჯობს მასთან, ოხუნჯობით ელაპარაკება... 2. საუბ. ოხუნჯობის გუნებაზეა.

ა. შანიძე „გუნების ვნებითებს“ ასე განმარტავს: „გუნებისაა ვნებითი, რომელიც გამოხატავს, რომ ადამიანის სულიერი განწყობილება („გუნება“) მიმართულია იმ მოქმედებისაკენ, რომელიც ზმნით არის აღნიშნული“. ასეთი ზმნებია: ემღერება, ეზეიმება, ევახშმება, ელექსება და სხვ. ასეთი ზმნები უმეტესად ნასახელარია.

გუნების ვნებითები მართალია დადებითი მოდალობითაც დასტურდება (ა. შანიძე, ვაჟას მიხედვით, იმოწმებს ასეთ ფორმებს: „მემღერება და ვიმღერი,“ „გოგრას ეტირება, მაგრამ არ ტირის“ და სხვ.), მაგრამ ძირითადად მაინც უარყოფითი მოდალობისაა და თხრობით წინადადებაში უარყოფითი (არ, აღარ, არაფერი) ნაწილაკებით აისახება: არ მელხინება, არაფერი მეზეიმება, აღარ მელექსება... სათანადო ილუსტრაციები ქეგლშიცაა მოყვანილი:

ესტუმრებ-ა... 2. სტუმრის მიღების გუნებაზეა. სტუმარი თუ მოგყავს, ვერ მეტყვი? ეგება მე არ მესტუმრება.

ელოცებ-ა... ლოცვის გუნებაზეა. ხასანს კი არა ელოცებოდა რა („სახალხო განათლ.“)

ელაზღანდარ[ავ]ებ-ა... 2. ლაზღანდარობის გუნებაზეა. „მე არაფერი მელაზღანდარავება!“ — გაჯავრებით უთხრა ბაანამ (გ. წერეთ.).

გუნება-განწყობილების გამომხატველი ვნებითები კონტექსტში უპირატესად რა (რაღა) კითხვით ნაცვალსახელთან შეწყვილებული იხმარება:

ედუელებ-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. დუელის გუნებაზეა, დუელი უნდა. ტარიელმა უარი სთქვა: რა მედუელება! თუ ჩხუბი უნდა, გამოვიდეს და ვეჩხუბებიო (ე. ნინოშ.)

ევახშმებ-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) საუბ. გრდუვ. ვნებ. ვახშმის ჭამის გუნებაზეა. “რა მევახშმება!“ (შ. არაგვ.)

ეკოხტავებ-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში)... 2. კოხტაობის გუნებაზეა. [პელოს შარვალზე] საკერებელი სხვა დაუდვია, მაგრამ სიცივეს რა ეკოხტავება (თ. რაზიკ.)

ებრძოლებ-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ბრძოლის გუნებაზეა, ბრძოლის სურვილი, განწყობა აქვს. მეუბნებიან: რა გებრძოლება? (ა. მირცხ.) ქეგლ

გუნების ვნებითები ინვერსიული ზმნებია. ზმნით აღნიშნული მოქმედების შესრულების ალბათობას აქ მიცემით ბრუნვაში დასმული გრამატიკული ირიბი ობიექტის სულიერი განწყობა, ნება-სურვილი განაპირობებს. რადგან „გუნების“ მნიშვნელობის ნასახელარი ვნებითების ფუძე და მასთან შეწყობილი გრამატიკული სუბიექტი ლექსიკურად იდენტურია: ემღერება (სიმღერა) — სიმღერის გუნებაზეა, სიმღერა უნდა, ელოცება (ლოცვა) — ლოცვის გუნებაზეა, ლოცვა უნდა; ედუელება (დუელი) — დუელის გუნებაზეა, დუელი უნდა, ევახშმება (ვახშამი) — ვახშმის ჭამის გუნებაზეა, ვახშამი უნდა... გუნების ვნებითები არსებითად ერთპირიანებია, თუმცა მოდელის მიხედვით ენიანი ვნებითები, ორპირიანი ზმნებია. ამასთან, მორფოლოგიურად ზმნაში წარმოდგენილია როგორც ირიბი ობიექტის, ასევე სუბიექტის აფიქსები: მ-ე-მღერებ-ა, გ-ე-მღერებ-ა... მ-ე-ტირებ-ა, გ-ე-ტირებ-ა... ამ შესიტყვებიდან გაუჩინარებულ გრამატიკულ სუბიექტს გულისხმობს შეკითხვის ფორ-

მაში დასმული **რა** კითხვითი ნაცვალსახელი: რა ემღერება? რა ეზეიმება? ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შესიტყვებაში გრამატიკული სუბიექტის ფარდი სახელიც გამოჩნდეს: ეს დღე მეზეიმება, გული მეტირება, „მე არაფერი მელაზღანდარება!“ — გაჯავრებით უთხრა ბაანამ (გ. წერეთ.). მაგრამ, ჩვეულებრივ, გუნების ვნებითები შესიტყვებაში ოდენ გრამატიკული ირიბი ობიექტით არიან წარმოდგენილი (მემღერება-ა მე, გ-ემღერება-ა შენ, ემღერება-ა მას, გვ-ემღერება-ა ჩვენ, გ-ემღერება-თ თქვენ, ემღერება-თ მათ) და ეს გრამატიკული ობიექტი სუბიექტად გაიაზრება; შესაბამისად, არ უკეთდებათ სუბიექტური წყობის ფორმები.

გუნების ვნებითები დრონაკლი ზმნებია, აქვთ მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები: ემღერება, ემღერებოდა, ემღერებოდეს...

ეს სემანტიკური ნიუანსი მხოლოდ „გუნების ვნებითების“ კუთვნილება არ ჩანს, ის სათანადო სემანტიკის **რა** (**რაღა**) კითხვით ნაცვალსახელთან შეწყვილებული მოქმედებითი გვარის ფორმითაც გამოიხატება: **რა** მატირებს, **რა** არ მატირებს, მაშ რა მაქვს სასიხარულო (ვაჟა); შე გველის წიწილო, შენ **რაღა** გაცინებს? (გ. წერეთ.) შენ რა განაღვლებს და სხვ.

IV. 4.7.2.4. უნებურობა. აფხაზურ-ადიღეურ ენათა ზმნის მორფოლოგია განარჩევს უნებურობის კატეგრიას, რომელიც რეალური სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებას გამოხატავს (ქ. ლომთათიძე; გ. როგავა, ზ. კერაშევა).

ქართულში ზოგიერთი **ე**ნიანი და **დ**ონიანი ვნებითის მოდელზე რთული **შემო-** ზმნისწინის დართვით შესაძლებელია რეალური სუბიექტის ნებისათვის მიუღებელი მოქმედების გამოხატვაც: შემომეჯმება, შემომელანძღება, შემომეფშვნება, შემომელახება... შემომაკვდება, შემომატყდება, შემომაცვდება... მე ის (ფოცხიშვილი, 1969).

შემო- ზმნისწინი უნებლიობის სემანტიკის გადმოსაცემად ქართულში აფიქსთა ობიექტურ წყობას, **მ**ანის რიგს იყენებს (მ. მაჭავარიანი; ნ. მაჭავარიანი). მოქმედების უნებლიე შემსრულებელი ამ რთული სტრუქტურის ვნებითებში მიცემით ბრუნვაში დასმული გრამატიკული ირიბი ობიექტია, რომელიც რეალურად სუბიექტის ფუნქციით წარმოგვიდგება, სახელობით ბორუნვაში დასმული სუბიექტი კი რეალურად ამ უნებლიე მოქმედების ობიექტად გვევლინება.

შემო- ზმნისწინს უნებლიობის სემანტიკის გამომხატველ ზმნებში დაკარგული აქვს ზმნისწინისათვის დამახასიათებელი ფუნქცია — გეზისა და ორიენტაციის წარმოებისა. მას არ შეუძლია ასპექტის კატეგორიის წარმოებაც, რადგან უამაფიქსო ფუძეები იშვიათად გვხვდება (ა. ფოცხიშვილი).

ამ ვნებითებს აწმყოს მწკრივების გარდა ყველა მწკრივი უკეთდება და, რაც საყურადღებოა, აქვს საპირისპირო კონვერსიული აქტივები. ა. ფოცხიშვილი ოცზე მეტ საოპოზიციო წყვილს ასახელებს:

ვნებ. შემომაკვდა, შემომეჭამა, შემომეხარჯა, შემომეტყიპა, შემომესვა

მოქმ. შემომაკლა, შემომაჭამა, შემომახარჯა, შამომატყიპა, შემომასვა და ა. შ.

ამდენად, ჩნდება მოსაზრება, რომ გვარის საოპოზიციო ფორმათა ერთ ჯგუფში, კონკრეტულად **შემო-** ზმნისწინიან ფორმებში, საქმე გვაქვს უნებლიობის მნიშვნელობის ფარგლებში ჩამოყალიბებულ წარმოქმნის კატეგორიასთან და არა — უნებლიობის ვნებითთან (ა. ფოცხიშვილი).

განმარტებით ლექსიკონში ამ რიგის ზმნათა შესახებ საჭირო სემანტიკური და გრამატიკული ინფორმაციები სათანადოდაა წარმოდგენილი:

შემოელანძლებ-ა (შემოელანძღა, შემოლანძღვია) გრდუვ. ვნებ. უნებლიედ გალანძღავს (ვისმე), ვინმე გაელანძღვინება. თვით პატივცემული მასპინძლებიც ლაზათიანად შემოელანძღვნენ (ი. ეკალ.). ამას წინათ ბანკის დირექტორი... შემომელანძღა („კომუნისტი“).

შემოელახებ-ა (შემოელახა, შემოლახვია) გრდუვ. ვნებ. უნებურად გაელახვინება. „არაფერი, ბაბუა, ჩხუბი მოუვიდა და ამხანაგი შემოელახა ხელში“, — უპასუხა ლევანმა (ე. ყიფ.).

შემოეჭმებ-ა (შემოეჭამა, შემოსჭმია) უნებურად, შეუმჩნევლად შეჭამს...

შემოეხარჯებ-ა (შემოეხარჯა, შემოხარჯვია) გრდუვ. ვნებ. 1. თავისდა უნებურად, შეუმჩნევლად დაეხარჯება. [ოთარაანთ ქვრივს] ერთი ათიოდ მანეთი შემოხარჯოდა მისვლა-მოსვლაში (ილია)... 2. გადატ. ამაოდ ჩაუვლის, მიზანს ვერ მიაღწევს...

შემოეტყიპებ-ა (შემოეტყიპა, შემოსტყეპია) გრდუვ. ვნებ. თავს გაატყეპინებს, — ეცემინება. „დღეს მეჩხუბრიშვილი კინაღამ შემომეტყიპა“ (ა. ბაქრ.)

შემოეტყუებ-ა (შემოეტყუა, შემოსტყუებია) გრდუვ. ვნებ. შემოატყუებს ზმნისა — შეეჩეჩება (ამას). „ერთი ვინცხა ლაყაფი აზნაური შემომეტყუა და ცოლად ქვე შემირთო“ (ზ. ანტონ.). II მოტყუებით შემოუვა, შემოეპარება...

შემოაკვდებ-ა (შემოაკვდა, შემოჰკვდომია) გრდუვ. ვნებ. უცაბედად, უნებურად ემსხვერპლება (ვინმე); თავისი სურვილის გარეშე, შემთხვევით მოკლავს. ცეცხლმოკიდებულს იქნება უეცრად კაცი შემომკვდომოდა (ილია). [გამიხარდის] არ მოუკლავს ვეფხვი ერთის მეტი, და ისიც უნებურად თურმე შემოაკვდა (ვაჟა)...

უნებლიე/უნებური მოქმედების აღმნიშვნელი ვნებითის ფორმათა განმარტებებში პარალელურად სხვა მნიშვნელობებიც დაჩნდება: შეუმჩნევლად, მოტყუებით, უცაბედად, თავისი სურვილის გარეშე, შემთხვევით — ეს მნიშვნელობები უნებლიე მოქმედების სემანტიკაში (ის, რაც მოქმედების ნება-სურვილს არ შეეფერება, მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოა, მის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებეული) თავსდება.

უნებლიობის სემანტიკას გულისხმობენ ძირითადად ე.წ. „საზიანო“ მოქმედებები: შემოეფლითება, შემოეფხრიწება, შემოესრისება, შემოერღვევა, შემოეფშვნება, შემომემტვრევა, შემოეგლიჯება და სხვ.

ფაქტობრივად, უნებლიობის სემანტიკა ვნებითის ფორმებში გამოიხატება **შემო-** ზმნისწინის გარეშეც და სხვა ზმნისწინების საშუალებითაც და უზმნისწინო ფორმებშიც, შდრ.: ქეგლი შემოატყდება ფორმის განსამარტავად **შეატყდება** ფორმასთან გვაგზავნის: „იგივეა, რაც შეატყდება“. **შეატყდება** კი ასეა განმარტებული: „უნებლიედ გაუტყდება, ხელში ჩაემტვრევა“.

უნებლიობის სემანტიკა რომ **შემო-** ზმნისწინის გარეშეც გამოიხატება, ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაშიც შემჩნეულია, შდრ.: „უნებლიეთ მოქმედების მნიშვნელობა აშკარად იგრძნობა სხვა ზმნისწინებით წარმოების შემთხვევაში, მაგ.: ა-მენთო, გა-მეღო (თვალები), მი-მელულა (თვალები), და-მესწავლა („კითხვაში ლექსი

ზეპირად დამესწავლა“), გა-მივარდა (ტყვიაზე რომ იტყვიან)“... (მ. დამენია).

ქეგლის მიხედვით წარმოვადგენთ რამდენიმე ასეთ ზმნას, რომელთა მოქმედების „უნებლიობა“ განმარტებებშიც აღინიშნება; შდრ.:

გაელიმებ-ა... ღიმილი მოუვა, უნებლიედ გაიღიმებს. პლატონს უნებლიედ გაელიმა (დ. კლდ.).

გაეშვებ-ა... 1. უნებლიედ გაუშვებს (ხელს), გაექცევა, გაუსხლტება.

გაეცინება... უნებლიედ გაიცინებს, სიცილი აუვარდება, აუტყდება; სიცილს დაიწყებს.

გადმოებნევ-ა... გადმოიბნევა მისი, უნებურად გადმოაბნევს...

დაებლიტებ-ა... უნებლიეთ დაეხუჭება (თვალები).

დაეკარგებ-ა... დაიკარგება მისი 1. მისდა უნებურად გაუქრება, — დაკარგავს.

ჩაეკეტებ-ა... ჩაიკეტება მისი ან მისთვის, — ჩაუკეტავენ. || უნებურად ჩაკეტავს.

ჩაელიმებ-ა... ოდნავ, თავისთვის გაელიმება

ჩაეცინებ-ა... უნებლიედ ჩაიცინებს, თავისთავად გაეცინება

წასკდებ-ა... 2. უცებ, უნებურად აუტყდება (სიცილი, ტირილი)...

წამო-ს-ცდებ-ა... თავისთავად უნებურად იტყვის, — წასკდება

წაეფეთებ-ა... მოულოდნელად თავს წაადგება, ანაზდად შეეყრება, შეხვდება...

რა თქმა უნდა, სალექსიკონო განმარტებებში მოქმედების უნებურობის შინაარსი ყოველთვის არ აისახება. ზოგჯერ ეს სემანტიკა სათანადო ილუსტრაციებითაც წარმოჩნდება ხოლმე:

ამოხდებ-ა... „მისდა უნებურად ამოხდა სიტყვა ოტიას (დ. კლდ.).

მოეკუმშებ-ა... „ჟრუანტელმა დამირბინა ტანში,... მუშტები თავისთავად დამეკუმშნენ“ (ილია).

უნებლიე მოქმედება გამოიხატება დაუსხლტება, დაუცურდება, დაუსრიალდება (ფეხი), მოემწყვდება და მისთანებშიც.

უნებლიობას, რეალური სუბიექტისათვის არასასურველ სემანტიკას გამოხატავენ უზმნისწინო ვნებითებიც; ცალკეულ შემთხვევებში ეს ამ ზმნათა სალექსიკონო განმარტებებით და სათანადო ილუსტრაციებითაც ჩანს:

ეხარჯებ-ა... იხარჯება მისი, ხარჯი, გასავალი აქვს, ხარჯი მისდის თავისი სურვილის წინააღმდეგ, ელევა. პურაძვირ მას-

პინძელს მარილი მეტი ეხარჯებაო (ანდაზ.). რასაც უწინ ხარჯავდნენ, ახლა ერთი ხუთად მეტი ეხარჯებოდათ (გ. წერეთ.)...

ებლიტებ-ა... 1. უნებლიედ ეხუჭება (თვალები უძილობისაგან, დაღლილობისაგან...), ებრიცება. 2. ებმის (ენა) — მიცვალებულის გასვენებაზე უკვე ენა ებლიტებოდათ „წმინდაოს“ გალობაში [შეზარხოშებულებს] (შ. არაგვ.)

ეკრუნჩხებ-ა... იკრუნჩხება მისი, — უნებურად ეგრიხება (თითები, ხელ-ფეხი და სხვ.). ქეთოს სხეულის ყველა ასო ეკრუნჩხებოდა (ეკ. გაბ.)

ეხუჭებ-ა... [დარეჯანს] თვალები აემღვრა და თავისთავად ეხუჭებოდა (ილია)...

შემო- ზმნისწინის გარეშე უნებლიობის სემანტიკა აღინიშნება მოქმედებითი გვარის ზმნებშიც:

წაიცდენ-ს... 1. წამოსცდება, წასცდება... „ღმერთმან ქათმის ყივილი გათენებისას ბრძანაო და შენ ვახშამთ უკან რად წაიცდენ ხოლმეო (საბა).

წამოაცდენ-ს... თავისდა უნებურად ათქმევინებს, დააცდენს.

წამოისვრი-ს... დაუფიქრებლად იტყვის, წამოროშავს.

წამოარახუნებ-ს... მოუფიქრებლად წამოისვრის (სიტყვას), წამოროშავს...

უნებლიობის სემანტიკა ფიქსირდება სათანადო ნაზმნარ სახელებშიც:

წავარდნ-ა... 1. წინ გავარდნა, ერთბაშად, სწრაფად წასვლა II უნებურად წინ დაცემა.

წამოსკდომ-ა. თავისდა უნებურად თქმა, წამოცდენა.

წამოცდომ-ა... თავისდა უნებურად თქმევინება.

წამოცდენილ-ი... რაც წამოსცდათ, თავისდა უნებურად თქმული.

უნებლიობის სემანტიკას გადმოგვცემენ გრამატიკული ირიბი ობიექტისათვის (რეალური სუბიექტისათვის) ე.წ. „საზიანო“ შინაარსის გამომხატველი ვნებითები სომატური სუბიექტებით: ებრიცება (თვალები), ეკეცება (მუხლები), ეკვრის (სუნთქვა), ეხუთება (სული), ეხშობა (ყურები, ყურთასმენა), უსხლტება, ერევა (ფეხი), უზიანდება (თვალი...), ეკაწრება, ეფხაჭნება (კანი), ეკვან-

ძება (ძარღვი), ემღვრევა (გული, თვალები) და ამავე შინაარსის ვნებითები ირიბი ობიექტის კუთვნილი არასომატური სუბიექტებით: უცვდება (ტანსაცმელი), ეგლიჯება (ფეხსაცმელი), ეფლითება (წინდა), ეკარგება (ქუდი).; შდრ.: **ეკარგებ-ა**... მისდა უნებურად უქრება (ქეგლ), ეხევა (კაბა) და მსგავსი ფორმები გრამატიკული ირიბი ობიექტის ნების საწინააღმდეგო, არასასურველ პროცესებს აღნიშნავენ, შდრ.: **ეხევ-ა**... იხევა მისი, — ეგლიჯება, ეფლითება. ფიგურალურად ხმარებისას ეს ზმნა უკვე აშკარად გამოხატავს უნებლიე მოქმედებას [ქალს] მთქნარებით ყბა ეხეოდა ლოცვის დროს (ვ. ბარნ.). **შემო-** ზმნისწინის დართვა კიდევ უფრო ააქტიურებს ამ მნიშვნელობას: შემო-ეხევა.

„დამეხატა ტიპის წარმოება თავისთავად შეიცავს უნებლიობის შინაარსს, ზმნისწინი კი მას უფრო მეტად გახაზავს“ (გ. მაჭავარიანი).

ზმნისწინი **შემო-** თავისი მიმართულების ვექტორით და არააგენტური მეტყველი პირისადმი ორიენტაციით ერთგვარი აქტუალიზატორის როლს ასრულებს უნებლიობის შინაარსის გამოვლენაში.

ასე რომ, უნებლიობა, უნებური მოქმედების გამოხატვა არ არის მაინცდამაინც **შემო-** ზმნისწინიანი ევნებითების ერთი ნაწილის ნიშანდობლივი თავისებურება, ის სათანადო ვნებითებისა და მათი ზოგიერთი აქტიური კონვერსივების სემანტიკური მახასიათებელი ჩანს პოტენციალისისა და მიჩნევა-გუნების მნიშვნელობების მსგავსად და გვარის კატეგორიის კერძო შემთხვევად განიხილება (ა. შანიძე)...

თავი V. უღლება, უღლების ტიპები

IV. 5.1. ტერმინისათვის. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნის ფორმაცვალების აღსანიშნავად ორი ტერმინი გამოიყენება: **უღლება** და **უღვლილება.** ფორმობრივად განსხვავებული ეს ტერმინები შინაარსობრივად არ განსხვავდება, აბსოლუტურად იდენტურია. ტერმინის შექმნის საფუძველი **უღელ** ფუძეა.

ერთი მხრივ, სირთულე **უღვლილება** ტერმინის წარმოებისა (როგორც ითქვა, რაც მთლად ნათელი არ არის ჩვენთვის) და, მეორე მხრივ, სიმარტივე და გამჭირვალობა **უღლება** ტერმინისა, ამ უკანასკნელისათვის დაგვაჭერინებს მხარს.

ა. შანიძემ ტერმინ **უღლები**-ს განმარტებისას სამ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება:

„ა) პირველ ყოვლისა იგი აღნიშნავს პირიან ზმნათა ფლექსიას და ამ მხრით იგი უპირისპირდება უპირო ზმნათა და საკუთრივ სახელთა ფლექსიას. თუ სახელთა ფლექსია ანუ მიმოხრა ნიშნავს სიტყვის ცვალებას ბრუნვათა მიხედვით ერთ-ერთ რიცხვში (...), სამაგიეროდ პირიან ზმნათა მიმოხრა ნიშნავს სიტყვის ცვალებას პირთა მიხედვით ერთ-ერთ მწკრივში და ერთ-ერთ რიცხვში (მხოლობითში ან მრავლობითში) ან ორივე რიცხვში (უმეტესად)“. ფაქტობრივ, ეს არის **უღლება ვიწრო გაგებით** — ზმნის ფორმაცვალება პირისა და რიცხვის მიხედვით ერთი მწკრივის ფარგლებში.

„ბ) მეორე გაგებით „უღლება“ აღნიშნავს პირიანი ზმნის ფორმაცვალებას ყველა მწკრივში, რომელიც კი მოეპოვება აღებულ ზმნას“. ფაქტობრივ ეს არის **უღლება ფართო გაგებით** — ზმნის ფორმაცვალება მწკრივთა მიხედვით, მწკრივის შიგნით — პირისა და რიცხვის მიხედვით.

და მესამე მნიშვნელობა: „გ) მესამე გაგებით „უღლება“ გულისხმობს ტიპს, რომელსაც მისდევს ესა თუ ის ზმნა სამივე სერიის ფორმათა წარმოების დროს“.

IV. 5.2. თვალსაზრისები უღლების ტიპებად დაყოფის თაობაზე. უღლების ტიპებად დაყოფა, ზმნათა კლასიფიკაცია ტიპების გამოყოფის გზით არაა ახალი მოვლენა. ჯერ კიდევ პრაქტიკულ გრამატიკებში ცდილობდნენ ავტორები უღლების ტიპების გამოყოფას სხვადასხვა ზმნური კატეგორიებისა თუ ფორმაწარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ორი თვალსაზრისია გატარებული ქართული ზმნების კლასიფიკაციის, უღლების ტიპების გამოყოფისა. ჩვეულებრივ ზმნათა დაჯგუფება ხდება რამდენიმე ნიშნის მიხედვით. ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, „მთავარი ეს არის: როგორია ურთიერთობა სამივე სერიის ფორმებს შორის წარმოების თვალსაზრისით“ ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად გვარის კატეგორია არის მიჩნეული, დამატებით ნიშნად — სტატიკურობა-დინამიკურობა.

I ტიპი. უღლება მოქმ. გვარის ზმნებისა. ამათი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ისინი III სერიის ფორმებს ინვერსიულად აწარმოებენ. ამას გარდა, პირდაპირი მიმართების ფორმები მხოლოდ აქ არის შესაძლებელი.

II ტიპი. უღლება დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებისა. ძირითადი განსხვავება პირველი ტიპის ზმნათა უღლებისაგან III სერიაში იჩენს თავს. თანაც აქ ზმნები განიყოფა იმის მიხედვით, ერთპირიანია ფორმა თუ ორპირიანი: ამას თავისი წარმოება აქვს და იმას — თავისი. ამას გარდა, ამ ტიპის ზმნებს პირველი ტიპის ზმნათაგან განასხვავებს სავრცობი (**ოდ**).

III ტიპი. უღლება საშუალ-მოქმედებითი (მედიოაქტივი) ზმნებისა. ამ ზმნებს შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლებისას გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათავისოს ან სასხვისოს ფორმები.

IV ტიპი. უღლება საშუალ-ვნებითი (მედიოპასივი) ზმნებისა და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებისა. ამათ ყველას აერთიანებს მწკრივების კლება (ან მეორე სერიისა მთლიანად, ან უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითისა I სერიიდან). ამას გარდა, აწმყოში ესენი მეშველ ზმნას დაირთავენ პირველსა და მეორე პირში.

თითოეული ტიპის შიგნით კიდევ არის თავ-თავისი დაყოფილება.

I ტიპის უღლებაში ზმნები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ, ჯერ ერთი, როგორ არის ნაწარმოები აწმყო (სრული ასპექტის შემთხვევაში: მყოფადი), ე. ი. რა თემის ნიშანი ზმნას და, ამასთან ერთად, იკუმშება ფუძე, თუ არა. მერმე, როგორ არის ნაწრმეობი წყვეტილი; და,

უკანასკნელ, რა თემას იყენებს III სერიაში.

II ტიპის უღლება, უღლება ვნებითი გვარის ზმნისა, უფრო გარჩეული იყო I ტიპის უღლებისაგან ძველად, ვიდრე დღეს, რადგანაც მას I სერიის სავრცობიან მწკრივებში თავისი წარმოება ჰქონდა, სრულიად განსხვავებული მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებისაგან. შემდეგ იგი აღნიშნულ მწკრივებში თანდათან გაუთანაბრდა მოქმედებითი გვარის ზმნებს. II სერიაში პრეფიქსიან (**ი**ნ — **ე**ნიან) ვნებითს თავისი წარმოება არა აქვს და სავსებით მისდევს სათანადო ზმნის მოქმედებითს. ამ მხრივ ეს ზმნები ძირითადად განსხვავდება სუფიქსიან (**დ**ონიან) და უნიშნო ვნებითის უღლებისაგან. III სერიაში კი განსხვავება სხვადასხვა ტიპის ვნებითებს შორის დაიკარგება, მაგრამ თავს იჩენს განსხვავება ერთპირიანებსა და ორპირიანებს შორის.

III ტიპის უღლების ზმნებს შორის მთავარი განსხვავება მყოფადის წარმოებაა, რაც დამოკიდებულია სათანადო ფუძის მოქმედებითი გვარის ფორმაზე.

IV ტიპის უღლების ზმნებს შორის მთავარი განსხვავებული ნიშანია, თუ რა მწკრივები აკლია მათ: I სერიისა თუ II სერიისა, ან, რაც იგივეა, უწყვეტელი აქვს თუ წყვეტილი, I კავშირებითი თუ II კავშირებითი. ამ მხრივ სტატიკურებთან ერთად არის მდგომარეობის გამომხატველი ზმნები“. შესაბამისი მაგალითები ყველა ტიპისა თუ ქვეტიპის ზმნის უღვლილებისა დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“.

როგორც ვხედავთ, საკლასიფიკაციოდ რამდენიმე ნიშანია გამოყენებული: გვარის კატეგორია, ინვერსიულობა, მწკრივთა წარმოების შესაძლებლობა, მწკრივთა წარმოების თავისებურებანი. კლასიფიკაციის ამგვარმა თვალსაზრისმა საჭირო გახადა სხვა მორფოლოგიური კატეგორიების გათვალისწინებაც და ამისდაკვალობაზე — ქვეტიპების გამოყოფა. ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება თემაზე, თემის ნიშნებზე, მწკრივის ფუძეთა ურთერთმიმართებაზე, ვნებითის წარმოების ტიპზე, რა საშუალებით ხდება ნაკლული მწკრივების შევსება... ფონეტიკური პრინციპიც იჩენს თავს — „იკუმშება ფუძე თუ არა“...

არსებობს სხვა თვალსაზრისიც; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს აზრით, „ქართული ზმნების ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულებია: სტატიკური და დინამიკური ზმნები, ერთი მხრივ, გარდაუვალი და გარდმავალი ზმნები, მეორე მხრივ“. ამისდაშესაბამისად, სამი ტიპი გამოიყო:

I. დინამიკური ზმნები (**ი-** ვნებითიანი ტიპი)
II. დინამიკური ზმნები (**დ-** ვნებითიანი ტიპი)
III. სტატიკური ზმნები (ორი ქვეტიპით:
ა) სტატიკური ერთპირიანი ზმნები
ბ) სტატიკური ორპირიანი ზმნები...).

ტიპების გამოყოფა (ამ შემთხვევაში შესაბამისი პარადიგმების ნახვა) ყველა ტიპისა თუ ქვეტიპისა ზმნათათვის მკითხველს შეუძლია იხილოს არნ. ჩიქობავას „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“. ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის — დინამიკურობა-სტატიკურობის — მიხედვით უდავოდ საინტერესო ფაქტია, ოღონდ მთლად ნათელი არაა ამ შემთხვევაში I და II ტიპების გამოყოფის აუცილებლობა: ვნებითის წარმოების ტიპის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფის წარმოდგენა. მესამე ტიპის ვნებითის ფორმათა საკითხიც გარკვევას საჭიროებს... გამოდის, რომ: **ზრდის** და **იზრდება / ეზრდება** ერთი ტიპის უღლების ზმნებია, **ტეხს** და **ტყდება** — მეორისა, ხოლო **წუხს, ცხოვრობს** და **უყვარს** — მესამისა... **დგას, ზის** და ა. შ. ტიპის ზმნებიც, ალბათ, აქ შემოვა (თუმცა ამის თაობაზე მითითება არაა).

როგორც პირველი, ასევე მეორე თვალსაზრისის მიხედვით ძირითადი ყურადღება **ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურებაზეა გამახვილებული**. კლასიფიკაციის ამგვარ პრინციპებზე დამყარება გამოყოფილ ერთეულთა სიმრავლეს ქმნის და, რაც მთავარია, არ ხერხდება ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ყველა სახის ზმნის გათვალისწინებაც. გარდა ამისა, არაა ერთგვაროვანი პრინციპი გატარებული: სხვადასხვა თვალსაზრისით ხდება გამოყოფილი ტიპების დახასიათება; პრინციპის ცვლა კი „კლასიფიკაციის ელემენტარული წესის დარღვევად ითვლება მეცნიერების ყველა დარგში. ენის მოვლენათა აღწერაც აქ გამონაკლისს ვერ შექმნის“ (არნ. ჩიქობავა).

IV. 5.3. ფორმათა „სესხების“ საკითხი. სანამ მსჯელობას გავაგრძელებთ უღლების თვალსაზრისით ზმნათა დაჯგუფების საკითხზე, გვინდა შევეხოთ „ფორმათა სესხების“ საკითხს. ე. წ. საშუალი გვარის ზმნათა უღლების თაობაზე როცა მსჯელობენ, მიანიშნებენ, რომ „ამ ზმნებს შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლებისას გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათავისოს ან სასხვისოს ფორმები“ (ა. შანიძე); რომ ეს ზმნები ნაკლული მწკრივების შესავსებად „იყენებს

დინამიკური ზმნებისაგან ნასესხებ ნაკვთებს“ (არნ. ჩიქობავა). ამგვარი კომენტარით საშუალი გვარის ზმნათა უღლების სრულ პარადიგმას წარმოადგენენ:

1. მაგალითი ფორმათა „სესხებისა“

საკუთარი ფორმები		**„ნასესხები“** ფორმები	
„აწმყოს წრეში“		„მყოფადის წრეში“	
აწმყო	ვ-ტირ-ი	მყოფადი	ვ-ი-ტირ-ებ
	ს-ტირ-ი		ი-ტირ-ებ
	ტირ-ი-ს		ი-ტირ-ებ-ს
	ვ-ტირ-ი-თ		ვ-ი-ტირ-ებ-თ
	ს-ტირ-ი-თ		ი-ტირ-ებ-თ
	ტირ-ი-ან		ი-ტირ-ებ-ენ
უწყვეტელი	ვ-ტირ-ოდ-ი	ხოლმეობითი	ვ-ი-ტირ-ებ-დ-ი
	ს-ტირ-ოდ-ი		ი-ტირ-ებ-დ-ი
	ტირ-ოდ-ა		ი-ტირ-ებ-დ-ა
	ვ-ტირ-ოდ-ი-თ		ვ-ი-ტირ-ებ-დ-ი-თ
	ს-ტირ-ოდ-ი-თ		ი-ტირ-ებ-დ-ი-თ
	ტირ-ოდ-ნენ		ი-ტირ-ებ-დ-ნენ
აწმყ. კავშ.	ვ-ტირ-ოდ-ე	მყოფ. კავშ.	ვ-ი-ტირ-ებ-დ-ე
	ს-ტირ-ოდ-ე		ი-ტირ-ებ-დ-ე
	ტირ-ოდ-ე-ს		ი-ტირ-ებ-დ-ე-ს
	ვ-ტირ-ოდ-ე-თ		ვ-ი-ტირ-ებ-დ-ე-თ
	ს-ტირ-ოდ-ე-თ		ი-ტირ-ებ-დ-ე-თ
	ტირ-ოდ-ნენ		ი-ტირ-ებ-დ-ნენ

შენიშვნა: 1. რამდენადაც II და III სერიის მწკრივთა ფორმები ფორმობრივად გაგრძელებაა „ნასესხებ“ ფორმათა პარადიგმისა, ამდენად მათ აღარ მოვიყვან.

2. პირის ნიშანთა მართლწერა (ვთქვათ, ს-ტირ-ი) ა. შანიძის მიხედვითაა წარმოდგენილი.

2. მაგალითი ფორმათა სესხებისა

საკუთარი ფორმები		ნასესხები ფორმები	
აწმყო	ვ-დგა-ვარ	მყოფადი	ვ-ი-დგ-ებ-ი
	დგა-ხარ		ი-დგ-ებ-ი
	დგა-ს		ი-დგ-ებ-ა
	ვ-დგა-ვართ		ვ-ი-დგ-ებ-ი-თ
	დგა-ხართ		ი-დგ-ებ-ი-თ
	დგან-ან		ი-დგ-ებ-ი-ან
უწყვეტელი		ხოლმეობითი	ვ-ი-დგ-ებ-ოდ-ი
			ი-დგ-ებ-ოდ-ი
			ი-დგ-ებ-ოდ-ა
			ვ-ი-დგ-ებ-ოდ-ი-თ
			ი-დგ-ებ-ოდ-ი-თ
			ი-დგ-ებ-ოდ-ნენ
აწმყ. კავშ.		მყოფ. კავშ.	ვ-ი-დგ-ებ-ოდ-ე
			ი-დგ-ებ-ოდ-ე
			ი-დგ-ებ-ოდ-ე-ს
			ვ-ი-დგ-ებ-ოდ-ე-თ
			ი-დგ-ებ-ოდ-ე-თ
			ი-დგ-ებ-ოდ-ნენ

II და III სერიაში გაგრძელება აქვს მყოფადის პარადიგმას.

3. მაგალითი ფორმათა „სესხებისა“

საკუთარი ფორმები		ნასესხები ფორმები		
აწმყო		**მყოფადი**		
მ-ი-ყვარ-ს	მ-ე-ყვარ-ებ-ა	/	შე-მ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ა	
გ-ი-ყვარ-ს	გ-ე-ყვარ-ებ-ა	/	შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ა	
უ-ყვარ-ს	ე-ყვარ-ებ-ა	/	შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ა	
გვ-ი-ყვარ-ს	გვ-ე-ყვარ-ებ-ა	/	შე-გვ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ა	
გ-ი-ყვარ-თ	გ-ე-ყვარ-ებ-ა-თ	/	შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ა-თ	
უ-ყვარ-თ	ე-ყვარ-ებ-ა-თ	/	შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ა-თ	

უწყვეტელი	ხოლმეობითი	
მ-ი-ყვარ-დ-ა	მ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა	/ შე-მ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა
გ-ი-ყვარ-დ-ა	გ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა	/ შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა
უ-ყვარ-დ-ა	ე-ყვარ-ებ-ოდ-ა	/ შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა
გვ-ი-ყვარ-დ-ა	გვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა	/ შე-გვ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა
გ-ი-ყვარ-დ-ა-თ	გ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა-თ	/ შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა-თ
უ-ყვარ-დ-ა-თ	ე-ყვარ-ებ-ოდ-ა-თ	/ შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა-თ

აწმყ. კავშირებითი	მყოფ. კავშირებითი	
მ-ი-ყვარ-დ-ე-ს	მ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს	/ შე-მ-ი-ყვარ-დ-ებ-ოდ-ე-ს
გ-ი-ყვარ-დ-ე-ს	გ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს	/ შე-გ-ი-ყვარ-დ-ებ-ოდ-ე-ს
უ-ყვარ-დ-ე-ს	ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს	/ შე-უ-ყვარ-დ-ებ-ოდ-ე-ს
გვ-ი-ყვარ-დ-ე-ს	გვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს	/ შე-გვ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ე-ს
გ-ი-ყვარ-დ-ე-თ	გ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-თ	/ შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ე-თ
უ-ყვარ-დ-ე-თ	ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-თ	/ შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ე-თ

შენიშვნა: II და III სერიაში გაგრძელება მყოფადის მეორე ვარიანტს ექნება: შე-მ-ი-ყვარ-დ-ა, შე-მ-ი-ყვარ-დ-ე-ს, შე-მ-ყვარ-ებ-ი-ა...

4. მაგალითი ფორმათა „სესხებისა“

საკუთარი ფორმები	ნასესხები ფორმები	
აწმყო	მყოფადი	
ვ-ბობოქრ-ობ	ვ-ი-ბობოქრ-ებ	/ ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ი
ბობოქრ-ობ	ი-ბობოქრ-ებ	/ ა-ბობოქრდ-ებ-ი
ბობოქრ-ობ-ს	ი-ბობოქრ-ებ-ს	/ ა-ბობოქრდ-ებ-ა
ვ-ბობოქრ-ობ-თ	ვ-ი-ბობოქრ-ებ-თ	/ ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ი-თ
ბობოქრ-ობ-თ	ი-ბობოქრ-ებ-თ	/ ა-ბობოქრდ-ებ-ი-თ
ბობოქრ-ობ-ენ	ი-ბობოქრ-ებ-ენ	/ ა-ბობოქრდ-ებ-ი-ან

უწყვეტელი	ხოლმეობითი	
ვ-ბობოქრ-ობ-დ-ი	ვ-ი-ბობოქრ-ებ-დ-ი	/ ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი
ბობოქრ-ობ-დ-ი	ი-ბობოქრ-ებდ-ი	/ ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი
ბობოქრ-ობ-დ-ა	ი-ბობოქრ-ებ-დ-ა	/ ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ა
ვ-ბობოქრ-ობ-დ-ი-თ	ვ-ი-ბობოქრ-ებ-დ-ი-თ	/ ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი-თ

ბობოქრ-ობ-დ-ი-თ	ი-ბობოქრ-ებ-დ-ი-თ	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი-თ
ბობოქრ-ობ-დ-ნენ	ი-ბობოქრ-ებ-დ-ნენ	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ნენ

აწმყ. კავშ.	**მყოფ. კავშირებითი**		
ვ-ბობოქრ-ობ-დ-ე	ვ-ი-ბობოქრ-ებ-დ-ე	/	ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი
ბობოქრ-ობ-დ-ე	ი-ბობოქრ-ებდ-ე	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი
ბობოქრ-ობ-დ-ე-ს	ი-ბობოქრ-ებ-დ-ე-ს	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ა
ვ-ბობოქრ-ობ-დ-ე-თ	ვ-ი-ბობოქრ-ებ-დ-ე-თ	/	ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი-თ
ბობოქრ-ობ-დ-ე-თ	ი-ბობოქრ-ებ-დ-ე-თ	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი-თ
ბობოქრ-ობ-დ-ნენ	ი-ბობოქრ-ებ-დ-ნენ	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ნენ

II და III სერიაში გაგრძელება აქვს მყოფადის ორივე ვარიანტს.

ფორმობრივი თვალსაზრისით „აწმყოს წრისა“ და „მყოფადის წრის“ ფორმათა ერთ პარადიგმაში მოქცევა, ცხადია, არ მოხერხდება; ეს იგივე იქნება, **აკეთებს** ზმნას **გაიკეთა** დავუყენოთ გვერდით და **უკეთებს** ზმნას — **გაკეთდა.**

ყალიბის მიხედვით პირველი რიგის ზმნები სულ სხვა პარადიგმის წევრებია და მეორე რიგისა — სხვა პარადიგმის. „სესხებაც“ ამიტომ დაერქვა პარადიგმათა ამგვარ „შევსებას“.

ამგვარი „სესხებით“ ირღვევა ფორმობრივი პრინციპი.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ **ტირის** და **იტირა, დგას** და **იდგება, უყვარს** და **ეყვარება / შეუყვარდება** თუ **ბობოქრობს** და **იბობოქრებს** არ შეიძლება ერთ პარადიგმაში მოექცეს, ოღონდ ერთია: **უნდა განსხვავდეს სემანტიკური და ფორმობრივ-სემანტიკური პარადიგმები.**

სემანტიკურ პარადიგმას ვუწოდებთ იმ **პარადიგმას,** რომელშიც ფორმობრივი პრინციპი დარღვეულია და სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნები ერთ პარადიგმაში მხოლოდ სემანტიკური პრინციპითაა გაერთიანებული.

ფორმობრივ-სემანტიკურს ვუწოდებს იმ **პარადიგმას, რომელშიც ორივე პრინციპია გატარებული — ფორმობრივიც და სემანტიკურიც.** შეიძლება მარტივად **ფორმობრივი პარადიგმაც** ვუწოდოთ. ასე რომ, სესხებით შევსებული პარადიგმა ჩვენთვის სემანტიკური პარადიგმაა და სხვა, მოქმედებითი თუ ვნებითი გვარის ზმნათა პარადიგმები — ფორმობრივი (ე. ი. ფორმობრივ-სემანტიკური) პარადიგმებია.

სემანტიკური პარადიგმები რამდენიმე სახის შეიძლება იყოს:

1. როცა პარადიგმის წევრები ერთი და იმავე ძირეული მორფე-

მისაგან იწარმოება. თუმცა აქაც გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი:

ა) როცა „აწმყოს წრის“ მწკრივთა პარადიგმას „მყოფადის წრესა“ და II-III სერიაში ერთი პარადიგმა ავსებს:

მეფ-ობ-ს	ი-მეფ-ებ-ს
მეფ-ობ-დ-ა	ი-მეფ-ებ-და
მეფ-ობ-დ-ე-ს	ი-მეფ-ებ-დ-ე-ს
	ი-მეფ-ა
	ი-მეფ-ო-ს
	უ-მეფ-ი-ა
	ე-მეფ-ა
	ე-მეფ-ო-ს

ბ) როცა მხოლოდ აწმყოს ფორმა აქვს ზმნას და „მყოფადის წრისა“ თუ II-III სერიის ფორმებს ივსებს სხვა ფორმობრივი პარადიგმით.

წევ-ს	ი-წვ-ებ-ა
	ი-წვ-ებ-ოდ-ა
	ი-წვ-ებ-ოდ-ე-ს
	ი-წვ-ა
	ი-წვ-ე-ს
	(წოლილ-ა
	წოლილ-იყო
	წოლილ-იყოს)

გ) როცა „აწმყოს წრის“ მწკრივთა პარადიგმის შევსება ხდება „მყოფადის წრეში“ ორგვარი ფორმობრივი პარადიგმით, რომელთაგან ერთ-ერთს აქვს გაგრძელება II და III სერიაში

ს-ძულ-ს	ე-ძულ-ებ-ა	/	შე-ს-ძულ-დ-ებ-ა
ს-ძულ-დ-ა	ე-ძულ-ებ-ოდ-ა	/	შე-ს-ძულ-დ-ებ-ოდ-ა
ს-ძულ-დ-ე-ს	ე-ძულ-ებ-ოდ-ე-ს	/	შე-ს-ძულ-დ-ებ-ოდ-ე-ს
—	—		შე-ს-ძულ-დ-ა
—	—		შე-ს-ძულ-დ-ე-ს
—	—		შე-ს-ძულ-ებ-ი-ა
—	—		შე-ს-ძულ-ებ-ოდ-ა
—	—		შე-ს-ძულ-ებ-ოდ-ე-ს

დ) როცა „აწმყოს წრის“ მწკრივთა პარადიგმის შევსება ხდება „მყოფადის წრისა“ და II-III სერიის ფორმების ორგვარი პარადიგმით:

ბიბინ-ებ-ს	ი-ბიბინ-ებ-ს	/	ა-ბიბინ-დ-ებ-ა
ბიბინ-ებ-დ-ა	ი-ბიბინ-ებ-დ-ა	/	ა-ბიბინ-დ-ებ-ოდ-ა
ბიბინ-ებ-დ-ე-ს	ი-ბიბინ-ებ-დ-ე-ს	/	ა-ბიბინ-დ-ებ-ოდ-ეს
	ი-ბიბინ-ა	/	ა-ბიბინ-დ-ა
	ი-ბიბინ-ო-ს	/	ა-ბიბინ-დ-ე-ს
	უ-ბიბინ-ი-ა	/	აბიბინებულ-ა
	ე-ბიბინ-ა	/	აბიბინებულ-იყო
	ე-ბიბინ-ო-ს	/	აბიბინებულ-იყოს

2. მეორე რიგის სემანტიკური პარადიგმის წევრები სხვადასხვა ძირეული მორფემისაგან წარმოებული ზმნური ფორმებია: **ამბობს — იტყვის — თქვა.**

ამბობ-ს	ი-ტყვ-ი-ს	
ამბ-ობ-დ-ა	ი-ტყ-ოდ-ა	
ამბ-ობ-დ-ე-ს	ი-ტყ-ოდ-ე-ს	
		თქვ-ა
		თქვ-ა-ს
		უ-თქვ-ამ-ს
		ე-თქვ-ა
		ე-თქვ-ა-ს

შვრება — იზამს — ქნა

შვრ-ებ-ა	ი-ზამ-ს	
შვრ-ებ-ოდ-ა	ი-ზამ-დ-ა	
შვრ-ებ-ოდ-ს	ი-ზამ-დ-ე-ს	
		ქნ-ა
		ქნ-ა-ს
		უ-ქნ-ი-ა
		ე-ქნ-ა
		ე-ქნ-ა-ს

არის — იქნება— იყოს

არ-ი-ს	ი-ქნ-ებ-ა	
	ი-ქნ-ებ-ოდ-ა	
	ი-ქნ-ებ-ოდ-ე-ს	
		ი-ყ-ო
		ი-ყ-ო-ს

ყოფილ-ა
ყოფილ-იყო
ყოფილ-იყოს

შენიშვნა: 1. საგულისხმო ფაქტია — III სერია ყველა შემთხვევაში II სერიის ფუძეს იმეორებს. 2. აქ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ **ამბ** მარტივი ფუძისაგან წარმოებული ნეიტრალური ქცევის ფორმა სემანტიკურ პარადიგმას ქმნის.

ამ პარადიგმების გაცნობა ერთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს: როგორც მეორე რიგის პარადიგმები (ამბობს... არის... შვრება...) არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმობრივ პარადიგმად და, შესაბამისად, მორფოლოგიური ანალიზის ფაქტად, ისე პირველი რიგის პარადიგმები არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმობრივ პარადიგმად. სხვაგვარად: **„სესხება“ არ არის მორფოლოგიური ფაქტი... ეს სემანტიკის სფეროა**.

რაც შეეხება იმას, რომ **ამბობს — იტყვის — თქვა** ერთ პარადიგმად წარმოგვიდგება, მორფოლოგიური ანალიზის დროს უნდა ითქვას, რომ **ამბობს** არის ზმნა (ის ზმნური ფორმა), რომელსაც მხოლოდ აწმყოს დროული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა აქვს; შესაბამისად: **იტყვის** არის ის ზმნა (ზმნური ფორმა), რომელსაც არა აქვს აწმყოს გამოხატვის შესაძლებლობა, გამოხატავს მხოლოდ მომავალ დროს და, შესაბამისად, ასევე ითქმის **თქვა** ფორმაზეც — იგი წარსული დროის მნიშვნელობას გადმოსცემს. ამ მარტივი ფუძის ახლანდელი და მომავალი დროის გამოხატვა არ ხდება. ასევე შეიძლება ითქვას **მეფობს** და **იმეფებს, დგას** და **იდგება, ბრუნავს** და **იბრუნებს** და სხვა მრავალი მსგავსი შემთხვევის შესახებ; ანუ იმ ზმნების შესახებ, რომლებიც „სესხების გზით ივსებენ ნაკლულ მწკრივებს“.

და ყოველივე ეს ხდება განსხვავებით იმ ზმნებისაგან, რომლებიც ერთი და იმავე მარტივი ფუძით, ერთი მორფოლოგიური პარადიგმის ფარგლებში ახდენენ ამ დროულ დაპირისპირებას: **წერ-ს — და-წერს — დაწერა.** ახლანდელი და მომავალი დროის განსხვავება ერთი მწკრივის ფარგლებში ხდება ზოგ შემთხვევაში ზმნისწინის მეშვეობით, ზოგ შემთხვევაში — კონტექსტის დახმარებით.

IV. 5.4. ზმნათა დაჯგუფება მწკრივთა წარმოების შესაძლებლობის მიხედვით. ზმნისწინის როლზე, ასპექტის კატეგორიის მნიშვნელობაზე და ე. წ. მწკრივის ელემენტთა (ანუ უღლების კატეგორიათა)

შესახებ მწკრივის რაობის გარკვევისას ვისაუბრეთ; ე. წ. სემანტიკური დიფერენციალური ნიშნები რომ არაა უცვალებელი და მათი მიხედვით მწკრივთა დახასიათება არასტაბილური, ამის თაობაზეც გვქონდა საუბარი... მაგრამ ეს ყოველივე ეხებოდა ფორმობრივ პარადიგმას. სემანტიკურად დასაშვებია საკითხის ასე დასმა, მით უმეტეს, თუ ერთ პარადიგმად გავიაზრებთ ცხოვრობს — იცხოვრა, არის — იყო — იქნება ფორმებს... ჩვენი და წარმოდგენილი თვალსაზრისის სხვაობის საფუძველი არის მიზანი — ვაგებთ ფორმობრივ თუ სემანტიკურ პარადიგმას... ფორმობრივი (ანუ ფორმობრივ-სემანტიკური) პრინციპის გათვალისწინება საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ამა თუ იმ ზმნის მიერ მწკრივთა წარმოების შესაძლებლობის მიხედვით. ანუ: რა შესაძლებლობა აქვს ამა თუ იმ ზმნას ზმნური ფორმების წარმოებისა.

თუ ამ პრინციპის მიხედვით ვეცდებით ზმნათა დაჯგუფებას, აღმოჩნდება, რომ შესაძლებელია ზმნები სამ ჯგუფად დალაგდეს: ა) ზმნები, რომელთაც მხოლოდ ერთი — აწმყო-მყოფადის — მწკრივის ფორმა მოეპოვება; ბ) ზმნები, რომელთაც მხოლოდ I სერიის მწკრივთა ფორმები მოეპოვება და გ) ზმნები, რომელთაც ყველა მწკრივის ფორმა მოეპოვება; სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

ა)	ბ)	გ)
აწმყო-მყოფადი	აწმყო-მყოფადი უწყვეტელ-ხოლმეობითი I კავშირებითი	აწმყო-მყოფადი უწყვეტ.-ხოლმეობითი I კავშირებითი წყვეტილი II კავშირებითი I თურმეობითი II თურმეობითი III კავშირებითი

უღლების ჯგუფების გამოყოფის დროს ამ ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. გავიხსენოთ: „**უღლება** აღნიშნავს პირიანი ზმნის ფორმაცვალებას ყველა მწკრივში, რომელიც კი მოეპოვება აღებულ ზმნას“ (ა. შანიძე). დაზუსტება — „რომელიც კი მოეპოვება აღებულ ზმნას“ — გულისხმობს იმას, რომ ყველა ზმნას არა აქვს შესაძლებლობა ყველა მწკრივის ფორმათა წარმოებისა; ანუ: ზმნები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმის მიხედვითაც, თუ რა შესაძლებლობა აქვს მას მწკრივთა წარმოებისა. ვფიქრობთ: ზმნის ფორმობრივი ანალიზისას ზმნათა დაჯგუფება ამ ნიშნის მიხედვით უნ-

და მოხდეს: როგორია შესაძლებლობა ზმნისა მწკრივის ფორმათა წარმოებისა; სხვაგვარად: შესწევს თუ არა ზმნას უნარი ყველა მწკრივის ფორმათა წარმოებისა.

მწკრივის ფორმათა წარმოების შესაძლებლობის მიხედვით ზმნები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ; შესაბამისად გვექნება სამი ტიპი უღლებისა:

I სახის უღლებას განეკუთვნება ის ზმნები, რომელთაც მხოლოდ ერთი მწკრივის (აწმყო-მყოფადის) ფორმები მოეპოვებათ (ზემოწარმოდგენილ მსჯელობის საფუძველზე ე. წ. „ნასესხებ“ ფორმებს მხედველობაში არ ვიღებთ). ამ ჯგუფში შემოვა: ა) ე. წ. სტატიკური ვნებითის ფორმები: **აბია, აბარია, აბადია, ჰბურავს, ხურავს** და მისთანანი. ბ) ე. წ. მედიოპასიურ ზმნათა ერთი ნაწილი: **წევს, დგას, ძევს, სხედან** და სხვა.

ამ ტიპის ზმნები შეიძლება იყოს როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი: **აბია / უბია, აგია / უგია, აგდია / უგდია, ასვია / უსვია, აფენია / უფენია**... **დგას / უდგას, ზის / აზის / უზის**...

ამ ტიპის ზმნათა უღლების ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ I და II სუბიექტური პირის ფორმებს მეშველი ზმნით იწარმოებენ:

ვ-დგა-ვარ	ვ-ზი-ვარ		ვ-წევარ
დგა-ხარ	ზი-ხარ		წევ-ხარ
ვ-დგა-ვართ	ვ-ზი-ვართ	ვ-სხედ-ვარ-თ	ვ-წევარ-თ
დგა-ხართ	ზი-ხართ	სხედ-ხარ-თ	წევ-ხარ-თ

ანდა:

ვ-აბარი-ვარ	ვ-აგდი-ვარ
აბარი-ხარ	აგდი-ხარ

ზოგი ზმნისათვის I-II სუბიექტური პირის ფორმები არ ჩანს ბუნებრივი: ჰბურავს, ხურავს...

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ ტიპის ზმნები ზმნისწინს არ დაირთავენ. დროული გაგება ამ ზმნებისა სტაბილურია — აწმყოს გაგება აქვთ (ზოგადისა თუ კონკრეტულისა).

II ტიპის უღლებას განეკუთვნება ის ზმნები, რომლებიც მხოლოდ I სერიის მწკრივთა ფორმებს იწარმოებს:

აწმყო-მყოფადი

ვ-მეფ-ობ	ვ-თამაშ-ობ	ვ-ამბ-ობ
მეფ-ობ	თამაშ-ობ	ამბ-ობ
მეფ-ობ-ს	თამაშ-ობ-ს	ამბ-ობ-ს
ვ-მეფ-ობ-თ	ვ-თამაშ-ობ-თ	ვ-ამბ-ობ-თ
მეფ-ობ-თ	თამაშ-ობ-თ	ამბ-ობ-თ
მეფ-ობ-ენ	თამაშ-ობ-ენ	ამბ-ობ-ენ
ვ-იტყვ-ი	ვ-იც-ი	
იტყვ-ი	იც-ი	
იტყვ-ი-ს	იც-ი-ს	
ვ-იტყვ-ი-თ	ვ-იც-ი-თ	
იტყვ-ი-თ	იც-ი-თ	
იტყვ-ი-ან	იც-ი-ან	

უწყვეტელ-ხოლმეობითი

ვ-მეფ-ობ-დ-ი	ვ-თამაშ-ობ-დ-ი	ვ-ამბ-ობ-დ-ი
მეფ-ობ-დ-ი	თამაშ-ობ-დ-ი	ამბ-ობ-დ-ი
მეფ-ობ-დ-ა	თამაშ-ობ-დ-ა	ამბ-ობ-დ-ა
ვ-მეფ-ობ-დ-ი-თ	ვ-თამაშ-ობ-დ-ი-თ	ვ-ამბ-ობ-დ-ი-თ
მეფ-ობ-დ-ი-თ	თამაშ-ობ-დ-ი-თ	ამბ-ობ-დ-ი-თ
მეფ-ობ-დ-ნენ	თამაშ-ობ-დ-ნენ	ამბ-ობ-დ-ნენ
ვ-იტყ-ოდ-ი	ვ-იც-ოდ-ი	
იტყ-ოდ-ი	იც-ოდ-ი	
იტყ-ოდ-ა	იც-ოდ-ა	
ვ-იტყ-ოდ-ი-თ	ვ-იც-ოდ-ი-თ	
იტყ-ოდ-ი-თ	იც-ოდ-ი-თ	
იტყ-ოდ-ნენ	იც-ოდ-ნენ	

I კავშირებითი

ვ-მეფ-ობ-დ-ე	ვ-თამაშ-ობ-დ-ე	ვ-ამბ-ობ-დ-ე
მეფ-ობ-დ-ე	თამაშ-ობ-დ-ე	ამბ-ობ-დ-ე
მეფ-ობ-დ-ე-ს	თამაშ-ობ-დ-ე-ს	ამბ-ობ-დ-ე-ს
ვ-მეფ-ობ-დ-ე-თ	ვ-თამაშ-ობ-დ-ე-თ	ვ-ამბ-ობ-დ-ე-თ
მეფ-ობ-დ-ე-თ	თამაშ-ობ-დ-ე-თ	ამბ-ობ-დ-ე-თ
მეფ-ობ-დ-ნენ	თამაშ-ობ-დ-ნენ	ამბ-ობ-დ-ნენ
ვ-იტყ-ოდ-ე	ვ-იც-ოდ-ე	

იტყ-ოდ-ე	იც-ოდ-ე
იტყ-ოდ-ე-ს	იც-ოდ-ე-ს
ვ-იტყ-ოდ-ე-თ	ვ-იც-ოდ-ე-თ
იტყ-ოდ-ე-თ	იც-ოდ-ე-თ
იტყ-ოდ-ნენ	იც-ოდ-ნენ

ძირითადად ამ ჯგუფში შემოდის ის ზმნები, რომელთაც მედიოაქტიურ ზმნებს ვუწოდებთ — სწავლობს, ცხოვრობს, ამხანაგობს, ცრუობს, ტყუის... გარდა ამისა, რამდენიმე გარდამავალი დინამიკური ზმნა, ე. წ. მწკრივში მონაცვლე ზმნები — **ამბობს, იტყვის; შვრება, იზამს**...; სტატიკური ზმნები — **იცის, უწყის**... და გარდამავალი დინამიკური ზმნები — **იქნება, გაეძლება, გაემტყუნება**...

II ჯგუფის ზმნათა უმეტესობა უზმნისწინოა, ზმნისწინს ვერ იგუებს. ერთი ნაწილი მედიოაქტიური ზმნებისა ზმნისწინიანია, მაგრამ ზმნისწინი დროისა და ასპექტის გამოხატვის უნარს მოკლებულია; ეს ძირითადად მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნებია: **მიდის, მირბის, მიფრინავს...** ასეთი შეიძლება იყოს **მი-თამაშობს, მო-თამაშაობს** ტიპის ფორმებიც.

არის ზმნათა ერთი ნაწილი, რომელიც ყოველთვის ზმნისწინიანია. ზმნისწინი ამ შემთხვევაში ზმნური ფორმის ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს — **გაეძლება, გაემტყუნება, გაეწყობა...**

შენიშვნა: 1. ამა თუ იმ ტიპის უღლების ზმნათა დახასიათება მორფოლოგიური თუ სემანტიკური თვალსაზრისით ცალკე კვლევის საგნად გვესახება. ამ შემთხვევაში ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგადი მითითებით ზმნათა ფორმობრივ-სემანტიკურ თავისებურებებზე.

2. ზმნისწინისა და ზმნური ფორმის ურთიერმიმართების საკითხი არსებით მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც, როგორც ვნახეთ და ვნახავთ, არის შემთხვევები, ა) როცა ზმნა ზმნისწინს საერთოდ ვერ იგუებს — **მეფობს, ამბობს, იტყვის, იცის**... **ადღეგრძელებს, ადარდებს**... ბ) როცა ზმნური ფორმა ზმნისწინის გარეშე არ გვხვდება (იმავე სემანტიკით) — **მიაგებს, მოასწავებს; დაეჯერება, დაიშვება... აღმოცენდება, განაგრძობს...** გ) როცა პარალელური ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები თანაბრადაა დასაშვები

(ცხადია, ზმნისწინს გარკვეული ფუნქციები აქვს ამ შემთხვევაში): **წერს** და **დაწერს**, **ქრის** და **მოქრის**...

ყოველივე ამის გათვალისწინება ამა თუ იმ ზმნის უღლების პარადიგმის შედგენისას აუცილებლად მიგვაჩნია.

3. ზმნისწინიან ზმნებში, ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე მარტივ ფუძესთან რამდენიმე ზმნისწინი შეიძლება შეგვხვდეს. ზმნისწინთა რაოდენობის საკითხი სხვადასხვა ფუძესთან სხვადასხვაგვარია. „ზმნური ფუძეების ლექსიკონი“ ამ თვალსაზრისით ნათელ სურათს იძლევა. უმეტეს შემთხვევაში ზმნისწინთა შენაცვლება ფორმაწარმოებაზე გავლენას ვერ ახდენს. ასეთ შემთხვევაში მსჯელობისას მხოლოდ ერთ-ერთ ზმნისწინს მოვიყვანთ, ჩვეულებრივ, ნეიტრალური სემანტიკისას.

III ტიპის უღლებას მივაკუთვნებთ იმ ზმნებს, რომელთაც ყველა მწკრივის ფორმა მოეპოვებათ. ზმნისწინი ამ ტიპის ზმნებთან საგანგებო ყურადღებას იქცევს. წინა შენიშვნა უპირატესად ზმნებს შეეხებოდა. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ზმნისწინის მიმართება ზმნურ ფორმასთან, რამდენიმე ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

1. ზმნები, რომელთაც პარალელური — ზმნისწინიანი და უზმნისწინო — ფორმები აქვს ყველა მწკრივში (მსჯელობის სიმარტივისა და სურათის სიცხადისათვის მხოლოდ III პირის ფორმას მოვიხმობთ):

აწმყო-მყოფადი	— (და)-წერს	(გა)-აკეთებს	(მო)-დრეკს
უწყვეტ.-ხოლმ.	— (და)-წერდა	(გა)-აკეთებდა	(მო)-დრეკდა
I კავშირებითი	— (და)-წერდეს	(გა)-აკეთებდეს	(მო)-დრეკდეს
წყვეტილი	— (და)-წერა	(გა)-აკეთა	(მო)-დრიკა
II კავშირებითი	— (და)-წეროს	(გა)-აკეთოს	(მო)-დრიკოს
I თურმეობითი	— (და)-უწერია	(გა)-უკეთებია	(მო)-უდრეკია
II თურმეობითი	— (და)-ეწერა	(გა)-ეკეთებინა	(მო)-ედრიკა
III კავშირებითი	— (და)-ეწეროს	(გა)-ეკეთებინოს	(მო)-ედრიკოს

ამ ჯგუფში შემოვა მოქმედებითი გვარის ზმნათა ძირითადი ნაწილი.

2. ზმნები, რომელთაც მხოლოდ უზმნისწინო ფორმები მოეპოვება ყველა მწკრივში:

აწმყო-მყოფადი	— გვემს	იცხოვრებს	იჯდება
უწყვეტ.-ხოლმ.	— გვემდა	იცხოვრებდა	იჯდებოდა
I კავშირებითი	— გვემდეს	იცხოვრებდეს	იჯდებოდეს
წყვეტილი	— გვემა	იცხოვრა	იჯდა
II კავშირებითი	— გვემოს	იცხოვროს	იჯდეს
I თურმეობითი	— უგვემია	უცხოვრია	მჯდარა
II თურმეობითი	— ეგვემა	ეცხოვრა	მჯდარიყო
III კავშირებითი	— ეგვემოს	ეცხოვროს	მჯდარიყოს

ამ ქვეჯგუფში შემოვა ძირითადი ნაწილი იმ ზმნებისა, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში საშუალი გვარის ზმნათა მონაცვლედ მიიჩნევა მყოფადის წრესა და II-III სერიების მწკრივებში: იაზროვნებს, იარსებებს, იმეტყველებს, იტრიალებს (ის), იეჭვიანებს, იექიმებს, იგულისხმებს... იდგება, იწვება...

აქ გაერთიანდება ასევე ნაწილი დინამიკური გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნებისა: ამხილებს, აწამებს, ბრძანებს, შობს, უდეპეშებს, თანაუგრძნობს, უმზერს... ასაზრდოებს, აშრომებს და სხვა.

3. ზმნები, რომელთაც მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები მოეპოვებათ ყველა მწკრივში:

აწმყო-მყოფადი	— აღ-იქვამს	გან-აგრძობს	აღმო-ცენდება
უწყვეტ.-ხოლმ.	— აღ-იქვამდა	გან-აგრძობდა	აღმო-ცენდებოდა
I კავშირებითი	— აღ-იქვამდეს	გან-აგრძობდეს	აღმო-ცენდებოდეს
წყვეტილი	— აღ-იქვა	გან-აგრძო	აღმო-ცენდა
II კავშირებითი	— აღ-იქვას	გან-აგრძოს	აღმო-ცენდეს
I თურმეობითი	— აღ-უქვამს	გან-უგრძვია	აღმო-ცენებულა
II თურმეობითი	— აღ-ექვა	გან-ეგრძო	აღმო-ცენებულიყო
III კავშირებითი	— აღ-ექვას	გან-ეგრძოს	აღმო-ცენებულიყოს

ამ ქვეჯგუფში შემოვა უმთავრესად ის ზმნები, რომელთაც ზმნისწინთა არქაული ფორმები შემოინახეს (აღიარებს, აღნუსხავს, აღუთქვამს, აღჭურავს... განმუხტავს, განავრცობს... წარმოშობს... შთააგონებს...). არის სხვა შემთხვევებიც (დასძენს, მიირთმევს, მიქარავს, მოუ-

წოდებს...), უმთავრესად ისეთი, როცა ზმნისწინის მოშორება ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას შეუცვლის....

4. ზმნები, რომელთაც I სერიის მწკრივებში პარალელური — ზმნისწინიანი და უზმნისწინო — ფორმები მოეპოვებათ, ხოლო II და III სერიის მწკრივებში — მხოლოდ ზმნისწინიანი:

აწმყო-მყოფ.	– (გა)-თბება	(და)-ემალება	(გა)-კეთდება
უწყვ.-ხოლმ.	– (გა)-თბებოდა	(და)ემალებოდა	(გა)-კეთდებოდა
I კავშირ.	– (გა)-თბებოდეს	(და)-ემალებოდეს	(გა)-კეთდებოდეს
წყვეტილი	– გა-თბა	და-ემალა	გა-კეთდა
II კავშირ.	– გა-თბეს	და-ემალოს	გა-კეთდეს
I თურმ.	– გა-მთბარა	და-მალვია	გა-კეთებულა
II თურმ.	– გა-მთბარიყო	და-მალვოდა	გა-კეთებულიყო
III კავშირ.	– გა-მთბარიყოს	და-მალვოდეს	გა-კეთებულიყოს

ამ ქვეჯგუფში შემოვა უმთავრესად ვნებითი გვარის ზმნები.

III ტიპის უღლების ზმნებში ზმნისწინი პოლიფუნქციურია: ხშირად ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის გამომხატველი.

შენიშვნა: ა) ე. წ. მედიოაქტიურ ზმნებთან არის ტენდენცია **მო, წა-** ზმნისწინთა სპეციფიკური ფუნქციით გამოყენებისა (წაიბავშვებს, წაიპოეტებს... მოიბეჯითებს, მოისულელებს...) ზმნები, რომლებიც ამგვარი ფუნქციით გამოიყენებს ზმნისწინებს, მესამე ჯგუფში შევა — ზმნისწინს ყველა მწკრივში შეინარჩუნებს.

ბ) იმისდა მიხედვით, თუ რა სემანტიკას ანიჭებს ზმნისწინი ზმნურ ფორმას, ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა ზმნისწინით შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში მოხვდეს.

გ) ასევე: შეიძლება ერთი და იგივე ზმნა ზოგჯერ სხვადასხვა ტიპის უღლებაში მოხვდეს იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება. მაგ.: **სცემს** — მნიშვნელობით „დედა ბავშვს სცემს“ III ტიპის უღლებისა იქნება, ხოლო მნიშვნელობით „თმა კოჭებამდე სცემს“ — II ტიპის უღლებისა. ასევე: **ცრის** — მნიშვნელობით „ქალი ფქვილს ცრის“ III ტიპის უღლების ზმნაა, ხოლო მნიშვნელობით „წვიმა ცრის“ — II ტიპის უღლებისა.

მწკრივის ფორმათა წარმოების შესაძლებლობათა მიხედვით ზმნების დაჯგუფებამ ერთი საინტერესო ფაქტიც წარმოაჩინა:

ა) თუ ზმნას აქვს უწყვეტელ-ხოლმეობითისა და I კავშირებითის ფორმები, აუცილებლად ექნება აწმყო-მყოფადის ფორმაც. ბ) თუ ზმნას აქვს II და III სერიის მწკრივთა ფორმები, აუცილებლად ექნება I სერიის მწკრივთა ფორმებიც.

წესი შექცევადი არაა: ზმნას შეიძლება ჰქონდეს აწმყო-მყოფადის ფორმა, მაგრამ არ ეწარმოებოდეს სხვა მწკრივის ფორმები. ანდა: ზმნას შეიძლება ჰქონდეს I სერიის მწკრივთა ფორმები, მაგრამ არ ეწარმოებოდეს II და III სერიის ფორმები.

ეს ფაქტები გარკვეულად **მხარს უჭერს მწკრივთა ტრადიციულ დაჯგუფებას, მართებულობას...**

ერთი საინტერესო კანონზომიერებაც ირკვევა: თუ ზმნას აქვს უწყვეტელ-ხოლმეობითის ფორმა, ექნება I კავშირებითიც. ასევე — თუ ზმნას აქვს წყვეტილის ფორმა, ექნება II კავშირებითიც. ფაქტი იმითაა საინტერესო, რომ უწყვეტელ-ხოლმეობითი და I კავშირებითი, ერთი მხრივ, და წყვეტილი და II კავშირებითი, მეორე მხრივ, ურთიერთჩანაცვლებული ფორმებია. ასეთივე დამოკიდებულება არაა აწმყო-მყოფადსა და უწყვეტელ-ხოლმეობითს შორის. ეს ორი მწკრივი ერთმანეთს ხაზოვანი პრინციპით მიემართება.

შენიშვნა: ის, რაც ითქვა ახალი ქართულის სისტემის მაგალითზე, ითქმის ძველი ქართულისა და დიალექტების სისტემათა მიმართაც. განსხვავებული მწკრივები ამ კანონზომიერებას არ არღვევს. I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი) ჩანაცვლების პრინციპით მიემართება უწყვეტელსა და I კავშირებითს, ხოლო II ხოლმეობითი — წყვეტილსა და II კავშირებითს. შესაბამისად, თუ ზმნას აქვს უწყვეტლის ფორმა, ექნება უწყვეტლის ხოლმეობითიც; ასევე: თუ გვაქვს წყვეტილის ფორმა, გვექნება II ხოლმეობითიც. სხვაგვარად: ურთიერთჩანაცვლებად ფორმათაგან თუ არსებობს ერთ-ერთი, იქნება დანარჩენიც.

ჩვენი აზრით, ჯერჯერობით ამოუხსნელი, მაგრამ საინტერესო კანონზომიერება ჩანს დაფარული ამ ფაქტებში.

IV. 5.5. I სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

IV. 5.5.1. თემა. თემის ნიშნები

IV. 5.5.1.1. ***რა არის თემა:*** ითქვა: რომ „ფუძე უნდა განვიხილოთ, როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი“, რომელიც „საყრდენია ფორმათა სისტემისათვის“ (ბ. ჯორბენაძე). და თუკი ფუძე არის პერმანენტულად ცვლადი მონაცემი, საყრდენი ფორმათა სისტემისათვის, მაშინ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ფუძეზე უნდა იყოს საუბარი და ასეც არის: „ყველაფერი ის, რაც საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის, ფუძედ უნდა იწოდოს“. მაგრამ ზმნურ ფორმათა ანალიზმა მოითხოვა ტერმინოლოგიურადაც განსხვავებულიყო სხვადასხვა ფორმისა თუ ფორმათა სისტემისათვის გამოყენებული ფუძე და შემოვიდა პირობითი ტერმინები: **ფუძე** (= მწკრივის ფუძეს), **თემა** (= სერიის ფუძეს) და „**ძირი**“ (= სრული პარადიგმის ფუძეს). მწკრივის ფუძე იმდენია, რამდენი მწკრივიც გამოიყოფა. რა არის **თემა?** ტერმინისა თუ შესაბამისი ცნების დამკვიდრება ქართულ გრამატიკაში ა. შანიძის დამსახურებაა.

მოვიყვანთ ამონარიდს 1930 წლის გრამატიკიდან (ვფიქრობთ, მოვლენის არსი აქ უკეთაა გამოხატული): „პირიელი ზმნის ჩონჩხს წარმოადგენს თემა, რომელზედაც ასხმულია ფორმა. **თემა ჰქვია უცვალებელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში**, ე. ი. რომლის დაპირისპირებითაც ცვალებადია პ ი რ ი ს ა, რ ი ც ხ ვ ი ს ა, ქ ც ე ვ ი ს ა, დ რ ო ი ს ა და კ ი ლ ო ს ნიშნები (ხაზი ჩვენია). თემათა სხვადასხვაობა საფუძვლად უდევს დრო-კილოთა ორ სერიად დაყოფას ქართულში ზმნათა დიდი უმრავლესობისთვის მორფოლოგიურადაც“ (ა. შანიძე). სწორედ თემათა განსხვავება დაედო საფუძვლად საუღლებელი ფუძის პრინციპით ზმნათა დაჯგუფებას სერიებად; უფრო სწორად, I და II სერიის გამოყოფას. „რაიცა შეეხება III სერიას, მას საკუთარი თემა არ გააჩნია და ჩვეულებრივ იგი ან პირველი სერიის თემას სარგებლობს (უფრო ხშირად), ან არადა მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპზე აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველისა და მეორე სერიის დრო-კილოები“ (ა. შანიძე). ამიტომაცაა, რომ თემაზე საუბრისას განიხილავენ I და II სერიის ვითარებას; III სერიის შემთხვევაში საერთო ფუძის პრინციპი ახალ ქართულში ძველისაგან არსებითად განსხვავებულია, თუმცა ეს საგანგებო მსჯელობას საჭიროებს. ამ საკითხს III სერიის ფორმათა წარმოების განხილვისას დავუბრუნდებით.

I სერიის მწკრივთათვის საყრდენ ფუძეს **I სერიის თემა** ეწოდება, II სერიის მწკრივთათვის საყრდენ ფუძეს — **II სერიის თემა**.

გამოყოფენ ერთთემიან და ორთემიან ზმნებს: „ერთთემიანი ზმნა, რომელსაც პირველისა და მეორე სერიის ფორმები ერთსა და იმავე ბაზისზე აქვს დაყრდნობილი.

ორთემიანი ზმნა, რომელსაც პირველსა და მეორე სერიაში განსხვავებული თემები მოეპოვება“ (ა. შანიძე). მაგალითად,

ერთემიანია	ორთემიანია
(და)ვ-**წერ**	(და)ვ-**ხატ-ავ**
(და)ვ-**წერ**-დ-ი	(და)ვ-**ხატ-ავ**-დ-ი
(და)ვ-**წერ**-დ-ი	(და)ვ-**ხატ-ავ**-დ-ე
(და)ვ-**წერ**-ე	(და)-ვ-**ხატ**-ე
(და)-ვ-**წერ**-ო	(და)ვ-**ხატ**-ო

მეორე შემთხვევაში **ხატ** მარტივი თემაა, **ხატ-ავ** — რთული. მარტივ და რთულ თემათა განმასხვავებელ ელემენტს **თემის ნიშანი** დაერქვა. თემის ნიშნებად გამოყოფენ სუფიქსებს: **-ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ, -ოფ, -ემ**...

საუბრობენ გავრცობილ და გაუვრცობელ თემაზეც; I სერიის ორ მწკრივს თემა გავრცობილი აქვს **-დ,** ან **-ოდ**-ის დართვით, რომელთაც სავრცობს ვეძახით.

ორთემიანად მიიჩნევა ფუძის გახმოვანებით დაპირისპირებული ზმნებიც:

I სერია	**II სერია**
ვ-გრ**ე**ხ	ვ-გრ**ი**ხ-ე
ვ-გრ**ე**ხ-დ-ი	ვ-გრ**ი**ხ-ო
ვ-გრ**ე**ხ-დ-ე	

საუბარია მხოლოდ იმ შემთხვევაზე, როცა I სერიის თემა **ე** გახმოვანებითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე სერიის თემა — **ი** გახმოვანებით. ვფიქრობთ, უნდა ვისაუბროთ გახმოვანების სხვა ვარიანტზეც: როცა I სერიის თემა უხმოვნოა, მეორე სერიისა — **ა**-ხმოვნიანი:

ვ-**ზრდ**-ი
ვ-**ზრდ**-იდი
ვ-**ზრდ**-იდე
ვ-**ზარდ**-ე
ვ-**ზარდ**-ო

თუმცა სანამ ამ საკითხზე ვისაუბრებთ, ამგვარ ზმნებში **-ი** სუფიქსის რაობა არის გასარკვევი.

რა არის ვ-ზრდ-**ი**, ვ-თლ-**ი,** ვ-თვლ-**ი** ტიპის ზმნებში **-ი** ბოლოსართი?

IV. 5.5.1.2. -ი ელემენტის თაობაზე ზრდ-ი-ს ტიპის ზმნებში. სამეცნიერო ლიტერატურაში **ვ-ზრდ-ი** ტიპის ზმნებთან აწმყოში გამოვლენილი **ი** ელემენტი თემის ნიშნად გაიაზრება (ა. შანიძე). ყველა სახის გამოკვლევასა თუ სახელმძღვანელოში ეს აზრი გაზიარებულია.

საფუძველი ამგვარი გააზრებისა ის არის, რომ **ი** გასდევს I სერიის პარადიგმას ყველა მწკრივში:

(გა)-ვ-ზრდ-**ი**	შდრ.:	ვ-კლ-**ავ**
(გა)-ვ-ზრდ-**ი**დი		ვ-კლ-**ავ**-დი
(გა)-ვ-ზრდ-**ი**დე		ვ-კლ-**ავ**-დე

მიღებული განმარტებების მიხედვით, **ზრდ-ი** საერთო ფუძეა პირველი სერიის მწკრივთათვის, ამიტომ I სერიის თემად იქნა მიჩნეული: ამ ზმნის მეორე სერიის თემა იქნება **ზარდ:**

ვ-**ზარდ**-ე

ვ-**ზარდ**-ო

I და II სერიების თემათა შეპირისპირებამ ხელი შეუწყო **ი** ელემენტის თემის ნიშნად გააზრებას.

ვფიქრობთ: **ი** სხვადასხვა ოდენობაა აწყოსა და I სერიის სხვა მწკრივებში; აწმყოში **-ი** მწკრივის ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო სხვა მწკრივებში **ი** ხმოვნითი ნაწილი ჩანს **იდ** სუფიქსისა. რა გვაძლევს ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს?

1. თემის ნიშანთა სისტემაში **ი** განცალკევებით დგას. თემის ნიშნებად გამოიყოფა **ავ, ამ, ებ, ობ, ემ, ოფ, ევ**.

სტრუქტურა თემის ნიშნებისა ყველა შემთხვევაში ერთგვარია: **VC**. განსხვავებული სტრუქტურისა ერთადერთი იქნება **ი**, თუკი მას მივიჩნევთ თემის ნიშნად...

2. **ი** არის ერთადერთი თემის ნიშნად მიჩნეული ელემენტი, რომელიც არ ჩანს საწყისში; სხვა თემის ნიშნები საწყისში ჩვეულებრივ იჩენს თავს: ცნობილია: „საწყისის ნიშანია **ა**, რომელიც დაერთვის I სერიის თემას, გაუვრცობელს, ე. ი. იმ თემას, რომელიც აწმყოს (ან მყოფადის) ფორმებში ჩანს“ (ა. შანიძე).

-ავ:	ხატ-**ვ**-ა,	მალ-**ვ**-ა,	პარ-**ვ**-ა...
-ამ:	დგ-**მ**-ა,	ბ-**მ**-ა,	ჩა-ც-**მ**-ა...
-ებ:	კეთ-**ებ**-ა,	შენ-**ებ**-ა,	გა-ღ-**ებ**-ა...
-ოფ:	ყ-**ოფ**-ა...		
-ემ:	ც-**ემ**-ა...		
-ევ:	და-ბნ-**ევ**-ა...		

მაგრამ: ზრდ-**ი**-ს — ზრდ-ა
თლ-**ი**-ს — თლ-ა
შლ-**ი**-ს — შლ-ა
ყრ-**ი**-ს — ყრ-ა...

თვლიან, რომ „ა-ს დართვის გამო **ინ**იან ზმნებში იკვეცება თემის ნიშანი **ი**“ (ა. შანიძე). ეს დასკვნა ძნელი გასაზიარებელია: ოდენხმოვნიანი ელემენტის უკვალოდ გაქრობა არაა მოსალოდნელი: მორფოლოგიური თვალსაზრისით გართულდებოდა ფორმის მნიშვნელობის გაგება... ამიტომ, საწყისებში გამოვლენილი **-ა** სუფიქსის გავლენას ვერ მივაწერთ **ი** ელემენტის არქონას **ზრდ-ა** ტიპის ფორმებში: თემის ნიშნები ყველა შემთხვევაში იქნა შენარჩუნებული; სხვა ზმნებში საჭიროების შემთხვევაში მოხდა სხვადასხვა ელემენტთა ჩართვა (**ნ, ოლ, ომ**...).

ი ელემენტის არქონა საწყისურ ფორმებში ეჭვს შეგვატანინებს იმაში, რომ **ი** თემის ნიშანია.

3. ჩვეულებრივ I სერიის თემას ემყარება მოქმედებითი გვარის მიმღეობაც:

	ხატ-**ავ**-ს	—	და-მ-ხატ-**ვ**-ელ-ი
	დგ-**ამ**-ს	—	და-მ-დგ-**მ**-ელ-ი
	აშენ-**ებ**-ს	—	მ-შენ-**ებ**-ელ-ი
	თმ-**ობ**-ს	—	და-მ-თმ-**ობ**-ი
	ყ-**ოფ**-ს	—	გა-მ-ყ-**ოფ**-ი...
მაგრამ:	ზრდ-**ი**-ს	—	მ-ზრდ-ელ-ი...

მიიჩნევენ, რომ **-ი**, ისევე როგორც საწყისში, ფონეტიკურ ნიადაგზე არის გაუჩინარებული (მომდევნო **ე** ხმოვნის გავლენით) (ა. შანიძე), თუმცა ისევე როგორც საწყისის შემთხვევაში, არც ამ ფორმაშია მოსალდნელი „**ი**-ს მოკვეცა“.

4. ძველ ქართულში I თურმეობითის წარმოება ერთგვაროვანია ყველა თემისნიშნიან ზმნაში: I სერიის რთული თემა არის საყრდენი:

აღუ-**შენ-ებ**-იეს, აღუ-**ლ-ებ**-იეს, განუ-**ტფ-ობ**-იეს, მიუ-**ც-ემ**-იეს, დაუ-**მალ-ავ**-ს, დაუ-**დგ-ამ**-ს...

მარტივთემიანი (ერთემიანი, ფუძედრეკადი) ზმნები მარტივ თემაზე დაირთავენ **-იეს** დაბოლოებას:

დაუ-**წერ**-იეს, მოუ-**დრეკ**-იეს...

სწორედ მარტივთემიანი ზმნების მსგავსად იწარმოებს I თურმეობითს ე. წ. **ი** თემისნიშნიანი ზმნები:

განუ-**ჭრწნ**-იეს, მოუ-**გურ**-იეს, უ-**ღუწ**-იეს...

ეს ფაქტიც, ჩვენი აზრით, დასტურია იმისა, რომ **-ი** ელემენტი **ზრდ-ი-ს** ტიპის ზმნებში არ არის თემის ნიშანი.

არსებითი კითხვა: **-ი** I სერიის მთელ პარადიგმაში რომ მეორდება, ეს როგორ აიხსნას?

(გა)ზრდ-**ი**-ს
(გა)ზრდ-**ი**-დ-ა
(გა)ზრდ-**ი**-დ-ე-ს

მთავარი სათქმელი: **-ი** ელემენტი არ არის ერთი და იგივე ოდენობა აწმყო-მყოფადსა და სხვა მწკრივებში; აწმყო-მყოფადში **ი** მწკრივის კუთვნილებაა; ასე ვთქვათ, მწკრივის ნიშანია; ისეთივე ბოლოსართია (თავისი ფუნქციით), როგორიც ვნებითებში (ვთბებ-**ი**, ვიზრდებ-**ი**...) თუ სტატიკურ ზმნებში (ვიცი, ვუწყი, ვიცინ-ი, ვტირ-ი...); არ ვსაუბრობთ ამ ზმნებში წარმოდგენილი **ი** ელემენტის გენეტურ იგივეობაზე; მათი ფუნქციაა ერთი და იგივე: დაერთვის აწმყოს ფორმას და არ გადაჰყვება სხვა მწკრივებში. რაც შეეხება უწყვეტელსა და I კავშირებითს, ამ ფორმებში წარმოდგენილი **-ი -იდ** სუფიქსის ხმოვნითი ნაწილია. პარადიგმა ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

ვ-ზრდ-ი
ვ-ზრდ-**იდ**-ი
ვ-ზრდ-**იდ**-ე

-იდ მორფოლოგიურად ისეთივე ოდენობაა, როგორიც **-დ** და **-ოდ** შესაბამის სავრცობიან მწკრივებში.

არის კი ასე? ქვევით ვეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

მანამდე კიდევ რამდენიმე საკითხი თემის ნიშანთან დაკავშირებით.

IV. 5.5.1.3. *-ავ* და *-ამ* თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში. ახალ ქართულში ზმნურ ფორმაწარმოებაში მომხდარ ცვლილებათაგან ყურადღებას იქცევს **-ავ** და **-ამ**

თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმების **-ებ** სუფიქსიან წარმოებაზე გადასვლის ფაქტი:

ძვ. ქართ.:	ი-მალ-ვ-ი-ს	ახ. ქართ.:	ი-მალ-ებ-ა
	ი-კარგ-ვ-ი-ს		ი-კარგ-ებ-ა
	ი-თქმ-ი-ს		ი-თქ-მ-ებ-ა...

ვითარება თითქოს მარტივია — შეიცვალა ვნებითის წარმოების ტიპი. რამდენიმე ზმნამ ძველი წარმოებაც შემოგვინახა: იწვის, იძვრის, ერთვის და მისთ. ეს ცნობილი ფაქტია.

ახალ ქართულში **-ავ** თემისნიშნიანი ზმნები ვნებითის წარმოების მიხედვით ორ ჯგუფად უნდა გაიყოს:

1. როცა **-ავ** თემის ნიშანი **-ებ** სუფიქსიან ვნებითებში შენარჩუნებულია (ფონეტიკურად სახეცვლილი — ხმოვანგაუჩინარებული):

რგ-**ავ**-ს	—	ი-რგ-**ვ**-ებ-ა
რწყ-**ავ**-ს	—	ი-რწყ-**ვ**-ებ-ა
ხშ-**ავ**-ს	—	ი-ხშ-**ვ**-ებ-ა...

2. როცა **-ავ** თემის ნიშანი **-ებ** სუფიქსიან ვნებითებში არ გადაჰყვება ზმნას:

მალ-**ავ**-ს	—	ი-მალ-**ებ**-ა
ხატ-**ავ**-ს	—	ი-ხატ-**ებ**-ა
თეს-**ავ**-ს	—	ი-თეს-**ებ**-ა...

რაც შეეხება **-ამ** თემის ნიშანს, იგი ვნებითის ფორმებში ყოველთვის შენარჩუნებულია (რა თქმა უნდა, ფონეტიკურად სახეცვლილი — ხმოვანგაუჩინარებული):

ა-ბ-**ამ**-ს	—	ე-ბ-**მ**-ებ-ა
ა-დგ-**ამ**-ს	—	ე-დგ-**მ**-ებ-ა
აღ-ი-ქვ-**ამ**-ს	—	აღი-ქ-**მ**-ებ-ა (←აღიქვმება)...

შეინიშნება კანონზომიერება: **-ავ** თემის ნიშანი ვნებითის ფორმებში გადაჰყვება ზმნებს, რომელთა ძირეული მორფემა უმარცვლოა; მარცვლოვანი ძირეული მორფემის მქონე ზმნები **-ავ** თემის ნიშანს ვნებითის ფორმებში არ გამოავლენენ. რამდენადაც **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა მორფემა ყველა შემთხვევაში უმარცვლოა, ვნებითის ფორმებში **-ამ** თემის ნიშანი ყოველთვისაა წარმოდგენილი.

ამდენად, უმარცვლო ძირეული მორფემის შემცველი **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები მოქმედებითისეულ თემას ვნებითის ფორმებში სრულად წარმოგვიდგენს... კითხვაზე — რა ხდება? — პასუხის გაცემა იოლად ხერხდება. კითხვაზე რატომ? — პასუხი ჭირს.

უმარცვლო ძირის მქონე **-ავ** თემისნიშნიანი ზმნა არცთუ ცოტაა:

	რგ-ავ-ს	—	ი-რგ-ვ-ებ-ა
	რთ-ავ-ს	—	ი-რთ-ვ-ებ-ა
	კლ-ავ-ს	—	ი-კლ-ვ-ებ-ა → იკვლება
	სხლ-ავ-ს	—	ი-სხლ-ვ-ებ-ა → ისხვლება
	თხზ-ავ-ს	—	ი-თხზ-ვ-ებ-ა
	წნ-ავ-ს	—	ი-წნ-ვ-ებ-ა → იწვნება
	ხნ-ავ-ს	—	ი-ხნ-ვ-ებ-ა → იხვნება
	კრ-ავ-ს	—	ი-კრ-ვ-ებ-ა → იკვრება
	ძრ-ავ-ს	—	ი-ძრ-ვ-ებ-ა → იძვრება
	ხრ-ავ-ს	—	ი-ხრ-ვ-ებ-ა → იხვრება
	მიუ-ზღ-ავ-ს	—	მიე-ზღ-ვ-ებ-ა
	რწყ-ავ-ს	—	ი-რწყ-ვ-ებ-ა
	ხშ-ავ-ს	—	ი-ხშ-ვ-ებ-ა
ასევე:	წვ-ავ-ს	—	ი-წვ-ებ-ა ← ი-წვ-ვ-ებ-ა
	ფქვ-ავ-ს	—	ი-ფქვ-ებ-ა ← ი-ფქვ-ვ-ებ-ა

-ამ თემისნიშნიან ზმნებში:

ა-ბ-ამ-ს	—	ე-ბ-მ-ებ-ა
ა-დგ-ამ-ს	—	ე-დგ-მ-ებ-ა
სვ-ამ-ს	—	ი-სვ-მ-ებ-ა → ისმება
გამო-თქვ-ამ-ს	—	გამო-ი-თქვ-მ-ებ-ა → გამოიქთმება
აღი-ქვ-ამ-ს	—	აღ-ი-ქვ-მ-ებ-ა → აღიქმება
ჩამო-ა-ცვ-ამ-ს	—	ჩამო-ე-ცვ-მ-ებ-ა → ჩამოეცმება
ჩა-ნთქ-ამ-ს	—	ჩა-ი-ნთქ-მ-ებ-ა
შემო-ა-რტყ-ამ-ს	—	შემო-ე-რტყ-მ-ებ-ა
განა-რთხ-ამ-ს	—	გან-ე-რთხ-მ-ებ-ა
ჩაა-სხ-ამ-ს		ჩა-ი-სხ-მ-ებ-ა...

ჩვენს ყურადღებას ვნებითის ფორმათა ანალიზი იქცევს.

ფაქტია, რომ ვნებითში მოქმედებითის ფორმათა თემის ნიშნები შენარჩუნებულია (ფონეტიკურად სახეცვლილი):

რგ-**ავ**-ს — ი-რგ-**ვ**-ებ-ა
დგ-**ამ**-ს — ი-დგ-**მ**-ებ-ა

უჩვეულო თითქოს არაფერია: ქართულში არის შემთხვევები, როცა **-ავ** თემისნიშნიანი ზმნაა, მაგრამ ცურ-ა(ვ)-ობ-ს ტიპის ზმნათა ფორმებში **-ობ** თემის ნიშანი რთულ თემას დაერთო (ამ რიგის მაგალითებია ხტუნავს და ხტუნა(ვ)ობს, გორავს და გორა(ვ)ობს და მისთ...).

ასევე: შ-ობ-ს — შვ-ა **-ობ** (← ვ-ებ) თემისნიშნიანი ზმნაა. დიალექტებში ამგვარი ფორმებიც დასტურდება: შობ-ამ („ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ“ — ილია).

მაგრამ ამ რიგის მაგალითებში **-ავ** თუ **-ობ** თემის ნიშანი ფუძეს შეხორცებული ელემენტია, რამდენადაც ისინი II სერიის ფორმებშიც გადაჰყვება ზმნას და, ამდენად, მათი თემის ნიშნად გააზრება აღარ ხდება: ცურ-ავ-ობ-ს — ი-ცურ-ავ-ა; შობ-ამ-ს — შობ-ა (ამის თაობაზე იხ. § IV. 5.5.10.)...

ამგვარად, ცურ-ავ-ობ-ს თუ შობ-ამ-ს ტიპის ფორმათა შემთხვევაში ფაქტი ნათელია. იცვლება ფუძის სტრუქტურა, ფორმაწარმოებაში ეს სირთულეს არა ქმნის: ძველი თემის ნიშანი ფუძისეულ ელემენტად გაიაზრება და ზმნა ახალ თემის ნიშანს დაირთავს.

სხვაგვარია ვითარება ჩვენს შემთხვევაში. ი-რგ-ვ-ებ-ა — ი-დგ-მ-ებ-ა ტიპის ფორმებს ვ(← ავ) და მ(← ამ) ელემენტები II სერიაში აღარ გადაჰყვება:

ი-რგ-ვ-ებ-ა — და-ი-რგ-ა
ი-დგ-მ-ებ-ა — და-ი-დგ-ა...

რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ვ(← ავ) და მ(← ამ) ელემენტებს განსახილველ ფორმებში?

თუ მათ თემის ნიშნებად მივიჩნევთ, გამოდის, რომ ერთ სტრუქტურაში ერთი სისტემის ორი ელემენტია წარმოდგენილი, რაც თავისთავად დაუშვებელია და, საერთოდ, არის კი შესაძლებელი ვ(← ავ), მ(← ამ) და -ებ ელემენტების დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ელემენტებად მიჩნევა? ვფიქრობთ, რომ არა: ვ-ებ(← ავ-ებ), მ-ებ(← ამ-ებ)

განსახილველი ტიპის ზმნებში ერთი მორფოლოგიური ოდენობაა და მისი დაშლა მორფოლოგიის დონეზე არ მოხერხდება. ყოველ შემთხვევაში, თუ დავშლით, შეუძლებელი იქნება მათთვის ცალ-ცალკე ფუნქციის მისადაგება.

აღნიშნულ ფორმათა საანალიზოდ სხვა ტიპის ვნებითების მოშველიება (მაგ.: ხატ-ავ-ს — ი-ხატ-ებ-ა...) და ამის საფუძველზე ი რ გ ვ ე ბ ა - ი დ გ მ ე ბ ა ფორმებში ოდენ -ებ სუფიქსის გამოყოფა, არ იქნებოდა გამართლებული.

ვებ (← ავ-ებ), მებ (← ამ-ებ) ერთი მორფოლოგიური ოდენობაა; ისინი განსახილველი ტიპის ზმნათა I სერიის ფუძის მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ და კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც რთული თემის ნიშნები; ამდენად, თემის ნიშანთა სისტემაში მარტივ (-ავ, -ამ, -ებ, -ობ...) თემის ნიშანთა გვერდით უნდა იქნეს წარმოდგენილი რთული **ვებ**(← ავებ), **მებ**(← ამებ) თემის ნიშნებიც, რომლებიც უმარცვლო ძირის მქონე -ავ და -ამ თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნათა შესაბამის ვნებითებთან გამოიყენება.

IV. 5.5.1.4. *ევ/ივ* სუფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში. ევ/ივ სუფიქსი გვხვდება როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ზმნებში (-ევ პირველი სერიის ფორმებთან, -ივ→ი — მეორე სერიის ფორმებთან):

	მოქმ.	ვნებ.
აწმყო:	(ა)-ი/უ-რ-ევ-ს	(ა)-ი/ე-რ-ევ-ა
აორისტი:	ა-ი/უ-რ-ი(ვ)-ა	ა-ი/ე-რ-ი(ვ)-ა

ახალ ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა უმეტესობას -ევ(→ივ) სუფიქსი მეორე სერიის ფორმებში აღარ გადაჰყვება (დაინგრა, დაიმსხვრა, შეინძრა, დაიბნა...); -ევ სუფიქსიან ზმნათა მცირე ნაწილმა ძველი ვითარება შემოინახა (აირ-ი-ა, გაიწ-ი-ა, დაილ-ი-ა, დაეტ-ი-ა...); ზმნათა ერთმა ჯგუფმა პარალელური ფორმები გაიჩინა (დაეხვა || დაეხვია, დაიხა || დაიხია, შეემთხვა || შეემთხვია, გაეთრა || გაეთრია...). -ევ სუფიქსიან ზმნათა ვნებითის ფორმების ახალი ტიპის წარმოებაზე გადასვლის პროცესი დასრულებული არ არის. ტენდენცია აშკარაა და ხანგრძლივი ისტორია აქვს (სათავეს ძველ ქართულში იღებს).

ეს მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, შენიშნულია (ა. შანიძე). მეორე სერიის ფორმებში **ივ** ფორმანტის დაკარგვა ინიან ვნებითებში ომოფორმათა თავიდან აცილებით (შდრ.: დაინგრია

მან ის / დაინგრია ის > დაინგრა), ხოლო ენიან ვნებითებში ანალოგიით (დაენგრა < დაენგრია პროცესი დაინგრა ფორმის ანალოგიით ხდებაო) აიხსნება.

ვფიქრობთ, შესაძლებელია საკითხის სხვაგვარად დასმა:

ახალ ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს წარმოების ორი ძირითადი ყალიბი არსებობს: ა) ძირი + თემის ნიშანი + ი (თბ-ებ-ი, ე-რთ-ობ-ი...).

ბ) ძირი + დ + თემის ნიშანი + ი (ბერ-დ-ებ-ი...).

ყველა ტიპის ვნებითი ამ ორ ყალიბში თავსდება. გამონაკლისს ქმნიდა მხოლოდ -ევ/-ივ სუფიქსიანი ზმნები (ევ/ივ აღწერის დონეზე ძირეულ მასალად განიხილება — ა-რევ-ს / ა-რივ-ა; შდრ.: დრეკ-ს (დრიკ-ა).

ყალიბის გავლენის შედეგად განსახილველი ტიპის ზმნებში მოხდა -ევ/-ივ ფორმანტის გადააზრიანება და ფუნქციურად მისი გაიგივება თემის ნიშნებთან (-ებ, -ავ...); ამან კი მეორე სერიის ფორმებში -ივ ფორმანტის გაქრობა გამოიწვია: ი-ნგრ-ევ-ა / და-ი-ნგრ-ა (შდრ.: ი-შლ-ებ-ა / გა-ი-შალ-ა).

ამგვარად, ჩვენი აზრით, ვნებითი გვარის -ევ სუფიქსიან ზმნათა ახალი ტიპის წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია შინაარსობრივად იდენტურ ფორმათა ფორმობრივად ერთგვარ ყალიბში მოქცევის ფაქტია.

ამ ფაქტმა არსებითი ხასიათის კორექტივი შემოიტანა ენაში: გენეტურად (და ფუნქციურად) ერთი და იგივე -ევ ფორმანტი ვნებითებსა და შესაბამის მოქმედებითებში სხვადასხვაგვარად უნდა იქნეს კვალიფიცირებული: ვნებითებში — როგორც თემის ნიშანი; მოქმედებითებში — ძირს შეხორცებული, ამჟამად მორფოლოგიურად უფუნქციო ელემენტი.

IV. 5.5.2. თემის გავრცობა. სავრცობი

IV. 5.5.2.1. სავრცობის რაობისათვის. თუ როგორ უნდა იქნეს გააზრებული **-ოდ** დაბოლოება — ერთ მორფოლოგიურ ოდენობად თუ ორ მორფემად, ამ საკითხის გარკვევა უწყვეტლის წარმოებასთანაა დაკავშირებული.

ვიცით: უწყვეტელი აწმყოსაგან ხაზოვანი პრინციპით ნაწარმოები მწკრივია; ასეა ეს ყველა ტიპის ზმნასთან.

უწყვეტლის ფუძეს აწმყოს ფუძისაგან ე. წ. სავრცობი აწარმოებს:

ვ-**წერ**	→	ვ-**წერ-დ**,
ვა-**კეთ-ებ**	→	ვა-**კეთ-ებ-დ**,
ვ-**ტირ**-ი	→	ვ-**ტირ-ოდ**-ი...

სავრცობიან ფუძეს გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ თ ე მ ა ს უწოდებენ (ა. შანიძე).

სავრცობად ჩვეულებრივ მიიჩნევენ **-დ** და **-ოდ** მორფემებს (გავრცელებული ტერმინოლოგიით — **დ**ონიანი ზმნები და **ოდ**იანი ზმნები).

თითქოსდა იძებნება **-დ** და **-ოდ** სუფიქსთა განაწილების პრინციპიც: „გავრცობილი თემა ვნებითი გვარის ზმნისა ყოველთვის **ოდ**-ით არის ნაწარმოები: ვი-**ქებ**-ი — ვი-**ქებ-ოდ**-ი; ვ-**შავდ-ებ**-ი — ვ-**შავდ-ებ-ოდ**-ი; ვ-**თბებ**-ი — ვ-**თბებ-ოდ**-ი და მისთ. ამავე სავრცობს დაირთავს საშუალი გვარის ზმნები, რომელთაც აწმყოში მწკრივის ნიშნად **ი** აქვთ (...): **ხტ**-ი-ს — **ხტ-ოდ**-ა, ჰ-**შვენ**-ი-ს — ჰ-**შვენ-ოდ**-ა... გამონაკლისის სახით ეგევე **ოდ** აქვს რამდენიმე გარდამავალ ზმნას, რომელთაც გაფორმების თვალსაზრისით ვნებითისებრი ნიშნები აქვს აწმყოში (ან მყოფადში): ისვრ-ი-ს — ისვრ-**ოდ**-ა, იტყვ-ი-ს — იტყ-**ოდ**-ა“ (ა. შანიძე).

ყველა დანარჩენი ზმნა **დ** სავრცობს დაირთავს...

ვითარება თითქოს მარტივია, მაგრამ პრობლემა შექმნა **-ავ/ -ამ** თემისნიშნიანმა ზმნებმა ძველ ქართულში. გავიხსენოთ -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმა:

ვ-კლ-**ევ-დ**-(ი)	ვ-სუ-**ემ-დ**-(ი)
ჰ-კლ-**ევ-დ**-(ი)	ჰ-სუ-**ემ-დ**-(ი)
კლ-**ვ-იდ**-ა	სუ-**მ-იდ**-ა
ვ-კლ-**ევ-დ**-ი-თ	ვ-სუ-**ემ-დ**-ი-თ
ჰ-კლ-**ევ-დ**-ი-თ	ჰ-სუ-**ემ-დ**-ი-თ
კლ-**ვ-იდ**-ეს	სუ-**მ-იდ**-ეს

შენიშვნა: 1. ამ შემთხვევაშიც **-ამ** თემისნიშნიანები ისევე იუღლიან, როგორც **-ავ** თემისნიშნიანები. ამიტომ ვისაუბრებთ **-ავ** თემისნიშნიანებზე. დასკვნები გავრცელდება **-ამ** თემისნიშნიანებზეც.

2. III პირში დაბოლოება **-ვიდ-** არის წარმოდგენილი I ხოლმეობითისა და I კავშირებითის ყველა ფორმაში; ასევე: ე. წ. „I ბრძანებითის“ III პირის მრავლობითის

ფორმაში (კლ-ვიდ-ედ); ამავე ე. წ. „ბრძანებითის“ სხვა ფორმებში I-II პირთა ვარიანტია წარმოდგენილი **-ევ-დ** (კლ-ევდ, კლ-ევდ-ი-ნ...).

ეს პარადიგმა მრავალ კითხვას აღძრავს:

— რას წარმოადგენს I და II პირის ფორმებში გამოვლენილი **ე** ხმოვნიანი ვარიანტი -ევ/-ემ?

— რა მიმართებაა აწმყოში გამოვლენილ **ა** ხმოვნიან ვარიანტებსა (-ავ/-ამ) და **ე** ხმოვნიან ვარიანტებს შორის?

— რომელი სუფიქსის უხმოვნო ვარიანტია III პირის ფორმებში გამოვლენილი **-ვ/ -მ**?

— რას წარმოადგენს III პირის ფორმებში გამოვლენილი **ი** ხმოვანი: დამოუკიდებელი ელემენტია თუ **იდ** ბოლოსართის ნაწილი?

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მცდელობა ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისა. ჩვენთვის სარწმუნოა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც **-იდ** დაუშლელი, ერთი მორფემაა და იგი ფუნქციურად არის ტოლფასი უწყვეტელში გამოვლენილი **-დ** და **-ოდ** სუფიქსებისა.

IV. 5.5.2.2. *-ავ/ -ამ* თემისნიშნიან ზმნათა პარადიგმა ძველ ქართულში და მასთან დაკავშირებული პრობლემები. -იდ დაბოლოების **-დ** და **-ოდ** სავრცობთა ტოლფას ოდენობად გააზრებისათვის ღირსსაცნობია მთის დიალექტთა ჩვენება: ფშაურის, ხევსურულისა და თუშურის ხოლმეობითის მწკრივთა წარმოება ნათელი მაგალითია იმისა, რომ **-იდ** და **-ოდ** სხვადასხვა დიალექტთა მიერ ერთი და იმავე მორფოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული სუფიქსებია:

თუშურ-ხევსურული	**ფშაური**
I ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი	
ვ-წერ-დ-**იდ**-ი(თ)	ვ-წერ-დ-**ოდ**-ი(თ)
ს-წერ-დ-**იდ**-ი(თ)	ს-წერ-დ-**ოდ**-ი(თ)
წერ-დ-ი-ს/ან	წერ-დ-ი-ს/ან
II ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი	
(და)-ვ-წერ-**იდ**-ი(თ)	(და)-ვ-წერ-**ოდ**-ი
(და)-ს-წერ-**იდ**-ი(თ)	(და)-ს-წერ-**ოდ**-ი
(და)-წერ-ი-ს/ან	(და)-წერ-ი-ს

ის ფაქტი, რომ თუშურში, ხევსურულსა და ფშაურში ხოლმეობითის მწკრივთა წარმოებაში არსებითი მსგავსებაა — I-II პირის ფორმათა გართულება ხდება სავრცობი ელემენტით (-ოდ/-იდ) — კონვერგენციის პროცესის მოქმედების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული.

რაც შეეხება არსებით განსხვავებას — თუშურ-ხევსურული **-იდ**, ფშაური — **-ოდ** — დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციის მოქმედების შედეგი უნდა იყოს: ამ შემთხვევაში დიალექტური განსხვავებულობისადმი, დიალექტური თავისებურებებისადმი დამოკიდებულება შეგნებულია — ენობრივი ცნობიერების დონეზე ხდება. ფშაველი თავის ფშავლობას განსხვავებული ენობრივი ფორმებით წარმოადგენს. ისევე, როგორც ხევსური (თუ თუში) თავის ხევსუროობას (თუ თუშობას) სწორედ ხევსურული (თუ თუშური) მეტყველების თავისებურებებით გამოავლენს.

ამჯერად ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ ერთი და იმავე მიზნით ტოლფასი ენობრივი საშუალებებიდან (-იდ/-ოდ) ერთი დიალექტი ერთ მაწარმოებელს გამოიყენებს, მეორე — სხვას.

ამას მივიჩნევთ ჩვენ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად იმის სამტკიცებლად, რომ **-იდ** არის **-დ** და **-ოდ** ფორმანტთა ტოლფასი მორფოლოგიური ოდენობა.

IV. 5.5.2.3. *-დ, -იდ, -ოდ* სავრცობთა განაწილების საფუძველი I სერიაში. დავუბრუნდეთ თემის სავრცობთა თაობაზე გამოთქმულ თვალსაზრისს:

-ოდ ს ა ვ რ ც ო ბ ს დ ა ი რ თ ა ვ ს —

ა) ვნებითი გვარის ყველა ზმნა (იზრდება — იზრდებ-ოდ-ა, ემალება — ემალებ-ოდ-ა, ბერდება — ბერდებ-ოდ-ა, თბება — თბებ-ოდ-ა). გავიხსენოთ: მწკრივის ნიშნად აწმყოში ვნებითებს **-ი** აქვთ.

ბ) საშუალი გვარის ის ზმნები, რომლეთაც აწმყოში მწკრივის ნიშნად **ი** აქვთ (ხტ-ი-ს — ხტ-ოდ-ა, ყვავ-ი-ს — ყვა(ვ)-ოდ-ა...)

გ) ე. წ. დეპონენსები: (ისვრის — ისრ-ოდ-ა, იტყვის — იტყ-ოდ-ა)

დ) გარდამავალ სტატიკურ ზმნებს: იც-ი-ს — იც-ოდ-ა, უწყ-ი-ს — უწყ-ოდ-ა...

მოქმედებითი გვარის ზმნებს, ა. შანიძის აზრით, „იქნება ეს თემა მარტივი თუ რთული, სულ ერთია, ორთავ უნდა დაემატოს **-დ**, რომელსაც სავრცობი ჰქვია“ (ა. შანიძე). ვთქვით ისიც, რომ ა. შანიძისათვის **-იდ** სავრცობი არ არსებობს...

ჩვენი ზემოწარმოდგენილი მსჯელობიდან გავიხსენოთ: **ზრდ-ი-ს**

ტიპის ზმნებში **-ი** მწკრივის ნიშანია და, შესაბამისად: სავრცობიან მწკრივებში სავრცობი **-იდ** სუფიქსია:

ვ-ზრდ-ი	ვ-ქმნ-ი	ვ-თოხნ-ი
ვ-ზრდ-**იდ**-ი	ვ-ქმნ-**იდ**-ი	ვ-თოხნ-**იდ**-ი
ვ-ზრდ-**იდ**-ე	ვ-ქმნ-**იდ**-ე	ვ-თოხნ-**იდ**-ე

მივაქციოთ ყურადღება: სამი ჯგუფი გამოიყოფა ე. წ. **ი** თემისნიშნიან ზმნებში (ა. შანიძე):

ა) ზმნები, რომელთა საყრდენ ძირეულ მორფემაში **ა** ხმოვანია რედუცირებული:

ვ-**ზრდ**-ი	—	ვ-**ზარდ**-ე
ვ-**თლ**-ი	—	ვ-**თალ**-ე
ვ-**თხრ**-ი	—	ვ-**თხარ**-ე
ვ-**სჯ**-ი	—	ვ-**საჯ**-ე
ვ-**ღვრ**-ი	—	ვ-**ღვარ**-ე
ვ-**ცდ**-ი	—	ვ-**ცად**-ე...

ბ) ზმნები, რომელთა საყრდენ ძირეულ მორფემაში **ე** ხმოვანი არის რედუცირებული:

ვ-**ბრდღვნ**-ი	—	(და)ვ-**ბრდღვენ**-ი
ვ-**ქმნ**-ი	—	(შე)-ვ-**ქმენ**-ი
ვუ-**ძღვნ**-ი	—	ვუ-**ძღვენ**-ი
ვ-**ცრ**-ი	—	(გა)-ვ-**ცერ**-ი
ვ-**ჭრ**-ი	—	(გა)-ვ-**ჭერ**-ი...

გ) ზმნები, რომელთაც „თემის ნიშნის წინ ინფიქსი **ნ** აქვს“ (ა. შანიძე):

ვ-გ**ზავნ**-ი	ვ-თოხნ-ი
ვ-კოცნ-ი	ვი-პოვნ-ი
ვ-ძებნ-ი	ვ-ჯობნ-ი

როგორც ვთქვით, ბოლოკიდური **ნ** აფიქსად მიიჩნევა; ჩვეულებრივ არ ჭირს მისი გამონაწევრება (შდრ.: ა-კოც-ა, ე-ძებ-ა, ი-პოვ-ა, ა-ჯობ-ა...); თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ I და II ჯგუფის ზმნათათვის აწმყოს ფორმის საყრდენი შეკუმშული მორფემაა, III ჯგუფის ზმნათა **ნ** ბოლოსართიც ხმოვანდაკარგულ სუფიქსად უნდა იქნეს გააზრებული.

შესაბამისად, ე. წ. **ი** თემისნიშნიანი ყველა ზმნისათვის **ი** სუფიქსის საყრდენი მორფემა ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველი მორფემაა; ანუ: **-იდ** სავრცობს დაირთავს ის მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთა საყრდენი მორფემა რედუცირებადი ხმოვნის შემცველი მორფემაა (ძირეული თუ სუფიქსური)...

ხოლო, რომელთა საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და არ კარგავს ხმოვანს, **-დ** სუფიქსს დაირთავს უწყვეტელში: ვ-**წერ**-დ-(ი), ვაკეთ-**ებ**-დ-(ი), ვ-**გრეხ**-დ-(ი)...

გავიხსენოთ, **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნები ძველ ქართულში ფორმაწარმოებისას ყველა შემთხვევაში ხმოვანს კარგავდნენ: მალ-**ავ**-ს — მალ-**ვ**-ენ, მალ-**ვ**-ა; დგ-**ამ**-ს — დგ-**მ**-ენ, დგ-**მ**-ა...

შესაბამისად, უწყვეტელში, სადაც **ავ/ამ** თემისნიშნიანი ფორმებია, სავრცობი არის **-იდ-**:

მალ-**ვ-იდ**-ა, სუ-**მ-იდ**-ა...

შევადაროთ: **-ევ/ -ემ** სუფიქსები ფორმაწარმოებისას ხმოვანს არ კარგავენ; შესაბამისად, უწყვეტლის ფორმებში, სადაც **-ევ/ -ემ** ივარაუდება, **-იდ** სავრცობი გვაქვს:

ვ-მალ-**ევ-დ**-(ი), ვ-სუ-**ემ-დ**-(ი)...

ღირსსაცნობი ფაქტია ისიც, რომ დიალექტთა იმ ჯგუფში, სადაც **-ავ/ -ამ** თემის ნიშნები აწმყოში ხმოვანს კარგავენ, უწყვეტლს **-იდ** სავრცობით იწარმოებენ (გურული, აჭარული, რაჭული):

აწმყო: მალ-**ვ-ენ**, დგ-**მ-ენ**...

უწყვეტელი: მალ-**ვ-იდ**-ა, დგ-**მ-იდ**-ა... აჭარულსა და რაჭულში პარალელურად შეიძლება **-ევ/ -ემ** სუფიქსიანი უწყვეტელიც შეგვხვდეს; შესაბამისად სავრცობი იქნება **-დ**:

მალ-**ევ-დ**-ა, დგ-**ემ-დ**ა...

დიალექტებში, სადაც **-ავ/ -ამ** არ არიან კუმშვადნი, უწყვეტელს **-დ** სავრცობით იწარმოებენ:

მალ-**ავ-ენ** — მალ-**ავ-დ**-ა

დგ-**ამ-ენ** — დგ-**ამ-დ**-ა...

ამგვარად: ე. წ. **ი** თემისნიშნიანი ზმნების, **-ავ / -ამ** თემისნიშნიან ზმნათა ძველი ქართულის უწყვეტლის პარადიგმისა და თანამედროვე ქართულის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა: მოქმედებითი (და საშუალ-მოქმედებითი) გვარის ზმნები სარვცობიან მწკრივებს **-დ** და **-იდ** სუფიქსებით იწარმოებენ. **-დ** გვაქვს მარცვლოვანი საყრდენი მორფემის შემთხვევაში (**წერ-დ-ა,** აკეთ-**ებ-დ**-ა, მეფ-**ობ-დ**-ა, **ყოფ-დ-ა,** ც-**ემ-დ**-ა...); **-იდ** და-

ერთვის ხმოვანდაკარგულ უმარცვლო საყრდენ მორფემას (**ზრდ-იდ**-ა, **ცრ-იდ**-ა, მალ-**ვ-იდ**-ა, დგ-**მ-იდ**-ა).

ამ დასკვნას ისიც უნდა დაემატოს, რომ თემის ნიშანთა სისტემაში **-ი** არ უნდა იქნეს განხილული: იგი აწმყოს მწკრივის საკუთრებაა.

IV. 5.5.2.4. სავრცობთა გამოყენება სხვა სერიებში. ძველისა თუ ახალი ქართულის მონაცემთა გათვალისწინება **-დ, -იდ** და **-ოდ** სუფიქსთა გამოყენების განსხვავებულ არეალებს წარმოაჩენს (ესეც მიანიშნებს მათ განსხვავებულობაზე...).

ყველაზე მეტად შეზღუდული **-დ** სუფიქსის გამოყენებაა (მხედველობაში მაქვს მწკრივთა წარმოების შესაძლებლობა): იგი არის საყრდენი ფუძის ნაწილი მხოლოდ I სერიის მწკრივთათვის: ახალ ქართულში უწყვეტლისა და I კავშირებითისათვის; ძველ ქართულში — უწყვეტლის, I ხოლმეობითისა და I კავშირებითისათვის:

	ახალი ქართული	ძველი ქართული
უწყვეტელი	ვ-წერ-**დ**-ი	ვ-წერ-**დ**-(ი)
I კავშ.	ვ-წერ-**დ**-ე	ვ-წერ-**დ**-ე
I ხოლმ.		ვ-წერ-**დ**-ი

-იდ სუფიქსი ახალ სალიტერატურო ქართულში საყრდენი ფუძის ნაწილია უწყვეტლისა და I კავშირებითისათვის; ძველ ქართულში — დამატებით I ხოლმეობითისათვის; დიალექტებში (ხევსურულსა და თუშურში) აგრეთვე II ხოლმეობითში:

	ახ. ქართული	ძვ. ქართული	ხევსურული
უწყვ.	ვ-თლ-**იდ**-ი	ვ-თლ-**იდ**-(ი)	ვ-თლ-**იდ**-ი
I კავშ.	ვ-თლ-**იდ**-ე	ვ-თლ-**იდ**-ე	ვ-თლ-**იდ**-ა
I ხოლმ.	—	ვ-თლ-**იდ**-ი	ვთლ-იდ-**იდ**-ი (ვ-წერ-დ-**იდ**-ი)
II ხოლმ.		ვ-თალ-ი	ვ-თალ-**იდ**-ი

-ოდ ახალ სალიტერატურო ქართულში საყრდენი ფუძის ნაწილია უწყვეტლისა და I კავშირებითისათვის; გამოიყენება II თურმეობითსა და III კავშირებითში ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან; ძველ ქართულში ამას ემატება I ხოლმეობითი და შერეული კავშირებითი; ფშაურში — I ხოლმეობითი და II ხოლმეობითი:

	ახ. ქართული	ძვ. ქართული	ფშაური
უწყვ.	ვ-თბებ-**ოდ**-ი	ვ-ტფ-ებ-**ოდ**-ე	ვ-თბ-ებ-**ოდ**-ი
I კავშ.	ვ-თბებ-**ოდ**-ე	ვ-ტფ-ებ-**ოდ**-ი	ვ-თბ-ებ-**ოდ**-ე
I ხოლმ.	—	ვ-ტფ-ებ-**ოდ**-ი	ავაშენებ-დ-**ოდ**-ი
II ხოლმ.	—	—	ავაშენ-**ოდ**-ი
შერ. კავშ.	—	შევ-წირ-**ოდ**-ი	—
II თურმ.	გავ-ზრდ-**ოდ**-ი	დავ-მალვ-**ოდ**-ე	გავ-ზრდ-**ოდ**-ი
III კავშ.	გავ-ზრდ-**ოდ**-ე	დავ-მალვ-**ოდ**-ი	გავ-ზრდ-**ოდ**-ე

როგორც ვხედავთ, სავრცობიანი მწკრივებია (სხვადასხვა ტიპის ზმნათათვის და სხვადასხვა სავრცობთათვის):

უწყვეტელი (ძვ. ქართ., ახალი ქართ., დიალექტები)
I კავშირებითი (ძვ. ქართ., ახალი ქართ., დიალექტები)
I ხოლმეობითი (ძვ. ქართ., დიალექტები)
II ხოლმეობითი (დიალექტები)
შერეული კავშ. (ძვ. ქართული)
II თურმეობითი (ძვ. ქართ., ახალი ქართ., დიალექტები)
III კავშირებითი (ძვ. ქართ., ახალი ქართ., დიალექტები)

სავრცობთა გამოყენების თვალსაზრისით:

უწყვეტელი	—	-დ,	-იდ,	-ოდ
I კავშირ.	—	-დ,	-იდ,	-ოდ
I ხოლმ.	—	-დ,	-იდ,	-ოდ
II ხოლმ.	—	—	-იდ,	-ოდ
შერ. კავშ.	—	—	—	-ოდ
II თურმ.	—	—	—	-ოდ
III კავშ.	—	—	—	-ოდ

ამ ვითარების გათვალისწინება არაერთ კითხვას დაგვასმევინებს:

1. რა არის ფუნქცია სავრცობისა? მხოლოდ ფუძის წარმოება?

2. შეიძლება თუ არა **-დ** და **-იდ** სუფიქსები ჩაითვალოს ერთმანეთის ვარიანტებად (**-იდ** გახმოვანების სრულ საფეხურზე და **-დ** გახმოვანების ნულ საფეხურზე), თუ გავითვალისწინებთ I სერიაში მათი განაწილების საფუძველს: **-იდ** გვხვდება უმარცვლო საყრდენ მორფემასთან, **-დ** გვხვდება მარცვლოვან საყრდენ მორფემასთან: **ჭრ-იდ**-ა, **თლ-იდ**-ა, ერთი მხრივ, და **წერ-დ**-ა, აკეთ-**ებ-დ**ა, მეორე მხრივ...

3. რა არის მიზეზი იმისა, რომ ძველ ქართულში უწყვეტლისა და I კავშირებითის მაწარმოებლები (-ე, -ი) პირუკუ დაერთვის:

უწყვ.	—	დ-(**ი**);	იდ-(**ი**);	მაგრამ	—	ოდ-**ე**
I კავშ.	—	დ-**ე**;	იდ-**ე**;	მაგრამ	—	ოდ-**ი**

მაგალითები:

უწყვ.	—	ვ-წერ-**დ-**(**ი**),	ვ-თლ-**იდ-**(**ი**),	მაგრამ	ვ-ტირ-**ოდ-ე**
I კავშ.	—	ვ-წერ-**დ-ე**,	ვ-თლ-**იდ-ე**,	მაგრამ	ვ-ტირ-**ოდ-ი**

გავითვალისწინოთ: სხვაობა გვაქვს I და II პირებში; სუბიექტური მესამე პირის ფორმები იდენტურად იწარმოება: წერ-დ-**ა** / წერ-დ-**ეს**, თლ-იდ-**ა** / თლ-იდ-**ეს**, ტირ-ოდ-**ა** / ტირ-ოდ-**ეს**... I ხოლმეობითი კი ორივე ტიპის წარმოებას ერთგვარი აქვს — **ი** სუფიქსიანი:

ვ-წერ-**დ-ი**, ვ-თლ-**იდ-ი**, ვ-ტირ-**ოდ-ი**; ამიტომაც I კავშირებითი და I ხოლმეობითი **ოდ**-იან ზმნებში ერთმანეთს ემთხვევა...

4. რა გახდა საფუძველი იმისა, რომ უწყვეტლისა და I კავშირებითის ფორმათა წარმოების გაერთფეროვნება მოხდა ახალ ქართულში:

უწყვ.	ვ-წერ-**დ-ი**,	ვ-თლ-**იდ-ი**,	ვ-ტირ-**ოდ-ი**,
I კავშ.	ვ-წერ-**დ-ე**,	ვ-თლ-**იდ-ე**,	ვ-ტირ-**ოდ-ე**...

5. ამ ფორმობრივ ცვლილებებთან არის თუ არა კავშირში ის ცვლილება, სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის **-ეს** სუფიქსს **ნ**არიანი მაწარმოებელი რომ ჩაენაცვლა:

ძვ. ქართ.:	ახ. ქართ.:
წერ-დ-ეს (იგინი)	წერ-დ-ენ/ნენ
თლ-იდ-ეს	თლ-იდ-ენ/ნენ
ტირ-ოდ-ეს	ტირ-ოდ-ენ/ნენ

და მაინც (საფიქრებელია): სავრცობთან თუ თემასთან დაკავშირებულ ფორმობრივ ცვლილებებთან ეს ცვლილება (ტირ-ოდ-**ეს** → ტირ-ოდ-**ნენ**) კავშირში არ უნდა იყოს; ეს უკანასკნელი სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემაში მომხდარი სისტემური ცვლილების ასახვაა (იხ. § IV. 1.2.7.).

5. კითხვათა წყებას აღძრავს თუშურ-ხევსურულ-ფშაური ხოლმეობითები: მაშინ, როდესაც არის ტენდენცია ხოლმეობითის ორგანული წარმოების მოშლისა (იხ. § 26), რატომ გახდა საჭირო ამ დიალექტებში ორგანული წარმოების ფორმათა გართულება (შდრ. მთიულურში, მოხეურში ხოლმეობითები: შენარჩუნებულია ძველი ქართულისებური წარმოებით)? სადაც სავრცობით გართულება არ მოხდა ორგანული წარმოებისა, იქ ნაწილაკიანი წარმოების განვითარება ხდება (მაგ. მოხეურში). რატომ?

რატომ არის ერთგან **-იდ** და მეორეგან **-ოდ**, ამ კითხვას თითქოს პასუხიც გავეცით, მაგრამ რატომ მხოლოდ I-II პირის ფორმებს დაერთვის სავრცობი? ეს კითხვა რჩება და ამ დიალექტთა ხოლმეობითის ფორმები დგებიან იმ ფორმათა გვერდით, რომლებშიც წარმოების თვალსაზრისით დაპირისპირებულია, ერთი მხრივ, I-II და, მეორე მხრივ, III პირის ფორმები.

7. რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს -იდ/-ოდ ელემენტს ხოლმეობითის დიალექტურ ფორმებში?

I სერია	II სერია
ვა-კეთ-ებ	
ვა-კეთ-ებ-დ-ი	ვა-კეთ-ე
ვა-კეთ-ებ-დ-ე	ვა-კეთ-ო
ვა-კეთ-ებ-დ-ოდ-ი	ვა-კეთ-ოდ-ი

კეთ-ებ — I სერიის თემაა; **კეთ** — მეორე სერიისა; **დ** სავრცობია, ურთიერთჩანაცვლებად მწკრივთათვის საერთო მორფოლოგიური ოდენობა; **-ი, -ე** უწყვეტელსა და I კავშირებითში მწკრივის ნიშნებია; **ოდი?** (შესაბამისად დაისმის კითხვა **-იდ-ი**-ს თაობაზეც)...

იგივე კითხვა დაისმის II სერიაშიც: **-ე, -ო** მწკრივის ნიშნებია; **ოდ-ი** (ანდა: იდ-ი?).

ოდი (იდი) საერთოა I და II ხოლმეობითისათვის. ხოლმეობითის სისტემაში I და II ხოლმეობითები წარმოების თვალსაზრისით ყოველთვის ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებდნენ: მწკრივის (თუ ხოლმეობითის) ნიშანი ჰქონდათ საერთო — **-ი** (აკეთებდ-**ი**-ს, აკეთ-**ი**-ს). ასეა ახლაც. **ოდ** ერთ მორფოლოგიურ ოდენობად ხომ არ უნდა იქნეს გააზრებული, ურთიერთჩანაცვლებად მწკრივთა რიგში მწკრივის ნიშნად?

დავ-წერ-**ე**,
დავ-წერ-**ო**,
დავ-წერ-**ოდი** (დავ-წერ-**იდი**)...

კითხვები სხვაც შეიძლებოდა, პასუხს მომავალი გასცემს...

IV. 5.5.3. თემის საკითხისათვის -ი ელემენტიან ზმნებში. ი ელემენტს აწმყოში რამდენიმე ტიპის ზმნა დაირთავს.

ა) ვნებითი გვარის ზმნები (ყველა ტიპისა):

ვ-ი-ზრდებ-ი
ვ-ე-მალებ-ი
ვ-ბერდებ-ი
ვ-თბებ-ი

ვნებითებისათვის **ი** დამახასიათებელი იყო ძველ ქართულშიც. არსებითი განსხვავება ახალ ქართულთან ის არის, რომ ძველად აწმყოში ყველა პირის ფორმა დაირთავდა **-ი**-ს, ახალში III პირის მხ. რიცხვის ფორმაში არ გვხვდება:

ძვ. ქართ.:	ვ-ტფ-ებ-ი	ახ. ქართ.:	ვ-თბ-ებ-ი
	ს-ტფ-ებ-ი		თბ-ებ-ი
	ტფ-ებ-ი-ს		თბ-ებ-ა
	ვ-ტფ-ებ-ი-თ		ვ-თბ-ებ-ი-თ
	ს-ტფ-ებ-ი-თ		თბ-ებ-ი-თ
	ტფ-ებ-ი-ან		თბ-ებ-ი-ან

ძნელი სათქმელია: მხ. რიცხვის მესამე პირის ფორმაში **ა**-ს დართვამ გამოიწვია **-ი**-ს დაკარგვა, თუ **ი**-ს დაკარგვის გამო მოხდა **-ს**-ს ჩანაცვლება **-ა** სუფიქსით. უფრო მეტად საგულვებელი ჩანს, **-ი** ელემენტმა შეიცვალა თვისობა და ამის გამო მოხდა **-ა** სუფიქსით ჩანაცვლება... თუმცა მრავლობითში რატომ იქნა შენარჩუნებული, ეს სერიოზული კითხვაა...

თემის საკითხს ეს არ ართულებს: **ი** ელემენტი მხოლოდ აწმყოს მწკრივის საკუთრებაა; იგი ყოველთვის იყო წარმოდგენილი აწმყოს ფორმაში და მასთან აკავშირებენ **-ოდ** სავრცობის გამოვლენას (ა. შანიძე), თუმცა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე საუბარი არ ყოფილა...

ბ) **ი** ელემენტს დაირთავს ერთი ტიპის საშუალი გვარის ზმნები: ვ-ტირ-**ი**, ვ-ჩივ-**ი**, ვ-ყვირ-**ი**, ვ-კივ-**ი**, ვ-კვნეს-**ი**, ვი-ცინ-**ი**... ეს ის ზმნებია, რომლებიც ტენდენციას იჩენენ მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლისას (იხ. § 19). **-ი** ყველა პირის ფორმაში არის აწმყოში (ჩივ-ა, ყივ-ა... დიალექტური ვარიანტებია). სავრცობად ამ ზმნებსაც **-ოდ** მოუდის. აქვე შემოვა ალბათ ვი-ც-ი, ვუ-წყ-ი ზმნებიც. **-ი**-ს ქცევა ამგვარივეა ამ ზმნებშიც:

	ვ-ტირ-ი	ვ-ი-ც-ი
	ს-ტირ-ი	ი-ც-ი
	ტირ-ი-ს	ი-ც-ი-ს
	ვ-ტირ-ი-თ	ვ-ი-ც-ი-თ
	ს-ტირ-ი-თ	ი-ც-ი-თ
	ტირ-ი-ან	ი-ც-ი-ან
და	ვ-ტირ-ოდ-ი	ვ-ი-ც-ოდ-ი...

თემის საკითხი ამ შემთხვევაშიც მარტივად წყდება: თემა მარტი-

ვია, სავრცობად **-ოდ**-ის გამოვლენის მოტივაცია წინა ჯგუფის მაგვარია, თუმცა ერთია: ტირ-ოდ-ა გარდაუვალია, იც-ოდ-ა — გარდამავალი. არადა მიუთითებენ: „სალიტერატურო ქართულში კი **-ოდ-** გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება, **-იდ-ი** — გარდამავლებთან“ (არნ. ჩიქობავა)... ასეთ შემთხვევებს ვეძახით გამონაკლისებს, თუმცა ამ გამონაკლისის ახსნის სერიოზული ცდა გვქონდა (არნ. ჩიქობავა).

გ) განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს დ-ი-ს (დ-ენა), რბ-ი-ს (რბ-ოლა) ზმნები. **ი** ელემენტი გასდევს I სერიის მწკრივთა ფორმებს I შემთხვევაში ახალ ქართულშიც, II შემთხვევაში — მხოლოდ ძველ ქართულში:

დ-ი-ს	რბ-ი-ს	ახალი:	რბ-ი-ს
დ-ი-ოდ-ა	რბ-ი-ოდ-ა		რბ-ოდ-ა
დ-ი-ოდ-ეს	რბ-ი-ოდ-ეს		რბ-ოდ-ეს

თემა (არსებული განმარტებით) პირველი ზმნისათვის არის **დი**, თუმცა ვერ ვისაუბრებთ ზმნის ორთემიანობაზე, რადგან არა გვაქვს იგივე ფუძე II სერიაში; ვერც თემის სირთულეზე ვისაუბრებთ, რადგანაც არა გვაქვს შესაბამისი მარტივი თემა. ამისდაკვალად, არ შეიძლება **ი**-ს მივცეთ თემის ნიშნის კვალიფიკაცია.

ასეთივე მსჯელობა შეიძლება **რბ**-ის ზმნის ძველი ქართულის პარადიგმაზე; ახალი ქართულის ვითარება კი ისეთივეა, როგორც **ტირ-ი-ს** ზმნის შემთხვევაში...

დ) უფრო რთულია ვითარება **ზრდ-ი-ს** ტიპის შემთხვევაში (ე. წ. „**-ი** თემისნიშნიან“ ზმნებში).

-ი ელემენტის მწკრივის ნიშნად გააზრების შემდეგ ჩვენთვის მოიხსნა საკითხი ამ ტიპის ზმნათა რთულთემიან ზმნებად მიჩნევისა:

ვ-ზრდ-ი
ვ-ზრდ-იდ-ი
ვ-ზრდ-იდ-ე

თუმცა ორთემიანობის საკითხი არ მოხსნილა:

ზრდის ტიპის ფორმები ხმოვანმონაცვლე ზმნათა რიგში ჩადგება. საერთოდ ხმოვანმონაცვლეობის ორ სახეს განიხილავენ:

ე — ი (ვ-**დრეკ** — ვ-**დრიკ**-ე) — დრეკადი ფუძეები და
ა — Ø (**ზრდ**-ი-ს — **ზარდ**-ა) — კუმშვადი ფუძეები.

სწორედ ფუძედრეკადობის გამო მიიჩნევა **ე-ი** ხმოვანმონაცვლე ზმნები ორთემიანად:

ვ-**დრეკ**	ვ-**დრიკ**-ე	
	ვ-**დრეკ**-დი	ვ-**დრიკ**-ო
	ვ-**დრეკ**-დე	

ორივე შემთხვევაში თემა მარტივია, თუმცა თავს იჩენს ტენდენცია ხმოვანმონაცვლეობის მოხსნისა და რთული და მარტივი თემების დაპირისპირებისა:

ვ-**დრიკ-ავ**	ვ-**დრიკ**-ე	
	ვ-**დრიკ-ავ**-დი	ვ-**დრიკ**-ო
	ვ-**დრიკ-ავ**-დე	

(ამ ტენდენციის თაობაზე იხ. § IV. 5.5.5.).

ხმოვანმონაცვლეობა Ø—ა პრინციპულად ასეთივე დაპირისპირებაა (სხვადასხვა გახმოვანება სხვადასხვა სერიაში), მაგრამ ეს დაპირისპირება არ მიიჩნეოდა ორთემიანობის საფუძვლად. **ზრდ-ი-ს** ტიპის ზმნებში ორთემიანობის საფუძვლად „**-ი** თემის ნიშანი“ ითვლებოდა.

ცხადია, როცა მოიხსნა საკითხი **ი**-ს თემისნიშნობისა, დაპირისპირება Ø—ა ხდება ისეთივე ძალისა ფუძეთა დაპირისპირების თვალსაზრისით, როგორიცაა **ე — ი**:

ვ-**ზრდ**-ი	ვ-**ზარდ**-ე
ვ-**ზრდ**-იდ-ი	ვ-**ზარდ**-ო
ვ-**ზრდ**-იდ-ე	

ანუ აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობის სახეობად მოიაზრება. ამ დაპირისპირების ბუნების გააზრება კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ **ი** აწმყოს სუფიქსია და არა თემის ნიშანი: წინააღმდეგ შემთხვევაში ჭარბი აღმოჩნდებოდა I და II სერიის დაპირისპირებაში ერთ-ერთი ნიშანი (ხმოვანმონაცვლეობა და თემის ნიშანი).

შევადაროთ: როცა გამოიკვეთა ტენდენცია ფუძედრეკად ზმნებზე თემის ნიშნის დართვისა, დაპირისპირება **ე — ი** მოიხსნა:

დრეკ-ს — **დრიკ**-ა, მაგრამ
(დრეკ-ავ-ს →) **დრიკ-ავ**-ს — **დრიკ**-ა...

ზმნა რჩება ორთემიანად, მაგრამ ხმოვანმონაცვლეობით გამოწვეული ორთემიანობა იცვლება რთულ და მარტივ თემათა დაპირისპირებით...

ე) სხვაგვარია ვითარება **ჭრ-ი**-ს ტიპის ზმნათა შემთხვევაში. ეს არის ზმნები, რომელთა ძირეული საყრდენი მორფემა I სერიის მწკრივებში უმარცვლოა; მეორე სერიაში რედუცირებული ხმოვანი აღდგება;

მაგრამ განსხვავებით **ზრდის** ტიპის ზმნათაგან, მხოლოდ წყვეტილის I და II პირებში:

I სერია:	ვ-ჭრ-ი	ვა-მყნ-ი
	ვ-ჭრ-იდ-ი	ვა-მყნ-იდ-ი
	ვ-ჭრ-იდ-ე	ვა-მყნ-იდ-ე

ხმოვანმონაცვლეობა **ა / Ø** თუ წინა შემთხვევაში (ზრდ — ზარდ) ფუნქციური ხასიათისაა (მორფოლოგიური პროცესია), აბლაუტის შემთხვევად უნდა განვიხილოთ; **ჭრ — ჭერ** მარტივი ხმოვანმონაცვლეობაა, ფონეტიკური პროცესის შედეგია: ხმოვანი იკარგება გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში (ხმოვანსუფიქსის წინა პოზიციაში); სრულადაა წარმოდგენილი, როცა ძირეულ მორფემას ხმოვანსუფიქსი არ მოსდევს:

ვ-ჭრ-**ი**	ვა-მყნ-**ი**
ვ-ჭრ-**იდ**-ი	ვა-მყნ-**იდ**-ი
ვ-ჭრ-**ა**	ვა-მყნ-**ა**

ხმოვანი აღდგება წყვეტილის I-II პირის ფორმებში:

(გა)-ვ-ჭერ-(ი)	(და)-ვ-ა-მყენ-(ი)
(გა)-ჭერ(-ი)	(და)-ა-მყენ-(ი), მაგრამ
გა-ჭრ-**ა**	(და)-ა-მყნ-**ა**

ასე რომ, ძირეული მორფემისათვის უმარცვლობა დამახასიათებელია როგორც I, ისე II სერიის ფორმათათვის. შესაბამისად **ყრ**-ი-ს ტიპის ზმნები ერთთემიან ზმნებად უნდა იქნეს გაგებული. აქედან გამომდინარე, ერთთემიანია როგორც **წერ**-ს ტიპის ზმნები, ისე — **ჭრ**-ი-ს ტიპის ზმნები.

ერთთემიანად უნდა მივიჩნიოთ **ტირ**-ი-ს ტიპის ზმნები, თუმცა ეს პრინციპულად განსხვავებული ერთთემიანობაა: **ტირ** მხოლოდ I სერიის მწკრივებში გვხვდება, სხვა სერიის ფორმებს ამ ტიპის ზმნები ვერ იწარმოებს და რამდენადაც არ არსებობს შესაძლებლობა სხვადასხვა სერიის თემათა შეპირისპირებისა, ერთთემიანობა-ორთემიანობის საკითხი შეიძლებოდა არც დასმულიყო...

IV. 5.5.4. ხმოვანპრეფიქსები და თემა. ხმოვანპრეფიქსები და ფუძე — საყურადღებო თემაა. ფუძის განმარტებისას ა. შანიძემ მხოლოდ 1930 წლის გრამატიკაში მიაქცია ყურადღება ხმოვანპრეფიქსებს: „პირიელი ზმნისათვის ფუძე ჰქვია იმ ნაწილს, რომელიც უცვალებელია

პირისა, რიცხვისა და ქცევის ნიშანთა მიმართ“ (ა. შანიძე). სხვა გამოცემებში ხმოვანპრეფიქსებზე ყურადღება აღარაა გამახვილებული, თუმცა თემაზე მსჯელობისას მოყვანილ მაგალითებში ხმოვანპრეფიქსებს თემისაგან გამოყოფს:

ვა-**გებებ**, ვი-**გერებ**, ვა-**ლაგებ**, ვუ-**ტევებ** და სხვა (ა. შანიძე).

ვნებითი გვარის ზმნათა თემაზე საუბრისას ვნებითი გვარის ნიშანთაგან ხმოვანპრეფიქსები არ მიიჩნევა თემის ნაწილად:

მო-ვ-ი-**სპ-ობ-ი**, მო-ვ-ი-**სპ-**ე,
ვ-ე-**ნდ-ობ-ი**, ვ-ე-**ნდ**-ე და მისთ.
ა-ვ-ი-**რევ-ი**, ა-ვ-ი-**რი(ვ)**-ე
მი-ვ-ე-**ჩვევ-ი**, მი-ვ-ე-**ჩვი(ვ)**-ე და მისთ.

ხოლო ვნებითობის **-დ** სუფიქსი თემის ნაწილადაა გააზრებული:

გა-ვ-**კეთ-დ-ებ-ი**, გა-ვ-**კეთ-დ**-ი
გა-ვ-**შავ-დ-ებ-ი**, გა-ვ-**შავ-დ**-ი და მისთ. (ა. შანიძე).

არადა, თემის განმარტების შესაბამისად (საერთო ნაწილი სერიის ყველა მწკრივისათვის) ხმოვანპრეფიქსი თემის ნაწილად უნდა ყოფილიყო გაგებული...

როცა I-II სერიის ფორმებში ასეთი დამოკიდებულებაა ხმოვანპრეფიქსებისადმი, გასაგებია, რატომ არ არის გათვალისწინებული ხმოვანპრეფიქსები III სერიის ფორმებზე მსჯელობისას: „ქცევა მხოლოდ ზმნის პირიან ფორმებს მოეპოვება და ისიც I-სა და II სერიაში. რაც შეეხება III სერიას, იქ ქცევების გარჩევას ადგილი არა აქვს, რადგანაც ზმნას აკლია საპირისპირო ფორმები, კუთვნილება დანიშნულების მიხედვით განსხვავებული“ (ა. შანიძე) „ქცევიანი“ და „უქცეო“ ფორმები ასეა გადანაწილებული:

ქცევიანი ფორმები			უქცეო ფორმები		
	I სერია	**II სერია**	**III სერია**		
			I თურმ.	II თურმ.	III კავშ.
საარვ.	**ა**-შენებს	ა-**ა**-შენა	ა-უ-შენებია,	ა-ე-შენებინა,	ა-ე-შენებინოს
სათავ.	**ი**-შენებს	ა-**ი**-შენა			
სასხვ.	**უ**-შენებს	ა-**უ**-შენა			

„III სერიაში ფორმა განმარტოებულია, უცალოა, ამიტომ უკუთვნელია, თუმცა კი წარმოების მიხედვით სასხვისოა“ (ა. შანიძე).

ამ ფაქტზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ თემის საკითხის განხილვისას III სერიაში (და, საერთოდ, III სერიის ფორმათა

წარმოების საკითხთა განხილვისას) ხმოვანპრეფიქსს საგანგებო ყურადღება მიექცევა.

მაინც ალბათ ასე მარტივად ვერ გადაწყდება ხმოვანპრეფიქსთა ფუძესთან (ნებისმიერი სახისა — მწკრივის ფუძესთან, თუ სერიის ფუძესთან, თუ სრული პარადიგმის ფუძესთან) მიმართების საკითხი: ხმოვანპრეფიქსით განსხვავებული ფორმები, ვთქვათ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად გაიაზრება:

ა-კეთებს, **ი**-კეთებს, **უ**-კეთებს... კეთდება, **უ**-კეთდება; ზრდის, **ი**-ზრდის, **უ**-ზრდის... **ი**-ზრდება, **ე**-ზრდება და მისთ. ყველა წარმოდგენილი ფორმა სხვადასხვა ლექსიკური ერთეულია; ანუ: ხმოვანპრეფიქსს შესწევს ძალა ლექსიკურ ერთეულთა განსხვავებისა. ასეთ შემთხვევაში უნდა იქნეს თუ არა — ზმნური ფორმის ფუძის ნაწილად გააზრებული?..

როგორც ვხედავთ, ფუძეზე მსჯელობისას პირობითობას ვერ ავცდებით. ამ პირობითობით ხმოვანპრეფიქსი თემის ნაწილად არ გაიაზრება. ჩვენთვის ეს პირობითობა მისაღებია; ამგვარი პირობითობით III სერიაში თემის საკითხზე მსჯელობა გამარტივდება (იხ. § IV. 5.8.5.).

IV. 5.5.5. თემის ნიშანთა მონაცვლეობა

IV. 5.5.5.1. თემის ნიშანთა მონაცვლეობა მოქმედებითი გვარის ზმნებში. თუ თვალს გავადევნებთ ქართული ზმნის ფორმობრივი განვითარების გრძელ გზას, აშკარად დავინახავთ: თემის ნიშანთა სისტემა ერთ-ერთი ყველაზე არამყარი, ცვალებადი სისტემაა; თუ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს ამ მხრივ გადავხედავთ, სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება.

რა სახის ცვლილებები ხდება ისტორიულად, ეს, ერთი მხრივ, და სინქრონულად (დღევანდელ დიალექტებში), ეს, მეორე მხრივ.

შენიშვნა: ზემოთაც ითქვა, **ავ** და **ამ** თემის ნიშნები ამ სისტემაში ერთნაირად იქცევიან. თუ სალიტერატურო ენაში **-ავ** თემისნიშნიანები ჭარბობს **-ამ**-იანებს, დიალექტებში (აღმოსავლურსა თუ სამხრულში) **-ავ**-ის ჩანაცვლება ხდება **-ამ**-ით და, შესაბამისად, ჭარბობს **-ამ**-იანები: ბარ-ამ, ხატ-ამ, მალ-ამ... არის პირუკუ პროცესიც: **ამ**-ს ენაცვლება **ავ**-ი (სვ-ავ-ს, დგ-ავ-ს...), ორივე ეს შემთხვევა (ავ → ამ, ამ → ავ) განცალკევებით დგას იმ

ცვლილებათაგან, რომლის შესახებაც გვსურს საუბარი ამ პარაგრაფში: **ავ**-ი იქნება თუ **-ამ**-ი, ერთგვაროვანია მათი მიმართება სისტემის სხვა წევრებთან და მათი როლი ამ რთულ პროცესში. ამიტომ **ავ**-ზე ვისაუბრებთ თუ **-ამ**-ზე, ამ პროცესისათვის არა აქვს მნიშვნელობა...

1. **ებ → Ø**

მოქმედებითი გვარის რამდენიმე **-ებ** თემისნიშნიანი ზმნა კარგავს თემის ნიშანს:

ძვ. ქართული		**ახ. ქართული**
აღა-დგინ-**ებ**-ს	→	აღა-დგენ-ს,
წარგა-ვლინ-**ებ**-ს	→	წარგა-ვლენ-ს,
შემი-ყვან-**ებ**-ს	→	შემი-ყვან-ს,
შეს-ძინ-**ებ**-ს	→	შეს-ძენ-ს,
აწ-ყინ-**ებ**-ს	→	აწ-ყენ-ს,
მოი-თმინ-**ებ**-ს	→	მოი-თმენ-ს,
მოუ-ლხინ-**ებ**-ს	→	მოუ-ლხენ-ს,
ა-მხილ-**ებ**-ს	→	ა-მხელ-ს,
მოი-სმინ-**ებ**-ს	→	მოი-სმენ-ს,
გამოა-ჩინ-**ებ**-ს	→	გამოა-ჩენ-ს,
მოი-წყინ-**ებ**-ს	→	მოი-წყენ-ს
აღი-ხილ-**ებ**-ს	→	აა-ხელ-ს და სხვა.

აქვე უნდა შემოვიტანოთ მსგავსი შემთხვევა:

შეს-ცვალ-**ებ**-ს	→	შე-ცვლ-ის,
მიუ-ძღვან-**ებ**-ს	→	მიუ-ძღვნ-ის,
დაა-ცად-**ებ**-ს	→	დაა-ცდ-ის...

ეს პროცესი — **ებ → Ø** მოქმედებითი გვარის ზმნებში კახურსა და ჯავახურში დადასტურდა:

ვ-ტოვ-**ებ**	→	ვ-ტოვ, დავ-ტოვ
ა-გროვ-**ებ**-ს	→	ა-გროვ-ს, დაა-გროვ-ს
მოვ-კიდ-**ებ**	→	მოვ-კიდ-დ-ი

ვი-ჯერ-**ებ**	→	ვი-ჯერ-ი
ვი-თამაშ-**ებ**	→	ვი-თამაშ-ი
დავა-ჩუმ-**ებ**	→	დაა-ჩუმ
ვა-ხსენ-**ებ**	→	ვა-ხსენ-დ-ი
მი-ტოვ-**ებ**-ს	→	მი-ტოვ-ს
	→	

2. **-ებ → -ავ**

ძვ. ქართული		**ახ. ქართული**
განჰ-კურნ-**ებ**-ს	→	გან-კურნ-**ავ**-ს,
აღჰ-მართ-**ებ**-ს	→	აღ-მართ-**ავ**-ს,
შეჰ-ყინ-**ებ**-ს	→	გა-ყინ-**ავ-ს**,
განუ-მარტ-**ებ**-ს	→	განუ-მარტ**-ავ**-ს...
	→	

ამ ტიპის მონაცვლეობა დამახასიათებელია აღმოსავლური და სამხრული დიალექტებისათვის (ქართლურისათვის, კახურისათვის, ჯავახურისა და მესხურისათვის). მონაცვლეობის ვარიანტები სხვადასხვაა: ებ → ავ, ებ → ამ, ებ → ან; ჩვენ ერთ-ერთ ვარიანტს დავიმოწმებთ:

გა-ნებ-**ებ**-ს	→	გა-ნებ-**ამ**-ს
გი-ჯერ-**ებ**-ს	→	გი-ჯერ-**ამ**-ს
ა-წიოკ-**ებ**-ს	→	ა-წიოკ-**ამ**-თ
ა-ხოცინ-**ებ**-ს	→	ა-ხოცინ-**ამ**-თ
ა-კეთ-**ებ**-ს	→	ა-კეთ-**ან**-ს
დაჰ-ბად-**ებ**-ს	→	დაჰ-ბად-**ავ**-ს
დავალევინ-**ებ**	→	დავალეინ-**ამ**-თ
გავა-სწორ-**ებ**	→	გავა-სწორ-**ამ**
მივა-ყუდ-**ებ**	→	მივ-ყუდ-**ამ** და სხვა...
	→	

3. **ობ → ამ**

კახურსა და ჯავახურში შეგვხვდა **ობ** თემის ნიშნის **-ამ** თემის ნიშნით შენაცვლების შემთხვევა:

გი-ამბ-ობ → გი-ამბ-ამ, უ-ამბ-ამ...

ამ პროცესთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი შემთხვევა კა-

ხურიდან: **შ-ობ-ს** ზმნაში მოხდა თემის ნიშნის ფუძესთან შეხორცება და **-ამ** თემის ნიშნის დართვა:

აწმყო:	ვ-შ-ობ	→	ვ-შობ-ამ
	↓		↓
წყვეტ.:	ვ-შევ (ვ-შვ-ი)		ვ-შობ-ე

ცნობილი მაგალითი ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან“:
„— ერთი ვაჟიშვილი **შობე**...
— **ვშობამ**, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, **ვშობამ**“...

4. ე. წ. „**ი** თემისნიშნიანი“ → **-ამ**. პროცესი დასტურდება ქართლურსა და კახურში:

ი-ყიდ-ის	→	ი-ყიდ-ამ-ს
უ-ზრდ-ის	→	უ-ზარდ-ამ-ს
გა-ხდ-ის	→	გა-ხად-ამ-ს
და-გვ-ის	→	და-გავ-ამ-ს
ს-წველ-ის	→	ს-წველ-ამ-ს
წონ-ის	→	წონ-ამ-ს
ტენ-ის	→	ტენ-ამ-ს...

ერთი მხრივ, აქ შემოვიდა ორთემიანი ხმოვანმონაცვლე ზმნები (ზრდ-ის, ხდ-ის...); მეორე მხრივ — ერთთემიანი ზმნები (ყიდ-ის, წონ-ის, ტენ-ის...)...

შენიშვნა: როცა ვამბობთ, დადასტურდა ამა თუ იმ დიალექტში, არ ვგულისხმობთ იმას, რომ სხვა დიალექტებში ამგვარი ცვლილება არ შეიძლება შეგვხვდეს; ჩვენი საჭიროებისათვის საკმარისი მასალის მოპოვების შემდეგ ჩვენ ძიება აღარ გაგვიგრძელებია. საკითხის უფრო ჩაღრმავებითა და გამოწვლილვით შესწავლა მომავლის საქმეა...

5. **Ø → -ავ**

ისტორიულად მოქმედებითი გვარის ერთთემიანი ზმნების **-ავ** თემისნიშნიანებში გადარიცხვა ცნობილი პროცესია:

ვ-თიბ → ვ-თიბ-ავ
ვ-თეს → ვ-თეს-ავ
ვ-ჩეჩ → ვ-ჩეჩ-ავ
ვ-ხოც → ვ-ხოც-ავ და სხვა მრავალი

ის მაგალითები, რომლებიც ერთთემიანად მიიჩნევა (ა. შანიძე), უმეტესობა სასაუბრო მეტყველებასა და, საერთოდ, დიალექტებში ორთემიანია (-ავ/-ამ თემისნიშნიანია):

კეც-ს → კეც-ავ-ს
კვეც-ს → კვეც-ავ-ს
პენტ-ს → პენტ-ავ-ს
ტეხ-ს → ტეხ-ავ-ს
ჩეჩ-ს → ჩეჩ-ავ-ს
ჭედ-ს → ჭედ-ავ-ს
მოი-ხვეჭ-ს → მოი-ხვეჭ-ავ-ს და სხვა.

ისეთი ზმნებიც კი, როგორიცაა **წერ-ს, ფენ-ს** დიალექტებში ორთემიანია: წერ-ავ/-ამ-ს, ფენ-ავ/-ამ-ს და სხვა.

6. ქართულ დიალექტებში ფართოდ გავრცელებული პროცესია ფუძედრეკად ზმნებზე **-ავ/ -ამ** თემის ნიშნის დართვა. პროცესი ორსაფეხურიანია: I ეტაპზე ხდება **ე** ხმოვნიან ფუძეებზე თემის ნიშნის დართვა:

დრ-ეკ-ს → დრეკ-ავ-ს; ფაქტობრივ ამ შემთხვევაში ხდება ორმაგი დაპირისპირება I და II სერიის თემათა შორის (ხმოვანმონაცვლეობითა და თემის ნიშნით).

დრეკ-ავ-ს — დრიკ-ა.

ცხადია, ერთ-ერთი ჭარბია; ამიტომაც, რადგან ტენდენციაა **-ავ** თემის ნიშნის დართვა, გახმოვანებით დაპირისპირება მოიხსნება და ვიღებთ მეორე საფეხურს ცვლილებისას — **დრიკ-ავ**-ს ე. ი.:

დრეკ-ს → დრეკ-ავ-ს → დრიკ-ავ-ს

დავასახელებთ ზოგ მაგალითს:

გლეჯ-ს → გლეჯ-ავ-ს / გლიჯ-ავ-ს
ჭყლეტ-ს → ჭყლეტ-ავ-ს / ჭყლიტ-ავ-ს
ხვრეტ-ს → ხვრეტ-ამ-ს / ხვრიტ-ამ-ს
კბენ-ს → კბენ-ამ-ს / კბინ-ამ-ს

როგორც ირკვევა, ეს პროცესი ყველა დიალექტისთვისაა დამახასიათებელი, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისა (რ. ჭურდაძე). ამჯერად ჩვენს ინტერესს არ წარმოადგენს, რომელ დიალექტში რა საფეხურია დადასტურებული; ჩვენთვის პროცესია მთავარი: ფუძედრეკადი ზმნები **-ავ/ -ამ** თემის ნიშნებს დაირთავენ...

7. დასტურდება ორსაფეხურიანი ცვლილებაც:

-ებ → Ø → -ამ

წარი-ყვან-**ებ**-ს (ძვ.)	— წაი-ყვან-ს	(ახ.)	— ავი-ყვან-**ამ**	ჯავახ.
წარი-ტან-**ებ**-ს	— მოი-ტან-ს		— მოგი-ტან-**ამ**	და მისთ.

IV. 5.5.5.2. თემის ნიშანთა მონაცვლეობა ვნებითი გვარის ზმნებში. ამ პროცესთან დაკავშირებით (თემის ნიშანთა მონაცვლეობა) ვნებითი გვარის ზმნებში ერთი ცვლილება ხდება:

ძველ ქართულში **-ავ/ -ამ** თემისნიშნიან ზმნებს თემის ნიშანი ვნებითებშიც გადაჰყვებოდა მოქმედებითიდან:

მოქმედებითი	**ვნებითი**
მალ-**ავ**-ს	ი-მალ-**ვ**-ის
ხატ-**ავ**-ს	ი-ხატ-**ვ**-ის
კლ-**ავ**-ს	ი-კლ-**ვ**-ის
დგ-**ამ**-ს	ი-დგ-**მ**ის
აბ-**ამ**-ს	დაი-ბ-**მ**-ის და ა. შ.

როგორც ვიცით, ყველა სხვა შემთხვევაში ვნებითი გვარის ზმნები I სერიაში **-ებ** თემის ნიშანს დაირთავდა:

ი-ზრდ-**ებ**-ი-ს
ე-ზრდ-**ებ**-ი-ს
და-ბერ-დ-**ებ**-ი-ს
გან-ჭაბუკ-ნ-ე-**ებ**-ი-ს...

ახალ ქართულში -ავ/-ამ თემისნიშნიანმა ზმნებმაც ვნებითებში **-ებ** თემის ნიშანი დაირთეს:

ი-მალ-**ებ**-ა
ი-ხატ-**ებ**-ა...

უმარცვლო ძირებთან **-ავ/ -ამ** თემის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტებიც იქნა შენარჩუნებული:

იხვნება (← ი-ხნ-**ვ**-ებ-ა)

იკვლება (← ი-კლ-**ვ**-ებ-ა)
იდგ-**მ**-ებ-ა
ი-თქ-**მ**-ებ-ა (იხ.: § IV. 5.5.1.3.).

IV. 5.5.5.3. თემის ნიშანთა მონაცვლეობა საშუალი გვარის ზმნებში. საინტერესო პროცესები ხდება საშუალი გვარის ზმნებში: სასაუბრო მეტყველებაში **-ებ** თემის ნიშანს სისტემატურად უჩნდება **-ობ** თემისნიშნიანი პარალელური ვარიანტები.

ებ → ობ		
ბარბაც-**ებ**-ს	→	ბარბაც-**ობ**-ს
კაშკაშ-**ებ**-ს	→	კაშკაშ-**ობ**-ს
რაკრაკ-**ებ**-ს	→	რაკრაკ-**ობ**-ს
ბიბინ-**ებ**-ს	→	ბიბნ-**ობ**-ს
ყიყინ-**ებ**-ს	→	ყიყინ-**ობ**-ს
გუგუნ-**ებ**-ს	→	გუგუნ-**ობ**-ს
ღრიალ-**ებ**-ს	→	ღრიალ-**ობ**-ს და მრავალი სხვა

არის ერთი ჯგუფი **-ავ** თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნებისა, რომლებშიც ხდება **-ავ** თემის ნიშნის ფუძეში გადარიცხვა და ახალი თემის ნიშნის (-ობ) დართვა.

გვაქვს, ერთი მხრივ:

გორ-**ავ**-ს	(ი-გორ-ა),
ხტუნ-**ავ**-ს	(ი-ხტუნ-ა),
ცურ-**ავ**-ს	(ი-ცურ-ა),
ბუქნ-**ავ**-ს	(ჩა-ბუქნ-ა),
ყვინთ-**ავ**-ს	(ჩა-ყვინთ-ა).

და გვაქვს, მეორე მხრივ:

გორა(ვ)-**ობ**-ს	(ი-გორავ-ა),
ხტუნა(ვ)-**ობ**-ს	(ი-ხტუნავ-ა),
ცურა(ვ)-**ობ**-ს	(ი-ცურავ-ა),
ბუქნა(ვ)-**ობ**-ს	(ი-ბუქნავ-ა),
ყვინთა(ვ)-**ობ**-ს	(ი-ყვინთავ-ა).

ასეთი მაგალითებიც დასტურდება:

მო-ცურ-**ავ**-ს → მო-ცურ-ს (ილია)

ვი-ლოც-**ავ** → ვ-ლოცულ-**ობ**

რას ნიშნავს ეს ცვლილებები; რა არის „მიზანი“ ამ ცვლილებათა და რა შედეგი გვაქვს (უფრო სწორად, რას ველოდებით)? მთავარი კითხვა: რა არის საფუძველი თემის ნიშანთა განაწილებისა; ცვლილებები სისტემური ხასიათისაა და ერთმანეთთან დაკავშირებული, თუ, ასე ვთქვათ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ქაოტური ხასიათისა?

ამთავითვე ვიტყვით: ქაოტური ხასიათის ცვლილებები ენაში მოსალოდნელი არ არის. მაშ, რა კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე?

IV. 5.5.6. თემის ნიშანთა განაწილებისათვის. როგორც დავინახეთ, თემის ნიშანთა სისტემა ძველსა და ახალ ქართულს შორის სერიოზულ სხვაობას ავლენს.

თემატურ და ათემატურ ფუძეთა დაპირისპირება უცვლელია: I სერიის მწკრივები თემატურია (თემისნიშნიანია), II სერიისა — ათემატური (უთემისნიშნო).

თემის ნიშანთა ფუნქციაზე როცა ვსაუბრობთ, ასპექტის ფაქტორი ანგარიშგასაწევია ძველი ქართულისათვის: „ძველ ქართულში უპირისპირდება I სერიის ფორმები II სერიისას იმ მხრივ, რომ ასპექტიან ზმნებში I სერიის ფორმები უსრულ მოქმედებას გადმოსცემენ, II სერიისა კი — სრულს“ (ა. შანიძე). ეს უდავო ფაქტია. სხვაობას I და II სერიას შორის ფორმობრივი თვალსაზრისით **თემა** ქმნის... შესაბამისად, თემათა დაპირისპირება ასპექტური დაპირისპირების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ... ეს ძველ ქართულში.

ახალ ქართულში ამ თვალსაზრისითაც პრინციპული ხასიათის ცვლილებები მოხდა: I სერიაში ისევე ხდება სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირება, როგორც მეორე სერიაში; ანუ: ასპექტური დაპირისპირება არა თემისა, არამედ ზმნისწინის ფუნქციად იქცა.

შევნიშნავთ, რომ ფუნქციურად **თემა** (შესაბამისად — **თემის ნიშანი**) **ძველ ქართულში ასპექტთან უნდა იყოს დაკავშირებული.** ასპექტის სისტემის ცვლა პრინციპულ კავშირში უნდა იყოს თემის ნიშანთა სისტემაში მომხდარ ცვლილებებთან (და არა მხოლოდ მასთან).

ფაქტია: თემა კავშირშია ასპექტთან, მაგრამ თემის ნიშანთა განაწილების საფუძველი ძველი ქართულისათვის (ვთქვათ, რატომ ერთი ჯგუფის ზმნებთან ერთი თემის ნიშანი და მეორესთან — სხვა) ჩვენთვის გაურკვეველია. ერთი აშკარაა: გვარის კატეგორიას თემის ნიშან-

თა განაწილებასთან ძველ ქართულში კავშირი არა აქვს: ერთი და იგივე თემის ნიშანი გვაქვს როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი და ისე საშუალი გვარის ზმნებთან:

აშენ-ებ-ს	და	შენდ-ებ-ის...
მალ-ავ-ს	და	იმალ-ვ-ის
დგ-ამ-ს	და	დაიდგ-მ-ის
შევიპყრ-ობ	და	შეიპყრ-ობ-ის...

რაც შეეხება ახალ ქართულს, გვარის კატეგორიას, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თემის ნიშანთა გადანაწილებისათვის. ყოველ შემთხვევაში, მომხდარი ფორმობრივი ცვლილებები ამის მაჩვენებელია.

გავიხსენოთ წინა პარაგრაფში თქმული: რა სახის ცვლილებები მოხდა თემის ნიშანთა სისტემაში მოქმედებითი გვარის ზმნებთან:

ა) **-ებ** თემის ნიშნიანი გახდა უთემისნიშნო:

აღა-**დგინ-ებ**-ს — აღა-**დგენ**-ს,

ა-**გროვ-ებ**-ს — ა-**გროვ**-ს...

ბ) **-ებ** თემის ნიშანს ჩაენაცვლება **-ავ/ -ამ**:

გან-**კურნ-ებ**-ს — გან-**კურნ-ავ**-ს,

ა-**კეთ-ებ**-ს — ა-**კეთ-ამ**-ს...

გ) **-ობ** თემისნიშნიანი გახდა **-ავ/ -ამ** თემისნიშნიანი:

გი-**ამბ-ობ**-ს — გი-**ამბ-ამ**-ს...

შ-**ობ**-ს — შობ-**ამ**-ს...

დ) უთემისნიშნო **ი** ელემენტიანი ზმნები დაირთავენ **ამ**-ს:

ზრდ-ი-ს — **ზარდ-ამ**-ს,

წონ-ი-ს — **წონ-ამ**-ს...

ე) ერთთემიანი ზმნები დაირთავენ **-ავ**-ს

თიბ-ს — **თიბ-ავ**-ს

წერ-ს — **წერ-ავ**-ს...

ვ) ფუძედრეკადი ზმნები დაირთავენ **-ავ**-ს:

დრეკ-ს — (დრეკ-ავ-ს) — **დრიკ-ავ-ს**,

კბენ-ს — (კბენ-ამ-ს) — **კბინ-ამ-ს**...

ცვლილებების შედეგი არის ის, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებში მკვიდრდება **-ავ/ -ამ** თემის ნიშნები (ჩაენაცვლება სხვა თემის ნიშანს, ერთი მხრივ, და ჩნდება უთემისნიშნო ზმნებში, მეორე მხრივ).

II. რა ხდება ვნებითი გვარის ზმნებში:

-ავ/ -ამ თემის ნიშნებს ცვლის (ანდა დაემატება) **-ებ** თემის ნიშანი:

ი-**მალ-ვ**-ის — ი-**მალ-ებ**-ა,
დაი-**ბ-მ**-ის — დაი-**ბ-მებ**-ა...

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ვნებითი გვარის ზმნათა უმრავლესობა **-ებ** თემისნიშნიანია, შეიძლებოდა დაგვესკვნა: ვნებითი გვარის ზმნებში არის ტენდენცია **-ებ** თემის ნიშნის დამკვიდრებისა.

III. საშუალი გვარის ზმნებში მომხდარი ცვლილებები:

ა) **-ებ** თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნები იჩენენ ტენდენციას **-ობ** თემის ნიშანზე გადასვლისა:

ტრიალ-ებ-ს — **ტრიალ-ობ**-ს,
ყიყინ-ებ-ს — **ყიყინ-ობ**-ს...

ბ) **-ავ** თემის ნიშანი გადაირიცხა ფუძეში და დაირთო **-ობ**:

გორ-**ავ**-ს — **გორავ**-ობ-ს,
ცურ-**ავ**-ს — **ცურავ**-ობ-ს...

გ) ასეთი შემთხვევაც დასტურდება, როცა **-ავ** იკარგება და ზმნა უთემისნიშნო ხდება:

მოცურ-ავ-ს — მო-ცურ-ს

დ) ანდა, **-ავ** თემისნიშნიანი **-ობ** თემისნიშნიანი ხდება:

ვი-ლოც-**ავ** → ვ-ლოცულ-**ობ**...

დასკვნა ასეთია: საშუალი გვარის ზმნებში არის ტენდენცია **-ობ** თემის ნიშნის დამკვიდრებისა...

საბოლოოდ შეიძლება ითქვას: თემის ნიშანთა სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ ახალ ქართულში თემის ნიშანთა განაწილებას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება: **-ავ/ -ამ** თემის ნიშნები მკვიდრდება მოქმედებითი გვარის ზმნებში; **-ებ** თემის ნიშანი მკვიდრდება ვნებითი გვარის ზმნებში და **-ობ** თემის ნიშანი — საშუალი გვარის ზმნებში. ყველა მომხდარი ცვლილება ამ ტენდენციის გამოვლენაა.

IV. 5.5.7. სტატიკურ ზმნათა აწმყოს მეშველზმნიანი ფორმების შესახებ. სტატიკური ზმნების აწმყოს ფორმათა წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ახალ ქართულში.

ძველ ქართულში ყველა ტიპის სტატიკური ზმნა აწმყოს ფორმებს ორგანულად იწარმოებს (გამოვყოფთ სამ ჯგუფს):

I.	ვ-დგ-ა	ვ-ზი	ვ-წევ	ვ-რბ-ი	ვ-ჰ-გავ
	ს-დგ-ა	ჰ-ზი	ს-წევ	ჰ-რბ-ი	ჰ-გავ
	დგ-ა-ს	ზი-ს	წევ-ს	რბ-ი-ს	ჰ-გავ-ს
	ვ-დგ-ა-თ	ვ-სხედ-თ	ვ-წევ-თ	ვ-რბ-ი-თ	ვ-ჰ-გავ-თ
	ს-დგ-ა-თ	ჰ-სხედ-თ	ს-წევ-თ	ჰ-რბ-ი-თ	ჰ-გავ-თ
	დგან-ან	სხენ-ან	წვან-ან	რბ-ი-ან	ჰ-გვან-ან
II.	ვ-ტირ	ვ-ყივ-ი	ვ-ყვავ-ი	ვ-კუნეს-ი	
	ს-ტირ	ჰ-ყივ-ი	ჰ-ყვავ-ი	ჰ-კუნეს-ი	
	ტირ-ს	ყივ-ი-ს	ყვავ-ი-ს	კუნეს-ი-ს	
	ვ-ტირ-თ	ვ-ყივ-ი-თ	ვ-ყვავ-ი-თ	ვ-კუნეს-ი-თ	
	ს-ტირ-თ	ჰ-ყივ-ი-თ	ჰ-ყვავ-ი-თ	ჰ-კუნეს-ი-თ	
	ტირ-ან	ყივ-ი-ან	ყვავ-ი-ან	კუნეს-ი-ან	
III.	ვ-ი-ც-ი	ვ-ცურ-ავ	ვ-ამპარტავნ-ობ		
	ი-ც-ი	ს-ცურ-ავ	ამპარტავნ-ობ		
	ი-ც-ი-ს	ცურ-ავ-ს	ამპარტავნ-ობ-ს		
	ვ-ი-ც-ი-თ	ვ-ცურ-ავ-თ	ვ-ამპარტავნ-ობ-თ		
	ი-ც-ი-თ	ს-ცურ-ავ-თ	ამპარტავნ-ობ-თ		
	ი-ც-ი-ან	ცურ-ავ-ენ	ამპარტავნ-ობ-ენ		

ახალი ქართულისათვის უჩვეულოა I ჯგუფის ზმნათა ფორმები:

აჰა ესერა მე წინაშე **ვდგა**; ჩემ თანა **სდგა** და განუშორებელი ხარ.

მე აქა მშჯდობით **ვზი**; შენ **ჰზი** აქა პარეხსა ამას მარტოდ.

მე უკვე აწ ეგრე **ვრბი**, ვითარცა არა უჩინოდ; ხოლო შენ მოკლვად **ჰრბი**.

აწ ჩუენ რაჲსა **ვსხედთ**? რომელთა შორის თქუენ **ჰსხედთ**.

გარეშმ **ვჩანთ** მდაბლად; ნუცა შენ აქა **სჩან**.
და მე **ვწუხ**; რაჲსა სტირ და **სწუხ**.
შენ **სწევ** და ჰკუნესი...

(ვიმოწმებთ ლ. ბარამიძის ნაშრომიდან)

რაც შეეხება II და III ჯგუფის ზმნებს, მათი ორგანული (მეშველი ზმნის გარეშე) ფორმები ბუნებრივია ახალი ქართულისათვისაც; თუმცა საინტერესოა ტენდენცია, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩაისახა.

დაიწყო სტატიკური ზმნების მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლა. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპად განვითარდა.

თუ ძველი ქართულის ვითარებას (ყველა სტატიკური ზმნა ორგანული წარმოებისაა) მივიჩნევთ **პირველ ეტაპად**, მომდევნო ეტაპად განვიხილავთ იმ პერიოდს, როცა I ჯგუფის ზმნებმა დაიწყეს მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლა.

ტენდენცია ასეთია: მეშველზმნიანი პარალელური ფორმები გაჩნდა I და II სუბიექტურ პირებში (მხოლობითშიც და მრავლობითშიც):

ვ-ზი	‖	ვ-ზი-ვარ	ვ-სხედ-თ	‖	ვ-სხედ-ვართ
ჰ-ზი	‖	ჰ-ზი-ხარ	ჰ-სხედ-თ	‖	სხედ-ხართ.

პარალელური ფორმები გვხვდება ერთსა და იმავე ეპოქაში, ზოგჯერ ერთსა და იმავე ძეგლშიც:

მე ლაპარაკად აქა **ვზი**; მზესთან მთვარე ვითა **ვზივარ** (შაჰნამე).

თქვეს: **ვწუხთო** აქ არ დამხდომნი; რასთვის **სწუხარ** პირად მზეო (არჩილი);

ვწევ; **სწევ** (ვისრამიანი), **ვწევარ** (შვდ. მთ.), **სწევხარ** (შაჰნამე);
სხედთ (ვისრამიანი); **ვსხედვართ** (შაჰნამე)...

ამ ეტაპზე პარალელური ფორმები იმ ზმნებმა გაიჩინეს, რომლებიც დღეს მხოლოდ მეშველზმნიანნი არიან. II და III ტიპის ზმნათა პარალელური ფორმები ამ პერიოდის ძეგლებში ვერ დავადასტურეთ. „ვეფხისტყაოსანში“ **ტირის** ზმნის I-II პირის 11 ფორმა დასტურდება (ა. შანიძე). არცერთი არ არის მეშველზმნიანი:

ვტირი ცრემლითა ცხარითა...
უბრძანა, ნუ **სტირ**, ასულო...

II ეტაპი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
ვ-ზი ‖ ვ-ზი-ვარ	ვ-ტირ	ვ-ცურავ
ჰ-ზი ‖ ჰ-ზი-ხარ	ს-ტირ	ს-ცურავ
ზი-ს	ტირ-ს	ცურავ-ს

პროცესი არაერთგვაროვნად წარიმართა: თუ მეორე ეტაპზე I ჯგუფის ზმნათა პარალელური ფორმები გვაქვს, მომდევნო ეტაპზე (დავარქვათ III ეტაპი) I ჯგუფის ზმნებში მხოლოდ მეშველზმნიანი ფორმები გვაქვს, II ჯგუფის ზმნები იჩენენ პარალელურ მეშველზმნიან ვარიანტებს:

მე **ვტირი**, რამეთუ ძალუმ მყვარებია (ანა);

ეს სიხარულის ცრემლებია, როდი **ვტირივარ** (ანა)...

ვჩივი ‖ ვჩივივარ, ვყვირი ‖ ვყვირივარ, ვკვნესი ‖ ვკვნესივარ... ამ ტიპის პარალელიზმი ჩვეულებრივია...

I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	
ვ-ზი-ვარ	ვ-ტირ-ი ‖ ვ-ტირ-ი-ვარ	ვ-იც-ი	ვ-ფიქრობ
ზი-ხარ	ს-ტირ-ი ‖ ს-ტირ-ი-ხარ	იცი	ფიქრობ
ზი-ს	ტირ-ი-ს	იცის	ფიქრობ-ს

ეს არის ფაქტობრივ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობა. I და III ჯგუფის ზმნები პრობლემას არ ქმნის. II ჯგუფის ზმნებში პარალელიზმმა ნორმის შემოღების საჭიროება შექმნა და 2002 წელს ქართული ენის სახელმწიფო კომისიამ დაადგინა: „უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

ვტირი, ტირი, ნუ ტირი!

ვყვირი, ყვირი, ნუ ყვირი!

ვტყუი, ტყუი, ნუ ტყუი და მისთანანი“ ანუ მეშველზმნიანი ფორმები უკუგდებულია. მიიჩნევენ, რომ I და II ჯგუფის ზმნათა მესამე პირის ფორმათა წარმოების იდენტურობა (ზის... ტირის...) არის საფუძველი იმისა, რომ I ჯგუფის ზმნათა ანალოგიით მეორე ჯგუფის ზმნებმა I-II პირთა მეშველზმნიანი ფორმები განავითარა: „როგორც ჩანს, აღნიშნული მსგავსების საფუძველზე მათი პირველ-მეორე პირის ფორმებიც ადრე ჩამოთვლილი ზმნების მიბაძვით იქნა ნაწარმოები ყოფნა ზმნის საშუალებით. ასე მივიღეთ უმართებულო ფორმები: ვმღერივარ, მღერიხარ; ვტირივარ, ტირიხარ; ვყვირივარ, ყვირიხარ; ვტყუივარ, ტყუიხარ“ (იქვე, გვ. 8)...

ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ ამგვარ დასკვნათა გამოტანისას არ ხდება სისტემური ცვლილებების გათვალისწინება: **ვტირი** ‖ **ვტი-**

რივარ ფორმათა პარალელიზმი არის ერთ-ერთი ეტაპი სტატიკურ ზმნებში მიმდინარე ცვლილებათა კანონზომიერი განვითარებისა.

პროცესი ამ ეტაპზე არ ჩერდება. სასაუბრო მეტყველებაში (და განსაკუთრებით ბავშვების ენაში) არაა იშვიათი **ვიცინივარ, ვფიქრობვარ** ტიპის ფორმები.

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ ინგილოურ დიალექტში ეს პროცესი უფრო შორს არის წასული; II ჯგუფის ზმნები იქ ჩვეულებრივ მეშველზმნიანია; III ტიპის ზმნებში გვაქვს პარალელიზმი; მეტიც, უმეტესად — მეშველზმნიანი წარმოება: ჯავრობ-ხარ (ჯავრობ), ფიქროვარ (ვფიქრობ), დარდობხარ (დარდობ)...

ვიცი-ვარ ვიცი-ვართ
იცი-ხარ იცი-ხარ-თ...

ვერ ვიცივარ (არ ვიცი).

ეს არის **IV ეტაპი** სტატიკურ ზმნათა ფორმაცვალებისა:

I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი		
ვ-ზი-ვარ	ვ-ტირი-ვარ	ვ-იცი ‖ ვ-იცი-ვარ	ვ-ფიქრობ‖	ვ-ფიქრობ-ვარ
ზი-ხარ	ტირი-ხარ	იცი ‖ იცი-ხარ	ფიქრობ‖	ფიქრობ-ხარ
ზი-ს	ტირი-ს	იცი-ს		ფიქრობ-ს

როგორც ითქვა, სალიტერატურო ქართული და დიალექტთა უმეტესობა III ეტაპზეა გაჩერებული; IV ეტაპზე, ფაქტობრივ, ინგილოური დიალექტი დგას; თუმცა მთლად უცხო ეს ეტაპი არც სხვა დიალექტებისთვისაა (ვიცინივარ, ვფიქრობვარ...). საკითხი უფრო გამოწვლილვით ანალიზს საჭიროებს...

ამგვარად, სტატიკურ ზმნებში მეშველზმნიან ფორმათა განვითარების თვალსაზრისით ოთხი ეტაპი გამოვყავით:

I ეტაპი: სამივე ჯგუფის ზმნათა აწმყოს მწკრივის ფორმათა წარმოება ორგანულია;

II ეტაპი: I ჯგუფის ზმნებმა პარალელური მეშველზმნიანი ფორმები გაიჩინა;

III ეტაპი: I ჯგუფი — მხოლოდ მეშველზმნიანი, II ჯგუფი — პარალელური: მეშველზმნიანი და ორგანული, III ჯგუფი — მხოლოდ ორგანული;

IV ეტაპი: I-II ჯგუფი მხოლოდ მეშველზმნიანი; III ჯგუფი — პარალელური; — ორგანული და მეშველზმნიანი (უპირატესობა ამ უკანასკნელს აქვს).

I და II ეტაპი ისტორიის საკუთრებაა; III და IV ეტაპი თანამედროვე ქართულის ვითარებას ასახავს...

IV. 5.5.8. ნასახელარ ზმნათა ფუძის საკითხისათვის. სახელის ფუძისაგან ზმნური ფორმების წარმოება ქართულში ჩვეულებრივი პროცესია.

სახელური ფუძეებისაგან ზმნური ფორმების წარმოების სამი შემთხვევა გაირჩევა:

ა) სახელური ფუძე უცვლელადაა წარმოდგენილი ზმნურ ფორმებში:

სახლ-ი — დაა-**სახლ**-ებს
კაც-ი — **კაც**-ობს
ბრალ-ი — ა-**ბრალ**-ებს
დიდ-ი — ა-**დიდ**-ებ-ს...

ბ) სახელის ფუძისეული ხმოვანი ზმნურ ფორმებში გაუჩინარებულია:

მართალ-ი — გაა-**მართლ**-ებს,
სალამ-ი — გამოა-**სალმ**-ებს,
გროვა — მოა-**გროვ**-ებს,
გუბე — დაა-**გუბ**-ებს...


გ) სახელური ფუძე **ვ** ელემენტითაა გართულებული:


ხე — გაა-**ხე-ვ**-ებს
ქვა — გაა-**ქვა-ვ**-ებს
ბრმა — დაა-**ბრმა-ვ**-ებს
ტყვე — დაა-**ტყვე-ვ**-ებს

კუმშვად და კვეცად ფუძეთაგან წარმოებულ ზმნურ ფორმებში (II შემთხვევა) ფუძე ჩვეულებრივ ფონეტიკურად სახეცვლილია (შეკუმშულია ან შეკვეცილია). ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა ზმნურ ფორმებში ფონეტიკურ პროცესად გაიაზრება: „სახელის ფუძე ზმნაში იმიტომ იკუმშება, რომ მას აქ სრული ხმოვნები მოსდევს (ა, ე, ო)“ (ა. შანიძე). სირთულეს დონიანი ვნებითი ქმნის: გა-**მართლ-დ**-ება, გა-**წითლ-დ**-ება; და-**გუბ-დ**-ება, შე-**გროვ-დ**ება... თანხმოვანსუფიქსური

ფონეტიკურ პროცესს ვერ გამოიწვევს. ორგვარი ახსნა არსებობს ამ სირთულისა: „ვნებითის ფორმანტი ძველად **ედ** (**ენ**) უნდა ყოფილიყო. ე. ი. ხმოვნით დაწყებული აფიქსი, რომელიც ფუძეში შეკუმშვას იწვევდა. მაშასადმე, შეკუმშვა ისტორიულად შემუშავდა და დღევანდლამდე დარჩა“ (ა. შანიძე). სხვა თვალსაზრისით, შეკუმშული ფუძე მოქმედებითიდან გადმოჰყვა (არნ. ჩიქობავა).

არის თვალსაზრისიც, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ორივეგვარ ახსნას: ნასახელარ ზმნებში მოქმედებითი და ვნებითი (ან საშუალი) ერთი მეორის კონვერსიული ფორმა კი არ არის, არამედ თითოეული მათგანი (ერთი და იმავე სახელისაგან ნაწარმოები სხვადასხვა გვარის ფორმები) უშუალოდ სახელური ფუძისაგან მომდინარედ მიიჩნევა:





არსებითი ამ დებულებისათვის ისაა, რომ „არის შემთხვევები, როცა სახელისაგან ზმნა კი იწარმოება, მაგრამ მას გვარის მხოლოდ ერთი ფორმა და მისი სტატიკური (გარდაუვალი) ვარიანტი მოეპოვება: ჩრდილი, აჩრდილებს, ჩრდილობს („ჩრდილსაც ჩრდილობთ“, ხალხური...), ან მხოლოდ სტატიკური — ხილი: „ხილსაც ხილობთ“ (ხალხური...), მაგრამ უკანასკნელ ფორმას მოქმედებითი და ვნებითი არა აქვს“ (ბ. ჯორბენაძე).

ეს საგულისხმო ფაქტია: ყოველ კონკრეტულ ფორმაში ვნებითისა (თუ საშუალო გვარის ზმნისა) არ უნდა ხდებოდეს გააზრება შესაბამისი მოქმედებითისა: ენაში შექმნილია ზოგადი მოდელები და ამა თუ იმ მოდელში ხდება ჩასმა სახელური ფუძისა. როცა არსებობს ვნებითის ფორმა **გაკომუნისტდა**, არ ივარაუდება, რომ არსებობს ფორმაც **აკომუნისტებს**...

თუ ეს ასეა (და, ვფიქრობთ, რომ ასეა), როგორ ავხსნათ კუმშვადი და კვეცადი ფუძეების საკითხი?

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ოდენპრეფიქსიანი წარმოების მიმღეობები:

ნა-**ხანჯლ**-ი

ნა-**მამლ**-ი

ნა-**ვახშმ**-ი

ნა-**სამხრ**-ი

ნა-**ზამთრ**-ი და სხვა.

ფუძე შეკუმშულია. რა არის მიზეზი ფუძის კუმშვისა? ჩვეულებრივ განმარტავენ, რომ მიმღეობა მზამზარეულ ფუძეს იღებს ზმნური ფორმიდან; კუმშვა ზმნურ ფორმაში მოხდაო.

ჩვენ საკითხს ასე ვსვამთ: თუ ფუძის კუმშვა (ფუძისეული ხმოვნის რედუქცია) მოქმედი ფონეტიკური პროცესია, სარედუქციო ფონეტიკური გარემოს მოშლის შემთხვევაში ფუძე სრული სახით უნდა წარმოგვიდგეს; ასეა ეს მოქმედი ფონეტიკური პროცესის ყველა შემთხვევაში: მაგალითისათვის — ზმნისწინისეული ხმოვანი, რომელიც ასიმილაციას განიცდის მომდევნო ხმოვნის გავლენით, ამ პირობის არქონის ყველა შემთხვევაში თავდაპირველი სახითაა წარმოდგენილი: **წე**-ვედი, **წე**-ვიდა მაგრამ **წა**-ხვედი (პროცესს აბრკოლებს ხ- თანხმოვანი), **წა**-სვლა და მისთანანი...

ნა-**ხანჯლ**-ი, ნა-**მამლ**-ი, ნა-**ვახშმ**-ი, ნა-**სამხრ**-ი, ნა-**ზამთრ**-ი ტიპის ფორმათა შემთხვევაში ფუძე არ უნდა იყოს შეკუმშული, თუ ეს მოქმედი ფონეტიკური პროცესია.

ქართველურ ენებში ხმოვანთა რედუქციის წესების გათვალისწინებით (კერძოდ სვანურის მაგალითებით) შეიძლებოდა ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა ოდენ პრეფიქსულ წარმოებაში პრეფიქსის გავლენისათვის მიგვეწერა, მაგრამ აქ ერთი პრობლემაა: სვანურში ორმარცვლიან სიტყვაში პრეფიქსი გავლენას ახდენს უახლოესი მარცვლის ხმოვანზე (ჴამაშ → ლაშხ. **ჴამშ**-ა, ზს. ლგ-ჴმაშ „ღონე, ღონიერი“ — ვ. თოფურია). ჩვენს შემთხვევაში იკარგება არამეზობელი მარცვლის ხმოვანი: **ხანჯალ** — ნა-**ხანჯლ**-ი... ისტორიულად ქართულში ისეთი მაგალითების არსებობა, როგორიცაა ნა-**სახტრ**-ი / ნა-**საყდრ**-ი (ტოპონიმებია) ოდინდელი დინამიკური მახვილის გავლენის შედეგად შეიძლებოდა მიჩნეულიყო (პრეფიქსის დართვა გამოიწვევდა მახვილის გადაადგილებას; მახვილის მომდევნო პოზიციაში უმახვილოდ დარჩენილი ხმოვანი იკარგება: საყდარ → ნა-საყდარ → ნა-საყდრ... ამგვარი ვარაუდის დაშვების საფუძველი არსებობს: მაგ., ხუნძურ ენაში მახვილს მიიღებს მხოლოდ თავიდან მეორე მარცვლის ხმოვანი...)... მაგრამ ეს ყოველივე ვარაუდია, რომელსაც შეიძლება გამართლება ჰქონოდა ისტორიულად. თანამედროვე ქართულისათვის ამ ვარაუდის მოშველიება მოვლენას ვერ ახსნის. **ნა-ხანჯლ**-ი ტიპის ფორმებში ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა ფონეტიკურად ვერ აიხსნება.

რჩება ერთადერთი დაშვება: **ენაში რეალურად არსებობს ფუძის ორი ვარიანტი:** ხ ა ნ ჯ ა ლ / ხ ა ნ ჯ ლ, მ ა მ ა ლ / მ ა მ ლ... (თვალსაზრისისათვის საგულისხმო მაგალითად გვეჩვენება დიალექტში დადასტურებული ფორმა **მამლ**-ი — „მამლი მუხასაო“... თუმცა ეს ერთი მაგალითია...). ზმნის სისტემაში შეკუმშული ვარიანტი გამოიყენება (სხვაგვარად: ზმნა მზამზარეულ რედუცირებულ ვარიანტს იღებს ფორმაწარმოებისათვის); სახელის სისტემაში ორივე ვარიანტი გვხვდება, განაწილება ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის სუფიქსებთან არის ფუძე შეუღლებული: VC ტიპის სუფიქსებთან (ან კონფიქსურ წარმოებაში CV — V ტიპის შემთხვევაში) შეკუმშული ფუძე გამოიყენება (**ხანჯლ**-ის, სა-**ხანჯლ**-ე...), სხვა შემთხვევაში — შეუკუმშავი ფუძე **ხანჯალ**-ი, **ხანჯალ**-მა, **ხანჯალ**-ს...

საკითხი ამგვარადვე შეიძლება დაისვას ხმოვანზე დამთავრებულ ფუძეთა შემთხვევაშიც; გვაქვს ორი ვარიანტი ფუძისა **მამა / მამ, ძმა / ძმ, მწვანე / მწვან, მწარე / მწარ**... ზმნის სისტემაში გამოიყენება არასრული ვარიანტი (**მამ**-ობ-ს, ე-**ძმ**-ო, ა-**მწვან**-დ-ა, გა-**მწარ**-დ-ა...), ხოლო სახელის სისტემაში — ორივე: **მამა**-მ მაგრამ **მამ**-ის, **ძმა**-მ მაგრამ **ძმ**-ის... ამ შემთხვევაშიც სახელის სისტემაში ფუძეთა განაწილებას ისეთივე საფუძველი აქვს, როგორც თანხმოვანფუძიან სახელებთან.


შევნიშნავთ: ამგვარ დაშვებას მხარს ისიც დაუჭერს, რომ ისტორიულად შესაძლებლობის შემთხვევაში ერთი და იმავე სიტყვის სახელური და ზმნური ფუძეები გახმოვანებით განსხვავდებოდა: ქარ/ქერ (ქარ-ი და გავ-ქერ), გან/გენ (გან-ი და მივა-გენ), უბან/უბენ (უბან-ი და ვე-უბენ) და სხვა...

ამგვარად, როცა არსებობს ფუძის ორი ვარიანტი — სრული და არასრული (შეკუმშული ან შეკვეცილი), ზმნური ფორმაწარმოებისათვის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი გამოიყენება; ანუ: ფონეტიკური პროცესი არ ხდება ზმნურ ფორმაში; ზმნა სახელური პარადიგმიდან მზამზარეულ ფუძეს გამოიყენებს (და არა მის ამოსავალ სრულ ვარიანტს):


მართალ-
მართლ — → ა-მართლ-ებ-ს
→ მართლ-დ-ება


პოეტურ მეტყველებაში დასაშვებია სრულფუძიანი ვარიანტიც:


სალამ — მიე-**სალამ**-ა (ერთი პაწია ჩიორა მუხიდან **მომესალამა** — ანა)



არის შემთხვევები, როცა სახელური ფუძის ორი ვარიანტიდან (სრული, არასრული) ზმნაში სრული ვარიანტი გამოიყენება.







ერთ შემთხვევაში რატომ გამოიყენება სრული ფუძე და მეორე შემთხვევაში — არასრული ფუძე, მომავალი კვლევა-ძიების საქმეა; ფაქტი ერთია: ფონეტიკური გარემო ერთგვარი, შედეგი — სხვადასხვა... თუმცა საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ასეთივე ვითარება გვაქვს ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებთან...


როგორც ვთქვით, ვითარება ანალოგიურია ხმოვანფუძიან სახელებშიც:

და- — ძმა —
დ- — დ-ობს, ძმ — **ძმ**-ობს

მაგრამ:

მამა — **მამა**-ობს (რუსთ ხელმწიფესთან **მამაობს** — დ. გურამ.)
მამ — **მამ**-ობს

მ ე ო რ ე მ ხ რ ი ვ :



რამდენადაც კუმშვად და კვეცად სახელთა ფუძის ორი ვარიანტიდან (მართალ — მართლ, მცირე — მცირ) ზმნის სისტემაში ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია გამოყენებული მთელ პარადიგმაში, ნასახელარ ზმნათა ფუძედ ამ შემთხვევაში წარმოვადგენთ არასრულ ვარიანტს და არა მის ამოსავალ ფონეტიკურ სახეობას.

ჩვენ ამჯერად კითხვებს ვსვამთ. პასუხები გასაცემია...

ერთი კითხვაც: რას წარმოადგენს **ვ** აქვავებს, ატყვევებს ტიპის ფორმებში?

ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებში გამოვლენილი „**ვ** ელემენტი განვითარებული უნდა იყოს ხმოვანთა შორის არსებული ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად“ (ლ. ნოზაძე; თ. უთურგაიძე).

ვითარებას აქაც სუფიქსიანი ვნებითი ართულებს: **ვ** შენარჩუნებულია — ქვა-**ვ**-დ-ება, ხე-**ვ**-დ-ება... ჰიატუსი აქ არავითარ შუაშია; თუ მოქმედებითში შეიძლება ასე დასმულიყო საკითხი (ა-ხ**ე-ვ-ე**ბს, ა-ქვ**ა-ვ-ე**ბს...), შესაბამისი ფონეტიკური გარემოს არქონის შემთხვევაში **ვ**-ს არსებობა გაურკვეველია. მოქმედებითის ფორმიდან მისი გადმოყოლა ვნებითში ასევე არაა სარწმუნო: თუ მოქმედებითში ფონეტიკური საჭიროებისათვის გაჩნდება, ვნებითებში ეს საჭიროება არ იყო...

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტია: **ვ** გვაქვს იმ ნასახელარ ზმნათა ვნებითებში, რომელთა ფუძეც **ო** და **უ** ხმოვნებზე მთავრდება:

ახლო-**ვ**-დება, ყრუ-**ვ**-დება...

თუმცა შესაბამის მოქმედებითებში იგი არ დასტურდება ა-ახლოებს, ა-ყრუ-ებს... ამ ფორმებში **ვ**-ს დაკარგულად ვერ მივიჩნევთ, რადგან აქ მისი გაჩენის პირობაც არ იყო **უ-ა, ო-ე** ხმოვანკომპლექსთა გათიშვა არ იყო მოსალოდნელი.

საინტერესოდ შენიშნავს ა. შანიძე: „ეს **ვ** ზმნისათვის ფუძის (მარტივი თემის) განუყოფელი ნაწილია“ (ა. შანიძე); იგი მოქმედები-

თებში დაკარგულიაო: ფუძე „გაივრცობა **ვ**-ინით, რომელიც დაიკარგება როგორც **ო**-ნის წინ, ისე **ო**-ნის შემდეგ, განსაკუთრებით კი **უ**-ნის შემდეგ“ (ა. შანიძე).

ამ საგულისხმო შენიშვნიდან გამომდინარე, რამდენადაც **ვ** ზმნურ ფორმებში (პირიანსა თუ უპიროში) ყოველთვისაა წარმოდგენილი, თუ ფორნეტიკურ ნიადაგზე არ არის გაუჩინარებული, **ვ**-ს მივიჩნევთ ფუძის ორგანულ ნაწილად. მას შეიძლება მაზმნავებელი ელემენტი ვუწოდოთ. შესაბამისად სახელის ფუძეა: ქვა, ტყვე, ფართო, ყრუ... ზმნის ფუძეა: ქვავ, ტყვევ, ფართოვ, ყრუვ...

ამიტომაც იყო, ზმნური და სახელზმნური ფუძეების ლექსიკონებში სალექსიკონო ერთეულად ამ ტიპის ნასახელარ ზმნებში შევიტანეთ **ვ** ელემენტიანი ფორმები და არა ამოსავალი სახელური ფორმები.

ყოველივე ეს საგულისხმო დასკვნის საშუალებას გვაძლევს: კუმშვადი, კვეცადი და უკვეცელი სახელური ფუძეების შემთხვევაში ზმნურ ფორმებში ფუძეთა ასეთი არჩევანი (შეკუმშული, შეკვეცილი და **ვ** ელემენტით გართულებული) ზმნური და სახელური ფუძეების განმასხვავებელ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ.

IV. 5.5.9. ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმაწარმოების საკითხები. ერთპირიანი ნასახელარი ზმნები ძირითადად ორ მორფოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება: ვნებითი გვარისა და საშუალი გვარის ე. წ. „მედიოაქტიურ“ ჯგუფში. გვაქვს, ერთი მხრივ, **იბარება, იჟანგება, იკალება, იქარგება, გუბდება, მხეცდება, შავდება** და სხვა; მეორე მხრივ, **მხეცობს, მეფობს, ბავშვობს, თევზაობს, ბურთაობს, კენჭაობს** და სხვა.

თითოეულ ზემოწარმოდგენილ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს ქვეჯგუფები ფორმაწარმოების თვალსაზრისით: ა) ინიანი ვნებითები, ბ) დონიანი ვნებითები, გ) **-ავ** ელემენტიანი რთული ფორმები თევზაობს — ითევზავა ტიპისა და დ) მარტივი ფორმები მეფობს — იმეფა ტიპისა.

თითქმის ყველა სახელისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ზმნური ფორმა, მაგრამ ერთი და იმავე სახელისაგან ვერ ვაწარმოებთ ზემოწარმოდგენილი ყველა ფორმობრივი ჯგუფიდან ნებისმიერს. არსებობს გარკვეული აკრძალვები: კალა — იკალება, მაგრამ არაა კალდება, კალობს, კალაობს და მისთ.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, არსებობს თუ არა რაიმე კანონზომი-

ერება ფორმათა ამგვარ განაწილებაში; ერთი და იმავე სახელისაგან რატომ იწარმოება მხოლოდ გარკვეული ფორმები და რა არის მიზეზი სხვა ფორმათა აკრძალვისა.

ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა განხილვისას გამოყვანილია დასკვნა: რომ „იჟანგება — ჟანგდება ტიპის ფორმები ფუნქციის თვალსაზრისით არ უნდა წარმოადგენდნენ პარალელურ ფორმებს, (...) ერთი მათგანი ჟანგდება (resp. ჟანგად იქცევა) გარდაქცევითობის ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფორმა იჟანგება (resp. ჟანგით იფარება) კი — ინსტრუმენტატივისა“ (ბ. ჯორბენაძე). ვფიქრობთ, საკითხის ამგვარად დასმა მართებულია. შინაარსობრივი სხვაობა იძებნება აგრეთვე **იმეფა** და **ითევზავა** ტიპის ფორმებს შორისაც. უფრო მეტიც, ხერხდება იმ საერთო საფუძვლის დაძებნა, რომლის მიხედვითაც შეიძლება ზემოწარმოდგენილ ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ჯგუფების დახასიათება.

არსებითი, რაც ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმობრივ ჯგუფებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, არის ის, თუ როგორია მიმართება სათანადო ზმნის სუბიექტისა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის; ე. ი. იმ სახელით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის, რომლისგანაც სათანადო ზმნური ფორმა იწარმოება.

ა) **ი** პრეფიქსიან ვნებითებში სუბიექტის აღმნიშვნელი სიტყვით გამოხატულ საგანზე მოქმედებენ ზმნის ფუძეში წარმოდგენილი სიტყვით აღნიშნული საგნით: **დაიბარა** მიწა — მ ი წ ა სუბიექტია, ბ ა რ ი — ფუძით გადმოცემული მნიშვნელობა; ბარით მოქმედებენ მიწაზე. ამგვარია დამოკიდებულება ამ ჯგუფის თითქმის ყველა ზმნის სუბიექტისა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის:

დაიჟანგა თოფი: მიმართება თოფსა და ჟანგს შორის;

მოიშხამა ბავშვი: მიმართება ბავშვსა და შხამს შორის;

მოიცელა ბალახი: მიმართება ბალახსა და ცელს შორის;

დაისეტყვა ვენახი... **დაიფარცხა** მიწა... **მოიხერხა** ხე და მრავალი სხვა. როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში მიმართება სუბიექტსა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ერთგვარია. სუბიექტი ყველა შემთხვევაში პასიურია, რეალურად ის მოქმედების ობიექტია; განიცდის ზემოქმედებას იმ საგნისას, რომლის აღმნიშვნელი სახელიც ზმნის ფუძეშია წარმოდგენილი.

ბ) სუფიქსიან ვნებითებში სუბიექტი გადაიქცევა იმ საგნად (ან იმგვარად), რომლის აღმნიშვნელი სახელიც ზმნის ფუძეშია წარმოდგენილი: **ჟანგდება** თოფი — თოფი ჟანგად იქცევა; **გაწითლდა** ცა — ცა

წითელი გახდა; **დაგუბდა** წყალი; **დაკაცდა** ბავშვი; **გაშავდა** სითხე და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში შემოდის ძირითადად საგნის ნიშნის ან თვისების გამომხატველ სახელთაგან ნაწარმოები ზმნები. ვამბობთ „საგნის ნიშნის ან თვისების“ და არა ზედსართავს, რადგან ამ ჯგუფში შეიძლება შემოვიდეს არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზმნებიც, როცა არსებითი სახელი საგნის ნიშანს ან თვისებას გამოხატავს და არა საგანს: **გამხეცდა, გამგელდა, გაჯიქდა**... **მხეცი, მგელი, ჯიქი** ამ შემთხვევაში ზედსართავის ფუნქციით გამოდის.

გ) „იმეფა“ ტიპის ზმნათა ფუძეში წარმოდგენილი სახელით აღნიშნული საგანი სუბიექტისათვის მიბაძვის, მიმსგავსების საგანია; სუბიექტი ავლენს ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობასთან დროებით მსგავსებას, დროებით ასრულებს მის ფუნქციას, მოვალეობას: **ბავშვობს** კაცი — კაცი ბავშვივით იქცევა; **ვეზიროობს** — ვეზირის მოვალეობას ასრულებს; **კაცობს, ხევისბეროობს** და სხვა.

ამგვარ შინაარსობრივ გააზრებას პირობითად მ ს გ ა ვ ს ო ბ ი თ ო ბ ა შეიძლება ვუწოდოთ. მსგავსობითობის შინაარსი შეიძლება გამოხატოს ნებისმიერი სახელისაგან წარმოებულმა ფორმამ, თუ სახელის სემანტიკა ამის შესაძლებლობას იძლევა. ე. ი. თუ სახელის სემანტიკა ისეთია, რომ შეიძლება სუბიექტმა მას მიბაძოს, მას მიემსგავსოს, მასავით მოიქცეს, მისი მოვალეობა შეასრულოს.

დ) დაბოლოს, „ითევზავა“ ტიპის ზმნებში მიმართება სუბიექტსა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ასე შეიძლება დახასიათდეს: სუბიექტი მოქმედებას ასრულებს ფუძეში წარმოდგენილი სახელით აღნიშნული საგნით ან საგანზე, სხვაგვარად: ფუძით გადმოცემული მნიშვნელობა სუბიექტისათვის არის ის ობიექტი, რომლითაც ან რომელზეც მოქმედებს: **თევზაობს** — წყალში თევზს იჭერს; **ბურთაობს** — ბურთს თამაშობს; **კურდღლაობს** — კურდღელზე ნადირობს; **მწყერაობს** — მწყერზე ნადირობს; **შოლტაობს** შოლტის ქნევით თამაშობს; **გუნდაობს** — თოვლის გუნდების სროლით ვინმესთან თამაშობს და სხვა. მიმართება სუბიექტისა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ყოველთვის ერთგვარია.

ამგვარად, ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმობრივად დაპირისპირებული ჯგუფები შინაარსობრივ დაპირისპირებასაც ავლენენ. შინაარსობრივ სხვაობას ქმნის მიმართება სუბიექტსა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის.

ყოველივე ზემოთქმული ბუნებრივად სვამს საკითხს — რა არის

მიზეზი ფორმობრივ ჯგუფებს შორის შინაარსობრივი სხვაობისა; სათანადო ფორმა არის თუ არა შესაბამისი შინაარსის მორფოლოგიური გამოხატვა? ან სხვაგვარად: შეიძლება თუ არა სათანადო ფორმათა ურთიერთგანმასხვავებელი ელემენტი მივიჩნიოთ შესაბამისი შინაარსის მორფოლოგიურ ნიშნად? — რა თქმა უნდა, არა.

ამგვარი შინაარსობრივი დაპირისპირება არსებულ ფორმებს შორის დამახასიათებელია მხოლოდ ნასახელარი ზმნებისათვის. მსგავსი წარმოების მქონე ძირეული ზმნები ამგვარ შინაარსობრივ დაპირისპირებას არ გამოხატავენ: **იზრდება, ირთვება, ინგრევა... შენდება, კეთდება, ჩნდება...** მათ შორის მსგავსი შინაარსობრივი სხვაობა არ შეინიშნება. უფრო სწორად, ძირეულ ზმნებში არ დგება საკითხი სუბიექტისა და ფუძით გადმოცემული მნიშვნელობის ურთიერთმიმართებისა.

ეს ფაქტები, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ღირებულებისაა. კერძოდ, დადასტურებაა იმისა, რომ სათანადო ფორმა არ არის შესაბამისი შინაარსის მორფოლოგიური გამოხატვა. ენაში უკვე არსებულმა ფორმებმა შეითვისეს განსხვავებული, ასევე ენაში უკვე არსებული შინაარსი.

ფორმათა შორის ამგვარი შინაარსობრივი სხვაობა გვიანდელი ჩანს. ესეც არის მიზეზი იმისა, რომ ზოგი ფორმა არ არის იმ შინაარსის გამომხატველი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგ.: **ნადიობს** — **ინადირა** ფორმის მიხედვით **მეფობს** — **იმეფა** ტიპისაა, მაგრამ შინაარსობრივად — **თევზაობს** — **ითევზავა** ტიპის ზმნათა რიგში დგება. **ინაზება** ფორმით ინიანი ვნებითია, შინაარსით კი **მეფობს** — **იმეფა** ტიპისა. მსგავსი მაგალითები სხვაც შეიძლება დაიძებნოს.

IV. 5.5.10. -ავ ელემენტიან მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ. საშუალი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი დრო-კილოთა ფორმებს პარალელურად იწარმოებს: გვაქვს, ერთი მხრივ, მარტივი **გორავს, ცურავს, ხტუნავს**... და, მეორე მხრივ, რთული **გორავობს, ცურავობს, ხტუნავობს**... ფორმები. მარტივ და რთულ ფორმათა განმასხვავებელი **-ავ** ელემენტი რთულ ფორმებში ყველა მწკრივში გადაჰყვება ზმნას. **ვ**ინი იკარგება იმ შემთხვევაში, როცა **-ავ** ელემენტს **ო** ხმოვნის შემცველი სუფიქსი დაერთვის: **გორაობს ← გორავობს, იგორაოს ← იგორავოს**... იგივე **-ავ** ელემენტი იჩენს თავს რიგ ნასახელარ ზმნასთანაც: **ითევზავ-ა, იბურთ-ავ-ა, ირიკ-ავ-ა**...

როგორც ჩანს, რთულ ფორმებში გამოვლენილი **-ავ** ელემენტი

და შესაბამისი მარტივი ფორმების **-ავ** თემის ნიშანი ერთი და იგივე ოდენობაა.

იცურა — იცურავა ტიპის ფორმობრივად დაპირისპირებული ერთეულები სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტური შინაარსის ოდენობებად არის მიჩნეული. ეს ფაქტი თავს იჩენს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“, სადაც ვკითხულობთ:

ცურაობს — იგივეა, რაც ცურავს,

ხტუნაობს — იგივეა, რაც ხტის; **ხტუნავს** — იგივეა, რაც ხტის,

ბუქნავს — იგივეა, რაც ბუქნაობს...

თუმცა, რიგ შემთხვევაში მითითებული არის რთულ და მარტივ ფორმებს შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობაც:

გორაობს — მწოლიარე ერთ ადგილზე ბრუნავს, ტრალებს; ერთთავად წევს, გადაბრუნდ-გადმობრუნდება. შდრ.:

გორავს — ბრუნვით, ტრიალით ადგილს გადაინაცვლებს.

ყვინთაობს ხშირ-ხშირად, ზედიზედ ყვინთავს, შდრ.:

ყვინთავს — წყლის სიღრმეში ჩადის...

იცურა — იცურავა ტიპის ფორმებს შორის შინაარსობრივ სხვაობას ხედავს ბ. ჯორბენაძე; მისი აზრით, „**გორავს — გორაობს** ტიპის ფორმები ერთმანეთის მიმართ პარალელურად შეიძლება ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც ყველა მათგანი „მედიუმის“ ფუნქციას გადმოსცემს და მნიშვნელობითაც ერთმანეთის ფარდნი არიან“. ვფიქრობთ, უდავო უნდა იყოს შინაარსობრივი დაპირისპირება **ცურ-ავ-ს — ცურ-ავ-ობ-ს** ტიპის ფორმებს შორის. ჩვენი აზრით, მარტივ ფორმათათვის დამახასიათებელი ჩანს დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით შეუზღუდავი მოქმედების გადმოცემა, ხოლო, შესაბამისად, დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით შეზღუდული მოქმედების გადმოცემა **-ავ** ელემენტიან ფორმათა ფუნქციაა.

ა) ჩვეულებრივი, დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით შეუზღუდავი მოქმედება უნდა გამოიხატებოდეს ამ შემთხვევაში (ვსარგებლობთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდით):

ჩემი ხნისა ქვაც აღარ **გორავსო**, ხმუროობით იტყოდა (გ. ხორგ.).

მთიდან ქვა **გორავს** (ა. ყაზბ.).

ქოთანმა **იგორა, იგორა** და თავის სარქველი იპოვნაო (ანდ.).

შენ კარგად **ცურავ** (დ. კვიც.).

დათიკო მართლა შესანიშნავად **ცურავდა** (ა. ბელიაშვ.).

მერცხალი ნავარდობს და თითქმის **ცურავს** (რ. ერისთ.).

ძაღლი დარბის, **ხტუნავს**, იკბინება (იაკობი).

კურდღელმა რაც იკუკა, ის **იხტუნა** (ანდ.)...

ბ) დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით გარკვეულად შეზღუდული მოქმედება უნდა იყოს გამოხატული ზემოწარმოდგენილ ზმნათა **-ავ** ელემენტიან ფორმებში:

ერთი წუთის შემდეგ ორივენი ქუჩის მტვერში **გორაობდნენ** (ა. სულაკ.).

ფეხების დაჭრა შენ უფრო გარგებს, რომ უფრო კარგად **იგორავო** (ვ. ურჯ.).

ბაგრატამ ნახევარი საათი **იგორავა** ტახტზე (ა. ბელიაშვ.).

მეორე დღეს ყინულზე **ვცურაობდით** ნელა-ნელა (რ. ერისთ.).

ორაგულებმა კარგა ხანს **იცურავეს** ძირ-ძირ (იაკობი).

კაი ხანი **იცურავა** ჩვენმა მგალობელმა ცის სივრცეში (იაკობი).

ბავშვები თამაშობდნენ და **ხტუნაობდნენ** (ხ. ს.).

მეც ბევრჯერ **მიხტუნავია** პატარაობაში (შ. არაგვ.).

ზღარბმა **იხტუნავა** და ითამაშა (იაკობი)...

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი შინაარსობრივი დაპირისპირება მარტივ და რთულ ფორმებს შორის სისტემებრ არ არის გატარებული. უფრო სწორად, ზოგჯერ ჭირს ფორმათა შორის მნიშვნელობათა ამგვარი დიფერენციაცია. არის შემთხვევები, როცა შინაარსობრივად თითქოს მოსალოდნელი იყო **-ავ** ელემენტიანი რთული ფორმები, არის კი მარტივი:

მალალოს შვილებიც თავის ყაიდაზე გაეზარდა, მთელი დღე ლოგინში **გორავდნენ** (ო. ჭილ.).

ადე, **ვიხტუნოთ**, ვითამაშოთ (ვაჟა).

უდარდელად **ცურავდნენ** და ჭყუმპალაობდნენ ალაზანში დაქსაქსული საქართველოს მომავალი მეფენი და მთავარნი (ლ. გოთუა).

არ შეგვხვედრია შინაარსობრივი თვალსაზრისით მოსალოდნელი მარტივი ფორმის ნაცვლად **-ავ** ელემენტიანი ფორმა; ამის მიზეზი, ვფიქრობთ, პირველ რიგში ის არის, რომ **-ავ** ელემენტიანი ფორმები გვიანდელია, როგორც მიუთითებენ, ჩვეულებრივ თავს იჩენს XIX საუკუნიდან (ჟ. ფეიქრიშვილი). იგულისხმება, რომ მანამდე მარტივ ფორმებს ეკისრებოდა იმ შინაარსის გადმოცემაც, რასაც დღეს **-ავ** ელემენტიანი ფორმები გამოხატავს. ეს ფაქტიც საკმაოდ ხშირად იჩენს თავს.

ნასახელარ ზმნებში ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები მარტივი და რთული (**-ავ** ელემენტიანი) ფორმები არ შეგვხვედრია. სა-

ხელთა ერთი ნაწილი ზმნურ ფორმებს **-ავ** ელემენტით იწარმოებს (ითევზავებს, იბურთავებს...), ხოლო, მეორე ნაწილი — მარტივად; **-ავ** ელემენტის გარეშე (**მეფობს, ბავშვობს, კაცობს...**). მიუხედავად ამისა, მაინც შეიმჩნევა აშკარა შინაარსობრივი სხვაობა „ითევზავა“ და „იმეფა“ ტიპის ფორმებს შორის. სხვაობას ქმნის მიმართება ზმნის სუბიექტსა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის (ამის თაობაზე წინა პარაგრაფში ვისაუბრეთ).

როგორც ვხედავთ, მარტივ და რთულ (**-ავ** ელემენტიან) ფორმათა შინაარსობრივ დაპირისპირებას სხვადასხვა საფუძველი აქვს ძირეულ და ნასახელარ ზმნებში. ეს ფაქტი თავისთავად სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ **-ავ** ელემენტის მორფოლოგიური ფუნქცია არ არის მარტივ და რთულ ფორმათა შორის არსებული შინაარსობრივი დაპირისპირების გამოხატვა.

როგორც ჩანს, ენაში უკვე არსებულმა ფორმებმა (მარტივმა და რთულმა) გადაინაწილეს ასევე ენაში უკვე არსებული განსხვავებული შინაარსი. ფორმათა შორის ამგვარი შინაარსობრივი სხვაობა გვიანდელი ჩანს და ესეც არის მიზეზი იმისა, რომ შინაარსობრივი დაპირისპირება სისტემებრ არ არის გატარებული.

გვინდა ყურადღება მივაქციოთ რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევას.

იგუნდავა, იციგავა, იკოჭავა ფორმებში **ვ** ფონეტიკურ ჩანართად, ხმოვანთგასაყარად არის მიჩნეული. წინამვალი **ა** კი — შესაბამისი სახელის ფუძისეულ ხმოვნად. აღნიშნულ ნასახელარ ზმნათა ამგვარი ანალიზის საფუძველი ის არის, რომ სათანადო სახელი ხმოვანფუძიანია. ზემოთ იმის თაობაზეც ვისაუბრეთ, რომ „ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან ზმნათა წარმოება ორგვარია: შეიძლება, რომ ბოლოკიდური ხმოვანი შეიკვეცოს და შეიძლება სახელის ფუძე შენახულ იქნეს მთლიანად“ (ა. შანიძე). **იციგავა, იგუნდავა, იკოჭავა** ფორმებში ივარაუდება, რომ სახელის ფუძე (**ციგა, გუნდა, კოჭა**) უცვლელადაა წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, აღნიშნულ ზმნურ ფორმებში შესაძლებელია იმავე **-ავ** ელემენტის გამოყოფა, რაც „ითევზავა“ ტიპის ზმნებში დასტრუდება.

საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ როგორ იცვლება სახელური ფუძეები მათგან ზმნური ფორმების წარმოების დროს.

თუ იმ ფონეტიკურ პროცესებს გავითვალისწინებთ, რაც ერთზე-

მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან კვეცად სახელებში ხდება — **ციგა, გუნდა, კოჭა, კაფია, ენა, ციგურა** და სხვა, სახელური ფუძეებისაგან წარმოებულ ზმნურ ფორმებში ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვაა მოსალოდნელი, ეს კი **ი-ციგ-ავ-ა, ი-გუნდ-ავ-ა, ი-კოჭ-ავ-ა, კაფი-ა(ვ)-ობს, ციგურ-ა(ვ)-ობს, ენა-(ვ)-ობს** ფორმებში **-ავ** ელემენტის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს. ამ ფორმებში **-ავ** ელემენტის გამოყოფას მხარს უჭერს მათი შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებაც: მიმართება სუბიექტსა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ისეთია, როგორც „ითევზავა“ ტიპის ზმნათა შემთხვევაში: სუბიექტი მოქედებას ასრულებს ფუძეში წარმოდგენილი სახელით აღნიშნული საგნით ან საგანზე:

ციგაობს — ციგით სრიალებს,
გუნდაობს — თოვლის გუნდების სროლით ვინმესთან თამაშობს,
კოჭაობს — კოჭს თამაშობს (კოჭი || კოჭა),
ენაობს — ენა, ამბავი მიაქვს-მოაქვს,
ციგარაობს — ციგურებით სრიალებს.

ამგვარად, მომხდარი ფონეტიკური პროცესისა და შინაარსობრივი მხარის გათვალისწინება ამ ფორმებში იმავე **-ავ** ელემენტს გამოგვაყოფინებს, რაც „ითევზავა“ ტიპის ზმნებში დასტურდება.

IV. 5.6. II სერიის ფორმათა წარმოების საკითხები. წყვეტილის წარმოება.

IV. 5.6.1. წყვეტილის წარმოების ტიპის განსაზღვრისათვის. წყვეტლის წარმოებაში ძირითადად ორ ჯგუფს გამოყოფენ: ა) უნიშნოს, რომელიც რიგ შემთხვევაში მიიღებს ნართაულ **ი**-ს და ბ) **-ე** სუფიქსიანს.

ზმნური კატეგორიებისა და მორფოლოგიური ტიპების გათვალისწინება ვერ აგვიხსნის წყვეტილის წარმოების საკითხს. სხვაგვარად, ზმნური კატეგორიები და მორფოლოგიური ჯგუფები არ განსაზღვრავს წყვეტილის წარმოების ტიპს.

წყვეტილის წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საყრდენი მორფემის სტრუქტურას. განსხვავებულია ვითარება იმის მიხედვით, საყრდენი მორფემა მარცვლოვანია თუ უმარცვლო; მარცვლოვანთაგან — ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველია თუ არა. აქვე დავძენთ: როცა ვსაუბრობთ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობაზე, მხედველობაში გვაქვს მონაცვლეობა-არმო-

ნაცვლეობა წყვეტილის ფორმებში. შეიძლება საყრდენი მორფემისეული ხმოვანი საერთოდ ნულთან მონაცვლეობდეს, მაგრამ განსახილველი მწკრივის ფორმებში ხმოვანი შენარჩუნებული ჰქონდეს; მაგ.: აწმყო — ვ-შლ-ი, ვ-თლ-ი... წყვეტილი — ვ-შალ-ე, ვ-თალ-ე... ასეთ შემთხვევაში საყრდენ მორფემას ნულთან არმონაცვლე ხმოვნის შემცველს ვუწოდებთ, რადგან საუბარი გვაქვს წყვეტილის წარმოებაზე.

წარმოების ტიპზე მსჯელობისას მხედველობაშია მიღებული სუბიექტური პირველი და მეორე პირის ფორმები, რადგან მაწარმოებლები სრული სახით აქ არის წარმოდგენილი. სუბიექტური მესამე პირის ფორმებში პირის ნიშანთა გავლენით მომხდარ ფონეტიკურ პროცესთა შედეგად წარმოების ტიპის გარჩევა, ძირითადად, არ მოხერხდა.

IV. 5.6.2. -ი ელემენტიანი წყეტილი. წყვეტილში ზმნათა ერთი ჯგუფი სუბიექტური I და II პირის ფორმებში **-ი** ელემენტს დაირთავს. სათანადო ენობრივი მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ განსახილველ **მწკრივში -ი** ელემენტი ყველგან ერთ და იმავე ოდენობად არ შეიძლება ჩაითვალოს.

-ი ელემენტიანი წყვეტილის წარმოებაში ორი შემთხვევა უნდა გაირჩეს: ერთი, როცა I და II პირის ფორმებში **-ი** ელემენტი თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან და მეორე, როცა ამ ფორმებში **-ი** ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან.

თუ საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და დრო-კილოთა მეორე სერიის გარკვეულ ფორმებში (ე. ი. სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში) **ხმოვანს კარგავს, წყვეტილი -ი ელემენტით იწარმოება ან უნიშნოდაა წარმოდგენილი** (უნიშნო ტიპი წარმოებისა ამჟამად შედარებით იშვიათია). აღნიშნული კანონზომიერებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, საყრდენი მორფემა ძირეულია თუ სუფიქსური:

ა) საყრდენი მორფემა ძირეულია:

მოვ-**კალ**-ი	მოვ-**კალ**	მოვ-**კალ-ი**-თ
მო-**კალ**-ი	მო-**კალ**	მო-**კალ-ი**-თ
მო-**კლ**-ა		მო-**კლ**-ეს

ამ ტიპის ზმნებია: ა) **ა** ხმოვნიანი ძირეული მორფემით: შევ-**კარ**-ი (შე-კრ-ა), მოვ-**ხან**-ი (მო-ხნ-ა), დავ-**წან**-ი (და-წნ-ა), დავ-**ძარ**-ი (და-ძრ-ა) და სხვა; ბ) **ე** ხმოვნიანი ძირეული მორფემით: გავი-**ნძერ**-ი (გაი-ნძრ-

ა), გავ-**ჭერ**-ი (გა-ჭრ-ა), გავ-**ცერ**-ი (გა-ცრ-ა), გავი-**ქეც**-ი (გაი-ქც-ა) და სხვა.

წარმოების ტიპი არ იცვლება, როცა საყრდენი მორფემა ისეთი სუფიქსია, რომლის ხმოვანიც გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში მონაცვლეობს ნულთან. ახალ ქართულში დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმებთან ამგვარი სუფიქსური საყრდენი მორფემა არა გვაქვს, მაგრამ ძველ ქართულში გვქონდა; მხედველობაში გვაქვს პირდაპირი ობიექტის მრავლობითის -**ენ** (რომელიც შესაბამისი ვნებითის ფორმებშიც გადაჰყვებოდა ზმნას) და ვნებითი გვარის **-ენ** მაწარმოებლები. ძველი ქართულის მონაცემთა მოშველიებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, დგინდება, რომ კანონზომიერება საკმაოდ ძველი და გავრცელებული ჩანს. გარდა ამისა, ნაშთის სახით ახალ ქართულში შემოგვრჩა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-ენ** სუფიქსიანი ფორმები; მათ გამოყენებას უმეტეს შემთხვევაში, მართალია, სტილური დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ საკითხის განხილვისათვის მნიშვნელოვანია:

წეროს წვივნი **დავლეწენ** (ა. ჭავჭ.).

სისკარ და მარეხ მე თვით **ჩავაქრენ** ჩაუქრობელმა და კვლავ **აღვანთენ,** ვით მზემან — მთვარე (გ. ჯაბ.).

-ენ სუფიქსი, ძირითადად, ვნებითის ფორმებმა შემოგვინახა:

დავკოცნეთ ერთმანეთი და **გავიყარენით** (ილია).

დაიზარდენით, ქალებო (ვაჟა).

აღმართთან ურმებს **დავეწიენით** და ნაბიჯით გავყევით უკან (ეკ. გაბ.).

სასტიკად **ვიძლიენით** და გული გატყდა გმირულად მებრძოლის (ვ. ბარნ.).

გუშინ სადილიდან პირდაპირ იქ **გაიპარენით?** (ნ. შიუკ.).

შევემტკიცენით, მათნი ვართ და ჩვენნი არიან (ო. ჩხ.).

შენ თუ მუსიკა არ გაწუხებს, ჩვენ **დავიხოცენით** (მ. ბერძ.).

როგორც ცნობილია, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობისა და ვნებითი გვარის აღნიშნული მაწარმოებლები წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმებში სრული სახით იყო წარმოდგენილი, მესამე პირში ხმოვანი რედუცირდებოდა. ზემოგანხილული შემთხვევების მსგავსად, წყვეტილი აქაც ან უნიშნოა, ან დაირთავს **-ი** ელემენტს (ძირითადად მრავლობითის ფორმებში). მნიშვნელობა არა აქვს ძირეული მორფემის ტიპს:

ა) ძირეული მორფემისეული ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან:

მოვ-კლ-ენ	მოვ-კლ-ენ-ი-თ
მოჰ-კლ-ენ	მოჰ-კლ-ენ-ი-თ
მო-კლ-ნ-ა	მო-კლ-ნ-ეს

ბ) ძირეული მორფემისეული ხმოვანი არ მონაცვლეობს ნულთან:

დავ-ხატ-ენ	დავ-ხატ-ენ-ი-თ
დაჰ-ხატ-ენ	დაჰ-ხატ-ენ-ი-თ
და-ხატ-ნ-ა	და-ხატ-ნ-ეს

ასევე იწარმოებს წყვეტილის ფორმებს **-ენ** სუფიქსიანი ვნებითებიც:

განვ-კაც-ენ	განვ-კაც-ენ-ი-თ
განჰ-კაც-ენ	განჰ-კაც-ენ-ი-თ
გან-კაც-ნ-ა	გან-კაც-ნ-ეს

ამგვარად, თუ საყრდენი მორფემა არის მარცვლოვანი და ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ფორმებში კარგავს ხმოვანს, ზმნური ფორმა დაირთავს **-ი** ელემენტს, რომელიც თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან. განხილულ ტიპს წარმოებისას ვუწოდებთ **წყვეტილის წარმოების I ყალიბს** (ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემა + ი II 0).

გამოიყოფა ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელიც წყვეტილს **-ი** ელემენტით იწარმოებს, მაგრამ სხვაობა ზემოთ განხილული I ყალიბის ზმნებთან ის არის, რომ ეს **-ი** ელემენტი თვისობრივად განსხვავებულია, იგი არ მონაცვლეობს ნულთან: თუ გვაქვს **მოვკალ** II **მოვკალ-ი** ტიპის ფორმები, არ გვხვდება **გავთბ-ი** II **გავთბ** პარალელური ფორმები. ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა აქვს განსახილველი ტიპის ზმნათა ფორმობრივი ანალიზისას.

ზმნათა იმ ჯგუფს, რომელთა წყვეტილში გამოვლენილი **-ი** ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან, ვუწოდებთ **წყვეტილის წარმოების II ყალიბს.**

მეორე ყალიბის ზმნებში ძირითადად სამი მორფოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა: ა) **-ამ** თემისნიშნიანები, ბ) **დ**ონიანი ვნებითები და გ) „უნიშნო ვნებითთა“ ერთი ნაწილი (ამ ზმნათა მორფოლოგიური თავისებურებები რომ არაფერ შუაშია წყვეტილის წარმოებასთან დაკავშირებით, ისიც ადასტურებს, რომ უნიშნო ვნებითთა ერთი ნაწილი — გავძეხი, დავთვერი, გავქერი... — I ყალიბში თავსდება, ნაწილი კი II ყალიბში შემოდის).

განვიხილავთ ცალ-ცალკე მეორე ყალიბის ზმნათა ჯგუფებს:

-ამ თემისნიშნიანი ყველა ზმნა წყვეტილს **-ი** ელემენტით იწარმოებს (ა. შანიძე, 1973, გვ. 427). ამგვარ ზმნათა რაოდენობა არცთუ დიდია. **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა წყვეტილში საყრდენი მორფემა ძირეულია და, რაც მთავარია, უმარცვლო:

დავა-ბ-ი (ვაბ-ამ)	დავა-სხ-ი (ვა-სხ-ამ)
დავ-დგ-ი (ვდგ-ამ)	შემოვი-რტყ-ი (შემოვირტყ-ამ)
გავა-რთხ-ი (ვართხ-ამ)	დავა-რქვ-ი (დავარქვ-ამ ‖ დავარქმ-ევ)
გავ-თქვ-ი (გავთქვ-ამ)	ჩავი-ცვ-ი (ჩავიცვ-ამ)
შევ-სვ-ი (შევსვ-ამ)	

„უნიშნო ვნებითთა“ ერთი, მცირე, ნაწილი პირველ ყალიბში თავსდება (გავძეხი, დავთვერი, გავჭერი...); ამ ტიპის ზმნათა მეორე ნაწილის ძირეული მორფემა წყვეტილის ყველა ფორმაში უმარცვლოა და II ყალიბის პარადიგმას გვაძლევს:

შევ-კრთ-ი	შევ-კრთ-ი-თ
შე-კრთ-ი	შე-კრთ-ი-თ
შე-კრთ-ა	შე-კრთ-ნენ

ასევე იუღვლის ზმნები: **გავ-თბ-ი, გავ-ხმ-ი, დავ-დნ-ი...**

საყრდენი მორფემა უმარცვლო აქვს და წყვეტილში **-ი** ელემენტს დაირთავს დონიანი ვნებითი. ფაქტობრივ, ძველსა და ახალ ქართულში არ დასტურდება დონიანი ვნებითის პირველი და მეორე პირის ფორმები (მხოლობითსა და მრავლობითში), რომ ამ ელემენტს არ დაირთავდეს.

მეორე ყალიბის ზმნათა მორფოლოგიური ჯგუფების განხილვამ გვიჩვენა, რომ ამ ყალიბის ზმნათა ძირითად ნაწილში ისტორიულად მარცვლოვანი კუმშვადი საყრდენი მორფემა იგულისხმება; მაგრამ ისტორიული ვითარება ამჟამინდელ მდგომაროებას არ უნდა განსაზღვრავდეს. **-ი** ელემენტის გამოვლენა განსახილველი ტიპის ზმნათა წყვეტილის ფორმებში არაა ოდინდელი მარცვლოვნობის შედეგი. წყვეტილის წარმოებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ და მხოლოდ საყრდენი მორფემის ამჟამინდელ სტრუქტურას (ეს უფრო ცხადად წარმოჩნდება, როცა შევეხებით პარალელურ წარმოებას წყვეტილისას). აქედან გამომდინარე, მართებული ჩანს დაკვირვება (ვ. თოფურია), რომ **-ი ელემენტს დაირთავს უმარცვლო საყრდენი მორფემა.**

რა გვაძლევს საფუძველს მეორე ყალიბის გამოყოფისას; ხომ არ შეიძლება **-ი** ელემენტიანი ყველა ზმნის ერთ ყალიბში მოქცევა და წე-

სის ამგვარად ჩამოყალიბება: **-ი** ელემენტს დაირთავს ნამყო ძირითად-ში კუმშვადი და უმარცვლო საყრდენი მორფემა?

რა თქმა უნდა, არა. აქ უეჭველადაა გასათვალისწინებელი **-ი** ელემენტის თვისობა და ქმედების უნარი. **-ი** ელემენტი, როგორც მიუ-თითებენ, „უფუნქციოა“, გაჩენილია თანხმოვანგასაყარად I და II სუბი-ექტური პირის მრავლობითის ფორმებში, შემდეგ გადავიდა მხოლო-ბითში. მკვლევართა უმრავლესობა ამგვარად ხსნის **-ი** ელემენტის არსებობას I და II ყალიბის ზმნებთან, თუმცა იმასაც შენიშნავენ, რომ შესამჩნევია სხვაობა ამ ელემენტის გამოყენების თვალსაზრისით მარ-ცვლოვან და უმარცვლო ფუძეებთან: „ნართაული **ი**... თანხმოვანთ გა-საყარად არის გაჩენილი მრავლობითში და იქიდან მხოლობითშია გადასული. ეს **ი** დღეს მხოლობითისათვის აუცილებელია უმარცვლო ფუძეებში, სხვებში კი აუცილებელი არაა, თუმცა კი მისი დართვა ჩვე-ულებრივია“ (ა. შანიძე).

სადავოა ნამყო ძირითადში გამოვლენილი **-ი** ელემენტის ყველა შემთხვევაში ერთ და იმავე ოდენობად მიჩნევა.

ჯერ ერთი, თუ **-ი** ელემენტი პირველი და მეორე ყალიბის ზმნებ-თან ერთი და იგივე ოდენობაა, რატომ არის, რომ I ყალიბის ზმნათა პარალელური ფორმები არსებობს **-ი** ელემენტითა და მის გარეშე: **მოვ-კალ** II **მოვ-კალ-ი**..., ხოლო მეორე ყალიბის ზმნებში არ გვხვდება ამგვარი შემთხვევები; გვაქვს **დავ-დგ-ი, გავ-თბ-ი, ავშენ-დ-ი,** მაგრამ არა გვაქვს **დავ-დგ, გავ-თბ, ავშენ-დ** და სხვა.

მეორეც, თუ პირველი ყალიბის ზმნებში **-ი** ელემენტი საყრდენი მორფემის ხმოვანზე გავლენის უნარს მოკლებულია, ვერ კარგავს მას (მოვ-კალ-ი და არა მოვ-კლ-ი), ამას ვერ ვიტყვით II ყალიბის ზმნებთან გამოვლენილ **-ი** ელემენტზე. ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში აქ საყრდენი მორფემა შეკუმშულია (გავ-თბ-ი II განვ-ტეფ-ი, გავ-ხმ-ი II განვ-ჴემ-ი...). ხმოვნის რედუქციის გამომწვევი სხვა ფაქტორი, გარდა **-ი** ელემენტის გავლენისა, ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, გამორიცხულია.

ამდენად, II ყალიბის ზმნებთან გამოვლენილი **-ი** ელემენტი არსე-ბითი ხასიათის სხვაობას ავლენს I ყალიბის ზმნებთან დადასტურებულ **-ი** ელემენტთან: არ მონაცვლეობს ნულთან და კარგავს საყრდენი მო-რფემისეულ ხმოვანს.

ეს კი სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ **-ი** ელემენტი სხვადასხვა ოდენობად უნდა იქნეს მიჩნეული I და II ყალიბის ზმნებთან.

მეორე ყალიბის ზმნები ისტორიულად პირველი ყალიბისაა. ყალიბის შეცვლა, ახალი ყალიბის შექმნა დონიან ვნებითებში უნდა

დაწყებულიყო, ძველსავე ქართულში ეს პროცესი უკვე დამთავრებულია. სხვა ტიპის ზმნებთან კი ჩვენ თვალწინ ხდებოდა; **-ამ** თემისნიშნიანებში უკვე დასრულებული სახე მიიღო, ხოლო „მესამე ტიპის“ ვნებითის ზოგი ზმნა დღესაც პირველ ყალიბში შედის; გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევებიც: **დავთვერი** II **დავთვრი, გავქერი** II **გავქრი, დავშვერი** II **დავშვრი...**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **მეორე ყალიბის** ზმნები შეიძლება ამგვარად დავახასიათოთ: **უმარცვლო საყრდენი მორფემა + -ი ელემენტი, რომელიც არ მონაცვლეობას ნულთან.**

IV. 5.6.3. *-ე* სუფიქსიანი წყვეტილი. წყვეტილში ზმნათა ერთი ჯგუფი I და II სუბიექტური პირის ფორმებში **-ე** სუფიქსს დაირთავს. **-ე** სუფიქსიანი წყვეტილის წარმოებაში ორი შემთხვევა უნდა გაირჩეს: **ერთი,** როცა ამ ფორმანტით წარმოებულ ზმნებს მესამე სუბიექტური პირის ნიშნად **-ა** სუფიქსი მოუდის და, მეორე, როცა სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი აქვს. პირველი მათგანი მეორისაგან კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის სხვაობას ავლენს, კერძოდ, განსხვავებულია მათი საყრდენი მორფემებიც.

-ე სუფიქსს დაირთავს და **-ა**-ს მიიღებს სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ისეთი ზმნები, რომელთა საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და მეორე სერიის ფორმებში არ კარგავს ხმოვანს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, საყრდენი მორფემა ძირეულია თუ სუფიქსური — ჩვენება ყოველთვის ერთგვარია:

ა) საყრდენი მორფემა ძირეულია:

გავ-**შალ**-ე	ავა-**შენ**-ე	მოვ-**დრიკ**-ე	შევ-ღ**ობ**-ე	მოვა-**დუნ**-ე
გა-**შალ**-ე	აა-**შენ**-ე	მო-**დრიკ**-ე	შე-ღ**ობ**-ე	მოა-**დუნ**-ე
გა-**შალ**-ა	აა-**შენ**-ა	მო-**დრიკ**-ა	შე-ღ**ობ**-ა	მოა-**დუნ**-ა

ბ) საყრდენი მორფემა სუფიქსურია:

მოვაკვლ-**ევინ**-ე	დავაწერ-**ინ**-ე
მოაკვლ-**ევინ**-ე	დააწერ-**ინ**-ე
მოაკვლ-**ევინ**-ა	დააწერ-**ინ**-ა

როგორც ვხედავთ, შეიძლება ზმნა ამ მწკრივის სხვა ფორმებს სხვაგვარად იწარმოებდეს, მაგრამ წარმოების ნულთან არმონაცვლე ხმოვნის შემცველი სუფიქსით გართულება წყვეტილის წარმოების ტიპს

ცვლის: გავ-**ჭერ**-(-ი), მაგრამ გავაჭრ-**ევინ**-ე... სხვა შემთხვევაში უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმათა ამგვარი შენაცვლება წარმოების ტიპის შეცვლას არ გამოიწვევს, თუ საყრდენი მორფემის სტრუქტურა არ შეიცვლება: გავა-**კეთ**-ე — გავაკეთებ-**ინ**-ე. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ წყვეტილის წარმოების განმსაზღვრელი ძირითადად საყრდენი მორფემის სტრუქტურაა.

ამგვარად, წყვეტილის წარმოებაში კიდევ ერთი **ყალიბი** გამოიყო, რომელიც შეიძლება ასე დახასიათდეს, **მარცვლოვანი უკუმშველი საყრდენი მორფემა + -ე სუფიქსი.** წარმოების ამ ტიპისათვის ნიშანდობლივია სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ა** სუფიქსი. **ნამყო ძირითადის წარმოების ამ ტიპს ვუწოდებთ მესამე ყალიბს.**

მესამე ყალიბის ზმნებს აშკარად უპირისპირდება და სხვაგვარ ყალიბს ქმნის ზმანთა ის ჯგუფი, რომელიც წყვეტილს ასევე **-ე** სუფიქსით იწარმოებს, მაგრამ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მოუდის **-ო** სუფიქსი. ყველა ამ ზმნის საყრდენი მორფემა უმარცვლოა.

ამგვარად, უმარცვლო საყრდენი მორფემა და I და II პირში წყვეტილის **-ე** მაწარმოებელი არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი გამოვლინდეს. სხვაგვარად: სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსი ყოველთვის ვარაუდობს I და II პირში **-ე** მაწარმოებელს (წესი პირუკუ არ მოქმედებს). ეს კანონზომიერება ჩანს:

ავა-**გ-ე**	გავა-**თბ-ე**	დავა-**ტკბ-ე**	დავა-**ფრთხ-ე**
აა-**გ-ე**	გაა-**თბ-ე**	დაა-**ტკბ-ე**	დაა-**ფრთხ-ე**
აა-**გ-ო**	გაა-**თბ-ო**	დაა-**ტკბ-ო**	დაა-**ფრთხ-ო**

ამგვარ ყალიბს — უმარცვლო საყრდენი მორფემა + **-ე** სუფიქსი I და II პირში და **-ო** სუფიქსი III პირში — ვუწოდებთ **წყვეტილის წარმოების მეოთხე ყალიბს.**

მეოთხე ყალიბის ზმნათა რაოდენობა არცთუ დიდია. მათი რიცხვი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ქეგლ) მიხედვით ცხრა ათეულს აღწევს. საყრდენი მორფემა შეიძლება იყოს ცალთანხმოვნიანი (ავა-**გ**-ე — აა-**გ**-ო, ავი-**ღ**-ე — აი-ღ-ო, შევა-**ქ**-ე — შეა-**ქ**-ო...), ორთანხმოვნიანი (გავა-**გდ**-ე — გაა-**გდ**-ო, დავ-**გმ**-ე — და-**გმ**-ო, დავ-**თმ**-ე — და-**თმ**-ო...), სამთანხმოვნიანი (შევა-**კრთ**-ე — შეა-**კრთ**-ო, დავა-**ტკბ**-ე — დაა-**ტკბ**-ო, ვუ-**მტრ**-ე — უ-**მტრ**-ო...) და ოთხთანხმოვნიანი (დავა-**ფრთხ**-ე — დაა-**ფრთხ**-ო, დავე-**ყრდნ**-ე — დაე-**ყრდნ**-ო. ვი-**გრძნ**-ე — ი-**გრძნ**-ო...).

აქვე, უეჭველია, თავს იჩენს ერთი საკითხი: თუ წყვეტილის წარმოების ტიპის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა საყრდენი მორფემის სტრუქტურას ენიჭება, როგორ უნდა აიხსნეს ის ფაქტი, რომ II და IV ყალიბის ზმნათა საყრდენი მორფემა სტრუქტურულად ერთგვარია — უმარცვლო და ზოგ შემთხვევაში შეკუმშული (ერთი მხრივ, დავა-**ბ**-ი, გავ-**თბ**-ი... და, მეორე მხრივ, ავა-**გ**-ე, გავა-**თბ**-ე...). მივიღეთ: ა) ერთგვაროვანი საყრდენი მორფემა და განსხვავებული წარმოება (გავ-**შრ**-ი — გავა-**შრ**-ე...) და, პირიქით, ბ) განსხვავებული სტრუქტურის საყრდენი მორფემა და ერთგვარი წარმოება (ავა-**შენ-ე** — ავი-**ღ-ე**).

ფაქტის ისტორიის გათვალისწინება მოვლენას აგვიხსნის. კერძოდ, დგინდება, რომ **-ე** სუფიქსი მესამე და მეოთხე ყალიბის ზმნებში გენეტურად განსხვავებული ოდენობებია.

IV ყალიბის ზმნებში **-ე** სუფიქსი **-ევ**-იდან მომდინარე ჩანს, III ყალიბის ზმნებში კი — თავისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელი.

IV. 5.6.4. თავისებურებანი წყვეტილის წარმოებაში

IV. 5.6.4.1. უნიშნო ტიპი წარმოებისა. წყვეტილის წარმოების I ყალიბის ზმნები I და II პირის ფორმებს უნიშნოდ იწარმოებენ ან დაირთავენ ე. წ. „უფუნქციო“ **-ი**-ს.

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში წარმოების უნიშნო ტიპი ძალზე იშვიათია: ჩვეულებრივ **-ი** ელემენტმა დაიმკვიდრა ადგილი წყვეტილში სუბიექტური I და II პირის ფორმებთან როგორც მრავლობითში, ასევე მხოლობითში. I ყალიბის ზმნათა უნიშნო ვარიანტები ძირითადად ბრძანებით წინადადებებში დასტურდება, თუმცა არის შემთხვევები კითხვით და თხრობით წინადადებებში მათი გამოყენებისა:

ა) ბრძანებითი:

აქ **მოეთერ,** აქა, შე უნამუსო! (ეკ. გაბ.).

მაშ, ეს **მითხარ,** კაცო! (ვაჟა).

აბა, პატარა ხანს **დადეგ,** თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე! (ილია).

დედი, ორიოდ პური **მომეც!** (ხ. ს.).

ცხვირი **მომჭერ,** თუ ესენი ბოთლების მრეცხავები არიან (ნ. შიუკ.).

გაუძეხ სტუმრებს (გ. შარ. 8).

ბ) კითხვითი:

ხუთკუნჭულავ, **გახველ** ხიდს თუ არა? (ხ. ს.).

გაძეხ, მელიავ, თუ არაო? — ჰკითხა ოფოფმა (იქვე).

რად **მომასწარ** ამ დღესა? (აკაკი).
მახვილი **ჰკარ** და არ გახსოვს? (გ. შარ.).
გ) თხრობითი:

წარმოვუდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი (ილია).
მე **დავკარ** ფეხი და გავვარდი ყაჩაღად (იქვე).
ხელები უშნოდ **გავიკარ** ბარძაყებზედ (ვაჟა).
უთხარ, ახლავე გამოგზავნოს (ა. ცაგ.).
ვიგრძენ რაღაც შიში (ნ. შიუკ.).

შესწავლილი მასალა გვიჩვენებს, რომ უნიშნო ფორმათა გამოყენების სიხშირე მეტია XIX საუკუნის მწერალთა ენაში, ვიდრე XX საუკუნისაში. პროზაულ ტექსტებში უნიშნო წყვეტილი თანამედროვე ქართულში, ჩვეულებრივ, ნაკლებად გვხვდება; არამხატვრულ ტექსტებში ამგვარი წარმოება გამორიცხულია. უნიშნო ტიპი წარმოებისა ძირითადად პოეტური ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი:

მეგობრობავ, შვების ვარსკვლავად **აღგვეგზენ** (გ. ორბ.).
მეხრევ, **გაუკარ** შვინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია (რ. ერისთ.).
იყავ ამიერ შეჩვენებული (აკაკი).
გამარჯობა, შოფერო, **მიცან?** აი, დედასა! (გალაკტიონი).
ძილს **მივეც** თავი წუთით დაღლილმა (მ. ლებ.).
გადარჩი მაშინ, როდესაც **გითხარ:** დღეიდან მე ვარ პატრონი შენი (მ. მაყ.).

ცხადია, ასეთ შემთხვევებში უნიშნობა უმეტესად ლექსის საჭიროებითაა გამოწვეული — მარცვალთა რაოდენობა განმსაზღვრელი ჩანს.

ზოგ შემთხვევაში უნიშნო ვარიანტის დანიშნულება არქაული სტილის შექმნაა. მრავლად დასტურდება მსგავსი ფორმები ისტორიულ თემებზე შექმნილ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებში. ამ მხრივ პერსონაჟისა და ავტორის მეტყველება სხვაობას გვიჩვენებს. ჩვენთვის საინტერესო ფორმები ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი:

შეიბ მახვილი (აკაკი).
აშოტ, საყვარელო, **მითხარ,** მანუგეშე (ვ. ბარნ.).
იქმენ სრულიად მორჩილი ჩემი (იქვე).
განვედ ჩემგან, მაცდურო ბოროტო (იქვე).
ასულსა ჩემსა **გააცან** ერისთავნი (გ. შარ.).
გვქმენ ერთპირადა (ო. ჩხ.).

რაო, დუნაი, ნუთუ ვერ **მიცან?** (ბილინ.).
ნესტიან მიწაში **დამფალ** მკერდამდე (იქვე).
ამგვარ შემთხვევებში მრავლობითის უნიშნო ვარიანტებიც დასტურდება:

დღეს **სცანთ** რა, თავადნო, ჩვენი ნებანი... (გ. შარ.).
რას **მოვესწართ,** რა დღე დაგვადგა (ო. ჩხ.).
ვითარ **შეიძელთ** გადატანა ესდენ ვაების (იქვე).
აჰა, გადარჩა, ის გადარჩა, კვლავ **გამოვიხსენთ** (იქვე).

მსგავსი ფორმები მწერალ ო. ჩხეიძის მხოლოდ ისტორიული ხასიათის პოეტურ ნაწარმოებებში დავადასტურეთ. ორი ფაქტორის გათვალისწინება უეჭველია: სტილის არქაიზაცია და ფრაზის რიტმულობა. ავტორისათვის უნიშნო და **-ი** ელემენტიანი ვარიანტები ფორმობრივად განსხვავებული და ფუნქციურად იდენტური ოდენობებია, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება შეენაცვლონ ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით აშკარად იგრძნობა იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე ფრაზაში ერთი და იმავე ზმნის პარალელური ვარიანტებია წარმოდგენილი:

განვედ, უკმურო, ჩამომეხსენ, ჰოი, **განვედი** (ო. ჩხ.).
გვითხარ, ო, **გვითხარ,** რამე **გვითხარ, გვითხარი** რამე (იქვე).
ღერთო **მიხსენ,** შენ **დამიხსენი,** მხსნელო ყოველთა (იქვე).

იმ ფაქტს, რომ უნიშნო ვარიანტები ფრაზაში წინ უსწრებს **-ი** ელემენტიან ვარიანტებს, საკითხთან დაკავშირებით რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ეს მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურება ჩანს. ასევე მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ უნიშნო წყვეტილის გამოყენების ზოგი შემთხვევა ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში:

მამცენ მნათობო... რისგან გაქვს ჭმუნვა და სნეულება (ა. ჭავჭ.).
აწ ჩემდა შესაზარად, **გარდაგექეც** შორაელად (იქვე).
მოვედ თაგთირ ხშულის გულის სახებად (იქვე).
მას მნათს **უთხართ** ჭმუნვანი ჩემნი სრულიად (იქვე) და სხვა.

ზოგჯერ ამგვარი შემთხვევები შეიძლება გავიგოთ, როგორც „პოეტური ლიცენცია“.
ამგვარად, წყვეტილის უნიშნო ვარიანტები თანამედროვე ქარ-

თულში მხატვრული ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი; პროზაულ ნაწარმოებებში ძირთიადად პერსონაჟთა მეტყველებაში გამოიყენება და მას გარკვეული სტილური დანიშნულება ეკისრება.

IV. 5.6.4.2. ზოგადად სუბიექტური III პირის -ო სუფიქსის გამოვლენის პირობათა შესახებ. წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის არსებობისათვის ორი პირობაა აუცილებელი: ა) **საყრდენი მორფემა** (ამ შემთხვევაში მარტივი ფუძე) **უნდა იყოს უმარცვლო** და ბ) **წყვეტილის მაწარმოებელი — -ე სუფიქსი.** ეს კანონზომიერებაა.

თუ ამ პირობათაგან ერთ-ერთი არ არის დაცული, მაშინ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ნამყო ძირითადში **-ა** სუფიქსი იქნება წარმოდგენილი:

ა) გვაქვს უმარცვლო ფუძე (საყრდენი მორფემა), მაგრამ ნამყო ძირითადს **-ი** ელემენტი აწარმოებს:

დავა-ბ-ი	გავუ-შვ-ი	ვ-თქვ-ი
დაა-ბ-ი	გაუ-შვ-ი	თქვ-ი
დაა-ბ-ა	გაუ-შვ-ა	თქვ-ა

ბ) ნამყო ძირითადის მაწარმოებელია **-ე** სუფიქსი, მაგრამ საყრდენი მორფემა მარცვლოვანია:

გავ-თალ-ე	ავა-შენ-ე	შევ-კრიბ-ე	დავაწერ-ინ-ე
გა-თალ-ე	აა-შენ-ე	შე-კრიბ-ე	დააწერ-ინ-ე
გა-თალ-ა	აა-შენ-ა	შე-კრიბ-ა	დააწერ-ინ-ა

თუმცა სალიტერატურო ქართულში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სუბიექტურ მესამე პირს **-ო** სუფიქსი გამოხატავს, აღნიშნული ორი პირობა **-ო**-ს გამოვლენისა კი არ არის დაცული. როგორც აღვნიშნეთ, ისეთი ფაქტებიც გვხვდება, როცა ერთი და იმავე ზმნის სუბიექტურ მესამე პირში პარალელურად **-ა** და **-ო** სუფიქსებია წარმოდგენილი. ჩვენი შემდგომი მსჯელობა ამგვარი გამონაკლისების ახსნას ისახავს მიზნად.

IV. 5.6.4.3. *ყავ* ფუძის შემცველ ზმნათა წყვეტილის შესახებ. ყავ ფუძის შემცველი როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური ფორმები წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმებს უნიშნოდ (resp. **-ი** ელემენტით) იწარმოებს:

ვი-ყავ-(ი) უარ-ვ-ყავ-(ი)
ი-ყავ-(ი) უარ-ყავ-(ი)

მესამე პირში მოსალდნელი **ი-ყვ-ა, უარ-ყვ-ა** ფორმათა ნაცვლად **იყო, უარ-ყო** ფორმებია ნორმატული. ცნობილია, რომ **ო ვა** კოპლექსის შერწყმის შედეგადაა მიღებული. სალიტერატურო ქართული ენის უძველეს ძეგლებში მხოლოდ **ო** ხმოვნიანი ფორმებია დადასტურებული. ფონეტიკური პროცესის საფუძველზე წარმოქმნილი **ო** სუფიქსად იქნა გააზრებული.

ის ფაქტი, რომ **იყო, უარ-ყო** ფორმებში ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი **ო** სუფიქსად იქნა გააზრებული, არის მიზეზი იმისა, რომ კანონზომიერების ძალით (**-ო** გულისხმობს სუბიექტურ I და II პირში **-ე** სუფიქსს), სასაუბრო ენაში თავი იჩინა **-ე** სუფიქსიანმა ფორმებმა: უარ-ვ-ყვ-ე, უარ-ყვ-ე. ამგვარი ფორმები სამწერლობო ენაშიც დასტურდება:

პირველმა მე **უარვყვე** მისი დებულებები! (ო. ჩხ.).

როგორც ვხედავთ, ისტორიულად ფონეტიკურ საფუძველზე მიღებულმა ამჟამად ნორმატულმა სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსიანმა ფორმამ „პარადიგმის გასწორების“ მიზნით ენაში ახალი ფორმები გააჩინა. თავისთავად ფაქტი **-ო**-ს გამოვლენისათვის საჭირო პირობათა პრინციპულ დასაბუთებად გვესახება.

IV. 5.6.4.4. ჩაიცო (ჩაიცვა) ტიპის ფორმები სამწერლობო ენაში. სამწერლობო ენაში ასახვა პოვა ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა: **გაგიშო** („გაგიშვა“), **ჩაიცო** („ჩაიცვა“) **გამოართო** („გამოართვა“) და სხვა:

რომ **გაგიშო,** ჩემი სულიც თან უნდა გაგაყოლო (ილია).
არც მწვადი **დასწო** და არც შამფური (იქვე).
ჩაიცო ტანთა (ვაჟა).
დაკოდილს ხელი **მოუსო** (რ. ერისთ.).
გამოართო მღვდელს მეტრიკული მოწმობა (ე. ნინ.) და სხვა.

წარმოდგენილი ზმნები მეორე ყალიბისაა და, ამდენად, არაა მოსალოდნელი სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი. მსგავსი ფორმები ძირითადად XIX საუკუნის მწერალთა ენისთვისაა დამახასიათებელი და სალიტერატურო ენის თვალსაზრისით აშკარა დიალექტიზმებია: **-ო** ყველა შემთხვევაში **-ა** სუფიქსის **ვ**-სთან შერწყმის შედეგია, ფაქტი მოქმედი ფონეტიკური პროცესის ასახვაა. საანალიზო ფორმათა უმართებულობის მტკიცება სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის

გამოვლენის პირობათა გათვალისწინებითაც ხერხდება: მართალია, წყვეტილში საყრდენი მორფემა უმარცვლოა, მაგრამ ნაკვთის მაწარმოებლად არა გვაქვს **-ე** სუფიქსი.

IV. 5.6.4.5. „შერეული პარადიგმები“ წყვეტილის წარმოებაში. გამოიყოფა ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელთა ფუძეში **ვ** თანხმოვანი არ არის, წყვეტილის I და II პირის ფორმებში უნიშნოა ან **-ი** ელემენტს დაირთავს და III პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი გვაქვს:

შე-ვ-ი-**პყარ**-(ი) შე-ვ-ი-**პყარ**-ი-თ
შე-ი-**პყარ**-(ი) შე-ი-**პყარ**-ი-თ
შე-ი-**პყრ**-ო შე-ი-**პყრ**-ეს

მსჯელობითისათვის მრავლობითის მაგალითებს მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ მხოლობითის ფორმებს დავემყარებით.

ამ ტიპის ზმნებია:

ვი-**გრძენ**-(**ი**)	ი-**გრძენ**-(**ი**)	ი-**გრძნ-ო**
ვი-**ცან**-(**ი**)	ი-**ცან**-(**ი**)	ი-**ცნ-ო**
მოვა-**სწარ**-(**ი**)	მოა-**სწარ**-(**ი**)	მოა-**სწრ-ო**
მივა-**გენ**-(**ი**)	მია-**გენ**-(**ი**)	მია-**გნ-ო**
გამოვა-**კელ**-(**ი**)	გამოა-**კელ**-(**ი**)	გამოა-**კლ-ო**
დავა-**მყენ**-(**ი**)	დაა-**მყენ**-(**ი**)	დაა-**მყნ-ო**
შევ-**ძელ**-(**ი**)	შე-**ძელ**-(**ი**)	შე-**ძლ-ო**

სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის არსებობა ამ ფორმებში ფონეტიკურ საფუძველზე ვერ აიხსნება. ამ ტიპის ზმნებს ძველ ქართულში ძირითადად სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ა** სუფიქსი მოუდიოდა: **შეიპყრ-ა, აგრძნ-ა, შეიცნ-ა... -ა** სუფიქსის **-ო**-თი შენაცვლებას ვერც მეოთხე ყალიბის ზმნათა ანალოგიას მივაწერთ: ამგვარი რამ არ მომხდარა ამ ტიპის (ფუძეკუმშვად) ზმნათა დიდ უმრავლესობაში: მოვ-კალ — მო-კლ-ა; შევ-კარ — შე-კრ-ა, მოვ-ხან — მო-ხნ-ა, გამოვ-ხარ — გამო-ხრ-ა...

ახალ ქართულში განსახილველ ზმნებს სუბიექტურ I და II პირში ნულოვანი (resp. **-ი** ელემენტიანი) წარმოების პარალელურად **-ე** სუფიქსიანი ფორმებიც მოეპოვებათ: **შევი-პყარ || შევი-პყრ-ე, ვიგრძენ || ვი-გრძნ-ე, მოვა-სწარ || მოვა-სწრ-ე, მივა-გენ || მივა-გნ-ე, გავიცან || გავი-ცნ-ე, ჩავ-ფალ || ჩავ-ფლ-ე, გამოვა-კელ || გამოვა-კლ-ე, შევი-ძელ || შევი-ძლ-ე...**

ცად **აღაპყრე** ხელი წყვილი (ს. ჩიქ.).

შეიცნე, მოძმე ნამდვილი თურმე რუსეთშიც გყოლია (იქვე).

იფიქრე, იფიქრე ბედნიერებაზე, თუკი ერთ ნიშანს მაინც **მივაგნეთ** („საბ. ხელ.“ №9, 1977, 110).

უეცრად **ჩავეფლე** ღრმა ძილში („ცისკ.“ №5, 1976, 17).

როდის **შეიგრძნე,** თუ **შეიგრძნე** ტატო ბოლომდი (ვ. გოგოლ.).

ზოგან რაღაც ჩავუმატე, ზოგან რაღაც **გამოვაკლე** (გ. პეტრ.).

ღმერთო, საკუთარ სიკვდილს **მომასწრე** („ცისკ.“ №1, 1981, 62).

შემასწორე და **დამიმყნე** სისხლზე (ს. ჩიქ.).

ამ ფორმებში გვაქვს ის ორივე პირობა, რომელიც აუცილებელია მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში **-ო** სუფიქსის გამოვლენისათვის: უმარცვლო ფუძე და წყვეტილის მაწარმოებელი **-ე** სუფიქსი.

ამგვარად, ენაში არსებული პარადიგმის გვერდით ჩამოყალიბდა ახალი პარადიგმა:

შევი-**პყარ-(ი)** || შევი-**პყრ-ე**
შეი-**პყარ-(ი)** || შეი-**პყრ-ე**
შეი-**პყრ-ა** || შეი-**პყრ-ო**

მეორე, გვიანდელი, პარადიგმის მესამე პირის ფორმა ფართოდ გავრცელდა და დაიჭირა წინამორბედი პარადიგმის შესაბამისი ფორმის ადგილი (თუმცა დიალექტებში, და ზოგჯერ სალიტერატურო ენაშიც, ჯერ კიდევ შემოგვრჩა **-ა** სუფიქსიანი ფორმები), რაც არ მომხდარა პირველი და მეორე პირის ფორმათა შემთხვევაში. ამგვარად, მივიღეთ დღეისათვის ნორმატული პარადიგმა:

შევი-**პყარ-(ი)**
შეი-**პყარ-(ი)**
შეი-**პყრ-ო**

რომელსაც პირობითად შერეული პარადიგმა შეიძლება ვუწოდოთ. ამით გასაგები ხდება, თუ რატომ არის **-ო** სუბიექტური მესამე პირის ნიშნად იმ შემთხვევაში, როცა პირველ და მეორე პირში ნამყო ძირითადის მაწარმოებლად არა გვაქვს **-ე** სუფიქსი.

თუ **შევიპყარ, გავიცან...** ზმნათა შემთხვევაში პირველი ყალიბის ფორმათა პარალელურად მეოთხე ყალიბის ფორმები ჩამოყალიბდა, დასტურდება საპირისპირო მოვლენაც — მეოთხე ყალიბის ფორმის პარალელურად პირველი ყალიბის ფორმის გაჩენა: ძველ ქართულში **შეძლება** ზმნის წყვეტილის ფორმები IV ყალიბით იწარმოებოდა:

რაჲსათვის ჩუენ ვერ **შეუძლეთ** განკურნებად მას? (მ. DE, 17, 19).

კაცმან ამან [იწყ]ო შჱნებად **დ**[ა ვერ **შე**]**უძლო** აღს[რ]ულებად (ლ. C, 14, 30).

პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

შეუ-**ძლ-ე** შეუ-**ძლ-ე-თ**
შეუ-**ძლ-ე** შეუ-**ძლ-ე-თ**
შეუ-**ძლ-ო** შეუ-**ძლ-ეს**

დღევანდელი ნორმატული პარადიგმის (შევიძელ — შეიძელ — შეიძლო) მესამე პირის ფორმა ძველი ვითარების ასახვაა, IV ყალიბის პარადიგმიდანაა აღებული. I და II პირის ფორმები გვიანდელია, II ყალიბისაა:

შევი-**ძელ**
შეი-**ძელ**
შეი-**ძლ-ო**

შევიპყარ II **შევიპყრე** ტიპის ფორმები პარალელურ ვარიანტებს წარმოგვიდგენს როგორც I და II პირში, ასევე III პირშიც (თუმცა I ყალიბის III პირის ფორმა ამჟამად იშვიათია, უფრო დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის მწერალთა ენისათვის):

ეგ არის სვიმონ მეფე, **შეიპყარით!** (იაკობი).

და ცას **მიაპყრე** ფიქრები წრფელი (ს. ჩიქ.).

ხელნი **აღაპყრა,** მოიწოდა ზეცისა ძალნი (რ. ერისთ.).

იგი დადიანის თხოვნას სიამაყით **მოეპყრა** (იაკობი).

შიშმა **შეიპყრო** სოლომონი (დ. კლდ.).

რატომ **შეგიპყრო** ასეთმა აზრმა? (ვ. ბარნ.).

სხვაგვარია მდგომარეობა **გამაქერ || გამაქრე, მივაგენ || მივაგნე, გავიძერ || გავიძრე, შევიძელ || შევიძლე** ტიპის ზმნებთან, რომელთა I და II პირის ფორმათა პარალელური წარმოება დასტურდება ახალ ქართულში:

მომკალ, **გამაქერ** (ილია).

აქრე სანთელი, **აქრე,** მე მაინც ავანთებ მას (ჭ. ლომთ.).

ბოლოს **მივაგენით**, მაგრამ დილას აქეთ კი ვდევთ (პ. კაკაბ.).

ვერ **შევიგნე,** რა სისულელე ჩავიდინე („კომუნისტი“, №22, 1982, 3).

გავიძერ ხანჯალი (ილია).

დამბაჩაც **გავიძრე** წელიდამ (იქვე).

დაგყურებდი, ვეღარ **გავძელ,** ლოყით კოცნა მე მოგპარე (ილია).

სახლში ვერ **გასძლე** და დამიჭლექდი (ეკ. გაბ.).

I ყალიბის III პირის ფორმა ვერ დავადასტურეთ (გააქრ-ა, გაიძრ-ა, მიაგნ-ა, გაძლ-ა), IV ყალიბისა კი — ჩვეულებრივია: გააქრო, გაიძრო, მიაგნო, გაძლო:

სად **გააქრო** ამდენი კალმახი, კაცმა არ იცოდა (გ. წერეთ.).
იაგო უკან გადახტა და **გაიძრო** ხანჯალი (ა. ყაზბ.).
პეპიამ სიარული ვეღარ **შეძლო** (ილია).
მელამ ჩიტის ბუდეს **მიაგნო** (იაკობი).

ამდენად, ამ ზმნათა I ყალიბის პარადიგმა (ჩვენი მასალის მიხედვით) ნაკლულია, IV ყალიბისა კი — სრული:

გავა-ქერ-(ი) || გავა-ქრ-ე
გაა-ქერ-(ი) || გაა-ქრ-ე
გაა-ქრ-ო

ამიტომ, IV ყალიბის პარადიგმის III პირის ფორმა კისრულობს I ყალიბის პარადიგმის შესაბამისი წევრის როლსაც: **შევიძელ — შეიძელ — შეიძლო;** ამ შემთხვევაშიც „შერეული პარადიგმა“ წარმოიქმნება.

IV. 5.6.4.6. დავდევი || დავდე ტიპის პარალელურ ფორმათა შესახებ. ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები (ქეგლ; ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, 1998) პარალელურ, კანონზომიერ ფორმებად წარმოგვიდგენს **დებს** ზმნის წყვეტილის მესამე პირში დადვა II დადო ფორმებს.

განსახილველ ზმნაში ძირეულად **დ**-ს გამოყოფენ (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 270). **ე დავდე** ფორმაში **-ევ** ფორმანტის თანხმოვანმოკვეცილი ვარიანტია, მაგრამ ამჟამად იგი წყვეტილის მაწარმოებლად გაიაზრება ისევე, როგორც იმ ზმნებში, რომლებიც საფუძვლად დაედო IV ყალიბს. თავდაპირველად ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი **ო** (დადვა II დად-ო) ასევე სუბიექტური მესამე პირის ნიშნად იქნა გააზრებული; ამდენად, ძველი (I ყალიბის) პარადიგმის გვერდით ახალი (IV ყალიბის) პარადიგმა ჩამოყალიბდა:

დავ-**დევ-**(ი) || **დავ-დ-ე**
და-**დევ-**(ი) || **და-დ-ე**
დავ-**დვ-**ა || **და-დ-ო**

შდრ.:
ავა-გევ | **ავა-გ-ე**
აა-გევ | **აა-გ-ე**
აა-გვ-ა | **აა-გ-ო**

თუ მეორე შემთხვევაში ამოსავალი (I ყალიბის) პარადიგმა ისტორიის კუთვნილებაა, **დავდევი || დავდე** ზმნამ ორივე ყალიბის პარადიგმა შემოგვინახა და პარალელურ, თანაბარუფლებიან ფორმებად გვევლინება. **დადვა || დადო** პარალელურ ფორმათა გამოყენებას ერთსა და იმავე მწერალთან ზოგჯერ სტილური ელფერი დაჰკრავს:

გიგომ წიგნი მაგიდაზე **დასდვა** (დ. კლდ.).

გიგომ ამის გამო **გადასდო** წასვლა (იქვე).

ო ხმოვნის ასონანსი ჩანს მეორე შემთხვევაში **გადასდო** ფორმის ხმარების მიზეზი (საერთოდ, ბგერწერის საკითხები დ. კლდიაშვილის პროზაში საგანგებო ყურადღებას იქცევს).

რაც ითქვა სუბიექტური მესამე პირის პარალელურ ფორმათა შესახებ, იგივე დასკვნა უნდა გავრცელდეს მათი შესაბამისი პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმათა მიმართაც: **დავდევი || დავდე, დადევი || დადე** ასევე კანონზომიერი, თანაბარუფლებიანი ფორმებია (ქართული ენის განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში, სამწუხაროდ, სუბიექტური I და II პირის პარალელური ფორმები არაა წარმოდგენილი, საჭიროებას კი ვგრძნობთ).

IV. 5.6.4.7. დარგა || დარგო ტიპის პარალელური ფორმები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სუბიექტური მესამე პირის ფორმებს პარალელურად, **-ა** და **-ო** სუფიქსებით, იწარმოებენ შემდეგი ზმნები: **დარგა || დარგო, მორწყა || მორწყო, მიუზღა || მიუზღო, დაართა || დაართო** (ა. შანიძე; ა. ონიანი). ამათ რიგში უნდა ჩადგეს: მომკა II მომკო, განერთხა II განერთხო, დამწყსა II დამწყსო, დაუხშა II დაუხშო, დაიხრჩვა II დაიხრჩო...

სუბიექტურ მესამე პირში პარალელურ ფორმათა არსებობის ახსნა **-ა** და **-ო** სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობით გაჭირდება (შდრ. ა. ონიანი). **დარგა** და **დარგო** სხვადასხვა პარადიგმის წევრებია: **-ა** სუფიქსიანი II ყალიბის ფორმაა, **-ო** სუფიქსიანი — IV ყალიბისა:

დავ-**რგ-ი**	||	დავ-**რგ-ე**
და-**რგ-ი**	||	და-**რგ-ე**
და-**რგ-ა**	||	და-**რგ-ო**

სამწერლობო ენაში ყველა ფორმა დასტურდება:

მე **გადმოვრგი** მიწაზე ყვავილი (ჭ. ლომთ.).

უკრაინაში **გადარგი** ლექსი და მოაშენე ქართული ბაღი (ს. ჩიქ.).

კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად **დარგე** (ილია).

ვაზი **გადმორგა** (ქეგლ).

ერთხელ ბავშვობისას მამას სურდა შეეფურჩქნა ვარდის პატარა ჩირგვები, რომლებიც **დარგო** ამასწინათ თავის ბაღჩაში (იაკობი).

სუბიექტური მესამე პირის **-ა** და **-ო** სუფიქსიანი ფორმები სამწერლო ენაში თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება; ეს ფაქტი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ იჩენს თავს: **რგ** ძირის შემცველ ზმნებთან წყვეტილის ფორმები წარმოდგენილია როგორც **-ა,** ისევე **-ო** სუფიქსით: **დარგა, გადარგა, მიარგა, გადმორგა, შემორგა, გადაურგა — შემოარგო, ჩარგო, წარგო, შერგო, დაურგო, წაურგო.** მდგომარეობა თითქმის ასეთივეა ამ ტიპის სხვა ზმნათა შემთხვევაშიც: **აწყა, დაწყა, აუწყა, მიიწყა,** მაგრამ **აიწყო, ამოწყო, გამოუწყო... მომკა, გადამკა, მოუმკა,** მაგრამ **დამკო, მოიმკო, მოუმკო...**

ვფიქრობთ, განსახილველ ზმნათა სუბიექტური მესამე პირის პარალელურ ფორმათა არსებობას **-ა** და **-ო** სუფიქსებით ამგვარი ახსნა უნდა მიეცეს ყველა შემთხვევაში.

IV. 5.6.4.8. შევატყვე || შევატყე ტიპის ფორმათა შესახებ. არის ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც წყვეტილის მხოლობითი რიცხვის I და II და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმაში პარალელური ვარიანტებით წარმოგვიდგება. პარალელიზმს ფუძის ბოლოკიდური **-ვ** თანხმოვნის ქონა-არქონა შეაპირობებს: **დავახრჩვე || დავახრჩე, შევატყვე || შევატყე, დავამხვე || დავამხე, მოვაწყვე || მოვაწყე, გამოვაცხვე || გამოვაცხე...**

გახსომს ერთხელ აბანოში კინაღამ ჰაუზში **დამახრჩე?** (ა. ცაგ.).

დაახრჩვეთ ჩქარა! (გ. შარვ.).

დაემხე ძირსა, დაახალე მიწასა შუბლი (ო. ჩხ.).

დაემხე, კალო დალოცე (ს. ჩიქ.).

შენ **მოაწყე** მკითხავისაგან წამლის მოტანა (ვ. ბარნ.).

მე კი უბრალოდ არ მსურს გაგშორდე, როგორმე უცხოდ **მომიწყვე** ბოლო (ს. ჩიქ.).

დააცხეთ ლავაშები? (ვ. ბარნ.).

პურიც **გამოაცხვეს** (ს. შანშ.).

IV. 5.6.4.9. *ვ*-ს საკითხისათვის *-ევ* სუფიქსიან ზმნათა ფორმებში. წყვეტილის და, საერთოდ, მეორე სერიის, ფორმებში თავისებურება ავლენს **-ევ** სუფიქსიანი ზმნები. როგორც ცნობილია, **-ევ** სუფიქსი **ე** გახმოვანებით აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებშია წარმოდგე-

ნილი (ანგრ-**ევ**-ს, ნგრ-**ევ**-ა, მნგრ-**ევ**-ელი...); ხოლო მეორე სერიის ფორმებში **ი** გახმოვანებით (დაანგრ-ი(ვ)-ა, დაანგრ-ი(ვ)-ოს...). II სერიის ფორმებში **ევ/ ივ** სუფიქსი კიდევ ერთ თავისებურებას ავლენს: იკარგება სუფიქსის თანხმოვნითი ნაწილი: დაანგრ-ი-**ა** II დაანგრ-ივ-**ა**.

სრული სახით II სერიის ფორმებში **-ივ** სუფიქსი დიალექტებმა შემოგვინახეს. საკმაოდ ხშირია ამგვარი ფორმები XIX საუკუნის მწერალთა ენაშიც:

მუხთლად გვაწვიეს, **დაგვახვივეს** თავს ბნელნი ბურნი (ა. ჭავჭ.).
ჭმუნვამან **მძლივა, განმილივა** ყოვლნი ღონენი (იქვე).
გაიქნივა თავი ისეთის ღიმილით, თითქოს ხუმრობაში ატარებსო ამ საქმეს (ილია).
გულმან ძალიან **გაუწივა** იქით (იქვე).
კაპასობით **გააქნივა,** ეშმაკურად კუდის წვერი (რ. ერისთ.).
ბინათ ეს ბურჯი **ირჩივეს,** რომ თვალსა მისცენ რულია (იქვე).
ცოტ-ცოტასა წრუპავდა, მაგრამ მაინც **მოერივა** (ვაჟა).
დიდებულო მოხუცო, **მაქცივე** არწივად (იქვე).

როგორც ვთქვით, ამჟამად მსგავს ფორმებში **ვ** თანხმოვანი ინტერვოკალურ პოზიციაში გაუჩინარებულია. ეს ფაქტი იმიტომაც აღძრავს ინტერესს, რომ სხვა შემთხვევებში იმავე მწკრივის ფორმებში ხდება **ვ**-ს ჩართვა ხმოვანთგასაყარად. მხედველობაში გვაქვს ხმოვანფუძიანი სახელებისაგან წარმოებული ზმნური ფორმები: დაახურდა-**ვ-ა**, გაახე-**ვ-ა**, დააახლო-**ვ-ა**... ე. ი. ერთ შემთხვევაში ხდება **ვ**-ს დაკარგვა და წარმოიქმნება ხმოვანთკომპლექსი, ხოლო მეორე შემთხვევაში წარმოქმნილი ხმოვანკომპლექსის გასათიშად ჩაერთვის **ვ**ინი. რა უნდა იყოს ამ ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო, პროცესის მიზეზი, მოეპოვება თუ არა ამ პროცესებს ფონეტიკური საფუძველი, რაიმე საერთო კანონზომიერება?

ვფიქრობთ, კი. კერძოდ, **ქართულისათვის ბუნებრივი და დამახასიათებელი ჩანს ისეთი ხმოვანკომპლექსები, რომლის პირველი წევრი მაქსიმალურად ვიწროა, მომდევნო — შედარებით ფართო. ვინი იკარგება იმ შემთხვევაში, როცა მისი დაკარგვის შედეგად ამგვარი** (მაქსიმალურად ვიწრო + შედარებით ფართო) **კომპლექსი წარმოიქმნება;** სხვა შემთხვევაში ყოველთვის დაცულია. უფრო მეტიც, **ვინი გათიშავს ისეთ ხმოვანკომპლექსებს, რომლის პირველი წევრი არაა მაქსიმალურად ვიწრო.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ვ**ინის გაუჩინარება **-ევ** სუფიქსიან ზმნათა მეორე სერიის ფორმებში ამ მიზეზით აიხსნება: იგი და-

ბრკოლებად იქცა წარმოქმნილ კომპლექსში — **ივა, ივე; ვ**ინის დაკარგვა ხელს უწყობს ბუნებრივი ხმოვანკომპლექსის წარმოქმნას. მიმდინარე პროცესში **ვ**ინის მერყევ ბუნებასაც გარკვეული როლი ენიჭება. ამავე კანონზომიერების ძალით **-ევ** სუფიქსიან ზმნათა აწმყოსა და სახელზმნურ ფორმებში **ვ** თანხმოვნის არსებობა ბუნებრივი ჩანს; **ევა, ევე** კომპლექსებში **ვ**-ს დაკარგვა არაა მოსალოდნელი. უფრო მეტიც, ნასახელარ ზმნებში **ვ**ინის ჩართვა არაბუნებრივ ხმოვანკომპლექსთა გასათიშადაა გამოყენებული: **დაახურდა-ვ-ა / დაახურდა-ვ-ეს, გაახე-ვ-ა / გაახე-ვ-ეს; დააახლო-ვ-ა / დააახლო-ვ-ეს...**

ვინის დაკარგვა **-ევ/ -ივ** სუფიქსიან ზმნათა მეორე სერიის ფორმებში, და, საერთოდ, მსგავს ფონეტიკურ გარემოცვაში, მოქმედი ფონეტიკური პროცესია. ყველა იმ შემთხვევაში, როცა **ვ**ინის მომდევნო ხმოვნის პოზიციას თანხმოვანი იჭერს, **ვ**ინი აღდგება. მხედველობაში გვაქვს ამგვარი შემთხვევები:

გამოეხვივნენ ტალღებში ცხენი და კაცი, ორივე (აკაკი).

მაგრამ მხედრები **მოეწივნენ,** უტაცეს ხელი ცხენსა (იაკობი).

რითაც ვის შეგვიძლიან, იმით **შევეწივნეთ,** გავიყვანოთ ეს კაცი იოლად (ვაჟა).

სტუმრები **მეწვივნენ,** ფული არა მაქვს, არუთინჯან (ეკ. გაბ.).

ნამცეცებს **შეესივნენ** (ცისკ.).

სიყვარულმა ყველაფერი ისევ **არივ-დარია** (მ. ფოცხ.).

IV. 5.6.4.10. ყალიბთა მონაცვლეობისათვის. ზევით საუბარი გვქონდა რამდენიმე ტიპობრივ შემთხვევაზე, როცა წყვეტილში შესამჩნევია ფორმათა პარალელური წარმოება. ერთი და იგივე ზმნა შეიძლება პარალელურად რამდენიმე ყალიბით იწარმოებდეს წყვეტილის ფორმებს. ყალიბთა მონაცვლეობის მიხედვით ზმნათა რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

ა) ზმნები, რომლებიც წყვეტილის ფორმებს იწარმოებს I და IV ყალიბის მიხედვით:

შევი-პყარ-(ი) || შევი-პყრ-ე
შეი-პყარ-(ი) || შეი-პყრ-ე
შეი-პყრ-ა || შეი-პყრ-ო

ასევე: მოვასწარ II მოვასწრე, გავიცან II გავიცნე და სხვ. (იხ. § 245).

ბ) ზმნები, რომლებიც ნამყო ძირითადის ფორმებს იწარმოებენ I

და II ყალიბის მიხედვით; მხედველობაში გვაქვს ყალიბთა არა ისტორიული მონაცვლეობა (მაგ., შევირატყ — შევირტყი, განვირათხ — განვირთხი...), არამედ ისეთი შემთხვევები, როცა ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს ერთი და იმავე ზმნის I და II ყალიბის მიხედვით წარმოებული წყვეტილის ფორმები:

დავ-თვერ-(ი)	‖	დავ-თვრ-ი		დავ-შვერ-(ი)	‖	დავ-შვრ-ი	
და-თვერ-(ი)	‖	და-თვრ-ი		და-შვერ-(ი)	‖	და-შვრ-ი	
და-თვრ-ა	‖	და-თვრ-ა		და-შვრ-ა	‖	და-შვრ-ა	

მაგ.: რჯულზედ **დავთვერით** ერთხელ (დ. კლდ.).

ჩემი ბიძაშვილის ნიშნობაში გახლდით, კარგა დავლიეთ... ძრიენაც **დავთვრი** (ვაჟა).

ამაოდ **დავშვრი** და დავიღალე (საუნჯე, 1982, №6, გვ. 87).

არა თქვა, ამაოდ თითქოს **დავშვერი** (ლიტ. საქ. 1983, №9, გვ. 8).

ამგვარ პარალელურ ფორმებს წარმოგვიდგენს შემდეგი ზმნები: **გავწყერ**(ი) ‖ **გავწყრი, გავქერ**(ი) **‖ გავქრი, გავძეხ**(ი) ‖‖**გავძღი...** რამდენადაც I და II ყალიბის ზმნათა წარმოების თავისებურება შეაპირობებს იმ ფაქტს, რომ მხოლობითი რიცხვის სუბიექტური მესამე პირის ფორმებში ორივე შემთხვევაში **-ა** სუფიქსი გვაქვს, ფორმობრივი პარალელიზმიც მხოლოდ I და II პირის ფორმებთან დასტურდება.

გ) ზმნები, რომლებიც წყვეტილის ფორმებს იწარმოებენ II და IV ყალიბის მიხედვით:

დავ-რგ-ი	‖	დავ-რგ-ე
და-რგ-ი	‖	და-რგ-ე
და-რგ-ა	‖	და-რგ-ო

ასევე: **დავიხრჩვი ‖ დავიხრჩვე, მოვრწყი ‖ მოვრწყე** და სხვა.

დ) საინტერესო სურათს გვიჩვენებს **-ევ** სუფიქსიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმები **ინგრევა, იხევა, იბნევა** ტიპისა. ამ ზმნათა წყვეტილის ფორმებში ძველ ქართულში **-ი (ვ)** ფორმანტი შენარჩუნებული იყო: **დაინგრია** (ის), **დაიხია** (ის), **დაიბნია** (ის)... „ამის გამო, ერთი მხრით, ვნებითისა და, მეორე მხრით, მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმები ნამყო ძირითადსა და კავშირებით მეორეში ერთმანეთს ემთხვეოდა. უფრო გვიან დაიწყო ვნებითის ფორმების გამარტივება“, რაც **-ი(ვ)** ფორმანტის გაქრობის ხარჯზე მოხდა და მივიღეთ

დაინგრა, დაიხა, დაიბნა... ტიპის ფორმები. ფორმათა გამარტივება, თავისთავად ცხადია, I და II პირის ფორმებსაც შეეხო: **დავინგრიე, დავიბნიე, დავიმტვრიე** ფორმათა პარალელურად **დავინგერ(ი), დავიბენ(ი), დავიმტვერ(ი)** ფორმები გაჩნდა და დაიმკვიდრა ადგილი სალიტერატურო ენაში. ამდენად III ყალიბის ფორმათა (დავინგრ-ი-ე...) გვერდით I ყალიბის ფორმები (დავი-ნგერ-ი...) ჩნდება.

დავი-ნგრ-ი(ვ)-ე	‖	დავი-ნგერ-ი
დაი-ნგრ-ი(ვ)-ე	‖	დაი-ნგერ-ი
დაი-ნგრ-ი(ვ)-ა	‖	დაი-ნგრ-ა

მესამე ყალიბის ფორმები ამჟამად იშვიათად გვხვდება, რის მიზეზედაც სათანადო ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმებთან დამთხვევა მიიჩნევა (მიწისძვრისგან სახლი **დაინგრია** (ის) II მან თავისი ცხოვრება **დაინგრია** (მან ის). III ყალიბის ფორმები მეტადაა შემორჩენილი ზოგ დიალექტში (მაგ. ქიზიყურში); სალიტერატურო ენაში ამგვარ ფორმათა დადასტურება დიალექტიზმად გაიაზრება (იქვე).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, და საერთოდ, შესაძლებელია საკითხის ამგვარად დასმა:

ყალიბთა მონაცვლეობა დიალექტური მოვლენა კი არ არის, არამედ უნიფორმაციისა და წარმოების ტიპის ცვლის ტენდენციის გამოვლენაა. წარმოების ტიპის ცვლას სხვადასხვა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. მწკრივის წარმოების საკითხი მჭიდრო კავშირშია ფორმაში შემავალ მორფემათა ფუნქციურ დატვირთვასთან. ამა თუ იმ ფორმანტის მორფოლოგიური ფუნქციის ცვლამ ერთ შემთხვევაში ფორმანტის დაკარგვა, ხოლო სხვა შემთხვევაში მისი გადააზრიანება შეიძლება გამოიწვიოს. ეს კი საფუძველი ხდება წარმოების ტიპის ცვლისა. ამის რამდენიმე მაგალითის მოხმობა შეიძლება:

ა) ე. წ. „უნიშნო ვნებითთა“ უნიფორმაციის, I-დან II ყალიბზე გადასვლის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორიის გაქრობაც უნდა იყოს: **განვ-ტეფ** წყვეტილის ფორმის გვერდით **განვ-ტფ-ი** მეორე ხოლმეობითის ფორმა არსებობდა. ახალი ქართულის **გა-ვთბ-ი** ფორმობრივად ძველი ქართულის II ხოლმეობითის იდენტურია, მაგრამ ეს სირთულეს არ ქმნის — II ხოლმეობითი არ იცის ახალმა ქართულმა. ხოლმეობითის კატეგორიის გაქრობა და „უნიშნო“ ვნებითთა I-დან II ყალიბზე გადასვლა ჩვენ თვალწინ ხდება. ეს უკანასკნელი პროცესი ამჟამადაც არ არის საბოლოოდ

დასრულებული, გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევები: **და-ვთვერი || დავთვრი, დავშვერი || დავშვრი...**

ბ) ამჟამად ძნელია საუბარი იმის შესახებ, თუ რა მორფოლოგიური დანიშნულებისა იყო **-ევ (→ ივ)** სუფიქსი **ანგრევს / დაანგრია** ტიპის ზმნებში. ამ ზმნათა შესაბამისი ვნებითის წყვეტილის წარმოების ტიპის ცვლა, რაც **-ივ (→ ევ)** სუფიქსის დაკარგვის ხარჯზე მოხდა, ფორმანტის მორფოლოგიური ფუნქციის გაუჩინარების შედეგიც უნდა იყოს.

გ) **ტყორცნა** ზმნის წყვეტილი I ყალიბის მიხედვით იწარმოებოდა: **გავ-ტყორც-ენ...** ამჟამად III ყალიბის პარადიგმას ქმნის:

გავ-**ტყორცნ**-ე
გა-**ტყორცნ**-ე
გა-**ტყორცნ**-ა.

ბოლოკიდური **ნ** მისი ოდინდელი მორფოლოგიური ფუნქციის გაუჩინარების საფუძველზე უფუნქციო ელემენტად იქცა და ფუძისეულად იქნა მიჩნეული. ამის გამო წყვეტილის ფორმისათვის საყრდენ მორფემად **ტყორცნ** წარმოგვიდგება, რაც ამ ზმნის III ყალიბით წარმოების საფუძველი გახდა. თავისთავად ეს ფაქტი კი (III ყალიბით წარმოება) **ტყორცნ** ფუძეში **ნ** ელემენტის გამოყოფის საშუალებას აღარ გვაძლევს — წინააღმდეგ შემთხვევაში საყრდენი მორფემა იქნებოდა უმარცვლო, ეს კი ზმნის II ან IV ყალიბით წარმოების საფუძველია; რაც, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში არა გვაქვს.

ყალიბთა მონაცვლეობა რთული პროცესი ჩანს. ტენდენცია სხვადასხვაგვარია. პროცესი უფრო აშკარა და წინწასულია დიალექტებში.

პარალელურ ფორმათაგან თითოეული მათგანი არაა თანაბარი ღირებულებისა. რიგ შემთხვევაში სალიტერატურო ენის ფაქტად (წერილობითი ძეგლების ენაში) მხოლოდ ერთ-ერთი გვევლინება (მაგ.: დავთვერი, მივუზღე...), მაგრამ სასაუბრო ენაში ჩვეულებრივია მათი პარალელური ვარიანტების ხმარებაც, რაც იშვიათად სამწერლობო ენაშიც იჩენს თავს. საკითხზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, ამგვარ ფორმებს გვერდს ვერ ავუვლით.

IV. 5.7. მეორე კავშირებითის წარმოება

IV. 5.7.1. მეორე კავშირებითის მაწარმოებელი სუფიქსები. მეორე კავშირებითს ახალ ქართულში სამი სუფიქსი აწარმოებს: **-ა** (მოვკლ-ა, გავჭრ-ა...), **-ე** (გავთბ-ე, ავშენდ-ე...) და **-ო** (გავაკეთ-ო, და-

ვხატ-ო...). ერთი მწკრივის მაწარმოებელ სუფიქსთა სიმრავლე სამეცნიერო ლიტერატურაში მეორეულადაა მიჩნეული. თითქმის საყოველთაოდაა გაზიარებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეორე კავშირებითის ძირითად, პირვანდელ ფორმანტად **-ე** არის მიჩნეული (ვ. თოფურია; არნ. ჩიქობავა). ამ თვალსაზრისის საბუთად არნ. ჩიქობავას მიაჩნია: „1) **დ/ნ**-თი ნაწარმოებ ვნებითთა კონიუნქტივი მეორე, **ე**-თი ნაწარმოები: განმდიდრ-დ-ე-ს, აღმაღლ-დ-ე-ს... განკაც-ნ-ე-ს, განჭაპუკ-ნ-ე-ს... ასეთი ვნებითი უძველესი ფორმაციისაა და მისი ჩვენებაც სათანადო წონის მქონეა; 2) კონიუნქტივი პირველის **-ე** ფორმანტით წარმოება ყველა ზმნაში: ჰპოებ-დ-ე-ს, მდიდრ-დ-ებ-ოდ-ე-ს... და სხვ. კონიუნქტივს პირველში ჩვენ უნდა გვქონდეს შენახული კონიუნქტივი მეორის პირვანდელი დაბოლოება, ისევე, როგორც ნამყო უსრულში გვაქვს ნამყო ძირითადისა და ნამყო ჩვეულებითის დაბოლოებანი; 3) ზმნა **მისცა** ახლაც **ე**-თი აწარმოებს კონიუნქტივ მეორეს, ამას გარდა, ზოგჯერ ზმნებს, რომელთაც ამჟამად **-ა** აქვთ, ჩვეულებრივად, შემოუნახავთ **ე**-ნიანი ფორმებიც; ჩვენ ძველი ქართულის ნორმების მიხედვით ვიტყოდით: შვას, იჴსნას, ქმნას... მაგრამ ტექსტებში **ე**-ნიან ფორმებსაც წავაწყდებით; მაგ.: შთაეგზავნეს, ვქმნე, შვეს, დავიცვეთ, ვიჴსნე“ (არნ. ჩიქობავა).

-ე სუფიქსის II კავშირებითის უძველეს, პირვანდელ, მაწარმოებლად მიჩნევა, შესაბამისად, სვამს საკითხს **-ა** და **-ო** სუფიქსთა მეორეულობაზე, გვიანდელობაზე. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვევით არაფერია თქმული **-ა** და **-ე** ფორმანტთა ურთიერთმიმართების შესახებ: **-ა** სუფიქსი **-ე**-ს ფონეტიკური ვარიანტია თუ თავისთავადი, დამოუკიდებელი აფიქსია, განსხვავებული ფუნქციისა, რომელმაც შემდგომ შეიძინა კავშირებითობის ფუნქცია.

რაც შეეხება II კავშირებითის **-ო** სუფიქსს, მკვლევართა უმეტესობა მას ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილად მიიჩნევს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის, როგორაა გააზრებული ამ სუფიქსის მიღების გზა. ნ. მარის აზრით, **-ო** სუფიქსი კავშირებითის **-ა** სუფიქსის ფუძისეულ **ვ**-სთან შერწყმის შედეგადაა მიღებული. ამ მოსაზრებას იზიარებს გ. დეეტერსიც. სხვა თვალსაზრისის მიხედვით, **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითის პირვანდელი მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო **-ე**; მისი შერწყმით ფუძისეულ **ვ**-სთან მივიღეთ **ო** (გ. როგავა). არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კავშირებითის **-ო** უკვე ძველსავე ქართულში თავისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელია და არა კომპლექსის შერწყმის შედეგი, თუმცა უფრო ადრინდელ საფეხურზე ამ-

გვარი პროცესის შესაძლებლობაც არაა გამორიცხული (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე).

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში II კავშირებითის მაწარმოებელთა თავდაპირველი სახისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ არაა აზრთა ერთგვაროვნება.

IV. 5.7.2. მეორე კავშირებითის მაწარმოებელ სუფიქსთა განაწილების შესახებ არსებული თვალსაზრისები. მეორე კავშირებითის სუფიქსთა განაწილება არცთუ მარტივ სურათს ქმნის. ჩვეულებრივ მიუთითებენ, რომ მეორე კავშირებითი იწარმოება წყვეტილის ფუძისაგან და **-ა, -ე, -ო** სუფიქსთა გამოვლენა დამოკიდებულია წყვეტილის წარმოების ტიპზე; სხვაგვარად, წყვეტილის წარმოება განსაზღვრავს მეორე კავშირებითის წარმოებას (არნ. ჩიქობავა). მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლების განხილვისას ა. შანიძე აღნიშნავს: „ამ მწკრივის წარმოებას მჭიდრო კავშირი აქვს წყვეტილის წარმოებასთან. ის ზმნები, რომელთაც ნიშანი არა აქვთ წყვეტილში, ან თუ აქვთ, ნართაული **-ი**, აქ ნიშნად მიიღებენ **ა**-ს (**ოფ**იანებს გარდა), ყველა დანარჩენი კი (**ე**მიანებს გარდა) მიიღებენ **ო**-ს, მათ შორის **ო**ფიანებიც“ (ა. შანიძე) და იქვე შენიშნავს, რომ „ერთადერთი მოქმედებითი გვარის ზმნა, რომელსაც მეორე კავშირებითი **ე**ნით აქვს ნაწარმოები, არის **ცემა** (მი, გა-, და- და სხვ.): მივსც**ე**, მისც**ე**, მისც**ე**-ს“. ვნებითი გვარის ზმნათა მეორე კავშირებითის წარმოების განხილვისას აღნიშნავენ, რომ პრეფიქსიან ვნებითებში მხ. რიცხვში ძირითადად **-ა** და **-ო** სუფიქსი გვხვდება. ერთადერთი ფუძე, რომელიც **-ე**-ს დაირთავს, არის ზმნა **დავეცე.** იგივე ვითარებაა მრავლობით რიცხვში, თუ ძველი წარმოება არაა — ე. ი. თუ **ნ** აფიქსი არ იჩენს თავს: მაგ.: გავეკრ**ა**, გაეკრ**ა**, გაეკრ**ა**-ს; გავეკრ**ნ**ეთ || გავეკრ**ა**თ, გაეკრნ**ე**თ გაეკრ**ა**თ, გაეკრნ**ე**ნ“ (ა. შანიძე). სუფიქსიან და უნიშნო ვნებითებთან მხოლოდ **-ე** სუფიქსი გვაქვს (იქვე).

მიუთითებენ იმის შესახებაც, რომ ზოგჯერ II კავშირებითს ერთი და იგივე ზმნა პარალელურად იწარმოებს (ვიქნე || ვიქნა, ვიყვე || ვიყო...), თუმცა ეს რიგ შემთხვევაში ძველი და ახალი წარმოებისა, თუ სალიტერატურო და დიალექტური ფორმების გვერდიგვერდ არსებობის ფაქტად არის მიჩნეული.

თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მეორე კავშირებითის წარმოებას წყვეტილის წარმოება შეაპირობებს, რომ მეორე კავშირებითი წყვეტილის ფუძისაგან იწარმოება, რამდენიმე შენიშვნას აღძრავს:

თუ ერთ შემთხვევაში მიმართებას ფორმობრივი ნიშანი ქმნის

(წყვეტილის **-ე** — კავშირებითის **-ო**), სხვა შემთხვევაში იგივე ნიშანი არ გატარდება: უნიშნო (resp. **-ი** ელემენტიანი) წყვეტილის — I ყალიბის ზმნები — სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს; მეორე კავშირებითს იწარმოებს როგორც **-ა** (მოვ-კალ-(ი) — მოვ-კლ-ა...), ისე **-ე** (გავი-ნძერ-(ი) — გავი-ნძრ-ე...) სუფიქსებით. თუ ამგვარი შემთხვევისათვის დამატებით პირობად მორფოლოგიური ნიშანი შემოგვაქვს — გარდამავლობა-გარდაუვალობა, არც ეს პრინციპი გატარდება ბოლომდე: **-ა** სუფიქსს დაირთავს როგორც გარდამავალი (მოხნ-ა-ს...), ისე გარდაუვალი (მოიხნ-ა-ს...) ზმნები. ასევე ითქმის **-ე** სუფიქსის მიმართაც (გარდამავალი — მივც-ე; გარდაუვალი — მიეც-ე-ს...). არც გვარის კატეგორიის მოშველიება ამარტივებს საქმეს. როგორც ვნებითი, ასევე მოქმედებითი გვარის ზმნებში შეიძლება გვქონდეს მეორე კავშირებითის მაწარმოებლად სამივე სუფიქსი — **-ა, -ე, -ო:**

ვნებითი: დაიკლ-**ა**-ს, დაიძრ-**ა**-ს... იქნ-**ე**-ს, გათბ-**ე**-ს... ეყმ-**ო**-ს, ეძმ-**ო**-ს...

მოქმედებითი: დაკლ-**ა**-ს, დაძრ-**ა**-ს... ააშენ-**ო**-ს, ააგ-**ო**-ს... მისც-**ე**-ს.

მართალია, ეს უკანასკნელი ერთადერთი მაგალითია ახალი ქართულისათვის, მაგრამ ნაშთია ძველ ქართულში მოქმედი კანონზომიერებისა, რაც, თავისთავად, მაჩვენებელია იმისა, რომ ქართულისათვის არ არის არაბუნებრივი მოქმედებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის **-ე** სუფიქსით წარმოება.

ერთგვარად თითქოს სისტემური ხასიათი აქვს დონიანი და „უნიშნო“ ვნებითების II კავშირებითის ფორმათა **-ე** სუფიქსით წარმოებას, მაგრამ ამის მიზეზი არის არა ამ ზმნათა ვნებითობა, არამედ მათი საყრდენი მორფემის სტრუქტურის თავისებურება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითქოსდა ჩანს გარკვეული მიმართება ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის წარმოებას შორის, მაგრამ დავას შეიძლება ამ მიმართების საფუძველი იწვევდეს. არსებითი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში დაისმის, შემდეგია: **წყვეტილის წარმოება არის განმსაზღვრელი მეორე კავშირებითის წარმოებისა, თუ ამ მწკრივთა წარმოებას რაიმე სხვა საფუძველი აქვს?** ანდა, **წყვეტილის ფუძეს ემყარება მეორე კავშირებითი თუ ორივე ამ მწკრივისათვის საერთო ფუძეა საყრდენი?**

შევეცდებით ვუპასუხოთ დასმულ კითხვებს.

IV. 5.7.3. -ო სუფიქსიანი მეორე კავშირებითი. წარმოების თვალსაზრისით შედარებით მარტივი ვითარება **-ო** სუფქსიან II კავშირებითში გვაქვს: თუ ნამყო ძირითადში მაწარმოებელი არის **-ე** სუფიქ-

სი (III და IV ყალიბის ზმნები), II კავშირებითში **-ო** სუფიქსი გვექნება (არნ. ჩიქობავა). მაგ.:

ვაკეთ-**ე** / ვაკეთ-**ო**, ვაშენ-**ე** / ვაშენ-**ო**, დავახატვინ-**ე** / დავახატვინ-**ო**, მოვაკვლევინ-**ე** / მოვაკვლევინ-**ო**, გავაღ-**ე** / გავაღ-**ო**, შევაქ-**ე** / შევაქ-**ო** და სხვა.

შენიშვნა: წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმათა ამგვარი ურთიერთმიმართების შესახებ ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებშიც არის მინიშნებები. ანტონ I წყვეტილის **-ე** II კავშირებითის **-ო** მიმართებას ზმნათა ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად გამოიყენებს და გამოყოფილ ჯგუფებს ამ ნიშნის მიხედვით ახასიათებს: „ესე სრულსა შინა განიკიდურებს **ე.** მაგალითებრ: განვჰბანე და მყოობადსა შინა **ო.** მაგალითებრ: განვჰბანო“ (ანტონი).

შესაბამისობა წყვეტილის **-ე** : მეორე კავშირებითის **-ო** უგამონაკლისო ჩანს. სხვაგვარად: ზმნები, რომლებიც წყვეტილის I და II პირში მიიღებენ **-ე** დაბოლოებას (წყვეტილის წარმოების III და IV ყალიბი), II კავშირებითს **-ო** სუფიქსით იწარმოებს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს წესი პირუკუ არ მოქმედებს: ახალ ქართულში დასტურდება შემთხვევები, როცა II კავშირებითი **-ო** სუფიქსით არის ნაწარმოები, შესაბამისი წყვეტილის ფორმებში კი **-ე** სუფიქსი არა გვაქვს: მივაგენ-**ი** — მივაგნ-**ო**, ვიცან-**ი** — ვიცნ-**ო**, შევიძელ-**ი** — შევიძლ-**ო**, ვიგრძენ-**ი** — ვიგრძნ-**ო**, ვიყავ-**ი** — ვიყ-**ო** და სხვა. ეს მოვლენა უშუალო კავშირშია წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის **ო-** სუფიქსის გამოვლენასთან. მართებული ჩანს დაკვირვება: „თუ წყვეტილში S_3-დ **ო** არის წარმოდგენილი, II კავშირებითის ნიშანი **ო** იქნება. ეს წესი პირუკუ არ მოქმედებს: ახსნა ეძებნება იმგვარ შემთხვევებს, როცა II კავშირებითში **ო** სუფიქსი გვაქვს, წყვეტილი კი **-ე** სუფიქსით არ იწარმოება.

ყველა ამგვარ შემთხვევაში II კავშირებითში პარალელური წარმოება გვაქვს, ძირითადად **-ა** სუფიქსიანი:

დაიპყრ-**ო**-ს II დაიპყრ-**ა**-ს

მერე ეს ქვეყანა **დავიპყროთო** (იაკობი).

რომ საქართველომ მტკიცედ **დაიპყრას** ქრისტეს მოძღვრება (აკაკი).

მიეზღ-**ო**-ს II მიეზღ-**ა**-ს

ყველას **მიეზღოს** სათავისო, შესაფერისი (ო. ჩხ.).
ყველამ უნდა **მიზღას** ჩემი დანაკარგი (ილია).

მოუთხრ-**ო**-ს II მოუთხრ-**ა**-ს

იქნებ **მოგვითხროთ,** როგორ იპოვეთ საკუთარი სტილი თარგმანში (თ. ჩხ.).

ვინ **მოგვითხრას** მათი საქმე უთვალავი, საგმირონი (აკაკი).

დარგ-**ო**-ს II დარგ-**ა**-ს

მაშ ამ დილით ვარდი **დავრგო?** (ო. მამფ.).
ჩრდილისათვის **დავრგათ** რამოდენიმე ხე (მ. ნოზ.).

მორწყ-**ო**-ს II მორწყ-**ა**-ს

დათესვის შემდეგ ნიადაგი ყუთებში კარგად უნდა **მოირწყოს** (ნ. ჩახ.).

ნაკვეთი უნდა **მოირწყას** საჭიროების მიხედვით (მ. ნოზ.).

შერთ-**ო**-ს II შერთ-**ა**-ს

ასეთი ქალი **შევრთო**... (ილია).
მეტი გზა არ არის, ცოლი უნდა **შევრთათ** (იქვე).

მოასწრ-**ო**-ს II მოასწრ-**ა**-ს

ესე არ **მომასწროს...** (ნ. შიუკ.).
უი, ნეტავი კი იმ ბედნიერ დღეს **შევესწრა** (ილია).

ასევე: იცნას II იცნოს, იგრძნას II იგრძნოს, ჩაფლას II ჩაფლოს, დაამყნას II დაამყნოს, დადვას II დადოს... როგორც ითქვა, აღნიშნულ ზმნებს ფორმათა პარალელიზმი წყვეტილშიც ახასიათებთ. **-ო** სუფიქსიანი ვარიანტი ყველა შემთხვევაში წყვეტილის **-ე** სუფიქსიან ვარიანტს შეესაბამება. წყვეტილში სუბიექტური III პირის **-ო**-ს დამკვიდრება და II კავშირებითში **-ო** სუფიქსის გაჩენა ერთდროული პროცესი ჩანს; საფუძველი ყველგან ერთგვარია.

ერთადერთი გამონაკლისი, როცა II კავშირებითში **ო** გვაქვს და შესაბამისი წყვეტილის ფორმაში **-ე** სუფიქსი არ დასტურდება, არის **იყოს** ზმნა. თუ ამ ფორმაში **ო** კავშირებითის მაწარმოებელია და მისი გამოყოფა საერთოდ შესაძლებელია, ისევე როგორც წყვეტილის ფორმის (**იყო**) ბოლოკიდური **ო**-სი, მაშინ II კავშირებითის **-ო** სუფიქსის

გამოვლენის წესი უგამონაკლისო არ იქნება. მისაღები ჩანს აზრი, რომ **ო** არ არის კავშირებითის მაწარმოებელი: იგი შეიცავს ფუძისეულ ინფორმაციასაც.

თუ წყვეტილის შემთხვევაში **უარ-ვყე** ტიპის ფორმები გამონაკლისის სისტემაში მოქცევის ფაქტად მივიჩნიეთ, II კავშირებითში **ვიყვე / იყვე / იყვეს** ტიპის ფორმათა გაჩენა გამონაკლისის თავიდან აშორების ცდად გვესახება. ამგვარი ფორმები გვხვდება სამწერლობო ენაში:

შერცხვენილ **ვიყვე,** თუ სანაქებოდ არ მოვულხინო (დ. კლდ.).
განა არ გინდა, რომ შენი შრომა უფრო ნაყოფიერი და ვრცელი **იყვეს?** (ეკ. გაბ.).
სული მორჩილი ნეტარია, ოღონდ აქ **ვიყვეთ** (ო. ჩხ.).

ამგვარად, წყვეტილის წარმოების III და IV ყალიბის ზმნები კავშირებით მეორეს **-ო** სუფიქსით იწარმოებენ. შესაბამისობა — წყვეტილის **-ე:** II კავშირებითის **-ო** — კანონზომიერი ჩანს.

IV. 5.7.4. *-ა* და *-ე* სუფიქსიანი II კავშირებითი. ზმნები, რომლებიც წყვეტილის ფორმებს პირველი ან მეორე ყალიბის მიხედვით იწარმოებენ, II კავშირებითში დაირთავენ ან **-ა,** ან **-ე** სუფიქსს.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული II კავშირებითში **-ე** სუფიქსის გამოვლენის შემთხვევები (არნ. ჩიქობავა). აღწერა მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით ხდება. ჩვენც ამჯერად ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულ მორფოლოგიურ ჯგუფს, სადაც II კავშირებითში **-ე** სუფიქსი გვაქვს:

ა) ე. წ. „უნიშნო ვნებითები“ უგამონაკლისოდ II კავშირებითში **-ე** სუფიქსს დაირთავს:

გავ-თბ-**ე**	გავ-თბ-**ე**-თ
გა-თბ-**ე**	გა-თბ-**ე**-თ
გა-თბ-**ე**-ს	გა-თბ-**ე**-ნ (II გათბნენ)

ასევე: და-დნ-**ე**-ს, გა-ქრ-**ე**-ს, და-ჭკნ-**ე**-ს, გა-შრ-**ე**-ს, გა-ხმ-**ე**-ს, გა-ძღ-**ე**-ს, გამო-ცხვ-**ე**-ს, და-ცხრ-**ე**-ს და-ლბ-**ე**-ს, და-დგ-**ე**-ს და-წვ-**ე**-ს, და-რჩ-**ე**-ს და სხვა.

როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში ამ ჯგუფის ზმნებთან II კავშირებითის წარმოების თვალსაზრისით მყარი ვითარებაა.

ბ) **დ**ონიანი ვნებითები ყველა შემთხვევაში **-ე** სუფიქსით იწარმოებენ II კავშირებითის ფორმებს:

დავ-ბერ-დ-**ე**	დავ-ბერ-დ-**ე**-თ
და-ბერ-დ-**ე**	და-ბერ-დ-**ე**-თ
და-ბერ-დ-**ე**-ს	და-ბერ-დ-**ე**-ნ (II დაბერდნენ)

ასევე: აშენ-დ-ე-ს, გაკეთ-დ-ე-ს, დასახლ-დ-ე-ს და სხვა მრავალი.

გ) **-ე** სუფიქსით იწარმოებს II კავშირებითს აგრეთვე პრეფიქსიან ვნებითთა ერთი ნაწილი:

გავ-ი/ე-ქც-**ე**
გა-ი/ე-ქც-**ე**
გა-ი/ე-ქც-**ე**-ს

ასევე: და-ი-ბნ-**ე**-ს / და-ე-ბნ-**ე**-ს, და-ი-ნგრ-**ე**-ს / და-ე-ნგრ-**ე**-ს. ი-ქნ-**ე**-ს / ე-ქნ-**ე**-ს და სხვა.

დ) და, როგორც აღნიშნავენ, ერთადერთი გარდმავალი ზმნა

მივ-ც-**ე**	მივ-ც-**ე**-თ
მის-ც-**ე**	მის-ც-**ე**-თ
მის-ც-**ე**-ს	მის-ც-**ე**-ნ

ზემოთ წარმოდგენილ ოთხივე შემთხვევაში ერთი ფაქტია საყურადღებო: ყველგან საყრდენი მორფემა რედუცირებულია და გაუჩინარებულია **ე** ხმოვანი. პრეფიქსიან ვნებითებსა და **მისცეს** ზმნაში საყრდენი მორფემა სრული სახით აღდგება წყვეტილის სუბიექტური I და II პირის ფორმებში. გავი-**ქეც,** დავი-**ბენ,** დავე-**ხსენ,** ვი-**ქენ,** მივ-**ეც** (ამ ზმნასთან დაკავშირებით საგანგებო მსჯელობა გვქონდა შესავალში)... ასეთივეა „უნიშნო ვნებითთა“ ერთი ნაწილის ჩვენებაც: დავ-**თვერ**, გავ-**ძეხ**, დავ-**დექ**, დავ-**წევ**, გავ-**ძვერ**, მოვ-**ყევ**, დავ-**ჯექ**... მართალია, ამ ტიპის ზმნათა ერთ ნაწილში ხმოვანი არა ჩანს ახალ ქართულში, მაგრამ აღდგება ძველი ქართულის ჩვენების მიხედვით: განვ-**ტეფ**, განვ-**ჰემ**, შევს-**ცედ**... ის ფაქტი, რომ ზოგჯერ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის აღდგენა არ ხერხდება არც ახალი და არც ძველი ქართული ენის დონეზე, საქმის ვითარებას არ ცვლის. „თბება“ ტიპის ყველა ზმნაში ისტორიულად **ე** ხმოვანი ივარაუდება, რასაც მხარს უჭერს მონათესავე ენათა ჩვენებაც. საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისით ვნებითის **-დ** სუფიქსის თავდაპირველ სახედ **-ედ** მიიჩნევა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ ძველ ქართულში **-ე** სუფიქსს დაირთავდა II კავშირებითში **-ნ (← ენ)** სუფიქსიანი ვნებითე-

ბიც: რაჲთა **განვ-კაც-ნ-ე, გან-კაც-ნ-ე, გან-კაც-ნ-ე-ს** (წყვეტილი: განვ-კაც-ენ, განჰ-კაც-ენ, გან-კაც-ნ-ა).

ძველ ქართულში ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ(ნ)**-ს შემდეგ მეორე კავშირებითში **-ა** და **ო**-ს ნაცვლად **-ე** ჩნდება... **-ე** კი უცვლელად რჩება (არნ. ჩიქობავა). მართალია, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ახალ ქართულში **-ენ** ფორმანტით აღარ ხდება მოქმედებითი გვარის ზმნებში, მაგრამ შესაბამისი ვნებითის ფორმებმა შემოგვინახა **-ნ (← -ენ)** სუფიქსიანი ფორმები:

თუ ვერა ვძლევ, **დავიხოცნეთ** სახელითა და დიდებით (ილია).
დედოფალო, შენი ჭირიმე, ჩქარა **ავიღარნეთ** აქედან (იაკობი).
რაწამს სახლში ხმა მიწყდება, **გავიპარნეთ** (ეკ. გაბ.).
ცხადია, უნდა **ავიბარგნეთ** აქედან (ნ. შიუკ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: **II კავშირებითში -ე სუფიქსი გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა საყრდენ მორფემაში ე ხმოვანი არის გაუჩინარებული.**

ახალი ქართულისათვის წესი პირუკუ არ მოქმედებს: ყველგან, სადაც საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანია გაუჩინარებული, არა გვაქვს II კავშირებითის **-ე** სუფიქსიანი წარმოება, ვგულისხმობთ მოქმედებითი გვარის ზმნებს: გავ-ცრ-ა (საყრდენი მორფემის სრული სახეა **ცერ**), გავ-ჭრ-ა (ჭერ), შევ-ქმნ-ა (ქმენ), ვი-ხსნ-ა (ხსენ), გავ-რყვნ-ა (რყვენ), აღმოვ-ფხვრ-ა (ფხვენ) და სხვა.

ეს ზმნები, ისევე როგორც წყვეტილის წარმოების I და II ყალიბის მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა (გარდა **მისცეს** ზმნისა) II კავშირებითს **-ა** სუფიქსით იწარმოებს. ამდენად, **-ა** სუფიქსი გვაქვს II კავშირებითის მაწარმოებლად: ა) I და II ყალიბის მოქმედებითი გვარის ზმნებთან, მიუხედავად იმისა, თუ რა სტრუქტურისაა საყრდენი მორფემა: შევ-კარ — შევ-კრ-ა, მოვ-კალ — მოვ-კლ-ა, დავ-ფქვ-ი — დავ-ფქვ-ა, დავა-ბ-ი — დავა-ბ-ა, ჩავ-სხ-ი — ჩავ-სხ-ა და სხვ; ბ) პრეფიქსიან ვნებითებთან: და-ი-წვ-ა-ს, და-ი-ფქვ-ა-ს, და-ე-ბ-ა-ს, შემო-ე-რტყ-ა-ს, და-ე-რქვ-ა-ს...

არის შემთხვევები, როცა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში პარალელურად გვხვდება როგორც **-ე,** ასევე **-ა** სუფიქსიანი წარმოება II კავშირებითისა ერთსა და იმავე ზმნასთან:

იქნ-ა-ს II **იქნ-ე-ს**

ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებულ უნდა **იქნას** როგორც ერთგვარი ტეზა და ანტიტეზა (კ. გამს.).

გათვალისწინებულ **იქნეს** კამათში გამოსული ამხანაგების საქმიანი შენიშვნები (მ. კეკელია).

იქმნ-ა-ს II **იქმნ-ე-ს**

დეე, რაც საქმნელია, **იქმნას** (ილია)

ჩვენ, ჩვენვე **ვექმნეთ** ჩვენიანებს დამამშვიდებლად (ო. ჩხ.).

შეინძრ-ა-ს II **შეინძრ-ე-ს**

სათბურებში გადატანის დროს ნამყენები არ **შეინძრეს** (ნ. ჩახნ.).

ამისათვის საჭიროა კონები **შეინძრას** (იქვე).

იდგ-ა-ს II **იდგ-ე-ს**

გვედგას აკვანი გადაუდგმელად (ო. ჩხ.).

ეგრე **იდგეს,** თორემა, მე, ხომ იცი... (რ. ინან.).

დაიწვ-ა-ს II **დაიწვ-ე-ს**

გამიშვი, თუ გინდათ, მეც ცეცხლი არ წამეკიდოს და არ **დავიწვე** (ო. იოს.).

რაც ჩვენში არის უვარგისი, **დაიწვას** მყისვე (ირან. პოეზია).

დაიჭრ-ა-ს || დაიჭრ-ე-ს

თუ **დავიჭრე,** მწვავდეს წყლული (ს. ჩიქ.).

მიაქვს იერიში, მედგრად ეხეთქება, რომ **შეიჭრას** და შეანგრიოს (გალაკტიონი).

მოგვესმ-ა-ს II **მოგვესმ-ე-ს**

რომ კვლავც **მოგვესმეს** სიტყვა ქართული რუსთაველისა (გრ. ორბ.).

უნდა კიდეცა მივდიოთ მას, **გვესმას** მშობლისა (ნ. ბარ.).

ასევე: აღიძრას II აღიძრეს, აიხსნას II აიხსნეს, მიეძღვნას II მიეძღვნეს, დაიხნეს II დაიხნას, გაიცრეს II გაიცრას და სხვა.

ფორმათა ამგვარი პარალელიზმი არ დასტურდება ამ ზმნათა წყვეტილში, არც შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნათა II კავშირებითში; მოქმედებითი და სათანადო პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები წყვეტილში წარმოების თვალსაზრისით არ განსხვავდებიან: დავ-წვ-ი და დავიწვ-ი, დავ-ძარ-ი და დავიძარ-ი, ვქმენ-ი და ვიქმენ-ი, დავაბ-ი და დავებ-ი... II კავშირებითში კი, როგორც ვნახეთ, არსებითი ხასიათის განსხვავებაა.

ამგვარად, ზმნები, რომლებიც II კავშირებითს **-ე** და **-ა** სუფიქსებით იწარმოებენ, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) რომლებიც მხოლოდ **-ე** სუფიქსს დაირთავენ: „უნიშნო“ და

სუფიქსიანი ვნებითები, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსიანი ფორმები და **მისცა** ზმნა;

ბ) ზმნები, რომლებიც მხოლოდ **-ა** სუფიქსით იწარმოებენ II კავშირებითს: მოქმედებითი გვარის ფორმები (გარდა **მისცა** ზმნისა);

გ) ზმნები, რომლებიც II კავშირებითის ფორმებს პარალელურად იწარმოებენ: პრეფიქსიანი ვნებითები.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ თავდაპირველი ვითარება (ძველი ქართულის მსგავსი) პირველ შემთხვევაშია დაცული: სხვა შემთხვევაში მდგომარეობა ძირითადად მეორეულია: აქ ახალი სისტემის ჩამოყალიბების პროცესთან და, ზოგჯერ, უკვე ჩამოყალიბებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის უნიშნო წყვეტილის მქონე ზმნათა ერთი ნაწილი II კავშირებითის ფორმებს **-ა** სუფიქსით იწარმოებდა:

> სამართალი წარმართთა მან **მიუთხრას** (მ. DE. 12. II).
> პირველად **შეკრას** ძლიერი იგი (მ. 12. 29).
> არა — მე **უპყრასა** და აღმოითქუას იგი (მ. DE. 12. II).
> ხოლო ბზჱ იგი **დაწუას** ცეცხლითა უშრეტითა (მ. 3. 12).
> რა ვჭამოთ, ანუ რაჲ **ვსუათ** (მ. 6. 31).
> და მას ჟამსა შინა **ვჰრქუა** მათ (მ. DE. 7. 23).
> ვთქუათ თუ: ზეცით იყო, **გურქუას:** რად არა გრწმენა მისი (მ. C 21, 25).
> აღდგეს სახლისა უფალი და **დაჰჴშას** კარი (ლ. 13. 25) და სხვა.

მაგრამ უნიშნო ნამყო ძირითადის მქონე ზმნათა მეორე ნაწილი **-ე** სუფიქსს დაირთავდა II კავშირებითში:

> აჰა, ქალწული მიუდგეს და **შვეს** ძჱ (მ. I, 23).
> რამეთე მან **იჴსნეს** ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან (მ. I, 21).
> სადა-იგი მღილმან, მჭამელმან **განრყუნეს,** და სადა მპარავთა დათხაროან და **განიპაროან** იგი (მ. DE. 6. 19).
> თუ გნებავს, **ვქმნეთ** აქა სამ ტალავარ (მ. 17. 4).
> რაჲთა **დაიცვეს** იგი ღმერთმან, ვითარცა აღსასრულამდე (მამ. ცხ. 167. 30) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნები II კავშირებითს იწარმოებდნენ ჩვეულებრივ როგორც **-ა,** ასევე **-ე** სუფიქსებით. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ **-ე** სუ-

ფიქსს დაირთავს ის ზმნები, რომელთა ფუძისეულ საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანია გაუჩინარებული (შევ, ჯსენ, რყუენ, ქმენ, ცევ, გზენ, მყენ, მცენ, ყრდენ, ჴრწენ, ჯმენ, ჭერ, რეცხ, ძელ...); ხოლო როცა საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანი არ აღდგება, სხვა ხმოვანია რედუცირებული, ანდა უმარცვლოა, II კავშირებითის მაწარმოებლად **-ა** სუფიქსი გვაქვს (თხარ, კარ, კალ, ჯაშ, თქუ, სუ, რქუ, წუ, ცუ, სხ...).

ზმნები, რომელთა საყრდენი ძირეული მორფემის **ე** ხმოვანი მონაცვლეობდა ნულთან, ვნებითი გვარის II კავშირებითის ფორმებს ასევე **-ე** სუფიქსით იწარმოებდა:

რაჲთა აწვე **ალეგზნეს** (ლ. E. 12. 49).

რამეთუ რომელი — იგი მისგან **იშვეს** (მ. I 20).

ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს **იქმნეს** (მ. C. 22. 8).

რაჲთამცა დასაჯა სოფელი, არამედ რაჲთა **იჴსნეს** სოფელი მის გამო (ი. C. 3. 17).

და რომელი ყურთა **გესმენ** თქუენ, ქადაგეთ ერდოთა ზედა (მ. 10. 27).

ყოველი ნერგი... ძირითურთ **აღიფხურეს** (მ. DE. 15. 13).

ხოლო ჯორცი იგი რაჲ **განიხრწნეს** (ექუს. დღ. 92. 9).

არცა **განირყუნეს** (იონ. 37. 14).

პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები, რომელთა საყრდენ ძირეულ მორფემაში ნულთან მონაცვლე **ე** ხმოვანი არ დასტურდებოდა, II კავშირებითს **-ა** სუფიქსით იწარმოებდა:

სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოელსა სოფელსა, **ითქუას** (მ. C. 26. 13).

მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა ჰსცა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-**ეცუას** (მ. DE. 27. 26).

სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ **ერქუას** ყოველთაგან წარმართთა (მრ. II. 17).

გარნა თუ გარეშე ბუნებისა **აღიძრას** იგი (ექუს. დღ. 12. 26).

გინა თუ **მოიწუას** ფიჭუნარი და მუხნარი (იქვე, 58, 37) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში უნიშნო (resp. **-ი** ელემენტიანი) წყვეტილის მქონე ზმნები II კავშირებითის წარმოების თვალსაზრისით გვარის მიხედვით არ განსხვავდებიან; წარმოების პრინციპი საერთოა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათათვის. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ **-ე** სუფიქსს დაირთავენ აგრეთვე უნიშნო და სუფიქსი-

ანი ვნებითები, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსიანი ფორმები, შეიძლება ძველი ქართულისათვის წესი ამგვარად ჩამოყალიბდეს: **II კავშირებითში -ე სუფიქსი გამოვლინდებოდა იმ ზმნებში, რომელთა საყრდენი მორფემისეული ე ხმოვანია გაუჩინარებული; ყველა სხვა შემთხვევაში უნიშნო და -ი ელემენტიანი წყვეტილის მქონე ზმნებში ამ მწკრივის მაწარმოებლად -ა სუფიქსი გვექნება.**

დღევანდელი ვითარება II კავშირებითის წარმოებისა I და II ყალიბის ზმნებთან მეორეულია. ამჟამად მოქმედებითი გვარის ზმნებში ამ მწკრივის წარმოებისას ანგარიში არ ეწევა საყრდენი მორფემის სტრუქტურას — ყველა შემთხვევაში მწკრივის მაწარმოებლად **-ა** სუფიქსი გვაქვს (გარდა **მისცეს** ზმნისა, ძველი ვითარება მხოლოდ აქ შემოგვენახა). ამ ფორმანტის უნიფიკაცია მოქმედებითი გვარის ზმნებთან თითქმის დამთავრებულია. ეს ტენდენცია დიალექტებში უფრო შორს არის წასული: ხევსურულმა ყველა შემთხვევაში **-ა** სუფიქსი გააბატონა; ამ დიალექტმა II კავშირებითის მაწარმოებლად სხვა ფორმანტი არ იცის.

ახალ ქართულში მდგომარეობა გართულდა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა შემთხვევაში. აქ ფორმათა პარალელიზმმა იჩინა თავი. მივუთითებდით, რომ ერთი და იგივე ზმნა II კავშირებითს იწარმოებს როგორც **-ა,** ასევე **-ე** სუფიქსებით. თუ მოქმედებითი გვარის შემთხვევაში უნიფიკაციის ტენდენცია **-ე** სუფიქსიანი წარმოების გაქრობის ხარჯზე წარიმართა, გაბატონდა **-ა** სუფიქსიანი წარმოება, სხვაგვარი პროცესი მიმდინარეობს ვნებითის ფორმებში: არის შემთხვევები, როცა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში II კავშირებითის **-ე** სუფიქსიან ფორმებს უჩნდება პარალელური, **-ა** სუფიქსიანი, ფორმები და პირიქით: **-ა** სუფიქსიან ფორმებს უჩნდება **-ე** სუფიქსიანი პარალელური ფორმები:

ა) იქნეს II იქნას, გაინძრეს II გაინძრას, ედგეს II ედგას, გაიჭრეს II გაიჭრას...

ბ) აღიძრას II აღიძრეს, დაიწვას II დაიწვეს, შემოერტყას II შემოერტყეს...

რადგან მოქმედებითი გვარის ზმნებში **-ა** სუფიქსიანი წარმოება გაბატონდა, თითქოსდა მოსალოდნელი იყო ვნებითი გვარის ზმნებშიც ამგვარი პროცესი მომხდარიყო: ან **-ა** სუფიქსიან წარმოებას დაეჭირა **-ე** სუფიქსიანი წარმოების ადგილი, ანდა, თუ გვარის ფაქტორი დაედებოდა საფუძვლად მაწარმოებელთა გადანაწილებას, ვნებითის ფორმებში **-ე** სუფიქსიანი წარმოება უნიფიცირებულიყო. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე არ მოხდა. მაწარმოებელთა გადანაწილების პროცესი

გრძელდება, რამაც ენაში პარალელურ ფორმათა გაჩენა გამოიწვია.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ რამდენიმე კერძო შემთხვევაზე:

ა) **-ე** სუფიქსით იწარმოებს II კავშირებითის ფორმებს **ვედ/ვიდ** ზმნა. ეს ერთადერთი გამონაკლისია, როცა **-ე** სუფიქსი გვაქვს და საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანი არ არის გაუჩინარებული: წა-ვიდ-ე, წახ-ვიდ-ე, წა-ვიდ-ე-ს. თუ **ვიდ** ზმნის ძირისეულ **ი** ხმოვანს **ე**-ს რედუქციის პროდუქტად მივიჩნევთ, მაშინ ზმნის ჩვენების გათვალისწინება **-ე** სუფიქსის გამოვლენის წესს ამგვარად დააზუსტებს: **II კავშირებითის -ე სუფიქსს დაირთავს ის ზმნები, რომელთა საყრდენ მორფემაში რედუცირებული ე ხმოვანი ივარაუდება** (რედუქცია შეიძლება იყოს სრულიც და ნაწილობრივიც: ე → ი).

ბ) **იყოს** ფორმაში **ო**-ს მიღების ორგვარი გზა შეიძლება ვივარაუდოთ: **ო ← ვ-ა, ო ← ვ-ე;** ე. ი. ფუძისეულ **ვ**-სთან კავშირებითის **-ა** ან **-ე** სუფიქსის შერწყმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ზმნის ძირი ორგვარი გახმოვანებითაა დადასტურებული — ყავ/ევ, **ო**-ს მიღების ორივე გზა დასაშვებია; **ყავ** ფუძისაგან II კავშრებითი **-ა** სუფიქსით უნდა წარმოებულიყო (ი-ყვ-ა-ს ← ი-ყავ-ა-ს), **ყევ** ფუძისაგან — **-ე** სუფიქსით (ი-ყვ-ე-ს ← ი-ყევ-ე-ს). ორივე ეს ვარიანტი დასტურდება დიალექტებში (იყვას, იყვეს).

გ) საკითხი ამგვარად შეიძლება დასმულიყო იმ ზმნათა მიმართაც, რომელთა ფუძეების ასევე პარალელური ვარიანტებია დადასტურებული: **ჰერ** II **ჰარ, ცერ** II **ცარ, თერ** II **თარ,** მაგრამ სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მსჯლობისას ამ ზმნათა მხოლოდ **ე** ხმოვნიან ვარიანტებს უნდა დავემყაროთ.

IV. 5.7.5. წყეტილისა და II კავშირებითის მწკრივთა წარმოების ურთიერთმიმართებისათვის. მეორე კავშირებითის წარმოების განხილვამ წყვეტილის წარმოებასთან მიმართებით არაერთგვარი სურათი წარმოგვიდგინა: **ერთი მხრივ,** წყვეტილის წარმოებასა და II კავშირებითის წარმოებას შორის მყარი შესაბამისობაა; მხედველობაში გვაქვს წყეტილის წარმოების III და IV ყალიბის ზმნები: კავშირებით II-ში **-ო** სუფიქსი იჩენს თავს, როცა წყეტილი **-ე** სუფიქსს დაირთავს. წყვეტილის ფორმებს I და II ყალიბის ზმნებთან ამგვარად არ მიემართება II კავშირებითის ფორმები: ნაწილი **-ე** სუფიქსით იწარმოებს II კავშირებითს: ნაწილი — **ა** სუფიქსით; ერთი და იმავე ზმნის მოქმედებითისა და შესაბამისი პრეფიქსიანი ვნებითის წყვეტილის ფორმები თუ წარმოების თვალსაზრისით სხვაობას არ გვიჩვენებს, ამას ვერ ვიტყვით II

კავშირებითზე. აქ ერთ შემთხვევაში იდენტური წარმოება გვაქვს (აღვძარ-აღვძრა, აღვიძარ-აღვიძრა), მაგრამ სხვა შემთხვევაში სხვაობა დასტურდება (დავჭერ-დავჭრა, დავიჭერ-დავიჭრე). თუ იმ თვალსაზრისს დავემყარებით, რომ II კავშირებითისათვის წყვეტილის ფუძეა საყრდენი (არნ. ჩიქობავა), ამგვარი სხვაობა ასახსნელი იქნება: ერთგვარი წარმოება წყვეტილში, განსხვავებული — მეორე კავშირებითში. სხვაობის საფუძველს ახალ ქართულში ამ ტიპის ზმნებთან ძირითადად ზმნის გვარი ქმნის. გვარის ფაქტორი ამ მწკრივთა წარმოების პრინციპზე გავლენას არ ახდენდა ძველ ქართულში: მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს თუ წყვეტილში იდენტური წარმოება ჰქონდათ, ასევე ერთნაირად იწარმოებდნენ II კავშირებითის ფორმებს (ვქმენ — ვიქმენ, ვქმნე — ვიქმნე...); მაგრამ სხვაობა აქაც თვალშისაცემია: ერთგვარი წარმოება წყვეტილისა, განსხვავებული წარმოება მეორე კავშირებითისა ფაქტია (აღვძარ, ვი'სენ, მაგრამ რაჲთა აღვძრა, ვიჴსნე).

ამდენად, ეჭვქვეშ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ წყვეტილის ფუძე საყრდენია II კავშირებითის ფორმისათვის (რაც თავისთავად იმას გულისხმობს, რომ წყვეტილის მაწარმოებლები II კავშირებითის ფორმაშიც ივარაუდება: ავა-შენ-ე II ავა-შენ-ე-ო..).

როგორც აღვნიშნავდით, წყვეტილის წარმოებას ძირითადად საყრდენი მორფემის სტრუქტურა შეაპირობებს. ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემა წყვეტილის უნიშნო (resp. I და II პირის ფორმებში „უფუნქციო“, ნულთან მონაცვლე **-ი** ელემენტიან) წარმოებას ვარაუდობს (I ყალიბი); უმარცვლო საყრდენი მორფემა **-ი** ელემენტიან (რომელიც არ მონაცვლეობს ნულთან I და II პირის ფორმებში) წარმოებას გულისხმობს (II ყალიბი).

ასევე, საყრდენი მორფემის სტრუქტურა შეაპირობებს II კავშირებითის **-ა** და **-ე** ფორმანტების გამოვლენას I და II ყალიბის ზმნებთან (ახალ ქართულში ძირითადად ვნებითი გვარის ზმნებში), ოღონდ საფუძველი შეპირობებისა სხვაგვარია. თუ წყვეტილის წარმოებისას ყურადღება არ ექცევა იმას, საყრდენი მორფემისეული ხმოვანი, რომელიც რედუცირდება, რა ხმოვანია, II კავშირებითის წარმოებისას ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

ახალ ქართულში II კავშირებითის **-ა** და **-ე** სუფიქსთა განაწილებისას თუ გვარის ფაქტორს გარკვეული ყურადღება მიექცა (მოქმედებითი გვარის ზმნებში წარმოების უნიფიკაცია მოხდა), წყვეტილის წარმოებაში ამ ფაქტორის მოქმედება გამორიცხულია.

ამგვარად, **-ა** და **-ე** სუფიქსიანი II კავშირებითის წარმოების საკი-

თხის განხილვა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, რომ წყვეტილის ფუძე არ არის საყრდენი II კავშირებითისათვის. წყვეტილის მაწარმოებლები II კავშირებითის ფორმაში არ ივარაუდება. ორივე ამ მწკრივისთვის საერთო ფუძეა საყრდენი. წყვეტილისა და II კავშირებითის წარმოებას ძირითადად საყრდენი მორფემის სტრუქტურა განსაზღვრავს; განმსაზღვრელი პირობა სხვადასხვაგვარია. II კავშირებითის **-ა** და **-ე** სუფიქსთა განაწილებისას გარკვეულ მნიშვნელობას გვარის ფაქტორიც იძენს.

თუ **-ა** და **-ე** სუფიქსიანი II კავშირებითის შემთხვევაში შესაძლებელია ამ დასკვნის გაკეთება, ამასვე ვერ ვიტყვით **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითის მიმართ; მაგრამ, ვფიქრობთ, ამჟამინდელი ვითარება ამ მხრივ მეორეულია.

IV ყალიბის ზმნურ ფორმათა ამოსავალ სახედ **ავაგევ** ტიპის წარმოება ივარაუდება; ისტორიულად წყვეტილის წარმოების თვალსაზრისით ამ ტიპის ზმნები I ყალიბისა იყო: საყრდენი მორფემა **-ევ** ნულთან მონაცვლეა და, ამდენად, წყვეტილი უნიშნო უნდა ჰქონოდა. საყრდენი მორფემისეული **ე** ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა ამ ტიპის ზმნებთან II კავშირებითის მაწარმოებლად **-ე** სუფიქსს გვავარაუდებინებს.

წყვეტილი: **ავა-გ-ევ,** II კავშ.: **ავა-გ-ვ-ე** ← ავა-გ-ევ-ე.

აქედან გამომდინარე, სარწმუნო ჩანს მოსაზრება იმის შესახებ, რომ II კავშირებითის **-ო** სუფიქსი ისტორიულად **ვე** კომპლექსის შერწყმის შედეგადაა მიღებული (გ. როგავა). ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი **ო**-ს დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობად მიჩნევა, ისევე როგორც **-ევ** ფორმანტის **ვ** თანხმოვანმოკვეცილი **ე** ელემენტის წყვეტილის **-ე** სუფიქსთან (ავაშენ-**ე**) ფუნქციური გაიგივება, გვიანდელი მოვლენაა — **-ევ** ფორმანტის თავდაპირველი ფუნქციის გაუჩინარებისა და მისი მორფოლოგიური რეინტერპრეტაციის შემდეგი პროცესია. ამდენად, IV ყალიბის ზმნებში შესაბამისობა — წყვეტილის **-ე:** II კავშირებითის **-ო** — ორივე ამ მწკრივისათვის საერთო საყრდენ მორფემასთან, **-ევ** ფორმანტთან, დაკავშირებული ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებების შედეგია. შესაბამისობა მყარია არა იმიტომ, რომ წყვეტილის **-ე** სუფიქსიანი წარმოება შეაპირობებს II კავშირებითის **-ო** სუფიქსიან წარმოებას, არამედ ორივე ამ მწკრივისათვის საერთო საყრდენი მორფემაა **-ევ,** რომელიც სხვადასხვაგვარ ტრანსფორმაციას განიცდის წყვეტილსა თუ II კავშირებითში. სხვაგვარად: ეს შესაბამისობა იმის მაჩვენებელი კი არ არის, რომ წყვეტილის ფუძე

არის საყრდენი II კავშირებითისათვის, არამედ საერთო საყრდენი მორფემა სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის და ამ ცვლილების შედეგად მყარდება შესაბამისობა.

ჩვენი თვალსაზრისისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად კვლავ ხევსურული დიალექტის ჩვენება გვესახება: როგორც აღვნიშნავდით, **ავაგევ** ტიპის წარმოების არსებობა ამ დიალექტში არ ივარაუდება. აქედან გამომდინარე, არც **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითი უნდა გვქონოდა. ხევსურულში, როგორც ცნობილია, **ავი-ღ-ი, გავი-გ-ი...** ტიპის მორფემა **-ი** ელემენტს გამოავლენს წყვეტილში (შდრ.: სალიტერატურო ქართულის დავა-ბ-ი, ჩავ-სხ-ი...); იგივე საყრდენი მორფემა **-ა** სუფიქსს ვარაუდობს II კავშირებითის მაწარმოებლად. ასეცაა ამ დიალექტში: ავი-ღ-ა, გავი-გ-ა... **-ა** სუფიქსის უნიფიკაცია ხევსურულში II კავშირებითის წარმოებისას **-ე** სუფიქსის ხარჯზე მოხდა. **-ა** იჭერს **-ე**-ს ადგილს. არა გვაქვს საფუძველი დავუშვათ **-ო** სუფიქსის არსებობა საერთოდ ამ დიალექტში.

მომხდარი ფონეტიკური პროცესებისა და მორფოლოგიური რეინტერპრეტაციის საფუძველზე დამყარებული შესაბამისობა IV ყალიბის ზმნებში — წყვეტილის **-ე:** II კავშირებითის **-ო** — უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ მას შემდეგ, რაც **-ე (← ევ)** გააზრებულ იქნა III ყალიბის ზმნებთან გამოვლენილი წყვეტილის **-ე** სუფიქსის ტოლფასად, მესამე ყალიბის ზმნებთანაც **-ო** სუფიქსი ჩნდება II კავშირებითში. III ყალიბის ზმნათა საყრდენი მორფემა მარცვლოვანი და უკუმშველია. რამდენადაც აქ არ არის პირობა II კავშირებითის **-ე** სუფიქსის გამოვლენისა, ოდინდელი მაწარმოებელი მწკრივისა ამ ტიპის ზმნებთან **-ა** სუფიქსი უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითის შემთხვევაში მდგომარეობა მეორეულია: ერთი ნაწილი ისტორიულად **-ა** სუფიქსით იწარმოებდა განსახილველი მწკრივის ფორმებს, მეორე ნაწილი — **-ე** სუფიქსით.

მას შემდეგ, რაც დამყარდა შესაბამისობა — წყვეტილის **-ე:** II კავშირებითის **ო,** თავისთავად ცხადია, ყველა შემთხვევაში ვერ მივიჩნევთ II კავშირებითის **-ო** სუფიქსისათვის ამოსავლად **ვე** კომპლექსს (ისევე როგორც სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსისათვის **ვა** კომპლექსს). ამჟამად **-ო** დამოუკიდებელი მაწარმოებელია **-ა** და **-ე** ფორმანტთა გვერდით და ფორმობრივად მიემართება წყვეტილის **-ე** სუფიქსს.

ყოველივე ზემოთქმული ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს

გვაძლევს: **წყვეტილის ფუძე არ არის საყრდენი II კავშირებითისათვის არც ისტორიულად და არც ამჟამად. ორივე ამ მწკრივისათვის საერთო ფუძეა საყრდენი.** მყარი ფორმობრივი შესაბამისობა მეორეული ფაქტია და არ ეწინააღმდეგება საერთო დასკვნას.

IV. 5.8. III სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

მწკრივთა წარმოებისა და დაჯგუფების პრინციპებზე საუბრისას აღინიშნა, რომ ფორმაწარმოების თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემებს ქმნის დრო-კილოთა მესამე სერია. არსებითი ის არის, რომ საწარმოებელი ფუძის პრინციპი, რომელიც სამეცნიერო გრამატიკაში ნ. მარმა დანერგა (არნ. ჩიქობავა), გატარებულია პირველ და მეორე სერიაში; მესამე სერიაში ეს პრინციპი ირღვევა: „თურმეობითის ჯგუფს არ მოეპოვება საერთო ფუძე, ამოსავლად რომ გვქონდეს წარმოებისას. ამით განსხვავდება თურმეობითის ჯგუფი აწმყოსა და ნამყო ძირითადის ჯგუფისაგან: აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ნამყო ძირითადისა — ნამყო ძირითადის ფუძეზე. თუ მესამე ჯგუფი მაინც გაერთიანდა, ეს იმიტომ, რომ ამ ჯგუფში შემავალი დროები „ერთი და იმავე წესით იწარმოება“. მართლაც, ამ ჯგუფში ინვერსიული წყობა გვაქვს მაშინ, როდესაც აწმყოსა და ნამყო ძირითადის ჯგუფებში წყობა პირდაპირია“ (არნ. ჩიქობავა). აქ უნდა დავაზუსტოთ: წარმოების ეს წესი (ინვერსიულობა) მხოლოდ გარდამავალ ზმნათათვისაა ნიშანდობლივი. გარდაუვალი ზმნები პირდაპირი წყობით იუღვლის. მოკლედ რომ ვთქვათ, მესამე სერიაში ფორმაწარმოებისას რამდენიმე შემთხვევა გაირჩევა: ე რ თ ი მ ხ რ ი ვ, გარდამავალი ორპირიანი ზმნები; მ ე ო რ ე მ ხ რ ი ვ, გარდაუვალი ერთპირიანი ზმნები და, მ ე ს ა მ ე მ ხ რ ი ვ, გარდაუვალი ორპირიანი ზმნები. ასე იყო ეს ძველ ქართულშიც და ასეა ახალ ქართულშიც, თუმცა დიდად მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა ახალ ქართულში მესამე სერიის ფორმათა წარმოებისას. რამდენადაც ახალი ქართულის ვითარების გასაანალიზებლად აუცილებელია ძველი ქართული ენის ვითარების გათვალისწინება, შევეცდებით თვალი მივადევნოთ III სერიის ფორმათა წარმოებაში მომხდარ ცვლილებებს.

IV. 5.8.1. III სერიის მწკრივთა წარმოება ძველ ქართულში. როგორი იყო ვითარება ძველ ქართულში: წარმოვადგენთ თითოეულ ზემომოყვანილი შემთხვევის მაგალითებს პარადიგმების სახით და შემდეგ შევეცდებით ანალიზს. ამთავითვე შევნიშნავთ: პ ი რ ვ ე ლ შ ე -

მთხვევაში (ორპირიან გარდამავალ ზმნებში) ფორმაწარმოების ორი ვარიანტი გაირჩევა — ა) **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანები და ბ) ყველა დანარჩენი.

მაგალითები:

I. შემთხვევა:

I თურმეობითი:

ა)	და-მ-ი-წერ-ი-ე-ს	აღ-მ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(მე იგი)
	და-გ-ი-წერ-ი-ე-ს	აღ-გ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(შენ იგი)
	და-უ-წერ-ი-ე-ს	აღ-უ-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(მას იგი)
	და-მ-ი-წერ-ი-ე-ს ‖	აღ-მ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს ‖	(ჩუენ იგი)
	‖ და-გუ-ი-წერ-ი-ე-ს	‖ აღ-გ-უ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(ჩუენ იგი)
	და-გ-ი-წერ-ი-ე-ს	აღ-გ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(თქუენ იგი)
	და-უ-წერ-ი-ე-ს	აღ-უ-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(მათ იგი)

ბ)	მო-მ-ი-კლ-ავ-ს	და-მ-ი-დგ-ამ-ს	(მე იგი)
	მო-გ-ი-კლ-ავ-ს	და-გ-ი-დგ-ამ-ს	(შენ იგი)
	მო-უ-კლ-ავ-ს	და-უ-დგ-ამ-ს	(მას იგი)
	მო-მ-ი-კლ-ავ-ს ‖	და-მ-ი-დგ-ამ-ს ‖	(ჩუენ იგი)
	‖ მო-გუ-ი-კლ-ავ-ს	‖ და-გუ-ი-დგ-ამ-ს	(ჩუენ იგი)
	მო-გ-ი-კლ-ავ-ს	და-გ-ი-დგ-ამ-ს	(თქუენ იგი)
	მო-უ-კლ-ავ-ს	და-უ-დგ-ამ-ს	(მათ იგი

შენიშვნა: ობიექტის რიცხვს ამჯერად ყურადღებას არ მივაქცევთ. შემდგომი მსჯელობისათვის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის შემთხვევაში მოვიყვანთ მხოლოდ ე. წ. ინკლუზივის ფორმებს (მო-გუ-იკლავს, და-გუ-იდგამს, აღ-გუ-იშჱნებიეს...): მწკრივის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ე. წ. ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები განსხვავებას არ იძლევიან:

II თურმეობითი:

ა)	და-მ-ე-წერ-ა	აღ-მ-ე-შჱნ-ა	(მე იგი)
	და-გ-ე-წერ-ა	აღ-გ-ე-შჱნ-ა	(შენ იგი)
	და-ე-წერ-ა	აღ-ე-შჱნ-ა	(მას იგი)
	და-გუ-ე-წერ-ა	აღ-გუ-ე-შჱნ-ა	(ჩუენ იგი)

	და-გ-ე-წერ-ა	აღ-გ-ე-შჱნ-ა	(თქუენ იგი)
	და-ე-წერ-ა	აღ-ე-შჱნ-ა	(მათ იგი)
ბ)	მო-მ-ე-კლ-ა	და-მ-ე-დგ-ა	(მე იგი)
	მო-გ-ე-კლ-ა	და-გ-ე-დგ-ა	(შენ იგი)
	მო-ე-კლ-ა	და-ე-დგ-ა	(მას იგი)
	მო-გუ-ე-კლ-ა	და-გუ-ე-დგ-ა	(ჩუენ იგი)
	მო-გ-ე-კლ-ა	და-გ-ე-დგ-ა	(თქუენ იგი)
	მო-ე-კლ-ა	და-ე-დგ-ა	(მათ იგი)

III კავშირებითი:

ა)	და-მ-ე-წერ-ო-ს	აღ-მ-ე-შჱნ-ო-ს	(მე იგი)
	და-გ-ე-წერ-ო-ს	აღ-გ-ე-შჱნ-ო-ს	(შენ იგი)
	და-ე-წერ-ო-ს	აღ-ე-შჱნ-ო-ს	(მას იგი)
	და-გუ-ე-წერ-ო-ს	აღ-გუ-ე-შჱნ-ო-ს	(ჩუენ იგი)
	და-გ-ე-წერ-ო-ს	აღ-გ-ე-შჱნ-ო-ს	(თქუენ იგი)
	და-ე-წერ-ო-ს	აღ-ე-შჱნ-ო-ს	(მას იგი)

შენიშვნა: მესამე სერიაში მომხდარ ფორმობრივ ცვლილებათა ანალიზის დროს არ ვიმსჯელებთ III ხოლმეობითზე, რადგან მესამე ხოლმეობითი არა გვაქვს ახალ ქართულში და, შესაბამისად, ფორმობრივ ცვლილებებზე საუბარიც არ იქნება შესაძლებელი.

ზოგი რამ დასაკონკრეტებელია:

მესამე ჯგუფის წევრთაგან II თურმეობითი და III კავშირებითი ყველა ტიპის ზმნასთან ერთგვარი პრინციპით მიემართება ერთმანეთს: ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებში მათი მიმართება ფორმობრივი თვალსაზრისით ისეთია, როგორიც უწყვეტლისა და I კავშირებითისა, წყვეტილისა და II კავშირებითისა.

ერთი მხრივ, უწყვეტელი და I კავშირებითი, ხოლო, მეორე მხრივ, წყვეტილი და II კავშირებითი ურთიერთჩანაცვლებადი მწკრივებია; ასეა II თურმეობითი და III კავშირებითიც, როგორც ძველ, ისე ახალ სალიტერატურო ქართულში:

ძველი ქართული:

უწყვეტელი:	ვ-წერ-დ-(**ი**)	ვ-ტირ-ოდ-**ე**
I კავშირებითი:	ვ-წერ-დ-**ე**	ვ-ტირ-ოდ-**ი**
წყვეტილი:	და-ვ-წერ-**ე**	გან-ვ-ტეფ-**Ø**
II კავშირებითი:	და-ვ-წერ-**ო**	გან-ვ-ტფ-**ე**
II თურმეობითი:	და-მ-ე-წერ-**ა**	აღ-მ-ე-შჩნ-**ა**
III კავშირებითი:	და-მ-ე-წერ-**ო**-ს	აღ-მ-ე-შჩნ-**ო**-ს

ახალი ქართული:

უწყვეტელი:	(და)-ვ-წერ-დ-**ი**	ვ-ტირ-ოდ-**ი**
I კავშირებითი:	(და)-ვ-წერ-დ-**ე**	ვ-ტირ-ოდ-**ე**
წყვეტილი:	(და)-ვ-წერ-**ე**	გა-ვ-თბ-**ი**
II კავშირებითი:	(და)-ვ-წერ-**ო**	გა-ვ-თბ-**ე**
II თურმეობითი:	(და)-მ-ე-წერ-**ა**	ა-მ-ე-შენ-ებ-ინ-**ა**
III კავშირებითი:	(და)-მ-ე-წერ-**ო**-ს	ა-მ-ე-შენ-ებ-ინ-**ო**-ს


ასე რომ, ყველა შემთხვევაში ეს წყვილები ურთიერთჩანაცვლებადი მწკრივებია.

პრინციპული სხვაობა ისაა, რომ უწყვეტელსა და I კავშირებითს აქვთ საერთო საყრდენი მწკრივი — აწმყო, რომელსაც ისინი ხაზოვანი პრინციპით მიემართებიან. ასეთი საყრდენი მწკრივი არ მოეპოვება არც წყვეტილ — II კავშირებითსა და არც II თურმეობით — III კავშირებითს:

უწყვეტელი:	ვ-წერ-დ-ი	აწმყო: ვ-წერ
I კავშირებითი:	ვ-წერ-დ-ე	
უწყვეტელი:	ვ-ა-შენ-ებ-დ-ი	აწმყო: ვ-ა-შენ-ებ
I კავშირებითი:	ვ-ა-შენ-ებ-დ-ე	

სხვაგვარად რომ ვთქვათ: აწმყო არის საყრდენი მომდევნო მწკრივებისათვის (ძველი ქართულისათვის: უწყვეტლისა, I კავშირებითისა და I ხოლმეობითისათვის. ახალ ქართულში — უწყვეტლისა და I კავშირე-

ბითისათვის); მომდევნო მწკრივები ერთმანეთს ჩანაცვლების წესით მიემართებიან; ისინი ერთიმეორისთვის არ არიან საყრდენი. ასეა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ყველა ტიპის ზმნაში; უფრო ზუსტად: ყველა იმ ზმნაში, რომლებიც იწარმოებენ I სერიის მწკრივებს (განურჩევლად გვარისა და გარდამავლობისა).



II სერიაში ყველა ურთიერთჩანაცვლებადი მწკრივია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. ძველი სალიტერატურო ქართულისათვის შერეული კავშირებითის დაბოლოება ფორმობრივად მხოლოდ მწკრივის ნიშანთა ტოლფასად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

წყვეტილი:	(აღ)-ვ-ა-შჱნ-ე
II ხოლმეობითი:	(აღ)-ვ-ა-შჱნ-ი
I კავშირებითი:	(აღ)-ვ-ა-შჱნ-ო
შერ. კავშირებითი:	(აღ)-ვ-ა-შჱნ-ოდი

ასევე ითქმის ძველი ქართული სალიტერატურო ენის შემთხვევაში III ხოლმეობითზეც: ისიც ჩანაცვლების პრინციპით მიემართება II თურმეობითსა და II კავშირებითს.

ამ საკმაოდ მწყობრი და საინტერესო სისტემიდან განმარტოებით დგას I თურმეობითი (ჯერჯერობით ვმსჯელობთ ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებზე).

როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში I თურმეობითსა და მომდევნო მწკრივებს — II თურმეობითს, III კავშირებითსა და III ხოლმეობითს — წარმოების წესი (ე. წ. ინვერსიულობა) და სინტაქსური კონსტრუქცია აერთიანებთ. ფუძის წარმოების საკითხი? აქ პრინციპული დაპირისპირებაა:

ძველ სალიტერატურო ქართულში განსახილველ ზმნათა (ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებს ვგულისხმობ) I თურმეობითი I სერიის რთულ თემას ემყარება.

ერთთემიან ზმნებზე, ცხადია, ამჯერად არ ვმსჯელობთ: თემათა სხვაობა აქ, რა თქმა უნდა, არ გვექნება. სხვა შემთხვევაში **ძველ სალიტერატურო ქართულში I თურმეობითი ყოველთვის იმეორებს რთულ თემას, II თურმეობითი — მარტივს.**

შენიშვნა: როგორც აღვნიშნეთ, II თურმეობითი, III კავშირებითი და III ხოლმეობითი ურთიერთჩანაცვლებადი მწკრივებია, ამიტომ მსჯელობის გასაადვილებლად მხოლოდ II თურმეობითზე ვიმსჯელოთ. იგივე დასკვნა გავრცელდება მომდევნო მწკრივებზეც.

-ებ თემისნიშნიანი ზმნები (წარმოვადგენთ სუბიექტის მხოლობითის ფორმებს):

აწმყო:	აღ-ვ-ა-**შტნ-ებ**	გან-ვ-ა-**გ-ებ**
	აღ-ა-**შტნ-ებ**	გან-ა-**გ-ებ**
	აღ-ა-**შტნ-ებ-**ს	გან-ა-**გ-ებ**-ს
I თურმეობითი:	აღ-მ-ი-**შტნ-ებ**-ი-ე-ს	გან-მ-ი-**გ-ებ**-ი-ე-ს
	აღ-გ-ი-**შტნ-ებ**-ი-ე-ს	გან-გ-ი-**გ-ებ**-ი-ე-ს
	აღ-უ-**შტნ-ებ**-ი-ე-ს	გან-უ-**გ-ებ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	აღ-ვ-ა-**შტნ-**ე	გან-ვ-ა-**გ**-ე
	აღ-ა-**შტნ-**ე	გან-ა-**გ**-ე
	აღ-ა-**შტნ-**ა	გან-ა-**გ**-ო
II თურმეობითი:	აღ-მ-ე-**შტნ-**ა	გან-მ-ე-**გ**-ო
	აღ-გ-ე-**შტნ-**ა	გან-გ-ე-**გ**-ო
	აღ-ე-**შტნ-**ა	გან-ე-**გ**-ო

-ობ თემისნიშნიანი:

აწმყო:	გან-ვ-ა-**ტფ-ობ**	I თურმეობითი:	გან-მ-ი-**ტფ-ობ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	გან-ვ-ა-**ტფ**-ე	II თურმეობითი	გან-მ-ე-**ტფ**-ო

-ოფ თემისნიშნიანი:

აწმყო:	ვ-ჰ-**ყ-ოფ**	I თურმეობითი:	მ-ი-**ყ-ოფ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	ვ-**ყავ**(**ყ**-ო)	II თურმეობითი:	მ-ე-**ყ**-ო

-ევ თემისნიშნიანი:

აწმყო:	ვ-ა-**კურთხ-ევ**	I თურმეობითი:	მ-ი-**კურთხ-ევ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	ვ-ა-**კურთხ-ე**	II თურმეობითი:	მ-ე-**კურთხ**-ა

-ემ თემისნიშნიანი:

აწმყო:	წარ-ვ-ს-**ც-ემ**	I თურმეობითი:	წარ-მ-ი-**ც-ემ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	წარ-ვ-**ეც**	II თურმეობითი:	წარ-მ-ე-**ც**-ა

თემის თვალსაზრისით პრინციპულად იგივე ვითარებაა **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებში; სხვაობა ისაა, რომ ეს ზმნები I თურმეობითში **იე** დაბოლოებას არ დაირთავენ:

-ავ თემისნიშნიანი:

აწმყო:	და-ვ-ჰ-**მალ-ავ**	I თურმეობითი:	და-მ-ი-**მალ-ავ**-ს
წყვეტილი:	და-ვ-**მალ**-ე	II თურმეობითი	და-მ-ე-**მალ**-ა

-ამ თემისნიშნიანი:

აწმყო:	გან-ვ-ი-**რთხ**-ამ	I თურმეობითი:	გან-მ-ი-**რთხ-ამ**-ს
წყვეტილი:	გან-ვ-ი-**რათხ**	II თურმეობითი	გან-მ-ე-**რთხ**-ა

ვითარება ანალოგიურია ფუძედრეკად ზმნებშიც:

აწმყო:	მო-ვ-ს-**დრეკ**	I თურმეობითი:	მო-მ-ი-**დრეკ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	მო-ვ-**დრიკ**-ე	II თურმეობითი	მო-მ-ე-**დრიკ**-ა

თუ დავუშვებთ, რომ **წერ** ტიპის ათემატურ ზმნებში ნულოვანი თემატური ნიშანი არის, ვითარება ასეთივე იქნება:

აწმყო:	და-ვ-ს-**წერ-Ø**	I თურმეობითი:	და-მ-ი-**წერ-Ø**-ი-ე-ს
წყვეტილი:	და-ვ-**წერ**-ე	II თურმეობითი	და-მ-ე-**წერ**-ა

წარმოდგენილ სურათს თუ გადავხედავთ, დასკვნის გაკეთება იოლია:

როგორც პირველი, ისე მეორე თურმეობითის წარმოება არის ერთგვაროვანი, მაგრამ პრინციპულად განსხვავებული ერთმანეთისაგან საყრდენი ფუძის თვალსაზრისით:

ყველა შემთხვევაში I თურმეობითის ფორმისათვის საყრდენია რთული თემა; ანუ I სერიის თემა (აქ შემოდის უთემისნიშნო და ფუძედრეკადი ზმნები). II თურმეობითისათვის (და, შესაბამისად, III კავშირებითისა და III ხოლმეობითისათვის) საყრდენია მარტივი, ანუ II სერიის თემა (ფუძედრეკადი ზმნები **ი** გახმოვანებით).

-ავ/-ამ თემისნიშნიანი ზმნები დანარჩენთაგან იმით განსხვავდება, რომ **იე** დაბოლოებას არ დაირთავს. ანუ: მსგავსება დანარჩენებთან ის არის, რომ I სერიის თემას ემყარება; განსხვავება კი ისაა, რომ **იე** დაბოლოებას არ დაირთავს.

ასე რომ, გარდამავალ ზმნებში I თურმეობითში ორი ძირთადი მოდელი გამოიყოფა:

ა) **I სერიის თემა + ი-ე** (აღმი-**შენ-ებ-ი-ე-ს**);

ბ) **I სერიის თემა** (ი-ე დაბოლოების გარეშე) (დამი-**მალ-ავ**-ს).

რაც შეეხება II თურმეობითს, აქ ვითარება ერთგვაროვანია ყველა ტიპის გარდამავალი ზმნისათვის.

ჩვენ შევეცადეთ, საერთო სურათი წარმოგვედგინა ძველი ქართულისა და მიმართებებიც დაგვეზუსტებინა...

IV. 5.8.2. რა ხდება ახალ სალიტერატურო ქართულში?. ახალ სალიტერატურო ქართულში ძველთან შედარებით პრინციპული ცვლილებები განხორციელდა. **დაირღვა ერთფეროვნება ერთი და იმავე მწკრივის ფორმათა წარმოებაში,** მაგრამ **დამყარდა ერთგვაროვნება III სერიის მწკრივთა პარადიგმაში;** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ზმნა **III სერიის მწკრივთა ფორმების საწარმოებლად გამოიყენებს ერთსა და იმავე საყრდენ ფუძეს.** თუმცა აქ თავს იჩენს საინტერესო მოვლენა: ერთი ჯგუფის ზმნები III სერიის სამივე მწკრივში ეყრდნობა I სერიის თემას, მეორე ჯგუფის ზმნები — II სერიის თემას:

I ჯგუფის ზმნები:

აწმყო:	ვ-ა-**შენ-ებ**	ვ-ა-**ბრუნ-ებ**
	ა-**შენ-ებ**	ა-**ბრუნ-ებ**
	ა-**შენ-ებ**-ს	ა-**ბრუნ-ებ**-ს
I თურმეობითი:	ა-მ-ი-**შენ-ებ**-ია	და-მ-ი-**ბრუნ-ებ**-ია
	ა-გ-ი-**შენ-ებ**-ია	და-გ-ი-**ბრუნ-ებ**-ია
	ა-უ-**შენ-ებ**-ია	და-უ-**ბრუნ-ებ**-ია
II თურმეობითი:	ა-მ-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ა	და-მ-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ა
	ა-გ-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ა	და-გ-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ა
	ა-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ა	და-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ა

III კავშირებითი:	ა-მ-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ო-ს	და-მ-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ო-ს
	ა-გ-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ო-ს	და-გ-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ო-ს
	ა-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ო-ს	და-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ო-ს
II ჯგუფის ზმნები:		
წყვეტილი:	ა-ვ-ა-**გ**-ე (შდრ.: ა-ვ-ა-**გ-ებ**)	გა-ვ-ა-**თბ**-ე (შდრ.: გა-ვ-ა-**თბ-ობ**)
	ა-ა-**გ**-ე	გა-ა-**თბ**-ე
	ა-ა-**გ**-ო	გა-ა-**თბ**-ო
I თურმეობითი:	ა-მ-ი-**გ**-ი-ა	გა-მ-ი-**თბ**-ი-ა
	ა-გ-ი-**გ**-ი-ა	გა-გ-ი-**თბ**-ი-ა
	ა-უ-**გ**-ი-ა	გა-უ-**თბ**-ი-ა
II თურმეობითი:	ა-მ-ე-**გ**-ო	გა-მ-ე-**თბ**-ო
	ა-გ-ე-**გ**-ო	გა-გ-ე-**თბ**-ო
	ა-ე-**გ**-ო	გა-ე-**თბ**-ო
III კავშირებითი:	ა-მ-ე-**გ**-ო-ს	გა-მ-ე-**თბ**-ო-ს
	ა-გ-ე-**გ**-ო-ს	გა-გ-ე-**თბ**-ო-ს
	ა-ე-**გ**-ო-ს	გა-ე-**თბ**-ო-ს

-ავ და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა თავისებურ ვითარებაზე მოგვიანებით ვისაუბრებ.

როგორც ვხედავთ, ცვლილება ორი მიმართულებით განვითარდა:

ა) ერთი რიგის ზმნებში I თურმეობითის რთული თემა გავრცელდა II თურმეობითსა და III კავშირებითში:

გამი-**კეთ-ებ**-ი-ა — გამე-**კეთ-ებ**-ინა — გამე-**კეთ-ებ**-ინოს (ნაცვლად ფორმებისა გამე-**კეთ**-ა, გამე-**კეთ**-ოს);

ბ) მეორე რიგის ზმნებში II თურმეობითისა და III კავშირებითის მარტივი თემა გავრცელდა I თურმეობითში:

ა-მე-**ლ**-ო / ამე-**ლ**-ოს — ამი-**ლ**-ია (ნაცვლად ფორმისა აღმი-**ღ-ებ**-იეს...); მიმე-**ც**-ა / მიმე-**ც**-ე-ს— მიმი-**ც**-ია (ნაცვლად ფორმისა მიმი-**ც-ემ**-იეს)...

მოხდა „პარადიგმების გასწორება“: ერთ შემთხვევაში I თურმეობითის მიხედვით, მეორე შემთხვევაში — II თურმეობითისა და III კავშირებითის მიხედვით.

ასე რომ, **თემისნიშნიან ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებში** საუღლებელი ფუძის პრინციპი III სერიის მწკრივებშიც გატარდა: ზმნე-

ბი სამივე მწკრივში ერთსა და იმავე ფუძეს ეყრდნობა — ან რთულს (I სერიისას), ან მარტივს (II სერიისას);

ა წ მ ყ ო :	ვა-**კეთ-ებ**	ვი-**ღ-ებ**
წ ყ ვ ე ტ ი ლ ი:	ვა-**კეთ-ე**	ავი-**ღ-ე**
I თ უ რ მ.:	გამი-**კეთ-ებ**-ია	ამი-**ღ-**ია
II თ უ რ მ.:	გამე-**კეთ-ებ**-ინა	ამე-**ღ-**ო
III კ ა ვ შ.:	გამე-**კეთ-ებ**-ინოს	ამე-**ღ-**ოს

ერთი მთავარი კითხვა ჩნდება: რა არის მიზეზი ამგვარი ცვლილების განხორციელებისა? — პარადიგმის გასწორება? მაშინ: რატომ „გასწორდა“ ერთი ჯგუფი პირველი თურმეობითის მიხედვით და მეორე ჯგუფი — II თურმეობითის მიხედვით? ეს კითხვები ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება...

ჩვენ ზემოთ გავხაზეთ: ეს ცვლილება მოხდა **თემისნიშნიან ზმნებში.** ხოლო იმ ზმნებში, რომელთა I-II სერიების თემა ხმოვანმონაცვლეობითაა დაპირისპირებული, ამგვარი ცვლილება არ მომხდარა; ვითარება ძველებური დარჩა: I თურმეობითი კვლავაც აწმყოს ფუძეს ეყრდნობა, II თურმეობითი და III კავშირებითი — წყვეტილის ფუძეს: ამ შემთხვევაშიც ორ ჯგუფს განვიხილავთ: ა) ფუძედრეკად ზმნებსა და ბ) ე. წ. **ი-**თემისნიშნიან ზმნებს.

ა) ფუძედრეკადი ზმნები:

ა წ მ ყ ო :	ვ-**დრეკ**	წარ-ვ-ა-**დგენ**
I თ უ რ მ.:	მო-მ-ი-**დრეკ**-ი-ა	წარ-მ-ი-**დგენ**-ი-ა
წ ყ ვ ე ტ.:	მო-ვ-**დრიკ**-ე	წარ-ვ-ა-**დგინ**-ე
II თ უ რ მ.:	მო-მ-ე-**დრიკ**-ა	წარ-მ-ე-**დგინ**-ა
III კ ა ვ შ.:	მო-მ-ე-**დრიკ**-ო-ს	წარ-მ-ე-**დგინ**-ო-ს

ბ) ე. წ. ი-თემისნიშნიანი ზმნები:

ა წ მ ყ ო :	ვ-**თლ**-ი	ვ-**ცლ**-ი
I თ უ რ მ.:	გა-მ-ი-**თლ**-ი-ა	და-მ-ი-**ცლ**-ია

წ ყ ვ ე ტ.:	გა-ვ-**თალ**-ე	და-ვ-**ცალ**-ე
II თ უ რ მ.:	გა-მ-ე-**თალ**-ა	და-მ-ე-**ცალ**-ა
III კ ა ვ შ.:	გა-მ-ე-**თალ**-ო-ს	და-მ-ე-**ცალ**-ო-ს

ამგვარად: ხმოვანმონაცვლე ზმნები ინარჩუნებს იმავე პრინციპს, რა პრინციპზეც იყო აგებული III სერიის მწკრივთა წარმოება ძველ ქართულში. ცვლილება არ მომხდარა და არც იყო მოსალოდნელი ერთთემიან ზმნებში: **წერ-ს** ტიპის ზმნათა III სერიის მწკრივები იმავე მარტივ ფუძეს ემყარება, რომელი ფუძეც საერთოა I და II სერიის მწკრივთათვის:

ა წ მ ყ ო :	ვ-**წერ**	ვ-**თხოვ**
წ ყ ვ ე ტ.:	ვ-**წერ**-ე	ვ-**თხოვ**-ე
I თ უ რ მ.:	მ-ი-**წერ**-ი-ა	მ-ი-**თხოვ**-ი-ა
II თ უ რ მ.:	მ-ე-**წერ**-ა	მ-ე-**თხოვ**-ა
III კ ა ვ შ.:	მ-ე-**წერ**-ო-ს	მ-ე-**თხოვ**-ო-ს

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ყოველივე ამის გათვალისწინებით? როგორც ჩანს, **არსებითი მნიშვნელობა მიენიჭა რთულ და მარტივ თემათა დაპირისპირებას** და არა ერთთემიანობა-ორთემიანობის პრინციპს. გავიხსენოთ: რთულია თემა, როცა მარტივი ფუძე განივრცობა თემის ნიშნით (კეთ — **კეთ-ებ**, თბ — **თბ-ობ**, ეც — **ც-ემ**...); მარტივია თემა, რომელიც არ შეიცავს თემის ნიშნას (**კეთ-, შენ-... წერ-, ტეხ...**). ამ თვალსაზრისით მარტივია თემა ფუძედრეკად ზმნებშიც (**დრეკ — დრიკ, გრეხ — გრიხ...**) და ე. წ. **ი-**თემისნიშნიანებშიც (თლ — თალ, შლ — შალ...).

შენიშვნა: 1. გავიხსენოთ, რომ **ი-** ბოლოსართს არ მივიჩნევთ თემის ნიშნად. თავად ის ფაქტი რომ **თლ-ი-ს, შლ-ი-ს** ტიპის ზმნები III სერიის მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით უთემისნიშნო ზმნათა რიგში ჩადგა, **-ი** სუფიქსის რაობის გარკვევის თვალსაზრისით არსებითად გვეჩვენება.

2. რადგან მნიშვნელობა მიენიჭა თემის ნიშნის ქონა-არქონას, ტენდენცია რომ არის ქართულში უთემისნიშნო და ფუძედრეკად ზმნათა თემისნიშნიან ფორმებზე გადასვლისა (რეკ-ს → რეკ-ავ-ს, თიბ-ს → თიბ-ავ-ს... ფრენ-ს → ფრინავს...), ხომ არ არის კავშირში III სერიაში მიმდინარე ფორმაცვალებასთან?..

და მაინც: რა შუაშია თემის ნიშანი და ფორმაწარმოებაში მომხდარი ცვლილებები? ჩვენ საუბარი გვქონდა თემის ნიშანთა სისტემაში მომხდარ ცვლილებებსა და იმ ტენდენციებზე, რასაც ეს ცვლილებები ეფუძნებოდა (იხ. § IV. 5.5.6.). საფიქრებელია, III სერიაში მომხდარი ფორმობრივი ცვლილებები დაკავშირებული იყოს თემის ნიშანთა სისტემაში მიმდინარე პროცესებთან... სხვაგვარად რომ ვთქვათ, III სერიაში მომხდარი ცვლილებები თემის ნიშანთა სისტემაში მომხდარ ცვლილებეთან კავშირში უნდა იქნეს განხილული. როგორ? — ეს მომავალი კვლევის საგნად გვესახება.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნათა III სერიის მწკრივებში მომხდარი ფორმობრივი ცვლილებების შედეგად საუღლებელი ფუძის პრინციპი გატარდა დრო-კილოთა ამ ჯგუფშიც. ეს პრინციპი დაემყარა რთულ და მარტივ თემათა დაპირისპირების ფაქტორს: **სამივე მწკრივში ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებს ან რთული თემა აქვს** (კეთ-ებ, შენ-ებ...), ან — **მარტივი თემა** (-ქ-, -გ-... თლ/თალ, შლ/შალ... დრეკ/დრიკ, გრეხ/გრიხ...)... გავიხსენოთ: ძველ ქართულში თემისნიშნიან ზმნებს I თურმეობითში რთული თემა ჰქონდათ, II თურმეობითში — მარტივი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუძეთა ერთგვაროვნების „ჰორიზონტალური“ პრინციპი შეიცვალა ფუძეთა ერთგვაროვნების „ვერტიკალური“ პრინციპით:

ძ ვ. ქ ა რ თ უ ლ ი:

I თურმ.:	მი-**კეთ-ებ**-იეს,	აღმი-**შ@ნ-ებ**-იეს;	მიმი-**გ-ებ**-იეს,	მიმი-**ც-ემ**-ეს...
II თურმ.:	მე-**კეთ-**ა,	აღმე-**შ@ნ-**ა;	მიმე-**გ**-ო,	მიმე-**ც**-ა...
III კავშ.:	მე-**კეთ-**ოს,	აღმე-**შ@ნ-**ოს;	მიმე-**გ**-ოს,	მიმე-**ც**-ეს

ა ხ ა ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი:

I თურმ.:	მი-**კეთ-ებ**-ია,	მი-**შენ-ებ**-ია;	მიმი-**გ**-ია,	მიმი-**ც**-ია
II თურმ.:	მე-**კეთ-ებ**-ი(ნ)ა,	მე-**შენ-ებ**-ი(ნ)ა;	მიმე-**გ**-ო,	მიმე-**ც**-ა
III კავშ.:	მე-**კეთ-ებ**-ი(ნ)ოს,	მე-**შენ-ებ**-ი(ნ)ოს;	მიმე-**გ**-ოს,	მიმე-**ც**-ეს

ვიმეორებთ: ჰორიზონტალურ ხაზებში წარმოდგენილი ერთგვაროვნება შეიცვლა ვერტიკალურ რიგებში წარმოდგენილი ერთგვაროვნებით. და **ეს არის უაღრესად პრინციპული მნიშვნელობის ფორმობრივი განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის**.

ერთი საინტერესო დეტალიც: ზემოწარმოდგენილი პარადიგმების I რიგის ფორმებში II თურმეობითსა და III კავშირებითში გამოვლენილი **ნ** ფრჩხილებში ჩავსვით. ფაქტია, რომ **გაეკეთებ-ინ-ა** და **გაეკეთებ-ი-ა** პარალელური ფორმებია, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მთავარი. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს **ნ** ბოლოსართის სტატუსს.

ა. შანიძის აზრით, **ნ** ჩანართი თანხმოვანია: „გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს გრძელი ფორმა შუალობითი კონტაქტის ფორმააო, მაგრამ შუალობითი კონტაქტის ზმნებს კიდევ სხვა **ებინ** ემატება: **გამეკეთ-ე-ბინ-ებინ-ა** — **გამეკეთ-ებინ-ებინ-ო-ს,** ასე რომ, ნამდვილად აქ რაღაც სხვა ვითარებაა“ (ა. შანიძე). მივადევნოთ თვალი საინტერესო მსჯელობას: „გრძელი ფორმების წარმოშობის საფუძველი ეს არის: **ებ**იან ზმნათა I თურმეობითის ფუძე განზოგადდა (იგულისხმება ის ებიანები, რომელთაც თემის ნიშანი შენახული აქვთ I თურმეობითში) და ორ სხვა მწკრივშიც იქნა გადატანილი:

გამიკეთებია — გამეკეთებია — გამეკეთებიოს
დამიშავებია — დამეშავებია — დამეშავებიოს და მისთ.

ამგვარი ფორმები ბევრ კილოშია დაცული, ზოგმა კილომ და მათი გავლენით სალიტერატურო ენამ **ნ** ჩაურთო კიდევ და ამგვარად მივიღეთ **ებინ** დართული („გრძელი“) ფორმები“ (ა. შანიძე).

ეს ლოგიკური და დამაჯერებელი მსჯელობა III სერიის I ყალიბის სამივე მწკრივის ფორმებში წარმოდგენილ **-ი** ელემენტს ერთ ოდენობად გაგვააზრებინებს და საერთო ფუძის წესი კიდევ უფრო მყარი ხდება:

I თურმ.	გა-მ-ი-**კეთ-ებ-ი**-ა
II თურმ.	გა-მ-ე-**კეთ-ებ-ი**-ა
III კავშ.	გა-მ-ე-**კეთ-ებ-ი**-ო-ს

ის ფაქტი, რომ **-ი** ელემენტი I რიგის ზმნებში სამივე მწკრივში გვხვდება, ხოლო II რიგის ზმნებთან მხოლოდ I თურმეობითში, საფუძველს გამოგვაცლის იმისას, ეს ფორმანტი მწკრივის ნიშნად გავიაზროთ.

ნ ელემენტის ჩანართობის თაობაზე როცა მსჯელობს, მკვლევარი დაასკვნის: „ჩართული **ნ** პირველად II თურმეობითში უნდა გაჩენილიყო, მაგრამ შემდეგ იგი I თურმეობითში გადასულა“ (ა. შანიძე), იგულისხმება უყიდ-**ნ**-ია ტიპის ფორმები.

შენიშვნა: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით „ერთადერთ სალიტერატურო ფორმებად“ უნდა იქნეს მიჩნეული **ნ** ჩართული ფორმები; აეშენებინა, აეშენებინოს... თუ გავითვალისწინებთ **ია** დაბოლოებიანი ფორმების გავრცელების სიხშირეს და **ნ**-ს წარმომავლობის საკითხს, შეიძლება წარმოდგენილ კატეგორიულ მსჯელობაში **ერთადერთი** შეგვეცვალა... მით უმეტეს, რომ იგივე **ნ** ნორმის დარღვევაა I თურმეობითში...

IV. 5.8.3. *-ავ / -ამ* თემისნიშნიან ზმნათა III სერიის ფორმათა შესახებ. ძველ ქართულში **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა III სერიის ფორმები, როგორც ვნახეთ, თავისებურ ვითარებას გვიჩვენებს: თუ II თურმეობითსა და III კავშირებითში რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავება არა გვაქვს სხვა ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნათა წარმოებასთან, I თურმეობითში პრინციპულად განსხვავებული ვითარებაა:

II თურმ.:	მო-მ-ე-**კლ**-ა	მ-ე-**თქუ**-ა	შდრ.:	მ-ე-**წერ**-ა
III კავშ.:	მო-მ-ე-**კლ**-ა-ს	მ-ე-**თქუ**-ა-ს		მ-ე-**წერ**-ო-ს

I თურმეობითში მსგავსება ის არის, რომ რთულ თემას ემყარება **-ავ/-ამ** თემისნიშნიანი ზმნებიც; განსხვავება ის არის, რომ არ დაირთავს **-ი-ე-** დაბოლოებას:

მ-ი-კითხ-ავ-ს	შდრ.:	მ-ი-კეთ-ებ-**ი-ე**-ს
მ-ი-სუ-ამ-ს		მი-მ-ი-ც-ემ-**ი-ე**-ს

ძნელი სათქმელია, ეს სხვაობა რისი ამსახველია; რას ნიშნავს, მაგრამ ფაქტია... ეს არის ნორმა ძველი ქართულისათვის.

„საშუალი ქართულის ადრეულ საფეხურზე I თურმეობითის **-ია** დაბოლოება **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებშიც იჩენს თავს. უძველესი ნიმუშები ამგვარი წარმოებისა ჩვენ მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსანში“ (ზ. ჭუმბურიძე). ორი ფორმაა დასახელებული დ ა მ ი ს ა ხ ი ა და დ ა მ ი თ ე ს ი ა. **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა **-ია** დაბოლოებაზე გადასვლა, როგორც ჩანს, ძველ ქართულშივე დაწყებულა. ძალზე საინტერესოა ანტონის პარადიგმებში დადასტურებული ვარიანტები **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითისა:

ა) შეუკრავს, აღუხუამს

ბ) შეუკრჯეს, აღუხუმიეს
გ) შეუკრვია, აღუხუმია
დ) შეუკრია, აღუხუმია.

თუ დავუშვებთ, რომ ყველა ეს ფორმა რეალურია (და, არ გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ასე არ არის), საინტერესო პროცესთან გვაქვს საქმე:

I ეტაპზე იწყება **ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმანთა წარმოების გათანაბრება სხვა თემისნიშნიან ზმნებთან: რთული თემა + **იე**-ს დაბოლოება:

შეუ-**კრ-ავ**-ს → შეუ-**კრ-ვ-იე**-ს (შდრ.: უ-**კეთ-ებ-იე**-ს) II ეტაპზე **იე**-ს დაბოლოება იცვლება — **ი-ა** დაბოლოებით:

შეუ-კრ-ვ-**იე**-ს → შეუ-კრ-ვ-**ია** (შდრ.: უ-კეთ-ებ-ია) III ეტაპზე იკარგება თემის ნიშანი და -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა გათანაბრება ხდება II რიგის ზმნათა I თურმეობითის ფორმებთან:

შეუ-**კრ-ვ**-ია → შეუ-**კრ**-ია (შდრ.: აუ-ღ-ია...). ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და მასშტაბური აღმოჩნდა. იმდენად ბუნებრივი და თითქმის საყოველთაო, რომ კარგა ხანია გამოითქვა აზრი, რომ I თურმეობითის პარალელურ ფორმათაგან (დაუხატავს || დაუხატია, დაუდგამს || დაუდგია) სალიტერატურო ნორმათა თვალსაზრისით ორივე უნდა იქნეს დაშვებული.

ჩვენთვის არსებითია, რა ხდება ენობრივ სისტემაში: **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა ძველი ფორმები (დაუმალავს, უთქვამს...) რამდენად ჯდება ახალ სისტემაში.

I თურმ.:	და-უ-**მალ-ავ**-ს	უ-**თქუ-ამ**-ს
II თურმ.:	და-ე-**მალ**-ა	ე-**თქუ-**ა
III კავშ.:	და-ე-**მალ**-ო-ს	ე-**თქუ-**ა-ს

ფორმათა მიმართება (საყრდენი ფუძის პრინციპიდან გამომდინარე) იმ პრინციპზეა აგებული, რა პრინციპსაც ემყარებოდა თემისნიშნიან ზმნათა III სერიის მწკრივთა წარმოება: ასე ვთქვათ, წარმოების ერთფეროვნების „ჰორიზონტალური პრინციპი“ — I თურმეობითში რთული თემა; II თურმეობითსა და III კავშირებითში — მარტივი თემა.

ია დაბოლოებიან ფორმებს თუ ამ პარადიგმაში ჩავსვამთ, მივიღებთ იმ ვარიანტს, რომელსაც ვუწოდეთ ფორმათა ერთფეროვნების „ვერტიკალური პრინციპი“:

I თურმ.:	და-უ-**მალ-**ია	უ-**თქვ**-ია
II თურმ.:	და-ე-**მალ**-ა	ე-**თქვ-**ა
III კავშ.:	და-ე-**მალ**-ო-ს	ე-**თქვ-**ას

როგორც ვნახეთ, ახალ ქართულში შერეული (ანუ „ერთფეროვნების ჰორიზონტალურ პრინციპზე“ აგებული) პარადიგმა თემისნიშნიან ზმნებში აღარ გვაქვს: ან სამივე მწკრივში რთული თემაა, ან სამივე მწკრივში — მარტივი თემაა. **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმანთა ძველი პარადიგმა არღვევს ერთიან სისტემას. **ია** დაბოლოებიან ფორმათა გაჩენა სწორედ III სერიის ფორმაწარმოებაში მომხდარი რთული ცვლილების ტენდენციის გამოვლენაა. **-ია** დაბოლოებიანი ფორმები ანალოგიურია თემისნიშნიან ზმნათა II რიგის ფორმებისა: როცა II თურმეობითის (და III კავშირებითის) უთემისნიშნო საყრდენი ფუძე გავრცელდა I თურმეობითში:

I თურმ.:	გან-მ-ი-**ტფ-ობ**-ი-ე-ს	გა-მ-ი-**თბ**-ია
II თურმ.:	გან-მ-ე-**ტფ**-ო	გა-მ-ე-**თბ**-ო
III კავშ.:	გან-მ-ე-**ტფ**-ო-ს	გა-მ-ი-**თბ**-ო-ს

შდრ.:

I თურმ.:	მო-მ-ი-**კლ-ავ**-ს	მო-მ-ი-**კლ**-ი-ა
II თურმ.:	მო-მ-ე-**კლ**-ა	მო-მ-ე-**კლ**-ა
III კავშ.:	მო-მ-ე-**კლ**-ა-ს	მო-მ-ე-**კლ**-ა-ს

როგორც ითქვა, თემისნიშნიან ზმნათა III სერიის ფორმათა ცვლილების ტენდენცია ფაქტობრივ დასრულებულია. ერთადერთი გამონაკლისი (ძველი სისტემის ნაშთი), არის სწორედ -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა ისტორიული პარადიგმა, რომლის ჩანაცვლების მცდელობა ახალი სისტემის პარადიგმით ძველ ქართულშივე დაწყებულა. დღეს ახალი პარადიგმა ფაქტობრივ დამკვიდრებულია როგორც ზეპირმეტყველებაში, ისე სამწერლო ქართულში.

ამ გამონაკლისის შენარჩუნებას (-ავ/-ამ თემისნიშნიანი ფორმებისა) გარკვეულწილად ხელი შეუწყო გასული საუკუნის დასაწყისში შემუშავებულმა ნორმამ: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ ლიტერატურულ ფორმად უნდა დარჩეს **-ავ** და **-ამ** სუფიქსიანი ფორმები, ხოლო **-ია** დაბოლოებიანი ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს“. არგუმენტები ასეთია: თემისნიშნიანი ფორმები

„ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;
ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;
გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

თითქმის საუკუნის წინათ, როცა ეს ნორმა შემუშავდა, შესაძლებელი იყო საკითხის ასე დასმა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან შეიძლებოდა სხვაგვარად გვეფიქრა:

როგორც ჩვენმა ზემომოყვანილმა მსჯელობამ გვიჩვენა, **ია** დაბოლოებიანი ფორმები მართებულია წარმოების თვალსაზრისით. მეტიც: თემისნიშნიანი ფორმები (დაუმალავს, უთქვამს) ძველი სისტემის ნაშთია და ამოვარდნილია ახალი სისტემიდან; მისი ხელოვნური შენარჩუნება არღვევს საუკუნეების მანძილზე განვითარებულ ტენდენციას. როგორც ვთქვით, ესაა ერთადერთი გამონაკლისი თემისნიშნიან ზმნებში.

როცა ვსაუბრობთ ფორმათა გავრცელებულობის ფაქტორზე, აქ მოვიშველიებთ ზ. ჭუმბურიძის აზრს: **ია** დაბოლოებიანი ფორმები „საერთო ენობრივი ტენდენციის გამოხატულებაა, გავრცელებულია მთელი ხალხის სასაუბრო ენაში და არ წარმოადგენს ერთი რომელიმე დიალექტის (ან დიალექტთა წრის) შემონატანს სალიტერატურო ენაში; სავსებით ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას, გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანმიმდევრობას“ (ზ. ჭუმბურიძე).

ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ განსახილველ ზმნათა I თურმეობითის სრული პარადიგმიდან გავრცელებულობის თვალსაზრისით არაა ერთგვაროვანი ვითარება ორგანულ და მეშველზმნიან ფორმათა შემთხვევაში: თუ პარალელიზმი აშკარაა და თემისნიშნიანი ფორმები არცთუ იშვიათია უნახავს || უნახია შემთხვევაში, მეშველზმნიან წარმოებაში თემისნიშნიანი ფორმები იშვიათია, მეტიც, თითქმის აღარ გვხვდება: მინახ**ავ**ხარ || მინახიხარ, გინა**ხავ**ხარ || გინახივარ...

გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზმნათა ერთი ნაწილის მიერ **-ავ** თემის ნიშნის დართვა გვიანდელი პროცესია (თეს-ავ-ს, რეცხ-ავ-ს, რეკ-ავ-ს, ჭედ-ავ-ს...); უთემისნიშნო ფორმები ამ ზმნებისა I თურმეობითში ისტორიულადაც მართებულია და სადღეისოდაც თითქმის ერთადერთი ვარიანტი (დაუთესია, გაურეცხია, დაურეკია, შეუჭედია...).

ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა **ია** დაბოლოებაზე გადასვლა კანონზომიერი პროცესია და მას ნორმატული ბარიერები ვერ შეაჩერებს.

სანამ ამ თემაზე საბოლოო დასკვნას გავაკეთებთ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი განსახილველ ზმნათა I თურმეობითის სრულ პარადიგმას:

დამიხატ-**ავ**-ს	‖	დამიხატ-**ი**-ა	მე ის (ისინი)
დაგიხატ-**ავ**-ს	‖	დაგიხატ-**ი**-ა	შენ ის (ისინი)
დაუხატ-**ავ**-ს	‖	დაუხატ-**ი**-ა	მას ის (ისინი)
დაგვიხატ-**ავ**-ს	‖	დაგვიხატ-**ი**-ა	ჩვენ ის (ისინი)
დაგიხატ-**ავ**-თ	‖	დაგიხატ-**ი**-ა-თ	თქვენ ის (ისინი)
დაუხატ-**ავ**-თ	‖	დაუიხატ-**ი**-ა-თ	მათ ის (ისინი)
დამიხატ-**ავ**-ხარ	‖	დამიხატ-**ი**-ხარ	მე შენ
დამიხატ-**ავ**-ხართ	‖	დამიხატ-**ი**-ხართ	მე თქვენ
დაგვიხატ-**ავ**-ხარ	‖	დაგვიხატ-**ი**-ხარ	ჩვენ შენ
დაგვიხატ-**ავ**-ხართ	‖	დაგვიხატ-**ი**-ხართ	ჩვენ თქვენ
დაგიხატ-**ავ**-ვარ	‖	დაგიხატ-**ი**-ვარ	შენ მე
დაგიხატ-**ავ**-ვართ	‖	დაგიხატ-**ი**-ვართ	შენ ჩვენ
დაგვიხატ-**ავ**-ხარ	‖	დაგვიხატ-**ი**-ხარ	ჩვენ შენ
დაგვიხატ-**ავ**-ხართ	‖	დაგვიხატ-**ი**-ხართ	ჩვენ თქვენ
დაუხატ-**ავ**-ვარ	‖	დავუხატ-**ი**-ვარ	მას მე
დაუხატ-**ავ**-ვართ	‖	დაუხატ-**ი**-ვართ	მას ჩვენ
დაუხატ-**ავ**-ხარ	‖	დაუხატ-**ი**-ხარ	მას შენ
დაუხატ-**ავ**-ხართ	‖	დაუხატ-**ი**-ხართ	მას თქვენ
დაგიხატ-**ავ**-ვართ	‖	დაგიხატ-**ი**-ვართ	თქვენ მე (ჩვენ)
დავუხატ-**ავ**-ვართ	‖	დავუხატ-**ი**-ვართ	მათ მე (ჩვენ)
დაუხატ-**ავ**-ხართ	‖	დაუხატ-**ი**-ხართ	მათ შენ (თქვენ)

ეს ვრცელი პარადიგმა იმისთვის მოვიყვანეთ, რომ დავინახოთ, პარადიგმის მარჯვენა რიგი (**ია** დაბოლოებიანი ვარიანტი) რამდენად ბუნებრივი და (ხშირ შემთხვევაში) ერთადერთი ვარიანტია პარალელურ ფორმათაგან. ეს ეხება განსაკუთრებით მეშველზმნიან ფორმებს. მარცხენა რიგის მეშველზმნიანი ფორმები იშვიათია და ზოგჯერ ხელოვნურობის ელფერსაც ატარებს. ამიტომაც ვთვლით: ამ ფორმათა „ერთადერთ ლიტერატურულ ფორმებად“ მიჩნევა ენის განვითარების კანონზომიერების წინააღმდეგ წასვლაა. ძნელია, ამ შემთხვევაში კანონმდებელმა აჯობოს ენას...

IV. 5.8.4. ვნებითი გვარის ზმანთა III სერიის ფორმათა შესახებ. ამ თავის დასაწყისშიც ვთქვით: ფორმაწარმოების თავისებურებებს მესამე სერიაში გარკვეულწილად განსაზღვრავს გვარის ფაქტორი: მოქმედებითი გვარის შემთხვევაში ფორმაწარმოება ინვერსიის პრინციპზეა აგებული და ძირითადად ორგანულია. ვამბობთ ძირითადად-თქო, რადგანაც ორგანულია წარმოება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რეალური ობიექტი არის I და II პირები:

მე ის	ა-მ-ი-**შენებ**-ია
შენ ის	ა-გ-ი-**შენებ**-ია
მას ის	ა-უ-**შენებ**-ია
მას მე	ა-ვ-უ-**შენებ**-ი-ვარ
მას შენ	ა-უ-**შენებ**-ი-ხარ
მე შენ	ა-მ-ი-**შენებ**-ი-ხარ
შენ მე	ა-გ-ი-**შენებ**-ი-ვარ

თუმცა მეშველზმნიანი წარმოების შემთხვევაშიც მწკრივის საყრდენი ფუძე საერთოა.

ვნებითი გვარის შემთხვევაში სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები. მოქმედებითი გვარის ზმნებთან მიმართებით ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფორმათა წარმოების ერთგვაროვანი პრინციპის გატარება ხდება ვნებითი გვარის ზმნებშიც.

ერთპირიან ვნებითებთან ეს პრობლემა თითქოს არ მდგარა: ძველსა თუ ახალ სალიტერატურო ქართულში III სერიის სამივე მწკრივი ერთგვარი პრინციპით იწარმოებოდა, რა თქმა უნდა, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამგვარ წარმოებაში სხვაობას ქმნიდა ძველსა და ახალ ქართულს შორის — მხედველობაში მაქვს მეშველზმნიანი წარმოება:

ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი

I თურმეობითი	II თურმეობითი	III კავშირებითი
დამალულ ვარ	დამალულ ვიყავ	დამალულ ვიყო
დამალულ ხარ	დამალულ იყავ	დამალულ იყო
დამალულ არს	დამალულ იყო	დამალულ იყოს
დამალულ ვართ	დამალულ ვიყვენით	დამალულ ვიყვნეთ

დამალულ ხართ	დამალულ იყვენით	დამალულ იყვნეთ
დამალულ არიან	დამალულ იყვნეს	დამალულ იყვნენ

ა ხ ა ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი

I თურმეობითი	**II თურმეობითი**	**III კავშირებითი**
და-ვ-მალულ-ვარ	და-ვ-მალულ-იყავ	და-ვ-მალულ-იყო
და-მალულ-ხარ	და-მალულ-იყავ	და-მალულ-იყო
და-მალულ-ა	და-მალულ-იყო	და-მალულ-იყოს
და-ვ-მალულ-ვართ	და-ვ-მალულ-იყვენით/იყავით	და-ვ-მალულ-იყვნეთ /იყოთ
და-მალულ-ხართ	და-მალულ-იყვენით/იყავით	და-მალულ-იყვნეთ/ იყოთ
და-მალულ-ან	და-მალულ-იყვნენ	და-მალულ-იყვნენ

ა. შანიძის აზრით, ახალ ქართულში „პირის ნიშნის წინ წამოწევისათვის ხელი უნდა შეეწყო ორპირიანი ზმნების უღლებას იმავე სერიის მწკრივებში“. ვფიქრობთ, **ესაა აღწერითი წარმოების ორგანულად გააზრების გზა, რაც, ჩვენი აზრით, იმ საერთო ტენდენციის გამოვლენაა, რაც მესამე სერიის მწკრივთა წარმოებაში მომხდარ ცვლილებასთან არის დაკავშირებული —** ფორმობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება: **მიმღეობა გაიაზრება ზმნურ ფუძედ, საერთო მონაცემად სამივე მწკრივის ფორმათათვის და ჩვეულებრივი მორფოლოგიური მოდელი იქმნება:**

ზმნისწინი + პირის ნიშანი + ფუძე + მეშველი ზმნა:
და-ვ-მალულ-ვარ; შდრ.: მი-ვ-დი-ვარ, და-ვ-ფრინავ-ვარ

მიმღეობა ამ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ტ ო ლ ფ ა ს ი ა თ ე მ ი ს ა, ე. ი. ორგანულ წარმოებაში იმ ნაწილისა, რომელიც საერთოა ერთი სერიის მწკრივთა ფორმებისათვის.

ეს ტენდენცია რომ აშკარაა, ამის დასტურია ის ცვლილებები, რომლებიც ხდება ორპირიანი ვნებითი გვარის ფორმათა წარმოებაში. ცნობილია, როგორც ძველ, ისე ახალ სალიტერატურო ქართულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების I თურმეობითი, ერთი მხრივ, და II თურმეობითი და III კავშირებითი, მეორე მხრივ, განსხვავებული პრინციპით იუღვლის.

ძველი ქართული

I თ უ რ მ .:	და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს
II თ უ რ მ .:	და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ე
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ე
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ა
III კ ა ვ შ .:	და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი-ს

ფორმობრივი თვალსაზრისით, III სერიაში საერთო ფუძის წესი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ყველაზე კარგად ამ შემთხვევაში გატარდა. აქ ამ სამ მწკრივს შორის ისეთივე მიმართებაა ფორმაწარმოების თვალსაზრისით, როგორც — **ოდ**-იანი ზმნების I სერიის აწმყოს, უწყვეტელსა და I კავშირებითში:

შდრ.:	გან-ვ-ტფ-ებ-ი
	გან-ვ-ტფ-ებ-ოდ-ე
	გან-ვ-ტფ-ებ-ოდ-ი

I თურმეობითის მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლამ ცვლილება გამოიწვია მთლიანად III სერიის პარადიგმაში; ამ შემთხვევაში ორპირიანი გარდაუვალი ზმნები ერთპირიანის მსგავსნი აღმოჩნდებიან ფორმობრივ:

I თურმ.:	და-ვ-ვიწყ-ებ-ი-ვარ
	და-ვიწყ-ებ-ი-ხარ
	და-ვიწყ-ებ-ი-ა
II თურმ.:	და-ვ-ვიწყ-ებ-ი-ყავ
	და-ვიწყ-ებ-ი-ყავ
	და-ვიწყ-ებ-ი-ყო
III კავშ.:	და-ვ-ვიწყ-ებ-ი-ყო
	და-ვიწყ-ებ-ი-ყო
	და-ვიწყ-ებ-ი-ყოს

II თურმეობითსა და III კავშირებითში მეშველზმნიანი ფორმები

დიალექტიზმებად გაიაზრება (და ასეცაა), ოღონდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ესაა იმ ტენდენციის გამოვლენა, რაც III სერიის მწკრივთა წარმოების ფორმობრივ პრინციპზე დამყარებაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საგულისხმო დასკვნის გაკეთება შეიძლება:


ის აზრი, რომ III სერიის ფორმათა წარმოება არღვევს საუღლებელი ფუძის პრინციპს (ნ. მარი), გამართლებულია და რეალობას ასახავს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში „საერთო ფუძის“ პრინციპის გატარება მოხდა როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებში, ისე ვნებითებში. არსებობს ნაირგვარი მოდელები ერთფეროვნებისა; ესაა არსებითი სხვაობა და თვისებურება ახალი ქართული სალიტერატურო ენისა. ვფიქრობთ, ამიტომ შესაძლებელია დაისვას საკითხი III სერიაში თემის შესახებ.

IV. 5.8.5. თემის საკითხისათვის III სერიის ფორმებში. გავიხსენოთ, ჩვენთვის ამოსავალია ა. შანიძის განმარტება, რომელიც 1930 წლის გრამატიკაშია მოცემული: **„თემა ჰქვია უცვალებელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში“**.


თემის შესახებ საუბრისას ყურადღება მივაპყაროთ კიდევ ერთ ფაქტს: ხმოვანპრეფიქსები პირისა და რიცხვის ნიშანთა მსგავსად თემის ნაწილად არ გაიაზრება, რადგან ხმოვანპრეფიქსი მწკრივის ფარგლებში (შესაბამისად სერიის ფარგლებში) ცვალებადია:

მ-**ი**-კეთ-ებ-ს	მ-**ი**-კეთ-ებ-დ-ა	მ-**ი**-კეთ-ებ-დ-ე-ს
გ-**ი**-კეთ-ებ-ს	გ-**ი**-კეთ-ებ-დ-ა	გ-**ი**-კეთ-ებ-დ-ე-ს
უ-კეთ-ებ-ს	**უ**-კეთ-ებ-დ-ა	**უ**-კეთ-ებ-დ-ე-ს

ფუძე (ამ შემთხვევაში თემა) კი უცვალებელი ნაწილი უნდა იყოს ფორმათა სისტემისათვის. როგორც ვთქვით, ამ პარადიგმიდან დასკვნის განზოგადება ხდება ხმოვანპრეფიქსთა მთელი სისტემისათვის. როცა ა. შანიძე წერს, რომ III სერიაში გამოიყენება ან I ან II სერიათა თემაო, სწორედ ზმნური ფორმის უხმოვანპრეფიქსო ნაწილზეა საუბარი, რადგან I თურმეობითში ხდება ხმოვანპრეფიქსთა ნეიტრალიზაცია (ხმოვანპრეფიქსთა გადაყოლა არ ხდება III სერიაში ყველა შემთხვევაში):



II თურმეობითსა და III კავშირებითში კი **ა, ი, უ** ხმოვანპრეფიქსებს შეენაცვლება **ე-** ხმოვანპრეფიქსი.



ამგვარად, **ხმოვანპრეფიქსები თემის** (შესაბამისად მწკრივის ფუძის) **ნაწილად არ განიხილება**, როგორც ცვალებადი ნაწილი ზმნური ფორმისა ერთი პარადიგმის ფარგლებში. ამ დაზუსტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს III სერიის ფორმებში თემის საკითხის განხილვის დროს. გავიხსენებთ რამდენიმე განმარტებას:

თემა არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთოა ერთი სერიის მწკრივთა ფორმებისათვის;

თემა შეიძლება იყოს მარტივი (წერ, კეთ, ხატ...) და რთული (**კეთ-ებ, ხატ-ავ**...).

ზმნა შეიძლება იყოს იმდენთემიანი, რამდენი თემაც აქვს მას უღლების სრულ პარადიგმაში (ერთთემიანი — **წერ**; ორთემიანი — **კეთ-ებ**...).

ამგვარი გააზრებით თემის საკითხის განხილვისათვის III სერიაში სამი ჯგუფი უნდა გამოიყოს:

I. ერთთემიანი ზმნები — რომელთაც სამივე სერიაში ერთი და იგივე თემა აქვს (**წერ**-ს, **ჭამ**-ს...)

II. ორთემიანი ზმნები — რომელთაც I და II სერიის თემა განსხვავებული აქვთ; III სერიის თემა საზიაროა ან I სერიასთან, ანდა II სერიასთან (ა-**კეთ-ებ**-ს / ა-**კეთ**-ა / უ-**კეთ-ებ**-ია; ა-**ქ-ებ**-ს / ა-**ქ**-ო / უ-**ქ**-ია...

III. სამთემიანი ზმნები — რომელთაც III სერიაში I-II სერიისაგან განსხვავებული თემა აქვთ. ამ საკითხზე ვრცლად ვისაუბრებთ.

I ჯგუფის შემთხვევა მარტივია, ყველა სერიაში ერთი და იგივე მარტივი თემა მეორდება.

II ჯგუფის ზმნები შეიძლება ორ ქვეჯგუფად გადანაწილდეს:

ა) **მოქმედებითი გვარის ზმნები**, რომლებსაც მესამე სერიაში პირველ სერიასთან საზიარო თემა აქვთ (ვა-**კეთ-ებ** / ვა-**კეთ**-ე)

I თურმეობითი — მი-**კეთ-ებ**-ია
II თურმეობითი — მე-**კეთ-ებ**-ი(ნ)-ა
III კავშირებითი — მე-**კეთ-ებ**-ი(ნ)-ოს

ბ) მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთაც III სერიაში მეორე სერიასთან საზიარო თემა აქვთ (ვა-**ჭ-ებ** / ვა-**ჭ**-ე)

I თურმეობითი — მი-**ჭ**-ია
II თურმეობითი — მე-**ჭ**-ო
III კავშირებითი — მე-**ჭ**-ოს

III ჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა) ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნები.

ახალ ქართულში ამ ტიპის ზმნებში III სერიაში პრინციპული ხასიათის ცვლილებები მოხდა ძველ ქართულთან შედარებით. როგორც ვთქვით, ესაა აღწერითი წარმოების ორგანულად გააზრების გზა, რაც, ჩვენი აზრით, იმ საერთო ტენდენციის გამოვლენაა, რაც მესამე სერიის მწკრივთა წარმოებაში მომხდარ ცვლილებასთან არის დაკავშირებული — ფორმობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება. მიმღეობა გაიაზრება ზმნურ ფუძედ — საერთო მონაცემად სამივე მწკრივის ფორმათათვის და ჩვეულებრივი მორფოლოგიური მოდელი იქმნება:

ზმნისწინი + პირის ნიშანი + ფუძე + მეშველი ზმნა.

ვი-**მალ-ებ**-ი / დავ-**მალულ**-ვართ

I თურმეობითი — დავ-**მალულ**-ვარ
II თურმეობითი — დავ-**მალულ**-იყავ
III კავშირებითი — დავ-**მალულ**-იყო

თემათა განაწილება ასეთია: I სერია — **მალავ,** II სერია — **მალ,** III სერია — **მალულ**.

ბ) მეორე ქვეჯგუფში უნდა წარმოვადგინოთ ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნები. არსებითი თავისებურება ამ ქვეჯგუფისა ის არის, რომ III სერიაში ისინი გამოიყენებენ შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნის პირველი სერიის თემას (ამ ფაქტზე მინიშნებისას ა. შანიძე ძახილის ნიშანს დასვამს); რაც ვნებითის სრული პარადიგმისათვის III სერიის თემად უნდა გავიაზროთ.

1. ვა-**ვიწყ-დ-ებ**-ი / დავა-**ვიწყ-დ**-ი / დავ-**ვიწყ-ებ**-ივარ (შდრ.: მოქმ. ვა-**ვიწყ**-ებ / დავა-**ვიწყ**-ე)

I თურმეობითი — დავ-**ვიწყ-ებ**-ივარ

II თურმეობითი — დავ-**ვიწყ-ებ**-ოდი
III კავშირებითი — დავ-**ვიწყ-ებ**-ოდე

ასევე: ვუ-**ბერ-დ-ებ**-ი / დავუ-**ბერ-დ**-ი / დავუ-**ბერ-ებ**-ივარ (შდრ.: ვა-**ბერ-ებ**) და სხვა.

2. ვე-**მალ-ებ**-ი (დავე-**მალ**-ე / დავ-**მალ-ვ**-ივარ (შდრ.: ვ-**მალავ**)

I თურმეობითი — დავ-**მალ-ვ**-ივარ
II თურმეობითი — დავ-**მალ-ვ**-ოდი
III კავშირებითი — დავ-**მალ-ვ**-ოდე

3. ვუ-**თბ-ებ**-ი / გავუ-**თბ**-ი / გავ-**თბ-ობ**-ივარ (შდრ.: ვა-**თბ-ობ**)

I თურმეობითი — გავ-**თბ-ობ**-ივარ
II თურმეობითი — გავ-**თბ-ობ**-ოდი
III კავშირებითი — გავ-**თბ-ობ**-ოდე

4. ვე-**ზრდ-ებ**-ი / გავე-**ზარდ**-ე / გავ-**ზრდ**-ივარ (შდრ.: ვ-**ზრდ**-ი)

I თურმეობითი — გავ-**ზრდ**-ივარ
II თურმეობითი — გავ-**ზრდ**-ოდი
III კავშირებითი — გავ-**ზრდ**-ოდე

ზემოგანხილულ ყველა შემთხვევაში ვითარება ერთგვარია: III სერიის ყველა ფორმას საერთო საყრდენი ფუძე (ე. ი. თემა) აქვს. ეს სისტემა ჩამოყალიბების სტადიაშია: პროცესი სრულად არ არის დამთავრებული; მოქმედებითი გვარის შემთხვევაში ძველი ქართულის შეორეული ვარიანტი შემოგვინახა ფუძედრეკადმა ზმნებმა: I თურმეობითში საზიარო თემა აქვთ I სერიასთან, II თურმეობითსა და III კავშირებითში — III სერიასთან:

ა) ვ-**გრეხ** / ვ-**გრიხ**-ე; ბ) ვ-**თლ**-ი / ვ-**თალ**-ე
I თურმეობითი — დამი-**გრეხ**-ია
II თურმეობითი — დამე-**გრიხ**-ა
III კავშირებითი — დამე-**გრიხ**-ოს

ამგვარი იყო პრინციპი მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმაწარმოებისა მესამე სერიაში ძველი ქართულისათვის (იხ. § IV. 5.8.1.):

აწმყო —	აღვა-**შ⊘ნ-ებ**,	განვა-**გ-ებ**
წყვეტილი —	აღვა-**შ⊘ნ-**ე,	განვა-**გ-ე**
I თურმეობითი —	აღმი-**შ⊘ნ-ებ**-იეს,	განმი-**გ-ებ**-იეს
II თურმეობითი —	აღმე-**შ⊘ნ**-ა,	განმე-**გ**-ო
III კავშირებითი —	აღმე-**შ⊘ნ-**ოს,	განმე-**გ**-ოს

როგორც ვნახეთ, მოქმედებითი გვარის ზმნებში „პარადიგმა გასწორდა“. გამონაკლისია ფუძედრეკადი ზმნები: I თურმეობითი იყენებს I სერიის თემას; II თურმეობითი და II კავშირებითი — II სერიისას. გარდამავალ საფეხურზე დგას **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები (იხ. § IV. 5.8.3.): პარალელიზმი I თურმეობითში გამოწვეულია იმით, რომ ერთი მხრივ, შენარჩუნებულია ძველი ქართულის ვითარება, მეორე მხრივ, ახალი ტენდენციის (სერიისათვის საერთო ფუძე) გამოვლენაა:

I თურმეობითი — დამი-**ხატ-ავ**-ს
II თურმეობითი — დამე-**ხატ**-ა
III კავშირებითი — დამე-**ხატ**-ოს

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფორმათა განვითარების ტენდენცია მეორე პარადიგმის სასარგებლოდ მეტყველებს. ძნელი სათქმელია, ეს ტენდენცია გავრცელდება თუ არა ოდესმე ფუძედრეკად ზმნებზე.

IV. 5.9. III სერიის მწკრივთა ფუნქციური ანალიზი

IV. 5.9.1. „თურმე“ ნაწილაკი და „თურმეობითობის“ საკითხი დრო-კილოთა III სერიის ფორმებში. უნახაობა, თურმეობითობა სამსავე ქართველურ ენაში გადმოიცემა ძირითადად დრო-კილოთა III სერიის მწკრივებით, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მას ვერ მივიჩნევთ მორფოლოგიურ კატეგორიად, რადგან საკუთარი ნიშანი არა აქვს, ის არის ძირითადად პერფექტული დროების ერთ-ერთი ფუნქცია — თანაფუნქცია.

უნახაობა მრავალ სხვადასხვა ჯგუფის ენაშია გამოხატული (რომანულ, სლავურ, ფინურ-უნგრულ, ბალტიისპირულ, თურქულ, იბერიულ-კავკასიურ და სხვა ენებში), ზოგში — როგორც მორფოლოგიური კატეგორია, ზოგში — როგორც ფუნქციური, უპირატესად პერფექტის თანაფუნქციაა.

პერფექტის ბაზაზე უნახაობის მოდალობის აღმოცენება, რაც დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ენებში, კანონზომიერი ფაქტი ჩანს,

ის ერთგვარი ენობრივი უნივერსალიაა. როგორც აღინიშნება, პერფექტი გულისხმობს მოქმედებისა და მოქმედების შედეგის ერთად წარმოდგენას, თანაარსებობას. პერფექტი ნახულია, როცა მოსაუბრე როგორც მოქმედების, ისე შედეგის მოწმეა. მაგრამ, როცა მოქმედებაზე წარმოდგენა იქმნება აპოსტერიორულად — მისგან დატოვებული კვალის, შედეგის მიხედვით, პერფექტი უნახავი გამოდის. უნახაობა მოქმედების პროცესთან დაუსწრებლობაა, შედეგი ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია.

ა. შანიძე აქტის სახელით გამოყოფს ნახულისა და უნახავის უღლების კატეგორიას. როგორც ახალ, ისე ძველ ქართულში უნახავის კატეგორია გულისხმობს I თურმეობითის მწკრივს.

მიღებულია, რომ თურმეობითობა არ არის III სერიის მწკრივთა დამახასიათებელი ფუნქცია, რიგ შემთხვევებში მას არ შეიცავს I თურმეობითის ფორმაც კი (არნ. ჩიქობავა, ივ. ქავთარაძე).

ისტორიულად უფრო ნაკლებ საგრძნობია უნახაობის მნიშვნელობა III სერიის ფორმებში.

იმის საბუთად, რომ უნახაობა III სერიის მწკრივთათვის არ არის პირვანდელი და დამახასიათებელი ფუნქცია, ქართველურ ენებში ამ ფუნქციის გამომხატველ სპეციალური ნაწილაკის არსებობაც გამოდგება. ენა ლექსიკურ საშუალებას მაშინ მიმართავს, როცა მორფოლოგიური საშუალება არა აქვს განვითარებული რაიმე სემანტიკის გადმოსაცემად. ისტორიულად ხოლმეობითის ფორმები გამოვიდა ზმნის სისტემიდან, მაგრამ ენობრივ ცნობიერებაში მრავალგზისობის გამოხატვის მოთხოვნილება დარჩა და ენამ მიმართა ლექსიკურ საშუალებას — გაიჩინა ნაწილაკი „**ხოლმე**“. იგივე ითქმის თურმეობითზე, ოღონდ „**თურმე**“ გადავარდნილი მორფოლოგიური კატეგორიის სანაცვლოდ კი არ გაჩენილა, არამედ ენაში უნახაობის გამოხატვის მოთხოვნილებამ, რომელსაც მორფოლოგიური საშუალება არ გააჩნდა, ლექსიკური წარმოშვა. შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფუნქციის გადმოცემა ჩამოყალიბებულ ფორმებს დაეკისრა; მაგრამ, რამდენადაც ამისათვის განსაკუთრებული ნაკვთი არ შეიქმნა (მორფოლოგიური ნიშანი არ გაჩნდა), ნაწილაკი ენაში დარჩა, როგორც უფრო მოქნილი საშუალება უნახაობის გამოხატვისა. ის ფაქტი, რომ „**თურმე**“ ნაწილაკი უფრო ნაკლები ხმარებისაა, რაც უფრო ისტორიის სიღრმეში მივდივართ, იმას უნდა ასაბუთებდეს, რომ ისტორიულად ენა ნაკლებ მოითხოვდა „თურმეობითობის“ გამოხატვას; ნაწილაკის

ხმარების მოხშირებაც და ამ ფუნქციით მწკრივების აღჭურვაც ენაში „თურმეობითობის“ განმტკიცებას უნდა ასახავდეს.

„თურმე“ ნაწილაკთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ის ერთვის თხრობითი კილოს ყველა ფორმას, მათ შორის I და II თურმეობითსაც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელთათვის „თურმეობითობა“ არ არის ძირითადი ფუნქცია. როგორც მითითებულია, „თურმე ნაწილაკს ახალ ქართულში ეკისრება უნახაობის (დაუსწრებლობის) მნიშვნელობა მიანიჭოს მასთან ნახმარი ზმნის სათანადო ნაკვთის ფორმას. ის ამ გრამატიკული კატეგორიის უქონლობის საკომპენსაციო საშუალება“ (ივ. ქავთარაძე).

IV. 5.9.2. თურმეობითი პირველისა და მეორის ძირითადი ფუნქციის საკითხი. მწკრივის ფუნქციონალური ასპექტების კვლევა გულისხმობს დასაწყისში მისი ამოსავალი მნიშვნელობის, მისი საწყისი ფუნქციის ძიებას. ეს ამოსავალი წერტილი ისტორიულად შეიძლება დაჩრდილულიც იყოს, მაგრამ სანამ მას არ მივაგნებთ, გაჭირდება ამოვიცნოთ, მნიშვნელობათაგან რომელია ძირითადი (და ძირითადის ნაყარი) და რომელი — დამატებითი (თანაფუნქცია).

როგორც უკვე ვნახეთ, „უნახაობა, თურმეობითობა“ არ უნდა იყოს I-II თურმეობითების ძირითადი, თავდაპირველი და საერთო ფუნქცია, პირიქით, თვით მისი ფესვებია საძიებელი. ამ მხრივ „თურმეობითი“, ცხადია, არც ტერმინოლოგიურადაა გამართლებული — ის არ ასახავს მწკრივის სპეციფიკას.

ძირითადი, რაც I-II თურმეობითის მწკრივებს ფუნქციურად აერთიანებს. ეს არის შედეგობითობა, რეზულტატიურობა, პერფექტულობა. პერფექტული დროები ხასიათდება ნამყოში შესრულებული მოქმედებით, ოღონდ, განსხვავებით აორისტული დროებისაგან, პერფექტი წარმოგვიდგენს შესრულებელი მოქმედების შემდეგ დატოვებულ შედეგს, რეზულტატს; ნამყოში შესრულებული მოქმედება გრძელდება საუბრის მომენტში შედეგის სახით.

ამგვარად, პერფექტულობა უნდა იყოს I-II თურმეობითის (როგორც სინთეზურის, ისე ანალიზურის) საერთო ამოსავალი მნიშვნელობა. რაღა განასხვავებს მათ? შედეგის წარმოდგენის დრო: I თურმეობითით გადმოცემული მოქმედების რეზულტატი აწმყოშია წარმოდგენილი, II თურმეობითით გადმოცემული — ნამყო დროშივე, I თურმეობითი აწმყოს პერფექტია, II თურმეობითი — ნამყოს პერფექტი. ამას გამოხატავს ა. შანიძის დებულებები ძირითად ნაწილში: „პირველი თურ-

მეობითი (ანუ პირველი შედეგობრივი) ისეთი ნამყოა, რომელიც გადმოგვცემს, რომ შედეგი აწმყოში ჩანს... მეორე თურმეობითი ის ნამყო დროა, რომელიც გადმოგვცემს, რომ წინად მომხდარი ამბის შედეგი წარსულშივე ჩანდა“...

პერფექტულობა დასახელებული მწკრივებისა ადრიდანვე იყო შენიშნული, რაც ტერმინოლოგიაშიც აისახა: **I თურმეობითისათვის**: давнопрошедшее I-ое (ალ. ცაგარელი), прошедшее совершенное (ნ. მარი), perfectum (გ. დეეტერსი), I результативное (ბ. რუდენკო)... **II თურმეობითობისათვის:** давнопрошедшее II (ალ. ცაგარელი), давнопрошедшее (ნ. მარი), plusquamperfect (გ. დეეტერსი), II результативное, давнопрошедшее, предпрошедшее (ბ. რუდენკო)...

ჰ. ფოგტი ქართული ზმნის მწკრივებს ასპექტობრივად უპირისპირებს ერთმანეთს, რომელთაგან III ჯგუფის ფორმებს რეზულტატიურ ასპექტს მიაკუთვნებს (I — დიურატიული, II — მომენტური).

ამდენად, ტერმინოლოგიურად „შედეგობითი“ უფრო გამართლებული ჩანს ძირითადი და საერთო მნიშვნელობის თვალსაზრისით.

მაშასადამე: თურმეობითი I-ით გადმოცემული მოქმედება ნამყო დროს განეკუთვნება, შედეგი — აწმყოს.

თურმეობითი II-ით გადმოცემული მოქმედებაც ნამყოა, ოღონდ შედეგიც ნამყო დროშია წარმოდგენილი.

თურმეობითი მეორე ამ მხრივ ერთმნიშვნელოვანია (ერთგანზომილებიანი): მოქმედებაც და შედეგიც ნამყოა; ამიტომ როგორც კონტექსტი, ისე ფორმათწარმოება ნამყოს ფარგლებში მიმდინარეობს.

რაც შეეხება თურმეობით პირველს, მასთან შესაძლებელია როგორც ნამყოს, ისე აწმყოს შეგუება. მწკრივი ორივე ამ დროს ითავსებს: მოქმედების მხრივ — ნამყოს, შედეგის მხრივ — აწმყოს.

„თერმეობითობა“, დამახასიათებელი III ჯგუფისათვის, როგორც ითქვა, ამ ჯგუფის ფორმათა პერფექტულობიდან უნდა განვითარებულიყო; პერფექტული დროები ყველაზე მეტად ითავსებენ უნახაობას იმდენად, რამდენადაც მოქმედებაზე მისი შედეგით იქმნება წარმოდგენა. შედეგზე ორიენტაცია კი ხშირად გულისხმობს მოქმედების უნახაობას, პროცესთან დაუსწრებლობას. აქ არის „თურმეობითობის“ სათავე. ამიტომაც „თურმეობითობა“ მოსალოდნელია პირველად I თურმეობითის მწკრივში ჩასახულიყო, რამდენადაც მასში მოქმედება და შედეგი დროულად მეტადაა დაშორებული (ნამყო-აწმყო), ვიდრე თურმეობით II-ში (ორივე ნამყო). თუმცა სხვაგვარი ვარაუდიც შეიძლება: II თურმეობითში მოქმედებაც და შედეგიც დაშორებულია უბნობის მომენტს და

უფრო გაუცხოებული, ვიდრე თურმეობით I-ში, სადაც შედეგი წარმოდგენილია უბნობის დროს. ეს ორივე თეორიული მსჯელობაა, რასაც პრაქტიკულად სჭირდება შემაგრება.

ერთიც უნდა აღინიშნოს: ხშირად შეიძლება კონტექსტის მნიშვნელობა ზმნური ფორმის მნიშვნელობად იქნეს გაგებული. ასეთი შემთხვევები ფორმის ფუნქციური ანალიზიდან უნდა გამოირიცხოს. მაგალითად, **მინახავს**, **მსმენია** — „ნახული აქტია“, **არ მინახავს**, **არ მსმენია** — „უნახავი“. აქ ნახულობა-უნახაობას ქმნის **„არ“** ნაწილაკის ქონა-არქონა და არა ზმნის ფორმა, ისევე, როგორც: **ვნახე** — **ვერ ვნახე** და მისთ.

„არ“ ნაწილაკის თავისებური ფუნქციური ურთიერთობა თურმეობით I-თან მითითებულია. ნამყო დროში **„ვერ“** ნაწილაკს **„არ“** კატეგორიულობით უპირისპირდება (**არ ვნახე**), მაგრამ თურმეობით I-ში მას ეს ნიუანსი აღარ გააჩნია. ასეა იმიტომ, რომ თურმეობითი I წარმოდგენილია, როგორც აწმყოს ფორმა (არ მინახავს = არ მაქვს ნანახი). აწმყოში „არ“ ნაწილაკი კატეგორიულობას მოკლებულია. ამგვარად, ეს მოვლენაც ისევ თურმეობითი I-ის „ორპლანიანობით“ იხსნება.

„ნუ“ ნაწილაკთან შეერთებით გადმოიცემა ბრძანებითობა. I თურმეობითი, ცხადია **„ნუ“** ნაწილაკს უერთდება, როგორც აწმყოს ფორმა.

თანამედროვე ქართულში „ნუ“ I თურმეობითთან წარმოდგენილია სწორედ იმ შემთხვევაში, როცა ის აწმყოს გადმოსცემს: „ნუ აგიშვია თავი“ და მისთ.

I თურმეობითის ფუნქციები დაწვრილებით არის აღწერილი ენათმეცნიერულ ლიტერატურაში (გ. დეეტერსი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ბ. რუდენკო, დ. გეწაძე, ივ. ქავთარაძე, ნ. ნათაძე, ჰ. ფოგტი, ჟ. ფეიქრიშვილი...).

შეიძლება ითქვას შემდეგი: თურმეობითი I არის პერფექტული დრო (ნამყოსა და აწმყოს ნიშნებით), ის არის თხრობითი კილოს ფორმა, მისი ძირითადი მნიშვნელობაა რეზულტატიურობა (შედეგობითობა), შეძენილი და ისტორიულად განმტკიცებული ფუნქცია (თანაფუნქცია) — უნახაობა, „თურმეობითობა“. თურმეობითი I არის ძირითადად (განსხვავებით II თურმეობითისაგან) პარატაქსული კონსტრუქციის ზმნა, ის არ ქმნის არავითარ განსაკუთრებულ სინტაქსურ შეერთებებს.

აღწერილის გარდა, ყველა მნიშვნელობა (შინაარსი), რომელშიც კი თურმეობითი I იღებს მონაწილეობას, არაა მისი ფუნქცია, არამედ

ფრაზის, წინადადების ფუნქცია, ამიტომ უნდა გამოვრიცხოთ ზმნური ნაკვთის ფუნქციათა რიგიდან.

I თურმეობითს მნიშვნელობის მხრივ ისტორიულად დიდი ცვლილებები არ განუცდია, როგორც ეს, ვთქვათ, II თურმეობითს მოუვიდა. შესამჩნევია მხოლოდ, რომ ის უფრო მეტად მიეკედლა ნამყო დროს. ამაში, ერთი მხრივ, „თურმეობითობის“ განმტკიცებას უნდა ეთამაშა გარკვეული როლი, მეორე მხრივ, ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბებას, მათ გამიჯვნას შედგენილი შემასმენლის აწმყოს კონსტრუქციისაგან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზურ ფორმებში „თურმეობითობა“ უფრო მეტადაა საგრძნობი. ჩანს, რომ „თურმეობითობის“ განმტკიცება თანჰყვებოდა ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბებას, ისინი თანადროულობამ შეამტკიცა. ანალიზურ ფორმათა ნაწილობრივი ფუნქციური ანალიზი უკვე იყო წარმოდგენილი ანალიზური წარმოების კრიტერიუმების გამომუშავების დროს.

IV. 5.9.3. თურმეობითი მეორის ფუნქციური ანალიზი. როგორც უკვე აღინიშნა, II თურმეობითიც პერფექტული დროა — ნამყოს პერფექტია. მისი ზოგადი მნიშვნელობითი დახასიათება ასეთი იქნება: ძველ ქართულში თურმეობითი II არის თხრობითი კილოს ფორმა; ის ნამყო დროს განეკუთვნება (მოქმედებითაც და შედეგითაც). პერფექტულობიდან გამომდინარე, მისი ძირითადი მნიშვნელობაა შედეგობითობა (რეზულტატიურობა), შეძენილი მნიშვნელობა — უნახაობა. თურმეობითი II არის ძირითადად ჰოპოტაქსური კონსტრუქციის „მაორგანიზებელი“, მისი მთავარი ასპარეზია დამოკიდებული წინადადება.

II თურმეობითმა ფუნქციის საკითხში ისტორიულად შესამჩნევი ცვლილებები განიცადა.

რამდენადაც თურმეობითი II ძირითადად ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ფუნქციონირებს, მისი ფუნქციების აღწერა გულისხმობს ენობრივად შესაძლებელი კონსტრუქციების დაწვრილებით შესწავლას.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ ძველი ქართულისათვის სპეციფიკური ნაწილაკი **-მცა** კავშირებითობას (კონიუნქტივობას) ანიჭებს წინადადებაში შემავალ თხრობითი კილოს ნამყო დროის ფორმებს. მისი ხმარება კავშირებითის ფორმებთან გამორიცხულია.

ძველ ქართულში თურმეობითი II ძირითადად გავრცელებას პოულობს მიზნის გარემოებითსა (**რაჲთა || რაჲთამცა**) და პირობით (**უკუეთუ || უკუეთუმცა, თუმცა**) დამოკიდებულ წინადადებაში, ოღონდ

თავიდანვე უნდა გაესვას ხაზი, რომ აღნიშნულ კონსტრუქციებში ამ ფორმას არ აკისრია კონიუნქტივის ფუნქცია (როგორც, ვთქვათ, ახალ ქართულში, შდრ. დეეტერსი, ბონდარკო, ერთელიშვილი), იგი გამოდის **-მცა** ნაწილაკთან წყვეტილის მონაცვლედ, როგორც თხრობითი კილოს ნამყო დროის ნაკვთი. კონსტრუქციის მოდელი:

..., რაჲთამცა ქმნეს || ექმნა;
..., უკუეთუმცა ცნეს || ეცნა.

I შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა: მიზნის გარემოებითი ქვეწყობილი წინადადების მთავარი წინადადება ყოველთვის წარსულდროიანია, ხოლო დამოკიდებული წინადადება იძლევა ორგვარ კონსტრუქციას:

1. რაჲთამცა + თხრობითი ნამყო დრო: ა) წყვეტილი, ბ) თურმეობითი II.

2. რაჲთა + კავშირებითი (ძირითადი II).

ამათი მონაცვლეობა ზოგჯერ ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში ან რედაქციებს შორის იჩენს თავს:

... და არა უნდა, **რაჲთამცა ამხილა** მას, **რაჲთა** არა **მოწყლას** გონებაჲ მისი (იოვ. და ეფთვ. 29, 2); და მრავალი პატივი წინა-უყვის, **რაჲთამცა** ნაცვალი **ეზღო** (C: **იზღო**, B: **იზღჳა**) (მამ. სწავლ. 250, 7).

შდრ. **-მცა** ნაწილაკის მოშლის შემდგომ: პატივს მიაგებდა, რ ა თ ა მისთვის სამაგიერო მ ი ე ზ ღ ო.

II შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა: პირობით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს **უკუეთუმცა || თუმცა** კავშირი. მთავარი წინადადება ასახავს მოსალოდნელ შედეგს, იმას, რაც მოხდებოდა, თუ დამოკიდებულ წინადადებაში მოცემული პირობა იქნებოდა შესრულებული. ახალ ქართულში პირობითი (დამოკიდებული) წინადადება თურმეობითი II-ითაა წარმოდგენილი, ხოლო მთავარი — მყოფადის ხოლმეობითით: „ეს რომ გაკეთებულიყო, ეს მოხდებოდა“. ძველ ქართულში უმთავრეს შემთხვევებში ქვეწყობის ორივე წევრი **-მცა** ნაწილაკითაა წარმოდგენილი და, შესაბამისად, ზმნა თხრობითი კილოს ნამყო დროის რომელიმე ფორმითაა, უმეტესად თურმეობითი II-ისა და წყვეტილის სახით. შეიძლება მათ მონაცვლეობას სხვადასხვა რედაქციებიც გვაძლევდეს:

რამეთუ **უკუეთუმცა ეცნა, არამცა** იგი უფალი დიდებისაჲ **ჯუარს-ეცუა** (პავლ. 93, 8. CD), შდრ. AB: **უკუე-**

თუმცა იცნეს, არამცა უფალი იგი დიდებისად **ჯუარს-აცუეს**.

შდრ. **-მცა** ნაწილაკის მოშლის შემდგომ: „რომ ე ც ნ ო, არ ა ც ვ ა მ დ ნ ე ნ ჯვარს.

ანუ: II თურმეობითი იყო **-მცა** ნაწილაკიან კონსტრუქციაში, ხოლო შემდგომ მან თვითონ შეითავსა ეს ფუნქცია.

IV. 5.9.4. თურმეობითი II-ის ფუნქციური დამკვიდრების ისტორიული სურათისათვის. ყოველივე წარმოდგენილიდან შეიძლება რამდენიმე ზოგადი დასკვნის გაკეთება:

1. ძველ ქართულ ენაში თურმეობითი II ფუნქციურად ნამყო დროის სხვა ფორმებს უდგას გვერდში — ვლინდება ძირითადად **-მცა** ნაწილაკიან ქვეწყობაში. **-მცა** ნაწილაკი ანიჭებს კონსტრუქციას კავშირობითობას; ამ ნაწილაკის გარეშე წინადადებაში წარმოდგენილია კავშირებითის ფორმები.

2. თურმეობითი II-ის ფორმები, როგორც ვნახეთ, ძირითადად მიზნის გარემოებით, დამატებით და პირობით დამოკიდებულ წინადადებებში ფუნქციონირებს, მაგრამ ერთგვარი მდგომარეობა ამ მხრივ მაინც არა გვაქვს. პირველ ორში ძირითადია წყვეტილის ფორმები, ხოლო თურმეობითი II ამ კონსტრუქციებში, როგორც ქრონოლოგიურად, ისე რაოდენობრივად, დამკვიდრების გზაზე ჩანს. დანარჩენ კონსტრუქციებში მას პოზიციები უფრო განმტკიცებული აქვს. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: პირველ ორ კონსტრუქციაში, როგორც ჩანს, **რაჲთა || რაჲთამცა** კავშირების მონაცვლეობა უფრო თავისუფალია, ვიდრე პირობითში **თუ || უკუეთუ || უკუეთუმცა** კავშირებისა. შესაბამისად: პირველ შემთხვევაში რაჲთა + კავშირებითის ფორმების შენაცვლება უფრო ხშირია (რეგულარულია) -მცა ნაწილაკიან ნამყო დროის ფორმებთან, ვიდრე მეორე შემთხვევაში. თუმცა ერთეული შემთხვევები ასეთი შენაცვლებისაც გვხვდება:

> ...უმჯობეს არს უფროჲს მისა, **დამო-თუ-მცა-ება** საფქჳლე ლოდი ყელსა... (შდრ. DE: **გამო-თუ-იბას**) (მარკოზ. 9, 42. C).

შესადარებელ კონსტრუქციებს შორის სრული შინაარსობრივი პარალელიზმი არ შეიძლება ვივარაუდოთ. ამას უნდა მივაწეროთ შენაცვლების შემთხვევათა შეზღუდვაც.

3. პირობით-შედეგობით წინადადებაში შემავალი მთავარი წინადადების ფორმირების გზა ცნობილია: ისტორიულად ჩამოყალიბებულ-

მა მყოფადის ფორმებმა შეცვალა **-მცა** ნაწილაკიანი და კავშირებითიანი კონსტრუქციები.

4. **-მცა** ნაწილაკმა ისტორიულად დაკარგა თავისი ფუნქციები და გადავარდა. განხილულმა კონსტრუქციებმაც გარკვეული ცვლილებები განიცადა: ზოგი მოიშალა, ზოგმაც მეტი უფლებები მოიპოვა. ამ კონსტრუქციებში ძირითადი მაქვემდებარებელი კავშირები **რადთა || რადთამცა** და **უკუეთე || უკუეთუმცა** შეცვალა **რომ (←რომელ),** იშვიათად **რათა, თუ რომ** კავშირებმა.

უკვე ძველი ქართული ენის ძეგლები გვიჩვენებენ **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციების რყევის მაგალითებს. ეს რყევა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება **-მცა** ნაწილაკთან მოსალოდნელი დროის ფორმების დაუცველობაში:

ა) **-მცა** ნაწილაკთან კავშირებითის ფორმების გამოვლენაში და ბ) **-მცა** ნაწილაკის გარეშე ნამყო დროის ფორმების (წყვეტილი, II თურმეობითი) გამოყენებაში. ამის ნიმუშები, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დასტურდება:

ა) ...და წმიდამან კრებამან სამართლად და ღირსად განკუეთნეს იგინი, **რადთამცა** შური **იძიეს** მის ზედა (კვიპრ. 71, 14);

ბ) ...არა შემწედ აქუნდა ლოცვად ტომოთესი, **რათა** მძლედ მტერთა **გამოეჩინა** იგი (ანტიოქ. 136, 15)... და ინებეს ერთად პურისა ჭამად, რადთამცა **მოიყვანეს** წმიდად შუშანიკა (C: **რათა**) (შუშანიკ. 16, 24); და უკუეთუმცა **გენება** და **შეგესუა,** ესევითარნი ყუავილნი, ორნი ყრმანი, შობად გესხნეს (ლიმ. 111, 2).

5. განხილული კონსტრუქციებიდან, **„რომ“** კავშირის განმტკიცების შემდეგ, ქვეწყობის დაქვემდებარებულ წევრებში ისტორიულად პოზიციები განიმტკიცა თურმეობითი II-ის ფორმებმა. ეს მდგომარეობა ისტორიულ ლოგიკას არ ექვემდებარება: **-მცა** ნაწილაკის ფუნქციური გადაგვარება რომ არა, მოსალოდნელი იყო **„რომ“** კავშირთან კავშირებითის ფორმების განმტკიცება, ხოლო თურმეობითი II ისტორიულად გულისხმობს **„რომცა“** ტიპის კავშირის არსებობას. ჩვენ კი მივიღეთ კონსტრუქციები:

ა) წავიდა, **რომ ენახა** (ძვ. წარვიდა, **რადთა ნახოს || რადთამცა ნახა || ენახა**);

ბ) არ წავიდოდა, **რომ ენახა** .(ძვ. არამცა წარვიდა, **უკუეთუმცა ნახა || ენახა**).

მაგალითები: მერე მე მაინც ავდექი და შემოვტრიალდი, რათა დამენახა ეს სინათლე (ნ. დუმბ.). გადმოხეთქა მასში დაგუბებულმა გენიამ, რომ მადლით და ნიჭის ცეცხლით მოერწყო ჩვენი დროის საქართველოს მხატვრობის ყამირი მიწა (თ. ჭილ.). ისეთ რამეს იტყოდა ხოლმე, მთელი საათი რომ გეფიქრა, ვერაფრით მიხვდებოდი, რა იგულისხმა (ო. იოს.).

მხოლოდ ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება შევიტანოთ თურმეობითი II-ის ფორმები კავშირებითი კილოს ჯგუფში თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის. ამდენადვე შეიძლება რამდენიმე დიალექტში (რაჭული, ინგილოური, ზემოიმერული) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში კავშირებითების განმტკიცება ძველი ვითარების გაგრძელებად მივიჩნიოთ.

ამგვარად, თურმეობითმა II-მ ისტორიულად ცვლილებები განიცადა და ფუნქციურად ძველი და ახალი ქართულის თურმეობითი II-ის ფორმები ერთად ვერ დადგება. ისტორია ფუნქციური გადახრის გრძელ გზას წარმოგვიდგენს.

IV. 5.9.5. კავშირებითი მესამის ფუნქციები. კავშირებითი III ძველ ქართულშივე, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ნაკლები გავრცელების მწკრივია. III კავშირებითი I-II თურმეობითს ძველში კილოს მიხედვით უპირისპირდება, პირველი ორით თხრობითი კილო გადმოიცემა, მესამით — კავშირებითი. ა. შანიძის განმარტებით, „კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას ისე წარმოადგენს, რომ იგი არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძლება ხდებოდეს, მოხდეს, ან მომხდარიყოს“ (ა. შანიძე). მიღებულია, რომ კავშირებითი III გამოხატავს წარსულ დროს (ა. შანიძე).

III კავშირებითი მონაწილეობს ზოგ (დამატებით, გარემოებით, განსაზღვრებით...) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, რომლის მთავარი წინადადება წარმოდგენილია აწმყო-მყოფადის ან მყოფადის გადმომცემი კავშირებითის ფორმით. თვით III კავშირებითით გადმოცემული პირობა მყოფადს გულისხმობს. ნამყო დროში შესრულებული მოქმედების შედეგი მყოფადში პირობითად უნდა იქნეს წარმოდგენილი. III კავშირებითი თავისებურ პერფექტულ დროდ შეიძლება ვცნოთ: მოქმედება — ნამყოში. შედეგი — მყოფადში. პირობითობა უკავშირდება მყოფადში წარმოდგენილ შედეგს. დროულ (აგრეთვე მოდალურ) მიმართებათა მხრივ ეს კონსტრუქცია არასოდეს ემთხვევა პირობით-შედეგობით

წინადადებას, რომელშიც თურმეობითი II ფუნქციონირებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირობა ნამყო დროშია მოცემული, მასზე მითითებული შედეგი ასევე ნამყო დროში შესრულებას გულისხმობს. შევადაროთ ეს კონსტრუქციები:

I. ...რამეთუ არა **თუმცა** პირველად სიტყუად **შემედარა,** თარგმანი სიტყჳსად **გაირყუნებოდა** (მოციქ. ეფრემ. 30, 16); და **დაღაცათუმცა** არა **დაებურა** პირი მისი, ვერვე რას **იცნობდა** მას (A-95. 556, 12-18ʳ2ᵛ).

II. ...და ს˘ლდ **უკუეთუ** ვისმე პირველად **ეთარგმანოს,** .მეორედ თარგმანებული წინააღმდგომად **გამოჩნდების** .(ქრონიკ. 100, 12); არღარა **ეყივნოს** ქათამსა, ვიდრემდე **უვარ-მყო** მე სამ გზის (იოვანე. 13, 38).

როგორც მოსალოდნელი იყო, III კავშირებითთან **-მცა** ნაწილაკი არაა წარმოდგენილი. ამ ორი ტიპის კონსტრუქციის დროული და შინაარსობრივი განსხვავება აშკარაა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თურმეობით II-ს კავშირებითი III არასოდეს შეუცვლია. ამ ორ მწკრივს განსხვავებული ფუნქციები ჰქონდა, სხვადასხვა კონსტრუქციებში იღებდნენ მონაწილეობას. მათგან II თურმეობითმა ისტორიულად უფრო განიმტკიცა პოზიციები, ხოლო III კავშირებითმა მოცემულ კონსტრუქციებში უფრო დათმო. III კავშირებითს, როგორც ჩანს, ისტორიულად ფუნქციური განმტკიცება არ განუცდია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დიალექტს (რაჭული, ფერეიდნული). შეიძლება ეს მოვლენაც პირდაპირ კავშირში იყოს მყოფადის ჩამოყალიბებასთან.

თანამედროვე ქართულში III კავშირებითი მხოლოდ ორი ფუნქციითღა გვხვდება. ერთი სურვილის (დალოცვის) მოდალობა: (დაე) ა ე შ ე ნ ე ბ ი ნ ო ს! ხოლო მეორე — ერთგვარი პირობითი წინადადება: კაცს არ უნახავს, ყანა გაუმარგლავი დ ა ე ტ ო ვ ე ბ ი ნ ო ს. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც III კავშირებითს ასპარეზს II თურმეობითი „ეცილება“. მაგალითები:

ა) დაე, ა გ ს რ უ ლ ე ბ ო დ ე თ ნანატრი! („ლიტ. საქ.“).
მუდამ ასე შ ე გ ც ვ ლ ო დ ე თ ჭირი ლხინით! (გ. შატბ.).
ღმერთმა ჰქნას, რომ სურვილი შ ე გ ს რ უ ლ ე ბ ო დ ე ს (აკაკი).

ბ) ადრე და მალე აიგავოს მტვერსავით ეს ობოლი თავი, თუ ადამიანის ღალატი ოდესმე გულში გ ა მ ტ ა რ ე ბ ო დ ე ს (ილია).

გინდაც იმ გველს ჯერ არავინ დაეგესლოს, ...მაინც ყველამ უნდა ესროლოს ქვა (ო. ჭილ.).

ასეთივე ვითარებაა, როდესაც III კავშირებითი სავარაუდო („თითქოს“) მოქმედებას გამოხატავს:

დიდხანს თავისთვის იყო, თითქოს ჩემი კითხვა არ გაეგონოს (ნ. ლორთქ.).

შდრ.: ისე პირდაპირ, მოურიდებლად მიდიოდა, თითქოს იმ ადგილებში არავითარი არეულობა არ მომხდარიყო (ა. ყაზბ.).

IV. 5.10. საერთო კანონზომიერების გარეშე მდგარი ზმნები

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ის ძირითადი კანონზომიერებანი, რაც ქართული ზმნის სისტემას ახასიათებს. არსებობს არაერთი ჯგუფი ზმნებისა, არაერთი ზმნა, რომლებიც ამ საერთო კანონზომიერებებში ვერ მოთავსდება. გრამატიკულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინები — თავისებური ზმნა, გამონაკლისი, უწესო ზმნა... ზოგი უჩვეულო ფორმის ახსნა კანონზომიერ ფორმათა ანალოგიით ხდება... აქ გვინდა გავიხსენოთ ვ. თოფურიას მოსწრებული თქმა: „გამონაკლისი“ და „ანალოგია“ გაჭირვების ახსნააო; რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეული თავისებურების (გამონაკლისის) ადგილის მოძებნა კანონზომიერ სისტემაში ზოგჯერ ჭირს; არადა, ცხადია, არ არსებობს ბუნებრივი ენობრივი ფორმა ამ სისტემის გარეთ მდგომი. გრამატიკული ანალიზის ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, ამ თავისებური (გამონაკლისი) ფორმების ადგილი მოიძებნოს სისტემაში; თითოეულ გამონაკლისს ახსნა მიეცეს; შესაძლებლობის შემთხვევაში დადგინდეს წესი გამონაკლისისათვის (ცნობილი გამოთქმაა, არ არსებობს გამონაკლისი წესის გარეშე)... სადაც ეს ვერ მოხერხდება, აღწერას ვჯერდებით და აღვნიშნავთ, რომ გამონაკლისია...

IV. 5.10.1. დამხმარე (მეშველი) ზმნები. გრამატიკული დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა ზმნების ორი ჯგუფი: დამოუკიდებელი ანუ საკუთრივ ზმნები და დამხმარე, მეშველი ზმნები, რომლებიც ანალიზური, აღწერითი წარმოებისას გამოიყენება. ანალიზურ ფორმებში სემანტიკურად დატვირთულია სახელური ნაწილი, პირს, რიცხვს, გარდამავლობას და სხვა გრამატიკულ კატეგორიებს კი განსაზღვრავს მე-

შველი ზმნა. დამხმარე ზმნა სრულმნიშვნელობიან სიტყვასთან ერთად ერთ მთლიან ოდენობას წარმოადგენს.

ანალიზური ფორმის სახელური წევრი შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა ან საწყისი; მეშველ ზმნად კი გვხვდება **ვარ**, **ხარ**, **არის**, **იყო**, **იქნება**, **მაქვს**, **მყავს** ზმნები, აგრეთვე: **გახდა**, **დარჩა**, **ჩანს**, **გამოვა**, **გახლავთ** და სხვა.

დამხმარე ზმნად ყველაზე ხშირად გამოიყენება **არის** ზმნა, რომელსაც მყოფადში ენაცვლება **იქნება**, მე-2 და მე-3 სერიაში კი **ყოფა** ზმნა. **არის** ზმნა ერთპირიანია და როცა ორპირიანი ფორმაა საჭირო, მას ენაცვლება **მაქვს** ან **მყავს**. მორიდებულ საუბარში **არის** ზმნას ენაცვლება **გახლავს** ან **ბრძანდება. არის** მე-3 პირში ხშირად შეკვეცილია და დარჩენილია **ა**, რომელიც ანალიზური ფორმის სახელად ნაწილს ან სხვა სიტყვას უერთდება (ის **სტუდენტია**. ბევრი ახალი **სახლია** აშენებული.)

ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი წარმოდგენილია, მეშველი ზმნა კი იგულისხმება: დილა წყნარი იყო და მზიანი (იგულისხმება: მზიანი იყო).

აღწერითია ყველა სახის შედგენილი შემასმენელი (**ლამაზია, ჩემია, დაბნეული იყო, მასწავლებული გახდა**), სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმები (ვდგავარ, ზიხარ...), გარდაუვალ ზმნათა მე-3 სერიის ფორმები (**გავზრდილვარ**, **დამალულხარ, დამალვიხარ**...), გარდამავალ ზმნათა მე-3 სერიის ფორმები (**ავუშენებივარ, აღუზრდიხარ**...), რთული ზმნები (**ცხადყო, უზრუნველყო, პატივი სცა**...), ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებსაც წინადადებაში ერთი წევრის მნიშვნელობა აქვთ (**ყურად იღო, ჭკუაში დაუჯდა, ხელში ჩაიგდო**...).

წარმოშობით აღწერითი წარმოების ფორმებია **ცივა** (ცივ არს), **ბნელა** (ბნელ არს), **თბილა, გრილა, ცხელა, კმარა, ვარგა**. ეს ფორმები თავდაპირველად შედგენილი შემასმენელი იყო, ახლა კი მარტივია. მათში შემავალი სახელები ძირითადად ზედსართავებია: ცივი, ბნელი, თბილი, გრილი, ცხელი. კმარა წარმომდგარია **კმა არის** ფორმისაგან. **კმა** შემორჩენილი გვაქვს **კმაყოფილი** — ფორმაში; სახელია **ვარგიც**, რომელიც ამჟამად ზმნურ ფუძედ გვევლინება.

მეშველი ზმნები წარმოშობით დამოუკიდებელი ზმნის ფორმებია. ყველა ზმნა, რომელიც დამხმარედ გამოიყენება, გვხვდება დამოუკიდებლადაც, მარტივ ზმნად. შორს თოვლიანი მთა **ჩანს** — აქ **ჩანს** მარტივი შემასმენელია, ხოლო ამ შემთხვევაში: ის ცოტა აღელვებული **ჩანს**,

ჩანს შედგენილი შემასმენლის (აღელვებული ჩანს) ნაწილია. ასევეა **გახდა, დარჩა, გამოვა, გახლავს** და სხვა ზმნები.

როგორც ცნობილია, ქართული ორგანული წარმოების ენაა და აღწერით ფორმებს ძირითადად მაშინ მიმართავს, როცა სინთეზური წარმოება ჭირს. სინთეზური წარმოების უქონლობა უმეტესად განპირობებულია სახელური კომპონენტის თავისებური სემანტიკით.

აღწერითი ფორმები ძველი ქართულის წიაღში ჩაისახა. მეშველზმნიანი ფორმები თავდაპირველად გარდაუვალი ზმნის პირველ თურმეობითში უნდა გაჩენილიყო და მისი დანიშნულება იყო დაეზუსტებინა პირის რომელობა. ერთპირიან ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა ანალოგიით უნდა განვითარებულიყო ენაში სხვა მეშველზმნიანი ფორმები(ა. შანიძე).

აღწერითი წარმოება ქართულში მეორეულ მოვლენად მიაჩნიათ, თუმცა ის ძველ ქართულში ხშირად გამოიყენება და არ წარმოადგენს უცხო ენათა გავლენის შედეგს. ძველ ქართულშივე ჩანს აღწერითი წარმოების ორგანულით შეცვლის ტენდენცია, მაგრამ თანამედროვე ქართულში შეინიშნება საპირისპირო ტენდენციაც: ზოგი ტიპის აღწერითი წარმოების არის გაფართოება. მაგალითად, პერიფრასტული ვნებითის ფორმები სულ უფრო ხშირად გამოიყენება და ისეთ ზმნებთანაც გვხვდება, რომელთათვისაც ორგანული წარმოებაც ბუნებრივია: **გადმოცემულ იქნეს / გადმოიცეს, დალაგებულ იქნეს / დალაგდეს** და სხვა.

IV. 5.10.2. რთულფუძიანი ზმნები. რთულფუძიანად განვიხილავთ არა ისეთ ზმნებს, რომელთა ფორმაწარმოებისათვის საყრდენი ფუძე შედგენილობით რთულია (გაი-სიგრძეგან-ა...), არამედ ზმნებს, რომლებიც შედგება სახელური და ზმნური კომპონენტისაგან.

თანამედროვე ქართულში გვხვდება რთულფუძიანი ზმნები: **შეურაცხყოფს, უზრუნველყოფს, უკვდავყოფს, სრულყოფს, ცხადყოფს, უკუგდებს, თანაგრძნობს, თანადგომს**... რთულ ზმნებში ფორმაცვალებადია ზმნური ნაწილი, სახელური კი უცვლელია. ამ ზმნების უმეტესობა ძველი ქართულიდან ნაშთის სახით შემორჩენილი ფორმებია. მსგავსი რთული ფორმების წარმოება ახალ ქართულს არ ახასიათებს.

ძველ ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული რთული ზმნები, რომლებიც ნაწარმოები იყო სახელისა და მეშველი ზმნის საშუალებით: **ნუგეშინის-სცა, ამბორს-უყო, ღაღად-ყო, ძალ-მიც, ხელ-მეწიფების** და სხვა. ამ აღწერითი ფორმების სახელური ნაწილი ხშირ შემთხვევაში ფუძის სახით წარმოდგენილი არსებითი სახელია, რომელიც წარმო-

შობით ამ რთულ ფორმებში შემავალ ზმნასთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტია: **ხმა-ყო, წამ-უყვნა, სიტყვა-ყო, ძალ-გიც**; ზოგ შემთხვევაში კი **სახელური ნაწილი** ზედსართავი სახელი ან მიმღეობაა: **ცხად-ყო, წმიდა-ყო, უზრუნველ-ყო, წრფელ-ყო**. მეშველ ზმნებად გამოყენებულია: **ცემა, ყოფა, დება, ღება**. . .

ამ რთული ზმნებიდან ახალ ქართულში შემოგვრჩა: **ცხადყო, შეურაცხყო**, **უზრუნველყო, უკვდავყო, სრულყო, უარყო**. რამდენადაც ეს ფორმები ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი, პირველ სერიაში მათ მხოლოდ სამი მწკრივის ფორმები აქვთ, მყოფადის წრის მწკრივები არ განუვითარდათ. ეს ზმნები ნაშთის სახით მოღწეული ფორმებია, მსგავსი წარმოება ახალ ქართულს არ ახასიათებს.

რთული ზმნების ნაწილები განუყოფელია, მაგრამ იშვიათად გვხვდება მათი გათიშვის შემთხვევებიც: **ყურად უნდა ეღო, პატივი უნდა ვცეთ**. ფორმა პატივისცემა, მართალია, რთული ზმნაა, მაგრამ მისი სახელური ნაწილი ბრუნვებს იცვლის (**პატივს ვცემ, პატივი ვეცი**) და თან მსაზღვრელი შეიძლება დაერთოს (**დიდ პატივს ვცემ, საკადრისი პატივი სცეს** და ა. შ.).

ზოგი აღწერითი წარმოების ფორმის ნაწილს მოეპოვება შესაბამისი ორგანული წარმოება, გარკვეულ შემთხვევაში ენა უპირატესობას ანიჭებს ანალიზურ ფორმებს. ზოგ შემთხვევაში ანალიზურ და სინთეზურ ფორმათა შორის სხვაობა სემანტიკურია, ზოგ შემთხვევაში კი — გრამატიკული. სემანტიკურია დაპირისპირება ამ ფორმებისა: **ა-ნათლ-ებ-ს** — სწავლა-განათლება შეაქვს, ცოდნას სძენს და **ნათელყოფს** — ნათელს, გასაგებს ხდის, ააშკარავებს, ამჟღავნებს; **ა-სრულ-ებ-ს** — სრულ სახეს აძლევს, ამთავრებს, აბოლავებს, აკეთებს, ახორციელებს და **სრულყოფს** — უნაკლოს, უზადოს ხდის, ხვეწს, აუმჯობესებს, ავითარებს. ღზოგჯერ აღწერით და მის პარალელურ ორგანული წარმოების ფორმებს შორის სხვაობა სტილისტურია (ბ. ჯორბენაძე).

რთული ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს სახელური ნაწილი. ზმნური ნაწილი ასრულებს დამხმარე ზმნის ფუნქციას. II კომპონენტი ჩვეულებრივ ზმნისწინის გარეშე გამოიყენება, ამიტომ ერთი და იგივე ფორმა კონტექსტისდა შესაბამისად შეიძლება გამოხატავდეს აწმყოს დროულ გაგებასაც და მყოფადის დროულ გაგებასაც:

რას ვშვრები? — მე **უზრუნველვყოფ** მათ შორის კავშირს;
რას ვიზამ? — მე **უზრუნველვყოფ** მათ უსაფრთხოებას...

I კომპონენტი ფუძის სახითაა წარმოდგენილი; ზმნურ აფიქსებს დაირთავს რთული ზმნის მეორე კომპონენტი.

შეურცხ-ვ-ყოფ, შეურაცხს-გ-ყოფ, შეურაცხს-მ-ყოფს...

არის შემთხვევები, როცა რთული ზმნა ერთ ლექსიკურ ერთეულად (ერთ საყრდენ ფუძედ) გაიაზრება და პირის ნიშანს დაირთავს პირველი კომპონენტი: **ვ-უზრუნველყოფ**; არის ორმაგი გამოხატვის შემთხვევებიც: **ვ-უზრუნველ-ვ-ყოფ**. ბოლო ორი შემთხვევა უმართებულოა.

შენიშვნა: რთულფუძიანი ზმნის შთაბეჭდილებას ტოვებს პატივისცემა, მაგრამ არსებითი განსხვავება უზრუნველყოფა ტიპის ზმნათაგან ისაა, რომ ამ შემთხვევაში I კომპონენტი იბრუნვის: პატივ-ს ვ-ცემ, პატივ-ი ვეცი...

რთულფუძიანი ზმნები ყველა მწკრივის ფორმას იწარმოებს (შესაბამისად ყველა პირის ფორმას):

აწმყო-მყოფადი:	შეურაცხ-ვ-ყოფ შეურაცხ-ვ-ყოფ-თ
შეურაცხ-ყოფ	შეურაცხ-ყოფ-თ
შეურაცხ-ყოფ-ს	შეურაცხ-ყოფ-ენ
უწყვეტელი-ხოლმეობითი:	შეურაცხ-ვ-ყოფდი...
I კავშირებითი:	შეურაცხ-ვ-ყოფდე...
წყვეტილი:	შეურაცხ-ვ-ყავი...
II კავშირებითი:	შეურაცხ-ვ-ყო...
I თურმეობითი:	შეურაცხ-მ-იყვი-ა...
II თურმეობითი:	შეურაცხ-მ-ეყ-ო...
III კავშირებითი:	შეურაცხ-მ-ეყო-ს.

რთული ზმნები იწარმოებს სახელზმნურ ფორმებსაც: შეურაცხყოფა, შეურაცხ-მყოფელი, შეურაცხ-ყოფილი...

რთული ზმნები, როგორც ერთცნებიანი კომპოზიტები, ერთად იწერება: **შეურაცხვყავი**...

IV. 5.10.3. შერწყმული ზმნები. შერწყმულ ზმნებად განვიხილავთ ერთი და იმავე ფუძისაგან წარმოებულ, ერთი და იმავე მიმართულების, მაგრამ სხვადასხვა ორიენტაციის გამომხატველ ორკომპონენტიან ზმნებს.

შესაბამისად შერწყმული ზმნის შემადგენელი კომპონენტები ერთმანეთისაგან სხვაობს ზმნისწინით. ერთი და იმავე ზმნური ფუძისაგან შედგენილ ზმნებში წყვილდება ერთი და იმავე მიმართულების, მაგრამ სხვადასხვა ორიენტაციის ზმნები; ჩვეულებრივ წყვილდება მი- და მო-, ა- და ჩა-, ა- და და-; ანდა მარტივი და შესაბამისი რთული ზმნისწინები: გა- და გამო-, წა- და წამო- და სხვა: **მი**იარ-**მო**იარა, **მი**ვიდ-**მო**ვიდა; **ა**იარ-**ჩა**იარა, **ა**ვარდ-**და**ვარდა... ასევე **გა**იარ-**გამო**იარა, **წა**ვიდ-**წამო**ვიდნენ, **გა**იხედ-**გამო**იხედა... შერწყმული ზმნებიდან პირველი უმეტესად ბოლომოკვეცილია, მეორე კი სრული სახით არის წარმოდგენილი. პირველს ზოგჯერ მხოლოდ პირის ნიშანი აკლია: **გაზომ-აწონა, ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა** და სხვა, ზოგჯერ კი სხვა ნაწილებიც: **მილაგ-მოლაგდნენ, შედი-გამოდიოდნენ** და სხვა.

ძირითადად ერთმანეთს ერწყმის:

ა) სინონიმური ან მსგავსი შინაარსის (**აცრემლ-ატირა, გასუქ-გალაღეთ, დაიბან-დაისუფთავა, გაზომ-აწონა**...);

ბ) საპირისპირო შინაარსის ზმნები (**გამაცივ-გამაცხელა**);

გ) ერთი და იმავე ფუძისაგან სხვადასხვა ზმნისწინით ნაწარმოები ფორმები (**გარბი-გამორბიან, მიყარ-მოყარა, მილაგ-მოლაგდნენ, აწონ-დაწონა**...).

ასეთი ფორმები ძალზე მცირეა. გაცილებით უფრო მეტია შერწყმული ფორმები საწყისებსა და მიმღეობებში: **მისვლა-მოსვლა, მიკითხვ-მოკითხვა, ყიდვა-გაყიდვა, დაწმენდილ-დასუფთავებული, წასულ-წამოსული, გაჭენებულ-გამოჭენებული** და ა. შ. მი- და მოზმნისწინების შემთხვევაში შეიძლება პირველი კომპონენტი მხოლოდ ზმნისწინითაც იქნეს წარმოდგენილი: მიმოიხედა, მიმოიარა... სხვა ზმნისწინათა შემთხვევაში ასე არ ხდება.

IV. 5.10.4. მყარი ზმნური შესიტყვებები. აღწერით წარმოებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ფრაზეოლოგიური გამოთქმები: **ყურად იღო, ნათელ იღო, სიტყვა მიუგო, ხელში ჩაიგდო** და სხვა. მსგავსი ფრაზეოლოგიზმები ხშირი იყო ძველ ქართულში: **ყურად-იღეთ** (ყურად-ღება — აზრის, ყურადღების, სმენის მიმართვა რაიმეზე), **მუცლად-იღო** (მუცლად-ღება — დაორსულება), **სიტყვა-უგის** (სიტყვის-გება — პასუხის გაცემა), **თავ-ადგამ** (თავ-დგმა — დამთავრება), **გული განაწყო** (გულის განწყობა — გულის მოსვლა) და სხვა. ამ აღწერითი სახის გამოთქმებში სახელური ნაწილი წარმოშობით პირდაპირი ობიექტია ან უბრალო დამატება. ამგვარი ფრაზეოლოგიური გამოთქმები

გრამატიკულად აღწერით ფორმებს უტოლდება. აღნიშნული წარმოება ბუნებრივი მოვლენაა როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში.

IV. 5.10.5. დამხმარე სიტყვებით გართულებული ზმნები. ზმნაშემასმენელს ხშირად ახლავს ნაწილაკი ან მოდალური ელემენტი, რომელიც ზმნასთან ერთად მონაწილეობს ზოგი კატეგორიის გამოხატვაში. მაგალითად, **ნუ** ზმნასთან ერთად აწარმოებს კილოს ფორმას (ნუ მიდიხარ!). შესაძლებლობა-ვარაუდს გამოხატავს **იქნებ, ეგებ**. პირველი ან მეორე კავშირებითის ფორმას ახლავს **უნდა**. ნაწილაკები და მოდალური ელემენტები ცვლიან ზმნის მოდალობას, აზუსტებენ მის შინაარსს.

ზოგი მეცნიერის აზრით, თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებული **მინდა წავიდე** ტიპის (მოდალური ზმნისა და კავშირებითის ფორმათა შეხამებით მიღებული) კონსტრუქცია ერთ წევრად უნდა იქნეს გაგებული და მას პირობითად ორზმნიანი ანუ ბივერბალური შემასმენელი ეწოდოს. ეს თვალსაზრისი საყურადღებოა, მაგრამ გარკვეულ შენიშვნებსაც იწვევს. მოდალური ზმნა თუ დამხმარე სიტყვად არის ქცეული, მისი დამატებით მიღებული ფორმა ორ ზმნად (ბივერბალურ შემასმენლად) აღარ ჩაითვლება.

IV. 5.10.6. ფუძის მონაცვლეობისათვის

ზმნათა ერთი ჯგუფის თავისებურება ის არის, რომ ერთი და იმავე ფუძით ვერ იწარმოებენ ყველა შესაძლო ფორმას; პარადიგმაში ხდება ფუძის მონაცვლეობა.

განიხილება ორი ტიპის მონაცვლეობა: 1) როცა პარადიგმაში ფუძეთა მონაცვლეობა ხდება რაიმე გრამატიკული კატეგორიის მიხედვით; ამ შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლება ორი ან მეტი მარტივი ფუძე და 2) როცა ერთი და იმავე მარტივი ფუძის შემთხვევაში ერთი მწკრივის პარადიგმაში ხდება მწკრივის საყრდენი ფუძის შენაცვლება.

IV. 5.10.6.1. მარტივი ფუძის მონაცვლეობა. გრამატიკულ ლიტერატურაში საუბრობენ მარტივი ფუძის მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევაზე:

ა) ფუძეთა **მონაცვლეობა ხდება სუბიექტის რიცხვის მიხედვით**: მხოლობით რიცხვში წარმოდგენილი სუბიექტის შემთხვევაში სხვა ფუძეა გამოყენებული, მრავლობით რიცხვში დასმული სუბიექტის შემთხვევაში — სხვა:

ვ-**ზი**-ვარ ვ-**სხედ**-ხართ
ზი-ხარ **სხედ**-ხართ
ზი-ს **სხედ**-ან

ეს სტატიკური ზმნის შემთხვევაში. ასეთივე შენაცვლება ხდება შესაბამის დინამიკურ ვნებითებშიც:

ვ-**ჯდ**-ებ-ი ვ-**სხდ**-ებ-ი-თ
ჯდ-ებ-ი **სხდ**-ებ-ი-თ
ჯდ-ებ-ა **სხდ**-ებ-ი-ან

ფუძეთა ასეთი შენაცვლება ხდება ყველა მწკრივის (რომელიც მოეპოვება კონკრეტულ ზმნას) ფორმებში:

(და)ვჯდებოდი — (და)ვსხდებოდით
(და)ვჯდებოდე — (და)ვსხდებოდეთ
დავჯექი — დავსხედით
დავჯდე — დავსხდეთ
დავმჯდარვარ — დავმსხდარვართ
დავმჯდარიყავი — დავმსხდარიყავით
დავმჯდარიყო — დავმსხდარიყოთ

ზი და **ჯედ** ფუძეები სასაუბრო მეტყველებაში მრავლობითის ფორმებშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული: ვზივართ, ვჯდებით; II პირის ე. წ. პატივისცემის მრავლობითის შემთხვევაში ჩვეულებრივ მხოლობითი ფუძეები გამოიყენება: თქვენ ზიხართ, თქვენ ჯდებით...

სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძეთა შენაცვლების სხვა შემთხვევები:

ვარდ-ებ-ა — ცვივ-ა,
აგდია — ყრია,
დევს — აწყვია,
აბია — ასხია,
კვდება — იხოცება...

ბ) მარტივი ფუძის შენაცვლება შეიძლება მოხდეს პირდაპირი ობიექტის რიცხვის მიხედვით:

და-**სვ**-ა მან ის — და-**სხ**-ა მან ისინი
მოი-**ბ**-ა მან ის — მოი-**სხ**-ა მან ისინი
წაი-**ყვან**-ა მან ის — წა-**სხ**-ა მან ისინი (ჩვეულებრივია ასევე წაიყვანა მან ისინი).

მო-კლ-ა
და-კლ-ა } მან ის — და-**ხოც**-ა მან ისინი

გადაა-**გდ**-ო მან ის — გადა-**ყარ**-ა მან ისინი

და-დ-ო მან ის — { დაა-ლა-გა / დაა-წეყ-ო } მან ისინი

გა-ტეხ-ა მან ის — დაა-მტვრი-ა მან ისინი...

კანონზომიერ ზმნათა გავლენით არის ტენდენცია მრავლობითის ფორმებშიც მხოლობითის ფუძე იქნეს გამოყენებული: ვ-**ზი**-ვართ, ვ-**ჯდ**-ებით და სხვა.

გ) **დროში მონაცვლე ზმნები**

ამ ტიპის ზმნებს მწკრივში მონაცვლე ზმნებსაც უწოდებენ (ა. შანიძე).

ზმნათა ძირითადი ნაწილი ახლანდელ და მომავალ დროს ზმნისწინით განასხვავებს; ჩვეულებრივ ერთი და იმავე ფუძით ხდება წარსული დროის გამოხატვაც (წყვეტილის მწკრივის წარმოება):

წერს — დაწერს — დაწერა, თბება — გათბება — გათბა...

არის რამდენიმე ზმნა დროთა დაპირისპირებას ფუძეთა დაპირისპირებით ახდენს:

არის — იქნება — იყო,

შვრება — იზამს — ქნა,

ამბობს — იტყვის — თქვა,

ეუბნება — ეტყვის — უთხრა,

მიაქვს — წაიღებს / მიიტანს — წაიღო / მიიტანა...

რა ფუძითაც აწარმოებს ზმნა აწმყო-მყოფადის მწკრივს, იმ ფუძეს ემყარება I სერიის სხვა მწკრივებიც (თუკი ეწარმოება საერთოდ):

არის, იქნება; შვრება, იზამს;

— იქნებოდა; შვრებოდა, იზამდა;

— იქნებოდეს; შვრებოდეს, იზამდეს;

ამბობს, იტყვის; ეუბნება, ეტყვის;

ამბობდა, იტყოდა; ეუბნებოდა, ეტყოდა;

ამბობდეს, იტყოდეს; ეუბნებოდეს, ეტყოდეს...

შესაბამისად, რომელი ფუძითაც იწარმოებს წყვეტილის მწკრივს, იმავე ფუძეს გამოიყენებს მეორე კავშირებითშიც და მესამე სერიის მწკრივებშიც:

იყო, ქნა, თქვა,

იყოს; ქნას; თქვას;

ყოფილა... უქნია... უთქვამს...

ეუბნება — ეტყვის — უთხრა ფუძეთა შემთხვევაში განაწილება ასეთივეა ერთი თავისებურებით: მესამე სერიის შემთხვევაში სხვა ფუძე ჩაენაცვლება: **უთქვამს / ეთქვა / ეთქვას**; ამ შემთხვევაში სრულ პარადიგმაში ოთხი ფუძის ჩანაცვლება ხდება:

ე-**უბნ**-ება / ე-**ტყვ**-ის / უ-**თხრ**-ა / უ-**თქვ**-ამს...

დ) **სხვა ტიპის ფუძეთა** მონაცვლეობის მაგალითებსაც ასახელებენ (ა. შანიძე).

შენაცვლება ასპექტში

უსრული — **სვამს**, სრული — **დალია**,
აძლევს მისცა,
უმზერს, უყურებს, შეხედა...

შენაცვლება პირში

ფუძის მონაცვლეობა შეიძლება მოხდეს იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის მოსაუბრე და ვინ — თანამოსაუბრე; მოსაუბრეთა სოციალური მდგომარეობა განაპირობებს ფუძეთა არჩევანს:

არის — გახლავს,
ხარ — ბრძანდები,
თქვა — ბრძანა,
მოვიდა — მობრძანდა,
მიუტანა — მიართვა,
ჭამა — მიირთვა — გეახლათ...

ფაქტობრივ, ზმნური ფუძეებით გაირჩევა, „თუ როგორი უნდა იყოს საუბარი (ანუ სიტყვა-პასუხი) სწორებს შორის, ან უფროსსა და უმცროსს შორის“ (ა. შანიძე). ამ ფაქტზე ყურადღებას სულხან-საბა ორბელიანიც ამახვილებს: „**თქმა** ითქმის სწორს კაცს ეტყოდეს, ხოლო **მოხსენება** უაღრესისადმი და **ბრძანება** უმცროსისადმი, რამეთუ სამსახე არიან თქმანი“.

ამ ტიპის ზმნებს ა. შანიძე პირში მონაცვლე ზმნებს უწოდებს.

IV. 5.10.6.2. სუპლეტივიზმი მწკრივთა წარმოებაში. აღინიშნა, რომ მწკრივის პარადიგმაში ერთიანდება ზმნის პირიანი ფორმები, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისაგან მხოლოდ ზმნისწინით, პირისა და რიცხვის ნიშნებით. ზმნისწინის, პირისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით მწკრივის ფუძეს ვიღებთ. ესე იგი: მწკრივის პარადიგმის წევრებისათვის საყრდენი ფუძე საერთოა.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა მწკრივის პარადიგმაში შემავა-

ლი რომელიმე წევრის ფუძე სხვაობს მწკრივის საერთო ფუძისაგან; ერთი და იმავე მწკრივის პარადიგმაში ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფუძე იყრის თავს. ამგვარად, წარმოიქმნება სუპლეტური პარადიგმები.

საერთოდ, ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების მიხედვით, სუპლეტივიზმი ისეთი გრამატიკული მოვლენაა, როცა ერთი პარადიგმის ფარგლებში ხდება ძირისა თუ ფუძის მონაცვლეობა (ჯ. მარუზო; ო. ახმანოვა).

ქართული ენის მასალაზე მსჯელობისას ზმნის სისტემაში სუპლეტურად მიიჩნევა ე. წ. რიცხვისა თუ მწკრივის მიხედვით მონაცვლე ზმნები:

დაჯდა ის	**—**	**დასხდნენ** ისინი
აბია ის მას	—	**ასხია** ისინი მას

ანდა: **არის — იქნება — იყო**

შვრება — იზამს — ქნა

ყველა შემთხვევაში საუბარია მარტივ ფუძეთა მონაცვლეობაზე: უღლების სისტემაში ერთსა და იმავე მწკრივში თუ სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ზმნაა წარმოდგენილი. ფაქტობრივ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სემანტიკური პრინციპის მიხედვით სხვადასხვა ზმნის ერთ პარადიგმაში გაერთიანებისა. ამგვარ შემთხვევებს ჩვენ სემანტიკური პარადიგმები ვუწოდეთ (§ IV. 5.3.).

განმარტების მიხედვით სუპლეტივიზმად უნდა ჩაითვალოს არა მარტო მარტივ ფუძეთა, არამედ მწკრივთა პარადიგმაში საყრდენი ფუძეების სხვაობის შემთხვევაც.

როგორც ვთქვით, ქართულში არის შემთხვევები, როცა ერთი მწკრივის პარადიგმაში სხვადასხვა საყრდენი ფუძეა გამოყენებული. მაგალითად, ძველი ქართულის:

ვალ
ხ-**ვალ**
ვალ-ს
ვალ-თ
ხ-**ვალ**-თ
ვლენ-ან

მრავლობითი რიცხვის III პირის **ვლენ** საყრდენი ფუძე განსხვავებულია სხვა პირის ფორმათა საყრდენი ფუძისაგან — **ვალ.** ამგვარ შე-

მთხვევებს ვუწოდებთ ჩვენ სუპლეტივიზმს.

სუპლეტური პარადიგმები ქართულში ძირითადად აწმყოს ფორმებში იჩენს თავს; მოვიყვანთ ძველი ქართულის ნიმუშებს:

წევ	და	**წვან**	ვ-**წევ** ს-**წევ** **წევ**-ს	ვ-**წევ**-თ ს-**წევ**-თ **წვან**-ან
გავ	და	**გვან**	ვ-ჰ-**გავ** ჰ-**გავ** ჰ-**გავ**-ს	ვ-ჰ-**გავ**-თ ჰ-**გავ**-თ ჰ-**გვან**-ან
ჴამ	და	**ჴმან**	ვ-**ჴამ** ჰ-**ჴამ** **ჴამ**-ს	ვ-**ჴამ**-თ ჰ-**ჴამ**-თ **ჴმან**-ან
რწამ	და	**რწმან**	ვ-ჰ-**რწამ** ჰ-**რწამ** ჰ-**რწამ**-ს	ვ-ჰ-**რწამ**-თ ჰ-**რწამ**-თ ჰ-**რწმან**-ან
დგა	და	**დგან**	ვ-**დგა** ს-**დგა** **დგა**-ს	ვ-**დგა**-თ ს-**დგა**-თ **დგან**-ან

წევ — წვან, ყავ — ყვან, გავ — გვან, დგა — დგან ზმნათა პარადიგმები სუპლეტურია ახალ ქართულშიც. სხვაობას ძველი ქართულისაგან ის ქმნის, რომ I-II პირის ფორმებმა მეშველი ზმნა დაირთეს:

ვ-დგა-ვარ	ვ-დგა-ვართ
დგა-ხარ	დგა-ხართ
დგა-ს	დგან-ან

ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ შეადგენს III პირის მრავლობითის ფორმაში დადასტურებული **ან** ელემენტის რაობის კვლევა. არსებითი ისაა ჩვენთვის, რომ ეს ელემენტი საყრდენი ფუძის ნაწილია. თუმცა ვთქვათ ისიც, რომ ა. შანიძის აზრით, ამ ფორმებში **ან** თემის ნიშანია, ნაშთის სახით შემორჩენილი.

სუპლეტურ პარადიგმებს დიალექტებშიც ვადასტურებთ. თუმცა ამჯერად ეს არ არის ჩვენი განხილვის საგანი.

თუ ძველ ქართულში აწმყოსა და უწყვეტელში სუპლეტური წარმოება მწკრივთა პარადიგმებისა მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნათათვისაა დამახასიათებელი (აწმყოში სტატიკურ ზმნებთან, ხოლო უწყვეტელში **ავ** და **ამ** თემისნიშნებთან), ზოგმა დიალექტმა (მაგ. მესხურმა) ეს პრინციპი აწმყოში ყველა ზმნაზე გაავრცელა... ასევე ბოლომდეა გატარებული ეს პრინციპი ხოლმეობითების წარმოებაში თუშურში, ხევსურულსა და ფშაურში.

ძველი თუ ახალი სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემთა გამოწვლილვით შესწავლა ალბათ ფაქტებს გაამრავლებს. საკითხის დასმისათვის, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

სუპლეტივიზმი მწკრივთა წარმოებაში საგანგებო მოვლენაა. იგი არღვევს მწკრივის პარადიგმის აგების საერთო პრინციპს — მწკრივის საყრდენი ფუძის პრინციპს (გავიხსენოთ: მწკრივი აერთიანებს მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებულ ფორმებს): ერთი მწკრივის პარადიგმაში შემავალ ფორმებს საერთო საყრდენი ფუძე უნდა ჰქონდეთ; სხვადასხვა საყრდენი ფუძე სხვადასხვა მწკრივის ფორმათა წარმოების საფუძველია... სუპლეტივიზმის მოვლენა ახსნას მოითხოვს... ჩვენ ამჯერად ფაქტის აღწერით ვკმაყოფილდებით.

და კიდევ: როგორც ჩანს, არის რაღაც არსებითი კავშირი იმ ფაქტთან, რომ მეშველზმნიან წარმოებაში ერთ პარადიგმაში აღწერითი არის I-II პირთა ფორმები, ხოლო III პირის ფორმა ორგანულია: ვ-**ზი-ვარ**, **ზი-ხარ**, **ზი**-ს...

IV. 5.10.7. ფუძეთა ბოლოკიდურის მოკვეცა წყვეტილში. წყვეტილის ფორმათა ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება არის ფუძეთა ბოლოკიდურის მოკვეცა. მოვლენა ეხება ძირითადად მეორე სუბიექტური პირის ფორმებს, ისიც წართქმით ბრძანებითში; **დახე** (← დახედე), **გასწი** (← გასწიე), **მომყე** (← მომყევი), **გამეცა** (← გამეცალე), **მოიცა** (← მოიცადე), **დააყე** (← დააყენე) და სხვა;

დახეთ, როგორც მოუსვა, უკან აღარც იხედება (თ. ბიბ.).

გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი (ნ. ბარ.).

მოდით, **მომყეთ,** თუ გული გერჩით (ო. ჩხ.).

გამეცა, ვირო, ნუ მეღრიჯები (ილია).

ჰო, ვერ მიცვნია, ვერა-მეთქი, თუმცა **მოიცა** (ო. ჩხ.).
ილოს ფაფა მაინც **მომე** (თ. ჭილ.).
კარგი, **დააყე** ეგ ჩონგური, რა მოგივიდა (თ. ბიბ.).
ეგ რაღა სახუმაროა, **გენაცვათ** (იქვე).
წაიყვათ და ჩააბარეთ (გ. შარ.).

ფორმას მოეკვეცება, ჩვეულებრივ, ბოლო მარცვალი — ოდენ-ხმოვნის შემცველი (**-ი** ან **-ე**) ან თანხმოვნისა და ხმოვნის შემცველი (თანხმოვანი ძირეულია). სუბიექტური მეორე პირის მრავლობითობის შემთხვევაში **-თ** სუფიქსი მოკვეცილ ფორმას დაერთვის. მარცვლის მოკვეცა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წყვეტილის ფორმის საყრდენი მორფემა ძირეულია. სუფიქსური საყრდენი მორფემის მქონე ფორმათა შეკვეცა არ ხდება: დონიანი ვნებითები, შუალობითი კონტაქტის ფორმები ყველა შემთხვევაში სრულადაა წარმოდგენილი. მაშასადამე, მორფოლოგიური დანიშნულების მქონე ელემენტთა მოკვეცა სათანადო ფუნქციის გაუჩინარებას გამოიწვევდა. **გასწი** (← გასწი-**ე**) ტიპის ფორმათა **-ე** სუფიქსის მოკვეცა ამავე შედეგს (**-ე** სუფიქსის ფუნქციის გაუჩინარებას) არ იწვევს: II პირის წართქმითი ბრძანებითი მხოლოდ წყვეტილის ფორმას გამოიყენებს. მაწარმოებლის მოკვეცის შემთხვევაშიც არაა მოსალოდნელი წყვეტილის ფორმის გაუაზრებლობა.

IV. 5.10.8. კერძო შემთხვევები

IV. 5.10.8.1. თავისებურება უამბობს ზმნის წყვეტილის ფორმისა. როგორც ვნახეთ, არსებობს თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია ზმნათა ცალკეული ჯგუფებისათვის; ამგვარ შემთხვევაში ამ ჯგუფებისათვის გარკვეული წესებიც დგინდება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის ზმნა ავლენს თავისებურებას, რის განზოგადებაც არ ხერხდება. საკმაოდ მრავლადაა ასეთი კერძო შემთხვევა. ცხადია, ყველა მათგანის შესახებ ვერ ვისაუბრებთ. მაგალითისათვის ორიოდე ზმნას განვიხილავთ...

სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის გამოვლენის ერთ-ერთი პირობა უმარცვლო ფუძის მქონეობაა. ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა **უამბო,** ეს პირობა დარღვეული ჩანს: საყრდენი ძირეული მორფემა ამ შემთხვევაში მარცვლოვანია: **ამბ** (← ამბავ). ამ ზმნის „საწყისია „მბობა“. მოსალოდნელი იყო „ამბობა“, რადგანაც ნაწარმოებია „ამბავ“ სიტყვისაგან (რომლის უკანასკნელი თანხმოვანი დაკარგულია ბაგისმიერი თანხმოვნების მეზობლობაში: ვამბვ-ობ), მაგრამ **ა** ქცევის ნიშნად იქნა გაგებული და საწყისში ჩამოშორდა“ (ა. შანიძე). თითქოსდა მოულოდ-

ნელია ქცევის ნიშნის მომდევნო ხმოვნის (ვ-**უ**-ამბე) ქცევის ნიშნადვე გააზრება (საობიექტო ქცევის **უ** პრეფიქსის მომდევნოდ ნეიტრალური ქცევის **ა** პრეფიქსად მიჩნევა ფუძისეული ხმოვნისა), რადგან ერთი და იმავე რანგის ორი მორფემა არ შეიძლება იქნეს წარმოდგენილი ფორმაში.

მაგრამ ეს მაინც საგანგებო შემთხვევაა და ბევრი რამ ახსნას მოითხოვს:

პირიან ფორმებში **ა** უეჭველად ფუძისეულად გაიაზრება:

უ-**ა**მბ-ობ-ს, უ-**ა**მბ-ო, უ-**ა**მბ-ია...

ამგვარი ძირის მქონე ზმნებმა წყვეტილი III ყალიბით უნდა იწარმოოს (იხ. § IV. 5.6.3.):

ვ-უ-**ამბ-ე**

უ-**ამბ-ე**

და შესაბამისად III პირის ფორმა უნდა იყოს **უ-ამბ-ა.** მსგავსი ფორმები ხალხურ პოეზიაში დასტურდება:

„დადექ, ნაფოტო, მიამბე მეგობრის შემონათვალი;

დადგა ნაფოტმა **მიამბა...** (ხალხ.). ტექსტი ხიზაბავრაშია ჩაწერილი, თუმცა ძირითადად **ო** სუფიქსიანი ვარიანტია გავრცელებელი: **უამბ-ო.**

შეიძლება ამგვარი ვარაუდის დაშვებაც: **-ო** ფუძისეული **ვ** თანხმოვნის სუბიექტური მესამე პირის **-ა** სუფიქსთან შერწყმის პროდუქტია: **მიამბო** ← **მიამბვა.** შემდეგ მოხდა **ო** სუფიქსთან გააზრება. წყვეტილის **-ე** ფორმანტი და სუბიექტური მესამე პირის **-ო** საყრდენ მორფემად უმარცვლო ძირს ვარაუდობს. ეს გახდა მიზეზი **ამბ** ძირისეული **ა** ხმოვნის არაძირეულად გააზრებისა.

IV. 5.10.8.2. ***ვალ/ ვედ/ დი* ზმნის თავისებურებანი.** წყვეტილის წარმოების ჩვენ მიერ განხილულ ყალიბებში ვერ თავსდება და თავისებურ ვითარებას გვიჩვენებს **ვალ** ზმნა, რომლის შესახებაც საგანგებოდ გვინდა ვიმსჯელოთ.

არის შემთხვევები, როცა ამ თუ იმ ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებულია არაერთი თავისებურება. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ესა თუ ის ზმნა რომელიმე თავისებურებით შეიძლება დადგეს სხვა ზმნის გვერდით, მაგრამ მთლიანობაში უნდა ვისაუბროთ კონკრეტული ზმნის შესახებ. მაგალითისათვის განვიხილავთ **ვალ/ ვედ/ დი** ზმნას.

განსახილველი ზმნა ფუძემონაცვლეა: აწმყოში ძირითადად **დი** ფუძეა გამოყენებული — მივ-დი-ვარ, მი-დი-ხარ, მი-დი-ს (თუმცა მას

შეიძლება შეენაცვლოს I-II პირებში **ვალ**: „მი-ვალ, მიმიხარია...“); მომავალ დროს **ვალ** ფუძე გამოხატავს — მი-ვალ, მი-ხ-ვალ, მი-ვა(ლ-ს); წყვეტილში ვედ/ვიდ ფუძეა გამოყენებული: მი-ვედ-ი, მი-ხვედ-ი, მი-ვიდ-ა.

გავხაზავთ: ეს ერთადერთია ფუძემონაცვლე ზმნათა შორის, რომელსაც სხვადასხვა ფუძე აქვს აწმყო-მყოფადსა (მი-**ვალ**...) და I სერიის დანარჩენ ორ მწკრივში — მი-**ვიდ**-ოდ-ი, მი-**ვიდ**-ოდ-ე...

გარდა ამისა, განსახილველი ზმნა რამდენიმე თავისებურებას ავლენს:

1. **ვედ/ვიდ** ერთადერთი ფუძეა, ერთ-ერთია იმ ორი ზმნიდან, რომლებმაც სუბიექტური მეორე პირის ნიშნად **ხ-** პრეფიქსი შემოგვინახა: მო-**ხ**-ვალ, მო-**ხ**-ვედ(ი), მო-**ხ**-ვიდ-ე.

2. საერთოდ, ზმნის ფუძისეული **ე** ხმოვანი სხვადასხვა ჯგუფის ზმნასთან სხვადასხვაგვარ თვისებას ავლენს: ა) ყველა მწკრივის ფორმებში უცვლელადაა წარმოდგენილი: ვწ**ე**რ-ვწ**ე**რე-მიწ**ე**რია, ვძ**ე**რწავ-ვძ**ე**რწე-მიძ**ე**რწავს... ბ) I სერიის ფორმებში დადასტურებულ **ე** ხმოვანს II სერიის ფორმებში **ი** ხმოვანი ენაცვლება ვდრ**ე**კ-ვდრ**ი**კე, ვგრ**ე**ხ-ვგრ**ი**ხე... გ) ერთი ტიპის ზმნებში ფუძისეული **ე** მხოლოდ წყვეტილის I და II პირის ფორმებშია წარმოდგენილი; იმავე მწკრივის III პირისა და სხვა მწკრივთა ფორმებში ფუძე ნულოვანი გახმოვანებითაა წარმოდგენილი: გავჭ**ე**რი-გაჭ**ე**რი-გაჭრა, ჭრის, გაჭრას... ფუძეში **ე** ხმოვნის შემცველი ყველა ზმნა ზემოწარმოდგენილი სამი ჯგუფიდან რომელიმე ერთ-ერთს მიეკუთვნება. გამონაკლისს ქმნის მხოლოდ **ვედ** ზმნა. **ეს ერთადერთი ფუძეა, სადაც ხმოვანმონაცვლეობა ე/ი ერთი მწკრივის ფორმებში ხდება:** I და II პირის ფორმებში **ე** გახმოვანებითაა წარმოდგენილი, III პირის ფორმაში — **ი** გახმოვანებით:

წა-**ვედ**-(ი)	წა-**ვედ**-ი-თ
წახ-**ვედ**-(ი)	წახ-**ვედ**-ი-თ
წა-**ვიდ**-ა	წა-**ვიდ**-ნენ

ე/ი ხმოვანთმონაცვლეობა ფონეტიკურ ნიადაგზე იხსნება: ხდება ნაწილობრივი რედუქცია (ბ. ჯორბენაძე). ახალ ქართულში ეს ერთადერთი შემთხვევაა I ყალიბის ზმნებთან, როცა საყრდენი მორფემისეული ხმოვანი ამგვარ ცვლილებას განიცდის (ძველ ქართულში **უ** ხმოვნიან ძირეულ მორფემებში მსგავსი შემთხვევები დასტურდება: ვ-თქუ — თქუ-ა, ვ-სუ — სუ-ა...). **ვედ/ვიდ** ზმნა ამ მხრივაც გამონაკლისს ქმნის. გამონაკლისის წესის ფარგლებში მოქცევა დიალექტებმა სცადა: აჭარულსა და იმერხეულში ამ ზმნის პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

(წე)-**ვედ**-ი
(წახ)-**ვედ**-ი
(წე)-**ვდ**-ა

საყრდენი მორფემისეულმა ხმოვანმა სრული რედუქცია განიცადა. შდრ.:

გავ-**ჭერ**-ი
გა-**ჭერ**-ი
გა-**ჭრ**-ა

სხვა ამგვარი შემთხვევა არ დადასტურდა.

3. როგორც ცნობილია, წართქმითი ბრძანებითი მეორე პირისა წყვეტილის ფორმებს იყენებს: **გააკეთე! დაწერე! გაიქეცი...** ძველ ქართულში წყვეტილის II პირის სრული ფორმა გამოიყენებოდა ბრძანებითის გამოსახატავად ამ ზმნასთანაც, რაც ახალ ქართულშიც იჩენს თავს არქაიზმის სახით: „**განვედი** ჩემგან, ჰო, მაცთურო, სულო ბოროტო!“ (ნ. ბარ.); მაგრამ, როგორც მიუთითებენ, ამჟამად ბრძანებითის ძირითადი ფორმაა **გა-დი, წა-დი** (ა. შანიძე).

ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარად იხსნება: „ვედ 1-ლი და მე-2 პირის ფორმებს აწარმოებს (და ბრძანებითისასაც, მაგრამ უკანასკნელი ფორმა ძალიან დაშორებულია პირვანდელს: მო-ვედ → მო-ედ-(ი) → მო-დ(ი)“... (იქვე). ამგვარ ახსნას რამდენიმე წინააღმდეგობა ახლავს:

ა) **მო-დი** ფორმაში **ი** იმავე რიგის ელემენტად გაიაზრება, რაც **მოვ-კალ-(ი)** ტიპის ზმნებთან გვაქვს. I ყალიბის ფორმებში **-ი** ელემენტი ნულთან მონაცვლეა. ახალ ქართულში ეს (ნულთან მონაცვლეობა **-ი** ელემენტისა) სწორედ ბრძანებითის ფორმებში ხდება ძირითადად (იხ. § IV. 5.6.2.). **მოდი** ფორმა ჩვეულებრივ **ი**-ს გარეშე არ გვხვდება. ამ მხრივ ეს **-ი** უფრო მეორე ყალიბის ზმნებთან დამოწმებულ **-ი** ელემენტს ესადაგება, თუ, რა თქმა უნდა, მისი გამონაწევრება საერთოდ შესაძლებელია.

ბ) უფრო არსებითი ხასიათის დაბრკოლებად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ზმნური ფუძის გამარტივებისას ცვეთა, მოკვეცა ჩვეულებრივ ბოლოკიდურ პოზიციას ეხება. მოსალოდნელი იყო სწორედ ამგვარი ცვლილება (შდრ.: წავგრძელდი და **წავე** გრძელად — ვეფხ. რუსთაველი). **ვედ/ ვიდ** ფუძისეული **ვ**-ს დაკარგვის შემთხვევები ძველ ქართულშიც დასტურდება (ი. ქავთარაძე) და ქართულ დიალექტებშიც (ძვ. ქართ.: **მოედ** და შემომიდეგ — ლ. C. 18, 22; კახური, ფშაური: **მოიდა**...), მაგრამ საგულისხმოა ის, რომ **ვ** ყველა შემთხვევაში **მო** ზმნისწინის მომდევნო პოზიციაში უჩინარდება, **ა**-ხმოვნიან ზმნისწინთა

მომდევნოდ შენარჩუნებულია; თუ მაინც დავუშვებთ ამგვარ შესაძლებლობას (**მო** ზმნისწინიან ფორმათა ანალოგიად მივიჩნევთ სხვა ზმნისწინიან ფორმებში **ვ**-ს დაკარგვას), აუხსნელი დაგვრჩება **მო-ედ-(ი)** ფორმაში **ე**-ს დაკარგვა — საამისო ფონეტიკური საფუძველი არა ჩანს. ამდენად, ეჭვქვეშ დგება ამგვარი ვარაუდის დაშვება.

ბრძანებითის ფორმებში დამოწმებული **დი** მასალობრივად იგივეა, რაც აწმყოს წრის მწკრივთა ფორმებში წარმოდგენილი ფუძე — მივ-**დი**-ვარ / მი-**დი**-ს. მაგრამ ნიშნავს კი მასალობრივად მსგავსება გენეტურ იგივეობას? საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმავე აწმყოში **დი** ფუძის პარალელურად მყოფადისათვის ჩვეულებრივ **ვალ** (წა-ვალ) ფუძეც გამოიყენება: **მივალ-მიხვალ-მივა.** როგორც ჩანს, **ფუძეთა გადანაწილების პროცესი გრძელდება,** რაც თავისთავად საინტერესოა. ბრძანებითის მეორე პირისა და აწმყოს ფორმათა ფუძეების იდენტურობაზე გადაჭრით რაიმეს თქმას ისიც აძნელებს, რომ არა გვაქვს სხვა შემთხვევა ბრძანებითში აწმყოს ფუძის გამოყენებისა.

4. როგორც ქვევით ვნახავთ, ბრძანებითის ფორმებში ფუძეთა ცვეთა, ბოლოკიდურის მოკვეცა ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. **ვედ/ ვიდ** ზმნა აქაც თავისებურია: ერთადერთი შემთხვევაა, როცა ზმნისწინი ზმნური ფორმის ფუნქციით გამოდის: **წა** (← წადი), **გა** (←გადი), **მო** (←მოდი)... ამგვარი ფაქტები, თუმცა იშვიათად, მაგრამ ძველ ქართულშიც დასტურდება:

ხოლო აწ **მო** და მივიდეთ მისა (ი. ჩ. II, 15).

5. **ვედ/ვიდ** ძირითადი ფუძეა წყვეტილისათვის, თუმცა მის პარალელურად I და II პირის ფორმებში **ველ** ფუძეც გამოიყენება: მოველ, მოხველ. ფაქტი ძველსავე ქართულში იღებს სათავეს. მიუთითებენ, რომ **ედ/ იდ, ელ** დამოუკიდებელი ზმნური აფიქსებია (იქვე). **ვედ** და **ველ** ერთი მნიშვნელობის დიალექტური წარმონაქმნებია (ი. ქავთარაძე).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **ველ** ფუძე მხოლოდ I და II პირისათვისაა გამოყენებული, პარადიგმის მესამე წევრი **ვიდ** ფუძითაა წარმოდგენილი:

მო-**ველ**
მო-**ხ-ველ**
მო-**ვიდ**-ა

ვფიქრობთ, შესაძლოა იმ ვარაუდის დაშვება, რომ ამ შემთხვევაში წყვეტილის I და II პირის **ვედ** ფუძე I სერიის **ვალ** ფუძის ანალოგიით **ველ** ვარიანტად წარმოგვიდგა. მესამე პირის ფორმაში **ვიდ** ფუ-

ძის არსებობა ამის ხელშესახებ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. შდრ.: დავ-**წექ** და და-**წექ** მაგრამ და-**წვ**-ა, დავ-**ჯექ**, და-**ჯექ**, მაგრამ და-**ჯდ**-ა; ანალოგიას **ავდექ-ადექ-ადგა** ზმნისას მხოლოდ I და II პირის ფორმები დაექვემდებარა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ თავისებურებათა აღწერა ხერხდება, ახსნა ჭირს.

IV. 5.10.9. ანალოგიისათვის

ანალოგია გულისხმობს ერთი ტიპის ფორმათა გავლენით („მიბაძვით“) სხვა ტიპის ფორმათა გაჩენას. ანალოგიად განიხილავენ ასეთ ფაქტებს: ისტორიულად **თბება** ტიპის ზმნათა წყვეტილის პარადიგმა ამ სახის იყო:

გან-ვ-ტეფ,
გან-ს-ტეფ,
გან-ტფ-ა...

ახალ ქართულში პარადიგმამ ასეთი სახე მიიღო:

გა-ვ-თბ-ი,
გა-თბ-ი,
გა-თბ-ა...

ფიქრობენ, რომ I-II პირის ფორმაში ფუძე მესამე პირის ფორმის ანალოგიით შეიკუმშაო (უფრო სწორად, შეკუმშული ფუძე გავრცელდა I-II პირშიც)... ასევე ფიქრობენ, რომ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის **ია** დაბოლოებიანი ფორმები **გამიკეთებია** ტიპის ზმნათა ანალოგიით გაჩნდაო...

ამგვარ შემთხვევებში მოვლენას მარტივად ხსნიან: შედარებით იშვიათი ფორმები შედარებით მრავალრიცხოვან ფორმათა ანალოგიით იცვლის სახეს; ხდება ფორმათა უნიფიკაცია. საეჭვო არის ამგვარი ახსნა. მაგალითისათვის: წყვეტილის ორგვარი წარმოებიდან (**მო-ვ-კალ — და-ვ-წერ-ე**) ინგილოური დიალექტის ერთ კილოკავში უნიფიცირდება -ე სუფიქსიანი წარმოება (მო-ვ-კალ-ე...), მეორეში — -ი სუფქსიანი წარმოება (და-ვ-წერ-ი...); არადა -ე სუფიქსიანი წყვეტილი რაოდენობრივად გაცილებით ჭარბობს **-ი** სუფიქსიანებს. როგორც ჩანს, ამგვარ შემთხვევებში სისტემურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე — ყალიბთა მონაცვლეობასთან. მიზეზი სისტემური ცვლის საფუძვლებში უნდა ვეძიოთ...

როგორც ირკვევა, ზემოდასახელებულ შემთხვევებში (**თბება** ტიპის ზმნათა თუ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითში) **საქმე სისტემურ ცვლილებებთან გვაქვს და არა ანალოგიასთან**.

თუმცა ანალოგიის პროცესი ენაში რეალურად მოქმედებს.

ანალოგიის ტიპიურ მაგალითად განიხილება მდგომარეობის გამომხატველ ზმნათა წყვეტილის I-II პირის ფორმები.

ა-ვ-დექ ← ა-ვ-დეგ
ა-დექ ← ა-დეგ
ა-დგ-ა

აბსოლუტურ ბოლოში I და II პირის ფორმებში მოხდა მჟღერი თანხმოვნის დაყრუება. ეს კანონზომიერი პროცესია ზეპირმეტყველებაში. ყრუ ვარიანტი იქცა ლიტერატურულ ფორმად. სწორედ ამ ფორმათა ანალოგიით **ქ** თანხმოვანი გაჩნდა **ჯედ** და **წევ** ძირის ზმნათა წყვეტილის I-II პირის ფორმებში:

და-ვ-ჯექ, და-ვ-წექ
და-ჯექ, და-წექ
და-ჯდ-ა, და-წვ-ა

სწორედ ანალოგია ამ შემთხვევაში აშკარაა. სხვა ახსნა არ არსებობს.

კითხვები კი მაინც რჩება: რატომ **დეგ** ზმნის ანალოგიით შეიცვალა **ჯედ** და **წევ** ზმნათა I-II პირის ფორმები და არა პირიქით?... და სხვა...

ასე რომ, ანალოგიის პროცესი რეალური ფაქტია, თუმცა ზოგჯერ საფრთხილოა ამგვარი დასკვნის გაკეთება...

* * *

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ზოგიერთ ტიპურ გამონაკლისზე. თავის დროზე პლატონ იოსელიანმა თქვა: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი“; ცხადია, შეფასება გადაჭარბებულია, მაგრამ გარკვეულწილად დღესაც არ კარგავს აზრს. თუმცა არც მოხერხდება ალბათ ყველა ტიპის გამონაკლისისა თუ თავისებურებების სრულყოფილი ანალიზი და მათი ერთ წიგნში წარმოდგენა. სწორედ ამიტომ იყო, ა. შანიძემ „ქართული გრამატიკის საფუძვლებს“ საკმაოდ ვრცელი ნაწილი დაურთო „თავისებური ზმნები ანბანის რიგზე“. მოტივაცია ასეთია: „აქამომდე ზმნათა თავისებურებათ ვიხილავდით გარკვე-

ულ ნიშანთა მიხედვით, რის გამოც ერთგვარ მოვლენათა მქონე ზმნები ერთად იყრიდა თავს და ზმნების განხილვა ხდებოდა ჯგუფ-ჯგუფად. მაგრამ ზმნას შეიძლება რამდენიმე თავისებურება ჰქონდეს და ერთი რომელიმე თავისებური ნიშნის გამო ერთ ჯგუფში შედიოდეს, მეორის მიხედვით — კიდევ სხვაში, ამიტომ აუცილებელია, თავისებური ზმნები ანბანის რიგზე გავაწყოთ“. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არც ამ სიით ამოიწურება თავისებურებანი ქართული ზმნისა. თითოეული ზმნისა თუ ზმნათა ჯგუფის თავისებურება შეიძლება დამოუკიდებელი კვლევის საგნად იქცეს. ეს მომავლისა და მომავალი თაობების საქმეა.

ძირითადი ლიტერატურა

აბესაძე ნ. გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თბ., 1960.

აბესაძე ნ. პირის (ადამიანის) სახელთა ბრუნება ძველსა და ახალ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

აბულაძე ი. ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-IX ს-ის ძეგლების მიხედვით: თსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954.

აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ანდღულაძე ნ. კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1965.

ანტონ I ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონი I-ის მიერ, თბ., 1885.

არაბული ა. ძველი ქართულის ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის მორფემული ანალიზი: სმამ, 96, №1, თბ., 1979.

არაბული ა. რელატიური გარდაუვალი ზმნების დრო-კილოთა III ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის ძველ ქართულში: სმამ, 96, №2, თბ., 1979.

არაბული ა. სპორადულად გამოვლენილ III პირის -ნ-დ, -ენ-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

არაბული ა. -იე დაბოლოების საკითხი I თურმეობითში: სმამ, 97, №3, თბ., 1980.

არაბული ა. -ია დაბოლოებისა და მეშველზმნიან ფორმათა საკითხი პირველ თურმეობითში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.

არაბული ა. ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: ქართული ზმნის ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1984.

არაბული ა. მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984.

არაბული ა. ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, თბ., 1992.

არაბული ა. ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, I, თბ., 1999.

არაბული ა. ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.

არაბული ა. ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა. კვლავ ზმნური სუპლეტივიზმის ერთი უძველესი მოვლენისათვის ქართულში: იკე, XXXVI, თბ., 2008.

ასათიანი რ. მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, თბ., 1982.

ასათიანი რ. ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ., 1987.

ასათიანი რ. კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბ.,1989.

ასათიანი რ. გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში: ტიპოლოგიური ძიებანი, თბ., 1990.

ასათიანი რ. ერგატივი, როგორც პაციენსის გრამატიკული აქტუალიზაციის ერთ-ერთი საშუალება: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბ., 1991.

ასათიანი რ. ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), თბ., 1994.

აფრიდონიძე შ. ერგატიული და ფსევდოერგატიული კონსტრუქციების შემქმნელი გარდაუვალი ზმნების მორფოსინტაქსის საკითხები: არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

ახვლედიანი გ. „სა-ო“ და „ური“-ს მნიშვნელობა: ჩვენი მეცნიერება, 2-3, ტფ., 1923.

ბაბუნაშვილი ე. მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956.

ბაბუნაშვილი ე. ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

ბაბუნაშვილი ე. საშუალი გვარის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში: თსუ შრომები, ენათმეცნიერება, 10, თბ., 1986.

ბაბუნაშვილი ე. II თურმეობითის სემანტიკასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995.

ბაბუნაშვილი ე. III კავშირებითის სემანტიკის დაზუსტებისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ბაგრატიონ-დავითაშვილი ნ. პირთა კომბინაციების შედეგად გამოვლენილი ზოგი თავისებურება ორპირიან ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, თბ., 2006.

ბარამიძე ლ. ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964.

ბარამიძე ლ. ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ., 2008.

ბარამიძე ლ. ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 2009.

ბარამიძე ლ. ვნებითის სხვადასხვა წარმოების მონაცვლეობისათვის ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27, თბ., 1988.

ბარამიძე ლ. სტატიკური ვნებითები ძველ ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბ., 2000.

ბერიძე მარ. თემის ნიშნები ქართული ენის მესხურ დიალექტში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

ბერიძე მარ. კავშირებითის წარმოების ერთი თავისებურებისათვის მესხურში: საენათმეცნიერო ძიებანი, III, თბ., 1983.

ბერიძე მარ. სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფისა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოების საკითხისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998.

ბუიძე დ. კოორდინაციული სისტემის დინამიკა ქართულში ობიექტთა მიხედვით: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ბურჭულაძე გ. სახელიანობა და პირიანობა ზმნისა: იკე, XXII, თბ., 1980.

გაბუნია კ. ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბ., 1993.

გაბუნია კ. აღდგება თუ არა ზმნური ტიპის ნომინატიური სისტემა ქართველურ ფუძე ენაში?: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

გაბუნია კ. ქვემდებარის ბრუნვათა გენეზისისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997.

გაბუნია კ. მწკრივი და ნაკვთი (ზმნის მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიების გამიჯვნისათვის ქართულში): კრებ. ბესარიონ ჯორბენაძეს, თბ., 2003.

გაბუნია კ. ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში, თბ., 2007.

გაიოზ რექტორი ქართული ღრამმატიკა: ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ე. ნიკოლაიშვილმა, თბ., 1970.

გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გამყრელიძე თ. ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“: საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1979.

გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

გეგეშიძე ი. „მოდალობა“, „ზმნის კილო“ და „წინადადების რაგვარობა“ ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში: იკე, XXXV, თბ., 2005.

გეგუჩაძე ლ. დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, B3 (142), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, თბ., 1972.

გეგუჩაძე ლ. მწკრივის ფორმათა სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 2, თბ.,1978.

გეგუჩაძე ლ. მყოფადის მნიშვნელობისათვის ქართულში (ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა მასალაზე): ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

გეგუჩაძე ლ. მწკრივთა შესაძლო თანამიმდევრობისათვის ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში: საენათმეცნიერო ძიებანი, III, თბ.,1983.

გეგუჩაძე ლ. ნაკვთთა დროულ მნიშვნელობათათვის ქართულში: ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1984.

გეგუჩაძე ლ. ერთი ტიპის ზმნათა გარდამავლობისა და გვარის საკითხისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997.

გეგუჩაძე ლ. მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, თბ., 2005.

გეწაძე დ. სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 17, ქუთ., 1957.

გვენცაძე ალ. ქართული ენის რიცხვითი სახელი, თბ., 1972.

გიგაშვილი ჭ. თემის ნიშანთა და ზმნისწინთა ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XVII, თბ., 2004.

გიგინეიშვილი ბ. კაუზატივის ფუნქციადაკარგული სუფიქსი ზმნათა ერთ წყებასთან ძველ ქართულში: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IX, თბ., 1981.

გიგინეიშვილი ბ. სტატიკურობა-დინამიკურობის სემანტიკური და მორფოლოგიური მახასიათებელი ძველ ქართულში: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIV, თბ., 1987.

გოგოლაშვილი გ. დრო-კილითა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984.

გოგოლაშვილი გ. ავ ელემენტიან მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

გოგოლაშვილი გ. II კავშირებითის ფორმათა წარმოების საკითხი: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. VI, თბ., 1984,

გოგოლაშვილი გ. ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოგოლაშვილი გ. სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში: ქართ. ენა და ლიტერატურა სკოლაში, 3, თბ., 1975.

გოგოლაშვილი გ. ვინის საკითხისათვის ევ სუფიქსიან ზმნათა ფორმებში: სმამ, ტ. 88, 2, თბ., 1977.

გოგოლაშვილი გ. ნამყო ძირითადის წარმოება ახალ ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ., 1980.

გოგოლაშვილი გ. სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში: ქესს, ტ. V, თბ., 1981.

გოგოლაშვილი გ. ნამყოს სახეობათა წარმოების ერთგვაროვანი პრინციპისათვის ძველ ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბ., 1985.

გოგოლაშვილი გ. დრო-კილოთა III სერიაში მომხდარ ფორმობრივ ცვლილებათა შესახებ: ვ. თოფურია — 100, თბ., 2001.

გოგოლაშვილი გ. სტატიკურ ზმნათა მეშველზმნიანი ფორმების თაობაზე: ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, თბ., 2005.

გოგოლაშვილი გ. თემის ნიშანთან დაკავშირებული ზოგი საკითხი საშუალო გვარის ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XX, თბ., 2005.

გოგოლაშვილი გ. თემის ნიშანთან დაკავშირებული ზოგი საკითხი საშუალი გვარის ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XX, თბ., 2005.

გოგოლაშვილი გ. ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა), თბ., 2009.

გოგოლაშვილი გ. ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), თბ., 2010.

გოგოლაშვილი გ. კვანტალიანი ც. შენგელია დ. ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1989.

გოგოლაშვილი გ. კვანტალიანი ც. შენგელია დ. ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1991.

გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ. ქართული ზმნური სისტემის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი და მისი პრაქტიკული ღირებულება: საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, თბ., 2006.

გურგენიძე ტ. მრავლობითი რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელთა აგების თეორიული საფუძვლები: საენათმეცნიერო ძიებანი, XXII, თბ., 2006.

გურგენიძე ტ. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ქართველურ ენებში: იკე, XXXVII, თბ., 2009.

დათუკიშვილი ჭ. ვნებითის ყალიბის მქონე სტატიკური ფორმები ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

დათუკიშვილი ჭ. ზმნური კატეგორიების კლასიფიკაცია უღლების სისტემასთან მიმართებით: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998.

დათუკიშვილი ჭ. პირის ნიშანთა სისტემა ქართულში: ზურაბ ჭუმბურიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1997.

დამენია მ. ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982.

დამენია მ. ნათესაობითბრუნვიან სახელთა ზმნასთან შეწყობის შემთხვევები ქართულში: ტიპოლოგიური ძიებანი, IV, თბ., 2000.

დანელია კ. ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.

დანელია კ. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თბ., 1998.

დანელია ნ. დონიანი ვნებითის წარმოებისა და ფუნქციისათვის „ვეფხისტყაოსანში", საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

დოდაშვილი კ. საგრამატიკო ესკიზი: „ივერია", № 214-217, 219, 220, 222, ტფ., 1887.

დოდაშვილი კ. ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა: „მოამბე", №4, 6, ტფ., 1894.

დოდაშვილი ს. შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, გამოცემული სოლომონ დოდაევისა მიერ, ტფ., 1830.

დონდუა კ. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: ენიმკის მოამბე, 5-6, თბ., 1940.

ეზუგბაია ლ. უღლების პარადიგმატული ტიპები მეგრულში: ქესს, X, თბ., 2009.

ეზუგბაია ლ. მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები, თბ., 2010.

ენუქაშვილი რ. აღწერითი ზმნები ახალ ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბ., 1975.

ენუქაშვილი რ. სამუალი გვარის ზმნათა პირიანობისათვის ძველ ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27, თბ., 1988.

ერთელიშვილი ფ. რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს: თსუ შრომები, ტ. 61, თბ., 1956.

ერთელიშვილი ფ. მიმღეობის ერთი ტიპი ქართულში: თსუ შრომები, 71, თბ., 1959.

ერთელიშვილი ფ. დ||ნ(ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისი: თსუ შრომები, ტ. 93, თბ., 1960.

ერთელიშვილი ფ. ქცევის საკითხისათვის ქართულში: თსუ შრომები, 114, ფილოლოგიის მეცნიერებათა სერია, თბ., 1965.

ერთელიშვილი ფ. ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ. 1970.

ერთელიშვილი ფ. სახელური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1980.

ვეშაპიძე ი. ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.

ზურაბიშვილი თ. ემფატიკური -ა ახალ ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ზურაბიშვილი თ. ხარისხი ქართველურ ენებში: თსუ შრომები, 67, თბ., 1957.

ზურაბიშვილი თ. ნა-ევ და ნა- აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. I, თბ., 1972.

ზურაბიშვილი თ. ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა საკითხისათვის: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. IX, თბ., 1989.

თანდაშვილი მ. ქართული ზმნის ეგოცენტრული ბუნებისათვის, II, ზმნურ ტიპთა დეფინიციისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998.

თაყაიშვილი ა. კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.

თევზაძე ჭ. რთული ზმნები ძველ ქართულში, პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის შრომები, 13, თბ., 1959.

თოფურია ვ. გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: ჩვენი მეცნიერება, 11-12, ტფ., 1924.

თოფურია ვ. ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში: თსუ მოამბე, 6, ტფ., 1926.

თოფურია ვ. ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი: ახალი სკოლისაკენ, 7-8, ტფ., 1929.

თოფურია ვ. მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში 1: ახალი სკოლა, 11-12, ტფ., 1929.

თოფურია ვ. ქართული ენა, განაკვ. I, ტფ., 1932.

თოფურია ვ. ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის: ტფილ. უნივერსიტეტის შრომები, 3, ტფ., 1936.

თოფურია ვ. ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937.

თოფურია ვ. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. I. ნე-,ნი, ნა- პრეფიქსებისათვის: თსუ შრომები, 15, თბ., 1940.

თოფურია ვ. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. III. **-ენ, მ- — -არ, სე-, -აჭა** აფიქსებისათვის: თსუ შრომები, 15, თბ., 1940.

თოფურია ვ. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II. **-ედ, -ურ, რ-** აფიქსებისათვის: ენიმკის მოამბე, 5-6, თბ., 1940.

თოფურია ვ. ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: სმამ, 2, თბ., 1941.

თოფურია ვ. მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: სმამ, ტ. III, 9, თბ., 1942.

თოფურია ვ. ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: სმამ, 5, თბ., 1944.

თოფურია ვ. რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იკე, I, თბ., 1946.

თოფურია ვ. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, V, კნინობითი ქართველურ ენებში: საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის სამეც. სესია, მე-3, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1946.

თოფურია ვ. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. IV. ხმოვანთავსართოვანი სახელები: თსუ შრომები, ტ. 30-b—31-b, თბ., 1947.

თოფურია ვ. ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იკე, V, თბ., 1953.

თოფურია ვ. გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: იკე, VI, თბ., 1954.

თოფურია ვ. ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისთვის ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.

თოფურია ვ. მწკრივის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1956, 22-27 ნოემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1956.

თოფურია ვ. მე, -ვე, -ღა, -ღაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება (ვ. თოფურიას მოხსენების მიხედვით): სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

თოფურია ვ. წოდებითი ბრუნვისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

თოფურია ვ. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში (თეზისები): სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

თოფურია ვ. გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერმოქმედება: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

თოფურია ვ. ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

თოფურია ვ. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: VI. კომპოზიტები: ქესს, I, თბ., 1959.

თოფურია ვ. ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ, 1965.

თოფურია ვ. წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში: სმამ, ტ. 38, თბ., 1965.

თოფურია გ. სიტყვაწარმოების ერთი მოდელის შესახებ ქართულში (-უ სუფიქსი): ზურაბ ჭუმბურიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1997.

თოფურია გ., გიგინეიშვილი ივ. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

ივანიშვილი მ., სოსელია ე. ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფოსინტაქსური და სემანტიკური თავისებურება ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბ., 2002.

იმნაიშვილი დ. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იკე, IV, თბ., 1953.

იმნაიშვილი გრ. ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან: იკე, XXII, თბ.,1980.

იმნაიშვილი გრ. ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან: იკე, XXXI, თბ.,1992.

იმნაიშვილი ი. წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

იმნაიშვილი ი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

იმნაიშვილი ი. ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძვ. ქართულში: თსუ ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბ., 1968.

იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ. ზმნა ძველ ქართულში, მაინის ფრანკფურტი, 1996.

იმნაიშვილი ვ. სამპირიანი გარდაუვალი ზმნები: ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბ., 2007.

იოსელიანი პ. პირუფლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატისა-ძის იოსელიანისა მიერ, ტფ., 1881.

კალანდაძე ვ. *ავადმყოფობს* და *შეურაცხყოფს* ტიპის ზმნათა მართლწერისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 3, თბ., 1978.

კარიჭაშვილი დ. ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, თბ., 1929.

კახაძე ო. -ა-ზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში: იკე, V, თბ., 1953.

კეკელიძე კ. -ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში: ეტიუდები ძვ. ქართ ლიტ. ისტ., 3, თბ., 1955.

კეკელიძე კ. „ეთ“ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში: ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიაში, III, თბ., 1955.

კვანტალიანი ც. ზმნისწინის ნეიტრალური ფუნქციისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998.

კვანტალიანი ც. ზმნისწინი და ქცევის ფორმათა წარმოების საკითხები: საენათმეცნიერო ძიებანი, 8, თბ., 1999.

კვანტალიანი ც. ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი ფუნქცია ერთი და იმავე ზმნური ძირის ზმნურ და სახელზმნურ ფორმებში: საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999.

კვანტალიანი ც. მი- და მო- ზმნისწინთა ერთი ფუნქციისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000.

კვანტალიანი ც. და- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება: საენათმეცნიერო ძიებანი, XVII, თბ., 2004.

კვაჭაძე ლ. ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.

კვიცარიძე პ. ქართული სწორმეტყველება, საშინჯი სახელმძღვანელო: პირველი წიგნი, შედგენილი პ. კვიცარიძის მიერ, ტფ., 1888.

კიზირია ანტ. სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1, თბ.,1956.

კიზირია ანტ. ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

კიზირია ანტ. ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან (ვ. თოფურიას მოხსენების მიხედვით): სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

კიზირია ანტ. სახელობითისა და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

კიზირია ანტ. ქართული ენა (პრაქტიკუმი), თბ., 1974.

კიზირია ანტ. კომპოზიტი ახალ ქართულში: ქესს, V, თბ., 1981.

კიკნაძე ლ. ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში: თსუ შრომები, ტ. 28, თბ., 1946.

კიკნაძე ლ. უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, VII, თბ., 1961.

კობაიძე მ. ბრძანებითი კილო მთიულურ ტექსტებში: საენათმეცნიერო ძიებანი, III, თბ., 1983.

კობახიძე ა. კნინობითის წარმოება რაჭულში: იკე, XIII, თბ., 1962.

კოტინოვი ნ. კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986.

ლეჟავა ლ. სახელი ანტონ პირველის გრამატიკაში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ლოლაძე ნ. ე- პრეფიქსიანი პასივი ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ლოლაძე ნ. ნასახელარ ზმნათა მოდელები თანამედროვე ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998.

ლოლაძე ნ. გრძნობა-აღქმის ზმნები ქართულში: იკე, XXXV, თბ., 2005.

ლოლაძე ნ. არსებობისა და ქონა-ყოლის ზმნათა მიმართებისათვის: ქესს, IX, თბ., 2005.

ლომთათიძე ქ. გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში: ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942.

ლომთათიძე ქ. „თბება“ ტიპის ზმნების ისტორიისათვის ქართულში: იკე, IV, თბ., 1952.

ლომთათიძე ქ. ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში: იკე, V, თბ., 1953.

ლომთათიძე ქ. გვარის კატეგორიის საკითხისათვის აფხაზურ ზმნაში: იკე, VIII, თბ., 1956.

ლომთათიძე ქ. ქცევის კატეგორია ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში: იკეწ, III, თბ., 1976.

ლომთათიძე ქ. პოტენციალისის კატეგორია ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში: იკეწ, III, თბ., 1976.

ლომთათიძე ქ. ნათესაობის აღმნიშვნელი ძირითადი ლექსიკა აფხაზურ-ადიღეურ ენებში: იკე, XXXI, თბ., 1992.

მამარდაშვილი თ. მიმღეობის წარმოების ისტორიისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, თბ., 2006.

მანჯგალაძე ა. -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში: იკე, V, თბ., 1953.

მანჯგალაძე ა. ზოგი წარმოქმნილი სახელის ანალიზი ქართულში: სოხუმის პედ. ინ-სტიტ. შრ., 7, სოხუმი, 1955.

მანჯგალაძე ა. -ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

მანჯგალაძე მ. ზმნისწინთა ფაკულტატიური დანიშნულებისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

მანჯგალაძე მ. ზმნისწინისა და ვერსიის ურთიერთმიმართებისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, თბ., 1999.

მანჯგალაძე მ., უთურაიძე თ., სხირტლაძე რ., ტეტელოშვილი თ. ქართული ენის სახელის ფლექსიური ანალიზისათვის: კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007.

მანჯგალაძე მ., უთურგაიძე თ. სახელთა ფუძეების კუმშვა-უკუმშველობისათვის ქართულში (არსებით სახელთა მოდელირების საკითხისათვის). უკუმშველი ფუძეები: ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები, თბ., 2011.

მარტიროსოვი ა. თანდებული ქართულში: იკე, I, თბ., 1946.

მარტიროსოვი ა. ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, თბ., 1953.

მარტიროსოვი ა. წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იკე, VIII, თბ., 1956.

მარტიროსოვი ა. აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში: იკე, IX-X, თბ., 1958.

მარტიროსოვი ა. სუფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთი ჯგუფი ძველ ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, I, თბ., 1970.

მარტიროსოვი ა. ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

მაჭავარიანი გ. „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში: ქესს, I, თბ., 1959.

მაჭავარიანი გ., ნებიერიძე გ. მორფოლოგია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, თბ., 1972.

მაჭავარიანი გ. ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, თბ., 1973.

მაჭავარიანი გ. ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქესს, IV, თბ., 1974.

მაჭავარიანი დ. ერთი ახალი სიტყვაწარმოებითი აფიქსი ქართულში: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, ქუთაისი, 1951.

მაჭავარიანი დ. -ივ სუფიქსის ისტორიისათვის: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, ქუთაისი, 1957.

მაჭავარიანი მ. მოქმედების, პროცესის და მდგომარეობის ცნებების განსაზღვრისათვის: თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბ., 1981.

მაჭავარიანი მ. ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987.

მაჭავარიანი მ. დ. ჰოლისკი — ასპექტი და მედიალური ზმნები ქართულ ენაში: იკეწ, XVI, თბ., 1989.

მაჭავარიანი ნ. კაუზატივის კატეგორიის აფიქსები ქართულსა და აფხაზურში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ., 1987.

მახარობლიძე თ. პირიანობა და ვალენტობა: საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII, თბ., 2005.

მახარობლიძე თ. ქცევის კატეგორიის თავისებურებანი: საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, თბ., 2006.

მახარობლიძე თ. ბასკური და ქართველური დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია, თბ., 2007.

მელიქიშვილი დ. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, თბ., 1977.

მელიქიშვილი დ. „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 4, თბ.,1978.

მელიქიშვილი დ. მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1979.

მელიქიშვილი დ. პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1986.

მელიქიშვილი დ. ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით: არნ. ჩიქობავას 100 წლისთავისადმი მიძღვ. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

მელიქიშვილი დ. ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი დ. დიათეზისა და გვარის ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში: შოთა ძიძიგური-90, თბ., 2002.

მელიქიშვილი დ. ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპისათვის: ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბ., 2008.

მელიქიშვილი ი., ასათიანი რ. პოსესივი, პერფექტი და მეორეული ერგატივი: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ., 1988.

მელიქიშვილი ი. ზმნურ ფორმათა I, II და III სერიის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში: სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 4, თბ., 1998.

მელიქიშვილი ი. ქცევა, როგორც ასპექტური დაპირისპირების გამოხატვის საშუალება ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბ., 2002.

მიქაძე მ. მეორე სუბიექტური პირის გამოხატვა თანამედროვე ქართულ ენაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, თბ., 2006.

მიქაძე მ. მესამე სუბიექტური პირის გამოხატვა ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, თბ., 2007.

მიქელაძე მ. მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

მიქელაძე მ. წოვა-თუშური ენის სახელთა მორფოლოგია, თბ., 2011.

ნათაძე ნ. მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.

ნათაძე ნ. მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქესს, 11, თბ.,1961.

ნებიერიძე გ. გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში: საენათმეცნიერო კრებული, 1, თბ., 1984.

ნებიერიძე გ. ქვევის კატეგორია ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 6, თბ., 1976.

ნიკოლაიშვილი ე. გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა: გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970.

ნიკოლაიშვილი მ. გვარის კატეგორიისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, თბ., 2004.

ნოზაძე ლ. ინ-ენიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში: იკე, IX-X, თბ., 1958.

ნოზაძე ლ. პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.

ნოზაძე ლ. მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974.

ნოზაძე ლ. მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და ქეგლ-ი: საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბ., 2003.

ნოზაძე ლ. ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში: იკე, XXXV, თბ., 2005.

ნოზაძე ლ. ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 2008.

ონიანი ა. ქართული იდიომები, თბ., 1966.

ონიანი ა. ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

ონიანი ა. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.

ონიანი ა. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

ონიანი ა. ორიენტაციის კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბ., 2001.

ოსიძე ე. მიმღეობის წარმოება ქართულში: თსუ შრომები, ტ 67, თბ.,1957.

ოსიძე ე. ღაღად-ყო ტიპის ზმნები ძველ ქართულში: იკე 12, თბ., 1960.

ოსიძე ე. ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში: ქესს, III, თბ., 1963.

პაპიძე ა. ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1, თბ., 1974.

პაპიძე ა. III კავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1979.

პაპიძე ა. II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. IV, თბ., 1981.

ჟორდანია თ. ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი): თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, ტფ., 1889.

როგავა გ. კუთვნილებითი აფიქსი **ი** ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში): სმამ III, № 5, თბ., 1942.

როგავა გ. აორისტისა და კავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: სმამ, VI, № 8, თბ., 1945.

როგავა გ. დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში: იკე, V, თბ., 1953.

როგავა გ. ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში: იკე, XIII, 1962.

როგავა გ. მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში: იკე, XVI, თბ., 1968.

როგავა გ. ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: იკეწ, II, თბ., 1975.

საბაშვილი ბ. სახელი დიმიტრი ყიფიანის გრამატიკაში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956.

საბაშვილი ბ. -ნ-არიანი და -ებ-იანი მრავლობითი "ვეფხისტყაოსანსა" და აღორძინების პერიოდის ქართულში (თეზისები): სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

სარჯველაძე ზ. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

საღლიანი მ. პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში, თბ., 2011.

სომხიშვილი ვ. ასპექტის წარმოების ზოგიერთი თავისებურებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლურში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.

სუხიშვილი მ. სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.

სუხიშვილი მ. მყოფადის წარმოება და სტატიკურ ზმნათა პარადიგმა ქართულში: იკე, XX, თბ.,1978.

სუხიშვილი მ. მოქმედებითი და ვნებითი გვარის წარმოებისა და სემანტიკის ზოგიერთი საკითხი ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

სუხიშვილი მ. სუფიქსიან ვნებითთა წარმოების ზოგი საკითხისათვის ქართულში: იკე, XXII, თბ., 1980.

სუხიშვილი მ. გარდაუვალ უგვარო ზმნათა სემანტიკისათვის თანამედროვე ქართულში: ქესს, V, თბ., 1981.

სუხიშვილი მ. „ანუკამ ილანძღა და იგინა“ თუ „ანუკა ილანძღა და იგინა“: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბ.,1981.

სუხიშვილი მ. გარდამავალი ზმნები ქართულში, სისტემისა და ისტორიის ზოგი საკითხი, თბ., 1986.

სუხიშვილი მ. უახლოესი ობიექტის გამოტოვება მეგრული გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში: მაცნე, 2, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1988.

სუხიშვილი მ. ერგატიულობის პრინციპი ქართულში: იკე, XXXIV, თბ., 1999.

სუხიშვილი მ. სემანტიკისა და უღვლილების პარადიგმის მიმართების შესახებ მედიოაქტიურ ზმნებში: იკე, XXXV, თბ., 2005.

სუხიშვილი მ. მედიოაქტივთა საქცეო სისტემის საოპოზიციო ცალების ზოგიერთი გრამატიკული და სემანტიკური თავისებურების შესახებ: იკე, XXXVI, თბ., 2008.

სუხიშვილი მ. გარდამავლობის საკითხი რთულ ზმნებში (ძველი ქართულის მიხედვით): ქესს, X, თბ., 2009.

სუხიშვილი მ. პასიური და საურთიერთო სემანტიკა გარდამავალი ზმნის -ე პრეფიქსიან მოდელში: იკე, XXXIX, 2011.

ტეტელოშვილი თ. ასპექტის გამოხატვისათვის ქართული ენის საშუალი გვარის ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, თბ., 2006.

ტუსკია მ. სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბ., 2004.

ტუსკია მ. სახელური და სახელზმნური სიტყვაწარმოება ქართულში, თბ., 2010.

უთურგაიძე თ. გავრცობის ხმოვანი ქართულში: ქართული ენა (წერილების კრებული), თბ., 1984.

უთურგაიძე თ. ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

უთურგაიძე თ. ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

უთურგაიძე თ. გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

უთურგაიძე თ. ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ სივრცეში, თბ., 2009.

ფეიქრიშვილი ჟ. ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ფენრიხი ჰ. მორფოლოგიურ-სინტაქსური გადაჯაჭვა ქართულში: თსუ გ. ახვლედიანს, თბ., 1969.

ფოგტი ჰ. ბრუნვათა სისტემა ძვ. ქართულში: მიმომხილველი, 45, თბ., 1968.

ფოჩხუა ბ. მრავლობითობის **ნ**არიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.

ფოცხიშვილი ა. მარცვალღიაობის **ა** ახალ ქართულში: კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1959.

ფოცხიშვილი ა. ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.

ფხაკაძე დ. II თურმეობითის ერთი ფუნქციის შესახებ ახალ ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999.

ფხაკაძე დ. I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბ., 1984.

ქავთარაძე ი. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

ქავთარაძე ი. დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.

ქავთარაძე ი. უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში: იკე, VIII, თბ., 1956.

ქავთარაძე ი. ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელზმნის წარმოების თავისებურება ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ. მოამბე, თბ.,1960.

ქავთარაძე ი. ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქესს, ტ. II, თბ., 1961.

ქავთარაძე ი. ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიისათვის ქართულში: იკე, XIV, თბ.,1964.

ქავთარაძე ი. აღწერითი მყოფადი და ნამყოს ერთი სახეობა ძველ ქართულში: მაცნე, 1, თბ., 1971.

ქავთარაძე ი. შედარების გამომხატველი ძირითადი გრამატიკული საშუალებები: თსუ შრომები, 8-9, თბ., 1974.

ქავთარაძე ი. ერთი სიტყვათსაწარმოებელი სუფიქსისათვის ქართულში: არნ. ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1979.

ქართველიშვილი ი. ქართული ღრამმატიკა: ხელნაწერი (ავტოგრაფი), დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (შ 4432), ტფ., 1809.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბ., 1950-1964.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-II, ახალი რედაქცია, თბ., 2008, 2010.

ქირია ჯ. ნაკვთის (მწკრივის) გრამატიკული სტატუსისათვის: ქესს, VIII, თბ., 2003.

ქირია ჯ. ზმნის ფორმათა კლასიფიკაციის პრინციპები და უღლების ტიპები: ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბ., 2004.

ქუთათელაძე ა. ქართული ზმნების კლასიფიკაცია, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფ., 1897.

ქურდაძე რ. -ევს-ივ, -ენს-ინ სუფიქსები ხმოვანმონაცვლე ზმნებსა და კაუზატივში: საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995.

ქურდაძე რ. შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოებისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ქურდაძე რ. ხმოვანმონაცვლე ზმნათა პარალელური ფორმები ქართულ კილოებში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.

ქურდაძე რ. ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბ., 2005.

ღვინაძე თ. -ნენ დაბოლოების გამო პრეფიქსიანი ვნებითების ზოგ ფორმაში: იკე, XXXVI, თბ., 2008.

ღუტიძე ი. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა მიმღეობის შესახებ: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ღუტიძე ი. -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები I სერიის მწკრივებში ძველსა და საშუალ ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999.

ყაუხჩიშვილი ს. ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამმატიკა, სანკტ-პეტერბურღი, ტფ., 1882.

შაბაშვილი გ. პერფექტის კატეგორიისათვის ქართულ ენაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბ., 2003.

შამელაშვილი-ზექალაშვილი რ. პირის კატეგორიის ფუნქციონირება ქართულში და ექსტრალინგვისტური ფაქტორები: საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII, თბ., 2005.

შამელაშვილი-ზექალაშვილი რ. მოდალობის სემანტიკური კატეგორია და ველი ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, თბ., 2006.

შანიძე ა. ნასახელარი ზმნები ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ.1, ტფ., 1919-1920.

შანიძე ა. ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტ. 3, ტფ., 1923.

შანიძე ა. წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, ტფ., 1923-24.

შანიძე ა. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1930.

შანიძე ა. ქართული გრამატიკა, I. მორფოლოგია, ტფ., 1930.

შანიძე ა. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. ქართული ენისა და ლიტერატურის მიმოხილვა: ქრესტომათია ა. შანიძის რედაქციით, მე-2 გამოცემა, ტფ., 1935.

შანიძე ა. ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: სმამ, ტ. 2, თბ., 1941.

შანიძე ა. ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, სმამ, ტ. III, №2, 6, თბ., 1942.

შანიძე ა. აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 4, თბ., 1943.

შანიძე ა. მწკრივთა მოძღვრებისათვის, I, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში: სმამ, ტ. VI, № 10, თბ.,1945.

შანიძე ა. მწკრივთა მოძღვრებისათვის, II. ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1946, 2-4 მარტი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1946.

შანიძე ა. მწკრივთა მოძღვრებისათვის, IV. ვნებითი გვარის ზმნათა უღლების ერთი თავისებურება საშუალ ქართულში: აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის მე-4 სამეც. სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1947.

შანიძე ა. მწკრივთა მოძღვრებისათვის. უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ქართულში. მისი წარმოშობა და განვითარება: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1947.

შანიძე ა. მწკრივთა მოძღვრებისათვის, V, სხვა უცნობი მწკრივი ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1948, 31 მაისი — 5 ივნისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1948.

შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953.

შანიძე ა. წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

შანიძე ა. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

შანიძე ა. წოდებითი ფორმის დაბოლოება: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

შანიძე ა. წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: თხზულებანი, I, თბ., 1957.

შანიძე ა. გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1961.

შანიძე ა. ავრი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, საიუბილეო, 11, თბ., 1968.

შანიძე ა. ორმაგი გვარის ბრუნებისათვის: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. I, თბ., 1972.

შანიძე ა. ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შანიძე ა. მდე თანდებულის გენეზისისათვის: თხზულებები, II, თბ., 1981.

შანიძე მზ. რომელ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

შანიძე მზ. ი- ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები: თსუ გ. ახვლედიანს, თბ., 1969.

შარაძენიძე თ. „ვით“ თანდებული ქართულში: თსუ შრ., X, თბ.,1939.

შარაძენიძე თ. -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

შარაძენიძე თ. მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

შარაშენიძე ნ. ვალენტობა როგორც კოჰერენციის ერთ-ერთი გამოვლინება: საენათმეცნიერო ძიებანი, XX, თბ., 2005.

შენგელია ვ. ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური განაწილება ძველ ქართულში: იკეწ, V, თბ., 1978.

შეროზია რ. ვნებითი გვარის ზმნებისა და პოტენციალისის საკითხისათვის ქართულსა და სვანურში: საენათმეცნიერო ძიებანი, I, თბ., 1978.

შეროზია რ. პოტენციალისის კატეგორია და მასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართველურ ენებში: საენათმეცნიერო ძიებანი, II, თბ., 1980.

ჩართოლანი ნ. ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, თბ., 1985.

ჩიქობავა არნ. მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში: 1. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში(მასალები მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის), X, ტფ., 1928.

ჩიქობავა არნ. რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?: ახალ სკოლისკენ, 3, ტფ., 1928.

ჩიქობავა არნ. რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? წერილი I: ახალ სკოლისკენ, 4, ტფ., 1928.

ჩიქობავა არნ. რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? წერილი IV: კულტურული აღმშენებლობა, 5, ტფ., 1930.

ჩიქობავა არნ. რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? წერილი V: ახალ სკოლისკენ, 7-8, ტფ., 1930.

ჩიქობავა არნ. ებ-იან სახელობითთან ზმნის შეთანხმება რიცხვში: ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, 5, ტფ., 1933.

ჩიქობავა არნ. სახელის ანალიზის პრინციპები ქართულში: კომუნისტური აღზრდისათვის, 10-12, ტფ,. 1933.

ჩიქობავა არნ. მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმება: ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, 5, ტფ. 1933.

ჩიქობავა არნ. -გან თანდებულის ხმარებისათვის ნათესაობითთან და მოქმედებითთან: ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, ტფ., 1934.

ჩიქობავა არნ. ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში: კომუნისტური აღზრდისათვის, 4-5, ტფ,. 1934.

ჩიქობავა არნ. სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები: სალიტერატურო ენის ნორმები, I, ტფ.,1936.

ჩიქობავა არნ. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორისათვის (ქართველური ენებისა და ხალდურის ურთიერთობისათვის): ენიმკი-ს მოამბე, 1, თბ., 1937.

ჩიქობავა არნ. პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში: ენიმკი-ს მოამბე, 1, თბ., 1937.

ჩიქობავა არნ. წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიმკი-ს მოამბე, 1, თბ., 1937.

ჩიქობავა არნ. ერთი უცნობი თანდებული ქართულში: ენიმკი-ს მოამბე, 1, თბ., 1937.

ჩიქობავა არნ. ქართული ზმნის ანალიზის საკვანძო საკითხი. I. პოლიპერსონალიზმის გარკვევის ისტორიიდან: კომუნისტ. აღზრდისათვის, № 4-5, თბ., 1938.

ჩიქობავა არნ. მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ შრომები, X, თბ., 1939.

ჩიქობავა არნ. გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები: სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, თბ., 1940.

ჩიქობავა არნ. მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: სსრკ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 2, თბ., 1941.

ჩიქობავა არნ. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები. ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942.

ჩიქობავა არნ. ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: სსრკ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 3, თბ., 1942.

ჩიქობავა არნ. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართულში: ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითისა და მომედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: თსუ შრომები, ტ. 23, თბ., 1942.

ჩიქობავა არნ. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, თბ., 1942.

ჩიქობავა არნ. თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944.

ჩიქობავა არნ. გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში: სმამ, VII, თბ., 1946.

ჩიქობავა არნ. ინვერსიული ზმნები და სახელთა კვალიფიკაცია: სახალხო განათლება, თბ., 1946.

ჩიქობავა არნ. მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იკე, I, თბ., 1946.

ჩიქობავა არნ. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

ჩიქობავა არნ. ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950.

ჩიქობავა არნ. ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ჩიქობავა არნ. გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში: იკე, V, თბ., 1953.

ჩიქობავა არნ. მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იკე, V, თბ., 1953.

ჩიქობავა არნ. მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იკე, VI, თბ., 1954.

ჩიქობავა არნ. ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარების ჩვენების მიხედვით: იკე, VII, თბ., 1955.

ჩიქობავა არნ. რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ. მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ. სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ. ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ. მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ. ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მაზდარის ჩვენებათა მიხედვით: იკე, VIII, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართულში: ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ. ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში: იკე, XI, თბ., 1959.

ჩიქობავა არნ. თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში: ქესს, ტ. 2, თბ., 1961.

ჩიქობავა არნ. ქართული ზმნის ნაკვთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იკე, XIII, თბ., 1962.

ჩიქობავა არნ. „ქართული ენა“, მისი აგებულება-შედგენილობის ზოგადი საკითხები: იკე, XIV, თბ., 1964.

ჩიქობავა არნ. აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის. 1. -ავ, -ამ და -ევ, -ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა, იკე, XIV, თბ., 1964.

ჩიქობავა არნ. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

ჩიქობავა არნ. სახელობითისა და მიცემითის სინტაქსური როლის ერთი თავისებურებისათვის ძველ ქართულში: თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტის მე-11 სამეცნიერო სესია, თბ., 1967.

ჩიქობავა არნ. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968.

ჩიქობავა არნ. ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები: იკე, XV, თბ., 1968.

ჩიქობავა არნ. ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იკე, XIX, თბ., 1974.

ჩიქობავა არნ. პირიანი უღვლილების გენეზისისათვის ქართულში: იკეწ, III, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ. ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში, იკეწ, IV, თბ., 1977.

ჩიქობავა არნ. ენა, ენათმეცნიერება, ქართული ენა: პრობლემები და პერსპექტივები: საბჭ. ხელოვნება, 7, თბ., 1978.

ჩიქობავა არნ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

ჩიქობავა არნ. ენა, ენათმეცნიერება, ქართული ენა: პრობლემები და პერსპექტივები: იკე, XXII, თბ., 1980.

ჩიქობავა არნ. სახელობითი, როგორც ობიექტის კლასისა და მიცემითი, როგორც ობიექტის პირის ბრუნვა ქართული ზმნის უღვლილების ისტორიაში: იკეწ, VII, თბ., 1980.

ჩიქობავა არნ. ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში: იკეწ, VIII, თბ., 1981.

ჩიქობავა არნ. ზოგადი ენათმეცნიერება, თბ. 1983.

ჩიქობავა არნ. მორფოლოგიური ფაქტის რეინტერპრეტაციისათვის (ქართული ზმნის უღვლილების მასალაზე): იკეწ, X, თბ., 1983.

ჩიქობავა არნ. უპრეფიქსო მიმღეობათა წარმოებისა და ისტორიის ზოგი საკითხი ქართულში: იკეწ, XII, თბ., 1985.

ჩიქობავა არნ. რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში?: იკე, XXX, თბ., 1991.

ჩხუბიანიშვილი დ. ზახ/ძახ ზმნური ფუძის ფუნქციონირებისათვის ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, 12, თბ., 2004.

ცერცვაძე ილ. ბრუნვათა საკითხი XVIII და XIX ს.ს. ქართველ გრამატიკოსებთან: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ციხელაშვილი ლ. ქცევის საკითხი კაუზატიურ ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000.

ცქიტიშვილი ნ. კამათი მოთხრობითი ბრუნვის რაობისათვის XIX საუკუნის ორმოცდამეათე წლებში: სტუდენტთა სამეც. შრომების კრებული, II, თბ., 1944.

ძიძიგური შ. ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იკე, I, თბ., 1946.

ძოწენიძე ქ. გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: იკე, I, თბ.,1946.

ძოწენიძე ქ. ემფატიკური ხმოვანი ძვ. ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ჭაბაშვილი მ. კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის: ქართული სიტყვის საკითხები, VIII, თბ., 1988.

ჭიკაძე რ. წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბ., 1995.

ჭუმბურიძე ზ. მოთხრობითი ბრუნვა „ვეფხისტყაოსანში“: სმამ, XVIII, №5, თბ., 1957.

ჭუმბურიძე ზ. ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში: ორიონი, საიუბილეო კრებული მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1967.

ჭუმბურიძე ზ. მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1968.

ჭუმბურიძე ზ. -ავ და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბ., 1976.

ჭუმბურიძე ზ. ნასახელარი ზმნები ქართულში: კრებ., აკაკი შანიძეს, თბ.,1981.

ჭუმბურიძე ზ. მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმის ისტორიისათვის ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 25, თბ. 1984.

ჭუმბურიძე ნ. ყოლა-ქონების აღმნიშვნელი რთული სუფიქსები ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIX, თბ., 1990.

ჭუმბურიძე ნ. უქონლობის სახელები ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1995.

ხუნდაძე ს. ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907.

ჯორბენაძე ბ. ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხი ქართულში, თბ., 1975.

ჯორბენაძე ბ. ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ. ფორმანტთა სემანტიკური ინფორმაციულობის საკითხისათვის ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, II, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ. ზმნურ ფუძეთა სემანტიკური დიფერენციაციის საკითხებისათვის ზმნისწინთა ფონეტიკურ ვარიანტებთან დაკავშირებით: იკეწ, 7, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ. ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ. მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა დაპირისპირების პრინციპისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, III, თბ.,1983.

ჯორბენაძე ბ. ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები: ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1984.

ჯორბენაძე ბ. ქართული ენის ფაკულტატური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ჯორბენაძე ბ. ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ. ქართველური ენების დიალექტები, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ჯორბენაძე ნ. -ობ თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნათა უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, თბ., 2006.

ჯორბენაძე ნ. საშუალი გვარის ზმნათა უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში, იკე, XXXVI, თბ., 2008.

ჯორბენაძე ნ. -ობ თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X, თბ., 2009.

ჰარისი ა. ვნებითი ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ., 1981.

ჰოლისკი დი ენ ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბ., 2000.

Алиева Н.Ф. Выражение объектных отношении глагола как универсальное свойство языков: Языковые универсалии и лингвистическая типология, М., 1969.

Бенвенист Э. Общая лингвистика, М., 1974.

Блох М.Я. Теоретические основы грамматики, М., 1986.

Блумфилд Л. Язык, М., 1968.

Бондарко А.В. Теория морфологических категорий, Л., 1976.

Бондарко А.В. Вид и время русского глагола (Значение и употребление), М., 1971.

Бондарко А.В. К теории поля в грамматике – залог и залоговость: Вопросы языкознания АН СССР, №3, М., 1972.

Беличова Е. О теории функциональной грамматики: Вопросы языкознания АН СССР, №2, М., 1990.

Вандриес Ж. Язык, М., 1937.

Вардиль И.Ф. Понятие универсалии в лингвистической типологии: Языковые универсалии и лингвистическая типология. М., 1969.

Володин А.П., Храковский В.С. Об основаниях выделения грамматических категорий (время и наклонение): Проблемы лингвистической типологии и структуры языка, Л., 1977.

Гецадзе Н.О., Неделяков В. П., Холодович А. А. Морфологический каузатив в грузинском языке. Типология каузативных конструкции. Морфологический каузатив, Л., 1969.

Дондуа К. Д. К вопросу о родительном эмфатическом в древне-литературном грузинском языке: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

Дондуа К. Д. О двух суффиксах множественности в грузинском (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956).

Дондуа К. Д. Об агглютинативном характере грузинского склонения: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

Джорбенадзе Б. Грузинский глагол, Тб., 1986.

Ельмслев Л. О категории личности-неличности и одушевленности-неодушевленности: Принципы типологического анализа языков различного строя, М., 1972.

Еськова Н. А. К интерпретации некоторых фактов русской глагольной морфологии: Вопросы языкознания АН СССР, №5, М., 1989.

Есперсен О. Философия грамматики, М. 1958.

Есперсен О. Теория функциональной грамматики. Качественность, количественность, Санкт-Петербург, 1996.

Климов Г. А. Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

Климов Г. А. Очерки общей теории эргативности, М., 1973.

Климов Г. А. Аномалии эргативности в лазском (чанском) языке: აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბ., 1976.

Климов Г. А. Типология языков активного строя, М., 1977.

Климов Г. А. Типология кавказских языков, М., 1980.

Кубрякова Е.С. Об основных единицах лингвистического анализа и предмете морфологии: Морфологическая структура слов в языках различных типов, М.–Л., 1963.

Кубрякова Е.С. Части речи в ономасиологическом освещении, М., 1978.

Лингвистический енциклопедический словарь, гл. редактор М. 1990. Ярцева В.Н.

Ломтатидзе К. Б. Категория потенциалиса (возможности) в картвельских и обхазско-адыгских языках: ЕИКЯ, III, Тб., 1976.

Марр Н. Я. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, С-Пб., 1908.

Марр Н. Я. Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

Меликишвили И. Перфект в общекартвельском и общеиндоевропейском: Материалы конференции "Ностратические языки и ностратическое языкознание", М., 1977.

Мучник И.П. Грамматические категории глагола и имени в современном русском литературном языке, М., 1971.

Мухин А.М. О критериях морфологических и синтаксических единиц: Морфологическая структура слов в языках различных типов, М.–Л., 1963.

Норман Б. Переходность, залог, возвратность (на материале болгарского и других словянских языков), Минск, 1972.

Руденко В. Т. Грамматика грузинского языка, М., 1940.

Сахокия М. М. Поссесивность, переходность и эргативность: Типологическое сопоставление древнеперсидских, древнеармянских и древнегрузинских конструкции, Тб., 1985.

Словарь лингвистических терминов, гл. редактор Марузо Ж. М., 1960.

Словарь американской лингвистической терминологии, гл. редактор Хемп Э. М., 1964.

Словарь лингвистических терминов, гл. редактор Ахманова О. М., 1969.

Сухишвили М. Статические глаголы в грузинском и абхазском языках, იკეწ IX, თბ., 1977.

Теньер Л. Основы структурного синтаксиса, М., 1988.

Уорф Б.Л. Грамматические категории: Принципы типологического анализа языков различного строя, М., 1972.

Успенский В. А. Языковые универсалии и актуальные проблемы типологического описания языка: Языковые универсалии и лингвистическая типология, М., 1969.

Успенский В.А. К понятию диатезы: Проблемы лингвистической типологии и структуры языка, Л., 1977.

Храковский В.С. Активные и пассивные конструкции в языках эргативного строя: Вопросы языкознания АН СССР, №5, М., 1972.

Холодович А. А. Проблемы граматической теории, Л., 1979.

Чанишвили Н. В. Падеж и глагольные категории в грузинском предложении, М., 1981.

Чикобава А. С. Проблема эргативной конструкции в иберийско-кавказских языках: Эргативная конструкция предложения в языках разных типов, Л., 1963.

Чикобава А. С. О катеогрии непроизвольности, об инверсии и неитрализации передодности глагола в результативном картвельских языков, იკეწ, IX, თბ., 1982.

Чикобава А. С. Грузинский язык: ЕИКЯ, XI, Тб.,1984.

Шанидзе А. Категориа ряда в глагле, обшие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского языка: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, თბ., 1941.

Шаншован З. Краткая грузинская грамматика, Санкт Петербург, 1881.

Шарадзенидзе Т.С. Грамматические категории и морфологические типы языков: Типология грамматических категорий (Мещаниновские чтения). М., 1975.

Шмальстиг У.Р. Сахокия М.М. Посессивность, переходность и эргативность: Типологическое сопоставление древнеперсидских, древнеармянских и древнегрузинских конструкций (рецензия): Вопросы языкознания АН СССР, №3, М., 1989.

Шухардт Г. О пассивном характере переходного глагола в кавказских языках. Эргативная конструкция предложения, М., 1950.

Якобсон Р. Избранные работы, М., 1985.

Янко-Триницкая Н.А. Русская морфология, М., 1982.

Яхонтов С.Е. Методы выделения грамматических единиц: Языковые универсалии и лингвистическая типология, М., 1969.

Anderson S. R. On the notion of subject in ergative languages: Li C N (ed.) Subject and topic, New York: Academic Press, 1976.

Anderson S. R. A-morphous morphology, Cambridge: Cambridge University Press, 1992.

Aronoff M. Morphology by itself; Stems and inflectional classes, Cambridge, MA: MIT Press, 1993.

Bittner M. & Hale K. Ergativity: toward a theory of a heterogeneous class: Linguistic Inquiry 27, 1996.

Blevins J. P. Stems and paradigms: Language 79, 2004.

Bloomfield L. Language, Chicago, IL: University of Chicago Press, 1933.

Boeder W. Über die Versionen des georgisches Verbs, Folia Linguistica: II, 1/2 , Mouton, 1968.

Bright W. International encyclopedia of Linguistics (4 vols), Oxford: Oxford University Press, 1992.

Bybee J. L. Regular morphology and the lexicon: Language and Cognitive Processes 10, 1995.
Bynon T., Hewitt B. G. Subject, voice and ergativity, London: SOAS , 1995.
Cann R., Kempson R., Marten L. The dynamics of language, Oxford: Elsevier, 2005.
Chialant D., Caramazza A. Where is morphology and how is it processed? The case of written word recognition: Morphological aspects of language processing, Hillsdale, NJ: Erlbaum Press, 1995.
Chomsky N. Knowledge of language, New York: Praeger, 1986.
Comrie B. Morphology and word order reconstruction: problems and prospects: Historical morphology, The Hague: Mouton, 1980.
Comrie B. Language universals and linguistic typology, Chicago: University of Chicago Press, 1988.
Deeters G. Das khartwelische Verbum, Leipzig, 1930.
Dixon R. M. W. Ergativity, Cambridge: Cambridge University Press, 1994.
Du Bois J. W. The discourse basis of ergativity: Language 63, 1987.
Feurstein W. Mingrelisch, Lazisch, Swanisch: alte Sprachen und Kulturen der Kolchis vor dem baldigen Untergang: Caucasian perspectives. Munich: Lincom Europa, 1992.
Georgian-English Dictionary. Rayfield D., Apridonidze S., Broers L. (eds.), London University: Garnett Press, London, 2006.
Greenberg J. H. Order of affixing: a study in general linguistics: Essays in Linguistics, Chicago: University of Chicago Press, 1957.
Greenberg J. H. How does a language acquire gender markers?: Universals of human language 2, CA: Stanford University Press, 1978.
Grimshaw J. Argument structure, Cambridge: The MIT Press, 1990.
Halle M., Marantz A. Distributed morphology and the pieces of inflection: The view from building 20, Cambridge, MA: MIT Press, 1993.
Hawkins J. A. Explaining language universals, Oxford: Blackwell, 1988.
Hewitt B. G. Aspects of language planning in Georgia (Georgian and Abkhaz): Language planning in the Soviet Union, London: Macmillan, 1989.
Hewitt B. G. A Georgian reader (with texts, translation and vocabulary), London: SOAS, 1995.
Hewit B. G. Unerwartete Subjekt-Markerung im Kartwelischen: Georgica, 10, Jena-Tbilissi, 1967.
Hewitt B. G. Georgian: A Learner's Grammar, London: Routledge, 1996.
Hewitt B. G. Georgian: A structural reference grammar, Amsterdam: John Benjamin, 1996.
Hintze F. Die Haupttendenzen der ägyptischen Sprachentwicklung. Zeitschrift für Phonetik und allgemeine Sprachwissenschaft 1, 1947.
Hodge C T. The linguistic cycle: The Language Sciences 13, 1970.
Holisky D. A. Aspect and Georgian medial verbs, Delmar, NY: Caravan Books, 1981.
Jackendoff R. Foundations of language, Oxford: Oxford University Press, 2002.
Kahr J. C. The renewal of case morphology: sources and constraints: Working Papers on Language Universals 20, 1976.
Manning C. D. Ergativity: Argument structure and grammatical relations, Stanford, CA: CSLI Publications, 1996.
Marr N., Briére M. La langue Géorgienne, Paris, 1931.
Matthews P. Inflectional Morphology, Cambridge: Cambridge University Press, 1916.
Ogden C. K., Richards I. A. The meaning of meaning: A study of the influence of language upon thought and of the science of symbolism, London: Routledge & Kegan Paul, 1923.
Pinker S. Words and rules, New York, NY: Basic Books, 1999.

Plank F. Ergativity: towards a theory of grammatical relations, London: Academic Press, 1979.

Rayfield D. The literature of Georgia: A history, Richmond: Curzon Press, 1994.

Ritter N. A. Georgian consonant clusters: The complexity is in the structure not the melody, Phonologica, Berlin: Mouton de Gruyter, 2002.

Sapir E. Language, San Diego, CA: Harcourt Brace, 1921.

Schmidt K. H. Zur Funktion, Formation und Entwicklung des Verbalnomens in den Kartvelsprachen: Festschrift zum 70, Jahrestag von Zurab Chumburidze, Tb., 1997.

Tschenkeli K. Einführung in die georgische Sprache (2 vols), Zürich, Amirani Verlag, 1958.

Vamling K. Complementation in Georgian, Lund: University Press, 1989.

Vogt H. Grammaire de la langue georgienne, Oslo, 1971.

Yang C. D. Knowledge and learning in natural language, Unpublished Ph.D. diss., MIT, 2000.

შემოკლებანი

ი. აბაშ. — ირაკლი აბაშიძე
აკაკი — აკაკი წერეთელი
ჭ. ამირეჯ. — ჭაბუა ამირეჯიბი
ანა — ანა კალანდაძე
ანდ. — ანდაზა
შ. არაგვ. — შიო არაგვისპირელი
ლ. არდაზ. — ლავრენტი არდაზიანი
არჩ. — არჩილი
აჭარ. — აჭარული დიალექტი
„ახალ. კომ.“ — გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“
ნ. ბარათ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი
ვ. ბარნ. — ვასილ ბარნოვი
ბაჩ. — ბაჩანა
ა. ბელიაშ. — აკაკი ბელიაშვილი
მ. ბერძ. — მერაბ ბერძენიშვილი
თ. ბიბილ. — თამაზ ბიბილური
ბილინ. — ბილინები (თარგმანი ო. გოგიჩაიშვილისა).
ეკ. გაბ. — ეკატერინე გაბაშვილი
კ. გამს. — კონსტანტინე გამსახურდია
გამოც. — გამოცანა
გალაკტიონი — გალაკტიონ ტაბიძე
ი. გედევ. — ივანე გედევანიშვილი
რ. გვეტ. — რაჟდენ გვეტაძე
გურ. — გურული დიალექტი
ვ. გოგოლ. — ვახტანგ გოგოლაშვილი
ლ. გოთუა — ლევან გოთუა
დ. გურამ. — დავით გურამიშვილი
დაბ. — წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, გამოსცა ა. შანიძემ, ტ. I, ნაკვ. I. დაბადებისაჲ, 1947.
შ. დად. — შალვა დადიანი
ნ. დუმბ. — ნოდარ დუმბაძე
ი. ევდ. — იროდიონ ევდოშვილი
რ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი

ან. ერისთ.-ხოშტ. — ანასტასია ერისთავ-ხოშტარია
ეს. — ესაია
ექუს. დღ. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა (გამოსცა მ. კახაძემ, 1947).
ვაჟა — ვაჟა-ფშაველა
ზღაპ. — ზღაპარი
დ. თურდ. — დავით თურდოსპირელი
თუშ. — თუშური დიალექტი
ი. — იოანეს სახარება (მითითებულია რედაქცია, თავი და მუხლი).
იაკობი — იაკობ გოგებაშვილი
„ივერია“ — გაზეთი „ივერია“
ილია — ილია ჭავჭავაძე
იმერ. — იმერული დიალექტი
იმერხ. — იმერხეული დიალექტი
ინგ. — ინგილოური დიალექტი
რ. ინან. — რევაზ ინანიშვილი
იონ. — ფრემ ასური, წმიდისა ეფრემისი იონაისთვის (ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963).
ო. იოსელ. — ოტია იოსელიანი
ირან. პოეზია — ირნული პოეზია (თბ. 1977).
ისტ. საბუთ. — ისტორიული საბუთები
პ. კაკაბ. — პოლიკარპე კაკაბაძე
კანონ. კართაგ. — კანონნი კართაგენისაჲ
კახ. — კახური დიალექტი
მ. კეკელია — მ. კეკელია, საქმის ქაღალდები, 1977.
დ. კვიც. — დავით კვიცარიძე
კლარჯ. — კლარჯული დიალექტი
დ. კლდ. — დავით კლდიაშვილი
ს. კლდ. — სერგო კლდიაშვილი
„კომუნისტი“ — გაზეთი „კომუნისტი“
ლ. — ლუკას სახარება (მითითებულია რედაქცია, თავი და მუხლი).
მ. ლებან. — მურმან ლებანიძე
გ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე
ლეჩხ. — ლეჩხუმური დიალექტი
„ლიტ. საქ.“ — გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“
ნ. ლომ. — ნიკო ლომოური
ა. ლომ. — ანდრო ლომიძე
ჭ. ლომთ. — ჭოლა ლომთათიძე
მ. — მათეს სახარება (მითითებულია რედაქცია, თავი და მუხლი).
ო. მამფ. — ოთარ მამფორია
მამ. ცხ. — მამათა ცხორებანი (გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, 1975).
მ. მაჭავ. — მუხრან მაჭავარიანი

ი. მაჩაბ. თარგმ. — ივანე მაჩაბელი, თარგმანი
ს. მგალობ. — სოფრომ მგალობლიშვილი
მერჩ. — გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, თბ. 1947.
მესხ. — მესხური დიალექტი
მეფეთა — მეფეთ-წიგნები, გამოსაცემად მოამზადა უ. ცინდელიანმა.
ა. მირცხ. — ალიო მირცხულავა
მოხ. — მოხეური დიალექტი
მთიულ. — მთიულური დიალექტი
მრკ. — მარკოზის სახარება (მითითებულია რედაქცია, თავი და მუხლი).
მ. მრევლ. — მიხეილ მრევლიშვილი
ლ. მრელ. — ლადო მრელაშვილი
სინ. — სინური მრავალთავი
მ. სწ. — მამათა სწავლანი
შ. მღვიმ. — შიო მღვიმელი
ე. ნინ. — ეგნატე ნინოშვილი
მ. ნოზ. — მ. ნოზაძე, საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, 1941.
გ. ორბ. — გრიგოლ ორბელიანი
პატერიკ. — შუა საუკუნეთა ნოველების ძვ. ქართული თარგმანები, I, გამოსცა მ. დვალმა, ხელნაწერი, A-35.
გ. პეტრ. — გურამ პეტრიაშვილი
რაჭ. — რაჭული დიალექტი
რ. ე., რ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი
თ. რაზიკ. — თედო რაზიკაშვილი
რუსთაველი — შოთა რუსთაველი
„საბჭ. ხელოვ.“ — ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“
„საუნჯე“ — ალმანახი „საუნჯე“
„სახალხ. განათლ.“ — გაზეთი „სახალხო განათლება“
ა. სულაკ. — არჩილ სულაკაური
ვ. ურჯ. — ვანო ურჯუმელაშვილი
ჰ. ფალადა — ჰანს ფალადა (თარგმანი)
ფერეიდნ. — ფერეიდნული დიალექტი
მ. ფოცხ. — მორის ფოცხიშვილი
ფს. — ფსალმუნი
ანტ. ფურც. — ანტონ ფურცელაძე
ფშ. — ფშაური დიალექტი
ქართლ. — ქართლური დიალექტი
ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
გ. ქიქ. — გერონტი ქიქოძე
ქს ძეგ. — ქართული სამართლის ძეგლები

ა. ქუთათ. — ალექსანდრე ქუთათელი
ა. ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი
ნ. შამან. — ნოდარ შამანაძე
ს. შანშ. — სანდრო შანშიაშვილი
გ. შარვ. — გიორგი შარვაშიძე
ნ. შიუკ. — ნიკო შიუკაშვილი
ნ. ჩახნ. — ნ. ჩახნაშვილი, მ. გადახაბაძე, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობა მევენახეობაში, 1973.
ს. ჩიქ. — სიმონ ჩიქოვანი
ა. ჩხ. — ალექსანდრე ჩხაიძე
ბ. ჩხ. — ბორის ჩხეიძე
ო. ჩხ. — ოთარ ჩხეიძე
თ. ჩხენკ. — თამაზ ჩხენკელი
ა. ჩხიკვ. — ავთანდილ ჩხიკვიშვილი
ა. ცაგ. — აქვსენტი ცაგარელი
„ცისკ.“ — ჟურნალი „ცისკარი“
გ. წერეთ. — გიორგი წერეთელი
ა. ჭავჭ. — ალექსანდრე ჭავჭავაძე
თ. ჭილ. — თამაზ ჭილაძე
ო. ჭილ. — ოთარ ჭილაძე
ხალხ. — ხალხური პოეზიიდან
ხევს. — ხევსურული დიალექტი
ხ. ს. — ხალხური სიბრძნე, ხუთ ტომად, 1963-1965.
გ. ხორგ. — გიორგი ხორგუაშვილი
გ. ხუხ. — გიორგი ხუხაშვილი
გ. ჯაბ. — გაბრიელ ჯაბუშანური
მ. ჯავახ. — მიხეილ ჯავახიშვილი

შინაარსი

წინასიტყვა.....3

ნაწილი I. მორფოლოგია – ზოგადი საკითხები
(გ. გოგოლაშვილი)

I. 1. მორფოლოგიის საგანი..... 5
I. 2. სისტემა და სტრუქტურა. პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა. სისტემა და ქვესისტემა 5
I. 3. მორფოლოგიის ძირითადი ცნებები..... 8
I. 4. მორფემათა ფუნქციური კლასიფიკაცია..... 12
I. 5. მორფემათა განაწილების თანრიგები..... 13
I. 6. მორფემათა დანიშნულება და მნიშვნელობა..... 13
I. 7. მორფემოიდები, ანუ მოდალური ელემენტები..... 15
I. 8. სიტყვის დაშლა 16
I. 9. მორფემათა რელაცია..... 17
I 10. ფუძის შენების (აგების) ორი პრინციპი 17
I. 11. „ფარული ფუძის“ პრინციპი..... 19
I. 12. გრამატიკული მნიშვნელობა და ლექსიკური მნიშვნელობა 20
I. 13. გრამატიკულ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებანი..... 20
I. 14. მნიშვნელობის მორფოლოგიური გამოხატვის ნაირსახეობანი 22
I. 15. პარადიგმა 23
I. 16. მორფემათა გამოყოფის პრინციპები..... 24
I. 17. ფლაგიტაციის პრინციპი 25
I. 18. დისპოზიცია 25
I. 19. დიზუნქციის პრინციპი 26
I. 20. კონფიქსი..... 26
I. 21. მორფემათა სემანტიკური ინფორმაციულობის საკითხისათვის..... 27
I. 22. არაპროდუქტიული მორფემები 28
I. 23. ნასესხები მორფემები..... 29
I. 24. ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტორების ურთიერთმიმართებისათვის..... 29

I. 25. მორფემათა იდენტურობის საკითხისათვის 31
I. 26. მორფემათა იდენტიფიკაციის პრინციპისათვის 33
I. 27. მორფემის სტრუქტურა 33
I. 28. მნიშვნელობის გავლენა ფორმაწარმოებაზე 34
I. 29. დეტერმინაციის პრინციპი 34
I. 30. მეტყველების ნაწილები 36
I. 31. სახელზმნა მეტყველების ნაწილთა სისტემაში 40
I. 32. გრამატიკული კატეგორიები 40
I. 33. მეტყველების ნაწილი და გრამატიკული კატეგორია 43
I. 34. ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის მიზანი და ამოცანები 43

ნაწილი II. სახელისა და ზმნის საერთო კატეგორიები. დეიქსისის გამოვლენა სახელისა და ზმნის ფორმაწარმოებაში **(ა. არაბული)**

II. 1. სახელისა და ზმნის ფორმაწარმოების შინაგანი ურთიერთკავშირი 45
II. 2. რიცხვის გრამატიკული კატეგორია 45
II. 3. ორგვარი მრავლობითი 46
II. 4. ორგვარი მრავლობითის ფუნქციური განაწილებისათვის 47
II. 5. სახელის სიმრავლის ასახვა ზმნაში 49
II. 6. სიმრავლის გამოხატვის ლექსიკური საშუალებანი 51
II. 7. „სუპლეტური შეთანხმება“ 53
II. 8. პირის ნაცვალსახელები და პირის გამოხატვა ზმნაში 54
II. 9. დეიქსისის გამოვლენისათვის ქართულ ფორმაწარმოებაში 55

ნაწილი III. სახელის მორფოლოგია
თავი I. სახელი. ზოგადი საკითხები **(ა. არაბული)**

III. 1.1. სახელის ადგილი ფორმაცვალებად სიტყვათა შორის 59
III. 1.2. სახელის რაობისათვის 62
III. 1.3. სახელის ჯგუფები შინაარსის (აღსანიშნის) მიხედვით 63
III. 1.4. სახელის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები 64
III. 1.5. ბრუნების კატეგორია 65
III. 1.6. რიცხვის კატეგორია 65

თავი II. არსებითი სახელი **(ა. არაბული)**

III. 2.1. არსებითი სახელის რაობა 67
III. 2.2. არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები 68
III. 2.2.1. „ვინ“ და „რა“ 68
III. 2.2.2. „სულიერი“ — „უსულო“ 69
III. 2.2.3. „კონკრეტული“ — „აბსტრაქტული“ 70
III. 2.2.4. „საკუთარი“ — საზოგადო“ 70
III. 2.2.5. კრებითი სახელები 71
III. 2.2.6. ნივთიერებათა სახელები 72
III. 2.2.7. მოქმედებათა სახელები 72
III. 2.3. არსებითი სახელი წარმოების მიხედვით 73
III. 2.4. არსებითი სახელის დაჯგუფების „ზმნური პრინციპი“ 75
III. 2.5. არსებითი სახელის ბრუნება 76
III. 2.6. ბრუნვის ფორმათა რაოდენობა 78
III. 2.7. ბრუნვათა რიგი 79
III. 2.8. ბრუნვათა სახელწოდებანი და შინაარსი (**მ. მანჯგალაძე**) 82
III. 2.9. ბრუნვის ნიშანი (**ა. არაბული**) 85
III. 2.10. ბრუნვის ნიშანთა ძირითადი სისტემა 85
III. 2.11. ბრუნვის ნიშანთა ალომორფები 87
III. 2.12. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა (ანუ ე.წ. ემფატიკური ხმოვანი) 91
III. 2.13. არსებითი სახელის ფუძე 94
III. 2.14. ფუძისა და აფიქსთა ურთიერთქმედება 96
III. 2.15. ფუძის კუმშვა 98
III. 2.16. ფუძის კვეცა 118
III. 2.17. კვეცად-კუმშვადი ფუძეები 122
III. 2.18. ბრუნების ტიპიზაციისათვის სალიტერატურო ქართულში 123
III. 2.19. ბრუნვათა ფუნქციები ქართულში (**ნ. ჯორბენაძე**) 130
III. 2.19.1. სახელობითი ბრუნვა 130
III. 2.19.2. მოთხრობითი (იგივე ერგატიული) ბრუნვა 131
III. 2.19.3. მიცემითი ბრუნვა 132
III. 2.19.4. ნათესაობითი ბრუნვა 133
III. 2.19.5. მოქმედებითი ბრუნვა 134
III. 2.19.6. ვითარებითი ბრუნვა 135
III. 2.19.7. წოდებითი ბრუნვა 136

III 2.20. თანდებულიანი ბრუნვები და მათი ფუნქციები
(მ. მანჯგალაძე) 136
III. 2.21. არსებითი სახელის რიცხვი (**ა. არაბული**)..... 139
III. 2.22. ორი ტიპის მრავლობითის თანაარსებობა..... 140
III. 2.23. ებ-იანი მრავლობითი..... 140
III. 2.24. ებ-იანი მრავლობითის მორფონოლოგია..... 141
III. 2.25. ნართანიანი მრავლობითი..... 143
III. 2.26. ნართანიანი მრავლობითის მორფონოლოგია 144
III. 2.27. თავისებურებანი მრავლობითის ფორმათა წარმოებასა და
ფუნქციონირებაში..... 145

თავი III. ზედსართავი სახელი (**ა. არაბული**)

III. 3.1. ზედსართავი სახელის რაობა 146
III. 3.2. ზედსართავი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები..... 146
III. 3.3. ზედსართავი სახელის ჯგუფები წარმომავლობის მიხედვით ... 148
III. 3.4. ზედსართავი სახელის ფორმაწარმოების საკითხები..... 150
III. 3..5. ზედსართავი სახელის პარადიგმატიკა..... 151
III. 3.6. ზედსართავი სახელის სინტაგმატიკა..... 153
III. 3.7.ზედსართვი სახელის ხარისხის ფრმები (**მ. მანჯგალაძე**) 154

თავი IV. რიცხვითი სახელი (**ა. არაბული**)

III. 4.1. რიცხვითი სახელის რაობა..... 156
III. 4.2. რიცხვითი სახელის ჯგუფები..... 158
III. 4.3. რაოდენობითი რიცხვითი სახელი..... 159
III. 4.4. რიგობითი რიცხვითი სახელი..... 160
III. 4.5. წილობითი რიცხვითი სახელი..... 161
III. 4.6. რიცხვითი სახელის პარადიგმატიკა (**ა. არაბული,
ნ. ჯორბენაძე**)..... 162
III. 4.7. რიცხვითი სახელის სინტაგმატიკა (**ა. არაბული,
ნ. ჯორბენაძე**)..... 164

თავი V. ნაცვალსახელი (**ა. არაბული**)

III. 5.1. ნაცვალსახელის რაობა..... 168
III. 5.2. ნაცვალსახელთა ფუნქციურ-შინაარსობრივი ჯგუფები..... 169

III. 5.21. პირის ნაცვალსახელი 169
III. 5.2.2. უკუქცევითი ნაცვალსახელი 173
III. 5.2.3. ჩვენებითი ნაცვალსახელი 173
III. 5.2.4. კითხვითი ნაცვალსახელი 174
III. 5.2.5. კუთვნილებითი ნაცვალსახელი 175
III. 5.2.6. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი 177
III. 5.2.7. მიმართებითი ნაცვალსახელი 177
III. 5.2.8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი 178
III. 5.2.9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი 180
III. 5.2.10. ურთიერთობითი ნაცვალსახელი 181
III. 5.2.11. უარყოფითი ნაცვალსახელი 181
III. 5.3. ნაცვალსახელთა სისტემა გენეზისის მიხედვით 183
III. 5.4. ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებანი (**ა. არაბული, მ. მანჯგალაძე, ნ. ჯორბენაძე**) 188
III. 5.4.1. პირის ნაცვალსახელთა ფორმაწარმოება 189
III. 5.4.2. ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნება 191
III. 5.4.3. კუთვნილებით და კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება 192
III. 5.4.4. განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ბრუნება 194
III. 5.4.5. კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება 195
III. 5.4.6. მიმართებით ნაცვალსახელთა ბრუნება 197
III. 5.4.7. უარყოფით ნაცვალსახელთა ბრუნება 197
III. 5.4.8. განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ბრუნება 198
III. 5.4.9. ურთიერთობითი ნაცვალსახელის ფორმაცვალება 198
III. 5.5. ნაწილაკიან სახელთა ბრუნება (**ა. არაბული**) 198
III. 5.6. თავისებურებანი სახელურ ფორმაწარმოებაში 201
III. 5.7. ნაცვალსახელთა რიცხვის წარმოების თავისებურებანი. 205
III. 5.8. ნაცვალსახელთა სინტაგმატიკა 209

თავი VI. სიტყვაწარმოება (**ნ. ჭუმბურიძე**) 211
III. 6.1. ქონების სახელები 212
III. 6.2. უქონლობის სახელები 217
III. 6.3. დანიშნულების სახელები 219
III. 6.4. ხარისხის სახელები 221
III. 6.5. წარმომავლობის სახელები 224
III. 6.6. აბსტრაქტული სახელები 228

III. 6.7. ხელობის (პროფესიის) სახელები 230
III. 6.8. ადგილის გამომხატველი სახელები 231
III. 6.9. გეოგრაფიული სახელები 232
III. 6.10. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები 233
III. 6.11. წინა ვითარების სახელები 234
III. 6.12. კნინობით-საალერსო სახელები 235
III. 6.13. ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი სახელები 238
III. 6.14. თანდებულებით ან თანდებულთან გათანაბრებული სიტყვებით და ნაწილაკებით წარმოქმნილი სახელები 238
III. 6.15. უცხოაფიქსიანი სახელები 240
III. 6.16. აფიქსოიდების საშუალებით წარმოქმნილი სახელები 243
III. 6.17. სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებები 245

თავი VII. კომპოზიტი (**ნ. ჯუმბურიძე**) 247

III. 7.1. რედუპლიკაციით მიღებული კომპოზიტები 248
III. 7.2. ორი (ან რამდენიმე) სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული კომპოზიტები 249
III. 7.3. სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული ორცნებიანი კომპოზიტები 250
III. 7.4. სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული ერთცნებიანი კომპოზიტები 250

თავი VIII. სახელზმნა (**ნ. ჯორბენაძე**)

III. 8.1. მიმღეობა 254
III. 8.2. სასუბიექტო-საობიექტო მიმართებათა ასახვა მიმღეობაში 255
III. 8.2.1. სასუბიექტო მიმღეობა 256
III. 8.2.2. საობიექტო მიმღეობა 259
III. 8.3. დროის გამოხატვა საობიექტო მიმღეობაში 260
III. 8.3.1. წარსული დროის საობიექტო მიმღეობა 260
III. 8.3.2. მყოფადის საობიექტო მიმღეობა 261
III. 8.4. საწყისი 262

ნაწილი IV. ზმნის მორფოლოგია

თავი I. ზმნა. ზმნის პირი და რიცხვი (**გ. გოგოლაშვილი**)

IV. 1.1. ზმნის რაობა (ზოგადი მიმოხილვა) 266
IV. 1.2. ზმნის პირისა და რიცხვის კატეგორია..... 268
IV. 1.2.1. ზმნის პირი (ზოგადი)..... 268
IV. 1.2.2. რომელობა პირისა..... 268
IV. 1.2.3. როგორობა პირისა..... 270
IV. 1.2.4. პირთა რაოდენობის საკითხი ზმნის ერთ ფორმაში;
პირიანობა და ვალენტობა..... 270
IV. 1.2.5. პირთა მორფოლოგიური გამოხატვა
IV. 1.2.5.1. (ზოგადი)..... 274
IV. 1.2.5.2. I სუბიექტური პირი..... 275
IV. 1.2.5..3. II სუბიექტური პირი..... 275
IV. 1.2..5.4. ობიექტურ პირთა გამოხატვა..... 276
IV. 1.2.6. ჰ- და ს- პრეფიქსები ქართულ ზმნაში..... 276
IV. 1.2.7. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა
IV. 1.2.7.1. ზოგადი ვითარება..... 280
IV. 1.2.7.2. მრავლობითის ნარიან მაწარმოებელთა
ურთიერთმიმართებისათვის..... 282
IV. 1.2.7..3. -ა და -ო სუფიქსთა ურთიერთმიმართებისათვის.... 285
IV. 1.2.7.4. ძველი სისტემიდან ახლისაკენ..... 286
IV. 1.2.7.5. ია დაბოლოების ა კომპონენტის თაობაზე
აწმყოსა და I თურმეობითში..... 291
IV. 1.2.7.6. სუბიექტური მესამე პირის -ს, -ა, -ო სუფიქსთა
განაწილებისათვის ახალ ქართულში..... 292
IV. 1.2.8. ინვერსია (**ა. არაბული**)..... 296
IV. 1.2.9. ზმნის რიცხვი (**გ. გოგოლაშვილი**)..... 301
IV. 1.2.10. სახელთა მრავლობითის გამოხატვა ზმნაში..... 302

თავი II. ზმნისწინი (**ნ. ჭუმბურიძე**)

IV. 2.1. ზმნისწინის რაობა..... 306
IV. 2.2. ზმნისწინთა გენეზისი..... 307
IV. 2.3. ზმნისწინის ფუნქციები..... 308
IV. 2.4. მიმართულების სახეები და მათი გამოხატვა.

გეზი და ორიენტაცია..... 308
IV. 2..5. ზმნისწინის საშუალებით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა..... 311
IV. 2.6. ზმნისწინი და ზმნური ფუძე (**გ. გოგოლაშვილი**)..... 313

თავი III. დრო-კილოთა სისტემა (**გ. გოგოლაშვილი**)

IV. 3.1. დრო-კილოთა სისტემის ანალიზის მდგომარეობა..... 317
IV. 3.2. რა არის მწკრივი?..... 322
IV. 3.3. დრო, როგორც ზმნის კატეგორია..... 324
IV. 3.4. კილო, როგორც ზმნის კატეგორია..... 333
IV. 3.5. გზისობა, როგორც ზმნის კატეგორია..... 339
IV. 3.6. აქტი, როგორც ზმნის კატეგორია..... 344
IV. 3.7. თანამდევრობა, როგორც ზმნის კატეგორია..... 346
IV. 3.8. ასპექტი და მწკრივი ა. შანიძის მოძღვრების მიხედვით..... 347
IV. 3.9. მწკრივის რაობა და სტრუქტურა..... 351
IV. 3.10. მწკრივთა რაოდენობა ახალ ქართულში..... 355
IV. 3.11. მყოფადის წრის გამოყოფის ისტორია და მართებულობა..... 360
IV. 3.12. შედის თუ არა ზმნისწინი მწკრივის ფუძეში..... 365
IV. 3.13. უღლების ნიმუში ახალი ქართულისათვის..... 374
IV. 3.14. მწკრივთა დაჯგუფებისა და თანამიმდევრობის საკითხისათვის..... 375
IV. 3.15. ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისთვის (**ა. არაბული**)..... 385
IV. 3.16. ზმნის მნიშვნელობის („ზმნურობის“) დაკარგვის შემთხვევები; ზმნის გადაქცევა ნაწილაკად, კავშირად, მოდალურ ელემენტად (**ნ. ჭუმბურიძე**)..... 413
IV. 3.17. ზმნის მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობები ქართულში (**ნ. ჭუმბურიძე**)..... 418

თავი IV. გვარი – ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული (**მ. სუხიშვილი**)

IV. 4.1. **დინამიკურობა-სტატიკურობის მნიშვნელობა და გვარი**..... 420
IV. 4.1.1. გვარის რაობის საკითხი..... 420
IV. 4.1.2. გვარის ადგილისათვის გრამატიკულ კატეგორიათა

სისტემაში 424
IV. 4.1.3. გვარის ფორმები გამოხატულებისა და შინაარსის პლანის მიხედვით 426
IV. 4.1.4. -ა პრეფიქსი მოქმედებითი გვარის ფორმებში 433
IV. 4.1.5. ვნებითი გვარის ჯგუფების ფორმობრივი და ფუნქციური მიმართება და საშუალი გვარი
IV. 4.1.5.1. პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითების მიმართება 441
IV. 4.1.5.2. დონიანი და უნიშნო ვნებითების მიმართება აქტივებთან 450
IV. 4.1.5.3. სუფიქსიან ვნებითთა მიმართება უნიშნო და საშუალი გვარის ზმნებთან 452
IV. 4.1.5.4. საშუალი გვარი (მედიუმი) 455
IV. 4.1.6. გვარის საოპოზიციო ფორმათა სემანტიკური მახასიათებლები 460
IV. 4.2. **გვარი და გარდამავლობა (მ. სუხიშვილი)** 463
IV. 4.2.1. მოქმედებითი გვარი და გარდამავლობა 467
IV. 4.3. **აქტიურობა-პასიურობის მიმართება ვინ და რა ჯგუფების სახელებთან (მ. სუხიშვილი)** 479
IV. 4.3.1. მოქმედებითი გვარის ზმნები 480
IV. 4.3.2. ვნებითი გვარის ზმნები 486
IV. 4.3.2.1. ინიანი ვნებითები 486
IV. 4.3.2.2. დონიანი ვნებითები 488
IV. 4.3.2.3. უნიშნო ვნებითები 489
IV. 4.3.3. ვნებითები, რომელთაც სუბიექტად მოუდის როგორც **რა**, ასევე **ვინ** ჯგუფის სახელები 491
IV. 4.3.4. ვნებითი გვარის ზმნები, რომელთაც სუბიექტად **ვინ** ჯგუფის (სულიერი) სახელები შეეწყობა 494
IV. 4.3.5. ფორმით პასიური და ფუნქციით აქტიური ზმნები 496
IV. 4.4. **უკუქცევითობა (მ. სუხიშვილი)**
IV. 4.4.1. ზოგადი მიმოხილვა 510
IV. 4.4.2. უკუქცევითობა ქართულში 512
IV. 4.4.3. უკუქცევითობის მნიშვნელობისათვის 517
IV. 4.4.4. უკუქცევითობა ორპირიან გარდამავალ ზმნებში 519
IV. 4.4.5. უკუქცევითი ნაცვალსახელი სამპირიან გარდამავალ

ზმნებში 532
IV. 4.4.6. უკუქცევითობა ერთპირიანი ინიანი ვნებითის ფორმებთან 534
IV. 4.4.7. უკუქცევითობა და საშუალი გვარის ზმნები 537
IV. 4.5. **ქცევის კატეგორია (მ. სუხიშვილი)**
IV. 4.5.1 ზოგადი მიმოხილვა 539
IV. 4.5.2. ქცევის კატეგორია ქართულში 539
IV. 4.5.3. ქცევა და გარდამავლობა 543
IV. 4.5.4. ქცევის საკითხი III სერიის ფორმებში 546
IV. 4.5.5. ქცევის სახეები და მათი წარმოება 548
IV. 4.5.6. ნეიტრალური (საარვისო) ქცევა 550
IV. 4.5.7. სასუბიექტო (სათავისო) ქცევა 554
IV. 4.5.8. საობიექტო (სასხვისო) ქცევა 562
IV. 4.6. **კაუზატივის კატეგორია (მ. სუხიშვილი)**
IV. 4.6.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა
IV. 4.6.1.1. „პირველადი კაუზატივები“, „მეორეული კაუზატივები“ 569
IV. 4.6.1.2 მოქმედებითი გვარის ზმნათა **ა-**პრეფიქსიანი მოდელები შინაარსის თვალსაზრისით 572
IV. 4.6.1.3. მოქმედებითი გვარის ზმნათა უხმოვანპრეფიქსო მოდელები შინაარსის თვალსაზრისით 576
IV. 4.6.1.4. „პირველადი“ და „მეორეული კაუზატივების“ შეპირისპირება ფორმალური და ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით 579
IV. 4.6.2.1. კაუზატივის განმარტებისათვის 583
IV. 4.6.2.2. კაუზატივის მაწარმოებლები 587
IV. 4.6.2.3. **ა-**პრეფიქსის ფუნქციისათვის კაუზატიურ ზმნებში 590
IV. 4.6.2.4. კაუზატივის ამოსავალი ფუძის შესახებ 593
IV. 4.7. **გვარის კატეგორიის კერძო შემთხვევები (მ. სუხიშვილი)**
IV. 4.7.1. პასიური და საურთიერთო სემანტიკა გარდაუვალი ზმნების **ე-**პრეფიქსიან მოდელებში 595
IV. 4.7.2. ვნებითის ნიუანსები 604
IV. 4.7.2.1. პოტენციალისი 604
IV. 4.7.2.2. მიჩნევის ვნებითები 611

IV. 4.7.2.3. „გუნების“ ვნებითები 616
IV. 4.7.2.4 უნებურობა 618

თავი V. ᲣᲦᲚᲔᲑᲐ. ᲣᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲘᲞᲔᲑᲘ (**გ. გოგოლაშვილი**)

IV. 5.1. ტერმინებისათვის 624
IV. 5.2. თვალსაზრისები უღლების ტიპებად დაყოფის თაობაზე..... 625
IV. 5.3. ფორმათა „სესხების“ საკითხი 627
IV. 5.4. ზმნათა დაჯგუფება მწკრივთა წარმოების შესაძლებლობების მიხედვით..... 634

IV. 5.5. **I სერიის ფორმათა წარმოების საკითხები (გ. გოგოლაშვილი)**
IV. 5.5. 1. თემა. თემის ნიშნები
IV. 5.5.1.1. რა არის თემა..... 643
IV. 5.5.1.2. **ი** ელემენტის თაობაზე **ზრდის** ტიპის ზმნებში..... 645
IV. 5.5.1..3. **-ავ** და -**ამ** თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში 647
IV. 5.5.1.4. ევ/ივ სუფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში 651
IV. 5.5.2. *თემის გავრცობა. სავრცობი*
IV. 5..5.2.1. სავრცობის რაობისათვის..... 652
IV. 5.5.2.2. -**ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა პარადიგმა ძველ ქართულში და მასთან დაკავშირებული პრობლემები..... 654
IV. 5..5.2..3. **-დ, -იდ, -ოდ** სავრცობთა განაწილების საფუძველი I სერიაში..... 655
. IV. 5..5.2.4. სავრცობთა გამოყენება სხვა სერიებში..... 658
IV. 5.5..3. თემის საკითხისათვის **ი** ელემენტიან ზმნებში 661
IV. 5.5.4. ხმოვანპრეფიქსები და თემა..... 665
IV. 5.5..5. თემის ნიშანთა მონაცვლეობა
IV. 5.5.5.1. თემის ნიშანთა მონაცვლეობა მოქმედებითი გვარის ზმნებში..... 667
IV. 5.5.5.2. თემის ნიშანთა მონაცვლეობა ვნებითი გვარის ზმნებში..... 672
IV. 5..5.5.3. თემის ნიშანთა მონაცვლეობა საშუალი გვარის ზმნებში..... 673
IV. 5.5.6. თემის ნიშანთა განაწილებისათვის 674

IV. 5.5.7. სტატიკურ ზმნათა აწმყოს მეშველზმნიანი ფორმების შესახებ ... 677
IV. 5.5..8. ნასახელარ ზმნათა ფუძის საკითხისათვის ... 681
IV. 5.5.9. ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმაწარმოების საკითხები ... 687
IV. 5.5.10. **-ავ** ელემენტიან მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ ... 691
IV. 5.6. **II სერიის ფორმათა წარმოების საკითხები. წყვეტილის წარმოება (გ. გოგოლაშვილი)**
IV. 5.6.1. წყვეტილის წარმოების ტიპის განსაზღვრისათვის ... 694
IV. 5.6.2. -ი ელემენტიანი წყვეტილი ... 695
IV. 5.6.3. -ე სუფიქსიანი წყვეტილი ... 700
IV. 5.6.4. თავისებურებანი წყვეტილის წარმოებაში
IV. **5**.6.4.1. უნიშნო ტიპი წარმოებისა ... 702
IV. 5.6.4.2. ზოგადად სუბიექტური III პირის -ო სუფიქსის გამოვლენის პირობათა შესახებ ... 705
IV. 5.6.4.3. **ყავ** ფუძის შემცველ ზმნათა წყვეტილის შესახებ ... 705
IV. 5.6.4.4. **ჩაიცო** (ჩაიცვა) ტიპის ფორმები სამწერლობო ენაში ... 706
IV. 5.6.4..5. „შერეული პარადიგმები“ წყვეტილის წარმოებაში ... 707
IV. 5.6.4.6. **დავდევი||დავდე** ტიპის პარალელურ ფორმათა შესახებ ... 710
IV. 5.6.4.7. **დარგა||დარგო** ტიპის პარალელური ფორმები ... 711
IV. 5.6.4.8. **შევატყვე||შევატყე** ტიპის ფორმათა შესახებ ... 712
IV. 5.6.4.9. ვ-ს საკითხისათვის -ევ სუფიქსიან ზმნათა ფორმებში ... 712
IV. 5.6.4.10. ყალიბთა მონაცვლეობისათვის ... 717
IV. 5.7. **მეორე კავშირებითის წარმოება (გ. გოგოლაშვილი)**
IV. 5.7.1. მეორე კავშირებითის მაწარმოებელი სუფიქსები ... 714
IV. 5.7.2. მეორე კავშირებითის მაწარმოებელ სუფიქსთა განაწილების შესახებ არსებული თვალსაზრისები ... 719
IV. 5.7.3. **-ო** სუფიქსიანი მეორე კავშირებითი ... 720
IV. 5.7.4. **-ა** და **-ე** სუფიქსიანი II კავშირებითი ... 723
IV. 5.7.5. წყვეტილისა და II კავშირებითის მწკრივთა წარმოების ურთიერთმიმართებისათვის ... 730
IV. 5.8. **III სერიის ფორმათა წარმოების საკითხები (გ. გოგოლაშვილი)** ... 734

IV. 5.8.1. III სერიის მწკრივთა წარმოება ძველ ქართულში 734
IV. 5.8.2. რა ხდება ახალ სალიტერატურო ქართულში 741
IV. 5.8.3. -**ავ** და -**ამ** თემისნიშნიან ზმნათა III სერიის ფორმათა შესახებ 747
IV. 5.8.4. ვნებითი გვარის ზმნათა III სერიის ფორმათა შესახებ 752
IV. 5.8..5. თემის საკითხისათვის III სერიის ფორმებში 755

IV. 5.9. **III სერიის მწკრივთა ფუნქციური ანალიზი (ა. არაბული)**

IV. 5.9.1. „თურმე“ ნაწილაკი და „თურმეობითის“ საკითხი დრო-კილოთა III სერიის ფორმებში 759
IV. 5.9.2. თურმეობითი პირველისა და მეორის ძირითადი ფუნქციის საკითხი 761
IV. 5.9.3. თურმეობითი მეორის ფუნქციური ანალიზი 764
IV. 5.9.4. თურმეობითი მეორის ფუნქციური დამკვიდრების ისტორიული სურათისათვის 766
IV. 5.9.5. კავშირებითი მესამის ფუნქციები 768
IV. 5.10. **საერთო კანონზომიერების გარეშე მდგარი ზმნები** 770
IV. 5.10.1. დამხმარე (მეშველი) ზმნები (**ნ. ჭუმბურიძე**) 770
IV. 5.10.2. რთულფუძიანი ზმნები 772
IV. 5.10.3. შერწყმული ზმნები 774
IV. 5.10.4 მყარი ზმნური შესიტყვებები 775
IV. 5.10.5. დამხმარე სიტყვებით გართულებული ზმნები 776
IV. 5.10.6. ფუძის მონაცვლეობისათვის (**გ. გოგოლაშვილი**) 776
IV. 5.10.6.1. მარტივი ფუძის მონაცვლეობისათვის 776
IV. 5.10.6.2. სუპლეტივიზმი მწკრივთა წარმოებაში 779
IV. 5.10.7. ფუძეთა ბოლოკიდურის მოკვეცა წყვეტილში 782
IV. 5.10.8. კერძო შემთხვევები
IV. 5.10.8.1. თავისებურება **უამბობს** ზმნის წყვეტილის ფორმისა 783
IV. 5.10.8.2. **ვალ/ვედ/დი** ზმნის თავისებურებანი 784
IV. 5.10.9. ანალოგიისათვის 788
ძირითადი ლიტერატურა 791
შემოკლებანი 815